გურამ დოჩანაშვილი

ლოდი ნასაყდრალი

რომანი

შვილიშვილს, თინათინ ჭკუასელს ვუძღვნი

1.

ბევრი რამ იყო უღირსისათვის გაუგებარი.

თუნდაც:

- ძალიანი მწყურია არნოლდი, - თქვა ავტობუსის გაჩერებაზე უცნობმა, ქალმა.

მან, ვისაც დაფიქრებულად უმეტყველო ბლანტე თვალები ჰქონდა, კაციშვილს არ უყურებდა და ისე, სწორედ ასე თქვა უმიზნოდ მაგრამ წინ და პირდაპირ ეს თუმცა მარტივი, მაგრამ ძნელად ამოსახსნელი წინადადება, რადგან მიმართვა საკუთარ-სახელ არნოლდი-მდე სასვენი ნიშანი მძიმე (,), ანუ სათქმელშორისი ყოვნი სულაც არ დაუშვია და ისე წარმოსთქვა ეს სამი ამ შემთხვევაში ერთიმეორეზე ხვაშიადიანი სიტყვა: „ძალიანი“ „მწყურია“ და „არნოლდი“, რადგან დიახაც მოქმედი შადრევანი იქავე იდგა და მისი ახალ-ახალი წყალი თავისებურად მოძრაობდა და, აქედან გამომდინარე, ვერ მიხვდებოდი, ზეზე მდგარმა ქალმა ძალიანი მოწყურება შესჩივლა იქავ ხის უზურგო მერხზე მჯდომარედ თანმხლებ ხნიერ მამაკაცს (რომელსაც ეგებ სწორედ მას ერქვა უმძიმესწინო აღნიშნული სახელი), თუ ქალი გულმოკლულად შესჩიოდა წლოვანებით გამობრძმედილ ადამიანს, რომ ძალიან, და სხვათაშორის, არა ძალიან-ი, არამედ ძალიან თუ მოენატრა სადღაც შორსმყოფი დაუდეგარი ჭაბუკი-ვინმე არნოლდ, უგემოვნო იგი, რადგან დიდი ფრიადი მკერდი ჰქონდა; ქალს. და ეგება ასაკით უთანაბრო ქმარიც კი იყო ეს ხანსრული მამაკაცი მისი (ქალისა) და მიზანშეწონილი ეჭვიანობით ახლოთა შადრევნისკენაც არ უშვებდა ფუქსავატ თანამეცხედრეს იმ სავარაუდო გათვალისწინებით რომ, ეგება სადმე ახლოს ტრიალებდა უწინამძიმეოდ შემსუბუქებული დაუდგრომელი ჭაბუკი არნოლდ, მაგრამ ქალი ერთის მხრივ თუნდა ხანოვან ქმართან, და გინდაც პაპა ყოფილიყო მისი, ხმამაღლა რატომ გამოაცხადებდა იმას, რასაც საერთოდ მალვა რომ უნდა ნაპარავი რაშივით, სწორედ იმ გადატვირთულ გრძნობას, იმ ვერაგს, იმას, ანუ შეყვარებას, ადამიანებში შემოგვჩვეულს, ჩვენსას, მაგრამ მეორისაც მხრივ, თუკი თანამჯდომს მიმართავდა, მაშ ზედ ხელის ზურგზე შემცივნებულ ხნიერ დარბაისელს მწვანით მოლურჯოზე გადაწყვეტილად რატომღა ეწერა „გიგო“, მაგრამ მესამეს მხრივაც ეგებ ეს თვალშისაცემი აღიარება, სვირინგად „გიგო“, ეგებ თვითონ კი არა, არამედ სულ სხვა, უსვინდისოდ სწრაფად გაფრენილი ახალგაზრდობის დროინდელი მეგობარი, ანდა სულაც ყოფილი დირექტორი იყო მისი, და გაუგებარივე იყო აბა რა იყო ყოფილი ჭარბი მამაკაცის მიერ შეგუებული ხმით ნათქვამი აგრეთვე სამსიტყვიანი (მაგრამ ერთ-ერთი სიტყვა ორჯერ) დუნე გამოხმაურება:

- გუნდი და გუნდი ვარსკვლავთა... -

რას გაიგებდი. თან, ზეზეურა მიმზიდველი ქალის სადგომი უფრო ახლოს მდებარეობდა აღნიშნულ შადრევანთან, ვიდრე კაცის უზურგო და უხერხული ხმელა საჯდომი, მისულიყო, რაღა და დაელია ახალთახალი წყალი (ქალს), თანაც, მომსმენ მამაკაცს, გიგოსა თუ არნოლდს, გაბზარული ჭიქაც კი არ ეპყრა ხელთ, ვთქვათ და, უფროს-უმცროსობისდა მიუხედავად, წამომხტარიყო და წყალი მიეტანა მწყურვალისათვის - რადგანაც წყალი პატარისაა, რაგინდ დიდი მკერდი ჰქონდეს - არადა, იმის მაგივრად ხომ არ დალევდა (წყალს?)? რატომღა წარმოუთქვეს... თან, სხვათა შორის, სვირინგი და, შლაპა? ან, გამოჩენილ გულზედ - კალამკალმისტარი? ანდა იმ გაქანებულ შუადღით რაღადროს ვარსკვლავურ გუნდთა ასტრონომია იყო, რას გაიგებდა უღირსი, მესამე (ეე, არა, მეოთხე, კინაღამ გამოგვრჩა არნოლდი), და პარალიზებულ, ყოფილ პატიოსან ავტობუსთა უქმ გაჩერებაზე (1991, 94 წელი, თბილისი, იანვარი), იმ შადრევანთან, საიდანაც რომ წყალი თავისებურად სჩქეფდა, ტყუილად რატომღა იდგა? მაგრამ ესენი, ეს ქალ-კაცი, რომელთაგანაც ერთ-ერთს ძალიან ბევრი უკლდა რომეომდე ისეთი ასაკოვანი იყო, ეგების კრემლელ, ანდა სულაც ვორონეჟელ აგენტებად იყვნენ მოვლინებულები ავ სამუშაოდ თავად ნოვ-გოროდიდან მათთვის ახალ-ქალაქ სეხნიასავით თბილისში, და ეგებ თვალსაჩინო სვირინგიც ნამდვილი კი არა არამედ სახელდახელო დამატებითი ნიშანყოფა იყო და, ამასთანავე, ურთიერთსაგაცნობოდ ამბობდნენ გადაცმული ხელმძღვანელობისაგან დავალებულ ხვაშიადიან პირობით სიტყვებს საქციელმიმთითებელ ხელმძღვანელობისგანვე მოცემულ ადგილას ანუ დამბლადაცემულ ავტობუსებწაგვრილ მზიურად (შუა იანვარშიც) წოდებული დედაქალაქის ერთ-ერთ ცრუსავე გაჩერებაზე, მაგრამ აქ, უღირსს, რაღა უნდოდა? მაგრამ დათქმული სიტყვებით ურთიერთგატეხვისას ცოტათი მაინც რომ უნდა ეღელვათ და ქალს მაშინ რატომღა ქონდა ბლანტი თვალები? ან, შორს პირშიმთქმელი რაციაიანი ჩემოდანი რატომ არ ჰქონდათ, თუმცა ტექნიკა ისე წინ წავიდა, წინ... რამე ყოფილიყო, ჩემოდანს ტექნიკით გულის ჯიბეც კი შესცვლიდა... უი ჰო, ახალგაზრდულად კურტაკმოღეღილი ცხოვრებანანახი კაცის გულიდან ამოჩრილი კალმისტარი!..

და, ქართულსაც რომ ლაპარაკობდნენ?

ეგებ, გამოცდილები იყვნენ ძალიან.

რას გაიგებდი.

„ძალიანი მწყურია არნოლდი“-ს, გარდა.

* * *

მაგრამ იშვიათად, სხვისა მაღალი იდუმალებაც კი, ჩასაწვდომი თუ ვერა, მთლად გაუგებარიც არ იყო.

მამა დანიელი მიუძღოდათ, ბილიკზე ასამდე იყვნენ.

ტყე იდგა ნამდვილი, მშვენიერი, მზის ქვეშ განდგმული, მზით ჩრდილოვანი, საღად ნოტიო, ხშირ ფოთლებშუა მაინც სხლტეებოდნენ შუქის მოძრავი გრძელი სვეტები, ზოგან - უძრავად დაბჯენილიყვნენ და იმ ნათებაში, ტყე რომ თავისას ცხოვრობდა მცირე მტკიცებად ისიც კმაროდა, რომ ფათურა შუქშიაც რაღაც-რაღაცა წვრილი პატარა არსებაები დატივტივებდნენ, იშმუშნებოდნენ, ნამცეცურად ცხოვრობდნენ და იღვწოდნენ იქა, სხვა თუ არაფერი, შუქს აბზინებდნენ, მათითაც ჩანდა, ტყე რომ სუნთქავდა, და მერე როგორ; ტყისგან მხოლოდ ამოზრდას ბევრი რა დიდი იმდენი უნდოდა რა, მხოლოდ მიწა და მხოლოდ ჰაერი, წყალიცა და მზე, ეს ყველაფერი - მაღლიდან გახლდათ, აქ უმთავრესი ტყის მერე და მერე ცხოვრება იყო, იქ მოხვედრილ ადამიანთაგან უფრო გამჭრიახებისათვის, შესაცნობად უფრო ძნელი და უარესი. გაგეგო უნდა, ტყისა, თორემ ისე მხოლოდ მიდი და იზარდე რამდენიც გინდა, აბა რა წყალი და რომელი მზე გაცოცხლებს მხოლოდ, შენითაც უნდა იყვე ცოტათი, ხოლო დიადი მანათობელი ტყეში მოხვედრილ საკმაოდ დაღლილ ბედნიერთათვის გამალამაზებლად იყო ახლა, იმ ფოთოლნარში სად არ სჭვიოდა, და როგორღაა მზე ერთადერთი, თუ, რაც ადგილია, და ადამიანი, იმდენივეა, ტყეში ხომ - მრავლად მოიძევება, დაქსაქსულია, და ერთბაშად ვერც გაიგებდი, სინოტივეში ეს მზის მოძრავი გრძელი ჭაღები ჩამოდიოდნენ ციდან ძნელად თუ, ანდა მიწიდან ამოზრდილიყო ნათლის მარაო, ეს თავდაყირა ირგვლივითობა... -

შენში ლხვებოდა;

ანდა, ეს ხმები... უფრო თვალისთვის შესამჩნევნი, თითქოს; რადგან, ჟღერაზე მეტად - ხმების ტივტივი თვალისმიერი და წანწალი, და კიაფიც კი იწელებოდნენ იქა, ეს წელვა, წელვა, და შენში კუმშვაც - ერთად, და ამით ციაგა ბრმებივით ხმები, იქით ხილულნი, როგორ და ეს ფათური, მოშრიალური, ბრმათა ფეხისხმა, ვინ რომელს დავეძებთ მსუნთქავა ტყეში, თუ ფერებაა მათგან უბრალო ეს, ტყისთვის ანაზდი, თუ ფრთხილად მსუნთქავ მიჩერებულთაც ამოცნობაა აქეთ ჩვენი, ხლებულ უღირსთა, მორიდებულიც, თვითნებურაც, ჩვენი არსობის დაუკითხავად სულსწრაფი ჩენა, და როგორ ფხიზლობს, ანუ მარჯვედ მთვლემარებს, მჩენი, გვპოულობს როგორ, და ტყის აქაიქა ბუნდოვანა ჯიუტ ნათელში აქ ყოველივე წყვეტილობით დაეძებს ყოველს, უქარობისას, ეულ თავისას ერთიმეორეს თვალის ბგერებით უშედეგოდ და ჯიუტად ამცნობს, შუქში შემშლელად ფოთლებია ამოჭრილი, მუქად; მაგრამ ერთდება ყოველივე ეს, ერთიანდება, ტყეში, მაგრამ შენ, ვერაფერს ხვდები თვალითაც კი, თვალისასაც კი, იმ ხმებადქმნილი მსუყედ უტყვი ბგერების გარდა, სულ რომ მოკლე თუ გრძელ სვეტებად განათებულნი რომ ჩამოწვდილან და მდუმარებაში თვალისად ისმით და რაა ეს თუ არა სუნთქვა, ცით, აქ დაფლეთილად ერთიანის, თავისას, დიდურს, მაღლითურას, როგორ ჟღერს ახლა იდუმალ ბინდად აბჟუტებული, ხანაც - ჩახჩახა, როგორ, რაღაარნაირთანხმოვანება - ტყიური ბახი!, - მზის აბლაბუდა... ღონიერებით, შემბოჭავი, ჩრდილებითაც კი;

ახლა, ჩიტები?

წინაღამობით ბნელში შიშით გატრუნულები, ტრუნვაგამჯდარნი, ბნელ ღამეობით ხმაგაკმენდილები და ახლა კი მზით როგორ დიდჩიტისგულანი, ხმაროგორმოცემულნი ახლა, იმ დაგუდულად ბნელ, ძალიანსა და თითქოს უსაშველო და მაინც დროებითა ბნელში ფრთაქვეშ თავშეყუჟულნი თუ ტვრენდნენ, მერე, შედედებული კუპრი რომ სასიკეთოდ დაბუჟდებოდა თითქოს, და ჩუმი ჟრიალით ნამცეცებად იწელებოდა ირგვლივ, და, მოახლოებული მზისგან, ტყე ტივტივს ლამობდა, აქ გაუბედავად დასცდებოდა პირველი შეკითხვა-დასმასავით ბგერა და იქვე, დაუსჯელი, ჯერ მაინც მორიდებულ სტვენას იწყებდა ყველაზე მეტად სულსწრაფი ტყეში პირველი ჩიტი, და მერე სხვებიც, უფრო და უფრო გათამამებულნი, რომ აჰყვებოდნენ და აჰყვებოდნენ, ძალმიცემული ტყეც, ბინადართაგან ახმოვანებული, განმჟღენთი შუქით ჯერ თუ ჰაერში ეკიდა თითქოს, ყოველ მზეამოსვლაზე გინდაც პირველად გასხივოსნებული, როგორ მყარად და ლამაზ ჯილდოდ უბრუნდებოდა ორთქლაძრულ მიწას და, ფესვებგამდგარი, მზით მოქმედი, და სწორედ მისკენ სითბოთი როგორ და როგორ აცოცებული, ღამით მოგროვილ იმ სინატიფეს ფოთლებისაკენ მადლამტანი წვალება-სვლივ აღავლენდა და იმა ფარულ მაღლით ცოცვაში, მიღწეული ფოთლები იქნებოდა ეს თუ კვირტი თუ ტოტი, სუყოველივე იშმუშნებოდა, და, სითბოდავლილი, წყალობაბოძებული, როგორ ყოველი მადლიერებით ჟრიალებდა, მთელი ტყე - ჟღერდა, როგორ, და ტყის სამადლობელ გალობად იკვრებოდაც და ვრცელდებოდაც აღქმისთვის როგორი განსხვავებულები - ფიჩხი და ყლორტი, და ხავსიცა და, ჩიტიც, ოღონდ აქ გევლო, გინდ მდგარიყავ, თუნდაც შორიდან შეგეხედა, ოღონდ გესმინა, და გეცქირნა, შენც - მათი იყავ, ყოველივესი, ისინი კი - შენნი, და თუმც ერთმანეთისა ახსნილიანად არა გესმოდათ რა, მაინც - გჯეროდათ, რომელიღაცა კუნჭულებით, შიგნით, მაგრამ ტყემ აქ ხეებით დაღმართში იწყო ნელი ჩასვლა, და წინმხტომი მზერა ალაგ უკვე იმ ნანგრევებიან მინდვრამდეც კი აღწევდა, ორ აღმართიან ტყეს შუა რომ დაბლობზე ძევდა, ხოლო მამა დანიელი წყაროსთან რომ შეჩერდა, ვიწრო ბილიკზე ყველანი შედგნენ, მამა დანიელმა მინდორს გახედა, აქედან უკვე ნანგრევებიანა მკაფიოდ ჩანდა, და მრევლში მოიძია ჭიქა, წყაროსთან ჩაიმუხლა, გაუღიმათ, თქვა: „მოდით, დალიეთ“ და რიგრიგობით იმ საცარ წყარონაგემებს, ერთი სული კი ჰქონდათ, სრული შვებისთვის იქვე სადმე შორიახლო რომ წამოწოლილიყვნენ, მამა დანიელმა კი ისევ მოლიანი მინდვრისაკენ გაიხედა, თქვა: „იქ დავისვენოთ, იარეთ, დაგეწევით“, და მორიგ თანმხლებს ააწოდა უბრალო ჭიქა, მაგრამ თავისი ხელით, და წყაროიანი, უღირსი კი მორიდებულ თვალს ვერ აცილებდა მას, ადამიანს, რომელიც უყვარდა, უყვარდა როგორ, და უფრო მეტად - ეამაყებოდა მასთან სადღაც გვერდით ყოფნა, თუ უფრო - როგორ ემადლიერებოდა და ყველაფერზე მეტად კი - უკვირდა; საცარი იყო მისი ამტანობა, უფრო საჩინო აქ, ამ გზად, წმიდა ნინოს ნაკვალევზე, მესხეთ-ჯავახეთში, და აქამდე თუ მხოლოდ ორ ქალაქად - მცხეთასა და თბილისში ჰყავდა ნანახი, აქა, გზაში, უკვირდა მისგან ყოველივეს ლხენით გაძლება (“ლხენა - ჭირთაგან ხსნა“, საბა), ვრცელი მრევლიდან, აქ ასამდე სული ჰყავდა, და ახლაც ნებისმიერ მათგანს ცალად ჩამუხლული მამა დანიელის ადგილზე აი აქაც კი დაეღლებოდა ხელი ახლა, სწორედ წინა დღით კი თქვენ მისი ამტანობა იქ უნდა გენახათ, ერთ-ერთი დაბის პირას:

მთელ ორ საათსა თუ უფრო მეტი, მამა დანიელი წელამდე მდინარის ყინულოვან წყალში იდგა, თავზე კი მზე აცხუნებდა, შუადღისა, მთისა, და გაუსაძლისი თუ იქნებოდა ჩვეულებრივებისათვის ეს, მამა დანიელი იმ სიცივისა და მცხუნვარების მჭახე ნაერთში, შუადღის მზეზე, ბედნიერი და მოღიმარი, ამაღლებული, ამამაღლებელი, აბრჭყვიალებულ ზემოთა მტკვარში, მბზინავ და მისით რღვევად ტალღებში, როგორ კაშკაშად მარადახალ ძველ მდინარეში, დიდებს, პატარებს, პირველადი წესით ნათლავდა, რიდით მიახლოებულებს, წელამდე წყალში პირისპირ მდგართ, მისკენ გადახრილებს, სოველ ხელისგულს კეფაზე ადებდა და ზედატანსაც მაბედნიერებელ წყალში სამჯერ ღონივრად აყოფინებდა:

„სახელითა მამისა... და ძისა... და წმიდისა სულისა“,

ხოლო თუ სხეულით დაბლები იყვნენ, ბუჩქნარიანი ნაპირისკენ ადგილდებოდა მღვდელი, და მთლად ჩვილებსაც ფრთხილად აწვდიდნენ, არა ტიროდნენ როგორც წესი, ოღონდ თვალები ძალიან გაფართოებოდათ; და ისე უბრალოდ და მნიშვნელურად აღასრულებდა მამა დანიელი ამ ერთ-ერთ დიად საიდუმლოს, ნათლისცემისას, და სანახავად დიდად საამური თუ იყო ეს, უღირსმა მხოლოდ საღამოთი გაიაზრა, ერთდროული სიცივითა და მზით როგორი ტვირთი ადგა მამა დანიელს, სულიერ მოძღვარს მისას, უღირსისა, და უნებურად გახევებულთა დაყვინთებასაც ძალა უნდოდა, თურმე რომელი ტანით ჩემპიონ-ათჭიდელი გაუძლებდა ყოველივე ამას, თან, მხოლოდ ორიოდ საათის ძილისა და დილის ვრცელი ლოცვებისა და წირვის შემდეგ; ხოლო, თურმე მთავარი რამ სიძნელე, მერე გაიგო - მამა დანიელს მთელ ორ საათს თვალწინ რომ ჩაუდიოდა ულევი წყალი, თან მზით ბრჭყვიალა, და იმ მრავლად ტივტივა, ლივლივად-მხტუნავ, მოსანათლავებისათვის თუ მხოლოდ წუთიერ ლხინით კაშკაშში, დიოდა წყალი... - მაგრამ ორ საათს, მთელ ორ საათს თვალებისათვის წვეტიანად რომ ამოსხლტოდა... - არ არსებობდა, სხვა ვინმეს რომ, არასასულიერო პირს, თუნდ დაღრუბლული მდინარის სვლით, თავბრუ არ დახვეოდა, მაგრამ სულიწმიდა, შეწევნა მისი... და, განათებულ, სპეტაკ სახეზე შუქი ჭავლებად გადასდიოდა, და მერეც, მის მიერ იმდენი ტვირთის ლხენით ატანა თავისი თვალით რომ არ ენახა უღირსს? - არც დაიჯერებდა... და მხოლოდ მამა დანიელის, ამ გამხდარი მღვდლის დანახვაზე, წყალში, დაიჯერებდი, ზე-ცა რომ იყო, იყო, არის, და იმოდენა იდუმალებებს, შორს საზიდ ტვირთებს, უუმძიმესებს, ისე სწორად და ბედნიერად მოგახვევდა თავს, რომელი ტყე, სხვადასხვაგვარად, უდაბნოურადაც კი გიახლოებდა, რადგან შენაც, და ყოველი მისი მრევლთაგანი - სულიწმიდათი ცოტათი თუ მეტად განსხვავებული იყავ, მაგრამ წყალობა მისი - სხვებზედაც, შენზეც, თანაბრად იყო, გააჩნდა თუ, გულს და გონებას, გულს უფრო, უფრო, როგორი ნდომით შეუშვერდი, იგი კი, მამა დანიელი, მუდამ შენთვის და, მუდამ მზადმყოფი, ამაღლებული, ამამაღლებელი ბრძანდებოდა და, ახლა კი, ხიბლიანად დაგუდული ტყის თუმცა დამღლელ და მაინც შვება-გზად, სუბოლოს თავად დალია წყალი, სახეზეც იპკურა, და შორიახლო მომლოდინე უღირსიც, რომელიც სხვებთან შედარებით ერთი მიზეზით ცოტათი განებივრებული ჰყავდა, მორიდებულად აედევნა, მინდვრად ჩავიდნენ, და იქ წამოწოლილი მრევლი თუმც წამოჯდა და, წამოდგომასაც აპირებდნენ, მაგრამ მამა დანიელმა დაფიქრებულმა

ჩაუარა მათ, ერთადერთ რასმეს მიჩერებოდა მხოლოდ - ნანგრევებისკენ მიდიოდა როგორ თან მღელვარედ და დაფიქრებულად, როგორღაც მხრებზეც კი ეტყობოდა თუ როგორ მძაფრად განიცდიდა მისაახლებელს და, ნასაყდრალისკენ მიდიოდა, ჟამისაგან ჩამოქცეული ნაგებობისკენ, ღელავდა როგორ, გამხდარი იყო, ამაღლებული, ამამაღლებელი, და თურმე, თავადაც კი ასამაღლებელი, და, უღირსიც მიჰყვა...

* * *

მაგრამ არავინ იყო ისე გაუგებარი, და ისეთი დამბნევი, ვითარც მაყვალი.

ადრეც, ახალგაზრდობაში, სანამ მისი უმცროსი ძმა ერთ მრავლადსახსენებელ საქმეს ჩაიდენდა, მისი ასაკით მარადუფროსი დაი მაყვალა უბრალოდა და ადამიანურ-გასაგებად მაყვალა-დ იწერებოდა, ხოლო როდესაც მაყვალას ძმაიმ ის კენტი საქმე ჩაიდინა (რაიმე ისეთი საშიში კი არა, არა, ზოგჯერ თქმა სჯობს - არამედ მოზრდილი საკანდიდატო დისერტაცია მშრალური წარმატებით დაიცვა სულ სხვა დარგში), აი მაშინ კი სიტყვების ზედაპირულად მესაიდუმლე ჰუმანიტარმა მაყვალამ აიღო და ითაკილა, ანუ თაკილიღო თავისი მართლაცდა საკუთარი სახელის დაბოლოება და მოაგდებულო „ა“ „ი“ -თი შეცვალა (“შეცვალა“ - მან ის - მართლაც რომ ორპირიან-ორპირული ზმნა - „მაყვალა“, აჰ, არა, მაყვალა რა იყო, არამედ - „შეცვალა“) და ასე მიიღო და შექმნა მიმღეობითი მაყვალ-ი.

მაგრამ ამას რა დიდი-იმდენი უნდოდა-რა, ის სხვის დაბნევას სჩადიოდა? - აჰ.

უხამსობებამდეც კი მიჰყავდა, ადამიანი.

თანაც, რით - ჭარბი ზრდილობით.

ოღონდ ასეთით, აი:

- უი, ჩემო კარგო, რა კარგია რომ მოხვედი, მეგონა ნეტავი ვინ არის-მეთქი, შენზე კი არა, ზარზე, როგორ ძალიან გამახარე რომ მოხვედი, ყოჩაღ, - მხნედ ეუბნებოდა უღირსს; ოღონდ სხვაგან იყურებოდა. ახლა ურთიერთთავაზიანი ნაცნობები, ადრე კი ოჯახებიანა ჩარაზული თუ ღია კარის კარგი მეზობლები იყვნენ, და სწორი გაგებით ამხანაგობდნენ კიდეც, თუმც ადრეული მაყვალა რამდენადმე (როგორც თვითონ ამბობდა) მაგრამ ბევრად იყო მასზეც და თავის უმცროს ძმაზეც უფროსი ყოველთვის; - მე სწორედ ახლახან ერთი ისეთი ღირსშესანიშნავი ამბის მოყოლას ვაპირებდი (თუმც შინ მარტო იყო), ერთი ისეთი შესანიშნავი რამ შემემთხვა ჩემი თანდასწრებით, რომ უნდა გიამბო აუცილებლად და ულაპარაკოდ...

„ვაიმე?..“ - წინასწარ გაიფიქრა უღირსმა, უკვე იცოდა, სმენითს გაჭირვებას რომ შეემთხვეოდა.

- აი, შენ ჩემი ძმასავით ხარ, შენა და გოგა ხომ ჩემ თვალწინ აღიზარდენით როგორც ადამიანები, და აბა ვინ მყავს მე ჯარჯის ფასი, სიბერის ძმაა ჩემი ვენაცვალე, და არ გეწყინოს ჩემგან კია, უხამსობაში არ ჩამომართვა მაგრამ შენ მაინც გეტყვი რადგან შენც ისეთი გამგებიანი ადამიანი დადექ გოგასავით, რომ, რო იტყვიან, არ გეწყინოს

რა, უმცროს ძმასავით ხარ შენც ჩემი, და გინდაც ჯარჯის ისე გეტყვი, - რა და, ბარაქალა.

„ბარაქალა... ბარაქალაო... მაგრამ რა ქონდა საბოდიშო... ბარაქალა... ბარა-ქალა... რა უნდა მწყენოდა, რატოა უხამსობა?..ა?..ბარა?...ბარრა?.. ბარრრა?..“

- ხომ მისმენ?

მიჩერებოდა თურმე, შორით მფიქრავს.

- დიახ.

- და ხომ არ გეწყინ-გეხამუშა?

- არა-აჰ...

- მაშინ, განვაგრძობ, შენის ნებართვით. ჰოდა, წავიდა სწორედ ეს კაცი...

„ვინ კაცი...“ - წინა გამონათქვამების ადგილ-ადგილდ შეძლებისდაგვარად გააზრებაში, მთელი წინადადებნახევრები ეპარებოდა.

- მაშინ გოგაზე ვინ იფიქრებდა, მაპატიე და, დიდი ბოდიში, საკანდიდატოს ასე უცებ თუ დაიცავდა...

„რაღა უცებ... მაგრამ რაზე მომიბოდიშა?.. ჰო, დაიცავდაო... ალბათ დაიცავდა-ზე თქვა, მაპატიეო, აბა სხვა რა... რას დაიცავდა... აჰ, არა, არა, იმ რამეს როგორ იგულისხმევდა, არა... ალბათ ყურებს... და მაშინ მაგრამ რატომ მომიბოდიშა?... დისერტაცია რაღაზე მოაყოლა... ხო, დაიცავდაო... მაგრამ რას დაიცავდა...“

- ხომ მისმენ?

- დიახ... როგორ არა.

- იქ კი პირდაპირ მიახალეს, რა ვქნა, მე სიმართლეს ვერ გადავაკეთებ, თუმც კი ძალიან მერიდება ამისი თქმაო...

„ამისი... - მე მაგისი?“

- იქ კი პირდაპირ უთხრეს, - არა. წარმოგიდგენია?

...

- და... კიდევ რა უთხრეს?

- კიდევ არაფერი, მხოლოდ ასე უთხრეს, - არა. - და უსაყვედურა, - კარგი რა, ნუ მამეორებინებ, მეუხერხულება. ერთხელ თქმა, არაა საკმარისი, არა?

„ვაჰ, ვაჰ, არაო, არა... - ფიქრობდა გულდაეჭვებ გასიებული უღირსი, - რა უნდა იყოს განა ისეთი ეს არა?.. რას უნდა ნიშნავდეს... არა... არა... მარა... ჰო, წარამარა?... აჰ, ვითომ, შ--------ი წარამარა?.. ალბათ... თორემ ისე რატომ მომიბოდიშებდა... თუ,

მ---------ე წარამარა?.. ალბათ... მაგრამ რატო უთხრეს?.. აჰ, არა, არა, მაგას როგორ ეტყოდნენ, არა. მაგრამ ვის?..“

- მერე კი, გოგას დისერტაციამდე მთელი ორი წლით ადრე, პირისპირ შეხვდნენ...

„აჰ! - მტლაშამტლუში!?“

- და შიგ პირში მიახალა...

„ვახხ!!“

- დიდი ბოდიში, მაგრამ მე არ შემიძლიაო და...

„ვის არ შეუძლია... ყველას შეუძლია...“ - არეულიყო, უღირსი.

- და მე ეს არ მეგებისო, - განაგრძობდა მაყვალი, ზრდილობითა სხვისა ზრდილობის გამპარტახებელი, - და გაბრაზებულმა კარლომ...

„რომელი კარლო... ვინ ოხერია...“

- მყისვე მიუგო, არ გინდა და ნუ გინდა, მაგ ბარიერისთვის მე სხვა ძაღლს ვიშოვნიო...

- ძაღლსო?

- აბა?!. ამას როდისმე წარმოიდგენდი?

- არა. - „ვაიმე, წარამარაზე, არა, ეე, არა-ზე, მობოდიშება დამავიწყდა... მე ჩემი ჭკუა ბარრრა...“

- ძაღლზე და კატაზე და ცხენზე კი არااო ოდენ საქმე, გინა დობერმანი იყვეს და გინ პირჩერიო...

„გინ...გინ... პირჩერიო... გინება?“

- არამედ კაცობაშიო, ჯარჯიმაც და სხვებმა, სუყველამ ერთად, ჯარჯის გეფიცები, იმას კი, ბოდიშს კი ვიხდი მაგრამ უმცროს ძმასავითა ხარ შენ ჩემი, მაგრამ მართალი კაცი იყო.

„მართალი კაცი... მართალი... კაცი... ტემპერამენტიანი?“

- გოგა რომ პატარა იყო მაშინდელს გეფიცები, არავის გაკვირვებია მისი ასეთი საქციელი, და რადგან გამოთქმა ძაღლი ხომ გადატანითი მნიშვნელობით იყო ნახმარი, არავის გაკვირვებია-მეთქი ნუ მამეორებინებ რა მისი ასეთი საქციელი, ხოლო სწორედ ამ ჩვენმა ანზორმა...

„ვაჰ, ეს ანზორი ვიღა ოხერია... - კარლო?“

მაგრამ ყოვლად უბოდიშოდ და უუკაცრაოდ ისეთს რასმეს მიაყოლებდა? - ვიჰ!:

- ხოლო ანზორმა მეორედაც რომ უთხრა, მე მუხრანი არ ვიყვე შენ თუ არ განანებინე რომ თითები არ დაგაკბენინე იმასაც დავინახამთო, ჩემი მოტყუილება კი ძალიან კი გინდოდა მაგრამ ჩააფურთხე დენიკინის ორშაურშიანშიაო...“

„ვაჰხუ!!“

- გოგა მაშინ ასპირანტიც არ იყო, არამედ ახალგაზრდა იყო, ძალიან კი ბოდიშს ვიხდი მაგრამ, გადატანითი მნიშვნელობით, უჩქეფდა სისხლი...

ეს გასაგები იყო; კიდევ კარგი.

- და ქალებს ზედაც არ უყურებდა.

„ვაი?!“

- გოგა სკოლაშიაც და რა თქმა უნდა მერეც გამოირჩეოდა სხვებისაგან, აბა რომელი შეედრებოდა, ჯარჯს ხომ მხოლოდ ერთი ბოდიში და ფრიადოსანი თუ შეეპაექრებოდა ცოდნაში, მაგრამ ახლა აღარც კი მახსოვს თუ რა გვარისა იყო ის ჩვენის ტრულაილა...

„ვაჰხ!.. თუმც, ტრუ-ლაილა, ეგებ - მზუთხველი?.. ტრუ-ლაილა... ტრუ-ლაილაი... ანუ გაზუთხვა... ზუთხი... ზუთხი?“

- წარსულს ჩაბარდა. ჯარჯი კი მათემატიკაში ისე იყო, ბოდიშს კი ვიხდი მაგრამ როგორც თევზი წყალში...

„კი, ზუთხი ყოფილა... მაგრამ როგორ წყალში?.. ჰო, ტრულაილა ზუთხი ყოფილა... და ნეტა ხიზილალა ქართულად როგორ იქნება?“

- ჯარჯიმ კი, არც აცია და არც აცხელა...

„ეს რა არც!..“

- და სწორედ იქ წავიდა, გოგას გეფიცები...

„ვაიმე... სად სწორედ იქ?“

- და ახლა შენ უნდა გკითხო და პირდაპირ უნდა მიპასუხო იცოდე - და ხოლო შენ იქ ტრისტანის ადგილზე როგორ მოიქცეოდი?

„რომელი ტრისტანი... იზოლდა? არა-აჰ!.. და, მანონ ლესკო? არა, არა-კაცო აჰ!“

ხედავთ, მაყვალი-ზე? - „არა“ -ო, „აჰ“ -ო, „კაცო“ -ო... - კუთვნილი ზრდილობა, ბუმერანგივით ალალად დაუბრუნდა, მაყვალის.

- რომ გეკითხები, რად არ მპასუხობ? მეწყინება იცოდე სიმართლეს თუ არ მეტყვი ჯარჯის გეფიცები, შენ ტრისტანის ადგილზე როგორ მოიქცეოდი?

„კარგის ---------ს (ტრიადას?.. მოკლეა, კვარტეტს?.. კვარტეტებს?.. ტეტე... არა, ძალიან მოკლეა... კვინტეტი?..) ვუტირ-ბდი“, - გაიფიქრა სწორედ ასე, თქმით კი ასეთად თქვა:

- მეც ტრისტანივით მოვიქცეოდი, - და, მაყვალის შეფასებას შიშგანაბული დაელოდა, - „ვაი?!“

- ჰოდა, მეც მანდა ვარ.

...

„ვაჰ, კიდევ კარგი... მეპატიოს და, ზუსტად მოვარტყი... ვაიმე, ეს რა გავიფიქრე - აჰ!!“

ეჰ, სადღა იყო ძველი ნამდვილი ამხანაგობა. განსაკუთრებით ფიქრებში... დაირღვა, როგორც... თანაც, რამდენადმეც და ბევრადაც იყო მასზედ უფროსი მაყვალი, ვით გვირილასთან.

- რა...

- საქმე-მეთქი, საქმე, ჰა! საქმე მწყურიან...

- ჰო-მართლა, თუ შეიძლება, ჯარჯისთან ბარათს დავტოვებ, და როცა მოვა, გადაეცით.

- აბა რას ვიზამ. ტყვილა კი არ ვარ. ბარათი გამზადებული გაქ, თუ უნდა დაწერო?

„ვინაჰ!.., თუმც არა, არა, ვაჰ!.., ეს მაინც რაღამ მაფიქრებინა“... - ხოლო თქმით: - დიახ, დიახ, ახლავე დავ...ეე, ახლავე შევადგენ.

და, უღირსმა შეადგინა:

„ბატონო გოგა, ძალიან გთხოვთ, ძალიან, ახლობელია ჩემი, კარგარეთელი ძუკუ, მგელიკას ძე, ჯგუფი 810 - „რა უწმაწური ციფრებია“ - დამაკმაყოფილებელიც ყოფნის“. ჭოჭმანის შემდეგ, ორი უკანასკნელი სიტყვა - „დამაკმაყოფილებელიც ყოფნის“ - ეხამუშა და გადახაზა, შეცვალა „სამიანიც თავსდივა“-თი, და მოეწონა, ასე ვთქვათ, ეს ფრთიანი ფრაზა.

- აუცილებლად გადავცემ.

- წავედი აბა... დიდი ბოდიში...

- რაა საბოდიშო, ბიჭო, რასაა რომ ბოდიშობ...

- არა, არა, ისე-უბრალოდ... „ვაჰ, კიდევ - არა? არა, არა... ნეტავი, სინამდვილეში არა რა არის? წარამარაა ნეტა, ვითომ?“ - და, სულმა წასძლია: - მეხუთე ასო მითხარით, რა?

მაყვალი კი ბარათს იქვე ამოწმებდა:

- ახლობელია?... კარგარეთელი... კარ-გარეთელი... ახალი მეზობელი ხომ არაა შენი? ბიჭო...

- არა.

- ვაჰ, სამიანიც თავს დივა? ა...

„ა და...“ - და, მეხუთე ასო როგორ იქნება?

- რისი...

- არა-სი.

მაყვალი ჯერ ვერაფერს მიხვდა. მერე, განკვირდა და მოუჭრა:

- არა-ს სადა აქვს მაგდენი ასო, ბიჭო... სამიანია.

- უი ჰო, ჰო, კი, კი, არა, დიდი ბოდიში... - და, შეჩქვიფდა: „არამცთუ მეხუთე არამედ უღრმესბოდიშიანადაც კი, მაყვალისთან გამოთქმა ასო საერთოდ არ უნდა მეხსენებინა.“

- კაცო, შენ შემთხვევით შეცდომით ხომ არ დაგიწერია?

- ვინ!

- მგელიკა...

- აჰ!

- მაშინ, მგელიკას ძე, თუ, მგელის ძე? მამა ყოფილა უკვე რაც გინდა იყოს.

- რა ვიცი, იმათ მე ასე დამიწ... ასე გადმომცეს... „უი ჰო!“ - მგლებამდე არც მივა ალბათ საქმე, ვითომ იმდენი ეყოლებათ კარგარეთლები?

- ჰო, ეზოს გააჩნია... ნუ წახვალ, გოგას მზემ, სხვა რა გადავცე?

- ვის...

- ჯარჯის, ვის...

- არა, არა, არაფერი, „ვაჰ!!“ - მოიკითხე, - „რას ამოვიჩემე ეს არა წარამარა!“

მაგრამ, კიდევ კარგი, ჩვენგან განსხვავებით, უღირსმა ის მაინც იცოდა, პერიოდული მაყვალის მარადმწვანესავით მარადუმცროს ძმას, ორი სახელი ერთდროულად რომ ერქვა - გოგა და ჯარჯი, ჯარჯი და გოგა.

ასე რომ, დაბინდულ მაყვლნარშიაც კი, ჰქონდა ნათელი წერტილებიც.

2.

ძალიან იყო ამაყად დაქანცული; იმ დღეს სულ რაღაც თხუთმეტიოდე გვერდი წაიკითხა, მაგრამ ფოლკნერი.

ეს უცნაური ხელობა იყო - ტევადი პროზა; მისთვის ერთობ ძნელი.

წვრილმანებიდან დაწყებული. ვთქვათ და, მოგინდა რომ სუფთა ქაღალდზე შენით გაიშენო სწორედ ის ტყე, მონატრებით რომ - თანაც შენია და თანაც ყველასი, ჰე, რა სჯობს ამას, მიდი აბა ჰე, მაგრამ აჰ არა უკაცრავად, ისე-უბრალოდ ვერაა საქმე, „ტყეში ხეებია; ტყე ხეებიანია; ტყე კარგია“, გეყოფა? ან, „ტყე ნოტიოა“, ან, მთლად უარესი - „ეს დიდებული (ძლიერ შესანიშნავი) ტყე იყო“ - დაკარგული გააქ, კვირისწინანდელ ჩაბარებულ ცარიელა ბოთლივით, გინ - ყოფილი თეთრი მაწვნის ქილა იყოს ეს, ეს შენთვისაა დაკარგული, თორემ ვიღაცა, გამართული, ძალიანაც შესვამს შედარებით გასუფთავებულ-იქიდან ცრუ-ლიმონათებს ან, ტიტლიკანი, ფეხს მაინც გაიჭრის ზეთ, თუ არ მოექცნენ სათანადო ყურადღებით და დაანტვრიეს. იხუმრე, კი, კი, სულ სახუმარაოდ გაქვს შენი საქმე, არა, უბრალოდ, ეს ტყის აღწერის გადადებაა დროებითი, როგორღაცითი, რადგან ძნელია. არა-გენაცვალე, ამას ჯობია, მხოლოდ უბრალოდ ახსენო ტყე - აი ასე აი - „ტყე“, მაგრამ ამითი, რომელი მოცლილი გაითავისებს, გინდაც უიღბლო მზეთუნახავივით სამართლიანად მოწყენილი იყოს. არადა, შუამავალი, შენ, შინა ხარ მხოლოდ, მაგიდასთან, მაგრამ რომელიც მდინარესავით მარადახალია და ჩაგიდის, ვინა თქვა მისი სიძველე; თუკი მართლა წერ, გუბეც არაა სუმთლად ძველი, რადგან წვიმისას, გუბეები ახამხამდებოდნენ სოფლის გზაზე, და თუ ასეც კი შეიძლება, თუმც უშედეგოდ - „ტყე კარგიაო, - თქვა ჭაბუკმა“, და ამას კიდევ დიდი-იმდენი რა უჭირს ისეთი, ცრუ-რომანტიკულობითა და თუნდაც ვთქვათ უკეთესი ჭაბუკის მოშველიებით, ავშედეგია ბევრად უარესი: „კარგიაო ტყე, დასძინაო მით მზეჭაბუკმა“, ან, მთლად დამღუპველი: „კარვებადააო შეშათა დაცემული ტყე, ჰგიაო და სცნა მზეჭაბუკმა უკანიდან ფრიად მამამზემ“, ვირის რა იყო, ერისთავმა, ხდება ასეთიც. მაგრამ აი აქაც, თითქოს სხვაზედ მეტად რომ მოგაქვს თავი რაღაი ვაქილიკებთ, ხუმრობა არა გვკმაროდა, არა? - ბწკენა-ჩქმეტაზე გადავედით, ვისთან და რასთან რა ხელი გვაქვს, კალმისტრის გარდა, ოღონდ ძნელია, წადი ჰა, მიდი და ტყეში მართლა ამოჰყავ თავი თუ კარგია, აბა თუ ბიჭი ხარ, მაგრამ პატარა შემზადება, ხელმოსაჭიდი, ამ ყოვლად უბრალო ადგილისთვისაც კი დიდად გინდა, - მაგიდას რომ უზი, ტყისაგან რომ შორს - აეს თან ძნელია და თანაც უკეთესი, რადგან მაგიდა ამ შემთხვევაში უფროა ხისა, ვიდრე სხუმის, გათავდა-მორჩა! - ეს ანცობა უხერხემლო, მიდი-ჰა, საქმე, საქმე, მაგრამ ანცობამ რაღაცით თითქოს წინასწარულად დაგასვენა, რადგან ამ უბრალო ტყით ძნელ საქმეს მოჰკიდე ხელი, რა გაწრიალებს... მოოოკლედ, ასე: ტყე, რაღა თქმა უნდა, ყველგან კარგია, მაგრამ შენ - შენი გინდა, ქართული, და როგორი უთავბოლო ბოდიალით მისაგნები, და უფრო ადვილი რომაა ნებისმიერ ტყეში შესვლა, ამას ხომ ცხადყოფს ჩუმი გამოთქმა ქეროა ერთი: „ტყეში შევედი“, მაგრამ რომელი დასვენებული შეჰყვებოდა ამა ნათქვამზე, დიდი-დიდი რომ, ტახტრევანზე ეცვალა გვერდი, მითუმეტეს თუ ეს კლიენტი ყალბ დიდოსტატთა მუშტარი იყო, ხოლო ცრუდიდოსტატებს ანუ ცრუპენტელაებს ტყუილიც აკი დაეჯერებათ, ხალხია დამსახურებული, ჩემი თუ არ გჯერათ, მისით დახურდავებულ იმისიანებს ჰკითხეთ ტაფობში, არა, ჯერ სხვა რამ იყო საჭირო სწორედ იმ მაგიდასთან, რომელთანაც რომ რაღაც განგებით, ურწმუნოებთათვის ყოვლად ამოუცნობლად, თვალისთვის ხეპრე ხშირხშირაობით ჭკვიანდება და არცთუ იშვიათად,

ხანდისხანობით სულელდება მითომი ბრძენი, ერთი რამ ჯილდო კი, წყალობად გქონდა - სცადე და სცადე რამდენიც გინდა, ხოლო მესამესა თუ მეხუთე ცდაზე, ან, მეშვიდეზე, მეცხრესა თუ მეთორმეტეზე, მეორმოცეზე, წეწვითს ტრიალში, რაღაცა თითქოს რაღაცას დაემგვანებოდა და, რაც უფრო ნატანჯი, უფრო გჯეროდა, იკითხებოდა უფრო; ჯერ მცირედობით იწყებოდა; ვთქვათ: „უღირსი მიდიოდა მცირე მოლისკენ“, მოლზე კი მუხა უნდა მდგარიყო (მაგრამ როგორი... დიდი... ღონიერი... მაღალი... დიდჩრდილიანი... ფართო... გაბარჯ...), „სადაც ვრცელი მუხა იდგა ერთი“, და კიდევ რაღაც სჭირდებოდა მუხას, ქართული ტყე რომ მოგახლოებოდა, ეს ბოლო სიტყვა მხოლოდ ფიქრობრივ დაიშვებოდა, რადგანაც მთლად გამართული რაღაც ვერ იყო, თუმც, „მოგახლოებოდა“ ქართული ტყის მთელ რიგ ფარულობათა შეგრძნებასაც იწვევდა თითქოს, ეს მხოლოდ ფიქრში, თორემ ვითომ უბრალო ქაღალდი (ტყისა!) და წარმოსახვის მასზე დასაქვეითება, ანუ შეძლებისდაგვარად დამორჩილებული წარმოსახვა, თუნდაც უბრალო, მაინც წვალებით გასახედნი, აზრ-მელნებიან საქმეებში სუყველაფერზე მეტად ძნელი, თავს თვით წარმოსახვას თუ გაუტოლებდა, მაგრამ ჯერ მუხა, მხოლოდ კენტი ხე, ოღონდ რაღაცით განსხვავებული, სჭირდებოდა აქ, და ჰო - აქ დასაშვები იყო ცოტათი, ყოველთვის ფრთხილად მოსაპყრობი სინამდვილე-რამ დაგხმარებოდა: „დიდად ნაცნობი კონწიალათი“, ბავშვობისდროინდელით, ანუ, და კიდევ ერთხელაც ეს სახიფათო დახმარება, ერთიც „ნამდვილი ამბავი“, ტყუილზე უფრო მეტად საშიში, რადგან არაფერი წაგტეხს კისერს ისე, როგორც მარტივი, ანუ მომხდარი სინამდვილე, რადგან შენ რისაც უყოყმანოდ გჯერა, სხვისგანაც იგივეს მოელი და დუნდები, თავი ქუდში გაქვს, ვითომ, მაგრამ ქუდები სხვადასხვაგვარია, არსებობს უჩინმაჩინურიც რაღა თქმა უნდა, მაგრამ რომელიც ხან მნიშვნელოვანს გაგხდის და ხანაც კი სუფთა არარაობად დაგაქცევს, - ზოგიერთა წყალივითა?, მაგრამ აქ ალბათ საგანს ავცდით, ესეც შიშია, გახუმრება, თან, დასაქცევი წყალიც აბა რატოა არარაობა და, გახსენებაზე, ისევ, მაგიდის შიშით, და გადადებით, ხან წყურვილს მოიმიზეზებ, ხან ვითომ ვიღაცაა კარზე, ტყუილუბრალოდ მიდი-მოდიხარ, რადგან მაგიდისპირობა - სუყველაფერზე ძნელია, კი, მაგრამ აქ ძაან ეჩქარებოდა, და ჰო, აქ შეხამებულად დასაშვებიც კი იყო ნამდვილი ამბავი: „ჟანგმოკიდებულ ჯაჭვს აუცილებლად შეახებდა ხელს, არც შეჩერდებოდა და ისე...“ - წინაღობებით, მიიჩქაროდა, ტყისკენ, მაგრამ აქ ჯერ ღელეც იყო, „წნორებაყოლებული“, - დინების საწინააღმდეგოდ, იყო აქ რაღაც მაგიდისეული მცირე შველა, ფარულ-ფარული წვრილმანებისკენ, შედგებოდა სვლა, და, წავიდოდა, „მსუყედ შრიალა ღელეს აუყვებოდა ბიჭი“, იქ კი ჰაერი იწყებოდა სხვა, რაღაც ტყიური, შორი, მაგრამ უკვე „სუფთა ჰაერით იწიწკნებოდა, უცხოდ სუნთქავდა, ქალაქელი, იქ ცა იყო როომ“ (აღარაფერი გჭირდებოდა სხვა, ტყისათვის უნდა შეგენახა თავი), და უეცარი გადმოხტომა: „ხოლო აქაიქ (უდეფისოდ, კი) - ძროხა, ცხენი, თხა“.

ამ მოცემულ სახეობათა ტრიოს ჩამოთვლა, არაალფაბეტური რაღა თქმა უნდა, რაღაცა წესით, თუ მარცვლობრივად, სხვაგვარად არ შეიძლებოდა, დიდი მიგნება კი არ იყო ეს, უბრალოდ, ასე ითხოვდა, მაგრამ რადგან სხვაც, შემმოწმებელი, მცირედ მაინც უნდა მიჰკვროდა, მთლად ბირკასავით არა, მაგრამ, შორიახლო ბირკასავით მაინც უნდა ჩაევლო საახლობლო და ყოვლად უცნობი

მეთვალყურისთვის, თქვენთვისთვის, ანუ, და რაღაც თავისკენ მისაზიდი სიმხნევე ისევ სჭირდებოდა, ისიც ნამდვილური, ეს ნაბიჯმომტვრევი სინამდვილის გამოწვევაც კი იყო აქა, ტყემდე, „მერე პატარას ჩაივლიდა და, წყარო...“ - უბრალოდ, ასე... მაგრამ, ცხვირპირჩარგული, სვამდა, აჰ, სვამდა“ - ეს დიდად სახიფათო და წამოწოლილთათვის გამაღიზიანებელი შორისდებულებიც ხანდახან თითქოს საჭირონი იყვნენ, ისევე როგორც „ვიღაცაც... (ალიტერაციები, ხან მიჯრილნი და ხანაც შორიშორნი, საჭიროდ მავნე) ვიღაცაც სვამდა სულ სხვა წყაროს... (აქ უბრალო მძიმე - , - მეტად დამღუპველი იყო, ისე კი, სასვენი ნიშნების ფასი? - აჰ...) ... ვიღაცაც სვამდა სულ სხვა წყაროს ოდესღაც, სადღაც“ - ეს ბუნდოვანება თუ გაურკვევლობა, ძირითადად მიუღებელი - ოდესღაც, სადღაც - მაგრამ წინა მაგიდაზე, ორი დღით ადრე, თითქოს ცოტათი შემზადებული, და ის ვითომც ჩავლილი ამბავიცა და მომდევნოც, შორეული, ითხოვდა ამას, და ეს მერეღა აიხსნებოდა, მანამდე კი მხოლოდღა ტყისკენ გიკაწკაწებდა ხელი, და მაინც, მაინც: „მონადირე კი ლელიანში გატრუნულიყო, რადგან...“ - მაგრამ აქ მონადირისთვისაც აღარ ეცალა, არა, იმ ლელიანსაც რა უნდოდა აქ, მხოლოდღა გახსენება იყო საჭირო და საკმარისი, სხვა სამიზნე რამ ედო მარტივად კლაკნილ გზად, მაგრამ ისიც - მონადირისთვის, და, პატიოსნად - „მაგრამ ამეებისთვის ჯერ არ ეცალა, იმ სახლის გასწვრივ მიაბიჯებდა, სადაც დიდი ქოფაკები სუმუდამ ჰყავდათ და ახლაც, ღობეს მომწყდარნი, გაავებულნი, უყეფდნენ, ყეფდნენ, ღობის გამონგრევას ყეფით ამაოდ ლამობდნენ და, ლამის იღრჩვებო-დნენ ყეფით, მაგრამ ესეც კი, ძველდროინდელი და მოსალოდნელი, მშობლიურივით იყო“, და მასაც ჰქონდა ძნელად გასაღწევი ზღუდე, რადგან ჯერ მაინც ისე-უბრალოდ ვერ შეხვიდოდი შენაც და სხვებიც, გამოზოგილად მონატრებულ ტყეში, წარამარაულ ცხოვრებაში უნებისყოფოს, აქ, მაგიდასთან, ძალით გინდოდა შენთვის რაღაცა თუმცკი პატარა მაგრამაც რაღაც ძნელისა გავლა, უბრალოებით შენიღბულ ტყესთან რომ მისულიყავ, ოღონდაც გულში რომანტიული მჯიღცემით - არა, თუნდ ასე - გაშლილი ზღუდე: „მერე დიდ ველთან გაივაკებდა, შეჩერდებოდა, გახევდებოდა და, დაადებდა თავს - უღირსი მიდიოდა გადახნულ ველზე, ფეხქვეშ ბელტები ეზნიქებოდა, ღრმულები აჩნდა ალაგ მიწას, რაღაცაები ცხოვრობდნენ იქა, ბნელ საცხოვრისებს ნაბიჯს არიდებდა, და მძლავრად გადახნულ, ტორტმანას თითქო, ველს რომ გადაივლიდა, ჯერ - თხილი და ასკილი, პანტა, კუნელი, მაყვალი, კვრინჩხი“, - ადამიანურად, ასე, მაგრამ - „ჰეჰეჰ, ძახველა დაკუნწლული“, და ძახველი გინდ სულ არ გცოდნოდათ, ამ „ჰეჰეჰ“ -ითი, გათამამება, და რაღაც უფრო თამაშურიც: „ფოთლებზე ალაგ - დაწინწკლული მფრინავი ხოჭო, სახელად მაია“, და, აქ შეგეძლო ცოტათი ზემოთ ახედვაც კი: „ფოთლებზე - ნისკარტით ძნელად შესათხზველი ჩიტის უბრალო ბუდეები“, და, ისევ მიწისკენ - „და რკოდაყრილი სქელი ბალახი, სოკო, და ვერც გაიგებდა, ისე ამოჰყოფდა“... - აჰ, როგორ ტყეში!, როგორ ტყეში!!, ეს „ქართული“ ტყე ამ შემთხვევაში რაღა უბედურება იყო, და მაინც უნდა, უნდა შვებად გამოგრეოდა, საჭირო იყო ასე, აქ უცილობლად გჭირდებოდა სიტყვა „ქართული“, კუთვნილი, შენი, და მაინც, მაგრამ-როგორღაც უხერხული, გაპრანჭულივით, თავმომწონებასავით უშნო, და რა კარგი რამ იქნებოდა, რაღაცა ხერხით ანუ მადლით სითბო-რამ მაინც რომ შეგრეოდა, კი მაგრამ, როგორ, აქ შეიძლებოდა ძვირფასი სიტყვით - „ქართული“ - ყველაფერი რომ გამოვლილ ღელეშიც კი გადაჰყროდა, მაგრამ მეცხრე თუ მეათე

თუ მეორმოცე გაფიქრებაზე, მწყალობად ზვირთზე, ორივ კურდღელი - „და ვერც გაიგებდა, ისე ამოჰყოფდა ქართულა ტყეში თავს.“

იკითხებოდა, ვითომ? აქამდე, თორემ მერე ტყე იყო, ერთგან ჭანჭრობიანი (“ჭაჭრობი - კორდი წყლიანი ნოტიო. კორდი - უნამუშევარო მიწა“, საბა), და გატრუნულ ხელისგულს ადებდა ძველ, ნაცნობ ხეებს, აქ უბრალოზე უფრო უბრალოდ შეიძლებოდა ასე ჩამოთვლა: „ვერხვი და ნეკერჩხალი, მუხა, წიფელი“, უკვე ჰქონდა ტყე, მოეძევებოდა, სიტყვით „ქართულა“, და ხელისგულებით უფრო ისმენდა ვიდრე ყურით, ტყეს, და შვებანარევი სიხარულისგან შეძრულ სახეზე - შორი აბლაბუდა, და მისთვისაც და მონადირისთვის ნაკლებსაშიში იყო მაშინ ეს მცირეჭინკებიანი ტყე, მგლებიანი თუმც, მაგრამ იქ, მამა დანიელთან, რაღაცა წესით ჯერ ერთბაში ტყის გამოვლა იყო საჭირო, ოღონდაც უფრო იდუმალის, და წყაროც, მხოლოდღა მერე, მანამდისინი - არა, და მხოლოდ მერეღავე უნდა გასულიყავ მინდვრად, და გავიდნენ კიდეც, და იქ წამოწოლილი დაღლილი მრევლი მოძღვარის დანახვაზე თუმც წამოჯდა და, წამოდგომასაც აპირებდნენ, მაგრამ მამა დანიელმა დაფიქრებულმა ჩაუარა მათ, ერთადერთ რასმეს მიჩერებოდა მხოლოდ - ნანგრევებისკენ მიდიოდა თან როგორ მღელვარედ და, დაფიქრებულიც, როგორღაც მხრებზეც კი ეტყობოდა, თუ როგორ მძაფრად განიცდიდა მისაახლებელს და, ნასაყდრალისკენ მიდიოდა, ჟამისაგან ჩამოქცეული ნაგებობისკენ, ღელავდა როგორ, გამხდარი იყო, ამაღლებული, ამამაღლებელი, და თურმე თავადაც კი, ამა მაღალი ნანგრევებით - ასამაღლებელი, - მიდიოდა ისე, და უღირსიც, რომელიც სხვებთან შედარებით ერთი მიზეზით ცოტათი განებივრებული ჰყავდა, მიჰყვა, მაგრამ მამა დანიელმა გუმბათჩამოქცეულ სალოცავში რომ შეაბიჯა, და ლოდებშუა, აღმოსავლეთით მისახვედრი საკურთხევლისაკენ უვიც ეკლნარში რომ გაიკვალა გზა, უღირსი ჯერ თითქოს შეჰყვა, მაგრამ მამა დანიელი მუხლებზე მყარად რომ დაეშვა და, თავგადაწეულმა, ღია ცისაკენ მაღლივ რომ აღაპყრო ორთავ ხელი, უღირსმა იგრძნო, რომ იქ არ იყო მისი ადგილი, და გამოვიდა.

ჩამოქცეული კედლის წყალობით, საკურთხეველში კუთვნილად ჩანდა, მღვდელი. მხოლოდ თვალისთვის ეს, თორემ უღირსმა კარგად იცოდა, რომ ვერ უწყოდა საძირკვლიანდაგუმბათიანა ვერაფერი, გარდა იმისა, რომ, პროზა - ტყე იყო ათასსახება, სულსუ ძალიან განსხვავებული, ხან - ხელოვნურად გაშენებული, გაქუცული, და ხანაც ჯუნგლი, სხვადასხვაგვარი ორფეხით სავსე, და ერთი მადლით, უხერხულია თქმა, ზეითია ისე, და თვალსმიღმითურა, გადატანით კი, დიადი ქვური ცისარტყელათი როგორღაც ფარულმკვიდრად მადლგამჯდარი, იმ ერთი მადლით, წელიწადივით სხვაფერდებოდა, პროზა, ამაზე, შემდგომ, ახლა კი, თვალწინა ამბით უსუსური (თუ, „ამბავით“ უსუსური, თუ, მაინც „ამბით“, რადგან ჩაუღწეველ და ამიტომ ბუნდოვან ამბავს წააგავს „ამბა“ და, თანაც, „ამბა - მამასავით“, საბა) ... და მამა დანიელის მიერ თვალწინა ამბით უსუსური, უღირსი ისევ თავისი ტყიდან იშველიებდა, რომე სივრცეში არ იკარგება არაფერი, და მარად მხმოვანი წარსულისაც კი რაღაცა ძველი ნამცეცები, უხილავები, თვალის ბგერები, ჰაერში მუდამ დატივტივებენ, რაც კი რამ თქმულა და, გაფიქრებულაც კი, ხოლო აქ, თავად ნასაყდრალში, იმისი ყოფილი მუქი მინებით ბუნდშინდისფერად,

ბინდიან ლურჯად ღვთით შეფერილნი, ღვთით ნაფერნი, ლოცვებშერთულნი, მარადიულად აღუხოცელი ნამცეცები ეს, ცოცხალიყვნენ თუ რა იყო, მაინც, სულთმუშაკობით, იღვწოდნენ ისე, ოდონდ გესმინა, ოღონდ შეგეცნო, მაგრამ ამისთვის შენც უნდა რაღაც ყოფილიყავ, რაღაც ნამცეცი, მცირედად ღირსი, და სხვა რომ თუ არაფერი, ის მაინც უნდა გცოდნოდა მაინც, რომ ამ ნანგრევებს - შენით, ადამიანებისგან მიტოვებულს და დავიწყებულს, გაძარცულსა და რაფრესკებ ჩამორეცხილს, რამდენჯერ როგორ დანაწვიმარს, და დანათოვარს, ყინვის სალტეთი ბნელში ყრუდ მგმინავს, მჭახე სიდამზრლით მიტოვებულში თავისთვის მგმინვარისაგან - მაღლით ნასესხები რამ დაჩივლება: „რაისათვის დამიტევებ მე“, ეს - მაღლისაკენ, შენარხეინს (ერთი სიტყვაა) არ შეგაწუხებდა; მზეებით ხლეჩილს, ნაპობს, დანაბზარებზე რამდენჯერ და როგორ დასეტყვილს, ხომ მაინც შერჩა, მაინც შერჩა ეს ნამცეცები, ნამცეცები ეს!, ვერაქარებით ვერ გამოძევებუნი, მორწმუნეთათვის, ღვთით მეტყველნი, რომ განურჩევლად ყველა გიყვარდეს, რომ ყველა - შენი მოყვასია, და ასე შემდგომ, და მუხლებმოყრილი მამა დანიელი კი ამა ქვეყნიდან ისეთის ლტოლვით ლოცულობდა, სულ სხვაგან ჩანდა, ზემოთ სადღაც, ძალიან ზევით, უცხო ცებს შინა, და, პირჯვარი რომ გადაიწერა ღონივრად, ფართო, აქამდე უდაბნოდ უფრო გარიყულმა უღირსმა თავის ტყეში, ფოთლად სიტყვები რომ ესხა, თავისი თავი შეიბრალა და, დროებით გამხნევებად ერთი ნაცნობი ტოტი მოიძია, ჩაებღაუჭა - „და უცებ სამი თითი, სამი მთავარი თითი - ცერი, საჩვენებელი და შუათითი აექავა. უცნაური ქავილი იყო, წუილსაც კი წააგავდა - ამ სამი თითით ეჭირა ლუკას კალმისტარი, ამ სამი თითით იღებდნენ სამარილიდან მარილს და საჭმელში ჰყრიდნენ, და, ამ სამი თითით ლუკას წინაპრები პირჯვარსაც იწერდნენ, და ლუკას უცებ ისე ძალიან მოუნდა შინ, თავის მაგიდასთან...“ მაგრამ აქ უღირსს მაგიდისკენ არ მონდომებია, არა, აქ უფრო დიდი რამ ხდებოდა, ვიდრესინ პროზა - მიუღწეველი და თვალნათლივი: მისი მოძღვარი, სულიერი მამა თავისი, დანიელი, ერთის შეხედვით ჩამოქცეულ ნანგრევებშუა, მაგრამ სივრცეში დაურღვეველი საყდარის, ქვებში, სუყველასათვის ლოცულობდა რაღაც საერთო მხურვალე რამეს, განუსაზღვრელს, და, მისით შეძრული უღირსი, მონადირე, ოდნავ რომ მაინც მიახლებოდა იმა მაღალს, სუყველგან როა, დაბლაც, თავისი კნინი შესაძლებლობებით თუნდაც მცირედად რომ ჩასწვდომოდა, კვლავ მოიშველია თავისი ტყიდან ისა, რომ „დაიხარა და ხელისგული დაადო მიწას, არსად ენახა ასეთი შავი, ფხვიერი გოროხები, პეშვით აიღო მიწა და დააცქერდა, დაფშვნა, თითებშუა მდოვრედ ჩაეღვარა. მერე ორივე ხელისგულით დაებჯინა უცხო სოფლად შემოხვედრილ თავისას, მიწას, ესეც წესად ჰქონდა - სადმე, უცნობ სოფელში თუ მოხვდებოდა, განმარტოვდებოდა და თუ ახლომახლოს არავინ ეგულებოდა, თვალდახუჭული, მიწას ხელისგულებს დააბჯენდა და რაღაც შორეულს, რაღაც იდუმალს ასე უგდებდა ყურს, ითავისებდა, შეეძლო როგორც, და ხელისგულებით ახლაც ერთი ლოდისკენ გაუწია გულმა, მაგრამ სხვა იდუმალება ედგა თვალწინ და მისას გრძნობდა ახლა, მიწისაზედ დიდს - ზეციურსას; მაღალი იყო ეს იდუმალება ერთადერთი მხოლოდ იმისთვის საფერი სიტყვით - „ზესთა“, და საკუთარი პაწიაობით, მაინც ხვდებოდა - უნდა იმისკენ აღმა და აღმა გევლო და გევლო, ანდა, მდგარიყავ ორთავ მუხლზე თუნდ ზეზე მყოფი, და, გახევებულს, პატიოსნად მისკენ გებიჯა, იიმისკენ გეგზო, სადამდეც სული სხეულში გედგა; ამოუხსნელი, მიუწვდომი, თან შენი იყო ისე უბრალოდ ყველგან, ყოველთვის, და

ყველასი, ეს შენ იყავი მისი დამვიწყი, ვითომც თავნება, და ირგვლივითურებს რაგინდ თვალში დატაკებოდი და დასობოდი, თავნებობითცკი უფრო იყავი დაკარგული, ეს - შენდა თავად, მაგრამ ის მარად შენთან იყო, გიახლოებდა, ცოდვებითაც კი, და თუმც შენს თავზე გამუდმებული სახარება იკითხებოდა, შენ მაინც რომელიმე ტყისკენ გეჭირა თვალი, ეს გინდაც პროზა ყოფილიყო, და მაინც იყო რაღაც ამ მელნითა ტყეში, რაღაც კი არა, ბევრი რამც ძევდა, ეგებ, და ტყის მოძრავი შუქჩრდილებითაც შეიძლებოდა ცოტათი ოდნავ უდაბნოური წვდომაიმისი, რწმენა, რადგანაც სიტყვა იყო თავად, უპირველესი, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ის - სიტყვა იყო უხვი, ულევი, და ყოვლისშემძლე, რომელი პროზა - ეს ის, დიადი მუშაკობით, იის შთაბერავდა ადამიანებს, გინდაც პირუტყვებს, და თვით ბუნებას, სულს, როგორ გვბადებდა, გვზრდიდა როგორ, და გვაბერებდაც, ზოგს, მერე თავისკენ მიჰყავდა ნაგამოცდარი ადამიანები, ზოგი როგორი, ზოგიც როგორი, ნეტავი სად; და რაც კი ვითომ მუდამ თვალწინ გვაქვს, რადგან გზად გვხვდება, იმეებიდან მიუხვედრელი უმძიმეაო წვრილმანებიც კი („დზალიანი მცკურია არნოლდი“-ც კი) როგორ გვაბნევს და ეჭვებით გვღრღნის, გვისიებს გულს, და რაღანი ვართ იმ დიადი, ვერაგონებით ჩასახვედრი მიუწვდომლობის ქვეშ და წინარე - თვით დროისა და თავად სივრცის, განუზომლობის შესაყარი ამა დიადი ჯვრის ერთადერთ მცოდნეთ, სწორედ ამ ჯვარზე ჩვენთვისთვის, და ჩვენითვე ბოროტად მილურსმნულს, ჩვენდა წყალობად და გადარჩენად, თვით მამის ნებით განაწამებს, როგორ, და მისი სიკვდილით სიკვდილისავე დასათრგუნად მაყურებლები და ასეთად დაჯილდოებულები, ჩვენ-უღირსები, ჩვენა, ვრცელრუხ ცოდვათა შვილები, გზააბნეულები, უარეს ტყეთა მაცქერალნიც, ჩვენა, მივყავდით; სად; მაგრამ ამისი, სიკვდილისა, რასაც ძალიან უფრო სწორად, გარდაცვალება ჰქვია თუ მთლად არა ხარ ბნელმარათონით წარწყმედილი, მისით წაყვანა ასე ძალიან, შენებურად არ გშინებოდა უნდა, რადგან დაბადებამდეც, შენ ხომ ჩვეული იყავ უკვე ვითომც-არყოფნას, და რამდენხნობით, მერე, - დაბადებამდეც, ჩვენთვის ვერმყოფი შენ, უხილავი და გაბნეული, და შესაკრები, უკვე იმისი იყავ, მისით იყავი, შეუკრებიც, ხომ მისა იყავ მაინც, მუდამ; სულსაჩადგმელად, ჰეე, საიდან აღარ დაწყებული, სხეულითაც კი, - დასაბამიდან, იმ პირველითგან გამზადებდა და გიგუებდა, თანდისთანობით, ნეტავი როგორ, ესეც არ ვიცით ჩვენი, ჩვენა, და ადამიდან მოყოლებული, შენთვისაც თოვდა რამდენჯერაც თოვდა, უკვე რაღაცა იყავ მისით, ყოვლად არმცოდნე ნამცეცირამ, და მაგრამ მაინც მისიანი, თიხად ადვილად მოსაზელი, სულშთასაბერად კი, რთულ ჯერს უცდიდი არარაობიდანვე, შენსას, რა დიდხანს, ჰოი, ის - სიტყვა იყო ისეთი რომ, სუყველგან ჟღერდა, ის ერთი იყო შემომქმედი, შესამებული, გასამებული, ზეციური და ჯვარზე ჩვენგანვე მილურსმულიც - ერთად!, და ასე ცხადად შემომქმედი, ჩაუწვდენელი, ხოლო ბნელებისათვის - დაუჯერელიც კი, რა მიუწვდომი იყოც და არის, ყოვლად, ბიბლიის გარდა, თუმცა ბიბლია თავადაა სამყარო და უფრო მეტიც - სულიწმიდასი, მაღლითმოქმედის, ღვთის ცისარტყელის; სუყველგან იყო იგი, მამა, როგორი შორი, უხილავი, როგორი ახლო, აშკარა როგორ - გაზაფხულს მაინც შეხედო იქნებ, აღდგომების დროს!, ის - სიტყვა იყო ვედრებიან ბრძანებასავით, ამა მელნური ტყეებით და ბალახბულახით, მიუღწეველი, მაგრამ ფიქრი ხომ, და ვედრებაც - ეს მაღლითურად რაშორეული ძნელსიტყვებია რადგან, ამ

ნანგრევებში, სადაც უფრო შესაძლო იყო იმისად ყოფნა, ამაღლებული პაემანი, მარადპირველი შეყვარება, მისიანობა, ვინა თქვა საყდარის, თუნდ დანგრეულის, თავისად გმინვა, - არა, შენ, უღირსს, ნანგრევებითაც ყოველთვის გიხმობდა, და თუნდ რბილოვან ხალიჩაზე შენკოტრიალას, შენთვისვე გიზიდავდა, ასამაღლებლად გხმობდა, უხვი, და ვინ სულელმა აღგვინუსხა ნეტავ პირველად, რომ ქვეყანაზე იმდენივე დაღმართია, რამდენიც აღმართი, არა, დაღმართი ბევრი იყო, ძალიან ბევრი, უთვალავია ჩვენსავით ძმებო, აღმართი - ერთი, - მისკენ, და თუ მისაკენ მიდიოდი კარგად თუ ავად, ეგებ იმიტომ გეშინოდა, რომ აქა, აქა რა მძიმე ტვირთით - სხეულიანა მოვლენილი, ვითომ ადვილად რომ დაგქონდა, ვითომც ნებაზედ, დაჩალიჩობდი შენი ჭკვითა ყოჩაღურად ძალიან როგორ - გინდოდა ჭამა, სმა გინდოდა, დროსტარებები მრავალსახა, სიამეები დამაქცეველი და მერე როგორ, და გარდაცვალების შიში კი არა, აქაცხოვრების შიში უნდა გქონოდა თავსდაწოლილი, დამსრესი იყო თუ არ გახსოვდა, და გხსომებოდა ყოველთვის უნდა, რომ - არ გასრესილიყავ, მაგრამ შენ, ამა გამოცდით, ანუ ცხოვრებით, ვითომდაც ლაღს, დამოუკიდებელს ვითომ, გაარარაობაებულს, სულ არ დაგქონდა, არ გახსოვდა შიში იმისა, იმ მთავარისა, ცხოვრებაგამოვლილი რომ, ნაგამოცდარი იყავ როგორი - ყოველ ნაბიჯზე, სუყოველ წამს! - და ვინ, როგორი წარსდგებოდი მისა წინარე - ეეს არ გახსოვდა!, მაგრამ ეგება დაბლითურა შემაღლებულებზე, და იქ მდგარ ტყეში, შენ, ვითომც შენაც შემოქმედი, ეგებ მთლად ტყუილადაც არ წვალობდი, ეგება იქაც შეიძლებოდა ისევ მისით და თავად მასთანვე, ცოტათი ყოფნა, და ყოფვა ასე - შენთვისთვისაც და, სხვისთვის, და რადგანაც აქ, თავის ტყეებში, უღირსს თუმც ცოტა, მაგრამ მაინც გაეგებოდა თუნდ წვრილმანი რამ ამორჩეულ საქმეში რადგან, თუნდ როგორც ქაღალდისმიერ მოგზაურს, მკითხველს, და შედარებით იცოდა ისიც, რომ ამა საყდრიდან დიდად განსხვავებით, მის განუზომლად დაბალაღმართებიან ბილიკს, პროზას, ერთი ვითომდა შეღავათი, ოღონდაც ბილწი, ადამიანთა თავისიბრიყვე, ამპარტავნება, პირველ ცთუნებად ჰქონდა - ყოველთვის შეეძლო კი არა, კარგა უბიძგებდნენ კიდეც ბნელითშობილი სოცსინამდვილური სიბინძურე და იმისი ჭუჭყიანები იმ ფარღალალაშენობებიან პროსპექტისაკენ, ათეისტურად კარგამოწყობა რომ ერქვა, ყოველთვის ხელდაგოგრათავეწიფებოდა იმ ტრანსპარანტებიან ვაიგზაზე გადახვევა, ადვილად წერის, ორთითულა ჯიბგირულად წერის გარდაც იქიდან გამომდინარე სხვარამ ვუიჯილდოებსაც რომ გახვედრებდა განსაკუთრებული სახეობის პირისპირულად ორმხრივ მორჩილყურიანი, ღამის გამომზეურებული ქოთნით - თანამდებობა, ფული, რაპრეზიდიუმებიახ, ჰაგარაკებიო, წელით სალამი ცალმხრივული, რამე, ოსტრი სალიანკა, რამე, კოხტად უფასო ძალიანაც ჩამორჩენილი იდეურად და საერთოდაც საზღვარგარეთი, ზანგებიანიც კი, აქეთა გზაზედ კი როგორ გაძეძგილად საჩემოდანებო, რუმე, კი, შტერიაო ეძახე შენ, სხვა დარგისაც კი, მფრინვარს; გაქანებული შეყრილობებ-რამ ყრილობები, თუმც მოსაწყენნი და სადასამალავმთქნარებაააამტეხავნი, მაგრამ გამოსაფხიზლებლად - აპპპპლოდისმენტტტტტები, ვინც უფრო მაგრა, ცხრაველსიქითა დეპუტატობ-დელეგატობაც, ზედაც გამომდინარე კონდიციონერიანდილეგურად თვთვთვლემანარევი აღფრთოვანება, აბადა თქვენა აიქ გენახათ გადამსწრებლური ვიშვაშატაშა პპპ და ტტტტტჯ, ხანდახან ფეხსზეც, ახალგაზრდულად, ხოლო ჭაღარა კავკასიონგადმოფრენილზე კი - ჩორნი მანქანა ან ბელაია ჰაეროპორტში ეს

მხოლოდ შენთვის მომლოდინე, მხოლოდ შენ ეეერთს, და, საერთოდაც, დამიწებულზე, სხვაცა ბევრი რამც ძალიანაც კსტაწი ზასლუჟენნა ოვაციური მასტერობისთვის, მაგრამ ორივე, შავიცა და თეთრიც, რატომ ითვლება გლოვის ფერებად?, ჰა? უცნაურია, უცნაური, გაუგებარი, ძალიანი მწყურია არნოლდივითაა ცოტათი ესეც, რატოა ვითომ ეს ყოვლად განსხვავებული ერთმანეთისაგან ფერები ერთი და იმავეს გამომსახველნი, რას არ გამოიგონებს, კაცო, ადამიანის თვალი, მაგრამ ყოველთვის კი არ უნდა აჰყვე, მოგცლია ერთი და აბადა შენ მიდი და ლურჯმურჯ მატაციკლეტზე ხო არ დაჯდები ქარიხვეტიად, მატაციკლეტით, გადავუხვიეთ, სხვა რომ არაფერი მოტტოციკლეტტო ქვიან ძველქართულად მასა, ისე ჰხმაურობს?! ჰო... იმას ვამბობდი, და საქმე, საქმე, და პეშვებადქცეულ დაჭიმულ-დაწითლებული ხელისგულებით დამსახურებული გარნა (არაა სწორი, „გარნა - მაგრამსავით“, საბა; განა უნდა ეწეროს, მაგრამ განა სახელმწიფოცაა რომელიღაც აფრიკაში, და ისევ გარნა ჯობია, თუმცა მცდარია, მაგრამ გარნა ძველქართულია, იგი)... მოტაშისცემე ხელისგულებით დამსახურებული გარნა მეოთხედ, არამედ მეოცედფასა ჭორფლიანსა თუ უჭორფლო ტანზე - ტანთსა საცმელი, გარეამაყი დუბლიონკით დამთავრებული (ვაჰ, ცივისი-ცაა ეს თბილისი, ვეჰ?), ფერადოვნულად ირგვლივითურა აგრეთვამაყი ქვედასაცვლებით შიგნივშიგანად დაწყებული, ზედაც გალსტიკი ბუნებრივად თუკი კაცი ხარ იქაც ხოლო, გშვენისა იგი, სერიოზნული, ყელსზეც, იერისათვის, ზედგამოჭრილია ყველგან პირდაპირ ისი, და გინდა ვაჟნი (ქალნი არ გინდა?), არა, მე აქ ვაჟნი-მეთქი, სლავიანურად გაგებული ვაჟნი ჩინმენდლებორდენებია ეს, ორპირიანნი (ისინი - მე), და თვალისათვის მოჩისტულ (დაგვილ-დაკრიალებულ) სარკეებიან დარბაზებში ჯერ თუმც შენზედ ვაჟნისა ხელთდროებითად მყოფი, მაგრამაც მერე იმის ხელიდან ხელის-ხელ შენსკენ საგოგმანები სამუდამო დასასჯელად ვაჟნი ორდენები, ორპირიანებივე (ორდენებმისი - მკერდჩემისა; ანდა - მე კი იმისი... - ავტ.), ნუმერიანი ორდერებიც (რითმავ, წიაღო!) ბინებიანა კოხტად შეკმაზულ-გაზავებულნი რაღაც ოქმური მანქანებით, დაა, ეეე, დაუმსახურებლად უნომრო და უორდერო და აღურიცხველი საკმაზიანი ჩაქაფული (ის ვის პირსა და მე), უშუალოდ და უყოვლადრაღაცმანქანებოდ დაუნომრავად შესანსლული - რაის მანქანები, აავარიე რამდენიც გინდა, კარიატიდივით კუჭში, და იქავშივე - მხოლოდ შემწვარი უქინძრეჰანო შესამჭმელური უბრალო გოჭი თავმდაბლური - შენ, ქედმაღლური, - სჯოფ; ოღონდ ამაყად უნდა შეექცე, რათა პირიქით - გოჭიცა და თაყვანისმცემლებიც, იქით-პირიქით მადლობელ-იყვნენ; შეხვედრები თვალყურდაცქვეტილ მკითხველებთან, კითხვა-პასუხის დარბაზ-კლუბური საღამოები სნაიპერულად ობიექტივიანები დამიზნებულნი შენსკენ და საერთო ჯამში კი ამეებიდან გამომდინარე სუცოტაორჯერადი (პროლოგშეხვედრისა და ეპილოგსუფრის) და მაინც ერთპირიანი თიკანურობა - მეეეე - გაპიპინებულჟანგბადიანი ფეშქეშსაგზურები ვიჰ, იქ ზედაც ჰამაკები რომ, ორთავიანი - საითკენაც-გინდ, იქითკენ ქენი ეგ შენი თავი, რუმე, ყველაფერს იტანს ოღონდ დროებით შენი სხეული, თავსხეულსა ხომ თხემით-ტერფამდე მხოლოდ ორი რამ უნდა ჰქონდეს კარგი - ტანფეხი და სახე და კიდევ უფრო არა სჯობიან ამას განა (ჯანდაბას, აქ იყოს განა, მითუმეტეს, რომ, იმდაგვარებშიაც კი ჰყოფილან), თუნდაც ქერტლიანთავგამოჩენა, ვიჰერიშვილობა კარგია, არა, იცისა ლუკმა, ხურმა, ბასთურმა, ტოლმა, ჩიხირთმა, ცვრიანმა სუკმა და ავტოგრაფებმა ზედაც

ყაურმა; ჯიგრიან ღორისავე დასავლურკუპატ-პატრიოტობა პორტფელური და ფოტომომავალქანდაკებაგენიური, და საქციელები ისეთი თვალამხელური კი არა, თვალდასაფსებად ისეთი მარჯვე, რომე პირდაპირ თვალდაყვლეფილად დიდოსტატური, არნოლდისეულ-ჯიგიტური ოსტრი სალიანკასავით, რამე, ტვინისათვის კი საშილაფლაო, მამულდიდშვილსა, ახ, რა მარჯვედ ანუ გაყინულუნდა გეჭიროს გრძელსახელიანი თავი, გვხვდება წამდაუწუმა ავტოაპპლოდისმენტებიც, რუმე, ხოლო საინტელექტდასაგამოსაჩენოდ, თვით ბახისაც კი რომელიმე გადასარევად აღმოჩენილი, მერომელიმე ხელთუქმნელი ოპპერის სმენნა დიდპროფესიონალური და კაშკაშა თუმც კიდევ მეტად დაბლითურა მაგრამ მაინც პარალელურა მიმყოლურა ვიჰერიშვილთათვის, და ხოლო თუ შენ კი, სხვა ქაღალდებმა დაგვიფარონ და თუკი მაინც მასზედ მინდობილს, იმისა მკითხველს, დიაღაც რომ კარგა შეგვივა ოღონდაც ყურში საშური ხმები და ოპერ-არიები (ამა უცნობი სახეობის საბრალო ბახზედ ზედგამოჭრილია გამოთქმა „არივ-დარია“, რას მოვესწარით ეს) და ყოყლოჩინა არიოზო-კავატინებიც დაცქვეტილსაო იმავ ყურში, ყურიდან თავში, თავიდან თმაში, მთავარია თუ, ბოხოხი არ გადმოგვარდეს კავკასიური, თვარა დარჩები უბობოხოდ მშრალზე თევზივით, ანუ უოპერაოდ ვოლფგანგივითა (ბახის სახელია ეს ჩვენაზიურად, ესპანურად და პორტუგალიურად თუკი ჰქვიათ იქ რამოდენიმე ერთად სახელი, ჩვენ რა, რითი ვართ ნაკლებნი სხვაზე, ჩვენც შეგვიძლიან ერთდროულად რომ გვერქვას სიმონიკა და კოსტია და მგელიკა და დზუკკუ და გინაც არნოლდი, ხანდახან მეტადც ჩვენია ბახი, ცოტა სათუო აზიელებისა, და განა ერთი უცხო სახელმწიფო-რამ სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, სახელწოდებით ბახრეინი, არ მოწმობს ამას? ბახ-რეინი, ახხ, ბახი და იმის ქვეყნის მდინარე, გრილად სოველი რეინი ერთად! სად, აზიაში! თუ, რაინი, ჰა? ერთი რუინის თხევადი ჭკუაც... აიი, ესსსეც!) მთავარია თუ, კავკასიურ და ბახრიონულად ფიცხლივმოქმედი ხანჯალი-რამ, ლეკვერთხები და აზიაცკები, რამე, არ დაგვიჟანგდეს, ვერ დაგვიობდეს და ამიტომაც უსვი და ისვი ზედ ზეთ-მაზუთები ნივრიანი, სიტყვისთვისაც და თმა-თვალებისთვის, კარგი რამეა, რუმე, პედიკიურიც გაიკეთე გოროზვაჟკაცმა ფეხშიშველიმ ევროპპიულად შვაგალავინსცკზე ფეხებოსანი გამვლელების თვალდასაჭყეტად, ბრჭყალინლომო, და თუ ვინმემ მამაცი გული მოგვაყვანინა თვით შენ, ლომისავ, მძლავრად აფრინდი და იქუხე ლომებრ ნაღდკავკასიურ გავაზივითა (ვაჰ, იყო რაღაც ამადაგვარი ძველდაჩვენ ბაბილონში - ლომდაფრინველა ერთად), რა გენაღვლება, დაზღვეული ხარ უჩინმაჩინურ ხელშეკრულებით და მიდი, იკეთე ავჰავჰავავტობიოგრაფია, ბუმერანგული, გამომეტყველებითვინა, დაბრუნებულად თვალებგადმოსაყვლეფი, და შენივ დასკვნით, და ლოღგიკით და ჰჰაზრებით-ჰიკ, განვაცხადოთა თეთრით შავზე, გლოვის ფერებად, არა ძუნწურად შენებრ ხელგაშლით რომ თხას უყოყმანოდ მივცემთ ბალახსა, ბალახს მივუტანთ რკოსა, რკოსა მოგვცემს რძესა, რძითა დავგრიხამთ თოკსა, თოკსა ჩავუწვდით დაფეხქვეშიავებულ მკითხველსა და ამოვიყვანთ და შევიყვანთ დიდპატრიოტულსა-მეეე-ლიტერატურაშია, მოვიყვანთ ჰვაშამაგალითებს, მოვუყვანთ და მივუტჰანთ ბახ-ბასრაებსა, ისიც მოგიტანს და მოგიჰყვანს ყველაფერსა: აღფრთ. მოწიწებას, ბითურათვალის გაყოლებას, მიდი-იარე, მძლავრი ერთ-ორ-სამ, ადგი, ჟღერს შენი ქება და ფეხიხმა სამართლიანად

ზოგიერთულა ოპერასავითაო, რაც, მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო; მიმოგეხედა, ანდა, თავისთვის მშვიდად შორსმყოფი ვოლფგანგ, რამ გათქმევინა? შენი არ იყო ეგ შენი ენა? ვაი, არ იყო? ეს რა ესმით ეს, სასმენლებს ჩემსას, შეუპოვარო, შე, უპოვარო ოღონდაც სიტყვით, რაღა მინდა, ძალიანი მომინდა რაღაც, მეც ძალიანი მწყურია არნოლდი, და თუ...!,!!, -

რეებს ფიქრობდა!!! -

რაებს ფიქრობდა მართლა უღირსი, თან სად, თან სად ეს, დანგრეულ საყდართან, ამ ჩამოქცეულ სახლთან ქრისტესი, ამა უცნაურ ამაღლებასთან, რაებს ფიქრობდა...

იდგა, რცხვენოდა...

ის მაინც უნდა ხსომებოდა რომ, სხვას რაგინდ მისდგე და აქილიკო ბევრი, შენ მაინც ისევ ისა ხარ - უღირსი, ცოდვილი, მტვერი... დიდი შეღავათია, არა, ამპარტავნება და იმისი ყურმოჭრილი თუკი ძლიერ გძულს, და შენს უგუნურ თავზე მეტადაც კი უღირსი რომ გაიხსენო, თანაც ბოროტად, და ამით, ვითომდაც კარგი გამოდიხარ, არა? არა, აჰ, არა, იგივეობად რჩები, ერთადერთიღა შენაძენით - რითი და, - გესლით, შერცხვა, აილანძა... ეს რა წუმპეში, სად შეტოპა ეს, თან სად, ისედაც ჩამოქცეულ სახლთან უფლისა, სახლთან ქრისტესი, მაგრამ სადღაც შორსმყოფი, ზემოთმყოფი და მაინც თვალწინა მამა დანიელი კი აჰ, რა მხურვალედ ლოცულობდა შედგომილი გონებითა და გულით და სხეულითაც კი და ყოველივეზე მეტად კი, სულით, ახლა, და ახალ საყდარს, და მერე როგორს, ლოცვისმიერად მყარს, განუზომელს, როგორის მაღლივი შრომით ანაგებდა, აღაშენებდა მით, რომ ჰაეროვნად ვედრებიან თლილ და თლილ ლოდებს ჰაეროვანსავე გამძლე ლოდებზე დებდა და დებდა, და ლოცვის დუღაბით, ლოცვისმიერსავეს განამტკიცებდა, ინაგებებოდა ასე, ეს კი, უღირსი, თუმც უნებურად, ვითომ უნგრევდა; არეულიყო... თურმე აქაც კი, აქ, მისასვლელთან, ვითომც ძირს დანარცხებულ, ვითომც დამარცხებულ შენობასთან, მისა ქვეშე, აქვეც ბუდობდა ის ბნელი, შავი, ის ბილწი, ბილწი, ამპარტავნობით თავი და თავი ჯერ რომ თვითვე დაემხო და თავისი სენით შეპყრობილთა მეშვეობით ახლა უღირსიც პირქვე დასცა, და იმდენები დაუცია რომ, მაგრამ მოვიდოდათუ მამა დანიელივით ღირსი მამა, ანდა იმისი სულითსაძმოდან გამორჩეული, ვინმე, და საყდარს მაინც აღადგენდნენ, აღაშენებდნენ ვედრებით, ლოცვით, და როგორს თანაც, რომ თვალხატულა ძველი ფრესკებიც კი აბჟუტდებოდნენ კედელ-კედელ და გამყარდებოდნენ, სამუდამონი, ვინდავინ, მერე, და, გალობაც რომ შემოესმა, ყურით მალამო, ბედნიერებისგან შეკრთა უღირსი, და გრძნობდა, გრძნობდა, იჟღინთებოდა, გრძნობდა დიად წმიდანებს - ნინოს, ქართველთა, და გიორგის, ნიკოლოზს, ქართველებისაც ძალიან როგორთ, როგორა გრძნობდა, და, ბოძებულიდან რომ არ გამოსცლოდა რათა რაიმე, დაიხარა და ძველი წესით, ერთ ლოდს, საყდრისას, თუმც მისი ყოფილი გალავანის, თუმცა უბრალოს, გაუთლელს, მაინც საყდრისას, დაიხარა და ნაცადი წესით დაადო ხელი, და ხელისგული, ხელისგული ეს, ახლანდელი, რაგვარ სითბოთი, როგორ იჟღენთდა გრილი ლოდიდან, სიდიდოებას, და მერე რა რომ, უცხო თვალისთვის დაქცეულიყო ესე საყდარი, სამაგიეროდ ის მუდამ ღია, ღია იყო და ვინა თქვა ლოდის მხოლოდ

უტყვი მოწამეობა, ისიც თბებოდა, შენიანდებოდა, შენი ხდებოდა, შენთვის ხდებოდა და ეს მისი უხმო, მჟღერი წყალობით ამოესმოდა ამა უღირსს რომ, იმ მაღლიერი გალობიდან, რომ,

უფალო, შეისმინე ლოცვისა ჩემისაი... ყურად იღე...

მამა დანიელით შეშმუშვნილები, და ერთლოდ უფრო გამონაჟურნი, ხმები, ივედრებოდნენ, ახლაც,

უფალმან მმწყსოს მე... მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა...

და დიდ მეფსალმუნესაც კი, როგორი თრთოლვით ენაცვლებოდნენ უბრალო ენით და უსაკრავებოდ, გულში ნათქვამი, მჟღერადი ხმები:

ნეტავი მტერი არ დაგვესხას...ბეღელში ხორბალს ნუ გამომილევ... ქვევრებში ღვინოს... ნუ გამომილევ, რა...

ღვინო, ხორბალი... და სწორედ იმათი თითქოს მისხლიდან - როგორ მაღალი საიდუმლო, ზიარება, ეს...

და, ასამაღლებლად, ძველდროინდელი, როგორ:

აქა აკურთხევდით უფალსა ყოველნი მონანი უფლისანი,

რომელნი სდგათ სახლსა უფლისასა,

ეზოთა სახლისა ღმრთისა ჩუენისათა...

და აქ, აქა, უფრო როგორ აქ, ჩამოქცეულ საყდართან, -

„აქა აკურთხევდით უფალსა“... - როგორ უფრორე, როგორა ჟღერდა,

და, ამასთან ერთად, ამასთანავე, როგორი წრფელი:

შვილი მომირჩინე რა... გთხოვ, გევედრები...

და როგორ ჩანდნენ, როგორა ჩანდნენ წყალობად მოხატული ლოცვის კედელზე. ერთი ვითომდაც უბრალო, ვითომც გაუთლელი ლოდის წყალობით:

ქართველთა განმანათლებელი, ვაზისჯვრიანი, სულისა წმიდისა ქნარი,

ნინო,

და,

ტყვეთა განმათავისუფლებელი და უძლეველი წინამბრძოლი, ღვაწლით შემოსილი დიდი მოწამე,

გიორგი,

ფეხქვეშ დაღრჭენილ დიოკლეტიანეთი, ამპარტავანით, რომელსაც განგმირვისთანავე ნამდვილი სახე, ურჩხულისა, მიეცა,

და, საიდან სად, სხვა დროს მყოფები ვითომ, დიდ, თვალცრემლიან მეფსალმუნეთი, ივედრებოდნენ, ახლაც:

ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან,

ევედრებოდნენ იმას, იმას, გიორგი ვისიც კაცი იყო:

და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან

და,

თანაც, აეს ვითომც უბრალო:

ნეტა ვაზი არ ამჩეხოდეს... -

იცოდა ნინომ, ხელვაზიანმა, ყოველივე, და როგორ მშვიდად, როგორ დამმფენ იმზირებოდა ერთიც მოძღვარი,

ნიკოლოზი,

წმიდა,

ვინც კანონად სარწმუნოებისა,

და ხატად სიმშვიდისა,

და მოძღვრად მარხვისა ჰყო თავად ქრისტემ,

და, როგორ წყალობად, მეფსალმუნესი, ჩვენთვის, რამდენჯერ ამოწყვეტილი ქართველებისთვისაც:

ცოლი შენი, ვითარცა ვენახი მსხმოი კიდეთა სახლისა შენისათა,

და -

შვილნი შენნი, ვითარცა ახალ-ნერგი ზეთისხილისანი გარემოის ტაბლისა შენისა,

აჰ! - „შვილნი შენნი“... „შვილი შენი!..“ - უღირსისათვის... აქ ვერაფერი შედარება შეიძლებოდა... მხოლოდ უბრალოდ, ასე თუღა - მისხლის ნაფლეთად, მენამცეცურად - ეს რა სიმძაფრე... რა გასრესა... და მაინც, ლოდით, მისი წყალობით თვალისმიერადაც კი, როგორ იმედად, და როგორ რწმენად, სადღაც ახლოს, როგორ ღონივრად აღეშენებოდნენ მარად მყარ ბალავარზე ეს მერამდენედ დანგრეული ზღუდენი იერუსალიმისანი, სადაც ეწამა ერთადერთი, და თვით ამ საყდარს, ველზე ერთად მდგარს, ზეცის თაღივით დიადად მრგვალი, დიადად მმტევი, მაღლის გუმბათი ეშენებოდა, რადგან, გამოსახული ხატება იქ, მარადიული, ხელჩვილიანი,

აჰ, მჟღავნდებოდა:

„კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის,

და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა,

რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა“.

იმდენად სათნოს, და იმდენად ნატიფს, თვიით იმის გამორჩეულს, თვით იიმის თანმხმობს, მარადქალწულ უბიწო დედას,

კი, კი, უმღერდნენ, უგალობდნენ, კი,

„ღირს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ შენ, ღვთისმშობელო“.

სასოდ ხატავდნენ, რა დიდხანს ქარგავდნენ თავდახრილები, აქანდაკებდნენ და კენჭებითა თუ მინის, მინანქრის ნატეხებით კოწიწდებოდაც თაყვანის ხელით მაღალი დედა, უმღერდნენ, როგორ, როგორ ისმოდა, ახლაც:

„განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღვთისასა, მხოლოსა ღვთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ“...

და როგორ ყოვლად უბრალოდ, მაგრამ რაღაც სხვა, სულ სხვა, იდუმალი სამყოფელიდან მოისმა უცებ:

- დარჩენილები მიმყოფე კარგად... შენ დედა ხარ და, უნდა გამიგო... დარჩენილები კარგად მიმყოფე, რა...

...და უღირსმა თუმცა მერეღა გაიგო, რომ იმ ადგილს, საყდარი რომ იდგა, ძალიან ადრედან მოყოლებული, საყდრისა გამო, ობოლეთი ერქვა, რადგან ერთ დროს ობლების თავშესაფარი ყოფილა ეს საყდარი და ადგილი ეს, და იმისი შემოგარენი,

და რადგან უღირსი ყველაზე მწარე სიობლით, შვილით ობოლი იყო, და ამიტომაც ჰყავდა მამა დანიელს მრევლში ცოტათი განებივრებული, იქაურივე ყოფილა ისიც, უღირსი, ობოლეთისა, და მისიც ყოფილა საყდარი ეს, ვრცელი ლოდიდან კი გარდაცვლილი, მაგრამ მუდმივი, უწყვეტი დედის იდუმალებით მოსილი და უცხოდ მაღალი, სითბოსი ხმა-რამ, შესაბრალისი, მართლად უბრალო, ამოესმოდა:

- დიდო მარიამ, მანდ შვილები მიმყოფე კარგად... რახან მანდ ურჩევნიათ, სწორად ამყოფე... შენ დედა ხარ და, უნდა გამიგო, რა...

თუკი მთლად ჩვილებს იკედლებდნენ, ადრე, გულზე იკრავდნენ მარიამისები, არ იცილებდნენ, აქვე, საყდარშიც აძინებდნენ, რომელიმე ხატების პირას, კალათათი იქვე, რათა ესმიათ რძე, დოთი დამბალი სეფისკვერი ეჭმიათ, ხოლო მარხვისას, მოჩიტულთათვის, თიხით მიეცათ პურის წვენი, ვითომც უბრალო - კონწოლი; მწვანე ჯეჯილი იზრდებოდა ობლებისთვის, აქ, სადღაც ახლოს, თავთავდებოდა პურის ყანა, შემოდგომობით ყურძნის მარცვლებს აწვდიდნენ ღვთისმშობლის პეშვით, ობლებს, ვაზში, თავთავში, ზიარება-რამ, ჩვილებისთვისაც, უკვე სუფევდა,

- დარჩენილები მიმყოფე კარგად, გევედრები,

და როგორი შვებით გაუცვლიდა ყოვლად უღირსი იმ დედას, მვედრებელს, ადგილს, მაგრამ მხოლოდღა თავისი სურვილით, და უკუშტესი, დაუშვებელი ვთქვათდა საქციელით, არ შეიძლებოდა, აკრძალულ-იყო, მშობლებისათვის, მაღლით, დიდი ცოდვა ეს,

მაგრამ ამასაც არად დაგიდევდათ, აქ წამოსვლამდე ისე იყო გამწარებული, გულით, მაგრამ გონების უნებური თვალით, ყველაზე მეტად ახლობელს, მისას, გადატანითაც რომ არ დაბრალებოდა ეს შეცოდვა, იოკებდა თავს, და თუმც არეულად, მაგრამ სიცოცხლით მაინც, ამ ობლობისა მორჩილი გახდა,

ხოლო დიდ მარიამს, უხვს, მწყალობელს, როგორ თამამი მოკრძალებით, და ბუნებრივად, მიმართავდნენ რომ:

- დარჩომილები მიმყოფე კარგად, რა,

სწორი ხმა იყო, ადრე წასული, როგორც წესია, მშობლისა,

მაგრამ ამ უღირსს, აქ არასწორად შემორჩენილს, რა ეღონა... ჯერ... მაგრამ ნასაყდრალს, იმის მყარ კედლებს, ჩვენგან, აქედან, მამა დანიელის ნთებული ლოცვით, და ზემოდან კი უხილავი დიადი ხელით, და ერთიც თითქო უბრალო, გაუთლელი, გალავნის ლოდით, მათი წყალობით, გუმბათიც რომ გადაეხურა, ისევ გაისმა უფრო დაგუდული, უფრო განმჟღენთი:

„მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა“,

არა, ჯერ კი ვერ მიხვდა, ვერა ხვდებოდა, რა, ანდა როგორ, მაგრამ იცოდა, იცოდა, რაღაცა და როგორღაც რომ, ეშველებოდა...

ვითომც უბრალო ლოდიდან, გრძნობდა.

3.

რამდენადმე ადრე კი, ჩვენსში, კარი ისევ გაუღო და ისევ ვინ? - კარი გაუღო სწორედ ისევ მაყვალიმ.

- გამარჯობათ.

- ოოო, ოო, რა კარგია რომ მოხვედი, ბოდიშს კი ვიხდი გამოთქმისთვის, მაგრამ მაინც უნდა გითხრა, უმცროს ძმასავითა ხარ შენ ჩემი, არა გვიშავს რა, გაგიმარჯოს, რა ხდება ქვეყანაზე?

- გოგა შინაა?

- კი, შინშია. უკაცრავად კი პასუხია, მაგრამ სწორედ ახლავე გინდა მისი ნახვა?

ნაწყენი იყო ჯარჯიზე და, უნდოდა მალე მოეოხა გული:

- კარგი იქნებოდა.

- სახლში კი არის, მაგრამ, ბოდიშს კი ვიხდი გამოთქმისათვის, მაგრამ ამჯერად უმაქნისია.

- რა, ნასვამია?

- აჰ, არა, არა, ვის გაუგია გოგასი, უკაცრაოდ პასუხი კია, მაგრამ შუადღეს ნასვამობა.

- აბა?

- არამედ ძილადაა მიჩათლახებული.

„ვაჰ“.

- გინდა, გავაღვიძო,

- არა, არა, სხვა დროს გამოვივლი, ისე კი...

მაგრამ აქ რაღაც ვეფხ-ლომისებრი დამთქნარება გამოისმა გვერდითა ოთახიდან და, სიტყვებიც მოჰყვა:

- ვინ ოხერია? - და ისევ: მმუუხახაა...

- ძმასავითა ხარ შენ ჩემი და, კი არ გეწყინოს, შენი სახელი სულ დამავიწყდა.

„ამათი ბარრა... - გაიფიქრა უღირსმა, - ეს რა ხალხში მაქვს, კაცო, საქმე“.

- ჰა, აღარ მეტყვი? მაშინ შენი პირველი ასო მაინც გამომიმზეურე.

„ვაიმე?“

და, გამოუგონა:

- ბიჭიკო.

- ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ჩემო ბიჭიკო...

- ვინაა-მეთქი? ममहूहूउउ! .. ახლავე გამოვალ.

- ბიჭიკო არის, ჩვენი. კი მაგრამ, როცა დაბერდები მაშინაც ბიჭიკო უნდა დაგიძახონ?

- მაშინ ბებრიკო დამიძახეთ.

- და, ხოლო ახლა? აღარც ბიჭი ხარ...

- ახლა? - ადამი...

- ჰაჰაჰი, ჰაჰა, - მიხვდა მაყვალი, - შე ვაშლისფეხო, შენ... აკი, ბიჭიკოო? მაპატიე რა...

- რა!

- ეე... უიჰო მართლა, არაფერი.

„ახ, მე კი თქვენი!“ - შემოკლებულად გაიფიქრა უღირსმა.

- ახლავე გამოვალ, მმღრღღღუუ...

- და რა ხდება, ბიჭიკო, ამ ქვეყანაზე?

- აბა, რა ვიცი...

- როგორ თუ არ ვიცი, უნდა იცოდე, უნდა, ბოდიშს კი ვიხდი გამოთქმისათვის, მაგრამ თანამედროვე ადამიანს ყველაფერი უნდა ეცნობისწადილებოდეს.

უი-ჰო, მართლა, ადრე არ იყო მაყვალა ძალიან ასეთი.

- მიდის ცხოვრება, ნელა-ნელა.

- აიი, ეს უკვე კარგია. და ხოლო როცა...

მაგრამ აქ თვით ჯარჯიც გამოვიდა, სტუმარს ახედა (ვერ იყო ტანად), თქვა:

- ოო, გაუმარჯოს, ოოო, - და�ა, ისეეევ: - მმმუუღღუუუხხ!, კიდევ გყავს ვინმე მოსაწყობი?, მმაااااჰხ!

„ხრჩობა“!, კინაღამ ასე გაიფიქრა უღირსმა, მაგრამ შეიკავა თავი, ფიქრებშიაც კი, მოდით ზრდილობიანები ვიყვნეთ.

- კიდევ მოსაწყობი კი არა, რა გამიკეთე, ბატონო გოგა, ეს, ახლობელმა კაცმა, გამარჯობა, ასე უნდა მოგეჭრა თავი?

- გადატანითი მნიშვნელობით? - იკითხა მაყვალიმ.

- რა გაგიკეთე... ჰხუუუღრღკ, კ!!

- თორემ თავი ხომ ისევ ზედა გაქვს, ჰიჰიჰაჰაჰი? უმცროსი ძმასავით ხარ შენ ჩემი და...

- რა და, რომ ჩაგიჭრია ის კაცი...

- რომელი კაცი, ა... - თუმც სულ რაღაც ოდნავ შეკრთა ჯარჯი, მაგრამ მთქნარება შეწყვიტაკი.

- აი, ბარათი რომ დაგიტოვე... თუ, არ გადაეცით, ქალბატონო მაყვალა?

- როგორ არ გადავეცი, თვითონა თქვას, ხომ გადმოგეცი, გოგა? ხოლო, მაყვალ-ა კი არა, მაყვალ-ი, ადამ.

- ვინ ადამია?

- ადამი კი არა, კარგარეთელი, ჯგუფი რვაას მეათე.

- აა, მახსოვს, მახსოვს... და შენ არ მთხოვე რომ, ჩამიჭერიო? წერილობით...

- მეე? მე გთხოვე ეს, წერილობით?

- აბა!?

- როდის გთხოვე, კაცო, წერილობით ეს!

- როდის და, წერილში.

- ბოდიშს კი ვიხდი გამოთქმისათვის, მაგრამ ბარათი უფრო იყო ის, გუშინდელივით მახსოვს.

- კი, კი, გუშინწინ რომ დავტოვე!

- და, იქ ხომ ეწერა, ჩამიჭერიო? რაღაც გამოთქმით... გადატანითი მნიშვნელობით.

- რას ამბობ კაცო!

- იმას ვამბობ რომ, რაც შიგ ეწერა.

- ბარათში?

- ბარათი იყოს, დიახ.

- როგორ დავწერდი, ჩაჭერიო! როგორ დავწერდი, როდესაც კარის მეზობელმა მთხოვა იმაზე!

- შემცვლელმა ჩვენმა? ადამ?

- ვინ ადამია... რაღაცა სულ სხვა გვარსახელი მახსოვს. მე.

- კარგარეთელი!

- სწორი ხარ, ხო იცი!, ჰოდა, კარის მეზობელზე თუ მთხოვე რამე, მაგას არ აგისრულებდი? მმუ... - მაგრამ დროზედ მოისხიპა უშუალური მთქნარება - აღელვებული ჩანდა სტუმარი.

- კაცო, კარგარეთელი ჩემი კარის მეზობელი კი არაა, კარის მეზობელმა მთხოვა კარგარეთელზე!

- არამედ? ჰო, კარ-გარეთელი შორი გამოდის.

- და მაგიტომაც ჩამიჭერი, არა?

- კაცო, შენ ქართული არ გესმის? შენივე თხოვნით ჩავჭერი-მეთქი.

- მე გთხოვე ჩაჭრა!? მეე!!?

- ბოდიშს კი ვიხდი გამოთქმისათვის, მაგრამ რად გინდათ პაექრობა?, რაც გოგამ დისერტაცია წარმატებით დაიცვა, მე ჯარჯის კორესპონდენციებს მუდამ სათუთად ვინახავ სათითაოდ და ის ბარათია თუ წერილი გამონაკლისი რად უნდა

ყოფილიყო, შენახული მაქვს სადღაც და, უკაცრავად საქციელი კია, მაგრამ ახლავე გამოვაჩენ.

- ჰა! რას...

- ბარათს, რას. აბა შენ სხვა რა გეგონა? გადამრევს ეს ხალხი...

- ძალიან კარგი იქნება, ქალბატონო მაყვალი.

- ახლავე გამოგიმზეურებთ.

და, მაყვალიმაც იქექა, იქექა, ოღონდ კომოდში და, ორთავე განსხვავებულ აზრებიანს, ახარათ:

- აიი, ესაა. -

აფრიალებდა.

- აჰ, კიდევ კარგი, კიდევ კარგი. თორემ ისე არ მიჯერებდა. - აღნიშნა ჯარჯიმ.

- ოღონდ ძალიან დამსველებია. უი, ბიჭებო, დაფისიფისებულს არ გავს სულ? ძლივს გაირჩევა... მაპატიეთ კი გამოთქმისათვის, მაგრამ ჩაი დამსხმია.

- მომეცი ერთი, წავიკითხო.

- შენ ვერ გაარჩევ, ჯარჯი, ადღლაბნილია ისე, მე უფრო წავიკითხავ. ფილოლოგი ვაარ...

- მიდი.

მივიდა:

- ბატონო გოგა, ძალიან... რაო... გ... ჰო, გთხოვთ, ძალიან, ა, ხ, ახ... ახლუ... ახლობელია!, ჩემი, კარგა... კარგარეთელი ძუ... ძუკუ... მ... მგ?.. თუ მა... მარიკას ძე...

- მგელიკას ძე!

- სულერთი არაა? ლეოპარდიკა ხომ არ მითქვამს, ჯ... ჯგ... ჯგუფი რვა... ერთი, თუ ოთხი... მგონი ერთი, ნული... რვაას ათიო ესე იგი, მერე წერტილი თუ მძიმე, სამი... სამიანიც თავს დივა!, ეს კარგად იკითხება.

- კიდევ კარგი, კიდევ კარგი! აკი ვამბობდი... - და, ჯარჯის იმდენად მოეშვა გულს, რომ: - მმმჰხააამმჰხუუკ!.. ვაჲ. აკი ვამბობდი, მჰაა...

- რას ამბობდი, რას!.. დამიწერია, არამცთუ ხუთიანი და ოთხიანი, არამედ სამიანიც კი ეყოფა-მეთქი, და, ჩაჭერი კაცი?

- რომელი კაცი, მგელიკი ჩაჭრა?

- არა, აარა, შვილიიმისი!

- ეს ვინა, ძუკო?

- ჰო, ძუკუ, ძუკუ...

- კაცო, მე გამომხედე, მე, აკი თვითონ არ დაგიწერია, ჩაჭერიო?

- ეს როგორ!

- როგორ და, სამიანიც თავს დივაო?

- მერე?.. სამიანიც ეყოფა-მეთქი...

- რა?.. აჰ... ჩვენ სულ სხვაგვარად გავიგეთ ეს.

- ვინ, კომისიამ?

- არა, ამან და მე...

- ვინაა ამან... მე ვარ ბიჭო და გოგა, ამ-ან?

- კარგი რა, მაყვალ, ნუ გამიწყრები, მოფერებით ვთქვი, მაყვალ...

- ერიჰაა, ახლა მაყვალ-ცაო, სულ არ გამომასოფლელა?

- აქეთ მომხედეთ!, კი მაგრამ, ერთი საწყალი სამიანიც ეყოფა-მეთქი და...

- ეყოფა კი არადა, არ აღირსოო...

- ეს როგორ!

აქ, აითქვიფა, სწრაფი სიტყვები სამთავესი:

- როგორ და... ერთი სამიანი როგორ დაამადლე... ვის!.. რას და, მგელიკას? აქ არ წერია შავით თეთრზე... კი, მაგრამ ცოტა დაფის... რა, რა წერია... თუ, მგელიკი... თავს დივა, დივაო... რატომ პაექრობთ... მერე?.. თავს დივაო და... მერეღა, დივა, ანუ ეყოფა-მეთქი... ყური დამიგდე, ადამ... და შენ არა თქვი, იმისი ძეო... რად გინდათ ქიშპი, დამიგდეთ ყური... თავს დივაო და... მერედა!.. მერედა რაღა გინდოდა... ნუ ასპარეზობთ... მე?.. მე რა მინდოდა? - „ააფსუს, აფსუს, ნათელი ისე - ძალიანი მწყურია არნოლდი“... აჰჰ! მხოლოდ ერთი სამიანი... აბა ექვსიანს სად წერენ, ადამ... კი მაგრამ, როგორ... მამამისს როგორღა უნდა შეხედოს... ვისას, მეზობლის?.. არა, მგელიკას... ერთი მგელიკას ოხერი ლეოპარდის... კი მაგრამ, მე რომ მდომებოდა... და ლეოპარდების გვარში უდროოდ გასათხოვრების ერთი კი, ადამ... დამაკმაყოფილებელი... შენ რა, თავს დივაც აღარ იცი?.. მშვენივრად რომ ვიცი, ეს იმიტომაც... ეს როგორ, როგორ... როგორც ამიხსნეს... ჩემი ფეხი აქ აღარ...

აქ კი სოპრანო ამაღლდა სხვებზე:

- უკაცრავად კი აფორიზმია, მაგრამ ჯერ შეიცადეთ, ვიდრემდე წახვალთ, მეც მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა...

მაყვალი იყო, ფილოლოგი:

- სულ ჩემი ბრალი გამოდის ჩაჭრა, ოღონდაც შენთან ერთად, ადამ.

- ვინ ადამია...

- ნუ მაწყვეტინებ, ჯარჯო. - გაიმართა, გაუთხოვარ ტანთ, - ბარათგანვლილმა გოგამ რომ მკითხა, ეს თავს დივაო ნეტავი ერთი რას უნდა ნიშნავდესო, დაუყოვნებლივ ავუხსენი ანტიფილოლოგ ფიზიკოს დედმამიშვილს, რომ გამოთქმა თავს დივა ლოგიკურად ზედმეტობას ნიშნავსა-მეთქი, და, ასე იგი, ადამს თუ პატივს ცემ გამოდის რომ სამიანი თუ ზედმეტია მაშინ რაღა რჩება და კანიჩნა ორიანი უნდა ლეწო-მეთქი ჭაჭებში და, ამანაც, კი ეთანაღრებოდა თურმე გულს, მაგრამ შენს სიტყვებს გადავიდოდა? უტირა ყოფა.

რა ტევადია, ხანდახან, პაუზა.

ხდება პაუზი-დ.

„ხრჩობა!“ - გაიფიქრა უღირსმა გვიან. მერე, გაიფიქრა კიდევ უფრო გვიან:

„ჰეეჰ, ვისი ბრალი ყოფილა ჩაჭრა... ამისი ოხერი ფილოლოგი... არ გამიკეთა, თურმე, ფიზიკოს ძმასთან, სიტყვების ალქიმია?.. მე კი, თურმე ტყუილად ვის ვეჩხუბებოდი... ალფილოლოგი, ეს! უუხ... მაყვლიკიკინა!.. მე კი, უცოდველს დავტაკებივარ... ალალი, ჯარჯი, გოგა-ალალი“... აქა, ნამღელვარზედ, ფიქრში, უღირსმაც გადაუხვია: „ააფრინე ალალიო, რაც არ არი, სადღაა ნეტა არნოლდი... წყურვილი ამათ და!.. კი მაგრამ“!:

- კი მაგრამ, ადამი... ეე, აბიტურიენტ ადამიანის ჩაჭრას მე როგორ გთხოვდი...

- ეეჰ, ჩემო კარგო, - დანაღვლიანდა ჯარჯ, - ჯერ მეც გამიკვირდა, მაგრამ გამახსენდა რომ გაფუჭდა ქვეყანა, გაფუჭდა, აირია, - ასე თქვა გოგამ და პირდაპირ მაისურიან ზედატანზე მოისხა იმფერის პიჯაკი, და უფრორე ჯარჯი გახდა, - ადრე, ჩემო კარგო პროტექტოროვ რატომ მოგიწყენია, ადრე იმიტომ იყო კარგი, რომა, მხოლოდ ნიშანის პერიმეტრიულად მომატებას თუ გთხოვდა ვიღაცა შედარებითი ახლობელი, რაც თავისთავად ალბათობის მიხედვით დასაშვებია, ხოლო აზრობრივ-საორიენტაციოდ, იმასაცა გთხოვენ, რომა, უშუალო კონკურენტიც რომ ჩაუჭრა ვიღაცა უცნობი გადამთიელი ახლობლის სიყვარულითა რომა, რათა საყვარელ თავისიანს გზა მეტად გაეხსნეს მეცნიერების მწვერვალებისკენ, და მეც ხსენებული კარგარეთელი შენი რომელიღაც ინკოგნიტური კონკურენტი მეგონა და, იმას ვამბობდი, - პიჯაკი გადაჰვარდა, - გაფუშტა ხალხი... - კვლავაც მოისხა; რა და, პიჯაკი: - ჰო, ნახევრადგამტარი გვარიც ხომ აკი ხელს უწყობდა.

- ვისი რა გვარი, ინკოგნიტოსი?

- არა, მეგობარო, კარგარეთელი.

ისევ, პაუზი.

აუზი რა იყო... თუმც, ჩუმსა და მღვრიე წყალში დაცურაობდნენ აქამდე; თურმე,

რადგან!!:

- ისე, ნამდვილ სამიანზე კი იყო დაწერილი. ხუთიდან, ერთი ამოცანა და ერთიც მაგალითი, სწორად იყო ამოხსნილი.

- მერე!?

- მერედა ის რომ, შენი ხათრით, არადამაკმაყოფილებელს რომ ვწერდი, სირცხვილისაგან, ხელი გამიწითლდა. მააშ...

ცალა მხარზეღა ჰქონდა პიჯაკი კენტად ჩამოკონწიალებული.

აქ კი, უღირსი, ვეღარც გაბრაზდა, ახლახანა მღელვარებისგან ისე დაღლილ-მოდუნებულიყო; მხოლოდ ხალხური ეპოსიდან იმეორებდა თავისთვის, გულში, ამგვარ პერაფრაზს:

„ჰოი, საბრალო, საბრალო ძუკო-ბიჭო,

რად ჩაგჭრეს, მირანძუკუ, რად“...

მაგრამ, კვლავ რომ მოესმა:

- ისე, ძალიან გაფუჭდა ხალხი...

ჯერ, გაიფიქრა: „ნეტა არნოლდიც თუ გაფუჭდა“... ხოლო, აქეთა გოგაიას იქითკენა ნათქვამი რომ გაიაზრა, აქ უღირსს მძლავრად უნდა ეფეთქნა, მაგრამ დაასწრეს:

- გულს ნუ გაიტეხ... საპროტესტოზე ეგებ რაიმეთი დავეხმარო...

- მართლა? - გადასხვაფერდა უღირსი, - შენი ჭირიმე, ძალიან გთხოვ! კი მაგრამ, როგორ...

- შენ რა, კომისიების ტექნოლოგია გაინტერესებს?

- არა, არა კაცო, ოღონდაც შენ ეს საქმე გამიკეთე და...

- ისე, თუ იციან შრომის დაფასება...

გატრუნულიყო, მაყვალი,

ეს უღირსი კი ვერაფერს მიხვდა:

- აბა მე რა ვიცი... მე მეგობრულად მთხოვეს...

- მაშ თუ არა და, რა უჭირს მერე, რაღაცა ერთი წელი ისე გაირბენს, გინდაც არაფერი. ცხვარში იქნება, იქ იტრიალებს.

- რა უნდა ცხვარში...

- მგელიკასძეო და... მართლა, სულ მინდოდა მეკითხა, მაგრამ ვინ დამაცალე - ეს კარგარეთელი, ნამდვილი გვარია თუ ფსევდონიმი?

- აბა მე რავი...

აბა, განა როგორ არ მოგწყურდებოდა, - არნოლდი. სახელი იყო ისეთი რომ, წყალი არ გაუვიდოდა.

- მოკლედ, შენ იცი, როგორც გადასცემ.

- დავამშვიდებ, კი.

გაცილებით კი, ბევრსაკეტიან კარამდე მიაცილა, მაყვალიმ:

- ბოდიშს კი ვიხდი გამოთქმისათვის, მაგრამ, წესით და რიგით თუ იქნება, ყველაფერი კარგად იქნება.

- ვითომ? თქვენს პირს შაქარი... - „ვაიმე?“

მაგრამ მაყვალის არაფერი სწყენია:

- კარგად იყავი, შენ ჩემო ადამ.

აქ კი ცრუადამ-ცრუბიჭიკოც თავისებურად დაემშვიდობა, მაგრამ ეს არავითარი ნიშნისმოგება და მასხრად აგდება არ გახლდათ, არა, ეს მხოლოდ ისე, ცოტა ცელქურად იყო ნათქვამი:

- კარგად იყავით, ბიცოლა ევა.

* * *

ობოლეთიდან ჯერ მინდორი გამოიარეს, სანამ იმ ძნელსა და საზარელ აღმართს მიადგებოდნენ. შორიდანაც კი, რაღაცა ცუდს გიგრძნობდა გული, რადგან იმგვარად შეფერილი ტყე, თითქოსდა მწვანე, მაგრამ თან ისე ბაცად და თანაც მსუყე შვინდისფრად გაჟღენთილი, არამცთუ აქ, ამ ავ აღმართში, აღემართებოდათ კი არა, სხვაგანაც ვერსად, ვერასოდეს წარმოიდგენდა. მამა დანიელი რატომღაც გვერდით მიჰყვებოდათ; სხვა დროს, როგორც წესი, მიუძღოდა მრევლს, ან, იშვიათად, დაღლილებს და ჩამორჩენილებს, გვიანი თავშესაფრისკენ მწყემსივით მიდენიდა, ახლა კი, რატომღაც, სწორ მოლიანზე რომ მიაბიჯებდნენ, გვერდით მიჰყვებოდა არათანაბარი ნაბიჯით, ხან რომელს, ხან რომელს.

მერე, აღმართი რომ დაიწყო, ეგრევე მკვეთრი, უღირსს იმისი თავი აღარა ჰქონდა, ზურგსუკან რა ხდებოდა, ეთვალიერებინა, მის წინ კი, ხატებითა და ერთსაც დიდი ვაზის ჯვრით ამავალთ როგორ უჭირდათ, ამასაც კი მხოლოდ მკრთალად და გაკვრით ხედავდა, გადახრილი და თავჩარგული, რადგან რაიმე შვერილს, საყრდენს დაეძებდა თვალით და ფეხით ეს უბრალო და უბრალოდ ზეამავალი ახლა, მზე აცხუნებდათ, აღმართად იყო, და დამძიმებული ამეებით უფრო, ზურგჩანთა, თითქოსდა ლოდად აწვებოდა, მაგრამ მხოლოდღა მართლა უბრალოთი.

სატარებლად კი, იმ მძაფრ აღმართში, უბრალო ლოდიც, სხეულთან ერთად მძიმე იყო რომ, ჯერ, სუნთქვისათვის დამთრგუნველი - თანდათანობით, უფრო და

უფრო ხშირ-ხშირად მსუნთქავს, აქოშინებულს მერე, ჯერ რა უჭირდა თურმე, ერთობოდაც კი - თვალებისაკენ ჩაცურებული ოფლის მოსაცილებლად, თავს დაიქნევდა და სადღაცისეულ, ჯერ შუბლზე გამოჟონილ და მერე მცვივანა წვეთებს როგორღაც უმწეო და დამორცხვებული ღიმილით ჩაადევნებდა გაკვირვებულ თვალს, მაგრამ კი მერე, მზერადანისლულს, სუნთქვაშენაჭირვს, შემდგომ და შემდგომ იმ აღმართში წვეთების ჭვრეტის ნიათი აღარა ჰქონდა, მხოლოდ ღონივრად აქნევდა და იქნევდა სველსახიან თავს ზემოთ და ქვემოთ, აქეთ და იქით, და უცებ, ტყე უკვე ჯერ მხოლოდ მეჩხრულად დაწყებული იყო, კისერთან რომ მოედო რაღაცა თან გლუვი, მსუყე, ხაოიანი, თანაც სლიკინა, შემკრთალი ხელი მოისვა და, რაღაცა შერჩა უშნოდ უსიამო ჯერ დაუხედავადაც, და ამოტრიალებულ თითებსზედას, დანისლულ თვალებთან ახლომიტანილს რომ დახედა და, გაარჩია, როგორ დამფრთხალმა მოისროლა - მტკაველისტოლა და გამამღარი, ჩასუქებული მატლი - ბობოლი!, ფოთლების წვენით გაჟღენთილი, მეტისმეტობით, ხორკლიანიც, და იმავ ხელის ზურგით კი ღონივრად ისე, კინაღამ გადაიყვლიფა, უპეები მოიწმინდა და, აიხედა და, რა დაინახა - აქ, ჯერაც კანტიკუნტა, ბეჩავ ხეებზე, გრძელი და სქელი, საზარლად მსუყე მატლ-ბობოლები ეკიდნენ და ზოგიც ჯერ თითქოს მცირე და თავიდან მავნე ჭიაღუა, გაძღომისაკენ მადააშლილი, გამწარებულად გასაბობოლებელი, უმწეოდ მორჩილ, განწირულ ფოთლებს ავად ჩაბღაუჭებოდნენ და ნესტიან მწვანეს, ამ სიმწვანეს, ბუნების პირველ ფერს, რაღაც ლპობადი და დამლპობი კბილებითა თუ საცეცებით თუ რაღაც წყეულით, ნელინელ ნთავდნენ, მაგრამ ისეთი სიჯიუტით რომ, ზოგან სულ აღარ ჰქონდათ ტოტებს ფოთოლი, ერთიც არ ესხა, ყუნწგადაღრღნილებს, მიწაზე გზა-გზად ფოთლისმიერი მცირედი ყოვნით დაშვებულებს, ჩაფრენილები, გაუმაძღრები, ახლა იქ ნთქავდნენ, ახლა იქ შჭამდნენ, მერე, მთლად გამოხრულთ თუღა ანებებდნენ თავს, და დასასუქებლად ახალ და ახალ მწვანე მსხვერპლს ღვლარჭნით დაეძებდნენ, კვლავაც ხისაკენ მიღოღავდნენ, და მტაცებლური ზანტი მაგრამ უტეხი ცოცვით სხვა ტოტისაკენ ქვემოდან ზევით თავით ბოლომდე იწელებოდნენ, თავი და ბოლო მუცელი იყვნენ გადმოღებინებულად ბაცი შვინდისფერი ბობოლები, ის, და ხატებითა და ერთიც დიდი ვაზის ჯვრით წინ მავალნი, ისინიც ასე, უღირსივით გაოგნებულები შემდგარიყვნენ, რადგანაც აქვე, უცნაური და შესაზარი ტყე იწყებოდა, განწირული ხეებით ხშირი, შეძრწუნებულებს, ამ, ივნისის პირველ დღეებში, რაღაც უდროო, ავად დამჭკნარ და ავად შეფერილ შემოდგომაში რატომ უნდა შეებიჯებინათ, და იდგნენ გახევებულები, ასე, მაგრამ მამა დანიელმა შიშით უტყვად მდგართ, აუარა და ის რომ შევიდა იმ ამაზრზენად დახუნძლულ ტყეში, ერთგული მრევლიც, სუყველა მისი ძლიერ მორჩილი და ძალიან მრწმენი, მიჰყვა, სუპირველმა კი, ვაზისჯვრიანმა, წინ გადახარა მაღალი ტვირთი, უწმინდურებას რომ არ მოსდებოდა, და მამა დანიელს ახლა ასე, ამ უსასრულო მარადი შუბით, მწყალობელითაც და შემმუსვრელით, მიჰყვა, მერე, ხატიანებმაც, ასდიეს, მერე, უღირსიცა და მისთანანიც, აჰყვნენ, და თავჩაღუნული უღირსი, იმ პირქუშსა და ძნელ აღმართში, გამწარებული ადგილდებოდა, როგორც კი ეს მას შეეძლო სწრაფად, ისე, რადგანაც ყველას ეჩქარებოდა კი არა, მთელი სხეული უკაწკაწებდათ ისე სურდათ რომ ძალიან ადრე და როგორმე რომ დაეღწიათ ამ შემაძრწუნები ტყისთვის თავი, მაგრამ აღმართი იყო ისეთი მჭახე, დაღალულები,

და მაინც ეს აგზნებულად მისავათებულები, მაინც სულსწრაფად, თავზარდაცემულები, ირგვლივითურა ზიზღურ ცოცვაში, შეძრწუნებულნი, თითქოსდა წინ ეცემოდნენ ოღონდაც დროზე აშველებდნენ წასაქცევ სხეულს ფეხს, მაგრამ ფილტვები დაუმოკლდათ თითქოს და ღონივრად და წყვეტილ-წყვეტად ქშინავდნენ, ქშენდნენ, ფეხქვემოდან კი - რაღაც შხარუნი ნაადრევად ჩამოცვენილი ფოთლებისა და თანაც თავზე, კისერზე, მხრებზე ჩამობღაუჭებულ მაძღარ ძრწუნებებს გამწარებული სამი თითით ისროდნენ განზე, შორს, და მატლებისგან მყრალი სუნიც კი სცემდათ თითქოს ოღონდ თვალებსა და იმ ადგილებით, სადაც რომ ცივი ეს მღრღნელები მოედებოდნენ, და ხაშმიანი ეს ირგვლივი რაღაც მოძრავ სუდარასავით ტყე ეხვეოდათ და ახრჩობდათ და ეხვეოდათ, რა ხშირი იყო თანაც მერე, ის დაწყევლილი, და დამწყევლელი, საცოდავი, ის, გაუვალივით იყო, თითქოს, მაგრამ სადღაც წინ, იცოდა რომ, მისი სულიერი მამა-მოძღვარი, და მასწავლელი მისი, უღირსისა, მართალი შავით მოსილი მღვდელი, მამა დანიელი მიაბიჯებდა, და იმ ბაც-შვინდისფერად გადაქცეულ აჭრილსისხლიან სივიწროვეში, და იმ მათითაც აფართხალებულ სუდარაში უღირსმა ჯერ ერთორ თანამბედს კი გადაუსწრო, მაგრამ მერე, მთელი სხეულით სუნთქვადაჰაერმაძიებელი, სულთმობრძავივით, ჩაიკეცა, მაგრამ მაინც მუხლებზე დადგა, და მოძრავ წვირესაც კი ვეღარ იცილებდა, ვეღარ სწევდა ხელს, დააღოღავდნენ, და ახლა, გული?, მაგრამ, ამ დღეშიც, ამყოფნაშიც, როგორღაც მაინც წარმოიდგინა რომ, სადღაც, მაღლა, გამოვიდოდა ამ ავბოდვა-ტყისგან, დააღწევდა თავს, და ვერც გაიგო და ისე, დაღალულ ფეხებით რომ ისევ, ისევ მიაბიჯებდა, რომ ადიოდა, და ადიოდა საითკენღაცი საშველისკენ, მაგრამ კი მერე, ზურგჩანთა რომ შეემსუბუქა, დუნედ გაკვირდა და მაინც შედგა და დაიხედა და უშხარუნო და უფოთლებო, მონატრებულად სწორსა და ხრიოკ მიწაზე იდგა უკვე, მიმოიხედა, მინდორში იყო, მოსწორებული მთის ზედაპირზე, გაიხედა და, ტყე მოჩანდა წინ, იშვიათი თუმც, მაგრამ, შვებად, მხოლოდიმწვანე, და იქ შესვლამდე, ნეტარებამდე, ამ ხრიოკზედაც ისე მოუნდა დავარდნა და სულთქმა და სულმოთქმა ასე, და, ალბათ სხვებიც ასევე აპირებდნენ, რადგან მოესმა: „არა. იმ ტყეში დავისვენოთ“, - მცირე მინდორი ედოთ წინ და, იმ, ამოვლილი, აღმართის შემდეგ ამის გავლასღა რაღა უნდოდა, და მონატრებულ სავანესაკენ რომ დააპირეს ძრვა, ისევ მოესმათ:

- არა. ჯერ ერთმანეთი გაწმინდეთ.

როგორც ყოველთვის, მართალს ბრძანებდა.

იქ, სუფთა ტყეში, გასამრავლებლად რომ არ შეეტანათ სასტიკი ტვირთი, იმავ მინდორზე, განსაწმენდად, ნელინელ ტრიალებდნენ და ბეჭებიდან, კეფიდან, ფეხებიდან ერთიმეორეს აცილებდნენ დიდსა თუ დამწყებ მატლებს, ხრიოკზე ყრიდნენ, ოღონდაც ზიზღი აღარც ახსოვდათ, გულმოდგინეობდნენ ისე, და, მამა დანიელმა რომ შეათვალიერათ, როგორღაც, მკრთალად კი არა, სახეზე ნამცეციც არ შეტოკებია და ისე, გაუღიმილდა სახე, შეტრიალდა და, იმ ვითომც მეჩხერი, და მადლიანი ტყისკენ დაიძრნენ, შევიდნენ იქა, მაღალი ჯვარი დიდ ხეზე დროებით ფრთხილად მიაყუდა მრევლში ყველაზე მეტად მძიმეტვირთიანმა, ერთმა, სახელად კახამ, მცხეთიდან იყო, იქვე ხატებიც დაასვენეს, და უღირსი და

მისთანანი ზოგი წამოწვა, ზოგნი მისხდნენ, ხოლო ამოვლილი უღირსი, შემშვიდებული, ბედნიერი, საღი ხის პირას დაჯდა და ზურგით და კეფით მიეყრდნო ხეს; იჯდა; ცას ახედა და, ჰეე, ძიებობანის თავი სადღა ებადა ახლა და, და გვეპატიოს ეს ვითომც ნასესხები, მაგრამ მარადიულად ნაწყალობევი ერთსიტყვიანი ორმაგი შედარება: „ცა-ფირუზ“, ცა იყო ლურჯი ისეთი რომ, ფირუზისფერი კი არა და, რომ მართლა - ფირუზ, ხოლო ხმელეთად - ხეებშორისი მწვანე მინდორი, ახალბალახა მოლიანი, ხმელეთ-ზურმუხტი მართლა, და გვეპატიოსვე ეს გაცვეთილი, თან მშობლიური - აჰ, ბიბინებდა - მინდვრის რაღაცა მთლად უპირველეს ყვავილებიანი, სიოზე როგორ ბიბინებდა, სადღაც იქვე კი, გამოვლილ ხრიოკზე, ფოთლებით მსუყედ დამაძღარნი პატარა ხნის წინ, ის გაპეყილი ავი მატლები ახლა შუადღის მზეზე იხრუკებოდნენ, ეს კი, უღირსი, დროებით გადარჩენილი, ისეთ მადლიან ადგილას იყო რომ რო, სადაც ჩრდილდაცემული თუ უჩრდილო ხასხასა ბალახი აკი ვთქვით სიოზე მწვანედ ბიბინებდა, და ისივ სიოც, ელამუნებოდა სახესაც, თვალსაც, გულს, და მთლად გასაწური ახლახანა უღირსი რომ თითქმის შეშრა, და, დამჯდარი, წელში გაიმართა, იქვე გაახსენდა ამდღევანდელი ის ამოვლილი უცნაური გზა, როგორ და როგორ განსხვავებული - ჯერ დაბურული, იდუმალტყიანი, დაღმართში დინჯად ჩამავალი; წყარო; და ამოზრდილი იქა ლოცვა-საყდარი, და ერთიც იმისი ღობისა და ძალიან ცოტათიც თითქოს თავისი, უღირსისა, ლოდი; მერე ავი ტყე, აღმართიანი თანაც, ახლა კი, ეს ცა, და ხმელეთი მოლიანი, და სულისმოთქმა ხესთან, წყნარი...

რა იყო ეს გზა, - მითომი პროზა?

თუ, რაღაცა მეტი?

ამაზე, შემდგომ.

4.

მაშინ კი ადრე, სხვაგან, ჩვენსში... კაცო!, მაყვალი აღარ ეყოფოდა? - მიშოღა, აკლდა.

ზედაც იმისი ამხანაგი.

- ბიჭოს! ძლივს არ დავუჭირე, თითონ რუსებს, ერთი შეცდომა? - ხანდახან ასეც ამბობდა მიშო.

იდგებოდა, ასე, 1985 - ოთხმოცდაექვსი წელი, გარდატეხის დრო.

უღირსის კარის მეზობელი იყო მიშო, რომელიც რომ თავისიცა და დისდისერტაციით (ორპირიანია: დისერტაცია - ზემაყვალისაც) დაწინაურებული ჯარჯის ბინაზედ რომ გადმოვიდა იგი, მიშო, ერთსა მშვენიერ ღრუბლიან დღესა, და თურმე თავისებურად მიაწყ-მოაწყო, მაგრამ ძირითადად თუ რაც გადმოუტანია, ეს მხოლოდღა გარკვეული სხვადასხვადღეებიანი დროის შემდეგ პატივი ეცა და დაეთვალიერებინა უღირსს, რადგანაც იგი, მიშო, ოთხ შუაღამობით გადმოდიოდა - ისმოდა რაღაცა ძნელით დანატვირთი ნაბიჯების ხმა, მძიმე ნივთების გადადგმ-გადმოდგმი.

- რა შეცდომაა...

- რა და, სწორედ ის.

- აბა, რომელი... ყველა ხალხს აქვს კარგი და ცუდი. მათ შორის რუსებსაც. რა შეცდომაა... აბა რომელი, ჰა...

სახლის ძველები ჯერაც ახალთახალ ყოჩივარდასავით მიშოს ასე ერთ-ორ დღეს თავაზიანობის დაუწერელი ვალდებულებით ჯერ მხოლოდ ზრდილობიანად ესალმებოდნენ, ჭირდა რაიმესამეზე პირდაპირ ლაპარაკი, ერთსა მშვენიერ ქარიან დღესა კი დორემ, კაი ხვითო იყო ისიც, აივანზე ზედიზედ ორჯერ დააცემინა, ხოლო წამწინ ჩავლილმა მიშომ კი, მყის გამოსძახა: „ხეირი! ორი ცხვირი კარგია!“ „მადლოფთ“.

- აბა რომელი რუსებსა და, ამაყადაც რომ კი იტყვიან - მი ვმესწე სპალი. - მიშომ თქვა, მიშომ.

- კარგი რა, მიშო, უხერხულია, ბავშვებია ეზოში.

- აკი გცოდნია?.. და აბა რომელი, რომელიო, ძვირფასო მიშო, მიშიკოო, რიღასათვის მეკითხებოდი? - იკითხა მიშომ, გატლეკილ-იყო, უკვე.

- რასა... - გულწრფელადა თქვა აქა დორემ, განზრახვებში უბრალო იყო.

მიშოს საერთო გრძელ აივანზე უყვარდა დგომა, და ძველებური ეზოსი ბოლო, მეორე სართულის სიმაღლიდან ჭვრიტინი. პროფესია მაქვს ასეთიო, ამას კი ამბობდა, მაგრამ ბოლომდე არ აზუსტებდა, ამიტომ ზოგს სახლმმართველი, ან უარესიც ეგონათ კიდევ; ანუ უფორმო. ესა დორე კი, როგორც აღვნიშნეთ კაი ხვითო კი იყო ისიც, მაგრამ მიშოსავით ლაპარაკით კი არა, არამედ საქციელით. თუნდაც ისეთით რომ, მაყვალის ბოდიშობითობისა არ იყოს, წყალით სავსე და ძლიერ დიდი და პატარა თევზებიანი აქვარიუმი პირველად რომ გამოიტანა აივანზე და ძველ ტახტრევანზე დადგა, ჯერ იფიქრეს რომ მისცოლ (კახელი იყო) რაღაცა ჰქონდა გამოსაგავი თუ მოსახვეტი ბინაში რა თქმა უნდა, ჯერ ის არაფერს ამბობდა, დორე, მაგრამაც მერე, ძალიანი რომ მოუხშირა აივანზე მოკაკვულად სიარულს, რა არ იფიქრეს, ეგება ეს ვარჯიშიცაა ერთდაგვარიო, ეგების ამ უცხო თევზებით თავს გვაწონებსო, ან ალბათ მონატრულ მზეზე თუ გამოჰყავსო ესეც კი იფიქრეს, მაგრამ მოქუფრული მზიანი დღითაც რომ გამოამზეურა თავისი თხევადად მძიმე ხვაშიადი, ვეღარ მოითმინეს და ისე ჯიქურ ჩააცივდნენ, მიზეზს, დორესაც რა ექნა და, მორცხვად ახსნა - თურმე, უბრალოდ, ჰაერზე გამოჰყავდა, ვინ იცის, ეგებდა სასარგებლოაო, ყოველი ბუნებრივი შემთხვევისათვის.

- რასა და, ამაზე მეტად შეცდომითი გამონათქვამი შენ თუ გაგიგია, ის მე არ ვიცი, მაგრამ, ჰოჰ, ბიჭო, მთელი ღამე თუ არ მოუხუჭავთ თვალი და ყირამალაზე გადადიოდნენ, სპალია ესა, კაცო? ამაზედ მეტი აშიბკა, ბიჭო? - ვაჰ...

მაგრამ იქავე გატრუნულ კატას ამა შეცდომის თავი სულაც არა ჰქონდა და გაფაციცებული ადევნებდა თვალს ჰაერზე წყალში მოძრავ თევზებს: ფერად-

ფერადნი, ჭრელაჭრულანი, თითქოსდა დუნედ დაცურავდნენ, მაგრამ თუნდ გარეგნული შეფერილობით, რა ემხიარულებოდათ ნეტა - ისეთის გზნებით უჭვრიტინებდნენ, რომ კატის თვალები - ამ შემთხვევაში პირდაპირ ზოგსახეობად სპალი.

- ხოლო თუ მიმზიდველთან ერთად თუ მხოლოდ მართლა სპალი, კიდევაც უფრო ძალიან უნდა დამალო ის.

- რა ის...

- რომ მართლა მხოლოდ სპალი. ცრუ-დიმიტრივით...

ნოემბერი იდგა, ზამთრისწინა თვე.

მოგონებებიანი; ფოთოლი სცვიოდა ხეს...

- ერთხელ, რუსეთიდან რუსეთში მთელ სამდღიანად რომ მივემგზავრებოდი სხვადასხვა ტემპიანი მატარებლით უწყინრად მარტო, ორი ძალიან ხანოვანი ბანოვანი შემოვიდა ჩემ კუპეში მაგრამ მენდლებიანი, კიტელები ეცვათ სადღესასწაულოდ, მგონი მაისის პირველი იდები იყო, ჰაიი, ცეზარ, ოღონდაც მარტში, და მშვენიერი კარგად კი დავუხვდი, კუპეს უკვე შეჩვეული მასპინძელივით, ცხელი ჩაიკუც მივუტანე, შაქრიანი, მაგრამ ისე ჩაყლაპეს მადლობაც არ მითხრეს, მაგრამ მეც ჩავყლაპე, არა მწყენია, მაგრამ რომ დადგა ძილისა ჟამი, პატარა ხნით კუპედან გამოვედი, ლოგინები რომ გაეშალათ და დაწოლილიყვნენ, მერე შევედი ჩაბნელებულში, ავხტი ზედა ხარიხაა თუ რას ეძახიან, იმაზე, გავიძრე ფეხსაცმელები, გავიხადე შარვალი, დავაბინავე, მონდომებულად ავაფუე ცრუ ბალიში დიმიტრისავით, არ ვიყავ, არა, ცუდ ხასიათზე და რომ მივწექი...

ხოლო კატისთვის, ამდენ ლაპარაკს, ის არა სჯობდა, სადმე განზე რომ გასულიყვნენ? ახტებოდა იქ, ტახტრევანზე, მიმოიხედავდა, მერე კატურად შეიყალყებოდა აქვარიუმზე, ჩაჰყოფდა თათს და ამოაგდებდა რომელიმე ძალად მემოციონეს და მერე, გარკვეული იქნებოდა კატური ჩანაფიქრი, მაგრამ:

- და მოვხუჭე თვალი, ჯერ რაღაც ისე-უბრალოდ არ მეძინებოდა, მაგრამ მერე ძალიან რომ გამირთულდა ძილში შესვლა, თავი ძალათი გავიბურანე, და ჰა და ჰა, საცა არი დავიძინებ-მეთქი, მაგრამ, უეცრად, ისეთი რამე გამაფიქრდა, მყისვე წამოვხტი, ოღონდ წელსზევით - კაცოო, კაცო, ეს როგორ, როგორ, მე და აი ამეებს, მენდლებით ჭარმაგ ბებერ ბანოვან კიტელიან მანდილოსნებს, როგორ თუ უნდა ერთად გვეძინოს, ანუ, ვაი-სირცხვილო, ამათთან ერთად, სამმაგი სპალი-მეთქი? ის კი არა და, ეჭვებმა დამღრღნა იმ შუა რუსეთში გოდუნოვ ბორისივით, და ტრუსებისამარა მაინც არ ვყოფილიყავ, გადავიფარე თავზე ზეწარი და ისე ჩავიცვი ჩემი შარვალი, იმათ გალიფე ეცვათ მანამდე, ფეხსაცმელებიც მაგრად შევიკარი, - ჰყვებოდა მიშო, აკი გატლეკილ-იყო უკვე, - და რომ გადავაბიჯე იმათ ჩექმებს და რომ გამოვედი კუპედან და, კი რომ მოვწიე დასამშვიდებლად და დროს გატარება რა იყო დროს გასაყვანად ბელამორკანალ-პაპიროზი ერთი, მეორე, და ათს რომ გადავცდი, მერე რა მექნა, ფიზიკურად გადავიღალე, თანაც ციოდა, ადამიანი ვარ

მეც და, ცთუნებას ვეღარ გავუძელი, შევედი ისევ ფეხაკრეფით იმ ჩვენ კუპეში, აიი, აი, ჩვენი-ც კი მეთქი, ვაჰ, მაგრამ არ გაუგიათ არაფერი, ცალმხრივ ეძინათ, მხოლოდ ცალკერძად ძილაობდნენ, ავხტენი ისევ ჩემ ხარიხაზე თუ რაღაცა ქვია, სივიწროვეში როგორც შემეძლო ისე ვიჯექი შარვლით, რომ თუ ვაიმე ჩამძინებოდა არ, ვიჯექი კუპის ზედა კუთხეში, მიყუჟებული კუპის კედელზე საწყალ კედელდასტენკა რაზინივით, ვიკავე თავი და ორგანიზმი როგორც შემეძლო, მაგრამ გათენებისას მაინც ჩამთვლიმა... მე-ოხერს... ეეჰ.

- ვერ მოქცეულხარ კარგად. - თქვა დორემ.

- აბა?! გეთანხმები... თან, მეორე ხარიხაა თუ რას ეძახიან, ზემოდან ვიყავ. მაგრამაც მერე, რაღაც მუხრუჭზე ერთობლივად რომ გაგვეღვიძა ისე ეჭირათ თავი, გინდაც არაფერი, მე რომ ორგანიზმმა ვერ მომითმინა და წამყვინთა. არამცთუ არ განრისხებულან ივანესავით, არამედ არც უჩივლიათ და არც არაფერი. ოღონდ ერთმანეთს დღის სინათლეზე თვალს ვარიდებდით, ჩაიკუ თვითონ მოიტანეს, დავუხატავდი, კი, წინა საღამოთი უმადურებს... რაც მე იმ დღისით პაპიროზები ვწიე ტამბურში, როგორ ვარ კიდევ ახლა ცოცხალი, ამ აივანზე...

„ერთი ამათი ოხერი ვირთხა“, - გაიფიქრა კატამ; ცხოველებმა ხომ, აკი მეტი იციან ვიდრე, ჩვენ რომ გვგონია.

საუბარი კი, სპალი-ს თემაზე, კვლავ გრძელდებოდა:

- თუმცა, ხო იცი, სხვა რამსაც ნიშნავს ეს სიტყვა - სპალი! - მიდი-დაბუგე, გადაბუგე... მე კი რა, მხოლოდ მცირედად ჩავყვინთე, აბა კი არ მოვქცეულვარ პეტრე დიდივით, იმას ხომ სულ ომი და ბათქაბუთქი და კაიუტ-კუპეებიანი გემთმშენებლობა უყვარდა ფრიადად, და აკი იმასაც გაიძახიან თამამები, მამით ქართველი იყოვო იგი...

- აბა? აბა კაცო... მაგიღა გვაკლდა. და, ის მედალები რა ორდენები იყო?

- აბა რა ვიცი, სიბნელეში... ალბათ, რაიმე წარჩინებისათვის.

- და... ეგება ყოფილი სნაიპერები იყვნენ?

- ვითომ? - ალალად დაეკითხა მიშო, - დორეს: - ქალები, კაცო?.. თუმცა რა იცი, ზოგჯერ ქალი უფროა სნაიპერი.

- ეგ კი, ეგ კი... და, მაინც რამდენ-რამდენი წელ-წლისანები იქნებოდნენ?

- აჰ!

- რას ამბობ, კაცო... და მაინც ჩაყვინთე?

- კი არ ჩავყვინთე, ჩამეყვინთა.

- უჰ.

დორე რა, მხოლოდ ჰაერსმიდრეკილ და რაღაც ამდაგვარ საქციელებით თუ იყო მხოლოდ კაი ხვითო, ისე კი, კამათში ვის აჰყვებოდა, აქ იგი მართლაცდა ხვითო გახლდათ, რასაც სულ ვერ ვიტყოდით მიშოს ერთ როგორ ძნელად ასატან ამხანაგზე, ვისაც ქართველებისთვის არცთუ ხშირი სახელი, ბილბაო ერქვა.

5.

რა იყო ის გზა, - მითომი პროზა?

ჯერ, შემზადებად, პირველ-ჩიტივით გაუბედავი, დამფრთხალი, მკრთალი განაფიქრი - „ნეტა, რიჟრაჟობს, ნეტა?“, თუ დაღრიალებაც მოულოდნელი ყოვლად, თავს, თუ რაღაც გაკვრითის შუბლსმოდება, გონებისა და ძალიან უფრო კი გულის რაღაცა მარტივი ჩანასახი, ჯერ, შორსმყოფიც არა, თითქოსდა სუმთლად ვერარსებულიც, ჯერ, მაგრამ კი, გრძნობდი, აიი, ძალიან გრძნობდი, ეს მერამდენეს, მაგრამ ყოველთვის რაგვარად უღრან, და მარადუცნობ ტყეში, მაგრამაც, აკი, რადგან იგრძნობდი, იქა გინდოდა შეჩერება და ყოველივესი ხარბად თვალთვალი, მაგრამ დაღმართში მძიმედ ჩადიოდა, თავისთვის მავალი, და თუმც შენიანა, მაგრამ მაინც თავისთვის დინჯად ჩადიოდა მეტი მიწისთვის, იმ ველისაკენ, მაღალი ნანგრევებისკენ, სინამდვილედ კი - თან ადიოდა, და შენც აჰყავდი ნეტავი სად, ანდა როგორ, ან რა ხერხებით, რაგვარად სხვადასხვა ხიანი, და ფოთლებიანი, ეს ერთადაა ესენები ტყე, თორემ აქ ყოველივე სულ თავკერძაა, ხავსიც და სოკოც, რკოცა და აბლაბუდაები, ჩიტები, მწერები, სხვა, ოღონდ მაინც - ერთ, ტყედ, შეკრულნი, იგი კი, ტყე, იდუმალი და მრავალსახა, თითქოსდა ოდნავ შენითაც, უცხოთი, მცირედ შეშმუშვნილი, ჯერაც უმწეო ჩანაფიქრივით მხოლოდ წრიატად განათებული და მაგრამ ხოლო დაჩრდილული ისე აშკარად, ღონივრად ისე, თავისა იყო, არაშენი, აქ ხომ შენამდეც ისე მშვენივრად ხან ღამდებოდა, და თენდებოდაც, შენ ვიღა იყავ, შემოხეტებული, სულაც მწირი, მაგრამ უნაყოფო და დიდრონ ხეებში უცებ - როგორ ჭიატა, კვრინჩხი, თუ მხოლოდ მოლანდება მისი, და ეს უბრალო, მაგრამ ნაცნობი როგორღაც მარჯვედ მომწარო ხილი - იმედად, როგორ, და ყოველივესი ამტან თვით ქაღალდზე, ტყის ამ ყველაზე მეტად ძნელ ნაყოფზე, გასაცოცხლებელი იქით იყო მშობელი, ტყე, ჯიუტი, როგორ, თავნება არა, თავნება ეს შენ იყავი მხოლოდ, მელნით თავხედი; მაგრამ თავისით როგორ მსუნთქავი იქით, ტყე, დილდილაობით დაცვარული, მძიმედ აორთქლებული, თითქოს მთვლემარე, როგორ იღვიძებდა უფრო და სუნთქავდა როგორ და ხმიანებდა, წარმატებული; ჯანსაღი ნესტი იდგა იქა, და, დილის ნანატრი მზით ამოძრავებულები, სუპირველები, თუმც იშვიათი, მაგრამ ჯიუტად დაბზარული მანათობელის ფოთლებამოჭრილ ტეხილ სვეტებში აუარება მოძრავ წვრილ დამღად რაღაც პატარა არსებაები როგორ ჩნდებოდნენ და შუქდებოდნენ და მჟღავნდებოდნენ აქა და იქა და გამოსხლეტილი მზის ჩანჩქერებში აღმა და დაღმა დაცურაობდნენ ციცქნურად, იქ, და როგორ ელოდნენ გამცემები, მოღალატენი, სხვისთვისთვისაც და სხვაგანაც ყოფნას სწორედ ასეთი ბაცი ტივტივით ზოგი ერთბაშად და ზოგიც წლობით, წლობითა, მაგრამ ამჯერად მხოლოდღა იქ, ვითომც მთვლემარე ღამეულ ტყეშიც, იქ შორეული აბლაბუდებიც სახეზე როგორ გედებოდნენ, მთელი თავიანთი უღონო ძალით გაკავებდნენ შენ, თითქოს, მაგრამ ერთი ისინი იყვნენ აქეთ შენი დამტყვევებლები და მეორე კი - იქით შენ იმათი, რა

იყო შენთვის ვითომ ეს დაბრკოლება, რა, არაფერი, მაგრამ კი, იყო, როგორ არ იყო, რაგინდ ჯერაც უღონო მაგრამ ობობასავით უნდა ყოფილიყავ შენც, მოარული, ოღონდ ჯერ სულაც არ იცოდი რა მოგეხელთა, და ველისაკენ ხეებ-ხეებ შენც აუჩქარებლად ჩამავალი თითქოს, ჯერ თუმც არაფერს იმჩნევდი ვითომ და სწორედ შენტოლა ხავსივით თავისთვის თვლემდი, აცეცებდიც, თვალს, და ამ როგორღაც ცხად სიზმარში, ასახდენელში, როგორი მარადუცხო და ძნელი გზაც გელოდებოდა, დაღმართშიაც კი უკვე იცოდი და, წყალობად ნანატრი ძალა მართალი ხელით მოწოდებული წყაროს წყალივით აღგავსებდა, და გაშლილ, ნანგრევებიან ველზე, გაბედავდი და რაღაცა დიდის, რაღაცა მაღალის და მაინც მიწაზე მდგარის ვრცელი შეწევნითა და იმედით, გაბედავდი და აღმართისკენ დაადებდი თავს, და ეს შეწევნა თუნდაც მხოლოდ ერთი ვითომც უბრალო ლოდისა ყოფილიყო, მაგრამ ნასაყდრალის, და თანაც მხოლოდ იმისი ღობის, იმედი როგორ გაგჟღენთდა და მერე, გაბედული, ველის დანარჩენს თითქოს ადვილად, ქაღალდისა თუ მელნისა თუ კალამკალმისტრის გამზადებასავით გადაივლიდი, მაგრამ ესეც კი - მღელვარება იყო როგორი, რადგანაც მშვენივრად გრძნობდი, რა წამებაც და ვრცელი ტანჯვა უნდა აგევლო, და ერთ მზაკვარ დღეს ხის მაგიდაზე, ხისავ ქაღალდზე შეუდგებოდი იმ გვემა-აღმართს, ეგრევე მკვეთრად რომ იწყებოდა და, აღმართს იმდენი რა უჭირდა-რა, ისეთი კრულვის ტყე გედო წინ, ავი ჭიებით უხვად მსხმოიარე, ანუ სხვადასხვაგვარი მოსაცილებელი სიტყვებითა თუ მართლაც ბობოლა მეტ-აზრებით მავნედ დახუნძლული, და ამ მართლაც ოხერი ეგრეთწოდებული სინონიმებიდან რომელი მართალი და ზუსტი და ერთადერთიღა ამოგერჩია, რადგან სინონიმები, მოგეხსენებათ, არ არსებობენ, და, მისავათებულს, გამწარებულს, როგორ არ გაგხსენებოდა ერთი დიადი მწერლის დანაჩივლი, რომ რა უბედურებაა ეს, ეს ერთ-ერთი ხელობათაგანი, რადგან ყოველდღე, ყოველ წუთას იმ მყრალსა და მყაყე წუმპეში უნდა შეძვრე და ჩაწვე კიდეც, რომელსაც თითქოს უბრალოდ ასე ეწოდება - „პროზა“, და ერთიც კარგა წუნკალი და მაინც როგორი აშკარად კარგი მწერლის გამონათქვამი რომ ქვეყანაზე არ გამოგონილა ისეთი მსგავსი ოხრობა-რამ, როგორიცაა ქაღალდი, მელანი, კალმისტარი... - და მაგრამ, ამას, განრისხებულზე და გადაქანცულზე, მისავათებულზე, ხელობისადმი თვით სიყვარული, ოღონდ მწარედ ნამდვილი, და ერთგულება, ისიც ნამდვილი, და პატიოსანზე უფრო პატიოსანი შრომა ალაპარაკებდათ და თუ იმასაც დაამატებდი, რომ მთავარი ეჭვი - რომ აქამომდე მთელი არსებით და თავგანწირვით: ნეტავი რისთვის! - სწორად ვშრომობდი?.. ეს ეჭვი, ეჭვი, რისი ავმატლები და ბობოლები, არამედ რაღაცა ჯორისოდენა წურბელებივით იყვნენ, და მატლებივით ისე-უბრალოდ კი არ გედებოდნენ, უსიამობას რა უჭირდა, ტვინს გიღრღნიდნენ და, გონებას გწოვდნენ, თან. ეს ყოვლადოხერი „სინონიმები“, მერამდენედ, რომ - სინონიმები აარრ არსებობდნენ, რადგანაც ყველგან, მრავალთაგან მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი, იიის თავად დიადი და თუნდ კინკილა სიტყვა იყო შვებად საჭირო და, რისი შვება, სისხლდაოფლ ახლად ჩასაღვრელი, ყოველ ნაბიჯზე, ყოველ სიტყვაზე და ამ წერტილა-მძიმე-დეფისებმაც ხომ შეჭამეს გული, არა, გული არა, და ახლა მათი ერთ რტოდ აწყობა და, აწყობილზეც - ვაითუ, აზრი..... მაგრამ იქამდე ჯერ ადრე იყო, ჯერ აქ, ამ ტყეში, და ამ როგორღაც ცხადზე ცხად ზმანებაში, ჯერ მხოლოდ - ჰაეროვანი არა, ბორძიკა ოცნებით ებღაუჭებოდი რაღაცა ფოთლებს

ჯერ მთლად ახალგაზრდაც, და უფრო მეტიც - ბავშვი; გამოუცდელმა, ჯერ რა იცოდი რა გელოდა წინ, მაგრამ ოცნება რისი ოცნებაა, იქაც თუ ვერ ხარ გაბედული, და, სახებებად, როგორაები, როგო-როგორი თვითმპყრობელები აღმოგიჩნდებოდნენ მერე და მერე, ამაზე, შემდგომ, ახლა კი, ახლა კი ეს ტყე, რაღაც ბრგე ტვირთად ახმოვანებული, თავისთვის შეკრული, ეგება შენთვისაც სუყოველივეს თუ არა, რაღაცას მაინც გინახავდა - იქ ქარიც ქროდა, ნათელსა თუ ბნელში ყველაფერი თუ ინგრეოდა გარეთ, ანუ შენს შიგნით, უფრო ხშირად კი, დაბურულში, მხოლოდღა სიო დაძვრებოდა, მაგრამ ნამდვილად სიოობდა, თანაც, იმედად ხანდახან ისე სხვადასხვაგვარად წვიმდა - ზეცით გარჯილი ეს რუდუნება, და, თუ, ზეჯილდოდ, რაღაარგვარი ელვის თვალმოკვრაც ტყისწილა ცაში შეხტუნებამდე თუ დაგაფრთხობდა და მოგკუნტავდა, მხრებში ჩაგიძვრენდა თავს, ამაზე მეტი? - სხვა რა გინდოდა რა... და, რაღაცებით თითქოს შემოკრებილს, რწმენის ველამდე, ნანგრევებიანთან, ვიდრე ვითომდაც დაღმართით ჩახვიდოდი, უკვე იცოდი, იქ მისვლამდეც კი, როგორი ავად ჭიებხლართი აღმართი ძევდა, ოღონდაც მხოლოდ შენს საქმეში, მხოლოდოო, ჰეე, ამ მართლაც თვითონ დახლართულმა, ეს რა მოგვესმა, მაგრამ ამაზეც, შემდგომ, ისე კი, მოკლედ, რაისი აღმართიც, კლდოვანი გზა გელოდებოდა შენი ერთი საწყალი კალამკალმისტრით შესალეწი და, საოცნებო ნაფშვენები, თუკი კეთილ ინებებოდა და ჩამოგეფშვნებოდა, ის გექნებოდა მერე მაინც შიგადაშიგ დასაბარავი, თუ, მოსახვნელი, თუ, მოსათოხნი, და თუ ისევ გაგიჯიუტდებოდა და, გაგიჯიუტდებოდა რაღა თქმა უნდა, კვლავაც უნდა წერაქვად გერტყა შენი ამტანი, შენი შვინდისფერი, მელნიან-კალმისტარი, ნეტავი როგორს გაბრალებთა და გაცოდებთ თავს, ჰაა? და, შიშით გრძნობდი ახლაც, ადრე, მოახლოებულ უთვალავ წვრილმანს, გონებისა და ხელის როგორ ჯიუტად შემშლელთ, მომაკვდინებელთ, თითქოს, მაგრამ გულისა - ვერა, რადგან იცოდი, რომ ასე თუ ისე მაინც ისევ გიცემდა და, ნაჯიჯგნი ისეც შენ, გარეთა ცხოვრებაში, მაინც ცოცხლობდი ჯერ და, შეგეძლო როგორც, სადამდეც პირში სული გედგა, და გიცემდა გული, სულ უნდა გევლო, გევლო და გევლო, და დაეძებდი, მაგრამ რას,რისას! - არ იცოდი, ჯერ; მაგრამ იქ, მაღალ ნანგრევებამდე შენი როგორი კეთილისმყოფელის ხელით ამოწოდებული მადლის რამ ჭიქა, წყაროსი წყალით, როგორი შვება კი იყო, მაგრამ, იმ ნანგრევებთან ყოფნის შემდეგ, და ერთიც ვითომც ლიტონი, და მივიწყებული ლოდის წყალობით, როგორი უფრო რამდენად ძნელი და წარმოსახვაზეც მეტი და უფრო დუხჭირიც კი, ვიდრე ეს ოთხიოდ გვერდი, საძლევად ავი გზა გითვლემარებდა წინ, შედგომისთანავე, როგორ კუშტად აწეწილ-დაწეწილი, კლდურად შემდგარი, ყალყზე, ოღონდ მელნით თუ მოსწორდებოდა, და მერე, მოხნულს, დაბარულს, რა იცი, ეგებ მოესხა რაღაცაც, თუნდაც ბალახი... მაინც სიკეთე... და, ჯეჯილი ხომ... რა იქნებოდა... მაგრამ, ვაითუ, შენს უნებურად, უცოდინრობით, რაიმე მავნე ამოგსვლოდა, მაგრამ შენც გქონდა შენი ერთი ლოდი, ერთი თუნდაც უბრალო, თუნდაც გალავანისა, მაგრამ იმ ნანგრევებთან ხომ იყო ცოტა და ახლოს და რწმენიანი ძალის მომცემი, და თუკი მოგბეზრდათ დაბურული ტყე, მისი აბურდულ-დაბურდულობა, ამა ოთხიოდ გვერდს აპატიეთ, თუმც, როგორიღა უნდა ყოფილიყო აბა სხვაგვარად ეს უღრანობა, დაბურულობა ეს, აკი სიტყვებსაც კი გადმოედოთ, და, მოგბეზრდათ თუკი, ანდა რაკი, -

* * *

- ოოო, ოო, გაუმარჯოს, გაუმარჯოს, ამას ვის ვხედავ, ვისა ვხედავ, სალამი ძმაო!! - ოღონდ ხმადაბლა თქვა მიშომ.

აივანზედ, იდგა.

- გაუ. - მიუგო ამხანაგმა. მართლა ძმა კი არ იყო. ეს ისე, სალამმასპინძლობის გაძლიერებისათვის ეხმარა - ძმაოო, მიშოსგან, მას.

ვისაც ქართველებისთვის არცთუ ხშირი სახელი ერქვა.

გავიგებთ თავის დროზე ამასაც, კი.

შინაც შევიდნენ, კი.

მერე გარეთაც გამოვიდნენ, კი.

მაგრამ სადამდეც გარეთ გამოვიდოდნენ, კი, პატარა ხანში ისეთი ხმამაღალი სიტყვების ნაწყვეტების კორიანტელი გამოისმა, კი, დიახაც წარბებამხტარი მეზობლები ძლიერ გულდასმით შესცქეროდნენ მიშოს ანუ ყოფილ ჯარჯ-გოგა-მაყვალის კარს. ისე უნდა ჰყოფილიყვნენ აღელვებულები თავად მიშოცა და მისი უცხო სტუმარიც (მაგრამ იმჟამად ჩვენში არახშირი სახელწოდებაც კი არ იცოდნენ მეზობლებმა იმათ კი იმისი), რომ სიტყვებსაც კი ვერ ამთავრებდნენ (ბოლომდე ესე იგი); ასე მაგალითად: „ის რო წა... მეორე მოვი... და მე აბა რავი... ვინაა შე თავისე... არამედ მოფე... ვი შენი თავისე... მე სხვა თავისე პირიქ... რათა და იმასაც რო... რო მოუ...“ - არ სჯობდა ამას - „ძალიანი მწყურია არნოლდი“ - ჰ - რარიგ სინათლე იდგა, ამასში. ცხადი კი ერთი ის იყო რომ, ვერ ჰქონდათ კარგსაუბრიანი პაექრობა, რადგან ზედიზედ და მიყოლებით გამოისმა ოთხი ასეთი მომდევნო სიტყვა: I - „ვის“, II - „ჩაუმტვრევ“, III - „შენ“ და IV - „კბილებსა“!

მაგრამ, სანამ ავკარგიანობის დიახაც რომ გამრჩევი მეზობლები მათ გასაშველებლად დაუკაკუნებელ შეჭრას რომ აპირებდნენ კომუნალურ ბინაში, კარი აქეთ გამოიღო და მიშომა თქვა:

- აი, ამათ თქვან, ჩემი თუ არ გჯერა, ამათა კითხე, ამათ გადაწყვიტონ, გაიცანით, ეს მეგობარია ჩემი.

აქ მეზობლები შვებით გამოტყდნენ:

- ომარი...

- გენიკო...

- დათო...

- კუკური...

- გურამი...

- დორე...

ხოლო, სტუმარმა? - ძლივს დაიჯერებთ:

- ბილბაო. - ასე მიუგო ერთმა ექვსზედ, მათ. მაგრამ ექვსივეს ერთად აღებულთ გადააჭარბა - ბილბაოოო. ამან.

აი, ქართველებისთვის სწორედ ასეთი არცთუ ხშირი სახელი ერქვა, მას.

- ჰა? - იკითხა დორემ, რომელსაც, ხოლო მიუხედავად აშკარად მუსიკალური სახელისა - დორე, ნაკლებად ჰქონდა განვითარებული სმენა, განსაკუთრებით მუსიკალური... და „დორე“ კი არა, გინდაც „დორემი“ და კიდევ მეტი, მთელი დომაჟორული გამაც თავიდან ბოლომდე რომ რქმეოდა, ანუ დო-დან დო-მდე, ანუ დოდო, აღნიშნულ სმენაში მაინც ვერაფერს მოიმატებდა.

და მოიკოჭლებდა იქნებოდა.

- კი, ასე ქვია, რას მიჩერებიხართ, დიდი ამბავი, ეგეთები ხდება? - გამოექომაგა მიშო, - ეგებ ვინმე ჰყვანს ბასკოლოგი, მაგრამ როგორც კი შინ შევედით და კარგად მოვიკითხეთ ერთმანეთი...

- კარგად კი არა, ორი თითით ხელჩამორთმევის ღირსიც კი არ ხარ შენ!

- ეს აფრიკული შლაპა, ეს - დანანებით აღნიშნა მიშომ, და იქვე განაგრძო: - და მოკითხვის შემდეგ, როგორც კი უფრო დავმარტოხელდით, მე ამას მოფერებით ვუთხარ, ვუთხარი, ძალიანაც მომენატრე, ბიჭო ბილბაო, რადგან შესანიშნავი ადამიანი ხარ შენ, არასადა და არც ნაცრისფერი, შენიშვნის ღირსი, თავისებური-მეთქი, ამან კი მოფერებითი გამოთქმა - თავისებური, ცუდად და უკუღმართად გაიგო, რადგანაც ძალიან დიდი თავი აქვს და ეგონა რომ წრფელი გამოთქმით - თავისებური - ვამასხარავებდი. აბა შეხედეთ, შეხეთ, თუ არა გჯერათ, ეს აფრიკული შლაპა, ეს.

ბილბაო მაინც ამოჩემებულად ხშირად მოდიოდა თავის დაძმობილებულ ამხანაგთან, და მეგობრები ხშირადვე გამოდიოდნენ საერთო აივანზე; როგორც აღნიშნავდნენ, ამას სულის მოსათქმელად სჩადიოდნენ, მაგრამ მიშოს ერთი კარგი ადამიანის პირობაზედაც კი არ ჰქონდა ცუდი კომუნალური ძველჯარჯ-ექსგოგა-გადაწერილმაყვალიანი ფართი, მეზობლები კი, რომლებიც დორეს არაჰერმეტიული აქვარიუმის თანდასწრებით ხანდახან სერიოზულ და მთავრობა-საზოგადოებისაგან კარგად მიღებულ ჭადრაკსა თუ იმ ხანებში ნახევრად უცენზურო ნარდს რომ თამაშობდნენ ანდა სულაც კარტაობდნენ, უნებური მოწმეები ხდებოდნენ იმისა, რომ თავისებურსა და სახელოვან ბილბაოს ნამდვილად ვერ ჰქონდა სხვისი სახელებისა და მით უმეტეს გვარების კარგად დამახსოვრების უნარი.

ასე მაგალითად, აივანზე წყვილად გამოსული, ასე განაგრძობდა:

- ხოდა, კაცო, ჩემ გვერდით რომ ცხოვრობდა ჩემი დეიდაშვილი, რაღაცა გვარი ქონდა ერთი, ჯაში თუ წვერიკმაზაშვილი, და რაღაცაც ერქვა, დიმიტრი თუ პაშა...

- ის მაინც თუ გახსოვს, კაცი იყო თუ ქალი...

მიშოს ვერავინ გაუგებდა, როდის ხუმრობდა. თუ, უცაბედად ხუმრობდა.

არიან, ასეთებიც.

ის კი არა და, ზოგიერთ ადამიანს იმასაც კი ვერ გაუგებ თუ არ მოგასუნთქა, ფხიზელია თუ მთვრალი.

- ხოდა, - ყოჩაღად განაგრძობდა ამგვარად ბილბაო, - ძალიან უყვარდა სწორედ აის პოეტი რომ გვყავდა მეზობელი ძმაბიჭი ერთი, გვარი კარგად აღარ მახსოვს, კუცია თუ ზალდასტანიშვილი...

- ლაგვილავა?

- უი ჰო, ჰო, ლაგვილავა რომ წერდა ლექსებს, ისეთებს მე დღეში ოთხჯერ დავწერ თავიდან ბოლომდე, ხელქვეშ არსებული ქაღალდის რაოდენობას გააჩნია... კარგი, შევბრუნდეთ, მოვითქვით უკვე სული...

რა ჰქონდათ მაინც სულის მოსათქმელი, დორეს თევზებისა არ იყოს.

- მგონი არ ვარგა მაგნოლია. - ყოყმანა ხაზი გაუსვა მაგნოლიის სარგებლიანობას შემდეგ სერიაზე გამოსულმა ბილბაომ.

- როგორ არ ვარგა, ის პატიოსანი კაცპოეტა ლექსგამოშვებით აბა რატომღა ახსენებდა, ოღონდ წერილობითად.

- რას, კამელიას?

- არა, კაცო, მაგნოლიებს...

- ამას უცებ ვერ იტყვი ადამიანი, გელაპარაკები შენ...

- გვარი არც მე მახსოვს იმ პოეტის კარგად, - თქვა ახლა მიშომ, აკი უკვე უყოყმანო ხაზი გაესვა მის იმ გარემოებას, რომ, ვერ გაიგებდი როდის ხუმრობდა, - რაღაცა თათრული თუ სომხური გვარი ქონდა, მგონი უკლება თუ პახომოვი...

- აა, ლაგვილავა? - უკუმიუხვდა ბილბაო.

როგორ მოარტყაა... რადგანაც, მიშომ:

- უი ლაგვილავა! ვაი ლაგვილავა, კი! ოღონდ ქართული ძნელად იცოდა... მაგრამ იმ ლექსებს რა ენაზედ წერდა?

- რა ენაზე დაწერდა, ზალდასტანიშვილი. ელაპარაკე ამას... - ამგვარად გაიკვირვა ბილბაომ, - წამო, შევბრუნდეთ, მოვითქვათ სული...

და ასე გაუგებრად მიმოდიოდნენ სულმოსათქმელად აქეთ და იქით, სანამ არ გაირკვა ყველაფერი. მანამდე კარგა მაგრა იყვნენ მეზობლები გაკვირვებულები, მაგრამ როდესაც ბოლთა-ოთახ-მეაივნეებმა, ერთხელაც შინ, თავის და

ნახევრადსაკუთარ კომუნალურ შტაბბინაში, მდგრადი მეაივნეები თითო შუშა ღვინოზე შეიპატიჟეს, დიდფართიანი კი არა, არამედ გადაჭედილობით უვიწროესად და უაღრესად დიდად ამტანიც კი აღმოჩნდა, მიშოსი ბინა. რატომ და, იმდენი წარმომადგენლობითი მცენარეული იდგა შიგ: რაოდენობრივად უფრო ფიკუსები და კაქტუსები სჭარბობდა, მაგრამ ერთი რაღაცა დიდად გაბარჯღული ლიმონიც იდგა ისეთი რომ, კედლით კედლამდე და ჭერამდე მიმწოლურად აღზევებული, ძალიან ხშირფოთლება და ძლიერ მძლავრტოტება, ოღონდაც ნაკლი რომელს არ გვაქვს, და მეზობლებს რომ ეგონათ არიქა შემოდგომაზე ჩაიზე ნაღდად ავშენდითო, თურმე ერთ კაკალ ლიმონსაც კი არ ისხამდა, ეს ლაპარაკიდან, ხოლო სამაგიეროდ თვალნათლივ უხვად ესხა ჩინურ წიწაკას, რომელი უკანასკნელიც ალაგ-ალაგ შუქნიშანივით სულ წითელ-მწვანე-ყვითლად ღვიოდა დამაგვირგვინებელ პალმებშუა, გვხვდებოდა ასკილიც, უნაბი, მოცვი, მოველურო პანტა, სასარგებლო მცენარეულიდან, მხოლოდ ერთი მაყვალი-ღა აკლდა ბინას, გადასულ-გადაკარგულიყო, სხვაგან, და ორიც იდუმალი ყვავილებით მსხმოიარე მაგნოლიაც იდგა და დაბინდულად სჭვიოდა, გავბრუვდით ისეც, კიდევ სმა გვინდოდა და აუცილებელი სადღეგრძელოები? და დროდადრო, ამტანობისდა მიხედვით, აივანზე სხვადასხვა შუალედებით რიგრიგობით გავდიოდით სულმოსათქმელად სუფრა რომ არ მიგვენავლებინა, შვიდნი ვიყავით, ოღონდ გურჯანელებივით - ვერ, სიმღერა ვერცერთს ვერ შეგვეძლო, ხოლო მესამე შუშაზე ლიმნის ფოთლებში, იმ ლიმონისა, რომელიც ოთახისეულებში ცხადად დომინირებდა (ეს რა მუსიკალური სიტყვაა, თითქმის მღერადი - დო, მი (ნი), რე (ბდა), დორემ ალალად ასე იკითხა:

- ბიოლოგი ხარ შენ, ჩემო მიშო?

- არა, შე კაცო, ნაღდი კაცია... გელაპარაკები შენ. ოღონდ დაბოლოება ნაღდია. - ლიმნის უჭკნობ სადღაც ფოთლებიდანვე მიშოს ნაცვლად ასე მიუგო დორეს ბილბაომ.

- და რა არი მაინც, ამ შეშების პატრონი, თუ არ ბიოლოგი.

- რა და, სოციოლოგი.

- რას მელაპარაკები, კაცო...

- აბა?! გელაპარაკები შენ. მეც. დოცენტები ვართ.

- აჰ! და ჩვენ-ჩვენ აზრებს ხომ არ იწერთ ხანდახან ჩუმჩუმელურად? - იკითხა ვიღაცამ. ვერ იცნეს ხმაზე-დ, ნასვამისაგან იყო. დაინახეს ვერც. არ იყო გასაკვირი.

- არა, რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ! - სავარაუდოდ გასძახა ბილბაომ,

- მხოლოდ გადაკარგული უცნობების.

- გადაკარგული არ ვარ ახლა?

- და... - დაფიქრდა დორე, - ამდენი მწვანილეულობა რიღათვინ გინდათ? სუმთელი ქვეყნის...

- ზღმარტლი აკლიათ, - სადღაც პალმებიდან მოისმა კიდევ სხვა ვიღაცასი ხმა. და კიდევ ვიღაცასი: - ხოლო პალმები, დოცენტობისთვისაა!.. სადღაა დაფნა! - მაგრამ ბილბაოს არამკითხეთათვის ყურადღება არ მიუქცევია:

- ჟანგბადებისთვისაა, ყველაფერი ეს.

- და... - ისევ დაფიქრდა ძალიან შორეულ მარკო პოლოსავით მაძიებელი დორე, - მაგისთვის გამოდიხართ ხანდისხან აივანზე?

- აბა სულ იქ ხომ არ დავიძინებთ, ჩემო ლიადო.

- დორე ქვია ამას. და, ჩემო დორე, ზედმეტი არაფერია კარგი, შენ წარმოიდგინე, ჟანგბადიც კი არ, და მაგნოლიით ვანეიტრალებთ. პოეტებივით.

ეს უკვე მიშო იყო, ეს.

ხოლო დორემ სულ ბოლოს, მეოთხე შუშაზე, ჯერ მეცნიერებს ლიმონხის ვიწრო ნაპრალებიდან თვალი ძლივს რომ ჰკიდა, გამხნევებულმა, ყოვლად უმმღერმა, მაინც ერთგვარად გახარებულმა, ასე წაიღიღინასავით, აი:

- დოოცენ-ტეების ქვეეეყანაااااა,

ჩოოქვით შეემო-ვიაარეეეეე....

არა, ვერ ჰქონდა დორეს სმენა, ააფრინე ალალიო, - მაშინ კოლონიურები იყვნენ.

ხოლო როდესაც თავისებური ამღერებით აღფრთოვანებულმა ანტიმუსიკალურმა დორემ მეოთხე შუშის ეპილოგთან გაუთვალისწინებლობით ერთ-ერთ უცხო და ჩინურ წიწაკას ჰკიდა ხელი, ყოჩივარდასავით ნაზად მოსწყვიტა და თამამად ჩაკბიჩა, და თავზარდამცემი მოულოდნელობისაგან გადაყლაპა კიდეც? -

მოგეხსენებათ, ჩინურ წიწაკას დაუდევრული უცოდინარობით თუ მხოლოდ ბაგე-კბილებით წაწიწკნი და არც კი გადაყლაპავ, სამ დღეს მარადი ცეცხლი გენთება უდანაშაულო ტუჩებზე, დამნაშავე ხელს - არაფერი, და ამ ალალი ჩაკბეჩ-გადაყლაპვით ალმოდებულმა (ლამიდორებახვაგნერულმა) დორემ ისე ფიცხლად დაიქნია და შეუშვა კიდეც დამნაშავე ხელი დაბურულად კომუნალური ფართის ერთ-ერთ გარეგნულად პატარა მაგრამ ვერაგ ნაყოფს, რომ ნახევარწიწაკა იქვე მის ფერხთით მდგარ, სადღაც ზემორენახსენები ვერაგი კატის შიშით შემოტანილ აქვარიუმში ჩავარდა, ხოლო რატომღაც აივნისაკენ გავარდნილმა მთლად მუსიკათსაწინააღმდეგო დორემ კი უცაბედად კარის სახელურის ნაცვლად გატრუნულად მომლოდინე კაქტუსს სტაცა ხელი ანაზდად რატომღაც, და გადავუსწროთ მოვლენებს და მთელი მომდევნო ოთხი დღე ხანძროვანი ბაგითა და გიზგიზა კბილებით ხიწვებს ალალბედზე დაეძებდა და შეძლებისდაგვარ იძრობდა, ხოლო კი აქვე და იმჟამად მადლიანმა ბილბაომ მთლად უცნობსახელიან-თევზებიანი აქვარიუმიდან ჩაუყვინთავად ამოიღო სიმწრით დატენილი წიწაკა, აქაც გადავუსწროთ მოვლენებს და, თუმცა მომდევნო დღეებში ბევრი უცვალეს თევზებს წყალი (მაშინ მოდიოდა - 19 ოთხმოცდა... წელი), და თუმცა აქვარიუმელი საყვარელი ფერად-ფერადი თევზუკანები თუმც არ

დახოცილან, მესამედაც გადავუსწროთ მოვლენებს და მრავლადხსენებულ აქვარიუმში, ერთდროულად გამწარებულ-განრისხებული და თან შიშისაგან გაფითრებულ-გათეთრებული თევზები რამდენნიც იყვნენ, სწორედ იმდენი მძვინვარე მობი დიკივით მი-და-მო ელვისებურად გასროვილებულებისავით რიკოშეტულად მოძრაობდნენ.

რომელი კატა შებედავდათ. აბა რომელი გულადი...

თუმც, აქვარიუმ-კოლონიურები იყვნენ.

და მობი დიკი ვითომდაც რა - ისიც ოკეან-კოლონიური იყო.

ხოლო აღებული ესენი - ზედმეტად სიტყვადასაქმ...

რადგანაც ნარდი და კარტი და შაშ-ჭადრაკი და აივანი და იმისი ჯანი.

ძალიან დარდობდნენ, როგორ არა, კი.

ხოლო ერთხელ უღირსს, რომელსაც უფროს მეგობრებში ბედი საოცრად სწყალობდა, ბატონმა რეზომ, დიდმა რეზო თაბუკაშვილმა, ასე ჰკითხა:

- როგორ გგონია, ვართ ვითომ კოლონია?

უღირსმა დიდ კაცს, აუარება სირთულისა და დაფარულის მცოდნეს, ამა კითხვაზე განცვიფრებულმა შეაჯახა მზერა, მაგრამ იმის თვალებში რადგან თითქოს შენიღბული, მაგრამ პატარა სიცელქე-რამ მაინც რომ ამოიკითხა, გულს მოეშვა და ერთადერთი პასუხის ნაცვლად - „აბა რა!“ - მხოლოდ გაუღიმა.

მაგრამ, გაემეორა:

- როგორ გგონია, გურამ, ვართ ვითომ კოლონია?

და ახლა მეტის ყურადღებითაც შეაცქერდა, კი.

ხოლო უღირსმა, პასუხი ცხარედ დაასაბუთა კიდეც:

- ვართ, აბა რა ვართ, ბატონო რეზო, ანკეტა-ბლანკებ-დეპეშები - იმათი, ჩვენთვის გადმოგდებული ბიუჯეტი - იმათი, იმ გაოხრებულის პროფილიანი ფული - იმათი, საზღვარგარეთ გაშვება - იმათი, ქუჩების სახელწოდებები - იმათი, აბა ვინ ჯანდაბებია ჩვენთვის პლეხანოვი, კიროვი და ურიცკი, დაუკითხავი ჯარი თავის შტაბებიანა - იმათი, მესაზღვრეები - იმათი, ქართველობიდან ნაძირლობა - იმათი, ცენზურა - მათგან გამომდინარე...

და ძლივს მოითქვა სული.

- კი გამოგრჩა ბევრი რამ, - ცოტათი გაუღიმა ბატონმა რეზომ, უფრო კი თითქოსდა ღრმად დაფიქრებულიყო, - მაგრამ, მე მაინც მგონია, რომ კოლონია ბოლომდე არ ვართ...

ეს ისეთი დარდისეული საგანი იყო, რომ ბატონ რეზოსაც, მთელ ნაცნობებში იშვიათად ყოვლისმცოდნეს, იმასაც კი, მეორედ შეეკამათა:

- როგორ თუ არ ვართ! რა, ახლა ქართულად რომ ვლაპარაკობთ? იმასაც კი ეცადნენ ახლახან რომ... როგორ თუ არ ვართ!

- რა ვიცი, მე კი ისე მიგრძნობს გული, რომ ბოლომდე არ ვართ. ბოლომდე-მეთქი...

უღირსი დაიბნა. მესამედ შეკამათებას ვეღარ შებედავდა, ძალიან სჯეროდა მისი. ძლივს წაილაპარაკა:

- არა, ილიას და აკაკის როცა ვკითხულობ, ვაჟას, მაშინ, რაღა თქმა უნდა, არ ვარ...

- მე შენზე კი არ ვამბობ... ისე, საერთოდ. კარგი, შევცვალოთ ეს მტკივნეული თემა, - და, თითქოსდა მწუხარედ დაეკითხა, ყოველ შემთხვევაში, ასე სჩანდა, - შენ ამას იმიტომ ამბობ, რომ რუსის საბრალო მათხოვარი ალბათ არ გინახავს, არა? აბა, მითხარი, გინახავს სადმე?

აქ უღირსი კინაღამ გადაირია:

- როგორ თუ სადმე!, ბატონო რეზო, ყოველი მიწისქვეშა გადასასვლელის თავსა თუ ბოლოში, ყოველი ხიდის თავსა და ბოლოში, ნებისმიერ მეტროსა თუ რკინიგზა-ავტოსადგურებში, ქუჩებში, გამზირებზე ჩემო ბატონო, სალუდეებთან, ბაზრებში, ზღვისპირეთსა თუ მაღალმთიანეთში, რუსის მათხოვრის მეტი რაა... ავანსცენაზე გვყვანან!

- ჰოდა, ჩემო კარგო, - ახლა კი გაებადრა სახე ბატონ რეზოს, - ხომ გამოგტეხე, რომ კოლონია ბოლომდე არ ვართ-მეთქი, რადგან, როდესაც ინდოეთი ინგლისის კოლონია იყო, არა მგონია სადმე კალკუტაში ან ბომბეიში, გინდაც დელიში, რომელიმე ინგლისელს დაპყრობილი ინდოელისათვის ხელისგული გაეშვირა და შეეხვეწნა, ოჩენ პრაშუ ვას, უმალიაიუ, ნესკოლკო რუპიი პადარიწე, პამაგიწე მნე, პაჟალჰსტაო...

და ერთად იცინეს, იცინეს... უღირსს განსაკუთრებით კი ის მოეწონა, რომ ვერარსებული ინგლისელი მათხოვარი რუსულად აალაპარაკა კაცმა, ვინაც მშვენივრად იცოდა ინგლისური.

და, ინგლისურიდან ერთი ჰ-ც რომ შეჰმატ-გამოურია, - პაჟალჰსტაო...

მაგრამ ბატონ რეზოს შეეძლო ასე მწარედაც ეხუმრა რუსებზე, რადგან კარგი რუსების ფასიც მშვენივრად იცოდა. მოგეხსენებათ, ტანით ჯანმრთელი მათხოვრები, და განსაკუთრებულად დიდი გაქანების პატრონი ნაძირალები და ერთი იმათი ბოროტი სულის ნაქნარიც როგორ აშკარად ჩანან ხოლმე, ხოლო ერთგვარად რა ძნელი იყო მთელი არსებით მინდობოდი თვით დამპყრობლების თუნდ დიად შვილებს, მაგრამ თანდათანობით კი როგორ გაითავისებდი ისეთ სულ სუ სხვაგვარად წინამბრძოლ-დამპყრობლებს, როგორებიც, ვთქვათ, პუშკინი, ანდა ტოლსტოი იყვნენ... თუნდაც, ბუნინი და ჩეხოვი... და სხვებიც, სხვებიც, სხვაქვეყნელები, სხვებიც... თავისიანებს, გამორჩეულებში, რაღა თქმა უნდა აქ არა

თვლიდა უღირსი, თუმც ვაჟას ნაწერებზე დამნათობელ ერთ ნაძვის კვარად არ უღირდა ისინი, და თავის გამორჩეულ უდიადეს ხუთ მწერალში არც იხსენიებდა ილიას, ვისმიერისიც თათქარიძისეული სახლ-კარის აღწერა რაც კი ქაღალდი აჭრელებულა ავად თუ კარგად, იმას ერჩია... არა, ეს იმას კი არ ნიშნავდა, რომე ილია სუყველას ერთად სჯობდა, მაგრამ იგი ხომ, მშობლიურივით მამა, ის ღვიძლი მამობილი იყო თავისი, მისი, მისი დიადი კერძო ოჯახის გამორჩეული თავკაცი, ბრძენი, თანაც, საბედნიეროდ, მხოლოდ ერთ-ერთი და თავისიანის, მისიანის, ისე ახლობლის ქებათა ქება ხომ უხერხული იყო, ხომ... და ეს - თუნდაც ხმამაღალი სიტყვით კი არა, არა, აბა ტრიბუნებსა და კათედრებზე უღირსს აბა რა ესაქმებოდა, იქ რა უნდოდა, ეს გულში, გულში... მაგრამ როგორ თავისუფლად შეეძლო თავისიანებში ექო და ექო და ედიდნა დიდი გარე დეიდა-ქალბატონები მარინა და ანნა... მაგრამ თავისი ანა, დიდხიდისთაველი, - გულისგულში უყვარდა... თუნდაც, სხვა დარგი... რა შთამბეჭდავი წყალობები იყვნენ მუსორგსკი, რახმანინოვი... მაგრამ ბეერიკაცი ვაარ, და „ხასანბეგურა“ და „ოდოია“ და კიდევ „ლილე“ და, და, „შეენ ხარ ვენახი“ - რიღა წყალობა, - ღვთის ბრწყინვალება, ანუ მადლი სულიწმიდისა, წმიდა სულისა იყო... და რა მორუხოდ ნაღვლიანი იდუმალება უნდა ჰქონოდა ნეტა ისეთი ერთ სამთელქვეყნოდ აღიარებულ მართლაცდა საყურადღებოდ განსხვავებულ მწერალს, მაგრამ ხანდახან კარგა მაგრა რომ გაყვიროდა ხოლმე, როგორიც დაგუდულ „ბინდის ფერის სოფელი“ -ს, ან, თავფარავნელი ჭაბუკის ბედისას ჰქონდა... და თუმც ხანდახან ისეც ხდებოდა, თუმც რა ხანდახან „გილგამეშიანი“ -ა, ერთია, პირველი, ერთადერთი, ამა თიხური საუნჯის ისეთ მფლობელს, რაც კი ქვეყანაზე ოქრომჭედელია სიცხიანზედაც არ მოლანდებიათ, იმის პატრონს, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა - თვით მეფე გილგამეშს, მყივან მებრძოლს, რომ ეკუთვნოდა, სულო ცოდვილო - თვით რუსთაველზედაც მაღლა კი აყენებდა, ეს იმიტომ რომ, რუსთაველს უკვე ნაბოძები ჰქონდა მაღლით ბიბლია, და ისევე როგორც იესოსაქეთა ყოველ მწვერვალ-ნაწარმოებში, თვით დიად რუსთაველივით სხვაც ვერავინ მოიძიებდა ისეთ აფორიზმს, ბიბლიაში რომ არ ბრძანებულიყო, ისა კი, ისა, თავიდან ბრძოლებსა თუ ქალწულებში როგორ დიდად გალაღებული და მერე კი ჰოიი, დამწუხრებული როგორად, შუმერი მეფე, უბიბლიაოდ დაძრწოდა გაჩირაღდნებულ ბნელში, და, საბოლოოდ დამწუხარებულს, სუყველაფერზე ხელჩაქნეულს, იმ უკვდავებას, როგორისად ძნელს, რა იცოდა თუ, მაინც მოიპოვებდა, - პირველი ლექსის ქვაზე ამოკვეთა სუთავიდანვე შუბლზე ეწერა...

თურმე.

ვინ რა იცოდა, ტოლედოს კათედრალით, ამ აურაცხელი, აღუწერელი საგანძურითა და ვიტრაჟებით და ქანდაკებებითა და ნახატებით გადატვირთულ იმოდენა, ჩამომძიმებულ შენობაში, იმისიდიდოდ მოქმედ ქალაქ-გამოფენა-ტაძარ-მუზეუმში, სადაც შეიძლებოდა დაკარგულიყავ კიდეც, როგორიღაარ აღფრთოვანებულს, დროებით თუნდაც მართლა დაკარგულიყავ და გეფიქრნა რომ, არაფერია ამა მიწაზე ტოლედოური კათედრალის ფასი, და თუ იქ მყოფს გეგონა, რომ ამა ქვეყნად მსგავსს ვერაფერსა და ვერასოდეს იხილავდი, მაგრამ იქავე, ფიქრშიც დაკარგულს, სულ ჟრუანტელით გაგახსენდებოდა ის, რომ შენს

სამშობლოში, საქართველოში, ერთ-ერთ შემაღლებულზე, იდგა ერთი უბრალოდ ნაშენი პატარა საყდარი, კვეტერა, რომელიცა რომ, მაღლივად მშვიდი, უსამკაულო, უჩუქურთმებო, სუყველაფერზე მეტად იყო ღარიბი იესოს სახლი... -

ციდან ეკიდა.

ესეცაა, გულში, ესეც როგორღაც მისი ერთი მოთხრობის სათაურივით - „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“ - იყო, მაგრამ, მააგრამ, ვერაფრით, ვერა, ვერასდიდებით, ბიჭი იყო და დაფარავდა ხმამაღალი სიყვარულისაგან ვაჟას, დიდ გლეხკაცს, ბუმბერაზ ფშაველს!, დაა, ფიროსმანს, მირზაანელ კაცს. სახლკარმოშლილს...

მაგრამ თავის ისე ახლობელ უცხო გამორჩეულ მწერალთაგან ხუთი, ხუთნი, მაინც როგორ და როგორ ერთმანეთისაგან განსხვავებულები, იყვნენ, ხოლო საერთო ისა ჰქონდათ, რომ ერთიმეორეზე უკეთესად მოეხსენებოდათ თავიანთი დარგი, ეს - უღირსისათვის, რომელსაც ერთი მართლაცდა კარგი თვისება ურღვევად დაჰყვა, - წრიალა ეჭვი, საკუთარი აზრებისა და საქციელებისადმი მარადი, - სუყველაფერზე: ეგებ, ნეტავი?, ვაითუ, ვითომ, თითქოსდა, იქნებ, და იმ თავის გამორჩეულ ხუთთ სხვებს თავზე როგორ მოახვევდა.

მაგრამ ესენი, იყვნენ:

ტოლსტოი, ვინაც სადამდე აიყვანა მოჩვენებითი სიმარტივე, როგორი ვრცელი, ჰოი,

და, სიტყვისა და წინადადების ყველაზე მეტად მოუღლელი აშიკი ფლობერი, ამა საქმეში კეთილშობილად მეძავი, ვეჰ,

და, პროზას შეჭიდებულთაგან ყველაზე მეტად თავზეხელაღებული, ყველაზე მეტად მოულოდნელად დამაყაჩაღებელი, - ფოლკნერი, ვაჰ,

და რაცრამ „მხატვრული“ დაწერილა, სუყველაფერზე დიადის პატრონი - სერვანტესი,

და, კიდევ ერთი, იმაზე, ცოტათი შემდგომ, მაგრამ უღირსი, როგორც მკითხველი, წიგნთან ისიც ისეთი იქით მიჯნური და აქეთ მეძავი იყო, რომ, ხანდახან, ვისთანაც იყო, მხოლოდ იმისა იყო - თუ, ვთქვათ, მერიმეს ჩაუჯდებოდა, ანდა სტენდალს, ანაცდა მელვილს, მხოლოდ იმათში იჭრებოდა და ეძლეოდაც, ის დიდნი ხუთი სულ აღარ ახსოვდა, იმათით სუნთქავდა, - ეს მერე, მერე, მოცლილობის ჟამს... კიდევ კარგი, რომ ფოლკნერი და აის მეხუთე თავისი საქმის დასაწყისში არ წაიკითხა, არა, ფოლკნერის ზოგიერთი რამ კი ვითომ გადაიკითხა, მაგრამ ბევრი ვერაფერი გაუგო რა, მერე, ორმოცდაათს გადაცილებულმაღა გაიგო მისი ნამდვილი, მძლეველი ფასი, ის მეხუთე კი ნაღდად გასრესდა, ისეთი იყო, აჰ, პატიებავ, - ისეთი არის,

ხოლო თავიდან, მელანცხებულს, მაგრამ მხოლოდ თითებზე, ჰეჰრაადვილად მისდიოდა სულ ახლახანა დაბადებული, მელანმწოვარა საქმე - თავიდან, ჩემო

ბატონო, თავიდან რაღა თქმა უნდა, ადვილი იყო გენაცვალე, - ეგრეთწოდებული ნამდვილი ამბები, ავტორისათვის ამაღელვებელი და შემძვრელი და გულისამაჩუყებელი და, მაგრამ არამაყვალისეებრ უკაცრაოდ პასუხი კია და მაგრამ ისეთი რომ, რომ სამართლიანად ფეხებზე რომ უნდა ჰკიდებოდათ სხვებს რომ და არა არნოლდივით მოსწყურებოდათ. სინამდვილეში, ვითომც დღისით-მზისით, ჯუნგლში, მაგრამ ვინ იცის, ჯუნგლში რომელია უფრო საშიში, გამმჟღავნებელი დღეი თუ შემფარავი ღამიკო, იქ მოხვედრილი პაწია ოთხფეხი, სუმთლად ცინდალი, კნუტი, დღითაც და ღამით, ერთდროულად, რა მშთანთქავებში, ძამიკო? მაგრამ, სულელი, პაწაწინა, ვერა ხვდებოდა ან სადა იყო, სად შეთათდა, ანდა რა ელოდა, და სად ამოჰყო მოსულელო თავი ანდ, და, ქაღალდიც რომ ამტანი იყო? - ხანდახან, დღეში, სამი მოთხრობა - ლაწ, ეს რა სიბერწეე... პირდაპირ დიდი უცნაურია, ამტან ქაღალდზე სულ წერო, წერო, და წერო და ყანჩა და ყარყატი რა შუაშია თანაც ქაღალდზე და მაინც ბერწნი რომ იყვნეთ, არა?.. მაგრამაც, მერე, ვაიმე, მერე, ვუიმე, უი, მერე და მერე, ცოტა პატარას რომ წამოკატდა და ოთხივ ფეხი კენტად დაუხელდა, ვაიმე, ბიჭო! ვეჰ, პროზა, პროზა, ვაების კიდობანი, შანთის გორგალი, და, უარესიც, იდუმალი ტყე, დაბურულკანონება, სადაც სხვისია ყოველი ხე, ყველა ფოთოლი, და შენ-ად უნდა გადააქციო, ანდა, საერთოდ, გაკაფო და მხტომად ცეცხლს მისცე და რაღაც მყარ კვამლად ააშენო, ანდაც პირიქით - მოტიტვლებულზე უნდა ზარდო, ზარდო, რწყა, შენ უნდა იყვე შენივ ტყის მიწა, ჰაერიცა და მზე, და გაშენებისათვის კიდევ რაღაც, რაღაცა უფრო მეტი, ინჟინერი არა ტოროლა, ინჟინერი, ძმო, სწორმასწორია, შენ კი, სად ჩახტე, ანდა ახტნე, იცი? მეტი არაა... ხომ მაინც აფსუს, პატარავ ბიჭო, ის თვალდაფსებული ოთხთავ ფეხის სინათლე? მართლა, აგერ ახლახან ნახსენები ერთი ტოროლა უფრო სწორია იმ თვალთმაქც ტყეში, ძალიან სწორად მნიშვნელოვანი, რადგან მაყვალი რა იყო ტოროლი სწორსაქციელას ჩამოგავს რადგან, - თავისთვის გალობს, შენ კი, შენ, ნეტაი ვისი ტიკიტომარა, ის თავისთვისაა, და ამიტომაც სწორადმყოფი, რადგან ტყისაა და ერთია, თავის ბანაკში, შენ კი, შენ ტყეთა მაძიებელი, მრუდი მეტყევე, ვის დაკარგვიხარ, ტოროლაების ძალათ სტუმარი, ვითომც მპყრობელი, ხეებიანი, ფოთლებიანი, ცხოველ-მხეც-ჩიტებ-ფრინველიან-ადამიანი, მთლად მარტოკიკო. აღმშენებარე... ვინ დაგრთო ნება, რამე გებოძოს შე თვითმარქვიავ, ნეტა აბა რა უნდა იხელმწიფო, იდაყვგამოხეულო შენ, სინამდვილეში, რა გაბადია...

მაგრამ იმა საქმეშიც კი, მთლად დამწყებლურში, იდო რაღაც.

და რა რაღა რაღაც -

არამედ სიტყვის გლახობა.

ამაზე მეტი?

სიტყვა ძალიან სახიფათო რამე იყო. -

და, იმასთან დამარცხებადაც კი, აეს გლახობა, ღირდა.

თავად გლახობა თავისთავად ძალზე რთული სიტყვაა, ბევრს რასმე უდრის, მათხოვარში ნუ შეგვეშლება, ამაზე, შემდგომ, ახლა კი ორიოდ სხარტი მაგალითი

იმისა, თუ როგორ შეიძლება ერთმა უცაბედმა სიტყვამ წყალში ჩაჰყაროს ნალოლიავები წინა დანარჩენნი:

- სამტრედია თუ გსმენიათ, ყრმანო? მუნ მიდის ესე პარავოზი?

და ერთ არასწორ, თუნდაც ქართულ სიტყვას შეიძლებოდა ისე ეყვირნა? და წყალში ჩაეყარა ყველაფერი, როგორც ამ ქვემორემოყვანილი ამბის დაბოლოვებას:

ერთხელო, ჰყვებოდა ტკბილმოუბარი მიშო, ბილბაოს ამხანაგი, რომელმა უკანასკნელმაც სახელწოდებების დამახსოვრება კარგად ვერ იცოდა ნამდვილად, მივემგზავრებით ერთად მე და კიდევ ჩემი ორი ამხანაგი, ერთად კი სამნი ერთი რუსეთიდან მეორეში საწვრთნელი სწავლების მისაღებად ერთად სოციოლოგები სამვ, და შემოდის ერთ-ერთი საშუალო სადგურიდან ახლად აძრული მატარებლის ვაგონის თავისუფალ საკანში მეოთხე რაღაცა ბედის მაძიებელი, აბა ტყუილად კი არ ადგილდება ერთი ტერიტორიიდან მეორეზე თუნდაც დროებით ხალხი, შემოდის მაინცდამაინც სწორედ ჩვენთან, მეოთხე, ნამდვილი შთამომავალი რუსი, - ჰყვებოდა კეთილმოუბარი მიშო, - და როგორც წესია, უგულოდ დაძაბული ზრასტი-ზრასწიწე, და რომ განვაგრძეთ აქაურმა ბიჭებმა ჩვენ-ჩვენი შინაარსიანი საუბარი, არ აღფრთოვანდა? მოგვახალა:

- ბიჩებო, ბი-ჩე-ბო, ვი გრუზინი?

წარმოგიდგენიათ? ასე მოგვახალა.

- და, და, და, - პირში ვპასუხობთ ჩვენც.

- ვოტ ზდოროვო, ვოტ ეტო ზდოროვო, ტაკ ნატოსკოვალსია!

- ჩემუ. - მიუგო ჩვენში ყველაზე მცოდნემ.

- გრუზინსკოი რეჩი.

ვაჰ - ერთმანეთს გადავხედეთ. მივაჩერდით მერე სამვე, სამივე კარგი. ის კი, ლინგვისტი:

- ფური, ფურრი! ეტო ხლებ, და? არრა? ფური...

- და, და!

გვსიამოვნებს, გვიკვირს.

- ა ცკალი, ცკალი? ეტა ვადა, და? ილი არრა? - უხარია მას.

- და, და! - გვიხარია ჩვენც.

- ჩახახბილი, ჩახახბილი, ა! იზ კურიცი, ა! - კიდევ უფრო უხარიან მას.

- და, და! მალადეც! - კიდევ უფრო გვიხარიან ჩვენც.

- მიკვარხარ, გინაცვალი! ტაკ!? - აღფრთოვანებულია ის იქ. ვაგონში.

- ტაკ, ტაკ, დვაჟდი მალადეც! - აღვფრთოვანებულვართ ჩვენც იქ. ვაგონში.

- იი, ი, ბაკა... ბაკაკი ცკ... ბაკაკი ცკალში კიკინებს?!!? - შეიოფლა, ცოტა.

- და, და, და, ტრიჟდი მალადეც! - მშრალები ვართ ჩვენ, მაგრამ მასზე არანაკლებ აღფთ... აღრთ... აღფრთოვანებულები, როგორია, ა, მშობლიური ბაყაყ-გენაცვალეები, სადღაც სარატოვთან? გაგვიმშობლიურდა, ვაგონი, და დათოვლილი გაჭენებული ტრამალებიც კი, აკოშკაში, ცნობისწადილმა ძალიან გვძლია, ზაინწერესოვალის ძალიან, რაღა, და დავეკითხეთ: - ნო ვი ოტკუდა ზნაეწე, გეთაყვა?

ბოლო სიტყვისათვის ყურადღება არ მიუქცევია:

- ა ატტუდა ზნაიუ, გინაცვალი, ლეტ ტრიდცატ ვოსემ ტომუ ნაზად ია ბილ ვ სოლნეჩნოი გრუზიი ვ დლიტელნოი კომანდიროვკე, ი, ზაპომნილ, კაკ ვიდიწე. - დაწყნარდა, პატარა, მშობლიურ ენაზე რომ ჩამოქვეითდა.

- კაკ ეტო, კაკ, - გულწრფელად გვიკვირს, - პრაშლო სტოლკო ლეტ, ცელიხ ტრიცატ ვოსემ, ი ვსოჟე პომნიტე?

- და, და. - ამაყად ამბობს იგი, იქ. ვაგონის ოთახში, სარატოვის მისადგომებთან. და გინდაც სამხმიანი მრავალჟამიერ ერთმა იმღეროს, აღარ გაგვიკვირდება. მაგარი ჩანს ისე.

- კაკჟე ზაპომნილი, ეტო ჟე ფენომენალნო, ფენომენალნო, - ვუღიარებთ მახსოვრობას ჩვენ და სოციოლოგიური ანკეტები გვახსენდება - ინდივიდია, იგი.

არაფერს ამბობს, თავმომწონედ სდუმს.

იპრანჭება.

- ა კაკჟე, კაკჟე ვსოჟტაკი, კაკ!?

სდუმს. კვლავაც იპრანჭება. ოფლებს იმშრალებს.

- ნეტ, ნეტ, ვსოჟტაკი, უმალიაემ, კაკ ზაპომნილი, კაკ! სკაჟიწე პაჟალსტა...

ხოლო აქ რუსმა თავი ამაყად შემართა, ამაყადვე მიიკაკუნა თითი საფეთქელზე და, მთლად ამაყად თქვა:

6.

- ტრაკი ნადა იმეც!..

აიი, ასე, ეს პასაჟირი ინდივიდი რო გვეგონა ჩვენე, - განაგრძობდა თხრობას ამოდმოუბარი მიშო, - არ გადაიქცა იმ ერთი სიტყვით ინდივიდიდან სისულელის დივიდენდამდე?, ასეა, ასე, დაემახსოვრებინა, გენაცვალე, რაღა, - განაგრძობდა მწყაზარმოუბარი მიშო, - დაემახსოვრებინა იმ შობელნაშობს ეს ჩვენებური ჭკუა-გონება-თავი-მახსოვრობა როგორ ითქმის სწორად და არ ეთამაშნა ბაყაყური იმ

ტრამალებში, უკეთესი არ იქნებოდა? ჰოიი, ბედნი... სადაურსა სად წაიყვანო. და თურმე, ოცდათვრამეტი წლის შემდეგ, რისთვის... რას ათქმევინებ... ეეჰ.

დანაღვლიანებულიყო ვითომ მიშო, ძეწნისფერთვალებიანი? რას გაუგებდი...

- იცით, - თქვა დუმილის შემდეგ ერთ-ერთმა მეზობელმა, არაა საჭირო დასახელება, ბილბაოსი არ იყოს, - ეგებ ის რუსი კი არ შემცდარა, არამედ ვინმე მაკვარანცხმა ქართველმა შეასწავლა განგებ ასე? აბა იმდენი სიტყვა თუ დაიმახსოვრა სწორად, რაღა თავტრაკში აერეოდა და გაებლანდებოდა ენა?

ესეც აზრი იყო.

ეეეჰ, უნებური შეცდომა იმ ვიღაც ბილბაოს მიხედვით ყოვლად უსახელო რუსს კი არა... თვით სალტიკოვ-შჩედრინსაც, ერთგან, თავისთვისაც კი უჩვეულოდ წინასწარმეტყველურ ნაწარმოებში ბილბაოსეებრ წესითა ჰყავს გამოყვანილი ვინმე „ჩეჩენსკი კნიაზ მიკალადზე“, რომლის დამუხტული თავკაცობ-მმართველობის წელქვეითა მმართველობაში ნამდვილ რუსთქალაქ გლუპოვოს მოსახლეობა შთამომავლობით ბარე ორჯერ გამდიდრებულა, თავად ხვად კნიაზ ჩეჩენსკი მიკალადზე კი კანონზომიერი გამოფიტვისგან ლოგინის გზაზე გარდაცვლილა, ტიროდნენ ზანგის ქალები.

აის მეხუთე, უღირსისათვის გამორჩეული, დიდი სალტიკოვ-შჩედრინი იყო.

არიან მწერლები, რომ აშენებენ, აშენებენ, მათი თავი და თავი ხელოვნება, ეს - გამუდმებული შენებაა, უდიადესი მათგან ალბათ კი, ცხოვრებად - წარმავალი გრაფი და სინამდვილეში კი მშენებელთაგან მარადცოცხალი მეფე - ტოლსტოი, გარეგნულად როგორი კუშტი, თვით ძნელადჭრელა ხალხსაც, ბავშვებიდან და მხვნელ-მთესველთაგან მოყოლებული, ფერად ქალებსა და მეომრებამდე, თავის ვრცელ სამწყსოს, როგორ აშენებს და აცოცხლებს, და როგორ აცალკევებს მათგან რომელიმე რჩეულს, როგორ აღაგებს თვით ნატაშას, პირველ სამ წიგნში ჰაეროვანს როგორ, მისთვის, მწერლისთვის დიდმასალად ყველაფერია, თავისი თიხა, ჰაერი, წყალიცა და მზე, იმან ყველაფერი როგორღაც დიდი გაბუტულივით, თავისთვის და ჯიუტად იცის, აბა მიდი და ნუ დაუჯერებ, მხრებში ჩაგჭიდებს ღონიერს როგორ, ჭანგებივით თითებს, და წინ გაგიგდებს, ან ცოტათი აგწევს და წაგაკონწიალებს საითაც უნდა, ანდა, პირიქით, ზურგშექცეული ვითომ, რა ლბილად დამყოლ მსახურივით დაიხრება და შენს ხელებს მხრებზე დაილაგებს და, ორად მოხრილი - ეს შენთვის, შენთვის - შენც მისკენ დახრილს, მასზე დაყრდნობილს, მწედ გაგიძღვება; სად არ გინდა რომ მოგატარებს, მდინარეებზე გადახვალთ ჩუმათ, ჩუმათე, შეიარაღებულები, გმირის სიკვდილით აღგაზევებს, ორმოში ჩაგსვამს, და თუ დიდთოვლობაში დამფრთხალ კურდღლებზე განადირებს, დიდ ლეკთან ერთად უნებურ ოპერმაცქერლადაც დაგსვამს, მერე მთლად შეგძრავს, იმ დამტყვევებლებზე რამდენად მეტად ამა ამაყმა მთიელმა ტყვემ როგორი ბრძოლა იცოდა თურმე, და თუ რის შემდეგ - რა ადგილია! - სამუდამოდ უარყო შიში, უცხო ქალაქში რამდენს ნიშნავდა მისით ნათქვამი სიტყვა, ვითომდაც თითქოს დატყვევებას შეგუებული, ბავშვობისას თუ შინ დედიანი, დადუღებისას - აჯანყებული ვრცელდედიანი მეთაურისა, და ორ

ცეცხლშუა, საფლავის კარამდე როგორ სასტიკად გადამტერებულ მთლად მეთაურსა და ზარბაზნებიან, შტიკებიან დამპყრობლებს შორის, დატყვევებულიც, კაცი იყო და მერე როგორი, ძუნწ სიტყვებშიც კი როგორა ჩანდა, და როგორ სხვაგვარად სულ სხვა იყო და მაინც როგორი ამაღლებული ნატაშას ლაღი სხაპასხუპი, კაცს მივუბრუნდეთ, ვის ჰყოლებია თუ არა ტოლსტოის, ისეთი კოჭლი მამაკაცი, რაგინდ სიმაღლის, მთების შხვართი და ამაყი შვილი, და სამშობლოსი მუდამ, ისეთი, რომ მეტისმეტად შორეულ პეტერბურღშიაც, ვითომაცსწორა ტაფობ-ქალაქში, აი იქაც კი სულ მთებში იყო, მართლა მთებში - „ტაფობი - ჩავარდნილი ადგილი მთებს შორის“ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, და ვის ჰყოლია, თუ არ ტოლსტოის ისეთი ქალიც, ნამდვილი არა, ზეაწეული ფაქიზად როგორ ანუ ნამდვილზე უფრო ნამდვილი ბავშვობიდანვე, როსტოვების ქალი, ვინც თვით ტოლსტოის, იმ ლეკთან ერთად, ერთება-დ ჰყავდა, მეპატიოს, ჰყავს, რა ნაერთი ეს, მაგრამ იმათით როგორ ძალიან გამარჯვებული, მაინცდამაინც არ იმჩნევს შვებას კი არა, სულაც არ ჰღელავს, ნაღდმპყრობელთაგან გამორჩეული, ისევ კუშტია, მოღუშული, და არ გაურბის ნაცადი ხელი, მშვიდია თითქოს, სინამდვილეში კი თავისი როგორ მყარად შენიღბული, - თან სიმარტივით! - თავისი როგორი ტევადი სულის ორეულის - ტოლსტოისათვის გონება და ხელსაწიფია, თუმცაღა ტანჯვით, თუმც, რაღა თქმა უნდა, ტანჯვით და ტანჯვით, ქალად, თან ბავშვად გადაქცევა, ნატიფი სულის მთლად შეფარვითი დავანება იქ, ქალსა და ბავშვში ერთდროულად, ანუ უცნაურ, ამაღლებული ნიადაგის, მიწის ქალღმერთზე, ის - თვითონაა, ეს თვით ტოლსტოი ღელავს როგორ პირველ მეჯლისზე, ნატაშა მხოლოდ გაუმჭვირვალი შესამოსია მისი, სამაგიეროდ, ტოლსტოიცაა იქითსამოსი, როგორ ავსებენ ჰაეროვნება და კუშტავობა ერთიმეორეს, და გული კი ერთად უფრთხიალებთ, არკი ცდილობენ დაიმჩნიონ, და ჩვენივ გულის აძგერებით მაინცა ვხვდებით, თუ რამცა დღეშიც ორნივ არიან, და რა მეჯლისიც ადგიათ აემ როგორად განსხვავებულებ, სწორფრებს, და დინჯი ვითომც გამმცოცხლებელი მძერწავი და მეტიც უფრო - სულის როგორი მასესხებელი, ფარულად როგორ ღრმად და თანაბრად სუნთქავს ვითომ და სულთავისუფალ მისით ნატაშას, თვით სიცოცხლეში შეყვარებულს, ქაღალდის სათნო, ცელქ ფერიას, როგორ ლაღად და სხაპასხუპით აქეთ თავისას ალაპარაკებს და დასტურ აცოცხლებს - ასუნთქინებს, კი... მისით ლამაზი ღამითაც და, პირველ მეჯლისზე...

ეს მეფობამდე მაშენებარი, მშენებარა, მაშენებარე, მშენებელი გრაფი, ტოლსტოი.

რუსი.

- სულ ყველა ხალხში არიან კარგიც და ცუდიც ხოლო ცუდი უფრო, - აღინიშნა ბილბაოსაგან, - მაგრამ ირლანდიელებია თუ ინდონეზიელები... ეე... ინგლისელები?.. ეე... მოკლეთ, გენიოსები თურმე ყველაზე მეტნი რო ყვანთ, რამ დამავიწყა... ინდოელები?.. ინდიელები?...

- იტალიელები, ძმაკაც? - ჯიქურ შეეშველა მიშო. იგი ამხანაგი იყო მისი.

- ჰო რაღა. იმათშინც ურევიანთ თურმე კარგი და ნცუდი.

ბგერა „ი“-ს გარდა, რატომღაც ბგერა „ნ“-არის ტალღაზეც იყო.

- ვინ გითხრა.

- ეე... ნოდარიამ.

- რომელმა.

- ნინუამ.

- ნაყოფიამ?

- ნაყოფიამ, ჰო.

...

- კაცია თუ ქალი.

- აბა მე რავი, ნინუა შეიძლება კაციც იყოს და ქალიც.

- როგორც ნუნუა - ღვინოც და ქალიც?

- აბა!? - გაეხარდა ალალ ბილბაოს.

- და, ნოდარია?

- ნოდარია? ეე... ნოდარია - კაცი!!

- აჰა... და ნოდარიასთან იტალიელი გენიოსები რაღა შუაშია?

- რომ იმანთსაც კი ყვანთ და ურევიათ კარგი და ცუდი. მე კი ადოლფა მუსოლინნის ძალიანნ კარქი...

არ დაუმთავრებია.

შესაძლოა იმიტომ, რომ დორეს გრძნეულ თევზებთან ახლოს იყო, წყალთან, ჩვენ კიდევ ძალიანი მოგვწყურდა არნოლდი, და აკი იმ დიდმკერდა ქალსაც არნოლდის ხსენებაზე ერთხელაც არ შეუგინნია.

მიშომ უყურა, და თქვა:

- კიდევ კარგი რომ, პირველი ასო მაინც გამოიცანი.

- რომელი პირველი ასო, ბიჭო... რას ლაპარაკობ ამდენ ხალხში.

- რომელი და, ი!

- რაისი ი, ბიჭო... ი-ს რა უგავს იმას...

- რაისი და იტალიის, არ შეგიძლია ეს ლაპარაკი და, რატომ ლაპარაკობ რომ ლაპარაკობ! რასაა რომ ლაპარაკობ, ა!

- კარგი ჰო, კარგი, ნუ აყეფდი ახლა კატასავით.

ბატისფრთა და კალმისტარი აქაურობას და, ამ დაბალ შემთხვევაში, სულ ფლობერს არ ჰგვანდა? ის სანამ მთელ თავის არსს, არსებას და არსებობას, და შესაძლებლობას, და უფრო მეტსაც, წელმოწყვეტამდე, სადამდეც უნდოდა იქამდე არ ასწევდა, და არ ათრევდა, ნებაყოფლობით კატორღელობას არ მოიშლიდა, ეს დიდი მეტვირთე, დიადი მზიდავი, ვერა და ვერ და ვეღარაფრით მოისვენებდა, ისე კი, იმ კრული ტვირთის მეტისმეტობით გამწარებული, მისავათებულზე, მოთქვამდა კიდეც, ეს რკინის კაცი: „ეს რა წუმპეში ჩავიგდე თავი!..“, „რა საზიზღარი სამუშაოა!..“ „ო, ხელოვნება, ხელოვნება! ეს რა ბოროტი ქიმერაა! და რისთვის გვიღრღნის იგი გულს?..“ „პირდაპირ უგუნურებაა ასე ტანჯვა! ოჰ, ეს ბოვარი, დიდ ხანს მემახსოვრება!“ „ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ფრჩხილებში დანის წვერი შემირჭვეს, მზად ვარ კბილები ვაკრაჭუნო!“ და, როგორი მძაფრი სიმართლე უცებ: „საშუალოზე, კარგად დასწერო და ამასთან მისი სახეც დაიცვა, საშინლად ძნელია...“ და მაინც, წერდა, და როგორ წერდა, ჭაობის მყვინთავი... ეს თავგანწირვა, მთელი თავისი შეძრული გულის, განმსჯელი გონებისა და აღმსრულებელი მარჯვენასი მსხვერპლად მიმტანი: „ეს წიგნი ამჟამად ისე მაწვალებს (უფრო ძლიერ გამოთქმას ვიხმარდი, რომ მოვიგონებდე), რომ ზოგჯერ ფიზიკურად ვიტანჯები. აი აგერ სამი კვირაა ვგრძნობ ტკივილს“, - რის სამი კვირა, წლები, წლები! - „რისგანაც თითქმის ვკარგავ გონებას. ხანდახან მგონია, გული ამერევა და აქვე წავაღებინებ-მეთქი...“ ეს, მწარედ დაღალულზე, რადგან, სულმოთქმული, ისევ მაგიდასთან და ისევ ბატის ბეჩავი ფრთითა და საწყალი კალმისტრით აკაწკაწებულ ხელში, ამიარაღა საბრალო და მძლე მეომარი ეს, ამოსარჩევი სიტყვების ზღვებთან წვეთობით როგორ გამარჯვებული, და ძალიანზე უფრო ხშირად კი რომელიღაც მორიგი ერთით, ერთადერთი სადღაც გატრუნულ-მინიღბული ჯიუტად მარტოკინა სიტყვა-თი გზააბნეულს, აზრის ბოლომდე ვერგამხედნს, და დროებითი მარცხით გველეჭვებ დასეულს როგორ - „კმაყოფილებით ჩამოვიხრჩობდი ახლა თავს, სიამაყე რომ არ მიშლიდეს ხელს. ზოგჯერ დამეუფლება ცთუნება, ჯანდაბას მივაგდო ყველაფერი, უწინარეს ყოვლისა კი ბოვარი!“ და, თუ მდარეწარმოსახვებიანი მალამოსაგან შორსა ყოფნას დიდად ლამობდა - „ჩემი ერთ-ერთი პრინციპია, არ შევიტანო ნაწარმოებში საკუთარი „მე““ - მაგრამ, ამ გადაწყვეტილებაზე რამდენად უფრო მართალი, რამდენჯერ უფრო მეტი, აუცდენელი და ვერავლილი, ეს ჭაობისეული აღსარება: „მადამ ბოვარი, ეს - მე ვარ“.

მაგრამ ტევადი ჭაობი იყო.

და, ამის მტკიცებად, უნებური თვითდამკვიდრება, ეს უცნაური ურთიერთ-შექმნა: „მიტაცებენ, არ მასვენებენ ჩემივე წარმოსახული პერსონაჟები, უფრო სწორად მე, ვისხამ მათ სისხლსა და ხორცს“; „როცა ემა ბოვარის მოწამვლას აღვწერდი, პირში დარიშხანის ნამდვილი გემო მქონდა, ვითომ ისე ვიყავი მოწამლული, ზედიზედ ორჯერ ამეშალა კუჭი და მთელი სადილი წამოვანთხიე...“

და მაინც, ამაეების ფასად, ჭაობზე მოტივტივე ქაღალდა-ჯილდოდ, ზოგ მოთვინიერებულ წინადადებაზედ სიმწრით ამოყვინთულზე დამხედვარი, და ალაგ კი არა, ყველგან, ყოველგან მაინც თავისას, „საშუალო“-თი მაღალს მიღწეული, ძალიან ხშირად ამბობდა ამას, მაგრამ ყოველგვარი აღფრთოვანების

გარეშე, თუმც კი როგორი ფარული გახარებითა და სიამაყით: „სტილი - ეს ყველაფერია!“ „ძვირი გვიჯდება სტილი, სტილი!“

და მაინც, აეს მუდმივი: „ზოგჯერ თავს განადგურებულად ვგრძნობ. არასაკმაოდ ძლიერი გამოთქმაა...“

განადგურებული, და, მეტიც იმდენად, უფრო? რადგან, „მადამ ბოვარი“ -

დიადი რომანი,

შეჰქმნა.

მეტი, ვთქვათ აქ და, მეტი რაღა უნდა ნდომნოდა... -

გამარჯვებული სიზიფე...

და, უცებ, რამდენი ხანის წინანდელი, და, ჯერ კიდევ იმა ადრეულ ერთსა მშვენიერსა ღამესა თუ შუაღამით, მთლად საბოლოოდ გადაწყვეტილი ბედისწერა: „დღეს მე სულელი ვარ. იქნებ ამის მიზეზი მთვარის მშვენიერი სინათლე იყოს“ - „სალამბო!“ სალამბოც, შორი, რა უცხოდ შორი, ისიც კი თავად ბრძანებულა ყალბად კი არა, მართლა დიდოსტატი. და თუ ბოვარის დროს, ქვური თავშეკავების ხანაში, თავშეოკებით არამცთუ ტანჯვით იტანჯებოდა, თავისი თავის დუღაბადქცეულ პატრონს, ასე ეგონა თუ, რა ჯანდაბას ვიქმ, ეს რას ჩავდივარ, რა უნდა ვწერო და ამას რასა ვწერო, და ჯერ კიდევ როდის, მისი რაოდენ ტევადი დღეის ჩაღმა, ადრე, ისიც კი უთქვამს, რომ „პოეტად გახდომისათვის რომ საკმაო ყოფილიყო მგრძნობიარე ნერვები, მე ჰომეროსსა და შექსპირს ვაჯობებდი“ - და თუ ყოველი ძნელი ბილიკის - წინადადების ანუ, და იმ ბილიკის ყოველ წყევა-ნაბიჯზე, ანუ სიტყვაზედაც კი, იმ თავის მგრძნობიარე ნერვებს იოკებდა, როგორ მიუშვა და მიუშვა მთელი თავისი ის აწყვეტა და აჰ როგორ მდიდრულ, და მაინც ჭაობს, როგორ აღსავსეს ძვირფასი თვლებით, მბზინვარეს როგორ, მისცა თავისი ნაბოვარიალი თავი.

როგორღაც, მაინც მოთოკილად, -

აკი დიდოსტატი იყო.

დაწერილა კი როდესმე რაიმ ასეთი ვრცელი, ასე მსხმოიარე; აქ, უცხოსა და მისივ ჭაობში ჩაყვინთა და გაჭენდა რომ? - რომელი ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ენათმეცნიერი, არქიტექტორი თუ ხელოვნებათმცოდნე თუგინდ ყველა ესენი ერთად, გაგიცოცხლებდა ისე კართაგენს, როგორც ეს ერთმა საბრალო დიდმა ტანჯულმა შესძლო. ფლობერმა გვარად, თუ არა გჯერათ, აგერ ბილბაოს ჰკითხეთ, რომელი ძნელი სანახავია, მაგრამ რაღა დროს სიცილი და ჭკვითღლაბუცია, ხოლო ძალიან ძნელი კი არა, შეუძლებელიც სათქმელია, რომელი უფრო დიდი რომანია უნაკლოობით, I - ყოვლად ნაწამები თავშეკავებითა და ნებისყოფით საწყალარსებაჩასაღვრელი მისდროულიყე „მადამ ბოვარი“, თუ, II - ნაწამებივე თავშეკავებული ნებისყოფით ყოვლადმსუყე და შორეული როგორ, წარსულითაც და მდებარეობით, არსებაჩაღვრითვე ტანჯულსულ შთაბერილი,

თავს რა და რა არ დატეხილი, რაგინდა წუმპის თავიგვირგვინი, მარადქალწული მაინც „სალამბო“, ჭაობის ფსკერის გრძნეული ცისარტყელა.

მაგრამ აქ უკვე, სალამბოსთან, იმისობაში, თავის შრომისას ისე აღარა ჩიოდა.

რადგანაც, გვემით - ძალიან მჩატე გამოთქმაა, მისი არ იყოს - უკვე ჰქონდა, თუ ჰყავდა, თუ ჰყავს, ის სამუდამი მადამ ბოვარი, - ათვისებული.

...აკიღა ვჩივით, ეს ვერავითარ წარმოსახვას ვერ ექვემდებარება - განა შეიძლებოდა, ერთსა და იმავე გონებიან და გულიან ხელს დაეწერა ორი ისეთი განსხვავებული რომანი, როგორაებიც ესენებია? თანაც, „მხატვრული“ გაგებით, ყოვლად უნაკლო. ერთი როგორი მხოლოდ ფრანგებიანი, თითქოს, და, მეორეში კი, რამდენი ჯური, რამდენი ზნე და ჩვეულება, ადათ-წესები, მთელი აფრიკა, ევროპა და კიდევ აზია, რა ჩაცმულობა, მიდრეკილებები, და რაოდენი თვითბოროტება, კერპად წარმდგარნი, დაბალი გონით მოოჭვილები, და მზარეულური მიდგომითაც კი, რომელ საცოლშვილო ბაბუასა თუ გაუთხოვარ ბებია შეფ-პოვარს („სალამბო“-ზე ძნელია სხვაგვარად, სულ მძიმე-მძიმედ ლაპარაკი, ხანდახან ხუმარაობით ქვეშიდანაც უნდა გამოხვიდე, თორემ დაუნდობელი ჰამილკარივით გაგსრესს) მოელანდებოდა იმდენი და ისეთი დახვეწილიცა და უმად ველური (ხვლიკი, რვაფეხა, კალია) კერძი, რა ქანდაკებები, ზოგიც უშველებელი და ზოგიც ისეთი მომცრო რომ დორეს თევზებისავით, დორეზე, მართლა, უი - რა საკრავები, მებრძოლთა მიწად დაცემამდე გამყივანნი, და ზოგიც ამო, ამოსაკენკი თუ სულის ფაქიზად შთასაბერი, სევდით ფარფატა, ყურის გამდელი, შვებით მალამო და იქვე, გვერდით, როგორ და როგორ განსხვავებული დაუნდობელი იარაღი - აქეთ, საფრანგეთში, მოსაკვდინებლად თუ მხოლოდ დარიშხანი და ბოროტი ქცევა და სიტყვა, აი იქით, იქით - ხის დანები და უზარმაზარი, საალყო, დიდ-დიდ ზღუდეთა განმგრევი მანქანები, სპილოს ძვლის სამთითები და ქვის ხელნაჯახები, და რკინის დაკბილული სატევრები, ახლო კომბლები და საშორითო - ბოდიშს კი ვიხდით მაყვალისავით - მაგრამ საშორითო აალებული სხარტი ისრები და, ეე, იმასავით შუბები, და, უკაცრაოდ პასუხი კია და, მუშტიც.

რა ცხოველები, და ფრინველები, რისი აფრიკის ნაკრძალები, თავშესაქცევად ჯვარზე გაკრული სუნთქვაამოხდილი ლომებითა და, საბრძოლო სპილო-სპილოებით მოყოლებული, ჯიუტად ცოცხალთ, ავბრძოლებში რომ მრგვალ, სვეტებივით ფეხებქვეშ ეზნიქებოდათ შერყვნილი მიწა - სისხლით ტალახი, დამთავრებული სვავებითა თუ მთლად მცირე ჩიტებით და მათი, ჩიტთა სასკუპსკუპო მარმარილოს იატაკები, მოზაიკური ბილიკები სასეირნოდ აჰ, სხეულის როგორი აზიზად მოვლა ნელსაცხებლებით და ბავშვების დაწვა, იმათი კვამლით ვედრება ცაში, როგორი ძღომა, როგორი სმა და ან რა წყურვილი, ვუხხ, მოწყურება ისეთი რომ, რომელი არნოლდი, რა სიმყრალე და სიბინძურე და იქვე, გვერდით, უკაცრაოდ კი პასუხია და, სუნამოები, რა ვაჟკაცები, როგორი ლაჩრები, რაგვარ მდიდრები და ღატაკები, რა სიყვარული, და სიძულვილი, და ნეტა რომლები იყვნენ უარესები უფრო - ის ვითომც დახვეწილი კართაგენელები თუ ის ველურები და ბარბაროსები, კაციჭამიები, გადატანითი მნიშვნელობით კი არა, მართლა, და, მუცელაყმუვლებულზე, გვამიჭამიებიც კი, და იქვე, მათში,

შუაგულში, მთლად გარიყული, კენტი სალამბო, მთვარის ქალწული... ყველაზე სპეტაკი წარმართი.

რომელიც როგორ ეკრძალებოდა თავის ღმერთს, მთვარეს, თუმც კი გრილ ხელებს გამუდმებით მისკენ იწვდიდა, და იქვე კი, გვერდით და დაბლა, გველი რამ ჰყავდა, შავი და დიდი პითონი, გულუბრყვილობით, ხანდახან კიდეც ეფერებოდა, იმას, მაგრამ ძრწოლანარევი მოწიწებით უყვარდა მხოლოდ და მხოლოდ ცალიმთვარე, და, ქალისა და კაცის ვერგანმსხვავებიც კი, მხოლოდღა იმას ჟრჟოლადავლილი ექალებოდა, ნელსაცხებლებით, ბოდიშ მაყვალჯან!, უმანკოტან, ფეხ, ფრთხილად ზელილი; ეს იმისათვის ეჭვით ირჩევდა ყველაზე ლამაზ როგორ და როგორ სამკაულებს, ვინ გამოჭედდა იმ სამშვენისებს მხოლოდ სიტყვებით თუ არ მაშვრალი, და მთვარის შუქში ფრთხილად დგებოდა ის, თავად მრისხანე ჰამილკარის ნაზი ასული, თავს აყვარებდა როგორც შეეძლო, და სხვადასხვაგვარ ვარცხნილობებს ღელვით და კდემით იგონებდა, ეული, და უხვ ჯიუტ თმას მაშუქისთვის იმორჩილებდა, კოშკად იდგამდა შეყვარებულ ლტოლვია თავზე, მეტისმეტობით, იისფერ ფხვნილს იყრიდა ხოლმე და, სიბნელეში ამგვრივ ლურჯად აბზინებული, მთოვარებაში, ზემოთკენ შიშით იცქირებოდა - მოსწონდათ, თუ არ, და იმის ტბორში, ოღონდ სალუქში - თვით ჭაობიც ხომ შეიძლება იყოს მიგნება - ნელა ბრუნავდა, და, მბრძანებლისთვის აზრმრავალა, უფრორე მეტის გამბედაობით, მარმარილოზე პარვით წვებოდა, მონადმორჩილი, და სუსტ, სუსტ მხრებზე ჩანჩქერად დაყრილ თმიურ კუნაპეტს დაფშვნილი ოქროთი იბრჭყვიალებდა, ეხამებოდა გინდაც, და როგორი ძრწოლვით ამზეროდა თავის შორეულ ერთადერთ ახლობელს და, თავისას, უცნობს, რა თვალებით ებჯინებოდა, იდუმალება - აი, სწორედ აეს ხიბლავდა, და მაინც, ხანდახან, გვგონი, რომ ამაორიდან, რომანებიდან ანუ, რაღაცით მაინც უფრო მეტად დიდია „მადამ ბოვარი“ იმ ავტორისა, რომლის გვარიც, ბერია რა იყო, ფლობერია.

და, ფრანგული ენის ყოვლად არცოდნის მიუხედავად, მაინც ყოველგან იგრძნობოდა თუ რაც სასწაულები ხდებოდა ალბათ დედანში ყოველი ამძივებული უსინონიმო სიტყვით, ყოველი ასოთიც კი (მოგეხსენებათ, მარცვლებს ითვლიდა), მისი სმენისას ბგერით ასეთი სასწაულმოქმედი, უაშკარრითმებო მწერლებში თურმე არსად მოიძევებოდა, ბედნიერ გამონაკლისად არაპროფესიონალ ქართველ ბილბაოს თუ არ ჩავთვლით, რომელმაც ერთი, ერთადერთი ბგერით პირდაპირ გადატრიალება მოახდინა და იმა ბგერით ასოებიც კი შესცვალა მთავარ-მთავარი, ეს ასე მოხდა: ერთ მშვენიერ დღეს, თუმცაღა ამინდს რა მნიშვნელობა ენიჭება აქ, ამინდი აქ ჩრდილშია, როდესაც ერთხელაც ეზოში რომ შემოვიდა, პირველსავე შემხვედრს, ანუ მაინცდამაინც დორეს, ასე დაეკითხა:

- მაშო, სახლშია?

- ჰა! - შეცბა დორე, - ვინა?..

- მაშო, მაშო!! რამ დაგაყრუა... ტყუილა არ ამიყვანო.

- ვინ მაშო, კაცო, ა... ეგეთი არ გვყავს.

- ვაჰ!! გამაგიჟებს ეს კაცი...

ხოლო რადგან ესე ძლიერი დაძახილი: „მაშო, მაშო!!“ - ძველებურ ეზოში ყველამ გაიგო, გადმოიყო აქეთ-იქიდან სხვადასხვა შესაძლებლობებიანი თავი, და ერთმა იაზრა:

- რომელი მაშო, მიშო?

- ჰა!.. ჰო რაღა, მიშო... - კარგა ხმადაბლა აღიარა ბილბაომ, რადგან დაირცხვინა, - მიშო სახლშია? ჰა...

და აი, იმ ერთი, ერთადერთი ასოთი, მეცხრე ასო „ი“-ს პირველაასო „ა“ -თი შემცვლელმა, აი, ბილბაომ პირდაპირ სასწაული მოახდინა ასოებში ყოვლად ულანცეტოდ, ხოლო ასეთი პოლარული გადაკეთება, რაც არ უნდა დამაშვრალიყო, ალბათ თვით სიზიფეურ ფლობერსაც კი ვერ ხელეწიფებოდა, ამ ბილბაომ კი, აი, ასე უბრალოდ, ქართულა ბაჯაღლო ნიჭით გამოუცვალა ვაჟკაც-კაც მიშოს, ვისაც ნამდვილი ჯიგიტურიც კი ბოხოხი დამშვენდებოდა, სულ სხვა თავსაბურად, მაგრამ აკი მოგეხსენებათ ჩვენ-ჩვენი, ქართველების, შურიანი ზნე; აი მაგალითად:

- სახლში კი არა, შინ. სახლშია არასწორი გამოთქმაა. შინაა, შინ... ვერ ხედავთ, როგორ დაგჩერებიათ?

იგი ფილოლოგი იყო.

აემ შენიშვნას რა უჭირდა, თქვენ ამბის განვითარება მერე უნდა გენახათ, ზემოთ, ეზოს დონიდან მეორე სართულზე:

- ვინაა, ბიჭო, შენი მაშო!

- რა მოხდა ერთი, ცოტა შემეშალა.

- ცოტაო?! ო!?!! ჰჰჰხ, ცოტა... ცოტა კი არა, განგებ ქენი!.. ვერ ხედავ, როგორ ფხუკუნებენ!

- არა, მიშიკო...

- არც ეგ კო მინდა!! რა მაქ მოსაფერებელი!

- არა, კარგი, ჰო, მიშო, მიშო...

- არ დამიძახო ამიერიდან არასახელი!

- კარქი.

ვითომც ჩაჩუმდა, მაგრამ თურმე მხოლოდ შესუნთქვისათვის, რადგანაც იქვე:

- მომჭერი!, ხომე!, ბიჭო!, თავი!!! მეტი კი არ უნდათ ამ ქუჩის ბავშვებს! დიდებს, თუგინდა... შე აფრიკულო შლაპა!

აბა რა ექნა ბილბაოს, თუმც უნებური, მაგრამ ყურსაჩინოდ დამნაშავე იყო; რადგანაც, იმას, ვისაცა რომ დიახაც რომ დამშვენდებოდა ვაჟკაცური ბოხოხი, იმ ერთი ბგერით, ანუ ასოთი თვით თავსაბურიც კი სადღაც წარმოსახვაში სულ სხვა თავსაბურად გადაუკეთდა: „მაშოუ (მიშოუ) შეენმა მანდილმაა, ჰაერში გაიფრიალაააა“-დ.

- შე ქუჩის კინტო, შენ!

- კარგი რა, მიშო... არ იცი განა, ეგ მინუსი რო მააქ?

მაგრამ ყოფილი მიშო ისე იყო გამგზნებარეცეცხლებული, რომ, ბოლოს და ბოლოს, „შენ, ბოლო-ბოლო, ვიღაცა ხარ, ვის ჩაუნტვრევ შენ კბილებსა!!“-მდეც კი მივიდა ორი დოცენტის საქმე.

კბილების ჩამტვრევა...

კბილების ჩამტვრევა კი არა, მწერალი იყო ერთი ისეთი...

ვინ და, ფოლკნერი.

რისი კბილების ჩამტვრევა... ეს შარაგზის ყაჩაღი, დაბურულ ტყეთა ავაზაკი, და დღისით-მზისით შუა ქალაქად ამაყი მძარცველი, სულ უკანასკნელს შემოგაძენძდა, თავში თუ ოდნავ გედო რამე, ღონიერებით თავხედი, ურცხვი, ტვინის ჯიბგირი, ზედ შუა ხორხში წაგიჭერდა დაკოჟრილ თითებს ფერმერისა და, შენ კი, სულელი, ისე და ისე უჯერებდი ბოლოს და ბოლოს, მეხუთე თუ მეშვიდე წაკითხვისას, თავად იჩრიდი გორგალს ყელში რომ არ გეყვირნა, არა და აღარ მოგეშვებოდა, სად უჩივლებდი, შენდა მაღალ ჭირად, შენ თვითონ შლიდი... შენ განა თვითონ არ შერბოდი იმ ჯურღმულ ტყეში, ის რომ ანთებდა?, და უთანაბრო ჭიდილში, ზედაც რომ კიდევ იმას რაიმე აკრძალული ეხმარა ხერხი, სუდიაებთან ვერაფერი გაგივიდოდა, რადგან მოწმეებად სულ მისიანები ჰყავდა - თეთრები, შავები, ინდიელები... მარტოსული გახლდათ. არა, აარა, აის ისეთი იყო მხეცი, როგორსზედაც რომ თავად მასაც კი, რა მონადირეს, მისდღემჩი არ უნადირნია, წამდაუწუმობის გარდა - ის შენი იყო, გინდაც განსმდგომი, ამაყი, დინჯი, თავშეკავებული და აწყვეტილი, გულზე დიდ მკლავებ გადაჭდობილი, მოუთოკავი, ამაყი ბილი, თავზეხელაღებული როგორ, ის, შენი იყო, თუკი შესძლებდი... ოღონდაც მეფედ. ვერ შესძლებდი და, არ დაგიწყებდა კალთების ხევას - ამაყი იყო და განზე იდგა, მერე როგორი.

აღვირახსნებულად, დინჯი.

და უღირსი ვერაფრით, ვერა, ვერ ხვდებოდა, თუ როგორ შეიძლებოდა თუნდაც მხოლოდ აი ამითი - „ადგა და წავიდა“, ან „მოვიდა და დაჯდა“-თი, დიდნდობის შექმნა, აი, ეს ყოვლად მშრალად მარტივი წინადადებები ხომ სხვებისათვის ხომ მთლად ვერაფერიშვილი იყო ეს, არა? იმას კი, ფერმერს, იმ ორგვარი ნადირობებით თავს რომ იქცევდა... აი, ამ მხოლოდ თითქოსდა ყოვლად შეუმოსავი სიტყვებითაც კი როგორღაც მაინც ცხადად ჩანდა, რომ იყო ნაღდი კაცი.

საიდან, როგორ...

რაღაცა ჰქონდა ყოველ სიტყვაში, თარგმანშიაც კი, მბრძანებლური... ამოუხსნელი.

ეგება ის რომ, თავად კი იქვე უწყოდა და შენ კი აქეთ გული გიგრძნობდა რომ „ადგა, წავიდა, მოვიდა, დაჯდა“-ს შემდეგ ისეთ კორიანტელს დააყენებდა, მშობელ ბიცოლას ვეღარ იცნობდი, არადა, რაც უფრო ღრმად შეგატოპინებდა და ტვინბრუს დაგასხამდა თავის სამფლობელოში (მიდი და მოძებნე რუკაზე იოკნაპატოფას ოლქი დედაქალაქით ჯეფერსონი, ის გირჩევნია, გლობუსი გულზე თვალდახუჭულმა მიიხუტო), თავად კი ისე, ვეჰ, გრძნობდა თავს რომ, როგორც რომ თევზი წყალში, რაისი უბრალო თევზი და სტავრიდკა, - ზვიგენი, ზვიგენი, ლურჯი ვეშაპი, და ერთგან კი, თურმე, მთელი ორმოცდაცხრაგვერდიანი წინადადება ჰქონდა თურმე, გვერდიანი, სტრიქონიანი კი არა - მითომ სტრიქონიანიც ცოტაა ამდენი - და ვეშაპივით მიმოცურავდა შიგ, და უზარმაზარ ტალღებად დუღდა, არხეინი -

ოკეანიის დიდმაწანწალა!

ლოთი ვეშაპი... თურმე, ხმამაღლა მაინც ნუ გავამხელთ და, ნაკლი ჰქონია თურმე ძალიანი ერთი - თუკი დალევდა (იგულისხმება გამაცხელებელ-მიმბნედი სასმელები), მთელ თვენახევარს გადააბამდა, არ იყო კარგი ეს, პირველსავე წარჩინებულსა თუ რიგით ენოტივით ფხიზელ შემხვედრს კითხეთ თუ არ გჯერათ... კრიტიკოსებიც, ჰსაყვედურობდნენ, ოღონდ ზურგსუკან, იმიტომაცაა თავის პროზაში არეული, დროჩაგდებით რომ ძალიან ჰსვამსო... ეეჰ, ბილი, დიდო მონადირევ, მთელი ორმოცი და მეტიც დღით გვერდზე მიგეგდობულიყო ეგ შენი ლასსო... მაგრამ, მეორეს მხრივ, ორმოც, და ცხრა გვერდიანი ჩაყვინთვის შემდეგ, რაღაც ახალი და ამოსაყვინთი ეგება უნდა შეგესუნთქა, და, ვინ იცის, ეგებ, გათიშვაც როგორ ესაჭიროებოდა მრავლადნაჯაფს მესამეს მხრივ, და მეოთხეს მხრივ, ბოლომდე მტვირთავი და გამტანი, ის ვერ დალევდა შესაჭიკჭიკებლად რამდენიმეოდ ჭიქით, როგორც რომ თვეში ერთხელაც პენსიის ბინებზედ დამტარებელი ფოშტალიონი და სხვათაშორის, ახალგაზრდობისას ფოსტიდანაც გამოაძევეს და კი არ ვამართლებთ, მაგრამ მეხუთეს მხრივ, სვამდნენ:

უცხოელებიდან ბეთჰოვენი, მოცარტი, ჩვენებიდან - ფიროსმანი, გალაკტიონი;

ხოლო არ სვამდნენ:

უცხოელებიდან, ერთი ასეთი კომპოზიტორი - სმეტანა, ხოლო ჩვენებიდან არა ჰთვრებოდა ა. მასხულია თუ რაღაცაგვარი ამგვარი პოეტი, ბილბაო სად ხარ ჩვენი ბიჭი, ხოლო როდესაც ამოყვინთავდა, ისევ მისისიპს დაუყვებოდა, თავის მდინარეს, ეს ორთავ თვალით როგორი გამჭრიახმხედი და დიადი ცალთვალშავადახვეული მეკობრე უილიამ ფოლკნერი, მეხი მწერალი, და მოხუც დათვზე, ღონითა და ჭკუით დატენილ დიდ ბენზე მონადირე, და დიდი ბერირმის ტყე-ტყედ მძებნელი, და ზანტად დიდი ბებერი ხრონწი ვერასდიდებით დაჭერილი ორაგულის ზემოდან მჭვრეტი, მოუხელთებლებს დაეძებდა, და თვალთმაქცი კი არა, თავისი პროზის ჯადოქარი იყო ისეთი, ფრიად ნამდვილი,

რადგანაც, ცოტაოდენი სოიოთი და ინდაურის კვერცხითა და პეშვი ნახერხით და ორი ლურსმნით ისეთ შეჭამანდს დაგიმზადებდა, საწყალობელ ტვინს მიალოკავდი ზედ, აეს თოფდაბარიანდაკალმიანი უტყუართვალა მონადირე, ვისაც ტყედ-ნადირობის პირველ მასწავლებლად მოხუცი სემი ჰყავდა, ინდიელ ჩიკესოთა ტომის ბელადისა და იმისი მხევალი ზანგი მონაქალის ნაჯვარი, ფერებითა და გამჭრიახობით აღსავსე იმ ორთა პირმშო; ხოლო ეს ფერმერი, მონადირე და უგანათლებულესი კაცი, თუმცა კი სკოლაც კი ვერ დაუმთავრებია, რას შეასმენდნენ ეგრეთწოდებულ სავალდებულოისას, და, მხარზე ბიბლიადადებულმა, ცალ იღლიაში კი დიადი სეხნიის, შექსპირისაც კი ღირსეულმა გვიანმა ძმობილმა, მეორეში კი მელვილამოჩრილმა, როგორ და უცხოდ შეგვაყვარა თავისი მართლა პირველი (რიგით კი არა) რომანის ბოლოში ზანგის მოხუცი ქალი დილსი, ვინც ეკლესიებში ისეთი ცხარე ტირილით, კურცხალ ცრემლებს რომ კაბით იწმენდდა, თვით მაცხოვარი ისეთის რწმენით დაიჯერა რომ, გვგონი, იხილაც, წარმოიდგენდა ვინ, და, გამარჯვებული, მძლეთამძლე ხელით მონადირე ეს, ბოლოს და ბოლოს, ჭარმაგობაში გაჭირვებიდან და უფულობიდან მისთვის კოჭამდე ერთი მომდაბლო ნობელის პრემიით ამოსულს... - ვაიმე რა უთქვამს:

„ჩემი ყველა წიგნი დამარცხებაა“.

ვეჰ!

„ხოლო ჩემი ყველაზე ბრწყინვალე დამარცხებაა „ხმაური და მძვინვარება““,

აჰაა, ეს თურმე როგორ დამარცხებას გულისხმობდა თურმე ხანშიშესული ყმაწვილი,

ეს ხმაური და ეს მძვინვარება,

რა იყო მაინც, -

ზათქი!

მაინც რა იყო...

ანდა, „ქალაქი“, ან „შუქი აგვისტოში“, ანდა, ყოველი მისი მოთხრობა,

რა იყვნენ მაინც და არიან და,

დიადი ბილი გახლავთ ისინი, ვრცელი ფოლკნერი, მონადირე, თანაც სამმაგი:

მიწის,

ტყეებისა და,

ნაღდსიტყვებიანი, აბურდული, ნაღდი წინადადებების,

მაღლივიქითა ბილი არის ეს, ცხვირპირდამმტვრევი მონადირე, და ზოგიერთებივით არა მხოლოდ კბილების, და ისიც მხოლოდ დაქადვნით,

ხოლო აქეთკენ, ვერ მაიშალა ბილბაომ შავი სიტყვების ბრიალი:

- ეეეჰ, მიშო, მიშო, ვერავითარი კრიტიკა შენ ვერ გიძლებს, შეცდომები კი მეტადრე მუქ წითელ ხაზად გაგდევს ცხოვრებაში,

რაზედაც მიშო პასუხობდა:

- ეეეჰ, ბილბაო, ბილბაო, შე უბედურ ციურ-მარსკვლავზე დაბადებულო, შენა,

რაზეც ბილბაო:

- ერთი შენა მყევხარ ნათელი წერტილი, შენ დადებითი გმირი არ იყო, მეტი არაა ჩემი მტერი, მოღალატე და ორაგული,

რაზედაც მიშო:

- ეეჰ, ბილბაო, ბილბაო, შე კუნაპეტ მარიხ-ვარსკვლავზე გაჩენილო და მოყრანტალევ, შენა,

რაზეც ბილბაო:

- ჰაი, შე ღვთის გლახა,

ხოლო აი ამ გამოთქმის - „ღვთის გლახა“ - მნიშვნელობა სულაც ვერ გაეგებოდათ, რადგანაც, ძალიან ცოტამ თუ იცის ამა გამოთქმის ყოვლად იდუმალი, გრძნეული მნიშვნელობა, ერთმა მიამბო, ჩვენ, უმეტესობას, მათხოვრები გვგონია ისინი.

იმათ ბერძნულად „სალოს“ -ი ჰქვიათ, რუსულად „Юродивый“ და „Блаженный“, რაც მოსულელოსა და ნეტარს ნიშნავს, ჩვენებურად კი, „ღვთის გლახა“ -ა.

ღვთის გლახა ყოვლად კეთილია, ძალიან ხშირად, ფეხშიშველი, შია, სწყურია? - ღიმილით ითმენს, შესთავაზებენ პურს ხანდახან და, არ იტყვის უარს, დაპურებული, არ იღიმება, რაღაც შორეულს, ჩვენთვის უწვდენს, მიუგდებსა ყურს; ხალხისთვის, ძლიერ საბრალოა და შესაცოდი, ვითომდაც იქით ღიმმომგვრელი, თანაც ზემოდან დაცქერვითობით, ისა კი, ისევ, თავის მხრივ რაღაც თავისას, მისას, გამუდმებით, სულ, ჩვენის გაგებით მოსულელოდ უღიმის ხოლმე; ვისა და, - თვით ღმერთს. ჩვენ სად მივწვდებით... ღვთის გლახა შეიძლება იყოს მოხუცი და ბავშვიც, კაციც და ქალიც, ფლობერის ფელისიტესავით, და მაინც რაღა თქმა უნდა, გულუბრყვილოდაც წარმოსახვიანი, ვინაც თვლიდა რომ სულიწმიდა მტრედად კი არ გადმოვიდა ცით, არამედ თუთიყუშად, რადგან თუთიყუშმა ლაპარაკი იცის, ტოლსტოის პლატონ კარატაევივით მორჩილი და შეგუებული, ოღონდ ჩვენსავით მთავრობას კი არა, ღმერთს, შეიძლება გამონაკლისად იყოს ფოლკნერის ბენჯივით გაუღიმარი, უტყვი და შეურაცხადი ვითომ და მთავრისგამრჩევი, - ზანგების ეკლესიაში როგორ მორჩილად იჯდა, და როგორ მიუხვდებოდა შორიდან სიკვდილს, და რომელსაც როგორ ძალიან უყვარდა თავისი და, ლაღად ტანჯული კედი, და ეხუტებოდა, რადგანაც კედი ხეებით სურნელებდა, და ღრიალს მორთავს, თუკი კედი იმ ხელოვნური სუნამოებით შეზავდება; ხოლო სალტიკოვის ღვთის გლახებზე - ცოტათი შემდგომ.

ღვთის გლახებს ხშირად ძენძები მოსავთ, და რაგინდ ჩააცვათ, შესამოსი როგორღაც ვერ ადგათ ტანზე, სასაცილოვდებიან, მაგრამ წინასწარმეტყველები არიან, და რამდენიმე დღით ადრე დიდ მღელვარებასა ჰგვრით მოსახდენი მიწისძვრა თუ ხანძარი, და თუმც თვითონაც რომ დაიფერფლებიან კარგად იციან, არსად გარბიან მაინც, რადგან ღვთის გლახებს, ჩვენ-წერა-კითხვის-მცოდნეება-განათლებულთაგან განსხვავებით, არჩევანობით თავი რომ მოგვაქვს, იმათ იციან, რომ მხოლოდ ერთი, ერთადერთი მაღლივად სწორი გზა უძევთ ყველგან, ეს - უჩვეულო, გამუდმებული ღვთისპირული ამაღლებაა, ღვთისადმი უტყვი მორჩილება ღიმილნარევი, ჩვეულღირსთათვის გაუგებარი გზაა ეს ძნელი, მათთვის მარტივი - სად წავლენ სხვაგან, თუ არ ერთადერთ მამამდე, მხოლოდ და მხოლოდ, ღვთისკენ; თუგინდაც - ცეცხლით. ჩვენ კი, გავიღიმოთ, კი, ხოლო თუ საქმე საქმეზე მიდგება და გაგვიჭირდება, სიცხე შეგვხვდება ანუ, ავადმყოფების განკურნებაც კი შეუძლიათ, ბავშვებისა - უფრო, დაადებს შუბლზე ხელს და, მორჩა. - რადგანაც ბავშვებს, ჩვენთვის უკვე რაღაც დაკარგული გუმანით, სჯერავსთ იმათი.

ხოლო თუ დიად შემოქმედებში გამოირევა მათგან ღვთის გლახა, იმათ ყოველთვის, ღვთის შეწევნით, ძალიან უჭირთ, მაგრამ არ ჩივიან, და შრომობენ, შრომობენ მუდამ, და ღმერთიც მუდამ იმდენს, და იმდენად უწყალობებს, არ დაიხოცნონ, ისე კი, მარად, საფლავის კარის ზღურბლთან არიან და ამიტომაც ბევრს ასწრებენ, ვინეები და, უცხოელთაგან, ვთქვათ, ვან გოგი, ჩვენებიდან კი - ფიროსმანი, არავითარი ქედმაღალი და მაინც უნებურად ისე ამაყი, რომ „გრაფ“ -ს ეძახდნენ, უდაცინვოდ, ღვთის ყოვლად დიდი გლახა, ეს, მას შემდეგ რომ რო, როცა თავის ფუნჯს წაატანა ხელი.

და ღმერთმა ერთხელ ისეც ინება რომ, პროზისათვის, შექმნა დიადი თავისი გლახა, როგორნატანჯი, ერთიც იდალგო მიგელ დე სერვანტეს საავედრა, რომელმაცა რომ, ღვთის შეწევნით, თავისის მხრიდან შექმნა თავისისმსგავსი ღვთის მეორე დიადი გლახა - ისიც მრავალტანჯული მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელი, ფათერაკების დაუღალავად მაძიებელი მწუხარე სახის რაინდი ეს, გამოჩენილი ბასრი მებრძოლი, ჯიქურ შემტევი და ტკბილმოუბარი და უებრო მიჯნური, ხოლო განუყრელ თანამგზავრად ღვთის მარტივი გლახა შეურჩია, სანჩო, მობრძენო შტერუკინა, წერა-კითხვისა ფრიადად ვერმცოდნე, მაგრამ ხანდახან ისეთს იტყოდა, რომელი ბაკალავრი...

რა სამეული, ეს.

მაგრამ დიადი, უპირველესი წიგნის შექმნა ისე-უბრალოდ არა ხდება და, ხოლო ამისათვის, წყალობებად, მრავალი ტანჯვა ეწყალობა, მაღლით:

დაბადებიდან, სულ მთლად პირველად რომ შეისუნთქა და ტირილი მორთო, კუბოს კარამდე - სიდუხჭირე; და ვის, თუ არ მას, ღვთის ამ ბედნიერ გლახას, შეეძლო აეტანა:

სიდუხჭირეზე, მოგახსენეთ;

სხეულზე - ჯერ სამჯერ და მერე ორჯერ, ხუთგზის ნატყვიარი, აქედან ერთით - სამუდამოდ ცალხელუმაქნისი, ხეიბარი; მაგრამ მეორე ხელიცა ჰქონდა, მარჯვენა;

ექვსთვიანი საავადმყოფო, ახალგაზრდობაში; აქედან დიდხანს - უგონოდ;

მთელი ხუთი წლით - ქრისტიანულად ატანილი ტყვეობა, რომელიღაცა სისხლისმსმელი მაჰმადიანი ფაშას დილეგში;

სამჯერ თუ ოთხჯერ - სატუსაღო; ყოვლად უდანაშაულოდ; მაგრამ, როგორ წყალობად, რადგან სწორედ იქ, ერთ-ერთხელაც, თავისი მთავარი წიგნი ჩაიფიქრა;

ომებისა და ქაღალდის გმირს კი არადა, არამედ გმირთაგმირს, არავითარი ხელშეწყობა ერთადერთი გამონაკლისის გარდა (ცარიელა აკადემიკოსობას რა თავში იხლიდა); როგორც ცოცხალი, მხოლოდ მევალეებს ახსოვდათ, იმისი წიგნით აღფრთოვანება კი - ყოვლისმომცველი, მართლაც სახალხო, დიდზე დიდი; უცნაურია;

და თუ იმის დროს განუწყვეტელი, ეგრეთწოდებულ დიდებულთათვის დიდმნიშვნელოვანი ომები ასე ვთქვათ მიმდინარეობდა ზღვებსა თუ ხმელზე, იმისმა წიგნმა, პირველმა წიგნმა დედამიწაზე (კვლავ ვიმეორებ: ბიბლია არაა, არა, წიგნი, რადგან ბიბლია ყოველ წიგნებზე ერთად მეტია, რადგან სრულიად სამყაროსი - დედამიწისა და ვარსკვლავეთის უპირველესი ღვთით სიბრძნეა სულიწმიდასი), უპირველესმა, სრულიად კენტმა, უბედნიერეს 1605 წელს რომ დაიდო მადრიდის წიგნის თაროებზე, სულ გადაფარა კი არა, მთლად სანაგვეში მიაფუჩეჩა ამ სადღეისოდ ის დამპყრობლური უბადრუკი ომები, ეს წიგნი გახდა უკეთესი კაცობრიობისათვის ბედნიერების ჭეშმარიტად მარადიული ძრავა, ანუ მაღალფარდოვნად თუ გამოვთქვამთ, მიუწვდომელი „პერპეტუუმ-მობილე“, ცალსაღხელათი მაღლით შექმნილი, რასაც რომ ვერასოდეს მიაღწევენ, კი ვუხდით ბოდიშს, მაგრამ ვერაფრით მიაღწევენ მონდომებული გენიოსი ფიზიკოსები. ხოლო ამ ძრავის კი არა, თავად შეძვრის, შეჯანჯღარების, შეზანზარების სწორუპოვარი, ზოგიერთასავით დაცინვით კი არა, არამედ ჭეშმარიტი გმირია დიადი ხეიბარის შვილობილი მახვილგონიერი იდალგო, მკლავმოუღლელი დონ კიხოტ ლამანჩელი, მამობილივით, ისიც როგორი კარგა ტანჯული და პატიოსანი მაინც როგორ, ყალმით აღნაგი, რწმენით პიტალო, გვემების ფასად სხვათა და სხვათა და უცხოთა კეთილდღეობის მაძიებელი, და მშვენიერების ცოდო რაყიფი, ხოლო აქ ვისაც ცალ თვალზე მაინც ცრემლი არ მოგადგებათ, სჯობს რომ, დამხუროთ, სწორი იქნება - თქვენ თქვენთვის, ჩვენ ჩვენთვის.

რადგან, უღირსს თუ მხოლოდ სახე შეეჭმუხნებოდა ყოვლად ბრიყვულ გამოთქმაზე - „პროზაული“, მოსაწყენის გაგებით, ითმენდა ამას, რადგანაც აქ შესაძლოა გულისხმობდნენ მდარე პროზას, გამოთქმა „დონკიხოტობაა“ კი სისულელისა და ამაო გარჯის სინონიმად თუ წამოიყრანტალებოდა, ხელისგული ისე აექავებოდა, აღარ იცოდა როგორ შეეკავებინა თავი...

ვინ იყო სულელი და ამაოდ გარჯილი, ის, ვისაც მთელ დედამიწის ზურგზე ყველაზე მეტად ესმოდა თავისუფლება და სიყვარული? და კიდევ ერთი რამ... - ამაზე ცოტათი შემდგომ.

„იცი თუ არა, ჩემო სანჩო, რომ თავისუფლება უძვირფასესი სიკეთეა, რომელიც ზენამ მიჰმადლა ადამიანს? ვერაფერი შეედრება თავისუფლებას, ვერც დედამიწის ქვესკნელში დამარხული საუნჯენი, ვერც დიდება, ვერც სხვა რამ. თავისუფლებაზე სანუკვარი ბედნიერება ამქვეყნად არ არსებობს. თავისუფლებისა და სახელისათვის თამამად შეიძლება თავგანწირვა“.

თავისუფლებისა და სახელისათვის... და, თავისუფლებისათვის, თვითთავგანწირულად მისი სახელი მიგელ, დე, სერვანტეს, საავედრა, თვით ღვთის რჩეული, ხელდასხმული, და რომელი ფლობერი და იმისი ემა, რაისი ტოლსტოი და მისი ნატაშა, ისე წააგავდნენ ეს უცნაური ტყუპისცალები - ცალდიდხელა და იმისი დაუდგრომელი შვილობილი ერთმანეთს, და, სამნიც ერთად დაეხეტებოდნენ ღვიძლ ესპანეთის ოღროჩოღრო გზებზე, რომელთაგანაც ორნი - ორთავ, მაღლები, გაძვალტყავებულები, გაძვალტყავებულსვე ჯაგლაგზე ისხდნენ, ანუ როსინანტზე, ანუ თავიანთ ცხოვრებაზე, რადგან წოდება „როსინანტი“, ნუ იკითხავთ და, თურმე ჯაგლაგს კი ნიშნავს, ოღონდ წინმავალს - „როსინ“ და „ანტე“, მესამე კი, ჩასუქებული, ვირით მხედარი, გამორჩენის წამდაუწუმა მაძიებელი, შუით მისდევდათ, და არ გეგონოთ რომ ვაძაგებდეთ, არა, ისიც კი, მწყალობელი ხელისგან, მომხიბვლელია, ხოლო ის ორნი, ორნი... ეს ორი ღვთივ უდიადესი გლახა, ამ დაბალ ქვეყნად თავისუფლებით სიყვარულისა მაძიებლები!..

„იმან მიუგო, რომ იძულებით იმიტომ მოგზაურობს ასე შებოჭილი, რომ შეყვარებული იყო“.

„მხოლოდ მაგიტომ? - გაიოცა დონ კიხოტმა, - თუ ყველა შეყვარებულს გალერებზე სამუშაოდ გზავნიან, მაშინ ყველაზე უწინ მე უნდა გავეგზავნეთ მენიჩბედ“.

„ვაი ისაა, რომ ჩემი სიყვარული იმ ჯურის როდია, როგორც თქვენ გგონიათ, - მიუგო ტუსაღმა, - მე, ჩემო ბატონო, ჩემს სულზე უტკბესად ერთი ფუთა თეთრეული შემიყვარდა და ისეთის სინაზით ჩავიკარ გულში, რომ...“ - ჯეილი, ანგლობს,

ხოლო სიყვარულს რაც შეეხება:

როდესაც სანჩო, კეთილი და მიმნდობი იდალგოს ცბიერი და ერთგული საჭურველთმტვირთველი, ყოველნაბიჯა მატყუარა და პატრონის ხან დამცინავი და მუნვე აღფრთოვანებული, ვისაც რაინდი ხან აქებდა და ხანაც ტუქსვიდა, ისიც კარგა გვარიანად მეოცნებე, რომლისა გვარიც, პანსა, „ღიპი“ -სა ნიშნავს, ოღონდ მეოცნებე მიწა-მიწად, და ისეთ წვრილმანებზე, როგორიცაა, გუბერნატორობა, ვთქვათ, და როდესაც ეს სანჩო, გაოცებული:

„რასა ბრძანებთ? - შეჰყვირა სანჩომ, - მაშ ეგ თქვენი დულსინეა ტობოსელი ლორენსო კორჩუელოსი და ალდონსა ნოგალესის ქალია? მას ხომ ალდონსა ლორენსას ეძახიან!“

„სწორედ ისაა და იმ ბედის ღირსიცაა, რომ მთელი ქვეყნიერების დედოფლად შეიქნას, - მიუგო დონ კიხოტმა“.

„კარგად ვიცნობ, - უთხრა სანჩომ, - და უნდა მოგახსენოთ, რკინის პალოს ტყორცნაში ისეა გამოჯეჯგილი, რომ არც ერთ სოფლის ბიჭს არ დაუვარდება. ჩემმა მზემ, კაი ჯანიანი გოგოა, ჯანსაღი, ღონიერი... მერე რა ზორბა გულმკერდი აქვს... ახლა, ხმა აქვს ისეთი, ერთ რამედ ღირს... ნახევარ მილზე გაგაგონებს... ჭკვიანი გოგოა, არც ავზნიანი არის და არც იპრანჭება. ყველას ემასლაათება, ყველას უცინის...“

და აი, სადაა ყოველივე დაფარული გახსნილი:

„იქნებ გგონია, ყბედო სანჩო, ყველა ის ამარილისები, დიანები, გალატეები და სხვა ამგვარნი, რითაც სავსეა ჩვენი წიგნები, რომანსები, თეატრები, ცოცხალი ძვალ-ხორციანი არსებები და მათ მაქებარ პოეტთა სატრფონი ყოფილიყვნენ. სულაც არა. ისინი მხოლოდ პოეტთა წარმოსახვაში ცოცხლობენ... ამიტომ ჩემთვის საკმარისია წარმოვიდგინო და მჯეროდეს, რომ ალდონსა ლორენსო ჭკვიანიც არის, მშვენიერიც და პატიოსანიც... ამასღა დავსძენ: ჩემი მიჯნური ქალი როგორადაც მსურდა ისეთად წარმოვიდგინე, ისეთი სიმშვენიერე და გარეგნობა მივეცი, რომ მასთან...“

და მაინც, მაინც, სიყვარულო, სიყვარულო... რა ხარო:

„რომ მასთან ვერც ელენე მივა და ვერც ლუკრეცია ამაღლდება, და ვერც ვერავინ სხვა წარსულ საუკუნეთა ქალბატონთაგან - მის მსგავსს სხვას ვერავის მოიძებნი ვერც ბერძნებთან და ვერც ლათინებსა და ბარბაროსებთან, ესენი ყველანი ერთად ქებული ქალები მისკენ ფეხს ვერ გაიწვდიან. ხალხმა კი, რაც უნდა ის ილაპარაკოს...“

და ამ უფსკერო ნიჭით, წარმოსახვა რომ ჰქვია, სწორედაც ასეთი კენარი და დახვეწილსაქციელა და მაგნოლიის ყვავილღაწვება იყო მაღალი მიზანი დულსინეა ტობოსელი (ალდონსა ლორენსო ვიღა გდია), მახვილგონიერი და მწუხარე სახის რაინდის კოშკისმიერი, კოშკივ მიბნედილი სატრფო.

როგორ ვერ იტანდა ფაქიზი სულის რაინდი, ეს ჭეშმარიტი ქრისტიანე, აზრებისა და, განსაკუთრებით, სიტყვის, ანუ სამყაროს შემქმნელი ძალის გადამახინჯებას და, კიდევ კარგი, ეპოქალურად დაშორიშორებულები რომ იყვნენ, თორემ ამას აიტანდა ის?:

- იმ ოხერმა სემიჭკის გამყიდველმა არასდიდებით არ გადამიხურდავა ფული, მეზღვაურის მაიკა ეცვა, - აღნიშნა დანაღვლიანებულმა ბილბაომ, და გული მოიოხა: - გამომივიდა რაღა ერთი ისიც, ბედუინი...

- რა ბედუინი... და იმ კაცს რა ეცვაო?

- კაცი არა კაცო, ქალი იყო.

- ვაჰ!.. და მაინც რა ეცვაო?

- იმ ქალს? მეზღვაურის ეეე... ისა... ჰო, მაისური! - არ შეირცხვინა თავი ბილბაომ.

- მაშინ, წესით, ტანკისტის ტრუსებიც უნდა სცმოდა.

მაინც, სად ენახა ნეტაი ამ მიშოს უშარვლო ტანკისტი, და ზედაც იმისი ტრუსები? და არც ბილბაოს:

- აბა მე რავი. ბებერი იყო.

- ბებერი თორე, ახალგაზრდა რო ყოფილიყო, გავმრავლდებოდით. ჰე, ჰე... - გაიხარა ნათქვამით მიშომ.

- შენით გამრავლდი... - და, გაახსენდა, იბადრა სახე, - შე მაშოო, მაშო!

- ვის უბედავ შენ! - აენთო შარვლიანი მიშო, თუმცა, შარვალი ქალებსაც აცვიათ, ეეე, წვერმოსაშვები მიშო, - გაიმეორე აბა ერთი!.. ჰ! მე ჩაგინტვრევ შენ კბილებსა, - და ხარი ხართან დააბიო, „აფრიკული შლაპა“ -ს ნაცვლად: - ზონტიკის ვირთხავ! და შე... შე ორთქლმავლის სკვინჩა, შენ!

ეჰეიიი.

ეს რომ იდალგოთ მოესმინათ... გინდ ერთს, თუნდ მეორეს... - სუმთლად ვერაფერს გაიგებდნენ, განსაკუთრებით ქართულად. თან, ორთქლმავალი და ტანკი სად იყო მაშინ, მაგრამ ქარის წისქვილები კი ტრიალებდნენ და, ფათერაკთმაძიებელი რაინდის მესამე, თუ უპირველესი ჯილდო - აის მთელ გზაზე ადევნებული ბავშვობა, სიბავშვე, უზენაესის როგორი ჯილდო, ზღაპრებისა რომ ულაპარაკოდ სჯერავსთ: ეს ქარის რაღაც ოცდაათიოდე წისქვილს კი არა, დევების ხროვას შეერკინა წრფელგულა რაინდი, და, დიდი ამბავი, თუ დამარცხდა - შეება ხომ! ოცდაათამდე მახინჯ თავმოყრილ დევს, ერთად! თანაც, უგონო კი არ იყო, როგორ იცოდა ჰომეროსი თუ მთლიანად ანტიკური ხანის ხელოვნება გინდა თუ აღორძინებისა, როგორი დიდად ნაკითხი იყო, როგორ მსჯელობდა პოეზიაზე, ფილოსოფიასა თუ ქანდაკებაზე, და კიდევ ცოდნა ბევრი ისეთი იმეებ-იმეებისა რისი ჩამოთვლაც სწორედ მასავით ძალიან შორს წაგვიყვანდა და ვერ ვედრებით, მერე როგორი გემოვნებისა იყო, მწუხარი, სიტყვა-პასუხი სჩვეოდა რომ, - წყაროს ჩუხჩუხი, მხოლოდ ომისას კი არ ყიოდა, და, დახვეწილი, რაგინდ მშიერი, რომელ სუფრაზე შეირცხვენდა მსუნაგობით თავს, ზრდილი, რაც უფრო ნოყიერსა და მადისაღმძვრელ ტრაპეზზე ამოჰყოფდა თავს, მით უფრო ნაზად იკიკნებოდა, და დევები რა, მალამო ჰქონდა ერთი ისეთი, თვითნაკეთა, და მართლა არჩენდა, თან, ყოველთვის კი არ მარცხდებოდა - აკი ხომ დასცა მიწაზე პირაღმა მამაცი ბისკაელი, ხომ დაამარცხა პირველ ჭიდილში ის თაღლითი სამსონ კარრასკო, უთანასწორო ბრძოლაში ხომ გაათავისუფლა უმადური კატორღელები, ხომ ასროლინა სულ კუდით ქვა ცხვართაგან შემდგარ უწმინდურთა ლაშქარს, ხომ აზეიმა

შეყვარებულები, და ხომ სულ ისე გააქცია მემბრინის ჩაჩქანის (რაისი დალაქის თასი) მფლობელი ის იმ დღეს მეტად ცუდ ფეხზე ამდგარი დალაქი, რომ სულ კეფაზე ქუსლებს ირტყამდა ხოლო გაპარსულ ნიკაპზე მუხლებს, და, ყველაფერ ამას სულაც რომ თავი გავანებოთ, მის გარდა სხვა ვინ გაბედავდა და გააღებინებდა რკინის გალიის კარს და ერთი ერთზე დარჩებოდა თან ვისთან მერე - მსხვილფეხა ნადირთ მეფესთან, ლომთან, რომელმაც რომ, პირუტყვული გუმანით რაღაც ისეთი იგრძნო რომ, რო, გარეთ გამოსვლა ვერ გაბედა და სადღაც კუთხეში მიიყუჟა და ერთი არნოლდის კრიჭაც ვატირე და როგორ ძალიანი გვწყურია დღეის დღეობით, დღესაც, ერთი ასეთი მრავალმხრივი, საღი რაინდი.

უი ჰო, როგორის ტკბობით იხსენებდა იმ თითქოსდა სამუდამოდ ჩავლილ ოქროს ხანას და, რა იცოდა, იმ ვითომდაც უიმედოდ დაკარგულ სისანუკვრეს, თავად რომ ჰქმნიდა. მარადიულს, თან.

კარგია, კმარა.

დაბოლოს, მხოლოდღა მაინც ერთი:

მისდროინდელი ყველაზე მეტად მაღლად შერაცხილი უმაღლესობის სახელი მაინც გვინდა ვახსენოთ - იმისი დროის ზემონახსენები მისი უმაღლესობა გახლდათყე თავისი ჟამის მძვინვარე მეფე დარბაზისელი, მსოფლიოს ერთი მეხუთედის, „სადაც მზე არასოდეს ჩადიოდა“ მპყრობელი და თავისი სამშობლო კი დააქცია, და ვის ფრჩხილადაც აბა რომელი ჭკვათამყოფელი ჩააგდებდა ბეჩავ სერვანტესს, ვისაც რომ მთელი სიცოცხლე ეყოფოდა ოჯახიანა დასანაყრებლად იმისი რომელიმე ცალი ქოში, მაგრამ დრომ განვლო, და ახლა იმ ნაკერპალს ვიღანა ჩათვლის ერთი ღარიბი იდალგოს ფრჩხილისა ჭუჭყის (ექნებოდა რაიმ ასეთიც დილეგსა თუ საპყრობილეში) ნამცეცთაგან ყველაზე უმნიშვნელო და ჩამორჩენილ ნამცეცად. და ამიტომ მოდით და იმ ყალბ ვარსკვლავზე გაჩენილის, იმისა დიადყოფილი სახელიც ეპოქალურად მოვიხსენიოთ - ეს იყო, როგორც აღინიშნა, მსოფლიოს ერთუმ მეხუთედის წამ-წამა მპყრობელი, უფრო ზუსტად კი, რომელიღაცა მესამესწინა და მერომელიღაცე პირველსშემდგომა მეორე ფილიპე, დიდი ტვინჯუჯა... - ცოდვის აკრობატი.

ვინემ მეფობდა. და მბრძანებლობდა,

დასტურგამქრალი... წაიღო თქვენი ჭირი.

მაგრამ ეს გლახა... ეს ღვთისა, დიადი...

სიტყვა „დიადი“ ხშირად კი იხსენიება, მაგრამ მეტი არ ძალგვიძს, სხვამ მოიგონოს უკეთესი, უფრო დიადი, რომელი აბა, „ბუმბერაზი?“ არა, ბუმბერაზებში რამდენი შეგვხვედრია არცთუ ძალიან დალაგებული, თანაც, აბა სად არ ვართ სწორი, ვინა და ვინ და, იმათით, დიადებით გაერთიანებულები, გინდაც უცნობები და, დაძმობილებულები მაინც - თქვენ, ის, იგი, მე... ჩვენ.

რაზე გავჩერდით... ჰო, ისე გაგვიქრა ის ფილიპია, გინდათ თვით სალტიკოვ-შჩედრინს აღემართოს იმაზე მუშტი.

მოგახსენებდით, არიან მწერლები, რომ აშენებენ, აშენებენ, იმათი თავი და თავი მთავარი საქმე, ეს - შენებაა, შენება კი, მოგეხსენებათ, თიხითა და ისლითაც ხდება, დუღაბით, ქვითკირით, ხით, ხანდახან, სამწუხაროდ, ნაკელითაც, გვხვდება, ხოლო ეგრეთწოდებულ დაწინაურებულებთან, შეინიშნება მყიფე კოშკები და მარმარილოს ყალბი სასახლეებიც, ამისი ხელით შენება კი, ამისი, სალტიკოვის - უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ დანგრევა კი არა, მეტიც - ყოველივე მიუღებელის მიწის პირიდან აღგვა და გაცამტვერებაა - ისე აშენებს დიადს, მისას, თავისას - გონივრად ბუმბერაზული ნგრევით.

მისთვის უცხოა სულით მახინჯი ადამიანების დანდობა, და რადგან გამორჩეულად მომავლის მწერალი რადგანაცაა, სწორედ ამისთვის როგორ ავლებს მუსრს ყოველგვარ ოხერს - იმა თუ ამა, ძველ და დღევანდელ ჩინოვნიკებს, ნაძირალებს, თაღლითებს, გაიძვერებს, სალახანებს, გარეწრებს, თვალთმაქცებსა და მლიქვნელებს, ძუნწებს („პოშეხონური ძველმანობა“, „ბატონი გოლოვლიოვები“ და სხვა, და სხვა, რომელი ერთი), რამდენადმე აგდებულადაც კი შეუძლია მოიხსენიოს თანამემამულეთგან დიდად აღვიარებული ალპებ თუ კორდილიერებგადამლახავი მხედართმთავარი გამოთქმით: „რომელიმე სუვოროვი“, უნებურად კი არა, ისწრაფვის კიდეც შეგაზიზღოთ თავისივე ერის მართლა სინსილაგასაწყვეტი დამპყრობლები, რომ დაუდიათ ოხერი თავი და საშოვარზე გინა თავიანთი კუთვნილი პურის (ცხვრის მწვადის) საჭმელად (სახეთქად) მიდიან შორეულ, უცხო ქვეყნებში, ვინ, რა უფლებამ მიაშავათ („ბატონი ტაშკენტელები“), რასაც, სამწუხაროდ, ბევრი მისი „ზემლიაკი კალმის ოსტატი“ ან გვერდს უვლის და ვითომ ვერ ამჩნევს და ანაც ამართლებსაც კი; სულაც არ ფარავს, თუ როგორი უხამსი არამცთუ ცოლქმრობა, დედაშვილობაც შეიძლება იყოს მის ქვეყანაში, ლოთობა, ბოზობა, და სხვა, და სხვა, მაგრამ მისი ვრცელი შემოქმედებიდან ყველაზე მწარედ დამანგრეველი, მარადიული მწვერვალი დიდი რუსული მწერლობისა, უღირსის აზრით ეს, მაინც „ერთი ქალაქის ისტორია“-ა, აელვარებულად მუსრგამვლები, შემაძრწუნები, კუშტი.

მაძიებელი ადამიანი, როგორც ასეთი, და განსაკუთრებით რუსი, უღირსის აზრით შეიძლება ასეც გაიყოს: ვისაც არა აქვს წაკითხული, და ვისაცა აქვს, „ერთი ქალაქის ისტორია“.

რეებს ატრიალ-აზანზარებს; რა გამოფენებს; უცნაურია.

უცნაურიავე ამ ისედაც უცნაური მწერლის, მისი ორმაგი, ნამდვილი გვარისა და ფსევდონიმის ერთი ვითომდაც უბრალო დეფისით შერწყმა: სალტიკოვ-შჩედრინი; ნუღა იტყვით და, „салтык“ - თურმე, ვაჰ, თავის ჭკუაზე მოქეიფეს ნიშნავს, ხოლო „щедрый“ - მოგეხსენებათ, უხვი, ანუ მწყალობელია, ორივე ერთად კი გამოდის რომ „თავის ჭკუაზე უხვად მოქეიფე“ -სა ნიშნავს, ამ უფხიზლესმა მწერალმა კი, აი ასეთი მწყალობელი ქეიფი იცის -

რა ქალაქია მაინც ესა, ალალი სახელწოდებით „გლუპოვო“, რომლისაცა რომ მაცხოვრებლები დიდის გულმოდგინებით ცდილობენ ნანდაურ თავკაცად, ქალაქის თავებად, და ერთპიროვნულ მმართველებად მაინცდამაინც

გადამთიელები ჰყავდეთ - „ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვენ-ჩვენი თავებით ჩვენ-ჩვენი თავების მართვაო“, და, მართლაც, მისი, სალტიკოვ-შჩედრინის, უამრავთაგან ერთ-ერთი ვაი-დ ახდენილი წინასწარმეტყველება - მომავალ, ტერიტორიით ფართედ განლაგებულ საბჭოეთში, თელათ თლათ პირველ უმფროსს წვეთიც არ რევია რუსული სისხლის, მის მომდევნოზე ქართველს ამბობენ, და კიდევ უფრო კუდში მომდევნოებზე - უკრაინელებს, ბერძენსა თუ ებრაელს და ვიღასღა არ, და ერთიც უხვებწარბება ბოშაც ერიათ ისეთი რომ, ციგანი იყოვო, მაგრამ ლენჩი თავკაცი ციგანი ვის გაუგია (ეს შჩედრინსაც კი გაუკვირდებოდა), თანაც ისეთად ზორბა იყო ამ თავის დარგში, ვთქვათ და, გამოგეყვანათ ერთი-ერთზე როგორიც კი გნებავდათ უბრალო ხეპრე კი არა, არამედ მოდღლეზილი ხეპრი - და წამსვე იმ სახეობის ჭკვა-გონებით ორთავ ლბილ ბეჭზედ დასცემდა ორდენ-მენდლების ნაძვისხე ესა იმ უბედურსა იმასა, იმას, სიხეპრეობით აბა რომელი ჩლუნგი შეედრებოდა, განსაკუთრებით, ეს მისსა ბოლოდ დამაგვირგვინებელ წლებში, ხოლო გლუპოვოელთა თავკაცებიდან ძალიან ძნელი სათქმელი იყო, რომელი გახლდათ უფრო ოხერი, აიმ ქალაქში ყოვლად ხალასი უგუნურება და ჭის ფსკერამდე ამაღლებული შუმი სისულელეები ხდებოდა რომ? - აჰ, მართლა მტრისას... და, სხვა ერებს სულაც რომ თავი დავანებოთ და ჩვენს თავს მივხედოთ, ისე და ისე მი-და-მოილეწებოდა ეს ლიტერატურულად ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი, ნუღარ იტყვით და, ერთსა დროში გლუპოვ-ქალაქად თუმც პატარა ხნით მაგრამ ალაგ-ალაგა დაბალგავა და ჭამა-სმის დიდად მოყვარული ახვარი ქალებიც კი იღებდნენ ჭკვაგარეთა გაპუტული თუ გასაპუტი წარბებით თავშეყრილობებიანი ქალაქის არარსებულ სადავეებს ქონიან ხელში და, არ გაიკვირვებ? - ერთი ასეთი მთავარი მოძღვარიც (და შორიდანაც დამმოძღვრავი) ჰყავდათ რაღაცანაღა ხნით - „ჩეჩენსკი კნიაზ მიკალადზე“ - უცნაურია. დიდი უცნაური. ხოლო ერთი იმათი... აჰ, უკაცრავად, ერთი იმათი კი არა, რაღაც ვერა ჟღერს, თუმცა ვერა ჟღერს კი არა, ძალიანაც ცუდად ჟღერს „ერთი იმათი“ და ამიტომ იმათი ერთი (კარგიაჰ!) პატრონი (ვაჰ...) ისეთი მშვენიერი და მადისციპლინირებელი საიდანღაც გამოგზავნილი მთავართავკაცი (გრადონაჩალნიკი), რომელიც მთელი რიგი რამეების საკეთებლად დროგამოშვებით მხოლოდ თითოოროლი მკაცრი სიტყვით იმუქრებოდა, ძირითადად კი თვალებს მიმოაბრუნებდა გეგმაზომიერად, ბოლოს, სულ ბოლოს, შენ გესმის, კაცო? - სულ ბოლოს მხოლოდ ერთი ლოთი მესაათით დაქოქილი თოჯინა აღმოჩნდა თურმე მხოლოდ და როგორ არ გაგვახსენდეს აქ საერთოდ მტკიცე მაგრამ სუსტებყბება გადმოკარგულ და გადაკარგული, ომის ერთპიროვნულად მომგები თვით არნოლდივით სანატრელი ვაჟკაცი ლიონია! და უცაბედობით კი მაინც კაცებმკოცნვარი, რომელიც ერთხელ რომ, ბილბაო შავ ლიმუზინზე რა იყო შავ მავზოლეუმზე ციმციმ ატანილი და ფეხსაცმლიანი ფეხებით იქ როგორღაც სწორად მდგარი, ერთგული ყვავილ-ტანკ-ბუშტ-ალმებიან-სემიჩკიანი უთვალავი მასსების საიაღლუმა-მისასალმებლად სწორად თანაბარი ყოვნებით აწეულ-დაწეულ ხელს უცებ ჯერ გაკვირვებული მიაცქერდა რაც კი შეეძლო და მერე მეორესთან შესადარებლად თავისით მიიტანა და შეშუპებულად ნაომარმა, არყგანვლილმა, ითვალიერა ერთ-ორ, ერთ-ორ, ანუ ორივე და, ბოლოს, მიხვდა - სუმთლად თოჯინა კი არ იყო, არამედ ნაწილობრივ ადამიანი იყო ისიც - თურმე, ნუ იტყვით და, მავზოლეაზე რო არ დაგვიანებოდა, სიჩქარეში მიუბიათ ორთავ მარცხენა ხელი.

შემდეგ აღლუმზე კი, რაც მართალია მართალია, და შედარებით უკეთ იყო დაპაჩინკებული.

ან, როგორაა აღწერილი გლუპოვოს ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელ-გრადონაჩალნიკ ფერდიშჩენკოს, უკვე ჭარმაგობაში ფეხშედგმული მოღვაწის, ორი თვალსაჩინოდ განსხვავებული სხვადასხვაგვარი ყაიდის ქალით გატაცება: ჯერ ის იყო და, ხნიერ თვალში ძალიან მოუვიდა ალენკა - ნაზი, ლამაზი, პირმშვენიერი, ლოყებ-საჩინო-საუცხოოდ-თეთრ-ყირმიზა, ნარნარმოძრაობებიანი, ნაწნავდაწნული მწყაზარი ტურფა ალენკა, ჯერ რაღა აღარ უხიმანა, მაგრამ ალენკამ შორს დაიჭირა მისი შორივ აღიარებული კურკური, უდიერ პასუხებს უგზავნიდა და დღით თუ ისა და იმისი ქმარი მიტენკა ქუჩა-ქუჩად თუ მხოლოდ ჰკოცნაობდნენ, ღამით კიდევ მეტადსა ჰთამაშობდნენ, ხოლო როცა ბორკილდადებული მიტენკა შორს გაუყენეს, გამწარებული, ფერდიშჩენკოს ეზოში შეუვარდა და, დღისით, მზისით, იქ სულ სარაფანს იგლეჯდა ქათქათა ტანზე, და ასძახოდა: „на, пёс, жри, жри!“ ხოლო ღვაწლმოსილი ალენკას შემდეგ (ნაღვლიანი და სულელური, გლუპოვოური მოკვდინებაა), სუსტი სქესის მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელს, დომაშკას ეტრფო, რომელიცა რომ დღისით, გადაკიდებული უბნების ბრძოლაში მუდამ თავისი უბნის სათავეში ფიწალით კორიანტელურად იბრძოდა, ღამის კი შინ გათენება არა სჩვეოდა, თმაგაწეწილი, დაუბანელი, პირგამურული, სადმე ბალახ-ბულახში ან კალოზე ეგდო ზადიანად მთვრალი, სტეპივით გადაშლილი და, ვისაც კი გინდა, დიდ-პატარას, მიდი, ხოლო ზეჯანსაღ ბრდღვინვას სწორედ ემაშინ, ხელფიწლიანა ჩხუბში ბაჯაღლოდ მაჩხუბარს ჰკიდა ცოტათი კიდევ უფრო ხნიერი თვალი ფერდიშჩენკომ და, ასეთი ჯანმრთელი სიცოცხლის დანახვაზე, თვითონაც კარგა აინთო და, მთლად დადნა კაცი, თანაც თავკაცი, შეუთავაზდა, ხოლო დომაშკა კი აბა ვისა წინარე დაიხევდა, ეგრევ აიღო და, თმაში უცნაურ ვარსკვლავებად ბირკებგაბნეული, მხარდამხარ მარშით გაჰყვა, ხოლო ვერაზიზ გრძნობამოკლული მისუბნელები ასე სჩიოდნენ თუ, არ ეყოფოდა, მიტენკას რომ წაართვა ცოლი, ახლა მთელ მამულს სამამულო ქალი წაგვართვაო, და ალენკას თუ ძლიერ უყვარდა ნაზი აბრეშუმის ფერადი სარაფან-სარაფნები და, საერთოდაც, კარგი აღჭურვილობა, აემ დომაშკას ბალახებდანამჯააყოლილ რაღაც ტომრიქვეშ მისდღემჩი არა სცმია ბიუსტჰალტერის ამხანაგიც კი... და, სხვათა შორის, არც ბიუსტჰალტერი.

და თუ ტოლსტოი შეგნებულად არ იყენებს ეგრეთწოდებულ იუმორს, სატირასა თუ გროტესკს (ნიკალაი და ნაპოლეონ ნუმერ პირველებს თუ არ ჩავთვლით, მაგრამ იქ უფრო სარკაზმია), ხოლო ფლობერი მხოლოდ ერთგან (“ანბანურ ჭეშმარიტებათა ლექსიკონი“) ცდილობს მაგრამ დიდ იმდენ ვერაფერს აღწევს (იმათ სხვა ხერხებისა გაეგებოდათ რამდენად უფრო), სერვანტესისა და ფოლკნერის მსგავსად სალტიკოვ-შჩედრინს ადგილები აქვს ისეთი, ისეთები რომ, არ შეიძლება ხარხარისაგან სკამიანა არ გადაიქცე - თუ არა გჯერათ, თუნდაც „Старая помнадурша“ ან „Обманутый подпоручик“ გადაიკითხეთ, ან „Княжня Анна Львовна“ -დან იმ ადგილს შეგახსენებთ, ქალაქგარეთა ბაღში, ყოვლად უმიზნოდ და უსაბუთოდ როგორ აიღებს და ლეწავს შიგ ცხვირ-პირში ერთი დაბალი მოხელე-კანცელარისტი მეორეს, რომელიც ჩაის თავისთვისა სომს, მაგრამ სხვა თუ

დაწერდა, აიღო და ხეთქა „ვ სამუიუ ფიზიონომიუ“ -ო, თავის ჭკუაზედ მწყალობელად მოქეიფე რაღა სალტიკოვ-შჩედრინია, თუ მხოლოდ „ფიზიონომია“-თი დაკმაყოფილდება - „и вдруг ни с того ни с сего хлысть секретаря в самую матушку-физиономию“-ოო. და დაგვირგვინებად, მესამე იმათსავით დაბალი ჩინოვნიკი, ოღონდ იმათზედ ღონიერი, მეოქმე-პროტოკოლისტი, ისიც აიღებს და ყოვლად უსაგნოდ, ორივეს, დამნაშავესაცა და უმწიკვლოს, ისე თანაბრად გალახავს, რომ „губительнейшим образом оттузил во все места“.

ატარებენ, დროს.

ხოლო იმ თავისი ნგრევა-შენებით, რამდენად დიდი მწერალია, ვიდრე... აქ ძალიან გთხოვთ, სწორად გაიგოთ: მიუხედავად იმისა, რომ რუსებს სხვებთან ერთად კიდევა ჰყავთ ერთი ძალიან კარგი, მშვენიერი, დიდი მწერალი, მაგრამ ისევე, როგორც ბევრს ქვეყანაში ხშირად ხდება ეს, ზოგს უფრო მეტად აფასებენ ვიდრე ეკუთვნით, ზოგს კი - ნაკლებად; ეს შედარებით ნაკლებად დაფასებულები, და შედარებით უცნობებია, ვთქვათ, კრეინი და შტიფტერი, ხოლო ზედმეტად - აქ გთხოვთ გამაგრდეთ, - თვით ბოკაჩოა, რომელიც ნოველის ბრწყინვალე ოსტატად და განმავითარებლად დამსახურებულად კი ითვლება, და ზედმეტადაა ჩასაფრებული და ცილისმწამებელიც კი მრუშობების, განსაკუთრებით ბერების შემთხვევებში, ცოტა კი არა კარგა ზედმეტად გამომჩხრეკი და მაჭვრიტინეა, მაგრამ მაინც არაა ის, სერვანტესის თუმც დიდ თაყვანისმცემელს, ტირსო დე მოლინას „სამოძღვრებო ნოველები“ -ს წაკითხვის შემდეგ ნამდვილ ქრისტიანეზე რომ ასე ეთქვა - „ეს ჩვენი ბოკაჩოა“ - ხომ კია რაღაც გადამეტება? რაღა თქმა უნდა, სერვანტესისთვის კი არა, ბოკაჩოსთვის, ეს, ხოლო მეორე, დიდ მწერალთაგან, უცილობლად არ ვამტკიცებ ამას, უბრალოდ, ნაფიქრალია ერთი ეს ჩემი, ალბათ, ჩეხოვია, რომელიც, სალტიკოვ-შჩედრინთან შედარებით, ბოლომდე როგორღაც ვერ მიდის, მნგრეველთან შედარებით თითქოსდა მხოლოდ იბწკინება, და, რაც ვერაა მაინცდამაინც კარგი, თავის პროზაში როგორღაც ზემოდან დასცქერს თითქმის ყველას და, რაც მთავარია, ის სულ არაა შეყვარებული ღვთის დიდსა თუ მცირე გლახებში, თუნდაც იმიტომ, რომ ვერა ჰყავს, თუმცა ბრიყვები - მრავლად, და როგორღაც შეუგნებელი თუ უნებური ქედმაღლობით დასჭვრეტს, და სხვათა შორის, შჩედრინზე ოცდათორმეტი წლით გვიანაა დაბადებული, და, კიდევ ერთი სხვათა შორის, რომე ძალიან კარგად ითარგმანება, სალტიკოვი კი ძალიან ძნელი, შეუძლებელი სათარგმნიც კია ღვთის გლახებზე რომ მიდგება საქმე - შეყვარებულია, ისე. და თუ კინოფილმებსაც, დიდი მწერლებიდან, ყველაზე კარგად ჩეხოვის მიხედვით იღებენ, და თუ ადრე სალტიკოვ-შჩედრინის ეკრანიზაციას მაინცდამაინც მიზანშეწონილად არ თვლიდნენ ჟდანოვ ასე IX-X და სუსლოვ II და სხვადასხვები, ახლა, ბატონო, იმ ძნელ დროშიც კი წარმატებულო რუსო რეჟისორებო, ხომ აირია კარქა ქვეყანა და ხომ საითაც გინდათ და მიდით და იქით დაადეთ თავი, - ააბა, სალტიკოვ-შჩედრინი სცადეთ...

მისი სურათი თუ გინახავთ - უღირსს სხვა არ ეგულება ასეთი მრავლისმეტყველი, როგორღაც სამმაგად ანთებული სახე - ერთი, ტანჯვაა წარმოუდგენელი, ნგრევითი შრომით დაღდასმული, დაუნდობელი სარკაზმითა და გროტესკით თვალითა და გონებისმიერად ყოველივესი გამჭოლი, და მაინც, უღირსისათვის ვერ იქნებოდა იმ

თავის დიად ხუთეულში (უცხოელებიდან, შეგახსენებთ), მწყალობლად ბოძებული, თუარ იმისი რაღაც ყოვლად ურყევი, პიტალო რწმენა მომავლისადმი, და როგორ სამართლიანად თქმულა, რომ შჩედრინის ნაწარმოებების მიხედვით „შეიძლება შედგეს მთელი ქრესტომათია მომავლის რწმენისა“, და თვით სალტიკოვიც: „აღზარდეთ საკუთარ თავში მომავლის იდეალი, ხშირად და დაკვირვებით ჩაუღრმავდით იმ ნათელ წერტილებს, მომავლის შესაძლებლობებში რომ კიაფობენ“, და სწორედ ამისთვის, ამ ნათელი წერტილებისთვის თუა სწორედ იმიტომ შეუძლებელი სათარგმნი, რომ, -

სიყვარული ხომ, აბურდულია.

და ყოველგვარ ბნელურ სიმახინჯეს როგორ მოუღლელად ლეწავდა ირგვლივ, და რა სიტყვებით, მთელი იმდროინდელი აფეთქებული რუსული მწერლობა ერთად რომ დაგედოთ და აქეთ კი ცალი სალტიკოვი, საეჭვოა თუ, ლექსიკით რომელი რომელს გადასწონიდა, და რა სასწაულებს სჩადიოდა თუნდაც სქოლიოებში, სქოლიოებშიც კი, და, მესამეც და მთავარი, რომ, მხოლოდ პორფირი პეტროვიჩს და ვითომც მორწმუნედ იქ შეღოღებულ მავრა კუზმოვნას და შუათანა გოლოვლიოვის და აუარება მათთანათა გარეწრის ალაგმვა რას ეყოფოდა, და, ამ დიად მტვრეველს, ის მესამე თუ აის პირველი, პირველ განძად თუ რა გააჩნდა და, - უსიყვარულოდ, მომავლის რწმენას სხვაგვარად როგორ მიაღწევდა და, აკი როგორ უყვარდა თავისი უბრალო, თავისი სათნო და კიდევ სათნო და კეთილი და ჩამოძენძილი და მშიერ-მწყურვალი და ფეხშიშველი პაწია ვითომ, დიდი გლახები... ღვთის.

იმათთან იგი ნაზია, ლბილი, ტფილი... ან როგორ პირთამდე არა, მეტი, აღსავსეა თანაგრძნობით და თანადგომით და როგორ პირდაპირ დაჰკანკალებს თავის არინუშკას, პახომოვნას, ნასალდათარ პიმენოვს, ანა მარკოვნას, იმ არხიპუშკოს, ხანძარი რომ იწინასწარმეტყველა და მაინც არ დატოვა მშობლიური ქალაქი, გინდაც გლუპოვო ყოფილიყო ის, და ზეზეულა დაიწვა... - რწმენის კელაპტრებს.

რაღაც უცნაურ თავდავიწყებამდე, პეშვისოდენა ცრემლებით უყვარს, და, მათთან შეხებისას, როგორ პეშვობით დნება ეს ქვის და ფოლადის გოლიათი, მერამდენე განმეორებისათვის, გვეპატიოს და რადგან თარგმანში რაღაც სასტიკად ბევრსა ჰკარგავს, უღირსს მიეცით პატარა ნება, თუმც კარგად იცის, რომ თავისუფლად შეიძლება ამ არეულობაში (1995 წელი, გაზაფხული) არცთუ მოსაწონ ქართველობაში ჩამოართვან და ხშირ-ხშირადაც წამოაძახონ ამ მოთხრობაში სხვა ხალხის, მაგრამ სალტიკოვისაც, შრიფტი, მაინც მიეცით პატარა ნება, მით უმეტეს რომ, ეს მისგანაა უარყოფილი სიტყვებით ლაფდაქცეული ლეგენდარულ-ვიგინდარულ გარეწართა გასამძღომი სვლა „Господа ташкентцы“ -ში და, გამხნევებულს,

ვერ შეუძლია, ოციოდ წინადადება მაინც არ გამოურიოს მისი მისთვის სანუკვარი და, ჩვენთვისაც, რამოდენიმე მოთხრობიდან, მით უმეტეს რომ, რაზეა, იცით?:

„Журчат Аринушке ручьи весенние, весенние ручьи и непорочные, чистые: жалко нам тебя, божья старушенька! лопоти-ночки у тебя - решето дырявое, ноженьки худые, иззяблые, обмолола их гололедь строгая, призастыла на них кровинка горячая“...

მაგრამ არინუშკა ამას დაგიდევთ? რადგან იმ სპეტაკ წარმოდგენაში,

„Видит она: впереде у ней Иерусалим-град стоит; стоит град за морями синиими, за туманами великиими... много в нем всякого богачества, много настроено храмов божиих, храмов божиих христианских“,

და ეს ისეთი ტაძრებია, რომ,

„турка пройдет, крест сотворит, кизилбаш пройдет - храму кланяется,

მაგრამ დაღლილია მოხუცი და გაყინული არინუშკა, გუგულს ეკითხება:

„Ты скажи мне-ка, куку-кукушенька, ты поведай мне-ка, божья птахонька!“,

დავიღალეო, დასასვენებლად როდისღა მივაღწევო, რაზეც გუგული ცოტათი მკაცრად, რა ადგილია:

„Ты почто, раба, жизнью печалуешься? Ты вспомни, раба, господина твоего, господина твоего самого Христа спаса истинного! как пречистые руце его гвоздями пробивали, как честные нозе его к кипарису-древу пригвождали, тернов венец на главу надевали, как святую его кровь злы жидове пролияли... Ты вспомни, раба, и не печалуйся; иди с миром, кресту потрудися; дойдешь до креста кипарисного, обретешь тамо обители райские; возьмут тебя, рабу, за руки ангели чистые, возьмут, рабу, понесут на лоно Авраамлее...“

იმავსავე დღეს, გარდაიცვლება,

და იქითკენვე, აბრამის წიაღისკენვე მიეშურება Федосьюшка свет-Пахомовна, ისიც მარტოკა, ოღონდ ერთი იმასაცა აქვს მხოლოდ პატარა ნაკლი, აბრამის ნაცვლად „Обрам“-ს ამბობს, არც კი იცისა წესიერად მისი სახელი; სამაგიეროდ, ის გზაზე ეშმას დაამარცხებს? -

მოსაყოლი არა, არა, - წასაკითხია.

და როგორივე წასაკითხია, свет-Пахомовна-ს დიდი დათვი რომ დაადგება თავს, მაგრამ აქ შეიძლება ისე შეტოპდეს, მხოლოდ მკითხველად გვექცეს ავტორი, რაც თავისთავად სულაც არაა ცუდი, მაგრამ მისი მხრიდან - გაჭიანურებული ერთკუთხობა ხომ არაა ეს და მაინც, მაგრამ, როგორ არ ითქვას ისიც, ის რომ, ამათაცა და ნასალდათარ პიმენოვს, ბუნების ისეთი აღქმა ბოძებიათ რომ, თვით ბუნინსაც კი მოადგებოდა ამაო ნერწყვი,

ბედნიერებია.

და ღვთის ნეტარი გლახები მხოლოდ თავისთვის კი არ დაიარებიან ტყესა თუ ღრეში, და ჩალურჯებული ქუსლებით მიკაკუნებენ ყინულზე, არა, ისინი ქალაქად და სოფლადაც ცხოვრობენ, ტანთ ჩვეულებრივი სამოსი მოსავთ, ფეხზეც, აცვიათ, მაგრამ სხვებისთვის ისეთ წყალობებს, გულისმიერებს, სულითნაკვებს, უდიადესებს, ისე უბრალოდ სჩადიან რო... და თუ პალაგეა ივანოვნას ხანშიშესულსაც აშკარად ეტყობა, ახალგაზრდობაში ლამაზი რომ იყო, ანა

მარკოვნაზე ამას ვერ იტყვით, ყმაწვილქალობისასაც შეუხედავი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შუქი და ნათელი და ბროლი გადასდის სახეზე ისეთი რომ? - რისი სილამაზე...

ანა მარკოვნას ერთსართულიანი უბრალო სახლის სამი თვალი ფანჯარა ქუჩაზე გადის, და აღდგომა-დღეს სამივე ფართოდ იღება, რადგან ყველას, ჩვეულებრივ გამვლელ-გამომვლელთ და თავისმაგვარ, ოღონდ ქვეყნად მოარულ ღვთის გლახებს, სათუთი ხელით დამზადებულ ნუგბარზე ეპატიჟება, უწილადებს, ქვრივს, გააჩნია ცოტაოდენი დანატოვარი ქონება, და ღვთით იყენებს, ანა მარკოვნას პატარა ეზო მუდამ სავსეა ღარიბი ნათესავების ბავშვებითა და უცნობების ობლებით, მისი წყალობით, ჟრიამულია, შესცქერის იმათ, მოფერებით აძლევს შენიშვნებს, ტკბება... ანა მარკოვნას ბავშვები რომ უყვარს, ბუნებრივია, გასაგებია ისიც, გალეშილი ნაჯაფი მუჟიკების მდგომარეობაშიც კი რომ შედის და ამართლებს, მაგრამ, ანა მარკოვნას რაღაც განსაკუთრებული თანადგომით უყვარს... ბოროტმოქმედები. რადგან, დარწმუნებულია, და უცხოდ მართალიცაა, რომ კარგი ცხოვრებით არ ჩაუდენიათ რა ჯურის არ გინდა, დანაშაული... ანა მარკოვნას მოსმენისას, დიადი მწერალი აქ არც სალტიკოვია და არც შჩედრინი, ის აქ ბავშვია, სმენადქცეული, თვალებგაფართოებული, და თან როგორღაც საძიებელი სიკეთის ობოლი, და ანა მარკოვნას ნაამბობებს, თავსდატეხილი სიკეთის მომძიებელი, სიტყვებისმიერ მადლიან მუხლზე თითქოსდა ლოყით ეხუტება, ანა მარკოვნა კი:

როგორ გგონია, ადამიანი ბოროტმოქმედად იბადება?

„Так вот они, - дети-то! гляди на них! Вот их тут охапка целая, как хочешь, так и поверни!“

და, წარმოუდგენელ შემთხვევას უამბობს, თანაც შესავლით:

„А ты вот попробуй-ка с лаской к нему подойти, к тому, которого ты душегубом-то называешь, как его, сердечного, от душевной-то муки перевертывать начнет!“

და, ჰყვება, თუ როგორ ნახა პირველად „большой грешник перед Богом, Василий Топор назывался“ თურმე, რაც იმ ვასილიის ქრისტიანული სიცოცხლეები უმსხვერპლია, ვერც კი მოითვლიდით, და, როგორც იქნა და შეპყრობილი, დასასჯელად ჯერ სახალხოდ რომ გამოიყვანეს და რომ როზგავდნენ, ისეთი მძულვარე გამოწვევით უნაკვერჩხლებდა თვალებს ყველას, სუნთქვაშეკრულ მაყურებლებს, რომ ხალხს იქით დაეცა თავზარი და მზერას არიდებდნენ, როგორი ეშხით დაჩეხავდა ვასილიი ტოპორი ნაჯახით განურჩევლად ყველას, მაგრამ ხელფეხშეკრული იყო და, თანაც როზგებით სასტიკად სცემდნენ, იგი კი, გამოუსწორებელი, გვემისასაც კი, მისთვის ამ ყელგამოსაღადრავ ცხვრების ფარას, ახლომგელივით მოშიებული შესცქეროდა, და ეშაფოტამდე, საავადმყოფოში დააწვინეს, ხოლო ანა მარკოვნა, შესაზარი ნანახისაგან მთვრალივით ფეხარეული რომ ბრუნდებოდა შინ, უცებ, გაუელვა:

„Господи, да неужто ж есть на свете такой человек, который не видел бы лица Твоего!“

და, იმ ვასილის, ვისი შიშით არამცთუ უბრალო ხალხი, ბევრისმნახველი გუშაგებიც კი ცახცახებენ... ის მერე რა რომ, გაროზგვისაგან ოდნავი შერხევაც უჭირს და მისავათებულია, მაგრამ გამოხედვა აქვს მაინც თავისი ისეთი... მაგრამ, ვასილიი ტოპორის, ამაზრზენად კუშტი ცოდვილის, ნახვას გადასწყვეტს ხნიერი, ტანით მორჩილი პატარა ქალი... რა ადგილია!

გაეშურება და, მივა და, შეუშვებენ, თავთით დაუჯდება, და ბევრს ელაპარაკება თუ ცოტას, - „не мудрены, мой друг, наши речи!“ და ტოპორი ჯერ კი თუმცა დუმს, - „только стал он понемножку смягчаться“, - და მერე ეს ვინ - ყოვლად უცნობი ადამიანებისადმიც ბრმა შურისძიებით აალებული, გამორჩეული ბოროტმოქმედი, ხელობამსუნთქავივით მკვლელი... მაგრამ,

„Васенька! - говорю я, - сердце у тебя, друг мой, горячее, укроти ты его, утоли ты вредную строптивость свою!“ვის უბედავენ!!, მაგრამ, შეავლებს თვალს „ვასენკა“ ანა მარკოვნას და, „и словно в первый раз ему в голову что пришло“.

ანა მარკოვნა კი, განაგრძობს:

„Не стерпел ты уз своих тесных, говорю, в лесах да по дорогам горе свое большое разнести захотел!“.

რაზეც,

„Не стерпел, - прошептал он.“

ანა მარკოვნა კი, დაყვავებით და მოფერებით დამანამუსებელი:

„А ты бы, говорю, подумал, какие узы другие-то християне терпят; может, горше твоих“.

„Горше, говорит“, და აქ სასწაული იწყება:

„И вижу я, стал он напружиниваться, и пот по нему проступать начал“,

და, სასწაულიც, ღსრულდება:

„И вдруг он хлынул. Только какая это горесть, друг мой, была, я даже выразить тебе это не могу! Уже не то что плачет или рыдает, а просто криком кричит!.. И мучится... и мучится“, ხოლო ყოფილი ბოროტმოქმედის შუბლსა და ლოყებზე სიმწრით დადაღული ამომჟღავნებული ლაქები ანა მარკოვნას „краше честного девичьего румянца показалися!“

ასე მიმადლა სინანული, უდიადესი გრძნობა, განმწმენდელი, ანა მარკოვნამ თვით ვასილიი ტოპორს, ყოფილ ნაჯახს, ვასენკას, რადგან ეს ხნიერი ქალი თვით ყოვლისმომცველი სიყვარულისა და თავად მაღლივი სათნოების უერთგულესი შიკრიკი და კარისკაცია, და, მისეული თხრობისას, ეს დიადი მწერალი აღარც სალტიკოვი და აღარც შჩედრინია, ეს ანა მარკოვნაა აქ თავის ნებაზედ უხვად მწყალობელი, მიხაილ ევგრაფოვიჩი კი, ჩვენსავით მხოლოდ მსმენელი, მაგრამ ისეთი მოკაკვული რომ, „Признаюсь откровенно, когда я выслушал этот рассказ, из

глаз моих полились невольные слезы“, და ეს ვინ მერე - დიადი მნგრეველი, ისიც სინანულით, ღაპაღუპითი ცრემლებით ტირის, ხოლო ანა მარკოვნა თავისას, ციურს, ამაღლებულს, განაგრძობს:

„Так вот как насмотришься этаких примеров, так и посовестишься сказать про человека: вот вор! а этот вот убийца!“

და როგორ, როგორი, თვით მაცხოვარის ხამლამდე სწორია, რადგანაც იმას, ანა მარკოვნას, დიადი მრწამსი გააჩნია, თან რა ურთულესი და, თანაც როგორი სადად უბრალო, და ამას დიდ დამსახურებად როდი ითვლის, არა, არა, ღვთის შეწევნით, ჩინებულთაგან მხოლოდ ერთ-ერთი სწორი მაცნეა:

„Ведь и убийце Христос сердце растворил, ведь и в ад он, батюшка, сходил... а мы!“

თქვენი არ ვიცი, მაგრამ აქ თავად ამ დიად ხუთეულში მოუქანცავად მობოდიალე თვით უღირსიც კი დაგვეღალა, ალბათ ცოტა გრძლად კი ჰყვებოდა უცხოელთაგან მისთვის დიადი რჩეულებისას, მაგრამ სიყვარულიანმა აღფრთოვანებამ აბა რომელი საზომი იცის, და მეორეც, ამ შეყვარებით აბურდული მოთხრობის ბოლოსკენ ეგებ საჭიროდაც კი მოგვეჩვენოს ამა ადგილების გაგრძელებულად შეხსენებული თხრობა, და, წარმოიდგინეთ, მოთხრობის სათაურიც არ დავიწყნია აქ არცერთგან, ხოლო ნასაყდრალ ლოდთან ღვთის ნეტარი გლახები უფრო იყრიდნენ თავს, იმ გალავნისეულ ლოდზე უფრო თვალნათლივ ხელდადებულად, ამაზე, საკმაოდ შემდგომ, აქ კი თავს იმით იიმედებს, რომ, თუკი შესძლო და თუკი გადმოსცა მათით წყალობა, და თუნდაც ის რომ ყველაფერი ალბათ ასატანია, მოსაწყენის გარდა, ხოლო ესენი, ჩვენგან ხარბად დასაკვირვებლები კი არა, სამეტო, იყვნენ, და რაღაც კანონად სულაც არ გახვევთ თავს თავის ხუთეულს, რადგან ხანდახან თვითონაც კი ეეჭვებოდა მხოლოდ იმათი ხუთეულობა, მხოლოდ და მხოლოდ იმათობა, იმათითობა, - ვთქვათ, ეს როდესაც კიპლინგის მიერ ჯუნგლებზე მეტად აღმოცენებულ ჯუნგლში დაძრწოდა თუ თავქვეჩარგული თუ პირაღმა თავისთვის იწვა დაღალული იქაურ მსუყე შამბნარში, თუ დიდი ტყიურეთის როგორად განსხვავებულ, როგორ გაცნობილ ბინადართ, სჭვრეტდა, ანაცდა მელვილს თუ კითხულობდა, დიდ წყალთა მპოვნელს, ერთი ცალფეხა, ფეხმოკვნეტილი და მაინც როგორი საბედისწეროდ შემართული მეზღვაურისა და იმისი მტრისა და ოცნების, დიდ ძუძუმწოვარა ვეშაპ მობი დიკისა და, როგორი ლაღიც კი ტყვეობისას, „ტაიპი“-საც კი, პატრონს, ან სტენდალს, მერიმეს, ჰემინგუეის, უდიადეს ხელთ, და სამ მართლაც დიდ მწერალს კიდევ, მაგრამ იმათი დასახელება როგორღაც იმიტომ ერიდება, რადგან მათი კითხვისას, ანუ იმეებისგან არცთუ თავაზით დატვირთვისას ცოტათი ხშირად გინდა, დავიდოთ გულზე ხელი ეგრეთწოდებული სპეციალისტების გარდამ, როგორმე მალე დამთავრდნენ, მაგრამ მთლად ისე-ჩავლაც არ შეიძლება და მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ მათგან ერთი ფრანგია, ერთი - გერმანელი და ერთიც - ბრიტანეთული კუნძულიდან, და კიდევ სხვებსაც რომ კითხულობდა, უცხოელთაგან გამორჩეულებს, რამდენთ, თუმც რა უცხოები ისინი იყვნენ, არამედ მისიანები, თავისიანები, ახლობლები, და მაინც, როგორ შეუდარებელ შვებად, იმასაც თუ გავიხსენებთ და დავამატებთ კი არა, არამედ ეს რა მარადიულ

მაბედნიერებლად - რომ მისი სამშობლო, საქართველო, მსოფლიოს ლიტერატურულ რუკაზე შედარებითი უპატრონობით თუმცა ნაკლებად ცნობილი, მაგრამ სინამდვილეში ერთ-ერთი მძლავრი სახელმწიფოა, თუმცა, რომელი უპატრონობა, მიდი აბა და თუ კაი ბიჭი და მთარგმნელი ხარ, გასთარგმნე, ვაჟა, თან, ერთი წიგნი ბოძებოდა გამორჩეულად ისეთი რომ, ვაჟაზე უფრო ძნელი კი არა, არ არსებობდა სასწაული, რომ თარგმნილიყო... ეს მხოლოდ ჩვენთვის, ქართველებისთვისაა ის ერთი ჩვენთვის ყველაზე დიდი წიგნი, მართლა ღვთის წყალობად, მართლა, გადატანითი მნიშვნელობით კი არა.

და ჰქონდაც, ზემოთ თუნდ ულევად მოწიწებითი სიყვარულახსნილ მწერლებისადმი ხანდახან მოულოდნელად თავსდამტყდარი, თავხედი იჭვი, როგორღაც მტკივნეული ორჭოფობა, ეგებ, ცოდვებსაც სჩადიოდნენ, ამაზე, შემდგომ, ხოლო ახლობელ უცხოელთაგან ერთი მწერალი, ვინც რაგინდ საზომით განკითხულიყო, ყოვლად უცოდველად თხზავდა, სწორედ ის იყო, ერთადერთი, ვინც ვერავითარ ფარულ ცოდვებს არ ექვემდებარებოდა, ვერ ემორჩილებოდა, და თუ უცხოელთაგან ყოვლად უბიწოდ ვინმე თუ თხზავდა, სწორედ ის იყო; იგი არ იყო პროზის დიადი ქვეყნების შვილი - არც ფრანგი გახლდათ, არც რუსი და ამერიკელი, არც ესპანელი და არც შვედი და გერმანელი და ინგლისელი და იაპონელიც - არ, და არც ახლახანა ურწმუნოდ დაქუხებული ერთი უფრო შორითა კონტინენტიდან, არამედ თავისი დროის ამმხრივ უბრალო დანიიდან -

ჰანს ქრისტიან ანდერსენი... დიდი მეზღაპრე, დიდრონ შვებათა მანიჭებელი, სიკეთის გუდა. უცოდველი და, სუფთა, სუფთა.

მისიანებიდან კი, -

თავი და თავი, ჯერ ვაჟა.

მთელი სამყაროსი, და უთარგმნელი.

ხოლო პროზისმიერ უნებურ ცოდვებზე - ცოტათი შემდგომ.

მაგრამ თუ უღირსს ეგრეთწოდებულ უკაცრიელ კუნძულზე ერთ, ერთადერთი წიგნის წაღების ნებას დართავდნენ (მერამდენედ რომ ბიბლია არაა, არა, წიგნი), ბიბლიასთან ერთად, რაღა თქმა უნდა, თავისას, ქართულს წაიღებდა, და ეს არც ილია იქნებოდა და არც აკაკი, არც გურამიშვილი და ბარათაშვილი, არც ყაზბეგი და ნინოშვილი და კლდიაშვილი, არც მისი გარდაცვლილი თანამედროვეები - ყურძენივით როგორღაც სწორად მსუყე „ნატვრის ხე“ და გურამ რჩეულიშვილი, სიტყვების თამაში არაა ეს - გამორჩეული სიამაყე, და არც სპეტაკი რევაზ ინანიშვილი, ანდერსენივით უცოდველი, თანაც მეზღაპრეობა არ სჭირდებოდა, ისედაც ყოველივე ძნელადნამდვილის სალუქად მჟღერი მეზღაპრე იყო, არის, ვაიმე, სამთავ, ყველაზე მეტად ვაზიანები, ცოცხალ კლასიკოსთაგან კი, არც ქალბატონი ანა, დიდხანს გვემყოფოს, ეს წიგნი არ იქნებოდა, წარმოიდგინეთ, არც „ვეფხისტყაოსანი“ და არც ვაჟაც კი, არც გალაკტიონი, ასე განსაჯეთ, თვით ქართული ხალხური პოეზიაც კი არ, - ეს მისი სუნთქვები და სიცოცხლეები, - არამედ კიდევ სხვა, ერთადერთობაზე თუ მიდგებოდა საქმე, ერთადერთი.

მაგრამ ამაზეც, შემდგომ.

7.

„უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ილია II-ს,

თქვენო უწმიდესობავ,

ვიცი, რომ არამცთუ ზუსტად და სისავსით, გამარტივებულად და ჯეროვნად სწორადაც კი ვერ გამოვთქვამ სათქმელს, ვიცი, რომ ბევრი უნებური შეცდომა მომივა, მაგრამ თქვენი შეწყალების იმედით ვარ და შეძლებისდაგვარად მინდა გიამბოთ იმ ორ მაღალ სიზმარზე, მე რომ გადამხდა.

მაგრამ ჯერ უღრმესი, მოწიწებითი მადლობა (აი, თუნდ აქაც ბოლომდე ვერ გამოვთქვამ მხოლოდ სიტყვებით) მინდა გადაგიხადოთ იმ განუზომელი მადლისათვის, ისევე როგორც გოგიტასი და კახას, მიშიკოსი და მაიას, და კიდევ რამდენის, მშობლებს და მათ შორის მეც, ნუგეშით რომ დაგვდეთ. ნუგეში, ახლახან წავაწყდი, საბას მიხედვით გულის დასადებს ნიშნავს, ხოლო თქვენი ვრცელი გულის დადებით რამდენი მშობელი აგვაცდინეთ იმ საშინელებას, სისაზარლეს, თვითმკვლელობა რომაა.

თქვენო უწმიდესობავ, მთელი მომდევნო თხრობა, ამ მონაწერის შემდეგ, თქვენი სიკეთითა და წინასწარმეტყველებით იქნება გაჟღენთილი, ამაზე, შემდგომ, ახლა კი, მთელი ჩვენი ერისათვის უაღრესად საჭირო დრო თავკერძულად რომ არ წაგართვათ, ჩემი შესაძლებლობისდა მიხედვით, მხოლოდ ორ სიზმარზე შედარებით მოკლედ მოგახსენებთ.

ჩემი ვაჟის შემდეგ, სულ ცოტა შვიდ-რვა თვეს მაინც დავდიოდი თბილისიდან მცხეთაში კვირადღეობით, და სვეტიცხოველში დილის წირვას ვისმენდი. სვეტიცხოველში იმიტომ, რომ მაშინ იქ მოძღვრობდა ჩემი სულიერი მამა-მასწავლელი, მამა (ჯერ არ ბრძანდებოდა მეუფე) დანიელი; მის, თქვენი მოწაფის, სიკეთეს ჩემდამი, არ ვიცი რა დაიტევს,

სვეტიცხოველში შესასვლელიდან მარცხენა, ბოლო, საკურთხეველთან კი ახლოთა სვეტთან ვდგებოდი, თუმცა ვიცოდი, რომ მამაკაცები მარჯვნივ უნდა იდგნენ, მაგრამ მარჯვნივ გუნდი გალობდა და ის ჩემი ადგილი როგორღაც მყუდროდ მეჩვენებოდა, ჩვენი გალობა კი, მართლმადიდებლური, ქართული, მაინც მშვენივრად, მოზოგილ შვებად აღწევდა ჩემამდე; ერთი ის მაწუხებდა, ჩემს ზურგსუკან ღვთისმშობლის ხატის ასლი ეკიდა, თანამედროვედ შემინული, ჩარჩოიანი; თუმცა იმდენად მაღლა, რომ ზურგით დადგომა არც ეთქმოდა, ზურგით მე მხოლოდ სვეტის იმ ადგილისადმი ვიდექი, სადაც ჩემთვის რაღაც გაურკვეველი, ბუნდოვანი, გაცრეცილი ძველი ფრესკის მკრთალი საღებავებიღა ჩანდა; თავიდან, პირველად, მოღრუბლულ ზამთარში გულდასმით დავაკვირდი, მაგრამ ვერაფერი გავარჩიე, და ზურგით დავდექი. ის თანამედროვე, ასე ვთქვათ, აშკარა ხატი მაინც მაწუხებდა და არც მაწუხებდა, რადგან, როგორც მოგახსენეთ, ისე მაღლა ეკიდა, აწეული ხელითაც ვერ შევწვდებოდი, მაგრამ მაინც

მეხამუშებოდა იმ სვეტთან ზურგით დგომა, ამას სვეტიცხოველში ყოველი ჩასვლისას ვგრძნობდი, სულ ცოტა ოცჯერ მაინც, არ ყოფილა ისეთი კვირა დღე, იმ სვეტისადმი ზურგით დგომას ბუნდოვნად, წამიერად მაინც რომ არ შევეწუხებინე, არადა როგორ დავმდგარიყავ სვეტიცხოველში ისე, რომელიმე ხატისადმი ზურგით რომ არ აღმოვჩენილიყავ-მეთქი, აქეთობისას ვფიქრობდი, გულს ვიკეთებდი, კი შეიძლება კედელთან დგომა, მაგრამ შორსაა, მოძღვრის ხმა კარგად ვერ მოაღწევს-მეთქი... მაგრამ ის სვეტი... ღვთისმშობლიანი... არადა, ღვთისმშობელი, ვის ვეუბნები მეუღირსი ამას, სხვაა... მინდოდა მეთქვა, რომ ღვთისმშობელი ჩემისთანა უღირსისთვისაც კი, სხვაა... ხანდახან იმასაც კი ვბედავ ხოლმე, თუმც, ეს გაბედვა კი არა, უნებურად დაცდენილი ვედრებაა, რომ, ჩემი ყოფით გზააბნეული, დიად სახებას უბრალო დედასავით ვთხოვდი რომ, ეგებ თქვენს მაღლივად მზრუნველ უზენაეს შვილთან ერთად, თქვენც რომ შეივრდოთ თქვენს მაღალ ქვეყნად მე-უღირსის შვილი, „თქვენც ხომ დედა ბრძანდებით“ - ვტყუი! - „შენც ხომ დედა ხარ“ -მეთქი, - როგორღაც ასე, ჩემიანივითს, ვიცი ვერ ვახერხებ სწორად გამოთქმას, მაგრამ, ასე ვთქვათ, მეტისმეტობით, შინაურულად ვთხოვდი.

და, რამდენიმე თვის შემდეგ, ერთი კვირაძალიც რომ დაღამდა და დავიძინე, სიზმარი ვნახე ერთი.

სიზმარი ჩემთვის, თქვენო უწმიდესობავ, სულაც არაა ცრურწმენის საგანი; მომდის ხოლმე სიზმრები, რომლებსაც, დიდად ფორიაქა წარმოსახვების მიუხედავად, არაფრად ვთვლი და ადვილად, უკვალოდ მიქრებიან, ეს მათი როგორიღაცითი ზედაპირულობითაა გამოწვეული, არაფრად მიღირს როცა თვლიან, რომ სიზმარში კბილის ამოღება განსაკუთრებით ცუდია და რომ ესა და ეს ამასა და ამას ნიშნავს, სიზმრების დიდი უმრავლესობა ასეთია ჩემთვის, ძალიან იშვიათად კი, თითქოსდა შედარებით წყნარი სიზმარი, როგორღაც უახლოვდება სიტყვა „ჩვენება“-ს, და განუზომელი შთამბეჭდაობით მოქმედებს, ყველაზე ნაღდი სიტყვა კი აქ, როგორც ყოველთვის, სიტყვის დიდ პაპას, დიად მეთქმეს, და ჩვენქართველთა როგორ მწყალობელ მეგა-მოხატულებეს ბერს, სულხან-საბასა აქვს...

და აი, ერთ შაბათს, კვირაძალის წინა ღამით, როდესაც სვეტიცხოველში ხვალინდელი წასვლა რატომღაც განსაკუთრებით მაღელვებდა, ჩემი შვილი, საბას გამოთქმით, უცნაურად „მეძილისშინათა“, რადგან უცნაური რამ დაყვავებით მირჩია; იგი უთქმელად მიხსნიდა ჩემთვის რაღაც ძალიან შორეულს და მიღიმოდა იმ თავისი ბევრთაგან ერთ-ერთი ღიმილით, თან როგორღაც მორიდებულითა და დარწმუნებულითაც, ერთი ასეთი ღიმილიც ჰქონდა, დაჰყვა, და როგორღაც სითბოიანი საყვედურით მითხრა, მამა, იქ ნუღარ დადგებიო...

მე, გახარებულად დაბნეულმა - რადგან ირაკლი დამესიზმრა - ყოვლად უცნაურია, თქვენო უწმიდესობავ, მესიზმრებიან ჩემთვის ყოვლად უცხო, საგულგრილო ადამიანები თუ შემთხვევები, ირაკლი და ის ყოფა კი, რაზეც ხშირად ვფიქრობ კი არა, რაზედაც ფიქრი ცხოვრების გამუდმებულ წესად მექცა - რატომღაც გაცილებით ნაკლებად.

და აი, მეძილისშინათება ჩემი ირაკლი რაღაც გრძნეული ახსნა-ჩვენებით და თუმცა სითბოთი, თუმცა ღიმილით, როგორღაც მაინც დამაჯერებლად, როგორღაც სათნო, ოღონდ იმ ფარული დამაჯერებლობით, რის სიღრმეშიაც უცნაურად მკაცრი მომთხოვნელობაცაა იმისა, რომ - „იქ ზურგით ნუღარ დადგები“.

მე, გახარებული, და დაბნეული, რადგან მისი დანახვა („მონატრება“ რა ხმელი სიტყვაა აქ) როგორ მინდოდა, და მიხარია, ვბედნიერდები, ასე უზომოდ გახარებულზე, ჯერ კარგად ვერც მესმის მისი ნათქვამი, მაგრამ აქ ახდენილ მონატრებაზე მეტი რამ რო ხდება, ვგრძნობ, და ვეუბნები, „არა, არა, ღვთისმშობლის ხატი ისე მაღლაა, ხელითაც ვერ შევწვდები, და როგორღა ვდგავარ ზურგით“.

იმან კი, - იცის, რაღაც სხვაც იცის, და ისევ იმ თავისი ღიმილით მიმეორებს: „კი, მამა, მაგრამ იქ მაინც ნუ დადგები“.

თენდება, თქვენო უწმიდესობავ, კვირა, და უჩვეულოდ ვღელავ, ჩავდივარ მცხეთაში ავტობუსით, ვღელავ, დიდი ტაძრისკენ მივდივარ, ვუახლოვდები, უფრო ვღელავ, ვიცი, რომ რაღაც უჩვეულო რამ უნდა მოხდეს. ზედ კარიბჭესთან წამით ვჩერდები, და ისე ნაჩქარევად არასოდეს გადამიწერია პირჯვარი, აფორიაქებული შევდივარ სვეტიცხოველში, წირვა უკვე დაწყებულია, მივდივარ შეჩვეულ ადგილთან და, ჰოი, პირველი საკვირველება, რასა ვხედავ და - სწორედ იქ, სადაც ვდგებოდი ხოლმე, ზუსტად იქ, სასანთლე დგას, პირველად - იმ მეოცესა თუ ოცდამეათე ჩასვლამდე, მანამდე არასოდეს, არასოდეს მდგარა!, არამედ პირველად, თქვენო უწმიდესობავ, იმ სიზმრის შემდეგ, სწორედ პირველად: ვიბნევი, ვიბნევი, რადგან თუნდ უგუნურობით ან წარმოუდგენელი უხათრობით გინდაც რომ არად მეღო გრძნეული სიზმარი, და, ჩვეული ადგილი მომდომნოდა, მაინც ვერ შევძლებდი ამას, რადგან სასანთლე პირველად დამხვდა იქ, და თანაც, თურმე, მაღალი შანდალი მხოლოდ იმისთვის კი არ ყოფილა იქ, დადგომა რომ ამკრძალვოდა, არა, - ერთი სანთელიც ენთო ზედ და, უკვე კარგა მზიანი დღეებიც იდგა და, შუქი მეტი იყო ტაძარში, და სვეტზე იმ მკრთალ სახებას მივაჩერდი, რომლის ამოცნობაზეც ხელი, უფრო სწორად, თვალი მქონდა ჩაქნეული და, დაჟინებით მივაცქერდი, და, იგი კი, იგი, ჩემგნით რამდენჯერ ზურგშექცეული, ჩემი მხედველობით ადრე რომ მხოლოდ საღებავებ უიმედოდ გაცრეცილ, თითქმის მთლად წაშლილ, გამქრალ, ამოუცნობ ნაფრესკალად რომ აღვიქვამდი, ამობჟუტდა, ამობჟუტდა, და ფერი და ხაზი და ძალი მოიცა და, - ხარებაა გამოსახული! -

უძველესი! ძველთუძველესი ფრესკა!!.

ღმერთო მაპატიე და, აღარაფერი მესმოდა საგალობლებისა; კარგი, - არეული ვფიქრობდი, - ვთქვათ და ცნობილია რომ ადამიანის აღქმის შესაძლებლობათა მხოლოდ მცირედი ნაწილით სარგებლობს მხედველობა იქნება ეს, სმენა თუ ტვინი, და, ვთქვათ, ჩემი გონებისა თუ მხედველობის მიმალულმა შესაძლებლობამ ამოიცნო და სადღაც უცნობ სიღრმეში დროებით ჩაიმარხა ეს ძველი და გაცრეცილი, დიადი ნახატი, და იქნებ ჩემს უახლოეს შორეულ ირაკლისაც კი,

იმღიმილიანს, რაღაც ჩემთვის იდუმალი ძალით ვათქმევინე სიზმარში ეს; ვთქვათ და, ეს ორთავე რამ, უჩვეულობისდა მიუხედავად, რაღაცა ფარული წვდომით მიგნებული და გადაჯაჭვული იყო, მაგრამ ეს სასანთლე, ეს შანდალი, ასეთი ცხადი, ნამდვილი და ათეისტების საყვარელი სულელური სიტყვითაც კი - „რეალური“ (რადგანაც ვხედავთ; და რასაც ვერ ვხედავთ, ის თურმე მხოლოდ „არარეალურია“, ათეისტურივე გაგებით), ეს რაღა იყო, ახალი სასანთლე... „რეალური“ კი არა, ცხადზე ცხადი... ესეც, ვიღაცისადმი, აზრის როგორიღაცითი გადაცემა?! - რომ მოეტანა და დაედგა...

მეპატიოს და, ერთი სული მქონდა, წირვა როდის დამთავრდებოდა, და, მამა დანიელი საკურთხევლიდან რომ ჩამოვიდა და თავისი ზრდილი ჩვეულებისამებრ, როგორღაც დაყვავებით და სითბოთი რომ მომიკითხა, აღელვებულმა, დაბნეულად ბედნიერმა ვუამბე ყოველივე, არა, ყოველივე კი არა, ასევე უნებურად გაცილებით მარტივად, როგორც ახლა ვყვები, იმიტომ რომ, ჩემი გაჩვეული ხელობის მიუხედავად არ შემიძლია მცირედადაც კი გამოვხატო ის, რაც მებობა, და აღარ მახსოვს, იქვე თუ მგონი, მადლიან ტრაპეზზე, სულიერმა მამა-მასწავლელმა დიდი პატივი რომ დამდო და მიმიწვია, იქ ღვთის მსახურთა უმრავლესობა ბრძანდებოდა, და მამა დანიელისგან ყველას ეკითხა თუ, თუ რომელმა დადგა სასანთლე იქ, და, შემაკრთობელო საოცრებავ კი არა, ბედნიერებავ, ასეთი მდგმელი რომ ვერ მოიძიეს, ერთმანეთს ყველამ გაკვირვებულმა გადახედა - არავინ აღმოჩნდა ასეთი!

ხოლო მამა დანიელმა, აღელვებისგან აღარც კი მახსოვს, მერე თუ მანამდე, სხვა სასანთლეები მოიძია და, თქვენო უწმიდესობავ, უცნაური შიშით ვეღარ ჩავეკითხე, მაგრამ, მგონი, - მგონი ყველა ადგილზე იყო! - ისე შემომხედა, როცა უპასუხეს... აღარ მიკითხავს აღარაფერი, რაიმე რომ არ შეცვლილიყო, ესეც მკმაროდა... მაგრამ, მგონი ის მთლად ახალი აღმოჩნდა, ის ერთი!

და მამა დანიელმა, სვეტიცხოვლის მაშინდელმა მოძღვარმა, ბრძანა, რომ ის სასანთლე დღეის იმას იქით, მუდამ იქ მდგარიყო, როგორი მადლობელი ვარ ღვთის განგებისა, და მისი...

დღესაც, დგას.

ახლა, თუმც სვეტიცხოველში დღევანდელი ვერმგზავრობის გამო იშვიათადღა თუ შევივლი ხოლმე, ისიც მცირე ხნით, სხვებზე დამოკიდებულ გზად, და ასე მაინც თუკი როგორმე მოვხვდები განსაკუთრებით ნანატრ ტაძარში, ერთ ბოლო სანთელს ყოველთვის იქ, იმ სასანთლეზე ვანთებ მეუღირსი და, სწორედ იმ მაშინდელ, პირველად აკიაფებულ სანთელსაცა ვგრძნობ, დიადი ხარება რომ ამომიმჟღავნა, და როდესაც იქ ახლად დანთებულ სანთლებსაც ვხედავ, გახარებისგან, ბედნიერებისაგან, მეცა ვიწვი და ვდნები - რომ ერთი ბიჭი არის, არის!, და მეპატიოს რომ, ღვთისმშობლის ხატთან აციაგებული სანთლები სხვებზე კიდევ უფრო მეტად ლამაზი და მშვენიერი მეჩვენება, სხვაგანაც, ყოველთვის, ყველგან, და, თუმცა იმ სასანთლეზე ახალ, ზემოთ, აშკარად ხილულ, თავისთავად მშვენიერ ხატს, უნთებენ სანთელს, ამასთანავე, სწორედ იმ სასანთლიდან ორიოდ

მტკაველით წინ და ორიოდ მტკაველზე მაღლა, იმ ძველ ხარებას ეფინება სითბო და შუქი, რის დანახვაშიც, ერთი მზრუნველი დამეხმარა სიზმარსა თუ მოჩვენებაში, იმ დაბინდულ უცნაურობაში, რაც წინასწარმეტყველურად მეძილისშინათა, თქვენო უწმიდესობავ.

მეორე სიზმარი, მე მგონი, არანაკლებ ნაწყალობევი და, საკვირველია. დიდად ვუფრთხილდები თქვენს დროს, თქვენო უწმიდესობავ, მაგრამ მგონია, რომ ცოტათი შორიდან უნდა დავიწყო.

ჩემთვის, ამ მეორე სიზმრამდე, ყოველდღიურ შვიდჯერად ლოცვებში თავიდან სიმწრედ აღმოჩნდა საღამოს ცხრა საათის ას ოცდამეშვიდე ფსალმუნში მომავალი დროისთვის თქმული: „და იხილნე შენ შვილნი შვილთა შენთანი“. სხვა ექვს ფსალმუნს რწმენითა და იმედით ვკითხულობდი, მაგრამ საღამოს ცხრა საათის მოახლოება არ მსიამოვნებდა კი არა, უბედურს მხდიდა, რადგან ირაკლის ვეღარასოდეს ვეღარ ეყოლებოდა შვილი.

ეს სხვებისადმი, ჩემი ხნის ბედნიერ პაპა-ბაბუებისადმი შური არ იყო, რაღა თქმა უნდა, მაგრამ მე, მთლად მეზარებოდა-მეთქი არა მაგრამ, უფრო მიკუმშავდა გულს ეს ადგილი.

თანაც, როგორ უყვარდა ყოველთვის ბავშვები... ბევრი და გრძელი ამბავია.

და უცებ, გამახსენდა:

ჩემს მეგობრებს, ცოლ-ქმარს, ორივე, ერთიმეორეზე უკეთესი ვაჟი ერთ, ერთადერთ წუთში გარდაეცვალათ, უბედურ შემთხვევას რომ ვეძახით ჩვენ, რიგითი ადამიანები, იმით. და თქვენ რომ არა, თქვენო უწმიდესობავ, დღეს აღარც ერთი იქნებოდა ცოცხალი, თქვენს მობრძანებამდე, მამამ მაინც, რაღა არ სცადა ორ დღეში: თავის ჩამოხრჩობა, მოწამვლა, ხიდიდან გადავარდნა... მაგრამ მობრძანდით იმ ოჯახში თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, მიცვალებულებს, გოგიტას და კახას ჯერ ხელითაც კი მოეფერეთ, მერე პანაშვილი გადაუხადეთ, მერე კი, სიტყვა უთხარით მშობლებს ისეთი რომ, ისეთი მყარი, მყარად მაღალი სიმართლით ისე ანუგეშეთ, ყველამ, ყველამ ვიწამეთ, რომ აღარ მოიკლავდნენ თავს, სუყველამ, თქვენო უწმიდესობავ, მეც იქ ვიყავი. და რამდენიმე წელიწადი რომ გავიდა, დედას ერთხელაც ეჩვენა ერთ-ერთი ვაჟი, აი სწორედ იმ მნიშვნელოვანი ჩვენებით, იშვიათად რომ ხდება, და უთხრა, რომ ცოლს მოიყვანდა, და, დედის აღელვებულ შეკითხვაზე - ვის! - მკაფიოდ უთხრა იმ გოგონასი სახელი და გვარი. დედ-მამა თქვენი კარგახნის მრევლთაგანი იყო უკვე და, რაღა თქმა უნდა, იცოდნენ თუ როგორი იქნებოდა იქაური ცოლქმრობა - განსაკუთრებული ურთიერთსულიერება, და, აღელვებულებმა, ყველგან - ახლობლებში, მეზობლებში, ნათესაობაში, ყველგან, ყველგან მოიკითხეს ეს სახელი და გვარი, მაგრამ არავის სმენოდა. როგორღაც, გულდაწყვეტით შეეგუენ, რომ ეს რაღაცა მცდარი ზმანება იყო, გავიდა კიდევ რამდენიმე თვე, და ერთიც ღამით უცებ, უცებ იგივე დიდი მნიშვნელობით, იგივე იდუმალებითა და გადაჭრილად ნათქვამი შვილისაგან, რომ ახლა უკვე ძალიან მალე მოიყვანს ცოლს და, ისევ ის სახელი და გვარი, და მეორე დღე კი, მეორე დღე, თქვენო უწმიდესობავ,

ცხრა აპრილი იყო!, და, გარდაცვლილებში, ის სახელი და აის გვარი - თამრიკო დოლიძე!.. თამრიკო!, დოლიძე!, თქვენო უწმიდესობავ...

როგორ შეგვძრავდა ყველას ეს... ეს... ამბავი როგორა ვთქვა, ეს ჩემთვის ვერჩაუწვდომი, მაგრამ სამაგიეროდ როგორი - ნეტარებაც როგორა ვთქვა, - ეს მაღლისაკენ შეძვრა, მაგრამ კიდევ ერთი წლის შემდეგ, ჩემი ირაკლით ბევრი რამ გადამავიწყდა, თავზარდაცემულს და გაოგნებულს, ბევრი დიდმნიშვნელოვანი რამ აღარ მახსოვდა, მაგრამ, ერთ-ერთ საღამოს ცხრა საათზე, უეცრად, სწორედ ეს გამახსენდა და ჯერ რაღაც მიღმურმა ბედნიერებამ გამკრა - თუკი შეძლებულა, რომ იმქვეყნად იყოს სულიერ ცოლქმრობამდე ახლობლობა, რატომ არ შეიძლება რომ, ირაკლისაც რომ ჰყავდეს იქ შვილობილი, შვილი? ამ გაელვებამ ისე ამაფორიაქა, თქვენო უწმიდესობავ, რომ უკვე მოუთმენლად, ხარბად ვუცდიდი საღამოსი ცხრას, რომ მეტის ნდობით წამეკითხა: „და იხილნე შენ შვილნი შვილთა შენთანი...“ გასამხნევებლად, ირაკლისა და ბავშვების ეჰ როგორ კეთილ ურთიერთობებს ვიხსენებდი - როგორ შეეძლო, უკვე სტუდენტს, სამი წლის ბავშვთან, ხათრით, რაღაც მარტივი თამაში საათობით გულით ეთამაშა... ირაკლი ჯერ კიდევ სტუდენტი რომ იყო, როგორღაც შესაფერისი სილაღით მასწავლებლობდა ხელოვნებათმცოდნეობას დამწყებკლასელებთან, ექსკურსიაზე დაჰყავდა ხოლმე და, მცხეთის მხრიდან რომ დაბრუნებულან ერთხელ, ნაცნობს დაუნახავს როგორ გადმოსულა თავის სახლთან შორიახლოს ირაკლი, ბავშვები კი ავტობუსიდან გამოდევნებულან და ისე ჩამოჰკიდებიან მხრებზე, ხელებზე, კისერზე, ეს აწოწილი და გამხდარი და ბავშვებკეთილადამტანი ირაკლი ნაძვის ხესავით დახუნძლულა და, მთელის სავსებით, გულიანად იცინოდა თურმე - გამიშვით, გამიშვით, ხვალაც ხომ ერთად ვიქნებით... არ წახვიდეთ, მასწ... არ წახვიდეთ რა, მასწ... -

აღარა ჰყავდათ.

წავიდა.

მაგრამ იქნებ იქ, ვინმეს ეგებ იქ, სამაგიეროდ, რომელიმე იქაურ ობოლს, უდიადესთან, იქნება ეგრძნო იქაური მცირეც-მამობა მისით; მთელ თვენახევარს, თუ მეტი არა, ამას ვფიქრობდი, ვიჯექი თუ ვიწექი ან დავდიოდი როგორღაც თან გაბრუებული და თან გაფაციცებით მძებნელი, და ძალიან ვეჭიდებოდი ყოველივეს, რაც კი ამ ლტოლვას - რომ ირაკლი არის, არის - განმიმტკიცებდა, და, ყველაფერზე მეტად კი - „დედა, ახლა კი ძალიან მალე მოვიყვან ცოლს“ -ს...

ძნელ დღეში ვიყავ, ვერავის ვერაფერს ვეუბნებოდი, ჩემთვის პირველი საიდუმლოსი თავახდით უნებურად რაიმე რომ არ დამეშავებინა, და სასჯელად რაღაც გადაულახავი წინააღმდეგობა რომ არ შემმთხვეოდა, დარწმუნებული ვიყავი, არავისთვის არაფერი რომ არ უნდა მეთქვა, და ორნიღა შევრჩით უცნობ ერთმანეთთ მთელ თვენახევარს - ის საიდუმლო, და მე, მაგრამ ვგრძნობდი რომ, რაღაც პირველი, მოქმედებდა. და ერთ რიჟრაჟზეც რომ გამეღვიძა, ძალიან მოულოდნელად, ნამძინარევზე, უცებ, ახლაც არ ვიცი მე გავიფიქრე თუ იმედად მოხვეული სხვისისგან იყო, მაგრამ ისე აშკარად, ისე მკაფიოდ ჩამომეწოდა, მეთქვა:

„გაივლის დღე, და რომ დაღამდება, სწორედ ამღამინდელი სიზმარი დაგარწმუნებს, რომ...“ აღარ დავამთავრებინე, ჩემს თავს თუ იმას, ისე შევიძარ - მე ხომ ვიცოდი, რაც იგულისხმეოდა ამ მომავალი სიზმრით დარწმუნებაში: რომ ირაკლის იქ შვილობილი ჰყავს, ნამდვილად რომ ჰყავს შვილი იქა, დავრწმუნდებოდი, დავრწმუნდებოდი, და ირაკლისთან იქ შვილის ყოლა ხომ რა კარგი იქნებოდა, მაგრამ, ამაზე რამდენად ვრცელი ბედნიერება - რომ ჩემთვის, მეუღირსისთვის, მცირედმორწმუნესათვის, რომ ირაკლი არის, არის!.. ნამდვილად არის!

იმ დღეს თუ როგორ გავატარებდი, ამას საბრალო ათეისტიც კი შეიძლება მიხვდეს, მაგრამ ვიცოდი რომ ის ღამე საბოლოოდ დამაჯერებდა, რომ ირაკლი არამცთუ იყო, არამედ არისაც, არის, და, მხნედაც ვიყავი, მაგრამ აფორიაქებულად როგორ, და, როგორც იქნა და ღამის ორამდე რომ მივაღწიე, მივდე ბალიშზე თან არეული და თანაც, - ეს იშვიათად მჩვევია, ჩემს ფიქრებსა თუ ნააზრევში ყოველთვის მეპარება ეჭვი - მაგრამ ამჯერად შეუვალად ჩაგონებულმა, რომ ეს ბედნიერი ღამე იქნება ჩემთვის, ამ რწმენით მივდე ბალიშზე თავი, და, თუმცა ძილში წვალებით გადავდივარ როგორც წესი, მაგრამ უეცარ ბურანში იმისი გაკვირვებაც ძლივს მოვასწარი, მაშინვე როგორ ვიძინებ, მეთქი, და დამეძინა.

მე, ჩვეულებრივ, ოთხი, ან დიდი-დიდი, ხუთი საათით მძინავს ხოლმე, და, მაშინაც, სადღაც ექვსისთვის გამეღვიძა, მაგრამ ვაი იმ გაღვიძებას, ჩემი ირაკლი და მისეული ბავშვი კი არა, საერთოდ არ დამსიზმრებია არაფერი, სულ არაფერი, ოდნავ მაინც რომ, თუნდ ხელოვნურად, როგორმე დამეკავშირებინა გინდაც ძალიან შორეული რამ როგორად ნანატრ, მის შვილთან, თუ შვილობილთან, და თავი მემშვიდა.

წამოვჯექი და, ვზივარ, ვზივარ გაუბედურებული, უსუსური, განადგურებული, და, ვიცი თქვენი კეთილმოსურნეობა ყოველივესადმი და ეს მაბედინებს, და, მაპატიეთ და ვიმედოვნებ, მჯერაც, რომ მაპატიებთ, ვიცი თქვენი ვრცელმპატიებლობა, ქრისტიანული, და ვბედავ და გამოგიტყდებით, რომ უმსგავსობას ვფიქრობ მე, ლაყე - რაღაც ლიბრული კუნაპეტი ხანდახან ისეც მაცთუნებს ხოლმე, ახლა კი, ახლა, მე მცირედმორწმუნე კი არა, მთლად ხელიდან წასული, მეათეისტი, მე სულმცირე, მდაბალი, გონით სალახანა, რომ ირაკლი - აღარ ყოფილა, არ არის, არ არის, არა, და, არაფერიც, ალბათ სულაც არ არის, ზნეწამხდარი, ვზი, და უცებ ზარი გაისმა კარზე.

ჯერ შვიდის ნახევარიც არაა, ვინ უნდა იყოს ამ დილაუთენია, და ჯერ ისეც მეგონა თუ, მომეჩვენა-მეთქი, მაგრამ, ისევ, ზარი და ზარი. წელმოწყვეტილი, ძლივას ვდგები. „ალბათ რომელიმე ღამენათევი ძმაკაცი“, ვფიქრობ და, ვაღებ კარს და, - ჩემი გოგო, ქეთო.

თვალს არ ვუჯერი, თუმცა აქვე, სამი სართულით დაბლა სძინავს, იმიტომ არ მჯერა მისი ამოსვლა, სამსახური ცხრაზე ეწყება და შვიდზე რომ შევუდგებით ტელეფონით ღვიძებას, რვაზე ძლივს ამოდის, ახლა კი, ამ შვიდის ნახევარზე,

თავისით რამ ამოიყვანა, რაშია საქმე, და ჩემს იმ ხასიათზე, „ვაიმე, ალბათ კიდევ რაღაცა ცუდი...“ და, შეშფოთებულზე: „რამე ხომ არ...“ - მაგრამ ვინ გაცლის:

„მამა, მამა, - გახარებული, ზღურბლიდანვე მეუბნება, - იცი, რა კარგი სიზმარი ვნახე?“

კიდევ კარგი... „რა...“ - დუნედ ვეკითხები, მაგრამ:

„მამა, მამა, - მთელი არსებით, ბედნიერია, - ვითომ ირაკლი თავის ტახტზე იჯდა, გვერდით კი პატარა ბიჭი ჰყავდა, ისეთი კარგი, ისე ლამაზი, ოქროსფერ კულულებიანი, ლურჯთვალება, ერთმანეთს უცინოდნენ, მერე გახარებულმა მითხრა, აი, ეს ჩემი შვილიაო...“

ვდგავარ, თქვენო უწმიდესობავ, და თავიდანვე თუ მხოლოდ თვალს არ ვუჯერებდი, ახლა, მით უმეტეს, არც ყურს, მაგრამ ისეა აღფრთოვანებული, სახეზეა რომ, ისე-უბრალო სიზმარი კი არ ნახა, არა, არამედ დამრწმუნებლურად მზმანებლური, და მე კი, უცებ კი არა, არა, თანდათანობით, თან, და, თან, როგორ მეუფლება..., ძლევამოსილი, ბედნიერება, თავისი უცნაურად საღი ბგერებით - ეს, თავი და თავი წელადი ხმოვნებია ჯერ, - იიი, ეეე, მერე, ოოო, მერე და მერე, აااა, სულ ბოლოს კი, მთლად მიხვედრილი - უუუუუ, ბედნიერება - ეს ხმოვნებია, მაგრამ როგორღაც თან გაწელილი და თან თანხმოვნებით შემობაწრული, რადგან მოულოდნელად თავსდატეხილ ბედნიერებას მჭახე გორგალიც მუდამ ახლავს, ყელში უცნაურ შვებად გაჩრილი, რა სანეტარო, და, როგორი განმჟღენთი, შემომდინარე, და როგორ ახდა, ახდა, ამიხდა, ახდა - „გაივლის დღე და, რომ დაღამდება, სწორედ ამღამინდელი სიზმარი დაგარწმუნებს, რომ...“, და, მცირედმორწმუნე, აქ როგორ ძლიერ ვხვდები, რომ ეს გაცილებით მეტია, ვიდრე თვითონ რომ დამსიზმრებოდა, ეს, წვრილმანებშიც კი ეჭვიანი, აქ ვიფიქრებდი რომ ამ ოცნების ამდენი დიდხნის ტარებით ალბათ ძალით შევიკოწიწე და ძალად დავისიზმრე ასეთი რამ, მეთქი, ეს კი, რა ღვთით წყალობაა, ჩემდასიზმარი რომ დაასიზმრა ირაკლის თუმცა კი უახლოესს, ერთადერთ დედმამიშვილს, მაგრამ ამ წყალობისთვის, ასე ვთქვათ, ყოვლად მოუმზადებელს, ქეთოს, ის კი, ბედნიერი, ჩემდაც გამაბედნიერებლად, კიდევ ერთს რასმე, დიდმნიშვნელოვანს, კიდევ მიმატებს, მაგრამ ასე ერთბაშად აღარ შემიძლია, ბედნიერებაც კი, მკმარა, ცოტაც მაცალეთ, ცოტათი უნდა მოვითქვა სული, მაგრამ, „მოდი აქ, მოდი, - მეუბნება, და ჩემი პატარა ოთახისაკენ მივყავარ, - მაგრამ თავისი ტახტი რატომღაც აქ, შენს ოთახში ედგა და, აი, აქ ისხდნენ“, - ესღა მინდოდა? - საკვირველებავ, გასაოცრებავ, და სწორედ იმ ადგილს მაჩვენებს, ზუსტად, სადაც შვიდივე, და ას ოცდამეშვიდესაც რა თქმა უნდა, ლოცვას, ვლოცულობდი, და ეს ადგილიც არ იცოდა!

და, ამა სიზმრით, თქვენო უწმიდესობავ, როგორ მაღლივად, როგორი შვებით, რომ - რომ ის დიადი, ნანატრი, ბევრად ნამდვილი ქვეყანა ამ ჩვენისაზე, და, მაშასადამე, იქაც ერთი ახალგაზრდა ბინადარი, თავის პატარა ბიჭიანა, როგორ გამოვთქვა, რომელი სიტყვით... არის.

და ასე გადამექცა, თქვენო უწმიდესობავ, როგორი მტკივნეული, გულს რომ მიკუმშავდა ის ფსალმუნი ყველაზე ნანატრ, ყოველდღიურ საღამოშვებად, რადგან იქ, თქვენო უწმიდესობავ, „და იხილნე შენ შვილნი შვილთა შენთანი“, ძევს.

აღარ მოგაცდენთ, თქვენ რამდენი გყავთ ჩემისთანა კი არა, ჩემზე რამდენად უკეთესი, რადგან მეესუღირსი გაჭირვებამ მომიყვანა ეკლესიაში და თქვენთან, იმათ კი, რამდენთ, თქვენებს, ხილულ უუბედურებებოდაც, სწამთ.

მაგრამ მე, უღირსს, ერთხელაც მერამემდენე შვებად, ერთი ასე ვთქვათ ქათინაური მიბოძეთ ერთი ისეთი რომ: თავფარავანზე, წმიდა ნინოს ბევრდღიან გზას დადგომამდე, ერთი დღით თქვენ ჩამობრძანდით, და რა ვიცოდი მეუღირსმა, თქვენთან ახლო შეხვედრით დაჯილდოება თუ მებოძებოდა, და თუმც არცთუ ფხიზელი ვიყავ, მაგრამ იმდენი მორიდება კი მქონდა, რომ მამა დანიელის „მიდით, არა უშავს, ეახლეთ, მიდით“-ზე, ჯერ კი ძალიან ვუარობდი, ასეთი როგორ ვეახლო-მეთქი, მაგრამ ძალიან მჯერა ჩემი მოძღვრისა და ამან ისე გამამხნევა, რომ, გავბედე და, მოგიახლოვდით, თქვენ კი, თქვენო უწმიდესობავ, მანამდე თუმც მხოლოდ ერთხელ გყავდით ნანახი, და ისიც რამდენიმე თვის წინათ, მაინც მიცანით, და როგორ მომეფერეთ, და, რამდენჯერმე გამიმეორეთ - ესეც გახსოვდათ, ეს სახელი - ირაკლის მამა, ირაკლის მამა, - ამ სიტყვებით მეფერებოდით, ორმაგად უღირსს, და ადრე თუ ძალიან მერიდებოდა, ირაკლიზე ჩემს შვილს რომ ამბობდნენ, ჩემი შვილობით რომ აფასებდნენ ვითომ, თქვენღა მითხარით ეს საოცნებო - „ირაკლის მამა“, რადგან ირაკლი, თქვენო უწმიდესობავ, როგორ, და რამდენად უკეთესი იყო ჩემზე, მე ხომ ვიცოდი; არ მეგულება, შვილი რომ ასე სჯობნოდა მამას, რამდენად უფრო - ნიჭით, ბუნებით, სიკეთით, თანდაყოლილი თვისებებით, გარეგნობით ხომ - ცა და მიწა...

და როგორც უკვე მოგახსენეთ, მოთხრობის მთელი მომდევნოება თქვენი მაღალი ხატებით იქნება გაჟღენთილი, თუკი შევძლებ და, თქვენს საკადრისს, ოდნავს თუ დავწერ, ახლა კი, იმ თავფარავნის შემდეგაც, აუარება სიკეთისათვის, დიდ, უღრმეს, და მოწიწებით მადლობას მოგახსენებთ გადარჩენისა და ჩემისთანა უღირსთანაც კი, თანადგომისთვის,

უწმიდესო და უნეტარესო, გმადლობთ.

თქვენი, ერთ-ერთი“

8.

...ხოლო ეგრეთწოდებული თავისუფალი საქართველო ისე დაიქცა და აირია, რომ,

- საწყალი, დორე, - დანანებით ამბობდა მისი ერთ-ერთი გამორჩეულად მოლაპარაკე საზრიანი ნათესავ-მოკეთეთაგანი ძეხვით კომერსანტი, შორს, - ზოგს რომ მარტო ერთი მხოლოდშობილი ეყოლება შვილი და მისწრებად გამოუვა ის, ამ დორემ რაღა დააშავა, რატომ არ გამოადგა არც ერთი?

და, ხსნიდა კიდეც:

- კაცო, კი დაამთავრესო ოთხივემ გაჭირვებულობაში უმაღლესი, მაგრამ რად გინდა... ერთი, კაკოვ-ბატონო, რაღაცის მასწავლებელია უბრალო სკოლაში, მეორე სადღაც დაძაბულ კვლევით ინსტიტუტში დიაღაც მუშაობს ვითომ უფროს მეცნიერად, მაგრამ წყალი არ მოუდითო მათ ონკანიდან ლაბორატორიაშიო იქ, და მუშაობსო კი არა, ითვლება მხოლოდ მუნ, - ასე გამართულ-ქართულად იწყებდა, მაგრამ ეშხში რომ შედიოდა, თანდათან შეერთვოდა მშობლიური რაიონის (ვთქვათ, ზესტაფონის სახელობის რაიონის) კილოკავი, - მესამე, გენაცვალე, არქეოლოგია თუ გეოლოგი უწინარეს და კია რაცხა ხარისხიანი მაგრამ ხელფასით მეტროში ვერ ჯდება თვის ერთი კიდაროდან ბოლო კიდარო დღეებამდე გინდაც ელდენი და შესაჭეჭყი ადგილი იქნას და მიოთხე კიდო, თელათ უნცროსი, რაღაცანა რედაქციაში კი მუშაობს ვითომ და ლექსებსაც წერს, თანაც მაგრამ ისიც რითმებიანს, და მერე რა ყრია, კაკო, ამაში, აბა ბაჭიას რო არქმევდნენ, რა ეგონათ, შეაყარე, კი, კედელს ცერცვი, მთლად ტყვილათეა, დაუხატავენ ქაღალდს და სტამბას, კი, ფანქარი აღარ აქვენ ოჯახში, ჰაიი, დორე?

თავს მწუხარებით აქნევ-იქნევდა... ძეხვის კომერსანტი.

- ვის უნდა ახლა შენი მეცნიერი და მასწავლებელი და პოეტია თუ გეოლოგი უწინარეს, გელაპარაკები შენ... კაცო, გამოსვლოდა ერთ-ერთი მაინც ან ქურდი... ეე, მოხერხებული, ან ჯიბგირი... ეე, ხელმარჯვე, ანდა ბანდიტი... ეე, ცქვიტი მსროლელი, ანდა, თლათ უკეთესი, პივის წერტების გახსნის შემწყობი ხელმა ხელიო პატრიოტ-შემწერი... ეე, მწერალი, ქალი იყვე გინდ, ვაჟკაცობა გმართებს, მამულიშვილობა, სამშობლოს სიყვარული ვაჟკაცური, ეე, ვაჟკაცობა, - განაგრძობდა ძეხვიანი კომერსანტი პატარა მიმალულში, - ერთი მაინც რო გამოსვლოდა რამე ასეთი, ხო იქნებოდენ ახლა მშვენივრად, არა, კაკო? კაი, ნაგანით სროლა და ავტომატებით სროვილობა და ბათქი მაინც რისკია სადღაც, არ აიღოს და იმ უსვინდისომ თუ მარტო სუმბუქად დაიჭრა და გესროლოს შენც, შენ არა კაკო, არამედ იმას არ შეუბრუნოს ტყვია, ყველას აქ (აქვს. - ავტ.) ახლა იარაღი დესტაბილიზაციაში, მაგრამ, შე კაცო, ბიზნესმენობას რაღა უნდა, რითია ცუდი, ადრე რო სპეკულანტობას და ჩარჩობას და ბარიგობას ვეძახდით ჩვე გამოუცდელები, და თანაც კანონით ისჯებოდა და რატომ, გენაცვალე, ძალათი ხო არ ვართმევ ვინმეს და მერეც ვაძალი ხვარ და ვაჩეჩებ ვისმე, ახლა ცხოვრება გამოსწორდა, ახლა ვინ გიშლის, ვინ ოხერი, აიღე გენაცვალე შენც და იყიდე ერთგან და გაყიდე მერე მეორეგან უკეთესად მწვანილი იქნება ეს თუ პაპიროზი, უი ჰო, მართლა, რა გაწევიებს ფუჰ, ფუჰ, კაკო, როგორ, მეჯღანუაშვილი თუ იყიდ-გაყიდიდა ლუკმაპურისთვის ოფლში, მიტომ ვერ მოიწყო ბინა და ავეჯი? მიტომაც არ დაწერეს მაზე წიგნი?.. სკოლებშიც ასწავლიან, შორს რომ არ წავიდოთ... ეე, ასწავლიდნენ, ქვეყანა წახთა, იშრომე, კაცო, რა გინდა მეტი, გზები ხსნილია... მაგრამ ესენი, უკადრისობენ, შრომას. ცხვენიათ ვითომ, გამომივიდნენ დიდკაცები, კი, - დიდი ამბავი, მასწავლებელი... ვინ ვის უნდა ასწავლოს ახლა... აქეთ ისწავლინებებია ჭკუას ტყვილა ყველა... თითონ ცხოვრებაა მასწავლებელი, ნუმერ პირველი.

პატარა ხანით, თავს უდუმდებოდა. უი ჰო, ახსენდებოდა მერე:

- უი ჰო, კიდევ კარგი რომ, დაოჯახებულები მაინც არ არიან, ვერ მოასწრეს და, ამაში მაინც ხო გაუმართლათ თორემ ხო ამოწყვეტდნენ სიმშილით კაკო ცოლ-შვილს... წინ აქვთ, კიკიკი, მომავალი, ოცდაათისაა უმფროსი, ოცდაექვსისაა ბაჭია, უნცროსი, მიყოლებით ყავს მთელი ოთხი, ჩუმი და წყნარი ეძახე შენე დორეს... (აკაკი დორეს არ იცნობდა. - ავტ.) მაგრამ ამ დორეს, თავისი მხრიდან ხო ყავს სარჩენი ოჯახი, ეკონომისტი იყო ადრე და რას უნდა უეკონომიოს ახლა და, იტანჯება, მერე რა რო ყოფილი ეკონომისტია, ადამიანია ისიც, შვილი შვილია, გინდ ოცდაათის იყოს და გინა ორმოცის... ცოლიც ცოლია, ეე, დიაცი, და რაგინდა იყოს, პროდუქტი და სიტფო და თანხი იმასაც უნდა, აიღე ერთხელ პასუხისმგებლობა გაფორმებული? არჩინო კიდეც უნდაო, უტა... კაკო. და როგორი საყურებელია ოჯახის თავკაცისათვის, როგორ ზილარიან და მიჩერებიან ერთმანეთს ტყვილა, მშივრები, დუნეთ, დორე კი სუყველას თვალს არიდებს ალბათ, ვერც ერთი რო ვერ დააყენა ხეირიანად სწორა ცხოვრების მიმოხვეულ გზაზე, და ხომ დარდშია, აბა რა ჯანდაბაში იქნება აბა, ის, ხომე უკვტნება იკაცს გული... მწყინს. იმათაც მერე, თავისითაც რომ ვეღარ ივარგეს, კაკო? ამოდგომოდა ერთი მაინც, ჟანგიან მხარში. იგი უნცროსი, ლექსებით პოეტი, პატარა ხანით კი ეხმარებოდა ოჯახს ოღონდ სულ სხვა კუთხით ვინმემ ლექსებია, რაღაცა კაი ძვირფას ყარაულებიან ბანკში მოეწყო დამლაგებლათ და აწკრიალებდა იქაურობას, კია კაცი და მამაკაცი მაგრამ, სულ არ ცხვენოდა, ვინ დაინახავდა საღამოობით, ჩაკეტილობაში. კიღამ გაიმართენ ერთი პირობა წელში, კი ქონდათ სუფი და მაკარონი, მარგარინიც გონი, მაგრამ ისევ ცუდათ წაუვიდათ საქმე, ვეღარ შოულობს იმისთანა კაი სამსახურს, გალანდიაში გაქცეულა ბანკის პატრონი. მმართველი. პრეზიდენტი. უყარაულოთ. ისე, რაც გინდა ის თქვი, ჩემო კაკო და, კიც ყოფილა მოხერხებული. საგარეჯოში ვერ მიდის ზოგი.

„ახლა, ამხანად, აქაურობას იქ გვსახელობს?“ - პირველად, კაკო. თუნდ გაფიქრებაში. ახალი პერსონაჟი.

„მეორეც, შე ოხერო, ასე თუ გეწვის იმათ მაგივრად კუჭი, და შენ მაგივრად, გული, ვერ აიღებ და ვერ წაუღებ ერთ კინკილა ძეხვს?“

ეს, მეორედაც, ისევ და ისევ ორმაგი კაკო, რადგან ხმამაღლა ვერ იტყოდა ამას, ისე კი თავს საშუალოდ უკანტურებდა.

ხმამაღლა მიტომ ვერ იტყოდა, ხელქვეითი იყო თანამოსაუბრის.

უფრო სწორად, ცალმოსაუბრის.

არეულიყო, საქართველო, გათავისუფლებული.

9.

ის დღე...

ის სანეტაროდ ჟღრიალა დღე („ჟღრიალი - ეჟვნის ხმა“, „ეჟვანი - საჟღერი“, საბა), ეჟვანი - მუხლმოყრილი მეფის, ცრემლდადენილი მეფსალმუნესი ერთიც მორიდო და ვედრებით მხმობი მოწყურებული საკრავთაგანი, სულის მომფენად როგორი

მჟღერი; იმ სავსე მადლის წყალობით ნუგეშინისცემის დღე, რადგან უწმიდესმა და უნეტარესმა როგორი პატივი დასდოთ და მთელი საათით, მეტით თუ არა, თავისთან მიიღო ერთი ცოლ-ქმარი.

ეს დაქცეული, როგორ, მშობლები, ირაკლისები.

მხოლოდ ორი თვე იყო გასული.

და, ეს როგორი მოწიწებით სახსენები, დღე...

მაშინ, ათას ცხრაას ოთხმოცდაათი წლის სექტემბერში, სიონისპირა საპატრიარქოში ედო სავანე. ეს - სხეულისათვის („სავანე - დასასადგურებელი“, საბა) მაგრამ, უღირსისათვის იგი როგორღაც ყველგან და რაღაცაგვარი ალერსიანი სიმტკიცით იყო, რადგან ჯერ თუმც მხოლოდ შორიდან, მაგრამ უკვე ეხილნა იგი, უწმიდესი და უნეტარესი, და, შორიდანვე, როგორ სწამდა და სჯეროდა მისი, ახლა კი, ასე პირისპირ...

„ღელავდა“ რაა, ცოტაღა თქმა, ისე-რა სიტყვა... და როგორ მოელოდა ხსნას.

და, გაუმართლდა როგორ...

უღირსს ვერ ძალუძს მისი სიტყვების გადმოცემა, ვერ შეუძლია მისით ბოძებული შვების განმარტვა, რადგანაც თუნდ მხოლოდ ის ხმა - როგორ სიღრმემდე დამამშვიდებელი, მაღლით წყნარება; მისი თვალები - „სანთელი სხეულისა არის თვალი“ - ჩვენთვის შორითა მისთვის კი მისი წყალობა-ქვეყნით სინათლეობდნენ, და გვიზიარებდნენ, მადლს, მისი თვალები - ვრცელი გულიდან აწვდილი როგორი შუქით გამომთბარნი, და ღონიერი, და ბნელში მნათი როგორღაც დინჯი, ყოვნითი ელვა, სათნოდ მომხვევი ისე უებრო, ხიბლი, უკიდურესად რჩეულთ რომ ახლავთ, მისი რწმენა კი, უღირსებისათვისაც კი, ურყევ მრწამსად გაცხადებული, - აბა ამისი გადმოცემა სად შეუძლია ერთსაც ტლუ უღირსს, და, გინდათ შეეძლოს, არაა ეს მისი უშუალო და პირდაპირი დანიშნულება, არამედ, როგორღაც უნებურად მიმოხვეული ემ პროზისითი, მხოლოდ; და თუკი გნებავთ მისეულ სიღრმეთა ცოტათი მაინც, შეძლებისდაგვარად, წვდომა, კეთილინებეთ მაშინ და თითონ მიბრძანდით კვირაობით სიონ-ტაძარში, მის წირვასა და ქადაგებას შეხედეთა და მოუსმინეთ, თუკი და ხოლო არა გექნებათ მნიშვნელოვნური უფრო, საქმე, ჰოი და ვაი, - რაღადროს ამ გონით დაბლა კუპრისაც კი მთლად ნაძირალა, თხლეიან აზრთში გაბლანდულ საბრალო ვიშ-ათეისტთა დაცინვებია... მკმარა. თავისი თავი არ ეყოფათ? - ზოგი წოწოლა და ზოგიც რგვალი.

მაგრამ ეს სათნოდ წყნარი და მშვიდი ნუგეშინი და შვება არ იყო მხოლოდ, არა, რადგანაც „ჟღერა - ეტლთ სლვათ ხმა“ -ცაა, ისევ საბათი, ეს შვება შვებად კი იყო, მაგრამ, თუმცა როგორი, მამშვიდებლურად ყუჩი, ერთადერთობის ზრუნვა სამობითი, მაგრამ წყალობად ჩამოვარდნილ სიჩუმეიან სასოებაში ვითომდაც ტვრინვით დუმილის გარდაც, სადაც მეთავედ იყო სრული იმედი, ისე ძალუმი, ღონიერხმება, რადგანაც ნაბვითი ყოფნის მრავალმხრივ გარემოცვაში იყო მგრგვინავად გადატვირთული ძალუმ ეტლთასვლაც ისე ბრწყინვალე, და ბედნიერებად მოგრიალე, რომ თურმე კი არა, არამედ არის, რომ ამინ არის, არის,

რომ უმთავრესი რამ უწყვეტელობა, მარადიული - ნამდვილად არის, და აქ კი, მერე, უწმიდესმა და უნეტარესმა ეს რა გაანდოთ, თავის ერსა და ეკლესიებში არმავალ მრევლზეც, დარდი, თავისი გლოვა წინასწარმეტყველური, - მათი სამშობლოს მომავალზე.

უნახავს კია უღირსს როდესმე ასეთი ვრცელი, დარდი? ქრისტიანულად, მართლმადიდებლური... როგორი დარდი - უღირსისთვისაც კი თუმცა ბუნდოვნად, მაინც დანახულ, გადაჯიშებულ, მოჩვენებითად გამხარებლურ, ცრუ თავისუფლებად აღქმულ-შეკოწიწებულზე - ხომ მოვიპოვეთ თავისუფლება და ახალი ჰიმნი და ახალი დროშა და ძველი ტარი და რაც კი უძვლო ენაზე მოგვადგება ყველაფრის ტლიკინი... ასე არ იყო, არა, იმათებურად, საქმე, და უწმიდესი და უნეტარესი, ახლა როგორ დამწუხრებული, ერის მომავალს, ერის ახლო წარსულის გამო, როგორ გლოვობდა...

იჯდა თვალებდახრილი, ჯერ როგორღაც წყნარად უზომო ჭირისუფალი, გარეგნულად ეს, და, მერე, როგორ ამეტყველდა... თუმც იმ თავისი წინა, სათნო ხმით, მაგრამ ისეთით არა, მისთვის ჩვეულით, ქართულ ვრცელ სიტყვას, „გარდაცვალება“-ს, შვებად რომ ხსნიდა; არა, უწმიდესს რაც აეჭვებდა, დარწმუნებული კი იყო იმაში, მაგრამ, როგორღაც ეტყობოდა, „ნეტავი არ გამიმართლოსო“, მაგრამ იცოდა მომავალი... და უფრო მეტიც - გარდაუვალი, ძნელი სისწორე... და მიტომ გლოვობდა.

ჭირის, უფლობა... მძიმე აზრებით გამჯდარ, რაღაც წარმოუდგენელი თავზარდაცემის მომასწავებელ, წინასწარ მგლოვიარე, ძნელი გარდახდვის მაუწყებელ, ხმაში... და თუმც მაშინ (1990, ოქტომბერი), ჯერ არც ოსეთში ომი იყო და არც აფხაზური უბედურობა, უარესიც კი რამ, თანაც მრავლად, თურმე რომ გველოდა, ამეებს ჩვე-ქართველები აბა როგორ წარმოვიდგენდით, მან კი, ჭირისუფალმა, უკვე იცოდა...

უღირსს ვერ ძალუძს მისი სიტყვების მაღლივი მწყობრის გადმოცემა, მინიშნებადი აზრი კი, დაახლოებით აი ასეთი იყო - თუ ამ ბოლო სამოცდაათ წელს მონად ვიყავით, ამდენი უდარდელობა არა გვმართებდა, და კიდევ უფრო უარესიც კი - ლაღობრივი უზრუნველობა, და არ შეიძლებოდა, აეს წარსული, ქცევით ასეთი შეუსაბამო, ისე-უბრალოდ და უკვალოდ ჩადენილიყო და ეგრევეულად პირდაპირ ბედნიერსა და გინდაც ვითომც კუთვნილ სანუკვარ თავისუფლებაში გადაზრდილიყო; არა, ეს მოხდებოდა მხოლოდ კუთვნილი დასჯის შემდეგ... მხოლოდ და მხოლოდ, მკაცრი გამოცდის, შემდგომ.

მართლაცდა, მერე და მერე, უღირსი გონს რომ ცოტათი მოეგო, როგორ სირცხვილად, და რა ხშირად ახსენდებოდა, რომ მართლა მონობა ის იყო, როცა, დაღლილი ზანგი ბამბის კრეფისას ატკიებულ წელს დასასვენებლად თუ გამართავდა, მაშინვე ზედამხედველის შოლტი იარად გადაეჭიმებოდა - მიდი, კრიფეო, და ისიც, წელმგმინავი, კრეფდა... მაგრამ ეს ჩვენებურები... ეე, ეს ჩვენაები კი... თუმცა, როგორ არ იყო ჩვენში დასჯა, მერე როგორი, ეს ოციანი, და ოცდაათიანი, და ეს მთელი სამოცდაათით, წლები, მაგრამ, მით უმეტეს რომ, უფრო

მწარედ უნდა გვეგლოვნა ამით, თუმც, როგორ არ იყვნენ არცთუ მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელი მგლოვიარე გამონაკლისები, იყვნენ, კი, საბედნიეროდ, როგორ არ იყვნენ, ადამიანები, და ეგებ ყველაზე მეტად მათში - ტერენტი გრანელი - შორი პოეტი, მაგრამ, ეგებ სწორედ მასავით გულთან ისე ძალიან ახლოს უნდა მიეღო და სწორედაც რომ უნდა შეშლილიყო გარემოცვათა მძაფრი შემყურე, მართალი კაცი, მაგრამ დიდი უმრავლესობა - ვაიი, მონები ვართ და, ტაშიი, ვუუუხ, დაპყრობილები ვართო და - ტუშიი, დამოუკიდებლები, ჰაიი დედასა, რათ არა ვართაიო და, მაგრამ, ვერც გავიგეთა და, ნელინელობით, თანაც ანაზდად გამოვლენილი სახეზე ის რომ: ათასგვარი ნებაყოფლობითი საწევროები (კარგი, ეს ნებაყოფლობითობა პირობითი იყო), მაგრამ, კენტად ცალ პარტჰიაში შესვლა რომ ალაგ-ალაგ შინამოსამსახურეობაში ლაქიაური ფულიც კი ღირდა, და, წადილმიღწეულზე, გახარებული: „გოო-გო (ბიი-ჭი) მიდის მოოხვეულში, ოდელია რანუნიი“ და „თა-მა-დაო ჩან-ჩა-ლაო“, და კიდევ მაგრამ - ჯერ უცოდველი, უარჩევანო ბაღნების რუსკი შკოლებში მიბარება-შერეკვა („რაც მეტი ენა იცის ბოვშმა, ჯობია ისი“), ამას ვიღანა გვაძალებდა, და ჩვენებური აეს მონობა - ბამბის კრეფა რა, თუმც გამთანგველი, ჩვენს მონობასთან აბა რაისი მონობა იყო, მხოლოდ და მხოლოდ, იძულებითი, ჩვენებური კი, ეს დასტურმონობა, ეს ჩვენმიერი გადამდები ალავერდობის აჟრიამულებული („სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“ - ყოვლად უცნაურად და მოულოდნელად თავსდამტყდარი დიადი პოეტი), აჟივილხივილებული, საზოგადოება, იმათი მძლავრი, ოღონდ ტაშ-ფანდური და მათი საბრალო, ვითომც მზრუნველობით სხვებზეც უკეთესადაო ფეხზედ დაყენებული შვილები კი სამე-სამედიცინოსა თუ კანსერვატორიაებგავლით ბაიბურბოლოდ დაგვირგვინებული ხასხასა სათუთ-საბუთ-დოკუმენტ-დიპლომბეჭდიან მოწმობითა და დაბნეულად დამრეცი ცოდნით: ადგილობრივ-ვაჰ-მეტადრე-ლოკალური-ქოთანი-ვეჰ-მით უფრო-ჯამი-პარტა-ლანცეტი-ჰენდელი-ატვიორტკა-მერხი-კ-ჰისტოლოგიავც-რ-მინდვრის ყვაილო-კლავიში-ონკანი-იხვი-უნიტაზი-ფრინველია და დიპლომისადმი სალამ-სალამა საღსალამათა სამსალა კოკო კონდიციონერული ჩეროდან გამზირ-ქუჩებშიაც გამონგრძნობილ-გამოყოლილი მღერა ქართული მრავალჭიდური, და თუ ზედაც მანქანა გადამუშავებულად კოხტადსიგნალა? - ააჰ, ბაროკო, რა შუაშია და, „კო“ -ზედ მთავრდება ისიც, მომფერებლები ვაართა ბჯოო, ჩვენე, და თუ სულ ზედაც ოქროულობა შავ მიწაში და უი ჰო, მართლა, კიდენ ზედაც სასამკაულო თვალდამფსები ნიკაპამდე მკაცრად შეკრული კაბებსერიოზულნი მეუღლეთათვის (რაღა დროს მეუღლე და უღელი და გუთანია, არამედ - პარალელური თანამესაჭისათვის, ოღონდ მეორე მანქანა - ღარიბ ნათესავ უფროს მეცნიერ-თანამშრომელზედ გაფორმებული), ხოლო კიდევაც ზედაც კაბებ-ანცები დეკოლტიანნი ტურფაებისთვის და კიდო ზედავაც საყველპურო გამოტენილად ფსხვილკუპიურებიანი შალვარ-ფინჯაკები, მაშინ ხომ, სუთლათ, ამაყი მღერა - „რააც კარგები ვაართ...“ - ეს როგორ სადამდე უარესი, ეს დამბურძგვნელად მყაყე მონობა, ვიდრე თაკარა მზეში ბამბის კრეფაა, რადგან ისა, ერთფერ ზანგისა, მხოლოდღა მცირე, რადგან მისჯილი, მონობა იყო, ესა კი, ესა, ფერადოვნულად ამორჩეული და ვითომც კოხტად, საზიზღრობამდე შეჩვეული და მორგებული, სხდომები გინდა საზეიმო თუ აღლუმები ჩემო ბატონო და ამხანაგო, და თუ სხდომებზე გარდა ტაშისა წყნარათე უნდა მჯდარიყავი, ხოლო აღლუმები კი

რამდენად ბევრათით სჯობდა: სხვაგან არ ვიცი, ჩვენში კი სიმბოლურ ადგილდ - ცირკსა და ზოოპარკს შუა და შორის ვიკრიბებოდით, და იყო ჩვე-დამწყვდეულთა თუ მოთვინიერებულთა ალაგ-ალაგა ფეხალაგად ენერგიული ცეკვა-თამაში გინდა ჩემო ბატონო თუ გამოჭენებულ ტრანსპარანტებიანი ქებათა ქება განივრულად თეთრით წითელზე აღფრთოვანებული - „პარტია ნაშ რულევოი“ გინდა თუ „სლავა კპსს!“, თუ მშობლიურებ-ქართულად „დიდება სკკპ!!“ გინდა, თუ „არის ასეთი პარტია!!!“, კი, იყო, იყო, თუ უთო რა იყო თუ ქვესკნელოვან მწვერვალებამდე აღიარებულთა შესაბამისად დიდი თუ უფრო დიდი ნახატ-პორტრეტები შთაგონების ყალმით მსახვრელნი, იმდროინდელო სულო და გულო ჩასაქსოვო, აბა ისე-უბრალოდ კი არ იყო, შრომობდა და ხატავდა შემოქმედებითი ნაღებად ხალხი, მუსიკებსც სსწერდა ხმამაღალებს, რომანებს ჰსთხზავდაო ბელადებზე სწორუპოვრულად, აღლუმებზედაც მრავალმხრივები ვიყავით ძალიანი - ყრონტში წაჭერილ კიტელოსანთა გვერდით გვხვდებოდნენ ზომიერად შიშველი ფიზკულტურელებიც, და ადგილობრივ შედარებით მცირე თუ დიდ-დიდთა ლოკალურად მოხერხებულთა ტრიბუნისწინა ჩავლის ასე ექვს-რვასაათიან მოუთმენელ ვალმოხდა ცდაში, აბა ექვსი ან გინა რვაც ანტიშავსიებო საათი აბადა განა რა მოსატანია, ამ სამოცდაათა წლოვან დროსტარებაში, ამ გრძელ სახადში, მითომი თვითაცრაც ხმამაღლივი აქაიქური: „მე მჯერავს!“, და კარგა გამოცდილ-გამოჯეკილ, ასაკით უფრო უფროსებთან ერთად, სულაც არ გვწყუროდა ვიღაცანა უცნობი არნოლდი, აგერ არ გვყვანდნენ, ხანდისხანობითები?: გამოსახული კასკასი ანასტასი თუ ლაპლაპ-ნიკიტა მთელ დუნია-ქვეყანაზედ მასახელებელი ფეხსაცმელთგამხდელი საჯაროდ ისეთი რო ხელოვნებათმცოდნეობასაც რომ შეითავსებდა და ასევე დიდად განათლებული ვოტკების დარგში ვრცელებწარბება ალაგ-ხუჭუჭა ლეონიდას-ბრძენი თუ ცოლ-შვილის ჰაზრით იმპოტენტი ლავრენტი მაგრამ აბა ერთი იმის ფერადოვან თავზარდაცემისგან ფრიგიულ კლიტემნესტრებსაც ჩაჰკითხვოდით თუ მიგიშვებდნენ მეტი არაა ჩვენი მტერი და ამა დარგში ბევრად უბიწო ჩია კლიმენტინა ეფრემოვიჩი თუ მოდღლეზილი ანტირაბინ-კაგანოვიჩი თუ ცნობილი ბედუინი ბუდიონი (რა ხალხი გვყანდა? ამხანაგებად, ამ-ხანა-გებად, - მაგრამ, სვე-ბედოვ, დეფისებიანო წუთი-სოფელოვ, წუთისოფელო, რა ხარო, ყველა ისინი წარიღეს წყალთა, წყლებმა წაიღეს), და, რაისი-მეთქი წყლიანი არნოლდი, - უიმე, აკი პოდგორნიც თუ შელეპინიც კი აკი წინაღამ დაგვავიწყდა წყალწაღებულთა შორისაც კი (სტიქსი მდინარეა შორი და აქვე) და ქვემძრომსუსლოვ-ალვა, იმათში ტანით კენარი, და ქვესკნელეთის ჯურღმულეთის თვით ორი ჩაღმად ჯომოლუნგმა, ორთავ ბელადი აღრეულ რუსთა არარუსები უი კი, კაცო, რიურიკებიც რო თურმე ნორვეგიელი რუსები ჰყოფილან, კაცო?), ათასჯერ მეტად მოფოფინნენი პორტრეტიულადაც ხალხის თავებზედ ვიდრე თვით იმათი ვაიდმოლიპულ გზაზედ დამყენებელი მთლად ანტიქოსა პაპა კარლა გვერდმხარულ ფელიქსი რა იყო ფრიდრიჰით იმითითაც არაქოსური, ორთავ ბელადთა და მათ დამქაშთა სახელოვანი (სახელოვანიც ორგვარია) ეს შორიახლო ჯუჯა ქარონნი, და, ჩვენცა, „ნორჩები“, დამწყებები, ცირკის ფერდობის წინარე მდგარნი, პიონერები, იმყულფიანი „ხელი უშვი მუშათა და გლეხთა სისხლში ამოვლებულ წითელ ყელსახვევს“ -ითი, - კაი ჭკუაზე ვართ კიდევ - სამაგიეროდ, აემ ცდაში, უცაბედობით მსკდომად ბუშტთა და შეგნებულად ჭექუნათა და ჭყვიტინაებით და დოლ-გარმონის რია-რიაში, კუჭისკე ნაზი

ფუნთუშები (პონჩიკები უფრო მშობლიურად ჟღერდა), თუ კუჭისკევე ვაჟკაცურად ალიტერაციული ღვიძლის ღვეზელები (პერაშკები) და იქითკევე ბლითი არა ტოროლა - ბუბლიკები და ყოვლად დასაშვები პირღრუმგრილავი ვაფლიანი თუ ესკიმო-ნაყინები - აბა მააროჟნიი, სტააკანჩიკ მაარუჟნიიი (იხვეწებოდა - სიტყვებიდან „დახვეწა“ და „ხვეწნა“ - იხვეწებოდა ენაჩვენი, ქართული, პირველსა რიგში საჭმელ-სასმელით: პივა�ა! კვასიიი! და განუყრელად გამშობლიურებული ყბა-ყვრიმალებისათვის დამღლელი მაგრამ კუჭისთვის შედარებითი ჩუმათი მაგრამ ამხანაგური სემიჩკა (შემიჭკა), თავმდაბალი და შავჭიქური, ასევ უბრალო შაქრიყინულის მამალოები და ბატიბუტი, იმავ ნოემბრულ ილუმინაციურ განათებულ წკვარამ მხიარულ საღამოთი კი სალუტთანმხლება სუფრა ისეთი, ისეთები რომ, წელში ფრიადი მოკაკვულობით ნაშოვნუებრო პროდუქტ-სურსათა საჭმელ-სასმელით დამძიმებული ისეთებით რომ, თვალფანტაზიით გაფორმებული ისეთურად თაან, უი ჰო, მართლა, შემწვარ გოჭს რაკი ბოლოკს ვჩრით დრუნჩში, შემწვარ ინდაურს რაღად არ ვუჩრით ნისკარტში უმ თხილს?!, უი ჰო, მართლა, უთავოდ მოგვაქვს ინდოური სუფრაზე თორემ ჩვენ აბა ასეთი ანაბანა გამოგვეპარებოდა? მოკლედ, სუფრა ისეთი სა-დღე-სასწაულო ისეთური რომ, რაისი ანტიკა... - მართლაც, მონობა, რადგან, მისჯილი ტყვევნა ერთია, სხვაა, ჩვენებური კი, - ზარზეიმლურად შეგუებული... რამდენებისთვის, უყოყმანო... გინდაცვე, კაცო, უზრუნველადყე მხიარული... ზედაპირულად, თორემ, ისე... ჩამყაყებული... აშმორებული... ნებსითი ყულფი... ეს საზარელი, შემგუებლური, უდარდელობა... ვიშ.

ნეტა, ყოველთვის ასე იყო?

ვაითუ, ალბათ...

რადგან, მართლა მალამოდ მწერალი, სპეტაკი ნიკო ლორთქიფანიძე, და - „იყიდება საქართველო... ჰყიდის ყველა... იყიდება ყველგან...“ - 1910 წელი, ამ სამოცდაათამდეც...

როგორი ნათლის შემოქმედი, ჩვენი ხატება, და უცებ, სათაყვანებელ სამშობლოზე - „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ...“

ამაზე, შემდგომ...

თან, ეგებ მაინც ზრუნვით, და გულში ჩახუტებით იყო ნათქვამი.

თან, რომ - არავინა ვართ უცოდველი - ძველი სიმართლე, და, უღირსისაგან, ასეთი მძაფრი ლაფის დასხმა, მისიანებზე? არა, უბრალოდ, ამბავს წამოჰყვა და თან, გამწარებულიც იყო ისე (1990-95 წწ... ნწწ...)... გაავებულზე, ეს ხულიგნური რაღაც, პროზა...

გააფთრებულზე, ეს, გაბოროტებულზე, თორემ ისე, უღირსმა იცოდა თავისი ერის სულ სხვა ფასიც...

თან, სხვებისა უკვირს? რაღაც-რუღაცით, თუნდაც მცირედით, ჩვენც ხომ ვიყავით, ბარე ყველანი, ასე თუ ისე, შეგუებულები...

თან, მადლით, როგორ არ გვყავდა და არა გვყავს მუსიკოსები და ექიმები... ნაღდი.

თან, როგორ არ იყვნენ ისეთი პარტიულებიც, ვითომ მხოლოდ ბოროტად დაღდასმულები, მაგრამ კეთილქმნადობისათვის შენიღბულებში, თუმც იშვიათად, მაინც როგორ არ ერივნენ ისეთები, ბევრ უპარტიოს იმათ ღვაწლამდე ხელი ძნელად თუ მიგვიწვდებოდა.

თან, არ დაგვიკარგავს ჩვენეული ზოგიერთი საუნჯე, და თვისებები, ამაზე, შემდგომ.

თან, დიდი ნიკო სამადაშვილი იმ თავის ლექსებს, ვითომც დასანაფტალინებლებს, დამპყრობლებისთვის დამყოლ კი არა, მთლად თხიერი რედაქტორების მიერ ვითომც შემურვილებს, მაინცა სწერდა, და, თუმც ყოვლად უჩინრად და უჩამიჩუმოდ, ის ჩვენშიც სტვენდა ვით საყდრის ჩიტი-უცნობი ლმობიერი, და ჯერ მიკარგულს ვითომდაც თავს, როგორ წყალობად გადმოგვცემდა, რადგან ბგერები არასოდეს იკარგებიან...

და არც საყდარი აღიგვება სასამუდამოდ, თუნდ დაქცეულში, შევა ერთხელაც, ბევრი წლის შემდგომ, ერთი ბერი და, თუნდ ღია ცის ქვეშ, ოღონდ ძველ ქვებში, ისე ილოცებს... რომ,

ეგება რომელიმე უღირსთაგანსაც კი გადმოედოს იქაურა ნასაყდრალი ლოდიდან, თუნდ გალავნიდან გადმოვარდნილთან, როგორ შორითა საკმეველგამჯდარიდან, ხელისგულობით საპოვნი გეზი, რაღაც დიადთან მცირედით მაინც, ერთი ბეწოთი მაინც, მისაახლოებელი,

ამაზეც, შემდგომ, რამდენს გპირდებით, რა ამბავია,

მაგრამ ეს წაკიდებები, ეს წაკიდებად ურთიერთმტრობა დღევანდელი, და როგორ შორიდან გადმოწვდენილი, უღირსისათვის ყველაზე მეტად საჭირო, სათაყვანებელი, მარადპოეტი - ქართველებისა და ძნელად ქართველობისათვის:

„ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს,

მას სცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და დაეკიდოს,

რა ორნივე დაღალულნი ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს, -

ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!“

უკრაინიდან, დაგვტიროდა, დიდი ქართველი...

ახლაც.

ამაზე, აქვე, სულ ერთ გოჯზე, მანამდე კი, რომ, -

როგორი ამაღლებული, და ასამაღლებელი შესაძლოა იყოს თვით მორჩილება, და შეგუებაც, მხოლოდ ღვთით ტვირთი, და, უწმიდესი და უნეტარესი, გარდაუვლობის როგორღაც მკაცრად კანონზომიერ, და, უცნაურია,

სამოწყალოდაც კი, მძიმე დასჯის, ძნელი გამოცდის მოლოდინში, სამშობლოსათვის, მისი ხალხისთვის მარადმლოცველი, თვალებდახრილი ახლა, აწმყოსი გარდაც, წინასწარტვირთა, საქრისტიანოსათვის უურთულესი გამოცდის მოლოდინში, ძნელად გლოვობდა, შეგუებულად მომლოდინე... ეს ყუჩად ღელვა უცნაური -

იმ ხმაზე მეტად, სიტყვებზედაც კი, მეტად,

თვალებში ედგა.

... სანთელი სხეულისა, იყო, არის, თვალი.

10.

და, სულ ცოტა ხანში, იგივე სექტემბრიდან, -

„მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი;

თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი!“, -

და, რადგან არაფერი ღსრულდება შეუმზადებლად, ირგვლივ რაღაც დიდი უცნაურობები ხდებოდა, მაგრამ თავისი ხვედრით უსუსურად გაბრუებული უღირსი როგორღაც ბუნდოვნად, ერთიანად ლიბრგადაკრული აღიქვამდა ყოველივეს, მაგრამ მისთვისაც კი შეუძლებელი იყო არ ეგრძნო და ამიტომ არ დაენახა ის, რომ,

რომ ჯერ ის იყო და, ძალიან მომრავლდნენ გონებით უგეზო თუ ავგეზიანი გრძლად აჭარტალებული თავისი ჰაზრით ჭკუიანები, თავთავიანთი ქვენა აზრით იმდენად ზედმეტჭკუიანები, რომ ირგვლივ განუკითხავად ირიგებოდნენ ჭკვას როგორც ასეთს; ამ უღირსს კიდე ადრეც არ სჯეროდა თვით ეგრეთწოდებული დიდი მოაზროვნეებისაც კი, განსაკუთრებით პოლიტიკოსებისა, რადგან, იმათი მცდელობით, მითომ სუყველაფერი და ყოველი ადამიანიც კი მათი მოპრიანებით ისე უნდა გადაწყობილიყო, როგორაც ამას თითონ საჭიროდ თვლიდნენ (ნეტა, ყოველ იმათგანს წაკითხული ჰქონდა ბიბლია? ან, წაკითხულზე, ცოტათი მაინც, სჯეროდათ მისი? აჰ, ნაღდად არა... თორემ, ისე, რაღა ააჭარტალებდათ), მაგრამ, გინდ მატერიალისტურადაც კი, საუკეთესოდ მართლები ჰყოფილიყვნენ, და ასე ვთქვათ, მიეღწიათ ქვეშევრდომთა მათმიერულად სასურველ ცალგვაროვან ერთფეროვნებამდე (ისემც... ეე, მეტი არაა ჩვენი მტერი), სხვა თუ არაფერი, მაშინ ცხოვრება დაკარგავდა ზედაპირულად მრავალმხრიობას, ანუ ზედაპირულ არსსაც კი, და, გაცილებით უარესი ისა რომ, ეს თეორიული პრაქტიკოსები (მარქსი, ენგელსი, ლენინი, დარიოსი, სტალინი, პუანკარე, ბისმარკი, საშა წულუკიძე, ბინდით მოსილი ცეზარები და ხალასი მიხა ცხაკაია რომელსაც რომ ერთი მეათედი ერთ მეექვსედზედ მეტიეგონარადგანხალასიიყოიგი და აგრეთვე პირველილიჩის
მარტივადმტეანუთანამჭამელიმაგრამიმისიმარტოობაეგარაფერისამაგიერადაქრა
მოდონადაეთმო ადგილდ აქ, იმპერატორები, კარლოს პლუსდიდი გადატანითი მნიშვნელობით და ორპირი ოლივერ კრომველი და ერთპიროვნულად მტარვალი

სულა, რობესპიერი, ნოვე ვითომ-ერის და ვითოკაი ჟორდანია, ადოლფ შიკლგრუბერი, კიმ ირ მძიმესენი, ანდროპოვი და სემირამიდა და ტროცკი და ათათურქი, შაჰ-გახვრეტილი შაური რა იყო მთელი აბაზი თუ აბასი რა მნიშვნელობა აქ გვარსახელს აქს, ნეტა რიკოვი რათ გამოგვრჩა და სამაგიეროდ ჩან კაი ში, მუსოლინი, ყოფილი ძმაო მაო, იტურბიდე, სემინარიო, ერთი ფილიპე მახარაძე, ფილიპე II და ასე), ეს ფიცფუნანაჭამი დაუსწრებლადაც ძმადნაფიცები ოღონდ როგორი მაშობლისაგან, სხვათა სიცოცხლის ხარჯზე რომ იგონაოებინებოდნენ ამოდ შეღებილ ღუპვებს („ღუპვა - წყალთაგან დანთქმა“, საბა), აეს სულსწრაფი დედამიწური ქარონები, ღვარძლით და შხამით აქავებულები, ისეთის შემპარავი თუ სხაპასხუპითი საწამლავებით ბოგინობდნენ, რომ ბერძნების ქარონს ჯოჯოხეთამდე მაინც თუ მიჰყავდა მისწილი ხალხი, აესენი კი მაინცდამაინც დედამიწაზე როგორ ცდილობდნენ მიმნდობთა ღუპვას, ზედაპირულად მთლად სხვების ხარჯზე და ხარჯვით მოქმედებდნენ თავთავიანთუმ სააქაოებში ხან მაგიდიდან, ხან ტრიბუნიდან, ხან პალმადსაყვირ-დაფნებიდან და ბუნკერებიდან ხანაც, და რა იქნებოდა გერმანიისთვის უკეთესი, იმათ დროებით დიდად ურყევ-ასაყირავებელ არქიფიურერს მხოლოდ თავისი ერთ-ერთი რიგითი, თუნდაც ბევრწევრა ოჯახი შეექმნა და, მსოფლიოს ნაცვლად, მხოლოდ იმათთვის მიეხედა და მოეარნა, თუ მთელ დედამიწას და იმის ზღვა-ხმელს გადასწვდომოდა და დამჯერთა სისხლითაც აექოთებინა, მაგრამ სჯეროდავსთ მათი, მიმყოლებსა და ადევნებულებს, იმა თუ ამა საცოდავებს; ერთადერთი, ვინც ბევრად კაცურად გამოიყურებოდა ვრცელდამპყრობლებში, ეს ალბათ ალექსანდრე მაკედონელი იყო, რადგან თავისი ლაშქრის მეწინავეებში იბრძოდა ხოლმე, ამას თვით ჯუჯა ნაპოლეონზედაც კი (157 სმ, ალბათ ესეც ჩექმქუსლიანა) ვერ ვიტყვით, რომელიც, გარკვეული მთელ რიგ გაბედულებებისდა მიუხედავად, თუმც ყველას ზურგსუკან, მაინც ჯართან და თავისი ტანისათვის უთუოდ საჭირო შემაღლებულზე ანტიბუნკრულად იდგა ხოლმე და იქიდან განაგებდა ჟლეტას, მწყაზარი, და სიტყვა-პასუხიც სცოდნია კარგი, და, თურმე წყლულებიც თუმცა ჰქონდა ტანზეც, მაგრამ ვის რაში არგო ამან, უფრო საღად და უწყლულებოდ (ძნელი სიტყვაა აღსასრულებლად უკანასკნელი) თუ მივუდგებით, იგი რომ არა, სულ ცოტა სამი ამდენი იქნებოდა მისი ვითომდაც სათაყვანებელი საფრანგეთის მოსახლეობა ახლა, და, კიდევ სხვაგვარადაც თუ მივუდგებით, იმის დროს უკვე იყო გამოვლილ-გამოცდილი ევროპული ინკვიზიცია და ცოცხლად დაწვა და დანახშირება და ბნელ ძალებთან ნებსითა თუ უნებლიეთ განპიროვნება და შეკვრა, და მთლად მარტივადაც თუ ავხედ-დავხედავთ, ყოფილიყო რა, სამიოდ გოჯით უფრო ტანით ამოსულ-გრძელი, მაშინ ხომ სხვებზედ ამაღლებას ისე ძალიან აღარ მოინდომებდა, ანდ, შიკლგრუბერი რომ არ ყოფილიყო ხელმოცარული ფერთ-მწერი და ფუნჯით ეთხაპნა თავისთვის და გინდ ავანგარდისტულადაც კი სხვადასხვაგვრულად და ხანდისხანაც კი შორსმჭვრეტელურ დამთვალიერებლებს კი გულმოდგინე ტაშებით ექოთ (მაგრამ, არა, აარა - სუთავიდანვე მიარტყეს არადამაკმაყოფილებელი), და ვინმეც კი ჩვენებური, ჩამოქნილიყო, რაღა, ერთ-ერთ გინდაც ცრუხვაშიადებიან პოეტად რა, რა იქნებოდა, მაგრამ ბრბო მაინც რიღასი ბრბოა, თავისზე მეტად გამოჩენილ ხელმოცარულებს თუ არ გაჰყვება, და თუმც ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც გვყავს საბედნიეროდ სუყოველ ხალხს ჭეშმარიტი მამულიშვილები, რომელთა

ღვაწლიც, ფასდაუდებელია, მაღლით და მაღლა, ჩვენი დიდები გავიხსენოთ, რადგან ჩვენები უფრო ვიცით, ბუნებრივია, დიდი ილია, დიდი ვაჟა, დიდი ივანე ჯავახიშვილი, და სხვებიც, სხვებიც, თუმცა ეს სიტყვა, შორითა „სხვები“ აბა როგორღა შეეფერებათ, იმათზე, შემდგომ, ცოტათი უფრო ძალიან რომ გაგვიჭირდება. მაგრამ ერთი უცხოელი მწერლისა არ იყოს, სამწუხარო, რომ: „პატრიოტიზმი, ეს - გარეწართა უკანასკნელი თავშესაფარია“... ხოლო ბრბო, იმას ვამბობდით, აბა რიღასი ბრბოა, თავისებივით ხელმოცარულს, ოღონდ ცრუ დაპირებებით ენაჭარტალას, თუ არ მიაშურებს და არ აჰყვებ-გაჰყვება, და რადგან ერთ-ერთმა იმათმან სულის კაწკაწით აიღო და ამპარტავნებას მიჰყიდა მდაბალი არსი, განსადიდებლად, ისე აღაღო თავი? - გაბრუებული ხალხიც, ხელმოცარულთა ერთობა, ჯგრო, ავმიზანსწრაფვულ ნახირივით აედევნება და, ჯგროს კიდევ რა უჭირს, ძირითადად ერთ ადგილზეა, და ნელად მოარულ ნახირსაც კი, - ხროვად გადიქცა; ეს მეტნაკლებად თავმომწონე და თავმოყვარე უთავოები, ჯერ გამომცდელური და აწონ-დაწონითი მიფარებული ყოყმანის შემდეგ უცებ ერთი თრახ!-იც და, ბნელ წარსულიანს უყოყმანოდ ვითომც, ანდობენ თავს - რა ენაღვლებათ-რა, რას დაჰკარგავენ რაც არა აქვთ და, ეგების კარქაც გამოადგეთ ეს სხვით სხვაზედ (ანუ თავისიანების) გამოჭენებულად ჯობნვა და ესეც კიდე სკამი იქნება თუ სავარძელი თუ იქიდან გამომდინარე ავეჯიც იქნება თუ სხვა რაიმე დაბინავება-მოწყობილობა, სუმთავარი კი - ამოსაყორი კუჭი, კუჭი ბნელ სულსაცა აქვს, როგორც ასეთი, ფაშვი („ფაშვი - მცოხნავი ცხოველის კუჭის პირველი განყოფილება, რომელშიც ჩადის გაუცოხნავი საჭმელი“ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი), და, მართლები რომ იყვნენ საკუთარ თავთან, აიღებენ და ენის ჭარტალით, - ეს გადამდები, უძვლო მუნი - სასმელ-საჭმელებს ფაშვამდე ხომ ჯერ ენა აქვთა ხომ გასავლელი, ენა - პრიმია ამ შემთხვევაშიც, დაგემოვნების, და ვითომც გულით აღიარებენ დაკოდილ ვაცს და, წარმოიდგინეთ, იმის ბუქვაში ისე ძალიან შეტოპავენ კიდევაც ისე, რომ, ნაწილობრივ კი არა, თითქმის ბოლომდე, სჯერათ, აჰ, სჯერავსთ, როგორ სჯერავსთა, ვითომ... - რადგანაც მიჰყვნენ. - არ დაიჯერებ? - ქეციანთ, თუკი ისე აშკარად ექავებათ, თან, აბა სულელები ხომ არ ვაართო, და, არამცთუ საქციელიან ჭიდაობას, ენას რა უნდა... ერთი მიშვება უნდა მხოლოდ.

იმათი დაკოდილი ვაცი კი, თუმც საქციელებიან და მაინც ერთ ადგილში ზის, სხვა ძალებითაც ადის, ადის და, ძლიერ ჩადის.

- სიყრმის მეგობარი მყავდა ბავშვობაში და ახალგაზრდობაში ამხანაგი ერთი, - ჰყვებოდა ბილბაო, რომელიც ვიცით, - სახელი არ მახსოვს, მაგრამ სპეციალობა მახსოვს, მოკარნახე იყო რაღაც, მგონი თოჯინების თეატრში, კარგი ადამიანი იყო.

- და, ბოლოს მოკვდა?

- არა, კაცო, არამედ ბოლოს კიდევ უფრო გაგოთვერნდა.

- ჰაჰ!..

- ძალიანი თვალსაჩინო ადგილზეა ახლა.

თოჯინების თეატრის მოკარნახე... მაგრამ, გვეყო ეს მოხულიგნო, ქუჩისბიჭური პროზა, და ის გავიხსენოთ, თუ რარიგ სხვები იყვნენ დამპყრობლები კი არა, სამშობლოს რწმენით დამცავები, მართლის პროზაზე გადავიდეთ -

დიდი დავითი, მეფსალმუნე მეფე პირველი...

რაღა არ გადახდა ცხოვრების დიდგზებსა თუ ბილიკებზე, რა ვრცლად მადლმოსილს, როგორი ცოდვებიც ჩაუდენია, დიდმპატიებელს, ადამიანთა მოდგმის შემწეს, სამშობლოსათვის ხელებზე სისხლიც ბევრჯერ ეცხო, ზოგჯერ - ზედმეტი? წინასწარმეტყველმა, იერუსალიმის დედაქალაქად გადამქცეველმა, რომელ ქალაქშიც, შემდგომ, დედამიწის ზურგზე ყველაზე მაღალი ამბავი მოხდა, ცით, და დიდმა წინასწარმეტყველმა, სულიწმიდათი, იცოდა ესეც; ამაყს, დიდებულს, აღზევებულს, ბრძენს, გრძელი დევნისას თავის მოგიჟიანებაც კი დასჭირვებია; და მოსეს სჯულით, მოყვასები თუკი სწორად უყვარდა, ხანდახან, თუმც ჯერ არ იყო სახარება ნაწყალობევი, იცოდა ზოგი ძნელი მადლი - თუ ვერ უყვარდა, ინდობდა მაინც და პატივს მიაგებდა უსამართლოდ გადაკიდებულ მტერს, მაგრამ მოკეთეს ერთხელ ისეთი ცოდვა ჩაუდინა... აიმ ერთხელაც, სათნოს, მწყალობელს, გონიერს, ამაღლებულსა და როგორ სულიერს, ხორცთმოყვარეობით, და უფრო სწორად, ხორცთუძლურებით ისეთი მძიმე ცოდვა ჩაუდენია მოწონებული ქალის გამო, ავად მრავალმხრივი, თან; თან, მის წინ ყოვლად უცოდველი და ამასთანავე, უერთგულესი, და თანამებრძოლთა როგორ მოყვარე და თანამდგომი კაცისადმი, რომ ღმერთმა კინაღამ დასწყევლა კიდეც და ზურგი აქცია და ამით კინაღამ შეაჩვენა, მაგრამ არა, არა, ეპატია - მას, გამორჩეულს, მრავლისდამნახავს, დიადი სახიობა-წიგნი, „ფსალმუნნი“ უნდა დაესრულებინა, და, მწარედაც ცოდვილს, შუბლზე მაინც ეწერა ეს... სახიობა კი - „ესე არს მუსიკა მწყობრი ძალთა და საკრავთანი და ხმოანება ტკბილი, გალობა, თუ სიმღერა“ - საბა, ეს მგალობელი მესახიობე კი, თითქმის ყოველ ჟამს მოვაებე, და ხელისა და სულისხმევით ამღერებულად მოსინანულე, რადგან, - ხმით და საკრავით მჟღერი წმიდანი, არის... და თვით აქა-ბოლოსაც, ამ ცხოვრებაში, გარდაცვალების პირას, სამეფოდაბრუნებულმა, ისეთი ვრცელი სამადლობელი აღავლინა მამა-ყოვლისა-შემოქმედის მიმართ, ცოტა თვითქებაც კი შეურია, მაგრამ ესეც კი, რომელმა ვიცით, ეგებ სხვებისთვის საქციელისკე მაგალითად იყო ნათქვამი, ხოლო მიწიერად ყველაზე კარგი, მართალი და სწორი და ამაღლებული ალბათ მაშინ გახლდათ, სუმთლად ჭაბუკი, ქერათმიანი და „შუენიერ“, ღაწვებშეფაკლული ყმაწვილი მწყემსი, უუმძვინვარეს ფილისტიმელს რომ შეერკინა და სწორედაც რომ შერკინება არ ერქვა ამას, რადგან თვით მეფისაგან ნაბოძებ ჩაჩქან-აბჯრიანმა, ყოველივე შემოიცილა და, როგორიც იყო, ამოდ მგალობელი მანამდეც, შილიფი მწყემსი, მაგრამ ახლა გოლიათისგან ღვთის წყევაზე როგორ განრისხებული, ასე გავიდა ორთაბრძოლად მხოლოდ არგანითა და ვაშკარანით და ნაკადულში მოძიებული ხუთი მრგვალი ქვით და, ოთხი აღარ დასჭირვებია, პირველივეთი, ღვთის რწმენითა და მისი შეწევნით, ღმერთის მგმობი და მაწყევარი ის გოლიათი შუბლშელეწვით პირქვე დასცა და თავისივე ხმლით წარეკვეთა იმ უცხოთესლს, სხვისი სამშობლოს დასაქცევად მომხდურს, უგნური ანუ ურწმუნო თავი, ვის

საჭურველსაც ორი ვირი ძვრას ვერ უყოფდა, ის კი, ერთი, იმ რკინეულით სულ აღმა-დაღმა დარბოდა ისეე... ოღონდაც ჭაბუკ მემუსიკე მწყემს დავითამდე.

ხოლო ერთხელაც, საქართველოში, ჩვენში:

„მაშინ მეფემან, ვითარცა მოხუცებულმან და ბრძენმან და ვითარცა აღზრდილმან ფილოსოფოსთა თანა, იწყო ზრახვად ხმითა მაღლითა...“ „იწყო ზრახვად“ - ალაპარაკდა-ს ნიშნავს, ხოლო ის მეფე, ვითარცა ბრძენი და თითქო მხცოვან ფილოსოფოსებთან ერთად აღზრდილი, 15 წლის ქართველთა მეფე ვახტანგ, ახლო მომავალში გორგასალი, გახლდათ. ხოლო მაშინ რაცა თქვა, როგორი სადღევანდელოც, შემდგომისათვის, ანუ დღევანდელობისთვის შემოვინახოთ, როცა მისკენ ხლება და თაყვანისცემა ძალიან უფრო დაგვჭირდება, ხოლო ეს სიბრძნე, ასეთი ადრეული, იქიდან იყო, რომ „ვახტანგ იზრდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა, და სიყრმისავე დღეთა შეიყვარა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა ქართლისათა...“, „და მწუხარე იყო იგი ამისთვის, რამეთუ შემორეოდა ქართლს ცეცხლის-მსახურება...“ გამორჩეულად ღირსეულები, რჩეულებადვე დარჩნენ, მაგრამ მდაბიო, „წურილი ერი მიიქცა მრავალი ცეცხლის-მსახურებასა“ - დამპყრობლებისგან, გარკვეული შეღავათები ჰქონდათ... ქრისტესი, ვითომდაც, გადამფარავი? - ეჰ.

ხუთი წლით ადრე, ქვეყანა, ქართლი მოუოხრეს, და მოუტაცეს უმცროსი და, „სამის წლის ქალი“, რომელიც ისე უყვარდა რომ, როგორც ქრისტესკენ შემზადებულ ათი, წლის ყმაწვილს შეიძლებოდა ჰყვარებოდა სამი წლის დაი... ბერძნებისა და სპარსელებისგან, ვეშაპებისაგან, ისედაც როგორ გათანგულებს, მანამდე ტვრინვა-მეზობლებმაც დრო უხელთეს და, შორეულ მტრებზე როგორად უფრო დააქციეს ქართლის ქვეყანა, ბორცვებიანი, და, დაბრუნდნენ „ოვსეთს გამარჯვებულნი“.

და, იმ დიადი გაჭირვებისას, მაშინაც კი შეიგნეს მგლოვიარე და უღვთოდ კი არა, ღვთით დასჯილმა „ყოველთა ქართველთა“, რომ, „განვამრავლეთ ცოდვა ღვთისა მიმართ, და არა კეთილად ვიპყართ სჯული ქრისტესი და წესი იოვანეს მცნებისა“, და თუ კლარჯეთით სევდას ვარაზ-ბაქარს მიაწერდნენ, იმას „რამეთუ ვერ კეთილ ექმნა სჯული ქრისტესი“, ამ საყოველთაო გაცამტვერებას კი, თავდახრილები ეღიარებოდნენ რომ, „სამართლად მოაწია ღმერთმან ჩვენზედა ესე რისხვა“, რადგან „ხოლო ესე არა მეფეთა ჩუენთა ცოდვისაგან იქმნა, არამედ ერისა ცოდვათაგან“, და აღარ იცოდნენ, ასე დაძაბუნებულებს, რა ეღონათ, მაგრამ, ქვეყნის წყალობად, ვახტანგ მეფე, მცირეწლოვანი, მომავალი გორგასლიანი, როგორ კეთილად იზრდებოდა, ღვთით.

და, „ვითარ იქმნა თხუთმეტი წლისა“, ქართლის წარჩინებულები მოიწვია და „განმზადა მეფემან სახლი ერთი“ და დაჯდა ტახტთა ზედა მაღალთა, ეპისკოპოსები და სპასპეტი ტახტითვე მოისვა, „ყოველნი ერისთავნი დასხდეს სელებითა“ („სელი - სკამი შესაკრავ გასახსნელი“, საბა), ხოლო „ათასის-თავნი და ასის-თავნი და ყოველი ერი წარმოდგეს ზე“, და, ასე უცებ დასრულებულს, სრულქმნილს, გაკვირვებულები შესცქეროდნენ, რადგან, სუცოტათი ადრე, „აწ მეფე ჩვენი ყრმა არს, და არ გვივის ჩუენ წინამძღუარი, რომელიმცა სასოებითა

ქრისტესითა და წინამძღვრებითა ჯუარისათა წარგვიძღუა ჩუენ, და ვიძიოთ ჩუენ შური პირველ ოვსთა ზედა, და შემდგომადმცა ვძებნეთ საზღვარი ქართლისა ბერძენთაგან“, და, სწორედ მაშინ, იმათ გულში იჯდა თუ რა, ყმაწვილმა მეფემ იმ დიდი სიტყვის შემდგომ, ჩვენ, დღევანდელებსაც რომ გვინდა, თავის გაბზარულ სამწყსოს ოსთა დალაშქვრის მეფური დიდნება, ამცნო.

და, „მაშინ აღდგა ჯუანშერ სპასპეტი და თქუა“, გახარებულმა და აღზევებულმა: „ცხოვნდი, მეფეო, უკუნისამდე დიდებით და მტერთა შენთა ზედა ნება-აღსრულებით“, ერისთაგანებს, ლამისაც იყო შედედებული სისხლი, აუღელვდათ, ოღონდაც ერთხმად შეევედრნენ, რომ თავად მეფეს, გამოუცდელს, არ ემონაწილევა ლაშქრობაში, რადგან ნაძარცვით შემაგრებულ, დაქირავებულ ხაზართაგან გულმიცემულ მოწინააღმდეგესთან სათუო დამარცხებისას, ის მაინც, მეფე, სამშობლოს ზურგში იმედად, ცოცხლად ჰყოლოდათ, მაგრამ ვახტანგმა შორს დაიჭირა მათი ნათქვამი, იმათი სიტყვა, და როცა ბრძანა, რომ, რომე „სიკუდილი მირჩევნია თავისა ჩემისა“ ზურგში უქმად ყოფას, და ამას ისიც რომ დაუმატა, რომ „სიბრალული დისა ჩემისა განლევს გულსა ჩემსა“, რაღა ეთქმოდათ, გარდა: „ცხოვნდი, მეფეო, უკუნისამდე! იქმნეს განზრახვა შენი“, და კაზმვას შეუდგნენ, ხოლო მეფემ „აღასრულა შვიდეული ერთი ლოცვითა, და მარხვითა, და ღამის თევითა; და განუყო ხვასტაგი დიდძალი გლახაკთა“, და, დაიძრნენ,

და, თექვსმეტისა რომ შესრულდა მხოლოდ და მართლა - მაშინ არ იყო მეტრიკების გადაკეთება, ფიჰ, რადროს ღლაბუც-შაყირია, ფიჰ, -

ესეეც, ოვსეთი.

კარგად ჩანდა,

როგორ სხვაგვარად სანატრელი.

შვიდ დღეს იბრძოდნენ... ვერც ერთი მხარე ვერა სძლევდა, და მაშინ ოვსების მხრიდან, „რომელ ჰყვეს ნიჯადნი ხაზართანი („ნიჯადი - ლაშქარი მეშველი სხვათა თემში შემწე“, საბა, ხაზარები - თურქულენოვანი მომთაბარე ხალხი, რომლებიც რატომღაც აღმოსავლეთ ევროპაში, ჰა-ჰა რუსეთში აღმოცენებულან), მათ თანა ერთო კაცი ერთი გოლიათი, სახელით თარხან“, და გამოვიდა ეს ხაზარი და ხმითა დიდითა მოუწოდა ვახტანგის სპათა, აბადა ვინც არის თქვენს შორის უძლიერესი, შემებრძოლოსო.

ვახტანგ მეფესაც ჰყოლია დაქირავებულები, ხოლო მათგან ერთი კი, რაღაც უბედურება ჰყოფილა თურმე, შიშველი ხელებით ლომებს თურმე ლოკოკინებსავით ადვილად იჭერდა, და რომ ხმალიც თუ აეღო ხელში? - აჰ; ამ სპარსელს ფარსმან-ფარუხი ქვიებია, ჩაღიმებია ერთი, მაგრამ ხაზარ-სპარსელი ქართლისათვის როგორც კი შებმულან, ხაზარელ თარხანს სპარსი ფარსმან-ფარუხის ჩაბალახიანი და ამაყი თავი მაშინვე ბეჭამდე განუპია.

შეძრწუნებულა ვახტანგის სპა, „და აღივსნეს მწუხარებითა“, რადგან აღარავინ ჰყავდათ იმა სპარსელის მსგავსი, თავჩაქინდრულები, იდგნენ, ხოლო ვახტანგ მეფე კი კარვად შესულა, „და დადგა ლოცვად, და ცრემლითა ევედრებოდა ღმერთსა“,

გათენებამდე, „ითხოვდა ღმრთისაგან შეწევნასა“, და მეორე დღეს კიდევ მეტად გულმოცემული თარხან რომ დასცინოდა ქართველობას და იმათ ცხვირწინ მიწის ისეთი ტკეპნით, რომ სულ დიხაშხოზე („დიხაშხო - მიწა დახეთქილი“, საბა) მიმოდიოდა ის, გოლიათი, და ეცადა კი, მაგრამ „არავინ იპოვა სპათა შორის ვახტანგისათა მბრძოლი მისი“, და,

მაშინ კი ვახტანგს, ყმაწვილ მეფეს, უთქვამს: „არა მინდობილ ვარ მე ძალისა ჩემისად და სიმხნისა ჩემისად, არამედ მინდობითა ღმრთისა დაუსაბამითა, სამებისა ერთარსებისა ყოვლისა დამბადებელისა განვალ თვითბრძოლად თარხანისა“, და წარჩინებულები დიდად გაკვირვებულან კი არა, ლამის გულები დახეთქვიათ, ეს ვინ გაეშვათ გოლიათთან შესაბრძოლებლად, ის ნორჩი მეფე, ვისიც საერთოდ არ უნდოდათ ლაშქრად წამოსვლა, „და მრავალ-ღონედ ზრახვიდეს, რათამცა დააყენეს ბრძოლისაგან“, და ესეც რომ არა, თვით შეცბუნებულ თარხანსაც კი, ჯერ: „მე გოლიათთა და გმირთა გამოცდილთა მებრძოლი ვარ, არა ყმაწურილთა“, და როგორ თუ „შენ ზედაცა დავიმდაბლო თავი ჩემი“, ვახტანგ მეფეს კი, თავისიანებისთვის: „ევედრეთ ღმერთსა და ნუ შეძრწუნდებით“, საგოლიათოდ კი წმიდა გიორგის იარაღი, შუბი აურჩევია და მეფური სისხლის იშტაზე მოსული მთლად უცხოთესლი ხაზარი დიდის ყიჟინით კი მიტევებია, მაგრამ, „პირველსავე შეტაკებაზე სცნა ვახტანგ ოროლნი“, რომელმა იარაღმაც ხაზარისა „განვლო ზურგი და მოკლა“, და ვახტანგ მეფეც მიწად დავარდნილა, ოღონდ ღვთისა მიმართ, და მერე, ხელებაპყრობილს, ზემოთკე უთქვამს: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო, რომელმან, მოავლინე ანგელოზი შენი და დაეც მტერი ჩემი; შენ ხარ აღმამაღლებელი მოსავთა შენთა; შენ ხარ, რომელმან აღადგინე ქუეყანისაგან გლახაკნი და სკორეთაგან (ხანდისხანი საქართველო) აღამაღლი დავრდომილი“.

მაგრამ თუ თარხან გოლიათი ჰყოფილა მხოლოდ, და უბედურება იყო, ოვსებს მთლად უბედურობა ბუმბერაზიცა ჰყოლიათ ერთი, შესაფერისი სახელით - „ბაყათარ“, გავთანამედროვდეთ, ცოტა, მოსულელო გამოთქმებითაც კი, და რადგან ვახტანგს თარხან-ხაზარზე გამარჯვება აქტივში ჰქონდა, შენზე ხელს როგორ გავისვრიო, წინამორბედივით კი არ უთქვამს ბაყათარს, არამედ, დაუქადნია: „ნუ განლაღდები-შენ მოკლვისათვის თარხანისა, არა ერთო იგი გოლიათთა და ამისთვის მოიკლა ყმაწურილისა მიერ. აწ უკუეთუ შენვე გამოხვიდე ბრძოლად ჩემდა, მოგხვდენ ჩემგან ბრძოლანი ფიცხელნი (ბრძოლას უკვე მრავლობითში კადრულობს), რომელთაგან ვერღარა განერე. თუ არა ვინცა სპათა შენთაგანი გამოვიდეს, მისთვისცა მზა ვარ“.

მაგრამ ვის დაანებებდა, ანდა ვინ იყო იმ ბუმბერაზთან მბრძოლი, „და რქუა ბაყათარს: არა ძალითა ჩემითა ვძლე თარხანს, არამედ ძალითა დამბადებელისა ჩემისა. და არა მეშინის მე შენგან, ვითარცა ძაღლისა ერთისაგან, რამეთუ ძალი ქრისტესი ჩემ თანა, და ჯვარი მისი პატიოსანი ჩემ ზედა“, და რომ გამოვლო მდინარე ბაყათარმა, კარგა დასვენებულ-მოსვენებულმა, ჯან-ღონით გაპიპინებულმა, გამაძღარმა, ვინაც რომ ჯერზე მთელ ხბოს მჭახე ორგანიზმით თვალნათლივ ინელებდა, წარუდგა ვახტანგ, მხურვალე ლოცვით ღამენათევი, ნამარხულევი, ხოლო ბაყათარს, გულმა შიში უყო თუ რა, ან, შარავანდი დაინახა

მრავლისმეტყველი, ვერა ყოფილა მთლად სპეტაკი და, პირისპირ შებმის ნაცვლად, გრძელი შუბის რიდით, შორიდანვე დაუწყო ახალგაზრდა მებრძოლს ისრების ტყორცნა, ვახტანგ მეფე კი, ამიერ და იმიერ სპათაგან დაფდაფებისა და ბუკების გამალებულ ცემაში, შემახილებში, იმ მძლავრ გუგუნში ისე, რამეთუ „იზახდეს ხმითა აწევნულითა სპანი ორნივე, ქართველნი და ოვსნი, რომლითა იძრვიდეს მთანი და ბორცუნი“, იმ ღრიანცელში, „სიკასკასითა ტაიჭისათა მისისათა ირიდებდა ისარსა“, და ბაყათარმა ცხენი რომ დაუჭრა და „ვიდრე დაეცემოდა ცხენი ვახტანგისი, მიუხდა ზედა და უხეთქნა ხრმალი მხარსა ბაყათარისსა (რადგან „ბუმბერაზი - უმცირეს გმირთა“, საბა) და ჩაჰკუეთა ვიდრე გულამდე“, და „მაშინღა დაეცა ცხენი ვახტანგისი“, დაეცა ბაყათარიც, სხვას რაღას იქმოდა, რადგან დაეცაც მთლად ნულამდე არტერიალური წნევა ახლახანა, ექს-ბუმბერაზისა, ვახტანგ მეფე კი, სამებით გმირი, პირველ ყოვლისა თავისით „დავარდა ქუეყანასა ზედა, და თაყვანის-სცა ღმერთსა, და შეწირა მადლობა უმეტეს პირველისა“, მერე კი, „აღჯდა ცხენსა ბაყათარისსა (როგორ ნაცნობი სახელია ცოტა, სადღაც გაგვიგია), და მიდგა მახლობლად სპათა თვისთა, და რქუა ხმითა მაღლითა: მხნე იყვენით და განძლიერდით, რამეთუ ღმერთი ჩუენ-კერძო არს“, და, ისრების მართლა-წვიმაში „აღვლეს გზა ქარაფისა, და იქმნა ბრძოლა ფიცხელი მათ შორის, ხოლო ვახტანგ უკეთუ მარჯუენით-კერძო იბრძოდის“, ოვსები „მარცხენით-კერძო ძრწოდიან; და უკეთუ მარცხენით-კერძო იბრძოდის, მარჯუენით-კერძო ძრწოდიან, და ეგოდენსა სიმრავლესა სპათასა იცნობებოდა ხმა ვახტანგისა, ვითარცა ხმა ლომისა“, - სამშობლოსათვის ღვთით მებრძოლისა, თექვსმეტი წლის ყრმის.

და თუ ოვსები წინა მთელ გრძელ კვირეულს ომში მფრინავნი იყვნენ ნამეტურ, და ახლაღადცაც კი მფრინავებადღა დარჩნენ, ოღონდაც ზადნით (საბას არა აქვს ესი სიტყვა, რომელს არა გვაქვს თითო მინუსი), მერე უკანისკენაც ვეღარ ფრინავდნენ, ტყუეობაში, მხოლოდ ადგილზე იჯდნენ, მაგრამ მოწყენით არ უნდა მოსწყენოდათ, რადგან ასობით ათასები იყვნენ, ოვსნებები, მეფე ვახტანგმა კი, ექვსი წლით დატყვევებული თავისიანები, „იგი ყოველნი უკმოიხსნა თვითო თვითოსათვის“, ერთ მძევალში კი, სანაცვალოდ, რომელნიც კი სახელდებით თქუეს ალბათ ჩირგვებიდან ოვსთა, იმ ერთი მძევლის ფასად მეფე ვახტანგმა ზოგი პირტანმშვენიერი და ზოგიც პირიქით ტანპირბანჯგვლიანი ოცდაათი ათასი შაურ-ოვსი გადაიხადა, სამაგიეროდ, გულში ჩაიკრა ერთი პატარა ცხრისა წლის ქალი, სახელად მირანდუხტ, მთელის ექვსის წლით უნახავი უმცროსი დაი...

და „რომელ დარჩა ტყუე ოვსი“ გამოყენებულ ვალუტათა გარდა, იყვნენ კიდევ თვლით ექვსას ორმოცდაათი ათასი, გარდა „პაჭანიკთასა და ჯიქთასა“, ოთხ თვეს ითვლიდნენ, რომელ საბრალო იმდროინდელ ბუხჰალტრებს დაევალათ, ნეტა.

მერე „მეფემან განუტევნა ნიჯადნი იგი სპარსთანი და მეფენი კავკასიანთანი ნიჭითა დიდითა“, და მხოლოდ ქართველებით „წარმოვიდა გზასა აფხაზეთისასა“, რადგანაც ბერძნებს აფხაზებისთვის აღარ სცხელოდათ, ქართველების სხვა მტერს რის ვაი-ვაგლახით ებრძოდნენ, „და უშიშად იწყო ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისასა“, რამეთუ ყოველი მტერი ქართველთა „ვერშემძლებელ იყო სპათა გამოგზავნად აფხაზეთს“; და, მუდამ მეწინავედ მებრძოლმა მეფემ რომ

„წარტყუენნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი“, და, საქართველოს საზღვრები საბოლოოდ რომ აღადგინა, ექვსი წლის შემდგომ, მერეღა დაბრუნდა მთლად თავის მცხეთად, „და გაეგება წინა დედა მისი, და დანი მისნი“, ერთ-ერთი - მირანდუხტ, „და სიმრავლე ქალაქისა მამათა და დედათა მიუფენდეს სახელთა („მკლავთა სამოსი“ - საბა) და სამოსელთა მათთა ფერხთა ქუეშე მისთა, და აყრიდნენ თავსა დრამასა და დრაჰკანსა, და აღწევნულითა ხმითა შეასხმოდეს ქებასა; რამეთუ არა რომელსა მეფესა ექმნა ეგევითარი ძლიერი წყობა“,

„მას ჟამსა იყო ვახტანგ წლისა ოცდაორისა; და იყო იგი უმაღლეს კაცთა მის ჟამისასა, და უშუენიერეს სახითა და ძლიერი ძალითა“ ისეთი რომ, საჭურველითაც კი დამძიმებულს, უცხენოდ ეწიფა ირმის დადევნება და „მიეწიის, უპყრის რქა და დაიჭირის“, ხოლო შეჭურვილი, ცხენით მხრებზე მცხეთიდან არმაზზე ადიოდა, და წინ კიდევ რა და როგორი ბრძოლები ედო, სულ სხვადასხვაგვარ ენოვან და სარწმუნოებრივ მტრებთან, ჯერ ვინ იცოდა,

სვეტიცხოველშია, დაკრძალული.

ხოლო გმირები ძალიან განგვისხვავდნენ არამცთუ ჩვენში, არამედ სხვაგანაც, თანაც, უღირსი შორეულებს კი არა, ისეთ წამდაუწუმა ახლობელს, როგორიც იყო ინკოგნიტურად მოსაწყურებელი არნოლდ, სულ ვერა სცნობდა, მაგრამ ერთხელაც, გაბრუებულს, ყვირილით ესმა მისი სახელი:

- არ გამაგონო ეგ არნოლდი!

ბილბაოს ხმა იყო.

რომელი ხმაცაც აივნისაკე მწვანეულობის ოთახიდან გამოსჭვიოდა კი არა, ჰქუხდა.

ხოლო „არნოლდი“ -ს უარყოფითადაც კი გაგონებაზე შეცბუნებულად შემდგარმა უღირსმა „სმენა დაძაბაო“ - ეს აკადემიურად, სინამდვილეში კი ყურები სცქვიტა.

- რა დაგიშავა, ვითომ! -

ესეცაა - მიშო.

შეიქნა მჭახე საუბარი:

- რა დამიშავა!? - გაწიწმატდ-რა-იყო, გაჩინურწიწაკებულიყო ბილბაო, - მეტი რა უნდა დამიშავოს, ყოველ ნაბიჯზე მატყუებს და მასულელებს თავისი ჭკუით ვითომ, ეგე თავხედი!

- რითი გასულელებს, ვითომ!

- როგორ თუ რითი, სულელი ვგონივარ მაგას მე იქ!

- სად იქ!

- სად იქ და, ეე... თვალნათლივობაში!

- შენთან რა ხელი აქვს არნოლდს!.. რა ხელი!! თანაც როგორი დაკუნთული!.. ჰო, ჰო, შენ გეკითხები, რასაა რომ დაგიყვლეპია თვალები და... და რომ მომჩერებიხარ დესტრუქციული ძალებივით!

არეულიყო უკვე, საქართველო, შემოსულიყო მსგავსი გამოთქმები.

- აბა ვინაა მაგისი შტერი! რო დაუჭერია ხან ავტომატი და ხან შვილდისარი, და მთელი ცხოვრება ომობანას მეთამაშება, რომელი საბავშვო ბაღის ბავშვი და აღსაზრდელი ვგონივარ მაგას, არა აქვს მეტი მაგ მოცლილს საქმე?

- ჰოდა, იმიტომაც ვერ იშოვა შენზე მეტი ფული... რას გიგავს მაინც ეგ პიჯაკი, დაიხედე ზედ!

- შევარცხვინე მე მასეთი ფული! თავისით ფეხი ვერ გაუდგამს ცხოვრებაში გარეთ!..

- სად გარეთ, ბიჭო...

- სად და, რომ მოინდომოს თავისი სახლიდან გასტრონომში გადასვლა და მაწვნის ყიდვა იქ, თუ არ ეყოლა თოთხმეტი მცველი, ნაბიჯს ვერ გადგამს ისე. მომიტაცონო, არ.

- ძალიან იციან ამერიკელებმა მაწონი...

- ყველაფერი იციან მაგათ, ნუ გეშინია შენ!

- არავისი არ მეშინია მე! შე აფრიკულო შლაპა...

- ამერიკული შლაპაც და ზედაც ცილინდრიც არის თვითონ ეგ! აბა რომ მოინდომოს თავისი ქალაქის სასტუმროდან უნივერსამში გადასვლა სულგუნის საყიდლათ, თუ არ ეყოლა თხუთმეტი მცველი, აქედან ოცი კარატისტი და მარჯვე მსროლელი სნაიპერისტი, ფეხს ვერ წაცდევიეფ ისე...

- კი მაგრამ, სადა აქვთ, ბიჭო, ამერიკელებს გუდის ყველი და სულგუნი!

- ყველაფერი აქვთ მაგათ, გელაპარაკები შენ!.. შლაპაც... ხოლო გუდის ყველი სულაც არ მიხსენებია მე!

- და... ეე... ჰო!, რა უნდა იმას, თავის ქალაქში თუა, სასტუმროში?

- უნდა ალბათ და, არის... ალბათ... რადგანაც, ეე... რადგანაც... ეე, რადგან!, კაცია და გუნება!.. მერეე, ბანკეტებიც აქვთ სასტუმროებში მაგინს.

- უსულუგუნო, ხომ? სულუგუნი და თორნის პური კი არა, სულო და გულო, იმათ რომ არ ქონდეთ...

- კაცო, სულგუნი რა შუაშია! რას ამოიჩემე რომ ამოიჩემე... - ურთიერთგადაცვლილიყო, მოხსენიებით, ყველის ეს კარგი სახეობა, უჭირდათ უკვე კალორიულად საქართველოში, ჩანდა; მოშიებოდათ, კარგი ბავშვობის ამხანაგებს, და ამიტომაც ახსენებდნენ ასე წამისწამ და წამდაუწუმ აღნიშნულ

პროდუქტს, თავისას ითხოვს როგორიც გინდა იყოს აღნაგობა, ორგანიზმი, და გაღიზიანებულიყვნენ ერთიმეორეზე და, სხვაზეც: - შენ ჯერ ის თქვი, რომ, რო დაუჭერია სმიტები და ვენსონები და ბრაუნინგები და მოკაკვული ხმლები და ჰხაუბიცები და მწვადებს ჭამა და ომობანას მეთამაშება იმხელა კაცი ამხელა მამაკაცს ეკრანებიდან, ის რათ მინდა მე!

„აა“, - ცალხმოვნიანად გაიფიქრა უღირსმა, რადგანაც მიხვდა, თუ რომელ სხვა არნოლდი-ზედაც იყო ხმამაღალი საუბარი. სულაც არ იყო საერთო ჯამში დაუპატიჟებლად მომსმენი, მაგრამ ამჯერად, თუნდაც სულ სხვა მაგრამ მაინც სახელწოდება „არნოლდი“-ს ხიბლით, ადგილზე უნებურად მორიგი ფიკუსივით იდგა მაინც. და მაინც.

- კაცო, ის დასტინ ჰოფმანი თუ სულელს მაინც გავს, და აკეთებს ამითი თავის საქმეს, ხოლო ეს არნოლდია თუ შვარცენეგერი და სილვესტრაა თუ ჩახმახ-სტალონე, ეგენი მაინც რაიღასები მაქნისებია, გეკითხები შენ?.. იმ ეკრანებზე რომ იღებენ და იღებენ მთელ კბილების ფესვებამდე შეიარაღებულ ქალაქებს და სოფლებს, სამაგიეროდ აქეთ, გაცილებით ნამდვილ ცხოვრებაში, ღამე არ ძინავთ, კანკალებენ სულ, ვაიმე, დედი, ვუიმე, ნენა, ვინცხაებმა არ მომიტაცონო, სულგუნიანა... გამოსასყიდათ... ჰოდა, კიდევ მეტყვი შენ, რათ მინდა ბიჭო, მაგ შემთხვევაში, რაგინდა ფული? ფული კი არა, ნულებია, მაგ.

- რატომ, შე კაცო, რო შეხედავ, გაგეხარდება.

- გამიხარდება, კი, კი... შენ გაიხარე იმათით და მიაჩერდი სულ და იყავი ასე... უიი, უი, შე მაშოო, მაშო!

მიშომ როგორღაც წაუყრუა, და:

- საზოგადოებაში აფასებენ. სამაგიეროდ.

- აფასებენ, კი, კი, აფასებენ, თუარა... შენ ამერიკლები ხო არ გგონია, ბიჭო, ძალიან კაი ხალხი, გამძღარი რუსებივითაა ჯერ ეს ეგ ერთი ისინი ეგ, და მაგინიც კარგად ეკვეხებიან სხვა ეროვნების საქმეებში, ნუ გეშინია შენ!

(ამას მე არ ვამბობ, ბილბაომა თქვა - შემკრთალი და დამბეზღებელი ავტ., დაიბ. 1939 წ.-ელს).

- რა იცი შენ რომ, მეშინია!

- აბა რატო არ უნდა გეშინოდეს შენ იმათისავით, აგერ, შენც არ გაკლია აქ ყაჩაღები...

- რა ვიცი, აბა, - დანაღვლიანდა მიშო, და აღენთო მაინც: - რომ ეშინიათ იმათ, საიდან იცი!

- რა ვიცი, კიკო და, მერამდენეჯერ უნდა გითხრა, დაცვა ყავთ დიდი.

- ეგ საიდანღა იცი!

- გაზეთებიდან.

- რომლებიდან მაინც... ამერიკულებიდან? სწორედაც მეტი რა გითხარი შენ...

- თუნდაც. გაზეთის თარგმნას რა უნდა, ბიჭო, წყალივითაა... და მაწოდებენ, - და, სიტყვის მოჭრით კიდევ მეტად დაჯერებული, თავისას მიჰყვა: - არა, მე მესმის, ვინმე პატიოსანმა ბიუსტჰალტერმა... ეე, ბუხჰალტერმა რომ აიღოს და დაიქირავოს მცველი და თან სულ კუპატებით გაუმასპინძლდეს დილა-საღამოს, და ნიორწყალში ჩადებული დედლით, მაგრამ ესი რომ გააკეთოს სოფლებისა და რაიცენტრების ამღებმა, კაცო? - ნოუ, აპაპა, ნოუ-გელაპარაკები შენ (ნოუ, აპაპა, ნოუ - არა, აპაპა, არა-ინგლ.-ამერიკულ.)...

- მიდი ერთი და, გადაუწიე აბა ხელი...

- უი, ეგ კარგი გამახსენე, რო იბერავენ ქვასავით კუნთებს, რო წევენ შტანგებს და დახტუნაობენ სახტუნაოთი და ეზიდებიან აღმა და დაღმა ცენტნერებიან ჰანტელებს, მაგის მაგივრად, აიღონ და, დაეხმარონ შეშის პობაში ვინმე ქვრივ-ოხერს... ვაიმე ბიჭო, რა მათქმეინა მაგ გამჭვირვალემ, დახმარებოდნენ-მეთქი, მინდოდა მეთქვა, ვინმე პატიოსან ქვრივებს და ობლებს, შეშის პობაში... მოხარშონ მერე, კაი ხაშლამა...

- რა იცი, ეგებ ეხმარებიან...

- კი, კი, მეტი არა აქვთ ზედმეტი საქმე... უბრალო ნაჯახს და ბაზარში დატენილ ჩანთებს მოკიდებენ იგინები, ხელს?

(მცირე განმარტება: „ისინი“ -ს ნაცვლად „იგინები“ -ს იმიტომ ამბობს, და სხვადასხვაგვარ სიტყვიერ გადახვევებს ამ მონაკვეთში იმიტომ სჩადის ბილბაო, რომ ზოგსოფლიანი შვებულებიდან ახლახანაა დაბრუნებული, თორემ ისე-ქართულს, უკეთესად ფლობდა) - დაეხმარებიან კი არა, იხვის ტოლმა, ეკრანიდან ვის დაეხმარები შენ, თეატრი კი არაა ცოცხალ-ცოცხალი, და მურწა, ეხმარებიან, კი, როგორ არა, კი, კი, არა-მეთქი, კაცო, არა, წყალი არ გაუვა ამას, იეს (“იეს“ - ასეა ეს ინგლ.-ამერიკ.-დ. თუთაშხ.).

მაგრამ მიშიკო თავისაზედ იდგა:

- ძაან იცი შენ იქაური ობლების...

მაგრამ ბილბაოც თავისაზედ იდგა:

- კაგანოვიჩ არ ყოლებია იმდენი დაცვა...

მაგრამ მიშოც ხომ აკი თავისაზედ იდგა?:

- რა უნდა იმას მშობლიურ ქალაქში სასტუმროში...

- ვის, ვარაშილოვ?

- არა, სილვესტრ.

- აეგ სტალონე, პატარა მაინც ჰყოფილა, ტანათ... კი ქონებია ეგ ერთი პლუსი, ესა კიდე, კაცო, შენი არნოლდი, მაგხელა ფოცხვერი... გვარიც კი რო აქვთ ვაშკაცურები? - სტალ-ონე, შვარც-ენდ-ეგერი... ფსევდონიმებია, ნაღდათ.

ხოლო აქ მთლად თავ-თავისების ძახილი იწყეს:

- სტალონე, თურმე, კიდევაც ხატავს.

- ხატავს თორე, კი, სულ რიმსკი-კორსაკოვი გამომივა ისიც.

- კი მაგრამ, სულუგუნი თუ მოუნდებოდა, ვერ გაგზავნიდა სუპერმარკეტში დაცვიდან ერთ-ერთს?

- ვერა. მარტოკად ერთ-ერთს, იმასაც ეშინიან.

- გააგზავნოს მაშინ სუყველა!

- და, ცალ-კენტად დარჩეს? მოგართმევენ, კი...

- მაშინ, გაგზავნოს ნახევარი...

- ეგ შეიძლება. ოღონდ ცოტახნით.

სიჩუმეც, დადგა. მთელ ათამდეწამიერი.

- კი მაგრამ, ასე მაინც რამ შეგაძულა, რაც გინდა იყოს, თავის საქმეში გამოჩენილი და აღიარებულად ცნობილი ეგეთი ხალხი.

- ყველანი კი არ მძულარიან, მიხეილ-ჩემო... ასე მაგალითად, ალ პაჩინო რომ ავიღოთ უყოყმანოდ და თუნდაც, პატარაა ისიც, მაგრამ როგორი ნაღდი კაცია... იმათსავით კი არ იბერავს კუნთებს. მაგრამ, თვალებით, ისე დაგცეცხლავს... თუნდაც კუნთები, ტომ კრუზსაცა აქვს, მერე როგორი, მაგრამ რომ შეხედავ, გული გაგინათდება, ალალია ისე... ხოლო რაც შეეხება კევინ კოსტნერს, იმასთან ძაან ნეიტრალური ვარ. ალბათ შენსავით კი არ ვარ. რადგან...

- უიმე, მართლა! შე დალოცვილო, ერთი ის გამაგებინე, ბიძაშვილ-დეიდაშვილების სახელი და გვარიშვილობა რომ არ გახსოვს და გერევა ერთმანეთში, ეგ გადამთიელები რაღამ დაგაზეპირებია? შეივსე, ხომ მთლად, მაგათით ტვინი?

- ჯერ ეს ეგ ერთი... - ყოველი შემთხვევისათვის, ღრმად და შორიდან გადაწყვიტა და წამოიწყო ბილბაომ, მაგრამ ტყვილა არ დაფიქრებულა, - ჯერ ერთი ის, რომ ეგენი გადამთიელები კი არა, უფრო გადაოკეანელებია, და, მეორეც ის, ჩემ ბიცოლებს და იმათ გვარში გასათხოვრებს რატომ უნდა გადავეკიდო, თავისთვის არიან, ჩუმათ და წყნარათე.

- ჩუმად იქნებიან შენი გადამკიდე, რა იქნებიან აბა... ერთი მეა რომ, გიძლებ და გიძლეფ.

- ვინ გეხვეწება, მერე...

- ამას შენ ამბობ, სტუმარი კაცი?

- მეცოდები და, მოვდივარ მიტომ... შევდივარ მდგომარეობაში, როგორც იტყვიან, და ვინ მოგაკითხავს აბა სხვა, ამ წიწაკებში და კაქტუსებში, ნახე ხომ, ჰობი? ხობიდან ხო არ ხარ შემთხვევითობით, შენ...

- გამოცოცხლდი, ხომ?

- ცოცხალი ვარ სულ, სიმართლეზე თუ მიდგება საქმე.

- ჰაიი, ბავშვობის ამხანაგი არ ვიყვნეთ ერთიმეორეზე ჩვენი...

ჰაიივ, ქართულო...

- რას მიზამდი მაინც...

- შენ გაჩვენებდი თვალის სეირს!

- თვალის სეირი თუ გინდა, ბიჭო, მიდი და მიაჩერდი იმ შენ არნოლდს თუ რაღაცაა და შვარცენეგერს. ძნელად იშოვებიან მე შენ გეტყვი...

- არა, ბიჭო და, შენ მომეწონები. როგორ აცვიათ ჯერ ეს ერთი...

- როგორ აცვიათ, მაინცდამაინც... შეტრუსულები დარბიან სულ.

- არა, არა შე შურიანო, ზეიმებზე რო აჩვენებენ, ემაშინ. სულ ქათქათებენ... ეგ მერამდენე წელია მაინც, ეგე ქუდი რომ გახურავს თავზე?

- იცის ამ ქუდმა თავისი საქმე, ნუ გეშინია შენ...

- მეშინია თუ არა, ბიჭო, შენ არ დამაჭრა ყურებზე ხახვი...

- უი-ჰო, მართლა, ერთი-ორი ხახვი მოგეყვანა მაინც ამ გაჭირვებაში, ვიტამინებიანია რაც გინდა იყოს, აბა, ესაა საქმე? ვინ დაგიღეჭავს ამ მცენარეულს... შე ამ ჩხვლეტია კაქტუსებით ნარკომანო, შენ!.. რა ვენები და... რა ვენები და ბერლინები გიძლებენ მაინც!

- არ გამაბრაზო. გაფრთხილებ მე უკანასკნელად.

- გაგაბრაზო თუ არა...

- მერედა, შენ მოირგებდი იმათსავით პეპელა-ჰალსტუხს? მეტი არაა ჩემი მტერი...

- დიბა-ატლასის ჰალსტუხებშია, შე კაცო, საქმე? ეგ პეპლოვანი ჰალსტუხები, ჩემო იმანო, აგერ ბოქსიორების მსაჯებსაც კი აქვთ მიკოსებული, რაღაცა ქვიათ, აქაოდა, ნამეტნავად წესიერები ვაართო, მაგრამ ჩაცმულობაში კი არაა, შე უსვინდისო, მთავარი საქმე, რო მომჩერებიხარ მე, იი მსაჯები, გამოწყობილები კოხტად, შენ რომ იცოდე, ძველი ხულიგნები არიან თითქმის ყველა და იმიტომაც დაიმკვიდრეს და დაიკანონეს იმ ბედოვლათ მეჩხუბარებში სულ თეთრების და პეპელოვანი ჰალსტუხებით ამაღლებულად ყოფნა. მაგრამ წარსულის დასაფარავათ... სხვა რომ

არაფერი, ნეტავი არ ეუხერხულებათ, ასეთაგვარად გამოწყობილებს, იმ გამწარებულ ტრუსოვანებში ახლო და გან-გან სიფრთხილით ყოფნა და ირგვლივ ტრიალი? ან ის ბიჭები, რა ბიჭებია ბიჭო? ხშირად სრულიად ძალიან უცნობები, უპასუხისმგებლო ხალხის გასახარად, ისე რომ უნაყავენ ცხვირ-პირს ერთმანეთს ტრუსებისამარა, გინაც რომ ძველი ნაცნობები და მეგობრები იყვნენ, მეგობარია რომ გადაგეკიდება და გადაგეკიდება, აბა გადაღმელს რა ხელი აქვს შენთან, ფრთხილად იყავი, ჩემთან, მაგრამ იგენი, უცნობები, თანაც სახალხოდ, როგორ ცდილობენ, შეჩვენებულები, სულსუ შუაგულ ცხვირში და პირში, გასახარელად ერთიმეორის მორტყმას? ესენი კიდე, თეთროაანები, აწესრიგებენ ნაყვის მიმდინარეობას ვითომ, გეუბნები შენ, სულ ძველი შებერებული ქუჩისბიჭებია ეგ ბუფერია... ეე, ეგ რეფერია თუ თეთრებ-დაპეპლილ რაღაცა, თორემ აბა ისე ვინ მიიწვევდათ გამოუცდელებს ჩხუბის წამყვანად, ტყვილა? მიტომაც არიან გამოწყობილი ქათქათად ისე, შენისთანების თვალის ასახვევად, შენ კიდო, ხვითო, მომჩერებიხარ კრიტიკოსივით ჩემ ტანსაცმელს და ქუდს მიკრიტიკებ მე... შენდა ჭირია ეს... და ჩაფლავება... და თავის მოჭრა... და ჩაშილაფლავება... იმას ვამბობდი... ჰო, მაგრამ აეგ შენი სილვესტრია თუ ზედაც სტალონე, ხულიგნებიც რომ ვერ არიან? ეგ ეკრანზე აქვთ დიდი გული, თორემ, ცხოვრებაში, ერთი კაი ავლაბრული თავური მაგათ ერთი და... მოგჭამა ჭირი. კი უნდა ყავდეთ წესით დაცვა.

- კაგანოვიჩივით?

- არა. უკეთესი.

- რატომ...

- აბა კაგანოვიჩ ვინ გაუბედავდა თაურ.

- ბევრი იცი შენ...

- რატო არ ვიცი...

- ბიძაშვილებ, არ დაიფიცავ? სახელდადებით...

- დეიდაშვილებ! - ცისან და ანზორ.

...

- გამოცოცხლდი, ხომ? შენ ჭაბუკობის მეგობარი არ იყო ჩემი...

- არ ვიყო თორემ... მაინც რას მიზამდი! ამაზე უარესს, მაინც!.. მაინც რა დღეობები ვიცოდით, ჰა?.. მაინც რას მიზამდი! ეს ვინ ჩაუნტვრევ შენ კბილებსა!.. ტყვილა მაქ მაინც, ამ საბაზრო ეკონომიკაში... შე არნოლდ, არნოლდ!.. შენც უმაქნისო!.. შე სტალონე, შენ!.. ეს ვის უბერავ შენ კუნთებსა! გაგაჩნდეს მაინც... შე მაშო, შენა!

მაგრამაც მიშოს, როგორცა ჩანს, სულაც არა ჰსურდა „მაშო“-ზედ აყოლა და გამოდევნება-მიწებება, და ამა სახელის კიდევ მეტად გამოჭენება, რადგან

მომდევნო დასამახსოვრებელ გამოთქმაში, „ვინაა შენი მაშო, შე ხეპრე“!-ს ნაცვლად, სულ სხვა სახელწოდება მოადგა, თაფლიანს პირზედ;

- ჰაიი, ბილბაო, ბილბაო, ვეჰ შე უბედურ სატურნ-ვარსკვლავზე გაჩენილო და დაბადებულო, შენა...

რეებ, ლაპარაკობდნენ.

და თანაც, თურმე, აემ ბილბაოს, სიყრმის ძმაბიჭის „მაშო“-დ მწოდებელს,

რაისი მაშო,

ყოველთვის მიშო სჯობდა ვერა.

11.-12.(ფიქრები სიბნელეში)

მაგრამ ყველაზე მძიმედ ასატანი, თბილისისათვის, 1990 წლის მიწურულიდან მოყოლებული, მაინც 1994 წლის დეკემბერი იყო.

ამაზე, მთელ ამ დასაცემ ანთუ ასამაღლებლად გამომცდელ წლებზე, ოდნავ ქვემოთ, წიგნებიდან კი ის ერთადერთი, სულიწმიდასი ამ ყველაზე დიადი ნაღვაწის, ბიბლიის გარდა, ვთქვათ და უკაცრიელ კუნძულზე რომ წაიღებდა უღირსი, ერთი სპეტაკი, სალუქი ბერის, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ იყო, ხოლო

„სალუქი - შემკობის მოყუარე“, საბა,

ხოლო როგორ მეტყველად, საეჭვოდ დაყოლილ რამცზედაც კი:

„ფრჩხილი არს კაცის თითისა რქანი“,

მაგრამ, როგორ გადამწონად:

„სანდომობა - სილამაზის მარილი“, - როგორ ტევადად; და აქაც

„სავსე - უნაკლულო“, და,

ეს უნაკლულობა, როგორი

„სავსებელი - ასავსებელი“, - ეს თავად საბა, ქართველობისთვის, არის.

გვყავს.

იმ ავად ვრცელ დეკემბრამდე კი, ნოემბრის თვეში ისე აცივდა, მსგავსი ნოემბრობა მოხუცებსაც კი არ ახსოვდათ: ნოემბერი და - დადებული თოვლი, გიორგობისთვე და, ყინვა? ეს თბილისში, თორემ...

მაგრამ ნოემბერს, კვიმატობით, ადრე, ჭინკობისთვეც კი ერქვა თურმე, ხალხში, -

„კვიმატი - ბოროტი ჟამი თუ ვარსკულავი“.

მერე იყო და, გამოიდარა, ორიოდ კვირით, თითქოსდა რბილი დღეები დადგა.

უგათბობობას წინა ზამთრებით შეჩვეულები ვიყავით ხალხი, ზოგს შეშის ღუმელიც კი, და რაღაც მთლად გადასარევი ელექტრო-ღუმელებიც კიი, ედგა, უმრავლესობას ვერ შეეძლო ეს. მაგრამ როგორ დამხმარე გაზზე არამცთუ საჭმელს იმზადებდნენ (საჭმელი ქვია, რა თქმა უნდა, აბა რა ქვია გინდაც ცარიელა მაკარონს თუ ბრინჯს, ხანდახან ბაზრის საეჭვო ზეთსაც კი უშვრებოდნენ, ხოლო მარილს ხომ ხშირად აყრიდნენ ზედ), და წყალობა-გაზზე ხელების გასათბობად მომცრო საკუჭნაოებში („სამზარეულო“ რიხიანად ჟღერს და ვერ შეგვეფერებოდა ეს; თუმც, საკუჭნაოც - „საჭმელთ სამარხავი სახლი“...)... მოკლედ, გაზქურიან შვების კარცერში გადიოდნენ და გამთბარ თითებს შეციებულ სახეზე მაგრად ისვამდნენ - ეს უცნაური ყოვლად, პირისბანა.

იყო აქა-იქ უღირსისთანებისთვისაც კი შაქარიც, ჩაი. პურები: შავი - უშავესი, კუპრით ტალახად შეზელილი, აგრეთვე ეგრეთწოდებული რუხი - მაგრამ წრფელ-აღიარებულ-თვითკრიტიკულად თვალსაჩინოდ შავი და, წარმოიდგინეთ, თეთრისაკენ მიმნიშნებლური სახეობაც კი.

მაგრამ აქ ერთი მწერალივით გრძლად წუწუნი არ გამოგვივიდეს.

უღირსისათვის, ის დეკემბერი, ერთ რაიმესთან შესადარებლად რა - არაფერი, ყველაზე დიდი (რა - გაკვირვება? უბედურება? შეძრწუნება? ან, საცოდაობა? თავზარდაცემა?.. სიტყვა ვერ ერქვა), ყველაზე მძიმე, ჯერ დამცემი და მერე გამსრესი ასე ვთქვათ, ტვირთი, მანამდეც, შეუდარებლად ყოვლად, მისი ირაკლის, გარეშეობა, იყო. ცალკედ სიცოცხლე, ანუ (ცალკედ სიცოცხლეს, ცალკე-სუნთქვა ერქვა თუ რაღაც ამგვარი, დაკნინებული როგორ, სულ-მაინცდგომა, „კნინი - უმცირესთ უმცირესი“...) იმაზე, ტვირთად, როგორი ფიქრი, კნინს და კნინობას რა უჭირდა, მუდამდღეიანი კი არა, რამდენად მეტი, თანაც როგორი, მაშინაც კი, ვითომც სხვა რამეებზე რომ ფიქრობდა, - მუდამ ზემდგომი, ეს შეუცნობლამდე თალხის ფერებით შემოჭიმული, საცოდაობით შედუღაბებული, დოლაბივით რამ მთელი ცისა და, ერთთავსარტყელა... ხოლო თუკი „კენდოი - ცუდი სარტყელი თოკისა“, თოკი ამასთან რა მოსატანი იყო, თუმც როგორი გლოვით გამონასკვული, და ამ ჯერჯერობითულ სიცოცხლეში მარად გამოუნასკვამი, დოლაბად ქცეული მერე და მერე, ერთ ბეჩავ თავზე შემოსალტული, ყოველთვის, მუდამ, რადგან დრო თუ ყველაფრის მალამოდ ითქმის, არის ერთი რამ, დრო, რომ პირიქით, ცეცხლისა ცეცხლზე ნავთის ნავთია - იმ მარადიული და დიადი ქვეყანისა რაგინდად გწამდეს, ეს მონატრება, მონატრება... მშობლებზე ადრე წასული შვილის... უკუღმართობა!, რაღაც...

ასე ფიქრობდა მაშინ, ერთხანს...

მაგრამ ამ ისედაც-გაჭირვებაში, უღირსმა თავისმიერით ისედაც შეჭირვებული თავი რომ არ შეგიწუხოთ, ისედაც, ენდეთ; მით უმეტეს, რომ რომელს არა გვყავს მწარედ გარდაცვლილი და, ეს გაჭირვებაც, ამქვეყნიური შეჭირვებები, ეგებ საამოდაც კი მოედოს გულს, იმათ რომ ასცდათ და უკეთესად, ბევრად, არიან, თუ განსაკუთრებით ცოდვილები არ წავიდნენ იქა, აგატანინებს, როგორღაც იქნება,

გლოვის ამ ქვად და რკინად როგორი ცეცხლით შეკირვასაც კი, ეს ძნელი მისაგნებად, როგორ, ჭეშმარიტების თუნდაც ნამცეცი საფიქრალად, კი, მაგრამ ხილულად ქვეყნის დაქცევა... საქართველოსი!.. სამშობლოსი.

ხოლო იმ დეკემბრის თვეში, მთლად საბოლოოდ შეწყდა გაზი, და შუქიც გამორთეს.

ლიფტს, ტელევიზორს, ტროლეიბუსს და ამდაგვარ ფუფუნებას ვიღა დაეძებდა, გინდაც სიცივეს - შეფუთვნილიყვნენ; მაგრამ, არ მუშაობდა ტელეფონი, ახლობელი თანამისჯილისთვის ხმა რომ გაგეცა, და არც რადიო, გინდაც სხვადასხვა ჟანრ-სახეობის ცოტა-მართალი-ბევრი-ტყუილისათვის ცოტათი მაინც რომ გადაგეყოლებინა გული, უშუქობაში ბოდიალსაც - უღირსს, მაგალითად, ერთმა კეთილმა ახლობელმა ნავთის პატარა ლამაზი ლამპა აჩუქა, მაგრამ ვაი მას, ვისაც ამდაგვარ შუქზე კითხვისას ხუთიოდ წუთში სიმწრის უნებური ცრემლები სდიოდა, და ვუი იმას, ვისაც მხოლოდ დიდი-დიდი ხუთი საათით შეეძლო ძილი, იმეებს უფრო ხანგრძლივი სიბნელე ჰქონდათ, თექვსმეტსაათიანი ღამე იდგა დეკემბრის თვეში, კუშტი სიბნელე-უწიგნური, თვალისმიერი უმეცრება ისადგურებდა უკვე დღის ოთხ საათზეც, რადგან დროც რაღაც ბრიყვულად თუ განგებ, გადასწთუგადმოსწიეს, და გათენების რვა საათამდე, თავბოლო თუმცა გაბზარული, მაგრამ წერა-კითხვისთვის მაინც კუნაპეტი - რა იყო ლამპა - კუნაპეტი, გვყვა, ვეღარ მუშაობდა ისედაც მწირი პურის ქარხნების უმეტესობა, სიცივიანი რიგები გახდა უფრო გრძელი, და უფრო ძნელი, სქელი და ვრცელი, გველექსებოდა, კიკი, თან, იმ რიგებში გათენებისკენ ყაყანი ბევრად მატულობდა, რომელ ყაყანშიც ყველაზე მეტად დომინირებდნენ გამოთქმები „ერთი მისუას ოხერი დედა“ და „ერთი ამაყას ბაყაყაც მამა“ (ვინ მისუა და ამაყა იყვნენ, ალბათ ერთკუთხისანი, უფრო ქართლიდან), და რა მშვენება ყოფილა ის დრო, რა სამკაული, „სამკაული - შესამკობელი“, უძღებ სხეულებს უშაქრო ჩაი მაინც რომ გვქონდა (ჩაის უშაქრობას ვიღა დაეძებდა, მილები დუმდა და ონკანურ აღზევანს მივდიოდით ვედროებით თუ მცირე ჭურჭლით დიდ-პატარა და კაცებ-ქალები, ნუთუ ყველანი მერწყულის ნიშნით შევიქენით გაჩენილები), იმას ვჩიოდით, უშაქრო ჩაი და ზედაც თუ ფერად თუნდ-გუნდ-პური-გაურკვევლური, რატომ ვიდრიკვით პოეზიისკენ, უცნაურია, უსახურია ამ შემთხვევაში, თან, იმას ვდომობდით და ჭაპან-ვომობდით, როგორმე ზედაც ზეთად შემწვუარი უტყუარი დანით გინდაც უთანაბროდ დაყოფილი კარტოფილი და თუ ნუგბარი ხახვი-დასანახავი-ც შიგადაშიგ? - აჰ, და ეს იძულებითი შიმშილობა დიდებისათვის თუ ხახვი რა იყო არამედ ახი იყო, მთელ სამოცდაათ წელს რომ, მაპატიეთ გამოთქმისთვის და, იმდენი მივირთვით (გახსოვთ, მაყვალი? ხანდახან ეგებ სწორიც იყო და არა სტყუოდა), შვილებმა რაღა დააშავეს, ბავშვები ქვიათ ყოველთვის იმათ, გინდ ოცდაათსაც იყვნენ გადაცილებულები, საბრალო, დორე, რძალიცა ჰყავდა უმცროსისაგან, ბაჭიათი... იმისი ყველაზე მეტად რცხვენოდა.

ხალხი როგორღაც პოულობდა გამოსავალს, ორ აგურს, იმის ნაცვლად რომ თავში რიგრიგობით ერტყათ, უკეთესი გამოსავალი მოუძებნეს - სადარბაზოებში, დაუმთავრებელ ლოჯიებსა თუ ეზოებში შვეულად, ანუ სიმაღლეზე დებდნენ, ორიც ბრტყელი თუ მრგვალი რამ რკინით აკავშირებდნენ, და მცირეკოლუმბურად

თუ მარკოპოლოურად სადმე შორს მოძიებულ ხეულ-ფიცრულს უნთებდნენ რაიმე სახეობის საჭმლისათვის და, ასე გაგვიხდა მთელ ოცდღიან-გაბმულად საყოველთაოდ ჭიაკოკონური ჩვენი კოპწია დედაქალაქი თბილისი ჩვენი, თბილი-სი კიდევ როგორ ერქვა, ნაგავისი და ცივისი გახდა, სიტყვური ეშხით ვიხუმროთ, კი, სახუმარაოდ გვაქვს ახლაც სწორედ საქმე, მაგრამ, იმედად, ერთი ეგ იყო, 1991-დანაც კი მოყოლებული, ქალაქის ცვლია რეფორმატორულ-თავკაცებმა, თავად დიაღაც სავსებით სრულად გადატანითი მნიშვნელობით დაპურებულმა თავთავ-კაცებმა, ერთი ეგ იყო რომ მზეს ვერ მოუხერხეს სულ ვერაფერი - თვით ზამთარშიც კი, თუმცა მცირე ხნით, ამოდიოდა, მაინც, და ანათებდა გინდ ღრუბლებიდან, მაგრამ, ჩადიოდაც და,

ბნელში ვისხედით.

სხვაგან, არ ვიცით, მაგრამ ჩვენში ზამთრობით ნამდვილად უფრო ცივა და, რის თარხან და ბაყათარი, აღვიჭურვენით ისე, რაც კი რამ გვქონდა, სუყველაფერი სულ ზედ და ირგვლივ გვეცვა და გვეცვა, ვერას დაგვაკლებდა, რამე ყოფილიყო, ხმალი ტამერლანისა, და იმ ერთი მწერალივით გამუდმებული წუწუნი რომ არ გამოგვივიდეს, გვქონდა, იმ მწერლისთვის ორი ქართველის გამო მიუღებელ სრულიად ქართველობას, ერთი ზნეკეთილი რამ თვისება; გვაქვს. - ასე მაგალითად:

როდესაც,

- რა არის, კაცო, - დაღვრემილიყო ბილბაო, ისა და მიშო აივანზე და დროებითულ მზეზე ზეზე იდგნენ, - რომ სულ არ მუშაობს სულ არაფერი, არც ელექტროენერგია, არც პოპოვნათურა, არც ილიჩის რადიო...

- ჩემთან მუშაობს ერთი რამე, - ხმადაბლა, მაგრამ მკვირცხლად მოუჭრა მიშომ.

- რა! რა მუშაობს შენთან, კაცო... არ გადამრიო... რა მუშაობს შენთან!?

- რა და, სარკე მუშაობს, ოღონდ მარტო დღის საათებში.

ბილბაომ უყურა, უყურა და, უიმედოდ თვალჩაქნეულმა, თქვა:

- და საათიც, ხომე?

- უიჰო, საათიც! მთელი ორი რამეები მუშაობს ჩემთან.

ჰაივ, ქართულო... მაგრამ ისედაც გაიგებდა კია, თუნდ ხუმრობით მაგრამ ამ დროებით მაინც წელში გამართვას, ისი მწერალი?

მეტი არაა...

იჯდა საბანშემოხვეული, ღამღამობით ირგვლივ საბნისტყაოსანი უღირსი თავისწილ თერთმეტსაათიან ცივ სიბნელეში, დანარჩენი ხუთი საათით - იწვა, ეძინა, თუმც კი უღირსად მაგრამ ადამიანი იყო ისიც, თუკი სიცივე მიუშვებდა ძილი ორიდან შვიდამდე ერჩია, რადგან ორამდე მანქანები ხანდახან მაინც

მიმოდიოდნენ, და იმათი შორეული შუქი ფანჯრის ლანდებად გაცოცდებოდა დროებით აბჟუტებულ ჭერზე, რაღაცა შვება მაინც იყო ეს, აბა ცხრიდან ორამდე ხომ არ დაიძინებდა, მერე, ორიდან, რაღა ექნა, ფიქრით მოღლილი ხომ არ შეხვდებოდა როგორ ჯიუტ მზეს, გარდაუვალზე, რათა ეკითხა; მაგრამ ღამობით, როგორი იყო იძულებითი უვაჟაობა, უფოლკნერობა, რაღა ექნა და, დაძინებამდე, ათსაათობით ყუჩდა უღირსი, შედარებით ჩათბუნებული, იჯდა ხოლმე და თავისას ისე ფიქრობდა, რადგან წამოწოლილზე ფიქრი მაინცდამაინც ვერ ემარჯვებოდა, და ხანდისხანობით იმ სიტყვაბევრ მწერლის გადასახლებაში ყოფნა-ყოფას, ამა დეკემბერს უდარებდა. თურმე, ნუ იტყვით და, მხოლოდ ექვსას გრამ პურს უფასოდ და სულ მცირე რიგით ურიგებდნენ ყოველდღიურად [ჩვენთან, 1992-93 წლების ზამთრებში, ღამის ოთხიდან დილის ათამდე ყინვაში უნდა მდგარიყავ, ადამიანზე (პირობითი სიტყვაა) სამასი გრამი პური რომ აგეღო]; თურმე, არ დაიჯერებთ და, ბარაკში ნათურა სუსტად ანათებდა (დაგესვათ ერთი, სრულ სიბნელეში; ლამპა კი გვახსოვს, მაგრამ ნავთიც ცოტათი ძნელი იყო), თურმე, ღუმელიდან მოშორებით, ნუ იკითხავთ და, თავზე ნაკლებად თბილოდა (კია სიმართლე, მაგრამ ქუდები ალბათ წესით უნდა ჰქონოდათ, თანაც დიდ და თბილყურებიანი), თურმე, არ გადაგვრიოთ და, პირველი თავიკერძი წყალწყალა იყო, ის მერე რა რომ ცხელი, ამაზე სდუმდა, ხოლო მეორე, სელიოდკა, არ შეგვშალოთ და, აწყურებდა თურმე, ეს მაინც რა უბედურება-რამ დანაჩივლი იყო, ვერ წარმოიდგენთ და თოვლი ხომ მაინც თამამად იშოვება იმ ოხერ ციმბირში, არ უნდა კლებოდათ წესით, მაგრამ, თუ პეშვზე შეცივდებოდა? და, თურმე, კვირაში მხოლოდ ერთხელ, და ისიც უმექისეოდ აბანავებდნენ და არც ძილის წინ ჩაჰმღეროდნენ ბაიუშკი-ბაიუს.

კომუნალურ პირობებაწყობილმა უღირსმა ადრე, პირველად რომ წაიკითხა სოლჟენიცინი, როგორღაც ძალიან შეებრალა კი არა, როგორღაც, მეტი, რეპრესირებულთა მიმართ როგორი სევდისმიერი კეთილგანწყობის გამო, თითქოს მის სიმძიმეობით წარმოუდგენლად ძნელად შესასვლელ მდგომარეობაშიც კი შევიდა, მაგრამ, იმისით, მისმიერულით, რაღაცა ხინჯი, ჯერ ვერაუხსნელი, მაგრამ მაინც, ბუნდოვნად შერჩა... მერე და მერე, თვით სახარებიდან, და მოციქულთა მაღალი ნაღვაწიდან, ცოტათი მიხვდა, რომ თუ მართლა ქრისტიანი ხარ, და არა თავს ასაღებ, უყოყმანოდ უნდა მიგეღო ყველაფერი, რასაც კი ღმერთი გაჭირვებებს დაგატეხს თავს, ანუ გიწყალობებს, იცოდა კია იმ მწერალმა, შემდგომში, ანუ დღეისთვის მაინც, რომ სააქაოური ცხოვრება ჩვენი, ეს - მარადიულობასთან შედარებით წამის მეტრილიონედიც კი ვერაა, რადგან - ამას არ უნდოდა დიდი მათემატიკა - უსასრულობას, წამის ვერავითარი დაყოფა ვერ შეეფარდებოდა, იცოდა კია, რომ აქცხოვრება, ეს გაელვება, დიადი გამოცდა იყო როგორც ყველასთვის, ისე მისთვისაც, და რაც მეტ გაჭირვებებს ქრისტიანულად, უწუწუნოდ გადაიტანდა, სწორედ ეს იყო ღვთის წყალობა, ასამაღლებელი, ამაღლების ბოძებული შესაძლებლობა, არადა, ქრისტიანობაზე თავს რომ დებდა, რად ვერ იცოდა, მძიმედ მაგრამ გადასალახ ჭირ-ვარამს რაც უფრო მეტად შეგახვედრებს უფალი, უკეთესია, ვაებებისადმი მაინც ღვთისნიერობით რომ ამაღლდე, სწორად გამოირჩე, ხოლო რაც შეეხება თავისუფლებას, თავისუფალი ხაროშიაც კი შეგიძლია იყვე, საკმაოდაა ამის მაგალითი, და ვნახე რაღა, მეც,

შედარება, მაგრამ ერთხელ ოდნავ ისეც არ დაფიქრებულა მისმაგვარების შეცდომებზე ეს ექსდენშჩიკებიან-ხელქვეითებიანი საბჭოთა ნაოფიცრალი, როგორც „ხმითა მაღლითა“ ზრახავდა ამას მართლაც მორწმუნე მეფეც-მეომარი ვახტანგ, გორგასალი:

„მეფეთა და ერთა ზედა მოიწევის განსაცდელი და ჭირი ღმრთისა მიერ ცოდვათა მათთაგან: ოდეს მორწმუნეთა აკლონ მსახურება ღმრთისა და გარდაჰხდენ მცნებასა, მოაწევს ჭირთა ესევითართა ზედა, რომელი აწ ესე მოიწია ჩუენ ზედა, ვითარცა რა მამა კეთილი წურთინ შვილსა კეთილად კეთილთა ზედა საქმეთა. და უკეთუ არ კეთილად აღასრულებდეს სწავლასა მამისა თვისისასა, გუემს მამა იგი გუემითა და სწავლითა, რათა ისწავოს ყოველი კეთილი და იქმნას სახმარ კეთილისა. ეგრეთვე გუწუართნა ჩუენ ღმერთმან, დამბადებელმან ცისა და ქუეყანისამან. ამისთვის გვიხმს ჩუენ, რათა ვმადლობდეთ მოწყალებათა მისთა“.

რითი არ იყო, სადღეისოც, თხუთმეტი წლის ქრისტესი ყრმისგან - „ყრმა - მონა; შაგირდს უწოდებენ“, და უფლისა ყმისგან - „ყმა - მის ალაგში მოსახლე“, ასე ადრეულად ნათქვამი ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება ეს, რომელიც რომ მუდამ ერთი და იგივეა, ესა კი, ესა, იგი მწერალი: „ვაიმეე, მშიაავუიი, მცივაა, ავაჰმეე, სილიოტკისგან მწყურიაა...“ - მადლობა იყო, გამოცდისადმი, ეს?

და, მატერიალისტურადაც კი რომ განვსაზღვროთ წერითი ქმედება მისი?.. ეს მკრეხელობად არ ჩაეთვალოს უღირსს, შეგვიკრთაც კია - სტალინი და ბერია სულაც რომ არ გაჩენილიყვნენ, ყველასათვის და განსაკუთრებით ქართველებისათვის, რაღა თქმა უნდა, სჯობდა, მაგრამ სტალინი რომ არ ყოფილიყო, ვითომ გამოვიდოდა ახლა ის ერთი დაუპატიმრებელი თამამად შესაძლოა გალოთებული რაღაც გადამდგარი თუ თადარიგის პოდპოლკოვნიკი, და ნეტარარიცხვში პენსიის თრთოლვით ამღებარა, რამე?, ხოლო ზოგადად ყოვლად უკეთილო სტალინითა და ერთიც იმისი ნაოფიცრალისათვის კი ყოვლად უნებურად უკეთილესი იოსიფ (სი ზედმეტია) ძიათი კი შეიქმნა ნობელიანტი და საზღვარგარეთებმოვლილი რაღაც მარკო ისაევიჩ პოლოსდამაგვარი ოღონდ კომფორტულად და მილიონერი მატერიალისტურად, აბა!? იმას უნდა ყვარებოდა თუკი ვინმეს უნდა ჰყვარებოდაც კი ბევრისთვის ტყვილა სათაყვანებელი „ბელადი“; მაგრამ ამას ცოტათი ადრე ვერ იტყოდა (ვერ დაწერდა) უღირსი, რადგან თქმა-ესე, ტანჯვაგამძახიას ყალბი მორწმუნეობის სიფუჭედ გამჟღავნება იქნებოდა და ჩვენ, ქართველებმა, ვიცით რადგანაც ჩასაფრებაც, იმისი ქირდვა თუმც ათეისტური მაგრამ მაინც ერთგვარად სხვადასხვაგვრული გამომყენებლურიანი წყობილების ერთგვარ მაამებლობად ჩაეთვლებოდა, რა ექნა, დუმდა.

მაგრამ იმაზე ისე ხშირად ფიქრობდა, გინდაც ფლობერად გულებოდა, ისე ხშირად ახსენდებოდა, გინდაც ფოლკნერად ყოლებოდა.

... იჯდა უღირსი კუნაპეტში, მაგრამ სიბნელეს რაღაცაც ახლდა.

ხოლო იმ გინდაც ძალიან მწარე დეკემბერზე ალბათ ხმაც არ უნდა ამოეღო, რადგან, წუწუნი მასაც დაემართა, სწორედ ის შეეყარა, სხვისგან რაც ეთაკილებოდა - „თაკილი: გზიანად იუკადრისოს უკადრისი“ - რადგან „ნუ განიკითხავთ, რათა

არა განიკითხნეთ“ ავიწყდებოდა, რა ექნა იმასაც, ადამიანი იყო, ანუ ჩვეულებად, სუსტი.

ამას ის არა სჯობდა განა, ერთმა კარგმა თბილისელმა ვრცელდაუნაყრობისას რომ თქვა: „ქათამი გვყავს საერთო ერთი საერთო აივანზე ერთი, და როგორ დავკლავთ იმას, რაგინდ გაგვიჭირდეს, დადის, დაიარება, წყნარად პაკაპუკობს თავისთვის და თუ ხანდახან კრიახსაც ასტეხს, ამას რაღა სჯობს, ვერმიშელს თუ ვჭამთ, საცივი გვგონია, ბრინჯის სუპს თუ ვსვამთ? - კაი ჩიხირთმა“. -

ბრინჯ-ვერმიშელი თვით საჭმლისეულ დულსინეა ტობოსელად, გამოიყვანა.

ხოლო ის ერთადერთი რამ, რასაც არამცთუ წუწუნი, მოთქმაც, გოდებაც საღად შვენოდა,

სამშობლო იყო.

იმ დეკემბრამდეც, როგორ დაქცეული.

როდის დაიწყო ეს ყველაფერი...

ვითომ, ცხრა აპრილს, რაღაც გუშინას? არა, არა, თუმც ის დღე, ქართველებისა, ყველასი ჩვენი, როგორი გლოვით ძვირფასია, ისე კი ის თვე, დეკემბერი, მივიწყებულად ქრისტეშობისთვე, ეგებ ცხრა აპრილიდანაც უფრო გაღვივდა, რადგან მოწამლული და დაბარული ვაების საერთობო გულით როგორ გლოვასთან ერთად, მერე და მერე, ერთორ წელიწადში უღირსმა დიდის გაკვირვებით და თანაც ბევრჯერ აღმოაჩინა, რომ ფლობერსაც კი ჰქონია ერთი თვალსაჩინო შეცდომა, თანაც სწორედ ის გამონათქვამი, უღირსს ისერიგ რომ აღაფრთოვანებდა, რომ - „სინონიმები არ არსებობენ...“ რადგან, - რაღა თქმა უნდა, სულ სხვადასხვასახოვანნი იყვნენ შტერი, სულელი, ბოთე, ბრიყვი, აბდალი და ბეყეირათი და ასე შემდეგ, მაგრამ, ნუ იტყვით და უკმეყოფითი სინონიმები, თურმე, მაინც არსებულან! „ჰეჰ, ბეჩავ ბაგრატოვანნო!“, ესენი იყვნენ - „ცრუპატრიოტი“ და „მშოვნელი“... აბა რომელი შტერი, სულელი, ბოთე, ბრიყვი, აბდალი და ბეყეირათი და ასე შემდეგ, არ სჯობდა იმათ, ნაღდი სიტყვების ყალბად წყობა იცოდნენ მათა, მაგრამ იყვნენ მაშინაც, როგორ არ იყვნენ! სამშობლოსადმი პირმშოობით მეტრფეები და შეყვარებულები, ანთებულები, როგორ არ იყვნენ...

მაგრამ, რამდენნი, ვეღარა გვყვანან.

როდის დაიწყო ეს ყველაფერი. ის დეკემბერი მაინც, ადრე ტირისდენადაც წოდებული, თვე, 1994-ში კი, ეს მართლაც „ტირისდენი“, დადგა, რადგანაც „ტირი“ საბათი „აჭირვოს“ -ს, ჭირი უყოს-სა ნიშნავს, ხოლო „დენა - მდინარეთა სლვა, გინა ჯართ სლვა, გინა ნადირთა და პირუტყუთა სლვა“, ანუ სვლა იყო, და ეს შეჭირვებათა განუწყვეტელი, მზარდი როგორ, მოსვლა, როგორი ახი იყო და შეგვეფერებოდა ჩვეამის ღირსებს, ეს ტირისდენად წოდებული ამჟამიც, დრო; ბნელით როგორი უვრცესი თვე: ორჯერ მეტი სიბნელე, ორჯერ მცირე - დღე, რადგან იმ წყეულ სამოცდაათ წელიწადს ასე თუ ისე არხეინადაც კი ვიყავით შეგუებულები,

„შეგუვილი - შეჩვევასავით“,

ხოლო ამასწინანდელი შეგუება - ეს საცოდავად და საცოდავი, საცოდვაობითღა, თავის გატანა, იყო, შეუსაბამობას - ეს თუნდაც მხოლოდ სხეულით მაინც პატიოსანი დინოზავრები ვერ შეეჩვივნენ და გადაშენდნენ, ჩვენა კი, ადამიანები ეს, არხეინითაც კი შეგუებით, გამოვირჩივნენით, ხოლო არხეინი შეგუება კი, როდესაც ვითომ საღი თვალები გაქვს და, ვერ იყურები, ყურიც წყვილად გასხია და, მაგრამ გულამდე მაღალი ვერაფერი მიგაქვს, ეს მავნე როგორ, უძველესი ზნე, ჯერ კიდევ როდის, უფლისაგან ჩაგონებული ესაია წინასწარმეტყველის მიერ გაცხადებული ჯერ კიდევ მაშინ და რაღაც ახლახან ჩვენსავით რომ განვიცხრომებოდით ვითომ, ჩვენთვისაც!, უფლისგან ესაიასათვის თქმული ეს - „ვიდოდე და არქუ ერსა ამას: სმენით გესმასყე და არ გულისხმა-ჰყოთ, და მხედველნი ხედავთ და არა იხილოთ“, და წმიდა ოთხთავში ოთხივე მახარებელის მიერ როგორ ვალალად გახსენებული, განმეორებული, ეს, როდის დაიწყო ეს ყველაფერი, როდის დაიწყო აეს დაბალი შეგუება! ხოლო კი კარქამომწყობი სიმდიდრისათვის გაწაფულად შეგუება კი („გონი - გონების ნაკუეთი“) - გონით სიმეძავე, ხოლო ყველაზე გრძელი ღამე ტირისდენობით 21-დან 23-ით იყო, და თუმც უღირსს ჰოროსკოპებისა და რაღაც ამდაგვარების ნაკლებად სჯეროდა (განსხვავდებიან ხშირად როგორ, მთელ ერთთვიან მონაკვეთში მოვლენილები კი არა, ხანდახან ტყუპებიც, აგრეთვე უშანგი ჩხეიძე, ენგელსი და ბლოკი მთლად ერთ დღეს ყოფილან დაბადებულები, მაგრამ გაგიგიათ კია ოდესმე ალექსანდრ ჩხეიძე, ფრიდრიჰ ბლოკი და უშანგ ენგელსი? აჰ, არა, არა...), მაგრამ ოცდაერთ დეკემბერს სტალინი იყო დაბადებული, ოცდასამში კი გამოვლენილი გახლავდათყე ილიჩაობით ნუმერ II ტაშტაშ ბრეჟნევი, ცეკას გენერალური კლოუნი (ოღონდ უნებურად და უადგილოდ, რადგან კლოუნი მხოლოდ ცირკშია მიმზიდველი და კარგი), კარგა ბოროტიცა და ამასთანავე ბრიყვობ-ქმნადობით მისი უგაქანებულესობა, ლეონიდი და ლომ-მბდღვინავი ის არ ყოფილიყო, არამედ რაღაც ყოველმხრივი ტურაღორი, ბოდიშს კი ვიხდი ამ ცხოველებთან, რადგან ისინი ასეთებად ბუნებით, ანუ უნებურად გაჩნდნენ, ის კი, ბნელ-ხეპრე, წოდებებისა და ზნაჩოკების მსუნაგი, მუზეუმური ნივთებისა და ასპირანტურებ-სალაფავის როგორი მთქვლეფი, აემ ნაჯვარად ტურაღორი, ვითარებით ჩამოყალიბდა, თანაც ბლუდ. -

„ბლუ - ენა მძიმედ მაყენებლად მოლაპარაკე“.

როდის დაიწყო ეს ყველაფერი...

იჯდა უღირსი სიბნელეში, რა ექნა სხვა და, ფიქრობდა, ფიქრობდა...

და გაუვლია გონში ოდესმე სოლჟენიცინს რომ, სტალინისაგან, შედარებით უცოდველი და პატიოსანი, უდანაშაულოდ განწირული და ეგრეთწოდებული უბედურების ქრისტიანულად ამტანი ხალხი თუკი ალბათ სამოთხეში მოხვდებოდა (ისე, იცოცხლე, გარეწარიც ბევრი მიაყოლეს - ვინმე შხამჩხვლეტია ეჟოვი, ჩხავან-კრილენკო, დიდანტინამუსულვაშა მგზნებარე ლენინელი სერგო - რესპუბლიკების საზღვართა თავისით მწყვეტი და მცირეულვაშა რომელიმე

იაგოდა, რომელიც რომ კაი ფრუხტ-იაგოდა იყო ისიც, ბელობოროდოვები და ჩორნოიმიანი რომელიმე რომელიმეძეები და რომელიშვილები, რომელსამევა და რომელიაიაები და ასე შემდეგ სხვანიც), ამ მთავარი ცეკას ყოვლად დაუმსახურებლად გაჯგიმული ანუ ტყვილაჯგიმია მთავარი ცერცეტათი კი - ყოვლის ავტომკადრება, მისი (ღენერალურის) უსაზღვროდ ცრუმადიდებელი და ამითი ამაქვეყნად მითომც დაწინაურებული ძირითადად ნაყარნუყრობა - წოდებაება-ზვანიებით შემოკრ-ებული ხალხის დასტა-პაჩკა კი - ჯოჯოხეთის უსასრულვადიანი აბონენტები იყვნენ, ასე რომ, ყოვლად უნებურად, მეფისტოსებრ, სტალინიც კი, დაუნდობლობის უცხო წყალობით, იმასა ჰქამდა რაც სრულებით არა ჰსურდა და არა სწყუროდა ვითარცარნოლდი, თანაც, იყო... - ნეტა რომელი სიტყვა,

- მიშო, მოიწი, რაღაცა გითხრა... რომ მოვდიოდი, დურუ დავინახე ჩვენ მეტროსთან...

- ვინა?

- ჰო რაღა, დორე.

- დიდი ამბავი.

- არა, ფეხებთან ცარიელი აქვარიუმი და ქილით თევზები ედგა წყალში...

- რას ამბობ, მართლა? საწყალს, სხვა არაფერი დარჩა გასაყიდი.

რომელი სიტყვა და, საბჭოეთის, ეე („უკუნი - ბნელი წყვდიადი“; რამ გაგვახსენა...)... ჰო, საბჭოეთობის როგორი, ეეე, როგორი ბნელგენიოსი იყო ნაღდი და ვრცელი, როგორ შორსმჭვრეტი ოღონდ უკუნში ხოლო ნათელში - სულით როგორ თავ-კუდბოლოიანად ცთომილი და უმრავლესობისათვის (უმრავლესობა, ჰეე...) მაინც მსახვრალი, „მსახვრალი“ დღეისათვის ერთდროულად მომჯადოებელს („Слава Великому С(с)талинууу“, ანდ „За С(с)талинааа“) და მომსპობსაც ნიშნავს - თუნდაც ეს მისით დამკვიდრებული „Слава К(к)П(п)С(с)С(с)“, ანუ კიდევ რა უცნაური თანხმოვნებრივი დამთხვევა-ნათესაობა - кп-сс:ss, ანუ მისგნიდან თითქმის და ბარე საყოველთაოდ ატაცებული „Л(л)енин жив“ - ისემც... ის მერე რა რომ, თავი გადატრიალებისას ბანდიტებისგან ნაშოვნი ფულით საზღვარგარეთ კომფორტაბელურად ეგდო, არა, ეგდო კიარა მინამდეც და შემდგომ კი, იცოცხლე, ხუთიოდ წელიწადში სრულიად ბნელისმომცველი ნიჭიერებით მიწაზეც და მერე მავზოლეაშიც კი ჩადებილებული, მოსაწამლ სულებში როგორ უნიჭიერეს ობობად იღვწოდა და მარქსით ნასწავლ რა ქსელთ ხლართავდა, ის მერე რა რომ, ქორონიკონურად განსხვავდებოდნენ, განმგებელი კვლავ საერთო ჰყავდათ, მათნამდისეულებსაც და მიმდევრებსაც, ამ ავ წინამძღვრებს, კვიმატ თავებზემძღვრებს, უბედურები... მაგრამ თავკვიმატ („კვიმატი“ რაღაც ცელქად ჭირვეული, ანდა თარსი ეგონა უღირსს, მაგრამ არა, არა - ავი, ბოროტი, უკუღმართი ყოფილა) ჯუღაანთ მოდგმის,

„ჯუღი“ - ღვარძლი, ღრძო - „წიგნი სიბრძნისა ისო ძისა ზირაქისა“,

მსახვრელისეულობას და მის კვდარ კერპებს (მკვდრებად დაბადებულიყვნენ, ბევრად უჯობდათ; ისე, რა უცნაურია ათეისტობა, მათგან რიგითიც კი როგორ ნატრობს ყოველმხრივ სიკვდილს, ალბათ იმიტომ, რომ აქედანვე, შეიძლება არ იციან მაგრამ გრძნობენ, რომ ხვედრ ჯოჯოხეთს მათეული სიკვდილიც კი უჯობთ)... ჰო, იმას ამბობდა უღირსი, რომ თავიკვიმატ ჯუღაანთის თავმკვდარ კერპებსა თუ გონ-ლეშ დამქაშებსაც კი, უღლელი მუზით (სხვადასხვაგვარია) ქმნილი სახელებითაც კი ვეტმასნებოდით, უდღეურები; ასე მაგალითად: „კაცო, ზაკუსოჩნიაში მელორი („მელორი“, ანუ მოფერებითი მოწიწებით თავ-ასოები „მარქს-ენგელს-ლენინ-ოქტომბრის-რევოლუცია“ -ისა) ხო არ გინახავს?“ - ჰკითხა ლესტალბერიმ (რა ნაზავია, ბიჭოო... - შავის დომხალი) ამხანაგს, მარლენს (ოღონდ დიტრიხს კი არა)“, „ზაკუსოჩნიაში არა, მაგრამ, - მიუგო იგივ მარლენიმ იგივ ლესტალბერის, - მარლენი ლენსტალასთან ერთად მიდიოდა კრუპსკაიას ქუჩაზე“, - როგორი შეუსაბამობა იყო მაინც ეს, რადგან ლენინი კიდე ჰო, მაგრამ ი. ბე. სტალინი და ნ.კ. კრუპ-ს-კაია ნამდვილად დასანახად ვერ იტანდნენ თურმე ერთმანეთს და ძაღლ-კატასავით იყვნენ და რაღა უნდოდა მაშინ ლენსტალას თუმც კი კაია მაგრამ მაინც კრუპას ქუჩაზედ, დაგღალეთ, მგონი, არაუშავრა, აგერ არა ვარ?, განზე გადამდეთ, ხოლო თუ მაინც არა, ისევ ძველებურს მივუბრუნდეთ, ისევ ის სიტყვა, ძველებურად -

„მსახვრალი“, -

შუაგულ თანხმოვნების შენაცვლებასთან ერთად წამქეზებელ-გამანადგურებლად-აც გადაკეთდა, წკვარამისაკენ (წკვარამი - თან უფსკრული და თან ბნელი ღამე) ჩამოყალიბდა მისით, ჯუღათი, რადგან ძველ შემთხვევაში ყუჩი ბერით, მრავლის საბათი თუ -

„მსახვრალი იგი არს, რომელი მოგობითა და გრძნებითა მძვინვარებანი მხეცთანი მოამშვიდიან“,

ხოლო ეს კიდე, ესა, შავჭირშამყარი იოსიფ (განმეორება გვეპატიოს, მაგრამ სი, უცოდველი ნოტი, მის შემთხვევაში ამჯერადაც ზედმეტია), გარკვეულ დრომდე ჯერ ტყვიაუკრავ თავის პარტვეზირებს, ნაგაზ-ფინიებს, პირიქით, ამშვიდებდა კი არა, სადამდეც სჭირდებოდა იქამდე ამხეცებდა და ამძვინვარებდა, მერე კი - კარგა იყავი, მოუსავლეთში ანუ, დარჩომილები კი, მთლად უარესობაში დარჩომილიყვნენ, - ოცდაერთდეკემბრულ ვაი და ვუი და ვავაღამეში, - გავიმეორებთ, სულ წკვარამში აბოგინებდა, მაგრამ რაც ჰქონდა, ჰქონდა იმას, ნუ დავუკარგავთ, იმას კიდევ დაკარგვა უნდა? - საუბედუროდ, როგორი დიდად ნაკითხი და განათლებული იყო, ან, წარმოუდგენელი წარმოვიდგინოთ და, სხვის ნაწერს, ანდა თუნდაც სულაც სტილისტ-შემსწორებელს, იკადრებდა ის? იმ თავისეული საჯოჯოხეთოდ ზედგამოჭრილი ტიტანური ნიჭით (ტიტანური - ქათინაური არ გეგონოთ, უბრალოდ ეს გამოთქმა არასწორად დამკვიდრდა), და თავის ვეფხებრ-ფისუნიებს, ყველას ერთად აღებულთ, სჯობდა, მგონი დაგღალეთ, ახლავ დაგასვენებთ - ხოლო ლიონია-მცირე, თავისთვის ყოვლად უცხო და ამიტომ ამასთანავე საუცხოო მწერლობითაც კი როგორ ტიტანა, მიმალულ სხვათა უტიფრული კალამ-ნაღვაწით რამდენ და იმდენ ლაუარეატობება, რა ძალიანი

იმშვენებდა სხვისეულ ღვაწლს (ღვაწლიც ბევრგვარია), ის მერე რა რომ ავტოუკითხიც ავტორი იყო, თუმც არა, არა, ზედმეტი არ მოგვივიდეს, ერთჯერ მაინც ხო კი-ექნებოდა გადაკითხული თავისი სხვისი („სი“ -ები აქ კი საჭიროა), თანაც ძალიან გარეგნულად მკაცრად და სათვალე-აჩ(კ)იებიანა,

„აჩი - ვირის შერისხვა და ჯორისა“.

მაგრამ ერთხელაც კალმით სახედრებმა რომელიღაც დასტურ-შედევრში ისეც ათოხლეს, ვითომ ერთი ვინმე მუყაითი კაცი თავდადებული ტრაქტორული შრომისას თუ თავდადებულივე ხელჩართული ბრძოლისას (ჰოი სირცხვილო, შედევრებიც კი არ გვახსოვს სახელდახელოდ), თურმე და ვითომ დაიწვა და იმისი ფერფლი-ღა მიწაში დაჰფლეს, ხოლო რამოდენიმე ხნის შემდგომ კი იგივე მოუღლელი მუშაკი კაცი თავიდანი მუყაითი შრომით სოცშრომის გმირი გახდა, ასე გადიქცა მემუყაითე მუშაკი მუშაითად (თოკზე მოთამაშედ), და ხოლო ამ ნაშრომითვინაც ელეონორა რა იყო ლეონიდურა მწერალი რამ წყვილად ერთადერთ ლაურეატ-ლაურა რა იყო ლავრა-პროზაიკოსად გამოაცხადეს (ერთი ისაა გულდასაწყვეტი, პოეზიაში არ სცადა ბედი), მაგრამ ყოველთვის და ყველაფერში კი არ ათამამებდნენ, მაგალითი გნებავთ?, კაი ბატონო, თუნდ იმას დავსძენ, რომ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, ასე მაგალითად, პარტყრილობების ბოლო აქტის სუმთლად ფინალში, „ინტერნაციონალი“ -ს ერთ მუჭაშეკრულ გუნდად მღერისას, იმ მთელდარბაზა მგალობლებში, რომელთაგანაც, თავს მოვიჭრი და არც ერთს არ მიიღებდა გუნდში ტოსკანინი, ისიცა მთელის თავისი არაუკიდეგანო შესაძლებლობებითა ხან თვალღია (დაბალი ნოტებისას) და ხანაც თვალებმილულული შედარებითული მორიდებით (მაღალი ნოტებისას) გაჰმღეროდა „ინტერნაციონალი“ -სა, მაგრამ სიმართლე სიმართლედ და - ვინმე-კარუზოსათვის (Nრიკო) არავის შეუდარებია, თვით სწორუპოვარ თავისებურსმენიან პოლიტიკური მიმომხილველებიდანაც კი, მგონი მაინც დაგღალეთ,

- კაცო, დორე ისევ დავინახე მეტროსთან, ისევ აქვარიუმით, მაგრამ იმანაც დამინახა...

- მერე?

- მერე, სირცხვილით, მთელ შუბლზე კოკორი ოფლი გამოუვიდა.

- საწყალი, დურუ... აჰ!

ხარი ხართან დააბიო, ან ზნეს იცვლის, ანაც ფერსა და სახელის მახსოვრობასაო, მაგრამ გამოსწორებაც შეიძლება:

- საწყალი, დორე... რძლისა მაინც, უფრო სცხვენია.

- მართლა? საწყალი... სუყველას გვიჭირს, ზოგიერთების გარდა, მაგრამ კაიბევრები არიან ისიც... თვალში გვხვდებიან... ტელევიზორულად უფრო... მაგრამ არ მუშაობს... ძალიანაც კარგი... კაცო, ამერიკაში დიდნაწილობა კარგად რომ ცხოვრობს, დიდნაწილობა დეპუტატები არიან იქა?.. ნეტავი ჩემ სოფლისაკენ

დამიმგზავრებდეს ვინმე და... არც კანდიდატობა და პარლამენტობა მინდა და არც არაფერი... დავემგვანებოდი მაინც ცოტა... ეს სამი დღეა, ვერმიშელზედ ვარ...

- და, ასე უბრალოდ გიჭირავს თავი?

- აბა?! გახსოვს, მიშიკოვ, ნუ გეშინიან მიშაკოვს აღარ დაგიძახებ ჩემო ძველქართველო, შენს კაქტუსებში როგორა ვსვამდით, რა პურსა ვჭამდით? ძეხვიც კი გვქონდა... გახსოვს?

- როგორ არ მახსოვს, მაგრამ მეეჭვება.

ხოლო ცეროდენაკოც-ვერ-მწერალ-გაბუმბერაზებულმა, მიუხედავად იმისა, რომ კარგი ჭამა და კარგი სვა, ოღონდ ეს უკანასკნელი მწარე და გრადუსებიანი, იძახაც სიმღერა ოღონდ ფხიზელმა და ოღონდ კენტი, და მთლად საბოლოოდ გადასარევი ბლომად იკიდა კაშკაშვარსკვლავებდაორდენები, ატატებულად დაფასებული - რაა ცხოვრება? - ბოლოს მაინც მოკვდა და მოვიდა იმისი პარტიულათ ძმათნაფიცი და იმასთან ფიცვერცხლდასხვათამშჭამელნაჭამი ანდროპოვი ი.ვ., ყოფილი მართლა ტელეგრაფისტი, თანაც ორმხრივად - მერე და მერე, და ვინ ცრუმა და შურიანმა თქვა რომ, პარტიული ამხანაგობა არ არსებობსო, - სულ ჩქარა ისიც მოკვდა, წაიღო ტელეგრამა, და ვიღაცა ისევ ხომ უნდა ჰყოფილიყო პირველი და სულ ჰქშენა-ჰქშენით ჩამოდგა სათავეში იმათი ძმათნაფიციც ჩერნენკო (ინიციალები აღარ გვახსოვს ჰოი სირცხვილო და თავისმოჭრავ), და რომელმა ცრუმვე და ახლომხედველმა და შურიანმავე თქვა, რომ პარტიული ამხანაგობ-სამაიობა (მამწონს გამოთქმა უკანასკნელ-წინასიტყვითი, დაუკვირდით) არ არსებობდა, როგორ არ არსებობდა, რადგანაც იგი სულ მეტადაც კი მცირეჟამში მამაკაცურათ და ვაშკაცურად და ბრძოლის ველზე რა იყო მაღალ პალატში შეიქნა ყოვლათ უქშინელი დასტურ, და სად იყო სად არა, მოვიდა მერე გორბაჩოვი, მეუღლიანა, არა, ლიანა რა შუაშია, არამედ რაისაიანა, მოვიდა პირველად პირველი უმაღლესი პრიმა-რანგისა რუსი, და, არაყ თუმც არ სომდა, ყველაფერი არია, დარია ყველაფერი და დაკრა ფეხი და წავიდა მერე ლექციების საკითხნად მტერმოყვრულ უცხოეთში, იშჩი ვეტრა ვ პოლიუშკო-პოლე... თუმც, პარტია და იმისი ყველაფერი არია და დარია კი არა, თორე იმანაც როზინას არია არივ-დარია, ანდა დონ კარლოსის პარტია, არამედ პარტიული ამხანაგობა, რადგან ცოცხალია და საქმეზე ლაპარაკით მსჯელობს ახლაც, და თურმე ერთ დღეს რომ ფიორდებიან გრილ ნორვეგიაშია, მეორე დღეს უფიორდებო მაგრამ საფხიზლოდ ყავაიან მცხუნვარე ბრაზილიის ათხუთმეტათასიან სპორტულ დარბაზებში იტარებს წერა-კითხვის რა იყო კითხვა-პასუხის საღამოებსა თუ ნაშუადღევებს, ხოლო ცნობისმოყვარე სულებისაგან - 500 დოლარი ($), იქვე ჰტრიალებს ანტილიანური (ლიანი ჯუნგლებშია) რაისიც, მაყვალისეეფ დინჯი დარბაისელი მანდილოსანი, მაგრამ ცქვიტთითება კოსმეტოლოგებიანი, თუმცა, მის ყარიბს რასა და რათა ვერჩით, არეულ-დარეულები არ ვიყავით ისეც?, ხოლო იმანა უბრალოთ მხოლოდ გაამძაფრა, ოღონდ უცაბედობით ისიც, ძალიან, რას იზამ, ასე იყო და ასე იქნება - იზ ისკრი პალუჩაეტსია პლემია რა იყო, პლამია, -

მაგრამ გვეყო ამ თახსირებზე, თახსირივ პროზა...

კარგ ჭკვაზედა ვართ კიდევ, კიდე, კიდო...

აი, ასეთი ფიქრ-ღრიანცელი, თან გამძაფრებული და თანაც ცუღლუტური და ცელქი, ხან უპასუხისმგებლობამდე ანგარიშმიუცემელი, გესლიანი და ამიტომ ყოვლად მიუღებელი, უიმედო და ხანაც პირიქით, გორგასლიანი, და პირველიმედ-აღმაშენებლიანი ფიქრები იცოდა მწარე სიცივემ სიბნელეში, ყველაზე ხშირად კი, -

როდის დაიწყო ეს ყველაფერი...

როდის, დაიწყო...

ალბათ ძალიან, ძალიან ადრე, ვიდრე იქიდან, დიდთოვლობისას მთელი სამი დღით სადმე უცაბედობით შეჩერებული მატარებლების მოშიებულ მგზავრებს ხელისგულისოდენა პურის ნაჭერში ოცდაათი პურის საფასურს რომ ართმევდნენ ზოგ-ზოგი ახლომახლო გლეხები და აიმათი ქალები; პურით ჩარჩობა... - ჩარჩობებში ალბათ ყველაზე დიდი ცოდვა, რომელიც შემდგომ ძალიან გაღვივდა, მაშინ კი ჯერ სულაც არ იყო უპურობა და თან ის ავად გამორჩეული სოფლელები, სუყველა მაინც, მაინცდამაინც პარტიულები არ უნდა ყოფილიყვნენ ალბათ, თუმც, სიგლახე ჩანს თორემ, კარგი გლეხები, მიწის ალალი კაცები, ბარიანები, ნამგლიანები, კეთილად მევენახეები,

„ქუეყანის მოქმედნი“ - მათე,

იყვნენ,

ოჯახისთვის და ყოვლად უცნობებისთვისაც როგორ სწორად და მადლიანად მოამაგეები, როგორც ყოველთვის, მაშინაც იყვნენ, როგორ არ იყვნენ, ოღონდ თვალნათლივ ხშირად რომ ვერ ვხედავთ და ამიტომ აღარც გვახსოვან ჩვენ, უმადურებს, თორემ კიდევ იმათით გვიდგას სული, და არა იმ არცთუ ხანდაზმული მაგრამ კარგა გამობრძმედილი მოლაყბეებით, მამულისათვის ერთი-ათასზე გულვეფხურად ბრძოლას რომ თავიანთი თავკაცობით გვიქადაგებენ და თავად კი, ეს ახალსახეობა ნეოპატრიოტები, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების აშკარად გამყვირნი ხოლო კეთილდღეობათა თავსდივა-ობის ფარულად მუღამნი, ცხოვრება-ისემოწყობით, რომ დამოუკიდებლად შესაძლოა თავისუფლად ჩაწვნენ კია ჰამაკში, მაგრამ ჰამაკიდან დამოუკიდებლად არამცთუ გადმოვლენ, თავისუფლად ვერც კი გადმოგორდებიან, რა დრო დაგვიდგა, და თუმცა უღირსს ძალიან ხშირად და ძალიან ეშინოდა, ამგვარი თუმც უნებური და ნაუცბათევი, მაგრამ მაინც შემოჩვეული წუწუნით, თავისივე კი არა არამედ იმ მაღალი ცნების დარღვევა, რომ გაჭირვებას ქრისტიანულად უნდა დაუხვდე - სჭირდა, და რომ იგივე გაჭირვება, პირველი მკაცრიც და მადლიანიც, ვრცლადგამომცდელი, ხანდახან როგორ ავიწყდებოდა, დაბრმავებულს და დაყრუებულს კი არა, ავადმხედველს და უხამს მსმენელს მაღლის ხმის, ამას...

უუი, მართლა, თანაც ისე არ მოგეჩვენოთ, უღირსი ახლა ვითომც კაიკაცურად რომ ჰყვება-რომე სხვების სიგლახეს, თავისი თავი არ იცოდა, და როგორც ქირდვით იტყვიან ხოლმე კაი ხვითო იყო ისიც, მხოლოდ სხვის თვალში ბეწვის შემმჩნევი, ადამიანი, გლახა; სულით გლახაკი ნეტარი კი არა, არამედ თვალით, ყურით

გლახაკი ეს, აბურდული და დაბურდული, ტვინაწეწილი, ყინვა-ალმურში კანმოყვარე და შიმშილისას ფიცხელსტომაქიანი ანუ აქ, ახლა; ენაქაქანა, განსაკუთრებით სიმთვრალეში, მთლად ბოლომდე არა მაგრამ კარგა-ლოთი, ცოდვებიანი, როგორ, თუმც უნებურად, რადგან ცოდვას წინასწარ არასოდეს ჩაიფიქრებდა, ან ვერ იცოდა რას სჩადიოდა, ან უყრუებდა, რადგან ის ბასრკლანჭებიანი ტორი ავი, ბოროტი, ყალბი ფერებით ისეთი ცრუ სიამეებისკენ პრატუნს უბიძგებდა, რისი გამხელაც ასე საჯაროდ კი არა, თვით მამა დანიელისადმი შიშიანი ხმადაბლიობით აღვლენილ აღსარებებშიაც კი ვერ შეეძლო, მცირედმორწმუნეს, ამას, მაგრამ იმედად მაინც ჰქონდა, რომ, როცა იქნებოდა, ყოველივეს ბოლომდე, თავდახრილი მოახსენებდა, თუკი ყოველივეს გაიხსენებდა, ძნელი იქნებოდა ეს, იმდენი ჰქონდა ჩადენილი იმ დამცემელის ვერაგული ნიღბვით, წკვარამიდან რომ ჩვენთვის, ყველასათვის, გაფაციცებით სულ ერთთავად გამიზნულია და ვითომდაც თვლემს, მაგრამ როგორი მრავალსახა ხანდახან - ბარტყიც უცოდველი, ცოდვის წიწილი, ყველაზე მეტად კი - დაპირებებით შემცდენია, რას აღარ აღგითქვამს, მზაკვარი,

„ზაკვა არს პირით სიყვარულსა იჩემებდეს და გულითა ბოროტი დაიმარხოს. მზაკვარი ეშმაკი არს“, -

ძალაუფლება იქნებოდა დაპირებად ეს, სიმდიდრე თუ წამისმიერი სიამეები თუ ცხვირწინ დებული მადაამშლელი მოხრაკულებით დიდმარხვის ტეხა, რომელ და როგორ ყალბ სიკეთეებს აღარ მოგახვევს; უცაბედია, თუ მოეშვები და მოდუნდები, და გინდაც სწორად ვლო ერთიხანობა, შენზე ვითომდაც ხელჩაქნეული, ჩაგსაფრებია მუდმივად მაინც, იცის შენი სისუსტეები, და თავის როგორ და როგორ მცირე თუ დიდ-დიდ დამქაშებს შემოგიგზავნის, ეგებ როგორმე ფეხი წაგცდეს, და მთელ სამოცდაათ გრძელ წელიწადს კი არა, ცოტათი მაინც, შეეგუები? - იქ აღარაა წაბორძიკება, დაცემული ხარ, მერე კი, გდებულს, გაგსრესს და გაგსრესს, მაგრამ, წყალობად, თუ ძველებურად წინაპრულად ქრისტიანულად იმასა იქ,

„ვიქ - ქნას ვლამი“,

თუ იმასა იქ რაც საჭიროა, ღმერთი როგორი მოწყალეა, კვლავაც ფეხზე წამოგაყენებს, მაგრამ ხანდახან რომ არც ვიცით რაა საჭირო... როგორ არ ვიცით!, როგორ არ ვიცით ათი მცნება, ცხრა ნეტარება, თუნდაც ჯერ მხოლოდ თუთიყუშივით, როგორ არ ვიცით „არა კაც-ჰკლა“, თუმც ის სულაც არ ვიცით, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფა და ამით სხვისი გულის ტკენაც კაცის მოკვლაში გვეთვლება და როცა იქნება, მოგვეგება, ვიძახოთ მერე, „ვააი, არ ვიცოდიი“ და „რად არ ვიცოდი, არრ...“, და, ამით როგორ ხარობს უხამსი, ის, მაგრამ ჯვრის როგორ ეშინია, საჭიროების შემთხვევაში თუმც მშვენივრად იცის ყალბი პირჯვარი, მაგრამ სხვების მართალ პირჯვრებზე როგორ ძალიან ეშინია, ჯვრის დანახვაზე სად გადაიხვეწოს აღარ იცის, სად შერგოს კუდი, რქები თუ ჩლიქი და სადმე თავის სამყოფელში, თავის ჯურღმულში, წკნავის, და საბოლოოდ (საბოლოოდ?) დაცემულთა და დაპყრობილებით მოიცემს შხამით შეზელილ გესლად ნაგებ გულს და ისევ იმათზე ისე იყრის ჯავრს რომ, რომელი ბოსხი, და

ახლებისკენ ისევ მხნევდება, რადგანაც ბევრმა ისიც კი არ ვიცით, თუ რაა ცოდვა, უღირსმაც მერე, გვიან და ისიც მარტო საქციელით და ისიც მხოლოდ ცოტათი შეიმეცნა ეს, როდესაც შვილი ყოვლად უცნაურად და სასიკეთოდ მთლად საპირისპირო ახლობლად გადაექცა, ამაზე, შემდგომ, ერთი ეგ იყო, ძნელ მაგიდასთან, მელნური იარაღით ხელში, ცოტათი და ვითომც სწორად გაუგეთ - კარგი არ ვიცი და, თავისი ავი თუ არცთუ ძალიან ავი შესაძლებლობებით ცოტათი და ვითომც მუყაითი, და ხანაც სასტიკ ბრძოლამდე შრომა იცოდა ოღონდ ფხიზლურ დღეებში და იქაც, იქაც, იმ სიტყვებში, იმათი წყობით, გამორჩეულად ლომსა თუ ჯინჭველზე უნდა ენადირნა და კვალად იქაც, ფსკერულ სიტყვებში, როგორ წვალებით ამოსატანნში, სადაც რომ პროზის ზოგი რბილი და ზოგიც მჭახე თანხმოვანები ლბილი ხმოვნების იდუმალი რამ მარწუხებივით ბატიფეხური ჩუქურთმებია, და ხუთ-ხუთმარცვალა ან ცხრა-თოთხმეტი კვებად-მარცვალი, ეს პროზის არამცთუ რიტმი, შავმელანურა ბნელი რითმაც კი ეს მაგრამ ხანდისხანურად შენიღბული როგორ, ძევს, მაგრამ ხშირადვე როგორ მაინც უნდა დაანგრიო, თუ ეს საჭიროა, და, საჭიროა, რაღა თქმა უნდა, რადგანაც პროზა - ტვირთით ნაგები შეუნიღბავად თავისუფალი და შენიღბულად თეთრი ლექსია, და ამ ნაერთით, და კიდევ სიმწრით, ძნელი რამ ტვირთით ფრთაებგაშლილი, ამტან ქაღალდზე, სადაც რომ კიდევ პროზა თავისუფლებით შემოსილი მელნისმიერად მიმოჩურჩულე რამ უცხო ფრინველი - შავი ლექსია, ძგერს, რომელზედაც რომ - არც არსებულა ამ მბრუნავ ქვეყნად, ყველაზე მეტად ბრიყვული გამონათქვამი: „პროზაულია“, ანუ, თურმე, ნუ იტყვითა და, მოსაწყენია, მაგრამ ტყუილუბრალოდ კი არ ითვლიდა მარცვლებს სიტყვებში ერთი დიდი მწერალი, - პროზაულ-იყო, პროზაულ-გახლდათ, რატომღაც არამოსაწყენი, მაგრამ ეს საქმის შედარებით მცირე მხარეა, რადგან მთავარში - თავისი საქმის ზღვისპირეთებში როგორი თხელი ყინულებია, სუთავიდანვე შესაძლოა სიღრმემ წაგიღოს, სიღრმეში კიდენ - ყინულეთი სქელდება და როგორ უნდა ჭრა, ერთი საბრალო კალმისტრითი, და ქაღალდისეულ სიბნელეთში შორი სანთლისკენ უნდა იარო, დაფარულისაკენ თუნდ, თანაც ცალია, და გზაში, გზაზედ, რამდენი ფეხის დაცურება თუ გადატრიალება, რამდენი შეცდომა, სიტყვის მიერი ცოდვისმაგვარი - უნებური თუ გამორჩეული, დამამხობი და ჩასაყურყუმალავებელი იმ უცნობეთისკენ, რომლის ხლართ გზაზეც თითქმისდა ლამის ყოველნაბიჯა ლაბირინთული შეცდომები, გინდ საიმედო, ალბათ ჰქონდა; შეცდომებიო კი არადა, აემ ბრძოლისას ამტან ქაღალდზე თუნდაც რაიმე მცირედი რამ რომ ვთქვათ და შესძლო და ჩაიდინო, - იმდენივ მწარე ჭრილობა და, თუ იგივ შავი ლექსისათვის იმავფრივ მელნით თუ ჯახირობ, ერთგულ ქაღალდზე, მომცდელზე როგორ, მადლობის ნაცვლად, - ჩაშავებული ნაიარევები; ალბათ, ჰქონდაო? - შეცდომები, ჰეიი, თავხედი, როდის დაეწყო ეს ყველაფერი... - ამაზეც, შემდგომ, ახლა კი, სულ ახლახან სხვების ცოდვებს ადამიანის პირობაზე რომ პირნათელივით განიხილავდა,

პირნათელი კი, სადღეისოდ - ვინც თავისი პირობა, მოვალეობა შეასრულა, და ამიტომ კეთილსინდისიერსა და პატიოსანს ნიშნავს.

ეს კი, ესა, ორმაგი თავხედი, ჯერ თავის თავისათვისაცა და, როგორღაც ერთდროულადვე, სხვისთვის, ამაზეც, შემდგომ, ანუ სხვიმის, ვინ იყო ეს სხვა, ამ

შემთხვევაში „სხვა“ - საერთოდაც ორმაგი სიტყვა, და აქ კი - რამდენად მეტად ტყუილი სიტყვა, წერილობითაც და,

„ნაენავი - ენით ნათქვამი“,

რადგან ყველანი ჩვენ, ადამიანები, გინდ სულაც არ გვენახოს ერთმანეთი და უფრო მეტიც - თუნდ ბავშვობიდანვე ჩვენდა სამარცხვინოდ ურთიერთგვძულდეს და ვერიდებოდეთ კიდეც ერთმანეთს, მაინც, ჩვენ-ყველა, უცნობობისა და სიძულვილისასაც კი - ერთ ქსელში ვფართხალებთ, რადგან, ყველანი, ცხრა მთა თუ ზღვაგაღმელ-გამოღმელები, თუმც უხილავი მაგრამ მყარად ურღვევი და თანაც მოქნილი ჯაჭვით ვართ გადაბმულები, თან ისე მკაცრად - წესით უნდა მაჯები გვტკიოდეს კი არა, მტევანი მოგვწყდეს, თუნდ მაგიდაზე, მაგრამ აჰ, არა - უმალ გარეკე, მიდიი... -

სხვისთვის?

როდის დაიწყო ეს ყველაფერი...

სულაც ცოტათი, ეგებ მაშინას, პირველად რომ იმატა ფასებმა, მაღაზიების ცარიელობის დამსახურებით ეგრეთწოდებულ საბაზრო, მართლაც ბაზრულ ეკონომიკაში ერთბაშად გასამმაგდა ყველაფერი, გარდა რძისა და მაწვნისა - ესენი, გაათმაგდნენ, რადგან სხვებზე მეტად უმწეოებს - ბავშვებსა და ავადმყოფებს სჭირდებოდათ და რაღას არ გაიღებდა მათთვის ახლობელი, და ხო, მართლა - წამლები, ვითომ რატომ არ უნდა ესარგებლნათ შექმნილი ვითარებით დახლიდარებს - განსაკუთრებით მათთვის ნანატრი თავისუფლება ჩამოდგა, დადგა, ოღონდ თლათ ისე ვერ აღმოჩნდა საქმე, ადრე რომ გვეგონა - რომ მხოლოდ ბორჯომის წყალი და ჩაი-ციტრუსოვნები გვარჩენდა ყოველდღიურად ყელამდე, ხოლო მარაგში - შავი ქვა, ხოლო უღირსი თავისი ხვედრით რაგინდ გაოგნებული ყოფილიყო, ის მაინც უკვირდა, რომ ქაღალდივით ამტან ტელევიზორში შემთხვევითურად დანახულ-მოსმენილ სახელოვან თუ უსახელო მომიტინგეთა გამოსვლებში აი ერთ წამს რომ მძლავრად იძახდნენ, რომ აღარაფერი საერთო ნუღარ გვინდა რუსეთთან, და მოსწყდებოდა, აპლოდისმენტები, ტაში, აი იქავ მეორე წამს იგივ პირიდან - რად შეგვიწყვიტა რუსეთმა ნავთი, შაქარი, მაზუთი, კარაქი, რკო... მერე თუმც დაიქსაქსნენ, სამაგიეროდ, შეიქნა დაჯგუფებები, ანუ პარტიები, პარტიები ჭრელი, ათასფერადი, თავკერძოთ დასტა, რადგან მაგრამ საქართველო მეტად უცნაურად - ყოვლად უქართველებოდ უყვარდათ, ერთმანეთს მტრობდნენ, ჭორს უყრიდნენ, საქმე - განსიდვა, ჰაზრი შჭარბობდა, სამშობლოს ენით სიყვარულის დიდსროვილობა ატყდა ისეთი კანონადაოური, მტრისას... ხოლო ისედაც დაბნეული და დაკარგული უღირსი მეტად დაიბნა, როდესაც ალბათ ტურფა-ვინმე გოგონიმ დაურეკა (ტელეფონით) და აღელვებისგან სულ ხმაცრემლიანი მწკნავანი ხმით უსაყვედურა, რომ არ მოელოდა მისგან ასეთ განსდგომასა და უმოქმედობას, რასაც იგივე გონ-გონი ვერ უსაყვედურებდა ერთ მეთუნუქე მოყმე-ვინმეს, სახელად გიგიშას, რომელი გიგიშაც ძალიან კმაყოფილი იყო გარშემოოებით - ძლივს არ დავსახლდიო, ამბობდა გიგიშა, მშობლიური კასპური სოფლის ორსართულიან რვათვალ-ოთახიან სახლს არა თვლიდა, რადგან

ადრეც იმისა იყო, აბა რო დავფორთხავდი ჟესტიანჩიკად სხვების სახურავებზეო, ამბობდა გიგიშა, იქ საძრომიალოდ აბა მე რა მინდოდაო, ამბობდა გიგიშა, ახლა მხოლოდ ის მევალება რომ მიტინგებზე უნდა დავესწროვო, ამბობდა გიგიშა, და ერთი ქალია იქ ჩუმად წამყვანი და მომცემი ოღონდ მხოლოდ ნიშნისაო, ამბობდა გიგიშა, და ის რომ წაივლებს ნიკაპზე ხელსაო, ლამაზიაო, ამბობდა გიგიშა, მაგრამ იმაზე (ნიკაპზე) ხელწავლებისას მაშინვე ერთი სახელი უნდა ვიყვიროვო, ფიქრობდა გიგიშა (რომელი სახელი... სპი-რი-დონ! სპი-რი-დონ!? ო-მა-რი! ო-მა-რი!? ვი-ტი-ა! ვი-ტი-ა!? და-რი-სპან! და-რი-სპან!? მა-მა-მზე! მა-მა-მზე!!?.. უი ჰო! არ-ნო-ლდი! არ-ნო-ლდი!?.. - გამოიცან, რომელია) და სამაგიეროდოვო, განაგრძობდა გიგიშა, მიტინგის ხვალამდე დახურვის შემდეგაო კარავში ისეთი სუფრა მელოდებოდავო, ჰყვებოდა მერე და მერე გიგიშა, სულო და გულო, რა და რა აღარ გინდოდაო, რა დრო იყოვო? - მოჰყვა შემდგომ გიგიშიმ.

დაინიშნენ თანამდებობები: ვაჭრობის საქმეთა მინისტრად ჩახუთულად გაკაბინეტებული ადამიანი (პირობითი სიტყვაა), რომელიც ადრე ღვეზელეულით სუფთა ჰაერზე ვაჭრობდა, საგარეო საქმეთა მინისტრად ადამიანი (სიტყვაა აკი პირობითი), ვისაც გადატანითი მნიშვნელობით კი არა, მართლა ორ ბატს ვერ ანდობდი ვერც დამოკიდებულ და ვერც თავისუფალ საქართველოშიაც კი კაცი (ესეც სიტყვაა პირობითი), ფულ-ოქროულობა და თანხანი დიდწილ ჩააბარეს ისეთ-ისეთურ ქალ-ვაჟთ, რომლებსაც გამომეტყველებისდა მიხედვით თანხას და ორ აბაზს კი არა ტროლეიბუსის ნახმარ ბილეთს ვერ მიანდობდი გულუბრყვილოც კი კაცი, ხელოვნებების ასამაღლებელ საქმეთა ფერხულის მინისტრად - ოპერაში სულაც არნამყოფი, ანუ პირიქითმყოფი კაც-ექსპარტიულა მაგრამ თვალი მოუხუჭეს, - განა ყოფილ პარტიულობას აბა განა რად უნდოდა ოპერა და ოპერეტები, თავისით არ იყო?, ხოლო იმათ და მათებურა პრემიერად კი წინარე-ადრეულ ტერმინოლოგიათსაკმაოდმცოდნე და მართლაც გამონაკლისადგანათლებულ პრემიერთან რაღაცაში ვერ შეთანხმდნენ თუ ტერმინები ვერ გაიყვეს თვით უხუცესმა და მანადრეულმა - მოწვეულ-იქმნა ახალი ცოცხი, ისეთი ყრმა, ვინც კი მანამდეც ორ საქმეს ჩინებულად აუდიოდა: I - ერთ-ერთი სამეცნიერო ინსტიტუტის წითლად ნათელ ოთახში დასტურპარტკომი იყო, იღვწოდა, დღისით ვნების ამქარში განათებული, ხოლო საქმე II - შებინდების ჟამს ბინდიან ალაგს გერმანულ ნაგაზებს ერთმანეთს სწრაფად აცნობდა, შედეგად ამრავლებდა და მონაგარს ჰყიდდა იგი, ორმხრივ იღვწოდა ადრეც, ბიზნესის ადრივ-პიონერი, მანამდიცა და აქც, მაგრამ ეს II უბრალო რამედ კი არ ხდებოდა, ენერგიამოითხოვდა მუნ, ბინდბუნდიან ხვაშიადში, უნდა გეძახნა ერთისათვის (ხვადისათვის): მიდი-მიდი-ჰ!, ჰ!!! ხოლო მეორისათვის (ძუკნასათვის): გაჩერდი რაა... შეუჩერდი რაა, გვრიტ...

ერთხელ, დაკბინეს, ხასიათზე ვერ იყვნენ რაღაც, ეს კიდე აღარ ეშვებოდათ, ვერ მოუვიდათ თვალში სამთავეს ერთმანეთი, თან ესა, ჩვენი საპრემიერო, „მოდით-მოდით“ -ს კი არ იძახდა, არამედ „მიდით-მიდით“ -ს, მაგრამ გვეყო ამ კლოუნებზე, ეს კლოუნური მართლაც პროზა (პროზაც ბევრი და მრავალმხრივია თუნდაც წამწამ), მაგრამ წამწამებზე ისეთი რამ გვახსენდება, ცოტათიც მივყვეთ - ხოლო

დედოფლად ჰყავდათ ისეთი? - ისეთი მძლავრი, ისეთი მარჯვე და შეღებილი და პირში ქიშებ და შამათმთქმელური, რისი ჭადრაკი...

დაიძრა, საქმე. -

სხვებს წაართვეს და გიგიშებს კი აგარაკები ჩამოურიგეს, ვიტამინები, კასტუმი, რამე, ქალაქის ცენტრში - ძმური კარავიც.

დური კარვებიც იქავე იყო, და ღამღამობით ერთმანეთში მიმოდიოდნენ, სტუმარ-მასპინძლობდნენ, ერთიმეორეში მოძრაობები ჰქონდათ, ძალიანი, ფხიზლობდა ხალხი; შეყვარებული იყო მაყვალიც, ოღონდ პლატონურად, ოღონდ ცალმხრივად, რადგან თვით იმას რა თქმა უნდა, სხვას რას გაუბედავდა დაბალ დურობის გარდა; ერთი ეგ იყო, თმა გაიშალა; ხოლო შეყვარებისას, გინაც ცალმხრივის, რა უცნაურად, თანავდროულად როგორი ბნედით თან ნელა გადის დრო, და ამასთანავე როგორ სწრაფად - მამამზეზე ნიადაგ ფიქრში, აგერ რომ ორი საათია, გაიხედავ და - ხუთი, გაიხედავ და - ათის ჩარექი, გაიხედავ და - შუაღამეს აკლია ან გადაცდენილია ექვსი წუთი, შეყვარებულობით, აღარც ახსოვდა თვით საამაყო ღვიძლი ძმაი ჯარჯ-გოგა, ადრე სასახელო, რომელსაც თავის მხრივ დაიც მაინცდამაინც არ ახსოვდა და არ იკლავდა თავს იმაზე ფიქრით, რადგან თავის მხრივ ფასიანი ნეოკიბერნეტიკული აკადემია დააარსა (გრიგოლ რობაქიძის სახელობისა), და მერე და მერე პატარა ხანში აკადემიკოსად აარჩევინა მთელ ორ შტატიან თანამშრომელს, გეოგრაფია-გეოლოგიის მესამეკურსელ სტუდენტებს ორსახელიანი (ჯარჯ-გოგა) თავი, ხოლო ისინი საკუთარივე სიმტკიცისათვის შტატიან პროფესორებად მოისვა შეერთებული შტატებიც ბევრსახა ყოფილა; მოკლედ, ყველაფერი ბევრია ამ ქვეყანაზე, სადღაც ტყუილუბრალოდ კი არ უმეორებიათ ძველებს - „გვაქვს უთვალავი ფერითა“ -ო... (მაგრამ დროთადინება, ეს მეტად თავნება და თვითნებურა რამ, ყოველთვის გადის, ხან რომ მშვიდად და ტაშით, ხანაც მჩქეფარედ თუმც შთაუგონებლად, მაგრამ აქ ჟამთასვლამ თანდათანობით რაღაც არივ-დარია, თვით უზენაოეს საბჭოშიაც კი, ხოლო იმათ მანამდე მყარად პრემიერს ისიც აკადრეს, წარსული აუგად შეუხსენეს, აბა ეგ იყო განა საქმე?, წარსულში გინდაც შეცდენილიყო, წარსულში აბა რომელი ერთი აღარ შევმცდარვართ, მთავარია რომ, აი ახლა, ამა წუთას არასოდეს ვცდებით, მართლები ვაართა, რაღადროს წარსულია, მაგრამ:

„გაიგე, ქალო? - აღშფოთებულიყო ფიქრობრივც და ხმამაღლივც მაყვალი, - ჩვენს პრემიერზე რას იძახიან? რას და, ბოდიშს კი ვიხდი გამოთქმისათვის, მაგრამ აშკარა ჭორებს უყრიან, ადამიანო!.. ვითომ ეგაო, სხვადასხვა ძაღლებს ერთმანეთს ეე, ცუდად აცნობდაო, ესაა საქმე? გინდაც გაეცნო, დიდი ამბავი, არ აგვიტეხეს, ბოდიში კი მომიხსენებია, მაგრამ ახლობელი ხარ და, არ ატეხეს, ძალიან დიდი ეე, განგაში? - ადამიანზე უარესი, არაფერია... არაფერია, გამიგე, ადამიანო?.. აჰ-არა!, ზოგიერთებზე ვამბობ, ყველაზე კი არა, ჩვენსას ვენაცვალე, მაგრამ ამ ჩემისგან დაწინაურებულებისა როგორა ჰშურთ (ფილოლოგიაც მრავალმხრივია; პირი ისე უჩნს, სუყველაფერი მრავალმხრივია), როგორ, ჩვენ რა, ჩვენმა, გაუმარჯოს, არა შენ კი არა, განა იმათზე უკეთ არ იცის განა მომიტევეთ კი გამოთქმისათვის, და, ვინ

დააწინაუროს და რომელი არა? ამოუჩემეს, ეს პრემიერი... ვენაცვალე, ამას... ეგ ოღრაშები! არ ჩაუვათ ფეხი.

მართლაც, რად იყო სუტენერი იგი პრემიერი, არამედ - თანხის ძაღლური არგონავტი, თან, რა ხანი იყო სხვა არავითარი სულიერისათვის, ადამიანის გარდა აღარ შეუძახნია: „მიდით-მიდით-ჰ!!!..., მოდიი-ჰ...“, ეს რა ყოფილა მაინც ეს „ჰ“, როგორ ტევადი, კი არ ვიცოდი „ჰ“ რომ თურმე სხვა რამსც ჰნიშნავდა, ეს რა დატვირთვა ქონია, ბიჭო? ხოლო როდესაც თვით მამამზეზე და თავად მზეზეც (მზეც ორი არი, კაცო?) რომ მიდგა საქმე, ჩუღურეთელი მაყვალი ისე ძალიან აიფოფრა, კრეტა-მიკენულ ქანდაკებასაც კი ამოპორჭყნიდა თვალებს არამცთუ იქვემყოფებს, შეყვარებულიც თმა მეტად გაიშალა, მაყვალიც, ჩვენი, ორმაგი გახდა - ჩუღურეთულად შეიმართა რომ, ვითარც სულ ცოტა ორლეანელი ჟანა დ’არკი, მზეჭაბუკითვინ, ჩუღურეთელი ორლეანელი გაჰხდა ქალწული (მაგრამ „ქალწული გახდა“ ჯერ არ გამიგია მე), ერთი ეგ იყო, როდესაც შეყვარებულობით ვერ გამოზომა და წარბები აშკარად ზედმეტად ამოიპუტა, მარცხენა უფრო, მიბნედილზე კიდე ჰო, ნახევრად მაინც უხდებოდა, მაგრამ ახლა, ნოემბრის ღრუბლად მოქუფრულ სახეზედ, ვეღარ შეესაბამებოდა ანუ ვეღარა ჰშვენოდა ეს, დაგმშვენდებოდათ უფრო, მაყვალ, ჩაფხუტი... და რაღაი ჩვენც გადმოგვედო მისი სულისკვეთება და ავღელდით, ხოლო წერა-კითხვისას აღელვება ვერაა კარგი, მოდით ცოტათი დავისვენოთ, გავერთოთ ცოტა, აი ვთქვათ სიტყვა „ჩაფხუტი“ ხომ არ გვეშლება, ხომ თავი-საა, ტევადი თავის კუთვნილება და არა ვთქვათ მკერდ-ბეჭისა, თორნი-ვით, მოდით და ნელინელ შევამოწმოთ, აუჩქარებლათ, მოგვდევს ვინმე თუ რა, თანაც აგერ, აქვეა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, დალაგებულათ გადავშალოთ, სიტყვაზე ადვილ-მოსაძებნი რაა ამქვეყნად ოღონდ ლექსიკონში, არც ორთოგრაფიული გვაწყენდა, აი, ჩვენი „ჩ“-ც, ასო „ჩ“, საბედისწეროდ ჩ-ვენი ამ შემთხვევაში, ნელა ჩავუყვეთ... „ჩატეული... ჩაუგებს... ჩაუკვირდება... ჩაუკუჭავს...“ - ნელა გადავშალოთ, აქაც კი ვერაა სასურველი სიტყვა ადვილი მოსაძებნი, - „ჩაფლული... ჩაფუფხული... ჩაფხეკა... ჩაქუჩი...“ - არა, გადავხტით, „ქ“ ხომ მერეა, გადმოვხტეთ, არა, ეს სწრაფივითისია, გადმოვხტეთ კი არა, ჩამოვიხიოთ, აჰ!.. - რა უნდა ჩამოვიხიოთ, არ მომკლა, კაცო, ამ უბრალო ჩაფხუტი-მ? ისევე სიტყვა თუ გვიშველის, დავიხიოთ... ცუდად ჟღერს ესეც, თუმც „ჩამოვიხიოთ“ ვარესი იყო, დავბრუნდეთ, მოკლედ, მოუკრეფავიდან - „ჩაფშვნილი... ჩაფხეკა... ჩაფხრეწილი...“ ჰო, აი!

„ჩაფხუტ-ი 1. (ძვ.) ლითონის თავსაბურავი მეომრისა ერთგვარი“,

კარგია! მაგრამ, იქვე, -

2. ტყავის ან სხვა მასალის სპეციალური თავსაბურავი, ხმარობენ მფრინავები, მოტოციკლისტები და სხვა“ - აჰ! - მატაციკლეტზე მაყვალს რა უნდოდა, დინჯ-დარბაისელს შეყვარებულს ქალს! ესი „2“. ნამდვილად ზედმეტია, რატომ შევტოპეთ, არ გვეყოფოდა ის „1“? ზედა „1“-ს მორცხვად დავუბრუნდეთ -

„ჩაფხუტ-ი 1. (ძვ). (რატოა ძვ., თანავდროულად ჟღერს) - ლითონის თავსაბურავი მეომრისა ერთგვარი“, - მაყვალ კარგიაჰ! - მეომარი ჰხარ პლატონური!, რა მძიმეა ჰ!, ჰჰუ!,

ეს რა წამოგვცდა,

რადგან,

რადგან გაწიწმატებული მაყვალისთან ძნელად თუ მოვიდოდა მრისხანებაში ვინმე, ვერც კი დაელაპარაკებოდი, არამცთუ ეს მთელი ორმაგი „ჰ“, ეს სრულიადი „ჰ“, და „ჰაე“-ე,

მაგრამ გვეყო ეს თაღლითური, მბწკენადი პროზა, თანაც, ღამდება, ასეა, თან სხვაზე (თუმცა „სხვა“ არ არსებობს-მეთქი), ეე, გარეშეზე (და არც გარეშე არსებობს, ვაი...), მოკლედ საკუთარ თავთან შედარებით, სხვაზე ადვილია ცდები და სახელწოდებები, -

ყურმოკრულიდან:

- იმას ფეხბურთი ისე უყვარდა, ფეხბურთის საპატივცემულოდ თავის კვიდრ დიშვილს იცი როგორი სახელი დაარქვა? - ძნელი იკითხა, ერთმა.

- როგორი... - მეორემ.

- გოლი!

- საბრალო, მკვიდრი დისწული. და თავისი არ ჰყავდა?

- თავისი არ იყო კვიდრი და, აბა რა იყო?!

- არა, მერედა თავისი არ ჰყავდა ესე იგი-მეთქი, შვილი?

- აა... კი როგორ არა, ოღონდ შეეძინა მერე.

- და იმას რაღა დაარქვა...

- აბა გამოიცან.

- გამოვიცნო? - გაცელქდა მეორე, - რა და... პენალტი?

- არა.

- აბა?

- არამედ ნუგზარი.

- აა.

მერე მეორე ჯერ ჩუმად იყო და შემდგომ უცებ ძალიან გაბრაზდა:

- კი მაგრამ, შე ოხრის ტიალო, ნუგზარი როგორ უნდა გამომეცნო!

- აბა მე რა ვიცი...

- აბა რაღას მეკითხებოდი!, რომ ჩამაფიქრე!.. მაგსახელიანი ფეხბურთელიც არ გამიგია მე!

- ჰოდა... და ეგებ იმიტომ უნდა დაერქვა, ახალსახელიანი ვარსკვლავი გამოვიდესო. აბა სატურნს ხო არ დაარქმევდა, არ იყო გამოსაცნობად, ძნელი...

- ეს როგორ! როგორ არ იყო ძნელი! მაინც როგორ უნდა გამომეცნო!, ა!

- აბა მე რა ვიცი, მკითხე და... შენ თვითონ არ დაიწყე?.. პენალტიო... კორნელი... შენ დაიწყე და, აქეთ მიყვირი და მიყვირიხარ?

- რა დავიწყე მე! შემშლის ეს კაცი... გოლიო, ვინ თქვა, დიშვილიო!..

- სამაგიეროდ, დისწულიო, შენ...

- დისწულით მე კი არ დავიწყე, არამედ შეგისწორე!

- რა შესწორება დიშვილს უნდა! თორე ეგეც, უფლისწულია...

აქაპაუზი.

მაგრამ:

- არა, მიპასუხე! მაინც როგორ უნდა გამომეცნო?

- ეეე... საზრით.

- მაშინ ფეხბურთი ვინ თქვა პირველად, გეკითხები...

- ფეხბურთი მე ვთქვი, მაგრამ ასე თუ წავიდა საქმე, სულაც შენ არ დაიწყე?

- რა დავიწყე მე...

- პირველი შენ არ მომესალმე?

- ის მერე რა რომ, მოგესალმე...?!

- რა და, დაიწყე შენ! შენ დაიწყე, გაუმარჯოსო და, ამიყოლიე...

დაწყება იყო უსურველი, თორემ, მერე აყოლას რა უნდოდა... დაწყება იყო თავი (სხვადასხვაგვრულია) და თავი, მაგრამ ვინ დაიწყო ეს, ამდღევანდლური, ვინ, რამ, რომელმა...

და, აქედან მოყოლებულებმა, სულხან-საბა ორბელიანთან ერთად, ერთიც თავადი ვიმყოფინოთ და თავად თვით ბერ საბასთან ერთად მხოლოდ გურამიშვილს დავჯერდეთ, „მხოლოდ“-ო, გესმით, რა წამომცდა... - დავჯერდეთ თვით მას, გურამიშვილს, მე თქვენ გეტყვით და, არ გვყავს:

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოთვლის, თუ არ ბრძენი ენა-მჭევრი!

იფქლი ღვარძლად გადაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კევრი“, -

მართლაც...

„ერთმან მტერმან ათს მათსა სცის, ორმან წარიქცივის ბევრნი“,

საუბედუროდ, - მართლაც... რადგან, მანამდეც, თითქმის თავისით,

„მემრე შინაც აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი,

თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი!“

ადრეც მოგახსენეთ, ყალბმა და ვირგლა პატრიოტებმა ეს (ქალთა სახეობაც თამამად შეიძლება იყოს დედალ-ვირგლა), თორემ, როგორ არ გვყავდა დიდი ხალხი, და ახლაც როგორ არა გვყავს კარგი ხალხი, პატრიოტებშიაც კი, და მეპატიოს ეს პათეტიკა მაგრამ ჭეშმარიტი, და ნამდვილად სასიქადულო მამულიშვილები, მაგრამ ამ არეულობასა და მრავლისყაყანში ძნელადღა გამოსარჩევი გახდა ვინ რას გაიძახოდა, რომელი იყო სწორი და მართალი და ვინ კიდე ნაძირალა და ცრუ და ოხერი და ისე კი, ბლომად გვერია, და გვირევიაც გონით ბრმა, ხეიბარი და ყრუ:

„ერთბამად ფრინველთ უწოდენ არწივსაცა და ძერასა:

არ სჩხრეკენ ყვავთა ჩხავილსა, ბულბულის ტკბილად მღერასა,

ფარშავანგისა შვენებას, ბუკიოტისა ბღვერასა“,

იჯდა უღირსი სიბნელეში, კარგ ფიქრებს ლამობდა, და, კიდევ კარგი, რომ დიდ მეომარ და პოეტ და მეფე თავადზეც ხშირად ფიქრობდა, სადღეისოზე როგორ, რომელსაც, ნუ იტყვითა და ბედი არ ქონია თურმე, როგორ არ ჰქონდა! - „დავითიანი“ დაწერა კაცმა, ვინც რომ საამისოდ სწორედ ბედმა გადისროლა შორეულ უკრაინაში, რათა იქიდან უკეთ ეგრძნო და მოენატრნა სასადამხეთქავ მოწყურებამდე თავისი ჩვენი მხარე, მისი მამული, საქართველო, ეს:

„თქმულა სიბრძნესთან სიგიჟე, როგორც ცოცხალთან მკვდარია“,

და როგორი ჩვენი, საჩვენო, დღევანდელია, თუნდ ნაწილობრივ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ორთავე სქესის ნებაყოფლობითმა გიჟებმა ბევრად იჭარბეს, ეს კიდევ არაფერი, გარეწრებისაც ფეთქვადობა დადგა, იმათი ჭარბი ფეთქვაობა - გვაქვს, ვინ წაგვართმევს, თუმც სიბნელეში იჯდა უღირსი, მაგრამ ფიქრობდა, სიბნელესაცა აქვს თავისი უჩინარი ჟღერა, უკეთესად იფიქრებოდა; მაინც რა და რომელი უფრო შემაძრწუნები იყო გახსენებად, ეგება ის რომ, მთელი ნახევარი სოფელი ქალაქში გადმობარგდა, თუმც არა, ვერაა სწორი გამოთქმა, რადგან ბარგი სოფელში დატოვეს, და - მთელი ნახევარი სოფელი ქალაქში გადმოსახლდა?.. არა, ვერც ესაა სწორი, რადგან სახლიცა და განახევრებული ჯამაათიც, წესიერი ხალხი, სოფლად დატოვეს, რა გვემართება, მაგრამ ყოველთვის არის რაღაცა სიტყვა, ამ შემთხვევაშიც უნდა იყოს, ჰო - შემოგვესივნენ, სახლი და ბარგი სოფლად დატოვეს და მხოლოდ საკუთარი თავი მოგვართვეს, ისიც

ჩარჩული, ქალაქს ნიჭისა და შეძლებისდაგვარ გაეჩვივნენ, მეტროპოლიტენის ესკალატორზე შედგომისა სულ აღარ ეშინოდათ ბალზაკაასაკ გადაცდენილ ქალქალებსა, არამცთუ ეშინოდათ და აფრთხობდათ, არამედ ნებისმიერ საფეხურზე თავს ისე გრძნობდნენ როგორც წყალური ანუ საწყალო თევზი - წყალში, საბრალო, დორე, ერთ-ერთ მეტროსთან იძულებით იდგა, ამათ კი მატყლის საბან-ქვეშსაგებში ძილიან წოლას სადგურის ხმელა მერხზე ჯდომა და თვლემანარევი თავის კანტური ერჩივნათ, დიდყინვობისას ბუხართან ჯდომას - ნედლ ხესთან ძაგძაგი, პაპანებისას - იმის ნაცვლად რომ კაკლის როგორ მადლიან ჩრდილს შეფარებოდნენ, - რა, ცუდი იყო? მაგრამ არა - ხვატისგან გაწებოვანებულ ასფალტზე - იმათი უშნო ნაფეხურები; სამაგიეროდ, ყოველივე ამის საფასურად ისინი მარჯვედ ეუფლებოდნენ ბიზნესმენობასა - მთავარ შტაბბინა რკინიგზის სადგურის მეტროს ამოსასვლელებ-შემოგარენებიანა თუ ვაგზლის მოედნის სახელობის მოედანზე, რომელიც ყოფილი საკოლმეურნეო-დ წოდებული ბაზრის არაბუნებრივ, საგადამყიდველო და ქორვაჭრულა, ყაყანა და ჭუჭყიან დანამატად გადაიქცა, და უტიფარო სულო და გულო იქ ზედ ასფალტსა და გნიასში რაღა სასუსნავი თუ ნაზი საცვალი უშუალურად იყო გამოფენილი დიდი ქალაქელი ბიზნესმენების მიერ ძლიერ შორიდან ჩამოზიდული საქონლისა შედარებით მცირე სოფლელი ბიზნესმენებისგანა, ერთგან რომ ინგლისური კეპი იდო, მეორეგან კახური ქუდი და ჩურჩხელა და სირიული ჩალმა, აგერ რომ გურული მანდარინი, იგერ ძველჩინელი მანდარინის თანამედროვე მომცრო ქანდაკი, აქანა რომ მეგრულად ასხმული სასტიკი წიწაკა, იქანა - თურქული ჰალვა, აქეთ რომ ერევნული ილიჩის ნათურებით გაწყობილი ჩეხური ჭაღი, იქით - ტაივანური ხელის ფარანი, აქეთკე რომ საღი შოკოლადი (არაბთა გაერთიანებული ემირატები), მუნვე რუსული დამარილებით საეჭვო მოხუცი ქაშაყი და ინდური ოყნა, და ინდურივე სპილოს ძვლის ბრძნულად აღიარებულ ჭადრაკთან - პლასტმასის რუსულივე სახალხო შაში, და მართლა ქართულად სახალხოც წარმატებით ემიგრირებული დომინო, თითქოსდა უსულგულო ქვების დასტა, მაგრამ რომელ ერთ მშობლიურ ეზოში ლუდის ვერმომტანი, პორტუგალიური ძეხვი, ჩრდილოირლანდიური ბიუსტჰალტერი, სამხრეთკორეული კარგი თარაზულ-ჰორიზონტალური მსხლის ხილფაფა, ნოვოსიბირსკული ღვინოები, ეთიოპური ტელაგრეიკები და გრენლანდიური ჩალის შლაპა, იაპონური ტელევიზორი და ზესტაფონურ-რაიონული რეჰანი, ფრანგული ხელოვანური სუნამოები და ტყის ბუნებრივი შრომატევადი პანტა, იმასაც დაკრეფა უნდოდა, ამერიკული იმდენად პრესტიჟული საღეჭ-საცოხნები, რომ ბორჯომული მორცხვი კევი აღარსად იყო, ბორჯომში კი, სამაგიეროდ ეკვადორული ტკბილად შედედებული რძე და გორული მჟავე, ნიგერიული უთეთრესი პუდრი, რომელიც „განასპეტაკებდა ყოველთა შავთა და შავგვრემანთა“ და ნორვეგიული უშავესი თვალთირგვლივა ტუში, რომელიც ჩვენებურად „ზედ წამწამზე მიზიხარ“ -აა, და პაკისტანური ცალ-ცალი ქოში და გერმანული ფაიფური და ჩინური ფაიდეშინი და ჩესუჩა და ირიდიონ ევდოშვილის რჩეულთა წიგნი ოღონდ რუსულად, იფ, გაურკვეველი წარმომავლობის მაწონი და ხაჭაპურები, ხოლო ქართულად - დემიან ბედნიი, იფიფ, და აქედან გამომდინარე კერასინკები; აგრეთვე გვხვდებოდა კუვეიტური ხალათები, მაღლაკური მწვანილეული, ჰოლანდიური შეშა და ასე, კოხტა გალიაში ზღვის გოჭები და ყოვლად უგალიო ხმელეთის ვირთხები კი თვალსაჩინოდ

დაძვრებოდნენ ამ... ამ... მოკლედ, პროდუქტ-ტანსაცმელ-ნივთური თვალსაზრისით ასფალტზე განლაგებულ ამ ბაბილონის გოდოლში, ხოლო მეტწილა ბიზნესმენობა იმათზე მოდიოდა, რომ რადგან აქ შედარებით იეფი ჰღირდა ღვეზელი, ბლითი და სპიჩკაი, ვიდრე ვთქვათ მეტრო „დელისი“-სთანა, და შეიძენდნენ ოცდაათ-ოცდაათობით თუნდ ამეებს და მოასხდებოდნენ ცქვიტი ქალები და მარჯვე ვაჟები გამშობლიურებული მეტროპოლიტენის ამტან მატარებლებსა და რა, ჰერიჰე რაღაც ათიოდ წუთის ფარგლებში იყვნენ საბიზნესმენო მეტროისთანა, თუკი რა თქმა უნდა ელდენი არ გამოირთვებოდა, ეს განსაკუთრებით მაშინ იყო ცუდი, თუკი გინდაც ყინულებშემოწყობილი იტალიური „აბა მარუჟნი-მარუჟნიიი“ -თ ბიზნესმენობა ჰქონდათ, ხოლო თუ მშვიდობით ჩააღწევდნენ, იქ ერთნახევრად ჰყიდდნენ უალღოო როკფელერებისაგან განსხვავებული სწრაფი მეთოდებითა - პირდაპირ ხელიდან ხელში, და ყველაფერ ამას მუზიკა ახლდა გასაყიდად ღრიანცელური აქეთ რო სიყვარულისგან მწარედ დაკოდილ თავზეხელებაღებულ ტაშებ-ფანდურულ შავ-გოგიასზედ, იქით კი ელექტრო-საკრავხლებულ თავზე ერთგვარი ნამუს?-ქუდიანი ელტონ ჯონსისა თუ ყოვლად უქუდებო თავგადაპარსულაც კიდე უფრო შორზანგებისა, შრომადღის ბოლოს კი, ნაჯაფრები, იღლიებში ყალბშამპანიურებიანი მართალია ჯერ ახალგაზრდა მაგრამ მზარდი ყმაწვილი კაცები შენელებულად მიიჩქაროდნენ საითკენმე დასალევად და დროსსატარებლად, რაც შეიძლება მეტ ნაცნობ-უცნობთ რომ დაენახათ იმათი თავისთავითვინ ხელგაშლილი ეს ყარაჩოხლობა, და იქ ურტყამდნენ კიდე შეღებილსპირტა მაგრამ სამაგიეროთ ვაჰ-ნაკლეიკიან კანიაკებს თუ ყვინთვამამგვრელ ქლიავისეულ ლიქიორებსა თუ ფხვნილშეუმჩნევ პორტვეინებსა, შინ კი, მარანში, აიმათ პაპებს რქაწითელი თუ ალადასტური, ედგათ, თურქულ ნაზ პურებს ოღონდ ჩალისას ძლიერ ჰადვილად იღეჭებოდნენ დედასპურების, ნაცვლად, სამაგიეროდ ამერიკანულ სიგარეტებს ორთითით სწევდნენ, ცარიელ ბოთლებს ასფალტზე ტეხდნენ, ეფექტითვინა, მაგრამ ხომ არ გვეყო აქ ეს აგდებული, უშნოდ ღვარძლიანი ასეთი პროზა, მით უმეტეს რომ ადრე უღირსს სულ არა სჩვეოდა ქალაქად გადმოსული სოფლელების ქირდვა, რამდენი ერია იმათში ისეთი, სხვადასხვა საქმეს, მეცნიერულსა თუ ხელოვნებისმიერს, ქალაქში უკეთ გამოადგებოდა კი არა, მთელ საქართველოს ასახელებდა, რამდენნი იყვნენ ასეთები იმერეთიდან მაინც, იქაური პატარ-პატარე სოფლებიდან თბილისში გადმოსული მომავალში დიდი მეცნიერი თუ ხელოვანი, ჯერ მხოლოდ ერთმა ჭიათურულმა სოფელმა, პაწა ცხრუკვეთმა რა ხალხი მოგვცა, და რა, - სოფლებში მსხდარიყვნენ, არა? და, იქვე იყო დიდი სხვიტორი!.. ცოტათიც იქვე, სიმონეთი... ან, აქეთკენიდან, ქართველთა გონის პირველი მეფე, სულ უნდა ყვარელში დარჩომილიყო? და თუნდაც ერთიც როგორ ვითომ უბრალოდ დიადი კაცი, სახელად ნიკო, მირზაანიდან რა, არ უნდა ჩამოსულიყო?.. როგორ დახვეწილ გათბილისელებულებს, და რამდენს იცნობდა აქ დაღრეჯილიდ ენამწარი უღირსი, და ზოგიერთი თბილისელის გაქალაქებული სოფლელებისადმი ზემოდან ყურების, ვითომც მაღლიდან მაცქერალთა ჯინზე, უღირსი ხუმრობით იმასაც კი იძახდა, რომ არავინა ვართ მკვიდრიქალაქელი, რომ სუყველანი თავ-თავის დროზე სოფლებიდან ვართ ჩამოსულები, და რომ ის ერთი თბილისმიდამოელი ხოხობიც, დიდმა მეფემ რომ ისრით ჩამოაგდო, იმისი მკვიდრობაც კი საეჭვო იყო, რადგან

თამამად შესაძლო გახლდათ რომ კიკეთიდან ყოფილიყო გადმოფრენილი, და რომ ძველთბილისური დღესდღეობით მხოლოდ გოგირდის წყალი და მდ. მტკვარია, ისიც პირობითაც, რადგან გამუდმებით მოძრაობენ და ამიტომ ჩვენთვისაც კი წარსულები და ახლებია, არამცთუ მაშინდელნი, და ასე უწყინრად ხუმრობდა ხოლმე, მაგრამ ჩვენს, ქართულ მაჯილდოებელ მიწაზე შრომის გადაცვლა ამ ჩარჩობაზე? - აუტანელი დასანახი იყო, მით უმეტეს, რომ მათგან ჩაუქნი ქალაქელ კოლეგებთან ერთად ბოთლების გარდა ბინებსაც ტეხდნენ, და ეს იქაურ-გარშემოული ქალები რაღამ დააწუწკა, თავს იმით კი იმართლებდნენ რომ ძალიან გაძნელდა სოფლად ცხოვრება, რომ ღორებს რაღაც ავადმყოფობა მოედოთ და დაეხოცათ და მთავრობა კი სულ არაფერს ზრუნავდა წამალი რომ მიეწოდებინათ (მართლაც ასე იყო, არისც - 1995 წ), და ვაშლსა თუ მანდარინს უსახსრობის გამო ადგილზე არსად იბარებდნენ (ასე იყო, კი) და ულპებოდათ, რადგან გასაყიდად ჩამოტანას ამ უბენზინობასა თუ ბენზინის მამასისხლობისას ვერ ახერხებდნენ (კი, ასე იყო), და სადღა ჰქონდათ სახილფაფო თუ სამურაბე შაქრის ფული, და, რომც ეშოვნათ, გზაში რამდენი თავნება თუ დაშვებული ყაჩაღი, კი, სწორს ამბობდნენ, მაგრამ არც ის იყო საქმე, ქართლში მუცლის ბოძად ნათქვამ ლობიოსა თუ ათასგვარ ბოსტნეულს არ დასჯერდნენ კი არა, სულაც მიაგდეს და საღი ძროხებიც კი დააკვლევინეს აზიზ ბიჭებსა და თბილის-ქალაქის უთვალავ ფარდულებსა თუ დუქნებში თუ ასფალტზე სუ გერმანულ ჰამბურგერებად დაჰყიდესა და სამაგიეროდ რძიფხვნილის ნაწარმს მაღაზიებში შეთანხმებული ხელმა ხელი დაბანაოთის მიმალული ბაირაღ-ალმით ერთიორად და ძალიან ბევრს ყიდულობდნენ და მეტროებთან (ვინ თქვა რომ მეტროები მხოლოდ ტექნიკა და ელექტრიფიკაციაა და მიმოსვლის საშუალებაა, არამედ - საჩარჩო წერტიც) და უწვიმოდაც როგორ მომრავლებულ ფარდულებიდან ერთისამად ჰყიდდნენ, და თუმცა შემდგომ საბრალო ლტოლვილებიც შეუდგნენ იგივეს, მაგრამ იმათ მართლა არ გაემტყუნებოდათ, რადგან აღარც სახლ-კარი ჰქონდათ, არც სამუშაო, და ადვილადაც გამოიცნობოდნენ ისეთი სევდა ედგათ თვალებში, ესენი კი, მოგებით აშკარულ-აჟიოტაჟირებულად გახარებული კაცები და აი ის აისა ქალები, სპილოს ნაფეხურებად რომ ეტყობოდათ ქართველობისთვის ადრე ბევრად მიუღებელი ვაჭრუკან-ჩარჩობა და, ხორცმეტქალაქურნი, ქაა, ესა, ვითომც მამწონა ფერუმარილსა რო წაისომდნენ დაუნდობლობისგან აფთრულ სახეზე (სახე ხომ მართლაც მრავალგვარია, მაგრამ გინდ ქალაქელ და გინდაც სოფლელ ჩარჩისა - ერთი), და განუწყვეტლივ იღეჭებოდნენ თუნდ მხოლოდ იმდენ და იმდენი მართლა ხელისჭუჭყ კუპონის საღეჭებსა თუ უკრაინულ მზესუმზირას რუსებივითაც აკნატუნებდნენ, კარგი მეცნიერის მისუსტებულ ოჯახს თავის როგორმე გასატანად რომ ეყოფოდა, და ორთავე გალაღებული რაღაც ერთი საერთო სქესი რაებს აღარა კადრულობდა, ბიზნესmen კაცებიცა და ბიზნესwomen ქალებიცა, ბაზარში კი პატიოსან, მიწის ერთგულ გლეხებს ნაკლებად ნახავდით, თუმც როგორ არ იყვნენ პატიოსნებიც, მაგრამ ისინი სოფლად, მიწაზე იყვნენ მიჯაჭვულები, როგორ არ გვყვანდნენ, გვყვანან, კი, გვყვანან!, მაგრამ არ ჩანდნენ, და გინდაც როგორმე მოეხერხებინათ და ქალაქში ჩამოსულიყვნენ, ქუჩებში ნაგავი გაცილებით უფრო შეიმჩნევა, ვიდრე სისუფთავე, და ამ ნაგავით ეს ჭუჭყიანი გვერდებიც როგორღაც უნებურად გასვრილია, რადგან ასე იყო; იქით - პატიოსანი გლეხები ზარალდებოდნენ, აქეთ - წესიერი ქალაქელები, იმათ შუა კი, როგორ

დათარეშობდნენ, და თუკი ეს გამოთქმა დასაშვებია მათთვის, როგორი ოქროს ხანა დაუდგათ ბანდიტებსა და ცრუპატრიოტებს, გამომძალველებს, ქურდებს, უტიფრებსა და თაღლითებს, მლიქვნელებს, არამზადებს და ასე შემდეგ, იოცნებებდნენ ვერც, ხოლო ეს ყოვლად მიშვებული ეგრეთწოდებული საბაზრო ეკონომიკა იმ (ამ) უტრანსპორტობაში ტრანსპორტით კოხტად მიმოსვლებიანი ქალაქელი თუ სოფლელი გადამყიდველებით იყო სავსე, და მარჯვე მიზანშეწონილობისთვის ხშირად შეამხანაგდებოდნენ კიდეც - ვაჟიკა რო ერთგან ყიდულობდა, ქალაუ მეორეგან ჰყიდდა, მერე ურთიერთეჭვით იყოფდნენ საბაზროეკონომიკურ ნაალაფარს, შეიქნა ჰარმონიული წყვილები - გრაკლელი ტრისტანა და კასპელი იზოლდა, ზესტაფონელი რომეო და ჩოხატაურელი ჯულეტა, ზემომაჩხაანელი ალფრედა და ქვემოხანდაკელი ვიოლეტა, ძეგველი აბესალომა და მცხეთელი ეთერა, გვხვდებოდნენ ქალაქ-სოფელ აღრეული ჯუხტებიც, ასე მაგალითად: სურამელი ჰამლეტა და სანზონელი დეზდემონა, სამტრედიელი რუსლანა და ნავთლუღელი ტატიანა, ჩხოროწყუელი იაგო და ლედი შესტერფილდი რა იყო არამედ ღრმაღელელი უბრალო ლუდმილა, შავქვამარგანეც-ჭიათურული ოტელო და ჰავლაბრელი ნაზი ოფიკ-ი.

მაგრამ სულ ასე ფიქრი ვერ შეიძლებოდა, თუნდ სიბნელეში, თუნდ მოშიებულსა და ისეთ სიცივეში, რომელშიაც რომ ყოფილ თბოგამომცემ რადიატორთან ჯდომა უფრო სახიფათო იყო ფილტვების ანთების შეყრის თვალსაზრისით, რადგანაც რკინა უფრო ცივდება, მაგრამ ყოველთვის ხომ არსებობს გამოსავალი, რომელს არა გვაქვს თუ მოვიძიებთ და, მთლად იქვე, გვერდით ედო გამოსავალი კი არა, მეტი, - შვება, რომელს არა გვაქვს ესეც, თუკი მოვიძიებთ, მერე როგორი, მარადიულობიდან მოყოლებული მართლა, და იმ სიბნელეში ალალბედობით გადაშლიდა იმ თავის შვებას, და, ლამპისა თუ ასანთის შუქზე:

„ზღვა - შესაკრებელი წყალთა“,

წყალი როგორ არ მოდიოდა, თუნდაც აქ, ამ დიდ წიგნში, მუდამ:

„მედინი - მომდინარე, თუ წარმდინარე“, -

მარადმედინი მდინარეები, შვება,

გადაშლიდა და,

„ფშო ფშო - ცხენის დაყვავება“,

გადმოშლიდა და,

„კაჟი არს ქვა ცეცხლის მშობელი“,

განათდებოდა, როცა იქნებოდა განათებაც კი იქნებოდა სრულიადი,

გადაშლიდა და, როგორი დამთხვევა -

„მარადის - ნიადაგ მუდამ“,

ისევ გადაშლიდა და, როგორი ცნობისაღმძვრელი,

„ქალაქი“...

თავს გადასწევდა, თვალებდახუჭული, ნეტა როგორ ახსნიდა დიდი მესიტყვე, ჩვენთვის ახლაც მომეცადინე ბერი ქალაქს, ასანთს გაჰკრავდა,

„ქალაქი - თანამრავლობასა და თანამოსახლობასა ქ ა ლ ა ქ სახელედების, ვინათგან კაცი ერთი ვერ კმა ეყოს თავსა თვისსა, არამედ - ასანთის მეორე ღერი - არამედ რათა შევეწყოდეთ ერთი მეორესა და სარგებელსა მივანაყოფებდეთ“,

ისემც!.. არა, სიტყვის დიდ პაპას როგორ აკადრებდა ამას, თანაც ეს განმარტებაზე მეტად სურვილი იყო - „რათა შევეწყოდეთ ერთი მეორესა“, „და სარგებელს მივანაყოფებდეთ“, მაგრამ არამედ ცოტათი მისიც იმდღევანდელი თბილისი ახსენდებოდა, ქართველებისგანვე აღებული და დაქცეული, და სოხუმზე ადრე დაცემული, ამაზე, როგორმე, შემდგომ, მაგრამ ამჟამად „სარგებელს მივანაყოფებდეთ“ კი არა, ვის როგორ გაეყვლიფე, აღარ იცოდა, თუმც არა, არა, მშვენივრად იცოდნენ და სწორედ ამ ქვესიმშვენიერებით სარგებლობდნენ; ადრე როგორღაც შედარებით მსუბუქად ხდებოდა ქალაქად ჩამოსვლა, და ეღიმებოდა უღირსს სიბნელეში - თუნდაც ჯამბულიასი აეღო მაგალითი:

მიდიან ერთხელ, ადრე, ოცდაათიოდე წლის წინათ, ოცდახუთისანი თუ იქნებოდნენ, უღირსი და ერთიც მისი უახლოესი ძმაკაცი ქუჩა-ქუჩა და, უცებ ძმაკაცი ჩერდება, ამბობს:

- ვაჰ! მეჩვენება თუ...

- რა...

- აგერ, ის.

ის ერთი ხმელი, მაღალი, წვრილულვაშ დაყენებული მათივე კბილა ვაჟია, ხესთან დამდგარა, შავად შემართულ ყარყატს წააგავს, ეგრევე ჩანს რომ, კარგა მჩქეფია, მაგრამ თან როგორღაც თითქოს ამისი სანაძლეო წააგოო, ისე უგულოდ და მალიმალ, რაღაც სავალდებულოსავით, მაპატიეთ და, იწიტება.

- არა, არა, ნაღდად ისაა, - ამბობს ძმაკაცი, - მაგრამ სოფლიდან ასე მარტო, ამ სიშორეზე როგორ გამოუშვეს...

- რა, ეგეთია?

- ვაჰ!.. თუმცა, რა იცი, დიდი ხანია აღარ მინახავს... ეგება გამოსწორდა... წამო, მივიდეთ.

მიდიან:

- ჯამბულას, გაუ!!

- ოო, ოოო, ბიჭო!? - თავიდან ძალიან უხარია ჯამბულას, უშუალოა.

- რას შობი, ბიჭო, რავა ხარ... - ჯამბულას მშობლიურ, ანუ გასაგებ კილოკავზე გადადის უღირსის ძმაკაცი.

- ძალიან კარქათ! ძალიან, კარქათ ძალიანი!..

- რამდენი ხანია აღარ მინახავხარ, როგორ გაზრდილხარ, დამშვენებულხარ...

- კი.

პაუზა. ყოვნი.

- აქ რას აკეთებ? - ეკითხება ჯამბულიას ძმაკაცი, აბა იმას ხომ არ აჯახებს, „ქუჩაში მარტო როგორ გამოგიშვესო“.

- სად აქ... აქანე, ახლა?

- არა, საერთოდ.

- საერთოთაც და ისეთაც, - თავი შეუმართავს ჯამბულს, - ტაქსომატორის პარკში ვმუშაოფ მე.

- ვაჰ... და რაზე მუშაობ?

- თანამდებობაზე.

„ბიჭოს?“ - ჯამბულასაგან, ამდენი სერიოზული სიტყვა.

- რა თანამდებობაა...

- დარაჯისი.

- უჰ!.. და, მარტოს განდობენ?

- არა, ბევრი ვართ რამდენიმე... მე კარებს ვდარაჯოფ.

- მარტო?

- აბა? მარტო სამი ვართ. რა დარაჯობა კარებს უნდა, ღიაა ისედაც სულ.

- აა... და, ვინ მოგაწყო?

- იყო ერთი.

- რა, აღარ არის?

- არა. ორ დღეში მოკვტნა.

- აჰ!.. თუმცა, რა იქნებოდა აბა... და, ბევრია სადარაჯო?

- რა.

- ტაქსი.

- სამასი, ძალიანი. სუ სხვადასხვათი ნომრები აქ.

- უჰ... ხელფასი რა გაქ.

- ხელფასს მოუკვტა პატრონი!.. ექვსასი შოფერია, აბაზს ყველანი მაძლევენ დღეში.

უღირსიც - „ბიჭოს?..“ - დღეში ას ოცი მანეთი... ერთი დღისათვის ეს მართლაც დიდი ფული იყო მაშინ... ვინმე ნიჭიერი თუ ნაკლებ, მაგრამ მეცნიერ-თანამშრომლის დაუქვითავად ერთი თვის ხელფასი.

არადა, ვერაა მთლად ისე ჩაცმული, რომ გაგეხარდეს თუ არა, ესიამოვნოს მაინც, თვალს. ხომ არ იტყუება... ძმაკაციც:

- მერედა, მაგდენ ფულს რას უშვები.

- რავა რას ვუშობი, დურაჩქას ვთამაშოფ.

- აა... ისევ იმ შოფრებთან?

- არა. სხვა ბიჭებია. უკეთესი.

- აა...

- არც მყოფნის ხანდისხან დღეში.

- რას გეყოფა, კი.

მცირე პაუზა.

- კოლექტივს როგორ შეეჩვიე.

- კოლექტივს მოუკვტა პატრონი. წამეკვედი აქ.

- არა, შოფრების კოლექტივს.

- ჰოო, კარქათ ძალიანი. გიჟდებიან ჩემზე.

- რა დააშავე ასეთი...

- რა და, ვუყობი სოფლის ამბებს.

პაუზი. ანუ შედარებითი გრძელი ყოვნი, რადგან იცის უღირსის ძმაკაცმა, რატომაც გიჟდებიან ჯამბულიათი, ჯამბულიათი სიცილი შეიძლება რომ? - ცრემლის წყარომდე...

- და იმ ბიჭებსაც ძაან უყვარხარ?

- რომელი ბიჭებს.

- დურაჩკას რომ გეთამაშებიან.

- კი!

- საიდან იცი...

- საიდან ვიცი და, რომ კი ხო მივალ სათამაშოთ? ოოო, ოო, ეს ვინ მევიდაო, ვენაცვალეო, შეიძახიან... ერთათ... ისეთი კარქათ მექცევიან, მეგრელებია მარა, თლათ გურულები გეგონება უმაღლესი.

- აჰა.

ფაუზა. აქანა.

იჯდა უღირსი სიბნელეში, იღიმებოდა, ახსენდებოდა:

ძმაკაცს, ეტყობა, მაინც გული უჩუყდება, ისე შესცქერის,

- მერედა, სულ ასე აპირებ ყოფნას?

- რომელი ასე... ახლას?

- არა. ყოველდღე აბაზობით რომ აგროვო და მსხვილად წააგო მერე.

- ჯერ ეს ეგ ერთი, - სერიოზნულდება ჯამბულ, - მე კი არ ვაგროვეფ, თავისით მიყრიან სტოლში, და, - აქ კი ძალიან ქედმაღლდება ნამეტურ, - სულ ასე კი არ ვიდგები აგერ მე და ასე ტყვილა ვლაპარაკოფ, აგერააგერ სვეტში უნდა მოვხვდე მე.

- სადაო?..

- სვეტში.

აქ კი ძმაკაცი თავს ვეღარ იკავებს და სიცილისაგან ისე იხრება, ქუდი უვარდება და ასაღებად უფრო რომ დაიხრება, ჯამბულია თავში მსუბუქად ჩაუთათებს.

ძმაკაცი წელში იმართება, მკაცრად შესცქერის. თვალები ეცვლება რომ, მტერს და ავისას, ჯამბულასთანას შვიდს გალახავს, არც თავში ჩარტყმას აპატიებს ნებისმიერ ვინმეს, მაგრამ ჯამბულა - მაინც სხვაა, და ძალიან უცებ ლხვება - რა გინდა უყო, თან მჩქეფარ-სულელია, თანაც კიდევ - მამიდას სოფლელი, სუბავშვობიდან მოყოლებული, ბევრი ზაფხული ფეხშიშველებს ერთადა აქვთ გატარებული, მშობლიურსავითაა, თანაც კიდე - უნებურად ხალასი, თავისი თავის უბედური. უღიმიან, ისევ:

- როგორ აპირებ მოხვედრას მერე...

- რა დაპირება მაგას უნდა. ჯერ ეს ეგ ერთი, კარქათ შევეწყეთ ერთმანეთს ძალიანი,

ნამდვილად კარგად შეეწყობოდნენ, სიტყვა-პასუხი აქვს ჯამბულას მაღალი საზოგადოებისათვის ისეთი მშვენიერი კარგი,

- და თლათ არაფერი ნანდომევა სვეტში მოხვედრას, ხოლოთ სამი რამე...

- რა და რა, ჯამბულ!.. ერთი ეგ მასწავლე, შენი ჭირიმე და, მომკალი თუ გინდა მერე...

- არ მოგკლავ და არც გაგლახავ და ისე გეტყვი, რა გაქ მოსაკლავი, რა და რა უნდა და... აგი ვინაა?

- ამხანაგია ჩემი.

- სანდოა?

- კი.

- აბა რა და რაი და, პირველი იგი ყოფილა, რაცხა წიგნია წასაკითხი ამხანაგობაზე, გვარი არ მახსოვს სახელი მახსოვს წიგნისი სამი ამხანაგი ყოფილა თურმე ძმურათ ძველში და ის უნდა წევიკითხოო აუცილებლათ, რა უნდა მაგას, წერა და კითხვა და ლექსები და შაირები და ნაკოლკის გარჩევა ბაღნობიდანვე ისედაც კი ვიცოდი მე.

ძმაკაცი თავს კი იკავებს, მაგრამ იგუდება,

- მერე, მეორე?

- მეორე იგი ნანდომა თუ, რაღაცა კარტის თამაში ყოფილა პრიფირანსი, ის უნდა დაისტავლო უნდა.

- მერედა, შეძლებ?

- დიდი შეძლება იმას უნდა! მაყურებიეს ერთხელ ახლოდან და, იქაც ტუზვალეტი და ცხრიანებია, რავარც დურაჩქაში.

- მართლა, ხო იცი... და, მესამე რაა?

- მესამე იია, პატარპატარა რუსული თითო ღერი სიტყვები უნდა გამოურიო ლაპარიკში და თუ ზედიზეთ ორი კაკალი? - თლათ იმათი ხარ.

- რა იცი მერე რუსული შენ.

- რავა არ ვიცი ორი ღერი!.. ასეა, დიდი ხანია რო არ გინახივარ ვიღაცა ხარ შენ, დრასტ-გაუმარჯოს, დარაგაია, ჩაო, ეე, ნიჩავო პადობნავო ალიკ, ეე, ლიკა სიგარეტი ესტ? კიდო, პაჟალუსტა, ტროლეიბუსი, საშკა...

- სდექ! ჯამბულია, სდექ!.. და აბა ტროლეიბუსს ქართულად როგორ ქვია, ის თუ იცი შენ!

- რავა არ ვიცი, მარა ქართულს რაც უფრო კარქათ დაამახინჯეფ, უკეთესია მაგინისათვის უფრო... არაა პატრიოტი.

ბიჭოს!?

- შენ მაგი სულ არ გაგიჭირდება, მაგრამ ტროლეიბუსს ქართულად რა ქვია, ნამდვილად ვერ უნდა იცოდე შენ.

- რავა არ ვიცი! - ხალხის გრუზავიკი!!

დაკვირვებავ, ძალსა შენსა..

- რა გოგუები ყავთ მერე თუ იცი! ზოგიერთები მინისტერების ქალიშვილებია. ქალიშვილები თუა... რას დგრიალობენ? ბაღნებიანა, სუყოველივე პაპიროზს წევა... ხო მართლა, კიდო რუსული სიტყვები, დეკოლტე გინდა, კაიკაი ბროშკები, მარტო კაბები აცვიათ ისეთი, გადასარევი, ერთია მაინც, სუყველაფერი უჩანა. ძალიანი კარქათ თუ დაუკვირდები.

ძმაკაცს სუნთქვა მართლა ძალიან უჭირს, გადაუხარხარებლობა - უფრო, მაგრამ ცოტათიც სიბრალულით ივსება.

- და... შენ რომ ვერ ხარ კარგი ჩაცმული?

- ჩაცმას რა უნდა! არ ვითამაშეფ ერთ კვირას დურაჩქას და, მერე შენი მოწონებული.

მართალს ამბობდა; ფული ფულობდა. მაშინ.

- ჩაცმას რა უნდა! - არ ცხრებოდა ჯამბულა, - თავისი თავის ჩაცმას რა უნდა, სხვისი გახთა თქვი შენ!

მართალი იყო კვლავაც.

- კაი აბა, ჯამბულ, წავედით აბა ჩვენ...

- ხომართლა, ბიჭო, ჯამბულას მეტი ნუ დამიძახეფ.

- აბა?

- გადამარქვეს სახელი.

- ვინ...

- იგენმა. სვეტებმა.

- აჰ!.. და რა გქვია ახლა?

- ჯამლეტა. ჯამ. სულ ასე ჩივიან, რანაირი ხარ იციი, ჯამ? - და, იმათსავით მხრებ-წელს ითამაშებს.

„ხედავ შენ, ბიჭო, როგორ აჯავრებს“, უკვირს ძმაკაცს... მერე კი:

- პასპორტულადაც ჯამლეტა გახდი?

- ჯერე არა, არა, მარა არ ვითამაშეფ კიდო ორ დღეს,

ამჯერადაც, სწორი იყო ი კაცი, სიმართლეს ჩიოდა,

- კი მაგრამ, თავიდან როგორ გაიცანი...

- დიდი გაცნობა იგენს უნდოდა. მივყევი ქუჩაზე საღამოზე ერთს, დაველაპარიკე ჩემებურათ ერთი პირობა, თავიდან რაცხა ვერ მოუვედი მზის აჩკებში, მარა ხო იცი რაღაცაა ადამიანის ენა... გეიცინა ერთი პირობა, იცინა მერეც. გაჩერდა მერე რაღაცა სახლთან, მოი მოიო, მითხრა. ავყევი მაღლა. მეგონა პირდაპირ კრაოტში ამომაყოფიებდა თავს, მარა დღეობა ყოფილა ვიღაცასი. გოგოსი. ა შენ, რავალი პადარკაო, უთხრა. ჩემზე. ბევრები იყვენ. მარა დანახვა იყო იგენის ჩემი და, მაშინათვე ყოველივეს მოვეწონე. მაყოლეს და მაყოლეს ამბები. ენაა სუყოლიფერი.

მართალს ჩიოდა.

- პირიფირანსის მეტი, დურაჩქას აღარ ვითამაშეფ და, ვუტირეფ ყოფას!

- ვის...

- არავის, ისე... სიტყვაზე წამომცთა.

- აა... ჩაო აბა ჯამბულია და, ეეე, ბოდიში... ბოდიში, ჯამი, წავედით აბა ახლა ჩვენ, ჯამ...

- უიმე მართლა, არავისთან დაგცთეს სოფლიდან რო ვართ, პირდაპირ ჩოხატაურიდანააოთქვა, ასე უთხარი.

- ვის.

- რა ვიცი მე ვის, ვისაც გინდა. მე მოგიძებნო, ხალხი?

- მაშვინ, ჩემო ჯამ, გაიცანი ეს, ამხანაგია ჩემი, - წარუდგინა უღირსი, - ეს კიდო, ზაფხულის ბაღნობის ამხანაგია ჩემი, პირდაპირ რაიეპიცენტრ ჩოხატაურიდანაა.

- ემასე!

ფაუზი.

- წავედით აბა ჩვენ...

- რა გეჩქარებათ... რამე ხოარ გინდათ.

გულითა თქვა ეს, ეს უცნაური ყოვლად, ქართული სიკეთე, ეს.

- არა.

- მითხარი ბიჭო, ნუ მერიდები, დღეს ჯერ სუ არ მითამაშია არცერხელ.

- არა, არაფერი.

- და არც სემიჩქა?

- სემიჩქა კი.

- ა!

გულუხვად უყრის პეშვიდან პეშვზე, ასფალტზეც ჭარბად ებნევა, ხელ და პეშვგაშლილობა ქართველური ეს, ჩვენი, ცუდი თუ კარგი?.. რაღა თქმა უნდა, მაინც უფრო კარგი, ვიდრე სიძუნწე.

- თუ გინდა, გაგაცნოფ რომელიმეს.

- ვინ რომელიმეს...

- გოგოს რომელიმეს. მერე.

- ეს როდის მერე...

- კი რო მიმიღებენ.

- სვეტში? მართლა, რომელ რიცხვში გაქ გამოცდები...

- ვუი, აბდალი... სუ გამოცთაში არ ვართ ჩვეენ?

- ვინ ჩვენ, ბიჭო?

ჯამმა გეიმართა და თქვა:

- ადამიანები.

ესეც, გინდ ყურმოკრული და თუნდაც შემთხვევითი, მაინც სიმართლე როგორ... როგორც იტყვიან, ნებსითა თუ უნებლიეთ, ათიანებში ურტყამდა ჯამი. ზოგიერთული სიბრძნეების, პირდაპირ ჯამ-ჭურჭელი.

- აბა კარგად, კარგად...

- ჩაო.

რეპეტირებდა.

ნამეტურ დროზე გაეცალნენ, თორემ ნამდვილად გაგუდავდათ იმდენჯერ შეკავებული სიცილი.

- ისე, რომ იცოდე, - აღნიშნა მერე ძმაკაცმა, - მართლა ძალიან გამოცვლილა.

- სულ აურია?

- არა, უკეთესობისკენ.

- რა, ადრე ამაზე უარესი იყო?

- აჰ! ერთხელ, ქორწილში, ჯერ სულაც არ იყო ღვინითაც დამატებით მთვრალი და, ხალხისთვის ვითომ თავი რომ მოეწონებინა, ეს მაინც არ მიჩივლებსო და, ბიძაშვილს ყბაში ლეწა კასტეტი.

- მერე, უჩივლეს?

- არა. ჯერ კი აპირებდნენ პატარძლის მშობლები, მაგრამ იმათაც აღარ უჩივლეს, რადგან ისევ ესენი, ბიძაშვილისები შეეხვეწნენ, ციხეში მაინც ჩვენი სარჩენი გახდება სასმელ-საჭმელით, არა, მარტო საჭმელითო და აქვე სოფელში დავამწყვდევთ და ისე ვაჭმევთო... ტყვილა სად ვიაროთო...

- ასე ძალიან გამწარდნენ პატარძლის მშობლები?

- უჰ! ჩაეშალათ ხუთასკაციანი ქორწილი.

- რა, მასობრივი ჩხუბი ატყდა?

- არა, კაცო.

- აბა? გაეყოლებინათ საავადმყოფოში ამის ბიძაშვილისთვის გინდ ათი კაცი ახლობელი და, დანარჩენ ოთხას ოთხმოცდაათს გაეგრძელებინათ ქორწილი მერე.

- როგორ გაეგრძელებინათ... იტყვი რაღა, შენც, როგორ, ქორწილი და, უსიძოდ?

- როგორ თუ უსიძოდ...

- როგორ და, სწორედ იმ ბიძაშვილის ქორწილი იყო. ასე ვთქვათ, - აქ კი მართლა კინაღამ დაიხრჩვა ძმაკაცი, - გაბედნიერების დღე!

იცინეს, იცინეს, მაგრამ სასაცილოა ყბის ჩატეხა აბადა განა? მაგრამ იცინეს, უღირსი ახლაც, სიბნელეში, იღიმებოდა,

- და რამე ადრინდელი მტრობა ხომ არ ედო გულში...

- არა, ერთი ის იყო, არ მიჩივლებსო.

- გამართლებია, კარგად.

კი, უმართლებდა, გინდა ჯამბულია დაგეძახნა და გინდაც ჯამი.

ნეტა, სვეტშიაც მოხვდებოდა?

ხოლო იყო ადრე და სხვაგან კიდევ ერთი სოფლელი კაცი, ის ჯამბულიაზე ახალგაზრდა გადავიდა ბედის საძებრად ქალაქში. მაგრამ ის თავიდანვე ჩუმი, დარდიანი ვინმე იყო, და როგორც იტყვიან, გარკვეული მუსიკალური მონაცემები ჰქონდა. ცნობილ კონსერვატორიაშიც კი დააპირა შესვლა, მაგრამ ძირეულად მომთხოვნა საქმის ზედმიწევნულად აღიარებულმა გამომცდელებმა უნიჭოდ ჩათვალესა და, მკაცრ გამოცდაზე, ჩაჭრეს, მუსიკის მაღლივ სიმაღლეებზე სწავლა აეკრძალა. მაგრამ ოპერის თავისით წერას ვინ დაუშლიდა, იჯდა თავისთვის საკრავთან და, როგორც შეეძლო, წერდა, ეს მუსიკის თხზვა ყველაფერს ერჩია, ბავშვობაშიაც, სამიოდ წლისა ეკლესიაში ერთხელაც რომ წაიყვანეს, უცებ, წირვის დამთავრებისთანავე ძალიან დააპირა ეს და დიდ ორღანოს მოჯადოებული მიუახლოვდა და იმანაც, ბავშვმა, მოუნდომა ორღანოს დაკვრა, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ მიაღწია, სუსტი ხელებითა და ფეხებით რომ ვერ დააცდევინა ჩქამი, ეკლესიიდან გამოვარდა, შინიდან ჩაქუჩი მოარბენინა და, რადგან უცნაურად

წვეულ ნებაზე სუსტი კიდურებით მანამდე რომ ვერ დაიმორჩილა, კლავიშებს ახლა ჩაქუჩი გამეტებით დასცხო, ამაოდ, ისიც - ეს ერთადერთი ჩხუბი იყო მისი, გინდაც უსულო საგანთან, თუმცა, ორღანო უსულო როგორაა. მერეც, ბავშვობიდანვე გულჩათხრობილსა და გარიყულს, მხოლოდ მუსიკის მსურველს, არასოდეს უხმარია არც ჩაქუჩი და აღარც მუშტი და არც, რაღა თქმა უნდა, კასტეტი, სხვა ომები ელოდა, სულ სხვა იარაღებიანი, მაგრამ ის პირველი დამარცხება, ბგერების განდგომა, საბოლოოდ დაიმახსოვრა. ისე კი, ქალაქად, როგორც იტყვიან კარგი ბედი შეხვდა - მდიდარი კაცის ქალიშვილზე დაქორწინდა თან სიყვარულით, ჯერ შეეძინათ გოგონა, რომელსაც ჩუმად ბედნიერმა საჩვილო სიმღერა უძღვნა, ჰქონდა რაღაცა რომანსებიც, დიდი ვერაფერიშვილი. წესით და რიგით, ზედაპირულად არხეინადაც კი უნდა ეგრძნო თავი, სიმამრის შემწეობით ჩვეულებრივი სასმელ-საჭმელი იმას არ აკლდა, პატარა ბინა, მასწავლებლობდაც, მაგრამ მაინც გულჩათხრობილი და დარდიანი იყო, რადგან როგორრღაც მკაფიოდ გრძნობდა და ედო რაღაც გაურკვევლური მომავალი ჯერაც მთლად მუნჯი მუსიკის ჩანასახი, მეტად საეჭვოდ სამომავლოდ ბოგინა და ჯერ თუმც ვერარსებული და მაინც რატომღაც ყრუდ მძიმე ბარგი, თითქოსდამჟღერა. პირველ ოპერაზე მუშაობდა, შეეძინა ვაჟიც, მაგრამ რამდენიმე დღეში გოგონა გარდაეცვალა. მუსიკოსობის მჩხრეკი თავზარდაცემულია, მისი მეუღლე ჭკუიდან გადასულსა ჰგავს, დღითიდღე ხმება, ხოლო თუმც გაუბედურებული გულჩათხრობილი მაძიებლისათვის მაინც არის მუსიკაც - „ც“... ორწლიანი შრომის ოპერა დამთავრებულია, სადაცაა უნდა დადგან იმისი ქვეყნის ყველაზე სახელიან სცენაზე, მაგრამ ხდება რაღაც წარმოუდგენლად დაუმსახურები თავზარდამცემი შეუსაბამობა - უხმაურო ოჯახს, ვაჟი რაღაც ამოუცნობი სენით უავადდებათ, და ისიც, დასავით, ახლად ფეხადგმული, გვერდით აღარაა, ისიც დასავით მიუწვდომელი და შორსაა ძალიან, თხუთმეტი და თექვსმეტი თვისანი იყვნენ, მშობლების გულში რა ჩაიხედება. კომპოზიტორობის მაძიებელს აღარაფერი სურს, სიკვდილისა და მაგრამ მეუღლის გარდა, და, არის მუსიკა...ც. თან, ოპერა დამთავრებულია.

და გარკვეული წარმატებითაც იდგმება. აქეთიქითური დაახლოებითი შეფასებებით: „არა, რატომ...“ თუმც, იმდენად დიდი ვერაფერი, თან, რაღაც გავლენებიც შეიმჩნევა, მაგრამ რაღაცაც, ალაგ-ალაგ, წამიერობით, ჩანს. ხოლო ერთი მუსიკისმცოდნე იმასაც ჩასწვდება, რომ, „სასტიკი ბედით დამარცხებულები, ოპერის გმირები რაღაც ველური ჟინით იბრძვიან ბოლომდე“, ეს გოგონასი გარდაცვალებითაა, იმდროინდელი სიცოცხლესთან, ანუ მუსიკასთან ძნელი შეგუება... მაგრამ აღარ ჰყავს ვაჟიც. მაგრამ დაეძებს ახალ შინაარსს ახალი ოპერისათვის, რაღაც მძაფრი და მაღალი სურსაც და უნდა, მაგრამ დამკვეთის ჯიუტი მცდელობით ხელთ შერჩება სწორედ ისეთი რამ, რაც სრულებითაც არაა სამისო, მაგრამ თავს იმითი იმხნევებს, რომ ჯანდაბას შინაარსი, მუსიკა ხომ მისი იქნება, და ძალისძალათი წერს ხან ერთ არიას, ხან მესამეს, რაღაცა გუნდს. მაგრამ, ორმხრივი გულჩათხრობის მიუხედავად, ერთადერთი როგორი თანამოაზრე, შვილებით ორმაგად ობოლი დედა, გარდაეცვლება, მეუღლეც. როგორ დამდნარი... სამ წელიწადში - გოგონა, ვაჟი, თანამეუბედურე. რაღაც ოთხმაგად უბედურია თვით, რადგან უჯრაში იკეტება ის რაღაც არიები, რაღაცა გუნდი, რომლებსაც

ისედაც უმძრახად წერდა. აღარავისი დანახვა სურს, გარკვეული იმედების მომცემი დამწყები მუსიკოსი საბოლოოდ (როგორც ხშირად, ეს ცოტა ნაჩქარევი სიტყვა ხომ არაა - „საბოლოოდ“) გარიყულია, და თუმც იმპრესარიოს დაკვეთის დარღვევა შეძლებისდაგვარად ძალიან თხოვა, და სესხის მოცდა, მაგრამ იმას არაფრის გაგონება არ უნდა, არამედ მას ოპერა უნდა, თანაც როგორი - კომიკური, და თანაც ვისგან - ადამიანისგან, რომელსაც ალბათ მთელ დედამიწაზე ადრეც და შემდგომ არავისავით ისე ძალიან არ გააჩნდა იუმორის და, მით უმეტეს, კომიზმის სულ არავითარი გრძნობა. და, თანაც, - ახლა?

მაინც, როგორღაც, ამთავრებს.

ის მერე რა რომ ცოცხალ-მკვდარია, მაინც როგორღაც ცოცხალი ავტორი პრემიერისას აუცილებლად უნდა იჯდეს ორკესტრის ქვაბში, ჩემბალოსთან. პარტერ-ლოჟები გადაპრანჭული მაღალი საზოგადოებითაა სავსე, ხოლო ჯამბულიასთანები და იმაზეც გაცილებით უკეთესები, ქანდარაზე ჩანან. და თუმცა იმ თეატრს ბევრი ოპერის ჩაფლავება ახსოვს, მაგრამ ასეთი - არა, დამამცირებელი შეძახილები, სტვენა, ხარხარი, დაცინვები... განსაკუთ-რებით მარჯვე დაცინვისას, დიდი მხიარულება, ეს თავად მაყურებელი ასრულებს რაღაც წარმოუდგენლად მძლავრად კომიკურს, მუსიკა აღარც ისმის... მეორე დღესვე კი, მთელი მარჯვე ჟურნალისტობა ერთმანეთს ეჯიბრება როგორმე უფრო დაამცირონ, და ისე კიდევ მეტად ესხმის თავს და ანადგურებს, რომ ერთ ნეტარ დროს გარკვეული მონაცემების მქონე სოფლელი მედუქნის ბიჭი, ახლა სულ მარტოა, მარტო, მარტოდმარტო - უმუსიკოდაც, კი. რადგან თავადაც მშვენივრად იცის, რომ ეს ძალიან სუსტი ოპერაა - მთელი ეს კავატინები, არიები, დუეტები, რაღაცა გუნდი, ეს რაღაც თითიდან კი არა, მხოლოდ ფრჩხილიდან („კაცის თითისა რქანი“-დან) გამოწოვილი სიდუხჭირე და უშნოდ მანერულია, თუმცა რომელი მანერულობა, დროებით მომგებიანიც კი, არაა უშნო, მთლად მარტო რჩება, როგორი - უბედური?.. არა, მხოლოდღა უბედური მაშინღა იყო, სწორ ნოტებს და სვლას რომ ვერ პოულობდა, ახლა კი, იმდენ დამამცირებელ მოწმეიანს, მის ყოფას ნეტა რომელი სიტყვა შეეფერებოდა... ვითომ, „ყოვლად?“ არა; ალბათ - მხოლოდ „ასე“... რაღად უნდოდა კეთილი სიმამრის ნაწყალობევი, ანდა, საკვები, და საოპერო თეატრისაკენ თუმც აღარც კი იხედებოდა, მაგრამ იმ ქალაქს მაინც ვერ ტოვებდა, ეგებ იმიტომ რომ იქ ახლად ფეხადგმული შვილების თუმცა გამქრალი, მაგრამ მაინც ნაფეხურები ეგულებოდა, მერე, წესისამებრ ზამთარიც დადგა, და დადიოდა სახსენიებლად მშიერი, მწყურვალი, სიმწრით გარიყული, და ერთხელ ერთმა მოხუცმა ქალმა... - ლეგენდებიო... ლეგენდები არ არსებობენ, რადგან თუკი ვინმეს რაიმე რამ გამონაგონი შეეფერება, ეს აღარაა ლეგენდა და მითი და გამონაგონი, ეს რაღაც გამძაფრებული სინამდვილეა, მხოლოდ და მხოლოდ დიდად ამაღლებული, და თურმე ერთხელ, მწარედ მიმავალს, ერთმა მოხუცებულმა წაბლის გამყიდველმა ქალმა, როგორც ტანჯულსახიან უნებურად მათხოვარს, მის საცოდაობას დადევნებულმა, დაეწია და ქუდი მოხადა და შემწვარი წაბლი ჯამით ჩაუყარა, ეს - ჯამი იყო სულიწმიდასი, არ იყო მარტო. ცოლ-შვილის შემდეგ, თითები პირველად გაუთბა, წაბლით. მაგრამ მალევე გადაავიწყდა ეს მცირე არა, დიადი მადლი, - ნაკლებად გაჭირვებულისაგან, მაგრამ იმდროინდელ მის

ქვეყანაში, მომღერლები ჰერცოგებზე ნაკლებად როდი ჰქუხდნენ, კოლორატურები ყოფილიყვნენ თუნდაც, და ერთმა ასეთმა გამოჩენილმა სოპრანომ, რომელმაც იმ განადგურებულ მეორე ოპერაშიც, ისე-რა პირველს თავი რომ გავანებოთ, მაინც აღმოაჩინა რაღაც, თუმცა რაღა რაღაც - ფარული სხივი, და ამ ხელმოცარულ მუსიკოსთან ჩალაგამოვლებულიც დამკვეთი მაინც აიძულა და მიაგზავნა, ხოლო კარს რადგან არ უღებდნენ, ქუჩაში ჩაავლო ასე უბედური და ძალისძალათი ამოუჩარა იღლიაში სხვა დაწინაურებულ კომპოზიტორებისგან დაწუნებული რაღაც ლიბრეტო, იმპრესარიოსგან აქ ცდა ბედის მონახევრეაო არ იყო, ეს ცდა ბედის მეათიათასედიაო გახლდათ, და ცივ ოთახში მისაწოლად დაბრუნებულმა ყოფილმა მუსიკოსმა კი გამწარებულმა მოისროლა აის ლიბრეტო, კი მიაგდო და, მაგრამ სულიწმიდამ კი სწორედ იმ ადგილზე გადაუშალა, სადაც ეწერა: „წა, ფრინე აზრო, ოქროსფრთიანო“... „მე წავიკითხე მომდევნო სტრიქონები, რომლებმაც დიდად ამაფორიაქა, - დიდი ხნის შემდეგ გაიხსენებს ერთი-ც მუსიკოსი, - ეს თითქმის პერიფრაზი იყო ბიბლიიდან, რომლის კითხვაც მე ყოველთვის მიყვარდა. მაგრამ გავიხსენე რა ჩემი მყარი გადაწყვეტილება რომ მუსიკას აღარასოდეს დავბრუნებოდი, რვეული დავხურე და დასაძინებლად დავწექი. მაგრამ სადღა იყო დაძინება“... მართლაცდა, ძილი სად იქნებოდა, რადგან ცივსა და ბნელ ოთახში გამჭოლი სხივი ფარფატებდა სულიწმიდასი, „წამოვდექი და გადავიკითხე მთელი ლიბრეტო ერთხელ კი არა, ორჯერ და სამჯერ კი არა, არამედ ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ, დილისათვის კი, მთელი რვეული ზეპირად ვიცოდი... მერე ერთი დღე - ერთი სტრიქონი, მეორე დღე - მეორე და, ასე თანდათან, ოპერაც დავწერე“.

რისი კომიზმი და მსუბუქება, ეს - ტანჯულ ერზე ტკივილი იყო, ისეუბრალოდ არ გახლდათ საქმე, როგორც შემდგომში გაიხსენა. ეს ყველაფერში ეტყობოდა, ეს იყო რაღაც მგზნებარე შვება, ყველა იმ წინა... „წინა“ რა... მთელი მისი წარსულის დროებით მაინც გადამქელავი, აქ უკვე ის მორჩილი შემსრულებელი კი აღარაა, ახლახან რომ იყო, არა, არამედ - ჩამონათების ჭირვეული აღმსრულებელი, თვით გამოჩენილად ცნობილ პოეტს სიტყვებს უსწორებს, და თავიდან პოეტი ძალიან კი უკადრისობს ამას და თითქმის ძალიან ბრაზდება, მაგრამ უცებვე იბნევა და დაბნეული იხევს - მესამე ოპერის მცდელი კი არ ეკამათება, რაღაცით იწვის, რაღაც ბრიალებს, და - „კარგი, კარგით...“ და ეს ვინ ვის - მანამდეობით, ხელმოცარულ მბგერს! - ტაშის პოეტი.

ვაჰ.

მაგრამ რაღაც ათასიც გართულება, საკუთარები არ ეყოფოდა?, მათგან მთავარი კი - იმპრესარიო მოულოდნელად ყოყმანებს, იხევს, რადგან მთელი სამი ყოვლად აღიარებული კომპოზიტორის განაღდებული ოპერები აქვს ჯიბეში ანუ რეპერტუარში ხოლო დამწყები და მინამ ხელმოცარულიც კომპოზიტორის იმათთან გვერდით ყოფნა მაყურებლის გემოვნებისთვის სახიფათოა და აჯობებს თუ, შემოდგომამდე მოითმინონ, მაგრამ ავტორმა უკვე იცის, მშვენივრად იცის თუ რაც დაწერა, და სწორად იმ ცნობილ მომღერალ ქალს მოიშველიებს მისი რომ სჯერა. - იმისთვის განკუთვნილ სოპრანოს პარტიას მოასმენინებს და, აღფრთოვანებული მომღერალი მთელის არსებით გვერდით დაუდგება და იოლაფულის მშოვნელს ერთად უტევენ, შეტეული კი მაინც ყოყმანებს, თითქოს

თანხმდებაც მაგრამ აფიშებზე აის ოპერა მაინც არაა, და გააფთრებული, უკვე მაესტრო - ის მერე რა რომ ოპერა ჯერ არ მოუსმენიათ - ხომ იცის უკვე, რაც დაწერა, და ისეთ წერილს უგზავნის რომ, შეშინებულიც ცოტა ამაყწოდებიანი იმპრესსარიო და უბრალოდ კი იგივ ჯიბგირი, აფიშებს თავიდან აბეჭდინებს, სადაც რომ ამ სხვებისათვის ნეტა როგორი ამა ოპერის ერთსიტყვიანი სათაურიცაა, და ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებების, იმ ქმნილებების შემდგომ, რომლებითაც მართალია არ გადარეულან მაგრამ კვლავ ძალიან თბილად მიიღო პუბლიკურმა ხალხმა, და მოდის მისი დროც, ხელმოცარული დამწყებისა, საბოლოოდ დამღუპველი თუ ამაღზევებელი, არადა, უძვლოენიან დასის წყალობით უკვე დიდად დაინტერესებულია ხალხი, და, ერთსაც ადრიან მარტით, ცვალებად თვეში, როდესაც იმ დიდ ქალაქში საკმაოდ ცივა, მაგრამ იქაურები უამინდობას როდი დაგიდევენ, ნეტარა როგორ მუსიკასთან თუ ექნებათ საქმე, და დიდი ქალაქის დიდივ თეატრი ისევ გადაჭედილია, ისევ ის საზოგადოება დაწყებამდეც კი ფარდისაკენ ანთებულად მზერს, იციან იმათ აღფრთოვანებაცა და აღშფოთებაც, კომპოზიტორის მხრებით ტარება და დამპალი კვერცხ-პამიდვრების მიზანში მარჯვედ სროლა უკანა რიგებიდან, და გარკვეული მუსიკალური მონაცემების მქონე ფითრივით კაცი ჩემბალოსთან სხედს, და ჰა-ც, იწყება, და შესავალის პირველი ბგერებიდანვე, როგორ ძალიან აშკარაა, როგორ სათუთად ნათელია, რაღაც ახალ და ნანატრ ბედნიერებასთან, რომ აქვთ წილხვდომა, არა მხოლოდ მათ, უპირველეს, სოპრანოს, და ბანს, ხოლო, ერთი გუნდისას, რომელი წინა მანამდელი და მომდევნო ოვაციები, მთელი დარბაზი, სუ ერთად ქცეული, რისა და რისი აღფრთოვანება, არამედ გაგიჟებული, გადარეული, ბღავის, და იმა გუნდით დღესაც ბღავა! ეს სწორედ „წა, ფრინე აზრო ოქროსფრთიანო“ა, სულიწმიდათი ისე უბედურისთვის ბოძებული, გასაოცრებავ, გუნდისთვის მხოლოდ ცალ ბგერბგერობით ნაწყალობევი, მაგრამ ეს რაღაც უსასტიკესი, დამთრგუნავი რამ მოძრაობაა თვით ოკეანის, ჯერ ვითომც წყნარი ზმორება რამ, ჩურჩულეული, და როგორის დარბაისლური ვრცელი თანდისთანობით როგორ ღონივრად აყალყული და როგორღაც დინჯად შემდოვრებული და ამიტომაც, უფროდ რამ ცხადი, და რაღაა ეს - წარმოუდგენლობა, და - ცხადი?

მაგრამ სულიწმიდამ, დე გვეპატიოს აეს მისთვის როგორი დაბალი ჭეშმარიტება და, თავისი საქმე - იცის.

და, გულითა თუ წამხედურობით, დიდად აპლოდირებს ქანდარაზე ჯამბულიასთანიც.

...მერე მაესტრომ წერა და წერა ოპერები, და თუმც პირველი წარმატებებით ერთი ხანობა მაღალ საზოგადოებაში ყოფნა და იმხანად დიდად ცნობილ ვინმეებთან მიმოწერა დასჩვევდა, მაგრამ მცირე ხნით ეს, რადგან დაბადებიდანვე სიღატაკე გამოვლილმა, საკუთარი მიწის მონატრულმა, მუსიკის ფულით მამული შეიძინა მშობლიურ კუთხეში და იმ სამიოდ წელიწადში, რომელთაც „კატორღული წლები“ შეარქვა, ცხრა ოპერა შექმნა. ამ ცხრა ოპერიდან ზოგი მხოლოდ შედევრი იყო, ზოგი კი ესეც კი ვერ, ეს იყო და ეს, მთავარი ოპერები - წინ ედო. მაგრამ რაღაც გაურკვევლური შიში დასჩემდა დიადი ოპერების ვაჰთუ-შექმნისა, იცის, თუ რადაც დაუჯდება, და გამოსავალს პოულობს, - ვითომ მუსიკასთან ადრინდელი

სუყველაფერი რაც იყო, იყო და, მორჩა, გათავდა - ახლა მხოლოდ გლეხია; - არადა, ის სამი დიადი ოპერა აწამებს, ჯერ რომ არც იცის რაზე იქნება, და მერე ზედიზედ რომ ლეწა. არკი იმჩნევს, მაგრამ სული ტკივა, ხელს ითრევს იმათ დასაწერად, და თუ რომელი რაა „იმათ“ - წარმოდგენა არა აქვს ჯერ, და მაინც შიში უგრძნობს, რა შრომაც ელის, რისი მანამდელი კატორღა, და, რაღა თქმა უნდა, გადავადებისათვის გაცილებით ადვილ სამუშაოს ირჩევს - ნამდვილ გლეხებთან ერთად, რომლებსაც მასავით პატიოსანი შრომა ურჩევნიათ რაღაც თავზეხელაღებული საქმის ჩადენას და იმისთვის კატორღას, ისიც მუშაობს ცნობილი შრომით ოღონდ სინამდვილეში მხოლოდ გულისყური გადააქვს თიბვაში, მკაში, ტომრებს ეზიდება, იმ გლეხებივით ამოთხვრილა იფქლსა და ლაფში, ხეხილი მოჰყავს, ვაზს აშენებს, კრეფსა და წურავს, გატკბილულია უნოტებოდ გამწარებული, მისავათებამდე, ალიონიდან შებინდებამდე დიდად ირჯება ოღონდაც კი ის ოპერები როგორმე რაც შეიძლება შორს გადადოს და, ვითომ არ ახსოვს, სულაც არა, მაგრამ წამდაუწუმ კი იმეორებს: „მორჩა, გათავდა, მუსიკა მორჩა, მე მხოლოდ გლეხი ვარ“, ერთი ფერმერიც იყო ვითომ თავისთვის ასეთი, გვარად ფოლკნერი. ბავშვობიდანვე უკარებას, გულჩათხრობილს, გარდაუვალი აღმასვლის შიშით მთლად უფუჭდება ხასიათი, ვინაა ეს ტლუ მიწის მუშა, ის უმძრახია, გარიყული, პირმოკუმული, კერპი, ოჩანი მაგრამ ვერდია, ყველაფრისადმი ეჭვიანი, ურჩი, ბუზღუნა, უბოდიშო და მკაცრი, აჯამი მაგრამ ვერდია, თავისნათქვამა, სიტყვაძუნწი, ახირებული და უხიაკი მაგრამ ვერდია, დაუყოლიებელი, თავისნება, უდიერი, ღრჯუ და ჯიუტი და მერე როგორ მაგრამ ვერდია, ვერდი, ვერდი, ვერდია!, და ვის, თუ არ ამ ახირებულს, ერთი მახინჯი კარის კაცი, და ისიც ხნიერი, და თან ისიც კოჭლი, და ისიც ავყიად მასხარა, და ისიც ბოლოს ისე უბედური რომ, მაგრამ მთელი თავისი კვიმატი არსებით ისე ამოიჩემებს რომ, რომ შეყვარებამდე უყვარდება და კი იძახა ვაჟბატონმა კიდევ ერთხანს, რომ, „ნეტა ვინ, რა ოხერმა გამოიგონა ეს წყეული ნოტები, რომლებზედაც რომ უფრო საზიზღარი ქვეყნად არაფერია“, - ნეტა ფლობერი უფრო აძაგებდა იმ თავის წუმპეს ანუ პროზას თუ ეს - მუსიკას, მაგრამ იმ კოჭლმა, რიგოლეტომ, თავისი მაინც ძლიერა ქნა და ეს მაინც როგორ მიუსაჯა მახინჯი თავი და, და, და და - ჩემბალოსთან ზის ფრაკჭურვილი მითომი გლეხი.

ცოტა მანამდე კი - ხელისშეშლა მრავალებგვარი, მათგან ერთი კი, დამპყრობელისაგან, ავსტრიელისგან, აი ასეთი წერილებიც კი დაწერილა, ნოტების გარდაც რაღას არ იტანს უმი ქაღალდი, თან მაღლამდგომის აზრთა ხელქვეითის მიერ მშვენიერი კარგად გაკალიგრაფებული:

„მისი უგანათლებულესობა ბატონი სამხედრო გუბერნატორი კავალერი ჯარკოვსკი წუხს, რომ პოეტმა პიავემ და ცნობილმა მაესტრო ვერდიმ ვერ შეარჩიეს რაიმ სხვა თემა, რომელიც უფრო შეესაბამებოდა მათ ტალანტს, ვიდრე ეს სიუჟეტი, რომელიც ასერიგ მიუღებლად უზნეო და უხამსად ტრივიალურია, სახელწოდებით „წყევლა“.“

ჰეეი, ჯარკოვსკივ... კავალერო... დაპყრობილ ქვეყანაში თავის გამომჩენო... ჯარკოვსკი კიდევ ჰო, მუნდირიანი იქნებოდა, სამხედრო კაცი, და მეტ გაჯგიმულ მუნდი-რიანთან მოუნდებოდა თავის გამოჩენა, მაგრამ ერთსაც მუსიკათმცოდნეს რაღა ეტაკა... პრემიერის შემდეგ, იტალიურ ყაიდაზე გადაღფრთოვანებულ

ხალხში, გამოერია ერთი ისეთიც, რომ, რომ არ დაიჯერებთ და, მაგრამ მაინც გაგიმხელთ იმის ნათქვამს, რომ, თურმე, ნუღარ იტყვითა და, იმისი ჰაზრით, „რიგოლეტო“ მანამდე დაწერილ თხუთმეტთაგან ყველაზე სუსტი ოპერა ჰყოფილა. აჰ, ეს ფუთლუხი მუსიკათმცოდნე... როგორც ეს ხანდახან ხდება, ალბათ აისიც უნიჭო და ხელმოცარული მუსიკოსი იყო ყმაწვილკაცობაში ისიც და ამიტომაც სარფიან (ნუთუ გამოთქმა დღეინდელი პუნქტიდან - „სარფი“?!) საქმეს მიჰყო ხელი - მუსიკათმცოდნეობას, რომელშიაც რომ შემფასებელი, ანუ ვითომ ბეჩავ მუსიკოსზე მაღლამდგომი ამწონ-დამწონი ხააარ და, მაშინ ხომ ზემდგომმა ხომ უნდა სთქვას სხვათაგან რაღაც განსხვავებული და არამცთუ სთქუა, მეორე დღესვე ქაღალდოვან გაზეთშიაც კი დაბეჭდა ეს - სათავის გამომჩენოდ. კარგი თავისა ხომ კარგივ გამოჩენაა აკი ეს - თურმე, ჩვედაბალნო, ტაშებს რო ვუკრავთ ყველაფერზე, „რიგოლეტო“ზე უკეთესი ოპერაები ყოფულან „სტიფელიო“, „ლუიზა მილერი“, თვით ის კომიკური ოპერაც კი, ასე განაცხადა სწორედ ისე იმან, და თუმცა უღირსმა ტაროცის მშვენიერ და ტევად წიგნშიაც კი, საიდანაც რომ კუშტ მაესტროსთან დაკავშირებული არცთუ ცოტა შემთხვევა წყაროებრივად გამოიყენა, იმ ვრცელ წიგნშიაც კი, ვერსად წააწყდა ...ათმცოდნის საკუთარ გვარს ზედაც სახელიანად, და სადამდე ვეძახოთ ასე უმისამართოდ „უნიჭო“ და „ფუთლუხი“, არამედ რადგან ისიც არ შეიძლებოდა რომ მთლად უგვარსახელო ყოფილიყო რაკი, მოთ, პირობითად ვუწოდოთ რამე გვარსახელობის მაუწყებელი ფრაკიანს იმას რაკი, სახელად, ვთქვათ... დავუშვათ და... რაიმე მჟღერი, ჰო, აი თუნდაც, სახელად - ჯანჯაკომო, გვარად კი, ეე, გვარად ტარკინი, - რა, ცუდად ჟღერსა? არამც და არამც, და, სიტყვასა ვდებთ რომ, თავგამომჩენებს, ამასაცა და მუნ-დირ ჯარკოვსკის, შიგადაშიგ და შთამომავლობისათვის, მოვიხსენიებთ, დასტურ. თუნდაც აქავე!: ჰეეი, კავალერო, ჯარკოვსკიი-ვ!, ჰეჰ, მუსსინიორ ჯანჯაკომოო, ტარკინი!!.

და, რაღაც სამიოდ წელიწადში, სამი დიადი ოპერა - „რიგოლეტო!“, „ტრუბადური!“, „ტრავიატა!“, ხოლო მომდევნო ორ წელიწადში ყოვლად უცნაური „სიმონ ბოკანეგრა“, რომელიც ხალხმა ვერ გაიგო და არ მიიღო, მაგრამ მაესტრომ ერთ წერილში გაკვრით აღნიშნა, რომ „ეს ოპერა არაა სხვებზე ცუდი“, და რა იცოდა, დიდი ხნის შემდეგ ორკესტრში რომ ერთიც გარკვეული იმედის მომცემი მევიოლონჩელე აღმოაჩნდებოდა, და თურმე ძალიან ბევრი წლების შემდგომ, როცა ავტორი აღარ იქნება, თურმე სწორედ ის ახალგაზრდა, დირიჟორი გახდებოდა და სწორედ იგი, სახელად არტურო, გვარად ტოსკანინი, ამ ოპერის თავისეული წაკითხვით მთელ მუსიკალურ სამყაროს დაითანხმებდა რომ „სიმონ ბოკანეგრა“-ც თუმც ყოვლად უცნაური, მაგრამ დიადი ოპერაა“; დავბრუნდეთ ცოცხალ მაესტროსთან, - მერე კიდევ ორი წელიწადი, ისევ დიადი „ბალ-მასკარადი“, მერე კი თუმც სამი გრძელი წელიწადი, მაგრამ აშკარად შედარებითი ჩავარდნა, ისე კი, „სიცილიური სერობა“ სხვა ვინმე მოყმეს, ვთქვათ ტარკინის, კაცად-ს გახდიდა, მერე - მთელი ხუთი წელი, მაგრამ - დიადი „დონ კარლოსი“, და ისევ, მერამდენედ, გაუთავებლად რომ: „მორჩა, გათავდა!, - მუსიკა საბოლოოდ მორჩა“.

ახლა, ძნელად წარმოსადგენი კია მაგრამ კიდევ მეტად გაღრჯუებული დაბორიალებს თავის მამულში, ყველაფრით უკმაყოფილო კი არა, აღშფოთებულია, გაუთავებლად აბეზარობს, ბუზღუნა შენიშვნებს იძლევა, მოკლედ, შარზეა, რაღადღა უნდა აის ოხერი მუსიკა, აკი ხომ დაწერა, ხომე, დიადი ოპერები, მერე განა ერთი და განა ორი, ხომ მოარჯულა კომიკური ოპერისას ისე მტრულად განწყობილი პუბლიკა, სწორედ ის იტალიელი მაყურებლები, - მტერს ექნა იმათთან საქმე - ერთხელაც, ერთმა ცნობილმა ბანმა მის ერთ-ერთ ოპერაში ისე ბრწყინვალედ, და რაც უფრო მთავარი აღმოჩნდა, ისე დამაჯერებლად შეასრულა ფრიდრიჰ (ენგელსის გარდაც) ბარბაროსას პარტია, რომ ეშხში უზომოდ შესული მაყურებლები სცენაზე აიჭრნენ და გასალახავად გამოეკიდნენ და ნამდვილად გლახათ იქნებოდა იმისი საქმე, სხვა ეგრეთწოდებულ „დადებითი პერსონაჟები“ს რომ არ გაეგდებინებინათ ხელიდან, საბრალო ბანუკა კი შიშისაგან მთელი ორი დღით ჩახლეჩილი კოლორატურა გახდა, კიდევ კარგი რომ მომჯობინდა და გამოსწორდა მერე და თვალებს ისე ძალიან აღარ აბრიალებდა, მხოლოდ ზომიერად, ხოლო მაესტრომ, იმასავით, რამდენს შთაჰბერა ნოტებით სიცოცხლე, აუარებას, ჯერ მხოლოდ გუნდებს რა დაითვლის, ამ მხრივ თვით შექსპირს, თავის კერპს, ჰგვანა, თან, იმასავით ვერ დაიკვეხნის წინაპრებით, ერთი თუ მეტყავეს ოჯახიდანაა, მეორე - მედუქნის, დუქანი ხომ ვგონებთ რაღაც აგდებულ სათავსსა ნიშნავს, ნეტა „დუქანი“ს ახსნაც თუ აქვს დიდ ბერს თავის „კონა“ში, აჰა, ჰქონია:

„დუქანი - უკუსაჯდომელი, გინა სასაქმო“,

ვაჰ!, განა ასე სთვრებიან იქა?.. ვერ უნდა იყოს ნამდვილად კარგი, მოკლედ, სატყავეზეც კი უარესად ჟღერს, მაგრამ თვით ბეთჰოვენი რატომ და როგორ და რად და როგორღა დაიარებოდა ყოველდღე იქა, უცნაურია, მაგრამ სულიწმიდა მსგავს მცირე წვრილმანებს არად დაგიდევთ - და ესეც, ესა, მედუქნის შვილი, სად ოპერა და სად პარლამენტი მაგრამ ამ ყოველთვის მარადიულად ჭარბი თავთავყრილობის უნებური მაგრამ წევრია თუმც არ ესწრება რაღა თქმა უნდა - კი, კი, მეტი საქმე არა აქვს, გლეხს; ორდენებს ანიჭებენ, წოდებებიო, რამე, და იმ კონსერვატორიის თავკაცობაც კი შესთავაზეს, სადაც ყოვლად უმომავლისმქონეოდ ჩასთვალეს ფრაკიანმა ტარკინ-ტარკინებმა (ვახსენებთ, აკი!), მაგრამ უარზეა, ყველაფერი ახსოვს, ამ მხრივ მართლა გლეხია და ის კონსერვატორია სასოწარმკვეთ გვალვადა თუ გამაჩანაგებელ სეტყვად ახსოვს, მაგრამ რაა ის გვალვა და სეტყვა, რადგან, როგორს... დადაღულს? - ცოტა სიტყვაა, რადგან ყოფილ მამას, სამუდამოდ, ორივე შვილი... ხოლო თუ შვილი გინდაც ერთი მოუკვდეს მშობელს და გინდაც დიდი, როგორ მწარედ ბევრია: ის ახლად დაბადებულიცაა, როდესაც შუქზე თვალები ებლიტება და მაინც მისი წილხვედრი და შესაჩვევი ქვეყნის დანახვას როგორღაც სიღრმიდან, სულში ლამობს, ახლად ფეხადგმულიცაა, ან, ჭრელად ულევი შეკითხვების მრავლად დამსმელია, ან, თავისთვისა ყუჩს; ზღაპრის აქეთ მომყოლი, თან ისიცაა როცა მხოლოდ შეეძლო „აღუ“, ნეტარი სიტყვა; მოწყენილიც ჰყავს, საბრალო ეგებ უკვე შეყვარებულიცაა, რა ეშველება, აგერ მთლად ბავშვია, როგორ უცინის; დილდილაობით, სასწავლებლისთვის ვერ აღვიძებენ, თვალგანგებდახუჭულთან, დიდი ომი აქვთ, ხოლო თუ თავად სურს რომელიმე უქმი დღით სადღაცას ამხანაგებიანა წასვლა,

საათით ადრე წამოხტება, - თუთ! და აღარაფერი გინდა ქვეყნად, სუყველაფერი გმწარდება თუკი ის სიცხიანია, თუნდაც მცირედ, მერედა, ახლა ეს როგორ მშვენივრად ცურავს, ხომ ყველანი ხედავთ, ხომ, ბედნიერი და ამაყი ხარ, თავი მოგაქვს, ცოტათი გვიან მოგივა შინ და, აჰ, შეშფოთება მერე როგორი როგორ ნიავად ჩავლილია, წყნარივით სძინავს, ერთხელ რომ ხელი ცოტათი იტკინა, მისით შენ ყველა ძვალი დატეხილი გაქვს, და მხოლოდ რაღაც იმედის მომცემი ღარიბი მომავალი მუსიკოსი კი არა, თუნდაც ძალიან მდიდარი იყვე, მის გვერდით თუ ხარ, ხილიდან მუდამ მაინც დაკვირვებით გამოირჩევ ყველაზე შეუხედავ ვაშლს, და თუ დილაობით თითქოს ცოტათი ფერმკრთალია, რა გეშველება, და, თუ აღარ გყავს... აღარც ერთი, მაგრამ ამ მაესტროს, ვერდის, თავისი გოგო უფრო ახსოვს, რომელსაც ადრე მხოლოდ ერთი საჩვილო სიმღერა მთელი თავისი იმდროინდელი შესაძლებლობებით უძღვნა, ვერ მოასწრო მეტი, მაგრამ სამაგიეროდ, ახლაც, დიად ოპერებში, ქალიშვილებით გამწარებული მამები, განსაკუთრებით - რიგოლეტო (ტარკინი, დაგაყარე მეხი), და, მთელი სიცოცხლე ამაოდ დაატარებს აუხდენელ ოცნებას სიმწრით ამღერებულ მეფე ლირზე, რომელსაც სამმა ქალიშვილმა სხვადასხვაგვარად უმტყუნა, მაგრამ სამმაგ მამობას ის ვერ შესძლებს, მაგრამ გრძნობს რომ ელის თითო ქალიშვილით გამწარებული მამობა - ამონასრო, ბრაბანციო, და თვითმარქვია ახლაცღა გლეხს, ვითომ გლეხუჭას, არამცთუ დიადი, უდიადესი ოპერა ელის (ხომ კი, ტარკინი? ემანდ ფრთხილად იყავით რადგან დაჯდომისას ფრაკის კალთა არ მოიყოლიოთ ვაითუ დაგეჭმუჭნოთ რაკი), კარგად იცის ეს, რაღაც ველური გუმანით ხვდება ამას, რომელი ველური და მგელი, კარგად კი არა, მშვენივრად უწყის კი არა, სულის დამფლეთი მისჯაა ეს, მაგრამ რა ეს, აბა, სადაა, რის ქვეშ, ან რაში ანდა რაზე ძევს, მაგრამ გრძნობს, ესმის, ჩაესმის რაღაც და სული ისე ექავება რომ ამიტომაც: „მორჩა, გლეხი ვარ, მხოლოდ ნამდვილი გლეხი“; მაგრამ გლეხები მასავით კარგად ვერ თამაშობენ ბილიარდს, ზამთარ-ზამთრობით არ მისეირნობენ პარიზებსა და გენუებში, მით უმეტეს იქაურ თეატრებში არ დაიარებიან, ძირითადად კი სოფელშია, და ძალით წვალობს, ჩემბალოს აღარ ეკარება, სამაგიეროდ მრავლად ედება ღობე-ყორეს, მართლა გლეხივით გარუჯულია, განსაკუთრებით შეკლული ჰყავს ასაკში კარგახნის შესული ცოლი, სწორედ ის სოპრანო, „ნაბუქო“-ს დროინდელი, ეგება იმიტომ დაიკავშირა სამუდამოდ მაშინ თუმც ისე მომხიბვლელი და მაგრამ ასაკით შეუფერებელი ქალბატონი, რომ მეტი შვილი აღარ უნდოდა, ჰყოფნიდა გარდაცვლილი ორი, ერთგულია ეს, ოროლა შვილი ისედაც მრავლად ჰყავს - ბევრსახა ნოტით, და წინა ოპერებისაც დიდად ერთგულია, სულ აღარ უნდა ახალი და, მთლად მით უმეტეს, იმათი მჯობნი - იცის, თუ რადაც დაუჯდება ეს და, ამის გამო დაბღვერილ გლეხობას ირჩევს; და თან ჭადრებსაც რგავს რაღა თქმა უნდა გლეხებივით საკუთარი ხელით, მაგრამ, გლეხებისგან მაინც განსხვავებით, ჭადრებს სახელებს არქმევს: „ტრუბადური“, „ტრავიატა“, „დონ კარლოსი“, „ბალ-მასკარადი“, ხოლო სუპირველ ჭადარს - „რიგოლეტო“ (ტარკინი! დაგაყარე მეხი... არ გერჩია რომ, არ გვხსენებოდი?)... ჰო, დონ კარლოსი და, - ხე? ან, ბალ-მასკარადი? მაგრამ შემოდგომობით ყოველივე ჯერ ზეიმად ჩანს და მერე ვაგლახად გადაიქცევა, ხოლმე, ხმება, მაგრამ გლეხს საქმეს რა გამოულევს, მაგრამ მხოლოდ გლეხობა ვეღარ ჰყოფნის, ვეღარა შველის - მომეტებულად თამაშობს ბილიარდს, ჰყავს და აქვს თექვსმეტცალბურთულიან

ბილიარდთან ერთად, ძროხები, ვირები, თხები, ორი ცალი უმიზნოდ სასეირნო ძაღლი, ერთი ცალი საყვარელი მაინცდამაინც ჭარმაგობაში, წყვილცხენიანი კარეტა, მაგრამ უცნობ პარტიტურებსაც დიდად მალულად ათვალიერებს, არ უნდა იყოს მხოლოდ გლეხი, თანაც ისე ძალიან საღად ღიზიანდება როდესაც ვაგნერის მიმდევრობას ყოვლად ბეყეირათულად სწამებს რომელიმე ზორბა ჯანჯაკომო ტევადი ტარკინი, მაგრამ აღფრთოვანებით რად დაეძებენ მასთან (ვერდისთან) ურთიერთობას დიდი თუ მცირე, თვით კარგად თუ ავად წერილობითი მეფეებიც თუ ჰერცოგებიც თუ იმათი ოჯახის კარგიც წევრებიც თუ ავსტრიულ თუ იტალიურ თუ თუნდ მეგრულ მუნდ-დირიანი რომელიმე სინიორ-გუბერნატორ კავალერი მისი უგანათლებულესობა ჯარკოვსკისთანა, მთელ მუსიკალურ სამყაროში კი არა, არამედ მისი (ვერდის) სახელი ხომ ყოველგან - ქუხს, კედლებზე იმის გვარს მრავლად აწერენ „გაუმარჯოს“თან ერთად, მაგრამ როგორ ჰგავს დიად წინაპარს, მიქელანჯელოს, რომელიც რომ მუდამ ჩიოდა, „არც მტერი მინდა და არც მოყვარე, არც მძაგებელი და არც მაქებარი, მუშაობაში ყველანი თანასწორად ხელს მიშლიან“ო, და იგივ უდიადესს როგორ ჰგავდა იმითაც, რომ იმასავით ერთის შეხედვით თითქოს ძუნწია, მაგრამ გაჭირვებულებს, განსაკუთრებით კი გაღატაკებულ მუსიკოსებს ფულით ხშირად ეხმარებოდა ოღონდ იმასავით ფარულად, ოღონდ ზოგიერთი რამის დაფარვა აღარ შეიძლებოდა - უპატრონო და დუხჭირ მუსიკოსებს რომ მთელი თავშესაფარი აუგო, ვთქვათ, და ამას კი ვეღარ წარმოვიდგენდით და აეს უჯიათი ქვაკაცი, ერთ-ერთ წერილში, უცებ: „ნურავისთან იტყვით, მაგრამ ხანდახან, ვტირი“, ამას თავისი წლინახევრისაც არ, და ატირებს გოგო, მისით მაინც სხვადასხვაგვარად წამოზრდილი, ბევრსახელება, ახლა კი ფარაონის ტყვეობაშია, აჰ ეს რა წამოგვცდა, ახლა ხომ მხოლოდ გლეხია, გლეხი, ამაში კია დარწმუნებული ალიონიდან საღამომდი, მაგრამ თვით ღამეს, აქეთ დამმალავს, იქითღა როგორ დაემალები, ღამე ღამეა, შავად ერთგული, მოდის, მყარდება, ჯერ იისფრობით ბუჟდება, ჯერ, და იმობაში მკრთალდება ჟოლო, მერე ნელინელ ალყად სილურჯე როგორ ჯიუტად შემმხვევადია და ისი ჟოლო - აღარაა, მერე მდოვრდება ჰაერი უფრო და იყო ატამი და, აღარაა, და ფორთოხლებიც როგორ არ იყო ყვითლად ხასხასა, მბჟუტავი მერე და, აღარაა, ჯერ შორეული მძიმდებიან დიდრონი მთები, სადღაც მიწაში ნელინელ ჩადიან, და მერე უფრო იძირებიან, ინთქმებიან, ღამეა, ღამე... ღამეა მერეც, ერთი თვის შემდგომ, ხოლო ის ხილი - ჟოლო, ატამი და ფორთოხალი მართლა, დღისითაც აღარაა, და აჩონჩხილი, შემოძარცული, უნოტებო ხეები ჩანან ბეჩავ სახებად, გაძარცვულებზე ვინ იფიქრებს რომ ცოტა ხნის წინათ თუ რომ რაც ერქვათ, დიადებად რომ ჰყავდნენ მხოლოდ, მაგრამ დიადი რაღაა აწ, მფრთხილავ მაესტროს როგორ უფრო ვაება ელის, და ისე ხშირად აღარ იძახის რომ მხოლოდ გლეხია, რადგან გლეხები ჩემბალოზე თვით მაესტროზედაც კი უფრო ძნელად თუ უკრავენ, თუკი დავუშვათ და, ახირებულად ებრძანებათ; მძიმე ტომრები ენატრება მაგრამ სადღაა, და უუმძიმესი ნოტების ტევრით მთლად დახუნძლულა ეს უცნაური კარიატიდი, მუსიკათამწევს, როგორ უნდა რომ როგორმე შემსუბუქდეს და მერე რითი - და ადამიანებისგან ყოვლად უდამხმარეოს თან, მხოლოდ გოგონათი და მისი ანაბარა, უცხო ზვრებს უვლის ნოტების გლეხი, კრეფს, ნოტებითვ იწვნევს, და დიად ოპერებს რა თავში იხლის რადგან ის, ოპერებიდან უდიადესი, მიღწეულია, ხომ, ხომ!, ეს მაინც რა ხე ამოიყვანა, როგორ, როგორი, და

მაინც ვეღარ იძინებს, სხვადასხვაგვარად ნაგლეხარი, იმოდენაა შვება, და რასახა რამდენ წვალებაგამოვლილი, მრავალჯერ გვერდნაქცევი, როდის-როდის იქნება, ჩაიძინებს, მაგრამ ჯარკოვსკი არა თვლემდა - ხოლო იქით კავალერ-გუბერნატორ სამხედროულად სინიორ ჯარკოვსკიც არა თვლემდა უგანათლებულესი - უკვე ომია, და ალყაშემორტყმული პარიზიდან ვერ გააქვთ ეგვიპტეში დეკორაციები იქ საპრემიერო ოპერისა - „აიდა“ - უდიადესის.

მერე, კიდევ რამდენიმე გაწელილი წლის შემდეგ, და რაღა თქმა უნდა, გლეხობისაც შემდგომ, ისევ ახალი და „რიგოლეტო“სავით ჰა და ჰა, ლამის რომ უდიადესთაგანი - „ოტელო“, და ერთიც რომელიმე ხორცსქელა ტარკინის მიუხედავად, მითომც რომ აქ ვაგნერის გავლენა შეიმჩნევა - რა აქვთ საერთო!, გენიალურობის გარდა, ნაოპერალებს, აზრი აესე ერთიც ტარკინის წელქვემოთ ანუ ფეხებზე ჰკიდიათ, იტალიელების პირობაზეც კი ზედმეტად აღფრთოვანებული, პირდაპირ გადარეულია ხალხი, მაესტროს ეტლიდან გაკვირვებულ ცხენებს აძევებენ და თავად ებმებიან და ასე მიჰყავთ სასტუმროში და გადაუღებელი ტაშისცემებით უთევენ ღამეს, სად შეაფარებს თავს, და ხოლო როდესაც მაესტრო იძულებულია აივანზე გამოვიდეს? - აჰ!.. - ეს რა სახალხო ზეიმია - მთელი მილანო, ყვირა.

რაღა დარჩენია, ყოველგვარი დინჯი თუ თავაწყვეტილი დაფასება ნახა, თუმცაღა სასტიკად წინააღმდეგია საპატიო მოქალაქეობების, მაღალი წოდებების, უმაღლესი ჯილდოებისა, მისი ქანდაკებების შექმნის, უარს ამბობს თვით „ლა სკალა“შიაც კი ბიუსტის დადგმაზე - „როცა მოვკვდები, მერე რაც გინდათ ქენით“, და იმ სახლზეც კი, რომელშიაც რომ თავად „ნაბუქო“ დაიწერა გადამრჩენელი, მემორიალის მიმაგრებაზე უარსა გახლავთ, იქ სულ სხვაგვარი ეგულება თითქოსდა მცირე ნაფეხურები, რომელი სახლის შორიახლოსაც ერთხელ ერთმა მოხუცებულმა ქალმა, შემწვარი წაბლით როგორ გაათბო უცოლშვილებო, როგორ არ ახსოვს, მალულად ახსოვს: „ნურავის ეტყვით და, ხანდახან, ვტირი“...

ყველაფერი ახსოვს. მართალია, თვით მილანისა ვერ, მაგრამ პარმის კონსერვატორიის წინამძღვრად სწორედ მაშინ ანიშნინებს ერთ მძიმედ დაავადებულ ახლობელ მუსიკოსთაგანს, როდესაც იგი სავსებით ჰკარგავს განსჯისა და აღქმის უნარს - „მაინც შინ კი იწვება, ხოლო კონსერვატორიისათვის ეს სულ ერთია. სამაგიეროდ, თავის სარჩენი ფული ექნება“, და, ღრმად მოხუცებულს, დაბერიკაცებულს, ყველაზე მეტად ახსოვს ისეთი რამ, ვერც წარმოვიდგენთ - ყველამ იცის რომ, ეს უკანასკნელი ოპერა იქნება მისი, ოცდამეექვსე, ვრცელი მაესტროს გედის სიმღერა, და, ვინ იფიქრებდა, რისთვის და როგორ, მაინც რაგვარად იცვლება, გლეხი, - ლიბრეტოზე სულ აღარ კამათობს, თუმც, ძველ ახირებულ სტრიქონებზე კირკიტობებში მუდამ და ცამდე მართალი იყო, ხანდისხანობით ბილიარდის ნაცვლად ქაღალდს თამაშობს, სიბერეში ეს უფრო მეტად შეუძლია; და ერთ მომღერალს, თანაც გაგრიმულს და დიდულვაშ დაწებებულს, სცენაზე და ლოყაზე აკოცა, ეს ვინა - ვერდიმ?, იმ მრავალტანჯულ ცოლს, ოთახში ძლივსღა მოსიარულეს, მთელი ცხოვრება, ლამაზობაშიაც კი თბილი სიტყვა რომ არ ღირსებია მისგან, ახლა როგორღაც დათვურ და ისეთ ქათინაურებს უძღვნის, სულ დნება მოხუცებული მაინცქალი, გლეხებსაც როგორ

დაყვავებით ასწავლის ჭკუას, სუყოველასთან - პირდაპირ გადასარევი თავაზიანობაა გელაპარაკები შენ, რა ოპერაა მაინც ასეთი, რაღას მიელტვის ისე ასე რომ ძალიანი რომ გამოსცვალა, რაა-თქო ასე გადასარევი - ვერ გამოვიცნობთ, ტყუილად ვწვალობთ - რა და, თვით კომიკური ოპერა, სწორედ! და თანაც ვისით - თვით ყველაზე სათაყვანებელი ავტორის ორი პიესიდან როგორ სხმარტალა და მაინც სულ ქეჩოთი ამოღებული დაუდგრომელი ბებერი მხიარული ბღენძით, იმა ასაკში ქალებისაც კი მადევარა „ფოლსტაფი“ -თი, აუხდენელი „მეფე ლირი“ს ნაცვლად, მუსიკით მესამედ მიადგა ყველაზე მეტად სათაყვანებელ... რომელი სიტყვა... ჯანდაბას, უბრალოდა ვთქვათ - ავტორს, და შექსპიროლოგები ნუკი გვიწყენენ მაგრამ მასავით, სმენიან გლეხკაც ვერდივით, ვერავინ იცოდა ის... ის ვინ?... ჯახნაბას, უბრალოდა ვთქვათ ესეც - ის ინგლისელი, რომელსაც რომ იტალია აქეთ როგორ უყვარდა კი არა, ეე... ჰო, აბოდებდა, მაგრამ მერედა ამაღლებულად როგორ, ხოლო უთავუბოლო აღგზნებული ბოდვები, თანაც ცხადში თქვენ იქ უნდა გენახათ, სწორედ იმ დარბაზში, სწორედ „ლა სკალა“ -ში, სადაც რომ ერთ დროს ისე დასცინეს და აბუჩად აიგდეს, გადაქელეს როგორ, ახლა კი... დაბნეულებია ისევ ცხენები, რადგან იმათ მაგივრად როგორდა მსუბუქ კარეტაში შებმას სულ კისრისტეხით ლამობს ნაოპერალი საზოგადოება, ნაღები ხალხი, ის კარეტა კი - შურნაძიები, ჯავრამოყრილი დიდი მაესტროთი...

და კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ, მესამედაც დაქვრივებული (ყოფილი სოპრანო ჯუზეპინა სტრეპონით და მუსიკათი), მისით დაპყრობილ ქალაქში ჩამოდის, რომელი ქალაქიც სულ აღარა სძულს ახლა, და მშვიდად, შერიგებული ათვალიერებს, რამდენიმე დღეში კი - აუარება ჯგროდ დეპეშა: როგორაა, როგორ! ძალიან წუხან თვით მეფე და მინისტრები, სენატორები, დეპუტატები, რამე, მაგრამ იმათი დარდი ჯანსაღსაც კი დიდად ვერ ჰქონდა, ახლა კი, ხუთნახევარი დღით ჯერ მხოლოდ გონწასულს, სიმშვიდე რომ არ შეუწუხონ, ყოველ შემთხვევაში, მთელ იმ გრძელ ქუჩას თივა ჰფენია იმდენი და იმოდენა, იმსიმაღლე რომ, ცხენებიანი კარეტებიც ხომ შეგვხვედრია და იმათი ხმა სულ აღარ ისმის, და მეეტლეთა ნაზი სიფრთხილე მერეც კი გრძელდება, დიად მოხუცს რომ უკანასკნელი და წასამსვლელო ჩაძინება რომ არ შეუწუხონ, ხოლო მეექვსე დღით ჩურჩულითაც ვერ ლაპარაკობენ, და ვინ ეს, იტალიელები, მთელი მიწისზედა მილანო - გატრუნულია, ყველაზე მეტად კი - მაესტრო ვერდი.

და უხერხული კია ამერთი გლეხიდან მეორე გლეხზე (სხვადასხვაგვარებია) კვლავაც გადასვლა, მაგრამ იმ მცირე იმედით, რომ ყოველგვარი გადახვევა დასაშვებია ძლიერ მოსაწყენის გარდა, მაგრამ უღირსი და მისი ძმაკაცი ჯამბულიას სულ რაღაც მალე ისევ შეხვდნენ, თან სად - ხალხმრავალ რკინიგზის სადგურში, სადაც ვიღაცას ხვდებოდნენ თუ აცილებდნენ თუ უნდა ჩამოევლო, შეხვდნენ სწორედ იქ, გზაჯვარედინების სემაფორებიან ბედისწერულისა გასაყართან თან კარგა შეღამებულზე, ხოლო სიბნელის მიუხედავად ჯამბულიასა სახე გახდომოდა იგრეთი? -:

- რა დაგმართნია, ჯამბულა!?

- არა, არაფერი.

მაგრამ სასტიკად დალურჯებული სახის გარდაც, რომელზედაც ერთი თვალის ნაცვლად გაასოციაციებული კუხე ღორქლიავა ადევს, შეწუხებულიცაა, ბნელში.

- რაღა არაფერი ბიჭო, თქვი ახლა რა დაგემართა!...

- არაფერი, კარები მოვირტყი.

კარები, კი... როგორ არა... აქეთ-იქიდან როგორ მოირტყამდა, ცხვირი თუმც თვალსაჩინოდ გაზრდია მაგრამ სასუნთქავად მაინც ვერ ჰყოფნის, დაუღია პირი; მთელ ყოფილ შედარებით ნათელ სახეზე - დალურჯებულია, და თამამად შეიძლება ითქვას, არაა პირნათელი.

სჭირდება რაღაც გამხნევება, და,:

- ბევრნი იქნებოდნენ.

- რა,კარები?

- არა შე კაცო... აბა ერთი შენ რას დაგაკლებდა.

არადა, დაკლებული კი არა, აშკარად მომატებულია. განსაკუთრებით ცხვირით.

- კი, ბევრი იყვნენ იგინი, მაგათი... (არაა მომდევნო სიტყვების აღნუსხვითი დაზუსტება საჭირო).

- ვინ იგინი...

- მთავარ ინჯინრის ნათესავები.

- ვინ ნათესავები, ჯამბულია, ბიჭო...

- ვინ და, მაგინს რო მოუ... .....(აქ კვლავ არააღსანუსხავი უხერხულად საფიქსირებელი სიტყვა, წონით 8 მარცვალი), რაც კი ყავს რამე ნათესავი მაგისი გვარში გასათხოვრების რო..... მე, ყოველი იქ მოხიკა, გარაჯში, ცოლიძმა მარტო მუტრუკები ყავს სამი, ერთათ დემესიენ...

- რას ამბობ კაცო...

- რას ვამბობ და, იმას... ერთს მასტერსპორტა ზნაჩოკიც კი აბნევია გულზე.

- ტყვილა?

- ტყვილა კი არა... - სახეზე მოისვა ხელი, - მარა, თავიდან, ისე გამეტებით არ დამესიენ...

- მერე და მერე, უფრო?

- კი.

- რატომ?

- რატომ და, ხუმრობა მაგათ არ იციან და არაფერი...

- მოყევი მერე, ბიჭო, დალაგებით, თავიდან.... თავიდან რატომ დაგესიენ?

- არ ვიყავი რაღაცა ხასიათზე და მოდი პატარას წევიხუმრეფთქვა და ვიხუმრე მარა, ხუმრობა მაგათ არ იციან და არაფერი... გაცინებოდათს მაგიერათ, აქეთ დემესიენ კიდო...

- ასეთი რა უხუმრე...

- იმდენი არაფერი.... მთავარ ინჯინერს სალარკა ჩოუსხი ქუდში. ცილდება ძნელათ...

...

- კარგად კი გიხუმრია ეგ, ჯამბულია...

- მეთანხმებით, ხომ? მარა ვინ დაგიფასა... დეეხედა მაინც იყო იმ ოჯახდაქცეულს, მარა ისე ჩამოწყვიტა ლურსმნიდან და ისე დეიშვლიპა თავზე, ერთი არ დოუხედავს ზეთ, ეჩქარებოდა საცხა...

- სად...

- მე რა ვიცი სად... სად და, - ვირის.. ....(აქ თუმც მხოლოდ 1 სიტყვა, მაგრამ გამოთქმა მაინც არ ეგების).

- მერე, მიასწრო?

რაა სასაცილო ასე მწარედ გალახული კაცის დანახვაში, მაგრამ ძლივს იკავებენ თავს.

- რას მოასწრებდა... აქეთ ნიკაპზე ჩამეოუვიდა და იქით ზურქში... ცილდება ძნელათ... თან, თავიდანაც კაიხანი მირტყეს... ხო დავაგვიანე მაინც, ვუტირე ხომ ყოფა...

- აჰა!.. მერე?

- მერე სალარკას რომ ვერა და ვერ იცილებდა კრანტზე, აგერ ფურცელი და კარანდაში, დაწერე ახლავე რასპისკაო...

- სვეტურად გითხრა? მოგედოთ გარაჟშიც?

- სვეტი არ მიხსენო ახლა!

- კაი. მერე, დაწერე?

- რა...

- რასპისკა.

- არა!

- და, რის თაობაზე უნდა დაგეწერა... სალარკას რო აღარ ჩაუსხამდი?

- არა, თანამდებობიდან დათხუებაზე.

- მერე, დაწერე?

- არა. რა ვიცი მე მაგდენი, მარა უთხარი, კაი აბადა, კი წავალ ახლა მე, მარა ჩემმერე ვიღა ჩაგიფსამთ ჩაინიკებშითქვა.

- ა?! ასე გაუხეთქე გული? ასე მოატყუე მართლა?

- მართლა. აბა, ვუფსამდი მართლა და, აღარც უნდა მეთქვა?

- ა?!.. არა მჯერა.

- ნუ დაიჯერეფ... არც იგენს ჯეროდათ თავიდანი, მარა ახლობლების სული დავუფიცე.

- გინებიანა?

- კი. მე ჩემი დეიდები და ბიძები ასე და ასე, მართალათ თუ არ ვშოფოთითქვა...

- ა?!.. მერე?

- მერე იყო ის, სიმართლიზა ძალიანი რო დემესიენ... დიდი ამბავი, ბოტკინი მე არ მჭირს და არაფერი... ხუმრობა მაგათ არ იციან და არაფერი... ნათესაობა მარტო.

- ძალიან გირტყეს?

- კი. ზნაჩოკიანიც როარ ყოლებოდათ, ის მე ვიცი მერე...

- რა გირტყეს მაინც...

- რა უნდა ერტყათ, ხელი.

- და, პანღურიც ხომ არ მოგაყოლეს?

- რაისი პანღური, ბიჭო!?. მედა, საპანღუროთ გევიხდი საქმეს? - აღშფოთებულია, - პანღური კი არა!... სულაც არ დოუკარებიათ თითი, კარები უცაფეთათ მომხთა...

იცინის, იცინის თავშეყრილობის ორი მესამედი, ხოლო პირველი მესამედი:

- სასაცილოა, ბიჭო, მაი?

- კი მაგრამ, დავიჯერო, მართლა შვებოდი მაგას?

- კი! მარა ხუმრობა მაგათ არ იციან და არაფერი. კახელებია. წნორი.

აქ უღირსმაც ხმადაბლა ერთი შეაპარა:

- კი მაგრამ, იმ ჩაინიკებს ალბათ მაინც აღარ ხმარობდნენ.

- ა?, რავა არა! რა იცოდენ იმათ... და დღეში ორხელ მაინც მაგზავნიდენ პივაზე.

- შენ გაკადრებდნენ ამას? - ისევ ჩემულობს ჯამბულას იმისი ბავშვობის ამხანაგი.

- აბა!? მარა არ იყო სახინკლე შორე.

- და შიგ სახინკლეში აზავებდი?

- ვის... მისდღემჩი არ ყოფილა იქ ჩხუბი...

- არა, იმას... ფშშ... - ანიშნებს.

- არა შეკაცო, პადიეზდების მეტი რა იყო გზაში.

- აჰა. და, მერედა ვინმე რომ შემოსულიყო?

- ახ!, გამიმართლა მაგაშიც სტაპრაცენტი! - და, ტკბილზე ტკბილი მოგონებით გაუცისკროვნდა ლურჯულა სახე, - ერთხელ შემევიდა მარტო, მარა რა შემევიდა, და ისიც ისეთი კაი ქალი შემევიდა, სუქანი ისე, რა დედამ გშობაო გეიფიქრებდი, აუუ, აქამდე ქონდა, ა!.. ამხელა ქონდა, ა! რაფერ უძლებდა იუბკა... რაა სასაცილო, პუნდრიპამადა ესვა ისეთი, დაგიბრმავებდა თვალს, დუხის სუნი მეტაკა ისეთი კარქი, კიღამ გამვარდა ჩაინიკი...

- ვაი?... შუა იმაში?

- აბა?!

- რა ქენი მერე...

- რა უნდა მექნა, რა დედამ გშობათქვა! შენი სახელი მაჩუქეთქვა!

- იმან კი, რაო...

- ვერ დაგვინახა ვერცერთი ვითამ!

- ა?! მოიკატუნა ხომ, თავი?

- აბა!? საერთოთ, ქალი, დიდი ოხერია.

- ოხერი იქნება შენი გადამკიდე, რა იქნება აბა!..

- მაგი კია სწორი.

იცინიან, იცინიან სამვე, ერთი თავისუფლად, ხოლო სულს ძლივს ითქვამენ ორნი, და, ვაივაგლახით:

- შენ რა გითხარი... ჯამ...

- მართლა, ჯამს ნუღარ დამიძახეფ.

- რატომ, გიხდება...

- კი მიხთებოდა, მარა, თლათ კიდო ისე არ ყოფილა საქმე...

- როგორ თუ არ ყოფილა...

- როგორ და, მაგათ რო მოუ... (და კიდევ ოცდასამ (23) მარცვლოვანი სასტიკი გინება, ნუ მოიმარჯვებთ ტყვილა თითებს, კი გსმენიათ და იცით მაგრამ ზუსტად მაინც ვერ გამოიცნობთ)....., დამატებითი მონაცემები ყოფილა საჭირო თურმე კიდო...

- და, ვეღარ მოხვდი სვეტში? და ეგ რომელი და რომელი მონაცემები, ჯამ?

- რა გითხარი შენ! რაცხა აგი წუთას, ქართული ენაზე!...

- ჯამბულა, ბიჭო, რომელი და რომელი მონაცემები, ჯამბულია, გვაღირსე ბიჭო!

- ემასე, აი ეს კაცი, ვიღაცაა, სანდო თუა?

- აბა!? შენსავით ამხანაგია ჩემი.

„დიდი მადლობა“ - ფიქრობს უღირსი.

- ჯერ ეს ეგ ერთი, მონაცემები კი არა, პირიქით უფრო. ისე, რავალი კარქათ მექცეოდენ, ა? ერთხელ ოვპერაშიც კი წამიყვანეს, სულ პადრუშკებით, ოღონდ რაცხარა უჟმურს უკრავდენ თავიდან, სკრიპკები ქეროა, და კინაღამი სირცხვილი ვნახე, მარა, აშენდა ტრუბაჩის ოჯახი იმან გამაღვინძა. მერე რა შავქვა დამაძინებდა, ხტუნავხტუნავით კი რო გამოჩთენ პლიაჟის ადამიანები და შეიკუნ...

- კაცო! აღარ და აღარ ამოღერღავ იმ მონაცემებს?

- რაო და, თურმე, სვეტში რო მოხთე, კი არ გიშველის მარტო სამი ამხანაგი თავის გინა გადაფურცლიანა და ზედაც კიდო პაწა რუსული და პრიფირანსი, კიდო ნანდომა ორი რაცხა, მაგათ რო მოუ...

- რა! რა ნანდომა!, რა!?

- რადა, დედაც სხვა სვეტის ბოზი უნდა გყავდეს თურმე კიდო და მამა კიდო - ალალი პიდარასტი, საქმე საქმეზე ქერო მიდგა და საბოლოვო მიღებაზე, ემაშინ მივხთი. წარმოგვიდგინეო, აბა? რას მოიკაკვეთ, ჰო...

მართლა ძლივს მოითქვეს სული, ჯამბულია კი თავისას ფიქრობდა, თუმცა ხმადაბლა, და მაგრამ ოღონდ მაინც გასაგონად ოღონდ:

- დედაჩემი, დავუშვათ კიდო და, დეიქცა ქვეყანა და წოუცთა ფეხი, ხომ?! მარა, მამაჩემი!? ა?! მამაჩემის გაპიდარასტება თქვი შენ, ჯერ ესე იგი ერთი, სულ ყანაშია და სუ ზემოქვემო იქნევს,

- რას!

- თოხს, რას, და მეორეც ესე იგი ერთი, შოუხედავია ძაან, ფუ?, ფუ?, გახსოვს ალბათ შენ, ჩემი ბაბაია.

ძმაკაცი მართლა ვეღარ სუნთქავს:

- კი... კი... როგორ არ...მახ...სოვს...

- არ გავს ნიკელის ჩაინიკზე დახედულს? არ გავს დახატულს ქვაზე? მითხარი მართალი!

- კი! კი!.. ვაი...

.....

- აბა, ჯამბულია, ტყვილა იმეცადინე იმდენი, აბა?

- აბა!?

- მაინც გამოგადგება სადმე. მართალი მითხარი ახლა, და არავის ვეტყვი - პიკასო გირჩევნია, როსინი თუ მონტესკიე!

- ვინ ოხრებია... ისე, ბიჭები მაინც, რაღაცა ცივათ კი მხთებოდენ ბოლო ხანებში, აღარ იცინოდენ ისე... გოგოებიც... არც მაყურებიებდენ კაბებში...

- რა ქენი მერე...

- რა უნდა მექნა! პირობას ხო არ დოუდობდი, მამაა მაინც რავარიც გინდა იყოს, ერთი კარქათ და გემრიელათ კი მივაგინე ცხელ კუჭზე გულში და, წამევედი მერე...

...

- ჰოდა, აწი ჯამს ნუღარ დამიძახეფ.

- კარგი გიქნია, რომ წამოსულხარ. იმათ რა იციან შენი ფასი...

- აბა? ბოლო დროს ისე ნამეტანი აღარ იცინოდენ.

- სწორად მოქცეულხარ. სხვა იპოვნონ ვინმე.

- სა იპოვიან ჩემისთანას!

- აბა?! გაუჭირდებათ ნამდვილად, კი. შენ გურიაშიც ქე გაფასებენ.

- კი.

- ახლა სად მიხვალ?

- სოფელში. აგერ, დეიძრება აგი მატარებელი და... რა დამკარქია აბა აქანა, - აქ კი, ცხარდება, - იმათაც ვუთხარი, პირში ვძეძგვე რომე, თუ კიდო მნახოთ კიდო აქინათქვა, და დევიფიცე ძალიან მწარეთ...

- ეგეთი მაინც რა დაიფიცე... როგორად დაიფიცე, თქვი.

- როგორად და, ბიჭო, მე ჩემი ძაან-ძალიან კეთილები და ნამეტანი მახლობლები ასე და ასე და ისე და ისე, თქვენ თუ მე კიდო გიგიკაროთთქვა.

- ყოჩაღ. გიქნია სწორი ფიცი.

- აბა ვის დევეჩაგვრიები მე? ისე კი არაა საქმე... მაგინმა რა იციან ჩემი ფასი! მასე კი არაა... უბრალოდ რომ მიჭირავს თავი!

- და პირდაპირ აქ წამოხვედი?

- არა, შეკაცო, ეს დილით მოხთა, მერე გარაჯში მიველი და ამწვარ კუჭზე რაცხა პატარა ხუმრობა მომინდა ერთი და მარა იქ კიდო ის მოხთა და ორჯელ რო გლახა მოხთა, მესამეხელ მაინც გამიმართლებსთქვა, წავედი პირდაპირ იგენთან...

- ვინ იგენთან.

- დურაჩქის სათამაშოთ.

- აა... მერედა, გაგიმართლა? მოიგე რამე?

- არა, პირიქით.

...

- მარა, შეხვედრით, კარქათ შემხთენ. ერთმა, გადამკოცნაც...

- ბოლოში?

- ბოლოში კი არა ერთი... თავში. ლოყაში. ბოლოში კოცნა სად გამიგია, სვეტი კი არ აქთ. კაი ბიჭებია. მეგრელიებია.

- აჰა... და ბევრი დაგატოვებინეს?

- ბოლო კაპიკი. მარა ბოლო მანათი იყო ყველაზე მწარი.

- გასაგებია. აბა ერთი აქეთ მობრუნდი.

ულირსის ძმაკაცი დუმს, მაგრამ ზაფხულის ბავშვობის ამხანაგს სახეს უთვალიერებს, იჭმუხნება. რაღაცას ფიქრობს, და მკაცრდება:

- რამდენნი იყვნენ?

- შვიდი სუცოტა.

- ყური დამიგდე. წადი ახლა შენ სოფელში, მაგრამ იმათ ჯავრს ნუ გაიყოლებ. ასე ორ დღეში, სულ ცოტა შენსავით ექნებათ სახე.

- ა?!.. გამაბამ შენ მე რაღაცაში.

- სამას შოფერზე რა გითხრა, მაგრამ იმ შვიდს კი როგორმე გამოვარჩევ.

- გადაირიე, ბიჭო? შვიდსო... შვიდივეს? ა?!.. იმ ზნაჩოკიანის მაინც, არ გერიდება? სულ არ გაქ ხათრი?

- მეც მყავს, ჯამბულა, ძმაკაცები, ხალხი. ზნაჩოკი თუმცა არ გვიკეთია, მაინც შეგვიძლია პატარა რაღაც.

მართალს ამბობდა.

გამკეთებელიც იყო.

- კაი ახლა, ბიჭო, თუ სწორა იმ შვიდს დათეთქვავთ, მიხვთება ყველა... ისედაც კი მაქ პირობითი... დამპირდი, ბიჭო... ანდა, მიაყოლე ოციც... უი ხო, მართლა, ის არ ეყოფათ დანარჩენ მაგენს, გამბულ თვენახევარს იმ ჩაინიკებს რო ცლიდენ და ცლიდენ?

აქ უღირსის ძმაკაცი ისე იცინის? - გადავლილია, ყველაფერი.

- ემასე... ძალიანი ჩანა?

- კი.

- უ?! მე კი მაგინის...

- რატომ, გიხდება. გშვენის.

- კი? აბა, კი?

ერთი სული აქვს, სარკემდე.

- კი. ბილეთის ფული ხომ დაიტოვე.

- რათ მინდა.

- როგორ თუ რათ გინდა...

- დავდგები ისედაც ტამბურში.

- ეე?, ჯამბულია, ჯამბულია... გამომართვი ეს.

- რათ მინდა, ბიჭო.... ძილით ამაღამ მე მაინც არ დამეძინება, სამაგი ცეცხლი მომდობია...

- გამომართვი-მეთქი, კაცო, რამ გაყო, ბიჭო, შენი და ჩემი, რას იპრანჭები, ბავშვობის ამხანაგი მაინც არ იყო.

მთელი ოცდახუთმანეთიანი გახლდათ. საიმდღევანდელო უღირსთან ერთად თამამად საქეიფო ფული. მაგრამ, ამათ ექეიფათ და, ნათელი სიყრმის მეგობარი ტამბურში რახ-რახ?

ფინანსურ-ეკონომიკური გადახვევა:

„იყო ფულის ასეთი ნიშანიც, და ალბათ არ უნდა გაეუქმებინათ, რადგან ამ კუპიურით მთელი 125 მდგრადად ნორმალური ნაყინი მოვიდოდა. ახლა კი

იმითი, გინდაც არ გადაეშენებინათ, თუ კაი ბიჭი ხარ, მიდი და იყიდე მხოლოდ 1 ნაყინის 0,02 გამეორმოცდამეათედებული ცალი“.

- რბილი ვაგონით წაი, ჯამბულია, სვეტს დოუყენე თვალი!

- დაყენებული აქვთ ისეც... სუყველაფერი... რათ მინდა რბილი... მაგას ჯობია, ტაქსით თამამათ მივალ სოფელში! იქ დოუყენეფ თვალს!

- მაგ შენი სახით, ნამდვილად თვალს დაუყენებ, კი.

- უიმე, მართლა... მარა, თლათ იმათე თვალწინ დევირტყამ მაშინის კარეფს!

- აბა შენ იცი... აუ?!, დაიძრა, დაიძრა!

ნელა დაიძრა მატარებელი, როგორც ყოველთვის, ყველგან... აქ სულერთი ვართ კანადა და იაპონია.

და მაგრამ, აქ კი, მაინც ლირიულ-ვაჟვაშაკაცური გადახვევა:

„ასე გაუდგა ნაღვლიანი მატარებელი სევდიან რელსებს, ბლანტტისფერ მწუხრში, იგი. ცად ჟღრიალებდა, ცურიად ცარგვალი, მტედ. ავისმომასწავებლად გალობდნენ უქმი ფრთოსანნი (ღამურები? ბუ? - მკითხველი). ასე და ასე გაუდგაო ხალიბური ფოლადის რელლსებს მწვანნე სიასამურისისფერი მატარებელი იგგი ხვაშიადს ყირჭად წილნაყარს ღამისას თვისას, ერთგზის, ერგასისი. და სეპტემბერ იდგა, ნოემბრის თთუე. ციოდააო, ტფილი“ -

ხოლო ჯამბულიაებიც, როგორც ყველგან და ყველაფერში, სხვადასხვაგვარებია. მაგრამ ამ, ამას, ამ ჩვენსას, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა, და, საერთოდაც, როგორი დაკლაკნილი და უსემაფორო გზები ედო?

აწც.

ეცინებოდა, როგორ არა, -

13.

კი.

სულ სასაცილოდ ჰქონდა საქმე იმ სიბნელეში უღირსს, -

როდის, დაიწყო, ეს, ყველაფერი... ეს ყველაფერი როდის დაიწყო!

რაღა თქმა უნდა, ძალიან, ძალიან ადრე, მაგრამ უღირსისათვის, თვალშისაცემად, 1990 წლის მიწურულს; ხოლო საშიში გაღვივება განუკითხავად დაიწყო შემდეგი წლიდანვე, და დიდხანს, დიდხანს გრძელდება ეს, და თუ ხუთიოდ წელიწადი დროთა სვლისათვის თითქოსდა ბევრი იმდენი არაფერია, არა არის რა თითქოს, მაგრამ ამ ჩვე-რიგითი ადამიანების დანგრევისათვის, - სავსებით კმაა,

„კმა-საყოფი“,

საყოფი კი არა, თავზე საყრელად გვეხვია ათასი ოხრობა, და რომელ ერთში არ ჩანვთქმულვართ, ისე რომ ვეღარც ვფართხალებდით კი არა, ავად ვფართხალებდით მაცდურის სიღრმეებისაკენ თან, და თან, და თან ეს ჭაობშია ჩავარდნა ადვილი, თორემ იქიდან ამოსვლა?, შეუძლებელივითაა, თუარ რაღაც განსაკუთრებული შეწევნა, რომელიც უმრავლესმა ჩვენგანმა არ ვიცით, არ ვიცოდით, იმ ადვილად ასახსნელი და თუმც უნებურ, მაგრამ მაინც ცოდვიანი მიზეზით რომ არ ვიცით და არ ვიცოდით, სხვა თუ არაფერი ეკლესიისკენ თუნდ დასათვალიერებლად თუ გაგიწევდა შობაზე გული, ვითომცდა ღია კარიბჭესთან სიგლახეების ისედაც მომხვეჭი დამწყები წამდაუწუმად წვრილად ნაყრული ახალგაზრდა კომკავშირელკოხვეჭია კაცი ჭადის სახელი დაგავიწყდებაო იმასავით ედგათ, ვის,

ვისა და გაცილებით მსხვილად ანუ უარესად მომხვეჭებს,

„ხვეჭა - უსამართლოდ შევსება“,

შევსებულები, იმ ვერცოდნით ძალიანაც კი ვიყავით, დიდად, დიდად, კი, მაგრამ კარიბჭე მაინც ხომ ღია იყო, და იქ ჯერ თუნდ მიმოხედვისათვის მართალია ხელ-ფეხს არ გადაგიგრეხდნენ, ოღონდ სიაში ალბათ შეგიტანდნენ, და არ შევდიოდით, უმრავლესობა,

როდის, დაიწყო, ეს ყველაფერი... ალბათ ძალიან, ძალიან ადრე, გაცილებით ადრეც კი, ვიდრეღა ამას წმიდა იოანე ოქროპირი ჯერ კიდევ IV საუკუნეში ბრძანებდა: „ძლიერნი ამა სოფლისანი სრულიად განერნენ თანატანჯვასა მოძმისასა, უარჰყვეს სასოება, განაზარმაცეს სული თვისი, განუდგნენ ღვაწლსა საქვეყნოსა, მიეტანნენ ფუფუნებასა - ლხინსა უმიზნოსა, ნადიმსა მომსუყებელსა, ამპარტავნებას უგუნურსა, მოხვეჭასა განძისა უთვლელისა, ენით სიძვასა, ქრთამსა და მრუშობასა... და აჰა, გამოისობით ყოვლისა ამისა, დაჭაობდა ქვეყანა სრულიად, ანუ შეწყდა რებაᲘ“...

„რება - სლვა“,

„ანუ შეწყდა რებაᲘ წყალთა მაცოცხლებელთა, დადგნენ წყარონი სათავისანი, დადუმდნენ მდინარენი და ნაგუბართა შინა შთაეფინნენ მყაყნი და უჟმურნი, და აღმოცენდნენ მყრალისაგან ნაყოფნი ცოდვისანი“,

რა უცნაურად იწყებოდა - „ძლიერნი ამა სოფლისანი“... - ვიღა ოხრები, მაშინაც ჰყოფილან, იყვნენ, იყვნენბოდნენ რა, რატოარა რა, რაღაც ისეთივენი დაახლოებითნი, როგორც ეს ჩვენებური დაწინაურებულები, ოღონდ ქვეგანხრით, გვყვანდნენ... როგორ ცდილობდა უღირსი, როგორმე უგესლოდ, გაუბოროტებლად აეხსნა ეს, და, მარტოდმარტო, იმ სიბნელეში მიმართავდა თან მრავლობით რიცხვში ნეტაი ვის, ხოლო ასე იწყებდა:

„მოგეხსენებათ, ჩვენს ერს ამ ბოლო წლებში როგორი თვალნათლივი უბედურებების სხვადასხვაგვარი სახეობები წყებად დაატყდა, თვალნათლივი, თორემ უბედურებები ადრეც არ გვაკლდა, მაგრამ ისინი როგორღაც შენიღბული, ეგებ უფრო მზაკვარიც, და ჩვენდა სამარცხვინოდ ხშირ შემთხვევაში სულის

როგორ შეგუებულად დაცემა და შეგუებულივე თავის მოჭრა იყო, როგორი დამამცირებელი, ნებაყოფლობითი, დამამდაბლებელი“, -

ასე, კი, ასე, უბოროტოდ და ყოველგვარი გესლის გარეშე უნდოდა აეხსნა, მაგრამ აასე, დიდხანს შესძლებდა კი? - ვნახოთ:

„მაგრამ უდიდესი გასაჭირი, მოგეხსენებათ“, - მიმართავდა, ვის? მაინც მიმართავდა, - „დიდი გასაჭირი ხომ ამაღლების შესაძლებლობის ძნელი ბედნიერებაცაა, მაგრამ როდესაც უცნაური ეგრეთწოდებული თავისუფლება მოგვეხვია, განსაკუთრებით მაშინ იჩინა თავი მანამდელი შეგუების ფარულმა წყლულებმა, ანუ როცა იქნებოდა, თვალისაგან ერთხანს არიდებულმა მაგრამ საბოლოოდ ერთიან ჩირქად გადამქცევმა ერთხანს ვითომც შეხორცებულმა მაგრამ შესისხლხორცებულმა ნაიარევებმა და ტლანქმა დამღებმა, და ბევრწლიანი შეგუებული ცოდვებისათვის განკითხვამ სწორედ მზამზარეული ვითომცი თავისუფლების დროს გვიწია. ამღვრეულ წყალში განსაკუთრებით იჩინეს თავი ცრუ პატრიოტებმა, ცრუ-დისიდენტებმა, ცრუ ბიზნესმენებმა, მერე და მერე ჩარჩებმა, ქურდებმა, ავაზაკებმა, მლიქვნელებმა, ბანდიტებმა“, -

უგესლობის მხრივ, ჯერჯერობით ურიგოდ არ მიდიოდა ბნელაში უხმოდ ლაპარაკი, კი, -

„ეე, იმას ვამბობდით... ჰო, ბანდიტებმა, ცრუს მომხვეჭელებმა, ცრუ მოშიმშილეებმა, ადრეცხვეჭია გაქნილებმა, ცრუაკადემიათა ცრუვ აკადემიკოსებმა, ყოვლად არამცთუ გაუნათლებლებმა არამედ ჭკუის ხეპრე მასწავლებლებმა“, -

ეს „ხვეჭია“ და „ხეპრე“ გვგონით ცოტათი არ ვარგოდა, უნდოდა რაღაც შერბილება,

„და რბილად რომ ვთქვათ, არცთუ დალაგებულმა ყბედებმა და ასე, ღირსეული ხალხის დიდი ნაწილი კი, გულშემოყრილი, ან გაკვირვებული, ან დაბნეული, დუმდა“, -

კარგია!,

„სულ ცოტა, 200 (ორასი) პარტია მაინც ზოგი დაარსდა და ზოგიც შეკოწიწდა, რომელთა ძირითად საქმიანობას ის შეადგენდა, რომ სხვადასხვაგვარი საკითხები თავისებურად გაეშუქებინათ -

კარგია?!

„და თითქმის - თითქმის-მემეთქი, თორემ როგორ არა გვყავს ნამდვილი მამულიშვილები, და იმათშიაც როგორ არ ერივნენ თავშეკავებულები“, -

ძალიან კარგია!,

„ხოლო თითქმის ყოველ მათგანს დანარჩენი 199 (ას ოთხმოცდაცხრამეტი) პარტიტურა რა იყო არამედ პარტია სულ „სუკ“ -ის აგენტებად ძალიან ხმამაღლა უნდა გამოეცხადებინათ, ხოლო ეს ძახილი, ძახილიეს 199-მაგებულად

ცხვირპირში უბრუნდებოდათ, და, საერთოდაც, ცხვირ-პირის გარდაც ყველგან ხვდებოდათ“...

!?!!?..

განვაგრძოთ, მაინც:

და რა უჯობდათ ამას - თან პატრიოტობაში ეთვლებოდათ და, თანაც, კარგად მოითბეს ხელიცა და სხეულის სხვა, თუნდ სასავარძლო ადგილიც,

„თანდისთანობით, ხო არა ვტოპავ?“,

ხოლო ამსახა მამულიშვილები არც უზენაეს საბჭოს აკლდა და არც პარლამენტს, სხვადასხვაკუთხა ხრიკები ჰქონდათ თავიანთი ცრუდ მომგებიანი სიმართლისა თუ მთლად თლათყამირული მწირი ცოდნის აღსაზევებლად: ზოგს ასე ვთქვათ შემლებისგვარა დარბაისლურად ეჭირა თავი, ბევრნი კი შთამბეჭდაობის მოხდენას დაჟინებითა ლამობდნენ, რაც ძირითადად უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან ათიოდ გაზუთხული სიტყვის უადგილოდ და წამდაუწუმა გამოყენებაში მზეურდებოდა, -

„კარგია!“,

ზოგს აქეთ უსამართლოდ დაჩაგრულ-აღშფოთებულად მოჰქონდა თავი, წუხანდელი ავტოპოხიერული არამი ლუკმა რომ შერგებოდა“,

„“კარგიავ, „ცხვირში რომ არ ამოედინებინათ“-ს რამდენადა ჯობია, ეე, რამდენადა სჯობს““,

იყო ურთიერთნათლივი თავდასხმებიც და უფრო კი იყო „ხელმა ხელი დაბანა“ -ს გამოცდილებით „შენც სუ და მეც სუ“,

„ეე, ასე ორმაგი სუ-სუ ცოტათი მსუბუქ ყოფაქცევაში, ეე, ცოტათი სიმსუბუქეში ხომ არ გადადის?“,

ზოგი დახვეწილს და ჰუმანურსა ჰთამაშობდა და ხანკი დაჭერობანასა და ყომარს, -

„აბა ყომარი რა მოსატანია, რა გამოსამზეურებელია?, არამედ“, -

ეე, და ზოგი დახვეწილს ჰთამაშობდა და ხანკი ჭადრაკს და ხანკიც რულეტკას“,

„გამოსწორდა, კი, შედარებით კარგია“,

მაგრამ სამთავივ ბრძნულთამაშობა მაინც „დურაჩქობანა“ -ში გადასდიოდათ, - „ვა?“,

ზოგ ვითოვაჟკაც მცირეწლოვან ზორბა უდღეურ ყმაწვილს პირადი დაცვა ხელფასთანავტომატიანი ჰყავდა იმისთანა, ისეთი კარაული რა იყო (“კარაული - სახედარი ვირი“) არამედ ყარაული ჰყავდათ იმდენი, იმოდენა დარაჯი ჩვენს რამდენჯერ გაძარცვულ ხელოვნების ვერსახელმწიფო მუზეუმს ორპირქარიანი სეიფით დატუბერკულოზებული ობოლი ხელი აბა სად მიუწვდებოდა,

„თუმც მკვახე, და არეულ-დარეული, მაგრამ ჩვენდროინდელი თანმიმდევრობით, სამართლიანია“,

არცთუ იშვიათად მძვინვარეების გვერდით გვხვდებოდნენ მომგებიანად განაზებული მამაკაცები და მოხულიგნო კი არა პირწავარდნილად ხულიგანი ბევრკერძ ქალები, -

„სიმართლით, დაკვირვებით, გამოცდილებით, რამე, იტანს, იტანდნენ, ტანდნენ, ტანდემდნენ, ტანდებდნენ, - იტანს“,

და საწადელსაც როგორ ვერ აღწევდნენ - მსგავსთა ეგრეთწოდებული ანუ დუშაშა პატრიოტობობით და აგრეთვე ხელმა ხელი დაბანაოს ქმედებით დიდად გამრავლდა საჩარჩო ფარდულები და ჩარჩოიან-საჩარჩოო სახედაბიჟვინებულთა სალუდეები და ფრანგულ სუნამოსავით ძვირფასი მყრალი ბენზინის თვითწერტები და უცხოეთში ყავლგასულ-დამპალ-ჩამოწერილდაჩამოზიდული სურსათ-სანოვაგისაგან პირწმინდად გასუფთავდა იქაური სანაგვე ყუთები და ვითომც უარყოფითად ავნიკოტინიანი სიგარეტიც კი მისწრება ჰყოფილა მთელ რიგ ოჯახთა ჯანმრთელობითი კეთილდღეობა-გამრავლებისათვის,

„ვე!.. ეე, ვთქვათ და, გავიხედოთ და, უცხოელმა რომ გაიგოს ჩვენგან ესა, - აკი ყველაფერი ხდება, - რაღას იფიქრებს ჩვენს პარლამენტარებსზე, სამშობლოს ნაღებს ხოარა ვყიდით?“,

დახოლო ზოგიერთ ამგვარი დიდი გაქანების მათგანს კი ერთ-ერთი მცირერიცხოვანი ერის, მხოლოდ გინდაც სრულიად საქართველოს მამულიშვილობა რას ეყოფოდა და აიღეს და თავიანთი ნათქვამით და ნაქნარით ისლისა თუ ნაკელის ქოხები...

„ვაი“!?,

მაგრამ მე მაინც იქა ვარ რომ თავიანთი ნათქვამითა და ნაქნარით აიღესა და ისლისა თუ ნაკელის თუ ნეხვის ქოხები ჩაიდგეს ფრანგულსა თუ გერმანულ ალბათ ზვრებში, აკი მევენახე ხალხნი ვართ ჩვენ, ქართველები, კაციან-დასტურქალიანა,

„ვაიმე!.. - ეს დასტურქალიანი რაღა ოხრობა-რეციდივია, როგორღაც რაღაცის დამთმობსა ნიშნავს, ისინი კი გარკვეული მომართულებით პირიქით პრინციპულად მიმღებნი იყვნენ,

მაგრამ,

რაკი,

ცოტათი გავახურეთ,

- ნეტავი ის წივა და ნაკელი და ნეხვი და ფუნე ნეტა-გერმანიაში თუ ნეტა-საფრანგეთში ნეტაი ღრმად და სიღრმეში გადამალულად თან წაიღეს თუ იქ მოახერხეს მოგროვება, ჰა?, და, რაღაი ავიშვით, -

ჰაივ-შე ვირიშვილო ტარკინი, ჯანჯაკომოვ და ჯანდაბავო, თუ, დავუშვათ და შესავალს იმიტომ ვერ მოუსმინე „რიგოლეტო“ -სი რომ რომელიმე სხვაც კოლეგურ შენებრ მუსსინიორთან რაღაცაბედად მაინცდამაინც იმ საღამოს როგორღაც დამაკმაყოფილებლად დაძრული მონოლოგოსი ჭაღების მუსიკისწინა ჩაქრობისთანავე არ გინდოდა რომ შეგეწყვიტნა და ჩურჩულზე გადახვედი პარტერში (ხოლო ეს უკანასკნელი სიტყვები ანუ გამოთქმა „გადახვედი პარტერში“ ტარკინი, ბალნიან ვაჟკაცთან ამტანურ ბღლარძულ-ჭიდაობაშიაც კი შენმიერწილ ჭიდილში შენთვის როგორღაც ულამაზო დგომია), მაგრამ იმდენი რა იჩურჩულე იმ პირველსავე აქტში რომ მერე და მერე ხმისთვის კი არ აგიწევია მაგრამ იმ ავხორც ჰერცოგის არიოზო თუ კუპლეტები მაინც როგორ ვერ მოისმინე მაგ - აღარ მინდა გავიმეორო - მაგ იმისშვილური ყურით, ანდაც საყოველთაო ანტრაქტის (შესვენებაა, იცი ეგეც შენ, გსაჭიროებს) მერე ბეჩავი ჯილდას არიას როგორ ვერ ჩასწვდი მაგ შენი დაუმუშავებელი ანუ უმად საღი ყურით, შე მართლა ყურ-უმ-საღო?, ყურუმსაღო შენ, შენს ხსენებაზე მოგვერია ხომ, გესლნარევი ქილიკი და აგერ არ ვარ, გამოგისწორებ - ყურუმსაღო შენ კი არადა, გეთაყვანე შენ, მაგრამ არა, არა, ეს გეთაყვანეცა შენ გადამკიდეს რაღაცა გლახათ ამიჟღერდა, უღრმესი ბოდიში, - გადავიქეცი ხომკი, მაყვალიდ, ჩემზედ ახია, ხოლო ეს რომ იმისმა უგანათლებულესობა ჯარკოვსკის ლიბრეტოულად წაეკითხნა უომობის დროს, გაუვარდებოდა ხომ ნამდვილად წითელი ფანქარი და სამაგიეროდ შემოიფლეთდა ხომ სულ მუნდირს (რატომაა, რომ ეს ნამდვილად ერთ-ერთი უკანასკნელი სიტყვა „მუნდირი“ რატომღაც მუნიან დირეს აუგ-მახსენებს ჯარკოვსკისთან დაკავშირებით ისი მე), ოღონდაც იქით-მუნდირიანის გამოწრთულ ტანში, კიდევ კარგი რომ ალბათ კავალერ-ლინგვისტ (რადგან დაპყრობილ და სხვაენოვან ქვეყანაში იღვწოდა) რაგინდ-არუნდა უგანათლებულესობა ალბათ ბოლომდე მაინც ვერა ფლობს ქართულს, თუმცა რა იცი ხანდახან ყველაფერი ხდება და ეგებაც ხვდება, განსაკუთრებით კი საერთაშორისო სიტყვა ნიუანს-ებს, და ვაი მაშინ ჩვენი ბრალი, მაგრამ ხდება და ხვდებას თავი ვანებოთ ხოლო ის კი ძალიან ხშირად ხდება რომ დიდი უცნაური ხალხნი კი ვართ ქართველები, რითი დავიწყეთ და საიდანი სად და საითკენ და ვინეებზე ავხტიდავხტით და გადავხტით მერე, დავლაგდეთ, მოდი...

„ძლიერნი ამა ქვეყნისანი“... ამა „ძლიერნი“-ში, საბასეულად, რაღა თქმა უნდა წოდებებითა თუ კუნთებით დახუნძლული „ძალდიდნი“ (“ძლიერი - ძალ დიდი“) იგულისხმებიან, ხოლო ნაღდი და ნამდვილი ძლიერნი კი ვინც რომ არიან ვიცით უკვე ხომ ერთიც მწერლით - ნეტარი გლახები თუნდაც, ხოლო აეს „ძლიერნი“, რომლებიც „სრულად განერნენ თანატანჯვასა მოძმისასა“, „მიეცნენ ფუფუნებასა“ და „ნებიერად განსუენებასა“, ხოლო ფუფუნება და ნებიერება და განსვენება კი, როგორ ახლოა „მიეცნენ ლხინსა უზომოსა“სთან, ახლოა ჯდომვითი ძილით, და „ნადიმსა მომსუყებელსა“ც როგორი თანამდებობა რა იყო არამედ თანამდებია ზეზეულა ძილთან, რადგანაც,

„ძილი არს აღორთქლებაჲ სტომაქისაჲ რა აღვალს ტვინად (ტვინი კუჭივით ყველასა აქს), შევალს ძარღუთა საგრძნობელთა და დახშავს ორღანოთა: თვალთა, ყურთა და ენათასა, ხოლო სხეული თვინიერ ამათსა (უამათოდ) უქმ იქმნების და

მდებარე“, ხოლო მდებარე, გინაც რო ხტოდეს, აბა იმისგან სასიკეთოს რაღას მოველით, მაგრამ ნუ გავამტყუნებთ, ადამიანებია ისიც, და კიდევ,

„მანე - ესე არს თვალთა სიბინდე, სტომაქის აღორთქლებისაგან ქმნილი“,

და რაღას ვერჩით, შევიდეთ იმათ მდგომარეობაშიც, მაგრამ ხოლო ხვრინვაიანი ძილი კი,

„ხვრინვა - ძილში ხრუტუნი“,

მათგან ხრუტუნი კი, გულის ძილზედაც კი მთლად უარესი, - რაღაც თავისას ლაპარაკობდნენ, გველაპარაკებოდნენ, რაღა.

„მიეცნენ ამპარტავნებას უგუნურსა“... მიეცემოდნენ, რა იქნებოდა აბა, რადგან მუნდირიანი კი არა თვით უმუნდირო მუნდირიანი თან სუბუქ-კალამიანი საწერ-დიაღაც-კალამოსილიც კი გვყვანდა ფრიად ამპარტავანი ერთი, ჩვე-დიდნაწილოვანთა მიერ მაინც როგორთუ დიდად აღვიარებულ კერპად, ა?, ისი თვალებს აკვარკვარებდა? ის მერე რა რომ ჩვენში აღარ (ვეღარ) დაიარება, რადგან მასთან შედარებით მასზეც კი მცირეც კი შედარებით უბრალო, მარტოოდენ ხელში უკალმო და არა სხვაგან უკალმო მუნ-დიროსანი კერპებიც გვდგანან, იმას კი მეტი საქმე არქონდა ჩვენდამი ზეზედ მდგარიყო და ამპარტავნებით მთლად გაჯგიმული, მისებრ თვალსაჩინურ იშვიათურად გამონაკელისნი ეე გამონაკლისები კი ლითონურ-მყარად და მაინც ჯერ ჩამოსხმულნი წამოჭიმულად გვისხედან ბრექით (“ბრექა - ბზეკა“), აღმჭიმველური დაბრექილობით გაბზეკილები ოღონდ მყარსავე პიედესტალებზე, პარტერებსა და თუგინდ სკვერშიც, რომელ სკვერშიაც მისადმი წაუკითხავადაც კი მოწიწებული ტყვილა-წაკითხულ სამ-იმამხანაგიანი უაკლიმატიზაციო ჯამბულიასთანიც კი არ დააქცევდა წვეთ ლუდის დინამიტს რა იყო არამედ ლუდის დანამატს თუარ გამოჩენილად ნასვამი, თუმც ამ არაბუნებრივ შემთხვევაში სამ კი არადა მრავალ ამხანაგკოლეგაიანი მაგრამ ცალწიგნოვანი ჯამბულიასთვის რა განსხვავება იყო გინა ჭიდან ამოღებული თუ ონკანიდან ჩამოსხმული წყალი მიეღო პირის ღრუში თუ კუჭიდან თავში (ტვინში) აღორთქლებოდა განუზავებელი სპირტი, ერთი იყო სულ, უსვამ-ნასვამი თუ ჩამოსხმული, ვითარცა ქანდაკი, საკვირველია სწორედ, ხოლო უბრალო წყალი უფროდ ათრობდა თუკი სწყუროდა ძალიანი და გახსენებაზე, ვით გადაგვავიწყდა სულ მთლადძალიანი მოსაწყურები არნოლდ, რომელი ყარიბი-ინკოგნიტოც რახანია გაკვრითაც კი არ მოგვიხსენებია, ჩვენ ვართ ერთგულნი და თანაწელსმიმდევრულები კავკასიური ქამარ-ხანჯალივით, ვაჰჰ - აჰ, არა, არა, მეტი არაა მაყვალისებრთანასებრ უბოდიშო გამონათქვამებისთანაც ლაზი ეე ლამაზი გამონათქვამების მტერი (უშნოდ გავრთულდით რაღაც), ხოლოდ საეჭვოდ კარგდაკაი გამოსაქანდაკებელლო დიდმოღვაწე კი ზოგიერთ ჩვენგანს ხომკი სძულს, ესირცხვილება თუ შურსა, და ა? ნეტავი რომელი ერთი ამ დევივით და არა მხოლოდ მდევივით სამთავ უარყოფითი გრძნობიდან; ისე, ხანდახან ერთია სამვე, და ზედმიწევნით კაი ჩვენი ბრინჯივით დამბნევი ხოლო თავისთვის მიღწევითად საბრინჯაო კაცია ადამიანი იგი და თან სამარმარილოც და ჰამაყი კი ზოგიერთ უსვენ ჩვენგანს მწვანილეულად რომ გამოვთქვათ - არ ეპიტნავება,

ხოლო ეს ვერკაია კი არა და გადასარევია პირდაპირ... ბეჩა?!. დია!?. - სხვისი გაორგულება კი არ მოგვწონს, ვძრახავთ, და ამიტომაც არდავიწყება და გახსენ-შეხსენება გვმართებს სწორედ იმისა, რომელსაც რომ სამშობლოსათვის (თითქმის ყველას გვაქვს ოფიციალურად) ვითამ მდარდველურ სახეზე - გულის ვითომი კაეშანი და ბევრად უფრორე კი საკუთარი განსადიდებელ-კეთილდღეობის გაუნელებელ ზრუნვა-კვებაში, ფიქრიანი სახე ცვდა, გაცვდა ხალიბის ფოლადივით ოღონდაც მხოლოდ კეჭნაობაში თანაც, ნეტავი რაებს მივედ-მოვედებით, ვა? აღარ დადგა ნაკლებსაზრუნვად წიკწიკოვანი დიალოგის დრო? - დაწერე რაღა, „კი“, „არა“, „დიახ““, „ჰო“, „ნწუ“ და, - მთელ სტრიქონშიაც ჩაგეთვლება, ათქმევინევი ვიღაცას ესნი, დაა, ჰაიდააა, ხოლო ერთგვარი დაძაბვით კარგა სახედამჭკნარი და დაღარული ჰიმალაური მთაგრეხილებივით, გაცვეთამდეც კი, რაის ბებერი (ხოლო „ლასლასი - ავი ფრენა“), არამედ გინაც ცვეთილი ლასლას-მოყმისა ვერდავიწყება ავად თუ კარგად თუ გლახათაც კი დიაღაც გვმართებსოაოაუ-მემეთქი მხოლოთ თუნდაც დამჯდარის ბომონ-კერპისა, სკვერში რომ ახლაც ძველებურად ჯის, მუნ, დირე-ქტორისავით ბაკალავრულად საქსსონიური, ვისარგებლეთ ხომ, მისი ლითონურად ჯერ გულუხვური ჩამოსხმითა და თანაც მერე კიდე მთლად ვერდაოკებული გადაქცევით, ისე კი ჩვენზე კარგა ახია, რომ სწორედაც რომ უშნოდ კოპწიაურა სწორედაც კი დამსახურებულად ჩვენიხურდა რა იყო არამედ ჩვენიხვედრა რომ ასე თვითბრძნულად, და თვალსაჩინოდ, და კუთვნილ თუ არამ დიდგულობით ზის, აფსუს, რაღაც ახლახან ჩვენდასახარად წელგამართულ და თავშემართული რომ დაიარებოდა ზღაპარ იყო ზღაპარ იყო (ორგვარია) კი არა არამედ შუენივრად და აფსუსურად და ახლაკა ვეღარ (აღარ) დაიარება, არამედ რაღაც ლათინურად რა იყო არამედ ლითონურსახეობა-ქართველურად ჯის (ზის, ზილა), და თუმცა ულაზოო ეე ულამაზო კია ჩვენგან უდროოდ (უდროოდ?) წასულის (მაგრამ სად?!) ქირდვა, მაგრამ მთლად ხელაღებით უდროოდ წასულსაც ვერ ვუწოდებთ ყოველ ქრონოლოგიურ შემთხვევაში, რადგან ერთ მართლაც ნაღდ კაცსა და მწერალს ზემორენახსენების, და ბევრჯერ ქვემორემოსახსენებელის, მოკლედ ამისი მხოლოდ მესამედი რომ ეცოცხლა აქაც, ჩვენში ანუ ამა უცნაურ (“კუნტრუში - პირუტყვთ ხლტობით თამაშობა“) კუნტრუშულ კერპთა დროებითობაში, იმ მესამედითაც კი ანუ კიდევ ორი, მისთვის ორი როგორი ვრცელი წელიწადით კიდევ რამდენ და მერე როგორს, პროზად უბრალოდ წოდებულს და სინამდვილეში ამაღლებულს, და ამამაღლებელს, ვერმოსაცილებ ბედნიერებად გვიწყალობებდა, მერედა რარიგ უჩვეულოდ, როგორი მაღლის მიერ ვრცლად ნათხოვები მაღლივივისმე, მაგრამ თავისიც, შუამავლური ხელით, ღირებულსგარდა, საჭიროს როგორ, როგორ; ღირსგვყოფდა მართლა და ზოგიერთისგან განსხვავებით დაუყვედრებლად მოგვამადლებდა მაღლივისაგან მხოლოდ მისეულს, გამორჩეულს, მართლაცდა რა შესაფერისი გვარია მისთვის - რჩეულიშვილი, ჰო-მართლა, ხოლო კერპსაც კი, ასე განსაჯეთ და თუ დავუკვირდებით იმასაც მშვენიერდაშესატყვისი გვარი აქუნდა, თუმცა გვარი რა იმდენი და დიდშუაშია, მთავარია რომ როგორც აღვნიშნეთ ასე თვითბრძნულად, და თვალსაჩინოდ და თვალ-ნათლივდადასავსებად კუთვნილ თუ არამ დიდგულურად ზის, გამეორებაღ, გვაკლდა, მაგრამ მტერს მოჰხვდა იმისი წელის წილი კავკასიური ხინკალი რა იყო არამედ ხანჯალი ხალიბური გინდაც, თუნდ ბრტყლად და ენაალესილი ორფად, ორფევსი ჩვენი, რაღა თქმა უნდა

ხმაალესილიც სოლფეჯიურად ხრუტუნული კი არა და გოროზულიც ჰამ, უაბზაცებოდ ავირიე ხომ სხაპასხუპურად და დავიკალი ნაჭერ-ნაჭერ კი არა და არამედ გადაბმულურად აი ასე, რაღაცას ვამბობდი, ჰო, დიალოგის ძაფს ვეძებდი, ვერ ვნახე, დაკარგულიყო, მაგრამ ეს როგორღაც საპატიოსავითაა, რადგან რაღადროს დიალოგია პარტიული რა იყო არამედ მარტიული (სიტყვიდან „მარტი“-ს გადატანითი მნიშვნელობით არეულ-დარეული ანუ მაინც ბევრპარტიული), და ერის ფართმიდრეკილებასაც გამოვხატავთ ერთპიროვნულად, რადგან, და ვაღვიარებთც, რომ სიტყვობრივად უშნოდ ვბღლარძუნობთ და არაგონივრულად მაგრამ მის შემთხვევაში საკადრის შესაფერგონიერულად, მაგრამ მაინც თითქოს რაღაცა ზედმეტს მივედ-მოვედებით, ბნელაში ჯდომამ იცის ასე ქანდაკივით რომ უძრავ ფეხალაგ-ადგილზე ბოდიალი და ავად ტკეპნვა და ხვნა, ისი კი, ჩვნისი, მრავალწიგნა კი არადა მრავალატომა, როგორ სავსებითქარქაშიანა ხანჯალივითდა წელგამართული გინა ნასმი და გინა ფხიზელი ზოგიერთულასავით თავშემართული, და თავმომწონეა ისე, ისე, რომ ზოგიერთ მამრობით კაცსაც კიუნდა ერქვას გამონაკლისურად სახელწოდება „მზევინარი“, ანუ მზე-ვინ-არი, ამ ჩვენსასა კი „მზევინჩემიფეხებია“-ც კი შეშვენდებოდა, და თუ კარგა დავუკვირდებით ოღონდაც რაღა თქმა უნდა მუქსათვალიანი მზისსაწინააღმდეგო თვალით, როგორც აღვნიშნეთ სამშარაგზისი განმე-განმე-განმეორებაღ გვაკლდა, როგორ არა, კი (ტურფად მშვენიერ შესატყვისი გვარიც აქუნდა, აქვს), ხოლო „აქვს“აც კი „აქუნდა“სავით სწორედ რომ მისებრ ორპირიანი ზმნაა აშკარი, ახლა ეს „აქვს“ -აც ანუ „მას ის“ მასისური და მისისუსურია სწორეთ, და, „თავისდა“ს კიდევ იმდენი რა უშავს არამედ სხვებისდა ანუ ჩვენდა ჭირად როგორ სკვერულად დაფიქსირდა ჟანგბადიანი, ჟანგ-ბადიანი, მაგრამ მხოლოდ კვარცხლბეკზე და ისიც ცალს მაინც და მაინც ერთ ადგილზე და ორმაგოვანად ერთი ადგილით ალჩუზე ჯილა იგი, ჯილა, ორმაგი, თუმც გადახვეული სიტყვებიდან „ზილარიან“ და „ჯილარიან“, და სიტყვებთან ერთად რა უცნაური ზმნებია ეს - „ზილარიან“ და „ჯილარიანი“, მაგარამაც ვინა? ვინ და, მრავლობითობის მიუხედავად, თუგინდაც მხოლოდ „ისინი“-ში ორნი ხომ მაინც შედიან იქა, და ცალპირიანნი გამოდიან მაინც, და მაინც, ვინა და ვინა და, ახლავე გეტყვით, მეხსიერული გახსენების საქმე არ არი?, ვინა და ვინა და, ეე, უიჰო, ერთი ხო აი ეს ჩვენი ესა და - სად მიყურები, - ჰო, ეე, ჰო, ერთი ეს და ხოლო მეორე, ეე, ვინ იჯდა კიდეე, ეეე, ისა, სადღაცას განზეც ნუ იყურები, ეე, ჰო, ჰო, ყურებზე გამახსენდა, - დაუვიწყარი კიდე ტარკინი თუნდ, იმის პატრიოტობა რა იყო არამედ იმ პარტერობას რა დაგვავიწყებს თუნდ უსიამოდ, ისიც ხომ მუდამ, სამუდამოდ ალჩუზე ჯილა, მაგრამ როგორი ორმაგი სიტყვაა „ჯილა“, რადგანაც ერთმხრივ - როგორც ვიცით და ხოლო საბას მიხედვით კი - „ჯილა - ცუდი კოჭი“, რომელს აღარ გვაქვს შეცდომები, და თვით საბაც კი ამ შემთხვევაში აბა რომელი მზევინარია, მაგრამ რატოა „ალჩუ“-ცა ცუდი, აბადა მამცნეთ ერთი აბა, როგორთუ ჯილა ცუდი კოჭია რაღად არსებობს გამონათქვამები „ეს ჩვენი ერის ნამდვილი ჯილა“, ან „ერისშვილური ყოჩი და ჯილა“, და სიტყვაც „ჯილდო“ და ასე შემდეგ, ალჩუზეც ჯილან გამონაკელისნი როგორც წესი, და განა ეგებ „წესი“ც განა ცუდია? და აგერ არაა? - ვნახოთ: „წესი უწოდიან ჩვეულებასა განმტკიცებულსა და მდგომარესა“... - ვა?, ესეც კვლავაც ზედიზედი მეორე შეცდომა ანტიმზევინარული კვარისიმედა მხოლოდ, საბასი, როგორთუ თუნდ ტარკინი და აი ეს ჩვენი ესა თუ მუდამ

ალჩუზე ჯდებოდნენ ქაღალდებსა თუ პარტერობებ-პიედესტალზე, რაღა გამოდის - უწესოები ჰყოფილან განა? ეე?, და აბაც განა ეს რა გამოდის, მოხუცებულობით მოუვიდა ალბათ ეს საბას, ასე ზედიზედ ორი შეცდომა, გასაკვირია პირდაპირ სწორედ, რადგანაც ხოლო აქამდე როგორი კარგად იქცეოდა, ეე?, საბავ, საბა, კიდევ კარგი რომ იმას მაინც აღნიშნავსა და არ მალავს: „საბა - მოხუცებული, გინა მოქცევა წარტყუენილთა“, ვაი, ეს მაინც ნეტა რასა ნიშნავდა იმდროისათვის ეს „წარტყუენილი“... აჰა, თურმე მხოლოდღა - „სრულიად დატყუევებული“, და ისღა როგორ - „საბა“ მოქცევაც ანუ სანიმუშოდ ქცევა ყოფილა ყველასი ჩვენი... ჯამბულიასიც? ის ერთი გვჭრის თავს, ჩაიდანური ის, იმას ვამბობდით, ესეც მესამე ზედიზედი შეცდომა, სიტყვისკონური, ანუ სიტყვით მინუსი, „მინუსი“ ნეტავი რად არა აქვს განმარტებული, ესეც - მინუსი, თუმცა რომ ჰქონდეს მაშინ ხოაღარ მოუვიდოდა, მაგრამ საერთო ჯამში პლუსებიც აქვს თუმცაღა „პლუსი“ -ც არ აქვს კონაში, უცნაურია, მაგრამ ხანდახან რაღას არ იტყვის ადამიანის არამცთუ უძვლო არამედ უხრტილოც კი ენა, და, ენისმიერო დიალოგო, დიალოგო, სად ხარო, რა ხარო, მოკლეთ, მობეზრდა უღირსს ასე კოჭლობით ბოდიალი და მწუხარებით საბოლოოდ იმასღა დასძენს, რომ ვინა და ვინა შედიოდნენ ჯილაებში და ვინა და უცხო ტარკინი და კიდე აი ესა - როგორ, კიდევ ისევ სად იყურები, უსირცხვილოვ თქვენ - თანაც, ნეტა „ყურება“ „ცქერა“საცა რათა ნიშნავს, რანი ვართ მაინც ექართველები, და ჩვენი ენა, რადგან ისეც გამოდის რომ „დიდყურება“ დაჟინებულ ცქერასა ჰნიშნავს, დიალოგამდე მიგვაღწევინ-ჩამოგვაქვეითნა და მოგვკლა თუგინდა მერე, თუმცა თქვენ რაღა შუაში ხართ, რა დააშავეთ, არამედ უნდა მეთქვა რომ „მომკლა მერე“, ოქროდყურებავ ცქერა-მკითხველო, და მეორე კი პირპერსონა კი, ანუ ნამდვილად არათვალთმაქცურად დიდყურება ტარკინის რაღაც დაწინაურებული სახეობა, ის მერე რა რომ ჩვენიაიავარდიანი და სწორედ ჩვენსში ახლაც სხვადასხვაგვარი გვარით ზისა და ვეღარ, ანუ ანტი და უკუდაიარებოდა, ხოლო პრეზიდიუმებსა თუ ტევად პარტერებში მდგომარ-მჯდომარეთაგან განსხვავებით უთავუბოლოდ და უდიალოგოდ მიმოვძრწივართ ჩვენ, მათგან დიდად განსხვავებით მხოლოდ რიგითი (პურის რიგითი, მეტროს რიგითი) ადამიანები, და ის ხომ მაინც კიდევ კარგი, რომ ბევრნი ვაართა და სხვადასხვაგვარად, ურთიერთულა-ხელისშემშლურად დავიარებით, თანაც ზამთრობით ტროლეიბუსი არ იყო და არც საზამთრო, ანუ ზამთარში ჩასაცმელი წუღა-მესტები და არა საზამთრო და ნესვი, ეე, რისი ნესვი და მესტი-წუღა, არამედ საზამთრო ფეხთსაბურიც ვეღარ იყო ბევრი სიარულდღეებით თანდისთანობით გაცამტვერებული და რითი აღარ დავიარებოდით, თბომავალის ნაცვლად თბომავლითა და ყინვაგამტარით ოღონდაც მაინც ჩვენ-ჩვენი ერთგული და ამ ჩვენი ფეხებ-უპრეტენზიოებით და, რითი დავიწყეთ... რითი და, „ამპარტავნება“ რომ ცუდია და ნუთუ ეს ღვარჭნილი და რაღაცადაწილ სირთულეთა ავად თუ კარქათ მაძიებელი წინადადებებიც ნუთუ კი არა, ალბათ ამპარტავნებაა, ამ უკანასკნელს ისე შევეხეთ... უცნაურია, ებრძვი ვითომ რაღაც მტრულ რამსაც, იმის გავლენის ქვეშ კი არა, გვერდიგვერდაც კი აღმოჩნდები, გადამდებია ავთვისებიანი მოძრავი დამღის ძაგებაც კი, რადგან ესე იგი ჩვენ - კარგები ვართა, მაგრამ, პირიქით, მეტყოჩაღობით უილაჯონი, იმისნი ვხდებით, და როგორ არ უნდა გაგვახსენდეს რომ, „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ“ და, ნუღარ, ნუ, ნუ განვიკითხოთ, ხომ წაიკითხეთ, და დაინახეთ ეს რა დღეშიაც ჩავვარდით და, ეგებ

ტყუილ-უბრალოდ არ მოგმართავთ თქვენ, ვაითუ ეგებ თქვენც კი გაგხვიეთ, ახლა, კითხვისას, ხომ არ გაგისვამთ წარბზე მაჯა, ან, მთლად უარესი, ხომ არ დაგიმთქნარებიათ კიდეც და, ერთი ის მრჩება სანუგეშოდ, ტალახით მოთხვრილს, რომ რაღაც ნუგეშად სამაგიეროდ ის მაინცა ჩანს, ამპარტავნება თუ როგორი და რა ცუდია, მოდით, დავლაგდეთ ისევ რიგითი ადამიანებივით, ხოლო მეტროპოლიტენი ზამთრობითაც კი ჩვენგან განსხვავებით თუმცაღა ძალიან შეზღუდულად და მაინც მუშაობდა, მაგრამ ვაი იმის ვაგონში შესვლას და ვუი გამოსვლას, ისე იყო გადაჭეჭყილი, მაინც ვინა თქვა რომ ქართველები ცოტანი ვართ, სულაც არა, არა, ხოლო ერთი ვარკეთილელი ბილბაო კი მეტროს ზერთული გამოვლით ერთხელაც რომ ყინულმჭრელივით და რატომღაც ნაკლებჯიქურ მოვიდა მიშოსთან, თანაც აშკარად გახარებული, და აქკი მეც გახარებულ-ძალიანიმოწყურებული გილოცავთ ახალი სასწავლო არნოლდოვანივით ძნელად მოსაძიები დიალოგის სანიმუშო ჩამოდგომას, ზემორეს გამო ყოვლად უღირსისთანის კიც კი ყოვლად უდანაშაულოდ და უნებურად, მაგრამ ამპარტავნებაშერეულის გინდაც მხოლოდ მკითხველობითი აყოლისათვის მაინც ალაგ-ალაგ ჩამოფისებულო რა იყო არამედ ჩამოფასებული ამგვარი ყბედობით ძალიან ბევრსავით ისედაც გაჭირვებულო და უშაქროვ და უჩაიდანოც კი რამე იყოს, ბეჩავო მკითხველო, ახლა კი ცოტას მოვისვენებთ თქვენც და უღირსიც, რადგან, ბილბაომ, დიალოგურად, ჯერ შემოკლებული სალამი თქვა:

-გაუ...

ბუმერანგულად მიიღო:

- გაუ...,

და დააყოლა:

- გაყიდა ხომ, ჩვენმა დორემ ბოლოსდაბოლოს, ის აქვარიუმი?

- მაინც საიდან დაასკვენი...

- საიდან და, რომ მოვდიოდი ახლა, დურუ აღარ იდგა მეტროსთან!

- აა... არ იდგებოდა, აბა რა, რადგან ეს წუთია რაც დაბრუნდა და ისევ მოიტანა, ფეხით გამოგასწრო...

- უ?... და მაინც ვერა და ვერ გაყიდა კიდევ?

- კიდევ კი არა, ერთხელაც ვერა. ვის უნდა ახლა შენი თევზები და აქვარიუმი...

- რატო, შეკაცო, თევზები წყალში როგორი კრიალა და ლამაზი და კოხტად პატარა და ცქრიალად მოძრავია...

- თევზი, სულელო, ახლა ჩვენ დროში პატარა და მოძრავი და ლამაზი კი არა, არამედ კარგი და გადასარევია დიდი და უძრავი და გაყინული და თვალებგადმოკარკლული და აქვარიუმის ხოლო ცოცხალ თევზებს რა თავში ვიხლით...

- ჰო... აი ეგ კი სწორად თქვი, კი... მართალია. ძალიან უჭირთ?

- უ?! ძალიან, კი. ისე ძალიან, რომ... გსიამოვნებს ხომ, ამის მერამდენედ მოსმენა, წამდაუწუმ რომ მეკითხები!?.

- არა, შე კაი კაცო, ბოროტი კი არ ვარ, რას ამბობ... რა გასახარებელი გაჭირვება და შიმშილია... ეე?.

- შენთვის, ალბათ კი.

- არა.

- კი.

- ნწუ... ეე?, ერთი ჩემ სოფელში ნათესავებთან ერთი ჩამიყვანა და, მერე მე ვიცი, ჰეე, ლორის გამოყვანა იციან მაინც ისეთი, რისი ლიმონი და კუხე ტყემალი ისეთი ნერწყვი მოგადგება... სადაა თორემ, მაძღარსაც კი... შუბლზე ნაკაწრი ხომ არ მაქ, აი აქ... არა, აქეთ, აქეთ...

- არა!

- არა? კიდევ კარგი... მეტროში ვიღაცამ ვედრო ჩამომახურა უცაბედობით თავზე. კიდევ კარგი, ცარიელი... რა ჭეჭყვა იყო?

14.

ჭეჭყვა იყო კი არადა, არც ირგვლივითური წნეხვითი განჭეჭყვა კიარა და, არცა შეკირვა, არამედ შედუღაბება იყო რეალური, ხოლო განსხვავებულ და ურთიერთგადაკიდებულ პარტიათა გამოისობით თუნდაც მეტროში ყოველი ჩვენა თუმც ერთ-სულ არა, მაგრამ პალტოობისა და კაბებდა შარვალშეკრულობის მიუხედავად მაინც აშკარად ერთ-ხორცნ ვიყავით, ვინ თქვა რომ ძლიერ დასტურ-ორმხრივი აი-ისა რომ უძველესი პროფესიაა, აბა სად იყო მაშინ მეტრო და იქ მომრავლებული ხალხი, და იმ შიშიანა ურთიერთხუთვაში აბადა როგორ არ გაგვხსენებოდა ერთის შეხედვით (ან მოსმენით; ყურებით, რაღა) დაუჯერებელი მაგრამ როგორი ასახდენულა სიბრძნით სწორედ რომ ვაგონებისებრ გადატვირთული ხალხური ლექსი:

„ზღაპარ-იყო, ზღაპარ-იყო,

ჭალას ჩიტი მამკვდარიყო,

დიდ ქვაბში ვერ ეტეოდა,

პატარაში - კარგა იყო“,

რადგან, ყოველი ჩვენგანი რაღაც მეტროში კი არა, კილომეტრებშიაც კი:

„ერთ-ხორც იყო, ერთ-ხორც იყო“,

და, როგორის გადაპიპინებული სივიწროობით:

„ვაგონს სუნთქვა მამკვდარიყო“,

და ვაღიარებთ რომ დიდად უცნაური კი იყო მაგრამ რომელიმე სანდრო თუ ნანა თუ ლელა თუ ბელა თუ ანდუყაფარი (ბიჭოს?! - „ყაფარი - ამართულივით“) თუ

„ჭეჭყვაში ვერ ეტეოდა“,

ეს ვაგონში, მაგრამ სწორედ იგივე ვაგონში, -

„შეკირვაში - კარგა იყო“,

დიაღაც, დიახ, რადგან მაინც კარგამყოფივით იქნებოდა რადგან რაგინდ ჭეჭყვასა და უჰაერობას კიდევ რა უჭირდა, არამედ ხაშმში (“ხაშმი - ავ ჰაეროვანი“), რადგან უხაშმოდ მიდი აბა და გადი-გამოდი გუთანივით თანაც ქალაქში ჩავარდნებიან ასფალტზე და მიაღწ-მოაღწიეცკი ემაგ რაგინდ ამტანი შენი წვივ-კოჭებით, ვთქვათ და დიღმიდან ჰავლაბარში და გრძელმანძილობით კიდევაც უფრო უარესიდან უარესში (ისნიდან ნავთლუღში, ვთქვათ), მაგრამ რამეთუ ყველაფერი შედარებითია, შედარებითულ ბედნიერებასა ჰგავდა თუკი საწნეხურ ვაგონში შესვლასაც თუკი როგორმე ჩაიდენ-მოიმოქმედებდი, რაღაცგვარ ცოცხალ და მძიმე კუპრში რომელი თევზი გინდ ამფიბია შეცურავდა ფეხებზე მეტად პალტოიანა გადაყვლეფილი დიდშრომატევად იდაყვების გამოყენებით ადამიანის მეტი, და იქაურა - შენ მგზავრობა ეძახევი და - იქ ისეთ ურთიერთშედუღაბებას ვინ აიტანდა ადამიანის გარდა და მეტი, და უსუნთქვობასაც დიდი იმდენი რა უჭირდა-რა ისეთი ჰაერი და სუნამო-სი მთლად პირიქითი სუნ-ავო იდგაა, ვა?, ხოლო როგორც ეს ბრძნული გამოცდილებით აღსავსე გამომკვლევლური პრეისტორიიდანაც ხომ შავით თეთრზე და ფართოდ მრავალგზის აღინიშნა რომ ჩვენ, ადამიანები, ამტანები ვართ, ანუ ყოველგვარ ოხრობას კოხტადაც კი შეგუებულები - და მერე რარიგ, აშკარად, ვიყავით და ვართ, რაღაი სულაც არ (ვერ) გადავშენდით, ხოლო გულუბრყვილობით მოუმზადებელ და ამიტომაც ყოვლად შეუგუებელ ძველ მიამიტურ დინოზავრებს სწორედ ეს ჩვენთვის მიუღებელი შეუგუებლობა აშკარად და განუყრელად ახასიათებდათ ანკეტურად ისტორიული და მთელ მათ უშინაარსო ერთფეროვნულ ცხოვრებას წითელ ხაზ-ზოლად გასდევდაო როგორც იტყვიან, და როგორც ითქვა, ძალიან ძვირად, ანუ გადაშენებად დაუჯდათ ეს, და, საერთოდაც, დინოზავრებს და მისთანათა ლეგენდურებსაც რომ სულაც თავი გავანებოთ, ერთხელ ჩვენებურ აწმყოდ-ვაგონში ერთ შინაურ და დღემდე მორბენილ დღევანდებულობაში გამართლებულად კარგა მოყუჩებულ ანუ ოდითგან შეგუებულ ძაღლს მეტროპოლიტენის ერთ-ერთ სადგურთან, კერძოდ „სამედიცინო ინსტიტუტი“ს მისადგომებთან რაღაცა სკვინჩა გეგონებოდა ისე და ნამდვილ-დინოზავრულად წაუვიდა ჰაზიზი გული, და თანაც ჩვენდახვედრ ნიკაპქვეშითა და დამალულ სრულიადქვეშა შედუღაბების გამო კი არა, არამედ მართლა უღრმესი ბოდიში და გვაპატიეთ გამოთქმისათვის და ერთი იმისი პატრონის ზედაც მხრებზე დასიცხული თოხლივით კი იყო მოგდებულ-მოკალათებული, რადგან პატივსაცემი ანუ ჯიშიანურად გამოყვანილი ჩანდა ნამდვილად და ყურებით, და ეგებ თვით ჩვენი ერთ-ერთი ექსპრემიერის მცდელობითაც კი მონაგარული და თუნდ ამიტომაც რუდუნებით მოსაპყრობი იყო

ნამდვილად, მაგრამ ჰაერი, უფრო სწორად კი უჰაერობა და ძალიანაც უფრო სწორად კი ავჰაეროვნება იყო და იდგა იმისისთანა რომ შეუგუებელ ნაზბრონტოზავრად გარდაქმნილი, ის, რომელი „ის“ და ჭადის სახელივით კი არ დამვიწყებია რომ რექსა ერქვა დანამდვილებით, რადგან - კვლავაც უღრმეს ბოდიშებს გიხდით - რადგან ერთი იმისი პატრონის ჩაიდანივით ქცეულ-მოქცეულ-შემოშვერილი პირიდან შეშფოთებულად გამოისმოდა: „რა მოგივიდა! რექსა, რექსა!! რექს... შემომხედევი, ჯულბარსოვიჩ!“ - მოდგმიან ძაღლებს, ჯიშიანობით თანა-მდებობას შეგუებულებს თანაც, აკი დიაღაც გააჩნიათ მამისახელი, ჩვენთვის კი, ვიქნებოდით ეს უბრალოდ სანდრო თუ ნანა თუ ლელა თუ გელა ან ბელა, გოგუცა და ანდუყაფარი (ქვემეტროშიაც კი, ყაფრული ქვეანდუო თუნდ სახელდებით ჯერაც ისევ შემართულია, უცნაურია სწორედ), მაინც უფრორე შვებაც კი იყო ასეთიურისაც კი მეტროპოლიტენური სვლა-არსებობა, მხრებსზედა თავის და ქვეფეხების გამტანობა ეს, რიცხობრიობით აუტანლებთან ატანვითი ეს ორმხრივული შედუღაბება, ეს, გრძლად თანაყოვნი, მთავარია რომ, იგივ სანდრო და იგივ ნანა და იგივლელა და ასე შემდეგ და, მათ გარდაიაც, შემოძენილებიც რომელიღაც სადგურებიდან სუმთლად ახლები და მანამდე თუნდ მთლად უცნობები, მაგრამაც ახლა ჩახუტებულად შეკირულები ერთმანეთებთან ვამეხ-ჟუჟუნა და შედუღაბებულები მთლად ჯამალრუსიკო, - დია!?

„დია - დიაღ“,

ხოლო მეორეგვარად:

„ესე დია არს მეექუსესა ცასა ზედა (ეს სად, მეტროში?), რომელსა ეწოდების კიმკიმელი“,

ხოლო „კიმკიმელი - მცირე კუხალი“,

და ეს კიდევ შეიძლებოდა, რადგან შესადარებითული ანდუყაფარის გარდა აშკარად ვპატარავდებოდით კი არა, არამედ გადამეტებული შედუღაბებისას ჭრაჭაჭრუჭიც კი გაგვქონდა ხოლმე მისაწოლურად სასაწოლური ჩვეგაოფლილებს თუმცა, ხოლო იგივ ყაფრულადქმნილი, განუსაზღვრელი ბოდიში და, ის ჩვენი ანდუ, და ვერმისთანანიც კი, საჭურის რა იყო საჭიროებისდა მიხედვით აღთქმულ დიღომსა თუ ჰავლაბარში ანდა სულაც მთლად უარესში (რატომ უარესში? - ეს ნაწილობრივ მხოლოდ, თორემ უარესული შედარებისათვის გინაც დიღომსა და თუნდ ჰავლაბართან აბა რა ხელი გვაქვს), არამედ ამ შემთხვევაში თვით გაცილებით უარესულ, ვთქვათ და გლდანსა თუ ბილბაოიან ვარკეთილში ამოვყოფდით მგზავრობისწინა ახლო წარსულში ყოფილ საღ თავს, და, უიჰო მართლა, ის არნოლდძალიანიმოწყურებული ქალი და ხნიერი მამაკაცი მისეული სვირინგით „გიგო“, აბდაუბდურად თუ პირიქით, ქარაგმულად და ვითომ თავისთვის რომ ბაასობდნენ, ეგებ სულაც არ იყვნენ აგენტები არამედ მეტროდან ახალი ამოსულები და ამიტომაც თავგზააბნეულები იყვნენ და თვით მოუხელთებელი არნოლდიც მათი შეძრული წარმოსახვის ნაყოფი იყო, თუმც, მეტროში კაცს წარმოსახვა კი არა სვირინგიც კი უნდა წაშლოდა, და ქალსაც

როგორღა ჰქონდა ისე გამოზნექილურად მკერდი, და თვალსაჩინო მკერდსაც მახვილყურება სულაც რომ გავანებოთ, ფერუმარილი როგორღა შერჩა, მოკლედ, რასა და, მხოლოდ ვერაფერს გაიგებდი, ხოლო უღირსებს ნატვრაახდენილი მეტრო-ული მიღწევ და მერე ამოღწევისგან შვებით ისიც კი სულაც გავიწყდებოდა, გამობრძმედილი ძალიანი ალჩუ (ჯილა - გამოცდილი კოჭი?) სხეული თუ სულ ახლახან და თუ სად და როგორ რა დღეშიც იყო, ან რასა შვრებოდა წილნახვედრი მოყვასისათვის უცაბედობით, ანდა ისინი პირიქით აქეთაც რას გვიშვრებოდნენ, და ვერთავ ორთავე საკმაოდ განსხვავებულ სქესსაც სრულებით ვეღარ ეფიქსირნა ეს, განსაკუთრებითული მაყვალი კი იქ არასდიდებით არ ჩაიშვებოდა ფილოლოგიური, და არეულად გაუბლანდავიც ფიქრის თავი გინდაც გქონოდა, ვერ გაიგებდი რა სახეობა და იმისი რა შეგვხვდ-გადაგვხვდა და, მაგრამ, მაინც, პირდაპირ მისწრება იყო ასეთურიც კი მეტროპოლიტენი და შინაურულად კი, „მეტრო“ - თუმც გვიან, მაგრამ არა არასოდეს მეტრო ბოლოს ხომ მაინც შესაფერისად მკაცრ ბრჭყალებში ჩავსვით ჩვენ, სიტყვის აქეთ-იქითაც მისმიერებმა (ბრჭყალობრივადაც კი) „მკაცრია მაგრამ სამართლიანი“-ს სწორი ალღოთი, არადა როგორ ძალიანი ბრჭყალურია მართლაცდა „მეტრო“, პოლიტენური, ხოლო გაცილებით უფრო ვრცელმანძილოვანნი მარკო და ვასკო და ქრისტოფერ პოლოები თუ დე გამები და კოლუმბები კი სამაგალითოდ სულაც არ გვინდა ჩვენ, რადგან ისინი ჯერ ეს ერთი მიწისზედურად, და ჭარბ ლაღ ჰაერში და თუნდაც რაგინდფართო ოკეანეზე მაინც ადამიანურად, ანუ ბალახოვან თუ უბალახო და მაინც ორთავ შემთხვევაში მიწამიწურად ანდა წყალწყალ ადგილდებოდნენ ბევრად ლაღური ზედაპირული ეძახე და, ისბედნიერნი, ხოლო ჩვენთვის კი იმასაც კი არა უშავდა რომ ძაბვის ხშირულად და გამოხშირული ელდენ-დაცემა-შესუსტებით მთლად ძლივაღა რომ მივჩოჩიალებდით ელძალაგამოცლილ მატარებლურად და მატერიალურად (ზღაპარ-იყო, ზღაპარ-იყო, ჯიბით ტაქსი კი არა სამარშრუტო ტაქსიც - მამკვდარიყო ჩვე-მეტროელებისათვის), თორემ ფაქიზი სტეგოზავრები კი არ ვიყავით და ბოსტოდონტებიც კი არ, ამ სახეობათაგან ჩვე-დიდად განსხვავებელები თუნდაც იმიტომ, რომ, აბა რომელი ჩვენზე ბევრად წარმოსადეგი თუნდაც ეშხიანი მაგრამ შეუგუებლობით ჩვენზე რამდენად უმწეობით უზარმაზარულნი ბრონტოზავრები აბა განადა როგორ შემოეტეოდნენ გინაც კენტად და გინაც ცარიელ (ხოლო ცარიელობა კი არა, შედარებითი ხალვათობაც კი - ზღაპარულ-იყო) ვაგონში, და არც რომელიმე რაფინირებულად ნაზად აღზრდილი ანატოზავრი ვიყავით, რომ ჩოჩიალი პლუს ავჰაერობა თუ უსურველი ტემპერატურა ცელსიუსურად მეზოზოური ანდა პირიქით, ანტიმეზოზოურ-დამცხუნვარებითი ტემპერატურა იმ ათსავაგონო ხალხს ერთვაგონურად რომ აგვეტანა, მრავალმეტროულ მგზავრობებით სულისშემხუთველ აემ პროზასაც აკი ძალიან თვალსაჩინოდ ეტყობა ეს, და არც კერძოგუვერნანტკ-ზეგანათლებულივით ინტელიგენტურ-ვეგეტარიანულ-იხტიოზავრები ვიყავით ყოფა-ცხოვრებ-ძოვისათვის მთლად გაუსუსურებულები, არამედ, აქაც განსაკუთრებით ბოდიში და - დია-მატიობრივად ჩათვლაიან და გამოცდიანადონტოდენტები და ერთიც ისა გვააქ საბოდიშო, რომ ისტ-მატ-ისაც ბევრი იმდენი არაფერი გაგვეგებოდა რა, მაგრამ იმანაც, უმაღლესდა დიპლომისათვის, ჩამწყობებრივულ, კარგა შეგვგუაა; და ყოველივე ამდაგვარი ინერციულ-ინფექციური შემგუებლობით ასეც კი მგზავრობა, წარმოიდგინეთ,

„მიდის მატარებელი, გულის გამხარებელი“ -ც კი იყოვ, არისც, ხოლო მაგრამ როდესაც ელნელმავლური შემადგენლობა ძაბვის მთლად სრული ბეჭებზე დანარცხებით სუმთლად მავზოლეუმივით ჩერდებოდა შუაგვირაბში და, გარეგნულად, საქართველოსი არ იყოსა და სრულიადობით ჩამოსაწერი და დარეტიანებული და წართმეული, გარეგნულად თუმც ვითომდაც ღრმური კერპივით ვითომდაც თლათ გაქვავებული, ლიანდაგზე რომ იდო თუ იდგა, მაგრამ ორსავე შემთხვევაში ძალიან ზედმეტად ბნელში, აბა ერთი შეგეხედათ ან მოგესმინათ ყურებასავით თუ შიგნითაც თუ რა ხდებოდა - იქში, აქაიქ გული გვიწუხდ-ისე, გვიღონდებოდაც ნაზ-ფაქიზოურ დიიდ სტრაკოზავრებისავით და, გულყრა თუ თავად იმის ავტორ-შემოქმედ-შემსრულებლისათვის თუ კიდევ იმდენი ბევრი არაფერი, რადგან ერთგვარი შვებაა ესეც, შედარებითია აკი ყველაფერი, მაგრამ მაყვალისაგან დიდად პროტოტიპზავრულად როგორის ვრცელი განსხვავებით, მთლად უბოდიშოდ და ხშირად წვეული ვა?-გამოვლენა - ძალიან ძველი და შორბერძნული სიტყვიდან „ჰისტერიკოს“ - სწორედაც რომ იმისეული უბედურება გვატყდებოდა თავს, მაგრამ „ჰისტერიკოს“ -ის ნაზი „?“სთვის სად გვეცალა და, იმ მიწისქვეშეთშიაც კი ზენიტურიც და ანჩხლი როგორ, ისტორიული რა იყო და ისტერიული ყოვლად უ“?“ო ისტერიკაااااა გვემართებოდა ზოგ მინამდეწილ იავნანასა თუ ზოგ სანდროს თუ ზოგ-ზოგ ლელა-გელასა თუ ბელااას, და თვით შემართულ ანდუყაფარ დამალულასო № (ენ)სც, რომელმა ერთ-ერთმა ანდუყაფარმაც ჯერ კიდევ ბიძგობრიულად მოძრაობული და ნეტარული შეგუების დროსაც კი, ვეღარ მოითმინა და, კარქა ხნიერ და სამაგიეროდ მთლად ოქროსკბილება და მაგიორში დაგლეჯილ თავსაფრიან შორეთულ დედაკაცს, აღშფოთებულმა, ამბოხურად და უფროც მეტი, რევოლუციურ-სელექციონერულად, დია, ასე მიმართა:

„რა არი, ქალო, ასე ძალიან რო მომახუტე ეგ შენი ტომარი, ეგებ მე სულ სხვა მიყვარს?!?“ -

ხოლო, მატარებელი, მრავალნანახა, მაინც და ისევ მიდიოდა8

ისი ტომარიც, არ ჩანდა თორემ, ყავლაგასულობით ჯერ დაგლეჯილი და მერე დაკემსილი და მატარებელივით ბევრ მრავალხვედრა და ამიტომაც შემდგომ ამისა, გაცვეთილი იქნებოდა, კი, თორემ აბა, ჩახუტებოდათ ანდუყაფარს, თუგინდაც ერთად ორი, ჩვენ რომ ვიცით, იმისთანა ის...

ხოლო როდესაც მატარებელი ასე შუაგულურად ბნელაურ გვირაბში დადგებოდა საპატიო კარაულივით „ვიცით ეს სიტყვა სხვებთან ერთად“, და ჯორკივსკივით სამხედარო-სამხედრო და რკინის სახედარივით ჯიუტად იდგა რელსებზე ანუ თავისაზე, ჩვენ და მსგავსები, ზოგი უზომოდ აღგზნებული და ზოგიც ნამეტნავად მიბნედილი რომელიღაც ზავრივით და ზოგნიც კიდე საშუალო, რომელი უკანასკნელებიც ზედაცმეტითი უელდენობით მეტისმეტად ზედმეტად არა ველეთდამელეთვნდებოდით ძალიანი, რადგან ურყევად ვიცოდით, რომ სულ რაღაც რამოდენიმე საათში „წუთისოფლისთვის, რაა...“ ის ხელადგილობრივ უტყუარი მამაკაცები და ლიფლიფა ელექტროფარნიანი, სხარტი მაშველები დარბაისლურად რომ მოვიდოდნენ შვების გვირაბულ ციცინათელებსავით, და

ჩვენი შედარებითი კეთილდღეობისათვის რომელიმე ლითონის სასაქმო კიბით რომ გადმოგვსხამდნენ ანდა სულაც ჩამოგვზიდავდნენ სუსტებს და ბელადურად გაგვიძღვებოდნენ ცალხელ-ფარნითა და მეორეხელურ კი პირნათლად ვალმოხდილი კიბით, შპალებზე სანდოდ წარგვიძღვებოდნენ ჩვენც ბოლო-ბოლო მარგოპოლოებს და ვასიკოგამებს, მთლად საკოლიაუმბურ ამერიკაზე გაცილებით ახლომდებარე, მაგრამ მაინც რამდენადმე ძნელად მისაღწევ სადგურისკენ და მარკოსა თუ ვასკოსათვის რაღაც სამიოდ კმ თუ სულაც არაფერი არ იყო, არა, მაგრამ ჩვენ ასე შპალურად, და გეგმისზედა ბნელში 2 გვაკლდა სიბნელე, როგორ არა, კი, 2 ხოლო ზოგიერთი ჩვენისეული, მიწისქვეშათგან არალეგალური კი, არსადაც არა მიდიოდა, და აბა რომელი სინდის-ნამუსით შევადარო ის ხელჩაქნეულად გაჭირვებულები რეპტილიას, მაგრამ ხომ ვიცით თანაგრძნობით რომ ყველაფერი შეიძლება და, 2 უსათნოეს და უუწყინარეს რეპტილიასებრ რჩებოდა ზამთრისქვეშეთში ეს იმიტომ რომა, „ნაპოლი და მილანო,“ ეე, რომ შედუღაბება ისე პირდაპირ გადასარევია და ზღაპრულად მცირდებოდა რომ, ხოლო საარსებობაო ფართი კი ისე ლეგენდარულად მატულობდა რომ გრძელ, და მართლაბოდიშურ მაგრამ რა კარგად რბილა-დასაჯდომებზე გავწვებოდით დაღლილნი პირქვე, და კიდეც გვეძინა კალორიულად საჯდომებზე 2 ზამთრობით მიწის ქვეშ-ქვეშ და ღრმად ხომ უფრო თბილა, და აბა რაღას გამოგვაღვიძებდა მიუწვდომელი, მიწისზედა ხმა თუნდაც მგრგვინავად ბილბაოსადმი მიშოსი5 3ჰო=, ჰო, რა იყო, რასაა რომ დაგიყვლეპია თვალები აფრიკულ შლაპასავით და რომ მომჩერებიხარ მერომელიღაც დანომრილი ლუდოვიკოსავით===47 ხოლო ამისა შემდეგ, მეტი რომ აღარ შეიძლება ისეთი მუქი ამ ინცინდენტის შემდგომ, ზოგი ჩვენგანი ისე...ისე...უი? ო, მართლა, აქაც, ბნელაში, რაგინდაც თავგზააბნეული ვიყო, მაინც ვატყობ რომ მგონია თავი მოგაბეზრეთ ამ უსაშველოდ გადაჭედილი და ყოვლად უზომოდ გაწელილი წინადადებებით, მაგრამ რა მექნა, ზედაპირულად და სუმბუქურად აბათუ როგორ აღმეწერა ეს მიწისქვეშა მძიმე მგზავრობა, და განა მხოლოდ ჩვენ, მოვაჟკაცოდ მეტროიანებს, გვინდა განტვირთვა და საშველი, არამედ მინდა, თქვე-შეწუხებულ თვალებგაწვრილებულებისთვისაც კი მაინც ბოლომდე რომ მივიყვანო ავად თუ კარგად კარგი თუ ავი ჩემი სათქმელი, ხოლო ხელოვნურად რომ შევამოკლო, არც ეს ივარგებს ნამდვილად, ვიცი, და ისიც ვიცი გამოსავალი რომ მაინც და მუდამ არსებობს ჩვენში და თუნდაც ასეთ ჩაბნელებულ და ვერმოძრავად მიწისქვეშეთში, და, აჰაი, ისიც - კაცო, ამ პოეტებს თუკი აქვთ იმ თავ-თავიანთ თავისებურ პოეზიაში ისედაც პიპინ-მოკლე სტრიქონების დატეხვის სურვილი და ნება, და ჩვენი ისედაც მახვილ-თვალითა თუ თავიანთივ გათვალისწინებული მგრძნობიარობით, ჩვენი მიბნედილი და შესაყურები თვალის გამოსაცოცხლებლად ესა თუ ის ისედაც მარჯვედ მოკლე ბწკარიკო, და მთლად თავიანთურ ნება-სურვილზე შეუძლიათ რომ არცთუ იშვიათად ზღაპრულ-დატეხონ ისარივით და აქედან გამომდინარე მეტი ისარი გამოუვიდეთ, ხოლო ამ ჩაჩანაკმა ისედაც, პროზამ, ნეტა ისეთი რაღა დააშავა, ჩაჩანაკობის გარდა, და განა სწორედაც რომ მას, მოსაწყენს და ქვეპროზაულს, განა ზვირთობრივ და მჩქეფარე პოეზიაზე უფრო მეტად არ სჭირდება შვება?, და თუმცა ჩვენზე, და რა სათქმელია, იდუმალების მიუხედავად იმდენად ცხადია ესა რომ შუადღესავით ნათელია რომ თუმცა ჩვენზე რამდენად ჰოვ, უფრო მაღლური და შეუდარებლად (შედარებითია ყველაფერი) უმჯობესია სინაზითაც,

მგრგვინვინებლური, და მაგრამ ერთგვარად მაინც ამ სიტყვისმიერი, თვალსაჩინო დედმამიშვილის - ზედაზედასთან, ნამეტანური ახლობლობაც კი მოვინდომეთ, და ხოლო ეს კი არამცთუ კარგია, არამედ სრულებითაც არა ვარგია, და გამოვასწოროთ - ეე, სიტყვისმიერობით, ეე, დედმამიშვილური კი არა, გაჭირვებულის წელმაგრისადმი გარეგბიძაშვილური ნათესაობითობის იმედით, ხომ შეიძლება რომ შორეულად მაღლობრივი ბიძაშვილისაგან, ეე, თუნდაც ბიცოლასაგან ოღონდ ლამაზის, კათოლიკურად რომ გადმოვიღოთ ულუფათაგან მხოლოდ ერთ-ერთი ციცქნა, და ამითაც კი გარკვეულად მიმღებითლური წარმატებები დავიმსახუროთ ისე რომ ისი ვერასაც გაიგებს, დააკლდება რა, ჩვენ კი კარგა გავიმართებით, და ევრიკულად დიდაღმოჩენა აი ესური მოდით და, ეგრევ გავიზიაროთ, და ეს ქურდობად და მუზისურა ჯიბგირობად კი არ ჩაგვეთვლება, არამედ მხოლოდ უბადრუკ მიბაძვაშიაც კი, ეე, მაგრამ ძაბვა დაცემულია, ეე (ნეტავი „ეე“ და „ეე“ - რითმაულია? - კი, კი...), არამედ მხოლოდ მიბაძვაში - მადლმოსილია მისკენ წვდომა, აქ უნებურად კარგი რითმა - „ძაბვა“ და „ბაძვა“, ვა, უცაბედადაც კი გამოგვივიდა, ბიცოლაჩვენო, უაღრესულად თავდაპირველო, ეეე, ჰო - ევა, ჰოოო, და აგრეთვე თქვენც როგორ ვერ გამიგებთ ამა შვებაურ, სულისმოსათქმელ ლტოლვას, და, ამიტომაც, ჩვენი პროზად კალმური მდაბიოების აი აქამდეც წამკითხველიც კი, სამკითხველოში - ნეტავი სად - სკამზედ? დივანში? არენაზე? - როგორმე რომ დაგინარჩუნოთ, მე აქამდე ვა - ყვა, ვივიყავ და, ახლა კი, ასეთი გრძლური გაჭირვებისას, თქვენს საამურად გარკვეულ ალაგ - კიდევაც ბევრად დავიტეხებით სხარტ ისარსა თუ გავიბნევით ლობიოსავით, მეტნი გავხდებით, განვიგმიროთ თუნდ, გამბედაობით თუნდაც ბწკარული ხარაკირობით, აქ უცაბედად, მაგრამ მტკიცედ გადაწყვეტილია ეს, მაგრამ თუ რას ვამბობდი ამ უმნიშვნელოვანეს მოფიქრებამდე? რაღაც მოსაწყენს, მგონი, თან პროზაულად? - ალბათ, ალბათ, მაგრამ უიჰო, ხოლო ამ მუქურ-უშუქურ მეტრთავყრილობის დადგომის შემდგომ, ზოგი ჩვენებთაგანი გამონაკლისი

სულ

აღარ

ჩადიოდა

მეტროში (მეტრო-ს ბრჭყალები აქ რაღად უნდა - აღარ ჩავდიოდით; და ჩაუსვლელად ბრჭყალები რაღა საჭიროა, არამედ სწორედ ფრჩხილები გვკმარა), ხოლო ჩვენ დანარჩენი უმრავლესობა, უშიშარები ვითარცა უსიტყვო, -

კი,

მაინც

ვილტვოდით

ახალ-ახალი

მიწისქვეშითა

შეშებისაკენ,

შპალებისაკენ ანუ,

და, ბოლოს

და ბოლოს ნანატრსა და მიწისზედურა სადგურშიაც კი ამოვყოფდით რბილად გაბრუებულ თავს (მაინც ჩვენია), იქ შუქი იყო ოღონდ ბუნებრივი და პოეზია (თავში კი არა, ირგვლივ) და მაინც ცალფად აღვიქვამდით დღისურ მადლს დროებას ვეღარაყოლილ მზისა, და ჩამორჩენილი ეძახე თქვენ ლაყლაყურა და მიჯრითულ პროზას, - პოეზიურიც კი რამ გამოგვერია რაკი, ისა კი,

აკი

დღესავით

ნათელია

ესეიგ

და

ოცნებლური (ოც - ორჯერ ათ - ნებანებლური),

ხედავთ, თუ როგორ მოგვეცა გული, თუმც უიმედო, და მაგრამ მაინც სიყვარული არის პოეზიის ეს (სული, გული და თუნდაცრული გარეზიცოლურ პოეზიის, ევრაზიის და ავსტრალ-ამერიკ და მექსიკის და ლექსიკისაც კი გადამფარვის),

მთლად,

გავთამამდით,

დედინაცვლურო

ბიცოლაჩვენო

აქ,

რადგან წერისას ესე იგი, თხზვა ხომ სუმუდამ ადვილია, სინამდვილეა ხოლო ძნელი, ძნელი რადგანაც სინამდვილეში ასე ალაგ და

ალაგ

და

კიდევ უფრო

ხშირად

გვებნევა (გვეუბნება - გაჭიმული პროზ.) აღზევებულობითობით, მაგრამ იმ პროზაული მეტროდან ამოწინაურებულები გვეძახე და, მაგრამ იმდენი და

იმოდენა მრავალ და ყოვლის ყოველწამია შეხლა-შემოხლის (ეს „შეხლა-შემოხლა“ თან მძიმეა და, მაინც თანაც პოეზიური, რა უცნაურად შუადღევისა მბმული სიტყვაა მაინც), რაღაც ახლახან და წეღანურად მოჯახ და დაჯახ-ებულები ვიღაც ოქროსკბილებას თუ მთლად უკბილებო და მაინც ერთგვარ კბილებიან ვიღაცების მუხლს, ვედროს, მხარს თუ ტომარას, სავარცხელს, ნეტარაიან ჩანთას, ბადურას, აკადემიურ ყოფილ პორტფელს თუ ნაკლულ თუ შესავსებ ჩაიდანსა თუ რაღაც ჯიუტ მილებს წელსქვემოურად თავდაღწეულები, და განსაკუთრებულად გახარებულები იმითაც, რომ

საჭიროების

შემთხვევაში

ოთახი კი არადა, თუნდაც ნაგვით და მაინც ერთგვარად მდიდარი სავსეობით, ქუჩა თუ გამზირი ისე მისწრებლურა-ცივად გვიღებდა და გვიტევდა კიდეც ჩვენ, ოდით ქართველებს, იმ ცხელ და ურიდო („არ მრიდებელი“), ისეთ ვაებად ომგადახდილებს, რომ რაღაცა აზრი (თუნდაც უაზრო), ანაცდა ფიქრი (ბლაგვად ფიქრობა) მაინცა გვქონდა, და იქით თვლემამორეული გვიღუტუნებდა მაგრამ რაღაც რამ, ანუ საწყისი, ანაც თავსართი მაინც, ნამდვილად გვაკლდა, რა თავსართი და, გინდაც სახელის თავსართიც კი, -

„კი“ კი არადა, ნავთსაყუდელს და საჭირო ოთახს ვიღა დაეძებდა, აკი ნაკლული ჩაიდნებიც ვინიცობისთვის იყო მეტროში, ამ მხრივ წესრიგში გახლდათ საქმე, არამედ კმად გონივარივდადარეულები და დათრგუნვილები ჩვენ, სხვაენოვანიც პასპორტულად მოქალაქეები, უაზროები, უთავსართონი, რადგან თავსართი ნამდვილად გვაკლდა და, ადგილზე ბრბულად და უმიზეზოდ მთლად, დავტრიალებდით რაღაც ხეიბარ ციბრუტივით და უთავსართოდ, „თავსართ“-ს ხშირად კი ვიმეორებ, რადგან, მხოლოდ გულს კი არადა, მთლად პიროვნულად აშკარად გვაკლდა, სხვანი გავხდით და, აღარც ვიდარდოთ?, და არ გავისვათ წითელი ხაზი?, ვეღარც გვიცნობდით - ვიყავით ვთქვათ, მთელი სანდრო და, ვხდებოდით მხოლოდ ვიღაცა ანდრო, ნანა კი არა, არამედ მხოლოდ ანა, და ლელა-გელას და ბელას ნაცვლად - უცხოსახ-ელა, თუმცა სამმაგი ელაები, მაგრამ ყოვლად უელექტრონო, და ზოგს კი მხოლოდ „ანდუ“ შერჩა შემოძარცული, მხოლოდღა ფეხით და გადატანით სიმბოლურადღა დავრჩით ყაფარი („ამართულივით“), სინამდვილეში ჩაჩანაკებად ვბრუნდებოდით შინ, რათა ბნელში სუსტად გვეფიქრნა, და სუსტადაც კი ვეღარ ვფიქრობდით, ეს ახლაა რომ მზის შუქზე ვწერთ და ვკითხულობთ, რამეზედ ვიდეთ საბანმჭიდროდ შემოხვეულები და ძირითადად კი რაღაცა ავი პოეზიობით გვტკიოდა წელი-ხელი და ყელი, თვალი და თავი, მკერდი და ფერდი, კუჭი და კოჭი და მისთანანი, გვიდუნდებოდა ენა, და ქვენა გრძნობები პალტოში მძინართ და, სამაგიეროდ დანამდვილებით გვიყაფარდებოდა წნევა, და ასე წერა, ვითომდაც ხუმრობით, კიდევ კარგი რომ აშკარადი ამპარტავნება არაა, არა, და ისევე, როგორც მეუფე დანიელის სიახლოვეს უღირსს როგორღაც მთლად ავიწყდებოდა ჩამოსათვლელი გაჭირვებები და მხოლოდღა შვებით იღიმებოდა, ახლაც, მზის შუქზე, გვეხუმრებაც კი და, მაგრამ თქვენ იქა, სიბნელეში უნდა გეკითხნათ, მაგრამ იქაც კი მოიძევებოდა თუნდაც

წასული, მაგრამ დიდებად დარჩენილი ადამიანებით შვება, და მშობლიურებს, დიდ ქართველთ სულაც რომ თავი გავანებოთ, - უხერხულია ჩვენიანების ქებათა ქება, უცხო ქვეყნისაც კი შვილები, სილაღისაკენ გვასაზრდოებდნენ, და როგორ სჭირდებოდა სიბნელეს იმათი ხშირი გახსენება, ელდენივით კი არა, რაღაც მეტური შვება იყო, იყო, მუდამ არსებობს თუნდაც ყუჩი გამოსავალი, ერთი დიადის გახსენებაზე კი ბგერების რაღაც აცვენილი და აწყვეტილი ტყედ-თაიგული ჩნდებოდა და იფურჩქნებოდა ისეთი, რომ რადიოლაზე დაგედო თუგინდ დამტვერილი და უსინათლობით კარგახნის უქმი ფირფიტა, თუმც იმას ფირფიტა რად უნდოდა, მუდამ გახსოვდა, ოღონდ თუკი როგორმე დასძლევდი თავს და გაიხსენებდი და სწორედ მასთან დაკავშირებით ამოკითხული ხუმრობებიც გახსენდებოდა: ყველას უყვარდა კი არა, ადამიანის პირობაზე აღმერთებდნენ მხოლოდ თავის სამშობლოში კი არა, მთელ ევროპაში და მერე და მერე, მთელ მსოფლიოშიაც, სრულიად ახალგაზრდას, ჯეილობიდანვე ისე ეხვია დიდება რომ, თითქმის ყოველი სხვათაგანი მის ადგილას ჰეიჰოვ, როგორ გაიბღინძებოდა და სიტყვაძუნწი გახდებოდა კი არა, მედიდურობით სუნთქვაც კი როგორ გაუჭირდებოდა, მაგრამ სხვა აბა როგორ იქნებოდა იმის მართლაცდა ერთიღა ძლიერ ზემოდან დაჯავშნულ ადგილას თუნდ ქანდარაზე, მაგრამ ზეუცნაურად ჭარბჰაეროვნებაში, როგორი შვების ბედნიერებად მბოძებელი კი არა, არა - გადანცხრომულად ზეაყალყული ვიშნეტარების მანიჭებელი და, მჯილდოებელმა, სუნთქვა იცოდა ისეთი რომ, დღესაც კი, როგორ დამხრჩვალებს, უვიტამინებუკალორიოდ მიკნავლებულებს, მაინც როგორ აღმატებულად, მხოლოდ გვშველის კი არა, თუ ძალიან გაგვიჭირდება, მართლაცდა გვარჩენს, და თანაც, უშუქობასა და ურადიოლაოებაში თუკიღა მხოლოდ გავიხსენებთ, ესეც კი, როგორღაც გვყოფნის, და თუუ, ვისმენთ კიდეც უპატრონობის სასტიკი ანგინით ყელგადამწვარ თუნდ რადიოთი, რაგინდ ხრიალითაც, როგორად გვყოფნის კი არა, ვლიცლიცლიცდალიცვდებოვდებოდით მისეულიღა მხოლოდ სიჭარბით, მეწინაურად მაჩანჩალური არასმოსურნე-ავანგარდისტებიც კი; სადღაცას, ზუსტად აღარ გვახსოვს თუ სად და როდის, მაგრამ ავანგარდისტებზე ნუ მიიღებთ, თავიანთი გასაჭირი არ ეყოფათ?, მაგრამ სადღაცას როგორ სწორად თქმულა თუ შავით თეთრზე დაწერილა და აღბეჭდილა კიდევაც მგონი სულაც, რომ „უკანასკნელ რეგვენსაც კი ესმის მუსიკა“ - ეს მისი მუსიკა იგულისხმებოდა, როსინისი, და დიდად ძალიან უცნაური კია ერთი გარემოებით ეს უკანასკნელი, ეე, უკანასკნელი კი არა არამედ მშთაგონებელი და ძალიან გვინდა, თუნდაც სავსებით მარტივად როგორმე ავხსნათ კიდეც ეს ფრიადი უცნაურობა და, უცნაურადვე თუ ავხსნით მხოლოდ, რომ, რომ, თუნდაც აი ასე: „გინდაც არ გვესმოდეს, მაინც გვესმის, და ამიტომაც არც ვიცით, მაგრამ გველექება“, და, სასიკეთოდ როგორ, მაგრამ დალექვა და ლექი, ანუ საბასეულად ლექი: „ლეკი - თხლე“ არცთუ დიდებულად ჟღერს, და მეორეს მხრივ თუმცა „ლეკი - გინა კავკასს იქითურები“, და ლეკზე მაინცადამაინც უვაზ-უღვინო მეზობელი რად გვახსენდება მაინცადამაინც, რადგან პირველ ყოვლისა ლეკი თურმე მთლად ჩვენებურად თხლე და თხლეა, მაგრამ აქ ჩვენს საგანს ძალიან ავცდით, იმისიანიც კი, და მაინც ვედებით ღობე-ყორეს, მაგრამ სხვათა შორის მსგავსური სიტყვა „ლექა - ძალიან მთრვალი“, - აი, ფეხი კვლავ აგვერია, აი, კიდევ ავცდით, რადგან ლეკი და ლეკი კი არადა იტალიელი იყო ნამდვილი და რის დალექვა, არამედ მბედნიერებლად იყო

ლექა რაღაც მაღლივის, და რადგან ყოველივე რაღაცხერხობრივ მაინც აიხსნება, მოდით, ჩვენც ავხსნათ - ესე როსინი ბედნიერება გახლდათ ისეთი, რაც ახსნას სულ ვერ ექვემდებარება, რადგანაც შვებით კიდეც ვიბნევით, ეს მაინც რაღა იშკილია - შვება და, - ბნევა? იგი კი, იგი, ზერაღაცისეულად ჯერ არსმენილი რაღაც სპეტაკი ოინბაზობის მქმნელი და მქნელი, მი-მო-სილაღის მო, როგორი ვრცელი სალბუნი, მთლად უნებურად, ზეწყალობისგან მხოლოდ თავისი-თ გრძნეული და მერე როგორ, შვების თაღლითი, ბედნიერების ის დიადი ცუღლუტი ესა, შვებური ლხინის ყოვლად უხინჯო, ფერადოვანი სიმარჯვეებით მაფრქვეველი და, თვალებდახუჭულიც, ჩუბინურად ირგვლივა მფრქვევი, აგრეთვე პირადს რომ ეძახიან იმ ცხოვრებაშიც თავისდამაგვარ ანცობათმქმნელი, და სილამაზის თვალთმაქცი მონა ოღონდაც ნებსითი, მერედა როგორ მიმოხვეული აღმა-დაღმიერი ნებასურვილით... - თავკერძა ის!, და ცხოვრებაშიც, და მუსიკაშიც, და სადღაცას შუა, ჩვენი გულისთვის უბოროტო ყოვლად, ცბიერი, ეს ცუღლუტობის იფ, უსტაბაში?, - სხვათა სიტყვაა... - ვარსკვლავეთურად ვრცელი მაესტრო, - მისი სიტყვაა, წამდაუწუმა ნაზ გრიგალების მარადად მფრქვევი, ნოტებით ლავა მოდუღდუღე, ოღონდ გრილი და ლბილი და უპირველეს - ჰაეროვანი, ნატვრისნოტებით აფურჩქვნილი ხე, თანაც, მძლავრი და, როგორ - მუხა და, - ამჩატებული? და მოტივტივე?, ბაობაბი და, - ცა-ცად მფრენი? კარგია, კმარა, მთლიანად არ აგვიყოლიოს, ისე რომ სულაც გადაგვკარგოს, დაკარგულები ისედაც ჩვენ, ოღონდ წყალობით, და, მოკლედა ვთქვათ რომ ამდენი რამ რომ თუნდ მხოლოდ ყურებად რომ მოგვაჩუქა (ეს ცალმხრით... თუმც არა, არა, რადგან ყურება და ყურებიც ძირითადად ხომ ორმხრივია, იშვიათი გამონაკლისის გარდა), და მერე როგორ, - ეს მოფერებით - მოგვაშავა ჩვეყოვლად დაუ...დაუმსახურებლებს, მრავლად და ავადსახსენებელ ყურებად გვიყო, და, მოდით ერთი და, გავთამამდეთ ჩვენც და, ორმხრივ ყურებად ჩვენც მთლად იმისკენ გადავინაცვლოთ, მით უმეტეს, რომ, გარდა იმისა რომ ახლაცა გვყავს და მუდამ არის, მარად იქნებაც, რადგან ბგერები ჰაერში არ იკარგებიან, დაბჟუტურობენ, ოღონდ რარიგად, ძველ-სილამაზით, უხმოდაც, მერე, და, პირველ-საღამოს, იმ მორიგი პრემიერისას რაღა თქმა უნდა მაშინ ხომ ძლიერ იყო და იყო, ისე ძალიან, რომ სწორედ დღეს, მაგრამ ჩვეული მოუსვენრობით, მოდით და როგორმე ერთი აბაა, მთლად იმისაკენ გადავინაცვლოთა, ამისთვის ერთი მთელი საუკუნე და ზედაც ორი მესამედი - არაფერია, აბა რაა, და აბა, მისით გადმომდებ ჩვენცურ უცხო ხალისობრივად, როგორმე მოდით და ას სამოცდაათი წლის წინანდელ იტალიაში გადავინაცვლოთ, ის მერე რა რომ, შუაღამეა, მთლად უკეთესი აიესაც კი, რადგან შუაღამობა იდგა იქაც, როდესაც ძალიან უნდა შევხტნეთ იმდროინდელურ კარებდაგმანულ იმ დილიჟანსში, დაძრულში თანაც, და ავისრულებთ კიდევაც წადილს, რადგან, დაგმანული რა, ჩვენთვის გმანი ხომ თუნდაც ვრცელურ ლექსიკონურად - არაფერია, თან მე ჩვენ გეტყვი და, ანდა ვინმე რაგინდყურება დაგვინახავს ან რაიმეს მოგვისმენს, აკი დიახაც შეთქმულები ვართ პირწავარდნილი, და ჩვენში რომ ვთქვათ, ჩვენში დარჩეს და არცა გვძალუძს თვალსაჩინოება, და ჩვენი სმენაც ვის შეუძლია, ხოლო პირიქით, ანუ აქეთ მოსმენა კი - იცოცხლე, დიაღ, და სწორედ თორმეტნი შევიქნებით, ზუსტად იმდენნი, რამდენიც რომ ნოტ დო-დან დო-მდე თეთრი და შავი კონტრასტულებრივ კლავიშია მიჯრით შეყრილი, და ძალიანაც დამთხვევითურია ცხენების ზუსტი რაოდენობაც - რვა - სწორედაც რომ სრული

ოქტავის, დო-დან დო-თი თეთრადმიერი საღი ნოტია, ყოველგვარი წახალისების (დიეზების) თუ ნაკლულობის (ბემოლების) ჯანსაღად გარდა, - ეს ცხენებზე, თორე მუსიკას კიდეც სჭირდება, მოკლედ მაშ ასე: ჩვეორფეხთორმეტს, მხოლოდღა რვა და სამაგიეროდ მაგრამ ოთხფეხი სულ რწევა-რწევით დილიჟნურობით მიგვარონიებს, ხომ მოგენატრათ, ღამეული სვლა, სულ პალტოებში ხომ არ უნდა ვიწვეთ, მოსაბეზრებელია ერთგვარად ესეც, ხოლო ჩვენ სრულიადი თორმეტივენი, იმავ საღამოთი, ქალაქი სწორად აღარ მახსოვს ხოლო როსინის ის ოპერა როგორ არ მახსოვს მაგრამ არ გეტყვით, ისედაც ბევრჯელ გიშალეთ გული, და მხოლოდ იმას გაგიმხელთ, რომ მისი ერთ-ერთი ოპერის მორიგ ქალაქში პრემიერაზე აეს ათნი ლოჟებდაპარტერ-ქანდარაზე ბორგავდნენ ძლიერ, ჩვენა ორნი კი - ჩამქრალ ჭაღში მთლად ქანდარულად ვიყავით კოხტად მიყუჩულ-მოყუჩებულები, პარაშუტიც არ გვსაჭიროებდა, ჯერ ეს ერთი რომ უწონოები ვართ ამა კლასიკურ შემთხვევაში და მეორეც ის, მაშინ სად იყო პარაშუტი და ვენტილატორი, არამედ მხოლოდ მარაო და ისიც მხოლოდ ქალებისათვის, მარტივი, ხელის, მაგრამ სამაგიეროდ იყო როსინი, თანაც ცოცხალი როგორ, მთელი ცხოვრებით სულ ანცობრივად ჩქეფდა და ჩქეფდა, და განსაკუთრებით იტალიელებს ისე უყვარდათ, რომ იმის ორმაგ სა-ყურება-ლად ეს საიდან სად - იმადროინდელ მთელ რვასაათიან მოგზაურობაში (ზოგიერთ ოკეანეზე გადაფრენას რომ არც უნდა ახლა) წამოვიდნენ დილიჟანსურად, მიუხედავად იმისა რომ, მეორე დღესვე იმათ ქალაქშიც უნდა გაიმართოს იგივ ოპერის პრემიერა, მაგრამ ერთი დღეც კი გულმა არ უქნათ და ვერ მოუთმინათ და, სწორედაც რომ სანაქებოდ აინაზღაურეს ეს იქითადააქეთურა გრძლურად ჩაქჩაქი თვით იმით, რომ, ჯილდოდ მიიღეს თვით როსინის...რა და...ეე...რა და, მუსიკა, მეტი ვარესი სიტყვა რაღა იქნება, პროზაში პროზად პროზაულის მოსაწყენობის გარდა და მეტი, ახლა კი, შინვე ბრუნდებიან დაჯილდოებულები, დიდია ჯილდო, ვითარცა ამ რაღაც გუშინწინად მოღვაწოური ომმომგებ ერთი ლეონიდასის (ლომი) ილიჩ-ილიჩის ნათურებივით ორდენები, მოუბეზრებელი და ვერდამწყნარები რიცხვობრიულად და იმისი ზედაც გმირის ჩამოვარდნილი მარსკვლავებივით ვარსკვლავები, ვერმოსაბეზრი, მაგრამ მხოლოდღა ხუთი ეკიდა; სრულ ოქტავამდე მხოლოდ სამიღა ჩამოკიდებით ვეღარ ავიდა, არცთუ ისე მუსიკალური, აღარ დასცალდა, ე?, მუხთალია წუთისოფელი, აფსუს-კანეჩნა, მაგრამ აბა რას მივედ-მოვედებით, უმ-ფანტაზიას სჩვევია ეს, რადგან რაღადროს ისაა და ერთი ჩერნენკოც ცოლშვილიანა ერთი, ასეა მუდამ: თუმცაღა ვაკე ადგილია გზა, დილიჟანსი მაინც გლახათ რახრახებს ქვებზე, ხოლო გზაზე ქვებს აჰკრეფდა ვინ, როსინისთანას მეტი, ოღონდაც მერე მის მსუბუქ ხელში რაღაც წყალობად ლოდად ქცეულებს აქეთ დაგვიშენს და, გვესვრისა ჩვენ, ოღონდაც კარქა-მუსიკალურად, ჩვენ-კი, თორმეტნივე, ვითომც გზაზედ დამდგარნი, ადგილობრივად ვჯაყჯაყებთ ისე, რომ ნაზი თვლემაც ვერ გვერევა, ანდა, რათ გვინდა - თუკი ძილია, ძილი იყოს ხარისხობრივი, მამაპაპური, თან მინამდე სულ ვერსმენილ, უმამაპაპურ პრემიერით იმდენად ვართ მისმიერები, თუნდაც ამ დილიჟანსით რეგვენულ ცხადში - ცხადად, რომელი ძილი, ჯერ, გვინდა რომ მუდამ სუყველანი ვიყოთ მისები, თუნდ გახსენებით, ის მერე რა რომ ისერიგად ძალიანური დაბნედილებივით, რომ ზოგიერთ ჩვენგანს სახელებიც კი მისით აღებული უცხო ქვეყნებისანი იქამცხოვრებ შვილებისანი გვაქვს, ოღონდ უმეტესობას - რაღა თქმა

უნდა, მაინც იტალიური, თუ არ გჯერათ და, მისიანობას მონატრული, აგერ, ქალბატონი წებელდა მიბნედითულად იტყვის:

- ა?, ჯოაკინო, ჯოაკინო... გენიალურია, გენიალური, როსინი, - ამბობს წებელდა, ალტობელლი, ბოტოჩელისა, და ბოტიჩელლურისაც, - მოხატულია, მთლად.

- გენიალური კი არადა, რაღაც ფანტასტიურად, ფანტასტიკურად გენიალურია, ეგეთი კაცი თუ იარსებებდა? - ა?! - მცირე შენიშვნის მიუხედავად, მთლად წებელდა ალტობელლისა და ბოტოჩელისასკენაა გაუთხოვარი ალბათ დროებით სტელლა, მანძინი.

- მერე როგორი!, მერე როგორი! - ხმამაღალ გულით ეთანხმებიან სხარტი კარლო დე ბრუნო და აქამდე კიღამ-მთქნარება ატეხილი დანტე, მანძილი.

- არა, მართლაცდა გენიალურია, როსინი, - დასძენს რენატაც, კოსტაკურტასი, ადრეც მდიდარი, მამით - მხარგრძელლი.

- ეე, ოღონდაც, ოღონდაც... რასაკვირველია, - აგრეთვე დასძენს მხცოვანი თეთნულდი.

ვა?, ეთქვა რაღა, თავიდანვე, ეს „რასაკვირველია“... თორემ „ოღონდაც, ოღონდაც“მა რაღაც შენიშვნის მოსასმენად განგვაწყო თითქოსდა, და შევკრთით.

- ეე?, რა ვიცი, მეკი იმ ზეგენიალური შესავლის შემდეგ სუვეღარაფერი მესმოდა სულ, ისე ძალიან იმოქმედა... და გადამკარგა სუსულ... - ამბობს ძალიან მოწყენილი, ახლაცკი დაკარგული მთლად, კლაუდიო, - გვარი აღარ გვახსოვს.

- თურმე ჩვენწინა დილიჟანსით უნდა გამომგზავრებულიყო, ა?... ა?, იმასთან ერთად, და თუნდ გვერდიგვერდ ანდაც მხოლოდ პირისპირ რომ მემგზავრა? - ა?! - მიახლოებითი აუხდენლობისგანაც, როგორ ნეტარებს სტელლა, მანძინი.

- აბაა... - და: - მვუაااა, - ვერმოსაწონრად ამთქნარებს დანტე, მანძილი - მაინც მომღლელია, გზა.

- ლა ბცკიინვალეა! - მხოლოდღა ჯინაა ეს, მცირეწლოვანი; ძნელ ბგერებს ყოველთვის სწორად ვერ გამოთქვამს.

- მართლაცდა, მართლაც, რა ბრწყინვალეა! გონებითა და მთელი ჩვენი თავისტვინიანობითაც კი, წარმოუდგენელი! - გაკვირვებულია, მაგრამ როკავს კარლო დე ბრუნო.

- მთლად ეგეთები, მაინც როგორ იბადებიან თუნდაც გამონაკლისებურებად თუნდაც თვით ჩვენში, - ამბობს დამრავალშვილიანებული პანტიკაპეა მინელლისა; ადრე მანიანი.

- რა დედამ შობაააა! - ყვირის ტარზანი.

- ერთი მოდგმის ვართ, ის და მე! - ამბობს მაუგლი. პეტროსიანი.

აკი სუყველას გვესმის მუსიკა, და ვერონაში (იტალიად) მოხვედრამდე ერთი ტარზანი - თავისებურად აკივ-მღეროდა: „ააი-აიუუუუ, უუ-ია-იააა!“ -ს და რომელმაც ტარზანამა აქ, ყოვლად უჯუნგლო ვერონას გზაზეც ძველგავლენური სიმღერითა თქვა აღტაცება: „რა დედამ შობაა!“

ხოლო მაუგლის სიმღერა კი, გითხრათ მართალი, პირადად მე არ გამიგონია. პეტროსიანის - კი, და მაგრამ ეს რაღა გამოდის - როგორ, მაუგლი არ ჰყოფილაუ გრანტ პეტროსიანი?.. რაღას არ იტყვის ჩვენებური მსმენელის ენა.

მოკლედ, ჯუნგლებში უნებურად მივიწყებულმა ტარზანმა აქ თვალსაჩინოდ რომ ის თავისი „რა დედამ შობაა“,

- ისბედნიერი... - ნაღვლიანად ჩურჩულებს ტოსკა, თავიდან ღირსი დელ მონაკო და, ოღონდაც მერე - ტორიჩელლისა, იმისი ვაჟი, მუსიკალურადაც მთლად ფუყე და მართლაცდა მხოლოდღა ტორიჩელი, მუქტავერნებში ბანქოს თამაშობს, მუდამ. მაგრამ აქ კი არა, - არამედ შორს, რადგან შორსაა, და - კიდევ კარგი, რადგან სწორედ იგიღა გვაკლდა, რადგან უიმისოდაც და უჩვენოდაც უკვე თერთმეტი დინოზავრი რა იყო მგზავრი გამოვდივართ, ის მერე რა რომ ერთ-ერთი მათგანი, ყავისფერმოსასხამიანი და თუმც ხილული ადამიანი, მოსასხამს გარდა ყრუ-მუნჯიცაა ეგებ, რადგან იმ ყოვლად დილიჟანსურა აღფრთოვანებაში, სიტყვა არ უთქვამს და არც სახეზედ დასტყობია-რა ვნებათღელვური, ერთი ეგაა, რომ ექიმის საკვოიაჟი ფეხებთან უდევს. მაგრამ ექიმი და, ყრუ-მუნჯი? თუმც, ის მაინც იჯდეს ასე ჩუმად, თორემ მთლად აგვერევა ათდაორრიცხვოვანი კლავიშებიან-ოქტავითობა.

- ბედნიერებავ. ხვალაც მოვისმენთ! - ტაშსა ჰკრავს სტელლა, მხოლოდ მანძინი, და უნებურად ჩივა: - ვაჲ... - სულ დაავიწყდა, რომ ფაქიზი ხელისგულები უკვე პირველი აქტისას რომ კარგა იტკინა, და უნებურად ამიტომ ჩივა: „ვაჲ“... ხოლო უქმსაკვოიაჟიანი ექიმი ყურსაც არ იბერტყავს... არა ყოფილა მოწოდებით ექიმი, არა, რადგან, რა მოხდა, გაუსინჯოს მტკივანი რაიმ, ხელისგულებია მხოლოდ, მეტი ხომ არა, ყოვლად დასაშვები ადგილი, სამაგიეროდ:

- რა მოგივიდა, მია (ჩემო - იტალ. - ავტ.) სტელიტტა (სტელიკო. - იტალ - ავტ.), მია კარგო (ჩემო კარგო - იტალ.). - გარეგნულად სწუხს რენატა, კოსტაკურტასი, ადრე მხარგრძელი და ტანწვრილლი. საქმე კი, აი, შემდეგშია: რახან რენატას არ მოსწონს მაგრამ ეამაყება მაინც თავისი თავისი ქმარი ემილიო კოსტაკურტა, და მგრძნობიარე ქალია რადგან, ასე ჰგონია რომ მაინც ერთპიროვნულად მისიკოსტა და კუთვნილკურტა სუყველასაც კი ეამაყებათ და პლუს კიდეც მოსწონთ, და ამიტომაც გაუთხოვარი სტელლა, ახლააქური, მხოლოდ მანძინი, განსაკუთრებით ამოჩემებული ჰყვანს იჭვიანად ოღონდაც მხოლოდ ფარულა გულში; ასე ჰგონია, რომ დიდნაწილობრივ იმისკოსტასა და არსასხვისოკურტას და აემ სტელლას ვითომ რაღაცა აქვთ ერთმანეთში, და ეჩვენება რომ თვითონ კი დიაღაც რომ ყველაფერი იცის (ვთქვათ და, გინდაც რომ სწორედ ასეთად კი იყოს სადღასაც ბნელში, გინდაც მაშინაც ყველაფერი აბა როგორ, გინდაც მასავით ფანტაზირებულს, ეცოდინება; ამას კი არა, თვით იმათაც კი - „სტელლა + (პლუს)

ნაწილობრივი კურტა!ტრისტან და იზოლდა“ - აი, იმათაც კი ბოლომდე ყველაფერი დანამდვილებით არ ეცოდინებოდათ, რაშია ბოლომდე საქმე), ხოლო გარეგნობით თვით გაბმულად არმოწონებული, მაგრამ ქრონიკულადვე საამაყო კოსტური კურტა (ვერონის მთელი შემოგარენის მთავარი მაგისტრ-ვეტერინარია) არამცთუ ოთხად, არამედ ორად გასაყოფადაც ნებისმიერ ვერონელ ქალთან კი არა, შორეულ ფრანგულ გილიოტინასთანაც კი არა ჰსურს, ქალია და გუნება, და თუმცაღა კოსტა დიდი იმდენი არაფერი, მაგრამაც კურტა - შემოსავლიანია, ხოლო ყოფილი წელაწვრილლა კი რადგანაც აგრეთვე ამაყია ბაობაბივით, ვითომ ამიტომ ვითომ არაფერს იმჩნევს, და კიდევ მეტიც, წითლად ხაზგასმული მოფერებით სტელლას ძალიან დობილქალურად და თავიანთ ენაზე (იტალიურად) ძლიერ გულთბილად ებაასება, ასეა ახლაც:

- კე ტი სუჩედე, კე ტი პრეოკუპა ტანტო კოზი, მია კარა, მია კარგო სტელლა (ჩემო კარგო სტელა. - ავტ.)...(სამწერტილი - ავტ.)

ის ყრუ და მუნჯი და ბრმანაწლავა ექიმი კი არც ერთ ყურსაც არ იბარტყუნებს, ამ შემთხვევაშიც რაღა ისა და რაღა იმისი საკვოიაჟი.

- არა, იმდენი არაფერი, დეიდა რენატა... (დეიდაამ? - !?!!! - მაგრამ ყველაფერს დაითმენს მიზანდასახულად გამობრძმედილი მომფერებლური რენატა-ურჩი, ყოფილი უკეთესწელიანი), ხოლო იმისი დის (საერთოდ არ ჰყავს) სულაც ვერშვილი, სტელლა, ფაქიზ ხელისგულს უნაზესი სულისშებერვით იგრილებსა და, უცებ, აღფრთოვანებულს ახსენდება: - ბედნიერებავ, ხვალაც მოვისმენთ!..

ერთის შეხედვით ვითომც ყოვლად უმწიკვლო, მაგრამ სასტიკ-გამოთქმა „დეიდა“ - საგან განსხვავებით, აქ კი თუმც სწორია, თუმც აქაც მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან სწორედ ამ ოპერის პრემიერას ზედიზედ იმ ორ იტალიანურ ქალაქში, ახლა სწორედ ეს ჯერჯერობით შედარებით უმანკო დილიჟანსი რომ მიდი-მოდის, აპირებს დიადი, მაგრამ მაინც ლაღი როსინი, ხოლო მხოლოდ მანძინი სტელლა აქაც არაა თუგინდ ასტრონომიულ-კალენდარულადაც კი რომ ავიღოთ მთლად სავსებით სწორი, არამედ სავსებით სწორი სულაც უწელო რენატაა ავტოსულგრძელი, რადგან - სრულიად სწორად უსწორებს, თან, დაყვავებით (სიტყვაა დამაფიქრებელი):

- ხვალ კი არადა, არამედ დღეს, დღესვე, მია ძალიან კარგო (ჩემო ძალიან კარგო), სტელლიკუკუნა, - უყვავებს (ვა?!) რენატა, შიგანამაყი, ხოლო მის კოსტას კალამიც უჭრის, ერთზე მეტი შრომით, ეე, ნაშრომით, მაგისტრი არის, ბეითალური, - აბა დახედე მაგ შენი ბელლა თვალებით (მშვენიერი თვალებით. - იტალ.) შენს კოხტა საათს (ასე ჰგონია, რომ ძამპანოს - მოფერებითი სახელია ემილიო კოსტაკურტასი - ნაჩუქარია ის საათი; ვითომ?? რა ვიცით... ისე კი, ბლომად ბევრ საათს გაუვლია კურტაკიანი კოსტას ხელში, რადგანაც ნაკლებად პირუტყვ ამ ექიმივით, და ეზოთხშირებსა და წამდაუწობრივ ყეფითმხმოვან ძაღლებს, მაჯისცემობებს, ეე, კოჭისცემას წამმზომიერად უთვლის ხოლმე, თან, სტელას საათს ერთგან გარკვევით აწერია ნუმერი 4, და კოსტა კიდენ აკი ოთხფეხების მკურნალი არის, ვითომდა, მართლა დამთხვევაა ეს? ვერ დავიჯერებთ, რენატასავით, ციფრი ხომ

აკი სახეზეა; თუმც, და მაინც, აბა რა ვიცით ბოლომდე ჩვენც სუყველაფერი, თუ საიდანური საათია...) და თავს ვიკავებთ, მხარდასულგრძელთან ერთად, თუმც, საერთოდ და ისედაც როგორ არა ვართ შეკავებულნი, უტყვ-უჩინარნი, კიდევ კარგი რომ, ესსწრაფადთქმული იტალიური ალაგ რომ მაინც გვესმისა და შეგვიძლია თანაც ყურება, რენატა კიდე, სულ სხვა რამს გრძნობს, და სხვას გა-ნაგრძნობს: - შუაღამეს ხომ გადასცდა უკვე, ჩემო გოგონავ, და ხომაა უკვე პირველი, ანუ თორმეტი და კიდევ ერთი, და, ესე იგი, ახლა უკვე დღეს-ს კი არაა, არამედ უკვე ხვალე-ა უკვე, და დღესვე მოვისმენთ ამიტომაც დიად როსინის, ჩემო კარგო (კარგო - ქართ.)

ყველას როდი გვაქვს რენატასთანა მათემატიკა.

- მართლაც, ხვალაა, აბა�ა... ااا... ნვუااااახ?, ღღ-ხ!! - ღღ,ხყპ!!!, დანტეა, ჩვენი, რადგან მარტო ჩვენ, მხოლოდ ქართველები კი არა ვართ უშუალოები, არამედ თუნდაც მთქნარებითი უშუალობა სხვაგანაც კი ხდება.

მოგეხსენებათ, მთქნარება როგორი ადვილადაც გადამდებია ინტიმურიეე, იმასავით, ეე... ჰო, იდენტური თვლემასავით, ჰო, და შეძლებისდამებრ ყველა სათვლემად განეწყობა - სუაწითლებულ ხელისგულებზე იბჯენენ ზოგი ნიკაპს და ზოგიც ლოყას, ზოგნი კარგ კეფას საჯდომზე, ეე, უფრო სწორად, დასაჯდომელზე... ვე?!.. მოკლეთ, სავვარძლლის ზედა ზურგზე ცხვირმაღლა დებენ, ხოლო მცირეწლოვანი ჯინა თავისი მართლაც დედისდა ტოსკას, შენ ტორიჩელლი ეძახე და, მხარზე იძინებს, კიდეც, მაგრამ სრულწლოვანნი და გამოცდილები, მხოლოდღა თვლემენ, ისიც წვალებით,

დილიჟანსი ქვებზეც მიდის, მიდის, მიდის, რახრახებს.

და ამიტომაც ვერ იძინებენ, რადგან,

რაგინდ ვაკეზე, გზად სალ ქვებს ვინ აკრეფს როსინის მეტი,

და იმას კი თუმც სულ რაღაც ორიოდ საათის წინ უნდა ჩაევლო სწორედ ამ ნეტარ გზაზე, ქვადთმკრეფაობის დარდი სრულებითაც არ ქონია, რადგან თუმც დილიჟანსი ისევ მიდის, მიდის, მაგრამ კიდევ უფრო ძალიან რახრახებს, თითქმის ყოველი მათგანისათვის, ზოგიერთის წელისაგან განსხვავებით და საპირისპიროდ, გულის ძალიან მეტად გამაწვრილებელი,

და ვეღარც ყვინთვენ; მაგრამ მდუმარებაა ერთგვარი მაინც, და იმ ოპერის ბედნიერება-გადატანილებს, ესეც კი შვებად მიაჩნიათ - არლაპარაკი, გახსენება. რადგან ოპერის წყალობა-ნაფლეთები ისევ და ისევ ჩაესმით (ყურში), და მიახლოებითღა ნეტარებენ, მაგრამ თითო ოხერი და ყოვლად უმსგავს მხოლოდ ჩვენში კი არა, აკი ყველგან გამოერევა, იტალიელებშიც კი, და სწორედაც რომ ის აქამდე ყოვლად გატრუნული ყავისფერმოსასხამიანი მგზავრი, ჩვენი მიამიტობით ყრუ-მუნჯიც კი რომ გვეგონა ერთად, ყველასათვის შესაკრთომად და მოულოდნელად, ხმამაღლა ამბობს:

- ჩვენ ნუ ვიცით ყველაფრის ასე გადაჭარბება, ზღვარი აქვს ყველაფერს!..

- რაო?! - კარლოა ეს, ამეტყველებული მგზავრობისა-კე-ენ, მსწრაფლ დე შემობრუნო.

- რა?!? - სტელლიტაა.

- რაო?! რააო? - კლაუდიოა. გვარი არ გვახსოვს.

- ეს ვინჩა... ტოო, - ცქვიტი მაუგლი არი ესა, სარქისიანი.

- რაიო?! რაო! - თეთნულდია ეს, ჯოგთამპყრობელი, საძოვრიანი, ხვადაგიანი.

- რა და, რაც გაიგეთ, - და, საოცრებავ, ნამდვილად ასე აყოლებს, კი: - დიდი იმდენი არაფერი იყო.

ცოტახნით, ვითომ სიჩუმეა.

და, -:

- როგორ თუ დიდი იმდენი არაფერი!!

- რაო, ეს რა თქვა!!

- ბაიყუში!! ვინაა ეს!!

- ვინ და ბაიყუში!!

ვერაა ეს ბოლომდე და მაინცადამაინც სასახელოდ რამ კარგი შედარება, მაგრამ ყავისფერმოსასხამიანი მშვიდად პასუხობს ყველას:

- ასე არაფერი გამოგვივა, სინიორიტებო და სინიორებო. თუკი გინდათ რომ, იმ თქვენი სანაქებო ოპერის ავკარგიანობა სამართლეობრივად დავადგინოთ, ცალ-ცალკემ დამისვით შეკითხვები და სათითაოდ გიპასუხებთ, თუ რატომ არ იყო ის თქვენი ოპერა დიდი იმდენი ვერაფერიშვილი.

- ჰხაა! - თითზე კბენანის გადაფიქრებულად ლამობს კარლო დე ბრუნო, სადღაცას იგიც, ასე ჯიქური, მაინც მწონავია: - კარგით. მოდით და თქვენი, ყოვლად რბილად რომ ვთქვათ გადარეული და არაჭკუათმყოფლური შენიშვნის მიუხედავად, მოდით და დალაგებულად და მოკლედ მიპასუხეთ - თუნდ, შესავალი, როგორი იყო!?

- ისე რა... - არ იხევს ვითომც არაყრუ. და, ამატებსაც!!: - საბოლოო ჯამით თუ მივუდგებით, გაწივ-გამოწი და, მაინც მხოლოდ და მხოლოდ, ეე... ჩიტირეკიული.

!!! -

- ჰაიი!!!

- რა თქვა ეს, რა თქვა!!!

- ეს ბრიყვი, ესა!!!

- რაზომ თავხედი უნდა იყო!!!

- ადამიანი არის ეეს?!!!

- აკი ვამბობდი!!!, ეს ბაიყუში!!!... თუმც ბაიყუში ყოველთვის სხვისას იმეორებს და... მაგრამ ამას ვინ დაასწავლიდა... სხვა ვინ ეტყოდა...

- თუთიყუში ეგ!!!

- არა, ყვავი!!!

და, თუმც კარფანჯრებდაგმანული, მაგრამ მაინც რაღაც უხილავ-ნასვრეტებიანი დილიჟანსიდან ისეთი ზათქნარეობა გამოისმის? - ნამდვილად გაიღვიძებდა შორიახლოს ყველა, და ნამდვილადვე შეღვიძილდებოდა მთავარი მედილიჟანსე ვასკოც, მაგრამ იგი სულ რაღაც ახლახანურად (ჟამთასვლისათვის, და ჭაჭისთვისაც, ორიოდ საათი აბა რაა) ჭაჭებში მიღებული იტალიური ჭაჭით იმისთანური მთვრალდა-არი, მხტუნავ კოფოზედ მაგრა სძინამს; სულაც არაფრად ენაღვლება რვავე ცხენი და ათიც შაური, და კიდევ კარგი რომ, აღვირულდასადავიანად ყოჩაღად ჰფხიზლობს მაგისტრატულ-მედილიჟანსეს ცხენურ-ძუძუმტედ თანაშემწური ასისტენტი დორელა ბუტონი, და თუმცა ძლიერ ხმამაღლური სიტყვები ესმის, ეტლს მაინც არ აჩერებს, რადგან სიტყვები შედარებით უწყინარია. აი ვთქვათ:

- ის მაინც სულ ვერ მოისმინე?

- რა...

- კვარტეტი!!!

- რომელი... ორი იყო.

- პირველივე მოქმედებაში!!!

- ან ის კვინტეტი!!!

- აა... ის კვარტეტი, გინდ კვინტეტი, მე თუკი მკითხავთ, მართლაცდა დიდად მშვენიერი კი იქნებოდა აუცილებლად, მაგრამ აშკარად შესანიშნავია იმით (დილიჟანსურები ცოტათი ჩუმდებიან), და თვალდაყურსაღებია იმით (ბიჭოს, თვალდაყურ გამოსწორდა), რომ დიდად აქამდეც ქმნიდა უკვე მაგისთანაებს და, კიდევ კარგი რომ, ახლაც არსებობს მუსიკალურად ზოგიერთ არა-გულმავიწყთათვის, ჩვენი, დიადი, - და, საზეიმოდ აცხადებს: - ჩიმაროზა!

პატარა ხნით, კოფურ დორელა ბუტონიმდე ჩქამიც კი ვერ აღწევს.

- რა შუაშია... - ჩურჩულებს ტოსკა.

- რა შუაშია და იმ და სწორედ იმ შუაშია სწორედ, რომ, - ნიშნისმოგებით ამბობს ოხერი, - რომ ჩიმაროზასაგან აქვს მოპარული სწორედ ის კვარტეტი, და სხვა რამეებიც, სწორედაც რომ.

- რااო?

- რაო?!!!

და, ბუტონისკენურა:

- გადამრევს ეს კაცი!!!

- რაებს ყრანტალებს!!!

საბუტონოა, ესეც.

- ეს, ეს, რა მესმის!!!

ესეცა.

- ეს რა თქვა, რა თქვა. - აღელვებისგან, „რ“ -ს კი არადა, „ბაყაყი წყალში ყიყინებს“ - აც კი სუთავისუფლად იტყოდა მცირეწლოვანი და იტალიელი, და ძალიანაც, სამჯერ სრულწლოვანი ვასკოსაგანაც დიდად განსხვავებით, რარიგად როგორ და სავსებით გამოფხიზლებული ჯინა, - ეს რა ესმით ჩემთა ორთავ ყურრთა! -

ბავში ეძახე.

- კარგი ხარ, ჯინა, მიდი-მიდი, - ამხნევებს ლუჩია.

აეს ლუჩია საიდანღა გამოტყვრა, ნეტავ... არეულობაა, ძლიერ დიდი და ყოვლისმომცველი - ოქტავაშიაც, თუნდ.

ერთადერთიღა, იმ ტიალის ექიმობრივი საკვოიაჟი, სდუმს.

-თავი ანებეთ. ვერა ხედავთ, რომ ნამდვილად... - ვეღარ ამთავრებს სათქმელს წებელდა, რადგან:

- მე კლაუდიო არ ვიყო გვარად (ნეტა რა გვარია?) შეჩემენელლი, -

გვეღირსა, ესეც... თუმცა, რად გინდა, რადგან იდუმალება თუმცა ყოველთვის მიმზიდველი და საკირკიტოა, მაგრამ როდესაც ფარდა აეხდება, ხშირ შემთხვევებში დიდი იმდენი ვერაფერიშვილია,

- თუ ეს თქვენი პირით ნათქვამი, - განაგრძობს კლაუდიო, თურმე როგორი ზამბაროვანი, და გვარდასმული, ვეღარიდუმალ შეჩემენელლი, - ყოვლად საქვეყნო უმუსიკოსებულურობას, ეე... ჰო, თუ არ ნიშნავდეს!

- კარგი ხართ, კარგი, ალესსანდრო! - შეუძახის კარლო დე ისევბრუნო, ახლა სახელი ჩაგვივარდა მთლად მღვრიე წყალში.

- ეს მაინც რატომ, - მაგრამ არ იხევს ის ყავისფერმოსასხამიანი, ანდა სად უნდა დაიხიოს, საჯდომის ზურგზე მიუყრდნია დასაჯდომლურის ზედა უვიცი ზურგი, და თანაცვე საკვოიაჟთან ზის, - ჩიმაროზა რომ გამიგია და დიდად ვაფასებ,

მიტომაცა ვარ, როგორც თქვენ ამბობთ, უმუსიკოსებულურობავი? ეს მაინც, რატომ...

- ეს იმიტომ რომ, მოწყალეო სინიორ, - ნიშნისმოგებით უგებს მაუგლ მათევოსიანივით გამომჟღავნებულგვარიანი, - მიუხედავად იმისა რომ, რომ მე არამედ უდიდეს პატივსა ვცემ, არამედ ყოვლად ვაღვიარებ კიდეც ჩიმაროზას, ეს მაინც არ ნიშნავს, რაიმე ჰქონდეთ ერთბეწვა საერთო, რადგან, როსინი - სხვაა, ჩიმაროზა - სხვა, და ხოლო მეკი კლაუდიო არ ვიყო... - განრისხებულია ისე, კლაუდიო, სუნთქვა ეკვრება, - მე კლაუდიო სულ აღარ ვიყო, შეჩემაროზა,

ვა?, აკი თავიდან, - შეჩემენელიო? - ვახ. - ავტ. - შემოვიჭერით, უფრჩხილებოდ.

- თუ თქვენ, შეჩემო... თქვენი სახელი!

- ჩემიი? ეეე... დინო.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა და მომსუქანო კაცია ექიმი, ბერეტი ადევს სულელურ თავზე.

- იცით, რას გეტყვით, სინიორ დინო?!!!,

დინო კი არა, მთლად დინოზავრი უნდა ერქვას, ტლანქ-უხეში ის,

- თქვენ თუ ჩიმაროზასი სულ მცირე რამ საერთოდ თუ მოსმენილი თუ გქონდეს მეტი არაა ბიძებმამიჩემ შეჩემენელლების მტერი...

შეჩემენელლი ჰყოფილა, მაინც...

- რა, დაგიმტკიცოთ? ახლავე სინიორ კლაუდიო, ეე, თანაც შეჩემენელი... საიდან დავიწყო ამ ბრალდებაზე, ჰოი...ჰო - მიო და ჩვენი ჩიმაროზა რომ არ მსმენოდეს, აბა საიდანღა მეცოდინება, რომ მიო და ჩემა ჩიმაროზა დაიბადა სახელწოდებით სოფელ ავერსაში, ჩვენში ყველაზე მეტად ცელქი ქალაქის, ნაპოლის მახლობლად, ერქვა შეჩემე კი არა, არამედ დომენიკო, და დაწერა კიდეც ბევრი რამ განსაკუთრებულად დიდმნიშვნელოვნური, ხოლო გენიალური ოპერა-ბუფი „საიდუმლო ქორწინება“ შეჰქმნა გასული საუკუნის სწორედ ოთხმოცდა თორმეტ, ანუ ზუსტად მაგ თქვენი როსინის დაბადების წელს.

- ვე...

მართლაცდა, ვეე... თან როსინისა ვერა გაუგია-რა, მართლა ექიმი უნდა იყოს, და თანაც კიდე მეორეს მხრივ ჩიმაროზასთან კავშირობრივი სახელწოდებები და ქმნილებები ნამდვილად იცის, ეგებ არაა მხოლოდ ექიმი... და, მგონი, ვხვდები!! - მე მთლად უღირსიც აღარ ვიყო, გავსოჩანელლი, ეს თუ არაა ისი წყეული ჯანჯაკომო, გვარად ტარკინი - აკი დაახლოებით ერთსა დროში მოღვაწეობდნენ დიდი როსინი და დიდი ვერდი, ესა კი, სხვისით მოყვანილი პურიჭამითა და თანაც ავად, და შესუქებულიც კი არა, გასიებულლი ჯანჯაკომო, ახლა ვითომდაც მათთანაა, მუსიკის ჭეშმმოყვარულთა (მთავლიტი; გენსეკი; სანზონა) ვითომდაც ერთად, დილიჟანსის უხვ ჭერქვეშ.

- გინდათ, განვაგრძო? - კითხულობს დინო, ჰო, გვარსაც მალავს, სახელზედაც ხომ მოგვიანებით გასცა თავს მოვიჭრი და, ტყვილი პასუხი, და კვლა-შეკითხვას ალჩუზედა სვამს: - თუკი სინიორების ნებაც იქნება?

- განაგრძეთ, მიდით, - ქალთა სახელით ნებასა რთავს ადამისვაშლა კარლო დე ისევდაისევ დე მარადბრუნო.

- განაგრძეთ, მიდით, მიდი-მიდი, გასაგებია, - ნებას რთავს უხუცესიც ბრძენკაც-თეთნულდი, - როგორც იტყვიან, გიჟ... ეე, მაინც ზრდილობავ, და თავშეკავება, - ეე, როგორც იტყვიან, ზოგი თავისებური ადამიანი - თავისუფალია.

- ხოლო ჩიმაროზასი ქმნილებები ისეთი დანამდვილებით კარგი და შთამბეჭდავია ანაბეჭდივით ხალასი გულის, და ბგერობრივადაც კი დასურათხატებულია ისე, რომ თვით ერთ-ერთ მხატვარს, დუჩენცოს ფლორენციული სკოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს მაგონებს, თუმცაღა იგი აგერ ლამის მგონი ექვსი საუკუნის წინათ მოღვაწეობდა ფუნჯდართული საღებავებით, და თუმცა მისი შემოქმედება ბიზანტიურ ტრადიციებზე აღმოცენდა, - არა, ნამდვილად ტარკინია, გარეგნულად ისეთებს ამბობს შიგანშიგურა უნიჭოობის დასაფარავად, - მაინც ნამდვილი იტალიელი იყო იგი სულითა და გულით და დღესაც არის საღებავებით, - საღებავები ხომ არ უდევს საკვოიაჟში და მხატვარია? აკი ყველაფერი ხდება, - და მიღწევებით ის მხატვარი ხომ დღესაც არის, მისით ვამაყობთ, - ხედავთ, რომ თვით ტარკინისაც კი შესძლებია ვისიმე ქება, - და ნახატები ხომ არ იშლება, გინდაც რუსულად გადუსვან კირი, - წინასწარმეტყველია, ეს შეჩემელი? ა?, თუმცა არა, შეჩემენელლი ხომ, - ეს კლაუდიოა, ახლა რომ თვალმოუშორებლივ უსმენს, უცქერს - ყურება არის, - და ნახატები კირისქვეშითაც კი არსებობენ, ჰომართლა, ჩიმაროზა ხომ რუსეთშიაც მოღვაწეობდა და სწორედ იქ დადგა თავისი მართლაცდა სანაქებო ოპერები კლეოპატრა (სად, პეტერბურგში? კლეოპატრას იქ რა უნდოდა...) და მზის ქალწული (სად ქალწული და, თანაც მზისა, და თანაც ეს სად, მაინცადამაინც ლენინგრადში, კაცო?), ხოლო მისი ნამდვილი გვარი თუმც ზუსტად არ მახსოვს ("ხაჩატრიანი იქნებოდა" - ფიქრობს მაუგლა), არადა საქვეყნოდ ცნობილია მისი აშკარა ფსევდონიმი, ჩვენს ჩიმაროზას უახლოვდება.

- და მაინც რომელი ფსევდონიმია, მაინც!..

- რომელი არის და, ჩიმაბუე.

არა, ნამდვილად ტარკინია, ზედაპირულად იმდენი იცის, კლაუდიომ კი აბა რა იცის, რომ ამისთანა ბრიყვს რომ სულ არავითარ გამონაკლის შემთხვევაში არ უნდა აჰყვეს, ამ ვიგინდარა საკვოიაჟიანს ახლავე ეტყობა კოჭებზე რომ, ეე, ენის კოჭებზე ეტყობა რომ, „რიგოლეტო"-ზე თუ რასაც იტყვის დაახლოებით ოცდაშვიდნახევარი წლეების შემდგომ, და აბა რაა გასაკვირველი, კლაუდიო რომ თავს ვეღარ იკავებს:

- მაგ თქვენი ერთფრინველივით უშნოდ დაზუთხული მონაცემების მიუხედავად, ამ თავს მოვიჭრი, თქვენ მუსიკისა რაიმე თუ ოდნავ მაინც თუ გესმოდეთ რომ, - გაწიწმატებულია კლაუდიო, ხოლო წიწმატი, საკითხავია, ნეტა იტალიაშიც

მოდის? ალბათ ამოდის, კი, რადგან პეტრარკა, მიქელანჯელო, ვივალდი და ლეონარდო და რაფაელი და აგერ დანტე ოღონდ სულ სხვა თუ ამოსულან, წიწმატი მათთან შედარებით რაღა იმდენი უცხო და ძნელი ხილია? დანარჩენი დილიჟანსური საზოგადოება კი, ჯერჯერობითულად თავს იკავებს, რადგან მათ სათქმელს კლაუდიო (I) ისედაც ამბობს, მაგრამ იმასაც მუხრუჭი მოსდის: - და თქვენ მუსიკა თუ გესმოდეთ, მე კლაუდიო სულ აღარ ვიყვე... - ბრაზდება ცხარედ, ისე ბრაზდება, რომ: - მე კლაუდიო აღარ ვიყო, ეე, შეჩემაბუე!..

კაცო, ეს კაცი, კლაუდიო, რეციდივისტი ხო არ არი? არ გაგვიგია, ასე ზედიზედ, მთლად სამი და ახალთახალი ავტოგვარი...

- რა დიდი ცოდნა მუსიკას და, მით უმეტეს კი, როსინის უნდა, მელოდია რომ შეალამაზოს, რას არ კადრულობს, თითქმის ყოველ ნოტს როგორ ახლავს ცრუ მელიზმები - გრუპპეტტოები, ფორშლაგები, ტრელი, ბარლენტი, ტრულატრულულა და ტრულაილა, თავით ბოლომდე, ეგარი, მორჩა.

ახ, გბ, ხბ...

- ეგ საზიზღარი... - ჩუმად ხმობს ტოსკა.

სამაგიეროდ:

- ეს საზიზღარი!!,

მაგრამ:

- და თავხედი როგორ....

თან:

- ეგ დიდყურება!!!

თანაც:

- მთლად უყურო...

- ეგ საზიზღარი, - კვლავაც პიანოდ ხმობსვე ტოსკა, მაგრამ ამაზე, ტარკინისებრი ის დინომგზავრი:

- რომელი საზიზღარი, გეთაყვათ... აა, როსინი?

აქ, კი, ააქ კი, ხმაური და ზათქი კი არა, უბედურება ტყდება ისეთიი -

- გამიშვით, მოვკლავ! - კარლო ბრუნოა, მარად დე ბრუნო.

- გამიშვით, სადაა ჩემი ტოსკანური ხანჯალი!.. ან მაკრატელი კალაბრიული!!. ანდა სულაც, ბოლოსდაბოლოს, მრავალგზისდარად დაკბილული კავკასიური სავარცხელი მაინც!!! უხვკბილებაო, იგი...

- ააუაიააა, უუაიაუუუოოო!! - რაღა თქმა უნდა, ტარზანია.

- მვუაااახ, ხ, ხხ?, ყპპ!!!, პხკ, ვაჲ...

- არარატიდან გადმოვაგდებ!!, - ვერ ვხედავთ, ბნელში, - მოვკლამ მე აი მაგას, თავფეხიანცა!! ჯომოლუნგმაზემ მაღალია!, ვისოკი რაღა, - აა, ისაა, ცხარობს მაუგლამ, და ქალების ხათრით, უფრო სწორად კი ვეტერინარ კოსტასი ხათრით რენატასაგან ვერგასაგონად, ჩურჩულითღა აყოლებს მხოლოდ, და თან ისიც მხოლოდ ისემც გულში: „ეგ პიდარასტა“...

მაგრამ ქალებს სულ იმისათვის არა სცხელათ?, ხოლო იმათგან რენატა კი იმდენადაა გამძაფრებული, რომ შენიღბული და რა ოსტატურად შეფარული სიძულვილი აღარც კი ახსოვს, იმდენად სცხელა:

- სტელა-გველა შენ!, გათახსირებულო!!

- ეგ თუ არ ჩავახრჩვე მაგისივე საკვოიაჟში!, შემირცხვეს მაშინ ეს პატიოსანი ავბედითი თეთრი ულვაში!!, - იძვრის მოხუცი თეთნულდიც კი, ათობწლოვანი თოვლები სცვივა, მაგრამ, გამოზომილიცაა, ამწონ-დამწონი, - და საკვოიაჟით გადმოაგდე მონბლანიდან, ჩემო მაუგლი, ეძებონ მერე...

-მე მეუბნებით?.. დეიდა რენა?..

- ხმაა!. კრინტი!! გაიხსენი ეგ ვითომ შენი საათი!!!

მოკლედ, ისეთი გნიასია, რომ კოფოზეც კი ცალ თვალს ახელს მთავარი მედილიჟანსე, ჩაუქი ოღონდ მხოლოდ დროგამოშვებით, ჭაჭური ვასკო, მაგრამ იმდენად კარგად ვერ იყურება მაინცდამაინც, რადგან დორელას, გვარად ბუტონი, ვითომც კი უმზერს, მაგრამ ცხენურ ასისტენტს ა, აი ასე ეუბნება:

- იცოდე, დროზე გამაღვიძე, ცაცა-ზინა, შენ... ცხენებიარი დასაქოქი.

დილიჟანსში კი:

- მე მაგისი კი ქოქიიი, ვშჭამეეე!!, - მაუგლიმაა, კვლავ, - გამიშვამ, თქვენი... მაგას ისეთი დღე ვაყარო, შერხანზადესაც მოენატრებაამ!!! - როგორ ძლიერად საჭიროა ხანდისხანობით ჯორკოვსკის მტკიცე, ურყევი ხელი,

კოფოზედა კი:

- იმას ვამბობდი... იცოდე, დროზე გამაღვიძე, ცაცა-ზინა, - რთულად ორმაგი სახელწოდების მიუხედავად, დაუვიწყარი ქალია ერთი, და იტალიური ჭაჭაც პატარაზე გასამხნევებლად სწორედაც იმან ჩამოუსხა ჩაიდანიდან და თავიდან მცირე სირჩა (ერთგვარი კათხა) მისცა, მაგრამ თანდათან ზედმეტები მოუვიდათ, თან იმდენად რომ,

- იმას ვამბობდი... ჰო, აბა ერთიც გამახარე და ჩამოასხი ეგ შენი ჭაჭა, ცაცა-ზინა, ადექი, ადექ, აჩუ (ნეტა „იტალიური ჭაჭა“, კახურ ჭაჭისგან განსხვავებით, სხვა რაიმესაც ხომ არ უნდა ნიშნავდეს, ბნელში? რა იცი, უცხო ენაა მაინც, და იმისი ლაბირინთები...)... - წვრთნილი დორელა კი მხოლოდ უბრალო ძლიერ ძალიან

ვიწროყელიან საწყალოსნო მათარას აძლევს, ვასკო ცხენპოლო კი რამოდენიმე ყლუპს სჩადის და, ისევ,ა, ასე ეუბნება:

- კარგი ხარ, კარგი, ცაცა-ზინა... როგორც ყოველთვის... და როგორც ყველგან... ეხხ! ყოჩაღ! - ხელს უთათუნებს. ვისა და, დორე-მილას, - იცოდე, მერე დროზე რო არ გამაღვიძო, ცაცა-ზინა, არ შეიძლება... ცხენები არი და... გრაფიკია... თორე ის შტერი დორელა აბა რისი მაქნისია... არაფერში ეგ არ ვარგა... ჩემ კისერზეა რვავე ცხენი... შენც... - და კვლავაც უშინაურდება, ხოლო დორელამ აღარ იცის, როგორ მოიქცეს, რადგან დაბნეულია, ადამიანია ისიც, თან მამაკაცი, - რა დაგემართა... ქალი არა ხარ? გაინძერი... ცოტა გამხდარხარ... ვა?... რა გაქ... - და თუმც გონია რომ მოეჩვენა, ცოტა ხანს მაინც აღარ უშინაურდება, ამ სიტყვის ორმხრივივე გაგებით, - ანდა, სულაც ნუ დამაძინეფ... გამოიგონე რამე, ცაცა-ზინა... ტვინი გაანძერი, აჩუუუ... ჰაჩუ! - დილიჟანსი ძალიან ცოტათი, მაგრამ სვლას მაინც უმატებს, - რა გახტუნავებს... - ისევ და ისევ უშინაურდება, მაგრამ სულ სხვა მხრივ, - როგორ გამხდარხარ... შენ სისუქნე უფრო გიხდება... ვეე... ანდა, სულაც ნუ დამაძინეფ... რა გაკანკალეფს... კარგი, როგორც გინდა... თუ გინდა, შენაც დაიძინე... დაწე, ბრრ-რრ... - და კვლა იძინებს, დორელა კი, წონასწორობადაკარგული ნაღდი ვაჟკაცი, მაინცადამაინც ერთ-ერთ ცრუ-ულაყს შოლტს გადაუჭერს ისეთს რომრო, სწორედ თქვენი დაწუნებული.

ნეტა, ცხენებიც თუ ფიქრობენ? აგერ, ჩვენსავით... და თუ ასეა, ის ულაყი აუცილებლად გაიფიქრებდა: „რა მოგელანდა, მეკი ჩვენი პატრონის“... - და, სწორიც იქნება, აკი ვასკოა მათი პატრონი... მაგრამ რათ გინდა. მაგრამ ცხენები და იმათი ფიქრ-აზროვნება ვიღასღა ახსოვს, -:

- გაიხსენი-მეთქი ეგ ჩემი საათიიი!! შე ჯიბგირო და... შე მეჯინიბეეე!!

- ის სექსტეტი მაინც როგორ ვერ დაგამახსოვრდა!!

- აბა რას ამბობთ, დეიდა ნატა...

- დიდი ამბავი! სექსტეტს რა უნდა, რაა სექსტეტი... აგერ, კვარტეტი სად აღარ გვხვდება, და, სადაც ოთხიხმა, იქაც ორი და... მორჩა, გათავდა ეგ თქვენი სექსტეტი!

მათემატიკით, თვით რენატასაც გაუტოლდება, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, სექსტეტში განა მხოლოდღა ხმათა რაოდენობრიობაზეა დასული საქმე?

დაბნეულები, სდუმან... სხვაა მაინც, მათემატიკა; წერტილში ურტყამს.

„მეც, აკელასთან, სუპირველად, სექსტეტი დამხვდა, მაშინ ხომ ოთხი ჰყავდათ ლეკვი“, ფიქრობს მაუგლმა, თუმც სექსტეტი სულაც არ იცის, სამაგიეროდ კარგად იცის მიმატ-გაყოფდაგამრავლება, ფინჯაკი ქონდეს? - იმ რენატას მათემატიკით გულისჯიბეში კამათელივით იოლად ჩაისომს, თან კამათელში ექვსიანია უმაღლესი. და აკი ითქვა, რომ სექსტეტი ოთხთან ზედაც მხოლოდ ორია, დილიჟანსი კი მიდის, მიდის, რახრახებს, ხოლო ყავისფერმოსასხამიანი წესით ხომ

უნდა გაუფრთხილდეს ამ მდუმარება-ერთგვარდანებებას, გამარჯვებულივით გამოდის აკი, მაგრამ, რაღაცა ხანში, ისევ არ იწვევს?:

- სექსტეტი, თორემ, მაგასაც დონიცეტივით სექსტეტი აქვს...

თუმც დონიცეტი, სათაყვანოა,

- მაინც რომელი!!

- რომელი მაინც!!

- თუნდაც ლუჩია დი ლამერმუში!

აბა რას იზამ, აქ კი სწორია, საოცრებაა ის სექსტეტი... და მერამდენედ ვთქვათ თორემ, ხომ, მუდამ არსებობს გამოსავალი:

- ის სექსტეტი კი, მართლაც დიდად ღვთაებრივია, - ამბობს წებელდა, - მაგრამ მაგიტომ არანაკლებ დიდებულ ანსამბლს შავი ხაზი უნდა გადაესვას? ჰი?...

- ეს იგივეა, მიქელანჯელო რომ ისეთ-ისეთებს გვიქმნიდა ჩვენ, აღარ გვიყვარდეს ლეონარდო? - ლუჩიაა ეს, ეს მაინც საიდანღა გამოგვევლინა.

- პირიქით უნდა გეთქვათ, სინიორინა, ლეონარდო ხომ მეტად იყო უფრო ფერმწერი...

- გენიოსების მწვერვალების შედარება არ შეიძლება! - ცხარობს თეთნულდი.

- მოკლედ, როსინი გენიალურია, და მორჩა!

- როგორიაო?

- გენიალური!!

- გენიალურია!!

- ზეგენიალური!!!

- მე კი დონიცეტი გაცილებით უფროდაც მომწონს...

ჰაიივ, ტარკინი - დარწმუნებული ვარ, დონიცეტიზე რომ მიმდგარიყო თავიდან ქება, ეს ვაჟბატონი მაშინ როსინის ამჯობინებდა... ასეთი არი, ვითო „მცოდნე“-თა ერთ-ერთი ზნე. დაბოღმილები, ეგ...

მდუმარებას კი, ხანდახან როსინისელებიც კი არღვევენ; გასახსენებლის მეტი, რა აქვთ:

- ეგებ სეპტეტიც გვითხრათ სხვისი!!

- გვითხარი, აბა, ერთი გვითხარი!!

- სხვას ვისა აქვს!!!

- მითხარი-მეთქი!!!

აქ ისევ ახელს ცალმძიმე თვალს ვასკო,

-გამაგიჟებთ თქვენ... - გულწრფელად კვირობს მოტარკინულე, - თუკი სექსტეტი კვარტეტი და ზედაც ორია, სეპტეტში რაღა იმდენია შეუძლებელი, დუეტს კვინტეტი დაუმატეთ და, გათავდა, მორჩა... ანაცდა, სექსტეტს ერთი კინკილა ხმა დაუმატეთ. მაშინაც, გათავდა და, მორჩა, ეგ არი და პიზას კოშკი...

- ერთიც მაყლუპე ცაცა-ზინა, - და, უცებ, შეგირდიღა არ შერჩება მოსაცაცუნოდ წაშვერილ ხელში? შეიძვრება, რომ? - მეორე თვალსაც კი წამსვე ახელს:

- შენ აქ... რა გინდა!!?

ეჭვიანობს, კი. ცაცა-ზინასთან ჰგონია ისევ ალკოჰოლურად პლუსებიანი, მელოტი თავი.

- შეგცვალეთ, მაესტრო... ცოტა დაღლილი იყავით და, - გინდაც სულაც არამუსიკალური, მაგრამ ტაქტით პასუხობს კოფური პაჟი.

- აა... - ამბობს ვასკო, თუმც ვერაფერი გაუგია, მაგრამ დილიჟანსურ ტაქტნახევარს მაინც იგებს, და!: - როგორ თუ შემცვალე!.. აა, ცხენებზე? ააა...

„თავში ქვაააა“, - უფიქრიანებს ასისტენტი. მაგრამ ამ ვასკომ, თუმცა ერთგვარი მაესტროცაა, სხვისი ფიქრისა აბა რა იცის, მეტრმა:

- კარგი ხარ, დორელა, - ახასიათებს მეტრული შეფი, მაგრამ ძალიანაც არ ათამამებს: - აბა რა უნდა გექნა. მვუააა...

- اااااا

სჩუმან, და სხედვით სდუმან, სანამ ის წაიტარკინო ვითომაც დინო თავისი ენით ისევ არ ამბობს:

- მაგის ოპერებში, მხოლოდ იმ ერთს თუ სჯობია მგონი ეგა...

- რომელს! - ცხადდება ჩაუქი კარლო.

- მაინც რომელს!! თითქმის სუყველას განა არ სჯობია!?

- რომელს!!!

- თქვი, ამოშაქრე, თქვი!

დანეტა არ ეთქვა, რადგან ისეთი რამ თქვა!??!:

- რომელს და, რა ქვია... ჰო!, - და, არც დაიჯერებთ, რასა ამბობს: - სევილიელი პარიკმახერი.

- რაო?... - ჩურჩულებს სალუქი კარლო.

- თქვენ... ამას... მომეყურა თუ... სევილიელ დალაქზე ბრძანებთ?

აქ კი ისეთიიი, რომ,

- რა იყო... რა მოხდა... - სამწერტილ თანმხლებ შეკითხვებს სვამს ძილბევრკილომეტრი ვასკო.

- აბა რა ვიცი...

- ვია რეცოა?

- არა, მაესტრო.

- რა გაყვირებდა აბა ბევრ ხმაში! ხვალვე გაგაგდეფ!

- მე არა, ვასკო ბიძია... მგზავრები იყვნენ.

- მგზავრები? რატომ... ეს მაინც სადაური ბიძია ვარ მე შენი... რაშია საქმე?

- აბა რა ვიცი, სინიორ ვასკო... მთელი ღამეა, ასე ყვირიან.

- ვა?...

- ვახხ!!. სევილიელ დალაქზე - მეტი?!!!

- ეს ხომ, ძალიან უბრალოდ რომ ვთქვათ, გენიალურია!!!

- გენიალური კი არადა, ზეგენიალურია!!!

- ეგეთი ოპერა მსოფლიოში კი არა, თვით იტალიაშიც ნამდვილად ვეღარ დაიწერება!!!

- ვივა, როსსინიიი!!!

- ვივა�ა!!!, ვივااا!!!

- კარგით, დაწყნარდით, თორემ ასე ვერ აგიხსნით...

- ასხენი!!. მიდი!! მიდიიმ!!! - როგორ ზარალობს, ნერვიულობით, ხანდისხან გრამატიკა.

- უااიაუუუ.....!!!

- არ დასჩუმდებით?. - რატომღაც ჩუმჩუმ იღიმება კიდეც, და, ჰოი, რა დიდი სიჩუმეა, რახრახს თუ არ ჩავთვლით; ამბობს:

- ჯერ ეს ეგ ერთი, თავად დიდმა პაიზიელომ მაგ თქვენი გენიოსის დაბადებამდე მთელი ათი წლით ადრე დაწერა ეგ ოპერა, და მეორეც ის, ეგ სევილიელია თუ ჰალიკარნასელი დალაქი სწორედაც მაშინ შეაფასეს ჯეროვნად, ანუ როგორც ჯერ-იყო, აი სულ პირველ პრემიერაზე პამიდორები და ბატის კვერცხები რომ დაუშინეს მაგ თქვენ როსინის, თანაც ლაყე.

არა, ნამდვილად ტარკინია, ის ყურუმსაღი, ისე აშკარად ტარკინებს, რაღა, და იმათ ჩვენგან განსხვავებით ჯერ არც იციან, ვერდიზეც მერე რაებს იტყვის, და, გაოგნებისგან, ერთი ისეთი დენთიანი მდუმარებაა?, მაგრამაც, პატრუქწაკიდებული, და - !:

- შე სახეძაღლო, რა დაწერილა სევილიელზე უკეთესი!!!

- ააიააუუუ.....!!!

- პაიზიელომ რახან დაწერა, ბომარშესათვის ამას აღარ უნდა მოეკიდნა, ხომ, გენიალური ხელი? ვახხ!.. როგორ, თვით შექსპირმა რომ აიღო და ჩვენი ძვირფასი ლუიჯი და პორტოს ნოველიდან თავისი რომეო და ჯულიეტა რომ თაქა, რა, არ უნდა ექნა?. არ ასახელა იმიტომაც სულ სამთელქვეყნოდ ჩვენი ვერონა?

- სამაგიეროდ, პრემიერის მეორე დღეს, არ მოატარეს აღფრთოვანებული მხრებით მთელი ქალაქი, და რამდენჯერმე!!!?

- მოსაწონია თქვენი ცოდნა, მოსაწონია, მაგრამ როსინის რა ხელი აქვს შექსპირსა ან, განსაკუთრებით, ლუიჯი და პორტოსთან...

- ეგა ლუიჯი და თანაც პორტო, ერთი იყო თუ ორმა იყო? - ჰკითხვებს მაუგლი, და თავის ენაზედ გულით აყოლებს: - ეგა როსინი ჯიგრის ყაურმაა, კანარსკი ვორა... - ჰავლაბრსკი ჟორა?... - კარგად ვერ გავიგეთ.

- გადავაგდოთ ეს!! გადააგდევით!!! - სწყვეტს უხუცესი.

- შესავალი მაინც აღარ მოგისმენია?!!!

- ეგ ვირთაყურა!!! ვირთაგვა ეგ!!!

- ვირებს რას ერჩით... ტვირთს მაინც ზიდავენ... - დაფიქრებულა, ზამთრის თეთნულდი, შემოდგომაა, და, ისევ ისე, მკვეთრად: - გადააგდევით!!!

- არა, შესავალები კი კარგი აქვს ნამდვილად მაგას!!. - სწრაფად იძახის ყავისფერმოსასხამიანი, - ერთიმეორეზე უკეთესი!!

და, თუმცა თითქოს შოშმინდებიან, დროდადრო ვინმე რაიმე რეციდივისტულსაც კი წამოიძახებს:

- მე ანტონიოც კი ვეღარ ვიყო, შეჩემენელლი... - ნაკლაუდიომარმაც, სულ აღარ იცის რა დააყოლოს... - სინიორ ბრუსკინო...

(სინიორიცა და ბრუსკინოც, როსინის ერთ-ერთი ოპერაა - მთარგმნელი)

- ქურდი კაჭკაჭი!

- ქურდი კი, მართლა მისეულია...

- მართალი კარლო არ ვიყო მე, და დეტრიალლო, თუ, - იმანაც ვეღარ იცის, სათქმელი, - და, ვილჰელმ ტელი (ბრუსკინოს გარე ძმაა ასეთი... - ავტ.)?!.

...

- გარნა ნუ დამძრახავთ და, ოპერის დიად შენებულებაშიო რა უნდოდაო ამას იქ ის, მუნ, - დიდი შეძვრისგან, სწორად, და თანაც რთულად, სანაქებრივოდ მეტყველებს მხოლოდ მაუგლა, აღაბეკიანციო.

ვია რეცომდე რაღა დარჩა, და კარგა მოზრდილი ასისტენტი მეტრნახევრიან მეტრს აღვიძებს:

- ვია რეცოში შევდივართ თითქმის უკვე, მაესტრო ვასკო.

- აჰაა, ჰხ... ძალიან კარგი, - ამბობს მაესტრო ვასკო, და, ჭაკცაცაფაშატზინაპოლო და, ერთგვარად, ვასკოსა გარდაც დე გამაც ხდება, - აღარ იქნება ნიშანდობლივი, ასისტენტმა რომ შეიყვანოს ქალაქად ნებისმიერი ტრანსპორტი, სადავეები უპყრია ხელთ, გარიჟრაჟია. ერთი სული კი აქვს, სამეტროს ჰკითხოს, თუ აქ, კოფოზე, გუშინ ღამით თუ როგორ აღმოჩნდა, მაგრამ, მაინც თავს იკავებს; და იქით გადადის ერთგვარ შეტევაზე:

- სად დადიოდი შენ, მთელი საღამო.

- ბიცოლაჩემთან ვიყავი გუშინ.

- ვინ ბიცოლაშენია!..

-ბიძის მეუღლე არის ჩემი და აგრეთვე ჩემი დედმამიშვილების...

- რად მალავ სახელს, თუ მართლა იქ იყავი...

დორელა თავს ხრის.

- რა ქვია, ბიჭო!

- ჩემი ბიძას ცოლს? ე?... ცაცა-ზინა.

- ჰა?!

...

- მაგრამ თქვენ მეორე ოთახში გამაძევეთ.

...

ბიცოლა სადაც კი ვახსენეთ, სუყველგან ახდა.

- მერე?

- მერე სწორედ აქ წამოგიღევით.

„ჰა?!“ - სად აქ, ვია რეცოში?

- არა, კოფომდე. ვია რეცომდე ცხენებმა გზიდათ...

- აა...

„თავში ქვაა“ - ისევ ძალიან ფიქრობს დორელა, ოღონდ ხმამაღლა ვერ იტყვის ამას კი არა, ბევრად ნაკლებსაც კი.

და, მაინცდამაინც გარიჟრაჟზე, დილიჟანსშიდებს სუყველას ერთად ჩაეძინება, და, უცნაურია ადამიანი - შეჩერებისას, ურახრახოდ, ერთობლიურად ეღვიძებათ. ჭრელი ხმებია:

- ნუთუ, მოვედით, ა ... კი, კი... ეს საზიზღარი... რა კარგია, ა?... ამას ხომ მაინც მოვცილდებით... ეგ უზრდელი... მთელი ღამე გაგვათევინა... არამ მაძინა... სახში ლა მივა... გამოვიძინებთ სამაგიეროდ, მია ჯინა... დღეს ოპერაა! - და, ფხიზლდებიან, - თანაც ვისი!!. შენ გესმის? დანტე... დანტე!!, მოვედით!.. გენიალურია, გენიალური. ჯერ ეგ ჩავიდეს... აღარც მე ვეღარ შემიძლია მაგისი დანახვა... ჩაუშვით-მეთქი... ხომკი ნამდვილად ჩამოვედით?.. ოღონცკი ეგ მოვიცილოთ თავიდან და... რა ამბავია!?. ვახ!.. რა მოხდა, კარლო... გამახედე მეც... ვა, ეს რამ შეყარა ამ დილაუთენია მთელი ქალაქი... ვაიმე, რამე უბედურება ხომ არ მოხდა... შერხანამ ხო არ შაშჭამა მეზობლის ბავშმა... შერხან რა არი... პიოსტრი ტიგრია... ვაიმე, შვილო... აკი ვამბობდი, ჯერ ეგ ოხერი ჩავიდეს უნდა-მეთქი...

და, გზას უთმობენ კარგად კი არადა, ეს უფრო ფრიად ზიზღიანი მოცილებაა, მაგრამ კარს, რაღა თქმა უნდა გარედან და, საკვირველებავ, თვით ქალაქისთავი, თვით გრანდუსსინიორ ჯიპანტონიო დე ლა და დელ ალ-სავანელლი (აგარაკი აქვს კარქი დაჩაზედ), ადრე როგორი დინჯი და მხოლოდღა ნელი, ახლა ყოჩაღად აღებს, ცილინდრულიც კი თავსახური მოუშვლეპია, და კართან მისულ ორადმოხრილ (მლიქვნელი ეგ!) მჟავეყავისფერ მოსასხამიანს, ბეჭდებიან ხელს ალერსით უწვდის

- გთხოვთ, რომ დამეყრდნოთ... კეთილი იყოს თქვენი კეთილად ჩამობრძანება, მაესტრო როსსინი!

აჰა?!!

- გმადლობთ, სინიორ ანტონიო.

და, მთელი ქალაქი:

- ვივა, მაესტრო! მაესტრო, ვივაა!! ვივააა, როს-სინიიი!!!

ჯერ მხოლოდ პირველ საფეხურზეა, მთლად გამართული, თურმე რაისი მლიქვნელობა, ორადმოხრილი - დილიჟანსის ჭერით ჰყოფილა, სავანელლი კი, დე ლა დელ გროსსოსავანელიანი, მოძრაობებში კიდევაც მეტად ალლეგროული (სწრაფი, რაღა - იტალ.) ხდება:

- როგორ იმგზავრეთ?

- ძალიან კარგად, რაც მე გზაში მაქეეს...

- ძალიან კარგი, ძალიან! - უხარიან ჯიპანტონიოს და, საზეიმოდ ეტრაბახება:

- ჩვენი ქალაქი, მთლად ოდიდანვე, სულ იმთავითვე შესანიშნავად სტუმართმოყვრული მოქალაქეებიანია, დიდო მაესტრო!

- კი, როგორ არა, როგორ არა, უდავოდ, რადგან მთელი ეს ღამე ისეთი გაბმული ტრიუმფით ვიარე, თანაც, ასე ვთქვათ, ყოვლად უანგაროდ მაქეს, რადგანაც ზურგსუკან, ანუ ძალიან ჭეშმარიტად მაქეს და მაქეს. ა?, კარგი იყო...

- როგორ თუ ზურგსუკან... - ფითრდება ჯიპანტონიო... ქალაქის რაგინ თავებიც ვიყვნეთ, სიტყვა „ზურგსუკან“ კარგს არა ჰნიშნამს.

ხოლო მაესტრო ასე სწრაფად მონატრებული დილიჟანსისკენ ღიმით ბრუნდება:

- გთხოვთ, მაპატიოთ, სინიორინებო და სინიორებო, -

ჩვე-მართლა თუთიყუშებდაბაიყუშებ-ალბატროსები, როგორ ვერ მივხვდით, რომ ცხოვრებაშიც ყოველივე იშკილთ-მომცველი, ანუ შენიღბულიც ხომ, მაესტრო იყო, ამ ჩვენს თვალწინ კი ქალებს აქამდე ძლიერ ნაკლებად რომ მიმართავდა? - რად არ გვეცა ან თვალს, ანდაც ყურს მისი ეს ასე აშკარულად შენიღბული პირიქითობა, ეს, და ახლაც ხომ თეთნულდს სულაც ზედაც აღარ უყურებს, ხომ კი, ხოლო ქალებისადმი დილიჟანსგარე დიაღაც ხშირად გამჟღავნებული ძალიან ძლიერ ხშირულ ეე, წინდამყენობასა და ერთგვარ ქველმოქმედებასაც ძალიანაც ხომ იჩენდა იგი, დილიჟანსში კი მათ მიმართ რომ დუმდა? - ამან მოგვადუნა ჩვენც; განაგრძობს, ასე:

- რახრახში მაინც არ გვეძინებოდა, ხომ ასე იყო, სინიორინებო, - და მხოლოდ ზრდილობისათვის თუ აყოლებს ალბათ: - და სინიორებო, და იმ ტყუილად წვალებასა და, თავსაჯიჯგნ თვლემას, აკი სჯობდა რომ ვიკამათეთ, და თანაც

კარგად, კამათში უფრო სწრაფად გარბის დრო, ხოლო მართლები - თქვენ ბრძანდებოდით რაღა თქმა უნდა, ეს მე ვსტყუოდი, და ამიტომაც უპირველესად თქვენს წინაშე, მერე კი სინიორებთან და კიდევ მერე მედილიჟანსეებთან და სულ ბოლოს საკუთარ თავთანაც ბოდიშს ვიხდი, ასე რომ ვლანძღე მე მე.

ვახხ...

- სტელლა, სტელლიტა! შემომხედე! შემომხედევი!! - აქ თვით რენატას სიამაყითაც კი სუვეღარ ახსოვს ისედაც კარგა მივიწყებული ერთი კოსტაცა და მეორე კურტაც, ერთად ძამპანო, - როსსინია აქ, სტელლა, სტელლიტა!! ჩემო ვარსკვლავო (ვარსკვლავო - სტელლა - ქართ...? მაგრამ ეს რაღა გამოდის აქ?.. აქ რაღაცები აგვერია, სტელლა და - „ქართ“.-? ვა?... აღარაფერს აღარ გითარგმნით, თარგმანობები - ხათაბალაა - შორს გადაყრაა - არაბ...? ვა?!.. მაინც რატოა „შორსგადაყრა“ არაბული და ბედუინური?! სადაა ვასკო... ვა?)... შემომხედე, რა!! უფრო კარგად!.. კეტი სუჩედე, სტელლა-მია, მია, მიაააუუ... ჩემო ფისუნი! გაახილე მეორე თვალიც!

- არაფერია, რენატა-მია... ერთად ვყოფილვართ, როსინისთან? თან, მთელი ღამე? ა?... მაშინ ხომ ერთნიც ვყოფილვართ სუყველანი, მია კარგო, დაიკოვ-ჩემო, ჩემო ნატული... მია პიკოლოვ (მია პატარავ- იტალ. და ქართული)... არაფერია, არაფერი...

- რაღა არაფერი, შექალო...

- და უნებურად კი გაქებინეთ ჩემი თქვენი მორჩილი თავი, მაგრამ სიმართლეს როგორ დაგიმალავთ და, მსიამოვნებდა.

- და, ჩემი ეტლით რატომ არ ჩამობრძანდით? - ჯიპანტონიოა. ისე უბრალოდ უჭირავს თავი, ჯიპანტუშაა. რატუშასთავი.

- ეე... აგიხსნით მერე... სინიორ ანტონიო... ფინჯან ჭაჭაზე... - ვასიკოსაკენ იხედება. მე თქვენ გეტყვი და, გამოეპარებოდა რამე, - ჰო, ჩემო, სინიორ ანტონიო, გთხოვთ, ამ ცხრავე მგზავრს, ჩემზე ჩემგან ასეთი გაწიწმატებისათვის (ნეტა, წიწმატიც თუ ამოდის იტალიაში? - ალბათ ნამდვილად, თორემ ისე როგორ იტყოდა), გთხოვთ რომ პირადად ჩემგან დაურიგონ ყველას ბილეთი. პარტერში.

- და მე!?!?!

აეს ლუჩია ვიღანაა, გაგვაგებინა ერთი ეს და, დამჭრა თუგინდა, მერე...

- თქვენ, სინიორა, შუა პარტერში!.. ხომ?

- რაღა თქმა უნდა, ხომ. - დიდ მაესტროსთან, ჯიპანტონაა.

ხოლო მაესტრო ერთ მგზავრს მაინც, განსაკუთრებით შეაცქერდება; უღიმის, მერე:

- თქვენი ნამდვილი გვარი, მიო კარგო?

- აღაბეკიანცი! - ჩქარობს მაუგლამ.

- არა, თქვენ არა, არამედ თქვენი, მიო კლაუდიო?

ხოლო იგი დუმს.

- თქვენ ხომ არა ხართ, ხომ არა ხართ შეჩემაროზა?

- არა, მაესტრო... - თავსა ხრის ისა, აღარ იცის, სად დაიმალოს...

მაესტრო დიდად კეთილი თვალით უმზერს.

- და, შეჩემაბუე?

- არა ა?, არა...

აკვირდებიან,:

- მაგრამ მე ისეც ვატყობ, შეჩემენელლიც კი არ უნდა იყოთ.

- არა, მაესტრო! მონიჩელლი ვარ...

- ჩემი ერთ-ერთი თანაშემწეოაო, ძალიან დიდო, ეე... ძალიან როსსინი! თქვენ გატყუებდათ? ვიგინდარა ეგ! მე ჯიპანტონიო აღარ ვიყო დღეიდან თუ...

მაგრამ მაესტრო ღიმით განაგრძობს:

- და აბა რაღამ გაგაშეჩემენელლათ?

- რამ და, თქვენდამი უსაზღვრო მოწიწებამ, დიდო მაესტრო.

- ასეც ვიცოდი. - და მთელი ქალაქის მთავარ დიდთავას მიუბრუნდება: - მეტრ-ანტონიო, თქვენს ამ თანაშემწეს რადგან ჩემთვის კი არა, არამედ თვით ჩემი მძაგებლისათვისაც კი განსაზღვრება ვიგინდარაო ერთხელაც არ უკადრებია, ამიტომ ჩემს ასე დიდად გადამფასებელს, მე დიდად გთხოვთ, სინიორ ჯიპანტონიო, მაგას - ლოჟა გამოუძებნოთ!

- სიამოვნებით, დიდო მაესტრო... ბევრი კი არ გვყავს ეგეთი სათნო... და არავიგინდარა! ეგ.

- ძალიან კარგი. ოღონდ,თუ შეიძლება, სინიორ კარლო დე ბრუნოსთან ერთად.

- აუცილებლად! ოღონდ თქვენ მიბრძანეთ და ... და კიდევ ვინმეც ხომ არ...

- არა.

ზოგიერთებს არ გვემთქნარებინა, კი იქნებოდა უკეთესი.

და თუმცა ზოგიერთს სულაც არ დაუმთქნარებია, -

„მე რათ გამამტოვა... ერთი მოდგმის მაინც არ ვიყოთ!..“

ხოლო ლუჩია, მგონი, ტარზანი იყო.

- როგორ დაგვწყვიტეთ, დიდო როსსინივ, გული... რომ გავიგეთ რომ, ჩვეულებრივი დილიჟანსით აპირებდით გამომგზავრებას, სულ თავში ვირტყი (ქალაქისთავმა!) და კარეტა მყისვე თქვენსკენ ვაფრინე, მთელი კარეტა სულ თეთრი ვარდებით მოვართვევინე, ბნელში უფრო რომ გამოჩენილიყო... იმით რატომ არ ჩამობრძანდით... მხოლოდ მსახური რომ გამოგზავნეთ...

- ეე... აგიხსნით, მერე... ჰო, ერთსაც სოლისტს რაღაცები ეშლებოდა და, ვირეპეტირეთ...

რაღაცას მალავს. აშკარაა.

- თან, კარეტაში ვიღა მაქებდა და გამახარებდა ასე, ვინა, მსახური? მშვენივრად მიცნობს... და, კარეტა რომ ჩამოგივიდათ, იმას მაგრად უკარით ტაში?

- კი, როგორ არა! ოღონდ მხოლოდ ცოტახნით. სანამ კარი გაიღებოდა.

ხოლო როსინი, დაუდეგარი სიმართლე თუ ძაან გნებავთ, ჩვენში დარჩეს და იმიტომ არ გამოემგზავრა ქალაქისზურგის... ეე, მაგრამ რაკი თავი ყველაფერს ნიშნავს, შეიძლება - ქალაქისზურგისაც ყოვლად კოხტა და ამო ტრანსპორტით, ანუ შავკარეტულად იმიტომ არ გამოემგზავრა, რადგან მისი სექსტეტით (ორჯერ სამი) მთლიანად შეძრულ და დაცემამდე წონასწორობადაკარგულ გარეგნულად ერთ ძალიან კარგ ქალ-ადამიანს, ჰერცოგინიას თანაც, თავდავიწყებამდე შეაყვარა უნებური და ოღონდ კვინტეტ-სექსტეტ-სეპტეტებიანი მუსიკალური თავი, და ქალაქისლავიწის ზედაც თავკარეტასთან კი იმ ქალბატონმა ყველაზე ერთგულ მოახლეს ვედრებიანი და მისამართიანი ბარათი რომ ჩააკუჭინა ყოვლად ლაღი ტრიუმფატორის გარე ჯიბეში, და რომ დაიძრნენ და ცოტა მანძილი გამოიარეს, ქალაქისგოჭის, ეე, ქალაქისკოჭის შავკარეტაშივე, ცნობისმოყვარე დიდმა მაესტრომ უუთეთრესი ვარდების შუქზე წაიკითხა ის ბარათი, და ჩვენში დარჩეს და იქ ინსტრუქციაც ეწერა სწრაფი მაგრამ გასარჩევი ხელით და მაესტროსაც ბევრი და დიდად აღარ უფიქრია, შავბნელკარეტა შეაჩერებინა, და ოქროსკბილება მეშავკარეტესაგან შეიტყო რა უკანასკნელი სავერონაო დილიჟანსის გამოსვლის ზუსტი დრო და სწორი ადგილი, იმა დიდად და შავადქებული კარეტათი მხოლოდ მსახური გამოაგზავნა ვერონაში, ქალაქისქოჩორს ისედაც მძლავრი გული მთლად რომ არ წასვლოდა, ხოლო მსახურისაგან კი, რომელიც რომ საექიმო საქმის ხელოვნებასაც ისე-რა ფლობდა, ერთ-ერთი სახეობის ხელბარგი ისესხა და, ხოლო ჰერცოგინიას კი, ჩვენში დარჩეს და, ინსტრუქციისამებრ, მსახურის საექიმური საკვოიაჟით მიადგა კარზე, არა, კარზე კი არა, ჩვენში დარჩეს და, კარიბჭეზე, ხოლო ძალიან გაფრთხილებულმა ლივრეიან-კამზოლიანმა კარიბჭისკაცებმა განსაკუთრებულად დიდი პატივით შეიყვანეს სასახლეში, ჩვენში დარჩეს და როგორც ვითომ შორი პარმიდან საგანგებოდ მიწვეული და ჩამოყვანილი სახელგანთქმულ და გავარდნილი სასწაულთმოქმედი ექიმი, ხოლო ჰერცოგინია, რომელიც რომ თავის დარბაზ-საძინებელში დიდმომლოდინედ განმარტოხელებული ხან იატაკზე და ხან საწოლში მწოლიარეც კი ბოლთასა სცემდა, ჩვენში დარჩეს და, ქალური მომხიბლაობისა და სინაზის განძლიერებისათვის თავისტკივილებს ისედაც ხშირად იმიზეზებდა, ხოლო იმ

საღამოთი კი ლოჟაში ვითომ ორპირმა დაჰკრა (მართლა დაჰკრა), და ბარათის პირით შეყვარებულობისაგან ძალიანაც რომ არაკდემამოსილებრივად ამეტყველურდა, და ცნობისძალიანმოყვარე მაესტროსაც (აქიმიც აკი თავისუფლად შეიძლება იყოს ოსტატი), ჩვენში დარჩეს და სხვა აბა რა დარჩენოდა, თავიდანვე ძალიან მოეწონა ღრუბელთქულაურ საწოლში ერთხანს მარტოდმყოფი ჰერცოგინია, რადგან ორმაგი მაესტროს დანახვაზე გზააბნეული დიდკაცის ცოლი აღტაცებისაგან შუა ლოგინში ისე სასწრაფოდ შეხტა, როგორც ზოგი ციყვივით საღი, და, გაისინჯა და, გაისინჯა, გადაისინჯაც, მერე, და მერე, და ჯანდაბას ჩვენი შენიღბული საწერკალმლური თავი და ტანი (და ხრტილი), და გინდაც ნუღარ დარჩება ჩვენში - არ გადავყევით ამ ერთ იმას? - ხომ შევუნახეთ ისეც რამდენი - და გავიმეორებთ კიდეც: გულმოდგინედ და ძლიერ გულდასმით სინჯა და სინჯა, სულ მერე-მერე კი, თვითონაც რომ ჩაიცვა, და ისევ მოირგო მსახურის ტყვილი სათვალე და ექიმიური პირასახვევი, და რომ გამოვიდა, ნამოღვაწარი, ნადუეტარი, არა უ-შავ-სო (შავკარეტასგან განსხვავებით),აუცილებლად მოკეთდებაო, - გარეთ დიდის გულისფანცქალით დალოდებული ნათესაობა და ახლობლობა დააიმედა, და, ნათესავთ გარდაც, ნუგეში უგდო თვით ჰერცოგინიას ფარულადა და შორით მეტრფეთ, რადგან მთელი ექვსი წამალი (სექსტეტის რიცხვი!) თავისუფლად და სწრაფად გადმოიწერა საკვოიაჟიდან რომელიღაცა მთლად უცნობი ბატის თეთრი ფრთით (რა, ვერ დაწერდა?.. - „სევილიელი“ს ოციოდ დღეში შემქმნელი), აუცილებლად მოარჩენენო, დასძინა მერე, და როცა ჰკითხეს, რაა ეგეთი უეზარიო, საიდუმლოაო, ამან, და სწორიც უთხრა, ხოლო იმ სექსტეტური წამლებიდან ჰერცოგინია მხოლოდღა ტრიოს შესვამდა თუნდაც? მეტი არაა ჩვენი მტერი, არა გვგონია, მაგრამ მაესტროსადმი გაორმაგებული სიყვარულით რომელსამე ერთს სახეზე ხშირად ისვამდა ხოლმე, ხოლო იმ ღამით სექს-ტეტუალურმა მაესტრომ ჰერცოგინიას ცისფერი ეტლით (ორცხენათი) ჩვენდა მშობლიურ ოღონდაც უვარდებო შავვე დილიჟანსსაც კოხტად მიუსწრო, საკვოიაჟიანად, თანაც ვასკომაც დააგვიანა, რომელი ვასკოც ტანად თუმცაღა მომცრო იყო მაგრამ ზედიზედურა ჭაჭიანობით ისე მაგრა გადამძიმებული, ზედმეტი ჭაჭით ამაოდ მაშვრალ ვერმოწყვეტილი და როგორ მწიფე დედაკაცითი, და, როგორი უცნაურია მაინც, ცხოვრება - დიდმუსიკოსთან, ბარე და ლამის კოლეგიალურიც კი გამოდის მედილიჟანსე (ვერშედგენილი ცაცა-ზინათი, აი ისიც კი დარჩეს ჩვენში, და თანაც ფრჩხილებში),

15.

ხოლო იმ ღამეებზე გაცილებით მძიმე, და ძნელად ასატანი, მაინც დღე იყო, განსაკუთრებით ისეთები, თუ აუცილებლად უნდა გასულიყავ ქუჩაში. ეს მიწისზედა უტრანსპორტობა, და „მეტრო“ბანაც კი, არაფერი იყო ქალაქად სვლასთან შედარებით, რადგან თბილის-ქალაქში წამდაუწუმანაბიჯოვანი სილაღე სუფევდა კი არა, „სუფევდა“ს რა უჭირს, შედარებით მშვიდი სიტყვაა, თუმც საბასეულად „სუფევდა- მაღალი მეფობა“ა, აქა კი, ჩვენში, რაღაც გამაოგნებლად მოზარზეიმე სილაღე მეფობდ-მძვინვარებდა ბევრის სახეზე, ანუ შინაურულად - ფიზიონომიაზედ, ხოლო „სილაღე“ და „ლაღი“ ახლა რომ მხოლოდ ხალასად კარგი რამა გვგონია, ადრე ისეც შემჩნეული ყოფილა, რომ, სიტყვის „კონა“შიც,

სხვაგვარადაა: „ლაღი - სილაღე უწვრთელობისა ნიშები (“ნიში - ნიშანთ ნაწილი“) არს. სილაღე არს განუკრძალველი კადნიერება, რამეთუ, რა განლაღნეს კაცი, მეტნობასა იქმს მანქანებისასა“, ხოლო „მანქანება - მრავალ სახე ხერხის ქცევა“, და სწორედ ამგვარი განლაღებულობით პირდაპირ დუღდა კი არა და პირდაპირ გადმოდუღდა ყოფილი მაინც საქართველოს ნადედაქალაქარი: ყოველ ნაბიჯზე, მზარდი ჩარჩების ყოვლად უცნაური კია მაგრამ, სახეზე ერთდროულად ბრიყვულსა და ჩაუქოვან, და ამასთანავე საწყლურად გამარჯვებულიერიან გამომეტყველებითურებს შეეჩეხებოდით, და იმ ჩვეული წესის მიხედვით, რომ ქუჩებში ნაგავი უფრო შეინიშნება ვინემ სისუფთავე, სწორედ ისინი, ესრაოცნებად აღსრულებულ რამს, სწორედაც რომ ვერც კი იოცნებებდნენ, ჩარჩობისათვის ისეთი აღსაფრთოვანებელი პირობები ჰქონდათ შექმნილი, აი, ვთქვათ, თუნდ მთლად უბრალო სიგარეტი მაღაზიაში რომ სანთლით ვეღარ მოიძებნებოდა, სულ რომ არაფერი იმიტომაც რომ სანთელიც აღარ მოიძევებოდა, სამაგიეროდ ისეთი ხალხ... ა?, კინაღამ ხალხმრავლობა დასცდა უღირსს, - არამედ ისეთი ჩარჩმრავლობა იყო თამბაქოს ფაბრიკასთან, რომ პირველად რომ ჩაიარა „საბაზრო ეკონომიკა“ს ჩამოშვავებისთანავე იქ უღირსმა, არიფობით ისეც კი მოეჩვენა შორიდან, რომ ავარია მოხდა, ისეთი მძლავრი ჯგრო იყო შეკრებილი იქა, მაგრამ როცა ძნელად მიუახლოვდა, კიდევ მეტად შეეკუმშა გული - „მანქანება“ს გამომეტყველებით სახეზე, სიგარეტების ლაღი გადამყიდველებით ყოფილა გადაჭედილი „თბილთამბაქო“ს შემოგარენი, და, ჯიბეებიანები, გულისჯიბეებიანები, და რაც მთავარია, ხელჩანთიანები, და მუცელჩანთიანებიც კი კენგურუსავითაც კი, ორთავე გამოჩინებული სქესი, ფართორიგულ-გრძლად იღვწოდნენ იქა, მერე კი, საწყისა რეწვააღსრულებულნი, სარეწვდაუხვად მიღებისთანავე, მართლაც რომ კენგურუსეებრ მიხტუნაობდნენ ზოგი საითკენ და ზოგიც საითკე, მოკლედ, ხალხმრავალ საითკენმე-ენ! ვეღარც, იქრო აქეთ და მეტად უფრო საუხვოდ რომ გაეყიდნათ, ისემც და იმათ რა ვუთხრათა და, ვითომ-მონაგარი, რადგან „მონაგარი - გარჯილობით ნაშოვნი“ა, და აკი გარჯაც - „მოუსვენლობით შრომა“ გახლავთ, იმათ კი, ლაღობითური მოსვენებები აქუნდათაა? - „თუალადი - კარგი სახილავი“ კიარადა, ამაზრზენი, რადგან მიღწევებისაგან (მხოლოდ სიგარეტობრივ კი არ იყო საქმე), საბასეულ რვა სიცილთაგან ყველაზე მეტად ეს ერთ-ერთი: „ღინცილი არს სიცილი მიწყივ (მარადის) უწესო“ შეეფარდებოდათ; და, ფეთხუმ სახეზე სვებედნიერებს ვითომ, მართლაცდა ვითომ, რადგანაც „სვე - უმეცარნი და წარმართნი იტყვიან: სვე არსო... - ბიჭოს, ზმნის ასე მოქცევაც სცოდნია საბას, მაგრამ დახურდავებულად წამდაუწუმიგზის ხურდობრივად კი არ ემსახურებ-იყენებდა... რაღაცას ვამბობდი... ჰო, „სვე - უმეცარნი და წარმართნი იტყვიან: სვე არსო მაიძულებელი ძალიო, რათა იძულებული მის მიერ აღესრულებოდეს ვარსკულავთა ზედა შობისა მიერ“ - ისემც!.. - რადგან ეს სიტყვა, „სვე“, მართლმადიდებლობის, ანუ ცოტა შენითაც კაცად დადგომის უარყოფა იყო: „ვა?, ეგეთ ვარსკვლავზე დავიბადე და, რა ვქნა“, „ვე?, შუბლზე რაც მეწერა ის გავაკეთე, რა გინდათ ჩემგა“, მართლაც რომ, „უმეცარნი და წარმართნი“; მოკლედ, განუკრძალველად ნაჯაფები, ღინცილებდნენ და, ამადაგვარი „საბაზრო ეკონომიკა“სათვის კი დიდმოამაგე და თვალებკვარკვალა ყბედმომხრეთ ჰყავდათ ერთი ისეთი? - ნამდვილი „მომხრე - მხარზე მდგომი“ - და თავზემჯდომარეც - სხვისაზედაც და საკუთარზეც,

ჰყვანდათ ისეთი? - იმისიანთასთ, რაღა უჭირდათ, ხოლო მართლა გაჭირვებულებს იმათგან უნდა ეყიდათ სამმაგფასა მდარეხარისხოვანი სახრჩოლავები, და ბუნებრივია, აქ რომ მოგივათ ასეთი აზრიც: „ნუღარ მოსწევდნენ, ისინიც, სიგარეტს, ჯანმრთელობასაც გაუფრთხილდებოდნენ და კუპონიც დაეზოგებოდათ“, მაგრამ მთლად ასეუბრალოდ არ იყო მაინც ბოლომდე საქმე, რადგან სიგარეტს ადრედაჩვეულებს, ამ ერთისშეხედვით მხოლოდ მავნე ჩვევისათვის თავი რომ გაენებებინათ, ჯერ ეს ეგ ერთი, მოაკლდებოდათ უდიდესი შვება - თავის ბრუალი - ესყოველივე ისე მძაფრად რომ აღარ აღეთქვათ, და, ნამდვილადაც არანაკლებ ის, რომ ამ მოწევითებლურ შემთხვევაში პირდაპირ მისწრება იყო ნეტარი ნიკოტინი, რაც უფრო გლახა - მით უკეთესი, რადგან შიმშილს - „დიდი სიყმილი“, საგრძნობლად კარქადა ჰკლავდა, და სწორედაც რომ ჭეშმარიტად საბაზროული ეკონომიკით მოგვდიოდა „ასტრა“სა თუ „პამირი“ს წევა, რადგან არამცთუ სტენდლითნაყივნი (ანრი მარი ბეილი) წითელი და შავი კი არა, ერთთევზ მინტაის ვითომცუბრალო ხიზილალაც კი აღარ ახსენდებოდათ, რადგან ქებული ნიკოტინი პირდაპირ მისწრება იყო, რადგანაც სათნო ნიკოტინი ნერწყვწითლადხაზგასმულ მადას, ანუ შინაურულად და მოფერებით - ჰაპეტიტს ძლიერ კარგად ჰკარგამს, მოკლედ, მისწრება და მართლაცდა გონივრული ეკონომიკა იყო ნერვებისთვისაც და საჭმლის მომნელებელი ერთგვარად განლაღებული სისტემებისათვის, ასეჭკვიური, რამდენიც გინდა მავნე ეძახე შენ და, სინამდვილეში კი იფიფსიგარეტი.

ამ გაჭირვებებს, შიმშილს, სიცივეს, ჩარჩობასაც კი, უტრანსპორტობას - უიი, მართლა, „უტრანსპორტობა“ში ჩვეულებრივი ტროლეიბუსი და ავტობუსი იგულისხმება, თორემ სამარშრუტო და ისეც-ტაქსებით პროდუქტივით გადავსებული დიაღაც კი იყო ქალაქი, შენ იმაში ჩაჯდომა და იმის ყიდვა გეთქვა, - უპურობას და უწყლობას, ნეტა ვისჩახუტებულ მეტროთმავლობას და ასე შემდეგ, კიდევ იმდენი რა უჭირდა, არამედ რაღაც უცნაურ სახადივით, ჯერ მხოლოდ ალაგ ხტუნვა-ხტუნვით, ისე-რა, გაკვრით, სუბუქად თავიდან ვითომ, მაგრამ, მერე და მერე, ეს საყოველთაო თითქმის შეშლა, ისე მყარად და ყრუდ დაგვიმკვიდრდა,ა,ა... ვე?. თავისი ხვედრით გაოგნებული, და სხვა დანარჩენს ვერმიმხვდარი, და ვერშემმჩნევიც კი, უღირსი, რომელსაც, მერე, ვრცელი წყალობით, გადასარჩენად, ისეთი მაღალი პატივი - „კეთილის მოპყრობა სიტყვით და მადლით“ - რომ დასდეს და იმ, იმედით კი არა, არამედ დიდის, დიადის, უდიადესის მალამოური ყოვლად, რწმენით - „რომ ის, მთავარი, თავი და თავი, უწინარესი სუყოველთა საუკუნეთა“, ის, სწორედ იგი, იის, ყოვლისმეუფე და სულმარჯვნული თავისი მამის, რომ არის, არის, და მისი შეწევნით, მისი შვებით და მისი მადლით, მისიანებიც რომ არიან, და იქნებიან, რადგან ის - როგორ ნეტარად სიამოვნებდა გადამეორება, გადასამება - რომ არის, არის, იყო და არის, მარადიქნებაც, და ამ იმედით გაიჟღინთა კი არა, არა, თითქოს პირველად რომ მოავლო ქვეყანას თვალი კარგა ხნის წინად დაბადებულმა, და, იმ მანამდეც თავის ძნელ ხალხს, ვისიცა ხარ და ვინაც შენია, ვისიც იქნები, როგორის რწმენით შეხედა და, რა შერჩა ეს... ეს მრავლისმომცველი და ბოროტი, მხოლოდსახადი - ნეტა?, ეს საყოველთაო თითქმის, შეშლა... როდის დაიწყო ეს ყველაფერი... ალბათ ძალიან, ძალიან ადრე, ხოლო განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ატეხილებმა,

„ატეხად ითქმის კაცის აღძრვა სიკეთესა ზედა თუ სიავისა, ერთისა საქმის დაჟინება“,

ჰეე, კაცის აღძრვა... რომელდაგვარი ძალებისაგან... და თუ სიკეთესა ზედა - გონმოუღლელი ჭეშმარიტად მაძიებელ დონ კიხოტივით, ხოლო გამოთქმა „დონკიხოტობა“ ბევრუგნურთათვის დღესაც რაღაც აგდებულად გვჟღერს, „პროზაული“ვით, ხოლო თუ კაცის აღძვრაატეხა სიავესა ზედა - გვაგინებს ვიღაც და მაინცა ვთქვათ - იმ ვითომითი ულიანოვზე უკუგამოთქმითი „ლენინი მუდამ ჩვენთანაა, დიდი ლენინი ცოცხალი არის“, - მართლაცდა, აგერ არ იყო?, და სულ ახლახან? და მაინც, რადგან - ნაცარქექია მოთბო სიტყვაა, სხვარამქექია ათეისტები გაიძახოდნენ და კიიძახდნენ ძალიან ამას, მაგრამ, თუკი ხარ, გენაცვალე და მატერიალისტი, პულსი რატომღა არ უცემს მაშვინ? ხოლო იმისი... - თუმც, გვეყო, რაც ვახსენეთ, ისედაც მაინც შემოგვეპარება, და ვეცადოთ რომ ნაცვალსახელებით მოვიხსენიოთ, არადა, ვშიშობ რომ მაინც შემოგვეპარება - ხოლო იმისი ბნელბეჯითურად ფართე, ქერცლშიყურყუტა გაჩენიდანვე, მოვლენიდანვე, გამოვლენინიდანვე, - ა?! - იგროვებდაც და გასცემდაც შხამს, ყოვლად ორმხრივი ეს აღებობა და მიცემობა საგველაო ეს, განსაკუთრებით, უფრო მერე, თავში მოქცევისა და ტვინშიაც იმ შხამის ჩადგომისთანავე, და, გველპერანგ ვითომ ჩამოგდებულგადაგდებული - „ამას გაუმარჯოს, იმას გაუმარჯოს, ამასაც გაუმარჯოს“, თავისუფლება, დემოკრატია, პროლეტარიატი, პროდუქტი, რამე, - სწორედ რომ მისი, მაგრამ სხვისიც, ბნელთამყრობელის და პატრონის უფროც მეტის მონდომებულაობით, და უიიმ სხვისით, სწორედ რომ მისი ხოხვა-კლაკვნითი ყოფითურობიდან გამომდინარე და ამაში შემდინარე, ვისაც რომ მაჰმადიანობის არდევნა ბაბილონური სსრკ-ს გოდოლმშენებარ ხალხთა შორის ძმურ-ამხანაგურ მეგობრობის განმტკიცებისათვის უთუო საჭიროებად მიაჩნდა, ხოლო მართლმადიდებლურ ქრისტიანობას ისე დევნიდა, რომ, ამ რამდენისგან აღიარებულ პირველ რუსზე აი იმასაც კი იძახიან, რომ სხვას აბა რაღას იზამდაო აბაო ისა, რადგან თავი რომ სულაც ვანებოთ რომ დიდადმძიმე მსუბუქი ყოფაქცევის დედით - მთლად გერმანელი ებრაელი ჰყოფილა თითქოს, ხოლო ერთისაც ასტრახანში დაბადებული ყაზანურუნივერსიტეტდამთავრებული მასწავლებელისთან, თავადაც იმდაუნივერსიტეტ ნაგემს, მამინაცვალშვილობაც ჰქონებიათ ისეთური რომ, უკიდურესი, მასწავლებელექსსექს (გვერევა, ენა, ბაბილონელებს) ისეთუმე რომ, ინთიმურად და სადისთური, ვაიმე ბიჭო, „ტ“ -ს ვეღარ ვამბობტ, ის აღარ გვაკლდა, რომ, რამდენი ხანი, არნოლდიც აღარ მოგვწყურებია, თუმც იმას ტ არ ურევია და, უიჰო, მართლა - სა-ხარ, ტარკინიიი, აიი, ასე, იმანაც კი, ხელმოცარვით ყურგამწარებულმა, გვიშველა როგორ, როგორ და, დზალზე, - ა?!... დავწყნარდეთ, მოდით, მაგრამ აბა რა დაგვაწყნარებს, რადგანაც ასტრახ-ტრახანში დაბადებულ ცოტაც-ყაზანელს მასწავლებლურად მიდგომა ქონია ისეთი არნახულად და გაუგონრად ვაით და ვუიდ პედაგოგიკური, ეე, გამზრდელობითი, ეე, ხოლო სახელწოდება „Казань“ -იდან ის მამინაცვალ-ულიანოვი რაღაც უკიდურესად ცუდნაცვალ კაზან-ოვა-დაც გამოდის, მგონი, მოკლედ, ბოლო-ბოლო, სხვას ისეთს ვიღას აღზრდიდნენ ტრა-მალებრივად, ხომ ვამბობთ „ტ“-სა - ტროლეიბუსი, ტურფა, ტრაქტორი, ტაშკენტი, ტიფი, ტფილისი, ტყაზანი... ვა?!, ესა ძნელი და ადვილი „ტ“ ყაზანს აბა რაღადღა უნდა, თანაც,

რუსულად „Казань“ -ად ნაზათ ჟღერს, ნეტა რომელი უფრო სწორია, ნეტა ასო „ყ“ თუქონდათ თათრებს, კი, კი, როგორ არ ექნებოდათ, რადგანაც ხომ მუშაობდნენ ისტორიულად თავისებურად ვინმე ყუთლუ-ბუღა, ვიღაც ბექა-აღბუღა... რომელიღაცა ბუღა... ეე, ბექა-აღბუღა რა შუაშია, თუმცა, შუაშია და შუაშიცაა... ყორჩიხა ხანი... ავირიეთ, ხომ, რითი დავიწყეთ... ჰო, ტროლეიბუსი და ასე შემდეგ, თუმცა სადღაა ტროლეიბუსი და ასე შემდეგ კი არა, არამედ ერთჭერიქვეშა ნამოწაფარიც, თავის დროზედ რომ ვითომ ძალიან წამოზრდილი, სულ, ის, მაგრამ წამოზრდილი კი სულ არაზრდილი ისეთი რომ, მიმდევარ-სხვების პირითა და სხვების კბილებით, კაციჭამია; არადა, ისიც, თავის დროსაც რომ, კურანტებიანს, ვითომ მოესწრო, და რაგინდ საწადელმიღწეული, თუნდ მატერიალისტურადაც კი, მაგრამ სწორედ მატერიალისტურად რა ხასიათზე უნდა მდგარიყო, საყოველთაო მოფერებით რომ ეძახდნენ „ილიჩ“ -ს, და რამდენი მისითნაქარგი ხუთწლეულობით არც ვიცოდით ეს, აეს იმისი ვისიცშვილობა, სანამაც ერთსა არქივქექია მარიეტას არ აღმოუჩენია ეს, გვარად შააგინიანმა, ტყუილად უთქვამთ?: თაგვმა (გინდაც დედალკავკასიელმა) თხარა, თხარაო, და რა გამოთხარაო!, რომელი ვაახჰჰხ გათხრ-აღმოჩენითაც თვით შავკაცსუსლოვი ისე ცუდათ შექნილა, აეს იქამდე აქილევსივით მმძლავრადმბრძოლი ერთ-ერთი ხანის სესერეკას მთავარი იდეებოლოგი, ამ აღმოჩენით კი - დასალოგინებელ-მოსალოგინებელი, სურომელიმე კასსანდრასავით, და დაუძლურებული - თმაშეჭრილ სამსონივით, ხოლო ლომკაც-ბრეჟნევსა, მცირე მიწაზედ ანთეოსსა, რომელსაც ადრე სწორედ იმ მცირე მიწიდან მოყოლებული მედგარი ბრძოლით აუღია და დაუქცევია რაიონული ცენტრი ტროა, ხოლო შემდგომ კი წინაური თხევადური დამსახურებებისათვის იმასიცოცხლის ბოლო და იმგვარ წლეებში მხოლოდღა გვამი კი იყო თუმც ყოველკუნჭულ უკვე, მაგრამ იმდენი მაინც უაზრნია - რას ნიშნავს შკოლა!? და, თებე-რვლური კედლები, და მასწავლებლად - ბრძენი კენტავრები: ვარაშილოვი, ხრუშჩ-კაგანოვიჩი, ბუდიონი და ქირონი, რამე, რად აგვიყოლა ასე ცრუ მითოლოგიამ!.. მოკლედ, ლეონიდ ილიჩს (ვაიმე!?), საფრანგეთსა და ამერიკებშიც სულთმობრძავსა და ბალზამშაყვანილს, და ნელსაცხებლებნაფრქვევს სადასაწვავო სულ საბოლოო პატროკლესავით, - რა დაგვემართა? - მეტს აღარ ვიტყვით მითუსებურს! - იმდენი მაინც უაზრნია, რომ უხვჯილდოებით (იცოდა გემო!) განედიდებინ-მიეფუჩეჩებინათ არქივთამღები არქი-ვთამპყრობი სრულიად მაგრამ აკივლებული მაინც დიდმცოდნე ამორძალი მარიეტი, გამშუქებელი, ელდენ-ელექტრა, მეცამეტე გოჭივით რო მიადგა საწოვნად ფარულ არქივსა ერთი ვინმის განსადიდებლად და, ამით კი რაღა გამოუვიდა სასაქმოდ ანუ საქმისათვის, იქით იცით თქვენც ნეოდომკრატულ გაზეთებიდან და ხოლო მისი ქსივი-ეს, მინამდე მედგარ სუსლოვისადმი, გადაწყვიტეს რომ თანხ-ორდენებით ყინულოვანი ოკეანქვეშ მიეჩქმალნათ, მაგრამ აქ ძლიერ ჩავყვინთეთ და ძაან მივსდიეთ, გრძლათ, და მოკლეთ ბოლოს მაინც იჩინა თავი აემ ამბავმა დაოკებული ილიჩის ნათურასავით, ეე... ეე, ნათურა კი არა... ვეე, რანათურა ქონდა მაინც ვირლიჩს ისეთი... უცნაურია, აქამდე ხანდახან „ტ“-საც კი ვერ ვიძახდით, ახლა კი - ზედმეტ ასოებს ვხმარობთ, მაგრამ გამოვსწორდებით, იმედია, აქაც, მოლეთ მოვრათ და, თუმცა, ეე, აქეთურა ნამეტნაობაშიც ნუ გადავვარდებით და მოლეთ მოვრათ კი არა არამედ მოკლედ მოვჭრათ (დიდი მოკლედ მოჭრა კი გამოგვივიდა), და, ულიანოვსკის იმმოსწავლებით აღზრდ-მეცადინეობაااااა

ჩატარებულა ისეთური რომ, სულ ფრიადებზე და წარჩინებით და დამალული გამოჩინებით დაუმთავრებია როგორც საბნელო-მიწისქვეშა შკოლა ასევ ჩვეულებრივი გიმნაზიაც, ხოლო შემდეგ, ავმახსოვრობიანი, მერედა რითი გალახულ-შელახული, თუმცა ყოფილი და, ვითომ, ჩავლილი? - მაგრამაც მაინც ზედმეტად ახლობლობრივი მატერიალისტური არაუკვალო შეგრძნებებისაგან, აღგზნებისაგან, ატეხისაგან, - ვითომდაცყოველგვარად მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ - ! - სუყოველივეს დამხობის მიზნით, ეკლესიები, ყუჩი სახლები, რაღაჩაღურად დაუნგრევინებია და, აი აქ კი, გულზე დავიდოთ უცები ხელი - არ შეგეცოდათ? სულ რომ არაფერი, ის არაფერი რომ რამდენი მისი წიგნი დამწვარა, რამდენი იმისისახა მხატვრული ტილო დახეულა, რამდენი ძეგლი ჩამონარცხებულა სულ ბრაგვანითა თუ ტყაპუნით დატყეპებულა ხოლო იქამდე - შეურაცხყვიათ, ეს კიდევ დავუშვათ და, კიდევ არაფერი, მაგრამ, დღემდეც კი, ზუსტად მთელი ექვსი დუჟინი წელი, უცნაურია, ზუსტად ნახევარდუჟინჯერ დუჟინი წელი, უმარხავად წევს პატივსაცემად, კარგი პატივი ჩემო ბატონო, კია, და მავზოლეუმიც ინდოეთში მოპოვებული სატანის ერთიც შესაკრებელი სახლის, რომელიც მერე მთლად გააქრეს, ასლი ყოფილა თურმე, და საცოდავი იქნებოდა, რა იქნებოდა აბა იმ წარსულით და ამ აწმყოთი, მერე როგორი, და თუკი მასზე, შესაზიზღზე, აი ასეთიც საზიზღრულიც პროზით ვწერდით, ეს ალბათ იმიტომ, რომ გადამდებია ყოვლად უბედურის, თუ ყოვლად ბოროტის გაგებაცა და კუთვნილად სწორი შეზიზღებაც და შებრალებაც კი, მაგრამ, ერთი ეგებ იმითა ვართ ცოტა, სულ ცოტათი მართლები, რომ, თუ იმ თათარით იყო ისე გაბოროტებული (ძალიან ცოტა-სიტყვაა), ამდგარიყო და მეჩეთები და მინარეთები დაენგრია და მოლები ეჭერებინებინა, რაღას მიადგა მართლმადიდებლობას, რამდენ მღვდელსა ჰკრეს ტყვია და გაანადგურეს თავიანთი ჭკუით, და უმარხავად ახლაც, დღესაც რომ გაუწვენიათ, ეგება მართლა ერგებოდა ეს, მეზოზოურადაც კი, არნახულობა, რადგან აბა რომელი ამბოხმოძულე დინოზავრები ათეისტურად დაუწყევლნიათ ასე, რადგან ისინი თუმც ცხოველებად, მაგრამ მაინც „ნამარხებ“-ად იწოდებიან, ხოლო იმ ათეისტებს ვიღა ზრდიდა თუ არა იგი, ისეთებად რომ, რაყოჩაღურად, მათის აზრით, ინგრევინებოდა ეკლესიები, ღვთის სახლები, ძალიან ბევრგან და ჩვენში კი განსაკუთრებით ზოგან, და, ღვთისსახლების ასე ნგრევით, იყარა არა, ბიჭმაც, თათარზე ჯავრი... ეგებ, მოსწონდაც, რას გაუგებ, პირქვე ბნელია დღესაც რაგინდ გულაღმა იწვეს, მაგრამ იმისი ბრმული სიმწრით, რომ თათრობა და სათათრობა უკეთესია, ჩვენ, ძველცოდვილებს, და საერთოდ ყველას, იმაზე ადრეც, რამდენად ადრე, მაგრამ იმისით, რაოდენი რამ დაგვექცა თავზე, აყოლილთათვის, ატეხილებისათვის, რის და რაისი „არა კაც-ჰკლა“, მთავარი იყო, ისე აღმოგეჩინა ან მოგეგონა და მოგეკლა თუნდ წყნარად მყოფიც შეუგუებელი, რომ, თუ არ დაგაწინაურებდნენ, უკეთეს სია-სათვალავში მაინც შეგიტანდნენ, თუმც არა, არა, აქა ვტყუით, რამდენი, გველიც დახვრეტილა, და გამოვასწოროთ თქმული: შეუგუებელს თუ აღმოაჩენდი ანდა სულაც მოიგონებდი, და დაახვრეტინებდი სულ, თუ არ დაგაწინაურებდნენ, უკეთეს სათვალავში მაინც შეგიტანდნენ ანდაც დაგბრედდნენ სულაც - აიი, ასე. - კარგია!, გამოსწორდა, ხოლო თუ ისე-უწყინარ, ჩვეულებრივ, არაფრისმთქმელ (?) შეგუებულად ცხოვრებაში, ვთქვათ და თუკი ფულის, ქალის ან გოჭის გულისთვის ან კუპატისთვის თუ პილმენისთვის მოკლავდი ვინმეს, შენთვის და შენი უფროს უფრო-ატეხილისთვის

ადამიანს კი არა, არამედ ვინცხას, მსხვერპლი კოდექსით მაინც ადამიანად გეთვლებოდა და მაშინ მთავარი პირველ რიგში ის იყო რომ, გამომძიებელს, ან პროკურორს, და, სასურველი იყო არავისაც არ გაეგო ეს და, აბა მაშინღა ვიღა იქნებოდა გამკითხავი, არა? თავიქუდში, ხომ? ხახვივით შეგრჩებოდა, არა?, სამუდამოდაც შეგრჩებოდა, ხომ? ხომკი? - ათეისტობით, სისხლისაკენ, -

ატეხილები... ეს.

ან, აეს „არა იმრუშო“ რაღა იყო, არამედ მთავარი ის იყო, სანაცნობინფორმიო აქეთურაც ცოლს, და ცოლისდებს ანდა სიდედრ სუვერაფერი გაეგოთ-რა, არც სამსახურში ან ჩეკასა თუ ენკავედეში, რადგან მთლად სანდოთ აღარ ჩაითვლებოდი დოყლაპია ტურისტადა თუ თვით შპიონად კიცგასაშვებად, თუ ძლიერჩინი არა გქონდა და არცა გყვანდა დამსახურებული-ვინმ და, და მაშინაც აბა ვიღა იქნებოდა სხვა გამკითხავი, ჩვენებურად და ორმაგულად (მარქსი თუ ნიცშე), ხომ აღარ იყო სხვა არავინ, არა? და�ა, მიდიიი.... „არა იპარო“... - რატოარა რა, ეს „არა იპარო“ მაინც რაღა სულელობანა იყო, ვინა ჰთქვა ფული და თანხა არაფერია, ჰცუდიაოო, არამედ ცუდი ის იყო, რომ ვიღაც ოხრებთან უნდა გაგეყო, იყო გასაყოფი - ჰაშენ, ობეხეე, შენი არჩივი, ჰაშენი წილი აღმოსავლეთის წილი აღმოსავლეთის პროკლოვო სიმართლის მთქმელო სესერეკსიავ, და რაიკომო, აღმასკომო, ჰავ, მილიციავც, შენ, სახკონტროლი და რამე, მთავარი ის იყო თუ რარიგ კოხტად მორიგდებოდით, - მთავარ-იყო, მთავარ-იყო, სუკში იჭვი მამკვდარიყო თუკი ძაან ზედმეტად უძრავსა თუ მოძრავ ქონებასთან გაქუნდა საქმე, ხოლო „არჩივი“ დღეს რომ კუთხური სიტყვა გვგონია რატომღაც მხოლოდ, და, თურმე, მხოლოდ ცოტათი სახეცვლილია, რადგან, საბასთან, „არშივი- საჭმლის კერძი“, ხოლო „კერძი - წილი“, და, ამ ჭამისწილით, ვნაყრდებოდით კი არა და, ხომაც ვძღებოდით, ხომ!?, აბა, იქ იყვნენ, ბევრი რამის ჭამაში იყვნენ თუკი იყვნენ ხელმწიფეები, იმის შემდეგ რაც ძალიანი ატეხილებმა კენტი მეფეღა რომ გადმოაგდეს, და, იმოდენის შემძლებლობით, როგორ მოგვიანებით კი არა, ეგრევ მოგვედო, ატეხვით, შეშლა, ოღონდ ამასაც, შეგუებულები აღმოვჩნდით.

ატეხილები...

ეს ატეხა კი, თანდათანობით ჩამომყარებულ და მრავალსახა შეშლილობაში როგორ გადაიზარდა, ვეღარც გავიგეთ. ოსეთისა და აფხაზეთის ომამდეც, კარგა საკმაოდ, გულშესაკუმშად შეინიშნებოდა, მაგრამ ომის დროს? - ავიწყვიტეთ, სულ... და რაოდენ საკვირველია, სადამდე უნდა აწვდილიყო შეშლილობა ეს, რომ თუნდ ერთ მანამდე როგორღაც აკრძალულივით, ძველ, საპატივცემულოდ თავაზიან მიმართვას, როგორიცაა „ბატონო“, როგორ დაეტყო, შეშლა... უღირსის ბავშვობისას, ერთი ხნიერი თავადი, სილოვან ემხვარი და ეს უღირსი ერთ ბევროჯახიან სახლში ცხოვრობდნენ, სილოვან ემხვარი ის კაცი იყო, ომიანური გაჭირვებისას წყალში ჩაწობილი შავი პურით თუ სადილობდა, ეს სრულებითაც ვერ ლახავდა მის ღირსებას, ხოლო როდესაც სიყმაწვილის მეგობარი, ისიც ყოფილი, ნაოფიცრალი, თავადი ვარლამ დადიანი თუ ესტუმრებოდა, როგორ გაებადრებოდათ სახე, ოღონდ როგორღაც მაინც თავშეკავებულად, არადა, როგორ მართლაცდა ერთი მოდგმისანი იყვნენ, როგორი აღმოუფხვრელი აღზრდა და

ზრდილობა, როგორ ახლობლებად აკავშირებდათ, და მაინც, იმ სიყრმიდან მოყოლებული მეგობრობის მიუხედავად, მუდამ „თქვენ“ობით, და ამ მიმართვით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს:

- სხვა, როგორ ბრძანდებით, ბატონო სილოვან?

- გმადლობთ. თავად როგორ ბრძანდებით, ბატონო ვარლამ?

ხოლო სწორედ „ბატონო“ზე რომ მიდგებოდა სიტყვა, ხმას საგრძნობლად დაუდაბლებდნენ, რადგან ეგრეთწოდებული „სტალინის დრო“ იდგა მაშინ, ვითომ სხვების დრო სულ ცოტათიც არ იდგა, მაშინ ხმას რაღად იდაბლებდნენ, თან აკი სტალინს მაინცდამაინც არ უყვარდა საქართველოში ჩამოსვლა, პირადად ნამდვილად ხომ ვერ მოისმენდა ამ მართლაცდა ამხანაგების საუბარს, რომლებიც ამ ყოვლად აღიარებულ-დაჟინებულ-ამოკვიატებულ მიმართვას „ამხანაგო“ს ყოვლად მიუღებლობასა და განზე გადადებას ბავშვების თანდასწრებით არ ერიდებოდნენ, ძაან იცოდნენ ბავშვებმა ეს მიმართებითი განსხვავებები, მაგრამ როდესაც შვილიშვილმა ერთხელ ეზოშივე მიაძახა: „ბატონი ვარლამ ბაბუაა შენთან, გიცდისო“, თავად სილოვან ემხვარს, არ იყო მშიშარა კაცი, მაგრამ ფერმა გადაუარა.

მერე კი, ეგრეთწოდებული „განთავისუფლება“სას, ძალიან ხაზგასმულად და უადგილოდაც კი (რადგან ზრდილობიანობით თავმოსაწონად) იჩინა თავი ამ გაწამდაუწუმებულმა მიმართვამ, ოღონდ ჯერ მხოლოდ ალაგ; ეს ფრიად კარგი კი იყო ვითომ, მაგრამ აღარ იკითხავთ, როგორ ხმარობდნენ?:

„ბატონი ჰამლეტი (ბატონი ოტელო) გარეწარია“,

„ქალბატონი ოფელია (ქალბატონი დეზდემონა) აშარაშკაა“,

„ბატონი აბესალომა (ბატონი ტრისტანა) პოლიტიკური ოღრაშია“,

„ქალბატონი ეთერა (ქალბატონი იზოლდა) პოლიტიკურადაც ბოზია“,

და ასე.

მაგრამ საყოველთაოდ მაინც ვერ განითამაშებდნენ „ბატონო“ბანას, რადგან ყოველ ხუთში ყოველ ოთხს სუკ-ის აგენტებს უწოდებდნენ, ასე ვთქვათ, „ერგულ თანამებრძოლებს“აც კი, მაგრამ სუკის აგენტებისათვის ყოვლად საყოველთაოდ მაინც ვერ ემეტებოდათ ეს ბევრისათვის ყურით აღდგენილი მიმართვა, არამედ მხოლოდღა ზემორენახსენები გარეწრების, აშარაშკებისა და ოღრაშებისათვის და ასე შემდეგ, მაგრამ მერე კი, მეორადი დემოკრატიაც რომ განდგმულ-იქმნა, ისე განვრცელდა ზრდილობითი მიმართვა ეს? - მტრისას; რადიოთიც კი ხშირად შეგეძლოთ მოგესმინათ აი ამდაგვარი საუბარი-რამ რადიო-ჟურნალისტსა და სადმე ტოტებში გასკვანჩულ-დაპატიმრებულთან:

- ბატონო... - ვა?, აქ რომელი სახელი მოვიყვანოთ, ჰაა?.. ვინმეს უცაბედად არ მოვარტყავ შიგ პასპორტშიც, თორემ, გაცხელებული (იმათაც კი აქვთ თავისი განცდები), აქეთ დაგახლის ისეთ ცხელს რამეს, სიტყვას თუ მჭიდეს... თვითონ თუ

არა, მაშვინ რომელიმე დაქირავებული, რაა ჩვენ დროში სამასი დოლარი ოღონდ სულ გაყიდული დამქირავებლისათვის, ბევრმა აკი ხომ იშოვა ფული... ანდა, უცაბედი დაჭერის შემთხვევაში (ვთქვათ, თუ დანაშაულის ადგილზე ჩაეძინა), ნეოდემოკრატიის იმ პირველ წლეებში ("წლეები" უთუოდ სწორი გამონათქმია, ისეთი თანამდებობის პირისპირი ამბობს ხოლმე ამას), ნეოდემოკრატიულათვე გაშვებულიც კი იქნებოდა-შეიქმნებოდა, მე რა ვიცი სად, ევროპა დიდია, ამერიკა - უფრო... თანაც რაღა ის ერთი გამოვარჩიოთ შემთხვევით მოსმენილ საუბრებში, მოლეთ (მოკლედ), ვახსენოთ ისეთი სახელით, რომელიც, ძნელად გამოსაგონარი კია, მაგრამ არც ერთ ქართველურ ჯალათს რომ არ მიუდგება, და, რა კარგი არის ხანდახან, არა, კოსმოპოლიტიზმი?

მოკლედ, მოგვისმენია ასეთი საუბარიც:

- ბატონო მატილდა, თბილისის ომის დროს (თბილისის ომი... თურქების დროსაც კი არ ყოფილა) თქვენ მართლა აწამებდით ბუნკერში ადამიანებს?

- არა, კაცო, ხო არ გაგიჟდი... - თავისი შესაძლებლობების პირობაზე ჯერ მხოლოდ მსუბუქად საყვედურობდა ჟურნალისტ გოგონას ალბათ შავულვაშა მატილდა.

- აბა კარგად, კარგად გაიხსენეთ, ქალბატონო ტრიფონ, სულ ერთხელ მაინც არავინ არ გიწამებიათ, იოტისოდენადაც კი არა?

- არა, გოგო, ხუარ გააფრინე...

- და, პატივცემულო ბატონო პოლონეზ, თქვენზე რომ ამბობენ, გვაწამებდაო?

- რას ამბობ, ტუტუც, მე მთელი ომი სოფელში ვიყა.

- რომელ სოფელში?

- ვენახ ვწამლიდი.

- კი მაგრამ, ეს როგორ, ქალბატონო კრაკავიაკა, თბილისის ომი აკი დეკემბრის მიწურულსა და იანვრის დასაწყისში იყო?

- ეგ სუ აღარც ვიცოდი, რა ჩემი საქმეა.

- და თუ არ იცოდით, ყოფილ მინისტრთა ყოფილი საბჭოს ყოფილ სახურავზე, იარაღით ხელში, როგორღა დაგიჭირეს...თ?

- აბა მე რავი... აბა მე რა ვიცოდი თუ გაიპარებოდნენ... ბოლო წვეთამდეო... ჰხხ!.. მე უბრალო კაცი ვიყავი, მაშინ სახურავზე მეძინა.

- აა, და აღარ ჩაგაგდეს ადამიანად, ბატონო მატილდა?

- კარგი-ო!, გულს ნუღარ მიწომ... ალბათ ეგრე უნდოდა.

- და, სულ არავინ გიწამებიათ, მესამე ქალბატონო რიჩარდ?

- შემეშვი რაღა, ეჩემანალა, მე არავინაც არ მიწამებია... არც ძილში და არც ცხადში... არც სიზმარში! მაყვალოს ვფიცამ!

ხოლო რესპონდენტის თავშემართული შემართვა კი იქიდანაც გამომდინარებდა, რომ, „ბატონო“ბით რაკიღა მიმართავდნენ აკი, ეტყობა მაღიარებენო, ასკვნიდა ალბათ და, თავისებურად აღზევებულს, მთლად გუგუშვილად არა, მაგრამ, ბაგრატიონად მაინც წარმოედგინა ერთგვარი მოყვანილობის თავი. ეს, ერთი, და მეორეც ის, რომ აკი ისიც ვიცით რომ, სადღაც საუკუნეთმიღმეების (გამოთქმიდან „წლეები“) წინა, როგორ შორს ჩამოტოვებულ-ჩამორჩენილი ჰენდელის მუსიკაცკი ხომ გვესმის შემთხვევითა და იშვიათად დღესაც, ხოლო რესპონდენტს კორესპონდენტის ეს „ბატონეები“ (აგრეთვ-გამოთქმიდან „წლეები“), ასე ცხადი და ასე აშკარა, თანადროული როგორ, ნიკოლოზისდროინდელურეები, რიხის ზარს სცემდა (რესპონდენტს). და ამიტომაც, კარგააღზრდილი კორესპონდენტი დაიხელქვეითაც გამონათქვამებით „კაცო, გოგო, ხარ გააფრინე, ტუტუც, ეჩემანალა, ვიყა“ და ასე, კიდევ კარგი რომ, უარესებზე არ მივიდა (მიდგა) საქმე.

- კი მაგრამ, ეს როგორ, ბატონო კრაკავიაკა, მოწმე ალიგიერი ხომ გარკვევითა სწერს რომ, სწორედ თქვენ აწამებდით? ელდენით?

- შენშიგხოარაგაქგოო, ვინ ალი, რომელი იჩი...

- რომელი და ვინჩი და, ქალბატონო აპალონ, ვინც რომ სწორედ თქვენზედ დაასახელისა (ეს გამოთქმა კი აღარ ვიცით, საიდანაა; იშვებოდა სადმე), რომ სწორედ იგი, ესე იგი თქვენ მაწამებდაო, და რაც მთავარია მაგ ემაგ თქვენს თითებზე ამოსვირინგებულია სახელი კრაკავიაკაც ხომ დაპირისპირებამდე, ესე იგი თვალნათლივ აქ დაუნახვ...ეე, დაუნეხვ... ვეეე, ვეეეიი ჰო, დაუნახვუებლუებლად, ჰო... ხომ დაასახელა, ხომ?

- რაი.

- რა და, თქვენი სვირინგიანი ხელით წამება.

- სვირინგი რა არი...

- თქვენებურად, ნაკოლკა.

- რას ამბობ, ქალო, მე არავინაც არ მიმისვარკებია.

- სვარკა რა არი...

- ელაპარაკე შენ ამასა.

- და! არც! არავინ! გიწამებიათ!, არა?

- აბა რა წამება იყო ისა, მარტო ერთიორი წაუთაქე. იმ დღეს ცუდ ხასიათზე ვიყა.

- და, ცუდ ხასიათზე რატომღა იყათ... ეე, რატომღა ვიყათ... ეეე, რატომღა გიყათ, სწორია, ქალბატონო მატილდა?

- აბა კრიშაზე მე რა მინდოდა... მინდორში ვიყა!

- და რატომღა იყავით მაშინ მინორში? გაწყენინათ ვინმემ?

- როგორ მეწყინა, ძმაკაცი კრიშაზე კინაღამ სწორა არ გადაბრუნდა.

- რა?.. კარგად ვერ გავიგე.

- გამაიფხიკე ყურები შენცა. არავის უთხრამ.

...

- არა, ძმაკაცი კიგავიგე...

- რა ვერ გაიგე, რვა ლიტრას სომდა!

- ეგ როდის...

- გადაბრუნებამდე, როდის... - და უცებ, აქ დიდის მიგნებით კიდეც აღფრთოვანდა ყაფრულად ბატონი ვივატ-მატილდი: - შენც იტყვი, რაღა! მერო მეწამებინა, დედაკაცო, ის მერე ჩემზედ რასმეს დასწერდა? შენ მე რა თავზე მახვევ გოო, დენსტრუქციულებ ძალებსა!?

ხოლო ის სამი აქეთიქითური მოთავე, რომლებმაც ურთიერთდაშენით თბილისის პირველი სკოლა, მართლა პირველი, დაანგრიეს, სამთავე სწორედ ამ სკოლაში, მაგრამ მათთვის კი მხოლოდ ამ გასამაგრებელ თუ ასაღებ პუნქტში, ანუ მათთვის და მათგან ამ სტრატეგიულად დასაქცევში, სწავლობდა. უცნაურია.

რომელიც გინდა კომპოზიტორთან, არამცთუ კეთილხმოვანებით დიდად ნიჭიერსა თუ მეპოპროკესთანაც კი, თუნდაც და გინდაც ყოვლად აღსავსე თუ ნაკლული გაგებითაც კი, დანამდვილებით გაჭირდებოდა მოგეძებნათ ასეთი ტრიო.

სხვათა შორის, ერთი ასეთი ძველი უცნაურობა ახალის ძალით ჩამომკვიდრდა კი არა, ისე გაიდგა ფესვ-საცეცები, რომ მისი აღმოფხვრა რამდენიმე წლის შემდეგ, და ახლაც, შეუძლებლად ჩანს. ასე მაგალითად, თუ იმ ერთგვარად ახლობელ-მებრძოლ ტრიოელთაგან (ტროას გავლენა, ისევ) ერთ-ერთზე იტყოდით, ვერ იყო კიკუა ჯგირიკაციო, ეს ამაყუას უცილობელ ქებად ჩაგეთვლებოდათ, ხოლო თუ ქედმაღლიაზე დასძენდით, ერთი გოროზასაც კი შეურცხვა მანიაკალური ულვაშიო, მაშინ ეს „სისუას ვენაცვალე შავ კოჭებში“ოდ ჩაგეთვლებოდათ. შეფასებები კი, ისეთი განსხვავებული იყო ამ რაოდენობით სამკაცასი, როგორც უღრუბლიულითოც კი ცა, და თბილისის ეროვნული მეტროპოლიტენი. ტრიოელები..! ეს როგორ, კაცო, აგამემნონი თუკი არ გამოირჩეოდა მორალური თავდაჭერილობით ტროასთან ახლოს, მაშ კლიტემნესტრა კარქი იყო, ზედაც ეგისთეთი? პურის რიგებში, დგომისა გარდა თავდავიწყებით ვკამათობდიც, გადიოდა დრო... მერე როგორი.

ავტოსწორები ვიყავით ალბათ, რადგან აღგზნება ნამდვილად არ გვაკლდა, და მაგრამ, მაინც გავიხსენოთ ერთი დიადი მწერლის ნათქვამიც, რომ ორი კაცი თუკი

ჩხუბობს, ნუ ვცდილობთ აუცილებლად გამოვიკვლიოთ და დავადგინოთ თუ რომელია იმათში მტყუან-მართალი, რადგან, როგორც წესი, ორთავე დამნაშავეაო. ჩვენში კი, - ااااااا! - ერთი აუცილებლად ყოვლად დადებითი უნდა ყოფილიყო, და მეორე კი - ტვინ, ფეხ, ღაწვიანა უარყოფითი, ვითარცა სოციალისტური რეალიზმის ყაიდის ჭრილის ნაწარმოების თვალსაჩინოდ ავ-კარგ გმირ-ნიმუშებივით.

თურმე, უკვალოდ არ გვასწავლიდნენ.

გადიოდა დრო, რაც არც ისე ურიგო იყო, მაგრამ, მოდიოდაც.

ანდა, ტელევიზიის შენობის დროებითი ამღებები მაშინვე რომ ცისფერეკრანულ-ჰუმანიურად ყოვლად დაუსჯელად რომ გაათავისუფლეს, ესეც არ იყო ალბათ ჰუმანდემოკრატია, არამედ ეგებ რაღაც გაცილებით უარესიც კი, ვაითუ ეგებ შორსგამიზნული ვუიმესამე-რამ იყო, - დაუსჯელობით, ძნელი წარმოსადგენი კია მაგრამ - ცალტვინაობის კიდევ მეტად წათამამება, პატარა ხანში უფრო მეტადაც კი რომ აეშვათ, თუმც არა, აშვებულები უკვე თავისითაც იყვნენ, არამედ - უფრო რომ აეწყვიტათ, და ესეც არა, აწყვეტილებიც იყვნენ უკვე, მოკლედ, უფრო რომ ("ჩაქჩაქი - პირუტყვთა ავი სიარული") აეჩაქჩაქებინათ, მაშვინ ჯერ კიდევ რამდენსამე კენტ თუ არაკენტ კაცს შეეძლო აეღო თავის თავეებზე ეს საჰუმანო-დემოკრატიული, ეს ვითომც „თოხარიკი - ცხენი კარგ მოსიარულე", და ვითომ ეს, „სწორე - არა მრუდი", „სწორი - მისთანა", ვითომ სწორი და არა მრუდი იყო, ეს? - მეტცოდვებამდე, ვითომც კაცთმოყვრულთავ საგამოსაჩენო ჰუმანურობით - უგემოვნოდ გადაფერუმარილებული ვერაგი ბიძგი, მერე იმათი მომდევნო ნაქნარებით მთელი ხალხი, ანუ ჩვებევრნი ერთად რომ გადასარევად აღვშფოთებულიყავით და მათი გაუთავებელი თარეშის აღსაკვეთად მათი სამაგალითოდ დასჯა ბოლოს და ბოლოს ძაღლკატეგორიულად აყაფრულიც კი არა და, არამედ ხაფი ხმითაც რომ მოგვეთხოვა, რაც ახდა კიდეც, ხოლო ჩვენ, ქართველებს, აბა რომელი „ბოლოს და ბოლოს" გვინდა, რადგან ეგრევე სულსწრაფები ვაااართა, და მერე იმათ კი, ჩვენის ხმამაღალის მოთხოვნითა და თავიანთი თვითგამართლებით მერე რომ გაცილებით ბევრნი, ამ წათამამებებით გამრავლებულები და თუმც კარგა დაგლეჯილ ბადეს მაინც ბლომად მოყოლილნი ვითომც პირნათლად რომ დაეჭირასთ, - რა ვუყოთ აბა, რამდენჯერ ხომ ვაპატიეთ და აკი გავუშვით (სხვა სიტყვა სჯობდა, თუნდაც „მივუშვით"), ხომ გამოვიჩინეთ თანამედროვედ ცივილიზებული (კაი სიტყვაა, რაც მართალია მართალია) სულგრძელობა, მაგრამ, უმადურმა, არ გაგვიმართლაო...

დამჭირავები კი, ნეომატილდებს რომ სულაც თავი გავანებოთ, არქიკლოტილდებიც ბლომადა გვყვანან,

თვალსაჩინოც და, გატრუნულებიც გვირევიან, და დროთავიანთამდე, ვითომდაც თვლემენ, მერედა როგორ განსხვავებულები, თუნდ სხვადასხვაჩინიანი ანი და ბანი და განი და, ერთგვარი დონ-ი, არადა, ბოლოს და ბოლოს თავიანთ საკბილოდ ბევრი გაშვებული უმადური კი არა, ყოვლად განწირული იყო ცოდვებისაკენ ამ მძიმედ მუჯლუგუნური დემოკრატიული ანარქიითა თუ ანარქიული

დემოკრატიით, და ცოდვებისაკენ საბოლოოდ ნაბიძგებები იყვნენ აბა რა იყვნენ, რადგან ბევრმხრივი ხელშეწყობა ჰქონდა სამაგიეროდ იმას, რომ არაფერი ამუშავებულიყო, რომ მართლაც მადლიანი სასწაულით შემორჩენილ გლეხობას ვერ დაემუშავებინა მიწა, რომ ამაოდ დამაშვრალ ნიჭიერ კაცს ხელი აეღო გამომგონებლობაზე, სამაგიეროდ, ეგრეთწოდებული ჰუმანიტარული დახმარებები, ანუ მათხოვრებად გადაგვქცეულებს, მადლობა გვეთქვა? და მერე, რისთვის! - ჩარჩები მეტად კეთდებოდნენ თუ მძარცველები ამით, ალბათ ძნელი გამოსარჩევი იყო, და მხოლოდ ერთმა ღვთისნიერმა უცხოელმა მორიდებულად ხმადაბლა გვითხრა, რომ ძლიერ მოსწონს ერთი სიბრძნე, რომ მშიერს ლუკმა კი არ უნდა მისცე, არამედ ლუკმის მოყვანა უნდა ასწავლო, აესენი კი, ჩვენს საძოვრებზე თავისდა ჭირად გაშვებულები, რას მოიმკიდნენ, და ამდაგვარი „დემოკრატია“ოებით, „ბოლო-ბოლოსთვის“, ანუ „მე ვარ და ჩემი დემოკრატია“ს ჟამს, ცოდვებისაკენ დაქოქვაშეყვანილები იყვნენ აბა რა იყვნენ... არადა, თავმოყვარენი გახლდნენ ბიჭები, რას ჰგავდა აბა, იმათი გაშვებული ტელეერთგვარადმოვლილი დაჯგროების ბოლოაიან თავკაცს ასე მეხუთე თუ მეთერთმეტე დღეს, მერომელიღაცე ზიზილ-აღლუმა ზარპიპილოზეიმის ძველებურივედ გახარებული მსვლელობისას ანუ ჟამს, თუმც განთავისუფლებული, მაგრამ დროებით მაინც დაიჭირეს მარჯვე კორესპონდენტებმა თავისი ერთგვარი საქმით გამოჩინებული მოლაპარაკე პირი და ზეჰუმანურად რადგანაც სტაცეს ხელზე ბევრად უარესს ხელი, ხოლო „ხელი - გიჟთან ნახე“, ანუ ერთგვარი მიმართულების გარკვეულკუთხა და თანაც თუნდაც მრავალკუთხა მიზანდასახულება და ანდაც გარკვეულ-გაურკვეველი მიზანდასახულების მიღება: „ხელი არს, რომელი უცნობოდ გარბოდეს და არც თვით იგვემდეს და არც სხვას ავნებდეს“, და ხელზე მკაფიოდ უარესი იყო აბა რა იყო, და არა მარტო ხელზე, არამედ საბასეული გიჟის თერთმეტივე სახეობაზე მიუღებელი, რადგან „გიჟი-სიგიჟეცა განიყოფება ათერთმეტად: შმაგად, ხელად, სულელად, ცოფად, ნაღველიანად, რეგუნად, ტეტერად, შლეგად, შტერად, ფეთიანად და შეთიანად“, ხოლო ამას შედარებით უფრო შეეფერებოდა „შმაგი არს, სიგიჟით თავსაცა თვისთა ავნებდეს და სხუათაცა მავნებელ ექმნებოდეს“, მაგრამ ასეთი ნამდვილი სახეობა ამასთანავე ალბათ ნაკლებად ფიქრობდა შემოსავალზე, ჩაცმა-დახურვა-ჭამა-სმაზე და სხვა, ამმხრივ ბევრად უფრო მეტად ალალი იქნებოდა, ვერც „ცოფი არს გონება და ცნობა მოძარცული“ - აქამდისაც კი გასამართლებლად ასული ვერ იყო (ტელევიზიის გადამლახავი), რადგან ცოფიანი ეგრევე გამჟღავნებულია, ესა კი, ერთის შეხედვით ეს რა ბიცოლამ გშობაო იფიქრებდი, რომ მიუტანეს მიკროფონიანი ხელი (აქკი მართლა მხოლოდღა სხეულის ხელი) საინტერვიოუ პირიბჭესთან და იმანაც, კარგა დალაგებულად ჩაცმულდაპირისახე კარგა გაპარსულმა, მიმართულ გარკვეულ სითბოზე გარკვეულივე სითბოთი განეწყო, და რადგან, არა, სამწუხაროდ აღარცერთგვარი გიჟი ვერ იყო, არა, და ბევრი აღარ დაახანა და ჯერ უებრო მაგრამ თავისებურ მალამოდ გვიწყალობა ზოგადლაპარაკობრივი ერთიორი რამ (რომ უკეთესობა უკეთესია და ასე), ხოლო კი მერე ეგრევე დასძინა რომ სწორედ თავად იგი იყო და გახლდათ და ბრძანდებოდა მთელ ყოფილ სესერეკაკაში პირველი პოლიტჩაუქპატიმარი; ხოლო ეს უკანასკნელი თქმაი ესე, იმისგანაც კი მართლაცდა მოულოდნელი და უცნაურად გამოსული (პირიდან) თქმობითი ნათქვამ-ნაქნარი

გახლდათ თუნდაც იმიტომ, რომ სხვებს რომ სულაც თავი გავანებოთ, სწორედ იმისი იქით მოქადაგე, „ქადაგი - მაღლა მძახებელი სწავლისა“...; „... ხოლო სხვა სწავლა არს საკანონოდ შოლტის მიღება“, ხოლო ზოგიერთი მოქადაგე, და როგორ ხშირად, გატვრინვისას, ნაღველიანი, ესეც „გიჟი“სთან სანახავია - „ნაღველიანი არს, ოდესმე ცნობას იყოს და ოდესმე უცნობო“, მოკლედ, მათში მთავარი გარკვეულად ნაღველიანი, და სწორედ ერთი ამისი (გამოშვებულის) უპირველესი თვალშისაცემი სალოცავი (სალოცავიც არაერთი და ბევრგვარია) და უმზისსათვალოდაც აალებულად სათწერტი (სათაყვანებელი წერტი) იყო თუმც არასრული მაგრამ მაინც მთელი სამი წლით ადრე, თანაც ჩვენი წელთაღრიცხვით, სწორედ ამ განხრის პატიმარი ჩვენი ტყვია ტყვიაში ჩამჯდარივით ზუსტი წელთაღრიცხვით 1956 წელს სწორედ ამ განხრის პატიმარი, ანუ, „პატიმარი - შეუკრავად პყრობილი“, - შეუკრავად, ვითომ? მაშინ აკი თურმე დიდი სიმკაცრეები იყო...

ასე თუ ისე, სრულიად ავტოლიდერს, თუნდაც ყოფილი ქვეშევრდომისაგან, ეს აბა განა ეკადრებოდა?

ეე?, როგორცა სჩანს, მქადაგებლური სწავლების დროს, სიტყვასთან ერთად, შოლტებიც უნდა ხშირად სჭეროდა.

რაღა თქმა უნდა, ხელთ.

თუმც, მაშინ, ესა, ამას, უშოლტოდაც, გაბედდა კია?

მაგრამ გადაეჭირნა უნდა იმას მაინც. შოლტი. ამისთვის. ყოველი შემთხვევისათვის. ანდაც იმისი პრემიერი რას გვიკეთებდა? მამულისათვის? ძაღლების გარდა. ე?, რბილი აღმოჩნდა ამისთანა ჭიჭეებისთვის კი არა, თვით იმპრემიერის პრემიერი. ვერ აღმოაჩნდა ერთის იმისი წინაპარისაც მწვავე სიმჭახე. ვერც კალმოვანი, და ვერც მესიტყვისმიერი. და ვერც თვალებგადმომკარკველური.

არკვიეთ ახლა, აემ სამთაგან, წინაპრიანა, რომელი რომელს ან უფრო სჯობდა, ან უარესიც იყო უფროც. -

„შემალვით მითქვამს, მიქია?“-

ეე?...

არა, ჩვენ მაინც იმას დავუბრუნდეთ, რომ, - არა, ამათი მტერი თუ ამასა არა ჰშოლტამდა, ამათ რაღადღა გამოუშვეს?

მაშინ ხომ, თუკი პირისპირები იყვნენ, მაშინ ხომ ამათ მაინც არ უნდა გამოეშვათ,

რადგან განსხვავდებოდნენ, ხომ.

ვა??! - სადღაა ლოღღიკა, ხოლო საბას იქ, სადაც „ლოღიკა“ უნდა იყოს, არაფერიც აქვს, რადგანაც „ლოღ“ -ზე, მხოლოდ და მხოლოდ ორი სიტყვაა:

„ლოღარიკო - ცალ სასწორა“, და

„ლოღნა -უკბილოსაგან ცოხნა“.

დიდი ამბავი, ულოღიკოდაც კი, მაინც არ უნდა გამოეშვნათ.

არა, უღირსი ძლიერ შორს იყო იმ აზრისაგან, რომ ამდაგვარი ნახევართავებიანი მდევებისათვის ისეთებიც კი თავებიც კი რომ მოეჭრათ, ანუ უკეთ, მოეჭრათ, და მთლად უკეთ და სწორად - მოეშეშჭრევინებინათ, მაგრამ როგორღაც ხომ მაინც უნდა მიეხვედრებინათ, რომ ასე ყალბკეთილურად გამოსამზეურებლობის გარდაც, ნაპატივებები რომ დამნაშავეებიც იყვნენ - აპარატურა კარგი, კიდევ ჯანდაბას, ორი ადამიანის სიცოცხლეც შეიწირეს; თავიანთთვის უცნობებისა. ერთის მოკვლა კი, იმავ ტელევიზიითაც გააშვებინეს რაღაც ორიოდ დღეში, რათა ჩქარათმომხდარი „დემოკრატია“სათვის უფრო მუქად გაესვათ ძველი ახალი წითელი ხაზი... გამოჩინებულ მეპანაშვიდეებს, განწირულთა ოჯახებისთვისაც ეკითხათ ერთი!; ანდა, მეპანაშვიდეც-გამშვებებთაგან, რომელიმესათვის რომ გეკითხათ, ის ჯგრო და ხროვა კიდე ჯანდაბას, მაგრამ იმათმა ტანკმაც მაინც როგორ გამოიარა შეუფერხებლად მთელი სამასი კილომეტრი, ამის პასუხად ზოგნი გარეგნულად მთელ თავებს ასე იმართლებდნენ, არა, მხოლოდ ასი და ცოტა მეტიო... ის არა სჯობდა, ეთქვათ რაღა, უძვლოა ენა, რომ ტანკი ვითომ დაშლილი იყო და გულის ჯიბეებით შეუმჩნევლად მოჰქონდათ ასაწყობი და კარგა დახვეწილი მონტიორ-მემონტაჟეც ახლდათ, აგრე არა სჯობდა? დაესახელებინათ თუნდ ვითომც გარეთ დარჩენილი თერძი ან მეწაღეც, მშობლიურ-საპოჟნიკი, იმათ რა, არ გაუშვებდნენ თუ რა, მაგრამ აის ბრეჟნევი რომ ბრეჟნევი იყო, სწორედ ბოშურად რომანსერო, უკანნალსკნელა გედურსიმღერა პერიუდშიც კი, მისდატვინური ღარიბ-ყარიბობისას (თანაც „ყარიბი - უცხოობაში მყოფი, გადახვეწილი უთვისტომო“ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; თანაც საბასთან „ყარს - ცუდი სუნი უვა“), მაგრამ იმისი ყოვლად ხეპრეობისასაც კი, როდესაც ვითომ არცა გვყვანდნენ თოვლის ადამიანები ამ განსაზღვრების ორგვარივე გაგებით, იმათშიაც კი, გაბმულად ზამთარნაგემ მოადამიანოებშიაც კი, ყრუში და თეთრად დაბურულში თუ რომელიმე რომელიმეს პალეოლითურისაგან განსხვავებით დაუმუშავებელი ხელნაჯახით მაინც ნეოპალეოლითურ-ნეონეოლითურად შიგ თავში ძალიანაც თრახ!, აი იმათი საზოგადოების ერთგვარად შემოულახავ წრეშიაც კი ჰყავდათ ცენტრალისტებს პარაშუტით და საერთოდაც დასამიწებელი ან ცერა თითით შორიდან ნაბიძგი შეგდებულ-ემიგრირებული, ვითომც სოლიდარულობითი უბრალოებით პირველყოფილობამდე თავმოკატუნებული რამ, და რაკი იქაური ადამიანებიც ცენტრს თუნდაც ძვირფასბეწვიანი სიასამურების მახით დასაჭერ-დასაჭირავათ, და ნახევარ ბოთლ სპირტად ორმოცზე მეტი სიასამური იშოვნებოდა გინდაც ფხიზლები ჰყოფილიყვნენ დამჭირავებიცა და სიასამურებიც, ამიტომ მათშიც კი იყო საჭირო ერთგვარი წესრიგი, ერთმანეთი მთლად რომ არ გაეჟუჟათ და, ის შეგზავნილი რამ-ები ამგვარ ინციდენტებს მუდამ აღნუსხავდნენ ხის ქერქზე დაწერილ-ფისითგადაკრულ პატაკებში (იქაურულად ციდა ზაფხული თუ იყო), ხოლო ძირითადად, ყინულზე ამოკვეთილი ლურსმოვან-დამწერლობითი აგრეთვე პოტიკ-პატაკით, დადნებოდა ადრესატამდე გზაში პატაკი თუ რა, და პატარა ხანში თავში ჩამრტყმელი ორთავ თვალის სინათლესავით მოწყენილი მიჰყავ-მიჰქონდათ

კაირაიტაიგცენტრში, ციგითა თუ სატივეზეტივიშეეეევკარ რა იყო, არამედ უსიმღერული ტივით, ესეც წელიწადის დროთა მიხედვით, და ხოლო იქ კი, უმაღლეს (ევერესტისთვის რაღა ეწოდებინათ?) თუმცა მხოლოდ სასამართლოში, და შიგ იმაშიც კი არა, არამედ სადმე რომელიმე მილიციის ბევრისმნახველ ეზოში და ბიბლიაზე დაუფიცებლად კი არა, საერთოდ სალამ-ქალამსაც არ იტყოდნენ დამხვდურ-გამკაცრებულები, მაგრამ ძალიანზეძალიან შერბილებული საერთო სისხლიანი კოდექსითაც კი არ ასამართლებდნენ მიტანილ-ჩამორჩენილს, არამედ ეგრევე ასამართლებდნენ უპროკურორდაადვოკატოდ და მთელი სამიოდ კვირით ამწყვდევდნენ თუმც არაუმ საჭმელიან, მაგრამ ნედლ ბნელში, რათა ჩადენილ დანაშაულში მიეხვედრებინათ და გარეთ კი თვალებაპაჭუნებული გამოსვლისას - თავისუფლებავ! სულის საფხეკო! - ხოლო საფხეკიც, ხელნაჯახისა არ იყოს პალეოლითური იარაღია წამყვანი ერთგვარი; და ეს ყოველივე იმიტომ ღონისძიევდებოდა, რათა დატუქსულ განთავისუფლებულს შიგტაიგშუაში აღარ გაემეორებინექნა ასეთი ხელნაჯახური მეტი-რამ გამოხდომა, და არ გაემეორებინა მსგავს. არამედ ბევრად ლამაზი სიასამურები ეხოცნ-ეჭირნა.

ხოლო ტელევიზიის შედარებით რთულ ხელსაწყოთა ერთგვარი პატრიოტობით შემმუსვრელები ანუ პირიქითურა დამპაჩინკებლები რაიმესი, თუნდაც ტანკის აღდგენის შემძლებნი თუ სულაც ვერ იყვნენ, აეღოთ მაშინ თავდემოკრატებსა და ამხანაგური, უფრო სწორად კი, ყალბბატონური სასამართლოსი დადგენილებით, ის დამტვრეული უბრალო თუ გაუბრალოებული შუშ-მინეული მაინც გამოეგვევინებინათ, მაგრამ, მააგრამ, მაშვინ კეკელოდემოკრატიას მერედა რაღა თვალითღა შეჰხედავდნენ აბა და განა, ეე, განა, კენია, მადაგასკარი, ტაიგი ჩვენი, ა?, ავირიეთ სახელწოდებებში ბილბაოსავით, არის ასეთიც, - ჰო, თავისებურ დემოკრატიას თუ დაარღვევდნენა გამომშვებები, მაშვინ თვით ნამდვილ თუმც არარსებულ დემოკრატიას მერეღა რაღა თვალითღა შეხედავდნენ განა-კენია განა, და არა მხოლოდ დამაეჭვებელსა და განმკითხველ შუაღამობით, არამედ პირისპირულად აღგზნსაკითხება ბობოქარ პარლამენტშიც, და თუნდ კედლებ-შუშებმიღმა ტელევიზორიდანაც. თუმცა, მეორეს გაფართოებული მხრით რომ ავიღოთ, გინდაც ისეთი ვაჟკაცი ყოფილიყო, ვით ბაყათარი და ისეთი ყურცქვიტა, როგორცა და ვინც გაოსირისებული ისიდა-იზიდა, არამედ მათთანაც კია პირწავარდნილად შუმი ხალასი შუშიმტვრევლები აქ ზოგიერთთან შედარებით უბიწოდ კი არა, არამედ ნგრევითი წინასწარმეტყველურ-მოქმედური სისწორის ჩამდენი მსაჯულებიც გამოდიოდნენ, რადგან, მაგალითების მეტი რა ჰქონდათ და მრავლად დაყოფილ, და ნახევარა კი არა, დიდი-დიდი ერთიმეორეზედ თავისიანების, ანუ, პირიქით, ესე იგი ანდა ავადგასიებული ლამის თავნახევრიანების მიერ დაფუძნებულ ქვეტელეარხკომპანიათაგან ჯღნავილ-წივილ-კნავილ-სისხლებიანი რამ-რუმეები გამოისმოდა ისეთი, რომ ის ერთ-ერთი და მისი რამოდენიმე ოთახი დასანგრევი კი არა, ილიჩის რომელიმე გამორჩეული აქამდე მნთებად ნათურასავით დასალეწი და საგადასანგრევო კი არა, არამედ ყოვლად აღუდგენელად, მარტენის ღუმელშიაც კი გადასადნობი კი არა და, მთლად აღსაგველი, ცეცხლში კრუნჩხვით გაქრობამდე, იყო, ამაზე, შემდგომ, აქ კი მხოლოდ იმასღა ვიტყვით, რომ ტელევიზია, „კინო“ზე მეტად, ალბათ, „მასობრივი

აგიტაციის უსაუკეთესო საშუალებაა“, გააჩნია თუ, როგორ და რისთვის გამოიყენებ, ღვთისკენ იქნები, თუ ეშმაკისაა-კენ,

ხოლო „ხელი არს, რომელი უცნობოდ გარბოდეს და არც თვით იგვემდეს და არცა სხუათა ავნებდეს“... რომლები იყვნენ ნეტავ, ხელი? სამწუხაროდ რომ, ძალიან ნაკლებად, ალბათ, რადგანაც ხელი მშვენიერი ვინმე ყოფილა, ის მერე რა რომ, „უცნობოდ გარბოდეს“, სამაგიეროდ, თავი და თავი დამსახურება, ჩვენს დროშიაც კი - „არც თვით იგვემდეს“ და, განსაკუთრებით, „არცა სხუათა ავნებდეს“, ჰოიი, ასეთები რომ გვყოლოდა, ბევრნი? რაღა გვიჭირდა... ასევე მომხიბვლელად გამოიყურებოდა იქნებოდა „რეგვენი არს, რომელსა სიბრძნე აკლდეს (დიდი ამბავი -ავტ.) და მცირედ ხელურსა იქმოდეს“, - ეს მთლად ხვითო არ ჰყოფილა, კაცო!? მაგრამ რეგვნები, სანთლით საძებნნი, სადღა არიან... ე?. მაგრამ საბასეულად გიჟთა „ათერთმეტად განყოფილთა“გან ცოტათი ეჭვის ქვეშ დგებოდა ორი განხრა: „ფეთიანი არს ღამით საოცართა და ფეთებათა მიერ მცირე ხანს ცნობა მიღებული“, ეს როგორ, ვა??.. და, იგივ გიჟთათერთმეტში ბოლოდან I, ხოლო აქ ცოტათი გაუგებრობა №11: „შეთიანი არს სნეული, რომელი ხელურად (ანუ ხვითოდ - ავტ.) იქცეოდეს და ჩქარა დაწვეს (ეს მთლად კარგია! თანაც, დაწვეს შინა და, არა ქუჩაში - ავტ.) და წამოდგეს და უგვანოდ უბნობდეს (ვაიმე!? - ავტ.), თუმცა, „უგვანოდ უბნობდეს“ს კიდევ რა დიდი იმდენი უჭირდა-რა, არამედ ნეტავი სიტყვიერი თუ სხვაგვარი ავტომატებითაც არა ჰქონოდათ დამძიმებული სული და ხელი, თუმცა ხელი ხომ კარგი ჰყოფილა, და, ეე, ხელი კი არა, არამედ, ეე, ავტომატებით არ ესროლნათ და არც სხვისი ხელით (ვა?!) ესროვილებინებინათ და, ელაპარაკნათ ისეტყვილა რამდენსაც გულო და სულო გული და თავი ეტყოდათ თუკი ასეთი რამეები ხელთან და ფეხთან და კუჭთან ერთად საგულეში და სათავეში და კუჭქვეშეთში ჰქონდათ. დიდად მისაღები იყო აგრეთვე „სულელი“ც, რადგან, „სულელი არს, რომელი არცა სრულიად ცნობა მიღებულ იყოს და არცაღა სასარგებლო ქნას რამე“ - ეს უწყინარი!, უწყინარი ეს, ესეს გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძის სახელობის სამ-ოთხის კულტურისა და დასვენების და სარგებლიანობის კუკუშკამატარებელიანი პარკის მახლასდა როგორ უწყინარი რიგითი ჩიტი, და აბა რომელი იმისი ჩიტი და ჩიტუნია ესაა (იგივ სულელიკო), რომე სრულიად ცნობამიღებული ჰყოფილიყო, კაგებეშნიკი კი არ იყო ზოგიერთივით სულ და არც დროებით ზოგიერთებივით, და, სარგებელსაც კი მოვითხოვთ, ასეთი, კრისტალურისაგან? ჩიტი ხომ ასეთები უნდა გვყვანდეს ბევრი და სწორეთ, რაც მეტი - როგორ უკეთესიაა, და რა ვუწოდოთ, რა დავუძახოთ, მოსაფერებელს... - ჩიტი ღაბუა! ხომ კარგადა ჟღერს, მოსაფერებლად, ჩიტი-ღაბუა, კარგია, კარგი, ნეტა სიტყვის კონაში ღაბუა თუა ნეტა ახსნილი... აბაა, ვნახოთ... ჰო!, კიყოფილა!.. მაგრამ, „ღაბუა - ქათამი ულვაშიანი“... თფუ! ულვაშიანი და ორჯონიკიძე გვინდოდა ახლა ამ ცხელ გულზე ჩვეენ? ახია ჩვენსზედ, რათა ეს უკანასკნელი (გრიგოლ-სერგო) რატო ვახსენეთ ცოტა ხნის წინ, აკი ვიცით რომ, სიტყვები და განსაკუთრებით სახელები, ადამიანებისა არ იყოს, ერთმანეთზე არიან გადაკიდებულები?!. ჩვენ ჩვენ-ჩვენი საქმე ვაკეთოთ, კაცო, ქართველებივით კინუ (ნუკი) ვიცით სუყველაფერზე გამოკიდება, ჰო აი - ხოლო „შლეგი არს არა ხელი, არცა ცნობა მიღებული, არამედ დაუცადებელად თავ გაწირვით განუსუენებელი“, დიდი ამბავი, რა ქნას იმანაც, თუ მოუსვენარია, დიდი

ამბავი, ჩვენ, ქართველები, საერთოდ მოუსვენრები აკი ვიყავით და აკიც ვააართაც, რადგან ტერმინი „ენერგიაი“ გადამეტებულად გვაწუხებს ხოლმე, მაგრამ ამათ, ამ ჩვენისჩვენებს, ნეტა რომელი თვით ელსადგური არ აწუხებდათ და აყენებდათ? ხომ აღარ იყო მაინც სინათლე, და მაინც, როგორ გამოგვერია ეს შედარებით მიუღებელი: „შმაგი არს სიგიჟით თავსაცა თვისთა ავნებდეს და სხუათაცა მავნებელ ექმნებოდეს“, - ეს კი როგორღაც ვერაყოფილა (ერთი სიტყვაა), ერთსიტყვით, კარგი, მაგრამ გულს მაინც ნუ გავიტეხთ, რადგან ამასაც არა უშავს, ეეე... - მრავალფეროვნებისათვინა, და არა უშავს კი არა არადა, თითო-ოროლა გამონაკლისიც, სასარგებლოა, არმოსაწყენია, და განა მარტოდ დარჩენილი, ეულშთენილად, უძმოდშობილიც, ცოდო არ არი? და - ჰოაი, ისიც, მისი ამქარი: „ცოფი არს გონება და ცნობა მოძარცული“ - მერე რა, დიდი ამბავი, მე უარესი, ბევრად უფრო, მეგონა ცოფი, ერთიცშვილივით თუ იაოუასავით მოკვარკვარე რამ, მაგრამ ჰოი, სამაგიეროდ, ეს რა ამაყად გვიჟღერს, - ტეტერი - „ტეტერი არს, რომელსა სიბრძნე არა აკლდეს, არამედ ხელურსა რასმე იქმოდეს“ - ხო გესმით, ხალხნო, რომელსა სიბრძნე არა აკლდესო, ეს ხომ მთლად კუკლა (ანუ თოჯინი) ჰყოფილაჰყ კიდე, ეს ხომ თელათთლა ასპირანტ-ხვითო არა ჰყოფილან, გაიგეთ კაცო?, შენ გიჟი ეძახე... და ვიცე-ვიცე ვიღაცეებს სულაც რომ თავი გავანებოთ, სულ რომ არაფერი პრემიერპრიმა გვჭირდა ასეთი, ისეთურულად ლაპარაკობდნენ და ბაასობდნენ და ისე ბჭობდნენ, ხელებსაც კი იშველიებდნენ სხეულისაც და ისეც, ტელეკამერულ კითხვა-პასუხის სეანსობებში ჰქონდათ აზრი რომ, პირდაპირ ნაღები, ხოლო ნარი, ეკალი სულაც არ უჩნდათ, არამედ ნარნარნი იყვნენ (“ნარი - ეკლიანი ბალახი“), და ამ ბალახით ისე ტკბილა იცოხნებოდნენ, ისე ეცვათ და ისე ეხურათ, უკეთესს აბა რას ინატრებდა ახლომხედველი ზოგადი კაცი, თანაც ქართველი, და ისეურად ნასვამ-ნაჭამნი იყვნენ, მართლაც რომ უკეთესს ოცნებაშიაც კი რას მოიხვაშიადებდა თანაც უფასოს, კაცი, თუმც ჩაცმა-დახურვაში ისინიც კი ოდნავ მაინც მოიკოჭლებდნენ, თავნაკლულები იყვნენ რადგან, რადგანაც ქუდი, როგორც ასეთი, თუ არა ვცდებით, არც ერთ იმათგანს არ ეხურა სწორედ რომ თავზე თუკი თოვლ-წვიმა არ მოდიოდა ანუ ჭყაპი და ანდაც იმისის გამაფრთხილებელი ქარღრუბელი, უცნაურია მეტად ბუნება, ანაცდა ქუდი რად უნდოდათ, თუგინდ ნამუსის ეძახე შენ მაღალფარდოვნად და ვთქვათ ისეთურიც რომ ყოფილიყო, ქუდიანად ხომ სადარბაზოში მანქანიდან დაყვინთულად შესასვლელად ქუდიანებს ხომ სიბრძნეუნაკლო ტეტერივითური თავის ხომ მეტადი დახრა დასჭირდებოდათ, სწორები იყვნენ, კიკიდ სწორები, შენ რეგვენი და გიჟი ეძახე... და, თუმცა ყველამ თავისებურად გაგვიმართლა, მოგვიზღა ბევრი, ამ ჩვე-ქართველებს, მესხვადასხვიებს, მაინც გული იჭვითა გვწყდება, არც ერთს თუ რატომ არ ეხურა ქუდი, კარგამინდობით, აუალდებოდათ თუ რა, და ვიღა გაიმეორებდა იმ მართლაცდა არასწორ მარტივანბანურ ანდაზა-სისულელეს, „ქურდს ქუდი ეწვისო“... მაგრამ აქ საგანს გადავუხვიეთ, და მოდით, მთლად ამოვწუროთ გიჟთაკბილანი, მე თქვენ გეტყვით რომ და, ბევრი სახესხვაობისანი იყვნენ, და „წყვილად არიან, ერთნი არიან, ერთად მიდიოდნენ, მიიმღერებოდნენ“იც ხომ მთლად არ იყვნენ, და ვეღარც კი მიიმღერებოდნენ, თუკი მღეროდნენ სოლოდ, ერთი - ორჯერაც, გამგები გაიგებს, ხოლო არ გამგები - იგებდა, და იგებდა კიდეც ვითომ, რაღაც-რუღაცებს, და კიდევ მე თქვენ გეტყვით და, ბევრი სახეობისანი გამოგვრჩა მათშიგ: „შტერი არს, ფრიადისა აღორთქლებათა

შინაგან ნივთთა მიერ (საჭმელებისაგან? -მოშიებული ავტ.) საგრძნობელთა ორღანო მიღებული და საქმისა ვერა კეთილად მქმნელი“ - საქმეს დავეძებთ და, აღმშენებლობას და, მომრავლებული ვირთხებ-თაგვების ჭერას, ამ უდიადესთ მნგრეველობისა, დაპირებებთჟამს? და ისიც აბა რა ჩვენი საქმეა, თუ ვინ საიდან და როგორ და რითი გაძღა, ინტრიგანები ხოარა ვართ, არამედ გადატანითურად და შერბილებულადაც ის შევნიშნოთ რომ, მღრღნელოჯახთაგანნი ხომ ძალიანი და თვალსაჩინოდ მომრავლდნენ ჩვენში გაწკრიალებულ შტეროებისას, და ამიტომაც კატათოჯახოვანნი, თუმცა ძალიან ვერ მომრავლდნენ, თუმც რომლებშიაც თავად ვეფხვიც კი კატათ ოჯახში შედის თუმცა, ანუ ესე იგი მათზე დაქვემდებარებულია, მაგრამ იმას ვერ გავექცევით რომ ტანის სიდიდით მაინც მეტია შეფზე, მაგრამ მეორეს მხრივაც კი შესაძლოა მთლად ტყუილადაც არ ამბობენ რომ ეს დიდი ვეფხვია თავად მომცრო კატის ოჯახიდან, ანუ კატათ ოჯ-ახოვანია, ნეტა ესა „ოჯ“ რასა ნიშნამს, იქნება რამე; რაა ბუნება? მაგრამ ახოვანებებს ძალიანაც ნუ გამოვეკიდებით, მხოლოდღა იმას დავუბრუნდეთ, რომ კატათოჯახოვანნი თუმცა ძალიან ვერ მომრავლდნენ, რადგან თავისა და თავის (სხვადასხვაგვარია), მხრივ იმათ ძაღლთ თუ ნაგაზ თუ ფინიათურ შვილ-ლეკვთა და ამ უკანასკნელთაც კიდევ ზედიზედური გამოჩეკ-წამოზრდილ უკანონო ლეკვეიაძეუაყვაშვილთა ოჯახი ქვემოურად რომ აშენდა და ზემოურად კი დაიქცა თუ მისმიერთა ჩუმად სხარტი დაჯგუფებები თუ ხმამაღლივი დაჯგუფებანიაუ-აუჰავ სულ ქუჩაქუჩურად და ქუჩად სჭამდა მღრღნელთაც, კატებსაც, და იმათისაც საპოვნელა-წილს, უჯიხურებოდაც, არამედ ჩვენ ისე-უბრალოდ მოვიხსენოთ გაძღომა მათი და მათი მფარველი ადამიანებისაც, ხოლო „კაცია-ადამიანი?!“ - როგორ არამცთუ ნაცნობი არამედაც მშობლიურიც კი სათაურ-გამოთქმაა ერთიც ჩვენი და განაფიქრი, ჩასაფიქრებელია ახლაც როგორ, თუმცა კი თითქოს ძალიან ძლიერ მოძველებული რადგან ლუარსაბი რამდენად მეტად გულუბრყვილო და მიმნდობი კაციც და ადამიანიც იყოც მართლაც, ძალიან წრფელი სიყვარულით შეგიყვარდება ამამეებთან, აგრეთვე როგორც რომ რაღაც ურთიერთშეწყობილობით და შელაგებით გამაძღარი და, ტახტზე კრუტუნა,და თუმცა აბა სად იყო მაშინ მაგრამ თვითმფრინავის სავარძელში გინდაც უცხოეთისაკენ, გადევნებული გაგორებულ ბედს, და მაინც როგორ მუქთად მწოლარე, ეს საყვარელი, აღორთქლებისგან, სიამის კატა კრუტუნია, ძაღლთპაემნებზეც კი მოთენთილი და უშუალოდმთქნარქნარმთქნარებია, ეს შტერუკინა საყვარელი, დამაქცეველი, მთლად ფისუნია, ეს, და მაგრამ ძაღლუნია.

მაგრამ ნამეტანს კინუ ვიზამთ (ისევ ეს ძველი და ფრხილი ავტ.), რადგან „ძაღლუნია“, ტეტერი და ნაღველიანიც კი არ ვიყო თუკი ვსტყუოდე, აქ რაღაც მთლად კარგად ვერა ჟღერს, და თანაც ძაღლი კი არ კრუტუნებს, რადგან დაბადებიდან თუ მერედამერე უპატრონო, არამედ ჰყეფავს.

ხან ჩახრინწვამდე ხმაძლიერად და, ხანკი უნიათოდ.

და ასე აგდებულადაც ნუ შევხედავთ, რადგან არა მხოლოდ ჩვენს ბნელ გამზირებსა თუ ჩვენდა გასაუჩინმაჩინებელ ბნელბნელ ქუჩებში, არამედ ძალიან სხვაგანაც კი უნახავთ დროებით მისი უდროებითულებისობის რომელსამე დროებითი სახეობა დროებით და უფასოდ წასულწამოსული და გუგულურად

მხმოვანი თუ მერცხალურად გადაფრენილად მოსიარულე, იგი. თანაც, ჩაცმული. შტერი ეძახეთ.

ჩვენგან თუმც ადრე, და მაინც გვიან წასულს.

თუმც, იმათ უნახავთ, გამოჩენილ ძველ კაპიტალისტებს სათვალით ესა, არგამოსაჩენ-გამოუჩენელი, თუ, ამას... რაღაცა ძლიერ ავირიეთ, აი იმისი, თუ ამისი გადამკიდე და, - ძალიან მოკლედ! - ამას უნახავს რაიმე თუ, აეს, უნახავთ?

და, თუნდ ორივე, ვინ რა იცოდა, ჩვენი თუ იყო, ჯორჯიაელი.

რა გვაშაყირებს და გვემასხრება, ჩვეუბედურებს, ამ ჩვეუნახავთ; მართლაც, უნახავთ. ვინა, ისა? ვაი, ჩვენს პატრონს.

მაგრამ ის მაინც შეღავათია, ვინ რა იცოდა, რას მიხვდებოდა, ჩვენი თუ იყო. თანაც, უბრალო კი არა, არა - ათერთმეტ, ანუ ათზე ერთით მეტ, გინდა ცხრაზე ორით მეტ, გინდათ რვუაზე სამით მეტ, გინაც და ექვსზე მთელი ხუთით მეტ ანუ თავად დიდექვსიანდაექვსებიანი, კენტით ნაკლები, თუ წყვილით მეტი, ბატონთაგანი, ოღონდ სულელ-შმაგ-შეთიანი თუ სხვა რომელიმე გიჟთაგანი, ყოფილად როგორ ამხანაგური, ბატონთაგანი.

ასეთებია „სიტყვის კონა“ში აღწერილ გიჟთა სახეობათა ეს „ათერთმეტად განყოფა“ ჩვენიც, მაგრამ მხოლოდღა ნაწილობრივ, და სიტყვისა ბერ-სულხან-საბასაც რაღა ექნა, სხვა, სხვა საკონებრივო სახეობები მაშინ, იმ ძველსა და ჩამორჩენილურ დროში ხომ სანთლით კი არა მაშხალითაც კი ვერ მოიძებნებოდა რადგან ვერ იყო საერთოდ ალბათ, თორემ აბა ისე, რაღა თერთმეტზე შეჩერდებოდა.

და მაინც, გაედუჟინებინა მაინც, რა იქნებოდა რა?

16.

სამაგიეროდ ჩვენ, მომავალმა, გავადუჟინეთ კი არა, ისე გავადუჟინიანეთ, მთლად გავადუჟეთ და ისე გადავადუჟინიანეთ, თანაც მრავალგზისი, და ფრიადოვნულსულად გავამეასიათასვადეთ მგონი, სუცოტა; - უნდუვიდუალურები აღმოვჩნდით მართლწერითაც კი, ისე; რამდენიც ვიყავით, იმდენივე სახეობა გამოგვივლინდ-აღმოგვაჩნდა... პატარა ერისთვის, არაა მცირერიცხოვნული ეს...

რა ესა და, გიჟიანობა. რა თვალსაჩინო სახეობები, კი... თვალისთვის, როგორ ძალაუნებურ და ადვილ-აღსანუსხი. შენ საშემფასებლო სიტყვები თქვი. თანაც შესაფერისად ტერმინული.-

ა?...-

აი, ვთქვათ ასეც და, მივემგზავრებით იმ წყეული და სანატრელი მეტროპოლიტენ-მატარებლით სადმე დასაწვავში (ანტინატურალური ცეცხლმოდებები კიდევ სხვა ახალი მორიგი რიგითი ქვეთემაა) შედუღაბებულები ისე, თვით ელგიტარიან მომღერალ ლენინს რა იყო არამედ ლენონს და იმის ტაილანდ-ბანგკოკელ თუ

იაპონურ აგრეთვე მომღერალ ცოლსაც კი სახალხოდაც კი არ ძალუძდათ და ამიტომაც შეშურდებოდათ განსაკუთრებით საგულეში ოღონდ მათში შედარებით პირველს (შედარებითია ყველაფერი, განსაკუთრებით იმათში) ჩვენგან წასვლამდე. და შედარებითი რომაა ყველაფერი, ეს იქიდანაც გარკვეულწილად ჩანს, ლენონის მაგივრად ლენინი რომ წამოგვცდა, აბა სად ის და სადა ისა, თუმც, არც ასეა უბრალოდ საქმე - აკი ლენონსაც დასცდა ერთხელ ნატრიუმფალზე, მე და ეს ჩემი ნალბედა ბიჭები ქრისტეზე მეტი მოვლენა ვართო, მოკლედ, გამოვთქვათ ასეც და, მივემგზავრებით, ხოლო ჩვეჩახუტებულებს კიარა და, მთლად შეწნეხილებს, სულაც არ გვიყვარს ერთიმეორე, მაგრამ სხვა გზა სულ არ გვაქვს, სხვა რა ძალაა ჩახუტებულობის მეტი და გადამეტებულად ვახლობლობთ, და უცებ! - ვიღაც ჭაბუკი ახალგაზრდული, დაბლა ანუ სხვა ჯიბეებისკენ, ხელს მიიკაფავს! ახლომდებარე მდგომიარენი, დიდად ვღშფოთდებით ოღონდაც უხმოდ, და ისიც მხოლოდ გულში: რის ჭაბუკი და მზევინარი, - ქურდი, ქურდია! - განხრით ჯიბგირი, და მისირგვლივა საზოგადოება თვალ არიდებულ-დაჭყეტილი, სდუმს; არ დადუმდები? - მუცელში დანა გვაკლია ჩვენ და ყოვლად უკეთეს შემთხვევაში თვით ბინტის ფული?, ხოლო ჭაბუკი, სამართლიანი ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს რომ არც ისაა მთლად კარგ დღეში, რადგან უაღრეს სივიწროეში უწევს ჯაფა, მაგრამ ყველაფერს ხოაქ ბოლო ჩვენი გაჭირვებულობების გარდა, მიზანდასახული ჭაბუკი კი რომელიღაცა ჯიბეში რაღაც ჯერ იდუმალს რომ მოიპეშვებს, მერე გაჭირვებით ამოაქვს გრძელი, და თანაც გაჯიუტებული საცობივით ხელი ოღონდ კურტაკებ-პალტოიანი ჩვებოთლებიდან, და ჩვენს მხარზევითურად ის საცობი რომ, - ტყლუპ! - და, რას მონაგარობდა თურმე თუ იცით, კაცო! - მზესუმზირის კენტი მარცვლები დაუნომრავ ბედისწერასავით პირში განურჩევლად შეიაქვს, იქა კი, მრავლისმნახველში, ღრუში, ჯერ ყოჩაღური კნაწუნით ამუშავებს და, თუმც არათვალსაჩინო მაგრამ გამორჩეულ ნაყოფს კი ერგულად და განუწყვეტლივ დასასაქმებელი კუჭისკენ ყლაპვითი ორგანოების მეშვეობით სამუდამოდ ამიავლინებებს, ხოლო პირიღრუს კუთვნილ ხახასათვის ზედმეტ ჩენჩოს კი, ახლომდებარეთ, მხრებზე გვაყრის ჯილდოოური რაღაც უმცირეს პოგონებივით (სემიჭკისათვის „სამხრეულები“ ნამეტანი ქართული იქნება), და მაინც რაღაც დაწინაურებასავითაა ჩვენთვის ეს: რადგან, რისი ქურდი და ავაზაკი და კანონიერი რეციდივისტი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ თურმე ალალი, რიგითი, მორიგი მზეს-უმზირ-ჭაბუკია და ეგებ, მთლად კარგოსანი სტუდენტიც კი, რადგან როდესაც ერთ-ერთ ჩვენთაგანს ისე მოეშვა გულზე, რადგან ქურდი და ჯიბგირი კი არა, არამედ ჩვეულებრივი მოახალგაზრდავო ყოფილავო და, ამიტომაც, დიდი შვებისგან, როდესაც იმის შიგ შავ ლოყაში - ლაწ!, იმან კი, უბრალომ, „რა იყო დეიდა, რა დაგიშავეთო“, - „თქვენ“ობითაც კი მიმართა, ახლობელს.

ხოლო როგორც შინაურული მეტროს ერთ-ერთმა ყველაზე მთავარმა (არის ერთგვარი ლოგიკა თითქოსდა შეუსაბამო გამონათქვამში „ერთ-ერთი მთავარი“) და ცივად მზრუნველმა უდარდელად გადაგებულმა მესვეურმა ყოვლად ამაყად დაიჩივლა მარკით ფერადი მაგრამ კუჭუიღბლოსავით მხოლოდღა მწვანე ტელევიზორის მეშვეობით, ყოველი ღამით თურმე 80-დან ასოც კგ-მდე მზესუმზირის ჩენჩო გამოჰქონდათ თურმე ტომარაობით, ხოლო რადგან

დამლაგებლები ვერა ჰყოფნიდათ, ერთიორი იმდენიც ერთგვარად ამოსავსებ მიწისქვეშეთში რჩებოდა თურმე.

რაც თავისთავად ვერ იყო კარგი.

საერთოდ, ქვედასახის დაღმააღმავლობითი ცოხნური მოძრაობა ყოფილ ყოველ სტახანოვურზე მეტად გავრცელდა, რისი ძირითადი სულისჩამდგმელიც იყო ეგრეთწოდებული დასავლური სამყაროს ფერადი ხელოვნური კევი, ხოლო ზედასახის ყველაზე შედარებით მეტყველი მართლაცდა ორგანოები, თვალები, მხედველობითობის მიუხედავად წარბებზედაც კი უფრო უგამომეტყველონი იყვნენ, რადგან ძლიერად მძლავრი ღეჭვისას წარბებიც და შუბლიც კი და კინკრიხო როგორღაც აყოლილებივით არიან მზესუმზირისა თუ ჟვაჭკებისკბილხახურ გადამუშავებას, ყბებსავით ვერა მაგრამ მაინც გარკვეულწილად მოძრაობენ, ხოლო თვალები კი, თვეობით გაბმული ცოხნისას ისე ყინულოვნდებიან, რომ იმათ პატრონს ვერც გაიგებთ თუ რა რამ უდევს ამით ვუალ-პირბადიან გულში.

ასევე ძლიერ მომრავლდნენ აგრეთვე ქუჩა-ქუჩად მზესუმზირ-ამაყ-მზევინარი-ახალგაზრდობის გვერდითაც და ამასთანავე პირისპირ დიაღაც შორეულ ჰამბურგერ-მზეჭაბუკები თუ პიჩენია-ბატიბუტმთვარისაები, ბლითყმაწვილები თუ მოწოწლიკიანჯეილები თუ ჯეირანები, საერთოდ უმრავლესობაყველა, თვალებგანაყინ და ისედაც ხელნაყინახალგაზრდობა, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ სუყველანი საქმიანსაჭმლიანა იღეჭებოდნენ თუ პირს ისე-რა უქმად სოლიდარული ზრდილობისათვის აცმაცუნებდნენ; არამედ იყვნენ ნებისყოფიანი თუ იძულებითი გამონაკლისებიც; ახლა, ვიცი არ დაიჯერებთ და მაგრამ მაინც უნდა გამცნოთ, რომ ერთხელ თურმე რიცხვით მთელი სამი არასრულწლოვანი ასე 10-თორმეტი წლის ახალგაზრდა მოდიოდა თურმე ქუჩაში (ერთი ყრმა და ორიც გოგონა), და თურმე, ვიმეორებ რადგან ძნელი დასაჯერებელი რადგანაცაა მაგრამ, თურმე არც ერთი, ანუ ესე იგი მთელი ამ სამნის სრული ასი უკლებლივი პროცენტი, თურმე არავითარის ღეჭვის ნატამალითაც კი არ იყვნენ დაკავებულები, ნამდვილათ; ე, ასე კი იყო ნამდვილად საქმე, და ხომ ვიცოდი, რომ არ დაიჯერებდით, და უყოყმანოდ რომ დაიჯეროთ, იმასაც გაგიმხელ რომ, - სიგარეტს სწევდნენ.

ხოლო ერთ-ერთი, ჟვაჩკების სანაძლეოზე, ოთხს ერთად.

მღეჭავების კი ქვედასახური ჰოვსილა (ჰოიივძალა?) კი, შესაძლოა, ტერიტორიით შორეულსა მაგრამ ტელეჰოვძალის მეშვეობით ყოვლად გაშინაურებულ მიუწვდომელ ნამდვილად არაქალწულ უფრორეხოლმე ქალს, ყოვლად შეუფერებელი ფსევდონიმით - მადონას, აი იმასაც კი, ალბათ გამოცდილი საკუთარი თავისთვისაც კი გამონაკლისურ-პატიოსნად შეშურდებოდა.

ხოლო ერთხელაც, მეტროში... მაგრამ რას ამოვიჩემეთ ეს მეტრო და ერთიც იმისიც პოლიტენი, განა ეს მიწისზედური ჯურღმულები არ გვეყოფოდა და არა გვყოფნის? მაგრამ ერთ-ერთი მაგალითის გამოვლენასაც როგორმე გიამბობთ და, თავად განსაჯეთ: ხანდახან, წარმოიდგინეთ და მეტროში შედარებითი ცალმხრიული

ხალვათობაც კი იყო, რადგან ერთის მხრივ რომ თხუთმეტ-ოც წუთს რომ უშედეგოდ ვუცდიდით რკინის გრძელ ვრცელ ძალიანაც კი მაამებელ გასაჭირვებელ ტალ-კვესივით ვერ ვნახე დაკარგულიყოსებრ მატარებელ-სულიკოს, მეორეს მხრიდან ასე რვა-ექვსი შემადგენლობა ჩამოივლიდა ხოლმე სპეციფიკური ხმაურითა და სპეცფორმიანი მემანქანით. მაგრამ სამართლიანობავე მოითხოვს აღინიშნოს რომ ოპოზიციურ-კრიჭაში ჩამდგმელურად განწყობილი რომელიმე გატრუნულ-მიფუჩეჩებულად შემართული ინდივიდ-ლეგალურ-არალეგალურების ერთ-ერთი პატრიოტული საშუალება ის გახლდათ, რათა ხალხი თავის თავბოლოში მოქცეული დაწყობილება-ისედაც არაწყობილებისადმი როგორმე უფროც კი გაეღიზიანებინათ (რადგან დროებითი აწყობილობები აკი დროებითად მახლასდემოკრატიული!, იყო) და ხალხმრავალი მეტროს შეშლით აღშფოთებას გაურკვეველი მიმართულების პატრიოტებისათვის აბა რა სჯობდა, და როგორც ითქვა (ამ სულ ბოლო დროს რაღაც ძალიან ვმეორდებით ზოგიერთებივით) ერთ მხარეზე რომ დიდხანს ამაოდ უცდიდნენ უიმედოდ დაკარგულ გულსულმთლადსულიკოურ შემადგენლობას, რომლის შემადგენლობაშიაც გავსებულობით ისედაც ერთმანეთს სახემიჭეჭყილი ისეთი ინდივიდებიც იმყოფებოდნენ რომელთაგანაც ზოგს ჯიკავისგან არმადშესარგები პიროჟნი-ნიუც (ახალი ნამცხვარი. - პოლიგლოტობავ!) კი ჰქონდა ძირითადად ორი თითით და განზე ნეკააბზეკულად ნაგები რამდენადმე ადრე, ხოლო ზოგი კი იყო ახლაცმოქმედი ნივრიჭამია, ასე რომ, არ სიამოვნებდათ ურთიერთული სახიმიჭეჭყვა არცერთთ, წარმოიდგინეთ, ნივრულ კატეგორიასაც კი, ხოლო გაორებული მეტროს მეორე გვირაბულ კიდაროდან კი ზედიზედ მოდიოდა და მოდიოდა „კლდენი ხარ ცარიალაო“-სავით ჩვენით გასანოყიერებელი ვაგონები, რადგან მეტრო და ქვენაპატრიოტთა ეს მერამდენე შინაგან დაუსრულებელ „ბრავო“ და „ბის“-ზე განმეორებულად აღსრულებული ჩანაფიქრი აი ასეთი რამ იყო: ერთ-ერთ შემადგენლობას რომ დააგვიანებინებდნენ რომელიმე ნებისმიერ სადგურზე მისვლას, მერე ის მატარებელი ნამდვილად ვეღარ იტევდა მსურველს (მსურველი ვგონებ რბილი სიტყვაა, ყველაღილ, შარვლისცაგლეჯილებისათვის მაინც), კარები ბევრგან ვეღარ იხურებოდა, და ასე მესამე-მეოთხე წუთზე იწყებოდა იმ თავისი სახეობითა პატრიოტობით რიგითი თუ წარჩინებული მეელმავლის გულწრფელი თუ შენიღბული, მერე და მერე კი ვითომც გოდებაში გადასული თხოვნა-ვედრება მიკროფონური: „გთხოვთ დაკეტოთ კარი“, „ძალიან თხოვნაა, გთხოვთ დაკეტოთ კარი“, „კაცო, ვერ ხედავთ, რომ არ იკეტება?“ „ხალხი არა ხართ კაცო?, გაუშვით კარი“, „რამდენსაც წავალ, იმასაც ვნახამთ“, „თქვენ იკითხეთ თორე, მე რამენაღვლება, მე არსადაც არ მეჩქარება“, „ვახმეე, ვახმე“... „კაცო, მე გამიშვით და უკან ცალიერი მოდის“, „რა, არა გჯერავსთ? მართლა ცარიელი მოდის ლიანას გეფიცებით“, მაგრამ ხალხს იმ უხილავი მემანქანის ლიანაგარეული ფიცისა კი არა, თვით მკაფიო კუპრით თეთრზე დაბეჭდილი თავგაზეთების პირველი გვერდებისაც კი აღარა სჯეროდა, და რის ვაივაგლახით დაძრული მატარებელი ახალ-ახალ როგორმე მიღწეულ სადგურებშიაც ათი-თხუთმეტი წუთით ზედმეტად იდგა ხოლმე და თუ ეს მარადისობისათვის აბა რაა, არაფერია, მაგრამ მეტროპოლიტენის სადგურისათვის შეუიარაღებელი თვალითაც კი შესამჩნევია, რადგან ხალხი ძლიერ მატულობდა და მატულობდა, ვინ

ახლომხედველმა თქვა ნეტა პირველად ცოტანი თუ ვართ ქართველები, არამედ უცნობებიც კი გვირევია ძალიან ბლომად ხშირი, და ძმურათ.

ასევ მეტროთი.

ასე რომ, სამასობრივო სნაიპერებივით უნაკლოდ ჰქონდათ გამოზომილი - ისედაც სუსტად განათებულ და ჩვენს ბნელაში ხომ მთლად გამოუმჟღავნებელ რომელიმე თავ-თავისებურ პატრიოტებს მთავარი იყო ცალი მატარებელ-შემადგენლობა როგორმე შეეფერხებინათ, მერე კი მომდევნო მატარებლებსაც უკლებლივ ასეთივეუქმად დგომა ეწერათ, თუმცა რატომ უქმად, ხალხსხომ ნერვებიც აღეგზნებოდა და ეს კი იმათწარმოსახვა მამულისათვის კარგი იყო, ხოლო მეტროს ერთ-ერთიც სპეციფიკა ისიცაა, რომ იქ უკანა მატარებელი წინა მატარებელს ვერ გადაასწრებს, გინდაც მძიმეს ცარიელი, და გინდაც მემანქანეთა თანრიგ-კლასში დიდი განსხვავება იყვეს, ასე რომ, მთავარი ის იყო-მეთქი რომ რომელიმე თავისებურ მამულიშვილს ერთი რომელიმე ნებისმიერი მატარებელი სხვადასხვა მიზეზ-საბაბით შეეფერხებინა, და მერე კი მთელი სამუშაო დღით კარგი იაპონური საათივით აწყობილი იყო ჩვენურქართველთა არევდამრევი საქმე.

ჰოდა, როდესაც ერთხელაც უღირსი ამგვარი პირიქითი ვითარებების დროს თითქმის ცარიელსა და მხოლოდ მეტროული ჟანგბადით ამოდ გადატვირთულ ვაგონში რომ შევიდა, უცებ ვერც დაიჯერა, რომ სახელურზედაც კი მიუწვდებოდა და შეეძლო მოეჭიდნა თანაც ორივე ხელის თითები (თუმცა, „ხელი“ აქ ორმაგად ზედმეტია; ერთის მხრივ იმიტომ, რომ აბა სხვა რის თითებს მოსჭიდებდა იგი სახელურს და, მეორეს მხრივ კი, ხომ გახსოვთ სახესხვაობრივადაც სიტყვა ესი?),მაგრამ მატარებელი დაძვრას მაინც აყოვნებდა, და მემატიანე-მემატარებლის „ახლა რაღათღათ იჭერთ კაცო... გაუშვი რაღა კაცო ხელი“ -ს მიუხედავად (“ხელი“ აი აქაც კი ზედმეტია, რადგან როგორც ჩქარა გაირკვევა სხეულის სხვა ქვემოთურა ნაწილთან გვექნება საქმე), მატარებელი დაძვრას ისევ და ისევ აგვიანებდა, არსადაც არ მიდიოდა თავისი რელსობრივად გარკვეული მიმართულებით, და ალბათ ერთის გარდა სხვა კარები - დაიხურებოდაა, გაიღებოდაა, დაიხურებოდააა... - „კარგი რა, კაცო, გაუშვი ეგ კარიც, ადამიანი არა ხარ?“ - ესეც შეცდომითი დანამუსება იყო, რადგან ის ვიღაც შემფერხებელი სწორედაც ადამიანი რომ იყო, სწორედ ამაში იყო ალბათ საქმე, თორემ აბა ისე სხვა რომელი ბურვაკი იკადრებდა ამას, და, ისევ და ისევ - კარები გაიღებოდნეენ, დაიხურებოდნეეენ, გაიღეეე... და ვუი, კაცო, ის ერთადერთი დაუხურავი კარი, სწორედ რომ ამათ სხვამხრივ-მისწრება წყალობა-ვაგონში არა ყოფილა, კაცო? რადგანაც ვიღაც ახალგაზრდა და ღონიერ ჟვაჭკიმკვნეტელსა ერთ-ერთი მძლავრი ფეხი (და არა ხელი!, ერთგაგებულად მაინც) ჩაედგა კარებშუა და არ ახურავებინებდა შორეულ მაგრამ მიკროფონიან და ყველაღილიან მემანქანეს, ჩვენა კი მაინც ვდუმდით, ისევ და ისევ მხოლოდ მშიშრობისა გამო კი არა, არამედ შეუცნობელად ალბათ ბინტებ-ბამბისა თანხების გამოც, და ბოლოს ისევ ერთმა მოხუცებულმა შეშინებულმა ქალმა ივაჟკაცა და იმის მაინც მომფერებლურ შეკითხვაზე - შიში შეიქს სიყვარულსა და გველს ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო კი არა, ეგება აქ ის ეჭვი იყო რომ ახალგაზრდა ჭაბუკი რაიმე საიდუმლო ოპერაციისათვის გადაცმული იყო, ანდა, მთლად უარესი,

გადაუცმელი იყო და ისევ ბინტ-ბანდ-ბამბეულთან დაგვჭირდებოდა ვაითუ საქმე, და, მაინც: „შვილო, გენაცვალე, აბა რათ არ აკეტინებ კარსაო“, იმან ჯერ არა უპასუხა-რა, ხოლო მერე და მერე ბეწვზე გადარჩენილი თავზეხელაღებული მოხუცის ოპტიმისტური წამხედურობით სხვებმაც რომ ძალიან დაუყვავეს, ანუ „შენი ჭირიმე ბიჭო ვისი ხარ მალხაზი რომ რათ არა გვიშვებო?, დაურჩი დედაშენსაო“, იქითაც კი სანაქებოდ ალესილ დანასავით გასჭრა ამან, რადგან იმან უდანოდა და უავტომატოდ ასერიგ უპასუხათ: „ეხლა რომელი საათიაო?“ „ეხლა?, ეხლავე, ეხლა ხუთი დაიწყო, გენაცვალეო“, „კაცო, ზუსტათაო“, და რომ მიუგეს „ხუთის ოთხი წუთია“ -ო, იმანა: „ძმაკაცი უნდა მოსულიყო ოთხზედა (მოსულიყო ოთხზედა? ნუთუ ხელ-ფეხით ერთდროულად? ანუ ძალიან ნასვამი? - შეშ, ავტ... გაიგეთ ახლა, აქ ავტ შეშინებულია, შეშფოთებული, თუ უნებური შეშა?!) და ერთი ხუთი წუთიც მოუცადოთაო, ეგებ აიარ-ჩაიაროსო“, ჯერ ვერაფერი გაუგეს, მაგრამ, რომ გაუგეს, და ღილებუფლება მემანქანემ ისევ თავისი შორეული „კარგი რა, კაცო, ადამიანი“...-ო,ჩვე-ადამიანებმაც, „შენი ჭირიმე, გაგვიშვი, გამიჯავრდება დედაო და ცოლქმარშვილიო“ იმდენად ლმობიერი აღმოჩნდა (რისი ბურვაკი, იმან რა იცის საათის კითხვა), რომ დამატებითი ხუთი წუთის ნაცვლად მხოლოდ ორიოდ წუთით ადგომილათ,გვყო რა, თანაც უდანოთ, თორემ იმისი ძმაკაცის, ანდაც არნოლდის გამოჩენამდე არაფერი გეტკინოსთ და, შესაძლოა ახლაც იქ ვმდგარიყავით, ჩემო მკითხველო (ავტ.).

ხოლო გადაცმული თუ ზედმიწევნით სწორაჩაცმული მილიციაუ-უ, აბა სად იყო აბა მაშინ, და თუ არ თვლემდა, მაგრამ ირგვლივითური შიშით შეგნებულადა და მიმმალავ-სადარბაზოულად სდუმდა. სუყველაფრისთვის რომ თავი გაგვენებებინა, იმისთვისაც კი რომ ტყვიამ და დანამ სულაც არ იცის ადამიანის ხორცის გარჩევა, მაგრამ ეგებ ისეც კი იყო, რადგან ეს ფეხმშვენიერი ჭაბუკი ისე თვითდარწმუნებულად იმიტომ იქცეოდა, რომ ეგებ და იქნებდა რომელიმე დაწინაურებული თავკაცი, სწორედ რომ ამ ბიჭის „ბიჭო იქნებ პაპა იყო შენი“ ან ბიძა იყო, ან, მთლად და თელათ უარესი, მამა, და ამიტომაც ტრადიციულად ხანდისხან ფრთხილი მილიც-პოლიცია შეგნებული შიშით თუმც აკი არა თვლემდა მაგრამ, დაჰყუჩებულიყო, გაჰ-ტრუნულიყო, და რომ არ ესაყვედურნათ, შენ ვერა ჰხედავ, კაცო, რაები ხდება, და ამოიღე კაცო ან ხმა, ენა და ანდაც რამეო, ამიტომ თითქმის მთელი პირადი შემადგენლობით გადაცმულიყვნენ, ოღონდ უბიწოდ.

მაგრამ დამრღვევების წასათამამ-გამოსავლენად კი არა, არამედ პასიუ-რობითვინა, დაჰყუჩებულიბყვნენ, სიღრმეში, რაღა, ხოლო მიწისზედურობაზე კი, უფრრრ...

მართლა სრულიად საქართველო კი, ერთ რამეში მაინც, მსოფლიო მიღწევებით პირველ ადგილზე მყარად დადგა იურისპრუდენციულ გინესის წიგნში აი იმითი რომ, რა დანაშაული გინდა ჩაგედინათ სისხლის სამართლის დანაშაულით სულო და გულო, და პასუხი კი არა, შეჩერებაც კი არ მოგე-თხოვებოდათ, და მთელ ასე ორ-ოთხ წელიწადს ვინარჩუნებდით ლიდერობას, რათა რაც შეიძლება ერთხელპირულ პრიმაობაში გადაზრდილიყო ეს, მაგრამ მერე და მერე სხვა აღიარებული თუ უღვიარებელი ძმური სახელ-მწიფოებიც წამოგვეწია, მაგრამ ვითომ პროცენტულადაც? ასეა თუ ისე, გაჩნდა რაღაცა პირველობისა შემბღალავი წრიალა ეჭვი, და, ასე არ უნდაო და, და მერე ჩვენ კი ერთი კი იმათი, ეე, იმით

ვაჯობეთ, რომ თუ აცივდებოდა და ან წამოუბერავდა, ანთუ მოვიდოდა ჟუჟუნა წვიმა შხაპუნა, სკოლების ღუმელებისთვის შეშას, ნავთსა და ცეცხლს კი არ დავეძებდით არამედ აღარ იყო გრილოში სწავლება, - „ხერხი სჯობია ღონესა“ო, თუკი უგალსტიკო მინისტრი მეტეოროლოგიურად მოიგონებსა-ო, მაგრამ წონასწორობადია რადგან ყველაფერი, სწორედ ამისა გამოსასწორებლად ერთ საშუალო ცოდნის სტუდენტზე ორი და ზედაც ერთი მეათედი უმაღლესი სასწავლებელი მოდიოდა ჩვენზედაო, გავიხედე სერზედაო, აკადემიკოსები მოოოდიან ცხენზედაო ვაიმე!, - საგანს კი არა, მთელ საგნებსაც კი, ავცდით.

არამედ სწავლება, არაკერძო სასწავლებლების მოწაფეებისათვის, ანუ გაჭირვებულთათვის, ანუ არა ხელმრუდ ოჯახიშვილთა ანუ ხელანტიმომთბარებისათვის, მონდომებასა და ნიჭზე კი არა, არამედ ბუნების მოვლენათა იშკილებსა და არამდგრად ცელსიუსურ ტემპერატურაზე გახდა დამოკიდებული; აცივდებოდა და, შესაბამისი სამინისტრო და შესაბამისი სამინისტერო: აბა ბიჭებო, აბა გოგუებო, მთელი სამი თვე საითკენა-აც კი გინდათ, იაარ! და თუ სუფსარქისულად შემოუბერავდა დაა, დადადადადააა - უცნობი ქარის მიმართულებით, საცა კი გინდათ, იქითკე-ენ გაფრიფრიი, ხოლო გაცხელებულ-გახურებული კერძო-სახელმწიფოებრივი ჰეროვნულ-მზეშინა და მზეგარეთაც გასოსასასწავლებლები, რომელთა სახელოვან-სახელიან უმრავლესობასაც დაუვიწყარი ნოე ჟორდანიასა თუ ახლადშეძენილი რომელიმე ისტორბუღას, თუ კენარად განეიტრალებული ისტორიული მეგობრის ჩინგიზ ხანის სახელაობა ერქვა, და რომლებსაც რომ რომელიმეგვარი ბირთვულ-ბომბური ფიზიკის აზიზ-ალალი წარმომადგენლები, თუ პერანგისამხანაგიანი რა იყო არამედ რომელიმე ბატონამხანაგიანი ლირიკოსები თუ ჩაუქ-ჩაუქი ჟოკეიები მესვეურ-მეურვმეურმეობდნენ, ტფებოდა.

ნეტა რომელი მეტყველ-საშური სიტყვა შეეფარდებოდათ იმათ, გინდ მეტროუელ ფეხმარჯვესა და თუგინდ ამ ეგრევრექტორებს, რომელთაწილურ წყალობითაც ჩვენი ფეხმარდი ჟამითკეკლუცი საქართველო, მთაგორიანი ქვეყანა, ყოველ ათას ჯანსულსულ მოსახლეზე, აკადემიკოსების მხრივაც, ისევე როგორც გენერლების, ღიპიანობის მიუხედავად, მთელ მსოფლიოში, პლანეტარულად, პროცენტულობით ყველაზე წინწინ მარბენალი დაუღალავი ერთპიროვნული წინმსრბოლი გახდა, ნეტა რა სიტყვა შეგვეფერებოდა, ნეტა რომელი, აქ კი ძლიერი სიფრთხილე გვმართებს, რადგან, ძველი, კედელზე გაკრული მოწოდება-რამ, გვახსენდება, ჩვენ:

„გინდ იყო სოფლად,

გინდა ქალაქში,

სახიფათოა

ცეცხლთან თამაში!“ -

ხოლო შთაგონებულ-გამაფრთხილებელსახიანი გაპლაკატებული ტექსტის ავტორი კი -

უცნობია მაგრამ კარგი,

და რაკიღა სწორედ ეს ძველისძველი, ეს კედლებზე გაკრული პლაკატ-მოწოდებაც კიგვახსენდება, კედელზე ცარცით მიწერილ სხვა მეტად თამამ ორენოვან ყოფილ ექსუცენზურო სიტყვების, გარდაც, კვლა-ვიმეორებთ, ამ ბევრაზროვნულ გაფრთხილებას, თუნდაც ა, ასე: „გინდ იყო სოფლად, გინა ქალაქში, სახიფათოა“ სიტყვათთამაშიც, მაშ-მააშ, მაშა, აბა რომლებ ერთთ მოსწონთ იგი, და, ამიტომაც, იმ პერსონათა დასამახლასიათებლად, არა ვცნობთ მაგრამ, სწორედაც რომ სინონიმების ლექსიკონი მაინც უნდა მოვიშველიოთ. და აიი, ისიც, მით უმეტეს რომ, იმ ჩამორჩენილ თუმც ლეგალურად ფეოდალურ დროს, სულხან-საბასას, არ სჭირდებოდათ და არც გააჩნდათ სულაც ასეთნი, როგორი ასეთნი და, - კი ბატონო: ლენჩი, ყეყეჩი, აბუეტი, ბოთე, ცეტი, ცერცეტი, ყეყეჩი, ბენტერა, აბდალი, გამოყრუებული, - ახალთახლებია, იფ; სულელი, აფრაკი, - ძველებია, იჰ, მტკნარი სულელი, ატაცებული, აკარაკი (ოკოროკი? - მოშიებული ავტ.), გამოსულელებული, მოსულელო, კომბლე (ვაჰ! - ავტ.), რეგვენი (ოდითგანვე ვიცოდით - ავტ.), ტეტერი (ესეც ვიცოდით - ავტ.), ტუტუცი, - კარგია, ახალია, სანაქებოდ ნოვატორულია, ტუტრუცანა (ესეც კარგია - ავტ.), ყერყეტი, ხეტი, მჩატე ჭკუისა, ჭკუათხელი, ჭკუანაკლები, ჭკუასუსტი, ჭკუამოკლე, ჭკუასთან მწყრალი (სულ ნეოაკადემიკოსურებია - ხალხ.), ჭკუაზე აწეული (გააჩნია, სად, და სადამდე აწეული, - ავტ.), ჭკუაზედ აფრაკად არის (ეს კი ხანდისხან კარგი იყო - ავტ. ...თუმცა, ხანდისხან კი არა და ხანდახან კი არა და ძალიანაც ხშირ-შხირად მშვენიერი კარგი იყო - ისევ ავტ.), უტვინო (აღიარებდნენ, როგორ არა, კი; არამედ - აიღიარებოდნენ, უტვინოები - ავტ.); ხევრია, ლაყე, ლაყე თავი, აკლია (აკლდათ კი არა!? არამედ ვიტამინებში სცურამდნენ - ავტ.), უქრის (ეს ალბათ არაკერძო სასწავლებლებზეა ობიექტურად პირში ნათქვამი - ავტ.), თავში ბზე უყრია (ალბათ გადატანითი მნიშვნელობით - გადმომტანვითი ავტ.), მწყერები უფრენენ (ესეც ალბათ ჰიპერბოლურია, ანდაც რეალისტ მონადირეებისათვის, მით უმეტეს რომ რეალურად ძლიერ დახვავდა ტყვია-წამალი - მაინც უავტომატო ავტ.), გამოტვინებული (ესეც მრავალთათვის კარგი რამ იყო, მთავარი შეგუება იყო - ავტ.), გამოთაყვანებული, გამოჩერჩეტებული, გამოყეყეჩებული, გამოლაყებული (გამოქლიავებული აკლია აქ; მხოლოდ აქ, თორემ ისე როგორ გვაკლია საერთოდ ჩვენში; რამდენიც გინდა, - ავტ.), გონნაკლი, ღვთის გლახა... ისემც! ღვთის გლახა ამაეებში ჩასათვლელი არ გეგონოთ, აქ სინონიმებთან დიდ ბოდიშს ვიხდი, რადგან სინონიმები რაღაცით უთუოდ მონათესავე და შეამხანაგებულებივით სიტყვები თითქოსდა კია, მაგრამ „ღვთის გლახა“, ამაებთან, სრულიად სხვაა, რადგანაც „გლახა - გლახაკი, გინა დაშავებული“, ხოლო „გლახაკი - ესე არს მამა დედით უქონელნი“ და ტუტუც-ბეყერაებში რაღა უნდოდა ღვთით შეფარებულს, მაგრამ იქ, იქვე, „გლახაკი“-ს ახსნაში, საკვირველებავ, სულ სხვა სახეობის გლახაკიცაა: „ხოლო დავრდომილი - რომელი სიმდიდრისაგან დაცემულიყოს“ - უცნაურია, მეტად, სიცოცხლე, მაგრამ ამ ძველსა და ახალთახალ სიტყვებს კვლავ მივყვეთ? მე მგონი, არა, რადგან ისედაც, ყველა ზემორენახსენებნი როგორ ძალიან, როგორ ხატოვნად შეგვეფერებოდნენ, გინდ ქალაქსა და გინაც სოფელში, და ხომ არც გჯერავსთ ბოლომდე ეს, თუკი არა ხართ დღევანდელნი (ანუ XX საუკუნის 90-ანი წლების), და ამიტომაც რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ, დამაბნეველი

სისულელეებისა, ოღონდ წინანდებურად ძალიან გრძლად კი არა, არამედ შედარებით მოკლედ, რადგან, სხვაგვარად, ჩაილურის წყალი უკან დაგვრჩება ისე შორს წავაااალთ -

და შორს რომ არ წავიდეთ, ერთ რამედ ღირდა პურის რიგში მრავალუქმ შრომასაათით დგომა, რადგან სულელაური მიმართულებით რაღას არ მოისმენდით იქ, ხოლო ხანდისხან მეტად საინტერესო გამონათქვამებიც აღინიშნებოდა, ფილოლოგიურიც კი:

- კაცო, ნეტავი მარუჟნის მაგივრად ნაყინის დაძახების ფაქტს მოვესწრებოდე, - აღნიშნა შუა იანვრის ღამეულ ყინვაში ერთ-ერთმა ცოტათი მოინტელიგენტო კაცმა, მაგრამ რა უნდოდა იმ გაძიძგინებულ შუაზამთარში გინდა მარუჟნს და გინაც თვით ნაყინს? გინაც სოფლად და გინდაც ქალაქში... მაგრამ ეს, შესაძლოა, იმიტომა თქვა, რომ მხოლოდ ჩალის შლაპა ეხურა შემცივნებულ თავზე, ხოლო ჩალის მასალამ ალბათ ზაფხული და იმისი კომპონენტები უნებურად გაახსენა, - მაგ დაძახებას მოვესწრებოდე ერთი და, სულაც წყალს წაუღია მთელი ჩემი ნახევარი გურია მერე.

იმ მსუყე რიგში, როგორ გგონიათ? არ გამოერეოდა სხვაცკი გურული?

- რასაა, კაცო, რომ ბჟუტუროფ რომელიღაცა ხარ! - ბნელოდა, - შენ სოფელზე თქვი წაუღიაო მარტო თუკაია.

- ისე ვთქვი, კაცო, - შეცბა ნიაღვარმღვრელი, - სიტყვაზე, ტყვილა (სიტყვაა, ტყვილა? - ავტ.). აღარც მახსოვდა.

- რა არ გახსოვდა შენ! შენი სოფელი? გადამრევს ეს კაცი! ვიღაცა ხარ! გადამრევს ნამდვილათ! თუ გავიწიე, გამიშვათ უნდა!!

- კარგით, ნუ გინდათ ბატონებო, პაექრობანი, - სიამტკბილობის ვაშლივით შეგორდა მათშუა ვიღაცა ნამდვილშლაპიანი.

- აბა ვისასაა რომ მიატნევს წყალს და მეწყერს მაგ!, გამიშვათ უნდა!

- ორი ასეთი თქვენდაგვარი დარბაისელის აღელვება, ნამდვილად რარიგ სავალალოა, - აღნიშნა ადრეც ნამდვილშლაპიანმა, - დავწყნარდეთ, ჩემო ბატონებო.

- აბა რომელი ნახევარკიდაროში მოაყოლა მაგან თავისი სხვისი სოფელი! დარჩენილში, ხომ? და ის ჩემი ხომ, გაატნია წყალს!!?

- სულგრძელობას გთხოვთ. სიდარბაისლეს.

ხოლო გადაცმული მილიციელი, ბოდიშით, პოლიციელი, ჩვეულებრივი რიგითი ადამიანივით, სდუმდა.

- ისე ვთქვი, კაცო...თ!.. მარტო სიტყვაზე (სიტყვაა, მარტო? - ავტ.). აღარც მახსოვდა.

რა აღარ ახსოვდა, ეს აღარ დაუზუსტებია, მაგრამ შენიშვნა რომ სინდისმქენჯნურად დაამახსოვრდა, ეს კი უთუო იყო და ნამდვილად ასე

გახლდათ, რადგან ასე-მესამე პურის სატალონო დღე-განთიადისას, როდესაც მთელი დღე-ღამის განმავლობაში ყველაზე უფრო მეტად მკაფიოდ ცივა, მან ისევ რიგში, სადაც რომ თუმც მოუთმენლად ჯერკი იცდიდა, ანუ ცმუკავდა, და რომ ვეღარ მოესწრო და ვეღარ ეღირსა თავისი მომზადებული სიტყვების ჩასართველად შესაფერ დიალოგებს (რატომღაც ჩვენგან საკმაოდ ადრე წასულ ჟდანოვს სულ კარგების იმას უხსენებდნენ შესაფერისად მისადაგებული სიტყვებით და ასე იხსენიენებდნენ, განსაკუთრებით ერთი რიგმრავალთაგანი), ითმინა ამან, ჩალისშლაპაიანმა, ითმინა, ჯერე, ხოლო მერე კი ხელსაყრელი პაუზისას ასეთური თქვა:

- ნეტაი მარუჟნის მაგივრათ ნაყინის დაძახების უშეცდომო ფაქტსა-მაგალითს მოვესწრებოდე და, თუგინდა ორი იმდენი გახადა ჩემი გურია და გურულები მერე.

ხოლო რაზედაც, ვიღაც უცნობმა, ვგონებთ მეგრელმა თუ იმერელმა:

- თლათ გვწყევლი, ბიჭო?!

რაზეც შეიქნა მეორადი და თავიდანი გაწევ-გამოწევა.

კიდევ კარგი რომ, ბაჯაღლოდ ალალი ინტელიგენტი როგორღაც მაინც გამოერევა ჩვენში ხანდისხან, რადგან იმისმა, კუთვნილად ნაღდშლაპიანის მოწოდებამ:

- არ გინდათ, ბატონები, პაექრობანი, დისპუტები და დავიდარაბა, ნუ გავახარებთ მტრების გულს, სულგრძელობას გთხოვთ, ჩააგეთ ენები, -

სასურველი შედეგი გამოიწვია.

ხოლო გადაცმულ-გატრუნული მილიციპოლიციელი, - სდუმდააა.

ხოლო კიდევ მეხუთე სატალონო განსაკუთრებით კრიჭაშემკვრელ განთიადისას, როდესაც ჟდანოვისა კი არა, სიცივისაგან საკუთარი გვარიც კი ვეღარ ახსოვდათ (ცოტათი გადაჭარბებული შედარება-მაგალითია, მაგრამ არაუშავრა, იყოს), ნახევრად მოინტელიგენტო ჩალისშლაპაიანს, ახსოვდარა ალბათ ნამდვილშლაპიანის ნაღდი ჰალალი ინტელიგენტის განათლებულებიანი სიტყვა-პასუხობრივი უპირატესობა, რადგანაც, პირწავარდნილად ინტელიგენტურს ერთი-ორი კი გადახედა და, მერე კი იმისი გავლენით აი ასე სთქვა:

- უცნაურია, ბატონებო და ქალბატონებო, მაინც, ცხოვრება... კაცო, აი ვთქვათ და თუ ზიხარ სახლში ყოვლად უპაექრობებოდ და შენ ბედზე ელექტროსინათლეც კია, და თუ თან ისმენ სანუკვარ ფირფიტას, და თან რომ ნეტარეფ, არაა აბა, უცნაური? - ერთი კიდაროდან რომ მარო კალასის განდანსარევი მღერობა გესმის, დაბლითა ქუჩის მიორე კიდაროდან კიდე - მარუჟნი, მარუჟნიიი!

რაზედაც ამ მძლავრი დაძახებით გულგახეთქილად შემხტნარმა ნამდვილშლაპიანმა, გაბრაზებულმა, არ დაიჯერებთ, აი ასეთი რამ შეაგება:

- რა გ----------ე ბიჭო შენ, საქმე, აღარ წაიღო, კაცო, --------ს ტვინის ორივე კოლოფი?

- რაიოჰ...

- რაო და, რაც გაიგე, რას გააჭირე საქმე ამ შენი მარუჟნიიით ამ სიცივეში, და რა გაღრიალებს, კაცო, რომ გამიხეთქე გული, ჩვენ-ჩვენი აღარ გვეყოფა, კაცო? შენ მეტი აღარ დასჩუმდები?, შეჩემის ესკიმო?

- რაავო... რაავ... რავ, ვ, ავ, ავ...

- რა და რაც გაიგე!.. გიჟია, ჩემის ეჩემა და ესკიმომანალა?

და, ჩვენი არ იყოს, ჩალისშლაპაიანმა თუმც სულაც არ იცოდა „ეჩემამანალა“ თუ რასა ჰნიშნამდა, განსაკუთრებით - „მანალა“, მაინც თავდასხმა გადასწყვიტა ინტელიგენტზე, შემართა უნაყინო ხელი, იმან კი, აგრე არ უნდაო და, რადგანაც თავდამსხმური შეხლა-შემოხლისასაც კი უფრთხილდებოდა ინტელიგენტობის ერთსაც ამ კომპონენტს, ნამდვილი შლაპა ორივე ხელით მოიხადა და სამაგიეროდ დაკავებული ხელების ნაცვლად ასე უნდოდა რომ უშლაპო და მაგრამ მაინც თავი ეჭმია შიგ ცხვირსახეში ზამთრის ნაყინებირგვლივ შეჩემაამოჩემებულისათვის, მაგრამ ვერ დასცალდა, რადგან შუა ნახტომში იმ გადაცმულმა პოლიციელმა, ახსოვდა რა ძველებურმილიციაურიდან ხერხები სჯობიან ღონეებსაო თუ თანამშრომელი გაიხსენებსაო, და ეს უკანასკნელი რადგან იმასაც ატყობდა რომ წონასწორობადაკარგული თავ-იარაღა ადამიანი მაინც ინტელიგენტი იყო ანუ უმწეო, ჰსტაცა სამი წლით მოწყენილი ხელი, ამოიდო მოწყენილსავე და ახლა კი გამოცოცხლებულ იღლიაში და წიწილივით წაიღო იგი ამა, პოლიციელმა, ქორმა, აის წიწილ-ინტელიგენტი, ხოლო იგი კი, თუმცაღა კი ძალისმიერ თარაზულობას ერთგვარად უცებ შეჩვეული ინტელიგენტი თავიდან ჯერ სულ „პროტესტს ვაცხადებ!, პროტესტს ვაცხადებ!“-ს მძლავრად ჰყვიროდა, რითაც მაინც ვერაფრით მოალბო გაჯიქურებული ჟანდარმის მთელი სამი წლით შიშით გააზიზებული გული, მერე კი, ფართხალისაგან მისუსტებული, გადაცმული სწრაფმავალი ქორის იღლიაში, მხოლოდღა სუმთლად საბრალოდ „იძახდა წიავ-წიავსა“, ხოლო ყოფილი პატრონის ხელებიდან გავარდნილი ნამდვილი და ჭეშმარიტი შლაპა შორს ჩამოტოვებულ უკმეხ ასფალტზე მთლად უპატრონოდ, ბნელში პროფილით იდო, -

ასეთი იყო ეს ინცინდენტი.

როდის, დაიწყო, ეს ყველაფერი... რა „ესყველაფერი“ და, თუნდაც ის რომ, თავიდან - „თევზი თავიდან ფუჭდება“ - სწორედ თავიდან ძალიან გახშირდა ხელური და ფეხურენური ჩხუბ-თავდასხმები, მერე და მერე კი ხელური ჩხუბები თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა, ხელით მხოლოდღა ქალები, ბავშვები და ჭარმაგი მოხუცები ჩხუბობდნენ, რადგან ვაჟკაცებისათვის (“ვაჟკაცსა გული რკინისა“ებისათვის) პრიმიტიული ხელების ნაცვლად სხვა, წინაც კაცობრობით დახვეწილი იარაღები რომ შემოვიდა, როგორებიცაა ავტომა-ტი, პისტოლე-ტი, დინამი-ტი, ხელყუმბარაბუხ და სხვა, და ეს ისტორიულადაც სწორი იყოო, გადავიხედოთ, ჯერ კიდევ როდის, დაუხვეწავ ადამიანებს ხელს ხელნაჯახი გვიმშვენებდა გამოქვაბულების ჩაუწერავადაც მიწაზე მძინარ ჯანსაღ ბინადართ, და ეს გაცხოველებული რა იყო არამედ გამომგონებლურ-ადამიანური ჩხუბები ისე-

უბრალოდ კი არ დაგვიმკვიდრდა ამ შემთხვევაშიც, არა, არამედ ჰქონდა ამასაც, როგორც ყველაფერს და ყოველივეს, სხვადასხვაგვარი შემგუებლური ოღონდ შეშლა-შეშლითი და შესაშლელი მკაფიო წინამძღვრები; თუნდაც - ძლიერ გახშირდა რატომღაც ეროვნულად წოდებული გახარებულსახეობებიანი სხვადასხვაგვარი ყაიდის შეჯიბრებები:

გახარებული შეჯიბრი ეროვნულ შაშში;

გახარებული შეჯიბრი ეროვნულ დომინოში;

აღფრთოვანებულ-აღტაცებული შეჯიბრებები გრძელსა თუ პარალელურად მოკლურა ნარდში;

შთაგონებული შეჯიბრი ჟვაჭკებითა თუ სემიჭკებით „ჯუხტია თუ კენტი“ -ს მათემატიკურ თამაშებში;

თვალხელუტყუარი შეჯიბრი ეროვნულ-მოარისტოკრატიულო და რაღაცით მაინც დამაეჭვებელ ბილიარდში; თუმცა აქაცა და კოსმოპოლიტურ ბილიარდშიც სწორედ რომ თექვსმეტი მთელი და ნულივით მრგვალი ეროვნულად მოარისტოკრატიულო ცისფერსისხლიანი თეთრი ბურთულა იყო;

აღტყინებული შეჯიბრი გაეროვნებულ წივილკივილსა და საერთოდაც ამას თანმომყოლ მანჭვა-გრეხასა-თამაშ-ღყთამაშში; ჰოიი, აქ კი ერთი ისეთი რარიგ ძლიერად მღმეჭია გვყვანდა, მაგრამ დაგვტოვა, ულმობელმა, როგორც იტყვიან წავიდა მოსკოვს; მთლად ეროვნულად დაგვტ-მიგვატოვა მან, ჩვენ; მეც; შენც; - ოთხპირიანი ზმნა გამოდის მისი ქცევა-ეს, ოთხპირიანი იყო, ყმაწვილი, ისე ნიჭივრად იმანჭებოდა, და, საერთოდაც, ამტანები ვართ ექართველები, საერთოდ როგორ არ ჩაეხა პირი ზოგიერთ დეკოლტესავით, ვერ გაგვიგია ისე ძალიანი იმანჭებოდა, და, კიდევ კარგი, ჩამოსვლებითა თუ მოსკოვშიც მყოფი, ჩანაწერებით იქიდან მაინც დამაიმედებლად რომ გვიკიჟინებდა და გვმეტყველებდა თავისებურად, რომ ძალიანი უხარიან და ბედნიერია რომ თბილისელი ვაااარო;

და, უიმისოდაც, დიდად გავრცელდა აღტყინებული შეჯიბრებები ავანგარდისტულად გაეროვნებული როკ-პოპ-პროკ და პრუკმუსიკის (მუსიკაც აკი პირობითი სიტყვაა, რითია ვითომ სხვებზე ნაკლები) ტელევიზორულ-რადიოულ-მაგნიტოფონურ რაც შეიძლება მეტისმეტად ხმამაღალ ხმაკივილჯღნავილ ხმაამწევლითურ უცხოელების სმენა-სმენაში;

და ამ თანამედროულობის გარდა, განსაკუთრებით ბაზრობებში, თავისუფლად მოისმენდით შეჯიბრს იმაშიც, თუ ნეტა რომელი რომელს სჯობდა, შავგოგია თუ თეთრი შალიკო?,

ანდა, როგორ ერწყმოდნენ ერთიმეორეს, ტაშფანდური და - ელდენგიტარა?

შედარებით ნეოხალხური შეჯიბრებები ანტიჩიხტიკოპურ ტანსაცმელთსაწინააღმდეგო ხალხის თვალდასაყენებელი ხალხური სახალხოდ -

კუპალნიკებიან სილამაზის დამწყებმანდილოსნებიან თვალებგასაფართოებელ კონკურსებში;

შიდაეროვნულ გინდაარგინდად მოხვეულ-წარმოსაჩენი თვალყურდამცემად მოხარებული ცინცხალობიან იუმორის ფილარმონიული საღამოები; რა გვეხუმრებოდა? რა და - ეე... ეეე... მოკლეთ, რაღაცა ალბათ გვეხუმრებოდა, თუკი გავიგებდით, ტყუილუბრალოდ აკი არაფერიც არ ხდება, ხომ ჰა? - ჰა, ჰა-ჰა... ხახახა! ზმუკი...,

გადასაფიჩინებელი პირდაპირ და პირისპირული ცეკვებთამაშის ეროვნულ სახეობათა დილა-შუაღამე-განთიად-ნიადაგ-საღამოები;

სხვადასხვაგვარნი, სულო და გულო, თვალო და ხელო, ეროვნულ-ბედისწერული ლატარიაები და ათასგვარკუთხური ლოტოები და „მო,ლოტო ვი“თამაშოთ-ებში, რა შუაშიღა იყო აქა მოლოტოვი და ახ ლაზარე, ლაზარე, ლაზარ მოადგა კარსა, აბრიალებს თვალსა, ლაზარიი კაგანოვიჩი?

ეროვნულად ცეცხლმოკიდებული შეჯიბრებები ნაციონალურად ყოვლად უმწიკვლო ნაგებობ-შენობების ალწამკიდ აფეთქებებში,

და ასე.

ნეტავი, ჩვენნო, ნეტაი რაღა გვეთამაშებოდა?

და რადგან ზოგადი ადამიანი საერთო ჯამში უმეტესწილად ცნობისმოყვარეა, ნეტაი რით, ანაცდა როგორ ჩაეყარა ყოველივე ამას, ნეტა, ვისთვის ნეტარ და ვაი და ვუიდსაგასახარელო საძირკველ-საფუძველი?:

ვღფრთოვანდღდებოდით,

დიაღთ!,

კი...

ხოლო შედარებითი დამშვიდებისას, ქუჩებში ძალიან გავრცელდა ფეხით მოსიარულეთა და მიერ, ადგილზე უმიზეზოდ შეხტომის შემთხვევები.

და თუ შმაგურ-ხელური ჩხუბები შედარებითულად აღმოიფხვრა, ენური ჩხუბები უცხო მწვერვალებს დაბეჯითებით შეუყვა, განსაკუთრებით ფრიადეროვნულ საბჭოსა და მერეკი ისიც კარგაეროვნულ პარლამენტში.

ვინც იცით ეს, ხომ ისედაც იცით, და ვინც არა და, მაინც არ დაიჯერებთ, მაგრამ, ენური ჩხუბების შედეგების განსამარტავად და ჩვექალაქის ერთიც სურათის ნათელსაყოფად, ცალად მცირედი მაგალითიც კი მგონი, კმარა:

მიდის ერთხელაც ზოგიერთებივით გულშემოყრილი უღირსი ცოცხგადავიწყებულ ქუჩაში, და გაიხედა და აბა ვისა ხედავს - სკოლის ამხანაგი! გაეხარდა, გაეხარდა რომ, გაეხსნა ცოტათი სახე, „როგორ ხარ დათო“-ო, გახარებისგან უნებურად ასეც კი ჰკითხა, „ბიჭო, რაღა როგორ ვარ, და ამ ჩვენ

დროში, ჩვენისთანებმა, გულშემოსაყრელად, ერთმანეთს კიდევ როგორ ხარ ბიჭო უნდა ვკითხოთ“ო?! დაირცხვინა აქ გახარებით უნებურად ენაჭარტალა უღირსმა, სწორი იყო იკაცი და, ჩაღუნა ამან თავი. „და, განსაკუთრებით, ექიმს უნდა ჰკითხო ეს და, უფრო განსაკუთრებით, ფსიქიატრს?“ო.

აქკი უღირსი ცოტა გამხნევდა, „ვითომ ექიმი და განსაკუთრებით ფსიქიატრი რა შუაშია, განა სუყველას მსგავსად არ გვიჭირს-ო?“

აქ, სუყველაში, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ შედარებით პატიოსანი ხალხი, შედარებით, თორემ სადღაა ნამდვილი პატიოსანი ერისკაცობაში, იგულისხმებოდა, თორემ შავად განეტარებული ქურდები, ჩარჩები, ბანდიტები, ცრუპატრიოტები და ჯიბგირები და ამაყ-მრჩევლები და ასე შემდეგ, რაღა თქმა უნდა - არა.

- სწორი ხარ, სწორი, მაგრამ ექიმებს და განსაკუთრებით ფსიქიატრებს მაინც, ყველაზე მეტად გვიჭირს. დამექცა, მოკლედ, ოჯახი...

უღირსს თავისი გაჭირვებებიც გაახსენდა და ერთბაშად მოუზღვავდა და, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებით დაეკითხა:

- რა გახდა მაინც ასეთი, ეს ფსიქიატრი...

- რა გახდა ბიჭოდა, დავხოცე, ძმაო, შიმშილით ცოლ-შვილი... იცი შენ, ჩვენში ექიმის შემოსავალი ისაა, ხალათის ჯიბეში რასაც ჩაგიცურებენ ფულს, ახლა კი, ფსიქიატრებმა იკითხონ თორემ, ქირურგებს და ტრავმატოლოგებს მაინც აქვთ რაღაც პატარა ლუკმა, რას იზამს აბა დაზარალებულის პატრონი, წაიყვანს ფეხებმოტეხილს და ბრმანაწლავგამსკდარს საავადმყოფოში, რას იზამს აბა... უიჰო, მართლა, ვენეროლოგებს გაუმართლათ აგრეთვე განსაკუთრებულად ძალიანი!.. მაგრამ თუ მიაკითხეს...

- ბიჭო, მაგ მხრივ შენ მაინც როგორ ძალიან გაგიმართლა, - მწარედ ჩაეცინა უღირსს, - ახლა გიჟდება თუ გიჟდება ერთეულები, წყვილები და ასეულები, და მასა და ხალხი. ერთეულებიდან გამომდინარე...

- ჰოდა, მაგაში არი სწორედ საქმე, ერთეულებიც რომ გიჟდებიან. აბა შედარებითი შეშლილების პატრონი რომ მიჩერებოდა ჯერ უზენაეს საბჭოს და ახლა პარლამენტს შეჩერებია, და რომ იყურა და იყურა, დაასკვნეს მერე, აბა ესენი თუ ხალხის გამორჩეულ-არჩეულები და ნაღებებია, აბა ჩემი უბედური ამათზე მეტს აბა რაღასღა აშავებსო და, არ გვეკარება სათოფედ ყველა... არავინ... ქვეშაგები... დავხოცე, ბიჭო, შიმშილით ცოლ-შვილი! მე ვარ, მედიკი და მარჩენალი!?

და, შეფიქრიანებულმა, დაამატა:

- რა იყო, გახსოვს, სამედიცინოზე ჩვენ დროს შესვლა? - აღშფოთდა, ისევ;

- ვენეროლოგი მაინც გამოვსულიყავი-მეთქი, გელაპარაკები შენ! მეუღლეების სიყვარულით, აკი აკითხავენ კიდეც იმათ ზოგიერთული პატიოსნები, კაცი ან

ქალი, ხანდახან! ეეჰ... - მოიწყინა, - ოთხი ხუთიანი უნდა მიგეღო, სამედიცინოზე რომ მოწყობილიყავი... ანდა, რა ფული... და, თურმე, რისთვის.

- თორემ, კონსერვატორია ვინც დაამთავრა, იმათ ხომ ძალიან გაუმართლათ, - შედარებითულად ანუგეშა უღირსმა.

- რატო, შეკაცო, ისინი თავისთვის დაუკრავენ მაინც, სახლში... მე რა ვაკეთო...

- შენ უნდა აკეთო რამე თუ აკეთო! - მართლა გაეცინა უღირსს, - ოღონდ იყურე აქეთ-იქით და, შენისთანა პრაქტიკა?

- უფულოდ, ხომკი?

- აბა პიანისტი რომ დაუკრავს შინაურ როიალზე რამდენიც გინდას, იმას უხდიან, შენ გგონია მოცარტებში ფულს?

აქ, გაუქმებულმა ფსიქიატრმაც, ღიმილით ახედ-დახედა და უთხრა:

- კაი ჟულიკი ხარ შენც.

და მართლა, - ვუიჰ! - მაინც სადამდე დავეცით ეს, მოცარტებიო! - მოცარტს რომ მრავლობითებში ახსენებს კაცი, მართლა გლახათაა მაშინ მთაგორიანი ქვეყანების საქმე...

აგრეთვე ყველა გამწარებული იყო ასევე თავთავიანთებ პროფესიებზედ:

- კაცო! - იძახდა დენგამორთული და ამიტომაც ჩარაზული მეტროს ყოფილ შესასვლელთან შექუჩულობაში ერთიც ზამთრის მთლად უქუდო, - კაცო, ჰიტლერი და იგივე შიკლგრუბერი რომ იგივე ხიტლერი და იგივე შითგრუბერები იყვნენ, - გაიგონებდით ასეთ მწარე დაჩივლებასაც 1991, 92, 93 წლე-წლე-წლეებში, - აი ისინიც კი აქცევდნენ რაღაცა ყურადღებას მეცნიერებას და ხელოვნებას (გაიგეთ, კაცო? - ხელო, - ვნებასაო!! - ავტ.) და ჩვენ ასეთი რა დავაშავეთ, კაცო, მხატვარი თუ ხარ, საღებავების ფული არ გაქვს, მწერალი თუ ხარ საუბედუროთ, ყვითელი ფანქარი გენატრება და კინოფირზე ხომ უზრდელობასავითაა აწი და აწი ფიქრი, დირიჟორები კბილის ჯაგრისით რეპეტირებენ აემ უფასო სიცივეში და, რა დავაშავეთ მაინც ასეთი საერთოდ ყველამ, ურცხვები, ოხრები და ნებით მოკაკვულები არ მყავს ბატონო, მხედველობაში, და გინდ გეოლოგ-არქეოლოგისტი იყო თუნდა და გინდაც ნაფიცი პოეტი, ა, ასე უნდა გავწყდეთ ამ უსაქმობით და ამ სიცივით და ამ სიმშილით, ყველა!? რა არის, კაცო, რას გავს ეს, არავითარი ჩვენი დარდი და დამოკიდებულება რომ არ აქვს ჩვენთან პარლამენტს, და არც არავის, სწორედ როგორც იტყვიან თავში ქვა გიხლიათ და მუცელში სამართებელიო, ისაა სწორედ!.. არავითარი დამოკიდებულება!

ხოლო ერთმა გამოცდილმა ბერიკაცმა თანაგრძნობით უყურა ერთხანს, და უთხრა მერე:

- დამოკიდებულებაა ეგეც, შვილო.

ნეტა როგორი, ანდა რა გვარისა და, საერთოდაც, ვინ იყო ნეტა იგი არნოლდი.

ხოლო ცნობილი ბილბაო ერთხელ ისეთი აფორიაქებული მოვიზიტდა მიშოსთან, ძალით თავგადაპარსულივით იყო:

- ადამიანო! სიზმარი ვნახე, კიღამ მთლად გავგიჟდი რომ გავიღვიძე, სიზმარი ვნახე ისეთი!

- რა ნახე მაინც ეგეთი...

- მეტი რაღა უნდა მენახა, ადამიანო!

- და, მაგიტომაც გამოვარდი პირდაპირ ჩემთან, რომ არაფერი გეთქვა?

ბოლო ხანებში მიშოს კიდევ უფრო გატეხილი ჰქონდა ბილბაოზე გული და ხელი მეტად ჩაქნეული უფრო, რადგან დორეს გაჭირვებების ყოველი შეტყობინებისას, თავისი სოფლის სურსათეული ახსენდებოდა, და მიშო საერთოდაც მთლად გაწყვეტდა მასთან ურთიერთობას ისევე როგორც ჩვენ - არნოლდთან, ბილბაოსთან ბავშვობისდროინდელი ამხანაგობა რომ არა, ხოლო არნოლდი აბა ვინაა ჩვენი.

რადგან ბავშვობის ამხანაგი, - სხვაა. ვერმოსაცილებელი. და ყოველგვარ ამინდში - ასატანი.

- რატომ არ გეტყვი!, გეტყვი! რატომაც არ გეტყვი! ოღონდ არ მითხრა, ალბათ ასე გინდოდა და იმიტომაც ჩაგყვაო, თორემ არ ვიცი... გავგიჟდები! ჩემ სიცოცხლეში ერთხელ, ერთ წამს არ გამიფიქრავს მსგავსი არაფერი!

- სიზმარი, ტყუილია.

- მართლა? აგაშენა ღმერთმა... შენ გაიხარე მიშო!.. მიხეილი! აბა, ის იყო განა საქმე?

- დაწყნარდი ახლა, დაჯექი ეგერ და, ისე მოყევი.

- მართლა, დავჯდები, თორემ იქაც ვიდექი.

- სად იქ...

- სიზმარში. კაცო, ვითომ პარლამენტის წევრი ვიყავი და თანაც სიტყვით გამოვდიოდი თან, და თანვე კარგი შთაბეჭდილების შექმნის მოხდენა მინდოდა ირგვლივ ყველაზე და ტელევიზიითაც რასაკვირველია, ამას ვლამობდი. და ხოლო როცა მაინც პატიოსანი შიშისგან გამოვფხიზლდი, ისე დავშინდი, სულ ცივმა ოფლმა დამასხა ტანზე.

- სად?

- რა ვიცი, შუბლზე, სახეზე, ლავიწებში...

- არა, თუ იქ...

- სად იქ! კაცო...

- სიზმარში! პარლამენტზე...

- არა, კაცო, მეც არა ვთქვი? არა, იქ მე ამაყად ვლაპარაკობდი, აქეთურზე და იქითურზე, დოკუმენტებიც მედო ჯიბეზე, რამე, ხმის და ყველაფრის მისაცემები, იქაურ წესრიგში მქონდა ამ მხრივაც საქმე, რას აღარ წარმოიდგენს ადამიანის წარმოდგენა, თუგინდა სიზმარი ეძახე შენ, მაგრამ რატომღაც სულ უცნობებში ვიყავი. იმ ერთის გარდა...

- რომელი ერთის?

- მე. თუმცა მეც სხვა ვიყავი, რადგანაც მე სულ სხვა ვიყავი, და მაინც რამ დამასიზმრა მაინც მე ეს, მე მართლა ამ ცალპარლამენტარ-ოხერს... არადა, ვითომც, ვიდექი კაფედრაზედ, და გავიძახოდი რომ გაპიპინებულობამდე ძალიანური შეგნებულად მიყვარს სამშობლო, ჩემი ამაყად დამოუკიდებელი დახმარებებიანი რესპუბლიკა, და მისი თვალწარმტაცი შემოგარენი, და მისი მიწა-წყლის ყოველი მტკაველი და ცაზურმუხტ გოჯი, და თუკი ვინმე აუგს იტყოდა რაიმეულს თუნდაც მის ერთ მინდვრის ღიღილოზე, მაშინ მას ჩემთან, სამშობლოსათვის მძვინვარესთან ექნებოდა პირადული და ანკეტური სახიფათო საქმე თავის წარსულ დოკუმენტიანადაც, და ისეთ დღეს ვაყრიდი, რომ მტერსაც თუ გაეცინებოდა, თუმცა, ჩემო მიშიკო, მტერს ისედაც კი ეცინება სინამდვილეში, მაგრამ პარლამენტი მაინც სხვაა, დისპუტობრივი. და მე მივმართავდი დიდ-პატარას, კაცსაც და ქალსაც, აემ ორთავე დაფიქსირებულ სქესს, და საშუალოებსაც, რომ რესპუბლიკა, მთაგორიანი თეთრი მანდილი, მშობლის გულ-მკერდი, არ გაიცვლების სხვაზედა, და მისი წრფელი აკაციები, ხოლო დარბაზი, თავთავის ალაგ - დუმდა, და მიკროფონთან თავიანთსაც სათავგამომჩენო ჯერს სულმოუთმენლად უცდიდნენ, ვითარც მოსარჩენი მარკუს აგრიპა, ვიფსანიუსი, ჩემი საკურსო მეცნიერული თემა იყო, ძაღლის ნაკბენივით მახსოვს, და რას არ გადავწვდი, ვახსენე ისიც, აგრიპა, მარკუს, ოღონდაც მესამე სახელი აღარ მიხსენებია არასწორად რომ არ გაეგოთ, რატომ არ უნდა მეხსენებინა, ისე ვიყავი ამძაფრებული, ხოლო რამდენი, აუ, ხნის წინ განგან წასული იგი აგრიპა მისწრება იყო კათედრისათვის, და რომელს არ გვინდა კათედრაობა, ოღონდ ჩემსავით მდაბლად კი არა, რადგან ჩვენ ყველას ისე და ასე ძალიან გვინდა რომ დღევანდელურად ვისახელოთ ასეთი თუ ისეთი თავი, ხოლო მოგეხსენება, განსაკუთრებულ პატრიოტებს ყველა დროში რომ ერიდებიან, ხოლო როდესაც მე ჩემს მიკროფონს, კაფედრალურს, აღტყინებისაგან სილაც გავაწანი, პატივისცემით აღივსო ყველა... იქუხა ტაშმაც... - შემირცხვა თავი!

- რატომ, შე კაცო...

- ეეჰ...

- რატომ, შეკაცო, სამშობლოს სიყვარული არაა ცუდი და უარყოფითი... კახეთი, ლეჩხუმი, სამცხე...

- არა, მაგათში არ იყო საქმე.

- აბა, რაში იყო?

- არ შემიძულებ?

- არა.

- მართლა?

- მართლა. შენ და, შენი ახალი რამე, რა უნდა იყოს მაინც ისეთი, აქამდე თუ...

- მაშინ დაიფიცე...

- გეფიცები!

- რას!!

- ეე... ყველაფერს.

- კარგი. ხოლო საქმე იმაში იყო, - თქვა ბილბაომ და უსიზმარო, ჩვეულებრივი თავი დახარა, - იმაში იყო, რომ... ვიტყუებოდი.

- აჰ! - შესძახა მიშომ, და თავის ოთახში მიმოიხედა, - არავინ გაგვიგოს! მიმაყოლებენ შენზე, მეც, და აგვიკლებენ, სიტყვობრიულად, მაინც... აჰ! სიზმარი ეძახე... და რატომ?

- რა რატომ...

- რა რატომ და, რატომ იტყუილებულოდე... ეე, იტყ... იტყობულ... იტყუილიებულ-ლიებოდი?

- არ შემიძულებ?

- არა.

- არც, შემიზიზღებ?

- არა, კაცო!.. ხომ სიზმარია?

- კი! აბა!! - თავი ცოტათი შემართა განამდვილებულმა ბილბაომ, ხოლო ლოგინიან ახლო წარსულში, - ნაპარლამენტარმა.

- მითხარი მაშინ, თუ რად, იტყუ... ეე, თუ რად სტყუოდი... ვაჰ, ძლივს არა ვთქვი? ესეც ესე!

- რა...

- არა, არაფერი. რატომ სტყუოდი!? რა კარგი სიტყვაა, კაცო! ესეც ესე!!

- რომელი ვისი ესე და ესე? ჩემი? - ეჭვით მიაჩერდა ბილბაო.

- არა, არაფერი... მითხარი ახლა, რატომ სტყუოდი.

- რატომ და, - კიდევაც უფრო ჩახარა თავი, - მე საქართველო კათედრალურად მიტომ მიყვარდა, კლიმატიანი რესპუბლიკა, იმიტომ რომ მინდოდა თვალშისაცემი

პატრიოტობით ის ავტორიტეტი მომეპოვებინა, რომელ ავტორიტეტობასაც პატრიოტობის თვალშისაყვირი და სხვაოხრული გამოვლენები აღვივებენ და კაზმავენ კაი მიხაკ და დარიჩინივით, ხოლო პატრიოტებს აკი ხომ ერიდებიან სათოფეთ, რადგან თავიანთ ასამაღლებელ ხარჯზე სხვების საქციელების წამომძახელები არიან, ვერ გვიპოვნიან რაიმეს თუ რა, ხოლო ეს გაცილებით უფრო დიდი რაიმესი მოგების ნიშნათ სამწუხაროთ და, კაფედრაზედაც მეც ამგვარი პატრიოტობა მასულდგმულებდა და ვიყავი სუფთა და ნაღდი ანუ ვუითნამდვილათ მოლიპულ გზაზე, ხოლო მოლიპულ გზაზე ის ყვავილი უნდა მენახა, რომ... რომ, თანხებიანი ფული მეყნოსა და კაი პირობები... ხომ არ დამკარგე!?

- რა დაგკარგავს შენ!

- რომ აი ის რომ, ვითომ, ეე, იმიტომ რომ მინდოდა რომ მოპოვებული ავტორიტეტით სახინკლე უნდა გამეხსნეინებინა თავისი საპივეთი და ზედაც ლულა-საქაბაბეთი, და, შენც კი, ბავშვობის წრფელი ამხანაგი, აქამდე კი ასე თუ ისე მაინც მეცნიერი კაცი რაც გინდა იყოს, შენც კი გაგხვიე მორალურ კრახში, რადგან შენ უნდა ყოფილიყავი ჩემი სიზმრული მოკლე ჭკუით იქ დირექტორი, ხოლო დორე კი, ზედიზედა აღმასრულებელ-მომმარაგებელი, და მერე კი მე თქვენგან, ანუ უმწიკვლო ბავშვობის ამხანაგის მეზობლისგან და თვით ბავშვობის ამხანაგისაგანაც კი, წილი უნდა ამეღო, წარმოგიდგენია? ხომ ვერა? მაგრამ ასე იყო ჩაფიქრებული, და ხოლო შემდგომ კი, სამთავეს, გაძღომისაგან გახარებული ქუდები ჭერს რათა გვეკრა მერე და მერე, მუშტრები როცა გაგვიმრავლდებდ-შეგვეჩვეოდნენ და მუცლობრივ ეშხით შეგვიყვარებდნენ, კარგი-ჰო! ნუ მომაჩერდი ახლა ასე ძალიან, ქალაქის ცენტრში იქნებოდა აის სახინკლე, სადმე გადაყრუებულ გადასაკარგავში კი არა... ცენტრალურ რაიონში, ჰო, კარგი ახლა, გაიხედე პატარა ხნით მაინც სადმე იქით, მთლად ცენტრალურში, ბიჭო, შემომხედე ბიჭო, მთაწმინდიდან მონაბერო ნიავოოში... მაგრამ მაინც გთხოვ მაპატიო, ჩემი საქციელიცა და, შენიც. იქხო მთანხმდებოდი... რას მომაჩერდი...ა? არ გინდა... უიჰო, დორეს რძალი დამლაგებლათაც იქნებოდა გაფორმებული, მაპატიე, რა. ანდა, გაიხედე მაინც.

ბავშვობის ამხანაგები, პატარა ხნით, სდუმდნენ.

მერე კი მიშომ რამდენადმე სწორი მიმდინარეობა შეირჩია - ეგ არაფერიაო:

- ეგ არაფერი. ნუ გეშინიან. ალბათ შიმშილმა დაგასიზმრა.

- ჰოო? ვითომ? ძალიან კარგი... შენ პირს შაქარი. და ტორტი. მაგრამ არა მგონია... რადგან, ჯერ ეს ერთი, მაშინ ყოველღამ, შორს ჩვენგან ასეთი მუზა და, ყოველღამ უნდა დამსიზმრებოდა ეს, და, მეორე მხრივ, მაშინ, მხოლოდ სიმშილს რომ შევეწუხებინე იმ ძილში და ხვრინვაში, თუმცა მე არა, მე არ ვხვრინავ, მაშინ ხომ ეგრევე და მტკიცის ნაბიჯით შევიდოდი საპარლამენტო დეპარტამენტების აპარტამენტების მხურვალე სხდომათა დარბაზში კი არა არამედ ჩვენს კვალობაზე იმათსა ზეექსტრა-ბუფეტში ან სანდოპროდუქტებიან ტაშსასადილოში და ანდა სულაც სადმე ქუჩის კარღია ზაკუსოჩნიაში თუ ფული რომ მქონოდა, და თანაც

დორე იმის ცოლშვილებრძალთან მხარდამხარ ერთად, რადგანაც თურმე კათედრალურში თურმე იქ სამომხმარებლოდ მართლაცდა ცხადში ანუ პარლამენტარობისას თურმე კარგა საამო უთოფო კარებია (აირია აქ ბილბაო, აირია, მაგრამ თემა-საგანი იყო ძნელი - ავტ.), და თანაც აბა სიზმარში ნაღდ ფულს იქ აბა ვინ გადაგვახდევინებდა, სადღაა სიზმრად ნაღდი ფული, და ამიტომაც ვიყიდიდით იქ მე და დორე, ეე, დორე, დორე, ჰო - დოს, რეჰანს, და გერმანულ კარაქსაცწასმულ გერმანულ სარდელს მისუსტებული რძალისათვისი, მაგრამაც, არა! - მე ახლა ნამდვილად დავრწმუნდი, რომ ყოველი და ყოფილი ადამიანიც აუცილებლად ვაითუ ეგებ ფარული კარიერისტია... აგრეთვე, ნიღაბ-პატრიოტულობითურიც, კი. - და, ყოვლად მოულოდნელად, მაგრამ უადგილოდ, ვითომ? - მე მუშაობა მინ-დაა! მინ, - დااااა!! თორემ აბა ისე, ასეთ ოხრობას, რაღა ოხრობა დამასიზმრებდა. იჰ... რა საშიშია, მოცლილობა, - ჰეჰ!

ეეჰ, მუშაობა ბევრს კიგვინდოდა, მაგრამ ამ მონდომების ვერშეძლება სხვებისწილ კარგად ვერ იცოდა უღირსმა, ხოლო თავისი თავისა, - კი; და ეს „კი“ობა თავკერძობით კი არ მოსდიოდა, მაგრამ, ჩვენ აკი ჩვე-ჩვენი თავი და შემთხვევები უფროღა ვიცით, და ამ უღირსმაც იცოდაც, რომ, ბილბაოსავით, ისიც, შედარებით უდანაშაულოსავით იყო, რადგან სიცივეში, იმ სიცივეთი კალმისტარს თუ ვეღარ დაიკავ-დაიჭერ-დაიოკებდი, რაში და სიცივისაგან ხელშემშლელ შეშლილსა ხელში (ვაჰ! რამდენმაგი ხელიებია, ახლა კი, მხოლოდ ზაფხულ-შემოდგომობით ბუნებრიული თბოჰაერობით გულმოცემული და ხელ-კალმისტრიანი შეშლილობების ავტ.), არადა, ისე და სხვაფრივ, ძალზედ ძნელია რომ გამოვიდეს დასამწერლურიც, რაიმ. არამედ, ვრცელი ზამთრობით მის სამუშაო ლოჯიაოურ განატიხარში, რომელიც ფართით ზაფხულობით ექვს კვადრატიკულ მეტრამდე აღწევდა, ხოლო ზამთრობით სიცივეისგან კიდევაც უფრო იკუმშ-პატარავდებოდა, იმუშავებდა? - ვერ, რადგანაც ერთხელ რაფაზე რომ ცოტაწყლიანი ჭიქა დარჩა, რაღაცისათვის იქ რომ პალტოიანა შეიხედა, ჭიქაში ყინვით დახვდა ჩვეულებრივად თხევადი წყალი, ხოლო დანარჩენი საცხოვრებელი ფართი კი არ იყო იმოდენა, რომ სიცივეში, სამუშაოსთვის, ასახურებლად თან ერბინა და თან კედელ-კედელ მოწაიუცენზურო სიტყვებივით ნახშირით რამე-რუმეები ბეჯითად ეწერნა, მაგრამ, აქრო სურო არაფერი, აბა ნახშირიც სადღა იყო, ანდა თუ იყო, თანხები ღირდა, ანუ ვერ იყო, სულაც ვერ იყო, ნამცეცურადაც კი, ანუ ვერიკო ესე იგი, და თანაც მით უმეტეს რომ, უღირსს, ოხერს, ხანდისხანობით გრძელა-გრძელა წინადადებებით წერა უყვარდა და ერჩივნა, სულელს, აუტკივარ თავს იტკიებდა თავისით, მუდო, თხუნელა, - „თაგვია დიდი და სხვა-რიგი“, რაღა სხვა-რიგი, მთლად მორიგი უსაქმურივე იყო ისიც, და ამას გარდა მთლად და ნახევრადაც დალაგებულიც ვერ იყო იგი, იგი, განსაკუთრებით, უსაქმობისას, ხოლო იყო ერთიც ასეთი გამონათქვამი წყეულ-კრულვითური ადრეც და მაშინაც სრულიად საქართველოს თავისუფალ და აწინდელი თავისუფლებამდისინაც განსაკუთრებით რაღაცშესამჩნევ ერთ ხალხს შორის, გამონათქვამი, რომელიც რომ იყენებოდა განსაკუთრებით სხვებისადმი და არავითარ შემთხვევაში ოჯახის წევრთათვის, და როგორც ეს შესამზადებლად აქვეც აღვნიშნეთ ახლახან-ზევით, ჰქონდათ ასეთი ერთიც ასეთიც კი გამონათქვამი: „შენ კიბეზე ამოვიდა ბალახიი“, - რაც თავისთავად იქ ადამიანთა გადაშენებას უპატრონობით, მიანიშნებდა, ხოლო

ამ გამონათქვამიდან გამომდინარე და გლახა უკუაფორიზმისდა მიხედვით, მწერლებისათვის, ამ ბასრო თუ ბლაგვი კალმის ასეთ-ისეთი ოსტატებისათვის, შეგვეძლო მიგვეღო აი ასეთიც დოკუმენტურად მსგავსი გამონათქვამია-ია, ხოლო განსაკუთრებით კი შუაგულ ზამთარშია: „აი, შენ საწერ მაგიდაზე კი ამოვიდეს ბალახიიი“, და აი ეს, მხოლოდ საწყისისათვის, „აი ია“ -სავით, ხოლო მერე და მერე - ბუჩქები და ტყეეე, ჯუნგლი გაუვალი, ხოლო ზამთარში - თუნდაც მხოლოდ ბალახი, და ისიც - ლორთქო? - უცნაურია, სწორედ, რადგან შვაზამთარში და, იმის ჭახჭახ-სიცივეში, ბალახს აკი ხომ, და ისიც ლორთქოს, აბა და განა რა უნდოდა? და ისიც საწერ მაგიდაზე...

მაგრამ ასე იყო.

ოღონდაც მაინც გადატანითი მნიშვნელობით, კი.

ხოლო სიბნელეში, იყო მხოლოდ და მხოლოდ სევდა კი არა, და არც ნაღველი, რაღაცა მეტი, იძულებითიც უძლურება რამ, დამატებითი, ეს, რადგან ავად თუ კარგად, და საშუალოდაც კი, ანუ უღიმღამოდ, რომ ვერ წერ, ვეღარ, ვერ მუშაობ... ამით - დარდი, და ამითი ჯავრი, კაეშანი, გლოვა პროზა,-ზედ... და ერიდებოდა არამცთუ საკუთარ თავსა და ჩვეულ ხელობას, არამედ იმათ გახსენებასაც კი, ვინც აეს საქმე, ეს თვითდაწყევლა, ერთადერთ სწორ გზად ამოირჩია, - ერიდებოდი დიად მწერლებს, ფიქრებშიაც კი, რადგანაც იმათი გახსენება მათ წაკითხვასაც, რაღა თქმა უნდა, მოგანატრებდა, მოგანდომებდა, ეს კი ამსიბნელეში, ამ სიცივეში, შეუძლებელი გახდა და იყო, იყო და იდგა მთელ გრძელ ზამთრობით, და, გადასარჩენად, გასაღწევად, როგორმე ბოლომდე რომ არ გადაცდენილიყავი, იხსენებდი და ეფარებოდი, შეუვრდებოდი, ქვეშევრდომობდი სხვა ხელობების დიად და სპეტაკ, სალუქაჩრდილებს, ოღონდ რაღაცა მთლად გაუგებარი იდუმალებით ბნელში როგორ აბზინებულებს, გადასარჩენად, ეს, როგორ ჭვიოდნენ, და შვებისათვის იხსენებდი იმათ, ვინც ხელოვნების სხვა დარგებიდან ერთ-ერთიც დიდი, დიადი, უდიადესი, ჩვენთვის, ყველასთვის, როგორი ტანჯვით და წამებით როგორ იტვირთა და, სამუდამოდ მოგვიტანა, რა მწარე ზიდვით მოგვართვა, გვიძღვნა, დაგვაჯილდოვა, როგორ, და გადასარჩენად დაგვიტოვა დიდი ხნის შემდეგ ამ ძნელ დღეებშიც ადამიანებს, ჩვენ, და თუმც ასამუშავებელი რადიოლა სად იყო ბნელში, და მაგრამ, მაინც, როცა იმათი მუსიკის წარმოსახვითი მოსმენით მაინც ჯიუტად გადაიღლებოდი, მაშინ ცდილობდი იმ უდიადეს მუსიკოსთა ისე-უბრალო რამეებიც, ჩვეულებრივი და რიგითი ცხოვრებისეულიდან, მოგეგონა და რაღაც ისეთი რაღაცები გაგეხსენებინა, რაც ღიმილს მოგვგვრიდა იმსიბნელეშიც, გაჭირვებების, ჟამს: აი, ვთქვათა და გავიხსენოთ აი ის რომ, ერთხელ, თურმე, ამ ჩვენს მეოცე (XX) საუკუნემდე რამდენადმე ადრე, იდგა თურმე ერთიც ქალაქი, ოთხსავე მხრიდან სქელი კედლებით, კარიბჭეებით შემოსალტული, და ცხოვრობდა ამ, სულ სხვა ქალაქში ვინემ თბილისია, ერთიც მოხუცებული დაწინაურებული მუსიკოსი, ქალაქის მთავარი კაპელმაისტერი, რომელსაც ალბათ საკმაოდ შეუხედავი ქალიშვილი ჰყავდა, თანაც გადაქალიშვილებული, მაგრამ მაინც, რაღა თქმა უნდა, მისთვის მამას კარგი უნდოდაო, როგორც იტყვიან. ამიტომ მას, მამას, დაუძლურებულს, მხოლოდ ორი რამ ძალიან სურდა, რათა შედარებით მშვიდად რომ

გარდაცვლილიყო, ერთი ის რომ, თავისი მაღალი და საპატიო თანამდებობა ვინმე ნამდვილად ღირსეულისათვის გადაებარებინა, ხოლო მეორე ნატვრა იყო, რომ ერთადერთი პირმშო, რომელიც, ბუნებრივია, ზომიერებაზე მეტად უყვარდა, როგორმე კარგად, ანუ შეძლებულსა თუ, უკიდურეს შემთხვევაში, ნიჭიერ-ვისმეზე მაინც გაეთხოვებინა, და თანაც სიძის ქონება-შეძლებას ძალიან გაფაციცებულიც არ დაეძებდა, მდიდარი იყო უკვე ისეც, და აი, ერთხელ, თურმე, ქალაქში სხვადასხვა მხრიდან კარიბჭეებით შემოვიდნენ ოღონდაც ფეხით, ორი დაღლილი მაგრამ იმედისმომცემი სუმთლად დამწყები და გარკვეულწილად კარგმონაცემებიანი ანუ მზარდი ახალგაზრდა მუსიკოსი, მაგრამ ორთავე ასე ვთქვათ უმუშევარი და გაჭირვებული, რაიმე მუსიკალური თუნდაც რიგითი მაგრამ თავისთავად საპატიო სამსახურის გულმოდგინედ მაძიებელნი, და ერთ-ერთს თურმე სახელად იოჰანი ერქვა თურმე, მეორეს კი - გეორგი, და თუმცა უმრავლესობა ლეგენდებისა გადმოგვცემს რომ, ეს ორი მუსიკოსი ერთმანეთს არასოდეს შეხვედრია, მაგრამ ერთიც ლეგენდა ამბობს, რომ კი შეხვედრიან, მაგრამ არ იცოდნენ ერთიმეორის გვარიო, და მოდით, ამ ცალ ლეგენდას დავუჯეროთ, რადგან უმრავლესობა, ხალხისა და მისი გამორჩეულებისა არ იყოს, ტყუის, და მოხუცებულმა მაესტრომ, მუსიკალური თანამდებობების განმგებელმაც, მათი გარკვეულწილად დამაკმაყოფილებელი შესაძლებლობები რომ მოისმინა და გაეცნო, ისე მოიწონა, რომ აღფრთოვანდაც და თავისი ადგილი, ანუ იმ დროისათვის კარგა მოზრდილი ქალაქის მთავარი კაპელმაისტერობა შესთავაზა მათ, ეს სწორედ იმათ, რომლებიც, განსაკუთრებით ერთ-ერთი, მხოლოდ საშემსრულებლო, თუ კიდევაც უფრო მეტი ხელოვნების გარდაც ორკესტრის სადმე მიყრუებულშიაც კი, თუკი ორკესტრში საერთოდ არსებობს ასეთი ადგილი, და იქ ხმადაბალ დაკვრასაც დიდის სიხარულით დასთანხმდებოდა, და არ ითაკილებდნენ ამას, რადგან რამდენსამე ინსტრუმენტს როგორც იტყვიან დამაკმაყოფილებლად ფლობდნენ, და უცებ, ისეთი თანამდებობა ეთავაზათ მოხუცებულის ბაგით, რომ, შედარებით დამწყები და ახალგაზრდა კი არა, დიდად გამოცდილი და ჭარმაგი მუსიკოსისთვისაც კი ეს დიდად მაღალი მუს-თანამდებობა იყო, რაღაცა ერთგვარ გენერლობასავით და ზედაც პლუს მაიორობა თუმც ნიჭიერი მაგრამ მაინც ცალსამხრეიანი დამწყები სერჟანტებისათვის, ოღონდ, იმ პირობით აღეთქვათ ეს, იოჰანსაც და გეორგს, თუკი ერთ-ერთი მათგანი თუკი ქალიშვილ-მაესტროვნას კუთვნილ მეუღლე-ცოლად შეირთავდა, ზედაც თავისი იმდროინდელი კომფორტაბელურ-კომუნალურპირობებიანი არცთუ ძააალიან დიდი მაგრამ მაინც სასახლეთი, ხოლო თუ რომელი უფრო გამოიდებდა საქორწინოდ თავს, ამისათვის მან მათ თავისი საყვარელი პირმშო პატარა ხნით აჩვენ-დაათვალიერებინა კიდეც ოღონდ რაღა თქმა უნდა, ჩაცმული, და ამ ორმაგი ჯილდოებისა მოსარიგებლად, ანუ თუ რომელი რომელს დაუთმობდა ამ ორმაგ ბედნიერებას, მოსაფიქრებლად მთელი ერთი ღამე მისცათ, თენების მამლების ხმობამდე (მამლები ახლაც კია ქალაქებში), და საბოლოოდ კი დილის ჩინებულ საუზმემდე, იქამდის ნამოგზაურებებს, დაღლილებს და მშივრებს, და მოწმეებს რომ ეგონათ თუ, რომ ქონებისა და სიმდიდრისათვის იმათში უბრალო კინკლაობა და ქიშპი კი არა, არამედ ნამდვილ დუელამდე მივიდოდა იმათი საქმე, მეორე დილით შეშინებულებმა, უკვე ხომ არ დახოცეს ან არ დაწამლეს ერთმანეთიო, უცადეს, უცადეს ჯერ და მერე მოიკითხეს ორთავენი და, მაგრამ უშედეგოდ, რადგანაც ერთი იმათთაგანი, იმავე ბნელ ღამით,

ქალაქის ერთი კიდაროდან გაქცეულა გაურკვეველი მიმართულებით, ხოლო მეორე, იგივ ბნელ ღამით - მეორე კიდაროდან გაპარულ-გაქცეულა და ისიც ასევ გაურკვევლობისაკენ, არ დაუტოვებიათ ამბავი და ზაპისკა, და მთელი ქალაქი ძალიან განცვიფრებულა, ეს რა ადგილი ვერ შეიშვნესო, თანაც თავისი დადებითი პირობებითო, ჰკვირდნენ, და მაინც, აბა ძალიან განსაკუთრებული რაა ამაში დიდად საგულისხმო და ამ ჩვენს სიბნელეში გასახსენებელი და იქით სხვებისთვისაც კი მოსაყოლიც კი მით უმეტეს, ხომ ვიფიქრებთ რომ აბა რა ჩვენი საქმეა იმათი საქმეო, და ჯანდაბაშიც გაქცეულანო, ეს რომ არ თქვათ, და რომ არა სთქვათ ისიც, რომე, ვინ იოჰანი და ოვანესა, რაისი გეორგ და ჟორჟიკაო, ბარემ იმასაც მოგახსენებთ, რომ ერთი მათგანი თურმე იოჰან სებასტიან ბახი ყოფილა თურმე, ხოლო მეორე - გეორგ ფრიდრიხ ჰენდელი, თუმც ადამიანებიდან, თუნდ ისეთებიდანაც კი, აბა რომელნი არა ვყოფილვართ დამწყებები, ხომაა ასე?

სწორედაც ასე მოქცეულან, დამწყებები და მუსიკოსები ეძახეთ შენ.

ბოლოს, იპოვნეს მაინც თურმე, რაღაც ადგილი. ოღონდ, საცოლით ცარიელი.

და, საერთოდაც, იპოვნეს ადგილი, -

ხოლო სულ ბოლოს, რაღაცით მეტი.

იჯდა უღირსი სიბნელეში, იღიმებოდა.

ანდა, როსინიმ და ვერდიმ პირველად რომ მოისმინეს ვაგნერი, თავისთავად ხომ უდიადესი კომპოზიტორი, შეძრწუნებულან პირდაპირ თურმე, რადგან სმენაფაქიზი იტალიელი კომპოზიტორებისათვის, სმენაფაქიზივე მაგრამ მაინც სმენამოყვარულ-მსმენელ იტალიელებისაგან განსხვავებით, ასეთი გაბმით მგრგვინავ-მჭეხარი მუსიკა, ბოდიშით კი გამოთქმისათვის და რაგინდ გენიოსიც იყვნეთ, იმათთვის მაინც მიუღებელია; და ვაგნერის ამ მოსმენისას, იქვე, დამთავრებისთანავე, მაესტრო ვერდის, რომელიც, იმისო მუზავ მაპატიე და (წამოგვეწია, ამ ხუმრობა-ხუმარაობებში რაღაცა, ავტ. ის ეკლიანიცა მაყვალი), სიტყვა-პასუხში მოურიდებელი და რამდენადმე სწორხაზოვანი იყო, მაშინვე ასე წამოუძახნია: „ის - შეშლილია!“ და ეს როგორი ვრცელი სიბრიყვე (რბილი სიტყვაა) მოჰყვა ვაგნერგაცნობას ზოგიერთისათვის, რადგან ვიღაცა მუსიკათმცოდნეს, ვთქვათ, ეე, ჰო, ჰო, დაახლოებით ტარკინისთანას - ჰოიივ, ტარკინი, რამდენხანია ერთი აღარ გაგვხსენებიხარ, დაუვიწყარო შე, სახეძაღლო, - ჰო, და ერთმაც ტარკინისთანამ თურმე შემდგომი „აიდა“ -ს მოსმენის შემდეგ ისეც დაასკვნა, რომ ავტორს, თურმე, ნუღა იკითხავთ და ვაგნერული გავლენა აქს იქ, და ტარკინისებრს, იმ შეჩვენებულს (სიტყვა ახალი! თუმც, მაინც შევამოწმოთ... ეჰ, ადრეც ყოფილა „შეჩუენება - ესე არს შჯულიერად აღმოფხვრა, გინა წარწყმედა“... ძველი ჰყოფილა... მაგრამ ვიძახოთ მაინც!)... ჰო, იმ მართლაცდა შეჩუენებულს, „ბეთჰოვენისო“ მაინც ეთქვა, რადგან ვაგნერი ამ უკანასკნელს (ჰეჰ! მეც აბა რა ვსთქვი!? - ბეთჰოვენზე, - უკანასკნელი! - ავტ.) ისე ეთაყვანებოდა, ადიდებდა და მისგან ბოძებული განუზომელი წყალობებით ამაყობდა კიდეც, მაგრამ აარა, არა, ვაგნერისაო გავლენაო, ჰეჰ! და აი ესა მხოლოდ ბრიყვობა და შტერობა კი არა, ეს გიჟთა ათერთმეტივ სახეობაზე და თანავდროული ათას ცხრაას 90-ანი წლების

გადამხვევებსაც კი ჰაფრაკობებში სადღაც კოჭებამდე თუ მოგვწვდებოდა; რადგანაც დროს, განსაკუთრებით ხელოვნებისთვის, რაღაცა სწორი ხშირად მოაქვს; ხოლო ისინი, თუმც ერთეულები მაგრამ „აიდა“ ახალნაჯახნი, ამას იმით თუ ასაბუთებდნენ თავისი ჭკვით, რომ ორთავეს აქვს დიადი მარშები, მაგრამ ძალიანაც სცდებოდნენ, რადგანაც რომელიმეკუთხა ჟანრი არაა გადამწყვეტი, რადგან ესა ხომ იგივეა, რომ ითქვას ასეც: „გიუსტავ ფლობერი და ვამიყ თანდაზიანი ემოყვრებიან ერთმანეთსა, რადგანაც აკი ორთავენი აკი მოთხრობებსაც სწერამდნენ“-იო, „ი-ო, ვამიყ - მეტსაო“, მაგრამ აქ საგანს განსაკუთრებულად ცუდად ავცდით, მით უმეტეს, რომ უღირსს სულაც არ სურდა პროზისა და იმისი პროდუქტების გახსენებაც კი, რადგანაც უფრო ღიზიანდებოდა, ბნელში, მოკლედ, განვაგრძოთ, ჰოდა მაისტერ ვაგნერის მოსმენის შემდგომ მაესტრო ვერდის თუკი მაშინვე, მისთვის ჩვეული ხანდისხანური მოურიდებლობითა და ხანდახანდური სწორხაზობრიობით მაშინვე ასე წამოუძახნია: „ის - შეშლილია!“ და მთელ იტალიას მოსდებია მაშინვე თურმე იმისი აზრი, ხოლო ცხოვრებაშიაც ლამის თაღლითობამდე დიდად ცუღლუტი და კვიმატი და ენამოსწრებული როსინი კი, მთელი მართლაცდა სრულიად იტალიის დიდგასაკვირვად, სდუმდა. მაგრამ, მაინც იმედოვნებდნენ რომ, აგერ იტყვის და აგერ იტყვის რაღაც მისებურს, დასაქცევსო, მაგრამ მაესტრო, დუმდა და სდუმდა. გადიოდა დრო, დრო - ერთდროულად მიზანსმწრაფვი და მაინც მუდამ მიზანს მარად მიუღწეველი, სწორხაზოვანი, რისი სიზიფე, ის უკანაც კი ბრუნდებოდა, გავიდა ასე, მთელი სრული დღე, ორი, სამი, და, ავოეეე, კვირაც, ხოლო როსინი, - კლიტე. არადა, ირგვლივითები გიჟდებოდნენ რომ? - ისე ძალიან ეწადათ ყველას იმისი აზრი, თანაც ასეთ მუსიკალურ განსხვავებულობაზე, მაგრამ, - ეეეჰ... ხუნდი, ბორკილი... ავტომთავლიტი. იდუმა, იდუმა თურმე ამ როსინიმ მთელ კვირას ასე, და რომ ჩაიქნიეს თვით ყველაზე სულმაინცსწრაფმა იტალიელებმა მის აზრზე მოუსვენარი ხელი (აი, აქ „ხელი“ შეიძლება, და არა „ხელოვნება“ -ში, რადგანაც განა აბა ეს საქმეა? - „ხელო-ვნებაში“ -შიო, ეს მერამდენედ ვიმეორებ, გულმოსული ვარ - გულმოსული ავტ.), და რომ დაპატიჟა ერთხელაც როსინიმ თავის მხიარულ სახლში შინაურულ-რამ წვეულებაზე ერთი ქალაქის მთელი ნაღები, „ერთი ქალაქის“ ამ შემთხვევაში აქ ძალიანაც ცრუ-მარტივად ჟღერს, რადგანაც იმისი ერთი მთავარი ბინადარის ნათქვამებ-საქციელი მაინც მეორე დღესვე მოედებოდა მთელ იტალიას მაინც, იტალიელებს, ენაზე რამე დაამაგრდებოდათ თუ რა, ნაღებებიდან, ყველანი იყვნენ, მუსიკოსურნიც, ოღონდაც ვერდის გარდა, რადგანაც ვერდი იმ თავის საგლეხოდ არ ყოფილიყო გინდაც სოფლად და გინდ ამ ქალაქში ყოფილიყო, სადაც განსაკუთრებით საშიში იყო ენაცეცხლ-როსინისთან თამაში, მაინც ვერ მოიძებნიდით იქ, რადგან როსინისთან დამდურებულივით იყო, რადგანაც როსინიმ „ნაბუქო“ ს მოსმენის შემდგომ, ვერდის ხუმრობით „კომპოზიტორი მუზარადში“ უწოდა, რაც, რა თქმა უნდა, იმავ საღამოს შეიტყო ენავერმორჩილ თანამემამულეებისაგან ვერდიმ, ჰეეივ, როსინი, ვერდიზე რომ - „კომპოზიტორი მუზარადში“ო, ვითომდაც თვითონ, ყმაწვილს, თუნდაც „ქურდი კაჭკაჭი“ -ს თუნდაც მხოლოდ შესავლის დასაწყისსა ან შესავლის დაბოლოებაში, ვითომ სულაც არ ჰქონდა მარშობრივადაც და სინკოპაურადაც კი მგრგვინავ-ზათქური ადგილები; ეს გამონათქვამი, ალბათ, ახალი თანამეფის აღმოჩენით უფრო მოუვიდა, იმათ დროს აკი ორმეფობა მართლაც ჩამოყალიბდა იტალიაურ

მუსიკალურ თვითმპყრობელობაში, და უღირსი კი ალბათ ვერასოდეს ვერ გაიგებდა (ბოლოსწინა „ვერ“ ზედმეტია - გრამატიკე ავტ.), თუ რომელი რომელზე იყო უფრო მეტი, და ამაზე კი ისე ხშირად ფიქრობდა, რომ, ძალიანაც იბნეოდა, ასევე იყო თავიდან, ადრეც, თუკი როსინის უსმენდა, ხომ - როსინი სჯობდა, თუ ვერდის - ვერდი, სიჩუმისას კი, ძალიანაც იბნეოდა, ამ გადაწყვეტილებადადგენისთვის ძალიან უსუსური, მაგრამ, მააგრამ, თუმც ხომ, თუმცაღაა, მუდამ არსებობს გამოსავალი - სახარ ტარკინიიი! დაუვიწყარო, მიგვატოვოაარ, გვიპასუხევიი შე სახეძაღლო!.. შე სახეფისო (კატისოჯახის მნიშვნელობით), და აი კვლავაც საგანსავ ავცდით, მოკლეთ, როსინისას სტუმრად არ იყო მხოლოდ და არც იქნებოდა გინდაც ქალაქში ყოფილიყო და არა სოფლად, მართლა მუსიკოსებიდან, მხოლოდ დამდურებულივით მაესტრო ვერდი, მაგრამ რომელმაც, ნაღვლიან-მერეს, როსინი მერე ისე წრფელად, ისეთი შეძვრით დაიგლოვა, ჰეე... - ა! - კიდევ ავცდით, - და საბოლოოდ ბოლოდმოკლურად, მოკლეთ, დაიარება ეს ჩვენი როსინი ჩვენში (ვაიმე? როგორ უნდა ვყოფილიყავით იქ... მაგრამ გადატანითი მნიშვნელობით, შეიძლება - შეძლებული, ავტ.?!), ანუ მისით აღფრთოვანებულ სტუმრებიდან სტუმრებში, და როგორც ყოველთვის, თავისუფლად ქილიკობს, ლაღობს, ლამაზ ქალებს და ჰერცოგინიაებ-გრაფინიებს სულ ფერადოვან ქათინაურებს ეუბნება, მამაკაცებს კი რაღაც იშკილბაზურებს მსუბუქად სტყორცნის, სადაცაა რომ, გემრიელ სუფრას მიუსხდებიან, და თან ვის სუფრას - როსინისას, ეამაყებათ, ძლიერ წარმტაცი შთაბეჭდილებებია, ხოლო როსინის მთელი სხეულიდან, და განსაკუთრებით ნათქვამებიდან, გამოუჭვივის ჰაეროვნება ისეთი რომ, შვებისმომგვრელი სილაღე-რამ, აი ისეთი, სწორედაც რომ მხოლოდ მისეული, აბა სადაა სხვაგან ყოფნა-რამ უკეთესი, ნეტარებენ და მარაოებით ინიავებენ ბედნიერ სახეთ, აეს - ბეჭდებხუნძლული ქალები, კაცებსა კი პანტალონები აცვიათ რომ, გაგეხარდება, ისეა კარგად მორგებული და ზოგიერთთათვის, თუნდ გრაფფინიებისათვის (ესეც კატათოჯახოვანთაგან), სულ ლორნეტებით შასახედი, ამქვეყნიური ნეტარებაცააც, მოკლეთ, და�ა, აქ, უცებ ისეთი ზათქი და მტვრევა და ლეწვა და თავზედდამსხვრევა ქუხილივით, რაღაც ახლახან ისე მოწმენდილ, კაშკაშა ცაზე, გრგვინვა ისეთი!!? - რომ მთელი საზოგადოება, ადგილზე ძალიან ძლიერ შემხტარნი ჯერ სავარძლებიანა და მერე მაშინვე მოკაკვულნი, ზოგიც იატაკზე, ცახცახდებიან, თურმე, და, ცოტათი რომ, სულ ცოტათი რომ გადაუვლია იმ პირველ ელდას, ჩამოუწევიათ სუცოტათი, თავსმოხვეული ხელები, და თითებიდან დაზაფრულები იცქირებიან, რაღაც კიდე-საშინლის მოლოდინში, ჯარკოვსკი ხომ არ შემოიჭრა ავსტრიელებით და ქვემეხებით ჩვენს ქალაქშიო, გაუფრთხილებლათ, მაგრამ აქ თურმე მთავარი ლაქია შემოსულა, - ნეტა ლაქია მთავარი და დიდი უფრო სჯობს, თუ ძალიანაც ქვემორიგითი? - აიი, კვლავ ავცდით, - მოკლეთ, დიდი მთავარი ტანმომცრო ლაქია შემოსულა და, მასპინძლისათვის, ისიც კარგა ფერდაკარგულისთვის, მოუხსენებია, რომ, თურმე, თურმე ნუღა იკითხავთ და რომელიღაც რიგით მოახლე გოგოს, გოგონას, თუ სულაც ბრგედ ქალს, სუფრის გასაწყობად ჭურჭლეულობით ისე ძალიან ძლიერ გადაუტვირთავს დიიიდი ლანლანგარი, და გვერდით ოთახში, სასადილოში რომ შესულა, ჯანიანი კი ჰყოფილა ალბათ და თურმეც, მაგრამ წონასწორობის გამოზომვას ყოველთვის როდი ჰყოფნის ჯანი და წოდებებიც კი, და ეს ჭერამდე ახორხოლავებული ჭურჭელი სულ გრიალ-ზრიალ-

დაზათქებითურ დანარცხებულა რომელიღაცქვის იატაკზე, მარმარილოსაზე ალბათ, და ყველას შვებით ამოუსუნთქავს ეს რომ შეიტყვეს, მაგრამ კიდევ კარგი და კიდევ კარგიო მაინც ვერ უთქვამთ, - ხმაურისაგან გამომდინარე, დიდუნდა ყოფილიყო იგი ზარალი, ძვირფასად კარგი ვრცელ-ჭურჭლეული, და რომ ეგონათ, რომ როსინი იქავე მყისვე ზეწამოიჭრებოდა და დასასჯელად გამოიძახებდა იმ მოახლე გოგოს, გოგონას, ქალიშვილსა თუ სულაც ბრგე ქალს, და მომავლისათვის ჭკუის სასწავლებლად იქვესტუმრებში დატუქსავდა განრისხებული ანდა სულაც გააძევებდა (ოქტავასავით შვიდი მთის იქეთ) სტუმრებისავე გულთ-გახეთქისთვის, მაგრამ აქ განსაკუთრებული შვებით ამოუსუნთქია თვითონ მასპინძელს, რომელსაც, ალბათ ძალიან ძვირფასი ჭურჭლის ძალიანაც დამსხვრევებისდა მიუხედავად, მაშინვე აი, ასე უთქვამს: „აჰ, კიდევ კარგი, კიდევ კარგი... მე კიდე მეგონა, რომ ვაგნერს ასრულებდნენ“.

ა, - აი ასე შეუფასებია ის თავისთავად უდიადესთაგანი, დიდი ვაგნერი, და თურმე, ყმაწვილმა, თურმე ვაგნერზე თურმე ამდენი იმიტომ ითმინა, რომ შესაფერის, ამგვარადაც კი თავსდატეხილ გარემოება-ვითარებასაც კი, იმედით უცდიდა, და, იმიტომაც ასეთასიგრძედ ამდენი იმიტომ იდუმა.

და, როდის-როდის თენდებოდა, ირიჟრაჟებდა თავიდან ჯერ, ნამცეცდებოდა სიბნელე მერე; მაგრამ ეს - მერე, სუთავიდან კი, კუნაპეტიდან, მერე და მერე, ირგვლივითურა წმინდა საცერში რჩებოდა კუპრი, ღამის ლექივით, აქვე ახლოს კი, ძლიერ იქიდან, თვალდანისლული გამრკვევიდან შემოჟონილი მაძიებელი, ქვეყნის მომპოვი, სისხამობისკენ მიდრეკილი, მჟღავნი-რამ, რაღაც, ბნელის აღმგველი, და თუმც წყნარი ჟრჟოლით, სუსტი თითქოს, მუქი და მაინც ჰაეროვანი, ჰაერმიერი, მაგრამ როგორი ჯიუტურა, თავიდან როგორ დაოკებულად, და თან მეტად მძიმედ კი დაგვწოლოდა და შემოგვრტყმოდა, ახლა კი, როგორღაც წყნარი ნაკლულებით იწელებოდა თუმც ისე უტყვად და მაინც ისეთის ნელი და გაძენძილი სიმსუბუქით და აჩემებით, რომ, ისმოდაც, თითქოს, და, ბაცდებოდაც, მომხდარი ღამე, ყოფილი ჭარბი, და, ნართაული სიბნელიდან, რჩებოდა, ბინდი-ღ, ისიც, ლხვებოდა, მყარდებოდა, და, მოდიოდა, დღევანდელობაც, მაგრამ რათ გინდა...

მაგიდას თქვენ ვერ მიუჯდებოდი, რაგინდ სალუქი გიჟპოეტა თუ ხელ-პროზაიკოსი თქვენ გინდა იყო, რადგან, მინუს იყო, მინუს იყო, მინას ჭირხლი შაჰყინვიყო, სითბოში ვერ ეტეოდა, სიცივეში კარგა იყო, ეს - ჭირხლი, ჩვენ კი არა... გვეხუმრებოდა, კი, კი... დიახ, როგორ არა.

გამოხვიდოდი გარეთ და, მე თქვენ გეტყვი და რასმეს სულიერს, ანდაც უსულოს გადააყოლებდით გულს, თვალს თუ ცალყურს, გელაპარაკები შენ; გაიხედავდი? - აგზნებული, დაიხედავდი - ნაგავი, გამოიხედავდი - უფრო აღგზნებულები თუ გასაცოდავებულები, დაიხედავდი? - შელახული წუღა-მესტები და შალვარი, „შალვარი ბერძნულია, ქართულად ორკეცს ნიფხავსა ჰქვიან და გარე ამოსაცმელსა შალვარსა - საწმართული და პერიკამი“, მიმოიხედავდი, მიაგდებდი შენს ჩამწვარ სიგარეტს ნაგვურ დომხალში შენც, თუმც ადრე ეს არ გჩვეოდა, ურნებიც, იყო, ახლა კი - „მაინც რა უნდა დაემატოს და შეეტყოს, ისედაც, ამას“, მერე რაღაც მოძრავ

რამისკენ გაგექცეოდა თვალი და, ისევ ქუჩის ქუჩური ძაღლები, ან, თუმც ჩაუწერლად მაგრამ მაინც ძალიანაც გაშინაურებული ვირთხებ-თაგვები, დიდად სათუო საშოვარზე მცირე იმედით მაინც გარეთ, დროებით, ცარიელ-ტარიელობიდან თავზეხელაღებულობით გამოსულნი, ხანდახან შინაც ვერ გვიბრუნდებოდნენ, ჯილდოებმიღებული ნამდვილი და გახარებული ძაღლების შეწევნით, აიხედავდი ისევ, განზეც - და დაუმთავრებელი ლოჯიაები ირგვლივ, უქმ ხარაჩოებად რკინის მარადი ჩონჩხებივით, იდგნენ, ელოდნენ გაჯსა თუ ცემენტს, მაგრამ სად იყო ამისთვის ფული, შინ თუ ბავშვები შიმშილისაგან უტიროდათ, არადა, დიდხანსაც ვეღარ იდგებოდნენ კიდე, თავის დროზედაც კი როგორი წვალებით აგებული ეს რკინის საყრდენები, რადგან აწვიმდათ, ათოვდათ, ქროდა, აცხუნებდათ და, ლოლუებიც, „ლოლუა - თითივით პური“ - არა, პური სად იყო თუნდაც თითივით, ასე იოლი, არამედ ყინულის ლოლუებიც ბლომად ეკიდათ და, ამეებით მარადიული ჩონჩხებივით იდგნენ კი არა, როგორ თანდათან და უფრო მეტად ჟანგდებოდნენ, და, ეგებ ზოგი ადამიანიც არ იქნებოდა ასე პირქუშად გაბოროტებული, რადგან რამდენად ამტან რკინასაც კი, - ჟანგი, ხოლო „ჟანგი - რკინის გესლი“, -

ვიგესლებოდით, ჩვენც.

ხოლო შორს თუ იყავ წასასვლელი, მეტროზე უკვე მოგახსენეთ, უიშვიათეს ტროლეიბუსის სახურავებზედაც კი - მართლაცდა რომ საკვირველი, საოცრება თუ გინდათ, სწორედ ეს არის - ცოცხალი ხალხი ამოსულიყო, და მაგიდაზე გვიკვირს კიდევ - ლორთქო ბალახი? და მაინც ისევ შინ გვერჩია, მაინც უჩარჩოსა და უბანდიტო კედლებში, და, საბნებსაც რომ გადაიხურავდი შელახულ შალვარ-საწმართულ-პერიკამამხანაგ პალტოზე, თუკი ძალიან შემთხვევითური, ან დაუდევრობითული და გასაოცებითური, მართლაც ბითური ელდენი თუ იყო, რადგან ადამიანსაც და არაადამიანსაც მხოლოდ ერთ მარად ფერად აბჟუტებდა, - „მწვანე - ბალახის ფერი“, და ისი მწვანეც თუმცა, ბალახი, მაგიდებზეც (სასადილოსიც) არ გვეყოფოდა? მაინც ვუსმენდით და ვუყურებდით ტელევიზორს, ძალიან მოულოდნელად ამეტყველებულთ, და სახელურების (ამ ხელ-ურებს ხომ, სად გაექცეოდი), ეე, თითებით სატრიალებლების და, საერთოდაც ორმაგული გადატრიალებების შემდგომ, იმ თავდაპირველ იმედოვნურ ხანებში მაინც, შევცქეროდით და, იქ კი ხავსმოდებული უზენაესი საბჭო იქნებოდა ეს თუ ქორფა და ლორთქო ახალი პარლამენტი, სუმწვანედ სჩქეფდნენ, აყვავებულები, პირდაპირ გამწვანებურად სჩქეფდა ფერად-ფერადი დაპირებები იქიდან და, უფრო მეტიც კი, ვინემ სჩქეფდა - არა, დუღდა და გადმოდუღდა.

ჯერ ხომ იმედით ვუყურებდით, არა? - სულ განაბულად ანთებულები... - მაგრამ, მერე და მერე, გავცივდით ყველა, რადგან ისინიც, ნთებით გაცივდნენ, ეს ჩვენთვის, თორე ერთმანეთისთვის, სიზმარეული ბილბაოსა არ იყოს კვლავაც პირ-ძალიანაცდაღებულად ეშთაბეჭდილებოდ-ეულტიმატუმებოდნენ ერთიმეორეს და მეასმეთვრამეტეს, და ბუნებით ეჭვიან უღირსს რომ თვითშეეჭვებით რომ ეგონა რომ, ვაითუ არ ვარ პატრიოტი და ამიტომაც გავცივდიო (გადატანითი მნიშვნელობითაც), და ვაითუ ეგება მხოლოდ მეო, თანაც რის მიმართ, ხალხისაგან და მიერ არჩეულ, და დაწინაურებულ, მთლად სანაღებო ნაღებიდან უზ. საბჭოსა

და პარლამომენტარადმისადმიო, მაგრამ, არა, არა, თურმე ასეც არ ყოფილა საქმე, რადგან - ეს მართლა აღარ ახსოვს, უზ.-საბჭოობისას და იმის დროს მოხდა ეს თუ პარლამენტაობასურობისას, ისე კი, ნამდვილად, როცა იყო იყო, ძალიან ცხადად გამოვიდა თუმცა მწვანედ და თუმც დაზაფრულ-ყოფილ ცისფერ ეკრანზე ერთიც, ჩვენსავით მსმენელი ახალგაზრდა აღელვებული კაცი და, როგორღაც ერთდროულად დამწუხრებულმა და აღშფოთებულმა, ასე თქვა რომ, თურმე ორიოდ წლის წინ ლაბორატორიის გამგე ყოფილა, თანაც ნამდვილ უმაღლეს სასწავლებელში, ატარებდნენაც თურმე მეცნიერულ ცდებს, ჩემო ბატონო, მერე კი, ერთ-ერთი გადატრიალებისა თუ რომელიღაც მაშინ ჯერ კიდევ არაყირავებული რომელიღაცა პარტიულობის წარმომადგენლებს მისადმი რწმუნებული ლაბორატორია რატომღაც ყოვლად უმიზეზოდ დაუმსხვრევიათ, თუმც, მთლად უსაბაბოდ არა - რომელიღაც სხვა პარტიისადმი პროტესტის ნიშნად, თუმც არც ერთი ამლაბორატორიელი არცერთ პარტიას არ ეკუთვნოდა, მაგრამ მომხვდურებს თურმე რომელიღაც თანალაბორატორიამშრომლის გვარი შეშლიათ თუ რაღაც ამდაგვარი, და თანაც იმათი პოლიტექნიკური ინსტიტუტი უნივერსიტეტი გონებიათ და, ორივე ხომ უმაღლესიაო და თანაც, ბედზე, არა, ბედზე კი არა ავბედზე მაინცადამაინც ამათი ლაბორატორიის ნუმერაციის კარის ნომერი მათადმი დასამტვრევ-დაშვებულ ნუმერაციის კარის ნომერს დამთხვევიათ და კიდევ რაღაც ამდაგვარები ალბათ, აბა ტყუილად ხომ არ შეიჭრებოდნენ არა მხოლოდ ფიცვერცხლნაჭამი ერთ-ერთი განხრიულობის ძმადპარტიულნაფიცი მამულიშვილები, და სულ ნაცარტუტად უქცევიათ ლაბორატორია-სამსხვერპლო საერთო საქმისათვის უკანასკნელი კოლბებიანად, თუმც, მართალი თუ გინდათ და ითქვას, ამ დაჟინებით მომავალი უსინათლობის (თვალის კი არა) გამო რაღაც ორიოდ თვეში და ახლაც, სხვათაშორის (შევაერთოთ აქ ეს ორი სიტყვა, სხვათა და შორის, მიფუჩეჩებითი გამოვიდეს რადგან), მაინც უმუშევარიიქნებოდა ეს ახალგაზრდა და მონდომებული და მუყაითი კაცი, გინაც ლაბორატორიული მოწყობილობები თვალის ჩინივით გაფრთხილებულად და საღსალამათი უბრად მდგარიყო, რადგანსინათლეჩვენშიდარჩესდაარცახლაა, და, ძალიან რომ გაჭირვებიათ მასა და მის ცოლ-შვილს, ღამის დარაჯად მოწყობილა რომელიღაცა ავეჯის კერძოდ მარკეტინგულა მაღაზიაში, რადგან ნაწილი ავეჯისა ზამთარ-ზაფხულ და დღეღამურად ქუჩაში, ანუ ნაგავში იყო გამოდგმული მაგრამ ცელოფანებშემოხვეული, ხოლო ამ ახალგაზრდა, მუშაობას შეჩვეულ კაცს, ძლიერ კი სურდა იქაურობის დაგვა-გაწმენდა მაგრამ უფროსნი ამის ნებას არ იძლეოდნენ, რადგან ნაგავი და მასში დგომა იმათ გასაყიდ ტახტრევნებსა თუ სოფა-კუშეტკებს ძალიანაც რომ მომგებითურ ფონებს აძლევდა, ა, კიდევ ერთიც გადავუხვიეთ, და, მოკლედ, რადგანაც ყოფილ მეცნიერს პოლიტიკური ვნებათაღელვების გამო საათივით აწყობილი ლაბორატორიის ნაცვლად დარაჯის სასტვენიღ (ჩასაფსტვენიღ, თორე მაშინვე მოვარდებოდა ვინმე, კი, როგო არა) შერჩა, და რომ ეგონა, ახლა მაინც, ჩვენი უზნეო რა იყო არამედ ჩვენი უზენაესი საბჭოობისას, თუ ეგებ მისი შემცვლელ-შემცველი პარლამენტაობისასტუშ, რომ ეგონა თუ, რომ გამოფიტვითი სიკვდილისაგან ახლა მაინც, კი, მიხსნიან და დამიცავენო, და მის და მრავალ მისთანანის სათავგასატანო პირობების გასაუმჯობესებლად ზრუნვას ხელებდაკაპიწებულები შეუდგებოდნენ, და, რომ ელოდა, რომ უზ.-საბჭო (ასე გამოხატვა არა სჯობიან? რადგანაც „უზ“, „ხელი“-სა არ იყოს, ორს რასმე უდგა,

სათავეში - უზენაესსა და უზნეოს), ჰო, უზ.-საბჭოო, თუპარლამენტი, რაღაც შველაზე მრავალთავიან თავებიდან რამდენიმეს მაინც ჩვენზე ზრუნვისთვის გადადებსო, დიდის იმედით შეჩერებია პლენ-არაულ სხდომას, ხოლო იქაკი, თავგამოდებაა თურმე დიდი და ჯერ სიტყვითი ჩხუბი სულ სხვა რამეზედ, გინდა თუ არა მაინც როგორი და მაინც რაფერი უნდა იყოს ახალი დროშის ახალი ტიპის ტარის ახალი ფერიო?,

და რომ ვუსმინე იმათ მთელ სამ გრძელ შავ მწვანედ დღეს ძილის მაგივრადაო, დამწუხრებული გვიამბობდა ლაბორატორიადაქცეული, ისევ სულ ტარი და ტარი და ტარებს გაიძახოდნენ, გამოვრთე მერეო, ხოლო, ცნობილი პარლამენტი ჯერ რომ მსუბუქად დაფუძნდა და მერე კი ძლიერ მსუბუქი ყოფაქცევით მყარად რომ ჩაძირკვულ-დასაფუძვლდა, ტელეშიც, მერე, ყოფილი მართლა მეცნიერი წინა და მწარე გამოცდილებით ჯერ კი კარგახანს თავს იკავებდა, მაგრამ მერე, წაუძლევია მაინც სულს და, მაინც ჩაურთავსა და,

ჩავრთე, მერეო, ჰყვებოდა და, ხოლო ეს ჩართვა სწორედ მაშინ მომხდარა, მაინცდამაინც იმ ერთი განსაკუთრებულად ცხარე კამათისა თუ დისპუტ-დებატებისა თუ ბრიფინგული ბრიფინგისა და რაც გინდათ ის უწოდეთ, მაგრამ ჩვენში რომ დარჩეს, შინაურულად ვთქვათ მაინც და, ყაყანების დროს, და, სხვათა შორის, იმ ტრანსლაციას გაოცებულმა უღირსმაც, ამა მიმართულების ტელეგადაცემებს დამდურებულმა, იმანაც კი, მთელ ორ დღეს უყურა და მიჩერებოდა გაოგნებული, თუმცა საერთოდ ძალიან ერიდებოდა პარლამენტაობას დამდურების გამო კი არა, არამედ იმიტომაც რომ, წნევის დამწევი საშუალებების სიძვირის გამო, თანაც საქმე ამ შემთხვევაში მისთვის სრულიად უინტერესო საგანს, სამხედროულ ტერმინოლოგიას ეხებოდა, და, დარჩეს ესეც ჩვენში და, არც ხალხნაღებისა და ხალხნარებისათვის არ იყო ეს დიდად საშური საკითხი, მაგრამ, ისეთი ალსგამრევი იყო იმათგან ეკრანზე კარგად გამოჩენის დაუოკებელი სურვილი, რადგან გარკვეულ ნაწილს ძალიან სურდა, რადგანაც ხალხში ცნობილაები ჰყოფილიყვნენ, ხელთ და პირთ იგდეს მიკროფონები და გამოსვლები, ხოლო დაწყებით კი დაიწყო აეს მარათონული დოღი, მშვიდად აი ასე:

- ბატონებო, - ითქვა ერთ-ერთიც ძალიანმუშა მიკროფონიდან აიმერთხელაც, - ბატონო პრეზიდენტო, ბატონო სპიკერო, და იმისო მოადგილეებო, და ბატონებო და აგრეთვე ქალბატონებო, - ბატონო დელეგატებო,

შეისვენა; არ ეკუთვნოდა თუ, რა, - და:

- მე კი განსაკუთრებული გულდასმით გადავათვალიერე სწორედ ის პუნქტი, რომელიც შეეხება უშუალოდ სამხედრო ტერმინოლოგიას და უშუალოდ ეხება, და კარგი და აგრეთვე მიზანშეწონილია უდავოთ თითქმის ყველა წოდების ჩინი და რანგი და ინტენდანტურა, მაგრამ ატრიბუტულად ერთიც საკმაოდ მოზრდილი და ვაჟკაცური და ვოლტაჟიანი წოდება, ვფიქრობთ, ალბათ სწორედაც რომ დანამდვილებით მე მგონი ცუდი, და არასწორია და შესასწორებელია და მიზანშეუწონელია პირველ რიგში, მე მგონი ამას არ გაუვა წყალი, -

მოავლო დარბაზს თვალი,

და ჩვენც კი მოვავლეთ, თვალი, ასე უბრალოდ რომ გვიჭირამს თავი, მთლად ასეც კი არაა საქმე, არამედ ჩვენც ვართ პარლამენტრთ-ტელემაყურებლის თუმც დაოკებული მაგრამ მაინც მოწმითებური აუდიტორია-კატეგორია,

- რომელი, რომელი! - იყვირა ერთ-ერთმა ყველაზე სულსწრაფმა დელეგატმა, არა აქვს მნიშვნელობა რომელი პარტიიდან იყო თუ დეპუტატი, და აგრეთვე არც იმას, კაცი იყო, ქალი იყო თუ პირიქით, ეე, ესე იგი, ქალი იყო თუ კაცი, აი ამ გაგებით, თანაც ამ შემთხვევაში ამას არ ქონდა დიდი გადამწყვეტი მნიშვნელობა. სხვაგან, - შეიძლება. ანუ პირიქით, ეე, მოკლედ, -

- გთხოვთ, სანამ არაფერი არ მითქვამს მანამდე მაინც ნუ მაწყვეტინებთ თუ შეიძლებოდეს, ჰო, - ბატონებო და ქალბატონებო...

„ვაიმე ბიჭო, ამხანაგებო არ წამომცდეს, იცოდე არ წამომცდეს... - იმეორებდა გულში და ასე მკაცრად მიმართავდა საკუთარ თავს, ერთი კარგა გარკვეული ამათსობიანობასაც, და იმათსობასაც, ერთი ყოფილი ძველერთპარტიული ნაპარტიულარი ლარ-დოლარიანი ყოფილრუბლიანი მუშაკი, რომელიც ფრანგულ-იტალიური სუნამოების მაღაზიის გახსნას ეპირებოდა ერთ-ერთ გასაუქმებელ საჯარო საპირფარეშოში, და ღელავდა, - კაცო, ვღელავ და, ვაიმე ბიჭო, ვაითუ ისე დავიბნიო რომ ამხანაგებოოც კი წამომცდეს, სადღა მივდივარ მაშინ, მაგრამ არა, არა, ნამდვილად ვიტყვი ასე, ბატონებო და ქალბატონებო-მეთქი, და მერე ადვილად მივაყოლეფ კიდე ამ ოხერ ბატონო ესას და ქალბატონო ესესს“...

- ბატონებო და ქალბატონებო, - თითქოს გულის ნადებს მიუხვდაო, და იმის გასავარჯიშებლადაო ასე აგრძელებდა მიკროფონდროებით ჩაგდებულ-მეპატრონე და მფლობელი, - ესაა, ბატონებო, გამოთქმა პოდპოლკოვნიკი, და ქალბატონებო...

- რატომ?! რატომ!!? - იყვირა კიდევ რომელიღაცა ერთ-ერთმა ვნებიანმა.

„მთავარია, რომ ამხანაგებო არ წამომცდეს... არამედ ამათსავით, სულ ბატონებო და ქალბატონებო უნდა ვიძახო სულ!..“

- ეს იმიტომ, რომ სულაც რომ ყველაფერს თავი გავანებოთ (ყველაფერს გაანებებდნენ თავს, კი, - შემხედვარე ავტ.), ჯერ ეს ეგ ერთი, რომ სულაც რომ არაფერი, ბატონებო და ქალბატონებო ეს რუსულია...

- რაა რუსული, რა - ბატონებო და ქალბატონებო?! - ზეწამოიჭრა ერთი ცნობილი პატრიოტული და დარბაისელი, - რაებს მიქარამ! ძლივს მივაღწიეთ ჩვენს მშობლიურ და ეროვნულ და ძველქართულ დიდებულად საპატივცემულვურ გამოთქმას და!.. უყურე ამას!, რაებს აჩმახეფ!!

და, რაღაი აქ ხმაური ატყდა, ერთმაც სიტყვით მძვინვარემ,

- მე ჩემი ბიჭებით!.. ჩემი თანამებრძოლებით! - ზეწამოიჭრა პარლამენტის მთავარი შუშუ, მაგრამ იქვე მოწიწებით დააშოშმინეს:

- არა, ბატონო რიჩარდ, ბატონო რიჩარდ, ეგ პოდპოლკოვნიკია რუსული... პოდისა გამო.

- რის გამო?!

- პოდ-ის. პოდ, პოლკოვნიკი...

- აა... პოდ, არა?

- დიახ.

- აა... ესე იგი, რუსულად - ქვეშ?

- დიახ, დიაახ, ბატონო რიჩარდ.

- ვაა... გეთქვა თავიდან ეგრე, შეკაცო! აა, ესე იგი, პოდ-პოლკოვნიკი, არა?

- დიიახ, დიაახ, ბატონო რიჩარდ...

„ნეტავი სუნამოებიანი პოდიუმიც ვაითუ რუსულია? - გაიფიქრა ყოფილმა ნაერთპარტიულარმა, - პოდ-იუმი... პოდ-იუმი... მაგრამ იუმო ნეტა რა არი? ეეხ, იუმებს დავეძებ მე ახლა?, ჯანდაბას პოდიუმიც და პადმასკოვიე, მე მთავარია ამხანაგებო არ წამომცდეს“...

- და, იმას ვამბობდი, ბატონო რიჩარდ... და ბატონო სხდომის თავმჯდომარევ!, რომ სადამდე უნდა ვიყოთ მაგათი ყველა დაქვემდებარებების ქვეშ!!? უხერხულია, ბოლოს და ბოლოს, ქვეშით ყოფნობები, რომელი სპეციფიკისაც კი არ იყოს, ხოლო ტერმინკი პოდ-პოდპოლკოვნიკი - ამისი თვალნათლივი მაგალითია!

ადამიანებიანი სხდომათა დარბაზის აუდიტორ-კანონთმდებლობა-ლაბორატორია კი ერთხანს კი სდუმდა ვითარცა მაღალი ტაიგი თუ დაბალი ტრამალა, მაგრამ სწრაფად განვითარდა მოვლენები ფრთამალი, ხმიანია მთავარი, და, არ დაჰყარეს ფარხმალი,

მამულიშვილებმა:

- სწორია, სწორი!

- მართალი ხარ!

- სწორია ეკაცი!

- გინდაც პოდპოლკოვნიკცა ქალი იყოს!

- სწორია ეს ადამიანი!

მაგრამ სასახინკლეო მემიკროფონემ ესეც კი იწყინა:

- მე სხვათაშორის, ადამიანი კი არა, ჯერ ეს ეგ ერთი არამედ თვით ხალხის მიერ არჩეული პარლამენტარი და დეპუტატი და დელეგატი ვარ თუ შეიძლებოდეს! ადამიანები თქვენში მოიკითხეთ... - ასე იწყინა წამომწყებმა, ერთი პირობა, და, და

მერე მაინც პატივისმცემლურად გააგრძელა, - და, საერთოდაც, ძვირფასო მეგობრებო, პოდპოლკოვნიკი, პოდპოლკოვნიკები და საერთოდაც, იმისი პაგონები ეს იმათ ჰქონდეთ, და არა ჩვენ, რადგან, - აქ ძალიანზე გაიმართა, - რადგან, სამშობლოს არვის წავართმევთ, ნურც სულ ნურავინ შეგვეცილება, თორო, ისეთ დღეს... ეე... ეე, თორო ხოლო ჩვენ დღეს დემოკრატიულ-კატეგორიულად განსაკუთრებით არ გვინდა ისეთი უცხო სიტყვების კორიანტელის ქართულად გადმოყენება და, ეე, გადაყენება, და თადარიგის გადამდგარი პოდპოლკოვნიკი და იმისი სიტყვების მარაგი, და ამიტომაც ისეთი წოდების დაწესებულება, ეე, დასაწე... ჰო, დასაწესება გვინდა არამედ, აგრეთვე მისი ჟღერადობითაც რომ მამათმავლურს არ წააგავდეს! რა არის აბა, პოლკოვნიკის ქვე-დობა?, აბა? თანაც ამ ნაციონალურ კედლებში! თორემ აბა და რაა ეს აბა ეს, - პოდ!, - პოლკოვნიკი!

მსმენელებმა კი, სურაღაც წუთნახევარში გაიაზრეს მისი ეს გამონათქვამი, და:

- სწორია!

- სწორია, სწორი!

- სწორია ეს დეპუტატი!

- სწორია ეს ადამიანი!

- სწორია ეს დეპუტატი და მხოლოდ მერე ადამიანი!

- და დელეგატი!

- კარგი ნათქვამია ეს, ნამდვილად რომ პარლამენტარული!

- მეც პარლამენტური ვაარ!

- არა, მართლაცდა საკმაოდ უხერხულია, ხოიცი...

„მთავარია რომ, როგორმე სადმე ამხანაგებო არ წამომცდეს“...

- იმას ვამბობდი, - განაგრძო ქადაგად ხანძრის სახიფათოდ წამომწყებმა, - ვაჟკაცი კაცი, მეომარი კაცი და, გინდაც გადატანითი მნიშვნელობით, და გინდაც ჩინით უფროსისაც ქვეშ!!? - აჰ!!!, არა!, არა!!

- არა, მართლაც უხერხულია!

- და მიუღებელია!

- ამორალურია, ბატონებო და ქალბატონებო, რადგანაც გინდაც მიუღებელი საერთო არაფერი ქონდეთ... ეე, მინდოდა მეთქვა, რომ გინდაც რომ ერთმანეთში საერთო არაფერი ქონდეთ ერთმანეთში, ვაი... ეე, გინდაც-მეთქი ერთმა... ვაჰ!

- მეც მაგას არ ვამბობდი?

- გაჩუმდი კაცო შენ!..

- არა, მართლაცდა მიუღებელია.

- თანაც, კადრების ფურცელშიც აღიარებულად და უპროტესტოდ განრთხული! მიუღებელია მართლაც!

- იმისთვისაც და, ჩვენში უფრო!

- ჩვენთვის რატომ?

- რატომ და... რომ ეს შეგვეძლო დაგვეშვა!

- ჰოდა, ნუ დავუშვებთ! ჩვენი ნება არ არი? ნუ!

- შორს!!

- მე ჩემი ბიჭებით! - კვლავ აღარ დაახანა პარლამენტის მთავარმა შუშუმ, და უფრო სწრაფადაც ზეწამოიჭრებოდა, ნაკლებად ფსხვილი რო ყოფილიყო, - მე ჩემი ქორული ბიჭებით დავაცხრები და ერთ კვირაში მთელ მუსულმანურ სამყაროს ავიღებ! მე ჩემი მთელი ორმოცდაათკაციანი დასტით!

- კარგით, დაწყნარდით ბატონო რიჩარდ... ისე, თქვენი აზრით, ხომ სწორი აზრია წამოჭრილი!

- რა? ჰო... ეე, კი, როგორც აზრი, და ამასთანავე, ეე, მოსაზრება, სწორია. მე ვიღებ.

- ძალიან კარგი. ხომ კარგი აზრია?

- რომელი?.. კარგია, კარგი!

- ძალიან, ძალიან!

- ისემც... - შურიანს რა გამოლევს, თუნდაც ნაღებურ პარლამენტში; კიდევ კარგი რომ, მხოლოდ ჩუმად ჩაულაპარაკებია.

- ყოჩაღ! ორივე ხელით, ყოჩაღ! არ გვინდა მაგათი არაფერი!

- არაფერი!.. ბენზინის გარდა!..

- ჰო მართლა, ბენზინის გარდა! ეგ როგო დამავიწყდა...

- არა, ნამდვილად კარგი აზრია!

- კარქი! კარქი! და, კარაქის გარდა... არა, კი, კი, კარგი აზრია!

- მშვენიერი კარგი!

- ყოჩაღ!

და, აპლოდისმენტებიც დაიმსახურა.

ხოლო თავის მხრივ ამ აპლოდისმენტებმა დაიმსახურა ის, რომ მათი მეოხებით, რაღა თქმა უნდა, მიეღწვოდა ის, რომ, აჰ, რა სწორი და როგორი ამსახველია

ხანდისხან ჩვენი არამცთუ ქალაქური, და უფრო მეტიც, მზიან-დედაქალაქური ჟანრის პოეზიაც:

„აშენდა ბროლის სახინკლე,

ოქროვერცხლის აქვს კარია,

შედიან ცქვიტი ბიჭები,

დიდ-პატარაანთ ჯარია,

მშოვნელებისა არმია,

პილპილიც უყვეს ცხარია,

მეწარმეც იქა არია,

მშიერი იქ არ არია,

ჩამოდის სუფთა მტკვარია,

შიგ ---ი--- აღარ არია,

იმღერეს კარქი არია,

მტერს დავუყენოთ მხარია,“

იდაყვიც, და ასე შემდეგ, ხოლო რიჩარდი ვერა სცხრებოდა:

- მე ჩემი სვირელების დასით!! - ამჯერადაც კიდევაც უფრო სწრაფად ზეწამოიჭრებოდა, ამჯერადაც რომ კიდევ თავისებურად უფრო ნაკლებად დიდი თავი რომ ჰქონოდა თუ არ ჰქონოდა ბაზრის გადამყიდველებში პატრიოტობით უფრო კარგად ცნობილი და ამიტომ აღნაგობის მიხედვითაც კარგა ნაპატივცემულარი და ამის გამოც უფრო სახელგავარდნილ-შევარდნილი უფრო სვირში, ერთ-ერთი გამორჩეულად ცნობილი და ამასთანავე მაჟორიტარული ქუჩის ბიჭ-ადამიან-დელეგატი, იპარლამენტის მთავარი შუშუ, ხოლო სვირი კი სოფელია ერთიც დასავლეთ საქართველოში, - მე ჩემი კარგი და ბრძოლისუნარიანი სვირული დასტით, მთელ მუსლიმანურ სამყაროს ავიღეფ! თავის იზრაილიანა! მხოლოდ მომეცით ერთი გინდაც არასრული კონსენსური კვირა!! ავიღეფ!

- კარგით, დაწყნარდი, დაწყნარდით, კარგით, ბატონო რიჩარდ!!

- ავიღეფ-მეთქი! ნაცრიტუტურად!!! მთელი საუდის ინდოეთით!!! ახლავე!!! გამიშვით! წავალ.

„ვაიმე ბიჭო, ამხანაგებო რომ წამომცდეს, მაშინ ნამდვილათ დავიღუპები... ისე გამჩეჩენ, სუნამოებს და ადიკალონებს დავეძებდე-იქნება მერე? არადა, რა ვქნა, გაჩვეული ვარ...

- ჩემი ამაყი გონიერი სვირული ბიჭებით!!! სვირული ეტლებით!!.

- კი, როგორ არა, როგორ არა, დაწყნარდით, დაწყნარდით ბატონო რიჩარდი, მაგრამ ჯერ ხომ ეს საკითხი უნდა გადავჭრათ?

- რომელი საკითხი...

- რომელი და, ეე... ეე... ჰო, ქვეშაგებული, ეე, ქვეშგაგებული პოდპოლკოვნიკის, ჰო. ნუთუ თქვენ ჯერ ეს არ გაინტერესებთ? ხომ გყავთ თქვენს დასში, ეე... ჰო, თქვენ რა, ნუთუ არა გყავთ თქვენს დასში პოდპოლკოვნიკები?

- პოდპოლკოვნიკებიც და პოლკოვნიკებიცდა, საკუთარი ხელით!, და ერთი-ორი ცალიც იმდენი გენერალი, რომ რამტელიც გინდა!

- და მერე, განა არაა ეს სირცხვილი?

- რაა სირცხვილი, მარშალობა?!! გამიშვით! ოღონდაც ერთი ბეტეერი მინდა! ერთ ბეტეერში მთელ ჩემ ნახევარ სვირს ვაძლევ! და მთელ ვირსაც კი! გამიშვით! სადაა ტეხნიკა! ერთ ბეტეერში მთელ ჩემ ერთით მთელ სვირულებს ვიძლევი! ამწიეთ!! შემსვით!!! - ხოლო ეს ბოლო მთლად უკანასკნელი სიტყვები - „ამწიეთ, შემსვით“, - ყანწისაგან ნათქვამსა ჰგავდა, და ყანწისმიერისკენაც იყო ამას მოყოლებული ბოლო-ბოლო სიტყვიკიც -:

- ჰიკ!

- სიცოცხლე, ჯანმრთელობა, კარგი დაწყნარდით, დამშვიდდით, დამშვიდდით ბატონო რიჩარდ...

ხოლო სვირის ერთიც ერც-ჰერცოგი არა ცხრებოდა, არამედ ცხარობდა კვლავაც, ოღონდ ახლა შედარებით მარტივად:

- ჰიკ!.. ჰიკ!...

- სიცოცხლე, ჯანმრთელობა, კეთილდღეობა, დიდება, ხეირი, დამშვიდდით ბატონო რიჩარდი...

- ჰიკ!.. რა დამამშვიდებს!!.. ეე... კონსესიურ სუბორდინაციის პანტრიოტ,ოტ, ეე, ეეე, ააა, აა - აფჩხკი!!, ჩხიკ!!!... ჰიკ!.., რა დამამშვიდებს!!.. ეე... ეეე, ააა - ფჩხკ!!, კ!!!

- სიცოცხლე, თხისკუდი... დიდება, ჭირი მაგას, არ ისქნა საქმე!? მთლად არ წაიღო იმისტვინი?

- ჰოოო, უუჰ... ეე... მვუუუუუ, აჰხაახ, ჰ.. ჰო, როგორ თუ მარშალობა ცუდიაო!!!?

- არა, არა, ბატონო რიჩარდ, ამ გამონაკლის შემთხვევაში თქვენ ვერ გაგვიგეთ, მარშლობა აბა რატომაა სირცხვილი, არამედ პოდპოლკოვნიკებზე მოგახსენებთ!

- ჰაა? ჰოო...

- და, თუნდაც ამიტომ, ნუთუ არ დაგვეხმარებით ამ საკითხის გადაწყვეტაში?

- კარგი. ა?.. ვითომ? რა საკითხია...

მაგრამ საბოლოოდ, ბეწვზე გადარჩენილი მუსლიმებისათვის იმათიანთი ისრაელიანა, და შორი სხვადასხვა ქვეყნები, ამ უკანასკნელთათვის დიდად სასურველ ყაბულს გახდა: - კარგი, ჰო, კარგი. ჰო, თანახმა ვარ, ჯერ ნუ გამიშვეფთ.

- ძაალიან კარგი. კარგით. დავწყნარდეთ. ყველანი ძალიან კარგი, დაწყნარებას გვთხოვთ, ბატონებო. - გაისმა მთავარი რიგიდანაც, ხოლო ექსერთპარტიულმა შურით გაიფიქრა: „რა თავისუფლად ფლობს ბატონებოს, აეგ ოხერი?“, ხოლო იმავე რიგიდან ისევ გაისმა: - ასე არ სჯობია? და, საერთოდაც, რაღა რომელი შესატყვისი, დავარქვათ მაშინ?

- ვის?

- კარგით რა, ნუღა განმამეორებინებთ. მეუხერხულება. - ჩაღუნა, თავი.

და, ატყდა მაგრამ რა ატყდა, ეს ინიციატივაიანებისაგან, თორემ წესიერი ხალხი ჩუმად იყო, არც ხმას და არც არაფერს არ იღებდა, ხმას სხვები იღებდნენ: „და პოდ კი არა, არამედ პოლკოვნიკქვეშე რომ დავარქვათ? ქართულია!“ „იტყვი რაღა შენც!.. ის მერე რა რომ ქართულია, მაგრამ შინაარსიც კი და ზნეობაც ხომ სწორი უნდა იყოს!.. განა ეს ერთი და იგივე სექსუალური პათოლოგიურობა არ არი?“ „რა, კაცო...“ „რა და, ქვეშობა“... „უიჰო, უიჰო!“ - ხანდახან ეთანხმებოდნენაც კი ერთურთს. „შინაარსი უნდა იყოს თავდაპირველად... ეს მთავარია“. „და შინაარსი, შინა-არსი, განაღა კარგი გამოთქმაა?“ „აჰ!“ „არა, აჰ! არა! შესაცვლელია ეგეც!“ „უდაოდ, მაგრამ ჯერ ეს შევცვალოთ“... „ხოლო ჩვენი ეროვნული პოდპოლკოვნიკი, კოლაბორაციონისტივით უნდა იყვეს, როგორც თავისუფალი არწივი!“

- კოლაბრუნიონაცალისტი რა არი? რაღაც მეცნობა... - უჩურჩულა შედარებით განათლებულმა თანამეპარტიულემ.

- ჰო რაღა, მაგასა ნიშნავს, - აიცდინა უნებური მახე ნუმერ მესამე მიკროფონისტმა, და, დაყვედრებითაც კი გაიფიქრა: „რა ვიცი მე რა არი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი კი არ ვარ... მთავარია, რომ კარგი სიტყვა მოგაწოდეთ... ვაშკაცურად ჟღერს და, ყოვლის შემთხვევაში, პოდპოლკოვნიკზე, უფრო... გაცილებით“.

აქა-იქ მაინც მოიწონეს: „ეგებ, მართლაც სულაც რომ კოლაბრონა... თუ როგორ არი?“ „კოლაბორაციონალისტი!“ „არა, მთლიანად კი არ გეკითხები, ეგ ვიცი, ვიცი, - აღნიშნა საწადელმიღწეულმა პირველათეულ-მიკროფონისტმა, - არამედ, ერთი ლ-თია თუ ორით?“ „ჰა! ეე... ჰო, რაღა თქმა უნდა, ორით... ორით! რადგანაც პოდპოლკოვნიკზედაც ხომ ვარსკვლავიც ორია - კოლ, ლ, აბორაციონისტტი!“ „ვიზეა, კაცო, ორი ვარსკვლავი“... „პოდპოლკოვნიკზე, ვიზე“... „კარგით რა, კაცო, პოდ-პოლკოვნიკზე ზე-ს მაინც ნუღარ დავუმატებთ, პოდ და თავისი არ ეყოფა??“ „და, მესამეც ერთი, ვარსკვლავებს რატომ უწოდებთ იმას?“ „მე ჩემი კოლაბორაციონალისტი დასით!, მე ჩემი სვირელი ბიჭებით....!“ „როგორ ვიტანდით მაინც!“ ეს ვისა, ვის, მეე? მე რიჩარდი არ ვიყო, სვირულ-ლომგული, და ხელწერით კი, თუ!..“ „არა, აჰ-არა, ბატონო რიჩარდ, მე პოდპოლკოვნიკზე

მოგახსენებდით“... „რას მომახსენებდი“... „რას და, ეს როგორ ვიტანდით-მეთქი?“ „ვაჰ, პოდპოლკოვნიკს კიდე ჩვენ აქეთ ვიტანდით? - ჩაერიათ სხვაც, - ის იყო ქვეშე და“... ხოლო საკითხის წამომწყები კი, გახარებული, რადგან, იმისმა და მიერ წამოჭრილმა საკითხმა როგორც იტყვიან პარლამენტის ასეთი ცხოველური ინტერესი რომ გამოიწვია, დიაღაც რეიტინგაწეული, სჭექდა: ნუ გადავუხვევთ საქმეს, ბატონებო და ქალბატონებო, ნუ, გთხოვთ, თუ საქმიანად არ ვიმსჯელებთ, ვერაფერს მივაღწევთ, დაგვრჩება პოლკოვნიკის ქვე სამუდამოდ იკაცი, ეს ხომ უბრალო ჭეშმარიტებაა, საღად მსჯელობა, და საღადა, ეე, ჰო, თუ საღადაურად არ ვიმსჯელებთ ისე ვერაფერს ვერ მივაღწევთ, ამას არ გაუვა წყალი, და პივა!“ „რაო“... „რაარ“... „ეე... ჰო, რაღა, იმას ვამბობდი, ამას არ გაუვა წყალი, ზღვა... და ნავთსადგური!“

ნავთსადგურიო? - „ფოთი!“ „ბათუმი!“ „ქობულეთი!!“ „ანაპა!!“ „ეე... კრონშტადტი!“ „სევასტოპოლი!“ „ადესა!!“ „ვუუხ, - რუსულებია, გამყიდველებო! ვუხ! სხვისებია“... „რატო, ადესა ხო ყურძენია, ჩვენი!“ „ჩქიმ-ანაკლია!..“ „ვენეცია!!“ „ფლორენცია!!“ „ქრისტეს არ ჰქონდა რომაული განათლება მიღებული!“ - ეს, ეროვნული პროფესორისაგან ითქვა. „და რა გაგვიხდა, ბოლოს და ბოლოს, ეს გათახსირებული პოდპოლკოვნიკი?!“ „რაღა რა გაგვიხდა... ქვეპოლკოვნიკურიც კი მაგას არ უდგება და სულარაფერი“... „ან, ტოტლებენმა როგორ გვიღალატა მაგ გათახსირებულმაც, ეს იყო საქმე?“ „ვერ მოვიფიქრებთ ნუთუ ვერაფერს, ვაიმე?“

„ვაიმე, - გაიფიქრა უღირსმაც, რადგან ყველაფერი, განსაკუთრებით კი ჭამა-სმასავით და მთქნარებასავით არა მაგრამ მაინც გადამდებია, ერთიც თავისი შორიდან ნაცნობი, ამხანაგის ბიძის მეზობელი პოდპოლკოვნიკი წარმოუდგა და, უფროსობასთან ასეთი ყოვლად მიუღებლადდამჯერული საქციელისა თუ მდებარეობის მიხედვით, - აბა ამას რას წარმოვიდგენდი“ -ო, გაიფიქრა, და უნებურა-ფიქრში განაგრძო - „ააბა იმაზე როგორ წარმოვიდგენდი მე... ეე, არა, არა, მე კი არა, არამედ იმაზე გინდაც პოლკოვნიკი და, გინდაც უფროსობასთან ასეთი იმგვარი თუ გამოვიდოდა“-ო, „ეეჰ“...-ო, და, იქვე შერცხვა, ისე შერცხვა, შეხტნა, თუნდ ნაღებებსაც კი იმაში რომ ასე აჰყვა ამაში, და, გლახა წარმოდგენებით უფრო შორსაც რომ არ წასულიყო, იქვე გამორთო ამაში მაინც მეტად დამჯერი, ანუ ისე კი მწერლების სამუშაო თუ სასადილო მაგიდასავითაც სულ მწვანე-მწვანედ ხასხასა მრავალსახიანი საპატრიოტო ტელევიზორი.

როდის, დაიწყო, ეს ყველაფერი... როდის დაიწყო!.. მართლაც, საბრალო ფსიქიატრები... ასეთი არჩევანი და, მაგრამ ვიღაღა მიუვიდოდათ.. ან, მიუყვანდნენ...

არა, ასე ველარ შეიძლებოდა, და უღირსი ცდილობდა, როგორმე ისეთი რამ გაეხსენებინა, რაც ამ ყოფაშიაც კი, ამ, - შვებას მოჰგვრიდა.

მისწრება იყო, თვით თავისი მუსიკის გარეშეც კი, ვითომც ისეთი შორი როსინი. როცა მაესტროს სიცოცხლეშივე დაუპირეს, უღრმესი პატივისცემის ნიშნად, ქანდაკების დადგმა, მაესტრო როსინის მაესტრო ვერდივით შორს არ დაუჭერია ეს, ოღონდაც მოქანდაკის ჰონორარით მსუბუქად დაინტერესებულა. და იმდენად

დიდი თანხა უთხრეს თურმე, კვიმატ მაესტროს აიმ ქალაქის იმდროინდელი მუნიციპალიტეტისთვის მაშინვე ასე შეუთავაზებია: „ოღონდ ეგ ფული მე მომეცით და, იმ ქანდაკების მაგივრად, კვარცხლბეკზე მე თვითონ შევდგებიო“. ეს ოინბაზი, ოინბაზი, იტალიელი ცუღლუტი... ოღონდ მხოლოდ ისე-რა ცხოვრებაში.

ხელოვნებაში კი... როგორ გინდა თქვა... ეგებ... გენიოსებიდან, ყველაზე მეტად საღი თვალთმაქცი.

ხოლო როდესაც უდიადესი, დაუჯერებელი მევიოლინე მოისმინა, სხვები რომ გაოგნებისგან ენაჩავარდნილები ისხდნენ და სუნთქვასაც კი ძლივას ბედავდნენ, ეს მთლად სულ ენად გაკრეფილა, და აი, ასე შეუქია: „მაესტრო ნიკოლო, მე ცხარედ მხოლოდ სამად სამჯერ მიტირია ჩემს ცხოვრებაში, პირველად მაშინ, როდესაც ჩემი ერთ-ერთი პირველი ოპერა ისე ჩაფლავდა, რომ მთელ კალაბრიაში არ მოსულა იმდენი პამიდორი მე რომ დამიშინეს, მეორედ მაშინ, როდესაც ძალიან მშვენივრად შემწვარი ტრუფელებიანი ინდაური ნავიდან წყალში გადამივარდა და მარტო დავრჩი (მარტო იჯდებოდა ნავში, როგორ არა, კი), ხოლო მესამედ კი მაშინ ავტირდი ცხარედ“, - თაღლითი, თაღლითი, გაიძვერა! - მისი პირველი ატირება, კი ბატონო, გინდაც ნამდვილად ყოფილიყო, მისაღებად ჟღერდა, მაგრამ ეს მეორე პუნქტატირებაც, ვითომც სინამდვილეში იყო? თუ ეს, ვითომდაც, საქათინაუროდ შესავალი? ხოლო, მესამე ცხარი ატირება კი: - „როდესაც თქვენი დაკვრა მოვისმინე, მაესტრო პაგანინი“.

აი ასეთი, დაუდგრომელი, გახლდათ.

ხოლო როდესაც ერთმა ამ ჩვენი უზ.-საბჭო-პარლამენტივით არცთუ დალაგებულად დამწყებმა, ოღონდ მაღალ პოლიტიკაში კი არა არამედ აგერ-მუსიკაში, ახალგაზრდა კომპოზიტორმა დიდი მაესტრო თავისი პირველი ოპერის პრემიერაზე დიდი გაუბედაობის შემდეგ მაინც გაბედა და დაჰპატიჟა, მაესტრო მართლაც მისულა თეატრში, და გამორჩეულ ლოჟაში ვერდივით ჩრდილში კი არა, კარგა გამოსაჩენად დამჯდარა, დაწყებულა ოპერა თურმე და, მაყურებლები როსინის უფრო მიჩერებოდნენ ვიდრე სცენას, ნეტავი დიდი მაესტრო ოპერას როგორ მიიღებსო, და მისი ამჯერად როგორღაც თავშეკავებული გამომეტყველების მიუხედავად, დიდის განცვიფრებით დაუნახავთ, რომ, შესავლის დამთავრებისთანავეც კი, როსინის კეთილუნებია და ცილინდრი მოუხდია და ისევ დაუხურავს. - ვაჰ!? და ერთხელ რომ ექნა ეს, შესაძლოა რაიმე შემთხვევისათვის (სიცხე, ბუზი შუბლზე) დაებრალებინათ ეს, მაგრამ, სოპრანოს პირველი არიის დამთავრებისასაც კვლავ მოუხდია და დაუხურნია ცილინდრი, მერე კი, მთელი ოპერის განმავლობაში, ისე ხშირ-ხშირად ადიოდა ცილინდრი იმ იტალიანურ ჰაერში მაღლა, რომ, ალბათ რაღაც გადასარევს მოვესწარითო, ჩვენთვის ჯერ ვერმისახვედრ, მაგრამ მომავლის უდიადეს მუსიკასაო, მთელ თეატრს ასე დაუსკვნია, და, რომ დამთავრებულა ნაწარმოები, როცა როსინის ცილინდრულ სვლათა წამხედურობით ოპერის მყარი შენობა მთელი ლოჟებ-ქანდარა-პარტერის ტაშების აპპლოდისმენტური ტაშური გრიალით კინაღამ ჩამოქცეულა, უბედნიერესი, მაგრამ თვალსაჩინოდ ცხვირაწეული დებიუტანტი როსინისთან ამაყად მისულა, და დიდი მადლობა კი მოუხსენებია თავისი

ქმნილების ესოდენ დიდი ანუ ასეთი ცილინდრული დაფასებისათვის, მაგრამ მაინც ეტყობოდა როგორღაც, თუნდაც კოჭებში, რომ იმდღეინდლიდან თუ არა, პატარა ხანში მაინც რომ როსინისა და ზედ ვერდისაც ჩამომყირავებლად რომ წარმოედგინა ასეთი დიდი წარმატების შემდეგ თავი, მაგრამ როსინის, შუად გაყოფილი აქეთ-იქითურა თაყვანისმცემლების ორმაგულ გარემოცვაში, მაინც თავაზიანად უკითხავს, მაინც საიდან დაასკვენით, თქვენი ოპერა რომ მომეწონა, და თანაც ძლიერ ძალიანო, რაზეც პატარათ-შემცბარ პირველმაესტროობის მაძიებელს მაინც უპასუხნია რომ, იქიდან დავასკვენი რომ თქვენი ჩემდამი მოწონების ნიშნად თქვენი ისეთი ხშირი ქუდმოხდით, მაესტრო კოლეგაო, ხოლო როსინის, ამ ნეტარ ოხერს, თაღლითს, ყალთაბანდს, მიუგია, რომ მე ამ ჩემს ცილინდრს თქვენი მოწონების ნიშნად კი არ ვიხდიდი ისე წამდაუწუმ, არამედ თქვენს მუსიკაში სხვადასხვა ნაცნობ კომპოზიტორებს ვესალმებოდიო, რაზედაც, ჯერ გაოგნება ჩამოვარდნილა, ხოლო მერე კი სიცილ-ხარხარი ამტყდარა ისეთი, რომ მეორე დღეს, როცა წინადღით საუკვდავებოდ გამსაწესებელი აის ოპერა ისე ჩავლილა, რომ კალაბრიის კი არა და, იმ მთელ დაქუცმაცებულ მაგრამ მაინც სრულიად იტალიაში თუ მოდიოდა იმდენი ძლიერ გადამწიფებული პამიდორი, ვერ წარმოიდგენდა ვერაკაცი, და, ასევე, მთელ იმ ქალაქსა და იმის შემოგარენშიაც კი, თურმე სანთლით და დანასისხლად ვეღარ მოიძებნებოდა ვერც ერთი გაუტეხავი ლაყე კვერცხი, რადგანაც თურმე ყველა ესენი ზემოჩამოთვლილები, თურმე სულ იმ ავტორსა ჰხვდა, ხოლო როსინის, ეს რომ გაუგია, უთქვამს, აბა რას მპატიჟებდა რომ მპატიჟებდა, არ უნდა სცოდნოდა თავისი თავიო? შორს ხომ არ იყო წასასვლელიო, იმ კომპოზიტორებისო, გარდა.

მაგრამ ეს, შესაძლოა, ზოგადად უფრო მსმენელ-მაყურებლის, როგორც ასეთის, სახალხოდ გამასხარავება უფრო იყო, ალბათ იმიტომ, რომ თავისი სწორედ იმ „სევილიელი დალაქი“-ზე იყარა ჯავრი, რომელი ასეთი ოპერაც პრემიერაზე ისეთი ცხარედ ჩავარდა, რომ ქვითინივით, მეორე დღეს კი, როდესაც შიშით „სევილიელი“-ს მეორე წარმოდგენაზე წასვლაც ვერ გაბედა, მაგრამ სამაგიეროდ, ოპერიდან პირდაპირ მის სახლთან მოჭრილა მთელი გონსგადასული იტალიური ეს ხალხი, საზოგადოება, და, გარედან რომ უღრიალებდნენ, „ახლავე გამოდი გარეთ, როსინიი, გამო, გააღე ეს ოხერი კარიიი“ -ო, კარი გაუღია კი არა, მთლად საგანგებოდ გადამალულა დამფრთხალი მაესტრო, მაგრამ ხალხს მაინც უმარჯვნია, კარი შეულეწიათ და საწოლის ქვეშიდანაც კი გამოუთრევიათ კომპოზიტორობით ზეგენერალისიმუსი მაესტრო, და ოთახშივე შეუსვამთ მხრებზე და მთელი ქალაქი ასე, გათენებამდე, სულ ციმციმ შემოუტარებიათ და აივნებიდან კი ფაქიზად ესროდნენ ჰორტენზიებსა და ვარდებს, ოღონდ თანმხლები დიდის წივილ-ბღავილით - „ვივა, როსინი, მაესტრო, ვივა“,ო, და ეს ასეთი ცვლილება, სულ რაღაც ერთ დღეში, ასეთი მკვეთრი გადაფასება, აი ასეთი რამეებიც კი ხდებოდა, გაუგე ახლა ამ ხალხს რამე, და პარლამენტიც აგრეთვე, ჩვენი, ადამიანებიანი, ხანდახან რთულად გასაგები იყო აგრეთვე, და გაღიმებულმა, როსინით გულმოცემულმა უღირსმა მეორე დღესაც მაინც ჩართო ტელევიზორი, მაგრამ, როგორც მე მოკრძალებულად მგონი რომ სამართლიანად აღინიშნა ზემორე-ზევით, ჩვენში იმასაც კი ვერ გაიგებ-დაადგენდა კაცი, ღამე სჯობდა თუ დღეი, უელდენობა თუ დენიანობა, რადგან, სანამ ეკრანი

შეხურდებოდა, ჯერ ის იყო და, სულ გაისმოდა ასეთი რამ: „მაიორზეე! მაიორზე! მაიორი“, ნუთუ მაიორამდე ჩამოქვეითდნენო, გაიფიქრებდა აქეთური ადამიანიც, მაგრამ, მერამდენედ კი ვიმეორებთ მაგრამ როგორც მწერალთა უმრავლესობის საწერდასასადილო მაგიდებსავით სულ მწვანე-მწვანედ გახალისდა კარგ ბუნებისფრული ნოვატორულ-ტელევიზორი, თურმე, კაცო, ეჰ, თურმე პოდპოლკოვნიკობისირგვლივა საკითხის წამომჭრელი კვლავ კათედრაზე იდგა კვლავაც (იქა ეძინაც?), ხოლო პოდპოლკოვნიკობა-საკითხს ბუზივით დასეული მთელი ზოგი ხალხისაგან აღიარებულები კვლავ ბობოქრობდნენ, ხოლო განსაკუთრებით ვიღაც, გვარი არ გვახსოვს მაგრამ იქიდან ახლო მომავალში პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი, ადგილიდანვე შეიძახოდა, რადგან ჯერ არ იყო იმაოების კანდიდატი:

- არა, მაიორზე-ო, კატეგორიულად არ შეიძლება, რადგან ჯერ ეს ეგ ერთი, მაიორი ხომ თავისთავად უფროსსა ნიშნამს, -

გადაუთვალიერებიათ, როგორც ჩანს, წინღამ ნაწილობრივ გაღამურავებული ლექსიკონები, -

- და, მაიორზე-ოს რო გაიძახით, ასე დავარქვათ პოდ-პოლკოვნიკსო, რა, მაიორ-ზე განა პოდ-პოლკოვნიკივით მიუღებლად და სამარცხვინოდ შეტყუპებული არა ჟღერს, განა?

„ვაი ჩემი ბრალი“, გაიფიქრა უღირსმა, ხოლო, დარბაზში, „კონტრადმირალის მაგალითზე შევიტან სიტყვას და საკითხს დავსვამ, - ფიქრობდა ერთიც ძველპარტიული, - კონტრადმირალი ხომ მიღებული სიტყვაა ფლოტშიც და ზღვაზე, და, რა უჭირს ვითომ, კონტრპოლკოვნიკი იყოს ხმელეთზეც, მით უმეტეს, რომ პოლკოვნიკი და პოდპოლკოვნიკი, ამ გარკვეული ახლობლობის მიუხედავად, ხანდახან, ხშირად ერთმანეთში კონტრაში არიან? კონტრპოლკოვნიკი უნდა წამოვაყენო, მთავარია რომ,.....

- ყურადღებას გთხოვთ, ბატონებო, სიჩუმე! ყურადღება!

ახლა კი ჯერ მაინც ვიღაცა სხვა განაგრძობდა:

- ვიცე-პოლკოვნიკს, ჩემის აზრით, მაინც არაფერი არ აჯობებს ჩემი აზრით! უცხოელებიც გაიგებენ...

- უკეთესს გეტყვით! უკეთესს გეტყვით!!

- დაწყნარდით, დამშვიდდით!!

- დამშვიდდით!

- რაა, ბატონებო, ასე რომ მამშვიდებთ, უკეთესს გეტყვით-მეთქი, და რა მაქვს ამდენი დასამშვიდებელი, მეორე დღეა ამაზე სიტყვას მოვითხოვ და, რა გახდა მაინც ასეთი ჩემი გამოსვლა და ჩემთვის ერთი სიტყვის მოცემა, ვაჰ!, ბოლოს და ბოლოს! სულ მხოლოდ ერთი წუთი! თქვენ მე დროშის ტართან დაკავშირებითაც არ მათქმევინეთ სიტყვა, არამედ მეორე მიკროფონს მიეცით! აქ გადაკიდებას აქვს

ადგილი! იგნორირებაა! და ბოლოსდაბოლოს, თვით ხალხის მიერ არჩეული პარლამენტარი ვარ მე თუ ვიღაცა ხელწამოსაკრავი არაპარლამენტარი!!

- კარგით, მობრძანდით! თუმცა არა, არა, ადგილიდან, აბა, მეოთხე მიკროფონი!

მაგრამ ისეთი ხმაური იდგა, სიტყვაროგორციქნამაინცნაბოძები, აღელვებული ხალხის დაშოშმინებას კარგა ხანს ცდილობდა, - „გთხოვთ მომიტევოთ! მაგრამ!, მომისმინეთ! მომისმინეთ, რა გახდა მაინც ასეთი ერთი თქვენი დაწყნარება!

უშედეგოდ.

- შესვენება ათი წუთით!

- აჰ!, არა-კაცო!! ჯერ რა დროს შესვენებაა, მერე სულ დაგავიწყდებით! ათ წუთში კი არა, ერთ წამში აღარ გემახსოვრებით! და ისევ მეხუთე მიკროფონს მისცემთ და ჩაიგდებს სიტყვას! არა, კიარ ჩაიგდებს, არამედ ამოიგდებს!, ეე, ააა!!!, ვა, ნუთუ არ შეგიძლიათ მომისმინოთ სულ მხოლოდ რაღაც ერთი წუთი!!?, ის პოდპოლკოვნიკობა რამდენხანს ითმენდა... გამბული წლობით!..

- კარგით, ჰო, კარგით, ბრძანეთ, ბრძანეთ! სიჩუმე, მეგობრებო! თქვენ კი, ბრძანეთ თუ შეიძლებოდეს ბოლოსდაბოლოს... რასაა, ამდენს რომ მახვეწინებთ!..

და, როგორც იქნა, რაღაც სასწაულით ნანინანატრი სიჩუმე რომ ჩამოვლინდა, იმდენ ღელვაგადატანილმა მორიგმა გამოსულმა, როგორც იქნა, თქვა:

- ყურადღებას გთხოვთ, გამარჯობათ, მე ჩემი ამ საკითხზე დიდხანს ნაფიქრი, და პირუთვნელი აზრი უნდა მოგახსენოთ, მამაკაცებო და დედაკაცებო!, მე ძალიან ვთვლი, რომ...

- რაო?

- რააო?

- რა!

მთელი კანონიერად ამორჩეული დარბაზი, ახლა მართლაც იმისკენ მიტრიალ-მოტრიალდ-ამოტრიალებულიყო:

- რაო, რააო?

- ეს რა გვაკადრა!? რა მიმართვა იყო ეს მაინც!..

- დედაკაცები იმ შენ ცოლებში მოიკითხე, და მამაკაცებიც იქ!

- აჰ, არა, არა, დიდი ბოდიში, დიდი ბოდიში, მე ბატონებო და ქალბატონებო უნდა მეთქვა, ამხანაგებო!

...

- რააო?

- კონტრადმირალი!.. კონტრადმირალი!!

- რაიო? რაი!!

- რახმ, რახხმუ? - და,

ჩამოაგდეს.

...

რომელი ჩამოგდებაც, რაღა თქმა უნდა, ნატუალეტარზე აღმოსაცენებელი სუნამოდ-პოდიუმის ნაცვლად, დედაქალაქურ-მზიურ პოეზიაში, შესაძლოა რომ, აი ასეთ ლექსსაც უდრიდა:

დაინგრა ბროლის სასახლე,

ტურფად ნაგები ხისაო,

ეე... არა, თუ ბროლისაა, ხით აბა

როგორღა იქნებოდა მაშინ ნაგები, ეე,

ორთაყვირები მოვუსვი,

ვაჰ!, ეე... ჩვენი მასპინძლის სასახლე,

ეე...

მოკლედ, დაინგრა მისი ოცნება, ხოლო ზეპოლკოვნიკისა და ქვემაიორის შუაწოდებას ვიცე-პოლკოვნიკი შეარქვეს და ასეც დაამწესეს, საბოლოოდ, ხოლო უღირსი, რომელსაც მართალია ფილოლოგიურის ნაცვლად ისტორიული ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ ეს ფაკულტეტები ჰუმანიტარულობით ხომ მაინც ერთგვარად ენათესავებიან ერთმანეთს, და ამ რაღაცა პატარა უფლებით ამავე საკითხზე ისიც რაღაცა თავისას ფიქრობდა:

„კაცო, ეს ვიცე-პრემიერი სიტყვა ხალხს ხომ რატომღაც მეტი გონია (ჰმ, ისტორიკოსს, აკი „გონია“ -ში თავი „ჰ“ გამორჩა), ვიდრე პრემიერი, ასევე, ვიცე-ჩემპიონი მეტი, ვიდრე ჩემპიონი, რადგანაც ვიცე-პრემიერი უფრო გრძლათა (“თ“ კი არა, „დ“ - გეოლოგი ავტ.) ჟღერს, ამიტომ ეს უკანასკნელი არ ვარგა, ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ცნობილი გამოთქმით, რომ აბა რომელი ჯარისკაცი არ ოცნებობს გენერლობაზე, პოდპოლკოვ-ნიკიდან პოლკოვნიკობამდე აბა რაღაა, არაფერია, ჯარისკაც-გენერალთან შედარებით, სულ ერთი გოჯი, და რათა დასაწინაურებლად ეროვნულ არმიაში მასტიმულირებელიც უნდა იყოს მისი წოდება, დაგერქმიათ რაღა, თქვე ერთგვარი გაგებით მართლა ოჯახაშენებულებო, რა და - საპოლკოვნიკო“...

და, ისევ ფიქრში, დაამატა:

„ქართულათაც, ჟღვერს“.

17.

ერთი ბავშვიც იყო, მუსიკისადმი სიყვარული და მისადმი ლტოლვა, ძალიან გააჩნდა, ჰქონდა.

ისე ძალიან ჰქონდა, შვიდიოდ წლისა, გისოსით დაგმანული ჩაკეტილიდან, აღელვებული თითებით ფრთხილად და უხმაუროდ გამოაძვრენდა სასურველ ნოტებს, ოღონდ ეს მხოლოდ მთვარიან ღამეობით, რადგან სანთლის ზედმეტად დანთების უფლება არქონდა, ხოლო უმთვარო ღამეებში, ალბათ როგორი მოლოდინით, როგორღაც უცხოდ მოწყურებული შესცქეროდა შებნელებულ ცას, და როგორი ვედრებით ნატრობდა ხანდახან ისე უბრალო, თუმც შორეულ და მაინც გაჩვეულებრივივით, მთვარეს, რათა ის ნოტები სწორედ იმ სამი მთავარი თითით, მერე ბატის ფრთას მუსიკასშემდგარ ადამიანებიდან ყველაზე მყარად რომ დაიჭერდა, ეგრეთწოდებული შინაურებისათვის როგორმე შეუმჩნევლად რომ მოეპარა და გადაეწერა, რადგან ჯერ მხოლოდ მუსიკის ბავშვი იყო, მერეც, კვლავ, ბავშვიც და მბრძანებელიც, ოღონდ, თავიდან, რაღაც ჯიბგირი - ოღონდ ისევ და ისევ თვით მუსიკისა, თუმც, მთლად ქურდი და ჯიბგირი და ქურდბაცაცაც არ ეთქმოდა, ეს - მისათვის აგდებულად ჟღერს, განსაკუთრებით, ქურდბაცაც-ა, და გადამეტებულადაც, რადგან გათენებისას, როდესაც სხვები იღვიძებდნენ, იმ პარტიტურას იმ სამი თავისი მთავარი თითით, უკანვე აბრუნებდა. იმ უნებურად წყვეტილებებიან, იძულებითად დღეებგამოშვებით, მთვარისშუქიან სამუშაოს, აქ - კატორღაულ ნეტარებას, მუსიკის გარდაც უნებურად ცრემლდადენილი, მთვარის შუქობით, ექვს თვეს მოუნდა, მერე უპოვნეს და დაუხიეს.

უფროსმა ძმამ, ეს.

უფროსი ეძახე.

თუმც, დავიწყებულ არც ის უნდა იქნეს, რომ სწორედ ის ძმა პატრონობდა საკვებით, ტანსაცმლით, ჭერით. მუსიკაშიც კი ავარჯიშებდა, უბრალოდ, ის პარტიტურა, იმ თავისი ძმობით მისჯილი უბრალოებით, ხოლო უბრალოება მართლაც ძალიან ბევრგვარია, რატომღაც საზიანოდ თუ ნაადრევად მიიჩნია მისთვის, და ჯერ დაუმალა, მერე კი დაუხია.

ისე წვალებით, გადაწერილი.

მაგრამ, ვისაც რა ურჩევნია, ასეა მუდამ, იქითკენ მიდის. ვთქვით ჩვენც რა, რაღა... ისედაც კარგად ცნობილია ეს, ასე მაგალითად, ერთსაც დიად კაცს, კატორღელთაგან უდიადეს ყველაზე მშრომელს, ბავშვობიდანვე, ასე განსაჯეთ, ეგრეთწოდებული კეთილდღეობისათვის, მამა-ბიძები არჩეულ საქმეს არამცთუ უშლიდნენ და ტუქსავდნენ, სცემდნენ კიდეც, აბა მხატვრობა და ძერწვა-ჩხიკინი რა ხელობა და აბა რომელი თავისგამტანი საქმეაო, მაგრამ ის მაინც, მოგვიანებით, მიქელანჯელო, გახდა. და როგორ ნაკლებად დამაჯერებელია, ალბათ, ასე გამოთქმაც: „ეეჰ, ხელშეწყობა რომ ჰქონოდა, ვინმე პატრონი რომ ჰყოლოდა, რამდენს მიაღწევდა... ეჰ“, და არის კიდევ ჩამორჩენილი ხეპრულებიდან ერთიც ასეთი ფრიადი გამონათქვამი, რომელიც ასე გამოითქმება: „ნიჭიერია, მაგრამ

ზარმაცი“, რადგან ვერავითარი სიზარმაცე კი არა, უბედურებაც, ნამდვილ ნიჭს ვეღარ შეაოკებს, რადგანაც იყო, არის ვერდი; ხოლო ნამდვილ ნიჭს რაღა თქმა უნდა, ნაწყალობევი სულისშთაბერვა ახლავს მადლადმსუნთქავი სულიწმიდასი, და ვერაფერი დაუდგება წინ, ვერასდროს, ვერსად, თუნდ ჩვენს დუშეთთან, ანდაც, კახეთში, მაგრამ არ გვინდა, გადავუხვიოთ, ამაზე, შემდგომ, თუ მოვახერხე, ახლა კი, თუნდაც მცირე ხნით, იმ ბავშვთან მინდა, და, თავიდანვე, დაწყებიდანვე მინდა გვახსოვდეს,

ბავშვობიდანვე; მუსიკის აეს ჯერ ქურდბაცაცი.

მაგრამ იმ, ცრემლდადენილი პარვით გაცნობებს, ალბათ უკვალოდ არ ჩაუვლია, ხოლო აი ის მთვარითნახლები გადაწერები, დახევებისდამიუხედავად, რაღა თქმა უნდა უკვალოდ არ გამქრალა და დაკარგულა, რადგან უკვალოდ, უნებური და უცაბედი განაფიქრიც კი არ იკარგება, ხოლო ისერა ცხოვრების ბოლოს, მთლად რომ დაბრმავებულა, მანამდე თავად მთელი სამყაროს სრულიად მჭვრეტი, და, როგორ მეტიც, - მთელი სამყაროს ადამიანის პირობაზე შემსუნთქავი და, კიდევ მეტი, ჩვენდა წყალობად, გამომსუნთქველი, ისე-უბრალოდ ვერ ხდება, ეს, ამ რაღაც ორიოდ კადნიერ სტრიქონში როა, ბავშვობიდანვე ყალიბდებოდა? - ვთქვი რაღა მეცა, ვითომ ახალი, და მისი შეძლებისდაგვარად თვალთვალი, ხედვა თუ წარმოდგენა მაინც როგორი, თრთოლანარევი სევდაა, როდესაც თავისი პატარა ქალაქიდან, დიდქალაქ ჰამბურგში ფეხით მიდიოდა, ჯერ კიდევ უფრო ბავშვი, ვიდრე ყმაწვილი, გზად კი მთელი ორმოცი კილომეტრი ედო, თუმც რაა ორმოციოდე კილომეტრი აი იმისთვის, ვინც რომ სამყაროს შესასუნთქავად ბავშვობიდანვე ემზადებოდა, ხოლო ჰამბურგში ის უნდოდა, რათა კვირა-დილით, ეკლესიაში, გამოჩენილი მუსიკოსისთვის, მისი ორგანისათვის რომ მოესმინა, გზა კი, ბავშვისთვის და, საერთოდაც, გრძელი იყო, და შაბათობით, მოსაღამოებულზე, პურით უბეში, წყარო გზად იყო, გაუყვებოდა სხვისთვის ბილიკს და, მისთვის კი, მუსიკის შარას, და მიდიოდა, მიდიოდა, ჩვეულ ბაც-შუქშიც, წკვარამშიც, და თან ათოვდაც, ელავდა, წვიმდაც, ჩავლილ სოფლებში ავი ძაღლები ძალიან ჰყეფდნენ, მაგრამ ყველაფერზე საშიში ალბათ მაინც ის სიო-უცები იყო, ტყედ რომ იცოდა, რადგან იმ გზაზე, ალაგ-ალაგ მოკლედ რომ სჭრიდა, ბავშვი, სწორედ იმ გზაზე მთლად ჯუნგლი არა მაგრამ არცთუ მეჩხერი ტყეც ედო ბნელში, და, იქ შედიოდა, თვალებგაფართოებული, დაშინებული მაგრამ მუსიკისაკენ როგორ ჯიუტად მიმავალი ბავშვი, რა ძნელი იყო, მარტოკასათვის, ღამღამობის ტყე, მაგრამ იმას იქ სულიწმიდა ეხმარებოდა, ის მზრუნველობდა დედ-მამით ობოლს, და, მაინც როგორი სიბნელიდან, სუნთქვაშეკრული, მუსიკისაკენ გადიოდა.

იმ საკრავისკენ, ყველაზე მეტად რომ იცოდა სუნთქვა.

ცარიელაღა სუნთქვა იყო, მისი ორგანიც, ოღონდ, სრულიად სამყაროსი.

ჰამბურგისაკენ, ეტლებიც კი მიჭენაობდნენ, მაგრამ ეტლის კი არა, მარილის ფულიც არა ჰქონდა, შესვენება კი ერთ ტრაქტირთან იცოდა ხოლმე, საიდანაც რომ არასწორი შეძახილები და საჭმლის სუნი გამოდიოდა, იქ მხნევდებოდა თავისი პურით, ტყიდან ახლახან გამოღწეული, იმ ტყეში, უცაოს, ციმციტოვებულს,

მკვეთრ შიშებდავლილს, ეს გამოღწევა უხაროდა და, ცას-სანდომიანს, ახედავდა, გულმოცემული, იმ ვარსკვლავთა ჯგროს, ყველა-უკლებლივ ჩქარა მისი რომ გახდებოდა, ის მერე რა რომ, თანამედროვეებად წოდებულები, ვერ გაუგებდნენ, სამაგიეროდ, ის გახდებოდა მომავალ დროთა, საუკუნეთა თანამედროვე და უცილობელი თვით მპყრობელი, ჯერ რა იცოდა, მუსიკისაკენ, ჯერ მიდიოდა, მაგრამკი ჭირდა, გზაში, აქეთობისას მაინც, ერთხელ კი, როდესაც ტრაქტირთან რაღაც ძალიან ზედმეტად მდიდრული ეტლი იდგა, და საქმე თურმე იმაში იყო, რომ თურმე ანცი მდიდარი ოჯახიშვილი ახალგაზრდები სხვადასხვაგვარობისა და მრავალფეროვნებისათვის ქეიფობდნენ და თავს იქცევდნენ იქა, მათთვის ძალიან ღარიბულ ტრაქტირში, ხოლო წინა მდიდრული ერთფეროვნება კიდევ მეტად რომ შეეცვალათ, აღარ იცოდნენ, მოემოქმედათ რა, ხოლო თვით სულიწმიდა ახლა იმათაც კი გადასწვდა, უცნაურია, სულის გარდა რომ იგი, წმიდა, დავრდომილებშიც, ანუ სიმდიდრით დაცემულებშიაც რომ, სულ სხვა ღარიბი გამორჩეულისათვის მდიდრებშიაც კი მალვით ფათურობს, და ერთსაც ყველაზე მეტად საზრიანს ვითომ, მოქეიფეთაგანს, ასე ეგონა რომე ეს მე თვითონ მოვიფიქრეო, გამოვიგონეო, და ეს განზრახვა მთლად რაღაც ახალ და შეუეჭვოდ საკუთარ აღმოჩენასავით გახარებია, და, დამარილებული თევზისთვის, ჩვეულებისამებრ, თავი რომ წაუწყვეტია, და, რომ ეგონა, რომ ვითომ თვითონ მოიფიქრა ეს, ოქროს დუბლონი შეუჩურთავს თევზის თავში, იმ გაგებით, რომ დამარილებული თევზის თავს აბა სხვა ვინ შეჭამს, თუ არა ისეთი გაჭირვებული, ეს ოქროს ფული მასზე ალალი რომ იქნებაო, და ღობის მიღმა გადაუგდია, მოწონებითურ მხიარულ ტაშსა და შეძახილებში, ხოლო პატარა ხანში კი, აი სწორედ იქ ჩამომჯდარა ერთი ბავშვი, ჯერ უცნობი და, მომავალში კი... რომელი სიტყვა... თავი და თავი მუსიკოსი, და, თავის ხმელა პურს როგორღაცგვარი დაწაფებითაც და მოწყენითაც ერთდროულად, შექცევია და, ცოტათი ძნელად ილოღნებოდა, არაფერიღა ვერ გააჩნდა მისატანებელი რადგან, და, ის თევზის თავი შეუნიშნავს, ტრაქტირისპირა ძაღლებიც რომ არ იკადრებდნენ, ბევრად უკეთეს ნარჩენებს დაჩვეულნი, არამცთუ ჩვეულებრივი ეტლის წარმომადგენლობითი მგზავრები, ამას კი, ფეხოსან მგზავრს, სიტყვის თამაშად და მუსიკად ხომ, სულაც ნუ ჩამომართმევთ, მარილმოწყურებულს, აუღია და გაფცქვნას შეუდგა იმ თითებით, მერე და მერე თავად ორგანი განუკითხავად რომ დაიმონა, რადგან ძალიან დაემონა, ეს უცნაური ორმხრიულადი კანონზომიერება, ეს, თითქოს ვითომ ურთიერთგამომრიცხავი, მაგრამ როგორი გარიგება, მერე როგორი მეშუამავლით, - სულიწმიდათი, და, მერე კი, იმ ღამეული გაჭირვებების ჯილდოდ, ადრიან დილით, მთელ ერთ, ორ, სამ თვეს, - მუსიკისაკენ, თვით თავად ეტლით, სულ სხვადასხვაურ მგზავრებთან ერთად, ერთი ისიც კი მიემგზავრებოდა, ჯერ ისევ ბავშვი მაგრამ, მომავალში, რა, რა ვუწოდოთ, ცოტათი მაინც შესაფერისი... თუმცა, რაღა წოდება იმას უნდა, ისედაც გახდა მერედა ვინ - იოჰან, სებასტიან, ბახი.

ბახ-ი... გვარის მიხედვით, ცალმარცვლიანი კომპოზიტორი.

გვარი, საერთოდ, ძალიან დიდი უცნაურია. -

ნაკადული და, ასე წამლეკი? ოღონდაც, უცხო მწვერვალებისაკენ... - მაგრამ ჯერ, მაინც ბავშვი იყო, თუმცა ბავშვობა, გადამწყვეტია.

ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ, სულ სხვა ქვეყანაში, ერთგან ასე ეგზომი შეჯახებები განსაკუთრებით გრძელდებოდა, ხანდახან კი ხდებოდა აშკარად თვალსაჩინო შეტაკებებიც, რომელთაგან ერთი იმითი დასრულდა თუ დაიწყო, ამ შემთხვევაში ეს გამონაკლის-სულერთია, თუმც რომელ საწყისა თუ სასრულზეა ლაპარაკი აქ, ჩვენ-ჩვენებურ უწყვეტობაში, რომ თვით პარლამენტის ერთმა ახალგაზრდა წევრმა არცთუ ძალიან უმიზეზოდ აიღო და ერთ-ერთ შედარებით ხანდაზმულ მაგრამ ხანდაუზმელ წევრს, არც აცია და ბორჯომის წყალი სახისკენ შეასხა, მაგრამ ის ჭარმაგიც არ აღმოჩნდა მოფამფალებული, რადგან რაღაცა თავისი საქაღალდე კარგადროულად ნაწილობრივ აიფარა სახეზედ, რომელ საქციელზეც ბოროტი ენები პურის რიგებში ავად ქილიკობდნენ, პაპკა აიფარა პოპკაზეო, ესაა საქმე, უსირცხვილოები, და ამას, მასზე, მასზე უმცროსებიც კი ამბობდნენ დროულზე, როგორ დავკარგეთ უმცროს-უმფროსობის ანბანურ-ასოურ-პოდპოლკოვნიკური განცდა, რომ თუმც სამკურნალო, მაგრამ მაინც წყალიც კი შევასხით უფროსს ზოგიერთებმა, სანანურია, პირდაპირ, და მერე კი იმ მხცოვანმა ასაკით უმცროსისადმი, თორემ ისე შედარებით ახალგაზრდა უკეთეს მწკრივში იჯდა, სამაგიეროდ ტელეფონის შეტყორცნა რომ დააპირა უმცროსისადმი და სტყორცნასავით კიდეც, მაგრამ შნური ქვია თუ რაღაცა ჰქვია, ე?, ისტორიის მართლწერაულად ნაკლულო ფაკულტეტო, მოკლედ, ტელ.-თასმა (ტელეფონის თასმი - ისტ. ავტ.) მოკლე აღმოჩნდა მოსეირეებისთვის სავალალოდ და ამით საწადელს ვერ მიაღწიეს ვერც ჭარმაგმა და ვერც ტელეფონიმ, ის კი, ყურმილი რომ ჩამოკონწიალდა და ძალიან საეჭვოდ, მერყევივით რომ აქეთ-იქითკენ ირწეოდ-ქანაობდა, ანუ კონწიალობდა, მაგრამ აღარ იყო მისთვის ასპარეზი (ტელეფონისთვის? - ისტ.?), და აკი შეიქნა დიდი გაწევ-გამომწევ-შეწევ-შემოწევნა, და სხვადასხვაგვარი კონტრასტული სიტყვები, მაგრამ გარეგნულად მშვიდობისმოყვარე პოდიუმ-ძალებმა გააშველეს როგორც იქნა მოქიშპეები, ხოლო ყოვლად უდანაშაულო ბორჯომნაგემი საქაღალდისა და, განსაკუთრებით, ტელეფონისიც ყოვლად უდანაშაულო არასაშური ბედით, პურის რიგებში მაინც, არავინაც არ გაცნობისწადილებულა რაც თავისთავად ფილოლოგიურია, მაგრამ სხვათაგან არავინაც არ დაინტერესებულა ალბათ ისტორიულა-მემონტიორეს გარდა და მეტი, ხოლო რიგის ერთნი რომ იძახდნენ, არა, არაა, თუმც არაარ ისაუმფროსი მთლად იაპონური საათივით აწყობილი და დალაგებული მაგრამ ასაკით უმცროსს ეს მაინც არ უნდა ჩაედინ-ეკადრნა, არა, არაო, და ძირითადად კი არა, არამედ გადამწყვეტი დიდი ხმისუმრავლესობითაც, ეთანხმებოდნენ, მაგრამ მეორეს მხრიდან მხოლოდ ერთმა გამოთქვა ასაკით შედარებით ახალგაზრდისადმი მხარდაჭერა, მაგრამ ისეთად არგუმენტირებულ-დასაბუთებული, რომ „ბერიკაცი ვაარ, ნუ შემასხა

არქეოპოლისი, სებასტოპოლისი, ეე, ეე, თბილისი, წავკისი, ჰო, ოდისევსი, მანგლისი, წალკა...!?), ჰო, ტელეფონის შნურულ-პროვოდი აღმოჩნდა მოკლეო, თორემ ისე იმან ხომ უფროც მეტად გაიმეტაო, და ამიტომაც მე ბორჯომისი წყალისი თუმც ძირითადად უშედეგო მაგრამ მაინც შესხმადაპირებული რა ვუყოთ რომ ტემპერამენტიანი ახალგაზრდისი მხარესი ვარ, ვიდრე ტელეფონისი (აფსუს, ვმეორდებით, - ავტ.) ყურთმილთაიანამტყორცნი ბევრადაც ადრე თუნდაც პასპორტულადაც გოდროჟდენიასიასიო (რომელი აქა-უკანასკნელი სიტყვაც არამცთუ ერთის მხრივ ერთგვარად ჩამორჩენილი ისტორიკოსის კი არა ალბათ საკულინარიო ტექნიკუმის ჩაჭრილ აბითურიენტთა სიტყვათმარაგშიც კი არ მოიძებნება), რადგანაც, ხომ გაგვიგია აკი ყველას, რომ წყალი უმცროსისაა, ხოლო ტელეფონი კი თუ უმფროსისისაა, ეს კი სულ არსად გამიგია, და აბა რომელ ერთს გვსმენია როდისმე ეს ჩვენო, რაზეც, რომელი გამონათქვამითაც, - დავჰყუჩდით.

დავჩუმდით ასე, ძირითადობით. კანტიკუნტადღა თუ გაისმოდა,არ უნდა ექნა-უნდაექნაო, ხოლო ერთ „მაინცარუნდაექნაო“ -ს წარმომადგენელ ერთსაც მუსიკოსს მიახალეს, - არ უნდა ექნა, რა, აბა ყველა შენსავით ნოტებიანი მუზიკანტი და ბახი ხოარ გამოვაო, - რაც, თავისთავად, -

ნამდვილათ. მაგრამ,

ხოლო იმ მუსიკოსმა, მხოლოდ იმაში გაიბრძოლა, რომ, ჯერ ეს ეგ ერთი შენ ჯერ რა იცი, რომელი ერთზე აღვნიშნე რომ, არუნდა ექნაო, რითაც, მოწინააღმდეგე მხარე ისე დააჩუმა, რომ პირდაპირ მისი ძლიერი დაჩუმება გამოიწვია ისეთი რომ, რაც ისევ, -

ნამდვილათ.

მაგრამ, ყველას რომ ჩვენ-ჩვენი გვაწუხებს? ნეტა, „ნამდვილა-თ“ ნეტავი მართლა ამ თავის ბოლოში „თ“ -თი იწერება, თუ სულაც „დ“ -დ? ა?, ისტორიავ, ისტორიავ, და განსაკუთრებით ძველბერძნულო, და ვუი?, შენაც, ისტორიკოსობავ, ფილოლოგიით ჩამორჩენილო, შენ ჩემი სულის წყლულის ყვაილო... -

გადავუხვიეთ.

ჯერაც არ გადაგვიხვევია...

ე?.

ახლა კი, სასიამოვნოდაც რომ გადმოვუხვიოთ, ხოლო ასეთი შეტაკებაუ-შეჯახებების გარდაც, და თუნდაც პოპკ-პაპკებისა და პროვოდხლართებით აცილებული, მაგრამ მაინც უთვალსაჩინოეს გადაკიდებათა გარდაც, გვხვდებოდა ხოლმე თუნდაც ნაგვიან ქუჩებში, სუფთაზე სუფთა თვალსაჩინურიც, შერიგებები. ასე მაგალითად, ჩალის ზამთარ-ზაფხულ ანუ მარად ჩალისმწვანეშლაპიანმა, რამდენიმე დღის შემდეგ ნამდვილი აკადემიის ერთ-ერთი წევრ-კორულის უანგარო თავდებით გამოშვებული ყოფილი ნამდვილშლაპაიანი რომ დაინახა იქვე-რა რიგში, იფიქრა, იფიქრა, იდუმილ-იდუმა იდუმალად ერთხანს, ხოლო მერე, თქვა:

„კაცო, რაც მე ამ პურის რიგებში რაც მე კითხვა-საათები დამიკარგავს, ბატონებო და ქალბატონებო, ამდენი წიგნი რომეკითხა, ნამდვილად ან ავიცენა გამოვიდოდი ან ბეთხოვენიო“,

რაზედაც, უნამდვილოშლაპაიანმა - რადგანაც სწორედ იმა ინციდენტის შემდგომ უპატრონოდ დარჩენილი ადამიანისსურნელ-სუნიანი შლაპა სულ მოკლე ხანში იმ შლაპასავით უპატრონო, და მაწანწალაც და შიმშილით ჭკუებდაკარგულმა სხვადასხვა შეფერილობის ძაღლებმა უკვალოდ დაფლითეს, - ასე მიუგო:

- ეგრერა, კაცო, საღოლ, ეგრე ილაპარაკე და გელაპარაკა რაღა, მახლას, - ეს რა ექვსიოდ არასრულ დღეში დასტყობია მილიც-პოლიც-და კლიენტის სუსხვა ლექსიკი, - აბა, ის იყო განა საქმე, კოდექსივით რო ბეზატკაზნა სულ რო ამას რო გაიძახოდი? - და, ძალიანაც რომ შეისუნთქა, ისე დასჭექაა!?: - მაარუჟნიი!!!, მაარრუჟნიიიიი!!!!, - რომ ჩვენ, თუმცა შუა-იანვრის არა მაგრამ, გინდაც მიწურულს, ისეც საზამთრლებს (რა ქართულია...), ისე დაგვზრინაა ამ კიდევ ჩვენთვის თუმც სევდიანად წასული ადრენაჩვევი მაგრამ ახლა მაინც შორიდანაცნობ ყინულოვანი საკვებ-პროდუქტის შეხსენებაზე, რომ ერთიექვსად გაგვიძლიერდა ცივი ძიგძიგი.

მოკლეთ, ჰორაღა, მოკლედ, სუაღარ იყო ჩვენი საშველი.

და, ისევ მოკლე... ეე, ჰორა, მოკლე თუ გრძელი, ისევ ჰორაღა, თუკი ისეთი გაჭირვებების, როგორიცაა შიმშილი, სიცივე, სხვადასხვასახე-სახეობის უსინათლობა თუ ასე შემდგ, მაინც კიდევაც შეიძლებოდა ამაებების არამცთუ ატანა, არამედ ამაებებისადმიც კი მოანეკდოტური შეფასებების ჰუმორიუსტულად, მისადაგებაც, რომელი უიუმორისტობებიცაა:

- როგორ ხარ!?,

- როგორ ვიქნები, ვარ-რაღა, როგორც რომ, რო, როგორც ძვირფასი წამალი,

- ეს როგორ?

- როგორ და, ვარ ბნელში და თან მაცივარში,

ან:

- რავა ხარ, ბიჭო?, როგუა გყავს შვილიშვილები?,

-ე?; ეჰხეხეხეეხ...,

- რა?,

- რა და, რაღა რავა ვარ, ვარ როგორც ნამდვილი მკვდარი...

- ვა?!.. ეს როგორ, კაცო, ეს როგორ...

- როგორ და, ჩაცმული ვწევარ და თავთით სანთელი მინთია,

და, ამას გარდაც, თუკი კი, მაინც, როგორღაც შეიძლებოდა ისეთი ერთგვარი სადიზმის ატანაც, რომ, მთელი სამი დღით უწყლოდ უმოწყალოდ დარჩენილ-ჩამორჩენილებს, ტელევიზიით თუ რადიოულად მოკეთურად გვაფრთხილებდნენ, რომ საბურთალო-ს (სახელწოდებაა ამჯერად შესაფერისი და კარგი) მოსახლეობასო ამა და ამ დროს ორი საათითა და ოცი წუთით შეგვიწყდებოდა თეორიულად კუთვნილი წყალი, და ამიტომაც ჩვენდამი ტკბილი თხოვნა იყო, გაგვეთვალისწინებინა ეს, აზიზებს და მოგვემარაგებინა ვინიცობისთვის საასორმოცწუთო წყალი (აი, ეს, უზუსტო ისტორიისაგან განსხვავებით, არითმეტიკულიცაა, კარგია ანგარიში, ოღონდ ვინც იცის), და, ხანმოკლე თუ მწვანედ ხაზგასმული ტელევიზორებით სამაგიეროდ ჩვენიურზეც კი უფრო მზიურ ანტალიასა თუ ხმელთაშუა ზღვის ნებისმიერ უხვწყლიან კურორტზე გვთავაზობდნენ დასასვენებლად წასვლას შენ ოღონდ თითი დაგედო ოღონდ მხოლოდ რუკაზე, იქნებოდა იქ თურმე დროსტარებები შილიფადცმული და თანაც ფერებში, ხოლო ჭრელი და მრავალფერადი (მაგრამ რათ გინდა) მირაჟ-კუპონებისაც კი ხელფასად დარიგებასაც კი დროისგამყვანლურად გვიჭიანურებდნენ, „დრო ოქროა“-ოს პრინციპ-მიხედვით, ალბათ, რომელი ხელფასიც, უმრავლესობა ჩვენთაგანისა არ იყოს, ბევრ სხვათა შორის, ძირითადად კილონახევარი მოთეთრო ხაჭოს ღირებულებას არცთუ თამამად შეადგენდა, მაგრამ ამასთანავე მწვანედ ხასხასა ვარდისფერ ანტალიას აუცილებლივ მწვანივშიშველი ქალებითურთ გვანახვებდნენ რეკლამაებში, ხოლო თანხა კი საამისოდ ჰყოფილა ისეთი, ისეთი, რომ გეგონებოდათ კი არა არამედ დაიჯერებდით რომ ეს ქალებიც, რამე იყოს, სანაძვისხეო ზეიმის შემდეგ (იყო ადრე ასეთი რამაც) საჩუქრები რომ გვირიგდებოდა მცირეწლოვანებს, ახლა, გამოცდილპასპორტიანებს, მითომ ეს ქალებიც ასევ-ადვილად გვებოძებოდა, თუმცა რომელი დასვენება იქნებოდა ჯერ ეს ერთი ეს, დაა, მეორეც, იმ თაკარა ანტალიაში თოვლის პაპაებს, და თუნდაც ქალებ-ხურჯინიანს, აბა რა უნდოდა, ხომ გადნებოდა, მაგრამ ქალები - დარჩებოდნენ, კი, მათ აკი მზეზე გვაჩვენებდნენ, მაგრამ უფრო კი აეს ანტალიაობა იმას ნიშნავდა, რომ, ხომკი მოგინდათ ასეთ მშვენიერ ადგილ-მიდამოში წასვლა, და ამისათვის, როგორმე ფული გაჩარხეთ საცხა, ანუ - იქურდეთ, მანქანა გაიტაცეთ, იბანდიტეთ, კრედიტი ტყვილა აიღეთ, იპატრიოტეთ ერთგვარულად, ბავშვები მოიტაცეთ და იმათ გამოსასყიდად გაყიდის პატრონი სახლს, რას იზამს აბა, - ეს უფრო იყო ჩადებული, და წამდაუწუმ იმასაც გვიბიძგებდნენ, რომ, ოღონდ იშოვეთ მარიფათიულად ფული და, შორეული თუნდაც უკურორტო ქვეყნებიდან კი 120 კგ-ს ნებისმიერი საქონელ-ტვირთის (“ნებისმიერი“ არ უნდა ეთქოთ, რადგან მორფიც და ანაშეულიც თეორიულად აკი „ნებისმიერი“ -ში შედის)ჩამოტანა ასეთაურად ტურისტული მგზავრობის ფულში შედის, იცოდეთ ესეც, ხოლო დანარჩენისა კი, თქვენ დაამატეთო, ნუთუ არ გინდათ დალოცვილი და კომფორტული მარკოპოლობა, რა კარგიაო, და ეს უფრო რომ დაგვეჯერებინა, იმასაც წამდაუწუმ გვიჩვენებდნენ ანტალიელი პირობითი მზეთუნახავებივით ჩვენცა პირობით საჭმელებუნახავებს, რომე, აიი, საჭმელიც აგრეთვე როგორი კარგია, განსაკუთრებით ამა და ამი ფირმ-ფირნიშ-აბრა-რესტორან თუ ზაკუსოჩნიაებშიაო, და ჩვენი საჭმლის უგროშო მომნელებელი ორგანოებისგან მთლად საწყისასი, ხახის, და ტვინისთვისაც კი, განსაკუთრებულად ნერწყვებდამდენ ეროვნული ხინკალის ჭამას

განსაკუთრებული სიხშირით რომ გვაცქერინებდნენ, ეს კიდევ არაფერი; - ისიც (ხინკალი) მწვანე იყო და, შედარებით ნამდვილს არ ჰგავდა;

და ისიც კიდევ ვითომ არაფერი? - ჩვენი ბოლოდროინდელი ეროვნულ-მგალობელი პრემიერებიდან ყველაზედაც კი უფრო ვარესი, ვინაც მერე ომში წასულ ბავშვებს პურს არ აწვდიდა, და ყველაზე მდარე სიგარეტსაც კი არ უგზავნიდა (მისახვედრია ხომ, რისკენაც უბიძგებდა), ხოლო თავის ახლომახლობლებს კი გამოულევლად ჰქონდათ რაღაც-რაღაც დროებითი მიწოდებები თუ შეღავათები თუ უავანსცენო, მიფუჩეჩებული ავანსები, ხოლო სხვებისთვის კარგა მსუყე, მაგრამ მაინც მხოლოდ დაპირებები, მაგრამ ისეთები? - ა?, კუვეიტური ნავთობიდან დაწყებული, კენიაური (მძლავრად უხვხორციანი სახელმწიფო ყოფილა ერთიც ასეთიც აფრიკაში ჩვენდამი თუმც არაეროვნული, მაგრამ ჩვენზეკი გიჟდებოდნენ, თურმე), ჰო, სწორედ და მაინცდამაინც კენიაური კარგი და უნავთობსუნიანო ხორცით განსაკუთრებით დამთავრებული, და ამ ნავთობ-ხორცს ისე ძალიან გვპირდებოდა და ისე დიდხანს, რომ ერთი პირობა მართლაც დავიჯერეთ, მაგრამაც მერე, იმდენი დრო რომ ათჯერ მაინც გავიდა, თანამედროვე გემით კი არა, არამედ დავუშვათა და ძველი მარკო პოლოც (რაღაც ძალიან შევუშინაურდით) კი რომ გაგვეგზავნა აიმ ხორცის ჩამოსატანად, ათჯერ მაინცა უმალ ჩამოგვიტანდა გინდაც ფეხით და ალაგ-ალაგ კი სიტყვაზე თვითნაკეთი იალქნიანი ნავით, ან სულაც კანოეთი, თუკი რა თქმა უნდა ზურგის ქარიც იქნებოდა და კიდევ თუკი ამჩვენ მარკოს იონასავით გზად ვეშაპი არ ჩაყლაპავდა,

„ვეშაპი - თევზია დიდი ზღვასა შინა უკეანესა, რომელმაც იონა შთანთქა“,

და თუ იმ შორ გზად, რაღა თქმა უნდა მოძმედ შავად გარუჯული და ფიცვერცხლნაჭამი ადამიანებიც არ შეშჭამდნენ, რადგან კანიბალიზმი შესაძლოა უდაბნოების გარდაც ჩვენსავით ამწვანებულსა აფრიკაშიაც კი, ყოფილიყო, ვითომ რითია დსთ-ს ზოგ-ზოგ სახელმწიფოზე ნაკლები აფრიკა და მისი კენია, მაგრამ აკი ვიძახდით სულ რაღაც ახლახან სსრკ-ში, რომ ყველა ხალხი გლობუსური ერთნაირია და ძმური, და იქ რატომღა აღარ უნდა ჯერ ეგემნათ და შეეჭამათ მერე ვითომ ეს მარკო, პოლო ჩვენ-ჩვენი, ჩვენხორციანა, ანაცდა ვასკო - დაბოლოებებს დაუკვირდით: მარ-კო, ვას-კო, ხომაა, ხომაა, ხომ კი, მშობლიურივით? - შალი-კო, ვასი-კო, ნაზი-კო, სული-კო, გული-კო,გიული და ასე, - იმას ვამბობდით, რომ გაგვეგზავნა ანაც კაპიტანი ვასკო და ზედაც დე გამა, მაიორივით; ალბათ ამიტომ დააგვიანა კი არა, მთლად გაქრა შავში, ხორცთ-წყალწყვის გემი, ანაც დაიწვა სულაც ჩვენდამი ძლიერ სიყვარულში - „დამწვარი ვარ, ისე როგორც ა,ბედი“ - ამ ორში ერთ-ერთი; ამის ატანაც, -

შეიძლებოდა;

შეიძლებოდა, აგრეთვე, ისეთი ბუნებრივი წვრილმანის ატანა, როგორიცაა, მაგალითად, სხვის გაჭირვებაზე, საკუთარი თავისა რომ გახსენდებოდა, და, ამით,

„წუწუნი - უნდომი ცუდი ტირილი“,

ასე მაგალითად, დორეს ოჯახის იმ ვრცელ, ყოვლად უნებურ და უდანაშაულო შიმშილობაზე, ერთსაც ყოფილ მეცნიერ-ბილბაოს თავისი სოფლის გემრიელი სანოვაგე ისე ხშირად ახსენდებოდა, რომ მისი თვით ბავშვობისი მეგობარი, ისედაც დარდიანი მიშო, ისე ძალიან ღიზიანდებოდა, რომ, როგორც ადრე, „შე აფრიკულო შლაპა“ოსაც კი ვეღარ უწოდებდა, რადგან, ამ გამკილაურ მიმართვაში რაღაცა სითბო მაინც ერია, რაც აღარ სურდა;

მაგრამ ბილბაოს წუწუნის ატანა მაინც შეიძლებოდა;

ეგება, ჩვენიც;

შეიძლებოდა იმის ატანაც, სპილენძის არამცთუ მავთულებს, დიდი წინაპრების ძეგლებსაც კი იპარავდნენ და გარკვეულად მიზანდასახული გზით ახლა არ ვიცით და ჩამორჩენილ-ჩამოტოვებულ წარსულ-ძველად კი არცთუ მეგობრულ თურქეთში ამოაყოფინებდნენ ყოფილ-ბიუსტ-თავს ამ სიტყვის ერთხნად პირდაპირი გაგებით, მაგრამ მერე გადაადნობდნენ თუ მავთულს მავთულად იყენებდნენ, ეს აღარ ვიცით;

შეიძლებოდა იმის ატანაც, რომ ცნობილი მიღებული მსხვილი ქურდები რაღაც მეათიათასედს თუ საამაყოდ გასცემდნენ ხოლმე, დიდ ხელგაშლილობაში ეთვლებოდათ ეს, მაგრამ ეს, თავის დაზღვევასა თუ თავმოწონებასთან ერთად, დახმარებულისათვის ერთგვარად სასარგებლო იყო; ოღონდ გააჩნდა თუ, ვის და რისათვის ეხმარებოდნენ;

ოღონდ, იმასაც გააჩნია თუ, ნამდვილ ფულს, შინაურულად საყოველთაოდ „ვალუტად“ წოდებულს, რაში ხარჯავდნენ; აგერ, ნათესავი თუ მეზობელი რომ შიმშილისაგან ყველაზე ძნელი სიკვდილით, გრძლადგაწელილი, მისასავათებელი სიკვდილით უკვდებოდათ, ის არაფერი, სამაგიეროდ, სათავგამოსაჩენოდ, ერთიც ზანგის გამჭოლად მყივანი დედაკაციც კი ჩამოათრიეს რა იყო, არამედ ციმციმ ჩამოაბრძანეს ჩვენი დედამიწის ჩვენთვის საპირისპირო ნახევარსფეროდან; ამის ატანაც შეიძლებოდა - რა ექნათ აბა, ძალიან უნდოდათ თავის გამომჩენური კულტურულ-თანამედროვედ გამოყურება, დიდი ამბავი;

კიდევ-კიდე, ჰა, შეიძლებოდა, თუმც როგორი დასაშვებია:

„ცრუ - დიდად მტყუანი“, აფთიაქები;

„რიოში - შერყუნული“ ალკოჰოლური სასმელები; თუმცა, რაღა კიდევ შეიძლებოდა, იმდენი ზოგი ცუდი და ზოგიც კარგი, შემსმელი იმსხვერპლა;

შეიძლებოდა, რაღაც წერტების აღმოსაცენებლად, გინდ დარბაზულად თავყრილობური და გინდაც ქუჩა-ქუჩური პატრიოტიზმი, და ამის გამო დიდი სიტყვიერი „ჭექა-აბჯრის ცემის ხმა“ და „ჭეხა - დიდი ქუხილი“-ს ატეხვა, თუ ცეცხლის დანთება მთლად უხიფათო გამჩაღებლისთვის გინა სოფლად და გინდაც ქალაქში, მაგრამ,

აფეთქებები; ვთქვათ სხვადასხვაგვარი დანიშნულების დაწესებულებებ-გაყვანილობებისა, ენა როგორღა მომიბრუნდეს და, თუ, იმ არეულსა დარეულობებში, კიდევ როგორმე, დაიშვებოდა არა, მაგრამ, იმათის ბნელი ხეპრეობით, მაგრამ როგორღაც, შეჩვეულზე, წარმოიდგინებოდა, ანუ როგორღაც კიდევ, წარმოსახვითურ, შეიძლებოდა,

არა, არაფრით შეიძლებოდა იმ საბაგირო გზის ზედა სადგურის აფეთქება, რომლითაც ონკოლოგიურ საავადმყოფოში როგორი ბევრმხრივი ტანჯვით მწოლიარეთათვის, უკანასკნელ ავეჯ-ჭურჭლეულგაყიდული სიმწრით ნაშოვნი ფულით ნაყიდი რაღაც პატარა წასახემსი ახლობლებს მაინც როგორღაც მიჰქონდათ და, - ის საბაგირო გზა ააფეთქეს, - პატრიოტობით!, ვერშეპიტნავებულებმა, პროტესტის ნიშნად!, თან, ონკოლოგიური საავადმყოფოს საბაგირო გზის ზედა სადგური ქალაქგარეთ, კარგა შემაღლებულზე და ყოვლად დაუცველად იყო - იმ უბრალო და თავიანთთვის უმაქნის შენობას კი არა, ხელოვნების გაორპირქარებულ მუზეუმსაც კი არ იცავდნენ - და იქ მდგარი შენობის აფეთქება, არავითარ ჩავლებასთან არ იყო დაკავშირებული, ვინ რას გაიგებდა, თუკი ამ ჟანრის პატრიოტ-ავტორი თვითონ არ წამოაყრანტალებდა ამას, ახლახანური ფულიკეთების გამოისობით ცრუ-შამპანურით გამომთვრალი!, და, გინდაც წამოეყრანტალებინა, მერე რა, მისთვის, მაგრამ ეს, ასე მძიმე ავადმყოფებთან აღმართებიანად მიმავალი გზის აფეთქება, -

არ შეიძლებოდა, არა, არა, არ შეიძლებოდა!

არადა, როგორ მომრავლდა ავადმყოფობები, განსაკუთრებით, ტუბერკულოზი - ამ ვადაგასული თუ ცრუ წამლებითა და უფულობით, ხოლო ყალბ სასმელ-საჭმელს, იმასაც, როგორი ზოგვით შოვნა უნდოდა, და, გინდაც როგორმე მოგეხერხებინა, ძნელმისაწვდომი, რომელ ერთ პროდუქტს მიენდობოდი, რადგან გადანაყარი საჭმლის შემოზიდვის დონით, ეს საქართველო, ლამის მსოფლიო სანაგვე-ბეღელი გახდა ავსტრალიასა და სამხრეთ ამერიკის ზოგ რიგ ქვეყნებს თუ არ ჩავთვლიდით, მაგრამ ეს რა დიდი იმდენი შეღავათი იყო;

არ შეიძლებოდა განგრენიანი ფეხის მოჭრისათვის უკანასკნელი ფულის დაწესებულად ჩამორთმევა, რის შეგროვებასაც ყოველთვის ვერ ახერხებდნენ ავადმყოფები, რომლებსაც ფეხის მოჭრაზე გაცილებით მეტად რაიმე როგორ გაეყიდათ, ის ადარდებდათ; ხოლო იმ ფულის შექუჩებაში, გარდაიცვალა, ბევრი... თუმც, მეორეს მხრივ, ამ მოულოდნელად და ერთბაშად გაჭირვებულ ექიმებსაც რა ექნათ, ეს მათი დადგენილება კი არ იყო, არამედ სულ სხვა ინსტანციებისა, რადგან ავადმყოფისგან ტანჯვა-წვალებით ასე თუ ისე შეგროვებული თანხიდან რაღაც გროშები თუ რჩებოდათ, ლომის წილი კი, ამბობდნენ ხალხში, თურმე დედაქალაქის და სხვა ქალაქებისაც გარკვეულ ყოვლად არასაჯანმრთელო ინსტანციებსვე მიჰქონდათ; ნეტავი რაში!, ნაგვის გატანაც კი ვერ ხდებოდა;

თუმცა, ისე მშვენივრად ჩამოგითვლიდნენ, ოღონდ სიტყვიერადკომუნისტური ინერციობით, რომ შეასრულეს ესა და ეს სამუშაოები, რომ წარმატებით იღონისძიებეს ესა და ეს, ისა და ისა, უსა და უს, ოსა და ოს, - ასაااა! - სუ

ტაშფანდურზე გადადიოდნენ მზრუნველაობით, მერე არ ვიცით, რა იქნებოდა და, ყოველ შემთხვევაში, 90-ანი წლების პირველ ნახევარში, - ნამდვილად;

და,არ შეიძლებოდა კი არა, გამანადგურებელი იყო, ახალგაზრდობისათვის მაინც, ის ასე მოზღვავებული სისხლიანი და პორნოგრაფიული ფილმები, რომლებსაც რამდენიმეთაგან ზოგი ტელემაუწყებლობა-არხი მაინც, როგორი მონდომებით გვაწვდიდა; თუმც, იმის ხაზგასასმელად, რომ ამერიკული კინოს ესსახეობა რომ სჯობია ბევრს, და ამის თვალსაჩინოებისათვის, კვირაში ორხელ, უნებურადმასხარაული რეჟისორების ქართულ-რუსულ ფილმებსაც გვიჩვენებდნენ, და, რამდენთათვის, „თანამევნე - მის თანა ივნო“ს, და, იმათაც რომ ჰქონოდათ დასაზღვევი, ხანდახან კარგ ქართულსა თუ რუსულ ფილმებსაც გადმოგვიგდებდნენ, რათა ხალხის აღშფოთების შემთხვევაში ჩამოეთვალათ, აი, ესეცხო გაჩვენეთო, მაგრამ ეს წვეთი იყო იმ ბილწურ ზღვაში, ეკრანიდან რომ დაგვაქციეს, და ჩვენს ახალგაზრდობას, ისე საცოდავად განწირულებს ყოველგვარი ინს,ტანც,იაისგან, რომ, მართლაცდა როგორ უბედურებს, მთლად გაუჩვეულებრივეს ძალადობა და ყოჩაღურივით ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯა, და ეს თვით ამერიკისთვისაც არ უნდა ყოფილიყო მთლად უწყინარი გასართობი, მიუხედავად იმისა რომ იქ პოლიცია გაცილებით უკეთ მოქმედებდა; არა, ეს ნამდვილად არ შეიძლებოდა, თუ არა ბნელისხელი;

ახლა, სიმღერებს აღარ იკითხავთ? და, თუმცა „სიმღერა - მსოფლიო(სოფელთაგანი) ხმოანება“, მაგრამ იქვე, „სიმღიერე - მუნიანობა“, და კიდევ იქვე: „სიმყვირტლე - სიმჟავის გარდარეულობა“ და, იქვეც მეოთხე, ასე გვერდიგვერდ, „სიმყრალე - ავი სუნი“, და აეს ასეთი სიმღერები, ადამიანურხმოვანებისგან განსხვავებით, ასე ძალიან როგორ შეეფერებოდნენ ამ ზედიზედა ოთხ განმარტებას, თან, ასე წამდაუწუმ და განუკითხველად ასე ხმამაღლა რომ ჩაგვესმოდა, გაგიჟებისთვის; ერთდროული აღრევისა და აღგზნებისა და დაბინდვისათვის, სხვა აბა რომელი იქნებოდა, ქვეყანა სანთლით რომ მოგევლო, სხვარამ ნაყენი-საშუალება, და ვერაფერი გამართლება იქნებოდა ის, „რახან დავეჩვიეთ, ასეიგი კარგია“ო, რადგანაც დაჩვევა, კანიბალიზმთან ერთად, თუმცა ეს ჩვენში პირდაპირი მნიშვნელობით ჯერ არ იყო, სხვა რამეებმაც, დაჩვევები თვალსაჩინოდ იცის, ხოლო თვით საკმაოდ შორს, და ადრეც, ერთის დიადი კაცისგან თქმულა, რომ მუსიკის უმთავრესი და საბოლოოდ მისაღწევი მიზანი ისაა, რათა „ემსახუროს ღვთის დიდებასა და სულის განახლებას, სადაც ამას არ ექცევა ყურადღება, იქ არ არის ჭეშმარიტი მუსიკა, არამედ ეშმაკეული ლაყბობა და ხმაურია“, და ეს მუსიკა, ხმამაღალი საკრავებისა თუ ორფეხისმიერი, დღეს რომ ამის მთქმელს მოესმინა? - ა?... ამის მთქმელი კი, იყო ბახი,

კიდევ შეიძლებოდა, ფულებნაშოვნ თუ ფულებსაშოვნი მოღვაწეებისაგან რაღაც ბეჭდვითურ ნაწარმოებთა ფსევდომხატვრული ნიმუშების ერთობლივი გამოშვება; მაგრამ, სახარებასთან ერთად, ჰოროსკოპულიც, ასე ვთქვათ ლიტერატურის, ბეჭდვა, ერთი და იგივე პოპ-გამომცემელთა მიერ, და, იმ წიგნების ერთ თაროსა თუ დახლზე დადება, სახარებასთან გვერდიგვერდ? არა, არა, ნამდვილად არ შეიძლებოდა;

ხელმოკლე, ანუ დიდი უმრავლესობის ოჯახთა ბავშვებისათვის, რამდენ ხანს აღარ გამოდიოდა ჟურნალი „დილა“, ხოლო ფრიადად დიდი შემძლე უმცირესობისათვის, ეს დიდ სადარდებელს არ წარმოადგენდა, რადგანაც იმათი შთამომავლები ინგლისურ-ფრანგული საბავშვო და საყმაწვილო მოყირჭებული წიგნებით ქაღალდის ჩიტებსაც კი აკეთებდნენ; ხოლო იმისდა მიუხედავად, რომ მშვენიერი კარგია სხვათა ენები და იმათი ფლვობა, მაგრამ, ამასთანავე, მშობლიურიც-კი, თუნდაც ქართულიც (-კი?), ხომ საჭიროა, არა, მაინც, ერთგვარად, არა?

გასაგები ვითარებების გამო, ძალიან ძნელად, თითქმის სრულიად არ იყიდებოდა კარგი წიგნები თუ კარგი ყდა არ ჰქონდა რასაკვირველია, თუმცა ხანდახან ვერც ეს შველოდა, იმ გასაგები და უბრალო მიზეზის გამო, რომ „კარგი - კეთილს ჰქვია“ წიგნების კარგ მკითხველებს წიგნის კი არა, ბავშვებისათვის რძისა და წამლის ფულიც კი ვეღარ გააჩნდათ; სამაგიეროდ, ძალიან კარქათ, „კარქი - რიგი“, სულ ზედახორით გაიყიდა და შესყიდულ იქნა სიტყვით მეძავ-გამომცემლებისაგან „ფინთი - შერყუნული“ ნაშრომი „ეკატარინე II-ს საყვარლები“, ესეც იმ უბრალო ახსნა-მიზეზით, რომ ამდენი წიგნის სოფლელ-ქალაქელ მსურველებს საამისო ფულიც გააჩნდათ და ამასთანავე რუსის დედოფლის ძაგების ქართულათ კითხვაი პატრიოტობაშიც აკი ეთვლებოდათ, რომელი უკანასკნელობაც წასახალისებელი იყო, თუმც, ჩვენში დარჩეს და, ხოლო ეკატერინე II, სულაც არ იყო, დარჩეს-მეთქი ჩვენში თორე მიფრენენ, ვერ იყო რუსი;

კარგი, არ იყო, არა, სინათლე? ამის ატანაც სიცივესთან, სიცხესთან ერთად, როგორღაც მაინც შეიძლებოდა ჩვენთვის, მოზრდილებისა თუ ხანდაზმულებისთვის, ვისაც გვახსოვდა-მაინც ზამთრობით ცენტრალურად წოდებული გათბობა და ბავშვობისდროინდელ ზაფხულობით კიდე, აგარაკები, მაგრამ როგორი იყო ამ სკოლამდელი ბავშვების დანახვა, ზამთარ-როგორღაც გადატანილები, ივლის-აგვისტოს ხვატში, საღამოობით თუღა გამოვიდოდნენ სათამაშოდ გარეთ, ეზოში, და, თაგვ-ვირთხების სამფლობელოში, ნაგავში როგორ უწევდათ თამაში თუ არა, გავლა მაინც; არა, ამის ატანა ნამდვილად ვერ შეიძლებოდა, თუმც, გააჩნია, ვისთვის... რადგან ბოროტი თუ მართალი, აბა რა ვიცით, ენები იმასაც ამბობდნენ, რომ... - ზოგს აწყობდა ეს! წამლების მეტად შემოზიდვისა და გასაღებისთვის... მისწრება იქნება იმათთვის, ერთი კარგად გავრცელებული ტიფი, ცოფი თუ დეზენტერეაო... ნეტა?

ან როგორ, როგორ შეიძლებოდა ისეთი საშინელების ატანა, როგორიც იყო, გაურკვეველი ომი, და იქ მრავლად დაღუპული, ჩვენი, სუყველას, შვილები, მანამდე კი, შეუიარაღებელი თუ ქურდ-ბანდიტობას იძულებით შედგომილი მოკლული თუ მკვლელი ბავშვების, ყოველდღე ჩვენება? ხოლო შუა ომის დროს, ამ საგლოვეთში, გარკვეული ასაკის დედაკაცებმა მოითხოვეს რომ, დამოუკიდებელი საქართველოს სრულიად ეროვნული ჩემპიონატი მოეწყოთ გრძელსა და ზედაც მოკლე ნარდში სამოცს გადაცილებულ მანდილოსნებთათვის...

როგორი იყო, ამ ომიდან გამომდინარე, ენურ და ხელსაყრელი პატრიოტობით, ყველა ახალგაზრდას, უკლებლივ, მამულისათვის ომში წასვლას რომ

მოუწოდებდა ერთი ისეთიც, თვითონ რომ სამი მოწიფული ვაჟი, ჰყავდა, და რომ ეგონათ, სამთავე ალბათ ომში პირველმა გაუშვაო, არა, აარა - იმათგან ორნი მთლად ამერიკაში ჰყოლებია მოყუჩებული, ხოლო მესამე - მხოლოდ კვიპროსში.

როგორი იყო ერთი გასაცოდავებული, ერთი მცირეწლოვანშვილიანი ქვრივის მოსმენა, რომ, თავისი ხელფასით კვირაში მხოლოდ ორჯერ შეეძლო პურის ყიდვა, და, ერთხელაც, დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ მაღაზიაში ნაყიდი პური რომ ეპატარავა და ემსუბუქა, მეზობელთან აუწონია და, 1000-ის ნაცვლად, 650 გრამი აღმოჩნდა? - ადრე, გადასახლებული პატიმრების, დღიური ულუფა.. ამ ქვრივს როგორღა ეტირა მაინც, იმა მწერალთან შედარებით...

როგორი იყო, ყოველ ნაბიჯზე, თავჩაქინდრული გამათხოვრებულების დანახვა, თავს ვეღარ იღებდნენ... და, იმათში კი, მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ადრე როგორი შემართული, ამაყი და თბილი როგორი, მასწავლებელი!

ხოლო ჩამოყალიბდა ასეთი ოპტიმიზმიც:

ტელევიზიით რომ გადმოსცემდნენ, - ეს თვითდინებით შეგვინარჩუნდა, მითომდა წრფელი „გლასნოსტ“ -ი - გადმოგვიცემდნენ მწუხარის სახით, რომ გუშინ თბილისში სტატისტიკური მონაცემებით გაიძარცვა ამდენი და ამდენი ბინა, მოხდა ამდენი მკვლელობა ხოლო საქმე ძიებაშია, ხოლო დაჭრა-მაჭრაებს სალაპარაკოდ აღარა თვლიდნენ, რომ ბრმა ტყვიებით დაიღუპა ესა და ეს, რომ ახალგაზრდა ორმა ქალიშვილ-მანდილოსანმა, კურტაკის წართმევისას, ყოვლად გაკვირვებული და დაბნევისაგან ხელებჩამოყრილი, უილაჯოდ გაღიმებული ახალგაზრდა კაცი მოკლეს, რომ ამდენი და ამდენი ნარკოტიკების გამსაღებელი დაიჭირეს - იგულისხმეთ რომ, „ჩქარა გამოუშვებენ, ფულის საქმე არ არი?“, და თუ არა და, რომ კოლონიებიდან თუ მილიციიდან თუ პოლიციიდან ამდენი და ამდენი საშიში ბოროტმოქმედი, უგზო-უკვლოდ გაიქცა მაგრამ სამაგიეროდ საქმეები აგრეთვე ძიებაშია; რომ დაიკარგა ამდენი და ამდენი ბავშვი, რომ გაუჩინარდა თუ ძალით წაართვეს მოქალაქეებს ამა თუ იმ მარკის (მარკას ზუსტად ასახელებდნენ) ბევრი მანქანა; რომ ერთიც ჩვენარხული ტელევიზიით გადაჭყიპულმა ალბათ, ოთხმა არასრულწლოვანმა ახალგაზრდამ დღისით და მზისით გააუპატიურა პენსიის ასაღებად მიმავალი მოხუცი, თან ბერიკაცი და ყავარჯნებიანი ხოლო ყავარჯნები გადაუმტვრიეს პოლიციაში რომ არ ეჩივლა და არ აღძრულიყო საქმე მაგრამ ყოჩაღმა პოლიციამ მაინც დაადგინა არამცთუ ფაქტი, არამედ ძიებაშიც კი გადასცა საქმე; აცხადებდნენ მსგავს და, ძნელი წარმოსადგენი კია, მაგრამ უარეს შემთხვევებსაც კი, მერე კი, ყოველივე ამის ვითომდაც გასაბათილებლად, შემდგომ მოჰყავდათ საზღვარგარეთული მაგალითები, აი, იქაც კი მსგავსი ხდებაო, და გვაჩვენებდნენ ხანძრებს, გვამებს, ადამიანების დახვრეტასა თუ ჩამოხრჩობასაც კი, ხოლო სპეცგამოშვების მთლად ბოლოში, გულის სამადლოდ გამოსაკეთებლად, ანდა სულიერი მდგომარეობის ვითომც გასაწონასწორებლად მაინც, რომელიმე საზრიან დიქტორს მორიგი ცნობის წინასწარ დანახვაზე, სახე საკმაოდ გაებადრებოდა და, - რაღაც ამდაგვარი:

- ნება მომეცით, ძვირფასო ტელემაყურებლებო, ამდენი უსიამოვნო ფაქტის შემდეგ, ორი სასიამოვნო მაუწყებლობით დავამთავროთ ჩვენი გამოშვება, -

კიდევ უფრო გაიღიმებდა, ოღონდ ჯერ მხოლოდ მაგიდისაკენ,

ხოლო მომსმენელ-მაყურებელი კი ფიქრობდა:

„ბიჭოს!? ნეტა რით უნდა გვანუგეშოს... ამ ამბების შემდეგ... თან ორი რამით?“

ხოლო დიქტორი კიდევ მეტად გაიღიმებდა მაგიდისაკენ, მერე კი, პასუხისმგებლური სიდარბაისლითაც, ერთგვარად მაინც დადინჯდებოდა და, გასახარებელს, გვეტყოდა მერე:

- დღეს, ჩვენს დედაქალაქ თბილისში, სამ საათზე, დღის, რიყეზე, რიყის მთავარ ქვაზე შედგება და მხოლოდ თავის საკუთარ ლექსებს წაიკითხავს თვითნასწავლი მხატვრული პოეტი, ანგია ხანჯალაძე,

„ვა??.. მერე ჩვენ რა“...

ხოლო დიქტორი აიღებდა თავს, აგრეთვე მნიშვნელოვნურად შემოგვხედავდა მონატრებულ თვალებში, და, გაზეპირებულს დაუმატებდა:

- ქნართან, სივილლა ქარქაშაძე... ეე, ეე, მაპატიეთ,

და ქაღალდისკენ სხაპასხუპით იხედებოდა, იმ არამარადმწვანე მაგიდისაკენ, სადაც არ ამოდიოდა ბალახი,

- ეეე... ჰო! ხოლო ქნართან!, სიბილა გამხიტაშვილი!.. გამხიტაშვილი!!

...

- ხოლო მეორე სასიამოვნო ცნობა, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენს მთავარ ეროვნულ დარბაზში ამა თვის ოცდაორში მოეწყობა სილამაზის კონკურსი, - შემოგვხედავდა, - მუსიკის თანხლებით, ხოლო ფოიეავოეებში კი, -

დაიხედავდა, ამოგვხედავდა, გაგვიღიმებდა,

- მოეწყობა მასობრივი შეჯიბრი ეროვნულ დომინოში,

გაგვიღიმებდა უმფრო,

- შეჯიბრებებში მონაწილეობის მსურველებმა, უნდა გაიხადონ, ეე... არა, უნდა გადაიხადონ, ჰო, ეე, ორმოცდათოთხმეტი მილიონი ეროვნული კუპონი, - ალერსიანად შემოგვხედავდა, - ხოლო შედარებით ულამაზოებმა, უფასოდ, ეე... - დაიხედავდა, - ეე, ააააა, ანდა შესატყვისი რუბლი ან ერთი დოლარი ან ერთი მთელი და რაღაც მეათედი მარკა, - გადმოგვხედავდა, გაგვიღიმებდა, ანუ - სიცოცხლე გრძელდება, ჩვენ - ცოცხლობთ!, - დაიხედავდა, - ხოლო ჯიბით დომინო, - გამოგვხედავდა, - არაა ძნელი...

„ვაი, თქვენს“...

ხოლო ზოგიერთების ნაწილი კი, თქვენ წარმოიდგინეთ, დადიოდა, მოწოდებისგან, ხოლო

„ჭარტალი - არაქართულია, მრავალ მეტყუელსა კაცსა ჰქვიან“,

ამასთანავე, „სიტყვის კონა“ში თავისუფლად შეგიძლიათ იხილოთ განმარტება სიტყვისა „პრაწი“... აქ ვერ მოგიყვანთ, რადგან ჩვენში ძლიერ დამკვიდრდა დამწერლობითურ-გამოთქმითური ხელდაენური თავშეკავება, საქციელებისაგან დიდად განსხვავებით,

მიმოვდიოდით, რაღა,

ხოლო „სიტყვის კონა“ში, მოვიძიოთ და „სლვა“ თურმე რამდენგვარი და ეს როგორ ბევრი ჰყოფილა, თურმე, ხოლო იმათგან ზოგიერთი?:

„მონადირეთაგან ნადირთ მისაპარავად მუცლით ცოცვასა - ცორვა“;

„პირუტყვთა მალიად სიარულსა - რბენა და ჭენება“;

„მათს თამაშობით რბენასა - კუნტრუში და იბეკნი“;

„მათსავე ავად სიარულსა - ჩაქჩაქი“;

„ცხენთა გოგმანით სიარულსა - თოხარიკობა“;

„სხვა რიგ კეთილსა სიარულსა - მერნობა“;

„ავსა სიარულსა - ჯაგჯაგი“;

„უბადო (ცუდი, ავი) ცხენის ავს სიარულსა - ჩანჩალი“;

„გველთა - გლინვა“,

„ჭია-ღუათასა - ღოღვა“,

„ბელთასა - ცანცალი“,

„სლვისა და სირბილისა საშუალოსა - ძუნძული“,

„თევზთა და ზღვიერთასა - ცურვა“,

ეს ყველაფერი, -

კარგა ვიცოდით.

ნეტა, შეუგუებელ ნეტარ დინოზავრებშიც, ნეტავ, თუ იყო პროსტიტუცია, ნეტავი? ალბათღა, არა. დიდი-დიდი თუ, იქ ხვადი მდედრულს პატარა ბალახს გაუწვდიდა, და თან თავისებურად ეტყოდა, ერთი კარგი ადგილი ვიცი, იქიდანაა, აჰა, ჯერ აბა ეს გასინჯე და, თუ მოგეწონოს, იმ ადგილს დღესვე, ახლავე გაჩვენებ“ო,

და შეიყვანდა ტყეში.

ხოლო აქ, ჩვენში, იყო სხვადასხვაგვარი, გაოგნებამდე დამაფიქრებელი, ღონისძიებებიც:

„დღეს, ამა და ამ უბედურების თარიღის დღეს, მტრის ჯინზე მოეწყობა სიცილის კონცერტ-საღამო,საღამოს ექვს საათზე ეროვნული დროით სცენაზე იქნებიან გამოჩენილი... შესანიშნავი... პოპულარული“...

„არა, ნამდვილად შევიშალეთ“, ფიქრობდა ზოგი, „თან, მგონი საყოველთაოდ, ანუ როგორც ძველები იტყოდნენ, მასობრიულათ“...

ხოლო სილამაზის კონკურსის ლაურეატ-დიპლომანტების დანახვაზე, მართლაცდა წრფელად გაოცდებოდით, ისეთი ძნელი რამ იყო თუნდაც ასოცი მეკონკურსიდან კი არა, საქართველოში ნებისმიერი ასოცებიდან ასეთი გარეგნობის ქალიშვილები (სიტყვაა პირობითი) მოგეძებნა ვითარც სახე-ტან-ფეხით ასეთად მწვანედ უარყოფითულების, პირდაპირ ქვაზე დახატულებს ჰგავდნენ, ოღონდ ძალიან მულტფილმურად, - გამარჯვებულად იღიმებოდნენ ისე, თან საკბილოურად გვიღიმილებდნენ აგრეთვე უკლებლივ ყველანიცა, როგორცა ჩანდა, ასოცნივენი, ემ თვალდასაყენ თამაშობებში ოლიმპიური თამაშების სულისკვეთებით მონაწილეობდნენ, რომლისა რომელ დევიზიცაა „მთავარია მონაწილეობა“ და ოღონდ თანაც შილიფად, თან ამა ასოცნებს წინაქართულ „ქუდზე კაცი“ -დან დიაღაცა რომ თანამედროვე ჩამოურჩენლად ემანსიპირებული „საცვლებზე ქალი“ ჯიღურად ჰქონდათ, ხოლო ერთხელაც ვიღაცა მართლა საერთაშორისო ...ლელთ ლამაზი რომ გამოიყვანეს, ოღონდ ჩაცმული, იმას გადაცმულობის წყალობით თითქოსდა არა უშავდა-რა, მაგრამ გაშლილ თმას ისე იქნევდა და აფრიალებდა, რომ დიქტორს, თავის ოპერატორიანა, ჰონგკონგური ფილტვების ანთება თუ არა, ჩვენებური უბრალო თავმდაბალი სურდო-ანგინა მაინც დაემართებოდა,

გამორთავდი ტელევიზორს და, სიცივეურსა უმოქმედობას, მერე და მერე, მაინც თავისი გაჰქონდა, და, ჩავრთავდით თუ არა, თუარ საბჭო და პარლამენტი? - რამე ასეთი:

„ამა წლის ჩვიდმეტი დეკემბრიდან, ამა და ამ ქუჩის ამა და ამ საათზე და ამა და ამ ნომერში, უფრო კი ღამის პირველ საათზე გაიხსნება ორმოც წლამდე უმანკო ქალთა ესთეტურად აღსაზრდელი ხელოვნების უმაღლესი დაწესებულება უმანკო-სასწავლებელი, ხოლო მეტრიკის წარმოდგენა აუცილებელია“... და, ამასაც კი გამორთავდი ადამიანი, რადგან, სრულიად ადვილი იყო მხოლოდ შენითაც იმპროვიზირება-გაგრძელება:

„ხოლო რექტორად უმანკოებისათვის მოწვეულია ცნობილი სპეციალისტი, ვინც და რომელმაც წარმატებით დაიცვა პედაგოგიკურ მეცნიერებათა ბაკალავრის ტიტულწოდება ქალაქ ოსერში, საფრანგეთი, თემაზე უმანკო ქალიშვილთა მიზანშეწონილობაზე ინტიმური ურთიერთობის ერთღამიანობის დროს მესამე შესვენების დროს, და ერთხმად კენჭისყრილ იქნა უმანკოების მიზანშეწონილ ბაკალავრთა რექტორი ქალბატონი და ყოვლად უბიწო ელეონორა ჯარკოვსკაია“.

ვა?, ეს საიდან სადაო, თუნდაც ფიქრში, - გახსოვთ, ჯარკოვსკი?, აქაც გვიღებ, ხომ?, ხოლო განცხადებაში, ამაზედაც კი უარესი ის, რომ, -

„ხოლო პრორექტორებად, ბატონი პავლუშა ნამიჭეიშვილი და ლედი ტარკინა“,

ვაჰხ!

რადგანაც, გინდ ფიქრში და გინდაც სოფლად და გინდ ქალაქში, და თუნდ რაიცენტრში, ჯერ ეს ეგ ერთი, აბა რომელი და სადაური უმანკოების თემა იყო ეს, მეორეც ის რომ, სად ბატონი და სად პავლუშა, მესამეც ის რომ - ყველა, კი, კი, სუყველა ვიშლებოდით და გვეშლებოდა, გინდაც ფიქრსა და, ეე, ჰო, თუნდაც ქალაქში, ის მერე რა რომ, სხვადასხვაგვრულად, თუ გინდა ქვები გესროლ-გესროლნა ქუჩა-ქუჩებში და, თუგინდ მხოლოდ გეფიქრნა...

ხოლო თუ ამგვარ რამეებზე ასე ნახევრადგაღიმებითი გაჯირითებაც კი შეგეძლო, იყო ისეთი საშინელებებიც, როგორიცაა, ვთქვათ... -

მაგრამ ყველაფერი მაინც არ ითქმოდა; მიუხედავად იმისა, რომ ეს, მოთხრობაა თუ რომანია, არაქართველი მკითხველისთვის, სულაც არაა განკუთვნილი,

და მაინც, ყველაფრის თქმა, არა, მაინც არა, არა, ვერ შეიძლებოდა, ისეთი შემაძრწუნებელი, იყო,

ხოლო, შედარებით, იმას რა უჭირდა, შუა ზამთარში ფანჯრის ჩატეხილი მინის ჩასმაც რომ ვერ შეგეძლო, ხოლო ქარი კი იმ ოთახში შემოდიოდა ისეთი, რომ ასანთის ღერის დანთება ჭირდა, ამას, ვიმეორებ, კიდევ რა უჭირდა, რადგან, როგორღაც, კიდევ გვიდგას სული, ჯერჯერობითულად, შევნარჩუნდით ხომ, აკი...

მაგრამ სწორედ სოხუმის დაცემის წელს რომ ახალი წლის დადგომამდე მთელი ნახევარი საათით ადრე - სულსწრაფები ვართ -ზეიმური კანონადა ატყდა ისეთი, პისტოლეტურიდან დაწყებული ჰაუბიცებურებიდან დამთავრებული, ომის მომსწრეები ამბობდნენ, იქ რომ გვქონოდა ამდენი იარაღი და ტყვია-წამალი, ნამდვილად არ დავმარცხდებოდითო, ხოლო როდესაც ტელევიზიით მოგვიწოდეს, არა გრცხვენიანთ, რას ზეიმობთ ასეთი ზათქებით, ამ ჩვენს ყოველმხრივ დამარცხებებსო?, და ძალიან რომ დაგვანამუსეს, და რომ გვეგონა, დავირცხვენდით, ძველი სტილითაც, ახალი წლის მოახლოებულ დამდეგს, ახლა უკვე მთელი საათით ადრე, ისეთი კანონადა კი აღარ განმეორებულა, არამედ უფრო გაცილებით ძლიერი იყო...

ხოლო სოხუმზე გაცილებით ადრე, თბილისი რომ დაეცა, ეს - არაფერი? - აბა, რა იყო, თუ არა დაცემა, თუნდ ეს სანახევროდ ჩამოთვლილი ეს ყველაფერი, მაგრამ, სამაგიეროდ, დროშისა ტარის სასურვი ფერი გვაიმედებდა...

ა?, არა, არა, შევიშალენით, და გადავგვარდით...

ხოლო მკბენარი რომ გავრცელდა თბილის-ქალაქში, ამაზედაც კი, ვშაყირობდით მერე და მერე, ვინმე უცხოელს, ქართველოლოგობის დამწყებ მსურველს რომ

აუხსნა ამ სიტყვის, „მკბენარის“ მხოლოდ სახელწოდება, ამა მწერს ვერაფრით წარმოიდგენს, არამედ უფრო წარმოიდგენს მოსაშუალო სექსუალურ მანიაკსაო,

ხოლო მაწანწალა, უპატრონო აგრეთვე ჩვენსავით ძაღლებიც, ისე მომრავლდნენ, დაღამებისთანავე, გარეთ ფეხით ვეღარ გაისვლებოდა, ასე მაგალითად მიშოს, სამჯერ უკბინეს და, ისედაც ნერვებაწეწილი, სამჯერ როგორი თავზარდაცემით უცდიდა ცოფის საინკუბაციო ვადის გასვლას, და წამდაუწუმ ეჩვენებოდა, აი ახლა გავცოფდები და აი ახლაო, მაგრამ, გადარჩა, ხოლო სხვადასხვა მესვეურ-ინსტანციებს მაინცდამაინც დიდად არ ენაღვლებოდათ ეს, რადგან, ჯერ ეს ეგ ერთი მანქანით დაიარებოდნენ გინა მზისით და გინდაც ბნელში, ხოლო ერთ-ერთმა ჰუმანიტარულმა სპეციალისტმა კი ისიც კი გამოგვიცხადა და მოგვახალა მწვანედ, რომ სასარგებლოცაა ასეთი ძაღლების მომრავლება, რადგანაც ისინი დიდს თუ პატარას მღრღნელებს ჩვენს სასიკეთოდ მუსრს ავლებენო, ხოლო ავი ენები იმასაც იძახდნენ, ცოფის გავრცელება ძალიანაც აწყობს ზოგიერთს, რადგან უცხოური ვაქცინაციის შეძენა-გასაღებაში ჩაიდება, კი, რაღაც დიდურად მშოვნელური შემოქმედების ნაპერწკალიო, მაგრამ განგება იმათ ჯინზე მაინც კარგახანს გვინდობდა, რადგან, მხოლოდ 1996 წლის ზაფხულშიღა დაიწყო მსხვერპლი, მაგრამ საეჭვო ავ ენებს თუგინდ თავი რომ ვანებოთ, ეს შიმშილისაგან ზოგიერთ ადამიანივით გონამღვრეული გუნდურად მაწანწალა ძაღლები, საჭმლის მირაჟით ერთმანეთის ტერიტორიებში იჭრებოდნენ და, სულ ვეღარ ძილი, რადგან მთვარიულ დედაქალაქში ძაღლები ურთიერთპროტესტის ნიშნად ისე განუწყვეტლივ და ისე ძალიან იყეფებოდნენ, მთლად სამაღლეთად გადაგვექცა ბულბულთა და ვარდ-ყვავილ-ყვავთა სამეფოდ სატახტო ქალაქი, ხოლო დაკვირვებული ენები იმასაც ამბობდნენ, რომ იძახიან ძაღლებს ნუ, ნუ შევეხებითო, თავისებურად გაიხარონო, ჩავაგოთ იმათდამი დამბაჩა და ხმალიო, კაი, ბატონო, ჩავაგოთ მაგრამ, ისთუ არაფერი, რომ მაინც რა არი იმათი სიცოცხლე, გაბმული ტანჯვა და სხვა არაფერი, და ის მაინც გვექნა, რომ ძალიან დიდი ჩვენთაგანა უმრავლესობისთვის ყოვლად გაუგებარი და უმაქნისი, ოცდაათდოლარიანი, ქუდზე კაცის პრინციპით ჩამორიგებული კაცზე ვაუჩერი, მხოლოდ 25 დოლარის ღირებულებიანი (ისიც მხოლოდ სპეციფიურ მაგრამ გაუმაქნისებულ ქაღალდზე) ჩამოერიგებინათ, ხოლო მორჩენილი ხუთი დოლარით ის საზღვარგარეთული წამალი შეეძინათ, რომლის მიხედვით ძაღლები ვეღარ გამრავლდებოდნენ, და ასეთი წამლების ჩამოტანა-გასაღებაშიც, ხომ გაკეთდებოდა რაღაც ფულიო? მაგრამ არა, არა, ნურას უკაცრავად, ამაზე ბევრად მეტად მნიშვნელოვნური, ცოფით უნდოდათ, ზედაც ტიფი ან რაიმე ასეთიო,

მაგრამ ეს რადგანაც მხოლოდ ვარაუდი იყო, ამიტომ, კიდევ არაფერი, მაგრამ როგორ შემაძრწუნებლად, როგორ აშკარად დაგვიმკვიდრდა, გაიდგა ფესვი ისეთმა საშინელებებმაც, რომლის აღიარებაც, ახლა მეორედ დავაპირეთ, უცაბედად, მაგრამ ვერაფრით, არა, არა, ვერ შეიძლებოდა, ისეთი საზარელი რამ იყო, და, ბავშვებთან დაკავშირებული კიდევ ისეთი რამ, რომ, ქრისტიანსაც კი შეიძლებოდა წამოსცდენოდა, რომ ეგებ უნდა იყოს დახვრეტა... ხელშემწყობებისთვის...

არა, არა, ყველაფრის თქმა მაინც არა, ვერ შეიძლებოდა,

და როგორი შემაძრწუნებელი იყო აი ასეთი ათასკუთხური გადაჯიშების გაგება, და იმის ფიქრი, რომ, აღარაა ჩვენი საშველი, და აქ მხოლოდ უღირსის გადამეტებულ და უსაშველოდ გამძაფრებას რომ არ გადააბრალოთ ეს ყოველივე ჩამოთვლილი, მოძებნეთ, თუნდაც, 1996 წლის 3 ოქტომბრის გაზეთი „თბილისი“ და თუ როგორი შეძრწუნებამდე განუკითხაობები ხდებოდა ჩვენში, იქ წაიკითხეთ პირველ გვერდზე წერილი: „თვითმკვლელობამდე“, ანუ ომში ვინც გაგვიშვა, იმას მიაკითხე“, და რადგან ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი ძალაუნებურად უქმად მყოფია, აქვე გავეცნოთ იმ წერილს, სიტყვასიტყვით:

„მერაბ მამუკიშვილი ორი თვისა დაობლდა. გაიზარდა თბილისის გლდანის რაიონის სკოლა-ინტერნატში. როცა საქართველოს უჭირდა, მას ხელიდან არ გაუგდია იარაღი, შეუპოვრად იბრძოდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის. დღეს კი იგი ჩვენს გვერდით შიმშილითა და სიცივით იღუპება.

იბრძოდა ჯერ სამაჩაბლოს, შემდეგ კი აფხაზეთის ომში. არის თავდაცვის სამინისტროს 101-ე ბატალიონის წევრი. ომიდან დასახიჩრებული დაბრუნდა, 27 წლის ახალგაზრდა უკვე მეორე ჯგუფის ინვალიდია, ხელი და ფეხი პარალიზებული აქვს და საჭიროებს სათანადო მკურნალობას. არ გააჩნია ღამის გასათევი ადგილი. დღემდე, მისი თავშესაფარი ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია იყო. ამჟამად იმყოფება დიდუბეში, ომის ინვალიდთა ჰოსპიტალში, საიდანაც რამდენიმე დღეში გაწერენ, წასასვლელი კი არსად აქვს. ლუკმა-პური ენატრება, მშიერ-მწყურვალია. ვის აღარ მიმართა დახმარების სათხოვნელად, ყველამ უარით გამოისტუმრა და ცხვირწინ კარი მიუჯახუნა. თავდაცვის სამინისტროშიც მივიდა, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, ძაღლადაც არ ჩააგდეს და ასეთი პასუხით გამოისტუმრეს: „ჩვენ არ გაგვიგზავნიხართ ომში და ვინც იქ გაგიშვა, იმას მიაკითხეო“.

ასეთი გულგრილობით, მერაბ მამუკიშვილი სასოწარკვეთილებამდეა მისული და იმასაც კი ამბობს, რისთვის ან ვისთვის ვიბრძოდიო. „მე მგონი, იძულებულს გამხდიან, კიდევ ერთხელ ავიღო ხელში იარაღი. მხოლოდ არა სამშობლოს დასაცავად, არამედ საყაჩაღოდ, თუ ესეც ვერ შევძელი, თოკი და მისი ჯანი“, - გვითხრა მერაბმა.

ნუთუ აუცილებლად ომში უნდა დაღუპულიყო და მხოლოდ ამის შემდეგ ვისაუბრებდით მის ვაჟკაცობაზე, მივუძღვნიდით ლექსებს, დავაჯილდოვებდით ორდენით. განა ის უფრო სასიხარულო არაა, რომ ომის ქარცეცხლიდან, მძიმედ დაჭრილი, ინვალიდი, მაგრამ რაც მთავარია, ცოცხალი დაგვიბრუნდა, ის არც ჯილდოს, არც მადლობას და საქვეყნოდ აღიარებას არ მოითხოვს, უბრალოდ, წყურია, ცივა, ადამიანური სითბო ენატრება. ითხოვს, მხოლოდ ერთ უბადრუკ სენაკს სიცივისაგან თავდასაცავად და გროშებს - პურის საყიდლად.

სამარცხვინო იქნება ის ფაქტი, თუ ეს ახალგაზრდა თავის გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანს. სამარცხვინოა, რომ სამშობლოსათვის მებრძოლი, თავგანწირული ჭაბუკი თავის მოკვლას აპირებს, რადგან სხვა გამოსავალს ვერსად

პოულობს. „უფალი მაპატიებს ამ ცოდვას, მიმიღებს სამუდამო სასუფეველში და, იმედია, ღვაწლს შთამომავლები მაინც დამიფასებენ“, - გვითხრა მერაბმა“.

ეს წერილი რომ მიხეილმა წაიკითხა, ვეღარ მოვიდა კაცი სრულ გონზე, ხოლო როდესაც რამდენიმე დღეში ზედიზედ დაგვაყარეს ტელევიზორული მიწვევა იმის თაობაზე, რომ თბილის-ქალაქში ჩამოდის არაჩვეულებრივად კარგი, გამოჩენილი დიდი მუსიკოსი, - ეს მართლაც ასე იყო, იმ ჟანრის მუსიკა რაგინდ არ გყვარებოდა, იმასაც კი ვერ შეგეძლო არ დაგეფასებინა უსინათლო ადამიანის ასეთი მიღწევა, ასე გამარჯვება, ალბათ როგორი ნიჭითა და შრომით, უსინათლობით როგორ ტანჯულ თავის ცხოვრებაზე, და თუმც იმ ადამიანისადმი დიდი აღფრთოვანების მიუხედავად, ახლახან მოყვანილი წერილის წაკითხვის შემდეგ როგორღაც ძალიან უსიამო კი არა, ბევრად უარესიც იყო იმის გაგება, რომ ბილეთის ფასი იმდენს აღწევდა, რომ ხუთი ბილეთის ღირებულება იმ ახალგაზრდას, მერაბ მამუკიშვილს მთელ წელიწადს ნამდვილად ეყოფოდა ჭერისათვის და საკვებად, და მერე კი ეგებ რაიმე, ღვთის მადლით და არა ადამიანებისა, ეგებ გამოსწორებულიყო, რა იცი, აკი ყველაფერი ხდება, და სიტყვა „სასწაული“ც ისევე, როგორც ყოველი სიტყვა, ისე-უბრალოდ არ მოგონილა, ხოლო იმ საკონცერტო დარბაზში, უღირსმა ზუსტად არ იცოდა მაგრამ ხუთ დასაჯდომიან კაცზე მეტი რომ ეტეოდა, ეს ნაღდი იყო, და, რა გეფიქრა, - რომ ალბათ არ იცოდნენ მერაბ მამუკიშვილსავით, კიდევ რამდენის ამბავი; კარგი, არ იცოდნენ, არ წაუკითხავთ, მაგრამ ნუთუ იმდენ ხალხში, არავის ჰყავდა უკიდურესად გაჭირვებული ან მეზობელი, ან ნათესავი, ამხანაგი თუ, ნაცნობი,თუნდაც უცნობი, გაჭირვებული, ნუთუ არავის ეგულებოდა? რაც ძნელი დასაჯერებელი კი არა, მტკნარი სიცრუე და თვალისდახუჭვა, იყო, ხოლო დარბაზში, ვთქვათ შეუგნებელ ხალხთან ერთად, წოდებულებიც კარგა ცმუკავდნენ თუმც დიდოსტატურ, მაგრამ მაინც, ბოლომდე მაინც არამშობლიურ მუსიკაზე, რას იზამ აბა, ძნელია, ძნელი, და ზიან-დაზიანებების აშკარად მომტანი, - არათანამედროვეობა, მაგრამ, სიტყვაა ერთი, და რამდენიმეც, უფროც ცუდები, გამოაჭენებ რომელია... და გამწარებული მიშო აივანზე გამოვიდა, და, ყვრიმალებდაბერილს, კრიჭაშეკრულს, დანაც კი ვეღარ გაუღებდა პირს, და იქვე სიგარეტის ასახრჩოლებლად ბნელში გამოსული უღირსი რომ დაინახა, რომელთანაც საერთოდ კი კარგად იყო, მაგრამ ახლა ძალიან ცივად მიესალმა, რადგან მიშოს ახლა, ამ წუთას, ადამიანის, როგორც ასეთის, დანახვა უჭირდა კი არა, აღაშფოთებდაც, ეზიზღებოდა, ეზარებოდა, თუმც უნებური, მაგრამ მაინც უცნაურად მაინც-ახლობელი კიდე-ბილბაოს დანახვა უნდოდა ახლა? ახხ?, ისღა აკლდა, მაგრამ რადგან ბილბაოს ძლივს ამოჰქონდა ზურგზე მოგდებული დიიდი ტომარი, ცოტათი, სულ ცოტათი გალხვა, სუ ოდნავ, რადგანაც საქმე შემდეგში იყო:

მიშოს ოთახის მცენარეულიც ცუდ დღეში იყო, რადგან იქ ელექტროღუმელს თუ არ ჩართავდი, ჯერ კიდევ მსუნთქავ ადამიანს პირიდან ორთქლი გამოსდიოდა, ელექტროღუმელი ვთქვათ და ელდენიანობის შემთხვევაშიც კი საჭიროებისდა მიხედვით რომ გამოეყენებინა, დახარჯული სინათლის თავისი სახელმწიფოსადმი ასანაზღაურებლად ვერ ეყოფოდა თავისი სახელმწიფოებრივი ხელფასი, ხოლო მიშო, რაგინდ გაჭირვებოდა, არ იკადრებდა ძალიან ბევრივით ელექტრომრიცხველის გაუნამუსოებას ანუ რაღაც ადგილას თურმე ლურსმნისა

თუ ვაჟკაცური მავთულის შერჭობას, და, ამიტომ, საგონებელში ჩავარდნილიყო, კაცი, მცენარეებს კი ძალიან უჭირდათ; და როდესაც ერთმა შეძლებულმა მაგრამ კეთილმა ნაცნობმა შესთავაზა, ნახშირის ღუმელი მიგდია სარდაფში სადღაც, თუ გინდა, მოგცემ, ცოტათი კია შესაკეთებელი, მაგრამ რა უჭირს მერე, შეიკეთეო, შენ ოღონდ სადმე ნახშირი იშოვნე, ვეღარ გამივლია პადვალშიო, მიშოს იმედი გადაეწურა, რადგან ამგვარ საქმეებში თავმოუბმელი იყო, კედელში ლურსმანს ვერ ჩააჭედებდა და მრიცხველში რკინას შეაკვეხებდა ვერ, თანაც, შოვნა ნახშირისი?, მაგრამ ბილბაომ რომ გაიგო ეს, თურმე იმის მეზობელ ეზოში რაღაცას მორჩენილი შედარებით სუფთა ნახშირი განუკითხავად ეყარა იქ და, ბიჭო, შენ ოღონდ ეგ რაღაცა აპარატი შეაკეთებინე, ანდა სულაც ერთად ვეცადოთ, და ნახშირი კი ჩემზე იყოსო, თითო მოსვლაზე თითო ჩემოდანს პირნათლად მოგიტან, ნაქურდალი ის არ იქნება და არაფერი, ის მეზობლები აქეთ დაგვრჩებიან მადლობლებიო, მიშოს ცოტათი, ოდნავ, მაგრამ მაინც გარკვეულმცირეწილად მოუბრუნდა საჭმელზე მსუნაგ ბილბაოზე ბავშვობისდროინდელი, გული, ხოლო ახლა, ჩემოდნით კი არა, მთლად დიდი ტომრით ახალ მთვარესავით ამომავალ ბილბაოს რომ ჰკრა ისედაც გამწარებული თვალი, მაგრამ როგორც ითქვა, შელხვა, ამ ბითურშიაც და მუცელქორშიაც კი ყოფილა რაღაცა სიკეთეო, მაგრამ მწარედ აქოშინებულმა ბილბაომ ტომარა ძლივს რომ ჩამოდგა, და თქვა, „ო?-ო?“ო, და მორიგი ხვითქი დროებით მოიშორა, მიშო ცოტათი გაკვირვებით დააჩერდა ტომარას, რომელიც, „ცარიელი ტომარა ფეხზე ვერ დადგებაო“საგან განსხვავებით, მთლად პოდპოლკოვნიკურ (შეგვაყარე კედელს ცერცვი) ოღონდ მდგომლურად დამორჩილებულ სმენაზე იდგა, მაგრამ რომელი ტომარაც ისე სუფთად გამოიყურებოდა, რომ ნახშირის გადმოსაზიდად ნამდვილად შეუფერებელივით იყო, და, გაკვირვებით რომ შეაცქერდა ახლა ბილბაოს, იმან სასწრაფოდ უთხრა:

- ახლავე შევიტანოთ... არავინ დაგვინახოს... - ვითომ მოპარული ჰქონდა, მაინც? - მოდი მომეხმარე... რას მომჩერებიხარ... ხო, იმასავით...

ისე იყო გადაქანცული, არასრულ ორსიტყვიან წინადადებაზე მეტს ვერ ამბობდა.

- რაა, კაცო, ეს...

- ჯერ შევიტანოთ... მერე გეტყვი... არავინ დაგვინახოს...

მაგრამ აქ თვითონ დაინახა ბნელის უღირსი.

- ო?, გამარჯობა... - დაიჩურჩულა, მერე, მაგრამ, აქოშინებულობისაგან, ახლა მიშოსკენ, როგორღაც ხმამაღალი ჩურჩულივით გამოუვიდა: - სანდოა?.. ეს ბიჭი...

ეე?, რაღადროს უღირსის ბიჭობა იყო, მაგრამ მაინც ესიამოვნა.

- სანდოა, კი... მადლობთ, ბილბაო, ბიჭო, გმადლობ.

- რისთვის... რა იცი... ჯერ შენ...

- ნახშირისთვის.

- ა?!.. ნახშირი და... დარდუბალა შენ... ჭკუის კოლოფი... უკეთესია... ბევრათ... - მერე კი, ბილბაოს როგორღაც მოუწესრიგდა სუნთქვა, თავისი გააქვს დამსვენებლურსაც, დროს, ორივეს სწრაფად გაუღიმათ, უთხრათ:

- მაშინ, შევიდეთ, სამივენი... ერთად შევიდეთ... მობრძანდით თქვენც... პატარა თუ არ ამოვისუნთქეთ? - ა?... სათქვენოც კი მაქვს, რაღაც... საიდუმლოა ძალიან ჯერ, ჩემო, ეე, იმანო, ჰო, - უბრუნდებოდა, როგორც აღინიშნა, ადამიანურ-ჩვეულებრივი სუნთქვი.

- რაა ბიჭო ეს, რამსიმძიმეა...

- შევიდეთ, იქ გეტყვი, ოთახში. კარგი რამეა. შენ რომ ძალიან გაგიხარდება, ისეთი...

ტომარა ორმა შეიტანეს, ხოლო ბილბაო ხელმძღვანელობდათ: - აი, აქ დადგით, ასე, ასე. კარგია. არამედ ცოტათი იქით, სკამთან, ახლა ცოტათი მიაყუდეთ... ეგეც ეგრე. და გორის ციხე.

- რაა ბიჭო, ჰა... აღარ იტყვი?

- ასეა, ასე! - მთლად გაიმართა შემშრალიც, ბილბაო, - მუდამ ასეა, თუკი მუსტაფა ვერ მიდის მთასთან, მაშინ მთა მიდის მუსტაფასთან!, არაა, ასე?

- ვინაა, ბიჭო, შენი მუსტაფა!..

- არა, აქ შენ აბა რა შუაში ხარ, ვერ გამიგე შენ, არამედ მთა და მე.

- რისი მთა... რომელი...

აქ კი, შესვენებისგან მთლად სიხარულებგამჟღავნებულმა ბილბაომ, თქვა:

- სოფლიდან, ხედავ, ეს რამსიმძიმე რუმე და რამე, გამომიგზავნეს? თვითონ მომიტანა, ერთმა, თუმცა რაღარა ერთმა, სიძეა ბიძაშვილის ჩემი, შენ არ იცნობ, მაგრამ მაინც ადამიანია კარგი და სიძე, ალალი ყოფილა იმაზე რაგინდა ქალი, იმას გამოატანეს...

და, თუმც მიყუდებულ, მაგრამ მაინც ყალყზეშემდგარ ძღვენს, მიშოს ბოტანიკაურ ოთახში, ჯერაც დაღლილი თითებით ბილბაო უცებ ვერ ხსნიდა ტომარას, თუმცა „ხსნიდა“ რა ქართულია, და „როგორც იქნა იმ ძღვენს ტომარა ჩახადა“ც გრამატიკისთვისაც კი, უხერხულია, სხვა რომ არაფერი იყოს, არამედ, მუდამ არსებობს გამოსავალი, - ძღვენი ტომარისაგან გამოანთავისუფლა. და,

მოშიებული მიშო (ალიტერაციავ, ლექსისა თუ პროზის თანხმოვანურად უცაბედო თუ შეგნებულო, მოკლედყვავილო), ჯერ მოხიბლულივით, დასცქეროდაზე უფრო მეტად, სულ თვალებითა სჭამდა დიდ-დიიდ ლორს, რომელი იგიც კარგა მოზრდილი ნაჭერი კი არა, რაღაცა უცხო კონტინენტივით იყო საჭმლის პირობაზე, განსაკუთრებით მოშიებულებისათვის, და, იქვე, ორი თავი ვრცელი ყველი და ერბო, პრასი, ბოლოკი, ხახვი, წიწაკის მჟავე, პარკებით ფქვილი, ლობიო, ჩირი, ხოლო, სამლიტრიანით, ალბათ ჭაჭა, აბა წყაროს წყალს ხომ არ გამოუგზავნიდნენ,

რომელი ჭაჭაც, ჩვენი ეროვნული არაყი, თავმოსაკატუნებლად გამჭვირვალე კი იყო, მაგრამ როგორღაც მაინც შენიღბულად ჰყვიროდა.

მაგრამ აქ მიშო მოიღრუბლა:

- და, სულ მე მომიტანე? სულ არავითარ შემთხვევაში! რად მინდა მე ეს! ამდენი მაინც!.. ამდენს მე როგორ მოვერევი...

- შენ კი არაა... დაგიხატავენ, დაგიხატავ, როგორ არა, კი... - და, საზეიმოდ, - არამედ?, აბა?, გამოიცან!.. შენ ამ ლორს თითსაც არ დააკარებ.

საკვირველი, იყო. აბა, იმსიშორეზე მაინც რამ მოათრევინა ეს ამოდენა ტვირთი, მაგრამ, მაინც რაღაცა კარგი რომ ხდებოდა, უღირსი როგორღაც გრძნობდა ამას, და ალბათ, მიშოც, კერძოდ რას, ვერა, მაგრამ რაღაცა კარგი რომ მზადდებოდა, აშკარა იყო,

- არამედ?, ვისთვის?

- აბა!?. აბა, გამოიცანი თუ ბიჭი ხარ,

მიშო რაღაცას უკვე ხვდებოდა, უკვე შერცხვენილი,

- აბა, ვის...

- ვისა და, - მიმოიხედა, ხმა ძალიან დაიდაბლა, ახლა შეეძლო ნამდვილი ჩურჩულიც, - არამედ, დურუს... ეე, დორეს...

...

- ჩვენ რა გვიჭირს, მიშო, მარტოები ვართ კიკოებივით... იმან იკითხოს, ბევრებია... და თანაც, რძალით... - გახარებული აღელვებისაგან, გრამატიკულად მეტად სცოდავდა,

...

- მაგრამ, ერთ რამეში უნდა დამეხმარო, იცოდე ბიჭო, ისეთი რამე უნდა მოვიფიქროთ, რომ, არ ეუხერხულოს ამის გამორთმევა სულ არავითარი პატარათი, ეს ჩამორთმევა, ეე, გამორთმევა, ეეე, ძღვენი!.. და ჩემგან რადგან უფრო შეუეუხერხულება იქნება მეტად, და პატარათი ხომ ნაღდათ, და ძალიანაც უფრო, შენ უნდა აიღო შენი თავზე მიშო, ეს, რადგან შენ მეზობელი ხარ და ახლობელი და აივნური და ხოლო მეკი აბა ვინღა ოხერი და მატრაკვეცა და რეციდივისტი ვარ და, ვითომ...

- გაჩერდი ერთ წუთს!! გააჩერე ეგ ოხერი და ნავარი ენა!! ბიჭო...

აქ კი, დადუმდნენ; წუთი იყო?, - წუთი იყო დილასავით მშვენიერი, კი, რადგან ბილბაო, როგორღაც თუმც იძულებითი, მაგრამ გაყიდული მაინც, სიკეთის ავტოჩადენისათვისაც, ამ ამაღელვებლად მოსაწონი საქციელისთვის, რაღაცა თუმც კარგად და სწორად გამარჯვებული ავტორივით მაინც ერთგვარად კარგა

დამორცხვებული და ცოტათი თავჩაქინდრულიც კი, იდგა, მიშო კი, ისიც ბლომა-საკმაოდ დარცხვენილი, თუმცა სხვა კუთხით - თურმე როგორ ტყვილა სალანძღავს-რამეებს აღარ ფიქრობდა ბილბაოს სოფლისკენა ნატვრაზე, და თურმე ბილბაოს კი ეს სანოვაგე ვისთვის - დორესთვის, და რისთვის - სიკეთისათვის, უნდოდა თურმე, და თუმცა ორივენი სდუმდნენ, უღირსი ხვდებოდა, რომ ყოვლად უცაბედად შეესწრო ისეთ ამბავ-საქციელს, და რომელსაც, ყოველგვარი და ვერავითარი დადგენილება-გამოცანები თავის სუყველა პუნქტებიანად, კოჭებამდე ვერ შეუწვდებოდა, ვერ გასჭრიდა და იმოქმედებდა, ხოლო უშველიდა, და რწმენას ჩაუსახავდა და კიდევ ბევრი რამ ამდაგვარი, კარგი სუყველა, ერთად, რადგან ეს რაღაცა ძალიან მოულოდნელი სიკეთე იყო, როგორღაც მართლა-ქართულიც, მის ჩამდენს თუნდაც და თუგინდ მთლად არაქართული სახელი რქმეოდა, და უღირსი რომ მოელოდა რომ, ბავშვობისდროინდელი მეგობრის ლაფში ტყუილად ამომსვრელი, თუნდაც ფიქრებში, მაგრამ მაინც, მიშო, და ისიც ასე დარცხვენილი, ახლა, მაგრამ თავისი ამ ფიქრ-საქციელის გამოსასწორებლად, დამნაშავე მიშო, მსუნაგობით თურმე ყოვლად უდანაშაულო ბილბაოს ალბათ აგერ-აგერ მივარდებოდა და გულში მაგრად ჩაიხუტებდა და თვითონაც გულზე სულ ცხვირ-პირ-ლოყით მიეხუტებოდა და, სიხარულის ცრემლები ღვარად წამოუვიდოდა, და უღირსი როგორღაც ძალიან მოუთმენლად ელოდა ამას, რადგან, თავის საქმეში, თუმცა იმ ერთი რამ-გადახვევისკენ ძალიანაც მიდრეკილივით იყო, ვერაფრით ამაღლდა და ამ სუფთა სანტიმენტალობას ვერაფრით მიაღწია, თუნდაც ქაღალდზე, თუმც აი ამ სიტყვას, „სანტიმენტალური“, „ალტრუისტი“სთან ერთად, როგორღაცგვარი ამჩატებულობისა თუ ერთგვარად სუსტი ზედაპირულობის გამოსახატავად იშველიებდნენ სერიოზულები როგორც წესი, მაგრამ უღირსმა არცთუ ბევრ რამესთან ერთად, კარგად იცოდა, სწორად ხვდებოდა, რომ სანტიმენტალიზმი და ალტრუიზმი, ეს - გულისძვრაა, ხოლო ცინიზმი, ნიჰილიზმი და ასე შემდეგ, მიუხედავად იმისა რომ ბევრი ებმება - არაფერი რომ სულაც არ მოსწონთ და ცივებია, ალბათ მაგრები არიანო,მაგრამ ნიჰილიზმიცა და ცინიზმიც - ეს, როგორც წესი, უნიჭობის და ხელმოცარვის შესანიღბავი, იმათი გამომეტყველებისა და სიტყვისმიერი დამღა იყო, უკეთურობის ტლანქი თითებით სადღაცა სულის რაღაცაზე ზედაპირულად ამოშანთული, ხოლო ბილბაო, მორიგი ქართველი,მთლად სიკეთისა ყოფილა მხოლოდ, რაის მსუნაგი, თანაც, ამ როგორ გაჭირვებაში, და ესი მიშოც თანდათან ისე იყო თუმც დარცხვენილი, მაგრამ ისეც გახარებული, და ამაყი, რომ სწორედ აი ასეთი, ბავშვობიდანვე მოყოლებული გვერდითმდგომი ჰყავს, რომ, სუნთქვაშეკრული ახლა უღირსი გაფაციცებით უცდიდა იმ სანატრელობას, აბა აი ახლა და აი ახლა ბოლოსდაბოლოს როგორ არ დაეტაკებიან ერთმანეთს და ურთიერთურ, თურმე არგამქრალს მაინც, სიკეთეს, სულ ცრემლებისა ღაპაღუპით და გადახვევნით მიულოცავენო, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა, მოხდა გაცილებით უკეთესი, და უფრო სწორი რამ, რადგან, იმ უცაბედი დამორცხვების შემდგომ, მიშომ მაინც ასწია კვლავაც დამორცხვებული, მაგრამ ახლა გააღფრთოვანებულიც, თავი, და შეაცქერდა, და ურთიერთას სხვადასხვაგვრულად ათვალიერებდნენ, თუმცა ძალიან, ხარისხიანად, კი, ოღონდ ერთ-ერთი ჯერ რაღაც გაუბედავად, და წამისწამობით მხოლოდ, რადგან ასეთი კარგი თვითსაქციელით დამორცხვებულ მზერას ძირითადად არიდებდა, ხოლო მეორე, ანუ იგივმიშო, მერე და მერე აღფრთოვანებით სულ თვალებითა ჭამდა

ოღონდ ისიც წამისწამიერად, მერე კი, როდესაც სძლია მიშომ თავის ჩაღუნულ თავს, და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვნური გამოვლენა იყო, როგორ დაეტყო სახეზე რომ, - „დიდი ამბავი, ასედაც უნდა ყოფილიყო“ო, მაგრამ, ისიც აშკარად ეტყობოდა, მოფერებითაც რომ შესცქეროდა, რადგან რაღაცა ბავშვურად კვიმატურს, როგორღაც მაინც ონავრულს და თბილს, მონაცვლეობით რომ ჰფიქრობდა ემ ბილბაოსკენ, ბავშვობაში რომ კიდევაც უფრო უკეთესი, რაღა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ახლაც ხომ, არ ყოფილა ხომ სუმთლად ხელიდან წასული ეს სრულწლოვანი კაცი:

„კაცო, ეს აფრიკული შლაპა კი არა, ეე, ესა ნაღდი კახური ქუდი, ეს, - შესცქერ-ფიქრობდა ასიყვარულებული მიშო, - და იმერული ფაფანაკი, და ეს გურული ჩაჩანაკი, ეე, ეს გურული ჩიჩილაკი, ეს... თუმც, ჩიჩილაკი ქუდი არაა, ეე, ეს ლეჩხუმური კარტუზი, ესა, - ასე ფიქრობდა, თავს მოვიჭრით და ამ შემთხვევაში მთლად უქვეტექსტო, თუმც ორმაგულად ერთგვარგამომეტყველებიანი, მიშო, - შენ ჰხედავ, კაცო, ეს რეები სდებია გულში, და მეკი, სულელს, არა, სულელს კი არა არამედ ოხერს, ეს რა მეგონა“...

- რასაა რომ მომჩერებიხარ... ნარცისივით, ჰო, - თქვა ბილბაომ, ეს რა, არაფერი, გინდაც შეცდომა, უნებურული იყო, - ვარკეთილიდან, იმხელა გზაში, დრო მქონდა ბევრი და, ვფიქრობდი კიდევაც, გზაში...

- რას...

- რას და, მე რომ მივუძღვნა დურუს, ფუ?, დორეს ეს ლორი, გაუკვირდება ცოტათი, ხო იცი, არ იფიქრებს რომ, ვინ ოხერია, რაა ჩემი, რა უნდა ჩემგანო, და ამიტომაც გადავწყვიტე, შენ რომ მიართვა, თვითონ... საკუთარი ხელით, ეს ვითომაც შენ ჩამოგიტანეს, შენ ახლობელი, მეზობელი ხარ, ხომ გაგიგია, როგორაა ვა?, ჰო, მეზობლის ლორს ხელი ახელ, ისიც შინაურივითაა, ხომკი აჯობებს, ასე?

- კი რა თქმა უნდა... - მაგრამაც, მიშოს, რაღაცა აშკარად აეჭვებდა, - ერთის მხრივ კი აჯობებს, მაგრამ, იმან რომ იცის ჩემი შეძლების ამბავიც, და რომ არ გამომართვას?

- რატომ არ უნდა გამოგართვას, ოხერი ეგ!

- რატომ და, ბიჭო, გითხარი უკვე, რატომ და, იცის ჩემი ამბავი...

- ჰოო... - მოიწყინა, და: - უიჰო!, მაშინ, უთხარი!, - აღფრთოვანებულიყო მიგნებით, ბილბაო, - რომ ვითომ ორი ლორი გამოგიგზავნეს! - მაგრამ ისევ, - არა, ეგ არ ვარგა, დაუჯერებელივითაა, აბა რომელი სოფლელი და სულელი და მამიდაშვილი გამოგიგზავნის ახლა, ჩვენ დროში, ამისთანას, ორს? რომელი შტერი...

- ვა?, მაშინ რა ვქნათ?

...

შეჭოჭმანებულიყვნენ, რაღა, მაგრამ უღირსი იმათ დროდადრო თუ უგდებდა ყურს, რადგან ბავშვობის მეგობრებზე მთლად არანაკლებ განიცდიდა მომხდარს, „ნეტავი, მართლა, ასეც ხდება რომ, რომელიმე ადამიანი ასე დარწმუნებით, რაღაცა

ბევრად უარესიც კი გეგონოს, ვიდრე საქმე საქმეზე რომ მიდგება და, ასეთი თურმე სულაც არ არის... - როგორღაც, კარგად უღვივდებოდა, ფიქრი, ეგებ ეს ყოველგვარი გაჭირვება, უიმედობა, გასაჭირი, არც ისეთი მძიმე, მუქი და უიმედოა, მე და, საერთოდ, სუყველასაც რომ გვეჩვენება? გაჭირვებულებს... ამ დღეში... აგერ, ბატონო, ეს ბილბაო ავიღოთ თუნდაც, აგერ არაა?, თვალსაჩინოდ, - იმედით ფიქრობდა, ხოლო იმედი კარგი იყო, იწმინდებოდასავით, ბევრი ნაგვისაგან, სუფთავდებოდა, თითქოს, - რა გვეგონა და, სინამდვილეში ვინ ყოფილა, და ერთის შეხედვით და ნაუცბათევი დასკვნებით მაშინვე რომ ყველაფერს წერტილსა თუ ძახილის ნიშანს დავუსვამთ ხოლმე, ეგებ, მთლად ასეც, არაა საქმე? ანდა, რომ ამოგვიჩემებია, გინდა თუ არა“...

აწყვეტინებდნენ:

- კაცო!, კაცო!!, და, რომ მივუდოთ ძალიანი ჩუმათე კარზე?

...,

- ა?! მოწამლული ეგონება ეს, თავისი კარი კიდე, შეშლილი... არ გადააგდოს, სულ!.. და, აი, ვთქვათ რომ, თუმცა, არა... და!.. არა, არც ეგ...

- სწორია, ხოიცი...

- რაა სწორი... და!!, ვითომდაც რომ!!, თუმცა არა, არა...

- და!!. მაგრამ არა, არა... და!!,

- და!!, ვითომ რომ!, - დასძახა ბილბაომ თავისი ახალი მორიგი მხრიდანაც მაგრამ, მაშინვე, - თუმც არა, არა...

- რა არა...

- და!.., მაგრამ არა, არა, დაგვიჭირავენ... და, ეეე... მოიფიქრევი მიშო რამე! ტყუილათე ხარ ჩემი გაზრდილი!?

„და, ეგებ, - განაგრძობდა თავის არცთუ მხოლოდ ხავსს მოჭიდებულ ფიქრებს უღირსი, მოვლენების თანამიმდევრობასა თუ მნიშვნელობას დიდად არ დაგიდევდათ, - და რომ მეგონა, რომ ეს, რაღაც ძალიან დიდი, და უსაშველო უბედურებაა, რომ არასოდეს ვყოფილვართ ასეთ შავ დღეში, უარესებიც, არ გადაგვიტანია?, რაც ჩვენ სიყალბე, სიცრუე, დამცირება და, ეე, თვითდამცირება, გადაგვხდენია, კიდევ რომ გვიდგას სული კი არა, თუმც ესეც საქმეა, და რაღაცებიც რომ შემოგვრჩენია, აბა ისე, უგაჭირვებოდ, გამოუცდელად, ამ გინდაც ნანატრ და გინდაც ახლა, აი, იმაზე... რაზე და, აი... როგორ გვეგონა აბა, ჩვე... - ველარ იძებნიდა გამკიცხავ სიტყვებს, - ანდა, იმასაც რატომ არ ფიქრობ... - მაგრამ წამდაუწუმ აწყვეტინებდნენ ისედაც არეულ ფიქრებს, ბავშვობიდანვე უცნაურ-ქართველურად ურთიერთახირებული მეგობრები, მაგრამ თავისას მაინც და, როგორც შეეძლო, განაგრძობდა, რაღაცის სკვნილი უკვე ჰქონდა ხელთ, - რომ ყოველგვარმა, ყოვლად შეუმზადებელმა თუნდაც ასე მიშვებამ, როდესაც ასე დიდხანს, ამდენ ხანს ყველაფერი სულ ტყუილზე და სიყალბეზე იყო დაგებული, თავს არ იჩენდა, არა,

ეს, რა და, ესეც აღმოჩნდა, ჰო, და ერთი სიტყვის მოსმით... - არეულიყო, არეულიყო, მაგრამ ჯერაც დაუდგენელი შვებისკენ, ნაღდად, - თუნდა ის რომ, როგორიცაა თავისუფლება, ჯერ მხოლოდ ასეთი, მაგრამ ყველაფერი, როგორც იქნება“...

შეხტაც კი, უცებ ისეთი:

- და რომმ!!. თუმცა არა, არა... და... ეე... უი?.. უიჰო, მართლა! აეს, ეს რა კარგი რამე მოვიგონე, მიშო, რა კარგი, ბიჭო, მთლად დაიჯერებს! ტყვილა კი არ ვარ შენი გაზრდილი!

- რაა ასეთი...

- რაა ასეთი, ჩემო მიშო და, ვითომდაც სუმთლად პირწავარდნილი მუსლიმანი ხარ, და ღორის ხორცებს პირს არ აკარებ რაგინდ გიჭირდეს თუნდაც მეტი რა გითხარი შენ, და გამომგზავნმა კი არ იცოდა ვითომდაც ეს, რადგანაც ვითომ შენიღბული მუსულმანი ხარ! ხომაა, კარგი!!?

- ვინაა ბიჭო მუსლიმანი, მაღლაკელიძე?

- დიდი ამბავი! ეეე, თუმც... ჰო, ჰო, მაღლაკელიძე კი, კი, ეს მერამდენედ უნდა გითხრა, რომ შენიღბული ბუსურმანი ხარ და არა მყვირალა ბასურმანი და ბისდაბრავოებრაღაცამანი, გინდ პასპორტიულად თუ პარტიულად თუ გინდ ქუჩა-ქუჩად... უიჰო, კიდე, ვითომდაც, ბიჭო, ვითომ იმ შენმა პაპის ბაბუამ ბატონი მოკლა სადმე სტამბულებში ან ისპაჰანებში ქალის ან რაღაცის ან ნავთის გულისთვის კუვეიტებში და აშხაბადიდან ამიტომაც გამოიქეცით, და მაღლაკელიძეობაც მიტომ იკადრეთ!

- რაო... იციი, მე შენ რას გეტყვი!? - მაგრამ, აკი ამჟამად უფრო უყვარდა რაკი, შეიკავა თავი, - და ახლა, დღესდღეობაშიც კი, რა გინდ ყურანი მიკრძალავდეს, სულაც ვიწუნებ ლორს განუწყვეტლივ, არა?

- აბა!?, ამაშია საქმე!.. და, კიდევ მეტად რომ დაგიჯეროს,.....

„ხოლო რა პატარა ჰყოფნის ხანდახან ადამიანს, რაღაც ბევრად უკეთეს განწყობაზე რომ დადგეს და, გამოუსწორდეს, თვალი, და ყური, და, საერთოდაც, და, რაღა პატარა, აგერ არაა ეს ბილბაო?, დიდი ამბავი, ეს დროებითი ჩარჩობა თუ უთანამდებოების ცეკვა თუ თანამდებობიანების ცეკვი, მთავარია რომ, შეგვინარჩუნდა ის მთავარი, რომ“...

მაგრამ ფიქრს რადგან აღარ აცდიდნენ, სამაგიეროდ, უღირსმა რადგან იცოდა უკვე, თუ როგორ, რამხრივ და საითკენა ფიქრს განაგრძობდა იმავ ღამით და მერეც, მერეც, უბიწო სიყრმის დროინდელები აღარ უშლიდნენ კი არა, პირდაპირ სპობდნენ შეძახილებით, მაგრამ ეს ვეღარ შეუშლიდა, იმ ფიქრისათვის სამომავლოდ შემზადებულს, და ამით როგორღაც უეჭვოდ იმედმოცემულმა, გახარებული, ცოტათი კარგა-ძლიერად კი, ახლა დროებით ამ ორ მცხუნვარეს მიუგდებდა ყურს:

- და რომ დაგიჯეროს კიდევაც უფრო, კიდე უთხარი, ასე უთხარი რომ დედაშენმა, ეე, რომ ბიცოლაშენმა ალა-სორეიამ ზედ გარდაცვალებამდე მოკლე წუთში ვითომდაც გულში ჩაგიკრა და შახსეია თუ ვახსეია თუ რაღაცაა იმაზე სასტიკად დაგაფიცა და მტკიცედ გითხრა, იცოდე ბიჭო, ღორის ლორის ხორცს პირს ნუ ახლებ ისიც შინაურია სამარადისოულიო, გეხვეწებოდა სულ, ხომ ამისრულებ, ჩემი ბიჭი, ამ ერთ პატარა, ეე, დიდ ანდერძს, შენ ჩემო... ეე, მუსტაფაო.

- რააო?, რაოო? - ძალიან ავად იკითხა მიშომ, და აგრეთვე ძალიან მკაცრადაც მიმოიხედა, მაგრამ რათ გინდა, ჩაბარებული ჰქონდა უკვე, ყველა ბოთლები (ხოლო რადგან ისინი ბუნებაში ბევრგვარებია, მრავლობითებშია ბოთლი ამიტომ აქ). თან, ბოლო საქციელით, როგორც ახლახან აღვნიშნეთ, აკი უყვარდა რაკი, ძველი ბილბაო, თუმც ძველი კი არა, არამედ ეს ახალი, რადგან ბილბაო, იმა თავისი საქციელით, უკვე კარგ და ეგრეთწოდებულ, ფიგურა-ს წარმოადგენდა მის თვალში, ამიტომ ძალიან სწრაფად გადაუარა ბოთლდამი ლტოლვამ, - მერედა, ვითომ მე ვინ გამომიგზავნა?

- რა...

- ჭირი შენ თავს!, რა და, ბოთლები!.. არა, ეე, ლორი, ლორი.

- რა ვიცი ის მე... შენ რაც გინდა, ის უთხარი... ესეც რა, მე უნდა გიკარნახო? რა ვიცი ის მე, რაც გინდა ის თქვი, მამიდაშვილმა, დეიდაშვილებმა, ბიძაშვილ-ბიცოლაშვილ-მულიშვილებმა და, ასე... გამრავლებები თქვენ იცით კარგად და ყველაფერი... თავისუფლებას გაძ...

- ვუხ! ვინ ჩვენ, შე მუდუ! - მაგრამ, კვლავ გამუდმებით რაკი უყვარდა მაინც აკი, იოკა თავი, ხოლო მერე: - და, ჯერ ეს ერთი, ბიძაშვილებს არ ეცოდინებოდა ჩემი ჩამომავლობა და ასავალ-დასავალი?

- რომელი ასავალ-დასავალი...

- რომელი და, ბრომელი!

- ა?, რა უცნაურად ლაპარაკობ შენ,

მოკლედ, იკამათეს, იკამათეს, ეს უღირსი კი, ვითომ ფიქრობდა დროგამოშვებით, მაგრამ იმათი წყალობით, ისიც ძალიან არეულად, მაგრამ, იცოდა, უკვე იცოდა, თუ რას და რას უნდა მობღაუჭებოდა, და რას უფრო შეიძლებოდა გადაერჩინა როდესაც იქნებოდა, თუმც არა, არა, ახლავ-დღეს, ისიც, თვითონაც, და ისინიც, მთელი ხალხი, როგორი ჭრელი, როგორი არეულ-დარეული, მაგრამ, მანამდე, ჯერ, თავი და თავი, ჯერ ასე თან ვაებად და როგორღაც თითქოსდა მაინც გადაკარგული, მათი, იმ ქვეყნის, მათთვის მთავარი, ერთიც მანამდე თითქოს სრულიად უცნაური ქვეყნის შესანარჩუნებლად - ჩაბღაუჭების მოძიება უნდა ყოფილიყო სუყველაფერზე მთავარი, ამდროებითად როგორღაც ასე მწარედ დაშლილი და მიკარგული საქართველოსი, რომლის ხალხსაც რომ, ერთი და ორი და სამი-ოთხი კი არა მთლად ბევრზე ბევრი ისეთი რამ, ისე დიდად და...

- გამოიხედე!, სად იყურები!!

- მე?!

- არა, თქვენ არა... შენ გეუბნებიან!

- რა იყო...

- რა და, ასე ძალიან რამ დაგაბნია...მითხარი, ნუ მერიდები. თამამად, მიდი შე ბოთე...

- მიდის მოგცემ შენ... და, ხვალ რომ მივუტანო?

- ა?! არა, არა, არამედ ახლავე, ახლავე!.. ახლავ!!, პირიქით!.. თორემ პატარა შემოგვეჭმევა... სმაში... თანაც, მიშიკო, გზაში ისიც კი მოვიფიქრე და გავიფიქრე, ეგებ პატარაც პატარაზე ჩამოვაჭრათ-თქო, მაგრამ არ იქნება ეს რაღაცა ლამაზი, თუ მიცემაა, მიცემა იყოს, ნაკლულს, ხოიცი, გემო აღარ აქ, კანიაკის და ქალის არ იყოს, ხომ?

მაგრამ უღირსი, ეს მერამდენედ, ვეღარ მისდევდა იმათ წრფელ საუბარს, რადგან რაღაცა გაცილებით უფრო მთავარს უტრიალებდა, მაგრამ ეს მერამდენჯერ ვეღარ ააწყო ფიქრი იმ წამდაუწუმა შეძახილებში, აფორიაქებულიყო, აღარ იცოდა, იმათი მოსმენისა თუ თავისი ფიქრისკენ, საით მიეცა თავი, თან მეგობრების საამოდ თვალყურიც უნდოდა, უფრო კი ის გადასარჩენად ჩასაჭიდებელი ფიქრის ჩამოქნა აწამებდა, და ვეღარც აქეთ იყო და აღარც იქით, და, წყვეტილ-წყვეტილ ჩაესმოდა: „ისე უნდა ქნა, ჩემო მიშიკო...ეს როგორ...არა, ის შენი ბიძაშვილი ვითომ ძალით გააქრისტიანეს...ძალით გაქრისტიანება, ჩვენში, არ გამიგია მე!..ისტორიაა, ბიჭო, მთავარი...რა ისტორია...იმ შუაშია რომ“... „და ეგებ, ეგებ სხვაც ბევრი რამ, - ისევ თავისას ეფათურებოდა, ეპოტინებოდა, ებღაუჭებოდა უღირსი, - ეგებ ბევრი რამ არაა ისე, მე რომ მგონია, ეგებ ის, რაც ასე ცუდად და დამღუპველად და საბოლოოდ გადათელილი გვეჩვენება, ეგებ ისიც კი, არაა ისე, იქნებ სწო“... მაგრამ, ისინი კი, მაგრამ გაუთავებელის ერთი ამათი კამათი: „აღარ გაუტან, ამ ოხერ ტომარას?.. რა, ხანძარია?..ხანძარი, ბიჭო, კარგია ზამთარში...ხოლო შენისთანასთვის, მარტო ნახშირი და შავი-ქვა და მთელი ჭიათურა უნდა მომეტანა მართლა...სადაა, მართლა...რა...ნახშირი, ის აჯობებდა...ჰა!..ამდენ ლაპარაკს, დავტრიალდებოდი მე შენ ადგილზე...რატო...იმიტომ! რატო და ნატო და გაერო არ ვიცი ის მე...რა ბიჭებია მართლა, ბიჭო!!. ვინ... გაეროში, ვინ - კაი ახლაო, აღარ გინდათო, ნუღარ ჩხუბობთო, ჩაეხუტენით ერთმანეთსო...მართლა, ხოიცი...უსაქმურებია მთლად, ჩვენი არ იყოს...აღარ გაუტან ამ ოხერ ტომარას? შემოგვეჭამოს, არ... ა?!.. მაშინ ლობიო მაინც დაადგი, ჩვენ ბედზე რაღაც კი ბჟუტავს ცოტა...და მაინც, მოიხარშებოდა ამ შენ ლაპარაკში ბევრჯერ!..რა? ლობიოს არ გაუგზავნი?..გადავყვები ახლა თან!.. არა, ლობიოს როგორ არ გავუგზავნი, ოღონდ შენი ხელით, მაგრამ ლობიო შუაზე გავყოთ, აგერ, ეს ერბოც გადავიღოთ რამე ქილაში, სულ არ გაქვს, ბიჭო?..ე?.. მთლად ჩააბარე? ეგ არაფერი, ვითომ პატარა შემოგეჭამა, ერბო, ბასურმანები ხოჭამთ ძროხეულს... კი ეს ერთი თავი ყველიც ჩვენი იყოს... ვითომ,ა!..აბა რა, ბიჭო, შენ გეგონა რომ, მთლად დამავიწყდი?.. აგერ

კიდე, პატარა მჟავეც გადმოვიღოთ, კი გქონებია აგერ თეფშები, ბარაქალა... აგერ, ქვაბიც მაქ..., არაა ძალიან დიდი... ჰო, ეს სამლიტრიანიც ჩვენ გამოვცალოთ!, სწორედ ამიტომ მოგიწვიეთ თქვენც!“ „ჰა“... - შეკრთა უღირსი. „ვიცი ის, როგორც უყვარხართ მიშოს, და დავკრათ ერთი, პატარა! კარგია შაშხზე... თუმცა ა?, არა, ლორი - იმათ... რა... მთლიანად, სულ... ჰა?.. იმათ, თუ გინდა, მარტო ერთი ბოთლი გადაუსხი... ბოთლები, ისედაც არ მაქ... მაშინ, ჩვენ დავლიოთ სულ... სწორიც იქნება, ერთხელ, შარშანწინ, სუფრაზე მოვხვდი კარგზე ძალიან და, მაგრამ რათ გინდა, ისე დავთვერი, სიხარულისგან, საჭმელებიდან სულ ვერ გავუგე ვერაფერს გემო... და, საერთოდაც, აბა ისენიც უნდა არ უნდა დავათროთ, და, ისედაც ხომ, ხვალ დათვრებიან, რძალთან... თან, საერთოდაც, მამაშვილების ერთად ქეიფი არაა ლამაზი... ასაკობრივად... ცალ-ცალკე უნდა“.

ხოლო როდესაც მიშო შემობრუნდა, ისე კარგად, და ისე ბედნიერად უჟრიამულებდა სახე, „რა ქნა, გაეხარდა?“ „აუ?!, ძალიან, ძალიან, კი!.. ისე დაიბნა სიხარულისგან და მოულოდნელობისგან, თუ რა ვიცი, სიტყვა ვერ ამოიღო“...

- ხომ დაიჯერა?

- რა...

- რა და, რომ, მე რომ წარსულიანა შენი ბიძაშვილ-დეიდაშვილების ასე და ისე...

- რააო..

- სულარაფერი! რა იყო, ბიჭო, რა მოგელანდა, დაადგი ახლა ბიჭო ლობიო...

...

- რაღას უყურებ!

- ლობიო, როდის მოიხარშება...

- არ იცი ის შენ, რა ლობიოა ეს, - ა?! მოუხარშავათ იჭმევა სულ...

- ჰოდა, ახლავე მიბრძანდი ჩემო ბატონო და, მიირთვი პირდაპირ იმ ტომსიკიდან რამდენიც გენებოს...

- არა, პატარა ხარშვაც უნდა...

- და... ჯერ, პატარათი, პური შეგვეწვა ამ ერბოში... ცოტათი ყველიც... ჩქარა იქნება... არ აჯობებდა?

- კი!.. და, ჩირზე თქვა, რამე? კაია რძლისთვის...

- ჩირზე კი არა, ბიჭო, საერთოდ მთლად შესაწირავზე, სულ საერთოდ ვერ გაიღო ხმა...

- რატო...

- ბედნიერული აღელვებისგან, რატო... გაეროსავით, მთლად ჩაუვარდა ენა პირში, სულ არ დამჭირდა არაფრის მოგონება... აბა!? სულაც ტყვილა გვიკამათია, იმდენი...

- რას ამბობ, კაცო... სულ აღარ დაგჭირდა სულაღარაფერი?.. აჰა... - დაფიქრდა, და მაშინათვე გამოცოცხლდა, - და აღარც წინადაცვეთა დაგჭირდა, ბიჭო? ბეწვზე ხარ, მიშო, გადარჩენილი... ჩემისთანას რომ უგდებდი ყურს!.. რა იყო აბა, ბასურმანობაზე რომ მაშინათვე სამართებლისკენ იმიანა რომ გაგექცა ხელი!?

მაგრამ, ბილბაო რაკი უყვარდა ისედაც აკი, და ახლა კი, განსხვავებულადაც, მიშოსგან მხოლოდ ეს ითქვა:

- თუთ!..

- მართლა, ეს რა კარგი რამე მოიფიქრე, მიშო, ეს პურის და ყველის ელექტრონულად შეწვა, პიცა გვექნება მშობლიური და მშვენიერი და კეთილი და პატიოსანი, ჭკუის ტვინი ხარ, მიშო, ცარიელი შენ... - აათვალიერა: - ჩემო მიშიკო!.. მიშიკო-აღა!.. მაშო-ეფენდი!!

- მაშოეფენდის მოგცემ მეშენ, თუ დაგადე ეს მწნილი არი თუ რაღაცა არი, მაგ აფრიკულ თავში!

უცნაურ-იყო, - მაინც როგორი მოდუნებული იყო, მანამდე, ბილბაო, და თავისივე თვითსაქციელით, ასე თვალდახელ როგორ გაყოჩაღდა ისე, მაინც... - სხვა თუ არაფერი, წნილს თეფშებზე ისე მხატვრულად დებდაა...

„თუკი, სიკეთით, ასე შეცვლა, თავისი თავისაც, შეიძლებოდა“...

ხანდახან, მიშოც ლაპარაკობდა... მაგრამ,

ვიღა აცლიდა:

- კარგი ხო, ახლა, ბევრს ნუ ლაპარაკობ, ნუ გადიქეცი მთლად ბაიათად, ხოლო თქვენთან კი... თქვენთან!,

- დიახ...

- ხოლო თქვენთან კი ისე მომინდა თქვენთან დალევა ძალიანი,რომ, გამოიღე ბიჭო, თეფშები, რასაა რომ დაჩერებიხარ მაგ ყველს ასე, არ გაუვიდეს წყალი, თეფშებიდან ხომ შეგრჩა რაღაც, აგერ ყოფილა ცალი ჩანგალიც, მიშო თქვენ ისე ძალიან კარგად გაქებთ, გავაწყოთ ახლა ბიჭომიშო ამ ჩვე ერთ დროს მეცნიერებმა და მუშაკებმა ოფიციანტკურ ერთიც კარგი ჩვენ პირობაზე, და თითქმის ჯიბგირულიც კი, სანაქებო სუფრა! იმათ ჯინაზე!, ყველას!.. მიშო!?

- კი!

- რა, ვერ ვცხოვრობთ ჩვენც?.. დაჭერი, ბიჭო, ეს თეთრი ბოლოკიც, რამ გაათეთრა მაინც ასე, თორემ შავ ქვას და ნახშირს მოგიტან და დაგიხატავ ხვალ! ხვალვე!

- ა? მართლა მომიტან?.. მჯერა უკვე შენი... იმაზე, უცბად აალდებოდა!

- უღუმელოდ, ხომ? ახ, რა მჟავეა? უჰუ?, უჰუ?... ნამდვილი სოფლისავივითაა!.. შენ კიდე, სიძე ეძახე... რამ აზიდია.. იმსიშორიდან... ავტობუსიდან მაინც... მაგრამ დაავალეს ჩემმა მართლა ქრისტიანებმა, მიშო, თქვენთან ბოდიშით, და რას იზამდა აბა... გამომგზავნებია მაინც, მთავარი, ჭირიმე იმათი... დიდი ბოდიში, მუსლუმანთან, ჩემებს რო ვაქეფ... გარეცხე ახლა ეს ლობიო, ამოიღე, ამოიღე, ჰო, რას გერიდება, რას მომაჩერდი, ლობიოზე გეუბნები მარტო, გელაპარაკები შენ, სეხნიასავითაა ახლა მაგი შენი, დავიჯერებდი ადრე ამ გამოთქმას შენზე, ყველმა ლობიოსავით დააბნიაო?..

მიხეილს, ბედზე, მთელი ერთნახევარი პურიც კი აღმოაჩნდა თავისი მხრიდან, მართლა ისე კი არ იყო საქმე, უღირსმა ასე რომ მოგასაწყლათ, თავი, ხოლო რომ ლეწეს და ლეწეს ზედიზედ, ოთხი, და ისე გემრიელს, შემწვარს ნამდვილ ერბოზე, პურს აყოლებდნენ ყველით შემკობილს, ხახვითც, ხოლო ლობიოს მოხარშვამდე კი არა, ლაჩრულა-დენზე იმის წამოდუღებამდეც, ენებს უკვეღა შეფერხებულად ატრიალებდნენ, თამადად მაინც მიშო იყო, როგორც თუნდ გინდაც ყოფილი და ექსთათარი მაგრამ მაინც მაღლაკელიძე, და ყოველ დამატებით შემთხვევაში მაინც ადგილობრივად აღმოსავლელი მასპინძელი, თუმც უჰაშიშოდ, რომელს არა გვაქვს თითო-ოროლა ნაკლი, თუმც, ჰაშიში მთლად საერთოდაც და განსაკუთრებით ახლა რაღა ჯანდაბად უნდოდათ და თავში იხლიდნენ, - ჭაჭა იყო რომ? როგორც ლაზერი, როგორც რომ მინდვრის აფთარი და ტყის მგელი, ფოცხვერი ხეთა, და აგერ დედაქალაქური მაწანწალა ყოფილი ცუგა გაავებული და სასმელით თუ მთლად უსასმელოდაც წონასწორობაგაბარებული ზოგი მესიტყვე, - ისეთს იძახდნენ, განსაკუთრებით ორივენი, იმფიქრიანი უღირსი კი როგორღაც მოკლევადიან გაფიქრებათა მიგნებების ჩაგდებულობით გამალებული ფიქრობდა კია, მაგრამ ისევ წამისწამობით, ხოლო ეს მისი გაელვებები როგორმე ძნელად რომ გადაგებათ და აგეწყოთ, შეიკვრებოდა რაღაცა არეულ-ამგვარ-ასეთსავით, რომ, - რადგან იყო, ნამდვილად იყო და არსებობდა აი ასეთი თუ ისეთი ერთიც ასეთი ისეთი ხალხიც,რომელიც, არ შეიძლება მთლად გადაჯიშდეს ალბათ, არამცთუ ადრე(ეს ნაწილობრივ სახეზეც იყო),აი ახლაც კი, თუნდაც ამ დროებით და ასეთი დროთი, რადგანაც, ადრე, იმდენი რამე ჰქონია, ჰქონდა და, იმდენად იყო, იყო, ნამდვილად იყო, თვრებოდა, იყო, ბევრი რამ ჰქონდა, ბევრი რამ იყო, რომელი ერთი, ეე, სუმთლად ბოროტი ნამდვილად არ იყო, ნიჭიერივით და შემოქმედივით იყო,და მშრომელიც კი, ასე წარმოიდგინეთ და, იყო,და ღიმილიანიც იყო, და მჟავეც იყო ძალიან მთლად აქ, ცხარე წიწაკაც, აგერ არ ედოთ, თვალწინ? ა?, საგანს ასცდა,და ისე უხვად წყალობებ-მრავლად-ნაბოძები, და, მაღლისადმი ისე ნდომაგამოვლენილი, აბა ეს როგორ შეიძლებოდა რომ ერთი ხელის მოსმით - ერთი ხელის მოსმაა, რა იყო აბა იმის წარსულთან ეს რაღაც ასი-ორასი და გინდაც ბევრად მეტი წელი, თუმცა ყოველ წამს როგორი დიდი შეძლება ჰქონდა, იგრძნობოდა ესეც, და აბა ეს როგორ შეიძლებოდა, - რა?.. კი, კი, ახლახან გეახელით, ბატონომიშო, - ჰო, იმას ფიქრობდა, აბა, ეს როგორ შეიძლებოდა რომ მთლად ხელიდან წასულიყო საბოლოოდ სწორედ სწორედ ის ხალხი, რომელსაც რომ... ეე, ეე, რომელსაც რომ აი ისეთი და იმდენი და იმისთანა ნამდვილი... ჰო, ნამდვილიც

და ნაღდი, იმდენი, ჰეე, იმდენი.. რა?.. რაღაცა... რა რაღაცა... რადა, კაცო, რომელი ერთი! ეე, იმდენი რამე, გამოსარჩევად, ჰქონდა, რომელიმეზე პირდაპირ დატაკება, ნამდვილად ჭირდა... მაინც რომელი?.. მოკლედ, ბევრი რამ, კი-კი, ბევრი რამ, თან, ხასიათზე თუ მოვიდოდა?, იყო ასეთი რამაც, წარსულში, და თან, ჭირის დროსაც კი ვმხნევდებოდით, რითი და, ეე, ეე, მოკლეთ, ბევრი რამითი, და თუ გვილხინდა ძალიან შვებით, მაშინ ხომ, მართლა... რა მართლა?.. რა მართლა და, ეე, ეე, აგერ, ა, მართლა, ეე, რა მართლა?! - ა?, ნამდვილი ძროხისიც იყო, რა და ყველი!.., აგრეთვე ერბოც ძროხისი იყო, მიადექით სულ, ქართველი გინდა, ოსმალი გინდა თუ ვენეციელი მთლად, მაგრამ ეს - არა, არა, წვრილმანები იყო ძალიან, მთავარი მაინც რაღაცა სხვა იყო, რაღაცა სხვა იყო უფრო ძლიერი, ძალიან ბევრად მნიშვნელოვანი, - ჰიკ!, - უფრო მაგარი, მაგარი, კარგა მაგარი, ეე, აი თუნდაც, რა და, რაა, და, ეე, მოკლედ, ძალიან მაგარი, - გაუმარჯოს, კი!, და, და, ხოლო, მაგარი იყო აგრეთვე, ბევრი რამის გარდაც, ეე, აი თუნდაც!.. უიხო მართლა, ჩვენებური თვალწინ აგერ და არაუქმი ჭაჭა, ხოლო ჩვენებური ჭაჭა მაგარი იყო ისე ძალიან, ძალიან ისე, რომ სვამდნენ, სომდნენ, აჰუჰუჰუ, ჰახ, სომდნენ ისე რომ? - აჰუჰუ, ჰახახ! საწამლავივით სულმოუთქმელად კი არა და, დაგემოვნებითაც კი, იმ ცეცხლს და ლავას!, თანაც, ნასვამზე, ჩამოეთვალა რომელი ერთი!,

მაგრამ, მაგრამ,

რითი დაეწყო და, ამ ჭაჭა-ბედზე, სწორედაც იმ ერთ-ერთს, მთლად ერთ-ერთ მთავარ გადამრჩენელს, და სიამაყეს, მღერას მიადგნენ ჭაჭის ჯიკავით, და, პატარა ხანში, მიშო, ბილბაო და უღირსი, - ის მერე რა რომ არცერთს არყავდა, - რატომღაც სწორედ დედმამიშვილების სადღეგრძელოზე შეუდგნენ ასეთს, ერთ-ერთ იმას აი-ჩვენ-რო-ვიცით, და ისეთს ამღერდნენ, მიადგნენ ერთსაც მშვენიერ ნიმუშს ერთ-ერთს, ოღონდ ისე არეულად და ხმაგანწირვით, რომ აგერ სულ პატარათი ცოტა ძველ დროში სახანძრო მანქანას კი არა, ეს გამოთქმაა ნაწილობრივ არასწორი იმდროინდელი გადაყუდებული პოდპოლკოვნიკივით, გამოთქმები ახალი გვინდა, ჰო, არამედ ხანძარსაწინააღმდეგო მანქანას ნამდვილად გამოიძახებდნენ იმუბნელები, მაგრამ ბენზინი გინდ ყოფილიყო, სიტყვაზე, მაგრამ სიმღერას რა ჩააქრობდა ასეთს ჭაჭაზედ, ჰაი-ჰაი, ატ!!, თანაც, ის მერე რა რომ, აემ სიმღერის სწორა-სიტყვები მხოლოდ ახლოწარსულ დროს დარბაისელმა მიხეილმა იცოდა, მხოლოდ, და, მხმოვანურად, ასე განლაგდნენ:

მიშო, რიგით I დამწყები ხმა, ცალკედ: ტირიაან თუ!შის ქა!ლეები! -

აქ კი, სრულიად ბილბაოII და, III ხმა, სრულიად და სავსებით უსოფლ-მაგრამა-ც ქალაქელი მაინც, ბანურ-უღირსი: ჰა?!

მიშო, კვლავ ცალკედ: არ მოგვიივიიდნეენ ქმა!,რეები!,ი!!

სამთავივ, ერთადშეერთებული მიშოთი: ჰეჰ!!

ისევ მცოდნი მ.: ვაითუუ დაახ-ვდნეენ ლე!, კეე-ბი!! - ბი!!!

ისევ I-II-III ერთად: ჰაიტ!!!

და მ., აქაც რატომღაც აღტყინებით: დააყრეევინეეს თა,ვეები!!!, ი?!!!!, -

მაგრამ, ფინალით, ჩამქრალი ტრიო: ეჰჰ... -

და, ამ ასეთაურ მღერობაშიაც კი, ამ ხმიერ არივ-დარიაოულ-არეულობაშიაც კი, იყო რაღაც ნამცეცი იმისა, რასაც ქართული ხალხური სიმღერა მხოლოდ სახელად ერქვა კი არა, სადღაცას რაღაც ძალიანაც მეტად მაღალზე, და სიმაღლეზე, მწვერვალურად იდო, და იქ მხოლოდ კი არ ძევდა, არამედ ამასთანავე როგორ მპყრობელად, - დახვეწილესი, უკიდეგანო, რა გონიერი, აწყვეტილი, მწედ სივრცობრივი, - გინდა სევდის და გინაც შვების, და, ზეიმისასაც, სასოების, ლხინის, მთლად ლხენა-ლხენად მომნიჭებელი, და ჭირის, გლოვის, უბედურების წარმტაცი ისე, - ამამაღლებლად, ამმაღლებელად, რადგანაც თავად - ამაღლებული კი არა მხოლოდ, რაღაც სულ მეტი, რამდენად, იყო, ანდა რომელი რთული საკრავი შეედრებოდა ადამიანის ამღვრეულ ხმას, ოღონდ მადლცხებულს, თვით ღვთით შთაბერილს, თანაც მომღერალს, - ამის; ჩვენის, ქართულის... და გინდაც კი არა, აი თუნდაც რომ სწორედ ამათებურა მღერობასაც კი, აკვიატებულ-სულელაობურსავით, რა დავარქვათ და, არაა აქ მთლად დაზუსტება მაინც საჭირო, მაგრამ ჰო, აი, თუნდაც, - ერთ-ერთ-ერთგვარი ხმოანება-გადახვეულ და აყვირებული, და ეს კი, ესეც, მაინც მოთბო და ძვირფასი იყო მაინც, რადგან მპყრობელთან, თვით იმასთან, საერთო, ჰქონდათ, აესენი კი, ძალიან დიდად და მხოლოდ ჩამორჩენილად და ერთგვარი ეშხით მონდომებულები და ყურ-ხმა-ვითომ პირველის მთქმელი, ყურმეორე და მთლად ყურბანა ცეტი მონები, მპყრობელისას, მაინც სჩადიოდნენ, რადგანაც მაინც იმისები იყვნენ, შეძლებისგვარა სავსეობით, რადგან ის, იგი, დიდი, მთლად დიადი, უდიადესი, ამათ ჯღნავილზეც, ამპირებიდან ამოსულ რამსზეც, სასოებით და მოწიწებით გახსენდებოდა, რომ გაცილებით შეუდარებლად დახვეწილი და ხმამაღალიც კი, რამდენად იყო, ხოლო ლობიო მთლად ოთხბალიანად მოიხარშაო არა მაგრამ, ცოტათი მაინც რომ შერბილდა, მჭადის მოზელა-დაცხობების თავი კი ვეღარა ჰქონდათ, არამედ მწველი ჭაჭური განძლიერებით ახალისა და ჭარბის ძალით შეუდგნენ მღერას სიმღერისას: „ჩვეენი მაასპინძლის საასახლეეე“, და, იმათი ხმების შესაფერის გაგრძელებად: „მწვაანედ ნაგებო ბეეეტონისააოოო“ -?, და თუმცა მათი გულ-პირ-ღვიძლ-ჯიგრიდან დიდმსუყიერად ჩაქსოვილი და ამომავალი, მაგრამ პაწია, მნიშვნელობით, ეს მათ ჭიქიან ხელთ ჩავარდნილი და აღსაზრდელი ეს სიმღერაკო, გაუზრდელი ეს, აი იმ დიდი სიმღერისა, მათი მცდელობა, ვთქვათ პირნათლად და, როგორღაცდაგვარ ხმოვან კარიკატურასა ჰგვანდა მხოლოდ, რადგან ვერ გაიგებდი, მიშო ახლა პირველს სჭექდა თუ მიზანსაცდენილს ზოგი ქალივით მწივანა ბანს ამბობდა,ხოლო ბილბაო დაგუდულ ბანს არასწორი ხინკალივით ახვევდა თუ მეორეს, ხმას ებღლარძნულ-ეპოტინებოდა სურვილით თუ სულაც იმ გაჭაჭული ხმით, ხოლო ხმაჩაქნეული უკვე უღირსი თუმც კი ფიქრობდა და, რაც მთავარია, გარეგნულად მაინც სწორად დუმდა, მაგრამ თანამეინახეჭაჭეთა დანარჩენი ორი ასეთი ხმაც კი სრულიად სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ კაქტუსებ-იელ-გვიმრ-ფიკუსოვან-ლიმნისხიანი ოთახიდან ზამთარშიაც კი, ფანჯრის სათუო ნასვრეტებიდან მეტუმცენარო თავისუფლებისაკენ რომ გაეღწია და გაეწია, ხოლო იქა კი, ერთიც

ვნახოთ და ორ ფხიზელ ადამიანს ჩაეარნა და, თავისუფლად შეიძლებოდა და თამამადაც, აქა-ჩავლისას, მოეკრათ ამა ერთსქესა ორთა ხმოანების ნაბზარებისათვის უნებურად მახვილი ყური, ერთ-ერთს კი, - უფრო, რადგანაც ხოლო პირშიმთქმელ სუსტ სქესს, ანუ ხანდახან არცთუ ძალიან შეჰარმონიავებულ მეორე და მჭახე ნახევარს, ახლა ამ აშკარად მითომც ერთგვარი თანამგზავრისადმი, ორპალტოიანად ჩაცმულისაც კი და მაინც ქმრისადმი, ეთქვა: „ხომ გესმის? ატყობ?, ქეიფობს ხალხი, ატარებენ დროს, ეს შენაა რომ, დაგვწყვიტე შიმშილით ყველა, დანარჩენები, დროს ატარებენ, თუ არ გჯერა და, მიუგდე ყური“, ხოლო ჩვენკენა ჯიუტ მგალობლებს პირველხმისა თქმის, თუნდ ჩიქორთულის, თავი კი არა, უფრო სწორად, თავიცა და ხმაც, ჭაჭისაგამო, ვეღარა ჰქონდათ, ჭაჭა კი, - ჰქონდათ, სამაგალითო, და ამიტომაც მხოლოდ მეორესა და მხოლოდ ბ-ბანს ბორძიკ-ბორძიკით რაღაცას ვითომ ამსგავსებდნენ ათასში ერთი და ებღლარძუნებოდნენ, რაღა, ხოლო პირველი, მთლად ამმწევი ხმა, ჩემო ბატონო, სუყველაფერს რომ ვანებოთ თავი ამ უცნაურულ გარდაქეშებსა თუ გარდაქეშიკებებში, და ამ უცნაურულსვე საქართველოში, სიმღერა მაინც, კარგი ვიცოდით, ძირითადად და ბევრგან, და, ვიცითც, ჰორაღა; და უცნაური ძალიან ყოვლად ისიც კი გახლდათ, რომ ჩვენს სიმღერებში, ყოველი კუთხის, ერთი კი არა, ბევრი იყო უპირველესი, პირველხმიანიც, გვყავდა, ბევრი, და ასე ჭაჭიანა უწყალოდ ვაჰჰხ-მთვრალზე კი არა, ღვინოზედაც ხომ, უპირატესად, კარგებს ვმღეროდით, და ვჰმღერაობდით, და მაინც, ყოველთვის, წარმოიდგინეთ, წარმოგიდგენიათ? - უჭიქაწყლობისასაც, - კი, და ყველგან, ყოველთვის, მუდამ ვიცოდით ბევრგვარი მღერა, ხმამაღალი თუ ხმადაბალი, მჭექარე გინდა თუ, ამტირებელი და, თუ საიავნანო, დასაძინებელი თუ, გამთენებელი ღამისა, და, ასამხედრებელი თუ, სახუმარო თუ, დასატირი, თუ ამჩატებული, თუ შრომისა და, გინდ განცხრომისა, ვიცოდით რთულად ბოდიალი და ურთიერთდგომა ამ სიმღერებით ისეთი რომ, აი ისეთი, ეე, აუხ, ისეთიი, რომ, ეე, მოკლედ, ჰო აი, აი ასეც კი, ახლა როა, გინდ უჭაჭური, ხოლოკი, ძველად?, ეს გვაცოცხლებდა, და გვაძლებინებდა კი არა, მეტი, თანაც, გამტანი, როგორი, იყო? ა?, ისეთი რომ, - ქალაქებივით მრავალხმიანი, და ხოლო მარტო შეძლებულები და გავლენიანები და გადახარებულები და დიდკაცები მამულების მხრივ კი არ ლაღობდნენ და მღეროდნენ, მხოლოდ ისინი კი არ იყვნენ განცხრომილებით ამღერებულები, არამედ,

18.

„პირველს, ჩემო ბატონო, გრატიაშვილი მღეროდა, მეორეს - ქიტუაშვილი ეუბნებოდა, ბანს, ჩემო ბატონო, ზალდასტანიშვილი...

მომღერალი გვარები გახლავან ეს.

პირველს საყვარელიძე მღეროდა, მეორეს - ღოღობერიძე ეუბნებოდა, ბანს, ჩემო ბატონო, ჩიქვანი...

არანაკლებ მომღერალი გვარები გახლავან ეს.

პირველს, ჩემო ბატონო, ქილიფთარი ამბობდა ლადი, მეორეს - მიხაკო ერქომაიშვილი, მესამეს - შეწირული ევგენი...

პირველს, ჩემო ბატონო, ჩართოლანი ამბობდა, მეორეს - მიბჩუანი ეუბნებოდა, გოშხეთელიანი ამშვენიერებდა ბანს...

პირველს, ჩემო ბატონო, ხვიტია კვნესოდა მალხაზი, მეორეს - პერტაია ეუბნებოდა ძუკუ, მესამეს - პაპასკირი ველოდი...

პირველს, ჩემო ბატონო, შვიდნი რომ იყვნენ? - ა??... პირველს, ბერი პაპა ამბობდა, მეორეს - უფროსი შვილი ეუბნებოდა, მესამეს, ჩემო ბატონო, ჯმუხი ნაბოლარა...

პირველს, ჩემო ბატონო, დინჯი სოლომან ბუტულაშვილი ამბობდა, მეორეს - გადარეული ხირჩლა ბაბურაული, მესამეს - სულ ნაფერ ხმლადა სჭედდა ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი...

პირველს, ჩემო ბატონო, გონაშვილი გალობდა როგორ, ე?...

ჩვენებურები, მუდამ ვმღეროდით,

რადგან, პირველს, ჩემო დიდბატონო, ბაგრატიონები ბრძანებდნენ, მეორეს - ამილახვრები, წერეთლები და დადიანები ეუბნებოდნენ, ჩოლოყაშვილები, რაზიკაშვილი და ჭავჭავაძეები უძლიერებდნენ საძირკველს...

სულ მომღერალი გვარები იყვნენ, არიან ეს,

საქართველოო, ვუხ!“, -

ფიქრობდა უღირსი.

სულ დილიდანვე.

ის მერე რა რომ, ისე უზომოდ დანამთვრალზე, ცალიღა თავის დიდი ნაწილი მართლა, კი, მართლა, დაბზარვოდა სულ, მაგრამ, -

ახლა, ცეკვები...

ქართული ცეკვები... ეს ხომ, ისეთი... აი ისეთი... თუმც არა, არა, არ ღირდა მათი აღწერა (ვითომც შესაძლებელია... არა ღირდაო - ძალიანაც გაგვითამამდა აქ უღირსი ავტ.), და აბა განა რომელი აღწერა იქნება, ეს, გინდაც მოდექი და იძახე რამდენიც გინდა ვაიმე დედა ეს რა ნარნარი და ქარიშხლოვანი და ნატიფი და ცეცხლოვანიო და კრტუ; ეს, ისედაც ხომ, ვისაც უნახავს ხომ უნახავს და, ერთხელ უკვეღა მნახველს როგორღა გინდა რომ აღუწერო, ვისაც არ უნახავს და, იყოს თავისთვის,

როგორც ყოფილა ადრე.

მაგრამ რაგინდაც ქართველი იყვე, რომ ჩაგესმევა აი ეს სწორედ რომ შენი, მრავალხმიანი, მრავალხმოანი, როგორად მხმობი, მღერა, ან რომ დაინახავ და შეაცქერდები ამ მხოლოდ შენსას, ჩვენსას, როგორღაც მაინც თავდაჭერილურ გოგმანსა თუ აწყვეტილს მაინც, სუმთლად, როკვას, მთამაშებელთა გარდაც, ჩვენაც, როგორის მადლით აგნიასებულებს, ოღონდაც უხმოდ, ჩვეფარულ ლხენად

ამა საბოძვრულ გნიასობაში, ლაგებულაში, ოღონდ, სუყველას ერთად, ჩვენც, მაყურებლებს თუ მსმენელებს, და მბაძველებსაც, აქეთ-იქურებს, ერთიმეორის არანაკლებ და, კიდევაც უმფროც, გააჩნია თუ, ქართველაობით თუ რომელი და როგორი ხარ, მაგრამ ერთნი ხართ, მაინც, ამ მღერაცეკვით სხივოსნური კენარიცა თუ ჩუმი გონჯი, რადგანაც, ყველას, ჩვემაინც - ყოფილთ, მაინც, სუცოტას, ყველას, აიემ ყველათ, ჩვენ, გვაჟრიალებს და თავშიც, გულშიც, სულ გვზრინავს, გვზრინავს, და ტანში გვზარავს, გვზარავს, სულში კი, გვკაწრავს, მეტიც უფრო, -

გვფლეთს,

რადგან წინაპრის მკლავი ჩაგვფრენია და, გვაჯანჯღარებს, იმ ქუდზე-კაცი-ს წარუშლელი მაინც აჩრდილი, და, მისეული ხმა-სხეულურის ჯილდოდ სახება, ამ სიმღერებით და ცეკვებით, გვდგას, და ახლა გინდაც უცხო საყურე სულელაობით გერჭოს მამრსქესურ ყურში, და ზედაც თანაც ჩიქორთულ ქართულს ლაპარაკობდე, ერთიც იქნება დაგივლის შენ და ისე მოგივლის, კუდით სულ ნაწნავს გასროლიებდეს იქნება, რადგან ის - კაცი იყო, ახლაცაა რაღა თქმა უნდა, გინდაც სახებად, ჩვენისთანები იმას ვერა, ვერ დაკარგავენ, იმან იცოდა ხვნაც და ჭენებაც, ნამგალი, ხმალი, საყდრის შენება, ლექსსა ამბობდა?, ვე?, და მიტომ მღერდა, ასე, ცეკვავდა აი, ასე, და თუ, ცოტათი მაინც ისედაც იმისი ხარ, და მისეული, თუნდ ახლაც, მთლად უიმისოდ შეთავისებულ ვითომდაცრო კუთვნილეობაურ ლიფტ-ესკალატორულ-კომპიუტერობანოებაში, და ახლახანა ვითომაცდა დამსახურებულ ფუფუნებათა ვერდამვიწყნი, შენ, ცოტათი კარგა გადაგვარებულს, სულ სხვარამ რუმები გადარდებს რადგან, მაინც, მაგრამ იგი კი, სწორედ შენეული, შენი კუთვნილი კერძოდწილ მართლა, რაგინდაც ბევრნი გინდა იყვე, და შენ, ამ წარსულ დღეთა იდუმალი ნეტარებებისგან - შენი მღერა და ცეკვა შენი - შეძრულს ისე რომ, - რადგან ძველია და უძველესი და შენშიაც კი, თითქო ჯიშ ლამის დაკარგულშიც, დის, და ვინც გინდა იყა, თუნდაც ყოფილი თავადიღა ბრძანდებოდე თუ ახლაც გლეხუჭი, ოღონდ ქართველი, შენ, რაგინდაც უნდა გადაგვარდე შენ, თავად თავად-გლეხი, შენი წარსული, და წინაპარი, შენი-ს მპყრობელი, მოგძებნის მაინც საცა იქნება, როცა იქნება, და, გადაჯიშებულს, მოძებნილს, ნაპოვნს, ბილიკდაკარგულს და უგზოუკვლოს, აეს მძებნელი მთლად ქეჩოში ჩაგჭიდებს ნახმლნარ, ნაგუთნარ თითებს, და, წინ წაგიგდებს, ხოლო გუთანი - ალბათ ვერც იცი, მიწის გადამხვნელ მოწყობილობას ერქვა ერთგვარს, და ჩვენ კი აბა ვიღანი ვგდივართ კუშტად ნაზამთრალ გამოზამთრებულ მიწასთან შედარებით, და, მოგვერევა და დაგვიმორჩილებს, როცა იქნება, როცა გავა ჩვენი ზამთარი, რადგან - მიწა ხარ შენც, ოღონდ თანაც სულშთაბერილი, თან იმასაც ხომ გააჩნია - ეს თუ ვისაგან ბოძებულზე, სად; და, მთავარ საძებნელზე, მძებნელზე მეტად, დანდობილი და გამოძებნილი, მაინც, რაგინდაც ათეისტურა საგან-საგნებით გაჭყიპულიყავ, თუნდაც მხოლოდ ანკეტასა თუ ჩათვლის წიგნაკში, არად აგდებდი ამაებს ვითომ, მხოლოდღა ტივტივ-ჩათვლებად თვლიდი, მაგრამ მაინც ხომ მაგ მიძინებულ - მაინც გულის გულთან ანუ ჯიბით დაატარებდი, და ყოველივე, სუყოველივე აკი დიდად გადამდებია, მაგრამ თვით გული, მაინც სხვაა, მაინც გულია, და ნეტამც იმ დროს, როდესაც შე-ეს აემ ნამდვილი შვებებითი, სცენაზე არა - ვენახში მღერდი, ატორტმანებულ ხნულში ცეკვავდი, და, იმ

წყალობებთაგან მისავათებული, რომელთაც ასეუბრალოდ ქართული ცეკვა-სიმღერა ჰქვიანთ, გულაღმა იწექ, დაღალული, ბინდბუნდდებოდა, ცა გედგა თავზე შენი, ქართული, და ახლაცაა, და მხოლოდ და მხოლოდ შენეული, და ბევრისაც სხვამიერული ბედნიერებით, ღრმათა სუნთქამდი, ესჩვე, - ქართველი ბოლოს და ბოლოს, თუ ადრეც და ადრეც, სუთავიდანვე, გაჩენამდეც კი, შენი ხალხურად სათავიდანო დასაწყისიდან, აესე ცხადად თავრეტდამცემი ნეტარებებისგან, გაოგნებულიც, როგორ,აუარება რამთან ერთად, თუ იმასაც იგრძნობ, სიმშვენიერით რომ, მისი ხარ, მისი, და რომ მიხვდები იმის ცოდნასაც, რომ ყოველთვის, სუყოველთვის, მუდამ, მისი იყავი ოღონდ გინდაც ცოტათი ძალიან შორას, და მისი ხელიდან დროებით წასული, და თუ ჩახვდებიც სამაგიეროდ, რომ როგორ იცი ისიცა რომ აეს - შენია, შენ კი ხარ - მისი, თითონ ისა კი - თვით ი, მი, სია, იმისი ცისა მიწიანა თავისი ლექსით, ცეკვებით,

და ემ მღერათი,

და რა ფუსფუსა წრიალია ესაც, ჩვენი, ოღონდაც - მაღლის...

ხოლო, რადგანაც, გადარჩენილ,-ხარ,

და, შეიძლება, ამა წრიალში, კაციც კი დადგე, -

ეს შენცკი.

არადა, როგორ გზელდნენ, გტორავდნენ, და როგორა გხრწნიდნენ, მარშები გქონდა, სააღლუმური? - ა? ფეხასაწყობი, რაზ, ჰიმნები გქონდა? - დვა, - დილდილაობით დროისცდასადგენი, ცეკვა გაგიხდა? - რაღაც ახალი შემოტენილი მთლად უჯმაჯური განდაგანა შიგ კაკალ გულში, ფეხისწვერებზე თუმცკი მოარული, მაგრამ მხოლოდღა უფროსთწინარე (თანამდებობით) და ჰალსტუხითი, ქალაქელ-იყავ, თორემღა ისე, ფეხისწვერებზე კიარადა სასწორზე ვეღარ შედგებოდი, იქ სადღა იყო შენი სამყოფი კგ-ები თუნდაც, ბევრი იყავი, გინდაც წერწეტი, ღალატის თოკით უთავუბოლოდ გადაბმულები, და გინდ კარგა-გამხდარიც კი ვეღარ აიწონებოდი საქმე-საქმეზე რომ მიმდგარიყო იმ შენი როგორ ორმხრივწარმწყმედი დასაქმიანობებით, კიდევ კარგი რომ, ყველა არა... ხოლო შენი გადაღრჯუებული გულის მოსაფონად, ვითომდაც მართლა შენი ნებით, მშვენიერული იპოვნ-გიპოვნეს ასეთიც ხერხი - მათხოვარულად უცნაური უდარდელობა და, კისკის-კისკვური სიცილ-ხარხარი და, სამაგიეროდ, მთლად უსაყდრობა, აბა შენ რაღა დაგრჩენოდა შენ, არა, იქა?, სანთლის წვის ცქერას ხომკი გიჯობდა ცეკვათამაში მაგიდის ირგვლივ თუ მაგიდაზე, ოღოონდ ეს შენი ცეკვა კი არა, არამედ რაღაც გამლაყებელი, მაგიდათახლო, კათედრაულიც, გრეხვა, გასაჭირისას, დაგჭირდებოდა? - აგერ არ გქონდა, ტვინიულნაოჭთ მოხვევითობა, გადამდები ფერხთ, და წარბთაც კი - მოგინდებოდა, ჩამოქუფრავდი, მოგინდებოდა, აგიწკეპდებოდა, ისწავლე მღერაც, რეჩიტატივით ტრიბუნალური: „ეეს,
გაუუმარჯოსხალხთაშოოორისმშვიდობისათვისფაასდაუდებელდაუდგრომლებსა
აა“, ხოლო ნიშანი და შეფასება კრასნად გაკრასკულ ფონის ბოლოში შენ გელოდაუვაჰხ? - ტაშთამომწყვეტი, მგრგვინავაპლოდისმენტა, და გინდაც ამეებს

რომ ჩამოშორებულიყავ, გინდაც რომ სადმე დიქტის კიბის ქვეშ მიწოლილიყავი, შეგუებული მაინც ეს, დღევანდელობა, სწორედ რომ ასეთ-შენითაც კიფუჭდებოდა!, ხომ არ გეწყინა, გამიბრაზდი?, ჰეე... მაგრამ თუკი გაიხსენებ და დაუკვირდებიც, გამართლო უნდა, ნუ დამემდურები, საბოლოოდ, - შენ ხომ, ბავშვობიდანვე, როდესაც ბევრად სწორი იყავ, და თან როგორღაც თითქოს შენით, რადგან შეწუხებულზე ტიროდი მხოლოდ, და თუ არა გიჭირდა-რა და, ამოგვღიმოდი, მაგრამ მერე და მერე, სულ რაღაც ოდნავ წამოჩიტულს, უკვე ორი აღლუმის აუცილებელ გროშ-წევრად გთვლიდნენ, თან - სათვალავში ჰყავდი ვინმეს, შენც, სხვათაშუა ამოჩემებული, არ გასულიყავ? - მშობლებს ალმაცერ-შახედავდნენ, და შენც კი, დამწყებს ნიშანი უნდა ხომ გქონოდა ყოფაქცევაში, რომელშიაც რომ ერთი უცები ოთხიანი „კარგი“ კი არა, საშავსიოო, იყო, ხოლო, აღლუმზე, რომე კაცადაც კი გეგრძნო თავი, გეფერებოდნენ სხვადასხვახერხ, მუსიკა გქონდა? - მუზიკურადვე იყო პირდაპირ, და პირდაპირე გადასარევი, ყოჩაღურსდ გრაცხდა, სკკპურად გკვებდა გინდაც ცოტათი და მაინც როგორ, დიდიტუშებ-ტუმბებით გატენიდა მხიარულ მუზიკს, ხოლო სიტყვებად, თუმც გულუბრყვილო მაგრამ ძლიერი და საღ-სიტყვები და წყალგაუვალი ჰქონდა ისეთი, აბა ნეტავი რა შავდებოდა? თუნდაც ამითი:

ჩემო ტკბილო მე-გობაროოო (აქ ტრელი ახლდა, კლარნეტაული),

გულს მედება სიიხარულიიი (თუ, გულს „ესევა სიყვარული“, თუ

„გულს მეხვევა“ თუ „გულს ერევა“ მაგრამ „გულს

ერევა“ აბა რა გამოთქმაა, და ეგ მაინც ასეთურ იყო,

მოკლედ, სწორა თუმცა აღარ გვახსოვს, გამოვასწო-

რებთ მაინც),

მოკლედ, თავიდან, მიდიიი, რაზ-დვა-სამ-ოთხი, ხუთ-შესტ, სემ-რვიან -

ჩემო ტკბილო მე-გობაროოო (აქ ისევ ტრელი რაღა თქმა უნდა,

კარგია ტრელი, ვიშ),

გულს მერხვევა (ვა?! - ავტ.) სიიხ-არულიიი (ტრელი, ტრელი გამ-

ფრენაული, და თან მიწისკე ბუქნური და ბოხურიც:

ცუმპ-ცუმპ, ცუმპ-ცუმპ, ცუმპა-ცუმპა სამ-ოთხ),

შეენ ვარდები გიიკ-რეფიაააა,

მეეკი (ბეეეეე) შენი სიიყ-ვარუულიიი,

ერთ-ორ, ერთ-ორ, მიდიი, რათა დავიპყროთ

სამ-ოთხ, ხუთ-ექვს, ექვსმე-ჩვიდმე,

ათასრვაასორ-ათასცხრაასოცდაერთ,

ჰავო-იეეეეე,

დიდება სკკპს?!,

და, კიდევ გიკვირთ, მთლად რომ არგვაქ და დაუსრულებლად არა გვაქვენ სულელაური გამომეტყველება თუნდაც ამაზე (იგულისხმება თუნდაც მხოლოდ სახე ან ზურგი), და თვალებისეული ღრმა შუქითაც ხომ არ გამოვირჩევით, დალაგებულად და მთლად, - უკაცრაოდ კი პასუხიადა - მაგრამ ვერ გამოვიყურებით, და დიდ გულზე ხარ, ახლახომყე, დღევანდელები, მაგრამ, აბაერთუკა თქვენ ყოფილიყავით ამჩვე ადგილზე, ერთი რაღასღა მოიმოქმედდით ამბოხინებულს და ქინაქინი, იმასაც ვნახამდით, და როგორიღა იქნებოდით დალაგებულნი, თუმც დაულაგებლობა, ჩვენში რომ დარჩეს, არც თქვენ გაკლიათ, სამაგიეროდ ჩვენსა დროში (რომელი ჩვენი დრო, კაცო), ეე, ჩვენდროინდელობაში, ეს ვაჟკაცობა ზემზეური მხოლოდ ერთსაღა მძლავრ შემოქმედს შეეძლო რო ჩაედინ-ედინა ცკ-ს კარვებში კავკასიურის ხანჯლით შეჭრა გულდაგულური და უმოწყალოდ ხოცვაჩეხვა სამშობლოისის მტრისთაო, იგი, მაგრამ ის ერთი რას გვეყოფოდა, ჩვეუპატრონოთ, მაგრამ პატრონად გავიხადეთ და ჩავიხადეთ და ავიხადეთ სუმთლად იმასავით ვერა მაგრამ, წარმოუჩინელ-თურქულა შემოქმედურად მოჭიკჭიკეთა პირობაზე, დასაშვებად, კი, და სამაგიეროთ ისე დავეშვით, რომ ახლა ჩვენობით-ში კი ვლაპარაკობთ, თუნდაც აგერ ჩემსავით, ა, თანაც ზოგნუკნი ეგებ არც ვიყოთ ისე ძალიან დიდად გაბერილი და დამნაშავე კი არა - დამნაშავეები, რადგან „დამნაშავენი“ - პოეტურიც კია აქ, იკაცი კიდე, თუმც ლექსებსაც სწერდა, ადრე, ხოლო არაუმწიკვლო არაპოეტურთ მხოლოდ იმასა გთხოვთ, რომე, ამა მიშვებულ-მოშვებულობაში მეტადრე მაინც, ჩვენსავით ნამეტურ მთლად თქვენივ ნებით მაინც ნუღარ გაგვიბითურდებით მაინც, რადგან, რაც მართალი და მართალია, აბა რომელსამარშებ გიკრავენ აბა მოწყენილ თქვენა-ს, და ჩვენიც კი მახსოვს სუ ძირმწარე თვითშემოქმედებანი, და აიიმათი მწარე კი არა, ვხხმებ-გაკვეთილი, რადგან, რაც მართალია მართალია, შვიდსა ნოემბერს რომკი გაგვეწყო ყოველ ოჯახში თითქმის - საგულდაგულო, სულო და კუჭოპურმარილი, ამას არავინ გვაძალებდა, არც ცეკაში და არც ტეკაში და არც კიდევაც უფროც შავში, ხოლო სუფრას კი, მდიდრულგაშლით, ჩვეჩვენით ვშლიდით, და თავისუფლად შეიძლება ისიცა ითქვას, გინდა თუ არა რუსკი შკოლებში მიაბარევით რებიონოკიო, ბევრი არავინ გვაიძულებდა,მაგრამ ჩვენ, ზოგნი, მაინც აგრეთვ ჩვეჩვენით ვაბარებდით და ახლა, თუმც რაოდენი წლების შემდგომ, - და კიდო გამომეტყველება გაკვირვებთ თქვენ ჩვენი შეენ? - (ზმნა, სამპირული...) - გეტყვით ზოგს სხვასაც ისეთს რამეს, თანდათან როგორ ვიწამლებოდით...: ჩავუვლიდით-რა ტრანსპარანტებს, პლაკატ-პორტრეტებს ვაშაა-ვაშააათი, რომელ-რომელი პორტრეტებიც, დროის მიხედვით, სხვადასხვაგვარნი ძალიან, იყო, - იცვლებოდა-უ, პოლიტბიურო, რაა უცვლელი მიწისზედეთში, გადმოყუდებულ-მოხსნილის გარდა და მეტი; და, იცვლებოდნენ პორტრეტაულნიც, ერთი ლენინი იყო სულე, და ზედაც კარლმარქსაპაპა (მისზედაობაში აბა რაღაა გასაკვირი; ჩქარა ამასაც ძალიან ვნახამთ), ხოლო სხვები კი, დროებითი მანათობლები, ჩამოსაცვივნი მარსკვლავები, იცვლებოდნენ, კი, ხოლო იმათში, ვინ (რა) გინდოდა, თავო და

თვალო: მალენკოვძიო თუ ფურცევა-ძალო, საყოველთაოდ მამადსტალინი ი.ბ., იმის მამყოლი ხურუშ-ჩოვ-დიშლენკო, მერე და მერე აიმასავით ნახატაურად გადიდებული, თუმც რა „იმასავით“, არამედ გადიდავებულ-გადამრავლებული პორტრეტაულად, უკრაინელი ვერმზეჭაბუკი, კი; სახელიანად წასულებიდან, ოპერისა და ბალეტის სპეცი მუშურკიროვი, პადედე-ვიკი და შანსრიგოლეტოდ აცეკვებულ-ამღერებული მარინიისკური, ოღონდ დაგვიბრიდეს, სურათზედ-ღ იყო, ან, თუ, ბულგანგანინი განზე წასული განდიდებული სუ პაწა ხანს თხისწვეროსანი ინტელიგენტიურათ ვითომც თურმე ოღონდ საქმე-საქმეზე კარგაჯალათი, ხოლო უიბსტალინოდ წამდაუწუმრად თურმე სულ კარგის იმას იგინებოდა ბიუროსტებში, თუ ლავრენტინო ფონ ჰარამხანოვი, თავის ბახჩოთი თუმც უსურათოდ, თუ ტერ-ანასტასა ცავატანემვი, ყოველს ჰგუობდა, ვინ არღ გინდოდა, და კიდევ რუსთა გარეშებიდან ვიღა არ გინდოდა, სულო და გულო, ხელო და ფეხო, - კაგანესკუ თუ, მოლოტოვიჩი, კალინინიყო ერთი რუსვი, ხოლო ზემორეჩამოთვლილთაგან, ეგებ, ზემორეკარგა ნახსენებიც კიროვი ს.მ., თეატრალური, რეჩებმღეროდა, ნეტა გამოთქმა „რეჩიტატივი“, აქეთგანაა?, რეჩი-ები-დან?, კი?, და, თუმც უღიმილოდ რეჩობდა და მაინც მხურვალედ, მაგრამაც თურმე თავის თვალებს მოუჭუტველად მაინც ჭუტამდა, ეჭუტებოდა მონღოლაურათ, - ნეტა, ბიჭო, ვინა, იყო პაპამისი? და, გაგენერალურებებიდან, ომისმამგები სპარტნული წრთობის ლეონიდას დიდი, ლომი ყბებურა, ამ მკლავით მებრძოლს, კოცნაც უყვარდჰა საშიშები, ლომიყბებურა, სიტყვათმპოვნი კი - ექსკავატრულაილურად, აუგიან მტერს მოჰხვედროდა იმისი ხელი, დაუღალავი, მებრძოლისა, ოღონდაც თითებს, თუ იმარჯვებდა ზებუნებრივად და მუშტად შეჰკრამდა, ერთი ის იყო, აბა, წოდებთმპარავა დიიიდი ციგანი, - რაგინდაც ბევრი დაეკიდნა, იმალებოდა ორდენნი იმისსა წარბთა ჩრდილშია, იკიდებდა მეტს, და სუსლოვიკო აღნაგობით სუსტი მაგრამ წამქეზებლური ჩორნი ლაშადკა (შავი მერან-ვერანი, - ქართ.), თუ ვოროშილოვი, იმდენად დამჯერი, და ამყოლი, და დამყოლი, რო იმასზედაც რუსს როამბობდნენ, იქნებ მართალიც ეგების იყო, ვიშინსკიც იყო სიმაღლეზე, ისიც დამჯერი როგორ პროკურატურად პირშიმთქმელობისსაც, ერთი ის იყო მოკლედ, ყველა, რა „ის“ და, ხვითო თუნდაც რაღა თქმა უნდა (აქ - ძველი რიდი გვაქ და მარიფათი), რადგან მხურვალედ სულ მშვიდობა-ზედ გაიძახოდნენ, ბატკანებივით, თუმც ცხრათავიან გარეულ თუ შინაურულ მგელთ პირქვე სუ სუფთათ დასცემდნენ და დაანარცხ-დაამარცხებდნენ რადგან ხერხები იცოდნენ რო, რომელი გინდა, იმათ(ი) კარქი, და პირდაპირ, ჰქუხდნენ, კიჟინდნენ საპირისპიროდ შავ კაპ.-ძალათა, სადამდეც ფინთ წყალს შეუყენებდნენ ამხანაგურად ძმადშენაფიცი თანამებრძოლნი, ანდაც, დაბრედდნენ, ძველებიდან კი თავისა დროს ძალიან ჟღერდა ბევრი მათგანი, ე? სადღაღა გვყვანან, გაგვექცაც, ზოგი, დაჰკრეს სოც.-მიწას ფეხი, ხოლო ერთ-ერთი იმათგანი, რახმატულ ტროცკი თუ ტრაცკი, ჰოივ-სირცხვილოვ აღარც კი გვახსოვს წესიერულად იმისი ეს სახელი რა იყო არამედ გვარი, რქმიებით კი რქმიებია კი - ლევ, ლიოვა მოკლეთ, ხოლო ეს ტრუნცკი, ერთსაც ვაჰსადროს რა სიმაღლეზედ მყოფი დამსახურებებით იმ, რომ, კონცლაგერები შემოუღნია და მერე კი რაღადღა უნდა ეტარებინათ ეჭვმიტანილი პატიმარი, არამედ საქმე-საქმე უსასამართლო დახვრეტებისგან მეტად ამაღლებულა ბელადილიჩის თვალში, ვისაც ტრიცკიზე ენით რუსულად „ბიჭო ვისი ხარ მალხაზი“სდა შესატყვისი რაღაცა უთქვამს,

ხოლო ბელადი უბრალოდ აბა ვისზე იქებინებოდა, და ეს მალხაზიც კი, თუმც გვარად დაახლოებით რაღაცა ტრიცტრკი, ეს დიდი ტრიცკი, სოც.-მიწაზედ რა ციმციმ მყოფი თუმცა ერთ-ერთი ამხანაგი ჯეროვნად ვერ შეუფასებია და იმის შიშით უნიადაგო კაპ.-მიწაზე შეფარებულა, გადაულახავს ოკეანე თავის თევზებით, და მაინც, როგორ უწყალოდ დაბრედილ-იქმნა რა უნამუსოდ გასაღებული აგრეთვ-უსასამართლოდვე და თანაც დაბლა, იატაკზე, ანუ მაინც კაპიტ.-მიწაზე როგორ შორიდან, ოღონდაც მაინც პრაქტიკულად გეოლოგისტურ თუ ალპინისტური წერაქვუნათი, რადგან იმ შოოორ-საც, ყოფილი მხვრეტად-პრაქტიკული, თეორიულად ვერ ისვენებდა, და პრაქტიკულად მისწვდა და ხვდა აკიცა ხომ, საჩიბუხ-როგორ-მოკლე-გრძელხელი, და აღლუმებზე მისი პორტრეტის უქონლობას ვიღა დაგიდევდათ, არამედ ზუსტად ისიც კი არ ვიცით, თავჩაკენკილმა რა დაგვიბარა, და რა საპორტრეტო და აბა რომელი ახლობელი ის გვყავდა განა, ახლაუ სადღაც აცტეკებწილა მექსიკების მიწაში ძალიან წყნარა იდვა, უინიციატივაიოდ, ერთდროს მხურვალი.

ხოლო ზინოვის კამენევის, ზედ ტრიკოვისაც, აღარც კი ვიცით სადაა ბურდღა... -

ე?.

აფსუს.

თუმც კარგ ბიჭებად იმათაც ვერ ამბობენ. -

და სხვა რომ არაფერი,

წარსული ბოლშევსაქმიანობისგან, ხანდაზმულები იყვნენ.

ჩვედროს ამოსულმა გარბაჩოვმა კი, პირრაისაიანმა, ისიცა კი თქო, რომ, რაკი სტალინი ცუდი იყოვო აკი, მაშვინ ხომ იმისიმტრები გტრეცკი არეხი და ზინოვიი ბუხარინი კამენევურად კარგები იყოვო, ზნაჩიტ. მიშავ, მიშაა, მიშა

რაღა გამოდიან, იყვნენ.

ჰორაღა, - იყან.

ახლავ, გიამბობ?

შესავლით, გეტყვით. -

ახლაკი კიდე, ამა XX საუკუნის 90-ან წლებში, ჩვენი გულების მოსაოხებლად და გასახარად, სხვა ლხენა ჩვენა არ გაგვაჩნია და, მისდგნენ და მისდგნენ პროლეტარული დიქტატურის ვნებათღელვ-მუზათა ადამიანებსავით მოკვდავებთაგან სუმთავარ ავტორს, ეს იმიტომ რომ, ჩვენი ვითომ გარდასაქმნელი გულების ნეტარებითულ განსამტკიცებლად, ანდაც მხოლოდღა მოსაოხად, რაღაც შვებითაც რომ ავიტანოთ გაჭირვება ეს, და მშვენივრუკი გვიპოვნეს ხერხი - კავშირგაბმულობის ადრეუფროგადაუღლელი და დღესაცკიმხნე იმ საშუალებებით, როგორიცაა ვთქვათ რადიო, გავიხედოთ და ტელევიზორი, და ფოთოლცვენისებრ ხშირა-ხშირა გადასაფურცვლი ჟურნალისტიკური გაზეთები, და სხვა, ძალიან მყარად შემოვიდა, დამკვიდრდა კიდევ მყარობრივად რაცაღ ნამეტნავად ხშირი, წამდაუწუმა ძაგებებანი მარქსიზმ-ლენინიზმის ისეთი კორიფეების, შორს რომ არ წავიდეთ აგერ როგორებიც რომ აგერ თითონ მარქსი და თვითალენინ იყვნენ, და თურმე ისიც კი, აი იისიც, თეორიაებსულაცრომკი ვანებოთთავითურმენუიტყვითადასაქმესაქმეზეესწვეროსნულიარარეჩიტატიულა დ ეს, დარბაისელი, მარქსი, ყოფილა, უკაცრაოდ კი პასუხი კია მაგრამ კარგა გაფუჭებული. ხოლო იმისი ერთი ჰამორალური ერთ-ერთი საქმე ხომ, ეს ხომა სწორედაც ჩვენი ერთიც ხალხური ლექსია, პირდაპირ: ენგელს რო ერთი გოგო (შინამოსამსახურე), გოგო ჰყა, ისა მარქსს მაეწონება, უთხრამს, ოღონდ ჯერ ერთი იმისი პატრონს: გოგო მე მამე, ფრიდრიჰხო, ამით შენ რა წაგიხდება? რა უნდა წაჰხდენოდა ფრიდრიხსა, გავიხედოთ და აიღო და მისცა, ოღონდაც გოგო, და აქაც კაცო, ვა?, ისევ ჩვენი ხალხურობივით, ვა??: რკოს მივუტან ღორსა, ღორი აშლის და დაიპუტავს და მამცემს ჯაგარსა, ჯაგრისგან დავგრეხ თოკსა-ბაწარსა, ზეწარსა გავუშლი წვერულვაშიან თხასა, თხა შასჭამს ვენახსა...?, თუ როგორ არი, რაღაცა აგვებნია... ჰო, დავგრეხ თოკსა-ბაწარსა და თოკკი ჩავუგდებ ჩემ ძმობილ კარლამარქსასა, და ამოჰყვება ბაწარსა, დავუგებ ზეწარსა, და გადავარჩენ ახურავებულ ჩემსა ძმობილსა, დაწყნარდება და დასწერამს მანიფესტსაცა, წინ წავა საქმეი, გაუდგებით გზასა, კომუნიზმსკისასა, და იარა-იარა თურმე პაპაკარლომ ფრიდრიჰხთან თურმე სულ ფეხით და წვერიანა და კიდე სხვა რამე-რუმეებით ძმობილის ოთახებშია, კომპასი ჰქონიყო თურმე ბუნებრივი და ძრიალ კარქი, მისდგომია და მისდგომია თანამოიდეებ იმისი პატრონის ერთსაც გოგოსა, მისუნსულებდა თურმე დროი, მაგრამ კიდე რო დრო გასულა, მაგრამ ერთიც ვნახოთ და, გოგო დაორსულ-დამარქსებულა, რითა და ანატომიაა თუ რაღაცაა იმისიც და მარქსისაც წესით რასაკვირველია, და აქკი შამჰკრთალან სამნივენიცა, და ორნი უფრო - ხოლოდა განა უმწიკვლოიუ მთელი პრალეტარიატის ლუმპერსაც მშობელ დედასავით და გარე-გარე ჩაცმულს ბელადს აბადა როგორ ეკადრ-შეეფერებოდა ზოგიც იდეის ასეთაგვარად განმრავლება? არამედ მხოლოდ კაპიტალურსა იდეურობასა, და, ძლიერ კარგა უხერხულობაში ჩაჰვარდნილან

შინაგოგოიანი ფრიდრიხი და იმისიც ვნებითლენინპირიქითი, დამსხდარან თურმე მრგვალ მაგიდასთან, გადახრილან და დაუბჯენიათ წვერები შეტყუპულ მუშტებზე, გადახრილან და, ჰფი-ქრო-ბეეენ... რასა და, ისევ იმასა, განა სამწიკვლო პრო-ლეტ-არია-ტის ყოვლით სამორალურო ატამან-ბელადს აბადა როგორღა გამოეყოფა სადმე თავი, წვერიან-ნიკაპი, ანდა სხვა რამეო, და, მცირე კარგა ორმხრივულ ორხმიან დუმილის შემდეგ, ფ. ენგელსს თავის დიდ და სულოვან თავზედ აუღია, თუმც არა, არა, თავის თავზე რა იყო, არამედ თავის სულ სხვა რამეზედ აუღია იმ მოახლისა, შინამოსამსახურისა რაღა, ეე, როგორღა ვთქვათ და, ცოტამცხვენია..., ჰო, - აი იმ გოგოსი გამარქსისტკება, იმ გოგოსთვის კი, ფულები მიუციათ, და დაურიგებიათ და დაურიგებიათ რო, დიალექტიკურ სინამდვილეზედ მატერიალისტურად, ჩვენც სუ და შენცსუო, ხოლო თქმითაც კი, აი ასე და ასე უნდა თქოო: ვითამ, ეს თითონ ხავერა-სახლის შინამოსამსახურე ქალიანი პატრონი ენგელს-ბიძია ჰგრეხამდა თოკსა-ბაწარსა და იმითი ამოჰყავ-გამოჰყვანდა ოღონდ მარტო ის თავისი საკუთრივ-ჭიანჭველაიო, რომელიცა რომ გოგოსკე გაცოცებულა, და შა?ცოცებულაც, კიდეც, მაგრამ შენ კიდე, გოვ, პატიოსანი რო გამოხვიდე ამ ჩვენსავითა, ვითომც წიგნებსა ჰკითხულობდი ბეჯითადაო და ისე იყა გატაცებული და ჩაფლული რო სუბოლომდე სუვერაფერი გაიგევიო; გაიმეორე აბაო? ეე?, რაღა რა ვერ გავიგევიო, - თავიდან ასე, გოგოს, - სუ რო არაფერი, ყველაფერ თავი რო გავანებოთ, ბევრი არ აკლდა კინაღამს დავიხრჩვი წვერებშიაო, აღარსაიდან ჰაერი აღარ მამდიოდაო, ეგ ვერანიო, ტყუილად არ უთქვამთ, წვერს თუ მიუშვებ, მიდის და მიდისო, ეგ ვერანიო, მჟავე მინდაო, ეგ შეჩვენებულიო, - მერე ასეცკი, დაულაგებლათ, გოგოს, მაგრამ ბეჯითად უმეცადინებნიათ ტყუილებანის კორიფეებსა და, ფონსაც იოლად გასულან, და თან, ნამდვილად წვერი თუ გაწუხებდა, აჰა, აი, აკი მეცა მააქ დიალექტიკურ-მამტკიცებელი ბობოლ-წვერიო, - ფრიდრიჰს, ენგელსას, უთქომს, - აინახეო, მაგრამ ვერანი კი არ ვარ, გო, ნიკაპიცა მაქ ამის ქვეშა, თუ არა გჯერა, თუ შაიძლება შამიბერეთ რა, ჰერ კარლ, მატერიალისტური სულიო, შაუბერნია იმასაცა ენგელსისთვისაც, ოღონდაც მარტო ფიზიკურად მატერიალისტური სული, და ფონს ასე იოლაცა და მშრალად გასულა რაყიფამარქსი, ორნიდგან, ერთი ენგელსიღ ჩასველებულა მორალი ჰქვიან თუ რაღაცაა და ისიც ცოტა, ხალხისა თვალში გოგოსი გამო, გახარებულან, დიამატები თუ ისტმატები ბელადისაგან უმწიკვლოებულნათ რო შენარჩუნდა, ბელად-ატამანის მხრივა, და მაგრამ, მაინც, წარმოგიდგენიათ? - აი დღესაც კი, ახლა, ამ ჩვენი გადასახედიდან, რაღას არ იტყვის ხალხის ენა და, ესორი ასე ტიტანურად მოაზროვნე-აზრობრივები და, ასეთი კოლოსალური შედეგების (გოგოსი კი არ, პრ.-დიქტატურა) მიღწევებისგან, აი ასეთი, რწყილური და ჭიანჭველური, დასტურ-ტყუილი? არადა, ენგელსზე მეტათ აბა ვის ეცოდინებოდა აემ თავისი ბელადობრივისა მოძრაობები, და ინტერპრეტაციები ვაშავაჟკაცურკაცურულები ვაჰხ, რადგან კოხტაბელადი ატამანური, თავისებური მუშაობისას, „ატანდა“ზე აბა სხვას ვიღას ჯიგიტსა და კანდიდატურას და, საერთოდაც, წამოაყენებდა სხვას აბა რომელს თუ არ თავისი მართლაც განუყრელ ძმაკაც-ამხანაგ-თანამებრძოლ-მოადგილისას, ა?, ბარე ერთი მხატვარიც ჰყოლოდნათ იქაც უფრო ფერმწერი, „პალუნდრა“ზედა, და ეგებ ამ ჩვენ დღევანდელ(პატარა ხნის წინათ)აღლუმებზედაც კი გამოეტანნათ სუ ფერწერული

გოგო+ენგელს, რადგანაც ხალხი რაღას არ ამბობს (და მძიმე პრესსაც) მთავარი „იზმ“ -ის ბელადაურათ მაქო-შამქმნელზედ, ძველია ჭორი, წვერებიანი.

აი, ასეთსაც ერთგულ მიმდევარს და გამორჩეულ შეგირდ-მოწაფეს, ციბრუტიურმა მასწავლებელმა და პედაგოგმა, აი ასეთი საქმე, უყა. -

გაგეღიმათ, ხომ?

სულ ტყუილად.

კი.

რადგან,

ჩვენი გულების მოსაოხად, სამწუხაროდ, აი ასეთი გაღიმებანიც კი, გვკმარა ხოლმე, და გორბაჩოვის დროსაც (მ.ს.), მისით და მისთვის და მისისისთვის - რ.მ., მართლაც რომ მშვენივრად ღსრულდებოდა და იწელებოდა მაინც როგორ გრძლად ლენინისეული ესე გამოთქმა-დანარიგი, რომ „კინო მასობრივი აგიტაციის საუკეთესო საშუალებაა“, არადა მაინც როდის იგრძნო ეს, 20-ანი წლების დასაწყისში, კინოს მარტივი რიჟრაჟისას!, ჭკუაზე მეტი რა გააჩნდა, თავზესაყრელად ჰქონდა, ოღონდ ოხრული და ბნელისმიერი, და რადგან მის დროს ჯერ კიდევ არ იყო ასე დანერგილი ტექნიკის ისეთი მიღწევები, როგორიცაა რადიო (ახლა რატომღაც მხოლოდ ზაფხულ-ელდენური), ტელევიზია, ლიფტი, თუმცა ლიფტი რა შუაშია, არამედ, ეე, მოკლედ, ჯერ ხომ არ იყო რადიოულიც, ტელევიზია, ახლა კი, აგერას, ამ ჯერაც შედარებით ახალი გამოგონებებით და ზედაც ძველი თუჯურად მძიმე პრესსსაც-თი, ამა გამოცდილი საშუალებებით ჯიუტად განაგრძობენ ამა, და ამურ მასობრივსა აგიტაციას, ოღონდ ახლა-ს შექმნილი საჭიროებისდა მიხედვით, ანუ, ხალხების გულთა მოოხების მხრივ; რადგანაც მის (გარბაჩოვის, მ.ს. და არამედ არა ერთისაც ამგვარის მსახიობის - იყო ასეთიც, ავტ.) მიხედვით და მიერ ყოვლად მოუმზადებლად და ძალიან ერთბაშად მიშვებულ, და ამის გამო მცონარობად გარდაქმნილ დემოკრატიაში და დემოკრატიისას, მთელი ეს დროებით მართალია ძალიან მეთოდურად და მტკიცედ, მაგრამ ბოლო-ბოლო მაინც ყოვლად უთავბოლოდ შეთითხნილ-შენათითხნი ქვეყანა, ყოვლად გარდაუვალად მთლად დაგვეშალა და გამოგვეცალა, ვაიმე ბიჭოს, ხელიდან, მაგრამ გილოცავთ, წარსულებსაც, აწმყოთ, მომავალთ, რადგან ცოტათი ძალიან ძნელად წარმოსადგენი ბედნიერება რამ, მაღლისმიერი და რა თქმა უნდა არა ადამიანთაგან, მოხდა, ხოლო რადგან სწორედ რომ უნახავები, ჩვენ, ამა „დემოკრატია“ულობით, გლეხები მიწაზე აღმოვჩნდით გაწოლილები, ხოლო მუშები - ასფალტზე გავწექით სუმთლად დემოკრატიულ-დემონსტრაციულად და, ხოლო ზოგნიც, მაგიდისა და ქაღალდისა და ფუნჯ-ყალმის ხალხი, ისედაოც ხო სუ იყვიყავ გაწექილები ჩვენი დიდი უმრავლესობა და, ბუნებრივია, ამ უმუშავრობით, მუშაობისას ხო მაგრა გვილხინდა - და უფრო მეტადაც კი უსაზომო გაჭირვებაში ვიტუცეთ თავი, ისე თვალნათლივ, ზემოსფეროებში მოხვედრილთათვისაც კი, - სათვალსაჩინოდ, და ხედავთ?, გესმით?, - არც ვმალამთ ამას, - პირშიმთქმელები გავხდით, ავიწიეთ რაღა, და რახან მაინც იმედითა ვართ, ან უიმედოდ, მაინც სუერთად ვიძახით, რო, ასე

დაქცეულთ თუნდ მატერიალურ-ეკონომიურადაც-ჩვე,აემ მართლაცდა ასე დასაქცევში აღმოვჩნდითაყე დაბნეულები, და როგორ ცარიელ-ტარიელები ოღონდ უარცერთტარიელაოთ, და ისიც დროშით უტარიოთი, სად დაგვეკარგა ტარი მაინც, გაგვინაწილდა, ვითომიო? და თანაც, შეუიარაღებელი თვალითაც კი ყველანი უკლებლივ ნაწილაკ-ატომური ვრცელ-რუსეთიცა და სხვადასხვაჯური ქვეყნების თანამეგობრულ (ისემც...) კავშირში შემავალი ტანით მომცრორე და უატომ-უწყალბადობით როგორღაც ნაზივით მონაზო ქვეყნები, და გავიწიეთ ვინ საითა და ვინაც საით, როგორც რომ лебедь და ჟირინოვსკი რა იყო, არამედ рак да щука, о'боз-ი, რუსეთივით, თუმც ადგილს დარჩა, მაგრამ ეს რაღა დარჩომა იყო, - იძირებოდა, და ამის გამოსწორება კი აკი ბევრად ძნელი შეიქნა მ.ს.-იჩისთვის, გინდაც ზედაც თუნდ რ.მ.-ვნაიანა, ვიდრე სწორება მშრალი კანონის შემოღება-გაუქმებისა, რადგან ამ უკანასკნელმა (მშრალმა კანონმა) როვერ ივარგა, ეგრევე ოღონდ კარგა ხნის შემდგომ აიღო მ.ს.-მ და კვლავ მოამრავლებინა თურმე საჭირო (სიტყვა ერთია, მაგრამ ორმხრივი - საჭირო, და სა-ჭირო), და რა სისწრაფით და ფენიქსისებრ აღმდგარი სპირტოჯახოვანთა წერტები, მაგრამ აქ (лебедь - рак და ზიუგანოვი რა იყო და არამედ щука და ო,ბოზი) რაღა უნდა ექნა, ჩაედინა რა, მოემოქმედნაღ, რა, და როგორ თუ რა, რომ ვერ გააწყო (ადამიანურად) ვერაფერი და რო შეატყოც, ვერც გააწყობდა. აიღო და დაჰკრა ერთიც რბილი ადგილი მაღალ სავარძელსა და ხოლო ოთხივფეხი - მეუღლიანაო, და წავიდ-გაფრინდა შობელმიწიდან სხვადასხვა თბილებთბილებ (ფულით, ბუნებით, ნაგებობებით, ისევ ფულით და რამე, ვალუტით, რამე... ბოლოში რაც ითქმის, უკანასკნელი კი არაა მართლა), სხვადასხვა მშვენიერს ქვეყანებში, ე?, ჩვენი მარკო, საბრალო პოლო, ფულს ვინ უხდიდა, ხოლო ესა კი, ისე კი იქა ბევრრამეებ კიარ გაისწავლიანებოდა, არა, არამედ მაგრამ იძახდა თვითდამსახურებებსა და სხვასაც აზრებსა, და ხოლო ცნობისმოყვარეობით, იქაურები მრავალებათასიან დარბაზებში ქუჩდებოდნენ რა იყო, შენობიანდებოდნენ უშუალოთა და, კარგფულ უხდიდნენ და თანაც უსმენდნენ ზრდილობითვინ, ორატორ-იმას იმითიც კარგა ზრდილობიანსა რადგანაც ორთავ ფეხებზე დამდგარსა გინდაც იმიტო, რახან რბილი ადგილის იმედი ვეღარაქონდა და არა სხდებოდა, ისკი შესაძლოა რომ სულაც ტყუილი დაუყარეს, რომ ქმრებს ცოლები რაგინდაც კარგ მაგრამ მაინც ქვეშაგებშიო ეუბნევიან და ასწავლიანა მთელრიგ რეფორმებს, მე ეს - არ მჯერა, არა მჯერა და, ვაი?!, ძალაა? რადგან ეგება შესაძლოა, ხომ, რომ ეს რაღაც ათიოდე წლის წეხანდელი აქში-სპირტულა გადანაწყვეტი ეგება სულაც ქვეშაგებებში კი არა, არამედ სულაც სასტუმრო ან მასაჟების ოთახებებში (გამოთქმიდან „კარებები“), ან კოსმეტიკურ კაბინეტში, ან ბალახ-ყვავილებში ანც პალმიხიქვეშ მიეღოთ ქმარცოლთ; და ეგებიკა ერთ-ერთს ჰალსტუხიც კი ჰკეთებიყო გადაწყვეტილებისას, ხოლო ლოგინში, აბა მითხარით, მიპასუხეთ აბა, რა შავქვა-ჭირად დასჭირდებოდათ აბა ჰალსტუხი, გინდაც თუნდ ძალიან კარგი?, მეორესა კი, თანამოარულას, ეგებ მჭიდროდცა კი სცმეიყო ლეღვის ფოთლებისფერი კაბა, მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელოთ და, პოდიუმნურნიც აღარ არიან, ირუჯებიან, ჩრდილში, მოკლედ, იმათი ერთ-ერთ-სობის-ას დაიწყო და უიმათნოდაც იბარტყა მერე, იმან რომ, ასე იგი და მიაყენეს ეს ენადაკალამ-კალამ წაგდებული ენიანებ და კალმიანები და, ალანძღინეს და ათათხინეს ზეპირ-მიმომხილველებს თუ კალმოსანებს, ეს ყოფილ-ყოფილ მატერიალურ-უზესთაეს დიდებულები და

წარსულებრივ პორტრეტიკნი, ეს: მტკიცე ლენინი, მტკიცე სტალინი, ჰობიანი მარქს, ხუჭუჭ-ნიკიტა სუმბუქ-ქცევისა, ლეონიდ-წარბა ტკბილმოუბარი, განსაკუთრებით მისდგნენ და მისდგნენ მამადმეორე ნუმერ სტალინს, ნუმერ პირველადლენინ-შემდგომს, რომელმა ლენინ-უკანასკნელმაც მოგვიტანა და მოგვცა გაზაფხული ოღონდ თავისებური და ეპოქალური ილიჩაურად კუდმაკრატელა, ოღონდაც ძალიან ყოვნით გადასაფრენი, ხოლო ცოცხალებს მხოლოდ სიტყვები და საყვედური პირად საქმეში როდი აკმარეს, ნებიერული ბრეჟნევიანთნი მთლად უშუშაბანდო ციხე-კოშკებში, ციხეებებში, - კვლავ, „კარებები“, როგორი გამძლე აღმოჩნდა სიტყვა, ჩასვეს, გადააყენეს მინისტერები (გრომიკოს, კაცი აწყენინებდა?), და, ცოტაგარეთაც, მითითებებით დააჭერინეს ჰონეკერი, ჟივკოვი, რამე, დააბრედინეს ჩაუშესკუ ანტიღატაკი,და კარგა წყალი შეუყენეს ისედაც კუნძულელ კასტროს, კაგებემ როგორ გაშალა ფრთები (ოღონდ სად ჰქონდა), და მაგრამ მაინც გადასწვდომიყვნენ როგორმე ეგებ შურიკ-ფილიპიჩ მაკედონელსაც, ოღონდ ცოცხალი ის ალექსანდრე სუაღარ იყო, და აი ასე, ასე შემდეგ, და ისეთ ლაფში ამოთხვარეს თავფეხიანა და მათშუიანაც მთელი სოცურწარსული, ვოლგა-დონი ვერ გარეცხამდა, არამცთუ ლიახვი, ეგება, აზრად ჰქონდათ აი სწორედ ეს - ეგენი ყველე ცუდები იყან, კარქები გინდათ? - აგერას ვაართო; სამაგიეროდ, „თავისუფალ“ -ად წოდებულ პრესაში, ანუ ხუთსავე მხარეს (დაშლილი მარსკვლავი) ნებაზედ მიუშვეს თავღია პრესაში, ანუ „საითკეც გინდაა, აჩუუ“ (“აჩუ - ცხენის შერისხუა“) და, შერისხუაებულები, მიდიიიი, იგეთი საქმე დაატრიალეს, არამცთუ ჩვენებრ ფისუნიებს, ციმბირულ კატას დაესხმოდა ბრუ, კიდევ კარგი რომ, კითხვა არ იცის კატამ, კითხვა და კითხვა ხომ - ეს ჩვენ ვიცით, ადამიანებმა, და, ვკითხულობდით, ვიღას და რაღას არა სწერამდნენ: რა ადრე წასულს ჩვენგან და გამოცლილს ხელიდან თურმე მთლად ორგვარადაც სოცფიგურაულ იაშა სვერდლოვს თურმე სეიფი ძლივს გაუხსნეს ამასწინებზე ოღონდ 70 წლის შემდგომ და სუ ფარული ალმასები და ოქროული უპოვნესო გადაღუნულიო, ბრეჟნევს ციკანი უყვარდაო ხელფასსზეითი, თეთრპიდჟაკიანი-ჰალსტუხიანი-ბლანჟეანი ბულგანინი სულ იმის იმას იგინებოდაო, კაგანოვიჩი სათუთზე მეტად ბევრადაც უფრო უხეშ-მოურიდებელი იყოვო ოღონდ სტალინგარდაო, და, მაპატიეთ მაგრამ ბეჭდვურად ასე იყო და ერთხელ „ვირი“ -ც კი უწოდეს ორთქლმავალთ-ორთქლმავალ-მინისტრს, ეს ხომ ისედაც აშკარი და შეუსაბამობაც იყო, და თანაც, ეს უაგრესიო გამრჯე ცხოველი აკი ყოველთვის უპრეტენზიოდ იყო საქმეში, ხოლო შაშკაიან და ულვაშიანი ბუდიონიო, კარგანაკითხი ვერ იყვოო, აქეთ ტოლსტოი რომ დაგედოთ ალეკსეი და იქით კიდე დაგედოთ დოდე და აპოლინერი ან მარკ ტვენი და გინდაც რემბო, შეიძლება ვერც გეერჩიაო, მოლოტოვიხო, შინაც და გარე, მიცემულ სიტყვებს კაკლებივით ტეხდა აიიმითაო, მიქოიანმა, ძმადნაფიც-კამისრებს კოხტად ათოხლა და სუ დენიკინის ორშაურებად დაჰყიდაო, კალინინსაც არ დაუვიწყეს ის ფინთი ჩვევა უცაბედურიც კი, ვითომდაც თითონ ეს აენებულ და აკალმებულ მიმომხილველები რამეს გვაკლებდნენ, და თუ დავუკვირდებით, წერა ცოტათი რამდენადმე უფრო ძნელია ვიდრე ზეპირულ-ლაპარაკი და, პირშიმთქმელურად იტყობინებოდნენ რომ იაგოდიცა ზედაცეჟოვით ენკავედესთან შეკრულ-იყოო; სამაგიეროდ, მოპირისპირულსასაც აგრეთვე ძალიან დაეწაფა ელაღი (“ლაღი“, გახსოვთ?) პრესსა, ჯერ ერთმა სცადა და გაბედა და, მერე და მერე ამოჩახჩარხდა ქებათაქება

იგივ ახლახან ძალიანაც განქიქებული უებრო ხელოვნებათმცოდნე-ხრუშჩოვის, და წეღანნახსენებ მიქოიანის, - ამ ცხრა მთავრობის გოთიკურის ყაიდაზედ ყალყზე შედარებით მორიდებულად ანუ ტექნიკურად მდგომარე თანამდგომის, სოცუხმაუროდ სოცმაშენებლის და თავფეხშუანა მიმხრობის ისე, არც მწვადს სწომდა და არც შამფურსა, ანგარიშიანობით, გამოემგვანა ნეტავისთა, აგრეთვე დაჩნდაც ქება ლ. ფონ ბერიაისიც, ოღონდ ამყველათ მაქებრებად, შვილებით დადგნენ, მამილოები ძლიერ კარქები გვყვანდნენაო, სათამაშოებ გვყიდულობდნენო, და იქამდეც კი მივიდნენ ოჯახოვანნი, ლავრენტიკს ქალი არ უნახამსო, იაჭკორ-ცოლმა, ნეტა რომელ-ერთს ჰგულისხმობდა, ნეტა; იყვნენ თანაბარ-გამწონასწორებულ-ფანტაზიორნიც, სხვების აუგებს მშობლიურა-თავისიანების გაკვრით-ქებასაც მიაყოლებდნენ ხოლმე, ესენი უფრო მომუშავენი „კულტურა“სი იყვნენ (არადა, გამაგებინა ერთი ეს სიტყვა „კულტურა“ და, მომკლა მერე; სხვა თუ არაფერი, „კულტურისტობა“მ დამაბნია, რა კულტურაა აბა ის რომ, შიშველ-ტიტველი ვიღაც ჯეილი კულტურულად გვიბურცავსა და გვიჩვენებს მკლავებს, ან, დასვენებისა და კულტურისა პარკებში რო ბნელღამეობით კოცნაობებზე უარესობანიც რომკი ხდება, ნეტა კულტურა იყო ისიც?), იმას ვამბობდით, უფრო კულტურისა და ხელოვნების და ლიტერატურის მუშაკები შემოგვაპარებდნენ თავ-თავიანთსაც ოჯახის წევრ-ხილთა ქებას, და ჩვენ, ქართველები, აკი ამყოლნიც მუდამ ვიყათ და ახლაც ვართა, განსაკუთრებით ზოგსაკითხებში, და სუ ერთმანეთს ვასწრებდით და ვაჟღარუნებდით ტელევიზიაებში, რო, ვინაც, კი კარგა ქაჯი და ზორბად ხიხო ვიყავით, არა?, გამოვითქმევინებოდით აიი, ასეთურადა: ბატონებო და ქალბატონებო, ხალხნოო, ეს ხრუშჩოვი რა უზრდელი იყო, კაცო, გაეროში რომ წაიძრო და სულ ტრიბუნას რო ურტყა თურმე ის მწვანეზოლებიანი ყვითელი ტუფლი ეს როგორ შეიძლებოდა, ხოლო აი ხოლო ნამდვილი ხოლო ინტელიგენტი ხოლო მამიჩემი და დედაჩემი და დედიჩემისაც შობლებ-დაძმები იყვნენო, აქკი მეორემ, აგრე არ უნდაო და მეორე დღესვე, ვარაშილოვი სულაც არ იყო მაღალი და საშუალოც კი, არამედ ტანით დაბალი იყო ხოლო ჩემი ძმა მსოფლიოში ყველაზედ კარგი რეჟისორიაო, - ძმაძმისთვისაო, გვითქვამს ხომ, ასეც, აქ მესამემაც, მამაშვილურმა, მესამე დღესვე, იჩკაგონოვიჩ ისე რუსობდა რომ ანტიწინადაცვეთური ვუუჰხ-ოპერაციაც კი გაიკეთა რაღაცაური შემოსარტყმლური წაი-პლასტიკურიოა, ო, აი მამიჩემ კიეგ ოპერაცია-მოპერაცია თუ ოპერბალეტაცია სრულობითაც არ სჭირდებოდაო, არ დაიჯერებთ ზოგიერთები გამოუცდელობით და ისეთი ისედაც მაგარი და ბუნებრივი, ეე, ჰო-რა, ესტესტვენი-რაღა ეე, ჰო, კაცობა რაღა, ჰო, საკაცო აქვსო, უხებელიო (რა სიტყვებია... ავტ.), მეხუთემა კი, ხრუშჩოვს მეჭეჭები ძალიან ბლომათ ქონდა სახეზე და საწყალი ფოტოგრაფები სურათებების (კვლავაც გამოთქმა „კარებები“ -დან) გამჟღავნებისას სუ ბრიტვით ჰფხეკდნენ იმის ქაღალდურ სახესა და მოკარტიჩკისა გულში აი იმის, ჩვენ რო ვიცით, იმის გინებას გულში ჩუმათ ვერ აუდიოდნენო, და საერთოდაც ხრუსჩოვზე მეტად მე კი მაგაზე ლამაზი ადამიანი ბლომათაც ბევრი როგორ არ მინახავს და შემხვედრია მაგრამ ეს ჩემი ცოლი ყველაზედ კარგია ყველაფრით ყველგანაო, - და აემ მეხუთეს გამონათქვამში, თუმც იყო აექ რაღაც პასაჟი და თუნდ რბილსუსტ ლოღიკა, მაგრამ, ერთმაც რომ გაიძახა რომ, კაცო ჩერნენკო როგო-ძალიან დაჩაჩანაკებული აირჩიეს

გენერალურად ხოლო სწორედ იმ დროს დეიდაჩემი ჟუჟუნა გაუთხოვრადაც წყალში კარგა ცურამდაო, - ვეხ!?.

ვიოხებდით-რა, რაღა, გულებს...

რომ არ გვეფიქრა!

და, -

ვაი-სირცხვილო,

აქაცკი..

ესჩვენც.

ე?...

ხოლო უღირსი ყოველთვის კი არ იყო ასეთი, -

ახლა კი,

თუმც უნებურად,

მაგრამ,

დროებას აჰყვა.

ხოლო დროის აყოლა,

თავისთავად,

ხან კარგია და, ხანაც, პირუკუ, ცუდი,

გააჩნია, დროს.

არა?

რადგან იმის მაგივრად, საქმე ვაკეთოთ, დაგვიღია პირი და, რაგინდაც ძალიან ვიოხებდეთ გულს, საქმისთვის, მაინც, ვთვლემთ, ხოლო თუ არცკი ვყვინთავთ, და თუ საქმე მაინც წაგლეჯილი გვაქვს, ვეცადოთ-მაინც იმის გაგებას, თუ რაშია ირგვლივი საქმე, ხოლო ამაში, სასუქდაყრილებს, ამაში ხელი რომ არ შეეშალათ, იმათ რომლებსაც ჩვენი ფიქრი და ჩვენგან შეფასება სრულებით არ აწყობდათ, აიღეს და გადაწყვიტეს და, ფიქრში რომ ხელი შეეშალათ, აიღეს და ჩვენურ ერთგვარი დემოკრატიის ცრუნაფლეთთაგან ერთი ასეთიც ხრიკივით რამ, გულის მოოხება ანუ, ისიც აიღეს და გადმოგვიგდეს, თანაც საჩინო, - ხმამაღალი, ხმისზეითი და წამდაუწუმა და, გასჭრა კიდეც, თუნდაც დროებით, ამან, მაგრამ ალბათ არც გაუთავებლად დაუსრულებლივ და სამუდამოდ, მაგრამ ამასაც რა უშავს ამა ჩვეძალუმ დემოკრატიის წყალობით ისევ, რადგან, ამ ღონისძიების ამოწურვისას, მოსახსნელების და დასაჭერების მეტი რა გვყავს ამ ჩვენს ისედაც ხომ ბარაქიან საქართველოში, ხოლო სამაგიეროდ - ვინმე-მოყმე ახალცვლა-

დასაწინაურებლები, და, სხვა საგულისსაფხანო საშუალებათ რამეებ-რუმეს მოგვიფიქრებენ ალბათ, ხოლო ჩვე-აწ-ახლა-ცთ, ამ კნინი შურისძიებით გახარებულები, გამოსავალს კიარ ვიძებნინებოდით, არამედ წარსულის უჩვენოდ ისედაც წასულ ოხერთა და იმათი პერიპეტიულიო, როგორც იტყვიან, ზღვა-ნაკვალევის ლანძღვა-გინების სმენაყურებით ვიოხებდით გულს, და შედარებით ნაკლებად ვამჩნევდით და ამიტომ ნაკლებ ვხვდებოდით თუ რაც ხდებოდა ირგვლივ, და თუ რა გვჭირდა, და, -

სიცილი, ოღონდ ღვარძლიანი, გაჭირვებაში ძალიან მოგვწადდა და..., -

და მოგვაწოდესც.

და, ვიოხებდით რაღა, გულებს.

წარსულისადმი მხოლოდ, ამბოხებულები; და მხოლოდ ამით, საერთო ჯამში, შეგნებულები ვითომ... ვითომ?:

არა.

მე-ამის მცოდნემაც ვითომ, მოოხება-ეს,აი, -

აქაცკი.

თან, როგორ ხშირად.

...

დაოხებულები...

დაოთხილები, ჩვენ...

და თუ ჯაგლაგი საითკენღაც მაინც კიდევ როგორმე მიდის, ეს ადგილზე ბუქნა ჩვენი, და გახარება ამითი ეს, გინდაც მართლაცდა დამაქცეველი ეგრეთწოდებული ისტორიული პირებისა, და იმათდამი ეს სიტყვიერი ლიზღი, თანადროულივ რაღაც უჯმაჯურ ცეკვისდაგვარი, და ძველადაც კი „ბუქნა - ჩაკუკებით როკვა“, რაც არამცთუ ჩვენს პოეზიას, და სიმღერებს, თვით სადარბაზო თუ ცისქვეშა ნაღდ ცეკვებსაც არ ჰქონია, დღევანდელები კი ჩვენ ახლაყე სიტყვებით ვბუქნაობთ უფრო და მეტად და, იმ ბოლო-ბოლო თან გაუბედურებულების და თან ახლა უკვე მთელ ქვეყანაზე და საქვეყნოდ დიდად ცნობილებს ოღონდ უკუღმართებად, თუმც სამართლიანმა მაგრამ ასე დაუსრულებლად წამდაუწუმა ლანძღვამ, მერე და მერე იმასაც კი მიგვაჩვია, რომ, ეგებ თავისი, ბოროტებაული, სწორედ იმათი დაუსრულებლივ ზედიზედა გამჟღავნებამ, და სწორედ ისევ იმათი ასე ძირს დაქცევა, გუბედ კი არა, სხვა რამედ გვექცა და ეგებ ერთი იმათი პატრონის მიერ ამითაც კი, კი, გამოყენდა, რომ, შეგვეჩვია და შეგვიჩვია და ერთიმეორის ლანძღვა-გინებამაც დაგვრია ხელი, თუ ენა - აგერ, სულ ახლახანა ბუმბერაზ კერპებს ეს რა გინებებს ჰკადრებენ და როგორ თათხავენ და შენ ვიღა გდიხარო, და, ახლა, გინებებური მეტსიტყვაობით, ვბუქნაობთ, ძალზე, და არა მხოლოდ ეს გვჭირს, ტყვილა-ტორტმანი, და მიწის თითქოსდა უაზრო ტკეპნა, არა, მეტიც კი

გაცილებით, რამ, რადგან ჩვენი ყოველი ასე ვითომდაც მარჯვედ ჩაბუქნისას, უფრო ღრმად ჩაფლვა ხდება ჩვენი ამ ჩვენდახვედრწილად მზა ჭაობში, და ამისაკენ ასეთი სწრაფვა და ვითომც-შვება რაღა უბედურებაა, ეს, ნეტა იქამდე ვატარტაროთ უნდა ენები და ვეფლოთ, ჩავეფლოთ, ვიძიროთ, ვიფლვათ სანამ ზედ გაღიმებულ და სულ კრეჭად დაღიავებულ პირებამდე არ ამოგვწვდება წუმპე, და, მხოლოდ მერეღა ვიგრძნობთ, ნუთუ, გულების ამგვარ მოოხებათა ბნელ, ჩამთრევ ძალას, როგორ ძალიან და შეუმჩნევლად, ჩამწოვს? მაინც და მაინც, ცხვირებ-პირები უნდა დაგვიფაროს რომ, რათა მხოლოდ ამისღაშემდგომ მივხვდეთ, სუნთქვაც რომ მაინც საჭირო ყოფილა, თურმე?, სხვა თუ არაფერი, ჩვენს ამ ყოფაშიაც კი, და, ჩვენი ყოფნისთვისაც, კი, - და, მაინც, ისევ? ვიოხებთ ხომ, გულს, -

კვლავ?

და მაინც?

და, ტყვილა...

მაგრამ რატომ არ ვიცით და თუკი ვიცით, მაინც რად არ გვახსოვს ის, რომ, რაც უფრო მეტადაა გაჩანაგებული შენი ბედისწერამდე და ლამის საბედისწერო კი არა, ბედისწერული თავით ბოლომდე, შენზე მისჯილი, ნაწყალობევი შენთვის, ყანა, და, რამდენადაც გადაქელილია, უცხოსა თუ შინაურისგან, სულაც არაა, არ იქნება უიმედოდ გადათელილი, რადგან სამკალი, თუნდ უჩინარი, სწორედაც მაშინ, ანუ ახლა, უფრო და ბევრად მეტია, და, ასაღები, და თუ იცი ვისით... - შენით.

შენი ქვეყანა, შენი, მამული, ყანა-ირგვლივი, რომელიც თუმცა აქვე, აქვეა, მონიჭებული და ამოზრდილი და გამზრდელი, შენი, ყანა, მაგრამ ის სივრცე, ნეტავ საჩვენო, ზემო, ზეითური, მარადზეითა, დიდად არ გვახსოვს და გვენაღვლება-არ, რადგან, არ გვინახავს ჯერ არა, - არა? ხოლო მომკალნი, ყანის მუშაკნი, მუშაკები ეს, ვინც გინდა ვიყოთ, ეს ბოძებული თუ მერე საბოძვარი, ქვეითურა თუ მთლად საზედო, ყანის, მაგრამ ვერა, ვერ ვხედავთ ვერცერთს, ხომკი, მაგრამ რომ ახლა, სხვა დროზე-დ მეტად, რასაც კი მოვსწრებივართ, ანთუ გაგვიგია, - სწორედაც აწვე, გამზადებულია უკვე, მეტად, და როგორ უფრო, თუმც თელილი და მოსამკალი...



მაგრამ ხომ არა გვჯერა აქაურებს, ჩვენ, არაყანურიც კი სამუშაო რადგან გაგვიუქმეს, ან სულ წაგგვლიჯეს, და თანაც სხვისთვის კი არა, - ისე-უბრალოდ, სულაც საერთოდ, მოგიშალეს, შენ, და რამდენსაც, ჩვენ, და, აწი ყოვლად უსაქმოდ უნდა იყვე, არა? ვერაფერს ამჩნევ შენსას, საშენოს, ვერა, ხომ? მაგრამ ის ქვრივი მაინც გაიხსენე, სარჩოთი ღატაკი, უკანასკნელი ორი წულილი, ანუ როგორი ბეჩავი გროში, - როგორ გაიღო, და მერე ვისთვის, ვისიც სჯეროდა, ვინაც უყვარდა, ვინც დააქვრივა და გააღატაკა და თვით შვილები დაუმშია და მადლობელი იყო ვისიც მიუხედავად ყველაფრისა, როგორ მაღლიდან გამოიცადა, ასამაღლებლად და, ამაღლებული, მაინც, ისევ, როგორ ჰყვარობდა სწორედ დიადი სიყვარულით სწორედ აი იმას, ვინც არ ენახა დამაგრამ გრძნობდა, როგორ გრძნობდა თან, ორგროშიანი სამადლობელით აბა რომელი მდიდარი და ხაზინადარი და მევახშე და თუნდაც მეფე შეედრებოდა, მდიდრები - ბლომად ცუდ დღეშია, მაგრამ ამაზე, ქვრივისებზე, ბოლო ორ წულილზე, ცოტათი შემდგომ, ჯერ სხვა რაღაცები უნდა

მოვიაროთ, ამისგან დიდად განსხვავებული, სამწუხაროდ, ხოლო ზოგიერთ მოოხებაზე, ბარეღამ აქვე:

მოსაოხი ხომ, ისიც ხოა, ბედადანთებულ, თუნდ სუსტად აღგზნებულ ტელევიზორს თუკი შესცქერი, და თან ამომწურავადაც შეჰყურებ, და თუ იმისი მეშვეობით რომელიმე განსაკუთრებულ არამზადასა თუ მთლად საბრალოს აიღებენ და გაჩვენებენ ან დროებით ან მაგრაგაბმულს, გააჩნია თუ, ნაძარცვიდან თუ ნაქურდალიდან თუ რამდენი ჰქონდა შავი დღისთვის გადადებული, ან, სულაც მისდღემჩი არ ჰქონია რაიმ ამგვარი, ბეჩავს. მაგრამ ზედმეტად იყო შესაძლოა ჩაცმული, ანდაც - ალაგ დაუკერებლებში, ორთავ გამოსადეგია ზოგიერთ საქმისთვის, ჯიბისთვისა თუ გეგმისათვის, თუმც არა - ა?, ა?, შევცდით, დაჭერების გეგმა ვიღასღა უნდა, ამაში კი ვართ აკადემიკოს-გენერლობისა არ იყოს, რაოდენობრივ და აღვირ ახსნილ-გადაპენტილები, მოკლედ, გადაგვდის თავზე პატიმრები და პატიმრობა ამთავისუფალ საქართველოში, ხოლო როცა, გასკვანჩულს-ვისმე თუ დაგათვალიერებინებენ, შეგაჭირვებულს, მის დანახვაზე, ცოტათი მაინც ხომ გეგონება რომ, მისგანაცაა, შენი ეს ყოფა, ამ არალეგალურ ქურდისა, და ავაზაკისაგან და ასე შემდეგ, რომ მისითაც კია შენი ესდღე, და, შენდღევანდელი, ასე პირშიმთქმელურად გაპარტახებული, და გაიფიქრებ შენ, ჯერჯერობით ეგრეთწოდებული წესიერი, რადგან ხანდახან ეგებ მართლაც პატიოსანი ხარ და თუმც ხანდისხან კიდე რაისამე მოპარვა მოგვინდება მაგრამ გვეშინია და, ამიტომ, შურია თუ რა, იმან ხომ მაინც რაღაც იგემა და, სხვისდამიც ბოღმა მოგდებია - ლეგალურ დიდკაც-პარპაშაზე, - იმეებსაც კი გვაჩვენებენ სხვადასხვა არხზე, ოღონდ ყოვლად უპოლიცმეისტერებოდ, - თან, ამ ჩვე-ჩვენში ცოტა არ იყოს ხან არქიდეფიციტურად და ხანკი ძაანადვილადაც და უბრალოდ იყენება მსხვილფეხოსანთა შესატყვისი მსხვილხაფანგები (მიშვება, დროებითი პასუხის მოუთხოვნელობა, მოფერება, სახალხოდ დაჯილდოება და სხვა), რაღაცა ჩვენთვის დაფარულში შეუთანხმებლობისათვის, თუ სულაც მოჩვენებით, მაგრამ ცხოვრებაში კი რომელს უფრო მონდომებულად მიესალმები, არალეგალურ ქურდ-ბაცაცასა თუ მსხვილადლეგალურ მიშვებულ შოვნა-მაესტროს, ამის გარკვევა და დადგენა შენზე იყოს, ხოლო ამ მცირე, კაკანათელი სკვინჩას დანახვაზე, აი იმ სხვებთან შედარებით ალბათ ეგება ბდღვნად რომ არა ღირდა, იმის დანახვაზე ნიშნისმოგებით გაიფიქრებ აი, ასე: „აჰაა, გაები, ჩიტო, მახეში?“.

და ასე შემდეგ, ეს სხვათა და სხვათა ჭერა და ჭერა, გამოსავალი გვგონია, ხომ?, წესრიგთან ერთად... წესრიგი, კი, კი, ხომ აღიზრდება უფრო კარგად თუნდ საპყრობილეში, ჯერ ახალგაზრდა კიდევ, კაცი, ხოლო ხნიერი თუა - გარდაიქმნება ესესერივით, ხომკი?, თეორიაშიც, ასე სწერია, ხომაა ასე, თან, საპყრობილეში აღმზრდელები ხომ - ხოეყოლებათ დიდად ფაქიზი, ვირის აბანოს მეწინავე მექისეები, კარგი, ფრანგული ქისა აქვენ თურმე და იასამნის ბორკილები, მაგრამ ეს უკანასკნელი გაზაფხულობით მხოლოდ, რადგან სხვა დროს ვერ ჰყვავის, ი-ხე, იასამანი, და კარგებივე ვყავდით ჩვენაც ხომ, შინა თუ გარეთ, სხვების დასანახ-შესარცხვენად აჟღერებულები, როგორი ვალალ-პატიოსნები, ჩვენ... - კი?.. ვიოხებთ ხომ, გულს - „გაები, არა, ჩიტო“... მაგრამ ერთხელაც, ჯერ მთლად ბავშვი რომ გვაჩვენეს, დამწყები ქურდი, ჯერ ქურდბაცაცა, - „ა?, ამთავითვე? ახია შენზე“, -

გავიფიქრეთ ჩვენ, მომთხოვნებმა, და, ბუნებრივიც გავიფიქრეთ, - „სად ჰყავს პატრონი!, რას უყურებს!“, და როცა ჰკითხეს, თავჩაღუნულს, როგორი ძნელი სიტყვა - „რატომ“, თავი კიდევ უფრო დახარა და, ძლივს თქვა: „მშიოდა“... აქ კი, ჩვენაც კი როგორ შეგვრცხვა, თვით წესიერებს, და ჩვენც, თავდახრილები, ვეღარც შევცქეროდით, რიღასი გულის მოოხება, ვფიქრობდით, ოღონდ, ეგებ სულაც არ ჰყავდა არც შინაური და არც უცნობი და გარეული პატრონი, ანდა, თუ ჰყავდა პირობითად, როგორღაც ვერ მიხედა და ვერ უვარგა ამჟამინდელობაში, ამ ჟამიანობაში, ეგებ; ანაცდა, იქნებ იმისიანებს გულით ეწადათ სადმე კეთილად მუშაობა და თუნდაც მცირედი შემოსავლით იმისი, შვილის, შედარებით სწორად, თუნდ მხოლოდ არაქურდადაც, აღზრდა, მაგრამ სად იპოვნის აქ სამუშაოს, ჩვენში, წესიერი კაცი, რაგინდაც სწადდეს, ამ ოჯახისა და თავის როგორმეჭირად გამტანიაობაში, რადგან აგერ არაა, სამაგიეროდ, ყურისძირში, სადღაც მთლად გვერდით, ნაგავ-ნუგავით აღვსილი დიდყუთებით, ჩვენი ოდითგან (კეთილ?) - მეზობელი და ჩვენდამი ერთგვარი ზრუნვა-პირიქითით, მომმარაგებელი, ოღონდაც აქაც ერთგვარივე ყუთებიდან, და ამა საქმეში ჩვენს მშობლიურად ნაციონალურ მარჯვეებთან ერთად, ამა საქმეში სუცოტა იმათთვის მაინც, ამაში მაინც ნამდვილად დიდად ერთმორწმუნე თურქეთი! და რაღა ჩვენ ვაწარმოოთ რაიმ-საქონელი, შე კაი-კაცო, რამდენად უფრო უპრიანია ამის გადაჭრა ცქნაფად მოწყობილთა მიერ და ამით საკუთარ ოჯახებთა სასიქადულოდ დამვანებელთა, იმათთვისა ხომ, მზა-ნაგვეულის შემოტანა წვრილდამქაშებით, მისწრებაღაა, და აქაურნიც მისწრება-აღა წვრილად თუ მსხვილად და აკადემიურადაც კი თანამდებობით, მოჩალიჩენი, რამდენი გვივის, ხოლო აქ რამე ადგილობრივ რომ აწარმოო, იმის ნაგავად გადაქცევას ხომ რაღაც დრო უნდა, დრო კი - ფულია, უთქვამთ ჩვენებზედაც უფრო გამოცდილებს, და გამობრძმედილებს, სულსწრაფებიც ვართ და ნაგავს რაკი მშობლიურად შევეჩვიეთ, მიჩვევა იცის ყველაფერმა, რაღა გვინდა სხვა, ხოლო ნაგვისა მომპოებელი ეს ზედაპირულა გეოლოგები, ამა საქმისა მკვარახჭირნი, გაბობოლებულები, როგორ, და ამ საბრალო ბავშვის, თუნდაც, და ყველასიც, ჩვენიც, ვითომ ხაროთა-გარეთათა, სწორედ რომ ჩვენი ჩვენურ-ჩვენდაუნებური ბობოლზედ მეტი, სწორედ ამ საჩვენ-საჭაობოს მზარდი წურბელი, გამაძღარი როგორ, აგერ არა გვყავს?, და განა ერთი და ორი?, სულით როსკიპი სუმთლად არა, რადგან „როსკიპი - ურიდად მეძავი“, ხოლო ესენი? - ფაქტს დაყაჭავენ, კი, და სადღა აღარ შეაღწიეს, ხოლო ჩვენი ხელმძღვანელობა, წარმოიდგინეთ, ხდება ყველაფერი და, კანტი-კუნტად შედარებით პატიოსანი, ხოლო იმათში, განა ერთ და განა ორი, უფულობაზე ხელაღებული ძლიერ მაღლა და მის უნამუსურ თამაშობებში რამოდენიმე წამყვანი ტუზი, მთლად კოზირის და თლათ ერთპიროვნულად მთავარი და წამყვანი თუ არა, აგურის მაინც, კიკო, ან, საპირესა თუ რამის პაპა, რომლის ან მიწისქვეშეთისგულის დამა, ანდაც, ამკრეფი ანდა უზრუნველმყოფნი სხვადასხვასახა, ოდნავ ქვემოთში მეკოზირენი, ოღონდ ჩაუქად, და მათთან იქვე, შეხმატკბილებულნი დროებით და ამა დროებით, სულ უკანასკნელი, ყვავის ვალეტნი მაინც, სულ ცოტა, ყველის უზადო მოყვარულები, შესაბამისად გამოწყობილები რა თქმა უნდა თუ სამოქალაქოში, ოღონდ და თანაც იღლია თუ წელ-დურაიანნი (დურა - სულელი ქალი და იარაღი ერთგვარი - რუს. და თანამედრ.) და მთლად ჯოკერიც იქვე ახლიათ და უჭყავით თან თვალსაჩინო,

პორტფელითა თუ შალვრის ჯიბეთი მიზანშეწონვით შეუმჩნეველი, ანუ მაყუთი, თანხა, შიშხათი, თუმც აბა რას გიყვებით, ისედაც იცით მაინც ყველაფერი, მაგრამ, შეწევნით, მართლაცდა გვყავს ისეთი ხალხიც, თან სულ, მთლად მაღლა, ერთი, ასე ვთქვათ, მაღალი განხრის ხალხი, რომ იმათთვის პატიოსნება აბა რაა, არაფერია, რაღაც მცირედი, უმცირესია, თავისთავადი, და არა წყრომით მიღწეული, ხოლო სხვაგანაც კირომ გვყვანან თვალშისაცემად პატიოსნები და ბრგე, აქ მაყვალისებურად რომ გამოვთქვათ, დიდ ბოდიშს კი ვიხდით, მაგრამ რა გააჭირეთ ამ პატიოსნობით საქმე, დიდი ამბავი, ადამიანი რომ პატიოსნებათი აღინიშნება და გამოირჩევა, მართლაცდა ვერაა და ცუდადაა, ეტყობა, საქმე, ადამიანში თავისთავად უნდა იგულისხმებოდეს ეს თვისება და, იგივე „ადამიანი“-ში, ასევე ხშირად, მეტის ნდომა და დაუკმაყოფილებლობაც თუნდაც ედემის ბაღით, იგულისხმება, ადამიდან მოვდივართ, ეს რამდენი ხნის, მგზავრნი, მაგრამ ამაზეც, ცოტათი შემდგომ, ახლა კი, მაყვალისებურადვე რომ აღვნიშნოთ და ჩვენდათავადაც, ყოვლად უბოდიშოდ, ბოლოსდაბოლოს, მაინც ბოდიში მამიხდია და რა გავატრაკეთ ამ შედარებით იშვიათი არაქურდობით საქმე, ხოლო როდესაც ჩვენს ძირითადად შავად ფერადოვან პრესაში, ბევრ სხვა გამონაჟონთან ერთად, იმასაც თუ წავაწყდებით, რომ თურმე საქართველოსავით სხვა თუ გასხვავებულ კუთხეში, თურმე თავიანთ დახეიბრებულებს სხვა და შედარებით მოწესრიგებული ქვეყნების უკეთეს კლინიკებში ამგზავრებენ და ათავსებენ კიდეც სამკურნალოდ, ამაზე, შესაძლოა, მკრეხელური აზრებიც კი მოგსვლოდა ადამიანს, სუსტს, და კიდევ კარგი რომ, ოღონდ დროებით, ხოლო ახლახან, ვტყუოდით ვითომ? წეღან... ამ ჩვენს უქნარა მოოხებაზე... რომ ვერაა კარგი... -

რადგან სამკალი, ამასობაში, განზე გვრჩება და, მერე როგორ... ამაზეც, შემდგომ, ახლა კი, სულ ძალიანაც სხვაგვარ მოოხებასაც გადავწვდეთ, მოდით, -

უღირსს, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან აშკარად თავისებური ძმაბიჭები ჰყავდა ადრეულ ახალგაზრდობაში; ახლა, მთლად სულელებიც არ ეთქმოდათ, მაგრამ გაკვრით შემხედვარეებისათვის დაულაგებლობით ნამდვილად გამოირჩეოდნენ - თანაც სუყველანი კაცო, ხოლო იშვიათ რამეებში ერთსულოვნები იყვნენ, და ისიც ბოლომდე არა, რადგან, ხოლო ერთ-ერთის თავისებურება იმაშიც გამოიხატებოდა, რომ ძალიან მოულოდნელკუთხა მიმართულების სპორტული გულშემატკივარი იყო; აი, ვთქვათ შესცქერიან ტელევიზიით გინდ ფეხბურთს და გინა კალათბურთს ანდაც სულ ცხვირ-პირში რომ გამეტებით ურტყამ-სთავაზობენ ერთმანეთს ხელთათმან-დაბოლოებიან ზედა კიდურებს ძალიან სხვადასხვა და აგრეთვე პოლიტიკურადაც განსხვავებული ქვეყნების ფიზიკური თუ ფიზხელოვნების გამორჩეული წარმომადგენლები და არაფერს აკლებენ, თუმც ყოვლად უსაფუძვლოდ, უცნობ ერთიმეორეს როგორც ცხვირ-პირშია აგრეთვე გულ-ბოყვშია რამდენადაც ეს კი მათი მუყაითი მეცადინეობა-მომზადებით შეეძლოთ (ნეტა მოკრივედ-ბოქსიორები მისასალმებლად და, განსაკუთრებით, ბოლოს სახეზედმეტად აყვავებულნი, დამშვიდობებისას მაინც, თუმც მართალია ცივად მაგრამ ნეტავ საერთოდ მაინც რატომ ართმევენ ერთურთს ხელ-იარაღ-თათმანებს? ვერ გამიგია...) და ამ თუნდაც ცრუამხანაგურ პაექრობათა ყურებისას სესერეკაული რუსები თუ რომელიმე კაპიტალისტურებს ერკინ-ეფოლადებოდნენ, ის ძმაბიჭი, ამ

შემთხვევაში, თუმცაღა სპორტი როგორც ასეთი საერთოდ დიდად არ ენაღვლებოდა, მაგრამ, სოციალისტურებში ატომყოჩობით ნუმერსა პირველ სახელმწიფო სესერეკას ჯინზე რაღა თქმა უნდა სხვებსავით კაპიტალისტურებს უჭერდა მხარს (გადატანითი მნიშვნელობით, თორემ აბა ისე ტელევიზორის შიგანში აბა ვის მხარს დაიჭერ, საბჭოთა დენი იყო იქა სხვათუ არაფერი, - ავტ.), თუმცა, ამ შემთხვევაში ("აბა სოციალისტურებო თუ აბა კაპიტალისტურებო!"), გულშემატკივრობით არცთუ ისეთი აღტყინებით ირჯებოდა, როგორაც სხვები, მაგრამ მაინც გარკვეულწილად აშკარად, რადგან, ახალგაზრდობით, ნებისმიერი რუსი, ცხოვრებაში თუნდ უწყინარი სულაც არასპორტსმენიც კი, უშუალო დამაქცეველი ეგონათ, ხოლო ეს ჯანიანი ხალხი?.. და ამიტომაც, იმათ და იმათი სოც.-ჯაფის დანახვაზე?, -

წამდაუწუმა:

„მაგათი ყოფა ვატირე",

„აქ მაინც ეტიროთ სინსილა",

„აქაც არ გამოიყვანონ ერთბაშად, ბიჭო, ტანკი",

„რა იცი... მაგათგან ყველაფერი მოსალოდნელია",

და უარესებსაც ამბობდნენ, რადგან ტელევიზორამდე მაგიდაც ედგათ, მაგიდაზე კი ხანდახან მთლად არასპორტული რამეებიც ედგათ, ხოლო მაშინ, მათ ასაკში არცთუ იშვიათი სმა საძრახად ითვლებოდა მაშინ, შედარებით ჩამორჩენილი იყო ამ განხრით ხალხი, ხოლო ესენი, - მიდიიი, და თანაც -:

„ეგრე! კარგი ყოფილა არა, კოჭებში?"

„როგორ მოცელა ამ ვირმა, ხედავ?"

„სიფათი ნახე!, სუფთა ღორია",

და სამაგიეროდ:

„ბრავო! ა ტი ვსტავაი, ვანკა! ეშჩო ნადო ლეჩ",

და ასე შემდეგ,

და, ამისთანანი,

რადგან იმდენად ახალგაზრდები იყვნენ, ჯერ უფრო ბავშვებიც კი, რომ მაინფორმაციებელი ტელევიზორისკენ თავისი ჭკუით იქით აგზავნიდნენ თავიანთ ხმამაღალ მიდრეკილებებს,

მოკლედ,

იოხებდნენ, რაღა, ბიჭები გულს, მითუმეტეს რომ ძალიან ახალგაზრდები იყვნენ,

ჯერ,

ისე კი, ხშირად რჩებოდნენ თვალმოცარულები, რადგან რუსებს, განსაკუთრებით სპორტის ძალისმიერ სახეობებსა და აგრეთვე მოლიპულ ყინულზე თამაშჰობებში იმდენად დიდადამტანი წარმომადგენლები ჰყავდათ, ბადალი ძნელად მოეძევებოდათ; რა იქნებოდა აბა, რადგან მოყვარულ სპორტსმენებში ის უპირატესობაც ჰქონდათ დათრეული, რომ სინამდვილეში წყალგაუვალი და სამაგიეროდ ღვარადოფლა პროფესიონალები იყვნენ - სესერეკაულა მორკინალების პროფესიონალობა კატეგორიულად უარიყოფებოდა მათივე პოლიტიკურ ფარულმუქარიან წრეთა მეშვეობით, აქაოდა ეს ჩვენი მხოლოდ ჰობიაო და ხოლო საბჭოთა ადამიანი ხომ ჰობიურადაც კი რამდენად უფრო შემძლებლურია ფიზიკურადაოც კიო (ხოლო უცხოელი პროფესიონალები დღიურად ოთხ საათს ვარჯიშობდნენ, ესენი - რვა-ათს უთმობდნენ წრთობას, პოლიტმეცადინეობებ-ს გარდა), ჯანსაღ მანოკაუტირებელ ხელსხეულში ჯანსაღად უპირატესი პოლიტიკური სული სძევსო, ხოლო სამოყვარულო შეჯიბრებათა განაცხადებში ძირითადად ზეინკლებად, შემდუღებლებად და სტუდენტებადაც კი იყვნენ წარმოდგენილნი, ხოლო ჭყეტელა ერთფეროვნების საწინააღმდეგოდ და აგრეთვე ხალისიანი მრავალფეროვნებისათვის ხანდახან „ვოდოლაზ“ებად (ნაკრების რომელიმე შტანგისტი) და „პორტნოი“თაც კი (ნაკრების ფეხბურთელი ტატუშინი) იწოდებოდნენ და, მიუშვი აბა, მგლები ამუნიებში, და ვინ ვის, ანუ რომელი რომელს, მიდიი, ხოლო ზოგიერთ მოთამაშებო სახეობებში (ფეხბურთი, ჰოკეი) მერე და მერე თვით შეუნიღბავ-გულახდილ პროფესიონალებსაც კი ერთგვარი წარმატებით (განსაკუთრებით ჰოკეიში) ეპაექრებოდნენ, ოღონდაც კვლავ ვითომ ისევ ნაზ-მოყვარულები - „დიდი ამბავი, თუ წავაგებთ“ - ხოლო თვით სესერეკაში ნებისმიერმა ღამის დარაჯმა იცოდა საქმის ნამდვილი არსი, თუმც ზოგიერთ გულშემატკივარ-რუსთაგანი თავს იკატუნებდა იმით, „ნაში გორაზდო მენშე პალუჩაიუტ“ -ო, რაც თავისთავად სწორი კი იყო, მაგრამ მეორეს მხრივ თანამოძმე სლესარ-სვარშჩიკებთან შედარებით ესენი უდავოდ მეტს იღებდნენ, ხოლო სახელმწიფოებრივ-პროცენტულობით რომელი წინ იყო, ესენი თუ კანადალები თუ კუნძულელები ფიჯის, ეს მართლაც ძნელი დასადგენი გახლდათ, რადგან მარიფათსა და მიდრეკილებასა და მოთხოვნილებასა და თავის ტვინის უჯრედებსაც ხომ ჰქონდა მნიშვნელობა და, მოკლედ, ბოლომდე აბა ვინ გაერკვეოდა თუ როგორ იყო სინამდვილეში საქმე, ხოლო ცხადზე ცხადი მხოლოდ ის გახლავთ რომ ერთმანეთს დაუზოგავად ეჯიბრებოდნენ ერთის მხრივ ის კაი-ოხერი მაგრამ ჩვენთვის პირადად მაინც ზიანის ვერმომტანად უწყინარი კაპიტალისტურები და მოპირდაპირე მხრიდან კი, სოციალიზმის, თუნდაც სპორტში, უჯანიანესი პორტნოებ-ინკასატორები,ც, და რუსებთან ჭიდილისას განსაკუთრებით გულშემატკივრობდნენ უღირსისთანები ვითომდაც მოძმე და ძმური სხვაც ეგრეთწოდებული სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენებს, რომლებსაც ჩვენთან (ვაი... აი ხედავთ ეს რა წამომცდაც), ეე, ჩვენთან კი არა რუსებთან თანამეგობრობა და ძმობა და თანადგომა კი არა, ნატურალურად ჭეშმარიტი შესვარკავებაც კი სათოფედ ვერ დააკავშირებდათ (აქეთ-იქითურ გამონაკლისური შინაგანა თუ უშიშრაულ დიდად გარეგანა ძალებთა გარდა), მთელ დანარჩენ იქაურ ხალხს, უფრო სწორედ, დანარჩენ კი არა მთელ ხალხს, სოცბლოკი და სხვადასხვაგვარი თანამშრომლური პაქტი უნდოდათ კი არა, უმადო ბავშვებს სესერეკა-ბუათი აშინებდნენ და იმთავითვე მწარედ იყლაპინებოდნენ

ყოველგვარ მისაღებსა თუ მიუღებელ გადასაყლაპს მთლად მცირეწლოვნობიდანაც,კი, მაგრამ ძალა (ტანკი) აღმართს ხნავდა, ხოლო აქ მაინც, სპორტში, თუკი რუსები თუმც ამ შემთხვევაში მათსავედაგვარ ეგრეთწოდებულ სოც.-მოყვარულებს ხვდებოდნენ, ხოლო ასეთი მატჩებისას დაკანონებულ აგიტაციებთან ფიცვერცხლნაჭამი კომენტატორები ისე ამსუბუქებდნენ შეჯიბრების მსვლელობას, რომ ეს თავისთავად ფანტაზიის დიდად აწყვეტილი ზეიმი, ოღონდ სიმახინჯე, იყო, და, ეგებ იქ მაინც ეყარათ, სოციალისტურად დაპყრობილებს ამ მხოლოდ ფსევდო კი არა, მთლად ანტიმეგობრების ჯინი კი არა, რაღაც ჯომოლუნგმასავით მაღალი ოხტი, და ესაჩვენი ქართველი ახალგაზრდა ტელემაყურებლები, მათთვის ჰოკეის უცხოხილობის მიუხედავად,ერთი სოც.-ი თუ მეორე სოც.-ს ეთამაშებოდა ანდა ურტყამდა თუ დასანარცხებლად ესუფლექსებოდა, მთლად გატაცებით თანაუგრძნობდნენ თავიანთსავით ძალადნაცხოვნებ სოც.-ებს:

„აბიჭო მიდი,რამ დაგაბნიათ,აქაც ტანკებით ხომ არ არიან!“,

„მიდი, მიადე ერთი კარგად!“,

„რა გეშინიათ, აქ მაინც ხომ ექვსნი ექვსზე ხართ, კლუშკებით მარტო!“,

და ასე შემდეგ,

ხოლო ის ერთი ძმაბიჭთაგანი, ვის გამოც ამისიგრძე შესავალი დაგვჭირდა,ისე იქცეოდა რომ,ვერავინ ხვდებოდა კი არა, ერთპიროვნულ-ეროვნულ გაოგნებასა იყვნენ, რადგან, მუდამ,ყოველთვის,ამ (იმ!-მეთქი!!!) სესერეკლებს თანაუგრძნობდა,რეებს იძახდა:

„მიდი პანტელეევ!“

„მიდი ივანკინ, ეგრევე ლეწე, მიდი გენაცვალე“,

ძაან იცოდა იმან „გენაცვალე“,გაეღწია გინდაც ხმას,

„მიდი პადგორნი, მიდი შე ოხერო!“,

არა, „ოხერო“ კი ეცოდინებოდათ, მაგრამ რათ გინდა,

და მაინც!,

„მიდი პეტუხოვ!,გლიჯე ჯერ ყბაში! მოაჯექი! ეგრევე!“,

„არ შემარცხვინო ბიჭო ანდრეევ!“,

„ეგრე, სუფთა ჯიგარი ხარ პოლუპანოვ!“,

ჯიგარი არა, ტოლმა,

„მიდი გარშკოვ!, ეგრეე, ეგრე!!, ურაა, ურაააა!!, ხომკი გახადა ოთხით ნოლი!“,

და ასე შემდეგ,

რაც,

رااق,

رااااق,

რაც მართალია მართალია და,

დი-იდი უცნაურობა იყო.

...

რადგან,

სწორედ ის ერთიც ძმაბიჭი, სანდრო, ნამდვილად არ იქნებოდა არც შენიღბული კაგებეშნიკი, ანდაც რაღაც მოამგვარო გათახსირებული, რაც მათ ასაკშიაც კი შეიძლებოდა მომხდარიყო (ვიძახოთ ახლა, რომ „რაც კარგები ვართ ქართველები ვართ“?, „რაც კარგები ვართ დიდი უმრავლესობა თითქმის ქართველები ვართ“ მაინც ვიძახოთ, კაცო), არც გრძელხნად გაწელილი ნაშა ჰყოლია რუსი, დავუშვათ და იმისიანებისთვის რომ გამოთაყვანებულად ეთანაგრძნო, არც ომში იყო ნამდვილად ნამყოფი (1939-ში გახლდათ სწორაღნუსხულად დაბადებული), ომაული თანამებრძოლების ხათრით ან გახსენებით ასე არასწორად რომ აღელვებულიყო, ის კი არადა, სავალდებულო სამხედრო სამსახურიც არ გაუვლია იქ რომ მოეწამლათ, არც ბრმად (უნებურად) მონობა სჩვეოდა, რადგან გარკვეულ საშიშროებებზე თამამად წასულა და სასამართლოებსა თუ დაკითხვებისას ცუდად არასოდეს ეჭირა თავი, მაამებლადაც ვერავინ იტყოდა, ისევ დაუშვებელი წარმოვიდგინოთ და გინდაც ხელმოცარული „ვერბოვშჩიკები“სთვის ასე ვთქვათ „ყურებიან კედლებს“ კარგი ხმა რომ მიეტანათ, რუსებისაგან დაშინებულადაც ვერ იტყოდით, რადგან ადრევე, ჯერ კიდევ მთლად ბავშვი, რუსის ჯარისკაცებს ისე უბრიალებდა თვალებს, გაგეღიმებოდა და, საერთოდაც, მერე, არცთუ იშვიათ ჯგუფურ ჩხუბებში ისე ხალისით და გამომგონებლურად ჩხუბობდა ხელით (თანამედროვეები ალბათ ძნელად დაიჯერებენ, მაგრამ მაშინ ვერ იყო ასე საყველპურად ავტომატური იარაღები, ჩამორჩენილები ვიყავით, და თუმც დანები აკი არამცთუ ბრინჯაოს ხანიდან, მართალია კაჟისა და ობსიდიანისა მაგრამ ქვის ხანიდანაც კი მოდის, მაგრამ დანასაც არ კადრულობდნენ, დიდი უმრავლესობა მაინც, და სანდრო კარიერისტიც ხომ არ იყო და არა, პარტიის წევრობა რომ ჩაეფიქრნა კი არა, აუცილებელ კომკავშირელობაზეც კი, თოთხმეტი წლისამ, ყველასგასაგონად და ზოგიერთის დიდად შემაცბუნებლადაც კი, ხმამაღალი უარი თქვა, თანაც საკმაოდ გამომწვევი: „ვა?, ძალაა?, არ მინდა“... ორი წლის შემდეგ კი, „ეგებ გამოსწორდა“ო, მაგრამ, კიდევ უფრო მკვეთრად ჩამოაყალიბა: „ვა?, ძალაა? რას გადამეკიდეთ, არ მინდა, ფრინეთ-რა, თქვენთვის“... და „არა ვარ ღირსი“ მაინც დაეყოლებინა, არამედ, „რატომ და, ეგეთი ხოში მაქვს“ო, პედსაბჭოზე ეს, რისთვისაც ყოფაქცევაში იმჟამად საყოველთაო „ფრიადი“-ს ნაცვლად „კარგი“ გამოაყოლეს, რომელი „კარგი“ც „საშინელი“ს ნიშნავდა - ხოგამოდიან, იდენტური, სიტყვები „კარგი“ და „საშინელი“?. მაგრამ ასეთები ხდებოდა? თან, რუსების ხსენებაზე ყოველთვის როგორღაც ზედმეტადაც კი აჟრიალებდა, და რაღა იმ

სპორტსმენების დანახვაზე ხდებოდა იმათი ქომაგი? თუმც, მხოლოდ სოც.-ებზე-სას, თან, ისიც ძალიან საკვირველი იყო, რომ, ზოგიერთის გვარი თუ დაავიწყდებოდა (კომენტატორები ძირითადად გარე-თემებზე, ანუ ქვეყნის სასახელო შიდა თუ გარე საამურ პოლიტიკაზე საუბრობდნენ პენალტ-ბულიტების დროსაც კი ოღონდ როგორღაც გადატანითად) და იმ გვარდავიწყებულებს ცოტათი აგდებული შეფერილობის გვარით შეუძახებდა ხოლმე, კაცო და თუკი ასე თანაუგრძნობდა, კაცო, მაშ რაღას ეძახდა ძაან ხმამაღლა, და ასე:

„მიდი, ეეე... ეე, დავაი სემიჟოპოვ, რეკე მაგ სკლეროზიან თავში!“,

ხოლო წინადადებამ მოიტანა და, ნეტა ეს რუსი პირობითი სემიჟოპოვი და ის იტალიურად დადგენილი სინიორ ტარკინი ნეტა რა გამოდიოდნენ ერთმანეთისა ჰა? შენ დაგივიწყო მე, ტარკინი, მეტი არაა შენი მუსიკა, ანდა ჯარკოვსკი სადა მარხია ნეტავი ახლა უმოქმედოდ, აფსუს და როგორ გადაწყვეტილებებსა სწყვეტდა პირშიმთქმურ, მთავლიტის ყლორტი და ზედაც კოკორი, მაგრამ აქ გადავუხვიეთ, ხოლო ეს ვერაა კარგი, ხოლო ერთხელ, მსხვილ ჩემპიონატზე, ისეც მოხდა რომ რუსებმა ერთი ტურით ადრე მოიპოვეს პირველობა (შედარებითია ყველაფერი, პირველობაც კი), ხოლო უკანასკნელ მატჩში კი სწორედ სოცბანაკელ „თანამეგობრებს“ ხვდებოდნენ, საკმაოდ ძლიერ გუნდს (იქაც კი იდგა სასურველ სიმაღლეზე მოყვარულობა და ზეინკლობა), რომლებიც უკვეჩემპიონთან გამარჯვებით მეორე საპატიო ადგილზე გადიოდნენ, თუ არა და, შეუგნებელი შვედები დაეპატრონებოდნენ ვერცხლს, და ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ თავიანთთვის ბევრი არაფრის მომტან შეხვედრას რუსები დათმობდნენ, ან, ბოლო-ბოლო, მეორე, ახალგაზრდულ შემადგენლობას გამოიყვანდნენ და ასე ისედაც წააგებდნენ შეხვედრას, და ვერც ვერავინ დააყვედრებდა პარტსტაჟიან მწვრთნელს მზარდი კომკავშირელების გამოცდას, ხოლო უკვე მოპოვებული ჩემპიონობისათვის სამშობლოში დაბრუნებისთანავე სამხატვრო რა იყო არამედ სამხედრო წოდებას ისედაც მოუმატებდნენ ახლა მთლად გენერალი უკვე თუ არ იყო, მაინცდამაინც ბრეჟნევს კი არ მიუახლოებდნენ, და ამ ბოლო მატჩის დათმობით ისეთ ორ კარგ კურდღელსაც დაიჭერდნენ, როგორიც იყო სოცმებანაკე სახელმწიფოთა სიძლიერის ხაზგასასმელად ასე გამორჩეულად საამაყო I-II ადგილი, და, რაც პოლიტიკურად მთავარი იყო, წაგებით მოგებულებს გულს მოუოხებდნენ და შედარებით ნაკლები სიძულვილით განაწყობდნენ თუნდაც სპორტში ამ ერთხელ მაინც თუმც თან სპორტულ ბრძოლასა და შეხლა-შემოხლაში განაზებულ და ნაზად დამარცხებული-დანარცხებული სისირიკისადმი იმ სოცბანაკური ქვეყნის მილიონობით გულშემატკივარს; მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ ბოლო მატჩის წინ ვერაგ კაპიტალისტურ გაზეთებში დიდი ასოებით დაბეჭდილა, რომ რა ჩემპიონია ის ჩემპიონი, რომელიც, წინასწარ იცი რომ მატჩს დათმობს აუცილებლად და ყოველ მიზეზს გარეშე პოლიტიკური მოსაზრებით დათმობით წააგებსო და, აგრე არ უნდა კაპიტალისტური წინასწარმეტყველებანიო და, აღენთნენ თურმე აი ეს ჩვენი (ვახხ, ვახხ!.. - რა ჩვენი, რის ჩვენი) პატიოსნებაში ასე სახალხოდ ეჭვმიტანილი გულვარსკვლავიანი საბჭოთელები დელეგაციის ხელმძღვანელიდან დაწყებული მეოთხე მოყვარულიც-მასაჟისტით დამთავრებული და ისე გამოსრიალდნენ მებრძოლები ამტან მშობლიურსავით

ყინულზე, რომ, მტრისას, და თან სათადარიგო კომკავშირელები კი არა, არამედ სულ-სუ რჩეული გამობრძმედილი და მთლად გამოცდილი უკვე პარტიული დესიატიჟოპოვები გამოიყვანეს, რომელი უკანასკნელებიც მოთელვაზეც კი თან ისეთაურად იყვნენ გამომეტყველებიანები (განსაკუთრებით, სახეზე, და ცოტათი საკმაოდ სხვაგანაც), რომ იმ ყოვლად არაქართველთა სპორტში მაინც ერთგვარად გაწაფული სანდრო, იმათ სულაც მალულ კოჭებზედაც კი მიხვდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ მოგებისათვის იყვნენ განწყობილები და, აღფრთოვანდა:

„აბა, თქვენ იცით ჩემი ბიჭები, აბა თქვენ იცით როგორ გამახარებთ თქვენ ჩემის სახუთქიმიანებო, ჩემო წითელო ვარსკვლავებო!, ვარსკვლავბიჭუნებო თქვენ!“, -

აბა, ეს იყო განა მიმართვა? სულ რომ არაფერი, ბევრ იმათგანზე რამდენად უმცროსი იყო, თან არაკომკავშირელი, და, რომ დაიწყო თუ არა პაექრობა, მართლაცდა ვაი, ტარკინის რეცენზიასავით „რიგოლეტო“ზე, ისეთ ჩატარებას, და ჩემპიონებმა მოგებით თუმცა კი მოიგეს, მაგრამ ისედაც მოლიპულ მოედანზე ცემა-ტყეპები და გულქვა ყინულზე იმეებით დატყაპნებები აქეთ-იქითურა ახლდა ამ გაზეთნაბიძგებ პიროსის გამარჯვებას ისეთი, გეგონებოდათ, კაპიტალისტთა გულგასახარად, ასე ჩვენები (ფუ?!..) სოცმეგობრებს კი არა არამედ მთლად ამერიკული საიდუმლო დაზვერვის გენერალ-ადმირლებს ხვდებიან ვიეტნამის გასაყოფად და ამიტომ გემრიელი ნაჭრებიდან განსაკუთრებით სუკ-ისთვის იკლავენ თავს ისე ჩხუბობენო, რადგან, სამეგობროებმა, ისედაც წყევამეგობართაგან, აი აქაც კი ასეთი გააფთრებული დატაკება თავიდან ძალიან გაკვირვებულებმა რომ აღმოაჩინეს, მერე და მერე კიდევაც მეტად იმითაც გააფთრდნენ, რომ, ამ ასეთ-ისეთებს ისედაც ხომ აქვთ განაღდებული პირველობა და კიდევ ასე რამ გაამწარათ და თანაც მერედა ვისზე, როგორ, კიდევ ჩვენსზეო?, არ ეყოთ ისედაც ჩვენი ყოველნაბიჯ და წამდაუწუმა გაუბედურებაო? და, ატყდა მაგრამ რა ატყდა ყინულზე, ისეთი რაიმ, რომ თითოეული მათგანი, აქეთურებიც (ვა?!)ეე, იქითურებიც და უფრო იქითურებიც, რამდენიცგინდაკრატნიჟოპოვი კი არა ყინულზეც მბრძოლი ალექსანდრე ნეველი გეგონებოდათ ისტორიკოსებს მაინც, ხოლო იმათი ჰოკეიჯოხები - მონათმფლობელური დამასკოური ხმალი, ჩეხეს და ლეწეს ერთმანეთი, და აღგზნებულმა და გაყიდულმა გუნდსესერეკამ სუსურეკა და რეკა ვითომეგობრებს, თავში, და ყბაში, და ბოდიში კი მოგვიხდია და, იქაც კი, უფრო, ხოლო მთლად აღფრთოვანებული სანდრო კი, სკამზედაც კი შეხტა და ისე ჰყვიროდა:

„მიდი ბიჭო გუსევ, პოკაჟი იმ გძე რაკი ზიმუიუტ, ეგრე, მიადე ერთიც მაგ ჟანგიან ყბაში! ეგრე!!“

ხოლო ერთ-ერთ სახეზე უკვე დალეიკოპლასტირებულს, განსაკუთრებით შეუძახოდა:

„ეგრე სუსლოვჯან! ერთიც ლეწე, გამწარებულზე, შენ გენაცვალე დაბინტულ ჭაჭებში!“,

ეს დაბინტული ჭაჭები რაღა იყო, ხოლო ალაგ დაუბინტავ სახეებს რაც ეხებოდათ, ისეთებური გაუხდათ რომ, ხოლო რამოდენიმე თუნდაცდა ყოფილფსევდო

ერთბანაკურა იქით-იიქითურს, თვალებიც კი აღარ უჩანდა, და მხოლოდ წამწამსა და წამწამშუა გაშენებული ბაღებიდან (იხ. „აბესალომ და ეთერი“, აბაჰე!, ტარკინი!, შე საერთაშორისოვ...) იჭვრიტებოდნენ ისე, რომ სანდროს ზარ-ზეიმს აღარ ჰქონდა საზღვარი,

„შეხედეთ ბიჭო, დააკვირდით, სულ მაო ძედუნის იმას არ გვანან, უსაქმობის და მოწყენილობის დროს?“

ხოლო როდესაც ეს ყოვლად არამცთუ არამეგობრული, - არაამხანაგური, არაოლიმპიურსიმშვიდიანი და ყოვლად არამოყვარულო, არამედ მანამდე ვერნახულიც უცნობურმტრული მატჩი დამთავრდა, რუსების გამარჯვებით ისედაც განაწყენებულმა მაყურებელ-ძმაბიჭებმა იმდენად ვეღარ შეიკავეს თავი, რომ იმბანაკებლებივით ძალიან მტრულადაც კი შეხედეს სანდროს და გაკვირვებით კი არა, კარგა მკაცრადაც დაეკითხნენ, თუ რატომ იკლავდა თავს ასე ძალიან თავს რუსების გამარჯვების გულისათვის, სანდრომ გაიკვირვა:

- კი, კი, სულ მე არ მოვაგებინე?

და რადგან სანდროსი მაინც სჯეროდათ, ისევ გაკვირდნენ:

- ამაში მაინც დაეთმოთ ამ ოხრებს! ისედაც, მთელი ცხოვრება რომ ასხედან თავზე!

ხოლო სანდრომ, რაღაცაში განმტკიცებულმა, წამოიძახა:

- ამაშია საქმე!

- რატომ!

- იმიტომ!, -

და თვითონაც ჯერ კარგა გამომცდელად შეათვალიერა ყველა, მერე კი, ხელი ჩაიქნია და თქვა:

- ხოლო რატომაც მინდოდა ასე ძალიან იმათი გამარჯვება, კი აგიხსნიდით, მაგრამ ჯერ მაინც ვერ მიხვდებით.

- რატომ!!?

-იმიტომ. გეტყობათ ჭკვიანურ თვალებში. თან, ამას ისედაც გაიგებთ. სულ რაღაც ორიოდ დღეში. პატარაც მოითმინეთ. ამდენი გითმენიათ და...

რა უნდა გაეგოთ ნეტა ისეთი, თან რაღაც ორიოდ დღეში. და ორიოდ დღეს მართლა არაფერი გაუგიათ, თავს იკავებდნენ რადგანაც საბჭოური ვერპირშიმთქმელი გაზეთები, მაგრამ, ასე ხუთიოდ დღის შემდგომ, ვეღარ დაიმალა ის რომ, იმ ქვეყანაში თურმე მაშინათვე დიიდი ანტისაბჭოთა გამოსვლები დაწყებულა, ოღონდ ჰოკეისთანა ვითომ-წვრილმანს არ ახსენებდნენ, არამედ, აღარ გვინდიხართ თქვე ყოველმხრივ ასეთ-ისეთებო, ჩვენთვის გვინდა ვიყოთ, აღარ წაეთრევითო?, გაეთრიეთო, რომელ გამოსვლებსაც, ერთგვარი გონით მოწესრიგებულმა სსრკ-მ, გამოსვლები ასე არ უნდაო და სამაგიეროდ შესვლები

დაუპირისპირეს, ოღონდაც თავისებური შესვლები - თავიანთი მოფერებულად ეგრეთწოდებული მშვიდობისმოყვარე ტანკებით, რომელი ტანკებიც იქ უკვე „ძმურად შესახლებულ“ (აქა გამოთქმა-ამბავია პრესულ-რუსული, ქართულად ნათარგმანევი), სხვადასხვა კალიბრ-იარაღიანი სამხატვრო რა იყო არამედ სამხედრო ახალი ძალები საგარნიზონო ქვედანაყოფებისთვის მრავლისმანიშნებლად მიუერთებიათ, ხოლო ეს გაძლიერებითი შერეკვ-დამკვიდრ-გამაგრებანი იმითაც განუმტკიცებიათ, რომ ძალუმად აღორძინებულა დაჭერები, როგორ თუ ვითომ რატომ და არ გინდივართ ჩვე-მშვიდობისმოყვარე ჩვეკუკლებიო, აბა როგორთუ თქვენ-თქვენთვის და ჩვენ კიდე - ჩვენთვის? - ეს ხომ თქვენის მხრიდან პირწავარდნილი ერთპიროვნული აგრესიაარ, ხოლო დინჯ-დარბაისლურად თავშეკავებულ ლენინურ პრესაში კი მხოლოდ თხუთმეტიოდე დღის შემდეგ შავით თეთრზე და შრიფტობრივად წვრილად გამოქვეყნდა, რომ, რომ ეს იმპერიალისტურ-რეაქციულმა ძალებმა გამოიწვიეს თავიანთი შავბნელ-დოლარებიანი აგენტურით მეგობრულ ქვეყანათშორისი სრული გაუგებრობა ეს-ო, და ახლაკი იმპერიალისტების ეს აუგ-მცდელობა ჩაფუშულია და მეტის ძალითაცაა აყვავებული ოდითგანვე ძმურად შეფიცულ ქვეყანებთშორისი ეს პატარა დედმამიშვილური (მარქს-ლენინური?) წაკინკლავებაო, ისევ ერთად ვართ ურთიერთგაგებითაო და თანადგომით და საღის ანკარა აზრითაო, - ხოლო რომელი ნეტავი აბა კაპიტალისტ-იმპერიალისტი იყო აბა ნეტა თუმცაღა შვიდფუთიანი კაჟი და რკინა და თანაც ჰოკეისტ-დამცველი ა.რაგულინი... არა-გული-ნი? ტარკინი, ვითომ? ანდაც ჰოკეიური ძმანი მისნი? ხოლო ნეტავაც გვარი ტარკინი საიდან მოდის, ეგებ, სმენითი ტანკი-ნი-დანაც, კი? რა დროს ისაა, ყურებდაჭრილი, თუმც ბადრიჯნები ედო ყურში,

- ახლაც ვერ ხვდებით, რატომ მინდოდა მაგათი გამარჯვება? ხომ ხედავთ, რაც მოჰყვა, თუ ესეც კი ვეღარ გაიგეთ, ვითომდაც ყურცქვიტებო? - იკითხა სანდრომ, - ახლა კი უკვე უნდა მიხვდეთ, წესით. ნურავის გვეწყინება და, ხალხები ყველანი სულელები ვართ მეტნაკლებად და ცოტაცოტა, რადგან ჩვენს მონობას თუ არა, ვერდამოუკიდებლობას მაინც, ყოვლად თვალშისაცემ და ყოველნაბიჯა, წამდაუწუმა ამბებზე კი ვერ ვხვდებით, არამედ ამ განსაკუთრებულად მაინცდამაინც თვალსაჩინო სპორტით ვიოხებთ გულს და, ამ რამდენად უმნიშვნელო საქმეში თუკი წავაგებთ, მაშინღა ვფხიზლდებით, ჩვენდა სამარცხვინოდ, მხოლოდ, და თუ მოვიგებთ, გვეჩვენება რომ ამით ვიყრით ყველაფრის ჯავრს და ჯინს, და, ამით გახარებულები, გამარჯვებულებადაც კი გამოვიყურებით, ხოლო ჩვენი მთავარი უბედურება ნაკლებად გვახსოვს, ხოლო სპორტში კი, ტაბლოს ანგარიშითაც ასე თვალსაჩინო წაგებას, და ზედაც თანაც გალახვითურს, როგორი აღშფოთებით განვიცდით და, ამ თავისთავად დაბალ შემთხვევაში ჩვენდა სამარცხვინოდ გაცილებით უფრო მკვეთრად ხდება ჩვენი შეჯანჯღარება, და გაცილებით უკეთ გვახსენდება, მართლაცდა რა დღეშიც ვართ, და, ის ჩვენზე იყოს, თუ ვინ გამოვდივართ ამიტომ, და რანი, და, თავისთავად განა არაა ჩვენი შერცხვენა, რომ ასეთ ყოველმხრივ დაჩაგვრაზე მეტად, ერთმა ფეხბურთის თავისთავად ყოვლად უნამუსო, მაგრამ სინამდვილეში, უნებურად, ჩვენთვის დიდად მოკეთე მსაჯმა აგვიხილოს თვალები?

...

და, დააყოლა:

- ასე რომ, ბიძიებო, ყოველთვის უნდა გსურდეთ და გიხაროდეთ ის, რასაც ეს ჩვენიც საუბედურო და სამარცხვინო საჭიროება მოითხოვს.

...

და, კიდევ დააყოლა:

- ხოლო რუსების ამ მართლაც პიროსის გამარჯვების სიკეთეებს, სულ მალე კიდევ ბევრს ვნახავთ, ჯერ სად ვართ... და აგერ იმასაც ნახავთ, თვით გადაყრუებულ-ჩვენზედაც კი სასიკეთოდ თუ არ იმოქმედებს ეს.

...

ნეტა იმას თუ გულისხმობდა, რომ ის გამოსვლები როგორღაც (როგორღაც კი არა, არამედ ალალად პირშიმთქმელური ტანკებით) რომ ჩააშოშმინეს, მთელი პროგრესული თუ ნაკლებპროგრესული მსოფლიო ისე აღაშფოთეს, რომ ღაწვების ფერითაც ყოვლად ჩაჟამებული გრომიკო ალეკსეიც (საგარეო საქმეთა სამინისტროს წამყვანი თანამშრომელი) კი გაწითლდებოდა, ეს სახეზე, თორემ ტან-ტვინ-ფეხით კარგად იყო აღნაგი,

- ესეც ეგრე, - დაამატა ამაზე სანდრომ,

ამასთანავე, ჩვენი (ვაი!.. თფუ!..), ეე, სხვადასხვა საზოგადოების წევრობიდან წვალობით შეღწეული საბჭოთა სხვადასხვა წარმომადგენლობები გამოგდებულ-იქნენ, აგრეთვე ამასთანავე მკვეთრად იკლო და თითქმის ნულამდე დავიდა სესერეკაელების ადრე თუმც ისედაც ყოვლად გაკოჭილად მაგრამ ვითამტურისტულად გასვლითი ვაი-მარკოპოლოობა მსოფლიოს სხვადასხვარელიეფიანი ქვეყნების ასე დაახლოებით ცხრანახევარ მეათედში, ხოლო იმ ჰოკეითაც დამარცხებულ ქვეყანაში ხომ, უტანკოდ ერთიც აღმავალი ხუთწლედით მაინც აღეკვეთათ ყოველგვარზომიანი ფეხი, ხოლო სხვა სოციალისტურ ასე ვთქვათ თანამეგობრულ ქვეყნებში კი თუკი უშვებდნენ ტურ.-ჯგუფებს, მაგრამ აუცილებლად გაჰერმეტიულებს ისე რომ, საბჭოურ მტკიცედ შეკრულ შესვარკავებულ ჯგუფს ტუალეტშიც კი ვერ განეყოფობოდა ინდივიდუალურად გაჭირვებული კაცი,

- ესეეეც, ესე, - ითვლიდა მოსავალს სანდრო,

და, სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა, სსრკ-ზე ორ ყველაზე შესანიშნავ ანეკდოტთაგან, ერთ-ერთი; აი, ისიც:

„სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებს ჰკითხეს, თუ ვინ როგორი ტრანსპორტით სარგებლობდა შინ და გარეთ; ფრანგს უთქვამს, საფრანგეთში, მესიე, მცირელიტრაჟიანი რენოთი დავდივარ, საზღვარგარეთ კი - გრძელი როლს-როისითო, იტალიელს უპასუხნია, სინიორ, შინ გრაციული ფიატით, ხოლო

საზღვარგარეთ - გრაციოზული მაზერატითო, გერმანელს მიუგია, შინ მომცრო ფოლკსვაგენით, ჰერ, საზღვარგარეთ კი ზორბა მერსედესითო, და ასე შემდეგ, და რომ დამდგარა რუსის ჯერიც, იმას ჯერ ერთგვარად ერიდებოდა სიმართლის გამხელა, რადგან საზღვარგარეთ სხვები უფრო პრესტიჟული ტრანსპორტით მიემგზავრებოდნენ, ამას კი აბა რა უნდა ეთქვა, მაგრამ მაინც არ გაიტეხა თურმე იხტიბარი და, უთქვამს: „ია, ტავარიშჩი, ვ ოტჩიზნე ნა ზაპოროჟცე რაზიეზჟაიუ, ა ზა გრანიცეი - ნა ტანკახ“-ო, და,

- ესეც, ასეე, - აღნიშნა სანდრომ, - აბა არ გაემარჯვათ, რა ზაგრანიცასაც ნახამდნენ ტანკებით, და თანაც ასე გამოსაჩენად, იმასაც ვნახავდი,

იცინა ცოტა, და,

ჯერ კიდევ სად ხართო,

მაგრამ იმაზე მხოლოდ გაეღიმა, როცა ერთი შედარებით ცნობილი ქართველი სპორტული მოღვაწის დისშვილისაგან გაიგო, რომ თურმე საკავშირო ფიზკულტურისა და სპორტის სამინისტროში ჰოკეის ფედერაციის ავანგარდული ხელმძღვანელობა თუმც უცვლელად დაუტოვებიათ, მაგრამ, ამ მორიგი პირველობა-სათვის, გამონაკლისურად მადლობის გარეშეც კი დაუტოვებიათ სპორტის ამ შემთხვევაში ვაიდ-მოლიპული სახეობის მესვეურნი, ის კი არა და, არც ჰოკეისტებისთვის მოუწყვიათ დიდად საზეიმო შეხვედრები და არამცთუ ორდენები, არამედ არც მედლები და „ტყის მოყვარულთა“ ტაიგასავით დიდად გავრცელებული ნიშნებიც კი არ გადაუციათ, ყოველმხრივ ჩვენც სუ და თქვენც სუო, მაგრამ რაღაც შიდაზომები ხომ მაინც უნდა მიეღოთ და ალბათ ამიტომ თუ გაუთავისუფლებიათ საპატიო სამსახურიდან ძირითადად თარაზული მოძრაობის ჰოკეის კი არა, არამედ ბატუტზე ძირითადად შვეულად და თანაც მაღლა-ჰაერში მრავალგზის ამოკოტრიალობებიანი ზემო-ქვემო ხტომის ფედერაციის მთლად ახლად დანიშნული პასუხისმგებელი მდივანი, და თან ისე-უბარლოდ კი არა, არამედ სასტიკი საყვედურის შეტანით პირად საქმეში ანუ უცილობელ საიდუმლო დოსიე-ანკეტაშიც, ხოლო ამგვარ ანკეტაში ხინჯოვნების შეტანა რასაც ნიშნამდა, ამაზე ცხადად მეტყველებდა სესერეკასეულ ანეკდოტებთაგან შესანიშნავი მეორე:

„ორი ძმა ყოფილა ბელორუსიაში ომის დროს; ერთი თურმე პოლიცაი გახდა და ნახევარზე მეტი სოფელი დააჭერინა და დაახვრეტინა, პარტიზანებს მხარს უჭერენო; მეორე ძმა კი ნამდვილი გმირი დამდგარა, მტრის იმდენი მატარებელი პირნათლად აუფეთქებია და ხიდიდან ცივ წყალში გადაუშვია, რომ დიდი და უაღრესად სიცოცხლესათუო თავგანწირული წვლილი შეუტანია ომის მოსაგებად, იმდენად დიდი, რომ უმაღლესი ჯილდოთი, საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდებითაც კი დაუჯილდოვებიათ და ლენინის ზედაც ორდენი მიუყოლებიათ; გათავებულა ომი და, შეუდგა შედარებით მშვიდობიან ცხოვრებას ხალხი, და პოლიცაი ჯერ კომკავშირის რაღაცად დაუნიშნავთ, მერე ისევ კომკავშირის კიდევ მეტ რაღაცად, ეს გმირი კი სადღაც ციმბირის ტაიგაში ცივად გაუგზავნიათ, და იქ, შუატაიგაში, რაღაცა შეუხედავი ქოხის დარაჯად დაუყენებიათ დიდ ჭახჭახ-სიცივეში, პასუხსაგები ობიექტიაო, ხოლო ყოფილი პოლიცაი კი უკვე პარტიის

ცეკაში მიუღიათ რაღაცათ, ხოლო გმირი სულ გაბმულ დენდარტყმულივით აცახცახებული დაყურყუტებს თურმე იმ რაღაცა ქოხ-ობიექტთან და მთლად რომ არ გაიყინოს, მერე და მერე სულ ძუნძულით დარბის ქოხის გარშემო, და თან თავს იმით იმხნევებს, ალბათ ძალიან გასაიდუმლოებული და დიდად დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტაცია-რამე ინახება შიგ, ან, მთლად უკეთესი, ახალი ტექნიკით ჯერაც გასაიდუმლოებული ასაფეთქებლებიო, თორემ აბა ასეთ გმირს ამსიშორეს, ამსიცივეში საციმბიროდ როგორი გამამწესებდნენო, ხოლო ყოფილი პოლიცაი კი ამასობაში პარტიის ცეკაში კიდევ უფრო დიდ რაღაცარამეთ დაუნიშნავთ, ისეა თურმე, კარგს ჭამს, კარგს სვამს, და სულ პარავოი ატაპლენიებზე სძინამს, ხოლო გმირი კი იყინება ისე, ისე, რომ სუმთლად როარ გაიყინოს, სულ დახტის თურმე ეს გმირი კაცი ტოტიდან ტოტზე მთლად იმასავით, ეე, ლომისავით, და დაინტერესებულა, ისეთი მაინც რა ძევს ამ ქოხში, ასეთი ძვირფასი, ასე დამსახურებულ კაცს რომ მაყარაულებინებენო, და, შეუჭყეტია ქოხში თურმე და, რა ძევს? - არაფერიც, გაბრაზებულა ამაზე, და, კიდევაც რომ აგრილებულა უმფრო, ისე ხტის თურმე, რომელი ბატუტი და ზედაც იმისი ფედერაცია, და ისიც გაუგია ამ გაბრაზებულზე და ცხელ თუ ცივ გულზე და თანაც ჰაერში რომ ის თავისი ძმა ამასობაში თლათ და სუთელათ ამ შემთხვევაში აფრიკასავით მზიანი ბელარუსიის ერთ-ერთი მსხვილი ობლასტნოი კამიტეტის მთლად მდივნადაც კი განუმტკიცებიათ ამის ხტომიალში და, ეს კი ვეღარ მოუთმენია და, დაუკრავს რკინის ქალამნიანი ფეხი ტაიგაში და ჯერ სულ ტაიგ-ტაიგ უვლია ჯერ და გაუმინდვრებია თეთრადვე მერე და შესულა მაგრამ თოვლის ადამიანივით ბელარუსიის მთლად მთავარ შენობაში სულ თოვლის ადამიანის ასპირანტურულ ყინულის ადამიანივით და, ისე ყოფილა მაინც გაცეცხლებული, გადნობამდეც კი, მაგრამ იმას რა გაადნობდა და, თავგანწირულზე, არ დაუნდია არცა ღვიძლი ძმა, იგივ დედმამიშვილი და არცა სიმართლე, და სულ ღრიალით უყვირნია,ვისაა რომ აწინაურებთ ობკომობამდე და ნიშნავთ და ნიშნავთ ასეთ თბილ და ნელცხელ საამურ ადგილებში, ეგ გათახსირებული და უჯიშო პალიცაი იყო ომის დროს, ხალხის მოღალატე და ჩვენი მტერი და იმათი ჯაშუში, და მეკი, ასეთ და ასეთ გამოჩენილ გმირს, რომელიც მტრისმატარებლიან შემადგენლობებს საკუთარი ღვიძლი სიცოცხლის ფასადაც ვაფეთქებდი, ახლა სადღაც გადაკარგულ ტაიგაში და მსოფლიო ყინვის ცენტრ-დედაქალაქში ასე არაადამიანურად მყინავთ და, თანაც, ტყვილა, ცარიელ ქოხთანო!!?, მე, ომის გმირი ვარო; იმათ კი, მთავარ მომსმენლებს, - ვითომო? ვითომ კი არა, - ამას ხრიალით მიუგია, აგერ ეს ჩემი გმირობის საბუთებიო, წარუდგენია თვალნათლივ, მაგრამ უფროსებს მაინც ეჭვითსებრ დაუხედავთ, რა გმირი უნდა იყოს ეს, ეს კრუხის პალოო (სიცივისაგან ძალზედ ყოფილა დაკუმშული), და, ემაშინ კი, რაო, საბუთებს არ უჯერამთო!!?, და მოუკორტნია გულიდან ყინული, გაადენია თურმე კაშკაში ოქროს ვარსკვლავს, და ბელარუს-მთავრები შემკრთალან თურმე, დაწყნარდით ამხანაგო, ახლავე გავარკვევთ რაშია საქმე, დაბრძანდით, დაბრძანდით-პაჟალუსტა, სავარძელში მოისვენეთო, და ეს კი სულაც ვერ დამჯდარა თურმე ისე ყოფილა გაყინული მუხლებ-წელში, ხოლო ისინი და ერთი იმათი მთავრების მთავარი კი, იქით გასულან მოსასვენებელ ოთახში მაგრამ აბა რა მოასვენებდათ, არამედ პირდაპირ მაშინათვე დაურეკიათ ცნობისწადილიანსვე კაგებეში, და რომ გაურკვევიათ ყველაფერი ძირითადი და მთავარი, გულზე მოეშვათ თურმე, რადგან ძმების

დანიშვნებში სწორები ყოფილან ყველა ინსტანცია თურმე, და რომ შებრუნდნენ სულ ოდნავ ცოტა ლღვობადაწყებულთან, შეუძახიან, აბაა, ახლავე კრუუგომ, მააარშ!-ო, როგორ თუ მარშ!-ო, უყვირია იმასაც, მაგრამ ამათ კი მთლად გამყივანი ხმით მიუგიათ, შენ ჭკუით იყავი თორემ, იმ ტაიგა და ციმბირსაც უკან დაგატოვებინებთო, როგორ თუ უკანო..., როგორ და,სწორა ყოფილხართ დანიშნულებიო, - ეს როგორაო..., ეს როგორა და, გენაცვალე (გენაცვალე არა ისა), კი, ამხანაგო, ერთის მხრივ ნამდვილად გმირი კი ყოფილხარ, მაგრამ რა გიყოთ, აბა, იმ შენ ძმას იმიტომ ვაწინაურებთ, რადგან ანკეტაში უწერია რომ ძმაყავს დამსახურებული გამოჩენილი გმირიო, ხოლო შენკი აბა რა გიყოთ, ჩვენც რა ვქნათ აბა, ცარიელ ქოხზე მეტს ვერ გენდობით, როგორ დაგაწინაურებთ აბა, როდესაც ანკეტაში შავით თეთრზე გიწერია რომ, ძმაყავს გამოჩენილი ოხერი და პალიცაიო?!, ასე რომ, არი ვე დერჩიო (არი ვედერჩი კიარა...)“,

ეს ანეკდოტიც სანდრომ მოჰყვა, და, დაამატა კვლავ:

- აგერას ნახავთ, სხვა ამბებიც თუ არ მოჰყვება იმ გამარჯვებასო,

და,

მართლაც,

ერთ-ერთი ძმაბიჭის დეიდა, ასე შუახნის, პარტიული მაგრამ ალბათ ანკეტურადაც კი „მორალურად თავდაჭერილი“ და გაუთხოვარიც კი ამასთანავე ქალი, ტურისტ-დამსვენებლად გაემგზავრა ერთ-ერთ მოძმედ სოციალისტურ და ზღვიან ქვეყანაში, და წასვლით კი გახარებული გაეშურა, მაგრამ, რომ ჩამოიყვანეს, მთელ ორ კვირას ვერაფერი თქვა, მხოლოდ ღამღამობით ჰყვიროდა თურმე, და ისიც გაუგებრად, „ვაიმე დედა“ს თუ არ ჩავთვლიდით, ხოლო სამი კვირის თავზე, გამოიხედა, და მდგომარეობიდან და საბილიუტენობიდან ცოტათი გამოვიდა, ხოლო მეოთხე კვირის მიწურულს, - დრო მკურნალია ხანდახან საერთოდ მძიმე შემთხვევებშიც, - შედარებითი გადარჩენის აღსანიშნავად პურ-მარილი გადაუხადეს გულისხმიერმა ნათესავებმა: „კარგით, აღვნიშნოთ ჩემი დაბრუნება, მე თუ არ მომსპობდნენ ანთუ ჩემით არ გამისკდებოდა გული, არ მეგონაო... ჭერამი“...

იჯდა, დაღვრემილი; სუფრასთან დაკავშირებით ახლობლები ტრიალებდნენ; იგი კი იჯდა, დაღვრემილი; ხანდახან შედარებით გამოცოცხლდებოდა; ჰყვებოდა:

- რა იყო მაინც ეს ჩემს თავს, რა უბედურება, მაინც რა და რა აღარ გადავიტანე, გავთხოვილიყავი-მაინც იქ წასვლას, იქნებ უკეთესიც კი ყოფილიყო, მაგრამ ასე მეგონა, წავალ და ზღვისპირას ერთს კარგად საერთაშორისოდ დავისვენებ მეგობრულ ვითარებაში-მეთქი, რა ვიცოდი თუ, იმ ქვეყანაშიც ისე იქნებოდნენ ჩვენზე გამწარებულები, გინდაც ამათთვის შეესიათ ბოლო ხანებში ტანკ... ა?, ა?, ტანკებს ნუღარ გამაგონებთ, არამედ შეესიათ თვითმფრინავები და ზარბაზნები და ათასი ოხრობა და მამაძაღლობა, არამედ ტანკებს ნუღარ ახსენებთ... ჭერამი...

აი, სწორედ ასე და ისე იყო აღელვებული, რომ, ამ ანტიმაყვალიურმა და დარბაისელმა პარტიულმა ქალმა სიტყვა-გამოთქმა „მამაძაღლობა“ც კი უბრალო

უპარტიო ადამიანივით ყოვლად უბოდიშოდ იხმარ-გამოიყენა, რაც ეს თავისთავად უკვე რაღაცას ნიშნავდა,

- მე რომ დავისვენე, ისე დაისვენოს მუშათა და გლეხთა უბრალო ბურღმანქანით კბილის დაპლომბვისას ან, ყურების უექიმოდ ანთებისას იმ ოხერმა სუსლოვმა, (რა შუაში იყო ყურებასანთები სუსლოვი გინდაც ყურმოკლე და გინდაც დიდყურა ყურებდასაწვავ ტარკინისთან, თუმც - სადაურსა სად წაიყვანო), და დავისვენე კი არა, მარტენის ღუმელში შეგდებულ ნერვებად გადავიქეცი ქალი (კაცო, ნეტა ეს ქალი კბილებ-ყელ-ყურის სპეციალისტი ექიმი იყო, ნევროპათოლოგი თუ, მეტალურგი?), მაგრამ ვინც კი წავედით აქედან იქ, ჭკუიდან შეშლილები ჩამოვედით ყველა, რაც მე დეგენერატკამ საგზურზე ვირბინე, ვერ დავეტეოდი აქ?, რა ჯობდა თურმე აქა-ყოფნას, ქმარი მე არ მყავს და არაფერი, მაგრამ ადამიანი რომ თითონ უზამს საკუთარ თავს, რომელი ქმარი, რა შეედრება, ტყუილია, ახლა რომ ვუკვირდები, თურმე იმიტომ დავრბოდი პროფკავშირებში და კიდევ უარესებში რომ ჭკუიდან შეშლილები დავბრუნებულიყავით ყველა? და ჩვენ კიდევ რა გვიჭირს, ჩვენ სულაც აღარ გვინდა გათხოვება ეთერის და მე, დების ოჯახებიც მაქვს, მაგრამ ის ერთი ახალგაზრდა გაუთხოვარი გოგო, ლალი, განსაკუთრებით მეცოდება...

იჯდა, დაღვრემილი; კარგი სუფრასა პირსა...

- ის განსაკუთრებით რატომ? - იკითხა სანდრომ.

- ე?, რაღა რატომ, ნერვიულობისგან ისეთი ენერგიულად ნერვიული პაჭუნი აუტყდა ერთ-ერთი ცალი მარცხენა განაპირა თვალის,

ვერა, ვერ ლაპარაკობდა დალაგებულად, და თურმე არც იყო ეს გასაკვირი, როგორც აღმოჩნდა შემდგომ:

- რომ იმას აბა ვიღა მოიყვანს ცოლად სანამ გაცივდებოდეს გადაიღეთ ხაჭაპური, აბა როგორი ამბავია, ნებისმიერმა გასათხოვარმა ქალმა, ამ შემთხვევაში კი ლალიმ ქუჩაში ყოველ გამვლელ-გამომვლელს და განსაკუთრებით ისედაც ოხერ მამაკაცებს ცალი განაპირა თვალი ძალიან ხაზგასმულად უპაჭუნოს, ე?, ე?, ხორცის ღვეზელიცაა?, გადაიღეთ, გადაიღეთ...

მაგრამ უგულოდ მოაყოლა ეს, რადგან ძირითადად დაღვრემილი, იჯდა; მაგრამ კიდევ კარგი, ალაპარაკება შეეძლო:

- ამას ისიც კი სჯობდა, ორივე თვალით აპაჭუნებულიყო..

- მაშინ, წავიდეს მეორედაც, - ჩაილაპარაკა სანდრომ.

- არა, აქაურ ექიმებთან ხელმეორედ კი არა, ხელმეასედაც რომ მივიდეს, არა მგონია რამე ეშველოს, - ვერ ჩახვდა ნათქვამს ორმხრივ მობრუნებული დეიდაქალი, - ხოლო საზღვარგარეთ კი მეორედ ის დანამდვილებით აღარ წავა, ახლა იმას პარიზებს და რუმინეთს და ლონდონს ბევრად ურჩევნია ჩუღურეთი და შავიქვა ჭიათურა და სოლოლაკი, საწყალი გოგო, ადრე წამოსვლისას ისეთი კარგი იყო

გაგეხარდებოდა, მაგრამ ყველა ჩემსავით კი არაა ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, აგერ, როგორ დაუხმარებლად და მშვენივრად ვზივარ, ვლაპარაკობ კიდეც, არც განაპირა თვალს ვაპაჭუნებ და არც არაფერი, ჭერამი, დღეს დილით ღამით შესამოწმებლად ჩართულად დატოვებული მაგნიტოფონი რომ გადავამოწმე, იმ ორმოც წუთში ორის მეტი აღარ მიყვირია, მკვეთრი გაუმჯობესება მაქვს, გადაიღეთ რა ისპანახი სასარგებლოა და თან რომ ვუფიქრდები მარცხენა თვალის აპაჭუნება უფრო უარესია, რადგან ქუჩაში ხომ ტროტუარზე მარჯვენა მხარეს ვიჭერთ მოძრაობის დროს ქალები, ხოლო შემხვედრი ცოლშვილიანი აუგი მამაკაცები სწორედ მარცხნიდან გვივლიან, ე?...

აქ რაღაც სევდა-ტკივილი შემოაწვა; და პაუზა-ყოვნმა იძალა; მაგრამ სიცოცხლისადმი დაუოკებელმა სწრაფვამ მაინც იმარჯვა, თავისი გაიტანა, და ალაპარაკდა მაინც:

- ახალგაზრდები კი ხართ ზოგიერთი, მაგრამ ალბათ მაინც გაგეგონებათ, ისედაც როგორი მკაცრი დღეღამური სადღეღამისო რეჟიმია ჩვენების ტურისტულ ჯგუფებში ("ჩვენების ჯგუფებში"აო?!, - ჰეჰ, მაინც ასე წამოსცდა), ყველა ერთად უნდა დაწვეს... არა-ა?! ერთად კი არა არამედ მართალია ცალ-ცალკე მაგრამ ერთსა და იმავე დროს უნდა დავწვეთ ერთად,

რეებს ამბობდა, ეს დროული ქალი, ვერ ლაპარაკობდა დალაგებულად, რაც თურმე არ ყოფილა უმიზეზოდ და ტყვილა-უბრალოთ:

- მერე ყველამ ამა დაამ საათწუთზე უნდა გავიღვიძოთ და დავაჭყიტოთ თვალები თუკი ჯერჯერობით ორივე გვივარგა, მერე უნდა ჩავიტაროთ თმის დავარცხნა და საერთოდაც მოწესრიგება სულ რაღაც ნულოცდახუთ წუთში, თან საუზმეზე ისე გიბღვერენ ოფიციანტები, თვალები სად წაგვეღო აღარ ვიცოდით, რა ოხრობაში, რაქვია იმას დამავიწყდა (რაც მუდამ ახსოვდა უბოდიშო მაყვალის - ავტ.), რადგან მთელი მსოფლიოს ორივე სფეროს თუ ნახევარსფეროს ტურისტებიდან ჩაევიებს მარტო ჩვენ არ ვიძლევით და არც არაფერს, მერე ქალებს და კაცებს დაგვაწყობდნენ ერთმანეთს (ვაი!?.) ოღონდ ქალებს ცალკე და კაცებს ცალკე (კიდევ კარგი...), და ხელებიც უნა ჩაჭიდებული გვქონოდა ერთმანეთზე (ვაი!?.) ხელებში (ეს კიდევ შეიძლებოდა...-ავტ.), განაპირებს კიდევ რა უჭირდათ, შუაგულებში განაწილებულებს კი ცხვირსახოცის ხმარება გვიჭირდა, თან ერთ-ერთი მთავარი უბედურება ის იყო რომ განურჩევლად უკლებლივ ყველას ერთიმეორე კაგებეშნიკი ან კაგებეშნიცა გვეგონა აი სუ ყველას ადრინდელი ამხანაგობის და ნდობის მიუხედავად და ნამდვილ მეტანკეებზე ვეღარც ვიგინებოდით ხმამაღლა არამედ მხოლოდ გულში ვიგინებოდით ოღონდ უცენზურად და ტანკების ნამდვილ წამომწყებებზე ვერ ვძრავდით კრინტულ გულის სიტყვებს, ერთადერთმა ლალიმ შეიგინა ძალიან მწარეთ ერთხელ, ამ უმწიკვლო ბავშვმა, როდესაც პარტკომმა უთხრა, ნუ გეშინიათ ამხანაგო ლალი, თვალის პაჭუნი არაფერია, სამშობლოში ორივეს ნამდვილად გადაგვივლის რადგან საბჭოთა ავადმყოფი ყველაზე ჯანსაღი ავადმყოფიაო, რუსულად უთხრა რადგან ვორონეჟელი იყო, და ხოლო სწორედ აქ შეიგინა ქართულად სწორედ ჩემსავით უბიწო მაგრამ ცალთვალის გამო ჩემზედაც კი მეტად ანერვიულებულმა და ცალი

თვალით ისედაც საეჭვო ლალიმ მაგრამ ისე მწარედ რომ ადრე მხოლოდ არნოლდისაგან მსმენია ასეთი აღმოხდილი შეგინება ვასკოს თუარ ჩავთვლით, მოკლეთ, ასე დავყავდით სხვადასხვა ქალაქების ვითომ დასათვალიერებლად, მაგრამ აბა რა დათვალიერება ის იყო ე?, თქვენ რატომ არაფერს მიირთმევთ, რადგან კაცებს წამდაუწუმ შორიდან თუ ახლოდან პირდაპირ ეძახდნენ, - ტანკიისტ, ტანკიიისტ, ხოლო ქალებს კი, აგერ გადაიღეთ დედალი, - ქალებს კი - ტანკისტკა, ტანკის-ტკააო, აბა რომელი ტანკისტკა მე ვარ, ველისაპეტის ტარებაც არ ვიცი, ხოლო...

- კი მაგრამ, როგორ გცნობდნენ, ქაბატონო? - იკითხა სანდრომ.

- რაღა როგორ გვცნობდნენ გენაცვალე, პირველივე ქალაქში იმითი რომ ჯერ საბჭოთა დროშა-ბაირაღი მიქონდა სუწინ ჯგუფის ხელმძღვანელს ვითომ დიდი გამოსაჩენები ვიყავით, ხოლო მეორე ქალაქში კი თუმცა ლეიბების შუაში მალავდა თურმე,

- რას?

- დროშას,

„ლეიბსა და ლეიბს შუა დროშა გაგიშენებია“, ალბათ ასე გაიფიქრა სანდრომ, ისე გაუონავრდა სახე,

- მაგრამ რათ გინდა, შემდეგ ქალაქებში იმითი გვცნობდნენ რომ ერთი აღიარებული მუშა-ამფეთქებელიც რაღაცა გვერია ვორონეჟელი ერთი, ქართველები და ვორონეჟელები რატომღაც ერთ ჯგუფში ვიყავით მაგრამ ხელმძღვანელებად სუისინი იყვნენ და ერთიც თვით მოსკოველი, და იმ მუშას კი გამოჩენილი მკერდი სულ ორდენებით და მედლებით ჰქონდა მიჭედილი კიტელზე და თავში მიმავალი ჯგუფის ხელმძღვანელი და ბოლოში მომავალი პარტკომი კი წრიალებდნენ მერე და მერე ამაზე, მაგრამ რა ექნათ, აბა მუშათა კლასის წარმომადგენელს როგორ ეტყოდნენ ახლავე მოიხსენი ეგ საბჭოთა ორდენებიო, ორი პარტბილეთი კიარ ქონდათ, თან, სანამ კიევიდან გავემგზავრებოდით, ძალიან მოუწონეს ორდენოსნობა, თან თურმე საბჭოთა ორდენოსანიც თურმე ალბათ ნამდვილად ყველაზე გამოჩენილი ორდენოსანია, რადგან იმის დანახვაზე იმისთანა ყვირილი ატყდებოდა ყველგან და ირგვლივ, მტერს - ტანკისტიიი, ტანკისტიიიიო, ყველგან... ყოველ სხვადასხვაღერბიან ქალაქში, და ერთი სული გვქონდა როდის მივაღწევდით ზღვამდე განსაკუთრებით ჩვენ ქართველებს რადგანაც იქაც შავი ზღვაა თურმე ხოლო ზღვებიდან შავი ხომ მშობლიურივითაა ჩვენთვის აგერ მაშარაფი დაისხით ვარიკაზე და ყიყლიყოოზე უხდება ძალიანზე...

ვერა, ვერ ლაპარაკობდა დალაგებულად, თუმც მაინც მოისმინებოდა,

- ხოლო როდესაც ზღვამდე ჩასაღწევად ერთადერთი ქალაქიღა დაგვრჩა, როგორღაც მაინც გავიმხნევეთ უსამართლოდ დაჩაგრული გულები, ხომკი მივაღწევთ აგერ ხვალვე როგორმე ზღვამდე და მერე რაღა გვიჭირს-თქო გვეგონა, შიშვლები აკი ერთი ვართ ყველა, ეე, ანუ ასე იგი საცურაო კასწიუმებზე აბა ვინ

დაიკიდებს ორდენს და მედალს განსაკუთრებით კაცები, მაგრამ იმ ნანატრ ზღვამდე სანამ მივაღწევდით, ისე მოვიწამლეთ საჭმლითაც კი ყველა, მაპატიეთ და ადამიანური ფერი აღარ გვედო სახეებზე და ამის გარდაც ავტობუსსაც წამდაუწუმ ვაჩერებინებდით აშკარად გახარებულად-კმაყოფილ მძღოლს იმ დღისით-მზისით შედარებითულ მოფარებულებში, რადგანაც ეს ძალიანაც გარდუვალი იყო, რატომ არავინ აღარ მიირთმევთ არაფერს, აგერ ვინიგრეტი მაინც გადაიღეთ კარგია გარჩიცასთან და ნი ხრენა,

(ვაიმე!?),

ხოლო არცკი მინდა ვთქვა და საერთოდაც რა სათქმელია, მაგრამ რომელიღაც ერთ-ერთ მორიგ სოფელთან, აბა მე რა ვიცი მე იმისი სახელი და განსაკუთრებით არც იმ ცუდად შემომთხვევითი ძაღლის ჯიშისა, ხოლო სწორედ იმ ერთ განსაკუთრებით უზრდელ და არასტუმართმოყვარე სოფელთან ჩვენს ცუგრუმელა ლალის იმ ერთმა მაწანწალა ძაღლმა, არც ყელსაბამი ქონდა და არც არაფერი და მაგრამ ისე უკბინა, და ისეთ ადგილას, რომ აკი არც მინდა-მეთქი ვთქვა სად და საერთოდაც რა სათქმელია, სად, ხოლო ლალი მაშინ ჯერ კიდევ ცოტათი მსუქანი იყო თქვენ რატომ არ მიირთმევთ არაფერს გადაიღეთ-რა კურტუმი, ხოლო საღამოხანს რომ ჩავედით ძალიან შემსუბუქებულები იმ ზღვისპირა ქალაქი იყო თუ რაიონული ცენტრი იყო ანდა სულაც სოფელი თუ დაბა თუ ხუტორი და ჯანდაბა, ახლაც არ ვიცი, რადგან ამჯერად კომკავშირის მდივნისგან აკრძალული გვქონდა დამატებითად გასვლითი ღონისძიებები, ლაწირაკი, და მაშინვე გადავესვენეთ საწოლებზე და ვეღარსად გავდიოდით იმ ხუთი თუ შვიდი დღიდან ორი-სამი დღე სულაც ვეღარსად გავდიოდი იმ ერთი ადგილის გარდა და კიდევ კარგი რომ ნომერში მაინც გვქონდა, არადა როგორია შუა და გახურებულ აგვისტოში ღორის ხორცით მოწამვლა გადაიღეთ რა ლორი, ჯერ გვაკანკალებდა იმ სიცხეში და მერე ჩვენ ორგანიზმებში კიდევ მეტმა სიცხემ რომ დაგვცხო კანკალით აღარ გვაკანკალებდა მაგრამ დავდენით ყინულებივით ყველა, ხოლო იქ ჩასულებიდან სამართლიანად ბეწვზე გადარჩენილ ერთ წინაპართა წესთამიმდევარ ვორონეჟელ თათარ-მაჰმადიანს, გვარად ვორონცოვს, იქ ადრე ჩასულმა და უკვე შედარებით გამოჯანმრთელებულმა ჯგუფმა უთხრა რომ და იმან კი ჩვენ გვითხრა ასე მითხრეს რომ,

(მაგრამ, ასეთად ლაპარაკშიც კი, ასე თუ ისე, შეიძლებოდა დედააზრის დაჭერა,)

- ეე?, არ უნდა გვესადილნა თურმე იქ მაგრამ აბა რა ვიცოდით, გამოუცდელებმა, რადგანაც ჩვენმა წინა ჯგუფმა ვორონცოვის პირით გვითხრა რომ და იმ წინა ჯგუფს კი თურმე იმათ კიდევ წინა ჯგუფმა უთხრა რომ არავითნაირსახეობაგვარ შემთხვევაში არ უნდა გვესადილნა თურმე იქ გინდაც დამჯდრებს და გინდაც დგომელა და არც დაწოლილებს,

(არა, ნამეტანი არ ვარგა არაფერი..., მაგრამ მაინც იაზრებოდა,)

- რადგან სწორედ იმ, იმ ოხერ და ნავარ და დასაბწკენ ქალაქში თურმე სწორედ იქ რაღაცა ტრადიციასავით შემოუღიათ რომ გამოსათხოვარ ბოლო ჭამაზე საბჭოთა ტურისტებს თურმე სპეციალურად დაძველებული ღორის ხორცით ისე წამლავენ

რომ არც მოკვტენ და აღარც დარჩნენო, ხოლო ჩვენ რა ვიცოდით ეს, უბრალოებმა, აბა საიდან უნდა გვცოდნოდა იმათი ვერაგობა და სიყვარული თუმცა სიყვარული რა იყო არამედ მხოლოდ ვერაგობა მათი ეს და რა ვიცით რომ გადაიღეთ გოჭი ახალია ნამდვილათ რომ უდანაშაულოებს ასე კაპიტალისტურად გაგვიმეტებდნენ თანამეგობრული მზარეულები და ალბათ თვით შეფ-პოვარიც, გაწყდა იმათი დუეტური, თუ, დიეტური?, მოკლედ, სინსილა, თუმცა რაღა მოკლედ, მთელ ორ და ზოგიერთები ლალიანა კიდევ ერთ დღესაც აღარ ვიყავით სისუსტით ეს უდანაშაულო ადამიანები სრულ აზრზე და ჭკვაზე ხომ სულ ვეღარ, ხოლო განსაკუთრებულ უბედო ზოგიერთებს სულ ორმოცები გვქონდა სიცხე და აბა მაშინ მაინც აბა რომელი ყველაზე ჯანმრთელი დამსვენებლები ჩვენ ვიყავით ანუ საბჭოთა, ვიწექით მოკუნტული... რა დავაშავეთ მაინც ასეთი, ლ?, ლ?, ვინ ამოგვართმევდა და შეგვიკეთებდა ნომერში საშველს, მერე კი, ორ დღეში შედარებით რომ გამოვიხედეთ, ორგანიზმმა მორიგი საჭმელიც კი მოგვთხოვა, უცნაურია ორგანიზმი, მაგრამ ფეხზე ჩვენ ვერ ვდგებოდით და სხვა აბა ვინ ამოგვიშავებდა რამეს, ჩაევიების ფული ჩვენ არ გვქონდა და არაფერი, ის ვარანცოვიც სულ ზღვაზე ეგდო თურმე, სულ შვიდ-შვიდ-პორცია საუზმენაჭამი თურმე, ჩვენ კი, ეე?, შიმშილით მისუსტებულები რომ, რა დავაშავეთ მაინც ასეთი, ლ?, ლ?... -

ჯდა, მტირალი, საცივის პირსა;

და მურაბიანი ლამბაქის პირსა, მაგრამ, დამღონებითლურ ფიქრებში წასულს, კოვზი პირს ვერ უღებდა; და უცებ გამოერკვა მსწრაფლ:

- უიჰო, ახლა ღამეებს როგორ ვათენებდით, აღარ იკითხავთ?

- კი! - წამოიძახა სანდრომ.

- როგორ და, იქ კოღოები ცოდნია აუარება ისეთი, რომ, როგორც... ეე, როგორც...

- რუსის ჯარი! - შეაშველა სანდრომ.

- არა ა?, გაგიგონია? მეტი გაცილებით უფრო, რუსის ჯარი რაა იმათთან, უბრალოთ ადგილი უჭირავთ მეტი, ხოლო რაოდენობით ამათთან ვერ მოვიდოდნენ ნამდვილად, თუმცა რა ვიცი, მგონი ჯარის დიდი ნაწილი, მაგინი თურმე უმრავლესობა მიწისქვეშეთებში და ტუნელებში ყავთ დამალული და ტანკებშია, ვიღაცა გვწყევლის გველეშაპურათ, მოკლედ, კოღო იყო იქ მიწისზედეთში გამოფენილი ყოველ ღამღამობით იმდენი, ანთებული ნათურისაკენ გახედვა და იმისი აღმოჩენაც კი ჭირდა ისეთი ჰქონდა ალყა, და მთელი ღამე სველი პირსახოცით ვეომებოდით, დასუსტებულები მაგრამ, გაჭირვება მაჩვენეო და სმა და სმა უნდა ღვინოსა და ხანდახან შემოქნევაიო ეთერიმაც და ლალიმ, რაც ჩვენ ამ სამმა ისინი ვხოცეთ და ვხოცეთ, იქ მართლა გეგონებოდათ კი არა მართლა დატრიალდა მისუსტებული რუკოპაშნიები, მაგრამ რათ გინდა, ჭერამი, დავწვებოდით თუ არა, ისედაც სიცხიანები, თუ უსიცხოებიც და ორგანიზმით მოუწესრიგებლები იმ შავი მამალივით გაკეთებული ოხერი თათარ ვარანცოვის გარდა, დაწოლილებზე მოგვიგდებდნენ პატარა ხანს ყურს, და შემოდიოდნენ და

შემოდიოდნენ მერე სულ დასტა და დასტა, ისინი მაინც რამ გაამწარა, გვკბენდნენ კი არა, გვჭამდნენ პირდაპირ, ერთი პირობა ვხურავდით ფანჯრებს, მაგრამ ვიხრჩობოდით მთლად, აგვისტოში, თან მთლად ახალი შეღებილი იყო კედლები პულვერიზაციით თუ რაღაცაა, წინა ჯგუფების და იმათგან კედელზე მისრესილი კოღოების ნაკვალევები რომ დაეფარათ და, ფანჯრების მიხურვაზე სუნი დგებოდა ისეთი, მტრისას, დაისხით კარგად ნიორწყალი მისწრება ყოფილა მაგისი არომატი განსაკუთრებით იმასთან შედარებით, გავაღებდით რაღაცა ორ წუთში ფანჯრებს და, ასე არ უნდა მიპატიჟებაო და რა ისინი და და რაღა შავ ზღვაში ქვიშა, რა დავუშავეთ, მე შენ გეტყვი და იმათაც ტანკების ჯავრი ქონდათ ვითომ? არა ა?, მწერი და ცხოველი საერთოდ, ადამიანზე ბევრათ ობიექტურია, და თურმე ნუ იტყვით, იმ ჩვენი თანამეგობარი მასპინძლების გამოისობით ყოფილა ესეც, გავიგეთ მერე რომ მოვდიოდით თვითმფრინავში რომ თურმე ჩვენდა უბედურების გარდა სხვაგან არსად არ დაჭაჭანებდნენ თურმე, თურმე სხვა ქვეყანელების არამცთუ სასტუმროებში, არამედ მიმდებარე სკვერ-ტერიტორიებზეც თურმე რაღაცა ისეთ ხსნარს თუ მტვერს უშვებდნენ და ალივლივებდნენ ჰაერში, რომ მთელი ის კოღოობა კუდამოძუებული გამორბოდა იქიდან, მაგრამ იმათ რა უჭირდათ რა, აგერ არ ვყავდით, ყურისძირში, გათენებამდე საქეიფოდ ჩვენ, საბჭოები? გავთხოვილიყავი მაინც, პატარახანს მაინც დავიძინებდი თურმე, და, კირომ შევძელით როგორც იქნა საზღვაოდ გასვლა, ახლა იმას არ იკითხავთ იქ რა გველოდა ახალი გულგასახეთქი?

- რა! იქ რაღა იყო, რაღა იყო იქ, ჰა!!? - შეიძახა ისევ სანდრომ.

- რა და, ჩემო საშა, მთელ ტურისტულ ჯგუფებში მარტო ჩვენ დავყავდით ჯგუფურად და მაგითი მაინც გვცნობდნენ სხვა თუ არაფერი, ე?... რაღაში გვარგოდა არავის რომ ვეღარ ეკეთა პლავკებზე ორდენი და მედლები, და ღამენათევი გამომეტყველებითაც, მოხარშულს გვცნობდნენ. ე?... გადასაცმელად მხოლოდ ნოლორი წუთი გამოგვიყვეს, როგორი იყო მისუსტებულზე, ასეთი უცებ ფეხის მოხვედრა-გამოხვედრა (კარგავდა კონტროლს - ავტ., - მაგრამ ეპატიებოდა), ხოლო მერე კი გადასაცმლიდან ზღვამდე ახლა მხოლოდ სამ-სამად გვამწკრივებდნენ ალბათ მხიარული და ყოჩაღური რუსკაია ტროიკას საფუძველზე ანდა ნა ტრაიხ, ოღონდ აქაც ქალებს ცალკე და კაცებს ცალკე სქესობრივად და ხელებით კავშირში და რომ და რომ ჩაბერავდა საფსტვენში მოსკოველი ვითომ-ინსტრუქტორი იმას დავაყარე მიწა და რომ სანამ საბოლოოთ წაგვასხამდნენ ჯგუფის ხელმძღვანელი და პარტიული და კომკავშირული დაჯგუფებების მდივნები იმათ დავაყარე მიწები და ბლოკნოტიანი პროფკომი იმას დავასხი მელანი და ერთიც სახალხო კონტროლი იყო თუ რაღაცა, და ის მეორეც დასამიწებელი კონსტრუქტორი თუ ინსპექტორი მეორე სასტვენს მთელი ძალით იძლეოდა ვინმე რომ არ დარჩენილ-დამალულიყო გადასაცმელში - გაიგებთ, რატომაც - და რომ ჩაბერავდა და მისცემდა ბოლოს მესამედ სასტვენს სპილოსავით ღონიერათ მთავარი პარტკომის მოადგილე საფსტვენში, გავემართებოდით ჩვენ, ხელიხელჩაკიდებულები ინტიმურად შავი ზღვისკენ, და, მაგრამ, სანამ, შევიდოდით სახელწოდებით ვითომ მშობლიურ ზღვაში, რადგანაც ვითომ მშობლიური შეჩვეული შავად მიმღები ზღვაა იქაც, მაგრამ, იქამდე, ანუ ესე იგი

ორწუთიანი გადასაცმლებიდან ზღვამდე? - ვაი და ვუი, სულ ნაკვერჩხლებზე რომ გვევლო რამდენად გვერჩია ის, აგრესორები პრიეხალიო და, ნავთი და ცეცხლი, რასაც ჩვენ მთელი იქაური არასაბჭოთა დამსვენებლობა რაც სულ ჩვენ გვისტვენდა, რომელი ერთი აღარ გინდა, როგორი შესახედავი და რჯული?, ფრანგი, თათარი, ალბანელი, შვედი, ინდუისტი, ესპანელი, ინგლისელი, იუდაისტი, კათოლიკე, შიიტი, გვატემალელი, სუნიტი, ჩინელი, იეღოველი, იტალიელი კონფუციანელი გინდა თუ მაჰმადიანი ნამდვილი ვორონცოვივით კი არა მარტოჭამაში, ორმოცდაათიანელი, და ნირვანაში ჩაძირული მთლათ ბუდისტიც კი,

და, კაცო, შემთხვევით სულაც ათეისტი ხომ არ გახდა რამდენიმე სხვადასხვაგვარი გაღიზიანებისგან ის სულაცდა დეიდაქალი გაუთხოვარი იგი, ნეტავ? აბა საიდან იცოდა, ამდენი,

განაგრძობდა, კი:

- შავი, შავტუხა, მსუქანი, თეთრი, გამხდარი, უნგრელი, საშუალო, ყვითელკანიანი, წითელკანიანი, ზანგი, ჭერამი, კოსტარიკელი, ისლანდიელი, სათვალიანი, უსათვალო, მზისსათვალიანი, ერთი ბინოკლიდანაც მოგვჩერებოდა, მეტისი, ფინელი, მულატი, ხუჭუჭა, ჯაგარა, ლამაზი, ულამაზო, თეთრი გინდა თუ დამწვარკანიანი, უკანო, მაღალი, დაბალი, საშუალო, მთლად მუნჯი გინდა თუ თარჯიმანები, შეხედული თუ შეუხედავი, იმათშიც გინდ საშუალო, მოღუნული, გამართული, წერწეტი, დაფეხვილი, ნაკოლკიანი, თუ უნაკოლკო ჩემსავით, ბანჯგვლიანი თუ ქოსა და ქერა, ძვალი და ტყავი თუ ღიპიანი, და რამოდენიმე რიჟა, რიჟაც კი!, ეგ გათახსირებულები ყველა, სუყველა მარტო ჩვენ გვიფსტვენდა, სხვა აღარ ქონდათ იმოდენა ხალხს ტიტვლებს პლიაჟზე საქმე? ეგ ამორალურები და გათახსირებულები ეგ, გავთხოვილიყავი მაინც, არ მერჩია?, ყურები მაინც დამრჩებოდა მთელი სხვა თუ არაფერი, და ერთიც კი ვითომდაც დარბაისელი ბებერი და ენგელსივით დიდწვერ ტყვილადაყენებული (იცოდა მანაც, დეიდამაც? - ავტ.) ერთი ბებერი-ხრონწი კაცი გვიფშვიტინებდა ისეთი განსაკუთრებით ტემპერამენტიანათ რომ გახარებული მილიციანერი გეგონებოდა ადამიანს, გვიშტვენდა ყველა, ყოველი სქესი, ზოგი თითებით, ზოგი მთლად უთითოდ, იმ ტყვილადაყენებულ წვერიანმა რაღაცა ტრუბაც კი მოიტანა მეორე დილით, ჩვენი დანახვა იყო და, აღარ იცილებდა პირიდან ოხერი, უხხ?, სასიკვდილე, სასიკვტილე, ჰაივ-დედასა?, - ქალი და კაცი აღარ უნახავთ? - ერთიმეორეში უდანაშაულოები, თანაც?, - ე?...

ისხდა, დაღვრემილი; სხვებიც, სტუმრები, ჯილარიობდნენ, ოღონდ ასეთი მწუხარის ლაპარაკისაგან ეუხერხულებოდათ იმისობისას არამცთუ რთული და სერიოზული საჭმლის, არამედ ბოლოკის გადაღებაც კი და ვერცერთი ვერავინ ვერაფერს ვერ ვერმიშელობდნენაცკი ვერცხლისწყალა ვერიკოს გარდა თეთრი თრითინა თეთრ თრთვილზე თრთოდა რომელი ვერიკოც (ვერიჩქაც) რადგან სულ სხვა იყო და ამიტომ აქ ვერიკო ვერიყო,

- და, კი მაგრამ, ქალბატონო ჟუჟუნა, რითმისთვის მაპატიეთ მაგრამ გაჟუჟვნა უნდოდათ ოღონდ მორალურად თქვენი? - იკითხა ერთმაც მშიერმა მხცოვანმა სტუმარმა, თუმც ასაკგადასულები უსაჭმლობას შედარებით უკეთ იტანენ გამონაკლისის გარდა; თანაც დაახლოებით ასე, ნაკითხი კაცი იქნებოდა, წვერები ქონდა სახიდან ისეთი...

მაგრამ ისედაც გულდარდიანმა ჟუჟუნამ მართალია აქ იქ ერთი კი შეხედა იმას, განა მაგრამ ზამთრის ზღვასავით ცივად აქაურ წვერიანსაც კი (თუმც წვერი ბევრგვარი და სხვადასხვანაირია, მაგრამ ზოგისთვის, ბოლო-ბოლო, - ერთი), და აღნიშნულცივად შეხედა თუ არა, გამოიხედა ისევ, ისევ მუხლებზე დაისვა შეწუხებული მზერა, მოსაფერებელ უდედო კნუტივით (ვა?, - უადგილო პოეზიავ, ვა?... - ავტ.)...

- ზღვამდე თუ როგორ მივაღწიეთ, ახლაც არ ვიცი, ხოლო თავმოყვარეობაშელახვით დროებითი შერუჯულობა უკვე კარგა გვქონდა სახეზე, განსაკუთრებით უდანაშაულო ქართველებს, ხოლო იქ, ზღვაში, რაც ჩვენ იქ სტვენისგან თავდასაცავად ვიყვინთავეთ, მარგალიტების მაძიებლებს თუღა არ გაუკვირდებათ იმდენი და ისეთი, მაგრამ მარგალიტი კი არა მთლად აღარაფერი შავი ქვა არ გვინდოდა ოღონდაც ის სტვენა როგორმე დახშულიყო, და, ეე, მოკლედ, იმდენი ვიყვინთავეთ რომ, აი მაშინ იყო რომ ალბათ ყურების ბარაბნების ანთებები რომ გვეტაკა და გვეტაკა ყველას, სუყველას, სულ განურჩევლად ყველებს ვარანცოვის გარდა, ის ღონეზე იყო, ჯერ ერთი მოუწამვლელობით და იმსამდღიანი ჩვენი კერძებიდან ჭამებით ფლავის და თანაც, გენებით არ იციან ცურვა მაგინმა რადგანაც ბედუინები თუ რაღაცაა უდაბნოშია სულ და ჭები კი აქვთ იქ აბა რა იქნება საბოლოოთ მაგრამ იქ ისწავლიან ცურვას? ჭებში? - არა ა?, გადარჩა აქაც ანთებობებს, ჩორტოვა კუკლა, ასე ეძახდნენ მოფერებით ზემლიაკები, ოღონთ თანაც ცივათ, ხოლო ლალისგან მარჯვნივ მე ვყვინთავდი, მარცხნივ ეთერი, არ ვუშვებდით ხელს, და, შეჩვევაზე რომაა მაინც ყველაფერი?, მესამე დღეზე აღარც გვესმოდა აღარაფერი ანთებიანი ყურების ფეთქვის ხმაურის გარდა და, მგონი ისედაც კიმივეჩვიეთ სტვენას, თანაც ნომერში ვინ დაგვტოვებდა, პარტკომებიდან რომელი ერთი, რადგან ეს ჯგუფის დაქსაქსვა გამოვიდოდა, და, ეს კი აღარ მახსოვს შეგნებისაგან მოგვივიდა ეს თუ გამოთიშვებით, მაგრამ მერე და მერე, ასე მესამე-მეოთხე დღეს კიც-შევეჩვიეთ ფსტვენებს მგონი, უცნაურია ორგანიზმი, შეჩვევებზეა ყველაფერი, გათხოვებების გარდა, თქვენ რატომ არაფერს მიირთმევთ ჩაქაფული ცხელია გემრიელი და ქვიშა, მაგრამ, იქ წასვლას თურმე რა აღარ მერჩია, რა ძალა მადგა მე ჩამორჩენილს და გამოუცდელს მაგრამ აბა რა ვიცოდი რომ თვით მზის აბაზანებსაც ვითომდაც გეგმაზომიერად რომ მივიღებდით, ვფიქრობდით, ახლა კი დავეგდებით პატარა ხანს ქვიშაზე სილაში თავით და ასე მაინც პატარათი სულს ამოვითქვამთ-მეთქი, მაგრამ ვინ მოგასვენებდა, ჯერე რატომღაც ცალ კიდაროზე უნდა მიგვეღო მზის აბაზანები ინსტრუქტორის თქმით ხოლო იმისი სიტყვა პარტკომების და ჯგუფის ხელმძღვანელის და პროფკომის და კომკავშირული მდივნების და ერთიც სახალხო კონტროლის შემდეგ კანონი იყო, ხოლო მეორე ნოლსადახუთ წუთში მეორე კიდაროზე უნდა გადავბრუნებულიყავით სასტვენის ხმაზე და

გავთხოვილიყავი არ მერჩია?, სასტვენი მაინც არ დამჩხავლებდა იქ, და მერე კიდო მზის კალორიებისთვის ახლა უკვე ნოლათწუთობით შეგეშვირა უნდა ტანი პირდაპირ და სუბოლოს ზურგითი მხარეც ამოგეშვირა უნდა მთლად თხუთმეტწუთობით და მერე კიდევ ახალ სასტვენზე ისევ ის დამწველი გზა იმ დასაბუგავი ზღვისკენ, კიდევ კარგი რომ მარსელიოზას არ გვამღერებდნენ ალბათ იმიტომ რომ მაინც ვერავის გავაგონებდით, და, როგორც იქნებოდა და, ასეთი დროსტარება და დასვენებისგან რომ დაგვადგებოდა საშველი და გადასაცმელიის-კენ რომ გავეშურებოდით ბოლოს, გამომშვიდობებისას აი მაშინ უნდა გენახათ სტვენა, აგრესორები უხოდიატო და, იმ ახლო-მახლო ჩაფლავებულა მთლათ თევზჭერა, დამიდგა დარდი, აგერ ცოცხალი გადაიღეთ, მაგრამ აბა რომელი აგრესორები ჩვენა ვაართ რომ, მოიარონ და ნახონ აბა იმათ ჩვენი ზემო სვანეთი თუ ქვემო მაჩხაანი, როგორი მშვიდი ხალხია იქ, ჩასაყლაპი, ერთს არ დაგისტვენენ სასტვენი გინდაც ძალით შეაჩეჩო, პირი აქვთ წყალში, წესრიგია აქ, და, მოკლეთ, დღე თუ იყო და, ნეტავი როდის დაღამდებაო, ვფიქრბდით სულ, ღამე თუ იყო და კოღოებისგან ახნეტავ როდის გათენდებაო, ვოცნებობდით, იმ სველი პირსახოცების ქნევაქნევაში და აღარ ვიცოდით რაღა გვექნა, ზონიდან ხომ ვერ გამოვიდოდით სხვა ქვეყნებისკენ და ისიც ღამით, პოლიტიკურში ჩაგვეთვლებოდა და ეს კი ვიცით რაცაა, სუყველამჩვენ, მომტეხოდა მთლად, რომელიმე ფეხი და იქ არ წავსულიყავი დასასვენებლად და კალორიებისთვის, დავრჩენილიყავი ოღონდა და გინდაც კიდევაც გავთხოვილიყავი, ვითომ იმაზე უარესი მაინც რა უნდა იქნებოდა, გავთხოვილიყავი უნდა, აქებენ ზოგი... ნეტავ? ჰა... რამ გაგაჩერათ, გადაიღეთ რაღაცა საჭმელი, ჰო, იმას ვამბობმდი.....

...

- კაცო, ერთი ის ვერ გავიგე, ჭერამის რატომ იძახდა ხოლმე?

- რაო!? ბიჭო, ჭერამის კი არა, შენ ის არ გიკვირს, ტრიფოლიატის რომ არ გაჰყვიროდა?.. არა, ყველაზე უცნაური მაინც ის იყო, რომ ამას ჰყვებოდა პარტბილეთიანი ქალი, და განა არ იყო ღირსი, ერთიც ისე მეკითხა რომ, რაღა გინდოდათ პარტიაში და ახლა თუ მაინც თუ გამოხვალთ იქიდან, მეთქი, მაგრამ ახი კი იყო მაგრამ მაინც ცოდვა იყო, ანდა, ის რომ მეკითხა?, ოღონდ კი აი ის ლალი შემახვედრეთ და რა გინდათ ჩემგან, მეთქი, რადგანაც ლალი ალბათ თქვენსავით პარტიულია უკვე რადგან საზღვარგარეთ გაშვებით დაუჯილდოებიათ-მეთქი, იყვნენ ახლა აქ ასეთი მოგონებებით, მაგრამ ცოტათი ალბათ იმასაც მიხვდნენ რომ, რა პარტიაშიც შესულან თურმე, და ესეც სწორედ იმ ჰოკეის დამსახურებაცაა, თქვენ რომ გეგონათ რომ არასწორად ვუყურებდი, მაგრამ რომელი ნაჯობნარა, თქვენი რუსების წაგებით რომ მოგეოხათ ეგ სულელი გული, თუ ამ ჩემ რუსებს, სალალისოდ და საჟუჟუნოდ რომ გაემარჯვათ? ჯობნებულა, ხომ, - თქვა სანდრომ, ეგრეთწოდებული პურ-მარილიდან რომ გამოვიდნენ, ხოლო პურ-მარილიც, მთელი რიგი რამეებისა არ იყოს, ძალიან ბევრგვარი და მართლაც სხვადასხვანაირია, - მე მეგონა რომ, გადარჩენისთვის სასიხარულო ქეიფზე მპატიჟებენ-მეთქი-თქვა და, მაგრამ ღვინო კი არა ლიმონათიც ვეღარ დავისხი, მომერიდა ისე, ისე ძალიან იყო შეწუხებული რომ, ძალიან დიდი უზრდელობა იქნებოდა იმ ნაამბობის მწუხარებაში თუნდაც რეჰანი რომ გამეკვნიტა ცალფად,

და, ასეც უნდა, მოუხდება,კი, მსმენელები რომ წამოვედით, ახლა ხომ მაინც გადაათვალიერებს სუფრას, მარტო თეფშებზე რომ გვიყურებდა, დახედავს ახლა იმ ბედუინი ვარანცოვივით, სუფრას, არ დახედავს აბა? და, უფრო უნდა მიხვდეს, რა დღეშიცაა, ისე, კიქონდა შერჩენილი ცოტათი შოკოლადისფერი, გათხოვდეს უნდა, ოღონდ პარტიის წევრობის კანდიდატზე სუცოტა მაინც, და აბა, ჩემი კაი ბიჭები, ისევ და ისევ გეკითხებით, რომელი ერთი ნაჯობარა და ჯობნებულა, ჰა? ვაიი, შტერები, შტერები, ვერ მოიოხეთ, არა, გული?, მაგრამ მე ვენაცვალე იმ მართლა სულელ გამარჯვებულებს, დღეს გინდაც ასე მშივრები დავეტოვებინეთ, რა გაძლებს ახლა სახლამდე, პატარა პური ვიყიდოთ გზაზე, თორემ თვალებში მიბნელდება, იმ ექვსმა ნომერმა ჰოკეისტმა მაინც, როგორ იქნია და იქნია ხელი, ფეხი და კლუშკა, ის სულ ყველაზე უფრო ყოფილა ჩვენკენ, გინდაც სულაც არ იცოდეს და, რა უცნ...აბიჭო, ნაყინი!, ნაყინი თორემ წამივიდა გული, ნაყინიი!, ნაყინიიი!, სად მიჩინდრიკობს, მოიცა, ეე, ნაყინი, ნაყინი!!. ყრუა ეჩემა?, ავოიეეე, მარუჟნიიი! გაჩერდი, ეგრე, მომიცადე მანდ... თქვენ რომელს გინდათ, კარგია დალევამდე... მაგრამ ეგეც იმათი მოგონილია, პირისგემოსი მხოლოდ ჭამისას მოსაოხებელი, წყურვილი იცის მერე, მაგათი ქოქი გაწყდა სულსუ...

მაგრამ, ხუთიოდე წლის შემდეგ, სანდროს თავს უცნაური რამ მოხდა; სადღაც ჩხუბში რომ თავი გაიტეხა, ეგ კიდევ არაფერი, სხვა რამე უფრო...

ეს ამბავი რომ გაიგეს, მეორე დილით, მაშინვე სანდროსკენ გავარდნენ; შინ იწვა, ცოტათი შერყევაც ჰქონდა, მაგრამ ისე უჩვეულოდ გამოიყურებოდა, შეშფოთდნენ, რამე სახიფათო ხომ არ სჭირსო, ისე საითკენღაც გარიყულივით გამოიხედებოდა, რაღაც თავისაზე ისე ფიქრობდა, და ფრთხილად ჰკითხეს,

რა იყო, ბიჭო, რა მოხდაო,

არა, იმდენი არაფერიო,

მაგრამ წესით ასე არ უნდა ჩაფიქრვოდა თავის გატეხას, ადრეც ყოფილა გარეული მოუარესო ამბებშიც, და იქამდე მაინცდამაინც დიდად არაფრისა შეშინებია და, რაღა ახლა მაინც,

არა, მაინც რა, როგორ მოხდაო,

მოჰყვა, მოკლედ:

სადღაც უქეიფია, შედარებით უცხო უბანში თურმე და, იქიდან რომ წამოსულა, ვიღაცას, უფრო მთვრალს, და ყოვლად უცნობს, შეუჩერებია და შედარებით დამტვრეული ქართულით უკითხავს, გუშინ რო ფუტბოლში ჩვენები მასკვაში ნიჩია გაკეთეს, ხომ კარქი იყოვო? სანდროს არც უნახავს ტელევიზიით ის თამაში, მაგრამ მაინც უთქვამს, თანაც იმისთვის გასაგებად, კანეჩნაო, იმას კი, არა, შენ გულით არ მებნევიო; როგორ არ გებნევიო, სანდროს, კარქი იყოვო, იმ მთვრალს კიდე, ამოუჩემებია, არა შენ გულით არ მებნევიო, თქვენაო ჩვენიო, ისტორიჩესკი ზავიდუეტეო; მაშ, გულით გინდაო?, უკითხავს სანდროს, ხოლო ისინი სამნი ყოფილან, გულზე, და, მააშ, კანეჩნა გულით მინდაო, სანდროს კი, აბადა თუ გულით გინდაო და, აუღია და ულეწავს მომთხოვნ ყბაში; აის პირველმა ასტალნოი

ორს (ცუდი ქართული - გადამდებია; აგერ არა ვართ?) ძლივს რომ წამოუყენებიათ, რადგან ზდაროვი იყო რაღა, თუმცა მსუქანი რატოა ზდაროვი, ღვიძლი ქონში აქს, როგორღაც ვაჟკაცურად რო გამოსულიყვნენ, აბა შარიგდით ბიჭებოჯანო, ჯიგრებოჯანო, უთქვამთ, აბა ჩვენ-ზემლიაკებში ჩხუბებმა როგორ იქნებაო, იმათი ზლოსტზე ჩვენ კარგა უნდა ვიყოთ, ატო ნევრები (ნერვები - მოქართულე ავტ.) ყველასა გვააქს, მოდით შარიგდითო, სანდროს კი გაუფიქრია, ამ შარიგება-ხელითდრასტებში და გადაკოცნებში ემანდ დანა არ გამიყარონო და, უთქვამს, გად-მომაცილეთ კაცო, შავრიგდეთ თორე, ჩვენც ერთმანეთის სამსახურ-ეზოში თუ სესიებზე (მაშინ პარლამენტი ჯერ კიდევ სად იყო) ყოველდღე ვხედავთ თუ რაო, იმათ კი, კიდევ, არა-არა, უნდა შარიგდეთო, ეგება გულითაც ეუბნებოდნენ, იმ ფეხბურთქომაგსაც, ძლივს, კარქი-შავრიგდეთ, რაც იყო-იყოვო, საეჭვოდ უთქვამს, თან ვერა ჰყოფილან სიმპატიჩნები, სანდროს კი, გულში, კაცო ესენი ვის აბამენო, და ახლა მეორესათვისაც ულეწია, ხოლო მესამეს, ტექნიკურს, ჯერ ხელისგული (ყველას გვაქვს) შაუშვერნია და მერე უთქვამს, კაცო, შენ თუ მართლა ეგეთი მაგარი ბიჭი ხარ, ერთიორი ნიმუტი (მინუტი - ქართ. - ავტ.) მანდ მამიცადეო და, დამდგარა ეს ჭკვიანი სანდროც რომელიღაც გადმოსაგდები მოღვაწის ქანდაკებასავით, ხოლო კი ჩვენში აბა რომელ პოლიტიკურ ქანდაკსა აღარ აგდებენ ადრე თუ გვიან (ზეიდან ქვეით), და, მერე კი, გავიხედე და ჯერ მეგონა თუ, სადმე კინო ხოარ გათავდაო, მაგრამ რომ მოახლოვდნენ და სულ მუჟსკოი როდა იყვნენ, ალბათ სადმეახლო სპორტებ-დარბაზი აქვთ და ბოქსი-რამე დამთავრდაო (მაშინ პორნოხელოვნება ეკრანზე ჯერ არ იყო; ისე: კი), ასე, სამოცამდე იყვნენ, ეს სანდრო კი თავისთვის ფიქრობს, სად არი კაცო, ამდენ ხანსაო, და თურმე რაღა სად არი კაცო, მოახლოებულზე ის ტეხნარ-მესამე მაშინვე უცვნია, ხოლო იმის გვერდით კი ვიღაც დაბალი ოღონდ თავისებურად ეშხიანი, რამე, მოჰყვებოდა, რკინის მოკლე ჯოხი სჭერია და საერთოდაც ეშხნი საროჭკაზეც კიდევაც ზედაც ეტყობოდა დანარჩენების მეთაურ-ვადიტელობა და ჯოხით სკიპეტრიანობა და სანდროს ერთი პირობა გახარებია კიდეც, კარგია რომ წინ მოდის, წავართმევ ამ რკინას და მერე სხვები ვეღარ მომეკარებიანო და პირიქით თვითონ გავარდნილა იმისკენ, მაგრამ ის მარჯვე აღმოჩენილა და თუმც მაშინ კარატე და უბედურობა ჯერ კიდევ სულაც არ იყო და არც კიკსინგი თუ კიდევ სხვა რაღაცა მითომ გამაჯანსაღებელი სპორტი და, „რომ მრეკა თავში, იმ ოხერმა, ის რკინაო“, ეღიმებოდა სანდროს, აბა რა მეგონა, თან მთვრალი ვიყავი, ისინი კიდე შახმატის თამაშისას მაუგლებივით ფხიზელიო, მერე კი რაც მართალია მართალია ყველა ერთად და სამოცივე კი არ მომესია, არამედ მხოლოდ ასე ათი-თორმეტიო, და ერთი-ორი რომ გავიქნიე ხელი, მივხვდი რომ ვერ იყო მთლად კარგად საქმე, და თანაც კარგად ვერ ვიყურებოდი, სისხლი ჩამდიოდა თვალებშიო, თან წელში თითქოსდა რაღაც მეჩხვლიტა და ამათ როგორ მოვაკვლევინო თავი-მეთქი, კიდევ კარგი რომ ალბათ ეს დავასკვენი და, ვიკადრე და, - გაიღიმა, - გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, და, ვიკადრე და, - იღიმებოდა, - გამოვიქეცი, აქილევსზე მეტად ხანდახან ასეც გამონაკლისურ ოდისევსს მივბაძეო, - იღიმებოდა, უფრო, - მაგრამ იმ ნასვამზე ისე ამომვარდა გული, მივხვდი, რომ დამეწეოდნენ და შევვარდი რაღაც სადარბაზოში, ვეტაკე კარს მაგრამ დაკეტილი დამხვდა და დავიხიე და მერე გავქანდი და მხრით შევანგრიე, თურმე შინ ყოფილან, - აქ კი როგორღაც დაფიქრდა და ისევ მოიწყინასავით, - მომიარეს კარგად, მანამდე კი ისინი სულ იფრინეს,

სადარბაზოში შემოსვლას ისედაც ვერ ბედავდნენ, მახლას ლავუშკა არ იყოსო, ფრთხილებია ოხერი, და როგორც კი დაუცაცხანეს, მილიციას გამოვუძახებთო (მაშინ მილიცია იყო -ავტ., ხოლო პოლიცია არც მაშინ არ იყო), მოუსვეს თურმე ხელათ, მერე იმათგან ბიძინას დავურეკე,მაშინვე მოვარდა თავისი მანქანით და საავადმყოფოში წამიყვანა, და, მომიყვანა და, მოკლედ, სულ ეგ იყო.

- ყოჩაღ-ბიჭო. სხვა რაღა გინდოდა...

- ჰო, მართლა, - გაიცინა ისე რომ, სულ აღარ ემჩნეოდა გარიყვა თუ მოწყენილობა, - თავი რომ გამიკერეს, დამიპაჩინკეს, რაღა, - იცინოდა, იცინოდა, თავშეუხვეველი ძველი სანდრო იყო, - ბიძინას ჯერ არ ატანდნენ ჩემ თავს, მგონი შერყევა აქვსო, აუცილებლად უნდა იწვესო, მაგრამ ბიძინამ უთხრა, მეც ექიმი ვარ, თან ნევროპათოლოგი, და თავისი ექიმის მოწმობაც აჩვენა, ვიცი როგორც უნდა მოვუარო, ძალიან ფრთხილად მივიყვან შინ მანქანით, რომ არ დაინჯღრესო, და, ენდნენ და გამომიშვეს, მაგრამ როგორც კი მოვედით შინ, ჰო, ჯერ ჩემიანების დაწყნარება არ გინდოდა?, კიდევ კარგი და მოვიფიქრეთ და ჯერ ბიძინა შევიდა და ბავშვი სხვაგან წაიყვანეს, მერე, შევბრძანდი მე - სულ წითლად ჩამოწუწული და, დავწექი და, ვგრძნობ მერე რო, რაღაცა სველივით მაქვს წელი, მოვისვი თითები და, სისხლია, ალბათ იმ თავისგატეხვისას როგორღაც ვერ ვიგრძენი ტკივილი თუ რა იყო, თუ გახურებული ვიყავი და, შეწუხდა ბიძინა, აუცილებლად უნდა აჩვენო ეგ წელიც ქირურგსო, რაღა უნდა მექნა, წამოვდექი ისევ, ჩავიცვი, ისევ იმ მორიგე ექიმს მივადექით და, იმან კი უმწიკვლო ბიძინას ახედ-დახედა? - შეგირცხვა პასუხისმგებლობა და ნამუსი, ექიმი უნდა სწორედ რომ თქვენისთანაო, უთხრა, რადგან ეგონა რომ იმისგან რომ წამოვედით ამ ჩემ კომოციოზე ისევ ვიჩხუბეთ და ახლა წელშიც მორიგი ჭრილობაც ამიტომ დავიმატე, და არა-არაო, მაინც დამორცხვებულებმა ვუთხარით, ავუხსენით, რომ არც ჩვენ ვიცოდით არაფერი, ხოლო ის ჭრილობა მართლაც არაფერიც არ აღმოჩნდა, მხოლოდ რაღაცა გაფხაჭნილი, ცოტა იოდი და იმისი ჯანი, მაგრამ მერე გამახსენდა რომ, არაფერი ყოფილა კი არა, ალბათ იმან დამაყენა ჭკუაზე ბუნდოვნად რომ ვიგრძენი ჩხვლეტა და გამოვიქეცი, - იცინოდა, - საწყალი ბიძინა, ბოლომდე მაინც არ დაუჯერეს, ისე გახედავდნენ ხანდახან, რა დააშავა, თავიდან მაინც რომ ისე ლანძღეს, ძმაკაცი უნდა სწორედ ჩემისთანა...

და, აუტყდა სიცილი, ისე გულიანად იცინოდა, რომ, გინდაც ძველებური; ახლა რიგზე ჩანდა საქმე, რისი შიში და მოწყენილობა, და,

წავედით აბა ჩვენ, მოსვენება გჭირდება ალბათ და, მოისვენეო,

კაიო,

რამე ხომ არ გჭირდებაო,

არა, ბიძინამ ყველაფერი მომიტანა, წამლები, რამე... ისეა ჩემგან ნაპატივცემულევი, ცოტათი ძლივს არ გადამიხადა?-ო,

იცინოდა,

კარგი აბა, წავედით, იმათ ჩვენ მოვუვლით, შენ არ იდარდო, ეგ ჩვენ ვიცითო,

არა, თქვენ კი არა, ეგ მე ვიციო,

კარგი აბა, წავედითო, არაფერსაც არ ვიზამთო, ცალყბად უთხრეს,

მაგრამ სანდრო რაღაც სხვას ისევ, და უფროც, ფიქრობდა, და უღირსიც გაემართა კარისკენ,

მაგრამ,

შენ ცოტა ხანს დარჩიო,

უღირსს უთხრა,

უღირსთან, სხვებზე უფრო ახლოს, იყო.

- ბიჭო, - უთხრა მერე, - კაცო, რა მოხდა კიდევ, თუ იცი? რას წარმოვიდგენდი...

- რა იყო... კიდევ ხომ არ აღმოჩნდი ამდილით დაჭრილ-ნაჩხვლეტი სადმე...

- არა, - გაეღიმა, - მაგრამ შენ გეტყვი. ერთი სიგარეტი მომეცი...

- შეიძლება?

- კიკაცო.

გააბოლა და, როგორღაც თავისებურად, როგორც კი მოქაჩა, როგორღაც ძალიან მკვეთრად მოიწყვიტა პირიდან სიგარეტი, გააბოლა, ისევ მოქაჩა, ისევ გააბოლა... რაღაცა კიდევ უჭირდა... უფრო მნიშვნელოვანი... იმაზე ლაპარაკის დაწყება... თქვა მერე:

- კარი რომ შევანგრიე, და იმ ოთახში რომ შევვარდი, თუ იცი, ვინ იყვნენ...

- ვინ...

- რუსები.

- ვინა?

- რუსები. მამა-შვილი.

- ვა?...

დუმდნენ.

- როგორც კი შევვარდი, ასეთი სისხლიანი და უცნობი, მეგონა რომ... როგორ... მოკლედ, ასეთ შემთხვევაში ვის ესიამოვნებოდა ჩემი დანახვა, არც იმათ სიამოვნებდათ ალბათ, მაგრამ, მხოლოდ ორიოდ წამით დააჭყიტეს თვალები და დააღეს პირი, მერე კი, შედარებით ძალიან უცებ, პირველი ქალი მოვიდა აზრზე და, ეტო ჩტო-ჟე ს ტობოი სდელალი, დარაგოი, ზოლოტოიო, კი-კი, სულ

ზალატოით გამოვიყურებოდი ნამდვილად, და ისე სწრაფად მივარდა კარადას, ჯერ რაცკი თეთრეული ჰქონდა, სულ ჩემი ჭრილობის მოწმენდას მოანდომა, წითელი თეთრეულის გორა დადგა იატაკზე, მაინც ვერ შემიჩერეს სისხლი, მერე მარგანეცი გახსნა წყალში, მამამისს აადუღებინა, და სანამ ბიძინასთან ვრეკავდი და ვუხსნიდი, სად ვიყავი, ვალერიანის წვეთები დამალევინა, ნიჩევო ბოლშე ნეტ, ვიპეი, სერდეჩკოო, რაღადროს მე-დეგენერატის სერდეჩკო-ა, მაგრამ დედად მეკუთვნოდა და ალბათ ამიტომ მეფერებოდა, ის მამამისი ხომ მთლად ბებ...ეე, მოხუცი იყო, მაგრამ რაც შეეძლო, შეძლებისდაგვარად სწრაფად მიმოდიოდა ისე, ერთი არ დამჯდარა, ჰო, მეზობლებიდან იოდი იმან მოიტანა, მერე, ბიძინაც მოვიდა და...

დუმდნენ.

- ბიძინა ჩემია... მაგრამ ისინი... თან, სულ ერთბაშად გამახსენდა... ყველაფერი... შემრცხვა.

დუმდნენ.

- სუყველა რუსს რომ ერთ ტაფაში ვაქცევდი... და ვაგინებდი...

ორი დღის შემდეგ, ისევ უღირსს, უთხრა:

- როგორი ამბავია, უცებ, სახლში რომ ასე მთლად სისხლიანი შემოგივარდეს... შემოგინგრიოს კარი... როგორ გადამყვნენ... ისე, არიან ზოგი სხვა ქალები, რაგინდ შვილად ეკუთვნოდე, ასე ვთქვათ... - აქ გაუჭირდა სიტყვის შერჩევა, - ჰო, დაზარალებული, და თანაც უცნობი, შეიძლება უცაბედობით ისეთი კივილი ატეხონ რომ... არადა, იმათ რომ სცოდნოდათ, მე რომ ყველა იმათზე გულს როგორ ერთნაირად ვიფხანდია თუ ვიქავებდი, და ხოლო უბრალო რამეებზე გულს იმიტომ არ ვიქავებდი ვაჟბატონი რომ, და ისიც მხოლოდ იმიტომ, - ღელავდა, - ლაპარაკზე: - მერე გული რომ მეტად მომეოხებინა...

და, კიდევ ორი დღის შემდეგ,

- კაცო, ჩვენ ხომ რუსეთი მაინც ბოლო-ბოლო ამ ვითომდა გამოჩენილი პარტიულებით და მოსკოველებით ვიცით, ხოლო მოსკოვში, ნურავის ეწყინება და, ცოტათი ამღვრეული ხალხია, ისეთი ხალხია, ძალიან რბილად რომ ვთქვათ... მაგრამ, იარე აბა შენ ყოველ დილა-საღამოს საერთო ჯამში ორსაათნახევარს მეტროთი პიკის საათებში ისე, რომ ვიღაცას ფეხებზე კი ადგე და მაგრამ თან შენც ვიღაცა სულ ქუსლებზე გედგას, კიდევ უკეთეს ჭკუაზე იქნები, კი...

ხოხოხო, ბიჭო, თურმე როგორ აგვიხდებოდა?

- არავითარი თავისუფალი დრო, ცოტა ჭკუაზე რომ მოხვიდე, ყველაფერზე რიგი და რიგი... თვით პურზედაც კი,

ვა?, კაცო, წყალში იყურებოდა?

- ხოლო ხანდახან რიგში დადგომის ფულიც არ აქვენ...

ვაიმე, ბიჭო...

- ხოლო ის ვიღაც ცხოვრებაში ვითომ გამართლებული პარტიულები, მანქანებით რომ მიმოდიან და არ ჩანან გზაზე, რა უბედურებია ალბათ ისინიც სინამდვილეში ალბათ, ბიჭო... როგორ არიან მარქს-ენგელსით და ლენინ-სტალინით დაწამლულები... არადა, ერთ-ერთი მაინც ყოფილიყო რუსი... და გინდაც მოსაჩვენად პარტიულობდნენ... გინდაც რომ თავს იკატუნებდნენ...

რაღაც სიმართლეს, როგორღაც, ჰგავდა...

- მე კიდე, იმ პარტიული პოლიტიკოსების გაყიდვისათვის, სპორტსმენებითა და სპორტით თუღა ვიოხებდი, მე სულელი, გულს... - აქ, გაეღიმა, - ვიოხებდი გულს, ანუ, სერდეჩკოს, - შერცხვა, - თურმე ხანდახან თავის გატეხვაც თურმე კარგია, ზოგიერთისთვის, თუ ამას თავის გამთელება მოჰყვება და, ზედმეტ ღვარძლს თუკი მოიშორებ, არადა, ისევ თუნდაც მხოლოდ სპორტი რომ ავიღოთ, მშვენიერი ბიჭია გინდაც გარეგნობით ის ფეხბურთელი ვორონინი, გინდ ფედოსოვი, ანდა, სტრელცოვისთანა ფეხბურთელი რომ ჩასვეს, ხომ იცი რატომ, ერთხელ ნასვამს უთქვამს რომ საზღვარგარეთ რა კარგიაო და, ვაითუ დარჩენილიყო იქ, გახსოვს, ერთხელ სალნიკოვი რომ ვნახეთ ჩვენს ოპერაში, არა კაცო, მაყურებლად, ანდა იაკუშევისთანა ჰოკეისტი, უკეთესი, ვინ გინდა იყოს... სულ გამახსენდა, იმათი კარგიც... - ხოლო ეს ბოლო ორი სიტყვა საკვირველია და მხოლოდ უნებურად იყო, ყოვლად წინასწარ განუზრახავად და უბოროტოდ, - თუგინდა სულაც მოსკოველი იყოს... ანდა, ამ სპორტებს სულაც თავი რომ გავანებოთ, - აქ კი სხვაგვარი წუხილი მოერია, - რითი არაა რუსი ვითომ პლატონ კარატაევი, და გინდაც სულ ახლახანს პლატონოვი, როგორი მწერალი, ანდა ბუნინი, და რუსებზე ეგენი კი არა, მაინცდამაინც ეჟოვი, და ხელოვნებათმცოდნე ხრუშჩოვი და იმათმგზნებარე ორჯონიკიძე სერგო უნდა გაგვახსენდეს?... ხოლო ეს გულის მოოხება, ჩემი... ე?, ეგენი კი არა, ეგება, საქმე-საქმეზედ, იქნებ თვით ის ლენინიც კი, იმას რომ..... სუყველაფერი, ეგებ აისიც კი, ცოდოა-მეთქი, არამცთუ ის ჯერ კიდევ მთლად ბავშვები, ასე თვრამეტი-ოცი წლისა, საზღვარგარეთ რომ ასე ხშირად დაატარებენ, მე შენ გეტყვი და, მუზეუმებში, არამედ - ნა ტანკახ...

უღირსიც, მერე, ბევრი წლის შემდგომ, მართლა მიხვდა რომ, გულის მოოხება, როგორც ასეთი, არავითარდაგვარი და არცერთი სახეობის, არ შეიძლებოდა ყოფილიყო კარგი, და სოლჟენიცინისადმი ის თავისი განწყობაც ერთი ისიც იყო, რომ, ჯარისკაცებს, ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდებს, ლამისდა ბავშვებს და სოლჟენიცინისვე აღიარებითვე, უკვე ძალიან მოწამლულებს, სიბრალულითღა კი არა, არამედ დაუფარავი წყევითაც და ზიზღით შესცქეროდა და ეს ვინ მერე, ვითომდაც თითქოს ქრისტიანი კაცი, მართლმადიდებლობაზე თავს რომ სდებდა, - არა, ეს მოოხებანი არა, არაფრით შეიძლებოდა რომ ყოფილიყო კარგი, მაგრამ, აბა რა გული გაგიძლებდა, გულიანად არ გაგღიმებოდა თუნდაც ახლა, ამ 90-ან წლებში, რომელიღაცა მორიგად დამდგარი ერთ-ერთი მოქმედების ამ მერომელიღაცე სურათ-სცენასა და გამოსვლაზე:

სხედან ერთ ისე-რა მშვენიერ დღეს და შესცქერიან ტელევიზორს უღირსის მეზობლები, მოხუცებულები დეიდა თამარა და ანო დეიდა, დეიდა თამარა - სტუმრადაა; ტელევიზორი თუმც თვითონაც აქვს, მაგრამ მეზობელ დაქალ-ანოსთან მართლაც ისე-ახლოს სტუმრად იმიტომაა, რადგან მასპინძელს ყურთ შედარებით უჭრის, - ეს და-ქალ თამარასთან შედარებით, თორემ პიანო-ური ხმებ-ჩურჩულისკე სუვეღარაა; მოკლეთ, მეპატიოს ეს ყოველმხრივ ყოვლად დაუჯერებელი მაგალითური შედარება და, დეიდა თამარა და ანო-დეიდა ამ ტელევიზორს ქრონოლოგიადარღვეულ ბუდიონ-ბეთჰოვენივით უსხედან წინა, რადგან სამაგალითოებში ერთს (ბუდიონს) ყურთ თურმე კარგა აკლდა, მეორესა კი (ბეთჰოვენს) თურმე მთლად აკლდა და ამისათვის მოვიტანეთ ეს მოსულელო შედარება-მაგალითი, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივი, რადგან ერთის მხრივ აკი ადამიანები რაღაცა უხილავი ჯაჭვით ხომ ერთიმეორეზე ვართ გადაბმულები და რას გვიქვია აქ თუნდაც თვით ქრონოლოგია, მაგრამ ხოლო მეორის მხრივ, ჩვენდაც კი საწინააღმდეგოდ, სულ რომ არაფერი, ქალები არიან ესა, და მხოლოდ სმენაობრივ თუ შეეტოლებიან იმათ, და თანაც თვით შესადარებლებიც ერთიმეორისაგანაც კი რამდენადმე განსხვავებულები იყვნენ გინდაც უსმენო მუსიკაში და, რაა, ცხოვრება?, საიდან სადაო, მოკლეთ, და მოკლედ ორნივ დაქალნი ტელევიზორისკენ ისე გაიმზირებიან, გინდაც ორთავეს ლამზირა ერქვათ, ხოლო იქა კი, ტელევიზორის ზედაპირულ წიაღზედ, ყოფილი მარქსის დამუშავებაა გახურებული და სუ ცხელ-ცხელი კრიტიკაები არის გინებაურის გვარისა და, ისეთი რომ? -

და ჯერ-რო პორტრეტ-გადიდებულად აჩვენებენ, ხოლო მკაცრი მაგრამ სამართლიანი და პირშიმთქმელი და ტექსტთან ობიექტური დიქტორი? -

თრახ! - :

ეგაო, კაცო, არაკაცოო ბატონებო და ქალბატონებოო, ეგაო, ეე, მაგისაო, მეო, მაგასაო, მეკი მაგისიო, ეე, არა, მაგასაო, მოკლეთ, თავისი ძალიან ძნელი მღვრელი ბნელი წელიწყვეტელა წარსულიდან ეს დამტკიცებულია ეპისტოლარულადაცაოაწ და გამომზეურებული და ის საიდუმლო მასონობა აღარ ეყოფვინებოდაო?, და მაგას გარდაც, უზნეო ეგაო, თურმე ჩვენთვის გამოპარებულ ცხოვრებაშიაც ისეთი თახსირ-უგვანი რამე იყოო, აგრეთვე თანაც ისეთი რამე, რუმე, რომე პირდაპირ ქალების ელეთ-მელეთი და მუსუსიო, და იმის არამცთუ შედარებით პატარა მიკრო-კვარტალში, არამედ ჩვენი გლდანივით დიდ მიკრორაიონშიაც კი წესიერი ქალი ოღონდ ცოტათი ახალგაზრდაც, წონა სუერთი იყო, არამცდაარამც უნერვიულოთ არ გაიშვებოდაო, ბატონებო და ქალბატონებოვო, რადგანაც ესაო (ტელევიზორზედ პორტრეტი - დიდათ), სუ ხელ-ქამანდიანი იჯდა სკვერებიან ბუნებაში, ჩამალულიო, და დიდი წვერიც ეგებ სულაც იმიტო ჰქონიყო ძლიერ მიშვებული, ბუჩქებს რო უფრო შეჰხამებოდა და ვერ ამაეცნოთო, მოკლედ, იმისი უბანქალებიც, ბუჩქების დანახვაზედ, ესა რო გინდაც და სულაც უჩინმაჩინურათაც კი არა ჰმჯდარიყო იმ რომელიმე იმაშიო, ბუჩქებში რაღა, მაინც ყოველი გინდაცრო ქარით შერხეული ბუჩქების დანახვაზე ბატონებო და განსაკუთრებით ქალბატონებო აიმდროინდელი გინდაც ჩამორჩენილი ქალები ისეთსა მაგარ ჰყვიროდისიქამდნენო, რომაო, არა, ამასა

(პორტრეტი დიდათ) ბევრი იმდენიც კი ვერ შეეძლო მართალია თურმე ერთგვარად გამართლებული გამონაკლისებს გარდაო, მაგრამ ანცი ჰყოფილა და ისკი მუდამ შაეძლო, როო, აი ქალები ტყუილა ხოარ იუთოებდნენ ეე, არა იმასა არა, ეე, იმასა რაღა, ეე, ჰო, ტანსაცმელსაო? ეგ მუსსუსსიო,

და თუმცა სამართლიანად აღელვებული დიქტორისაგან ბევრი ვერაფერი ესმით,

- აიი, დაგათხლიშე მეხი, - ჯერ ვითომდაც დინჯად, მაგრამ შინაარსობრივ სწორედ ზევსივით ამბობს ძალიან ნაცნობი პორტრეტის მიმართ დეიდა თამარა, წინარეხელია (წინარეხი - სოფელია ქართლში; ხოლო მეხი - ზევსის მასალა), მედიცინის ყოფილი მუშაკი, მშვიდი, მშრომელი, აუღელვებელი ქალი, და თუმც ვერაფერი ესმის (თუმც ეს მხოლოდ სმენით), მაგრამ აემ პორტრეტის დანახვაზე თავს მაინც ვეღარ იკავებს, ხოლო დიქტორიც, თუმც რად გინდა თორემ კი, მაგრამ მაინც ასხამს და ასხამს თუმცა ყრუ ცეცხლზე, ენობრივ ნავთსა:

ეგ უსვინდისო და უნამუსისქუდისი ეგავო, ქალბატონებოვო, გენაცვალეთო, ბატონებოვო, მენაცვალეთო (ძირითად-ორიდან აბა რომელი სქესისა იქნებოდა დიქტორი, ჰა? გამოცანა თქვენზეა), თურმე იქამდის მიდიოდა, თურმე ქალიგულითვი ისე ყოფილა დაქოქილ-მოქოქვილიო, რო სწორეთ ქალიგულითვი დუელშიაც კი გაუწვევიათო,

- სადაო? სად გაუწვევიათო? - მცირედ გაგონილ-ამოცნობილი როარ დაკარგოს, ცალყურს იმარჯვებს დეიდა თამარა, და ერთგვაროვანად მცირე თარჯიმანი ანო-დეიდაც აღარ აყოვნებს, მიწოდებულ ყურში ჩასძახის:

- დუელშიო!, დუელსშიო!!

- ვა?! - ძლიერ უკვირს დეიდა თამარას, - დოესში რაღა შავი ქვა უნდოდა ამასა?

ხოლო დოესი - აგრეთვე სოფელიაც შუაქართლში.

- რაო?

აბა, ეს რაღა თარჯიმანია...

- დოესში რაღა უნდოდა-მეთქი!

- ჰოო... - თარჯიმნისაგან, აღქმულია ტექსტი და, დიდი შესუნთქვი, - ქალიგულითვინაო!!, ქალიგულითვინაო!!! - ანო-დეიდას ხმააქ როო? - გინდაც ზაფრანი, და გინდაც ან შალიაპინი ხო თავისთავად როგორი ძალიან კარგი და დიდი იყო ისე რომ მეტი რო აღარ შეიძლებოდა მაგრამ ქალათ რო გაჩენილიყო ისა და ოღონდკი ხოლო გამონამღერი კოლორატურაულად გადაჰქცევიყო მაგრამ ისევ თავისი ძლიერულ ხმისა მხმურა-ჯანებითა, - ვაჰხ? ეს რა ტუნტრუცი შედარებები მოგვდის ამ დრობოლოს ოღონდ თავში. თან, თანაც, ეგებ იმიტომ, რომ აღარ ვიცით რითი დავიცოთ ეს ჯერჯერობით საღი ოხერი ყურები, რადგან, ანო-დეიდა მთელი ჩვენეზოს გასაგონად მთლად ზაფრანაებს (ანდაც ეს, შედარებაა რა...), ისე ჰყვირიიის:

- დუელში მიტო გაუწვევიათ!. (რომელი მიტო? - აქ სუყველანი ეზოსაყოველთაურად ვიბნევით), რო ქალიგულითვინა!!, ქალიგულითვინაოო!!!

ჯერ, - :

...

მაგრამ,

- ვა?, - ისევ უკვირს დეიდა თამარას, სუმთლად უბრალოთ კი არ ჩაუვლიათ ძველძველ ხოტბაქებებსა, შეეჭვებულია, - ვითომ დოესელ ქალსა იკადრებდა ეგა? ეგ პირქვედასამარხავი... -

არ, გაგეღიმებოდა?

გაგეღიმებოდა რა იქნებოდა აბა, მაგრამ,

დამარხვისადა მიუხედავად,

ამ უცნაურად მადლიან,

ქართლურზე,

ამ „პირქვედასამარხავი“ზე,

როგორ ხალხურად შემფასებლურზე, -

ჰაიივ, შვებავ!

როგორო, მერე,

შვებავ კი არა, ცხრამზე-წკვარამით, - შებედნიერო, ხომ აბრმავებს, მანათობელიც,

მოემზადენით, აქ დაგვატყდება თუ დაგვატყდება, -

ქართული,

ხალხური, -

ლექსი!,

მოტივტივეც და, ფესვებით მიწის ამტაცებელიც,

თან შენი მწველი,

შენი მომვლელი კი არა და,

მთლად გადამრჩენი და,

რაგინდა მკვდარი მარცვალი იყო,

გამღვივებელი,

მზე!,

მაგრამ იმას, იმას კი არა არამედ ჩვენს, ამ მართლა მხოლოდ ჩვენს, ყოვლად უთარგმნელ, და გამოწრთობილს შენთვის მხოლოდ, და შეფასებაში თუმც ყოვლად ვერგადასაჭარბებელს, ლექსს, მაინც არ შვენის თუნდაც ასეთი, იმასთან მაინც შედარებით როგორ დაბალი ასე რაღაცრიგითა, აღფრთოვანებაც და,

და მოდით, დავლაგდეთ, და ისე შევხედოთ... შეძლებისდაგვარად, ცოტათი მშვიდად გავიაზროთ... კარგი?

ქართველებს, ცეკვა-სიმღერებზეც კი, თვით ხალხურ სიმღერებზედაც კი მეტად, გამორჩეულად ამაღლებული, პოეზია გვაქვს... ხოლო ორ უმთავრეს და უდიადეს, თან საყრდენად და აღსაფრენადკი უფრო მეტად, და მხოლოდ თავის გასატანად კი არა, უცხო და მერე როგორ უცხო ვარსკვლავებზე - უცხოებსა და მშობლიურზე თან, და იქ ასაფრენად, დასამკვიდრებლადაც კი, დიდი კი არა, - ფასკუნჯი ყოველი დიდია, - დიადი ფასკუნჯის ორი ვეება ფრთით, ვფრენთ, და, უცნაურია, რომ საფრენს გარდა აეს საყრდენი ჩვენი, და როგორ მერე, გამომკვები, და მასუნთქებელი, იმათით გვიდგას პირში სული გინდაც რომ სულაც არ იცოდე ეს, რადგანაც, სწორედ მათით, ახლა სხვა ენაზე კი არა არამედ შენს ენაზე ლაპარაკობ და სხვის ენაზე რომ გადასულიყავ, წასული იყო შენი საქმე, თანაც ნამდვილათ; და როგორ სწორად მამოძრავებელი შენი, რადგან მხოლოდ ფრენაზე არაა საქმე შენ დაილოცევდ ვიღაცა ხარ, არამედ მსიარულებელიც კიუნდა იყო, და ნუ გამოგვრჩება რომ ფიქრიც გვინდა, რაღაცების აწონ-დაწონა, და მაინც როგორი დიდი უცნაურია რომ, ეს ჩვენთვის ხან ბევრადაც და ორ-ორად ხომ, აუცილებლად, ნაწყალობევი წყალობები: ფრენის მანიჭა და მბოძებელი, მოსიარულეც, თავბრუდამხვევიც და, განსჯის აკვანი, მასუნთქებელიც, და გამომკვები, სიცოცხლის მაღლით ამომწვდენი, ყველა ეს მართლაცდა დიდი რაღაც, საკვირველია, კაცოუვ თუ ქაა, სულაც ამ ერთი უბრალო ჩვენებურული უბრალო „ფ“ -თი არ იწყება?, მააშ: ფრენა, ფესვები, ფეხები, ფილტვები, ფიქრები, - რაღაც ამბავია ჩვენ თავსა, და, ძალიანაც რომ არ ავყვეთ, იმ ორ ფრთათაგან ჯერ ერთს შევეპოტინოთ და მეტი არაა ჩვენი მტერი ჩვენ ის სამყოფად მოვიხილოთ, მაგრამ, მოწონებახომ მაინც ყველაფრის შეიძლება? ის - თავი და თავი ჩვენი, ქართველთა, დიადი ფრთე, - ის მაღალია, უხვი, მდაბალი თავისისავე როსტევანზე რამდენად მეტად, დიდებულია, მართლა ისე რომ მხოლოდაც მისი - უდიდებულესობა შეიძლება იყოს, დიადია და, მაინც როგორ, დამთრგუნავი კი არა, არა - დახვეწილია მთლიანად და შიგანამდე, ისე? - სულ ოქრომკედით ამოქარგული, პოეზიათი, ძვირფასბეჭდება, პატიოსანთვლება, და, მხოლოდ მისეულ ზღვებსავით ვრცელი, მთლად თავისსავე უწყვეტადმედინ მდინარეებსავით მარადახალი, მწიგნობარია, განსწავლული, ბუნებასავით საღი გონებით მანათებელი, სიბრძნის წისქვილი ვებერთელა თან როგორ საღად მოტივტივე, შუქთამფრქვევადი, უცხო ფერებით კამკამებს მზეზე, მთვარეზე ხომ სულ - ვერცხლად იღვრება, დაქარგულია უთვალავად ნატიფი ხელით, და ჩვენ, კაცთა, ხომ ისედაცკი მოგვეცა ქვეყანა და იმან კიდევ მეტად გვიბოძა, შეგვმოსა, ამით, ჩვენი გულისთვის მდაბალმა როგორ, ოღონდ ღმერთისკენ, თავად სამფაღვთისადმი, და, გვეწყალობა, ამ ვითომაცდა მხოლოდ ერთი ადამიანის

მჯილდოებლური ხელით, სულიწმიდათი წარმართულისა, ოღონდ, ვინაც რომ ჯერ თავი და თავი ბიბლია იცოდა ისე, ვერცერთ აფორიზმს ვერ მოუძებნით ბიბლიის განძში რომ არ იყოს ამოკრეფილი, მოგვიტანა ჩვენ, და, რა გვიზიდა, ეს, მოსატანად კი, პოეზიაური ზესულის გარდა, როგორ იცოდა, სხვაც, შედარებით წვრილმანები, შესწავლილ-ჰქონდა, აქვს, როგორ ყოველი სიღრმეების მეცნიერება, ჩაწვდენილია ახლო-მღერა გინდა თუ ვარსკვლავთმრიცხველის საჭვრეტად ძნელი შორითა საქმე, ფერთა ფარული მეტყველებანი,თავადბუნება, და, განცდით ზეგანცდა - პოეზიის მთავარი ცნება ეს - თვით სიყვარული, და, თავისი სიბრძნით გრიალ-ზრიალით კი არ დაგრგვინავს უმეცარ-ჩვენზე, არა, ეს როგორ ეკადრება, სქელ ხალიჩებზე ხავერდოვანი წუღა-მესტებით დააბიჯებს რომ, უხმაუროდ ვითომდაც, თითქოს, მაგრამ, მიმოსიარულე ოღონდაც ვარსკვლავეთში, მაგრამ ქუხილი იმასა აქვს? - მოიკუნტები, - და ეს ხომ ჩვენთვის, - ჩვენთვის? - ა?, ისე რომ, სწორედ რომ მეტირომ აღარ შეიძლება, და ყველგან, ყოველთვის, როგორის მადლით ნაძერწია, სალუქი, მშვიდი, ქველი, როგორ მთრთოლავი ღონიერების სიდინჯით მფენი, გონით კი, - მაღლა, სუმუდამ, ძალიან ცაში, და, მისთვისაც კი მიუწვდენელი სასაყვარლით, როგორ თუ გახლავთ მირონცხებული, მიმორონიე, მიმომფენი, ამაღლებული სასოება, მაგრამ ეს, ესა, ეეს? -

ესა, გლეხია, ფეხშიშველი, ჩამოძენძილი, მიწებზედა დგას, გაბურძგვნილ თმაში ბირკები უჩნს, დაკაწრულია, დაკოჟრილი, ქვას ხელითა სთლის, წენგოიანი თითებით ლესავს ნამგალს, თავისსა რკინას, და, რისი ბზინვა, ბრჭყვინვა, კაშკაში თუ ლივლივი, ყოველი მისია, რადგან - ხალხია, ხალხი, რა მშობლიურად - არა, მეტი - სახლიკაცურად გამჭოლხმებით, მოღაღანესი, და, რისი კენტი მზეთუნახავი, - ესა? - ბაჯაღლოდ მზენანახია, კანებდამსკდარი, მალამოსავით ცვარდაყრილი, მუდამ, ყველგან, როგორც ყოველი, წამიწამ სიკვდილ-სიცოცხლისაა, ოღონდაც, მისებრ; თუნდ - :

სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს,

სიცოცხლევ, ჩემი ძმა ხარო,

- შენი ძმა მე რად ვიქნები,

შე პირქვე დასამარხავო?.

ვითომ, მხოლოდ ამ „პირქვედასამარხავო“მ, გაგვახსენა? არა, და ჯერ სად ვართ... განვაგრძოთ, მაინც:

შენი ძმა მე რად ვიქნები,

შე პირქვე დასამარხავო?

დადიხარ ჩუმათ სოფლებში,

ქურდულად, ჩუმათ დახვალო,

ჯეელ ვაჟკაცებს დაგვირჩევ,

ბებრებს კი შაგვინახამო,

სიკვდილო, თავსა არ მოგცემ,

თავიც რომ ქვასა ახალო!,

როგორია, ჰე-ვ?

მაგრამ იმისი მთავარი ლექსი, აემ გლეხურად გამონაჟური გულდაწარბ-წამწამდათვალ-მარგალიტებიდან, მაინც ეს სხვა-ერთია, ყველაზედ - მთავარი; რადგან აკი ხომ სულ ერთთავად იმაზედა ჰფიქრობდა რომ, თუგინდაც კოკით ნაზიდი წყაროსი წყალით საგულდაგულოდ რომ დაიბანდა ის მერე რა რომ ცოტათი ადრე ტალახიანსავ ფეხებს და, სწურამდა, ყურძენს, იმ ვაზისას, იმ ყურძნისხისას, რაღაც გლეხური ბურტყუნ-მოფერებით ბრუნდეძირიანსაც რომ ეძახდა, ხოლმე, მოსავალიდან სუმთლად მთავარ მადლს, ჯერ საქვევრებოდ და მემრე - თავითვი, ანუ სოფლისთვის, შინაურისათვის, გარეშეთათვის, როგორი ჯაფით დასჯაფაებდა და ისიც, მპასუხი, იმისავ იყო, გლეხიკაცის, შემოდგომადროს უფრო-მაინც, და ფეხით შედგომა უნდოდა განა ამ სუმთავარ მადლს, დიდმზით ლივლივას, კრიალადმხმობს, ნატვრისმყვირალას, შუქების შემსრუტს, დამხვავებელს, ვისთვის და - შენთვის, და რომელიც რომ არამცთუ აქ, ყუდრო-მარანში, არამედ, კარგათამაშის ცოტათიც თავისი მხრიდანაც ოსტატ-ცანგალამაც კი, რომელმაც „მე ყურძენი არ მაჭამა საყდარში შეიტანაო“, ნასვამი თუ იყო, ჰა, მაგრამ სუახლახანურ მანამდე ხომ - „ეს ბიჭი კარგა ჰთამაშობს ფეხის ფრჩხილებზე დგებაო“, იყო, - და აბაღა ნასმი როგორღა შესძლებდა ისერიგ თამაშს, ნიავიანს, და თუკი ყურძენს თვით ტაძარსაც რიდით სწირავდნენ, აქა, გრილოდბინდიან მთვლემ მარანში, ღვინისა სახლში, ისა ერთი დღე დამწყებარა-ჯილდოსი იყო, და თავის პირველყოჩურად გამტანსა მადლს, მზემზით დაგორგლილ მთელზაფხულა ცვარს-შემკვრივებულს, კიმპალებიანს, მტევნად ასხმულს, ნაფერებს, სათუთს, ყველაზე მეტად ეხებოდა ახლა და როგორ მერე, უქალამნო და კიარადა, წყაროსი წყალით ფაქიზად წმინდა ხეშეშ-ხეშეში მაგრამ სუფთა ფეხის, გულებით, და იმ ერთ-ერთი გლეხის პირობაზედ, ალალად სწნეხდა, ალერსიანის ჟინით სწურამდა, ესახომ მისი პირველი მადლი და ცოდვა იყო, ხოლო, ამაზეც უმთავრესი რამ კი, ვინ იცის, - მადლი?, რა იცი, - ცოდვა? - უმთავრესი კი, ეს, - რას გავაჯანჯლეთ, ვეღარ ჩამოვალთ?, აი, ის იყო, რომ მხოლოდ ახლა კი არა, - მსუყე და ვრცელი შემოდგომობით, არაა, კაცო, წელიწადი-თორმეტითვე, მუდამ, ერთთავად, ყველგან, სუყოველგან, გინდ ზეზეულას და გინდაც სადმე ჩეროში მიმჯდარს, გინა წისქვილში და თუნდაც ხეზე გასულს, გინდაც ხვატსა და გინაც ზამთრობით, მოცისფრო ყინელს თუ, მინავლულ ცეცხლსა თუ ამტან სოხანეს სუ გატრუნულად ჩაშჩერებული, სულის მოსავალის მკასა ლამობდა, იმითით მკორტნი, ასე ამბობდა უმთავრეს ლექსს,

ასე იტყოდა:

ლექსო, ამოგთქომ ოხერო,

თორო ეგება ვკვდებოდე,

და შენ კი, ჩემად სახსოვრად,

სააქაოსა რჩებოდე,

გიმღერდნენ ჩემებრ სწორები,

ფანდურის ხმაზე ჰყვებოდე,

ქვეყანა მხიარულობდეს

და მე საფლავში ვლპებოდე.

ამოიოხრებდა, შეი-სუნთქავ-დაა.

ნეტავი, ჩემო სახელო,

დიდხანამც იხსენებოდე,

ჩემო ნათქომო სიტყვაო,

შენამც კი გაჰქვეყნდებოდე,

შენ, ჩემო საფლავის კარო,

შენამც კი აჰყვავდებოდე,

რა იყო მაინც, რაღა იყო ეს! - ამა სახელის დაგდებაზე, ასეთი მოთქმა, ასე ნატვრა, ასეკვნესა და ასეთი დარდი, თავმომწონა კი, სულაც არაა, და ვითომაცდა ისე-უბრალოდ, დღენიადაგ აწუხებდა ცალ-ცალი ლექსი - ვითოუბრალო ოღონდ გულიდან მოსაწყვეტი, გინაც ლაღი და სადა, პირწმინდა, კლდით ნაჟური და მაგრამ ისე ოხერი? - ვახ!.. - პოეზიაი იყო ესა, თუმც ეს წოდება ვერც იცოდა აი იმისი, ფინთად წყეულის, და არც სახელის დაგდება სურდა და არც არაფერი, უავტოროდ ხომ, აბა რიღასი სახელდაგდებაა, ერთი ის იყო, ოღონდაც ამოეთქო, როგორმე, და აბა ესეც სადაურიღა სახელგაგდებაა, თუკი თვით წერა-კითხვებ აბა რა თავში იხლიდა, თუკი ისედაც, ამონათქომი, კოხტარამ თუ იყო; და თუ მართლა კარგი რამე იყო და, ენით-ენამდე გადასცემდნენ ერთიმეორეს, მეზობლობას, ყურამდე რაღა, და სიამოვნებდა ყურს, გულს, თავს, ენას, რამე, და ასე, მერე გვერდითა სოფლებს რაღა თქმა უნდა ზეპირ-ეტყოდნენ, და ზოგიზოგი გაქნილ ენასაც წაჰკრამდა გზაში, - ხალხია, ხალხი, და სუცოტაობით ბგერაცვლილას უწყალობებდნენ, სხვებს, გაუშვი იმათაც გაიხარონო, დაგვინახონ თუ რანიც ვაართო, ხოლო თუ დიდი-იმდენი ვერაფერი იყო სხვა კოჭლაკი-ლექსი და, აბა ყურთ რატო მიიკარებდნენ, ჰოდა, აბა რაა აქ დიდი საკვირვი და გასაოცი და, მხოლოდღა კარგისა ამოთქმა ჰსურდა, ძლიერ, და ძალიანაც ლამობდა, ვერა სწვდებოდა, არადა, გრძნობდა, რაღაცა ჩქამად მოესმოდა, და თუ ეგრევე სტაცებდი აზრსა თუ ხელს თუ ენასა და, რომელი ქარი, გასწევდა გზასა, განქარდებოდა, მდინარეებში თევზის გულისთვის ხელაობა რამდენად უფრო ადვილი იყო, აიიმათი კი, სხმულა სიტყვების გზა-კვალს აბადა ვიღა იტყოდა, წავლილი იყო, ქარიი, ვინ იცოდა თუ, საით განქარდა, და სუმთლად მაინც რომ მაინც ვეღარ

იკარგებოდა წყეული, ისა, სადღაცას იყო გატრუნული, ან შორს, ან ახლო, რას გაუგებდი რომელ კოშკსა თუ რომელ გომურში, თვლემდა, მაგრამ, მზაკვრულა, რაღაც ბეწოთი ყოველთვის მაინც გიტოვებდა თავს და, სად გაჰქცეოდი, დაიტარებდი, შენც, ასე ვერაგად შემოგჩვეულს, შენ და მაინც, მუდამ, თანაც ისეროო კარგის გამოთქმა, თანაც ეგრევ, ეგრევე, სუ ერთბაშად როგორ უნდოდა, ბეჩავს, და, დადიოდა რეტდასხმული, თვალებგაელამებული, დაეძებდა, იმ დღისით, მზისით რარიგად-როგორ იარებოდა სუმუდამ წკვარამსა და უკუნეთში, დაეხეტებოდა, და თუ იქამდე ისიც, სხვებსავით, მხოლოდღა ხნავდა, სთესავდა, თოხნიდა, რწყავდა, იზრდიდა, მკიდა, ამეებს გარდა ახლა, დაწყევლილი, რაღაცა ტიალს, მწარესა და ვერანს სულაც თავისით დაეძებდა, იმას კი, იმას თავისი ალილო აქვს თუ რა, შენსა კი არა, სულაც თავ-თავის ჭკვაზედ დადის თუ ძალიან ფრენსა, დამაინც, ესა, შეჭირვებული, აღძრულთან ერთად, მამთმენიცაა, და მაინც იმას, მაოხრებელს, სხვაგვარადა ხნავს, სთესავს, თოხნის, რწყავსც, იზრდის და, დაეძებს როგორ, და მერე უცებ, - როგორ არა აქვს იმას თავისი შობის ალილო, - იმკისა და სწყვეტს!,ვაჰრარიგ ძნელად, და მაინც, ისევ, ვითომდაც ცოტაც დაშოშმინებულზე, ვაიჰევ? - ისევ, ჯერ მალვით, პარვით, წრიალულია, გასულიყო-რა ცოტათი დრო, ცოტახანს მშვიდად ჰყოფილიყო, დიდი ამბავი, მაგრამ, აარა, - მუდმივი სპაა, შებერებულიც, და გინდ ბევრი იყოს და გინაც თითო, დღე იქნება თუ ცა, წმინდავარსკვლავებიანი, ემან, თავისთითვე ძალათ სატანჯამ, უნდა იწვალოს, სულ დაიდაგოს, ლექსიგულითვი, რა დააშავა მაინც ასეთი ვა?, სხვებს თუ ულხინდათ, ამას აწვიმს, სხვებს თუ აწვიმდათ, ამისა თავს - ხოშკაკალაა, სხვებს თუ სციოდათ, სადმე ცეცხლისპირს მიუსხდებოდნენ, ესა კი, ისეც აცხელებული, რომ დასცხებოდა რომელ ბუხართან მიმჯდარიყო, არადა, სული ეხუთვის, წვავა, ემის მტანჯავი კი, არხეინი, შორი, თავნება, შეუხი როგორ, მთლად დასაწყისში ხოომ, მოსაწყვეტად-ხო, თან საიმისოდ ერთ-ცარიელა დედათითით, უძვლო ენათი მკაზედაც მეტად, თიბვაზედ მეტად, უმფრო ძნელია, ამთვალიერებს ჯერ შორიდან ეს, ჯერ ხო შორიდან მოჩვენება იცის იმანა, ანდაც ზედ გულზედ მოგაფრინდება, და ესა, ეგრევ-წადილიანი, დაბანგულია, რა დააშავა, იმ ხილულ შრომას თუ მორჩებოდა და, წოლილიყო-რა, ისიც სხვებსავით, სადმე მიყუჩებულში, არხეინადაც წამოწოლილიყო, მაგრამ - არრა-ა, დღით მოსვენება ამან არ იცის და ღამით - ძილი, ერთის შეხედვით, სულ სუ უაზროდ მიდიმოდისობს, თან, საცოდავი, არც მარტოა იმ თავის ქვეყანაზედ, ის რა სოფელი იქნება რო, ერთიც ამისთანა რაღაც ჭირად არ გამოერიოს თავისთავითვინ, თორემ სხვებს რა, ახარებს, და იმ ხელნამგლიან, სატევარიან ხალხში მუდამ ერია ერთიც ასეთი ერთ-ერთი, თავისთავიცა უბედურიც და, ცოტათიც, სულ სხვა რამისა, დაფიქრებული დააბოტებდა ტყეში, ყანაში, მაგრამ სხვაგანმე იყო მუდამ, თანაც ბევრულათ, და დაუდევრობით სხვის ეზოებშიაც შეუტორღიალნია, თავბევრეულას, - შეუნახირნია, უცაბედობით, რადგან გზაქვედას დაიცქირებოდა კი არა, სულ ფოთოლ-ფოთოლ მაინც, კიდე თუ მაღლა თუარადა, ხარბად იმზირებოდა, ძრიალ სხვაგვარად უმზერდა ჭიშკრებსაც, ღობეთ, ხეებს, ც, საღამოობით კი, საყოველთაო დაყუჩებისას, ცოტათი ისიც გახევდებოდა და მოღალული, რიდით ასცქეროდა ღრუბლებს, ნადედ ცას, - ვარსკვლავდებოდა, და ასე - იყვნენ, ისინი ზემოთ, ზემოთურები, ესა კი, ქვეითა, დასუ იმათთან უნდოდა ხოლმე, და, უფრო მეტიც, იმათზედობაც კი სურდა, და, საბრალოს, ვა? ასე ჰსურდა

და, მართლა ძალაზე ხო არ იყო, არც რო ესურვა? - უნდოდა, კი... და თუ უბრალო ბალახ-ბულახი სხვებისთვის თუ თითქმისამდე არარაობა იყო, ამას უცნაურ, სიამენარევ ტკივილსა ჰგვრიდა, მაგრამ რახშირად ფრენა კი არა, ვეღარცკი ნაბიჯ-ნაბიჯდებოდა, და, ხელმოცარვის მოსქო სასმელით, მთლად დაბლანტებულს, წამოუვლიდა და თავანკარობა სწყუროდა რო, პირდაპირ ჟრჟოდა, და ბუნდოვან, ძნელად გამოსათქმელ ვაიდ-სევდასა თუ სულ ვუიდ-სიხარულს მუდამ თავისი სიტყვა უნდოდა, ერთი, ერთადერთი, ოფლითა და წვალებით, წამებით მისაგნები, და ვინა რჯიდა რო, ამას, თუმც რაღა რა ვინ - თითონ, თვითა და, იმ სისხლჩასაღვრელ თითოდ-სიტყვისა ძებნვაში იყო, აეს ვაჟკაცი, მაგრამ სიტყვებით ჩავლილბალღურად ისევ ახლიდან წამოსაზრდელი, ისევ უმწეო, თავიდან ისევ ფეხაუდგმელი ყოველი სიტყვით, ოღონდ ძაან დიდთვალება, და სულსუ უღონო „რავქნა“სა ფიქრობდა, გრძელი ედო გზა, ერთი რაღაცა მოკლურად წვნიკი სიტყვისკენაც, კი, თან ხიფათებით თანაც ისე რო?.. - ვინ გაუგებდა, ჰსწუხს, ხოლო იმის ნაწვალებს და ისე ვაებით გამოომებულს სხვები-უქმები ისე სხარტად იმეორებდნენ, როგორაც, კოხტა, ხოლო ესა კი, ახლა თავიდან იწყებდა ისეთ წამვას და, უფრო ძნელისაც, და მერე, ბოლოს, ნაბეგვ-ხელმწიფე, აიღებდა და - სათქმელად ადვილია - აიღებდა და აიმ წამების ტახტ-ტახტრევანზე, თვით იმ „რავქნა“ზედაც კი, ამოზრდიდა კოშკს... ციხე-სიმაგრეს, -

ჰორაღა, ლექსსა;

რა ვქნისა ციხე ავაგე,

ჯავრი შევუბი კარადა,

საიქიოდან მოიდენ

ამ ციხის სანახავადა.

ბევრი უარეს ციხესა,

კარ ვერ გატეხეს ძალადა,

მემრე თქვეს: დრო რო მოალის,

კარ გაიღების თავადა,

გადმოსაწერად, ახლაყე ადვილია, მაგრამ აბა ერთი იმისთვისაც გეკითხნათ რო, რას რა უნდოდა, ამონათქომს კი, მართლაცდა კარგი თუღა იყო ის მართლა ოხერი, ვერანი, არა? - ისეც არავინ დაუვიწყებდა, უხვად აქებდნენ, მაგრათ, ხოლო ისა კი, გინდ სახედარზე მჯდარიყო და თუნდაც რაშზედ, მაინც, ამ წვალებისთვის ისე გაჩენილს რომ - რა დააშავა, თორემ ჰო - სულაც ფასკუნჯით უნდა ეფრინვა, ფასკუნჯად ითქმის აბა სხვა მა რა, მიწად მწოლარე, თან უნდა მაღლივ აჭრილიყავ, აკი გდებულიყავ-რა, სხვებსავით, ჩეროსა და გრილოში, ხოლო საფრენად, იმ სათაყვანო და ვერაგი ფასკუნჯისათვის, წამდაუწუმად მშიერ ნისკარტში სულ ბარძაყები ჩამოგეთალნა ძალიან, უნდა, და იმ ნისკარტში, აღუვსებელში, იმ დაუნდობელ, ყოველივესი გადამსანსლავ ფასკუნჯისათვის, შენი სისხლი და შენი

ხორცი, გედო და გედო!, უნდა; მაგრამ, იმასაც რომ არ სჯერდებოდა! გულიც უნდოდა, და, მეტიც უფრო, საფლეთი სული, სული კი, ჰქონდა, გააჩნდა, ედგა, ტყუილ-უბრალოდ კი არ სუნთქავდა და, დაკორტნილი, მსხვერპლად ფლეთილი, თავისას გმინავდა, მაგრამ!, მააგრამ, გახარებებიც იცოდა სხვებისთვისაც და თავისთვისაც ისეთები რომ, მართლა სუ ისე კი არ იყო მართლაცდა საქმე, აგრე არაა, გენაცვალეთ, სულ ახლახან რომ მოგიკატუნათ როგორც თავი, ის - მარტო მეფე და მარტოკა ხელმწიფე და მხოლოდ მბრძანებელი კი არა და, ხო, რაღაცა ჰქვიან ის როარი, ჰო - ყოვლისშემძლეა - მზეებს მთვარეებთან აბაასებს,ჭვავ-ქერს რა უნდა - წვიმები მოჰყავს, გინაც სეტყვა და ამისთანები, ნისლიანებში კლდეებზედ გადის, ეგეც ადვილია - კოჭამდე მუდამ იებში ვლის, მუხლამდე - ვარდთში, სუზენა ქარებს შიკრიკად ჰგზავნის, აბადა ერთი შეეპასუხნონ, სუყველაფერი თავთ და თავ-ენათ უპყრია, თავკერძაა როო? და სიმდიდრისა და შემკულობების ყადრიც თუკი იცის, ისე რომ, თვით მეფის შვილამდეც კი, ჩამოქვეითდება, -

შენ გიორგივ, მეფის შვილო,

შენი ცხენი ხვიოდაო,

ლაგამსა და უნაგირსა

მარგალიტი სცვიოდაო,

და თუ მარგალიტების ასე დაცვივნად-შემძლებელზე ასეთი ლექსი ამისშამჰქმნელის პირობაზედ, - ისე-რა ლექსია, სამაგიეროთ, ღატაკზედ ლექსი, დაიჯერებთ რომ? - მეტად ლექსია:

მაჰხკვდია, ბეჩავო იერემო,

დასდევ სიღარიბის ჯოხი?

მიწანიც დაილოცებიან,

შიშველნი დაგიმალეს ხორცნი, -

ცოტა, შევისვენოთ... მოიცათ! არა, მაინც რის მარგალიტი, თავად მიწა და თვითონ წყალი, ანუ წმიდა ტალახი, ღვთით შეზელილი, და თვით მზეცკია, იმისდაკვნიტებ-ლექსაური,

ვაჰხ... ეხლაა, მართლაც.

ცოტათი შევისვენოთ...

...

....

ხელმწიფეა და, ყოვლისშემძლე, თავის მიწებზე თავისსავე ხალხს დაიტირებს, აბადა სხვები და სხვაენოვანნი რა ჯახნაბას-ვე სწადია თუ რა, ერთიმეორისა

ბოლომდე კარგა ვერ ესმით, სხვა თუ არაფერი, და ეს „ბაყაყი წყალში ყიყინებს“ი თუმც დიდი იმდენი ვერაფერიშვილია, გინდაც მშობლიური, მაგრამ გამოთქვან აბადა სხვებმაც, ვერსასაცილოთ, ესა კი, ჩვენი, „აი ია“სავით უბრალოდ სძახებს ამასა, იაიები მოსდის და მოსდის ადრიან თვეში? - თვალის ჩინია, ვე?, და რამდენი რამ, უთვალავობით, შემოსჯარვია, შენ ოღონდ იყურე, იყურე მიდი, მერედა რა ქვეყანა აქვს, სახელიც კარგი, ერთდაგრძელსიტყვა, ჰქვია, გაიხედავ თუ გამოიხედავ, აიხედავ თუ დაიცქირები, მიმოივლი თუ გინდაც იბრუნო ერთ ადგილზედ, კარგი, კარგიავ, მდელო გინდა თუ მთები გინდა, იალაღები, წყარო, ვენახი, ტყე, რამე, მზე რომ ცალია?.. ჰო - მზე როარი და რომ კენტი და რომ ცალია, ამას ბარაქობით ისიც კი ორი აქვს, ერთი შინა და ერთიც გარეთა, და იმ გარეთასაც ეპატიჟება მზითხარბი ესა, მზევ, შინ შემოდიო, რაებს იძახის, შენ გესმის, კაცო?, ბიჭსა, ორივე, თავისთვინ უნდა... მაგრამ ასე, პირდაპირ მზიდან არ ივარგებს, თვალი არ მოგვჭრას, და მოდით წესივრად მიმოვიხილოთ, დღის ამოსასვლელი კენწეროდანვე, გათენებიდან მოვავლოთ თვალი და ასე მივჰყვეთ, დალაგებულად მივუახლოვდეთ, როგორც წესი და როგორც რიგია, სხვა უკეთესში სად გვეჩქარება, ან რა ხელი გვაქვს, და, გინდაც გათენებაზე ცოტათი ადრე შევავლოთ თვალი, როგორ და... როგორ? - უიმართლაჰო, დღენიადაგი, აკი მამლის ხმობიდან არ იწყება? - :

და, აგრაას, ჩვენი მამალიც თავისას ჰყივის:

ყიყლიყოოოოვ,-ჰხკ! -

... -

და, ყივილი აგრე არ უნდაო და, გამოდინდება და გამოდინდება სახლებიდან ხალხი, როგორც რო ყველგან, აქაც ზოგი ჯეილია, ზოგიც ხნიერი და საშუალო, და სახლებიდან გამოედინებიან, სახლები აქვთ რომ, მშობლიური - ქოხმახებია, აეს ჩვენები იმ უთენია და სისხამბნელში ჯერ კარგად ვერ ჩანან, მაგრამ როგორცრო ყველგან, აქაც ზედცხვირიან სახეში სუგამეტებით იხვედრებენ ცივ-ცივსა წყალსა, პეშვებით, სწორათ, მე თქვენ გეტყვი და დიდი მიზანი ჩვენ ცხვირ-პირსა თუ ყელ-კისერს უნდა გინდაც ბნელოდეს, ოღონდ ამათმა ფრუტუნი სხვებზედ მეტად იციან, პირიბანვისას თორე ისე ცხენი და აჯილღა და თოხარიკი კი არ არი, ადამიანებია, კაცო, მაგრამ ისერიგ ბნელა ჯერ ვერც გამოარჩევ რაგინდაც მჭვრეტი შენ გინდა იყო თუ რომელია აი იმათში სიტყვატვირთული, რაღაც მუქადმოძრავი უჩინარებია, ადრეც გვინახავს, ამ ბნელ უზმოზე შუშითა ჰკრამენ ცოტა ჭაჭას თუ თიხითა სომენ თითო რძესა, კაცი არი და გუნება არი, მსუყედ შხივანა ხმები ისმის, ნაკლულა ბნელში გრძლად, მოკლეთ დნება, ცელს თუ ლესავენ ანდა ნამგალს, თავიანთ რკინას, რიჟრაჟივდება, და, საგზლის ტილოში გამოხვეულ ცივ-ცივ სამხარს აბადა დიდი თითებით - ტააც და, მიდიან, მიაბიჯებენ, თუ საითკენ და - სარჩოა იმთავიდანვე, გაზაფხულიდან მოსახვეჭი, თადარიგობენ, მააშ.

სად აღარ ნახავ, ყანაში, ტყეში, ვენახში უფრო, ბექობზე, მთაზე, ჭალისპირებში, მიწისქვეშეთში ჭასა სწმენდს, ქვევრებს ისე ჰხეხს? - გულდაგულია, ზეით ამოდის, წისქვილზე მიდის, დამძიმებული, მთავარი საქმე კეთდება იქა, ეს ადამიანთაგან, თორემღა ისე ბუნების ძალი არის თუ რას ეძახიან, ამათზე მეტად ისინი ზრდიან

ვაზსაც და პურსაც, - მაზიარებელ ცხონების წყაროთ, ღოღნაშოსაც და, რამე, - სულ ზომიერად უნდათ მიწა, მზე, წყალი, და თოვლიც კი, მაგრამ თვით ღმერთიც და იმისი ძალები რას გიშველის თუ, შენაც თუ ხელი არ გამოიღე, იცის ეს, იცის, და ქუდზე გლეხკაცს იარაღი აქვს იმდენი და იმოდენგვარი, რომ, განმარტვისათვის მოდით და ავიღოთ და ვიკალიავოთ და სხვაგან გადავხტეთ - იარაღები ააქვს-მეთქი იმას იმდენი, რო თვით კავალერ-უგანათლებულესობა სარდალ-ჯარკოვსკის სიზმრადაც რომ ვერ დაესიზმრება: ბარი, ნიჩაბი, წერაქვი, ცელი, წალდი, ნამგალი, ერქვანი, ნაჯახი, კევრი, დოლაბი, სასხლავი გინდა თუ ბირდაბირი, ცალტარაც ხერხი თუ ძალაყინი, კომბალიც კი ვე?, და ამ ჩვენებურის, ჩვენიანის ძველ, მყარ, ნაცად ხელში სუყველაფერი მეტყველდება, და თვით თავისნათქვამა ბუნებასაც კი ჯიუტის მცდელობით როგორღაც მეტურ-წესრიგიერად აშოშმინებს, კი; და მთელადღივი თოხნა აკი ლამის რომ ქანცის გამწყვეტია და საკუთარი ჯანის ღრღნა-თოხნასავითაცაა და ხომ მომაბეზრებელ-შემაწყენია, ასეთ შრომასაც კი ლაღად, ხალისით ჰგუობს, - აბა მიუგდეთ ყური, - გესმით? -

შენი თოხისა წკრიალი,

გამოღმა გამოდიოდაო, -

შესახედია.

და გინდ ანაგურელი იყოს მთოხნელი და გინდაც ვინმე სხვა, მუდამ მიწისკე მიდრეკილია, ერთიმეორის სურვილი შჭირთ, ჟინი აწუხებთ, და იქნევს თოხს თუ ცელსა თუ ნამგალს, ბარით შრომაში ხომ, - ძრიალია, მაგრამ ყველაფერზე მეტად, გუთნისდედაა, და, მიწის ამომბრუნებელს, ამომტრიალებელს, იმას სოფლისა ყველაზე უკეთ მოეხსენება, ტყუილად როდი ამბობენ, მთისა მეცხვარეს ჰკითხე, ბარისა - გუთნისდედასაო, გუთნისდედაა და ღამის მეხრედ ჰყავს შუალა ბიჭი, ერთი რომ შრომობს, მეორეს - ძინამ, გაზაფხულები ისე გავა, ნაკლებ ჰხედავენ ერთიმეორესა და, მიწამღა იცის ამათი ტერფი... და სწორი ასავალ-დასავალი... უი მართლა ჰო, ეს გამოღმამდე თოხის წკრიალი ნეტა პირველმა რომელმა თქო!... - მაგრამ რას გამოარჩევ, მერომელიმემ ილექსა ამათში, - ახლა, შრომისას, ერთნი არიან, და თუმც გინდ ხშირღრუბლიანი ამინდი იდგეს, ის ცის კიდობნები შუქით ივსება, და ვა?, ყოველი ჩვენი ქუდზეგლეხი თუმც აქა უკვე გამოღმური მჩინარი არი, მაინც როგორღა გამოარჩევ,

ერთნი, არიან.

ამათ შრომები იციან რო? ეე... როგორც რომ კარგი, სოფლად ხვავი და ბარაქა უდგათ თუკი მტერი არ შემოესევათ, და რამ თუ მორჩებათ, განა ნიავს გაატანენ-რო, ფეხით ან ურმით გაუყვებიან საითკენმე, ან მთლად უკეთესი, - სატივეზე ტივსა შეჰკვრენ, ტივი არი ნაძვის ხისა, ორთაყვირებს მოუბამენ და, ვითომც ძალიან მოუსვამენ და გინდაც თავიანთი ხერხ-ღონითა და ჭკვით მიედინებიან, მაგრამ ისე კი უფრო მდინარის ნებას დაუყვებიან, იმან, მდინარემ, თავისი მოკლე გზები თუ გზაწვრილები თუ შარაგზები დაჯერებულად, გამოცდილურად კარგა იცის, კლდეთაგამყოფი ბილიკებით თუ ჭალათშუა სოველი გზებით ზღვისაკენ ურჩად, უამათოდაც, ამათიანაც მიმოხვეულად მიექანება, ჩავლენ სადღაცას, იქაც

იმათი სამშობლოა, შემფარებელი, გრძლივსიტყვიანი, მაგრამ როგორღაც ხამად არიან, ყიდვა-გაყიდვებისა თუ ერიდებათ, სულ არ არიან - ჩარჩი, მერე კი, როცა იქნება და ბოლო-ბოლო ადრე თუ გვიან ამობრუნდებიან, და ჯერ რომ მარილსრო თიხის ქვაბში ჩააბრძანებენ, მხოლოდ მერეღა აბა ამას ესა და აბა იმას ისა, საჩუქრაობენ, ოღონდ დინჯად, გამოვლენ მერე თავისაში, თხა-ღორებისთვის შემოღობილში თორემ სოფელი, სხვამხრივ, რამ გაჰყო, დაწაფებულად, იმზირებიან, ხოლო იმ თავის მეტად ახლობელ, ჩია ქოხმახებს მეტის გულდასმით რომ შეხედავენ, განა იმდენს რასა ხედავენ, მაგრამ მაინც ისეთის რეჩხურ-სითბოთი ძვრას უყოფთ გული, მონატრული, ძნელდასაჯერებს განიცდიან, პირმოკუმულები, აი იმათგან ერთ-ერთსა კი, ამის გამოთქმაც კი შეუძლიან, - ვა?? - და ასე იძახის ჯერ მართალია თავის გულისგულში და, მერეე - ხმამაღლივ, თუკი ჩამოჰქნის, ესა რომელი გლეხიკაცი და, აბა მე რა ვიცი, აბა მე რავი... გინდაც რომელი; ჩვენიკენაა:

შენ, ჩემო დიდო იმედო,

კოშკო, ნაგებო კირითა,

რა კოშკი, რის კოშკი, აბა სად არი კოშკი, კოშკი არა ისა,

ტყეში მოჭრილო ისარო,

ქალაქს ნაღებო ინითა.

რას მოაყოლა, ესა?

ცისფერო მოვის პერანგო,

შვიდგან შეკრულო ღილითა

ნეტა სადა აქვს, განაღა ტახტქვეშ დაჰკარგვია იმას მოვები?, თორემ ისე კი, გინდაც არ ჰქონდეს, ფიქრად კარგია,

ცავ, წმინდა ვარსკვლავიანო,

მზევ, დაფენილო დილითა,

ესა აქვს, ესა ნამდვილათა აქვს, კი,

უკვდავებისა წყაროო,

ნადენო ოქროს მილითა,

ესეც ექნება, ესეც ექნება, რადგან და ასე ძალიან უნდა-ს გარდაც, ბალღები ეზრდება, და თავიანთურ უძვლო ენაზე ლაპარაკობენ,

თქვენთანამც ყოფნით გამაძღო,

სიფხიზლითა და ლხინითა!,

მაგრამ რას იზამ, მოკვდავია, მაგრამ იმედად აქაც შვილები ჰყავს, უფროსი უკვე მხარში უდგას, ნაბოლარას კი მხოლოდ დაუღია პირი, ის ურჩევნიან... და მეორეც რომ, თან ლხინითა და თანაც სიფხიზლით ერთათ ყოფნასა თუ რაც შეეხება, ამაზე, ცოტა პატარა დიდი ბოდიში, და ლხინით თუკი გაძღა აბა სიფხიზლით როგორ გაჰძღება, აბა მძინარი უფრო არ იქნება? რეებს ჩემულობს, და, კაცო, კაცო, ამეებსაც რომ არ სჯერდება? მეტები უნდა, რაღაც უცნაურ ძილ-ღვიძილშია, ბურანში თუა, ის მერე რა თუ, უცვლია გვერდი:

ზღვის გაღმა, დიდი ველია,

ია დგას, ვარდი ჰფენია,

ეგ შეიძლება, შეიძლება,

კოშკი დგას მარმარილოსი,

წვერი ცას მიუბჯენია,

ეგ შეიძლება, ეგეც შეიძლება, თუმც მეტად ჭარბი-რამ ამონათქომი, არი,

შიგა ზის... ქალი ლამაზი,

თავის თმისაგან ბნელია...

...ვე?? -

ბნელი ქალი და ბნელ-ბნელი ღამე და კუპრი-ჭვარტლი და რამე კი არა და კიდევ რა გინდა?, ეს რა ძალიან აჰვარვარდა, არა, გაფითრდა, და გინდ ეგრეც იყოს მაგ ტუნტრუცობებებს განა ის არა სჯობიან რომ აბა დაავლე და მოჰკიდე ხელი ემაგ ბარია თუ ნიჩაბი არი თუ ხელეჩოა, - ნათქვამმა გასჭრა? - ნიჩაბს, ხელს ავლებს, შრომობს, წვალობს გინდაც რომ ძლიერ გულდამწვარი, ცოტა ცოდოა... ის შორი ქალი, საბოლოოდ გადავავიწყოთ? - მაშინ, ასწიე ორივე ხელით ეგ ყანწია თუ რაღაცა არი იმსიდიდო და, დაისხი-დაილევინე ეგ ღვინო ოხერ-ტიალი - ეგებ გაღმითა კოშკი სულაც გამოღმა მოგეჩვენოს ოღონდ ქოხად, რით ვერ გაიგე გამოღმურები რომ ვაართა; ჰო-რა, ისევ ჩვენია, აქდაბმული, თქმაც აღარ უნდა, ისე იქნევს თოხსა თუ ცელს, შრომობს, მუშაობს, გარჯაშია რომ, მოწონებული, და უცებ, კაცო, და მაინც ეგრევე უცებ კაცო იმას თავის თმისაგან ბნელი სიტყვების შორი დედოფლისკენ ცალი მალულა თვალით? - ჭყიტ! - ისევ იქითკე იცქირება, ვერანი ესა, თავისნათქვამი, გინდა თოხი დააჭერინე და გინდაც დათვი, სრულს ჭკვაზედ ესა სუვეღარ არი, განა ეს საქმეა? ხომ აკი გვეგონა რომ, გამოსწორდა? ესრო გაუგოს წამოწოლილმა მცონარემა, სადღა მიუხვალ, რომელ მოხუფულ ქვევრებში აბა იმას დაემალები, მაინც მოგწვდება ერთგვარის სიტყვითა, მაგრამ რას ვერჩით, თქმაც აღარ უნდა და ისევ მუშაობს, ეს სულითაა სხვაგან თორემ, ისევაც შრომობს, ოღონდ ხელებითღა, გულიც სხვაგანა აქვს, და მაინც, შრომა - იციან, ვერ დავუკარგავთ, დაჩვეულებია, სისხლში ჰქონდა, ბალღობიდანვე თან ჭუკებს ჰმწყემსამდა და ოღონდ სალამურს თლიდა თან, ესა დიდობაში ხომ - გაბმული შრომით, უწყვეტია, ერთი ის იყო, მონატრებული ქოხით შეჰყოვნდა,

მერე იმ კოშკის ფარული ქალით ცოტათ თუ ბევრად იხიბლავა და აკი ისევ ისე კუთვნილსა თუ მოსაძებნისკენ ძლიერ მიუწევს ოღონდ განგან ცალი გული და წყვილი ხელ-ხელი; თვალნათლივ მაინც, ასეა და, უხსოვრობიდანვე, შრომა იცოდნენ ისეთი რომ? - თან გემრიელათ, ვერ დავუკარგავთ ამას, ისეც იმდენი ლექსის დაკარგვა არ ეყოფათ? შრომაშია და, წვალებაში და, მაინც სულ სხვაგანაც თან მადლთფენასაც, არი და მირონს არი, არადა, ჩვენში დარჩეს და იყოს ჩვენში და, ცოტა ძნელია, ორივეთობა... ჯერ სულაც აი ვენახს რამდენი რამ უნდა, ეს ბოლოსკენაა მადლი და ცხონება, შვება, თორემ იქამდე? - ვაება არი, ახლა პური, და ჭვავი და ქერი, ხეებიცა ჰყავს მსხმოიარე, „ნერგნიცა სულიერად ითქმიან, რამეთუ აქუს მათ მოძრაობისა და აღორძინებითისა და თესლოვანებისა ძალი“, უნაყოფონიც, უბრალოებიც, მოისხმენ ფოთოლს, მაგრამ, ისედაც რკოიან მუხას უბრალო თქვენ ეძახე და, უბრალო იყოს, განა მუმლი მოედებოდა?

რაგინდ ულხინდეთ, მაინც შრომობენ, ჯაფებსა, არი, თუ არ ულხინთ და, გაჭირვებაში, მთლიან ერთიან ჭაპანწყვეტაში არიან, და ამ დიდად ერთგულ, ვაზისა თუ გუთნის კაცებში, აეს ვიღაა, ერდოზე რომ ძალიანაც წამოწექილა, ჰო, მაცოდინარა კაცია ჰო ვუი, იმაზე ჩუმად ამბობენ, ადრე ლექსებით კოვზი ნაცარში ჩაუვარდაო და ახლა კი ლექსთა დაწერას ისე ისწავლება, პირდაპირ ხვითო, გემოვნებას კი ვერ დაუწუნებ - თუკი სიცხეა და, ჩრდილიანში ჰქშენს, ჩერო-გრილოში, თუ სიცივეა და, ბუხართან გდია, და როგორ გვაგონებს ვიღაცას, სხვას, მსგავსი სახე აქვს ვიღაცისდარი, სადღაც გვინახავს, შეგვხვედრია, ოღონდ ძლიერ შორს ხეტიალში და თანაც ახლოს, და, თუმც უცხოურად კი გამოიყურება, კოჭებში მაინც, - მაგრამ ქართულიც სცოდნია, კაცო, გამოთქმებსა ჰფლობს, და ეგეც რომ არა, ძლიერ შეშინაურებულადაც კი, არი, ოღონდ ზეიდამ, მაღლიდანა, ნეტავი ვისი დარი არი ეგა? ჰოიი, თავისა თავის დუნეთ აღიარებული ყადრიც კარგა იცის, სხვების მონაგარს საჭმლადა შჭამს ორთავე ხელით, და თუ ივლისებისა ღამისპირა აგრილებებზე თუ ნოემბრის მზეზე ერდოზედა სწექს, - კარგი, არ მუშაობს და ნუ მუშაობს, ეგეც კარგი, და ჩუმათ მაინც იყვეს, ოხერი, კაცო, მაგრამ - აარა, არა, - ვისაც კი ჩავლილს, გინდაც ავლილს დაინახავს, საითკენაც რომ უქცევია თვალი და პირი, და იმათ არეში თუკი ვინმე მოჰხვდა, აიმ იმისისაწილ თვალთპირმიქცეულობისკენაში, სუყველას ჭკუას არიგებს ესა, შენიშვნებს ისე გაიძლევა და ისე სტუქსამს ავლილსაც, ჩავლილსაც, გინდაც რომ აღმოსავლეთის პროკლოვი იყვეს, - ვა?? ისეთს ჭყეტელა ხერხებს თითონაც ჰფლოობს და სხვებისთვინაც დაუსრულებლივ ისე ისწავლებინებინებინა, ეს ხერხნი საქმე საქმეზედ სიზმრადაც რომ არ უყნოსია, მაგრამ სულ იმასგვიამბ-გვბამბობს ამ ჩვენს გაბეზრებულ თავებზე, და ირიგება, სწორა ცხოვრება როგორია და ან როგორი უნდა იყვეს, და ამას თუ რა სჭირდება და ეხამება, და ხოლო ამისათვის როგორ უნდა იმუყაითონ, როგორ სთესონ, როგორ მოიმკან, რუები საით გადააგდონ, არადა, წყალი, დოქში-ს გარდა არც უნახიან, არც რომ რა იცის, მაგრამაც სუეს გვასწავლ-და-გვარიგ და აიხსნევინებანება, ქოხებს კრამიტი როგორ დაჰხურონ, ზეიდანა თუ პირიქით ქვეიდან ამოსდონ თუ სულაც გვერდზე, საითკე უყონ წისქვილს პირი როარ გაწვიმდეს, ან გასეტყვდეს, ან ანც ბალღებს რომელი ყური აუწიონ დიდობაში რომ გამოადგეთ, თანაც ხმააქვს ისეთი, გინდაც ზარნაშო, რაგინდა მადლსა შეეფეთოს, იმ თავის ხმითა ყველაფერს სწუნობს... - ვა?!? ვუიმე

ბიჭო, დაწუნებაზედ გამახსენდა, ნუთუ ის არი? არადა იმას აქ რა უნდა, რა დაჰკარგვია, საიდან სადაო, ვაი თუ იმისი ტყუპისცალია და ვუითუ კიდევ მეტნი არიან, საკვირველია, ნუთუ ის არი?, მაგრამ ქართულათ, კაცო იმათავისი ხმით უწყვეტ-განაგრძობს თუ რატომ და რათა უნდა ნამგალს ტარი, კბილები - ხერხსა, ან ადამიანს - მხარი თუ ერთზედაც მეტი კოჭი, იდაყვი, ფეხი, ყურები, რამე, რომ ნესვი უფრო ყვითლურია ვინემ ღოღნაშო, გინდაც მაყვალი, არნოლდი და სხვა, სუ იმთავითვე ადრე იცის რომელი უფრო წინ-წინ იყო - მოუხარშავი უმი კვერცხი თუ ქათამი თუ ბუ, მოკლეთ, ესა კაცი ერთი კი არი და, თანაც მაგრამ მაინც მთელი გენერალიტეტია, - ვა?, და აბა განა მაშ გენერალი ტეტია აბა მა რათ უნდა იყვეს, გინდაც რომ ქართლში, საკვირველებას, ვაართა, არადა მაინც ვინ არი ესა, რომელისა და ვისისა დარი, ეს სახეძაღლი... - აა?!, - ტარკინია ეს, ტარკინი არი ეს სახე-დარი! ძლივს არ ვიპოვეეთ, კარგახან როგო სუაღარ სჩანდა, არ მოგვანატრა ფუტურო თავი? ისე კი, რაც გინდათ ისა სთქვიით და, ასე ქართულად ნაენავი ეს ფუტურისტი ხომ აკი ქართულათ ყველაზე უფრო სწორათა ჟღერს, არა? მაგრამაც ჰავანგარდისტმა, ისეთი მაინც რა დააშავა რომ, ყველა ენაზედ ერთნაირად რო გაიძახიან, ბედი არ სწყალობთ, ისე გამოდის რომ ერთნი არიან, არადა სუ ერთმანეთზე უკეთესები ჰგონიათ თავი, ვა?, ამაყებიც აღარ იყვნენ?, მომავლითვინა?, და აბა ბედი წოდებ-სახელდებაში რათ არა სწყალობთ თუ თანაც იმათშიაც კი უმფრო უარესს უმფრო უკეთესსავით აძლევენ ზოგადურ-საერთო ჩინსა - ავანგარდისტი, ყოველი ჭკუისთვის ერთნაირად შენიღბულ-გასაგებათ, ხოლო ამ დაწინაურებულ წინწინ მარბენალთ და ასეთს რთულ-რთულებს... (რა�о? - ისემც?..) და სხვა თუ არაფერი, ჩვენ მომავალი კაცქალობრიობა აბა თუნდ ამას გვაპატიებს?... ე?, ბედი როარ სულაც არ ექმნება ზოგიერთაურ თავისებურ შემოქმედ-კაცთა, სწორედ ისეა იმათი საქმე, მაგრამ აქ ძალიანაც ნუ გამოვეკიდებით და იმათ გადაკარგულშიაც კინუ გავიჭრებით, საშიში არი, ისევ ტარკინის დავუბრუნდეთ, მე თქვენ გეტყვი და ჯერაც არ შემოგვხვედრია თუ რა, შეგვჩვეულია, რაღა, და რაკი ცოტახნით მიგვეკარგა, მაშ იმან ეგრე დაიჯერა რომ, სულაც ძალიან გადაგვავიწყდა? კი, როგორ არა დიახ, ვერ მოგართვით, ოლოლო შენ, შენა, მაშ რა ეგონა, ეს როგორ, კაცო, რიგოლეტოზედ ისეთს აუგს, დაუვიწყებდით? ეგრევე ციმციმ შერჩებოდა? აიმ ყურებზე მუშტისოდენა ხახვს არ დავაჭრიდით?, ამ სახეძაღლსა?, ამ გავაძაღლსა?, რაღა ვუწოდოთ, ეგეც ცოდოა, პატარა არი... - ლავიწგოშია?, და რამე, მართლა, სახე-გავაზედ გაგვახსენდა, იმას, ტარკინის, ამათი ჭკუის მასწავლებლობით დამსახურებით ცოლი შახვდა და ისე ყაავ როო, ნაპატივები, აკი ტარკინი მშრომელებისას, იმათსას ჭამს, იმათსასა სვამს, თანაც ბევრ-ბევრულად, რადგან ცხოვრება როგორღაც ისე არი, თითო მშრომელზე აკი რამდენი პირაღია და მცონარი და ენით მძოვარი მოდის, და ემ ტარკინის უცხოც ცოლიც ნაპატივებია, გასუქებული, იძახიან რო კარგია ესა, რადგანაც ხშირად აქა-იქ აკი წამოსცდენიათ, ვა? ქალი როგორი კარქი რამე არიო, და, ქალი თუ მართლა ეგრე კარგია, მაშინ ხომ ასე იგი რაც მეტი არი უფრო მეტი კარქი არ არი?, - სუქანია, მაშ, ტარკინის ცოლი, კი, ტან-ფეხი აქვს რო? - ზათქი, და მოსწონთ და მოსწონთ სოფლის ბიჭებსა, და იმისისა იმის წებოვან თვალის გაყოლებაზედ, ჭკუვით ყირასა გადადიან და გინდ ღამითაც ყირაზე მდგარსა აბა რაღარა დაგაძინებს, ერთიანად, ვსჩქეფთ, არა კაცო მე რა შუაში ვარ - ერთიანად ჩქეფან, ისკი არადა, სოფლი-ბებრებიც მალულ-მალულად შაავლებენ ნაკლულა თვალსა,

და სახეს ხელით იჩრდილებენ, ვა? რა მზეაო, იძახიან, ვითომც მზე აწუხებთ და გინდაც მოღრუბლულში ვითომ არ გაუყოლებიათ ნანახი თვალი; ბჯოო... - კარგი, დაუშვათ და ძალიანაც რომ მოგწონდეს, ეგ ერთი არი, მაგრამ თვალებით კინუ შაშჭამ, კიდევ კარგი რომ, თავში იმდენი მაინც ჰყოფნით, სიტყვივ ვერაფერს ეუბნებიან, ხსწორნიც არიან, მთელი ტეტივით გენერლის ცოლი და, ამათ გაუყადრებს თუნდ უწყინრული სიტყვა-ბაასით, სიტყვობრიულად, ესა, თავსა? თანაც იციან, რომ ტარკოვსკისა სადღაც ცხრამთის იქით ვენსკი თუ მილანსკი თუ გუდამაყარსკი კავალერ-უგანათლებულესობა სიტყვა-მუსიკის კონტროლ-ჯარკოვსკი იმედადა ჰყვანს, შიშში არიან, და ქალსაც ისე ამაყად უჭირამს თავი ისე რომ, რომელი მამალი, მაგრამ თითო ჰაფრაკი და ჭკვა-საქციელზედ ხელაღებული, მაინცრომ ყველგან და მუდამ გამოერევა, ვა?? - აედევნავე თვალივითა ორთავ ფეხებით ერთხელაც ერთიც კარგა რჯულზე-ნასვამი მთვრალი დამწყები ოყლაყი, ვაიმე ბიჭო ეს რასა სჩადის, ან ბიჭი ბიჭად რასმეს ჰგვანდეს, ანაცდა თუ რა, თანაც ხოიცის ვერას მიაღწევს-რას, დისციპლინ-ჯარკოვსკის ციმბირაულად სამუდამოდ ხუნდების გარდა, ტარკინისაგან განსხვავებით ქოჩორა თავის წაგების გზაზე არი და ეგ არი და გორის ციხე ეს სულ ცოტა, იმასთან ამას რა ხელი აქვს, ემ უბედურსა, ქვის სასროლზეც რომ მიახლოებულიყო, ეგეც საშიში იქნებოდა, ესა კი, აბა რომელი ტიტულოვანი, ხელის ერთიღა გაწვდენაზე ასდევნებია და, ვაიმე, ესა, თან ფერებობებს კიარ ეუბნება, აი ვთქვათა და, როგორებიცაა, ეე, ჰო - I - ციური ღამის კაშკაშ-მანათობელო ვარსკვლავოო, ან № 17 - შენ ჩემო მარიხ-მარსკვლავოო..., ანდაც № 38 - შე ვარსკვლავოო, ანდაც სულაც № 126 - შე კუდიანო ვარსკვლავოო და კიდევ რამდენი სხვებიც №№, არა, აესა, უტიფარი, სოფლის გარეთ რო დაიგულებს იმას, სუქანსა, თან ან იმ სუქანსა სოფლიგარე აბა ნეტა რა უნდა, ვაიმე ბიჭო, შიგ ყურში აკი ასე არ ჩააძახებს?:

ქალაუ, შენ რო ქმარი გყავ,

მე ხისას გავთლი ისთასა,

ეს რა შეჰბედა, ქალაუო, თანაც ჩაყვირვით, გაგიგიათ, ჰა? წასული არი ამისი საქმე, ნეტავი შხამი დაელია და, განა ამ ღვინით ციმბირის იქით ალიასკასკე დაგიჟებას, შხამი არ სჯობდა? ასეთი რამე, სადმე როდისმე, გაგიგონიათ, ჰა? გენერლისა და, ზედაც თანაც და გინდაც ტეტიასი, მაინც გენერლისა ნაპატივები ღვიძლი ცოლი და, ქალაუოუ?. -

ვაჰხ!

რა გაუბედა, ლერწმებში წვანან.

...

ისე კი, ვერ დავუკარგავთ, იმ მსხვრევად გზაში, თავი ამაყად ეჭირა ქალსა, თუნდაც უბრალო სალამ-ქალამისა კი არა, გენერლის ცოლმა ის ბიჭი ცალი სიტყვისაც ღირსადაც კი ერთი არ გახადა, ეს მერე გახადა, იქამდისინ კი, ცალი სიტყვა რომ კენტი სიტყვა არი, ისიც კი არ დასცდენია, -

ამაყებია,

კრინტურ-ჩქამიც არ გაუღია,

ეს მერე არი რომ გაუღია, მიფარებულში, ხოლო თურმე მოლიპულ გზაზედ კი, ხმაც რო ხმა არი და თუნდაც ჩუჩუნია, გინდაც მორიდებული, თუ სულაც საერთო კუდაბზეკი, ისიც კი არ უქამს და ხმისა არ იყოს არ გაუღია, ეს მომდევნოღა-ურ გამოღებებში ძალიანაც და ძლიერ და ძაან იძახა ლერწმებში წასაქეზებო ბევრ-ბევრები, იმ საოყლაყესადმი აშკარა ისე შემჩნ-საგრძნობლობის მადლობის ნიშნათ, მაგრამ აკი თან ალიყურებსაც, აცეტებული, გაავებულად აღმფრთოვანებული, ტკაცატკუც სწნამდა, რამ დააგიჟა, კაცი არ ენახა თუ რა, თანაც რო ჰბწკენდა, ამოჰკოცნიდაც, თანაც ისეთებს გაჰყვიროდااااა, მთელი ლერწმნარი ჭია-ღუაიანა აიყარა, და ის ეგრევე ჭრიჭინობელასავით ფხიზელი ბიჭი? - მოსქო ტუჩებზე იქსუ შუბლ-ლოყას აფარებდა, ხელისგულებით არ ეცალა, ხელისგულები სულაც სხვაგან ქონდა, ხოლო მამრ.-სქეს-ტარკინის კი სახე-პირზედ ხელისგულს აბა რომელი ააფარებდა, რადგანაც შორი კავალერ-მეომარ-უგანათლებულესობა და სარდალ-ჯარებიანი ქაჯან-ჯარკოვსკი შორიდანავე მხრებში ედგა, წამოწოლილსაც, კი, ჰოდა, ესა ტარკინი კიდე, ზედაც ერდოზედ ამა-იმასობაში სუარხეინად, პირ-მოძრაობულ-დადებულად წამოწექილი, ლერწმოვანების იმათსობაში აი ასეთ-და-ისეთია აი ესეცა რო, სუ ჭკუებ-ირიგება, ვე?, ზოგი კაცი რომ პირისთვისაც და თავ-ხახისათვის ასე კოხტად რომ მოერგება სოფელსაცა და იმის საჭმელსა, ტყუილია, გინდაც სხვა გვარისა იყვეს, თუმც რატო სხვა გვარის, ჩვენც ავიღოთ და - ტარკინაშვილი იყვეს, თუნდაც, და ტარკინაძე თუ ტარკინაული რათღა არ იქნება, კენტად ხომ ამ ჩვენს სოფელშიაც და საწოლშიაც ცალ-კიკოდ არი, ერთი გასაკვირვი მარტო ის არი, რომ სოფელში იმისთანავესივე გემოვნებისთანა სხვაც კიდე არი, ხასიათებით ორთავე ერთი კი არი, თორე თვალ-ტანად ის ტარკინისთან? - მეტი კი არა და, გინდაც ფოცხვერი ბაყაყთან არი, და აბათუ იცით ვინ არი? ვინა და, ერთიც დინჯი ხნიერი გლეხის ერთიც ყაჩაღანა გოგო მაიკო არი, კარკუჩს-იქეთელი, და საერთოდ ხომ აკი ლამაზები რაღაცისგვარის საკუთარი ეშხით თავად თვითონაც დნებიან, და ნაზებია? ესა კიდეე - აარა, არა, საცა კი გინდა იყვეს, იმ დიდრონ შავ თვალებს კი არ აკვესებს მარტო, არამედ ისე აბრიალეებს-ც, და ისე თავდამსხმელურად გამოიცქირება, და, რო გეგონება რო, დიდი ჯაფების შემძლე არი და მფლობელი არი, არა? არა! - არამედ ახასიათებს:

I - შავი თვალების ბრიალი,

II - ზამთრის უყორდა ბუხარი,

III - ზაფხულის - გრილი ნიავი,

IV - მარტში ყურძენი,

V - ხოლო სუმუდამ - შაქრიყინელი,

და ასე შემდეგ, ეგ კიდევ არაფერი, მაგრამ სიტყვა-პასუხი იმასა აქვს? - იმ მხმოვან თაფლში ამოვლებული წიწაკის თაიგულ-კონა და ტუჩ-საბადაგო ცხარ-ცხარის აცმა, მოკლედ, ამბოხებული ნებიერია. ლამაზები რა, განა სხვებიც მრავლად არ არინ აქა? ისეთები, რომ... რამდენზედ, ითქმის:

გაივლი და გამოივლი

შუქი გადგა მთვარისა,

ვა?!

ზურგზე ნაწნავი გაყრია

სიმსხო ჩემის მკლავისა,

თმის წინიდან შუბლი არი

საწერელი კალმისა,

შუბლს ქვემოდან წარბები გაქვს

მოწეული მაყვლისა,

აქეთ-იქით ლოყები...

ვა?!? - თვალებზე რატო არაფერს იძახის? რათ გამოსტოვა? ჰეეე, რათა და, ბიჭსა, ვითომც გაბედულ-თამამია და, თვალებში კი, ვეღარ შეუხედნია იმისათვისა, სრცხვის, ეს ლექსებიშია რომ, დიდ გულზე რო არი: -

აქეთ-იქით ლოყები გაქვს

საკბეჩები ვაშლისა,

ვი??! - ვითომ ლოყებზედ კბეჩების გამბედველია, ესა? ცარიელაღა, ენაღა, არი, და ენით ისეთ დიდ გულზეა რომ, და ისეთებს ამბობს? - ოღონდაც გულში: თვალი მიჭირავს შენზედა როგორც მიმინოს მწყერზედა, - სულაც ტყუილი... ის მერე რა რომ, მშვენივრად ხვდება, რომ იმას ფერ-უმარილი აბა სულაც აბა რათ უნდა, ისედაც - შენს ლოყას ვარდი ჰყვაოდა-არი, და უფრო როგორად მეტიც:

ლოყებშუა ტუჩები გაქვს

საკოცნელი თაფლისა,

თაფლისაარ? ვე?... გაიმტკბილები? - არა - რაღაცა ზრზენად მეტი, მაგრამ ლექსს მივჰყვეთ -

ტუჩებ შიგნით კბილები გაქვს

ბროლისა და ნათლისა,

ვაჰა?! კარგია... მააგრამ, მაგრამ,

კბილებ შიგნით ენა არის

ჩემი გულის დარდისა, -

ვიშ! მართლაცდაა რომ, - ვიშვიშ! ვაჰ, ბოლო-ბოლო ესეც მაიკოსავით არა ჰყოფილა? ვუ?... მაგრამ ზოგი ისეთი ლამაზია, და თანაც მაგრამ-მაგრამაც ემ მაიკოსავით კიარ სდუღან... ზოგია მაინც, წყნარ-წყნარი რომ, ის მერე რა რომ, ძლიერ და ისეთ-ისეთაურად ლამაზია რომ, შეაცქერდები, და, აღმოგხდება:

სად მოიცალა ი ღმერთმა

შენი თვალ-წარბის წერითა,

ანდაც, ერთიც მოხევის ქალის დანახვაზეც, აქაც ღმერთამდე გაკვირვებასა, ხარ, -

მოხევის ქალო თინაო,

რა ღმერთმა გაგაჩინაო...

და ირგვლივ თუმცა ყველასა ჰსჯობს, მაგრამ იმ სხვებსავით გათხოვებაზე კიარ უჭირამს თვალი, და ერთთავად გარე-გარე კი არ დაიარება თავმოსაწონრად, სულაც იმ თავის მინავლულ კერიასთან ზის, არ გაგიკვირდება? სხვებს რამდენობით სჯობიან მაგრამ,

შენი ტოლები დათხოვდნენ,

შენ რას უზიხარ შინაო,

ვა?, თავისი თავის ნება არ არი? არ უნდა ეგებ ეს გათხოვება აემ თინას და, ძალაზედ არი? ვა?... არ უნდა ჯერა, იმისი გულის თავფარავნელი კი ჯერაც სუვეღარ გამოჩენილა, მაგრამ სუყველას ერთი გოგო სჯობს, და ხევ-ხევ მაინც, ბიჭოო, როგორ ნანატრი შესახედია?:

თებრონე მიდის წყალზედა,

კოკა უდგია მხარზედა,

კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო,

მიდიის, წყალზედა... ნაზი არი და კდემით მოსილი, ის მერე რა რომ ფეხშიშველია, და თუმცა იმან თვალების მაიკოსავით ბრიალი სულაც არ იცის, არამედ ცოტა, სუუულ ცოტა, ტანით ცოტათი მოსულია, მაგრამ მომსუქნო კი არ არი, ეს მოსულობა რაღაცა სასურვ უმწეობას სძენს, და, უნდაც დაფიქრდე, ეს კარგი გოგო რომ ამდენს მიდი-მოდის, კიდევ კარგი რომ ცოტა გამხდარი რათ არ არიო და ის კი არადა, ეს სულ ცოტათი ტანითსრულობა, სინაზესა, ჰფენს, და სუყველასაც ხომ, - ეს თავისთავად, - და ამ გიჟმაჟებ მელექსეებს ხომ, განსაკუთრებულა თავ-რეტებს ახვევს:

კარგო, მოგივალ წყალზედა,

გაკოცებ ორსავ თვალზედა,

რისი მკოცნელია, ი?,

კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო,

და თუმცა სიტყვით ვერას ჰკადრებენ, ქალი არი და გრძნობს, ჰგრძნობს იმათი გულის ლექსურა-ნადებს, უფრო კი ერთი მელექსისაც ისე რომ, ისე უმფრო რომ, ისე შეკრთება, რომ,

თებრონემ კოკა გატეხა,

ცრემლი მოადგა თვალზედა,

კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო,

კიდევ კარგი რომ, მეჭურჭლის შვილია, და იმ თიხის ერთ კოკას აბა იმდენი განა რა უშავს, თქვენი ჭირიც წაუღია, მაგრამ ცოტათიც დაბნეულია, მაინც რათ უნდა გასტყდომიყო, ნეტავი ვინმემ ხომ არ დაინახა, დიდი თავმომწონარი ის კი არ არი, მაგრამ, რაღაც ქალურათ, მაინც ჰფიქრობს რომ, ვაითუ ამ ერთს ხელმოცარვაზედ ისეთ-ისეთები ააგონ რომო, დონდლო არიო, ურგებიაო, თანაც კოკამ ხომ წყალი იცის და, ალბათ უფრო მოადგებათ ენაზედა და გულს - წყალწაღებულიაო, მიმოიხედება, ცოტაც დამფრთხალი, არავინა სჩანს, და მაინც დამორცხვებულია, ეს მაინც აბა განა რათ უნდა მამსვლოდაო, ისეთია რომ, კიდევ კიარ პატარავდება, უმწეოებით, უფრო სრულიც, სჩანს, მაგრამ მერე, შინ რომ მიბრუნდება და, და რომ გამობრუნდება, ამასობაში სულაც გულიდან გადაჰვარდება უმოწმო მარცხი და, ისე ლამაზად, ლამაზად ისე? - გინდაც რომ ვინმეს უყურებდეს, მირონიაობს:

თებრონე მიდის წყალზედა,

ჰოოო, ვხედავთ, მაინცა ვხედამთ ეს-ჩვე ასეთები და ისეთები, ხოლო იმას კი, აემ მელექსის ჯიბრსა და ჯინზე, მთლად ახლთახალი

კოკა უდგია მხარზედა,

კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო,

არადა, ეს მელექსეები დიდად უცნაური, ფერადი სიტყვის ჭრელი ხალხია, და, რომელიც გინდა, გამოარჩიე, რომელსაც გინდა ალალ-ბედობით ხელი დაადე, გინდაც კარგი რამ იყვეს შესახედად, ძმა-ბიჭობაში გამორჩეული და გინდაც მთლად ტლუ, ძნელი ფიქრების საგუთნისდედო მოსახვევებში, სუმბუქ-უცნაურ მძიმე რამ რასმეს, არი; არადა, შენა გაგრია ეძახევი და, იცის სილამაზის ყადრი:

შავი თვალი, შავი წარბი,

პირი ბროლის მსგავსი გაქო,

სუბროლებშია გაზრდილი, აი,

ალვის ტანი, ლერწმის მკლავი, -

აეხლა ნახამთ, რასაც იტყვის: -

ზედ სურათი თითი გაქო,

ვა?!? ესეცა შენი - ვიღა გამოდის? - ვიღა ვინა და, ფირუზ-ტეტია, და თანაც კაცო, თავსაც რომ მეტად უფრო რო იმხნევებს? -

ნახვა შენი, ჩემთვის ლხინი,

ენა შაქრიანი გაქო,

დაუხატავენ, დაუხატავენ კი როგორ არა, შაქრიან ენასა, მაგრამ იმათში, მთელ ჯამაათში, ტკბილის ენითა, სულ სუ სუყველას, აბა თუ იცით, ვინანი სჯობიან... ჰეე, რომელი-ვინა და, მთლად ახალ დედას ტკბილის ქართულით აბა რომელი შეედრება, რომელი თინა-მაიკო და თებრონე კი არა და, თუნდაც ყველა მელექსეს ერთ დიდ გოდორში რომ უკრა თავი, იმათთან აბა რომელი მოვა, სულ აკვნებისკე გადახრილან და, სუ თვალებითა სჭამენ იმ სამუდამოდ ნატვრისა-თვალსა, თოთოს, და ხვითოს, და მარტო სუთვალებითა კი არა და გულითაც სჭამენ, დაჰღიღინებენ წყნარის და წყნარის სიყვარულისგან სულ სიყვარულიან ნეტარებიან გოდებითა, უყვართ რომელია, იმათით უკრთით თუ უკრთით და ისე ღონივრადაც თუ უფეთქთ გული:

ეე, ნაო, ძილასაო,

სამკალ გაჩენილასაო,

ბიჭი ჰყოფილა, ზრდიან,

დედა ძუძუს მოუტანდა,

ზისცვრით გატენილასაო,

დაჰმღერიაან, - რო: -

ეე, ნანო, ქალასაო,

გოგო ჰყოფილა,

ანგელოზის ცალასაო,

ძილი მოდის თვალასაო,

აფაჩუნებს ჩალასაო,

და, ხოლო, მეტის-მეტის სიყვარულისაგან, გინდ ბიჭი ჰყავდეთ, გინდა გოგო, უკიდეგანო მეტისმეტობით აბა რას აღარ დაჰმღერიან იმთავიანთებ ჩვილურ ზეცებს და რეებს აღარ უგონებენ, არც დაიჯერებთ, რაღად და რაღად არ ეჩვენებათ - მარგალიტო სადაფზედაო, დედის ჩიქილ-მანდილოო, თეთრი პურის ნაწილოო, - ვე?... ჩემო ოქროს შანდალოო, მოლაპლაპე სანთელოო, ბნელ ღამეში ნათელოო, ნეტამც... ხომ ასე პატარაა, მაგრამ, სუყველასიცაა - ბიძის ქამარ-ხანჯალოო, ძალოს წითელო ვაშლოო, დედის ალაგ-მალაგოო, მამის ციხე-ქალაქოო, ბებოს თეთრო მანდილოო, პაპის ოქროს გუთანოო, ვა?... ნათლიას ია-ვარდოო, ცხვირში სასუნებელოო, ვა?!, ქვეყნის მომგონებელოო, - ვაჰა?!.. მაგრამ ხანდახან ერთ

ისეთსაც დაამღერებენ, სირცხვილით დაწვაც შეიძლება, აეს ნორჩი დედობა აკი რაღას არ ათქმევინებს დედად-ადამიანს, აბა მოუსმინეთ:

დაიძინე, გენაცვალე,

შოთას აზრისაო,

ვა?!, ჰ?!! ეს თოთო ბავშვი და, შენ გესმის, კაცო? - შოთას აზრისაო!?. არა, ასეთი ვუ?- ზედმეტობებიც არ შეიძლება, და ეგებ ჩვენაც, ამსიყვარულით, ბევრსაც ვაჭარბებთ? კაცო, ცოტათი მეტი ჩვენც ხოარ მოგვდის ამათ ქებებში აექა ჩვენა?.. პასუხიცაა, გვააქვს - არა. ნწ. ნმწ. ნწუ. და ეს თუნდ იმიტომ რომ, ეს ჩვენისთანა უბრალო წინაპრიან-იმათთანანიც კი არა, აბა ერთიც მოდიდო-სხვაც მოვიშველიოთ, აბა ნახეთ თუ, რასაც ამბობენ ის სწორედაც ამათზედ რამდენათ მეტად სწავლული ხალხი; იმ ერთმა მაინც, მრავალი რამ იცის, ამათში ყოფნით ბევრი უნახავს, და თანაც, თვით ბაგრატიონთა შორისაც კი ხომ გამორჩეულად ღირსეული, წონიან-სიტყვა და, თან როგორი განსწავლულია, სიტყვების მაღალ მდინარებას როგორი სიბრძნით, თავისი და საჩვენო წიგნის შესავალიდანვე, გვაწვდის: „ხოლო კუალად წიგნნი ფილასოფოსთა მიერ ქმნულნი აღგვავსებენ ხელოვნებითა და სიტყვიერებითა, გვაცნობებენ თავსა და გვასწავებენ, ვითარ ჯერ არს ცხორებად, და მილტოლვად გვყოფს ღვთისა მიმართ. კუალად მატიანე მოგვახსენებს ქმნულებასა და ყოფათა მეფეთა, მთავართა და დიდებულთა (ესა - ისინი, დიდებულები), ვიდრე მცირედმდე (ეს ჩვენა, ხალხნი), და ვითარებასა მათთა, განგვაშორებს ბოროტსა და შეგვრთავს კეთილსა (ყველაზე ამბობს), ხოლო წიგნი დედაბერებულთა ზღაპართა, გარნა თუ არა არს მოსახსენებელი, არამედ იგიცა ალხინებს ოდესმე, და გონიერი მოისთლობს მისგანცა ნაყოფსა“, ვა?, ხედამთ, სულაც მარტო ტყუილად კი არ გვიკითხავს აემ ჩვენების დედაბერებული? - ვერშებერებული ზღაპარ-ლექსები?, და, თუმცა მაღალ-ბაგრატიონს, და მაინც როგორ ჩვენსას, ჩვენიანის, თავის დასტურად, ვინმე და შორი დამასკელიც, მაგრამ წმიდანი, სახელდახელოდ მოჰყავს: „ჯერ არს, რათა ვიკითხვიდეთ წიგნთა..... და არა თუ მხოლოდ საღვთოთა, არამედ გარეშენიცა წიგნები არა არიან განსაგდებელნი, რათა უმჯობეს მისნიცა შევიკრიბოთ (და რომელიღა შესაკრები იქნება ჩვენ შორპაპებ გლეხთა ლექსნზე უმჯობესი), ხოლო უჯერონი (მრავლად გვქონია ასეთი წიგნაუებიც) ძაღლთა მივუგდოთ“... მაგრამ ძაღლთა მივუგდოთ კი არა, აგერ ახლახან სუ ზეპირ-ზუთხურ ვისწავლინებოდით (სოც.-სახელმწიფო ჰაუდიტორიებსა თუ კერძო ბინებშიც დავისწავლებოდით, რაღა), კი, და კიდევაც კარგულ ჭკუვებზედ, ვაართა, და, კიდევ კარგი, იმ წარსულ-მთქმელთა ვერდასაკარგად, ისევ წიგნებმა გადაგვარჩინა ცოტანი მაინც და ცოტათი მაინც ჩვენ, გრუზინები, და შორ-იმათგან თავ-თავის დროზე ისე ზეპირად თქმული კიდევაც ბევრი შესაშური რამ კი არა და, მთლადაც სრულიად გადამრჩენი, ჩვენი, და ის არ გვეყოფა გლოვად და დარდად, რომ ალბათ რაოდენი რამ რამდენი მიგვეკარგა კიდევ სხვა, და სხვა, და სხვა და ის ბევრი სხვაც ლექსი ახლა რომ თვალით ვეღარა სჩანს და ყურითაც ვეღარ მოისმინება, რაც გინდათ თქვით და, შემოსანახი ბედნიერების გადასარჩენად ეს წერა-კითხვა მაინც კარგი რამ რამე არის, სულ რომ არაფერი, აემ ჩვენ-ჩვენი კიკოდ-ქართულა გატენილი იქნება თუ ფუყედ-ფუტურო თავებისა - მაინც ამ ჩვენი, რაღაი მხრებზედ ამოგვივიდა, გინდაც

ამ ჩვენი ასეთ-ისეთი ამ თავებისა, გადასარჩენად მაინც, ამას ვეღარ დავუკარგავთ ერთსაც ჩვენებურ წერასა თუ არა, კითხვას მაინც, ვერ გაამტყუნებ შემძლებლობაში წერაკითხვების შემძლებლებთა, ხოლო თუ როგორ ხალხში ტრიალებდა თვით პოეზია, მაღალი ლექსი, ისევ ამ გამორჩეულ ბაგრატიონში ჩავეძიოთ... აჰაც!: „ხოლო კაცნი და ქალნი შუენიერნი“... ჰა, ესეც მე ვარ? თვით ბატონიშვილის ნათქვამია ესა, ისე კი არ არი... - „მშვიდნი“...?.. ჰო რაღა, მივყვეთ, „მორჩილნი“... ვითომ? ჰა?, „ხოლო ვიეთნი შფოთის მოყუარენი“... - ვა?!?. ...თუმცა, ისე კი, სიმართლე სიმართლედ და, აეგა, შფოთი - ვაა?, გვააქ და... - წყალი არ გაუვა, ნწ. ნმწ. ნმწუ. ეს ახლაც როგორ ძალიან და, ის თითქმის ლამის გარდასული ძველები ვითომ რიღათი იქნებოდნენ ჩვენისთანებზე ბევრად ნაკლებნი, გავხედოთ ერთიც და, - შფოთის ატეხაც, სრულად იციან. და განა მარტო ბიჭბუჭებმა, არამედ ერთიანად, მაშ. სოფელში მიზეზს რა გამოლევს, ხანაც კი, სულ თითქმის არაფერზე... - არაფერია, აბა სხვა მა რა არი ერთიც წითური ქაჩალა კაცი, - და სწორედ იმის გულითვი, ერთიც ვნახოთ და შეიყრებიან და ძალიან დიდათ ეძგერ-ეტაკებიან ერთიმეორეს ზედ წყაროს თავზე აქოჩრილები ყიყლიყოებივითა

კეკელა და მართა,

ჩხუბი გაიმართა,

და განა კი მყისვე აშველებენ, სეირის ცქერაც, ოხრებს, უყვართ, გვიყვარს, წრედ შემოჰკვრიან, და თანაც რო იმათი ჩხუბის მარტო დასტურსღა კიარ არიან, აქეზებენაც, კაცოო,-

ძიძგი ძიძგი მამალო,

შენ იცი და მაგანო,

და ჯერ ეს ერთი, აბა რომელი გაქეზება იმათ სჭირდებათ, და მეორეცა ისა რომ, განა მამლები არიან განა ეს ორნი დარბაისელნი მინამდე მაინც, ემ იწითურამდე, ორიც ეს კოხტად დედალი ქალი? მაგრამ სეირ-ნანატრთა ცნობისწადილი ყველაფერსა სძლევს, სუყველაფერსა ჰშლის და ჩრდილავს, რადგანაც ერთი იმისი გაგება ცხარედ სწადიანთ, აბა რომელი რომელს აჯობებს, ნეტა რომელი დაითრევს თმებით შეყვარებულის შეყვარებულსა იმ ერთგვარ-ყოჩაღი ქაჩალასთვისაო, და ჩხუბს და იმის ჰინტერესს ერთი ისიცა აცხოველებს, წინდაწინ ვერ იტყვი, რომელი რომელს მოერევა, ვინა და ვისა, რახანაც მართა უფროკი ჯანიანია, მაგრამ კეკელამ ხერხები იცის, იმ ცხონებულმა მეორე ქმარმა თავ-თავის დროზე დაასწავლა კარქა გარე თუ შუაკაური გინდა, კისრული, წელში შევარდნა, წაქცევა, რამე, მაგრამაც მართა - დედალმუხაა, ცარიალაღა ჯანებია, თანაც გაშლილად წამოღებული ალიყური-რამ იცის ისეთი? - მტრისას, ვა? - ტყლუუშ! - ქარებიანი, მოკლეთ, ორი ჩხუბ-შკოლა დასტაკებიან ერთიმეორესა და, აღარც უყურებ? უყურებ რომელია, რა გული გაგიძლებს, საყურებლათ კი, საამო არი - დაჰგორაობენ, ზეზედ ხტებიან, კეკელას ხერხზედ ორთავევ ისევც ეცემიან, აქ მართას უფრო მეტი აქვს შანცი, თუკი ჩაჰბუბნა? - მტრისას, აბა რომელი გაექცევა, ქაჩალიანა, მაგრამ კეკელა ციბრუტი არი, და მართას, ხელთღა, მხოლოთ იმისი მძივად ასხმული თხილებიღ, რჩება, ისევ ზეზელათ შეიბმებიან, თან ისეთ-ისეთს სტყორცნიან ენით ანჩხლ-სიკაპასეს

შმაგ-ერთმანეთსა? - თვალო და ყურო, უკეთესს აბა რაღას ინატრებ, მაგრამაც კარგა ბუღი დამდგარა, ერთი ბუღიღა უშლით თვალის ტკბობაში ხელსა, და ერთმა მარტო იმა წითურმა კი სუ აღარცკი იცის სად დაიმალოს, რომელი ჭადრის თუ გინდ ნესვ-გოგრის ფუღუროში, მართა-კეკელასი ჯავრი დიდათ კი არა აქვს, მაგრამ მესამეცა ჰყვანს, თუმცა რაღას მესამე, პირველი არი ამათზე კიდეც უკანასკნელი იმისი ცოლი, აიი, აბა ისაა, თუ რაც არი და არი, და ამ კეკელასა და ემ მართას, ორთავეს იღლიაში ამოიდებს რამე რო იყოს, ორსავე შკოლა-გიმნაზიას ისე კარქა ჰფლოობს - ჯანიანიცაა და, ხერხებიც ფრიადვე მოეხსენება, ისეთი კარგი გაწაფულია თავისი ქმრისვე ამწიწმატებელ იშკილებითა, ნიადაგ - სდუუღს; რა ნახეს მაინც ამაში ნეტა, თანაც მთელ-სამმა, აემ წითურში, ალისფერაში, ყოფილსა ჟღალში, რადგან ახლაღა წითურობა რომ მწითურობაშია და მარტო ეგ არი, აი იმაშიაც კი ვეღარაა, მთლად მიტკალს არი, თოვლზე რომ დასდო ტანთგახდილი, ჯერ ერთი აგრე მოუხდება და, ადრე რო ისე ღაჟღაჟებდა, ახლა თოვლისგან ვერც გამოარჩევ, ერთი ეგაა, შეშინებული თვალები უხტის, ჰოოო, ეგრე, ეგრე, იცახცახე, იკანკალევი, ახია შენზე, ის - კარქი იყო?

ვითომც საცინრად ვიგდებთ არა? - და ბაგრატიონიც კი, მიგვავიწყა... აბა გადავსწვდეთ..., ჰო! - „ხოლო კაცნი და ქალნი შუენიერნი“, - შეიძლება, შეიძლება, „მშვიდნი“... - ისემც! და თანაც, ეს ადგილი ხომ ერთხელ უკვე ხომ აკი უკვე წავიკითხეთ და, აღარ გვეყოფა, განა? მოდით სხვა რამეც თვით ბაგრატიონით მოვუნახოთ ამათ, სხვაგანაც მივწვდეთ, გაგვიჭირდება ესა თუ რა, იმსისხო წიგნია.. ჰო! „არამედ ადგილი ესე ფრიად შემკულ არს, ზამთარ სითბო“, - კარგია!, საჩვენოა!, „და მეფეთა სადგური“ - ვა?!?, აგარაკები, მაშინაც ჰქონდათ? „ბალახ-ჩრდილიან-ლერწმოვანი“... აეს უკანასკნელი ლერწმოვანი, ნეტავი, თანაც ზედაც მადამ ტარკინაიანა? „ზაფხულს მშვენი, კეთილ-აგარაკოვანნი“, კარგია! „ცივნი წყარონი“ - კარგია-მეთქი- - „ჰავით მშუენი“, - კარგია,ვ. „მოსავალი ბოსტანთა“ - საღოლ! - „წალკოტთა“ - აფერუმ!!, - „ვენახთა“ - მალადეც!!! - და „თესლ-მარცვალთა მრავლად ნაყოფიერებს“ - დამაკმაყოფილებელია. „პირუტყუნი, აქლემს გარდა, ყოველნი მრავალნი“ - მაგასაც არაუშავს, მაინცდამაინც უაქლემობას და ამ ერთ აქლემს რა თავში ვიხლით, - „რამეთუ ზამთარ ბალახთა მძოვარნი არიან“ - კარგია! ეს მესმის!! პირუტყვისათვის ზამთარ-ბალახი აკი ხომ იგივეა რომ, შავდაწითელიც ხიზილალაც ჩვენა პირმეტყველთ ჩიტირძის გვერდით მუდამრო გვედგას - „ფრინველნი გარეულნი და შინაურნი მრავალნი“ - ვა?, სუ ჩვენდროინდელი შემოქმედებითი ინტელიგენცია გინდა თუ პირიქითი ბიჭაბუჭობა გინდა თუ თვალებნაბულა შორიშორ დათხოვილები გინდა, ისევე არა ჰყოფილა იქაცა მრავლად ფრი-ფრიი, ფრინველი! - შინაურნიო, გარეულიო, - „და სანადირონი მოუკლებელნი“ - ვა?! მაშინ აბა სანადიროებში აგრეთვე ტყეებიც კი ექნებოდათ, თანაც ხეები, შამბნარი, რამე, ტახი, ბალახი, ძროხა, ჩრდილოვანი, ტარკინი, ლერწმოვანი, და ლერწმოვანში შემოსული ნადირობითი ოლიმპიადა, სპარტაკიადა, ტარკინაიადა, რამე, „სახლობენ გვარიანნი აზნაურნი“, კარგია, ჟღერს!, „და კაცნი მხნენი და მბრძოლნი“ - კარგია, ბარაქალა!! - „არამედ მპარავნი“.. ვა?!?. არამედ მპარავნიო?.. ჰა?.. ნეტა „არამედ“ რასა ჰნიშნავს? გაუგებარი ადგილი შეგვხვდა... სხვაგან გადავხტეთ,სულაც ჩვენი ნება არ არი? - „და არს აქა ტბა“, - ტბა რა, ცუდია? ძალიანაც კარგია, თევზები იცის მართლა ცოცხალი, კარგია, წამოთ, სუ

ანკესიან-ბადიანა შევინაბიჯოთ, არ არის თუ რა - „და არს აქა ტბა, ურგები და უთევზო“... - ვი?!.. გამო მანდედან, კაცო, გამოდი მაგისთანა ტბიდან, კაცო, რას დაგიდია რომ დაგიდია იმისაკენ თავი, მანდ რა დაგკარგია თევზი თუ არარი, რა დაგრჩენია... - „და წურბელი მრავალი“ - ვაჰა?! ასე შემკრთალები, ეგრევე - ტყლამპ! წყალში კი არა, არამედ უჭიაღუოც ნაპირზე დასანარცხებელი გამოხტომით, - ტყლამპ-ამპპ!.. ეს სად ვყოფილვართ, სად ჩაგვიყვია სულელი ფეხი, აბა ეს სადღა შეგვიბოტებია, - ფი?... ესა ადგილი, გამოსატოვებელია, მაშ აბა ახლა ამ ჩვენ დროში ვინმე უცხომ რომ უცების ახირებით ჩვენი ქართული დაისწავლოს ქართულივ ხვლიკებ-წურბელებიანა და მაინცდამაინც ამ უკმეხ ადგილს წასაკითხად რომ გადააწყდეს, რა ეგონება, მარტო თევზები გაწყვიტესო? იმას საიდამ ეცოდინება, რომ წურბელიც კი აღარცკიც არი, ხოლო თუ ჩვენზედ თუ მიდგეს უცხოელისა დაბნევის საქმე, მაშინ, აი,... ჰო, მაშინ აი ეს ადგილი გადავუშალოთ, წარსულ-ჩავლილი მაინც გამოვიყენოთ, კაცო, და ამაყ-ხმამაღლივ წავუკითხოთ: „ჰავითა მშუენი და კეთილი“ - აქ იტყვის უცხო: - მშვენიერია, კეთილი და პატიოსანი, - და თან ალბათ გაიფიქრებს: „და მაშინ აი იქ მე რათღა არ წამიყვანეთ“? ჩვენა კი ვითომც ვერაფერს ვხვდებით, ძველებურ ქებისას მივყვეთ და მივყვეთ: „ზრდილნი, ამაყნი“, გვიხარიან და კიდევაც მეტად ვამაყდებით, შენ ზრდილობა თქვი, ზრდილობა ცოტა უფრო ძნელია, თორემ აბა ამაყობას რა იმდენი უნდა, მხოლოდღა ცხვირ-წარბ-ტუჩი და იმათი აწევა, თვალიც, თავ... - ვა?, ესეცრო ბევრი გამოდის, კაცო? მოკლეთ, „შუენიერი“ - მშვენიერია, „და გლეხთა შვილნიც წააგვანან წარჩინებულთა შვილთა“ - ეს რა კარგ ადგილს წავწყდომივართ, არ გამოგვადგა ბოლოს, ჰალსტუხი? და, ამას გარდაც - „კაცნი მბრძოლნი“ - ყოჩაღ ბიჭებო! „ომში ფიცხელნი“ - ეგრე რაღა!, - „და მპარავ-ავაზაკნი“... ვე?.. ვე-?... არადა, კარგა იწყებოდა... სულ საჩვენოოთ... ცოტათიც მივყვეთ რახან ამდენი შეგვიბოტია, ეგებ წელში წარსულით მაინც ცოტა უფრო გავსწორდეთ, აქვე იქნება გამოსწორება, ბაგრატიონი რა, ვითომ ჩვენსავით აქაური არარი?.. მაგრამ ბედი არ გინდა? რაღა ახლა ჯიუტობს, კაცო - „და უშიშნი ღვთისა“... - ვა?, ეს ბოლშევიკობა, და ის იმათი უშიშობა ღვთისა, ჩვენში, თუმც მხოლოდ ალაგ, წინათურ-ადრეც ჰყოფილა? განა? რაღაცას ურევს ამ ბოლოდროს და სრულად კარგა ვერ გვიამბობს ჩვენებურ ამბებს ეს ბატონიშვილია თუ ვიღაცაა თუ ბაგრატიონი, მაგრამ იმისას, თანაც ყოველს, ნუკი გავამჟღავნებთ, ვინც გინდა ბრძანდებოდეს ამაზედ თვალი მოვუხუჭოთ და სხვა რამ ქებითი და თან საჩვენო გამოსაქებათობები მოვუძებნოთ... აჰა! - „ხოლო მსახლობელნი არიან ჰაეროვანნი, შუენიერნი და დიდმთქმელნი“ - ეგრე რა, კარგო დიდო თავადთ თავადო, ძლივას არ გვითხრა საჩვენო და კოხტად მოსარგები სიმართლე? მაგრამ სიმართლესაც, მეტად და მეტად განმტკიცვა უნდა, წავა და წავა ეხლა თუნდ მაშინდელივით კარგად საქმე, რახან ასეთ კარგ-მართალ სიტყვებს მივადექით... აიიც, გენაცვა! - ახლაღაცა კი იქა „დის მდინარე ქცია, კალმახით სავსე“... ვითომ?!. და კიდევ!, სხვაგანაც - „და არს მდინარე სარგებლიანი და თევზიანი“, მაშ ადრე და სხვაგანღა, რათღა, იქა, ურგები და უთევზოო?.. და მგონი, მივხვდიც - იქა, ნასვამი იქნებოდა ბაგრატიონი, ბაგრატიონი და, რა, იმას ღვინო არ ექნებოდა?, და აბა ნასვამი აბა როგორღა დაიჭერდა ლოქოს და თართსა, მერე კი, როცა მოსწყინდებოდა წყალში ყელამდე ტყუილა დგომა, აქა „წურბელი მრავალი“ -ო, მოიმიზეზებდა და, გამოვიდოდა ბადეცალიერი, ააფრინე ალალიო რაც არ არი არ არიო, მაგრამ ამ თევზებია თუ რაღაცაა ძლიერ ძაანაც გავედევნეთ თვით

წურბელებამდე და თანაც ყოვლად უწყლ-უცურველადა და, ადამიანებმა რაღა დააშავეს თანაც და ხომ როგორი კარგები ვყოფილვართ... მოიცათ... აჰაც! -: „ხოლო კაცნი და ქალნი შუენიერნი, ჰაეროვანნი და მზგავსნი ყოვლითვე ქართველთა ზნითა, ჩვეულებით და ქცევით, არამედ“... - ვაიმე!? ისევ არამედ-ო - მაინც გავბედოთ და მივდიოთ: „არამედ ლაღნი, ამაყნი, მეხოტბენი, დიდმთქმელნი“... კარგია, კარგი! ზეკარგზედ უკეთესი!, მივყვეთ, კი, მივყვეთ, - გაგვიმართლა-: „მეჩხუბარნი“... არაუშავრა, ეგა რომ გვაქ, ეგ არაფერი, არაფერი; მერე? ბოლოს? ბოლო მთავარია, ნეტა რა იქნება... - „შემმართებელნი“. - !... ამოვისუნთქეთ, ძლივს კარგა არ დამთავრდა ეს ნაღდი ადგილი?, დიდ გულზედა ვართ, ხომ მოისმინეთ და გაიგეთ, რაცა სთქვა ჩვენსზედ - არამედ ლაღნი, მეხოტბენიო, დიდმთქმელნებიო, - ხოლო იმ ტუნტრუცულ წინა „არამედ მპარავნი“ში, არამედ ალბათ სულაც დაბეჯითებით „არა“ -ს ნიშნავდა - „არა მპარავნი“ -ო, ოო, ასე არ გამოდის? - „არამე“დ მპარავნიო-ო, არაო, მე და ჩემისთანები არა ვართ, არა, მპარავნიო, ასე არ გამოდის, - „არამე“ -დ მპარავნიო,მე და ჩემისთანები არა ვართ,არა, მპარავნიო, ასე აიხსნ-აისხნება ესა, და, მაშ თუ ქართველმა აკი თუკიღა ერთი შეტოპა, და თანაც კარგა, მერედა უკან, საღ გონებისკე, აბადა რაღა დაახევინებს, ვინაც კი გინდა სიგელ-სიგელა აზნაურშვილი იყოს, ჩვენც ავიღოთ და, თვითან მეფ.-გვარის წარმომადგენლით ვისარგებლოთ და, მოდით და სულაც და მაგრამ სწორე-ჩვენსავით დავახვიოთ უცხოელს თავბრუ, აქ მხოლოდ ტყუილ-უბრალოდ კი არ ჩამოსულა, და აჰა!, ამაზედ უკეთესი? - გავიხარე და, ჰა!, თქვენზეც იყოს აი ესა -: „ხოლო კაცნი და ქალნი, ვითარცა ვსთქუთ, ეგრეთცა იუწყე, გარნა უმშვენიერესადცა და უუჰაეროვნესადცა, ვინაჲთგან გლეხთაცა შვილნი მიგვანან წარჩინებულის შვილთა (ჩვენაც კი, - ჩვეენ!), სუფთანი, სამოსელთ გამწყსონი (არა ვჰყოფილვართ განა კარგნი?); ცქვიტნი, კისკასნი, ენატკბილნი (..!), მსუბუქნი, ფიცხნი, ბრძოლასა შემმართებელნი და ძლიერნი (.!!) და არა სულგრძელნი მას შინა (არა სულგრძელნიო?!. ეგ არაფერი, კორექტურა იქნება) და სხვათა შინა (ესეც წინა კორექტურაში შედის), უხვნი (კარგია!), მომხუეჭნი (ალბათ მხოლოდ სახელისა), დღეისის მაძიებელნი (ვითომ რატო არა?), ხუალისა არა გამომკითხველნი (ეგ კი... ე?... ეგ კი), მომღერალ-მგალობელნი და მწიგნობარნი წარჩინებულნი (იხარე ბიბლიოთეკების ჭერო!, გახმი მტერო!!) და უმეტესნი კეთილხმოვანნი (გასკდით გულებზე! ჩვენ არა, სხვები...) და სხვათა და სხვათა შემძინებელნი (სუკარქრამეებისა ალბათ, ნაღდია), სარწმუნოებითა და ენით არიან ქართლელთა თანა აღმსაარებელნი (ეგეც ბოლშევიკ-მენშევიკებს!), არამედ უცქვიტესად მოუბარნი (არამედ აბა მუდოები ხომ არ ვიქნებოდით, ეს ბოლო „არამედ“ კარგი რამ არი), ხოლო სხუანი ზნენი მათი დავიდუმნეთ, ვინაჲთგან შემთხუევით არიან და არა მტკიცითა ანაგებითა“ - ეგრე რა, კაცო! ძლივს არ დავშოშმინდით... და, კიდე რომ გვინდა, უკეთესი?, რახან თითონ ბაგრატიონი, ბოლო-ბოლო ისიც ჩვენსავით სწორა-გზას არ დაადგა? ჩვენც ავიღოთ და, ვისარგებლოთ და, რახანაც დაგვძრა, მივსდევდეთ ჩვენცა ბატონიშვილს, იმისი ახლა მორჩილი, გინდაც მშვიდი-რამ ყმები, კიდევ გადავშალ-გადმოვშალოთ, ცოტათი ვღელავთ, გახარებულები... აიც!: „და ისინი ყოვლითა უმჯობესნი“ - „ყოვლითა უმჯობესნი“კარგია, მაგრამ ვინ „ისინი“? რომელი ისინი? კი მიდის ბოლოსკენ ეს ჩვენი № 371 მართალი გვერდი და, განა სულერთი არ არი, ვინ ისინი და ვინ ესენი? მაინც ხომ ყველგან ჩვენზედ, დიდ-ქართველებსზედაა ნათქვამი

ყველაფერი და, ჰოდა, მით უფრო, მაინც, მივყვეთ, - „ხოლო ესენი ქურ“... ვაჰხ, ხხ!!? - ეს რა სწერიან?.. სანამ გეტყოდეთ, მოდით უცხოელი ცოტახნით სადმე, სუფთა ჰაერზე გავიყვანოთ და ანდაც სულაც ჩვენი ხელოვნების ნივთთა სეიფში შევიყვანოთ გასაკვირვად და თვალების დასაყენათ და, ხოლო თქვენთანკი ან მე, ანაცდა თითონ ბაგრატიონს აბა რომელი დასამალი აბადა რა გვააქ - ასე სწერიან: „ხოლო ესენი ქურდნი, მპარავნი, მძარცველნი, უსირცხონი“ - ვე?!?. კაცო, ეს ბაგრატიონია თუ ვიღაცაა მხარი ხომ არ ექცა ვინც გინდა იყოს და მხარგრძელი? ვა?!?. სულე წყალში არ ჩაჰყარა? ჩვენი კარგები...

არა, ეს წიგნი ასე მაგალით-სამაგალითოდ კი არა, უფრო კარგადაც შესასწავლია, რომ უწერია შავით თეთრზე, ხვალისა არა გამკითხავნიო, კარგი, ეგ კი, ეგ კი, მაგრამ თან მშრომელები და - ეს ნაღდი არი და გვააქსა - და თან - მაინც ხვალისა არა გამკითხავნი? დაიბნევი და, მერე როგორ, ეს იმიტომ რომ, ჩვენა, ქართველები, ძაან ხმამაღლა ნუკი ვიტყვით და, - მოულოდნელები, ვაართა, მესხვადასხვიებიც ვართ და, რა ვუყოთ, რაც კი თავ-ენას მოგვადგება, ჰაიდააა, ფრიი, და კიარ უნდა დავმალოთ ესა, პირიქით ძალიანაც ვაღიაროთ უნდა რომ - ვაართ, ვააართა, და ეგებ ძაან-ძლიერათაც არ იყოს ესა ძალიანაც ცუდი, იქნებ პირიქითაც, რადგან ერთი რამ, ცხადზე ცხადია, - ჩვენსა შემყურეს, თუმც შეიძლება არც მოვეწონოთ, მაგრამ მოწყენით? - არა, ნამდვილათ არ მოეწყინებათ, ამაზედ - თავს ვდებთ, მაგრამ ნეტა როგორსა-თავსა... ჰა?.. თავის დადება... - დიდი ამბავი? და ამ წიგნსაც რომ, შევეჩვიეთ? ისევ გადავფურცლ-გადმოვშალოთ?.. ეე?... მელას თავისი მაწვალებელიო... აჰაც: „თევზნი ყოველგან მრავალნი და ფრიად გემოიანნი“... ე?, მაინც გემოს ვერ ვატან... ალბათ ბოლოს მაინც ისე გამოვა და იქნება, სულაც ჩაგვშხამდება... - ჰოაი, სულაც აქვე, სულაც ზედიზედ... - „მწერნი მრავალნი და გაუძღები“... ჰოოო, ჰოო, ეგენიღ, გვაკლდა, ეს ჩვენით გაუძღები მრავალნი მწერები, მაინც, გავსდიოთ, ნაღვლიანებმა, გამაჩანჩალებულებმა... ვა?!, - „არამედ ფუტკარი სარგებლობს ფრიად თაფლთა და ცვილთა სიმრავლითა“... ვა?, იმ სისხლისმსმელი მწერების შემდეგ, „არამედ ფუტკარი სარგებლობს“ო... კაცო! - ერთი ეს სიტყვა, ეს სიტყვა „არამედ“ ოღონდაც კი გამაგებინა და, მომკლა მერე...

დაბნეულები, დუნეთღა მივდევთ, „და თაფლი კეთილი, რამეთუ ვიეთთა ადგილთა სპეტაკი და შეყინული, სისქით ვითარცა შაქარი, რომელსა უწოდებენ კიპრუჭსა (დაგიხატამენ, კიპრუჭსაც კი... კიპრუჭი თქვენ და... თუმცა, კიპრუჭი ალბათ სხვა რამეც იქნება, აბა, საბაც მოვიშველიოთ... ჰო, „კიპრუჭი - თაფლი მაგარი“ ... აკი ვამბობდი...). მძრომნი და გუელნი მრავალნი (ეგენიღ გვაკლდნენ, ეგენიღნ გვაკლდა, თანაც მრავალნი...), არამედ გუელი უწყინარი და უენო“, - კიდევაც კარგი. ეგეც საქმეა. მაგრამ, „არამედ გუელი უწყინარი და უენო“ო-ვო, კი, მაგრამ აქაც რომ, - „არამედ“ - ახლავს?.. მოკლეთ, რაღა ბევრს მივდგეთ-მოვდგეთ და ბევრ-ბევრი გავაჩმახოთ და, განა უწიგნებოდაც არ ვიცოდით რომ, მოულოდნელები ვიყავითც, ვაართც, ვაართა, რომ, ბატონიშვილისა არ იყოს, სულაც ვერა ვართ თანმიმდევრულები, არამედ (-ჰხმ, ხმ!) ვართა ერთბამ მშვიდები და დიდად მცონარენი, ალაგ თბილზამთრიანები და ალაგ ავყინულიანნი, ეს ბუნებაც რამ გადაგვირია, ეგეცხო ჩვენი ბრალი არ არი, მოკლეთ, რაღა ბევრ-ბევრი გავაგრძელოთ და, ქართველები, ხაართა და, საითკენაც კი გინდათ, იქითკე-ენ!,

ადგილზეე, იარ!!- ერთ-ორ-სამიი, ერთ-ორ-სამიი, და რა ყურები ჩამოგიყრიათ, ასწივეთ მუხლი, ერთ-ორ-სამიი, ერთ-ორ-სამიი, კარ-გი-აა, კა-რრგი-ააააა, ქართველები - ვაართა, ქართველები - ვართააა, და რა ცხვირპირი ჩამოგტირით, მარტუაები ხოარა ვართ, აბა და ერთი გაიხედ-და-გამოიხედევით, მაინც რამდენნი ვჰყოფილვაართ, კაცოო, ადამიანი რომ რიცხობრივად ასს ასცდება, უკვე ისიც კი კარგა ბევრია, ჩვენ კი, რამდენად ბევრები ვაართ ვინდრე ასი და ას-ათასები, დაგიხატამენ სუყველას კარქსა, და, მაინც მოდით და მხნედ დიდათ და - იართთ!! - ერთ-ორ-სამიი, ერთ-ორ-სამიი, მოდით ასედა, ისევაც ისევაც ისევ სულ სუ ყველამამან - ვიართ!, ერთ-ორ-სამიი, კარგია?, ვიაროთ კარგა და ის მერე რა რომ, ვინ საითკენ და თუ ვისკენა, მთავარია რომ, - ერთ-ორ-სამიი, მაგრაამ, ხანდისხა

არადა, ეგებ, მეტიცაა; ესა... თუნდ

ლექსო, ამოგთქომ, ოხერო,

თორე ეგება...

მაგრამ არა მგონია, და, ამ ლექსებისას კიდევაც გეტყვით, და სიტყვა რაგინდ გამიგრძელდეს, ესა ადგილი, ამ ჩვენს, გულისაზე, მაინც უფრო და მცირე იქნება, ვიდრე ისედაც საჭიროა... -

ხოლო ამას ეგებ მთლად ბოლოში უნდა ამბობდეს უღირსი, მაგრამ ბოლოსთვის სულ სხვა რამე, თანაც რამდენიმე, აქვს შემონახული, დიდი და თადარიგიანი ის არა გვყვანდეს მაგრამ მაინც; ხოლო ერთის შეხედვით ამ მთლად ახალ სტრიქონს მიმდგარი ეს თავის მართლება არა მგონია რომ ძალიანაც წინასწარული იყოს, არ გეგონოთ რომ მხოლოდ სწორედ ჩემი, აბა განა მეც არ ვწუხ, - „წუხილსა ვყოფ“, რადგან აგერას არ ვიყავი სწორედ ეს მე რომ, როგორ ძალიან გაგიჭირეთ საქმე და შეგიწუხეთ გული ისეთი მცირე წვრილმანებით, როგორიცაა გადაჭედილი მეტრო თუ ჩვეყოჩაღება თუ ბოთეება --------ით მომრგებ-ამტანი ავტობუსი, სიცივე, შიმშილი, უსინათლობა და უწყლობა, გულზე მუშტის ცრუდ ბაგაბუგი, უპურობა თუ პარლამენტი, ანაცდა მაყვალ-ჯარჯ-გოგაიანი ვითომც დამოუკიდებელი ფინთი წყალწყალა ბრიყვული ადგილები რაღა უბედურობა იყო, ანაცკი მიშო-ბილბაოს ძირითადად ლიპი ბჟუტური ერთი უკანასკნელის გარდა, ხოლო ფეხბურთთან დაკავშირებული სახელშერქმევა რარიგ ძალიან მოსაწყენი სისულელაობის მთლადაც მწვერვალი იყო და ის მაინც კიდევ კარგი რომ აღარც გახსოვთ; ანდა იმ მკიცხავ დაკვირვებებს მთლად მთელ-ტარკინებად რათავში ვიხლით, ან ჯამბულიასთანასთვის იმ მოიმსიდიდო პროზ-ფართის გამოყოფა თანაცკი ყოვლად უორდეროდ ვინ დაგვავალა, აბა; და კიდევ რამდენი გულის გამაწვრილებელი, უთავ-უბოლოდ მოსაწყენი რამ, და თვით კანამდეც ამომზრინველიც კი აწეწილი მთლად ღვარჭნილად გაწელილი მონაკვეთები თუ ასე ძალიან უშნოდ თუ არც ისე, კენტად გრძელი ცალისიტყვაც, რამდენი, გვხტოდა, და რაოდენი რამ ჩინ-სისულელე. მაგრამ ცოტათიც ასე იყო „სინამდვილე“ს რომ უწოდებენ აი იმაშიც და აქაც თუნდ შავით გახუნებულ თეთრზე არეულად თან ბუნდოვანიც რომ არ გამოვიდე, ახლავე აგიხსნით რომ „ჩინ-სისულელე“ში, ესე „ჩინ“ -იც ბევრს რასმე ერთად, ნიშნავს, როგორიცაა ვთქვათ თვალის ჩინი,და ან საყვარელი ძვირფასი განაჩენით მაგრამმისჯილი ბედით არსება და თან მეფის რუსეთში იგივ ჩინი სამხედრო პირთა თუ სამოქალაქო მოხელეთა სამსახურებრივი ხარისხი ყოფილა და მეხუთე ჩინი თურმე ზეთისხილის და საერთოდაც ბევრრამის ფერსაც ნიშნავს თურმე, ხოლო ჩინარი ალვისხეცაა და, ჩინდაკარგული კი, თვით მორიგად-ჩამომდგარი ღენერალ-მარშალის გარდაც ხომ შესაძლოა რომ თვით კაპრალიც კი იყოს სულაც ცხადში ჩამოქვეითებული ხოლო ჩინ-დრიკი-ც ალბათ ცოტაც შედის ჩინ-სისულელაოებში, ასე რომ ჩინ-სისულელე ბევრ რასმს გამოდის თავის ერთგვარ საცერში, და კიგაბეზრეთ და გაბეზრეთ ნამდვილათ მოხვეული თავი, მაგრამ ის მამხნევებს რომ სინამდვილეშიც მხოლოდ მართლა კი არა არამედ სწორა-უხერხულადაც არ იყოს და ასეცკია და ასეთ-ისეთებიც კი ხდებოდა ბევრი რამ, და ვინ, და, რა თქმა უნდა,

თუკი ჩემგან დასამატი ჩემით მაინც ვეღარაფერი მომიგონებია ამ სამოსაწყენოსა კი არა და, გამაღიზიანებლისა და მეტიც უმფრო, როგორღაც გლუვად დამდგარ-ჩამოწოლილ ქაცვ-ხიწვ-ეკლებიან უამურობაში თუმც გამძაფრებების გარდა, თან ამ გამძაფრებებით ან ამპარტავნებაზე ისე გადატყლარჭულად მსჯელობები იმდენად გრძლად და ტვინშემღრძობად შემოგვეჭრა რომ, და გრძლათაც ისეე, ერთ შეღავათად ისღა გვრჩება რომ ამპარტავნება იმდენად ნამდვილად მიუღებელი აღმოჩნდა რომ აი იმისი თვითონ ძაგებაც კი, ანუ ნებისმიერად ჯერ ოდნავი მცირე შეხებაც კი ისე დამაქცეველია რომ გაგიტყუებს ჰერ-ეგზომშიო ფრიადო იგი, და აქეთაცკი შეიძლება გადმოგვედოს ყალბი დაფნისა გვირგვინულ-ჭირადმისეული ლიზღი, და ყოველმხრივი თავგასულობა უზრდელობითი (თან რა ამტანია მაინც, ქაღალდი), რადგან, ლიზღშეყრილები, უშნო-ზემოდან და გამკილავად და ქედმაღლურადაც კი ვმსჯელობთ იმაზე, და ხოლო თითონ იგი ამპარტავანი სხვას აბა რასღა სჩადიოდა ის ბოლო-ბოლოდ თავისთავისა უბედური, აღვიარებული გინდ, და ზოგი როგორ წესიერი კაცისაც კი, თვალის დამვსები, - ხერხი იცოდ-სჩვეოდა ერთი ისეთი, მოპარნტრიონტო, ი, იი, და სულ რამოდენიმე კანტიკუნტური ადგილის გარდა ბნელში კი არა, უარესში, აჭრილობაში დავძრწოდით და, რაოდენ ნაგავს შეგახვედრეთ უსულოსა თუ სულიერსაც და გადაგატარეთ კიდეც იმაზე თუ, გაგატარეთ, შიგ. - რახან აქამდე მომყოლილხართ, სეირნობათაგან საუკეთესო, არა, კიროგორარა, გამოგვივიდა, დიახ, მოგვიკვდა თავი, ხოლო ცნობილი გამოთქმა რომაა, - შენი ჭუჭყი არ გამოამზეუროვოვო, - მხოლოდ ამისა არ მერიდება მაინცდამაინც დიდად, რადგან, ეს მოთხრობაა თუ რომანია თუ რაღაც კუსვით წარმოებული ნაწარმოებია თუ სულაც მოკლეთ გრძლათ სისულელეა სულაც რაღაც, ცოტაც ისეცაა აღწერილობით დაწერილი, რომ აბა რომელი თუნდ მთლად გამოსულელებული მთარგმნელ-თარჯიმან ლიტერატურული მოხელე-ნაჩალნიკი მოჰკიდებს ხელს ამ სხვარამ ენიდან მოპატიოსნო თავისისკე გადასაზიდად ასეთ არმადშესარგებ და ვერმოსარგებ ამგვარ ყოვლად ვერასათარგმნელ საქმ-ჩახლართული აბდაუბდის ზიდვა-წიკვ-წიკავს, ხელს, და, ამ ვაივუობის შესაკრთომ მცირე გაცნობამდეც ცოტათი მაინც ხომ ეცოდინება იმას ჩვენი რაც გინდა იყოს თუნდ მცირედ ასატანი ქართული და, ხომაც ეგრევე მიხვდება რომ, ეს უღირსია თუ ვიღაცაცა-ოხერია და უარესობაც კი არი რადგან ხელიდან მელან-კალმიანაა წასული და ასე იგი ეგა სულელმა ჰყოფილაო და, ჩაიქნევს კიდეც მტკიცე, უილაჯობით განმტკიცებულ ხელს, და, და ეს ხომ ძალიანაც კარქი, რადგან ჩვე-შუენიერებსაც აკი ხომ ის გვინდა რომ, უცხომ რომ სულაც ვერ არამცთუ დაინახოს არამედ მთლადსულაც ბაიბურშიც კი ვერ იყოს რაც თუ ამჩვენში ხდება, ხოლო რაა�ც ხდება, პირადათ ჩვენ ეს ხომ ისედაც ასე თუ ისე, მეტნაკლებითური ჭკუებმიხედვით ისედაც მშვენივრად მოგვეხსენება - თუმც არა, არა, „მოგვეხსენება“ - ამაყათა ჟღერს, სხვათა ხვედრია, და მაგრამ-მაინც უსამოხსენებოდაც საკმარისად ვი, ცით-რაღა და, მაშინ, თუკიღა ვიცით, ნეტავი რაღამ მომანდომა მაშვინ ასე ზედმეტად კიდევ ლაფში შეძრომა და მერე იქში კარგა გემოზე, ჩაფლვა?,

და ისიც, ჩაფლვა - კოტრიალური?

თან,

წვალებაურ-წებოვანურიი, ბობღვურ-სხმარტალი?..

მაგრამ აქედან რა გამოვიდა,

ან, რა გამოვა ამისაგან?.. მაგრამ, -

ცოტათი, ვიცით.

ეს.

სხვა თუ არაფერი, ამ აჭრილ-დაჭრილობებში რომ დავძრწოდით, თქვენ კი აბა რა დააშავეთ თორემ კი მაგრამ ის მამხნევებს კი არა, ცოტათი თავსაც ვიმართლებსავით აქ მხოლოდ, რომ, ერთი რაღაცა ისეთი რამდაგვარისათვის ალბათ იყოც და არის მხოლოდ ეგება უამურობანი ეს, ალბათ თუ იქნებ თუ თითქოსდა უგზოუკვლურიც (თუმც უგზო-უკვლო არაფერიც ვერ არსებობს, არაა ვერსად), ხეტიალი, მაგრამ რომ არ დაიკარგო კიარა და, - მეტი, უძვირფასესიც არა, არამედ - უფრო, მეტი, რადგან ყველაზე მეტად, შენი, - თავუბრალოსი და მაინც როგორი ძნელის, როგორმე მაინც ასე თუ ისე თუნდ მხოლოდ შემომნახი, და, გადამრჩენი, და იმიტომაც ნაბოძები თვით სამშობლოსაგან აი სწორედ ის, რომ, - ყველაზე ფართო, ტევადი სიტყვა, რომ რათა - იყო!, ძველი იყოს-გან - იყო, და ესა „იყო“ უბრალო სიტყვა არ გეგონოთ, ბევრი რამ შედის, და ბევრს მოიცავს წარსულისაგანაც, მომავლისთვისაც, „ბრძანდებოდე“ზე რამდენად მეტს, ხოლო თუ თანაც გადამრჩენი, თუკი ოდნავღა შეგრჩენია კაცობა და იმისი თანხვედრი ნამუსის ქუდიო თუ რას ეძახიან, და მაშინ ეს ბოდვა, თუნდაც ასე ღვარჭნილი და აწეწილი სულაც, შენ რომ შენ იყვე, - ამისათვისაცაა; და რაგინდ არ მოგწონდეს აჩეხილი თუ დაბზარული თუ გადაბუგული თუ, რამდენად მრავლად უარესიც - ზნედაცემული შენი ქვეყანა, ერთ ქუდზე-კაცად მაინც უნდა რჩებოდე, მისი, რადგან ეს მაინც, - მაინც კი არა, მხოლოდ და მხოლოდ ეს შენი, - შენი სამშობლოა, თუ გესმის სიტყვა, გესმის-კი, სიტყვაა, შენი სამშობლო, წარსულში თუგინდ ჯღანქალამნიან ხალხითაც კი ძირითადად ამაღლებული, და გინდაც ასე დაქცეული, ხოლო ფეხებზე, რად გვინდა ცოდნა თუ ვისრა სცვია, რამდენი ჭირით სახადშეყრილი, მაგრამ რომელიც სწორედ ახლა, უფრო მეტად და ძალიანაც უნდა გიყვარდეს კი არა და, - ცოტა სიტყვაა! - სამშობლოსათვის, - არამედ, - როგორ უბრალოდ გამოითქმევა თანაც, - არამედ, მხოლოდღა, ერთიმეორისანი უნდა იყოთ, მუდამ, მუდამ, იყოს ის გინდაც მთლად ზღაპრულად და გამოგონილად სირინოზულ-ანკარაწყალთა და თუნდ ასეთიც, სწორედაც ახლა ჭაობდაბაყაყბაყაყიანი, ზედაც გომბეშო, წურბელი, მღოღავი, რამე, და სწორედაც ახლა უნდა თუ უნდა იმას შენგან ყვარება, შრომა, შრომაკეთილი, არადა, დასჯექ და იწუწუნე: „საქმეზე გული აღარ მიმიდის, რეები ხდება ეს“, მაგრამ რა უნდა მოხდეს ისეთი შე----------ო, ის რომ ასე ძალიან გადაივიწყე და შეაქციე შენი ვერამტანი ზურგი და კარგაამტანი იმისქვეითი, ყოჩაღშენ ბიჭო, კარგი - გინდა და ცუდი აკი - არ გინდა, არა? რაღა მტკიცება სჭირდება ამას, ბუნებრივია, ეს მიდგომა, და საქციელი, ხომ? და, ხოლო, რახანა ხარ, ასე იგი ხაარ და, გათავდა-მორჩა, და ეს ხომ, რომ ხარ, თავისით მოხდა, არა? როგორ მოგვიხვედ, შენით - არა? შენით მოსულის... ერთი-ც კი არა, სუყველაფერი; მაშ, ეს ყველაკა ვითომ შენი კუთვნილი,

იყო? ისე ამაყათ ბრძაანდები და, ამით დამსახურებულათაც კი, გამოიყურები ისე, თუგინდ მუშაკი სამშობლოსი ოღონდ შენითავითვინ, მაშ აბა ის წარსული ხომ არაფერი და არც ხანდახან კარგი იყო? - რა ძნელი ზიდვით, ეს შენ, გინდაც როგორი და თუ როგორი დაუნახავი შეუმადური - ამორჩეულო ღვარჭნილობავ, ჰეჰ!, - შე უმადურის ზიარებად პურ-ღვინით გამზრდელს, სწორედ ახლა-ღა, ზარდაცემულ დღეს, ეგ უხერხემლო ზურგი უნდა შეაქციო სნებაშეყრილს თავისით არა, ეგებ სწორედ შენისთანებით; შენგნით; ასეა? გვგონი? თუმც იმას შენგან წყალიც არ უნდა, თავისითა აქვს, შხამს ნუ შეასმევ მხოლოდ და, ასეც კი საქმე იქნება ცოტათი, და ოღონდ სიტყვას ნუ დაუკარგავ, უამრავთაგან, მისწილობით ქართულად ნაფერს, და, ხოლო თუ თავთით დაუჯდები, თან ეს ხომ, ჰეეე, და სულაც არაა ესა ძნელი, რადგან ყოველგან იმისი ზეზეული სასთუმალია თუ არ მიაგდებ, შვილთან ყოფნა ხომ, - ეს ოცნებაა სანეტარო იმისა, შენით, თუნდაც მარტოსი, მაგრამ მიდიხარ, ტოვებ არა? მძიმედ მყოფისგან, ასეთი ყოფით მძიმედმყოფისგან რამდენადაც შორს, გაინავარდებ, უკეთესობაში, უკეთესობა იქნება ეს, არა? დაამღერევიც, შენთვის, თანაც ბარე რამე, გაურკვეველმხრივ მიზანდასახულს, სამხნევებელი სულაც არცთუ გაგიჭირდება, - „ხაარაშაა სტრანააა იბეერიაააა, აა გერმანიაა ლუუუჩშე ვსეეეხ“, ხომ სჯობს, „ჩაკრულო“ს, ხომკი სჯობიან? ხომ? რადგან „ჩაკრულო“ ადგილობრივია მხოლოთ, ხოლოკი თანაც, მხოლოდღა გერმანია და იმისადმი ასე ჰოპ-მღერა კი არაა აუცილებელი, რადგან სხვაც ახალი თუ საახალო სამშობლოები, არა, - შესაცხოვრისი, თანაც რამდენად უკეთესი, კომუნალურებ-პირობება და კონდიციონერ-ზაჟიგალკა-ჰამაკ-კურტანი, რამე, საწამსვლიოდ აღერღილს, ხომკი გექნება, და რამდენს უკვე გააქვსა-გაქსა, რამდენ ბევრ-უფროდ ქვეყანაშია ათასებგვარი გამოსასუსნი და არა მხოლოდ რუკობრივად, დაადე თავი, მიდი, არა, უთავოდ იარე კოხტად, წასჩინდრიკევდი, ხოლო ანკეტაურ და პასპორტულიც კი სამშობლო ხომ - რამდენად ბევრი შეიძლება ქვეყნად ვიდრე ეს ჩვენი კინკილად-ერთია და თანაც ასე გაჭირვებული, და რაღა ნემენცებს ჩავაცივდით და სიმღერადულაც კი ამოვიჩემეთ, არამედ შენი იქა მისასვლელობა გინდაც არ სიამოვნებდეთ და მაინცდამაინც არ ვეხატებოდეთ გულზე, - როდის იყო რომ ქართველებს ჯეროვნად გვაფასებდნენ, არა? - მაშინ თამამად შესაძლოა ეს ჩვენი დღეღამური შესაძვრომი რაღა მაინცდამაინც გერმანია არამედ თამამათ შესაძლოა იყოს აგრეთვე თუნდ აგერ ჰოლანდია, ან საფრანგეთი, აგერ ჩემო ბატონო შვეცია სკანდინავიური, ანგლია, ბელგია, და თავისას რომ ვეღარ აუდის იმდენუნივერსიტეტიანი ჰუმან.-ტურცია ანდა იმასთან მიმომსვლიური გარიგება, თუნდაც უნგრეთი, სლოვაკია, პოლონეთი აგერ, რუმინეთიც კი გელაპარაკები შენ, დაა, თვითთ - აჰშშშშმმუუ, ვიშ!, კანადა უზრუნველყოფილი, სარატოვიც, მასკვაც ხოისეც შეჩვეული, ეგიპეტ, რასტოვ-ზედაც-ნადანუ, ტამბოვი, ვორონეჟი, ლუქსემბურგი, ჭერამი, მალაიზია, სევერნ-ზაპადნი ბულგარეთი, ტაიტი, ტრიფოლიატი, იტალია, ჩეხია, რამე, ან, სულაც პირველ ოქროს საწმისით და ერთ-ერთ ბოლო და შედარებით ახლახანა მაგრამ ხანგრძლივად მწარედ დამაქცევლებით, ორთავეთი ერთად - ბერძენთურქებიანათი დასახლებული იმდენად ამო და ტკბილი სქელი თაფლუჭივით საკალორიე მრავალ რობინზონ კრუზოშვილისთვის - კუნძული კიპრი საპარასკევოდ გაბმული წლებით, კვირა-შვიდდღე და წელიწადი-თორმეტი თვე წლებით, და წლობით, და მასში ყოფნა ხომ, პირდაპირ - კიპრ-უჭი,

კიპრუჭობაა სხვაგან უკეთცხოვრება ნეტა და ვითომ?.. ამაზე, შემდგომ, ხოლო ისეთი შეუსაბამო ყოვლად გამოთქმა, როგორიცაა „ქართველი მაჰმადიანი“, ალბათ პარაზიტოლოგის მიკროსკოპითაც კი ვერ მოიძებნება, ხოლო გამოთქმის გარდა თვით კაცი?, რადგან ვერაგი და ხიმანკალი მტრისადმი შედგომით რაც ქართველი ხარ იმასაც ნახავ თუ გარიგება-ვითომდაცკეთილმეზობლობასთან თუ იმასაც თუ გაიხსენებ რომ, თურქების მიერ გამოგლეჯილ იმ სამშობლოში, რომელიც აფხაზეთზე რამდენადმე მეტადაა საქართველო, იქ ახლა მეტი ყოფილი ანუ გამაჰმადიანებული, ქართველი ცხოვრობს ვიდრე აქა, თვით აქ, მაკრატლისწილა საქართველოში, და ისიც სანამ თავისი ჭკვით მოხერხებული მეხუთედით დავიცლებოდით ახლავ ამ ისედაც გაქუცულ-ჩვენსში, და რახან ისევ ღვარჭნილობისაკენ დავადეთ თავი და ისევ მისაკენ მივეშურებით მაინც მგონი, ღვარჭნილობითაც კი შეიძლება მაინც რაღაცა სარგებლობა, რა იცი, ყველაფერი ხდება და სანამ რესპუბლიკა ყოფილ საქართველოს ისევ ქართული ლექსით, ავიღებ და სანამ ისევ ასე მივადგებოდეთ, ბარემ ახლავე გეტყვით რომ განა მე ხანდახან არა მრცხვენიან, განა, რომ პოლიტიკურ მოღვაწეებს, თეორეტიკოსებს სწავლებებისას მხართეძოსულთ, ისედაც ცოტა თუ კარგა კუთვნილ-სააგდებულობაზე მეტად აგდებულათ რომ, ვახსენებდი?

და რადგან აქაც კი, ერთგვარ მონანიება-გამოსწორებისას, აი აქაც კი ეს ჩახვეულ-ჩახუჭუჭობები კვლავაც ისედაც ცოტა არ იყოს უმიზნ-უმისამართო კარებებივით ნეტა ტყუილად იმტვრეოდა?, და ძალიანაც რაკი აგრეთვე გამიგრძელდა, აბზაცებს მაინც კიმოვიხმარ შიგადაშიგ, კაცო, ცოტა გვიან კი გამახსენდა აი ეს, აფსუს (სპარსულია), მაგრამ არა უშავს (ქართულია), სჯობს გვიანოო, მაინც აფერუმ (ირანულია), თქმულა, მით უმეტეს რომ, პატარათი მაინც გამოსაცოცხლებელი თუ არა სულმოსათქვამი თვალისათვის მაინც, საშუალებები, შვებად აღმოჩენაა თუნდ ერთის მხრივაც ტანჯული თვალისთვის და,

აბა რომელი მასხარად ასაგდებები (ქართულია) ჩემგან იყან (ქართლურია - იმავ თვალისათვის ენათმეცნიერიც კი,ავტ.) ჩემიც და ჩვენიც ურთულეს სახელმწიფო-სახეერთგვარმწიფო და სახეიერგადამწიფებულის ტორმა და თათუნამ ერთიმეორე დაბანაო-სი პრინციპით გადაბანა ოღონდ მღვრიე წყლით და ამით კუპრულად აწინაურებული ამხანაგსტალინ რა იყო და თუმცა იმისა გარდაც არამედ მთელი წყება ამხანაგ-ხალხი?

კარგია,

აბზაციც,

აბზაციცკი,

ხანდახან,

და სხვა რომ სულაც არაფერი, ჯერ ეს ეგ ერთი, თუნდ კომკავშირისაც ანუ ის იმ სათამაშო ცეკაშიცკია უშტატო ინსტრუქტორობიდან შტატიან-აუუ მთელკონსტრუქტორობამდეც რომ დაიწონ-აიწონილიყო საქციელ-ვნებიანი ვინმე ჭაბუკი, მოყმე-ვინმე, ანდაც სულაც გოგნი-გოგონი, აი იმათაც კი რამდენ-რაოდენი

რამ უნდა ეაზრნათ და მოემოქმედნათ და, ახლა კი რომ ავიღოთ ხოლო თუნდ სათამაშოსიცვერა მძლავრი განყოფილების მთელ ექვსნახევარა ადამიანთა (პირობითიცა და განსხვავებულად ტევადთა მოტევადო სიტყვაარი ეს „ადამიანი“, კი) განყოფილების (ხელფასიანურის, ბუფეტ-სასადილო, რამე) განმგეობადმდე? - ნუღარ იტყვით, ა?!.. პირდაპირ იყო მალადეცობა (რუსულია) ეს, ხოლო ამის თუნდაც შორიდან ჭვრეტით, გადავიქანცებით, და ამიტომაც აბზაცობრივი გადახვევები

გვჭირდება აქ,

კი,

ხოლო თვით უმფრო ნამდვილ ცეკაცეკვა-ფერხულში რომ მოჰხვედრილიყავ, და ჩაბმულიყავი, ჰოი-ივ, თქვემოწითალო მუზებო, ვ, გვექანცებოდით ეს თქვენცაცა კი, ზესასაქციელო განმაწყობლებლობებით ამტან-პარტმოუღლელები, ხოლო ჩვენაკი - „ჩვენ“ ვართ უკვეღა და სხვა რა ჯანდაბა, მე ამდენხნობით თეთრზე მშავადი და შენ ემისაც კი ბრავოდ საღოლმკითხველი, - და აბა მე რომ დამიღია პირი და... თუმც არა - რომ ამიღია (“კდემა - შიში გმობის მოლოდინსა ზედა“) კდემაზე ხელი და ცნობილჟანრ პროლეტ-დიქტატურის კორიფეებზე ვაჩმახუნეფ და მთლად ყოვლად უსულიერო ოთახებებში მაინცადმაინც წვერიან კატას (ციცა) დავეძებ, და თუმც სადღანანია საპოვნელად და მაგრამ მაინც ყოვლად უპასუხისმგებლოდაც კი რომ ვქილიკობ თან ერთმა - ბევრნსზედ, მათზერაღა, მაგრამ, მოდი აბა ერთი და, გეხოცა შენ (ჩემთავ ვეუბნები, თუკი გაგვაჩნია), ან თუნდ შედარებითი გულმოწყალეობით გადაგვესახლა ჩრდილოეთურა საცივეთში, თანაც ყოვლად უხმელსუნელოდ, იმდენ-ამდენი ხალხი, ურეჰანრამოდაც, კი, და მთლადაც ადვილი კიარ იყო ეს, უიჰომართლა, ჰამზაცი, და

იმისი ჯანი,

და რამდენი ჩვენი ჭკუით ვითომც გამოსულელებული თუ ღრჯუწარჩინებული (“ჩინ“ -ი ხომ გახსოვთ, სუცოტა ხუთგვარია), ზეჩინებულ და სიგელ-ორდენიანნი, ასე კოხტა-მშვენივრად და ჩვენგან თუნდ შორით ჩავლისასაც კი ისე ოსტატურ-შეუმჩნევლად დაგვაძრობენ ჩველენჩებს წარბსაც და

წამწამსაც

რომ ვერც გავიგებდით და ვერც გავიგებთ აი ისე რომ ცალთვალის პაჭუნიც არ აგვიტყდება ზოგიერთ ტურისტ-ლალივით, ხერხებულობით გაქნილებია ისე (ლალი კი არა... პირიქითები, უპაჭუნონი), და ჩვეაბდლების სამასხარაოდ ასაგდებია კიდევ ჩვენგანაც ჩვენზე რამდენათ უმფროც მოხერხებული ცქვიტურადაც გაჭენებული და განსაკუთრებით დინჯ-დარბაისლური კომანდორული ამიგო-ხალხი სასავარძლურად ჯიგიტური, ვა?? არა, არა, ამხანაგებო, ვერა

ვართ,

სწორნი, გინდაც ხრუსჩოვი ავიღოთ სულაც, ნ.ს., ის რომ ის იყო, ნ.ს, იმან ესმოდა ფერმწერაული გრამატიკების ფისი რა იყო არამედ ფასი და ფასმა, ყურება-ყურვა იცოდა ისეთი და ანუ იგეთი და ხსწორი, და თავისივე ყურის დაგდებებით ანუ სხვებისა ყურთა გავლი-გამოვლით მუსიკის მიმდევარ და მუსიკაში მომეცადინე შოსტაკოვიჩს ყურს რომ აუწევ, რამდენათ უფრო ყურსმენიანი, ანუ დიდყურა მუზიკანტი უნდა იყა შენ, ჟდანოვივივივით, შენ (ხოლო ამ ერთ-ერთმა უკანასკნელმა, „ჟდანოვი“-ვიმა იცოდა თურმე გინდ პიანინოსა და თუგინდ ფორტუპიანუსა და თუნდ აკორდეონზე და გინაც ნევრებზე დაკვრა), და სწორედ ისეთი დიდი მემუსიკე უნდა იყა-მეთქი, რომ პროკოფიევებ-შოსტაკოვიჩებებს მუსიკებების სწორ და სასწორო გზაზედ დასაყენებლათ საკუთარულა რგვალთავიათი რაცხ, და აგრეთვ ახმატოვაებაოუცვეტაევების სიტყვიერულასღა მხოლოდ, პოეზიაებს კოტიტა თითით, სჯობსო რომ ცერით წავეხმაროთაო უნდა, ეს გამოსასწორებლათ, ხოლო სამაგიეროდ დემიან ისედაც ბედნის არ დაუკარგა სულარაფერი, მთლად არცერთი და არცერთნაირი შეჭაღარავებულიცკი, ასო, ხოლო აქ, - ზემორე ვაიდაბზაცი კიღამ ზომაზე მეტად გაგვიგრძელდა, კი,

კი,

და

კიდევ კარგი რომ,

მოვეგეთ სწორულა გონს და,

დროზედ მივხვდით და -

ვიტაცევით აბზაცზედ ხელი,

ხოლო თვით როგორ გრძლათ სულთმობრძავ განთქმულმებრძოლ-მეომარ-შვილდოსანსა ენერგეტიკტაკაულ ბრეჟნევს ლიონია ი-ორდენოსანსაც თავის ერთდაგვარ სიცოცხლეში, ბოლო ქოშინ-ქოშამდე ქონდა იმდენი მუღამი რომ არამცთუ მხოლოდ საჩვენო კიარა და, ჩვენზე რამდენად შებერტყილების მართვის უნარი შემორჩენოდა გონწართმეულს თუნდ მხოლოდ ტვინობრივად ხაშხაშნაჭამსაც, კი, თანაც იმდენად, რომ, ტვინიებს გარდა ცალიფეხიცა და მეორესი ხუთ-მეოთხედიც კრემლისისპირა ჯერაც ამოუთხრელ მაგრამ აშკარად დამსწრედ თანამდგომ სამარეში რომ ედგა, ვერ გადმოაგდეს ედგარ პო რა იყო არამედ ანდრო პო-ვებმაც, და ხოლო ამ უკანასკნელ მედგარისა გარდაც ალბათ სხვებიც რამდენი მედგარი მსურველი ალბათ კი იყო სუცოტა რამოდენიმე ადამიანი, სავარაუდოზე მეტიცაა ძალიანაც მოსაზრება ეს, მაგრამ ვერ ჩაუვიდათ ფეხი ქვემოდან ბოლომდე ზემომდე (გამოთქმაა რამდენადმე სწორი), ხოლო იმასაც და მედგრად მძვინვარე კაგანოვიჩის ლაზარესა (მეტი რა უთხრათ) ხოლო სინამდვილეში ზოგიერთდამი მეტად ა-ბესა-ლომ გვარის ახლა მასხრადაგდება ადვილი არი ბიჭო ახლახომ, არა, ხომ? - ჩემთავს ვეუბნები „ბიჭო“ -ს, ვახალგაზრდავობ, რაღა, თვითკრიტიკაც, მჭირს, ოღონდ თუკიღა ეს აუცილებელია, რადგან პატარათი ხომ,

გამოზრდილნიც,

ვართ,

კარგია,

აბზაცი,

ეს რაც შეეხება აბზაცს,

ხოლო თვით ასეთ პრემიერ-პრიმა კაბინეტურა არეს-მარსკვლავთა კორიფეფეთა გვარსახელების დასახელება ექსტრულ პრიმებთა, არაა ჩემგან ლამაზი და ვერაა კარგი, განა არ ვიცი, ჩემიც მეყოფა მე სირცხვილით... მაგრამ ისემც მე რა მითხრა, ვიკატუნებ თავს, რადგან რა ხვითოებიც იყვნენ, ვიცით, მაგრამაც მათი, თუნდაც ამცრუ კორიფეების ამაგებისა ასე ერთი ხელის მოსმა-მოქნევით წყალში ჩაყრა, ანდაც ჩადება სულაც ნიორწყალში? ა?, სირცხვილია ნამდვილაური, რადგან მშვენივრად რაკიღ ვიტანდით, კიცუნდა ვაქოთ წესით ახლაც, გავიტანოთ და ვიმართლოთ უნდა თავი, მაგრამ ადამიანისისთანა მაპატიეთ და, ცოტათი სულელი? - მაინც ვამბობთ რომ, ოხრები იყვნენ, ბოდიშით, იყან, ხოლო სირცხვილით სულ აღარ ვიწვით, არამედ დაიწოს თქვენი დამწველი ლამაზ და ამურცხოვრების მომტანები, გაზეთები მაინც გადამეკითხნა ძველდროინდელი გაყვითლებულები (მართლა, ისეკი, ნეტა გაზეთნი თანდისთანობით რატომ ყვითლდება და არამედ რატოარ წითლდება? უცნაურია, სწორედ) და თანაც იყვნენ, ისინი, უკლებლივ მედგარი, როგორ თუ არა და არ დავმორჩილებოდით, ეეე, მედგრებს, მართლა, ამ სწორა-სიტყვას ისე შხირათ ვახსენებ ამ ბოლოდროს მაინც, ალბათ თავის განსამართლებლათ, იმათ მე აკი იმიტომ ვექვემდებარებოდით, მედგარები იყვნენო, დიახ, მაგრამ მაინც ვნახოთ, კი, დავაზუსტოთ, აგერ, თანამედროვე ლექსიკონში... ჰო!: „მედგარი - ძლიერი, შეუპოვარი“, ჰოდა, ჩვენზედაც კი ძლიერებსა და შეუპოვრებს, დავემორჩილებოდით, რა იქნებოდა აბა, მთლად ოდითგანვე ასე იყო ეს, და ოდითგანვე-ზე გამახსენდა, მოდით ერთი და მოძველებული სულხან-საბაც ვნახოთ, ეგებ იმასაც ჰყავს „მედგარი“... აბაა, „მებეგრე“, „მეგობარი“, „მედასე“... აიი, ჰო! - ძველებსაც კი, სცოდნიათ რაღაც-რაღაცები აბაა, მოვინახულოთ, თანაც ეგრევე გრძლად ჩანს ახსნა, ნეტა რა დიდი განმარტება უნდა ამ სიტყვას, „მედგარი - მცონარი და მოუძლურებული“... -ვა?!? ვა?!?. თუმცა, ბრეჟნევზე აკიც სწორია... მერე რა მოსდევს, ნეტა, - „მედგარი ითქმის მარადის ძვირისა დამმარხველი გულთა შინა აღუხოცელად“... ბიჭოს, სწორია ესეც მგონი, თანაცკი ბევრზე, კიდეა რაღაც მომდევნო ახსნა, - „მედგარი მსოფლიოთა ენითა მზაკვარად ითქმის, რომელმან ხერხითა დაკუეთის მორკინალი თავისი მიწაზე ზედა ძლიერად“, ვაჰხ!? - სტალინისთანა პრიმა-მედგარი ვიღა ჰყოფილა, რაც იმან ჯერ მარტო ტროცკი დააკუეთებინა, თქვენ მოძველებული და ჩამორჩენილი და ბერი ეძახეთ ორბელიანსაც ერთსაც, საბას, და მაგრამ სცოდნია უკვე სტალინ-ზინოვიევის ცხარი ამბავი, მაგრამ ცხოვრება ისეთია, რომ ამ ბევრულებ მედგარებსაც კი არცთუ ცოტათი უწყინარი სახე სდებოდათ სახეზე უნდა, და თვით იმათში როგორის თანამედროვე გაგების კდემით კიდევაც უფრო გამოირჩეოდნენ თითან იმათში სათნოდამათნოდ იეროვანნი თუნდაც სუქან-პუტკუნა მოდიდო ფსევდო მალენკოვი და გინდ ამავეგვარი უწყინარ სახედარგის ანფასდაპროფილ

ბულგანინი, ინტლიგენტნს ხგვანდა, მაგრამ იმდენი ხალხის გამქრობებ-იყვნენ, ჰოიიიი, თურმე; ანდაც, არამცთუ მარტო ფერწერულ-მხატვრულ-პორტრეტულად კი არა, ფოტოთითაც კი ზედაპირულად როგორ ხვითოურ-სათნოდ ჩვენი ერთგვარი მოლოტოვი,ვ.? კარგია, კმარა, იმათზე აღარ ვილაპარაკებ მე,

ხოლო,

აბზაცო,

როგორ

ერთგვარ

მარილივით გადამავიწყდი, მე უგემურას, და აბა რომელი სიტყვის კაცი მე მნახეთ რომ, თუ აქაც ჩემებურად არ გავინავარდო პოლიტბიუროს-კეეე!, და, ანაცდა ბრეჟნევ-ლიონია ხელოვნურ-ჩახმახს როგო უყვარდა ხელოვნების ერთ-ერთი დარდ-დარგი, კი, ნოო, აჩუუ, იმდენად რთული დარგი, რომე, რომ ჩვენდა თვალებასახილვ საკეთილაოდ დასახმარებლათ კინომცოდნეთა განუსაზღვრელი ხელობაც კი დაწესდა ჩვენშიც არცთუ მცირული, გვიხსნიან, გვზრდიან, ისინი, შინაარსს წინწინ გვეუბნებიან რომ ყურებისას (თვალებით ეს) ზედმეტათ აღარ დავიძაბოთ, დაგვზრუნავენ და, გვლაპარაკობენ, კინოზე დიდხანს, ჩვენ, და ამ მათდამა სამადლობელში ხოლო-აბზაცი აი აქაც კი შორს მოვისროლე ვით მარგალიტი უძვირფასესი ხოლო ეს -

არ ვარგა,

არ ვარგია,

კი,

და,

მაგრამ მაინც ხომ, ვარ,

გამომსწორვადი,

და თან სხვა ამგვარიცკი,

კი,

შესასვენებლად,

სულამოთქმისთვის,

კი,

არსებობს ხერხი,

მაგრამ ხუმრობა იქით იყოს და, მაინც რა არის ცხოვრება, მაინც, რადგან მედგარებმა რას აღარ მიაღწიეს, კორიფეობობასაც კიხომ აკი, არა?, მაგრამ ერთი რამ მაინც ვერ დაიყენეს სასურველად და არ უვარგოდათ, რადა - ტან-ფეხი, ტანსახეფეხი რატომღაც არაფრით არცერთთ არ უვარგოდათ, ვერცერთი გახლდათ ტანით აღნაგნი, და ვერც კენარნი, და მაგრამ რადგან აბა სად არ არსებობს გამონაკლისი, ერთი სუსლოვი-ღ იყო სარო, არ ვხუმრობ, ვღელავ და ამ ვაიდ-ხუმრობებს შევეფარები, და თუკი სადმე ამ რომანშია თუ რაღაცაა, თუკი ერია სუფთა ადგილებიც, მაშინ ეს ღვარჭნილობები, ესენიც კი, ეგებ ერთგვარი ლიტერატურული შაჰსეი-ვაჰსეი იყო სუფთა ადგილებამდე მისაღწევად, მაგრამ თქვენ აბა დააშავეთ რა, არაფერი, მაგრამ ვღელავდი იმიტომ რომ, რაღაც გულისას ვაპირებდი, და სულ რამოდენიმე ადგილის გარდა ბნელში კი არა, ბევრად უარესობაში უფრო, აჭრილობაში დავძრწოდი და უნებურად, თქვენც, და ისევ ბოდიშს გიხდით რადგან არ მომბეზრდება და გიმეორებთ რომ თქვენ კი აბა რა დააშავეთ მაგრამ ერთი ის მამხნევებს კი არა, თავსაც ვიმართლებ რომ, ერთი ისეთი რამდაგვარისათვის არის მხოლოდ ეს, ყველა ზემოთა ღვარჭნილობები, ეს, რისი გულისთვისაც, ქრისტიანული დაშვებითაც კი, შეგიძლია აიღო რაიმ-იარაღი და ნებისმიერ მტერს, გარეშეს თუ შინაურს, როგორც კი შენ ეს შეგიძლია, აიღო და უნდა ხმალიც კი უქნიო და უქნიოც კი არა, მთლად წელამდეც კი ჩასხიპო უნდა ხმლითა თუ სიტყვით და თუ რამ მეტი მომივიდა, ისევაც ამ ერთი რამისთვის და, ეს რამე კიდე, სამშობლოა.

ოღონდაც ჩვენი.

და ნამდვილი, თუნდ დღევანდელიც კი, ჩვენი ასეთი უმწეობით როგორღაც თითქოს ხელჩასაქნევი ერთის შეხედვით და ძალიანაც დიდადაც შეხედვით, მაგრამ კიდევ მეტის შეხედვით - კიდევაც უფრო შესაყვარებელი, როგორ გგონიათ, გაჭირვებამდე რომელი ხნიერი ბიჭი რომელსა სჯობდა, ბილბაო თუ მიშო, რაღა თქმა უნდა ადრე თუ მიშო აშკარად უფრო სხარტად და გაბედულად დასაუბრობდა და ბილბაო თუკი ჩრდილში რჩებოდა, ამ გაჭირვებამ, მადლის მომფენმა ზოგიერთისათვის, აკი ბილბაო უფრო არ გამოაჭენა? ოღონდაც კარგად, ნობათირამ-ჰქმნა ისეთი რომ, გაჭირვებისას, მართლაცდა ნობათ-იყო, ნობათ-იყო? - დურუს (დორეს) ლორი მიჰრთმევიყო, დიდ ქვაბში ვერ ეტეოდა, პატარაში ..., - ა!, - ისევ ვღელავ, ისევ წა, წა, წაველ ღვარჭნილობებისკენ, და ამ ისედაც ჩახლართულობებს მეტად ვაჯანჯლებ კიდევაც იმიტომ, რომ მეშინია უკეთეს საქართველოსთანაც კი ასე როგორ პირისპირ დარჩენისა, და, მოლაყბეურ გადადებებით, როგორ ძალიან გავიჭირე არა, საქმე? ხოლო უკეთეს სამშობლომდე განმეორებულ-მისასვლელად, მერედა რითი, თანაც ხალხური ჩვენი ამ ლექსით, ხომ უნდა გამიგოთ, ეგებ ვღელავ და ამიტომაც ისევ თავშესაფრულად მხსნელ ღვარჭნილობასა და უაბზაცობაზედაც კიგადავდივარ, მაგრამ სულ ასე ხოარ იქნება, ვუახლოვდებით, ჩვენსას, და ბარემ ბოლო ღვარჭნილ შესუნთქვ-ამოსუნთქვასაც გავაკეთება და ჩავიდენ, რაღაა თქვენთვის, უდანაშაულოდ მოფორხილესათვის, ათიოდ სტრიქონი, მაშ ასე, ხოლო ბილბაო სრულად კი არ გარდაქმნილა იმ თავისთავად კარგი თუ დამაკმაყოფილებელი ნობათიანი დღიდან, არამედ ისევაც შერჩა გვარ-სახელებთან დაკავშირებული გაუგებრობანი,

და უბრალო და რიგითი ხალხის სახელების უცნაურ ჭვრეტას კიდევ რა უშავდა, არამედ ერთ თვით გამორჩეულ ვინმეზედაც კი, აი ასეთი რამაც კი, თქვა, კი: „კაცო, მაინცდამაინც ისეთი პიროვნულობა უნდა დაენიშნათ ასეთ და ისეთ მრისხანე ადგილას რომ, სახელად სწორათ და ნაზათ ვარდიკო რქმევიყო? და ხოლო თუკი მაინცდამაინც ამ ვა-თი უნდა დაწყებულიყო იმისი სახელი, დაენიშნათ მაშინ, ვა,-რდიკოს მაგივრად ჩემო იმანო, ეე... მიშო, ვინმე ვა-რლამი, ან რომელიმე ვა-ლერიანი, ან ვალენტინი, ანდაც ჯანდაბას, ვადიმი, ვალიკო, ვალოდია, ვანიჩკა, ეე, ჰო ვასილი, ეე, ვამეხი, ქვემეხი, პუშკაში“... და აქკი შეცბა, რადგან იგრძნო რომ „ვა“ ენიდან გამოეცალა, და ამას გარდაც „პუშკაში“ აკი გვარი არის თანაც უნგრული და ამას გარდაც მესამეც ის რომ, რომ აბა რა იმისი იმის საქმე იყო თუ ვინ ვის და რადაც დანიშნავდნენ გინდაც საიდან დამნიშნავები განსაკუთრებით მრისხანედ თავდაცვურ ადგილზე, და დაფიქრებულიყო წინდაწინ, რაღა, თორემ აბა სად „ვა“იანი სამხედრო საქმე დეტალებიანი და სად ყოვლად უ“ვა“ო თუნდაც გინდ პუშკაში? საკვირველია, უფრო მეტად კი საკვირველი აი ის არის, თვით სიყვარულს რომ გასაბრაზებო კინკლაობაც თითქმის სუმუდამ როგორღაც ახლავს ეს ჩვენში მაინც და აქ ვერავინ არაფერს დაგიდევთ თუკი საქმე ამ ჩვენს სიგრძივ სიგანეს, თუ პლატფორმას, თუ ტერიტორიას, თუ პლაცდარმს, ხოლო ადამიანური სიტყვებით, სამშობლოს, მამულს თუ შეეხება და, ამ გულარძნილობაში, აი იმისაც კი შეგვეშინდა რომ, ცოტათი გრძელი არ ყოფილიყო აი ის ადგილიც კი, სადაც რომ ჩვენურ-ხალხური ლექსით... - კარგი იყო? და კიდევაც ლამაზი არის?, რადგან არ გაჩენილა ქვეყნად ნაჯახი, ის რომ სუმთლიანად გადაჩეხოს და, სწორედ მისი სილამაზეთიც გადაქანცულმა მეც ავიღე და ღვარჭნილობებს მივადექი მთლად იმისაგან ადრეც და ახლაც დაღალულმა და რომ ამეების დასამალნათ მთლიანად კი არა, არა, არამედ, თქვენი არ ვიცი და იმიტომ გავყავ რომ უფრო მეტად მომნატრებოდა, რა და, რაღაცა არი ჩემი რომ არი, აი ის, და ეგებ ჩვენმა ამ, დღევანდელმა, ამ ძვირმა ყოფამ, ისიც კი ქნას რომ, სწორედ მისათვის, ანუ, ცოტათი ეგებ სირცხვილია მაგრამ ანუ ისევ და ისევ ჩვენ-ჩვენისათვის მოგვანატროს და გვასწავლოს და განგვიახლოს ნამდვილი შრომა, მისი ძალიან წყურვილი, ეგებ იმასაც მოვსწრებიყოთ, რაღაცახმას რომ გამოეცხადოს, ვხუმრობ - „შრომა ქართული, ასრულებენ - ზალდასტანიშვილი, დავლიანიძე, მაქაცარია, სამხარაული, ----------, ----------,“ და სხვა, და სხვა, და სხვა, შრომა კი, გითხარით უკვე, აკი იცოდა, კი, ადრე, და ჰქონდა რაღა, ბევრი შრომის იარაღები, კი, დიდი თუ პატარა, დიახ, კი, ხელეჩო, წალდი, ბარი, გუთანი, წერაქვი, ნიჩაბი, ძალაყინი, ბირდაბირი, ხერხი, ნაჯახი, ნამგალი, ურო, თოხი, ჩაქუჩი, სადგისი და რაღა აღარ და აი, ეს ტარკინი რომ ტარკიშვილი თუ ტარკინაშვილია, აი იმასაც კი სჭირდება გარკვეულშრომითი იარაღი, ლაპარაკისასაც კი, ასე განსაჯეთ, მთლად უსაქმურობისასაც კი, უფრო, რა და - ერთი კარგა მოზრდილი, თუმცა ძალიან მცირეც კი თავისუფლად ეყოფოდა, რა და - გარკვეულადწილ ანტიუსაქმურობებ - განმრთობ-მახათი, რომელი იგიც მისწრებასავით შველა-მახათიც, ცოტათიც კი უფრო ბევრად ცოტა მშვენივრადაც კი ეყოფვოდა, და ასე პირდაპირ-ჯიქურ ლექსად ხომ არ მივადგებით, დაა, ჯერაა, ცოტათიი, მოლექსურათ ვთქვათ, შეჩვევისათვის, და ლექსის ცოტათი მხოლოდ ყალიბზე და მთლად კი არა, ასე მივადგეთ, ჰო, ასე აჯობებს, კი, -

ვერ დაიმალება ხოხობი კი არა

არამედ რაც გინდა პატარა იყვეს

მახათიც მაგ შენი ლაპარაკისას

ვერ დაიმალება ხოხობივით არამედ ხალთაში შუბივით

მახათი ტარკინივ მაგშენ იმისებრ ბგერა-ასოთა ჩრდილშია(,)

ერთი ფრანგიცა, უსასვენნიშნო, კაცოო, ვიციით, საიდან სადაო, ხომკი, არა?. ხოლო მახათ-მოკლედ, ესა ტარკინი, ზის, ჭკვა-ჭკვებ ძაანაც უხვებადაც კიირიგება, მაგრამ რათ გინდა, ისა კიდენ, ცრუვი-ოსტატი, ენამასწარა, შემოსავლისგან - ძღომისადაა, ძალიანათაც ადგილობრივად, მაგრა ჯდია,

ხოლო გამიზნულ მგზავრობებსაც, მიმოსვლებსაც სოფლად აბა რა გამოლევს, მიდი-მოდიან, მოძრაობენ, აგერას, თუნდაც, აიი,ესა -

სასოფლო მიდის საქმზედა, გეზი უდგია მხარზედა.

სქელოქალო, მსაჯულისავ (აი იმ მსაჯულისა, „რიგოლეტო“

რომ დაგვიწუნა, ჰეჰ!), ხევ-ხევ ტარკინაო,

მაგრამ ეს ჯერ აბა რა მოძრაობაა, სოფლის მხოლოდღა ზედ შუაგზაზე და ჯერ მხოლოდ კენტად და ცალფად მოძრაობა და ისიც მხოლოდღა ბევრათ უმწიკვლო სიარული, მოძრაობები აბა თქვენ იქ უნდა ნახოთ, ლერწმიანებებში, ჰეჰ! ვა?! - ეს რად ავჰყევით ამ ჩვე ვაიდვე-თანავდროულ ნუმერ II ტელედ-წყვილა არხს, ამმხრივ კი იქა, იმ ტელეარხში რაც მართალია მართალია ღამღამ იმტენი ტარკინაიანათ-სუახლებ წყვილში, სანახავია? - ვე?, ვიშ, მაგრამ ვერც დაგავიწყდება და არც შენ შეგიმსუბუქდება, ლერწმოვანებები, მაგრამ ისა მკლავს, ტარკინის დროს რომ ტელევიზორულ-ტელევიზიები, და მაშასადამე II რუსთავურიც, სულაც რომ ვერ იყო? - მაგრამ ნუ დავიბნევით, რადგან განსაკუთრებულ-შესახედავ-სახედავები, სახედარები, მათი ცოლებიც მაშინაცაკი მაგრამ, მაინც, არამედ იყა, ხოლო აგერ მე ეს ღვარჭნილობები, განსაკუთრებით პოლიტიკურობებიანებები, თუმც მე პოლიტიკისა ვერაფერი მეყურება და მეთვალება, მაგრამ ესეც კი სულაც რომ ვერა-დამვიწყნია? ხოლო აგერ-ტარკინას სიარულზედ, ასოციაცია არი თუ რაღაცა არი და ეძახიან, აი სწორედ ის მემართება, ასოდ-ციაცია, რაც თავისთავად მეტად უცნაურია, რადგან ლერწმებისკენა ტარკინას სლვაზედ, კინაღამ ასეც არ მივაყოლებ?:

ხრუშჩოვი ადის ტახტზედა, მეჭეჭ-უდგია ხალზედა,

კოხტა-ბიჭოვ, ვერწერწეტავ (აქ „გვენაცვალე“ც შეიძლებოდა),

ცეკა-ცეკვ-ოონ-ტუფლ ნიკიტაო,

შე ვერწერწეტაო,

ეე, სიბერემდე-სიქაჩლეო,

ეე,

უცნაურია,

სისხლიანო და მაინც ცერცეტაო,

მაგრამ ერთიოდ მარცვლით მეტი მოგვივიდა, განსაკუთრებით მეორე სტრიქონში, და განსაკუთრებით ბოლო სტრიქონში, და ლექსი თუმცა ვერ იტანს მეტსა მარცვლებს, მაინც ერთსა მარცვალს აბა კიდევ რა უშავს, არაფერი, და ორიოდ მარცვალიც და მისხალი და გინდაც ფუთიც კი არა, არამედ ქალწულობისა ასე აშკარად ოღონდ ამითი მთლადაც ტონობით მთლად პირიქითა ქალწულობისა ლედი ტარკინა, რაცკი იმაზე ხალხი დებულა, ისეთ ამაგსა სდებს მთელი იმ სოფლის ვარგნილებსა, ხოლო ესაკი, ვარგაობა, არცერთთ არ აკლიათ, მაგრამ მერევღამობით წყნარია ყველა, დაწყნარებულებებია, დიდი-დიდი რა, - ჰხვრენნენ: ააჰხ-ჰხუუ, და არც იმავ ოჯახიშვილი ჰკარგამს უქმად რაგინდ ბევრი ეყას ძვირფას დროსა და რაგინდ ყველასაც დაეძინოს, ისიცა, ძილში, ზეპირმახათურ თვითსტატიებს სულ გონებაში ერთგვარად სწერამს, ჭკუა-დასკვნებებს ჩამოირიგებინება, მაგრამ უფროღა მეტადი სიტყვ-პასუხი კი განა სხვებს სუმთლად როდი ავიწყდებათ, განა? და, გახურებულ მშენებლობაშიაც, არც რომ უსწავლნიათ, თანაც სხვისგან კი არ დაუხსომებიათ, სულაც თავისით, უფიქრველად, ისეთს იტყვიან? თუნდაც ულექსოდ:

- კაცო, ესა ქვა, ამ ქვას, ვითომ მოერგება?

და უპასუხებენ:

- კიარ შაეხვეწება?

„ლობიო მუცლის ბოძია“ო და, ასე, მაგრამ ლექსების თქმა ხომ, განსაკუთრებით ზოგიერთამ, იციან ისეთი... კარგით, ვთქვათ მე იმათკენა ვარ და, მაშინ აბა თქვენ თვითონ განსაჯეთ - რეებს აღარ იტყვის იმათი მთლად უძვლო ენა, და, მეორეს მხრივ, რეებს აღარ შეეტორღიალ-მოეპოტინებიან კი არა და, შესწვდებიან ერთგვარად, კიდეც, და თანაც, ნახეთ, უშინაურდებიან, ვისა და ვისა:

მზე - დედაა ჩემი,

მთვარე - მამაა ჩემი,

გუნდი და გუნდი ვარსკვლავთა

ძმა და დაა ჩემი,

მაგრამ სად არი, აბა, ლექსი თუა და იმისი კვნიტი, მაშინ სადაა, აბა სადარი მაშინ რითმა? „ჩემი“, „ჩემი“, „ვარსკვლავთა“ და „ჩემი“, რაღა რითმაა, მაგრამ სულ ასე ურითმოდ ანდა დუხჭირრითმად კი არ იგონებს საკოშკო სიტყვებს, თლილი რითმებიც იცის, მაგრამ იმათ ზედმეტად აღნაგობას და ძალიანაც ცრუდ თუ

მართლად კაშკაშს დიდად არ დაგიდევთ, და არც მაინცდამაინც სხვარამ ხერხებს, აი დაახლოებით ისეთს, ჩვენაგანათლ-ჰინტელიგენტები მუსიკაში რომ მუსიკალურ მელიზმებს რომ ვეძახით, მისთვის უცხოა ძალიან მოყვანილი სიტყვაობრივი გრუპეტოები, ტრელი, ფორშლაგები, მორდენტები, თუმც ცოტა-ცოტა თუკი დასჭირდა ყველა ამაებისა რაღაცები გაეგება და, იცისც, მაგრამ ზედმეტად სულაც არ სჭირდება, და თუ დღევანდელური ფსევდოსევდითი მოყმე-რამე ალაგ-ალაგ ცნობილი პოეტ ფილხაზ ვიღაცასძე აღნაგიშვილი იმისა რითმებს, მხვნელ-მთესველისას, ზმნებიანურებს, როგორ იკადრებს, მჭრელ დისონანსებშია და სხვა ხრიკებში ეგენი მაგარნი, მაგრამ სამაგიეროთ არც ესა, ჩვენი იკადრებს ფილხაზის რითმა-რითმებსა და საშემსრსამკაულებს, და ეს იმიტორო, სათქმელი, ააქვს,

თუნდაც, ასეთი, -

წუთისოფელი რა არი,

აგორებული ქვა არი,

რაწამს კი დავიბადებით

იქვე საფლავი მზა არი,

და აბა რა არი ეს „არი“ და „არი“ და „დავიბადებით“ და „არი“, მაგრამ ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, მზე-მთვარე-ვარსკვლავთ, იმოდენეებს, მოკლე ლექსში რომ კოხტათა ათავსებენ, ეს კიდეე, ჰადა, ჰადაჰა, კარგი, და კიდევ ისიც შეიძლება, მზეს რომ ვითომ მთვარესთან აბაასებენ და ქარს რომ ტოტებთან და წვიმას რომ კიდევ ჯამთან, კარგი, ამასაც დავყაბულდეთ, მაგრამ ემ ცხოველების ლაპარაკი, აბა ვის გაუგია? თავის კი ესე სულაც აშვება კი ძალიანაც კი არ ვარგა, სუტყუილია ცხოველების სიტყვითლაპარაკ-ბაასი, შინაურსაც და გარეულსაც, აკი პირუტყვსაც ხომ აკი ტყუილად ხომკი არ ეძახიან, მაგრამ ამათები? გრძელი ენები გადმოუგდიათ რომ... რა არი აბა განა ესა:

დათვმა თქვა: - სიზმარი ვნახე,

რაც რომ თავს გადამხდებოდა,

აბა როგორ იტყოდა თუნდ მხოლოდ ამას, დათვი? თანაც, რო აგრძელებს და აგრძელებს?:

ერთი ბურვაკი შევჭამე,

შხამადაც შემერგებოდა;

სოფლის ბოლოს რომ გავედი,

ვიცოდი არ შემრჩებოდა,

ლამაზ-ლამაზი ბიჭები

თოფ-იარაღში სხდებოდა;

ლამაზ-ლამაზი მწევრები

თითს ფრჩხილებზე დგებოდა, -

აბა სადღაა აქა, მართალი? აბა რაღა ლამაზ-ლამაზი მწევრებია და ლამაზ-ლამაზი ბიჭებია დათვითვინ ეგა, თუკი იმათგან ჩავლებული და ტყვიებნაკრავი ბაბრი ჯერ ეს ეგ ერთი მკვდარი აბა რაღას იტყოდა თანაც ლექსათ და ვთქვათ, სიკვდილისწინა თქმა არი ესა, მაგრამ რაღა ლამაზებია-მეთქი, ის მწევრები და განსაკუთრებით აის ბიჭები, თუკი იმათგან, ამ მუნჯ დათვისა, -

იქ დადგა სისხლის მორევი,

ზედ ნავი მოსცურდებოდა;

მოვიდა ყვავი, ყორანი,

სვამდა და არ ილეოდა;

ორბებმა გამინაწილეს,

სვავი ძვალ-ძვულით ძღებოდა, -

ვა?, აკი გრუპეტო და ამისთანა რამეები არ იცისო და, ესა „ძვალ-ძვული“ მაშინ ნეტა რაღაა?, დათვის ლაპარაკ სულაცრო თავი დავანებოთ, და კარგით, ჰა, თქვენებრ იყოს და ვთქვათ ესა დათვი გამონაკლისია, მაგრამ აბა ერთი ამ ყურცქვიტასაც დამიხედეთ, ვა?? -

კურდღელმა თქვა: - ჩირგვში ვზივარ,

ვერვინ მოვა ჩემზედაო,

გავიხედე სერზედაო,

ბატონი ზის ცხენზედაო,

წინ მეძებრები მოუდის

დაგეშილი ჩემზედაო, -

კი, კი-კი, ძაან იცის ერთმაც უსწავლელმა კურდღელმა, ლაპარაკებს რომ დავუშვათ და სულაცრო თავი გავანებოთ ბატონი ზის-ჯილა არი ცხენზედა თუ იმისი მხოლოდ მოურავი თუ რა, ცინცხალტყუილის დახეთქებასა ააქს აქ ადგილი, ხალხო, და ეს მელაც არ აჰყოლიათ, ეს ჭინკისფეხი?:

საწყალი მელა ჩიოდა:

- არ მომივიდა ძილია,

ერთსა საქათმეს მივაგენ

გამოვუთხარე ძირია,

იხვსა, ბატსა და ქათამსა

ყველას გავკარი კბილია, -

აღიარებს, კი, კი, როგორარა, მელა ამეებს? მეტი არაა ჩვენი მტერი... მაგრამ კიდევ რომ განაგრძობს? -

უკუ ვიხედე, მომდევდა

პატრონი - გზირის შვილია,

აიი, აქაც, მეცნიერულათაც რო გამოვთქვათ, ანალოგიური შეცდომაა „ბატონი ზის ცხენზედა“ოსი არ იყოს, რა იცის მელამ, ვინ ვისი შვილი და ძეა და ვისოვიჩი არი, და თუნდაც ამ უარესობას როგორღა იტყვის, ეს რა, მკვდარ-ცხოველების დოღი არი თუ რა, -

გადმომკრა, გადმომიშხივლა,

ცამდის ავასხი ტვინია,

მაგრამ ტვინს ვიღა ჩიოდა,

ცოლ-შვილი დამრჩა ქვრივია,

ცოლიც მალე გათხოვდება, -

კი-კი, სუ მმაჩში მააწერს ხელსა ამმელის ცოლი, ავირივენით აქა სულა, მაჩვი-ღა გვაკლდა, ისევ მელასი განვაგრძოთ, კაცო, რაზე გავჩერდით? ჰო!:

ცოლიც მალე გათხოვდება,

ობლები დამრჩა წვრილია,

ობლებიც დაიზრდებიან,

თავი დავკარგე გმირია.

ვა?, აბა რომელი გმირი და კავალერ-ორდენოსანი ისა არი, აბა რა დიდი ამბავი იხვის და ბატის და ქათამის კბილის გაკვრასა, უნდა, მაშ ასეთ გმირობებზედ ჩვენ რაღა ვთქვათ, ადამიანებმა, ძროხებსაცა, ვშჭააამთ, მაგრამ ეს პირუტყვების ლაპარაკებები, ესეც რომ ერთიმეორეში გადამდები ჰყოფილა, ვაა?? აჰათ, თუ არა გჯერათ, ერთიც ესა ტუჩმოკლე და კუდაგრძელი მგელი, ისე გრძელ-გრძლურათ, ალაპარაკდება, მაგრამ, აბა და, რაგინდ გამოცდილ მეცხვარესაც ჰკითხეთ, თუ მგელმა ყმუილის მეტი, აბა სხვა რამრა იცის, მაგრამ ამათი, ხალხისა აზრ-ოფოფების ნაძერწი მგელი, ერთსაც სულ სხვა პირუტყვსაც, აბა დახეთ, როგორ ჩახუჭუჭებულობებს ეუბნება:

- მოიტა ვირო, მომიჭერ

პატარა ზურგის მხარიო,

ვა?, ვაჰ! და ჯერ კიდევ სადა ხართ, ახლა ეს მართლაცდა ვირი, ნახეთდა კაცო?, ესეც რომ გრძელებს ეპასუხება?:

- შენ ჩემს ხორცს როგორ მიირთმევ,

ვზიდე მარილის ქვანიო,

ვითომც, უხეშ ხორცს არ აკადრებს, - სულ ენადაა გაკრეფილი, -

თუ გინდა გამოგიგზავნო

შენელებული მხალიო,

ახლა, კიდევ ეს მგელი? მხალს შორს დაიჭერს:

მე მხალიმხული არ ვიცი.

ვაჰხ, ვაჰხ, ეს მხალიმხულიც ნეტავიერთი გრუპპეტო არი, ფორშლაგია თუ მოკლე ტრელი თუ, რა? ჯერ ისე-ლაპარაკი შენა თქვი და, ახლა, ჩახვეულ-ნაწნავიანი?.. რაზედ გავჩერდი? - ჰო!:

- მე მხალიმხული არ ვიცი,

არა სჭამს ჩემი გვარიო,

კუდი არ გააცანცარო,

არ გამომთხარო თვალიო,

დიდი არ დაიყროყინო,

არ შემიყარო ჯარიო!,

ვა?-?!? ვირისა შეჰჭმაც კი უნდა თანაც და, თანაც, კუდი არ გააცანცაროვო? დიდი არ დაიყროყინოვო, არ შემიყარო ჯარიო?. ვა?, ჰ!ჰ!ჰ! - რა კარგიაა? - ეს ზოგიერთი დიდიკაცივით არა ჰყოფილა?, - საწყალს რომ სიტყვასაც არ ათქმევინებსგაურთულებლათ უნდა შეგახრამუნოვო, შენ ხედავ, კაცო, ემ პირუტყვებშიაც კი, როგორ რაღაცა ჰადამიანურიც რომე ხდება? -

პირდაპირ, გასაკვირველი, და ისიც უფრო საკვირველი, რომ, აფსუუს, ფილხაზჯან, აღნაგიშვილო, ეს ტყუილები რამდენი მოგვჰყავს და შენი ლირიკა-რითმებისრო თანაცრო დისონანსური სახსენებელიც არ გამორეულა ამდენ გვერდში, ესენი კიდე, თითოც ვირ-მგელი, მოკლეთ, კიდევ კარგი რომ ბოლომდინაც არა გვჯერა და მაგრამ მაინც ასეურულად მიმართავენ, კი, ესა მგელი და ესა ვირრი ერთიმეორეს პირშიმთქმელურად და, თავთავიანთურ სიმართლეებში დარწმუნებულები, ერთმანეთს ახლაც ჰალალათ შაჰყურებენ; ისე კი, საჭმლური ვირის ბრალი ერთი ისიცაა, რომ მხალიც არ უნდა შეეთავაზნა, გაათამამა ამით მგელი, იმას მაამებლად რათ დაუსახა ყურებიანი თავი, და მოინდომებდა მგელი,

რა იქნებოდა აბა, უკეთეს კერძსა, თუმცა თავის მხრივ მგელი უიმმხალმხულოდაც აკი ხომ მაინც სუთავიდანვე ზურგისმხრის მოჭრას გულწრფელის გულით ჰსთავაზობდა, მაგრამაც აბა სახედარი აბა რიღასი ვირი და ის ტარკინია, რომელმანცა რომ სულ ვერ გაიგო „რიგოლეტო“, ამას შევარჩენდი?, გავავირეთც, კი, მაგრამ ახია, აბადა რა ძალა იმ ყრუბრუტიანს ადგა, რიგოლეტოებრო აფასებდა, მაგრამ აქ ჩვენც პირუტყვებივით ოღონდ ხელმწერლურად გადავუხვიეთ, კი, და ისევ ამათ, მოლაპარაკეთ ვითომ, მივხედოთ, ჰო, და ახლაც ისე-ისე ისევ არ სდგანან სტრიქონად, კაცო? - ახლაც სდგანანა და, ერთიმეორეს ახლაც შეჰყურებენ, თავთავიანთურ სიმართლეებში დარწმუნებულები, გაქვავებულები, გახევებულები, ერთიმეორის მიუღებელი პასუხებით - გაკვირვებულები, და აბა მგელმა, თუნდ მგელი იყოს, რა ქნას - უფრო და უფრო ჰშივდება და, ვერ გაამტყუნეფ, საჭმელი უნდა, არადა ტარკინიც რა იყო არამედ ვირიც მართალია, აკი იმასაცა ჰსურს სიცოცხლიანი ცხოვრება და მოღვაწეობა, რამე, მუშაობა და საპალნე და ბევრად მეტად კი, კუნტრუში უნდა, მაგრამ რაგინდ მართალი იყვეს, მაინც არხეინულსა ვერა მაგრამ, მაინც საკმაოდ თავდაცვითურსა ჯიუტობასა, არი, საგანგაშოურ ყროყინისპირას, ჯიუტად, არი, და, ერთის მხრივ ჯიუტობაზედ ხომ ცუდს იტყვიან, მაგრამ, მეორეს მხრივ, არ უნდა ემვირ ე თავის შეჭმეინება და,ვა?, ძალაზედ არი? ნეტა, რომელი, უფრო მართალია,

და დავიბნევევით, არადა აბა რა ჩვენი საქმეა ცხოველები და ჰამაც იმათი ზღაპრულ-მოგონილ ლაპარაკი, და მოდით ისევ ადამიანებს, ისევ ჩვენ-ჩვენებს, ჩვენებრ ორფეხებს, მივუბრუნდეთ. მაგრამ ადამიანისა კუთვნილობებიდან რითი დავიწყოთ... აბადა, რითი... იმედი რამ გვააქ, აღარც კი ვიცით თავიდან აბა რომელ ერთს მივადგეთ... რომელს და... ვა?... კაცოო... ვა?... ჰო, სჭამენ, და სვამენ, თანაც მუშაობენ რაღა, დადიან, ჰღვიძავთ, სძინამთ, იზმორებიან, თუმცა, სუესენი ხომ, სხვებსაცა აქვს, იმათ ნადირებს და ოთხფეხებს და, ფრინველებს, მწერებს, ცხოველებს, თუმცა ესენი, ადამიანები, ძალით კი არა, თავისით მუშაობენ... მაგრამ ჭიანჭველა და ფუტკარიც ხომ, ისინიც აკი თავისით არ მუშაობენ? ვა?... მაგრამ ჰო, ადამიანები, არა? ძირითადად, არა?.. ჰო, საბძელში და გომურში და საქათმეებში კი არა, ძირითადად დაგვილ შინა-სახლებში და ფუნდრუკებს არიან ხოლმე, და პირუტყვებისგან განსხვავებით, ეე... - უიჰო მართლა! - ესენი მართლა საუბრობენ, რაღას არ დასძენს იმათი ენა, ყოველს იტყვიან, ცოტა ჭკვიანური გინდა თუ სულელური გინდა თუ კიდევ უფრო სულელური, რაღას არ იტყვის იმათი პირ-ბაგე, უპიროს რატომ ეძახიან, აი ესეთი ზედმეტი თქმებიც, არი, და ეე, მართლა, წერა-კითხვა! - დასწერს კიდევაც უარესსა თუ არა, ტარკინულსულსაც, კი, მოკლედ, ეე, ვა?, რაღაც სიტყვა შემომელია, ჰო, აკი თამაშებს თამაშობენ, ლახტიო, ჯოხბურთაო, კაკლაობა, კენჭაობა, წკიპურტობანა, დანასობია, ქალაქობანა, მალულობია, ხაჩაობა, კატა-თაგვობანა, ქორობია, თოხობანა, ორმობურთი, ქუდის ტაციაობა, ბევრიღა, გვახსოვს?, რადგან ახლანდელ განვითარებულ თამაშობებს აღარ იკითხავთ? ჩვენდროინდელებს - ჭადრაკი, ზედაც ნარდი, ყომარი, პრეფერანსი, სეკა, განვითარებულად მოადვილოები დომინო, ლოტო, ფლირტი, მრგვალი ვირი... არა, ეს ძველია, თუმცა ახლაცაა, როგორ არა, კი, მაგრამ ვა?! - ცხოველებიც კი თამაშობენ, ოღონდ პატარაობაში... თუმცა, დიდობაშიც, კატა აბა როგორ არ თამაშობს თაგვობანას... ვა?... ჰომართლა, მღერა! ისეთებს

დავმჰღეეერთ, რო, ინტერნაციონალ-ჰიმნურ გიმნებსა, ერთი ეგ არი, სიტყვები კარგად ვერ გვამახსომდება, ხმოვნებზედა ვართ, - ეეე, ააა, იიი, უუუ, ბეეეე... მაგრამ ცხოველებიც ხომ, ბეეე, და ესჩიტებიც რო, ძალიან სტვენენ? აქებენ, ზოგიერთსაც... ვა?... ეე... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, ჩვენი-ღ რომ იყოს... ჰო, შეშას აპობენ, რაღა, ჰო, ჰორაღა, შეშას თანაც ბუხარში უკეთებენ, და კიდე... ვა?... ჰორაღა, ბუხართან თბებიან... ვაი!? - არ გავიბუხრეთ დასაწვავათ სუმთლად საქმე? ბუხარი კი არა, ორთქლურ-გათბობა გვენატრება კი არა, თუკი ოდესმე ვისმე გვქონდა, ისიც არ გვახსოვს, თანაც, ბუხართან კატაც და ძაღლიც კი გამთბარან თუკიღა მიუშვებდნენ, ეე?... ვა?, ნეტაგანა ადამიანებს სხვარამ არა გვაქ უკეთესი, და პირიქითაცხოველური? ჰო, მდინარეში ცურაობენ, ვცურავთ ყინულზეც, ამერიკებში, იბანენ ტანსა... თუმც აეგა, ცხოველებსაც კი შეუძლიათ, ცურვა და ბანა, და, კიდე,ეე, სძინამთ, ეე, ვიღვიძებთ კიდეც, ჰო, და კიდე... კიდე, ეე, ჰო, მერე ისევაც იძინებენ, ვიზმორებებით, ჰო, კი, მაგრამ ვა?, აკი ჯორებმაც და ტარკინებმაც იციან ძილი... ალბათ არნოლდმაც, იქნება სადმე... და... ეე... ეე! უიჰომართლა! ეს მაინც როგორ დამავიწყდა, მჭადის სახელი დამავიწყდაო გადატანითაც რომ იტყვიან ისე არ არი? თუმცა, ვეე, ჭადი კი არა იმოდონაა და, თანაც კი მძლეველ-დამპყრობელი, ყველაფერს მოიცავს რაცკი რამეა ამ ქვეყანაზე, და ისეთიცაა რომ, მჭადიცაა! ოღონდ ხელისგულზე კი არა, შიგ ტვინისგულზედ ამომცხვარი, თუმცაღა იმას აბა რომელი ტვინი და ჭკუა-გონება უნდა, თავისითაა, არამკითხე, დაუკითხავი, და ტიელია როო?!!, - სსუუ, არ გაგვიგოს და, შეგვვარდეს და შთაგვეჭრას, გულსა, ბევრგვარია რომ? - აი, ხომ არი ბუნებაში ქარი, გრიგალი, სიო, ქარბორბალა, მსხვილფანტელება თოვლი, თოვლ-ჭყაპი, რამე, ეე, ჰო, წვიმა, რამე, გვალვა და თქეში, ნისლი, ბურუსი, მზეჩახჩახობა, კუნაპეტობა, სეტყვა, ხოშკაკალობა, რამე, მაგრამ აისა? ისა? ისა, აიი, ვერაგია რომ, სხვა სივერაგე რაცკი რამ არი სულ გადასწონის, ყველაზე უფრო? - დარი არი და ავდარია, ყველაზე მეტად? - ჭაობი, ხრამი და მწვერვალია, და რაც კი ამ ტიელ ქვეყნად წამებებია, იმას სიცილად არ ეყოფა, და რაც კი რამ ყველა კაქტუსზე ერთად, ეკალია? - ამას ერთ რამ ვინმე ბეჩავში აქვს ჩასობილები, გულშიც, სულშიც და ლავიწის ძვალში, განურჩეველია, არადა, რამდენს შეჰპარვია სიბერესავით ნელინელ თუ აი ეგრევ დასტეხია თავს, სუყველა უნდა რომ, მონად ჰყავდეს, და ჰყვანს კიდევაც, განუკითხავია, რამდენი უზის ჩახჩახა ბნელში, რაგინდ სუქანი უნდა შეხვდეს რომ, იმან ღრუბლებში არ მოატაროს ანაცდა მაგრად არ აყვინთინოს ერთ-მარგალიტის მოსაძიებლად, წყალი არა აქვთ საიმისო თუ რა, - რაც იმისათვის ცრემლი დაღვრილა, მლაშე ზღვებს ერთად გადასწონის, ვერა ჰხვდებით არა, რასა ვგულისხმობ, და რაცა მააქვს გულში? რა და,

რა, და, -

ეს სიყვარული რაღა ჰყოფილა, ჰევ?

შენა, სიყვარულს რას გაუგებ, რისა აესა სულაც ახლახან ჩამოთვლილები ქარბორბალა და, ხოშკაკალა და, რამე, უფრო ყველაფერზე მეტი რეტია, აბა უფრო სწორად როგორღა გითხრათ, იმისი ახსნა ცოტათი ძნელია, ვთქვი მეც მე რაღა, ცოტათი-მეთქი, და ამიტომაც სულაც უბრალოთ გეტყვით, სხვანაირათ არ შემიძლიან... -

აი, გამოვლენ,არა?, აი ერთხელაც რომელიმე ეზოსგან თუ წისქვილისგან გამოვლენ ვთქვათ და ერთი რომელიმე მინამდე არხეინი ბიჭი და მეორე ეზოდან თუ კალოდან კი ერთიც მინამდე უფიქრველი გო, ერთი მეორის გინდაც უცნობნი და გინდაც ბალღობიდანვე ერთიმეორით გაბეზრებულებიც კი, და სხვა დროს რომ ისე-უბრალოთ აუვლ-ჩაუვლიდნენ ერთიმეორეს, არა? მინამდე, არა? - ხომ ხოსუარაფერი, რამდენი იმათ ერთმანეთისათვის გადაუსწრნიათ და ჩამოუტოვებიათ, იმათი მინამ უერთმანეთო ცხოვრება მაინც თავისი ხვეულა მაგრამ სწორგზებით წასულა მაინც, მაგრამაც, ერთხელააც, ეგრევ-უცებ, კაცო, ერთსა, მეორე, ისე ღრმად და დატაკებად გულში შუბისა სწორედ ზენარ გულისგულს ისე ძალიან შეჰვარდებათ, როომ? - აბა მე რა ვიცი, რატომ; აბა მე რავი, თუ რათა, შენა, სიყვარულს, რას გაუგებ, როგორ აგიხსნათ ძალიანაც რომ მოვინდომო, განა მე ვიცი იმისი ზესკნელ-ქვესკნელა ასავალ-დასავალი, მე მარტო ის ვიცი რომ, თანაც ნამდვილათ რომ, ეს სიყვარული რომ, ნარნარია რო? - როგორცრო, მეხი, იმასა შენი წლოვანება სულაც არ ენაღვლება და არაფერი, ხოლო წონითსა კატეგორიებზედ ხომ, სუზედმეტია ლაპარაკი, აი ვთქვათ, გოლიათურად აღნაგსა ვაჟსა, რკინებისმკვნეტელს, ერთი რაღაცა წვნიკი გოგოვ გულს ისე ნაზათ შთაეჭრება რომ, რა გამოაძრობს იმას იქიდან, - გულიდან წვნიკსა, ეს სიყვარული ისეთია რომ, თუნდაც დუნეთ-ცრუპოვეტ ფილხაზასა აღნაგიშვილსაც კი აი დღესაც კი, გულციობაში, თავისუფლადაც კი შეიძლება რომ გულს მოედოს რომელიმე დიდრონი ქალი ცოტანია თუ რა ოღონდ ზერელეთ, ანდაც პირიქით ბრგევინმე დიდრონ ქალსა, სუმცირე ვინმე ცეროდენული ადამიანურ-გოჯამამალი სულაც მთისაებრ ისე ყოველგან აესვეტება და ჩაეჯინ-აეკვიატება, ემ შემკრთალ ჩიკორა-კაცსა თუნდ გარაყანიძე იყოს ვთქვათ, გვარად, - ვაჰხ!?. და, საერთოდაც, დადიხარ? -

ფიქრობ, იმაზე ჰფიქრობ,

შენგულისავზე,

თუ წევხაარა და,

უფრო, კი, მთლა

გინდაც უცნობი გულს ჰშთავარდნილი,

ვა�ა?,

და სხვარამ საზრუნავი სულაც მიგვიწყნია, სხვა დანარჩენში - ფუქსავატი ხაარ, სამაგიეროდ იმ ნეტასაშენო იმ შენ ერთზე ჰფიქრობ გინდაც ძილსა თუ მხოლოდ იმისით გამუდმივებულ ოხრულა ცხადში, ისე კი, მაინცშრომისას, შენსა-იმაზედ მუდმივფიქრისას წერაქვის ქნევა ბევრად გიჯობს სხვაყველაფერ ხრიკს, ყოველ წერაქვ-დაქნევას ძალზედ წვეტიან ჯავრს ჩაატან და ცოტათი მაინც მოიცილებ იმ შენს ნეტარ ვარამს, თუმცა მაგრამ აბა რას ჩაატან და ჩააყოლებ, შეპყრობილი, ჰხაარ, ვა?, ესეც ზედმეტი ჩვენი ფორშლაგები?. ვაა?, - „ჰ-ხაარ“ო, ეს რა ჰც წამომცდა, მეტს აღარ ვიზამ, და მე თუ კიდევ მეზედმეტებოდა, აღარ მეგონა, შენ ჰხედამ, კაცო? გადმომდებია? ჰვა?, და მაგრამ მე რომ უფრო ვუკვირდები, აი კაცები საერთოთ ხომ უფრო დინჯნი და დალაგებულები უნდა იყვნენ ვიდრე გინდ რომელიმე გოგოა თუ ქაა, მაგრამ კაცები თვით ქალებზედაც კი უფრო ირევიან და მეტად სცდებიან ისედაც უკვალავ გზას, ხერხები აქვთ რომ, ვერცერთ არ ვარგა - ზოგი რომ წამდაუწუმრად „მიყვარხარ გოგოვ მიყვარხარ-მიყვარხარ ძლიერ მიყვარ-ხარო“-ს გაიძახის, მეორეები - ვითომდაც არაფერს იმჩნევენ, სერიოზულნებია, და თანაც ისე ამაყად უჭირამსთ თავი, გინდაც ჭრელი მამალი წყალიყლაპვისას, მაგრამ ორთავე ერთიანად - გამოსულელებულებია, იმა ვითომდაც დარბაისელს რამეს ჰკითხავ და ის პირიქით - „ჰა“ -ო?, „რააო“ -ო, სულაც აქეთკენ გადმოგეკითხება, და ზოგი რომ სულ არაფერზეც ისეთს ხმამაღალს იცინის რომ ლამის კი არა მართლაცდა ცეტი და ჩერჩეტი და ჩურჩუტი და რა ვიცი კიდევ რააღარ გეგონება, გვერდითა ზოგი პირიქითი კიდეე - სტირს; და ამის მიზეზი, მღელვარვარვარებისა, ალბათ ის არი, რომ,

რომ ძალიანაც ძნელი ის არი, რომ რატომღაც, ძირითადობით, არეულ-ვაჟმა უნდა აუხსნ-აუსხნას შეყვარება განზედ პირმიქცეულ მღელვარესავე, ქალს, და აბა ყურები დაუგდეთ, რა სისულელეებსაც, ამბობს:

შორით დაგფრენდა ნიავი,

გირხევდა დალალ-კავებსა,

წარბი-წამწამი ყორნისა

ჰხურავდა გიშრის თვალებსა,

ვაა?, ვა??, ხანდახან, თურმე, ლამაზებიც კი, უყვართ, და ჩაიდენენ, იზამენ მა რა, მორიგ ფორშლაგსა - ჰ, ხურამდაო, - ჰეჰ!.

და ისე ძალიანაც უყვართ, რომ ძალიანადაც, - მონდომებულებია,:

არ მოგეშვები, გენაცა,

სანამ არ მომკლავ, სანამდე,

ეგ შენი ფირუზის დანა

გულში რომ დამკრა ტარამდე,

ესა, როგორ იტყვიან? გადატანითი მნიშვნელობით, ჰო, და გინდაც ისედაც მაგრამ აბა რომელი ფირუზისდანატარამდე არა სჯობს ზოგიერთ ქალას უკმეხ პასუხს, და აბა ეს პასუხები აბა რა ლექსის რომელი საქმეა, ლექსად ვერ იტყვი ზოგიერთი ქალის ასეთ მთლად უშნოდ პირდაპირულსა და პირშიმთქმელურ მოურიდებლობას-ამას, რომ, ჯერ ხომ სწორედაც რომ განზედ იჭერს ვაჟის გულისა ძგერას, თუმც ძგერა კი არა, დაფდაფებია, და ზოგიერთულა გულყინელა ქალი, გინდაც ლამაზი იყოს, ის მერე რა რომ ლამაზია, ლამაზი მაინცდამაინც უკმეხი კი არ უნდა იყოს, ვუიი, ისეთ დაუნდობელ, ყოვლად ულექსობას პასუხობს რომ, ბეჩავს, აი ასე: გად-დაიკარგე აქედანაო, შენ დაგაყარე თავზედ მეხიო, მე შენ ცოლად არ წამოგყვე, იმდენი შენ არ აგიდგა გვერდებიო, ესა გვერდების არადგომა რაღა წყევლა და ნეტავი რაღა უბედურობად გამონაკლისია, ჰა?; მთავარი ცუდი კი ის არი, ერთი მეტრფე რომ ელეთ-მელეთებს და უარესობასაც არი, იმისა სატრფოობის კანდიდატურა (ქართულათა ჟღერს, - დიდკანა ტურა) სულაც რომ ან არაფერი და ანაც ვითომ არაფერი, არც თანაუგრძნობს და არც არაფერი და გამოხედვაშიაც კი არაფერსაც არ არი, გულქვაა-რაღა, მაგრამ, ამაზედაც კი კიდევ უარესი? - სუსხვა მიყვარსო, არადა, ის სხვა შესაძლოა რომ სუმთელი სოფლის ვაება იყოს, ზოგ ისეთაზეც იისრავენ გულებს ქალები?, გაგიკვირდება, თუნდ ის წითური მაინც თუ გახსოვთ, აბა იმისთვის ღირდა განა კეკელასი და მაროს - ეპოსი, მაგრამ იმ წითურს, ალბათ, თავისებური მუღამები აქვს, ნეტა მელექსეც ხოარიყო? მაგრამ ზოგ ალალ სულისა ბიჭსაც ისეთ-ისეთებს ეუბნებიან ზოგი ქალები, არც დაიჯერებთ თუ არ ჰყოფილხართ გაწიწმატებულათ უარყოფილი, მაგრამ ყოველთვის სუეგრე კი არ არი სიყვარულობის გრილი საქმე; ზოგნი დიდგულნი თუ შორს იჭერენ თავარეულის თრთოლვად სიტყვებს, მაგრამაც ხოლო ზოგიც კი გამოერევათ ხოლმე და, არცთუ იშვიათად კიარა და, ერთიც რომელიმე ადამიანური გოგო, ზედმეტათ კი არ იღერებს თავ-ყელსა, ასედაც ეტყვის:

აქედანა და შენამდე,

ვარდი მასხია ყელამდე,

და კარგია ესა, თუმც ფილხაზუა აღნაგიშვილის ალვანსა თუ ზესტაფონში თუშის ხმალივით გაფერილ რითმებს რითმობით ეს ვერ შეედრება, მაგრამ თვითონვე განსაჯეთ, აბა რასა ჰგვანს ესენი ასეთი უბრალო და ჩამორჩენილი „სადამდე-ტარამდე“ და „კავებსა-თვალებსა“ ან „ყელამდე-შენამდე“ და მაინც კარგია, ხოიცი, სულ რომ არაფერი, აბა ლექსის სულაც ვერ ამგები ტარკინის რომელიმე გარეგიძაშვილი შესძლებს-რო თუნდ ასეთ მცირეს რითმებსა ამასა-ამას? და აჰაც აბადა განა პირუტყვი ხომ სულაც ვერაფერს ნაღდად ხომ ვერ იტყვის თავისი ისედაც ზედმეტი ენით?.. თუმც, ვაი-ვაიმე, აკი პირუტყვებსაც ხომ აკი შესძლებიათ სიყვარული? ხომ გაგვიგია, რომ თურმე მერცხალი (კუდმაკრატელა შენ ეძახე და) ისევ მერცხლისთვის თავსაც კი, ისე იკლავს, გინდაც ადამიანი თანამდებობის ან უძრავი ქონების გულისთვის, ისე ძალიან ნერვიანობს, და უხსენებელი რომ არსახსენებელია, იმათაც კი სცოდნიათ მეწყვილის გამო ჯავრის ამოყრა და თავისი საყვარელი უხსენებლის თავის გაჭეჭყვით გამამწარებელ ადამიანს, სად აღარ

მისდევენ თურმე, არაფერს ერიდებიან და ხალხშიც კი გადიან ანუ ადვილად შესაძლო სიკვდილს სიკვდილითვე, კი, უსაფრდებიან, მაინც, და თურმე ლომებიც, მგლები, კურდღლები, პინგვინები და სვავები და აფთრებიც კი, ოჯახად ცხოვრობენ, ერთი ეს ჩვენი მშინაურებულ-შეშინაურებულებია რომ, არად დაგიდევენ მოკლე-მოკლეთ და უთავგადასავლოდ და ხამუშ-ხამუშ შეწყვილებულის, სიკვდილს კი არა, ვთქვათ არ ესმით, არამედ სიმწრით ყმუილსაც კი და როდის იყო, დაკლული ქათამი სხვა ქათამს გლოვით რომ მოეკითხა, ანაცდა ერთ ძაღლს კომბალნადრუზი მეორე ძაღლი, იმათთვის ალბათ მთავარია, რომ თითონა ჰქონდეს საჭმელ-სასმელი და, სხვა რამდენ რამს, ამაყპრანჭულად გამოვთქვათ და დამამცირებელს, შეგუებულები არიან, ვგევართ ერთმანეთს ჩვენა, ბუნების მეფეები და ისინი, არა?, ვინძლო ფუჭითაც, შრომით, მაგრამ გუთანში რომ ხარ-კამეჩი აბია, ის მაინც სხვაა, მიწისათვისაა, ის, და ძაღლებივით და ღორებივით ბევრგვარ საკვებს არ ესევიან, ბალახითღა არიან, და რამდენად მეტად ღონივრები, უცნაურია, არა? ახლა სპილოს და ბეჰემოთს და მარტორქას აღარ იკითხავ? - ტურებზე მეტად ხომ ძლიერებია, ჭამოს აიმან, ტურაკ-ტურიკომ რაგინდა ხორცი, ცოტათი აქაც გადავუხვიეთ, რა უნდა ამას, ხორც-ბალახბულახს სიყვარულთან მაგრამ აკი ხომ თუმც სიყვარულიც ხომაა ასეთი, გადამხვევადი, რაღა, თუმც ჭამაყლაპა აბა რომელი სიყვარულია, და მაგრამ რაღაც უშნოთი მაინც არი, და, ეე... რაღაცას ვამბობდი... ჰო - ალბათ ცხოველებმაც იციან სიყვარულის თუ რაღაც იმათებურია იმისი ძალა და ამიტომ იმისი ახსნაც ქვია თუ ნეტა იმათში რომელი არი ან რა ტერმინი არი, მაგრამ, ჩვენ ჩვენსას ვერ მივმხვდარვართ და, ცხოველებისას დავეძებთ, ადამიანო? მოკლეთ, სიტყვიერულიც, სიყვარული, ენობრივი რაღა, გვააქ, -

მოხევის ქალო თინაო,

რა ღმერთმა გაგაჩინაო...

ნეტაი ერთსა ღამესა

შენთან მქონიყო ბინაო,

ჩემი ნაბადი დაგვხურა,

შენს მკლავზე დამაძინაო,

მაგრამ ეს აბა რა სიყვარულია, ერთიღამობით იმისა მკლავზე დაძინებობის, ნატვრა, და სხვა თუ არაფერი, ძალიანაც თუ გიყვარს, აბა რომელი ვაჟკაცობაა რომ შენ არხეინათ უნდა იძინო და, იმას კიდე, მკლავი დაუბუჟდეს?

არა,

ეს არ ვარგა, საქმის ასეთი გადაჭრა, და მგონი არც ესა:

თვალი მიჭირავს შენზედა,

როგორც მიმინოს მწყერზედა,

ნეტავი შემატყობინა

შენ რა გული გაქვს ჩემზედა?

იგი დღე რა დღე იქნება

რო გეხვეოდე ყელზედა,

არა, მე მხოლოთ პლატონური სიყვარულის მომხრე კი არა ვარ, სულ რომ დაუღლივ ნეტაი-ხვევნებს და კოცნებ და მკლავზედ ძინებებს რო გაიძახი, ამის გაფიქრებას აბა ვინ დაგიშლის მაგრამ ხმამაღლა ცოტათიც სხვარამც დაიძახე, ვა?, გაგონილა, სულ რომ

შენთანამც ყოფნით გამაძღო,

შენთანამც წოლა-ძილითა, - ო,ო, -

ვა?, თუკიღა ძილი ასე გინდა, აგერ რამდენი ჩეროა და გრილობი და დღითაც იძინე რამდენიც გენებოს თანაც თივებზე, მაგრამ ვა?, ეს ვითომდაც რომ გულის ქალი ჯერ საღლელად და მერე ბალიშად და სულაც მუთაქათ არ სნდომებია?

მაგრამ, ზოგიც არის რომ, ვაჟად ვაჟი, შეგნებული რომ, ეე, მართლაცდა ამაღლებულად აღიქვამს ამამაღლებელს ქალსა და, ეე... ჰო, პატივისმცემლურია, რაღა:

ქალად ქალი ხარ ქაღალდი,

ჯერ კალამ-მოუსობელი,

უხვი მიწა ხარ, სახნავად

ჯერ სახნის მოუდებელი,

მიწა ხარ ყანა ყამირი

ჯერ კორდი გაუტეხელი,

სიყვარული მაქვს მე შენი

ანგარიშ მიუწვდენელი,

და თუმცა ქალებ დიდ პატივსა ვცეემთ გინდაც რამდენსაც იწონიდეს, ამის გაგონებაზეც, ქალისაგან დიდად ამებამოგვრილი დიდი სიხარულ-შეხტუნვები მაინც არა ხამს, კარგი იქნება რომ დიდი-დიდი, წამწმები დახაროს, მაგრამ, ეს რა ხალხი და იმათიც ქალებია, გამოერევათ ისეთიც რომ, ასეთიცა, რომ, ვაჟს, კაცო, ქალი პირიქით იქით ეუბნება საჟრუანტელოს, ვა?, ქალებიცრო ლექსაობენ, - ვი?? - ეს სიყვარული რა ჰყოფილა? და წესით ხო ჭკვიდამ გადამდგარისას უნდა ჰგავდეს ხომ, ხმამაღალურად შეყვარებული ქალისა სიტყვა, მაგრამ კარგია:

ვერცხლისამც თასად მაქცია,

რო ღვინით აგევსებოდი,

დაფერილი მქნა წითლადა,

შემსვამდი, შაგერგებოდი,

ვა?, ეს როგორი გადატანითი მნიშვნელობისაც ჰყოფილა ბიჭო აი ეს ქალი? და მეტი ვითომ რაღა უნდა თქვას, მაგრამ, ბიჭო-ბიჭო, თანრო, აგრძელებს?:

ან შენი ნამგლის ყანა მქნა,

რო ფხაზე შეგეჭრებოდი,

ბარეღამ, მოდი და მისდექ და დანასობიაც ითამაშე, თუმც სიყვარულთან, აბა რომელი დანასობია, მივა,

ანა მქნა ვარდი-ყოილი,

რო გულზე დაგეყრებოდი,

ვა?, მოჰკლამს კიდეც? აბა როდის იყო, ცოცხალსრო გულზე და ზედ ცხვირ-პირზე ვარდურ-ყოილებს რომ აყრიდნენ, და თანაც ვააჟს... ამაზედ მეტი მონდომება და, გულახდილობა? მოსურვილობით, თაან? თქვენი არ ვიცი და, ქალისგან ასე ხმამაღლივი იერიშები ოღონდ ლამაზი, მე არ გამიგია, მაგრამ კიდევ უსმინეთ, მოუსმინეთ, თქვენ გგონიათ რომ უკვე დასჩუმდა? არა, კაცოო, აბა ნახეთდა, სადამდის მიდის? -

ან ვიყო მოვის პერანგი

რო გულზე დაგადნებოდი,

ვე?! ზედმეტებიც არ შეიძლება, როგორ თუ გულზე დაადნებოდი, დაადნებოდი-რა, ანთებული-რამ სანთელი ხარ? ანდაც, ყინელი?.. ჰა?.. ხმა გაგვე, ქალო... თუმცა, იყავი ჩუმათ, თუმც, ალბათ, სანთელია, აბა სხვა რა არი, ამეებისა, მთქმელი, და ჩაუქრობელიც იმიტომ რომ, დღესაც, ხომ, გვესმის, და, ხოლო, კუმფეხიგამოჰყომეცნახირ-ნახირო და, ლექსის მოვლენა-თავზედდამცემის სიანცე ხომ აკი ისეთია, არავისაც და არაფერსაც სუარ დაგიდევთ, აბა უყურეთ ერთიც გოგო თუ რასაც ამბობს, რომელი ერთი გოგო და, სწორედ ეფემია-კოჭლი, თავშეკავება აკი მეტად ჰმართებს, თანაც აბა სად გაგვიგია რომ კოჭლი თავისუფალიაო, ანდაც, - მიუშვი ნებასაო, მაგრამ აიმას ერთი მელექსე-ბიჭი გულს და სულს და ტვინს იმდენად შთაჰვარდნია რომ, მთლად ასწეწია გულ-სულ-ტვინი და, ასდევნებია და, ასე ეუბნება:

სიკოჭლეზე რათა მწუნობ,

განა კურდღელს მადევნებო,

და აი ესა სადმე მიფარებულებებში კი არა ხდება, არაა, კაცო, ემ თამამობებს იმ დღისით-მზისით სად იძახის და,

სამგორისა მინდორზედა

თეთრი ცხენი მიგოგავდა,

ზედ ბიჭი იჯდა მოლექსი,

შავარდენს თუ ქორსა ჰგავდა,

არა, კი, კიკარგი ბიჭი სჩაანს, მაგრამ, რაც გინდა შავარდენს თუ ზედაც ქორს ჰგვანდეს განა მაინც ასე უნდა დაჰკარგო კანტროლი? –

უკან მისდევს კოჭლი გოგო,

მისტიროდა და მოთქვამდა,

დაა, სწორედ აქა და აქედანაა, როომ, -

სიკოჭლეზე რათა მწუნობ,

განა კურდღელს მადევნებო,

მაგრამ მელექსე, ის მოხდენილი ბიჭი, მაინც არ გაუჯვარდებოდა და არც დასტუქსამდა, რადგან მოლექსე აბა რიღასი გინდაც გოროზი პოეტი იქნება თუ გულისგულში ბოლო-ბოლო მაინც როგორღაც გულჩვილი და სულჯიგარაზიზი არ იქნება, და, ვერა ჰკიცხამს, ისა კი, ეფემია, კოჭლი, იმის დაბნეულობაზედ იმედებს მოიცემს, და ვითომდაც თავიქუდში, ეე, თავიმანდილში ჰქონდეს, ისე ჰპირდება:

შვილებსაც კარგად დაგიზრდი,

ერთს არ დაგიზიანებო,

ვაჰ, ეს სადამდე მიიყვანა ჰხედამთ თავისი ქალური ანგარიშით საქმე? - უკვე შვილების დაზრდებშია; მაგრამ იმანაც, ამ ეფემიამ, რა ქნას, იმან რა ქნას რომ ძლიერძნელია რა და,ეე,ჰუჰ,რაეს და,რა და, სიყვარული.

მაგრამაც, აბა ერთი, ამ მოლექსესაც, ჰკითხეთ? ამას ისედაც სუსხვარამ გოგუები, უბრალოთ ვთქვათ და, ეპიტნავებოდა, - ემ პიტნას რაღა უნდა სიყვარულებში მაგრამ სიყვარული ხომ აკი ისეთი რამაა და რამეც არის რომ, პიტნა კი არა, ეკლადაც კი, ხარობს, და სხვარამ გოგოები რომ ეპიტნავებოდა აკი ხომ იმიტომაც, აბა ტყუილად კი არ სთხზავდა-აცხობდა იმოდენ ლექსთა, თანაც ახლაკი აეს ბიჭი სულ სხვაზეშია შეყვარებული, ეგებაც გახსოვთც, აი კოშკში რომ მიუწვდენელი მაღლივთი ქალი სანთელს რომ ანთებს და თავის თმისაგან არი ბნელი, აი სწორედ ისა, ის უყვარს, და ამ ეფემიას კიემალება რაც და როგორც კი შეუძლიან, მაგრამ აბა მელექსი ნეტა რიღასი მოლექსეა თუსოფლად უქმადაც კი თუ არ გაიარ-გამოიარა, აბა თვალს სიტყვის მასალა თუარ დაალევინა, აბა ისე ის როგორღა დასწერს სახალხურ ლექსსა, არადა, გარეთ თუ გამობედავს და, მაშინვე იმისაკენ გამოეშურება აბეზარი და თავისებურად საცოდავი ეს, ეფემია, კოჭლიც, და კიდევ, შეყვარებული, და მაგრამ თანაც ისე დადის, მარტო იმისი შეხედვაც კი, ცოდო-

ბრალია, რომელი ფეხითაც რომ მოიკოჭლებს, იქითა მხარეს ცალყურით ჰაერს ის გვერდულად არასწორათ უნისკარტებს, და რომ აიღებს და გამალებული რომ ასე წავა და წავა და წავა და მივა იმ ბიჭთან, და ის რომ ფიქრით სულაც სხვა ქალის ეშხით ზე-რამ სიტყვების ძებნ-ძებნებშია, ასე არ უთხრამს?: -

საფეიქროს ჩავუჯდები,

მაქოს გავუძლიერებო,

კაცო, რა მაქო, რის მაქო კაცოო, თანაც განძლიერებული, მაქო?, ან ოჯახური საფეიქროები?, და რაღა იმ ბიჭის დარდი და საქმე და ცხელი გულია, იმას აკი თავისი საქსოვები აქვს? - სულ სიტყვის თოკებ-ჯაჭვებებია, მაგრამ ეფემიათი სულ შახტომითსა უგუნებობას იმით ჰფარამს რომ, თავის-ყელ-ყურის ტკივილს სადად მოიმიზეზებს, აკი გითხარით, გულაზიზია, აბა ხომ ის არ მიახლის ეფემიავ გად-დაიკარგე წადი რა, შენი საქმე ნახეო, და ხოლო თვითონ სულაც შინ მიდის, და იქავკი ვითომ უბრალოთ, ვითომც ზურგზე ან სულაც მხარ-თეძოზედ გინდაც არხეინად წამოწვება მაგრამ, იმის გულს აქეთ ბრაზის და იქით - სიყვარულის ჭრელი ცეცხლია? - მერე, მაინცრო, შებრალება, გადმოსწონის და აქეთ დაიწონის და, - ამ ბეჩავმა, ეფემიამა, ამ, ამ, ემ ჩემდაჭირად ნეტავი რაღა ეს მეოხერი გამომირჩიაო, ნაღვლიანი, სწექს, ისევე ოთხკედელშუაა, ისედაც, და კიდევ ქვეით სოხანე და ჭერიც ხომ - ზეით, გამოკეტილობაშია რაღა, ესა სიტყვების ანცი-რამ ბიჭი, არადა, სოფლის ქებული შუაგულიდან ბუზიკა მოესმის, იქ შეგროვილან მისი ტოლები, ცეკვავენ, მღერიან, თამაშობებს დასთამაშობენ, გაუწევს იმასაც, ჯეილს, იქითკენ, გული, აბა პოეტი და სოფლის გამორჩეული ტყუილად არი?, განა კი ესა, სოფლის ჩინი, დასამალია?, და, ჩადგება ისიც ხალხსა და ჯამაათში, ჰხარობს, გულის ლხინს არი, და ის-ის არი საცეკვაოდ უნდა გადახტეს, მაგრამ, აბა ხვედრს, თანაც მძაფრულ სიყვარულიანს, შენ აბა როგორ დაემალები, და, მერამდენედ ეს ერთიც ვნახოთ და, აბაა, ერთდა-ორ, ერთდა-ორ, ისევაც ყურით ინისკარტება, ერთდაოოორ, და ჰა, ისევ არ ეუბნევიან?:

ჩოხა-მერდინებს მოგიქსოვ,

ფულებს ჩაგიჩხრიალებო,

აბამენ, აი... თავიანთ ჭკუით, სთოკამენ რაღა, მაგრამ ჯერ ერთი რომ ფულებს აბა რა თავში იხლის თუკი თავის თმისაგან ბნელი ქალი მიუწვდომლადაც თუკი არ ეყოლა და, მეორეც ის რომ, აბა რა კაცის საქმე და ჩასაცმელია ნაზი მერდინი? ეგებ, პოეტია როა, ამიტომაც უფიანდაზებს, მაგრამ შენა რა იცი, პოეტია თუ რა პოეტს აბადა თუ რა და როგორიც უნდა ჩოხა თუ ხელჯოხათ ტროსტი, ხოლო დაბლაფეხთ - პედიკიური, ესა საკითხი? - კიდევაც საკითხავია, ეს ზოგიერთისთვის, თორემ ამას, ჩვენსას, გლეხისბიჭს, სიტყვების ბიჭსა, ამას კოშკისა ქალი უყვარს, კი, და აბა რაღა დარჩენია სხვა, კი, მაგრამ ეს ბრალი-ეფემიაც რომ ცოდო-არი?. ცოდო არი, კი, ცოტათი მაინც, კიი, რადგან აღარც კი იცის რომელი ერთი მიმზიდველობა მაიგონოს აი ისეთი რამ და რუმ რომ, როგორმე თავის ბეჩავ თავისაკენ დაითრიოს სათავისო გულისბიჭი; აჰაც:

ახალოხს კარგა დაგირეცხ,

ღილებს დაგიწკრიალებო,

პურსაც მალე გამოგიცხობ,

ჯერს არ დაგიგვიანებო.

და თუმცა პური ხომ თავისთავად კი, კარგი რამ კი არადა, ხომ უფრო მეტიც - აუცილებელია, მაგრამ ამ-ამ ბიჭს, აღარაფერი უნდა, არც პური და ხორჭოვილოსაც კი აღარ დააკარებს პირს ოღონდაც თავი გაანებონ, ნეტა ხორჭოვილო რაღა არი? თურმე, „ხორჭოვილო - მოხარშული რომ შესწვა“ არი, აეს რეები აღარ სცოდნია თუმცა თავადს, და ბერს, და მაინც სუპირველობით სულ თავიდათავი აი ამათსას, მოხუც საბას, ამ ჯეილსაა კი, ასე განსაჯეთ ამ ერთ-საღამოთი ლექსიც არ უნდა და არც არაფერი და მითუმეტეს რომ არც ტარკინი - ხო გესმის, ვითომც კაც-ტარკინივ, შე ცალცოლავ და ორთავ კიდეე - დუმაებძაღლო, ოღონდ თავისთვის ამყოფონ აეს ბიჭი და, მაგრამ ისა კი, ვაებად-ეფემია, მოეშვება-ღა? და, მიწისკეე-პოეტს სულ სირბილით დასდევნებია, ფეხმტკივანია და, ადგილზედ სდგას, ოღონდაც, ცრემლებს იყლაპება, თავშიც - განცდა აქვს? - მოქვითინე, სახეზედ - ნამეწყრალი, გულზე გარედან მჯიღები მიუკრავს და გულის შიგნით კი თურა ხდება? - ერთი მხოლოდ იმან, ეფემიამღა, თუკი იცის, აკოჭლებაზეც კი, რამდენად მეტად, შეყვარებულმა,

შენა, სიყვარულს რას გაუგებ, ასეთიცაა, ასეთიც კია აი, და მაგრამ თანაც მაინც-რო ნარნარია-მეთქი ისე როო? - როგორცრო, შენი, და მაგრამ აი ესაც კი, ეფემიაც კი, აბა რომელი დაიჯერებთ და მაინც როგორღაც უცნაურად ბედნიერია იმიტომ რომ რო, რაღაცა რო არი მას დატეხილი?, როგორიც გინდა მტანჯავი იყოს?, ცრემლი ადინოს თუ თამამ ფიქრში გააღიმილოს და რომ მიიხედ-მოიხედავს და შეჰფხიზლდება და ისევ ცრემლები დასდინდება?. უბედურია თუ რაღაცა არი მაინც სავსეა, რახან რადგანაც - შეძრულია, ვეე?, და მერე როგორ, და გრძნობები რომ გინდაც რომ რაგინდაც მწარედ წამოეშალოს, არხეინობას, უსიყვარულობას, უგინდაცბალღამ-უგანცდოდ ყოფნას ეს რამდენად სჯობს, - გინდ ამდენი ვაებვუებით და მაინც, შეძვრა, რადგან, სხვა თუ არაფერი, თუნდ ასე მწარედ და მაინც - სავსებით სცოცხლობს, და აკი გითხარით რომ ესა სიყვარული, ამა თუ იმ ნამეხარ ადგილას, ანუ უადგილო თავსზედ, სულაც არაა შორიდან რომ სჩანს ისეთი ცუდი, და ეს მოლექსე-ბიჭიც ხომ, რაგინდ სიტყვებთან მსუბუქ-კინკლავით მოძიძგილე თუ სერიონზნულათ შაბმულიც იყოს, მით უმეტეს რომ სულაც არაა შესაბრალი რადგანაც ისეთი საქმე გასჩენია და საფიქრალი თუნდა ძალიანაც დასამალი, რომ მაინც აღმოჰხეთქს ამის ნაპოვნი სიტყვებით და სხვათა შორის ისიც კარგა სასარგებლოა მაინც, რომ, ეფემიას ეს გულახდილ-თქმულობა და ნაღდ-საქციელი და იმათი ერთიც უცნაური გასეირნებასავით რამ, მაინც რაღაც რაღაცის მომტანია, მაინც, და სხვის მხრივადაც კიდევ სახეირო, რადგან იმათი ჯერ მხოლოდ დამნახავი და შემაცქერალი მერე, სხვაც მოლექსე-რამ, ჩასაფრებულად ბიჭ-ლექსაური, ერთსაც რამესაც, იმათი წყალობით, ჩვემდეც მოზიდავს:

სამგორისა მინდორზედა

თეთრი ცხენი მიგოგავდა,

ზედ ბიჭი იჯდა.....

და ასე შემდეგ, და ასე შემდგომ, რამ-ამდაგვარი, და ეს ქართველები, ასეთითაც კი, ცალმხრივი სიყვარულით, რაც გინდა იყოს და რამდენიც გინდათ სთქვით და ამ ერთი ლექსით ხომ მაინც ხომ ერთით კიდევაც მეტნი ვაართა, ლექსაობაში, თუმც პოეზია, უამკოჭლიან უამლექსოდაც, - გვააქ. და ხოლო გინდაც ამ ერთით, უფროდაც მეტად ერთითმეტი - გვა�ა-ქვს, ესაც საქმეა, თავისის ბნელი, ულამაზესი, მიუწვდომელა-ქალიანა, ხოლო, ყველაზე, მაინც, ლამაზი, და მაინც სულსუ-ყველაზედ ამაღლებული, ის მერე რა რომ სხვები უფრო ახალგაზრდა და მოხდენილია, მაგრამ ადამიანებიდან თუკივინ რომელიმე ყველაზედ მეტად ლამაზია ამ ბრუნდე ქვეყანაზედ, ეს, ერთადერთი, ცალი ვაჟის ქვრივი დედა არი, და იმას ის მისი ერთა-კენტი, როგორ თავისი, შვილი, ყველაზე დიდის სიყვარულით, დედურით, უყვარს, და მართლა იმისით უდგას სულიო მხოლოდ სიტყვით რომ ასე იტყვიან კი არა, არამედ მართლა; ტვირთი არ არის ქვეყნად, შვილისთვის იმისმა დალეულმა მხრებმა რომ არ გაუძლონ და ზიდონ კიდევაც, რაა ისეთი, ის, რომ, გატეხოს, გარდა ერთისა... რაა ესა და, შვილია ისევ, რომელი ერთი ესაა და, დაუნდობელი, განუკითხავი მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენი გონით, ადამიანებისათვის, რაღა, -

შვილის თავს,

ბედისწერა,

და წინასწარაც აჩვენებთ, თავს:

წუხელი სიზმარი ვნახე,

ნეტავ, დედავ, რაო!

ისე კი, ნუ გგონიათ, რომ, ჩვენი ლექსები რაგინდ ძალიან გაგვიგრძელდეს, რომ გაგრძელებულია, რადგან ეს - სამშობლოსია, და თავადაც კი, სამშობლოა, ხოლო სამშობლოკიდე - არ შეიძლება, და ვერც მიაღწევ რაგინდ მოინდომო, გაგრძელებული და გაწელილი, იყოს, რადგან, გინდაც პატარა, ისეთი ვრცელი, და დიადია რომ იმისი მეტად გადიდება ვერ შეიძლება, რაგინდ ტბა იყოს, თუნდაც გუბე, ოკეანეა, და, ტევადია, როგორ, და იქ კი, ერთგან, ასეც საზარელს, იკითხავენ:

- ალვის ხე რომ წამოიქცა,

ნეტავ, დედავ, რაო?

ხოლო ამ დედის, ჩვენი, სუყველასი, მართლაცდა დედის წარმოდგენა? მე თქვენთვის ეს ვერ შემიძლია, ჩემით ძლივს ვარჩევ რადგან ვარიდებ, ზარდაცემულ თვალს, მხოლოდღა ამოგმინვული კენესაღა მომესმის; მაგრამ როგორი: -

შვილო, შენი ტანი არის

ვა?, შენს დედასაო!

დედაა, ლაღი ცანგალასი, ხელისგულებში ფრჩხილები შესობია, მაგრამ იმ წვეთურა სისხლს ვიღა დაეძებს გინდაცდა გრძნობდეს, შვილი დგას მის წინ, სადღაც შორეთში მოუბრუნებლად წასასვლელი, და მის შვილს ახლა ცანგალა კი არა, ცანგალა აღარ ჰქვია, და ყოვლისმომცველად, ტევადად როგორ, არამედ ქვია მხოლოდ - შვილი, და სწორედ იგი, შვილი, ეკითხება:

იმას ტოტები ემტვრევა,

ნეტავ, დედავ, რაო?

- შვილო, შენი მკლავებია

ვა?, შენს დედასაო!,

ეს ვეღარაა ის კოხტა ბიჭი, ცეკვისას რომ სულ ფეხის ფრჩხილებზე დგებოდა, ახლა სახეზე ჩრდილი ადგას, თვალებზე უხილავი რამ ლიბრი გადაჰკვრია, და ვეღარაფერს ამჩნევს ირგვლივ, დედათავისსაც, კი, მაგრამ ვის დაეკითხება თუ არა დედას, და ასე ამბობს იმ ახლაც გაუნელებელი, მძიმედ ჩამოწოლილი სიზმრისას, და რაღაც სიყვარულისდა მსგავსი შეძვრა, დაუფლებია, სიყვარულია აბა მა სხვა რა, ეს, რადგანაც გრძნობს რომ ამ სოფელს, თავის სოფელს უნდა გაშორდეს და რომ ენანება ესა, სიყვარულია და, და მაინც ნუთუ ყოველი, სიზმრად ნანახი სუყველაფერი, თვითონ ისაა?:

- ვაზს რომ ფოთლები სცვიოდა.

ნეტავ, დედვ, რაო?

- შვილო, შენი ქოჩორია

ვა?, შენს დედასაო!,

რა, ეს რა ესმის, რაღადროს იმისი ქოჩრისცვენაა, ადრეა ჯერა, ძალიანაც ახალგაზრდაა, და შიშს იმასთან უწინაც აბა რა უნდოდა და, და არც ახლაღა ეშინია, მაგრამ რაღაცა კარსმომდგარი შეუცნობელის, და ასე ბილწად შემოჟღენთილის თუ სულაც როგორღაც ამამაღლებელის უცხო ახლობლობით, ყინვა გადაჰკრავს, გაფითრებულა:

- ლურჯი წყალი მოდიოდა.

ნეტავ, დედავ, რაო?

- ის ხომ შენთვის ცრემლი არის

ვა?, შენს დედასაო!

და კიდევ იქით, სხვა სოფლებში, გინდ სხვებიც ბევრი ჰყავდეს დედმამიშვილები, შვილი - შვილია, ხოლო ესა კიდევ, მოულოდნელად ასეთი გაძვირფასებული, რადგან სასიკვდილო, ახლა ჯერ კიდევ, ცარიელაღა, სიცოცხლეა, სიცოცხლე არი

და დედის სულთქმა და ნეტარება, იგი კი, შვილი, უკვე თოფიარაღში ჩამჯდარი, შემართული და უშიშარი და, უილაჯო, ისიც, ვის ჰკითხავს ამას, დედაზე მეტს, და ისევ მას, დედას, ისიც ეკითხება:

- თან კიდობანი მოჰქონდა,

ნეტავ, დედავ, რაო?

და, ლოყებს მაინც არ ჩამოიხოკავს, შვილზე ზრუნვამ ხომ იმდენი ასწავლა წელში გამართვა და ყველაფრის ატანა და, ახლაც, სხვა დროზე მეტად გამართული, სდგას, თითებიც მაგრად დასჭიმვია და მუქ კაბაზე შვილსმორჩენილი სისხლით მიუწებნია ჩამოშვებული ხელისგულები,და სისხლი არცკი ემჩნევა იმის თალხ კაბას, და სახეჩამოხოკილი კი არა, არა - მაგრამ როგორი ხმით, ჩამოხოკილი ხმით, პასუხობს:

- შვილო, შენი კუბო არის

ვა?, შენს დედასაო!

და კიდევ სხვაგან, სულ სხვა სოფელში, მაგრამ ამათსავით სიკვდილით წინწინ დაღდასმულები, თავისი შვილი თავისსა დედას რომ ეკითხება, -

ერთი ფლატე ჩამოინგრა,

ნეტავ, დედავ, რაო?

ხმები აქვთ, დედებს, გამწარებისას, თუნდ სხვადასხვაგვარი და, მაინც ერთი, -

შვილო, შენი სამარეა

ვა?, შენს დედასაო!,

და ერთსაც ისეთს ჰკითხავს, ეგებ გადარჩეს, არ უნდა შორეთში რაც გინდა ხანდახან აქებდნენ, მაინც აქ, წვალებასა და მღერა-თამაშში, ურჩევნია, და, ეგებ - გადამრჩენს, რომ გაიხსენებს, ისიც იქავე ახსენდება რომ თონეში აკი პური ცხვება და, პური ხომ, დამპურებელი, და გამზრდელია, ხომ, და, ცოტაიმედით, ეკითხება:

- თონე ხურს და ალი ბრუნავს,

ნეტავ, დედავ, რაო?

ვერა, ვერ ეტყვის ერთადერთ და თუ გინდაც ერთ-ერთ შვილს, დედა, ტყუილს, რაგინდ იმედით ეკითხებოდეს,:

- შვილო, შენი გვამი არის

ვა?, შენს დედასაო!

შეძრწუნებულან? - არა, ეს რაღაც სხვაა, დაბალი სიტყვაა, - და მაინც, იმ ჩამოღრუბლულ სიკვდილმაცნეში, მათშუა რომ ისე თვალნათლივ,

თვალდამნისლველად რომ ჩამოწოლილა, როგორღაც მზერას აქღა ატარებენ და, აესე, შემყურეები, დგანან, და, სიზმრის ერთისას უკვე თავისით მიმხვდარი შვილი, ეკითხება.:

- ეზოში რომ ძროხა ბღავის,

ნეტავ, დედავ, რაო?

და აქკი პირქვე ღონივრად ეცემა დედა, პირველი ქალი, მიწას შუბლს ურტყამს, და მთელი სახითაც თავისი რაგვარ მიწა-აღმზრდელს, ღია თვალებითაც კი, ესრა სიმწრით, ეხახუნება უკიდეგანოდ აღზევებული ოღონდ ვაებით, ქალი, მიწას ფხოჭნის და ბალახსა გლეჯს, ვეღარაფერი ესმის, ვერცა ხედავს, როგორ მომსწრაფვი ურჩხულისა თუ, კაზმულის, გარდა, აღსასრულისა თუ ზეობის, სიკვდილისა თუ უფროსიცოცხლის, მეტს,

მაგრამ შვილი რომ გაუმეორებს,

- ეზოში რომ ძროხა ბღავის,

ნეტავ, დედავ, რაო?

თავს მაღლა ასწევს, კვლავაც გართხმული, შეაცქერდება, მიწიანი, და ნეტა სად ედგა ეს ასე ღონივრად დამზრზენი ხმა ისეთი რომ, იქავ-ხეებსაც კი კანს უხეთქს და, მიაბღავლებს რომ? -

- შვილოო, დედაშენი არის

ვა?, შენს დედასაო!!,

და უცებ, შვილისგანაც კი, განზე და მაღლა მიექცევა თავი, საითკენაც რომ, შორი მთა ცხადად, აშკარად ბოლავს, ეს - სამშობლოა, სამშობლოზეა, მრავალებთაგან ერთ-ერთი მტერი შემოსეულა და, ის მერე რა თუ, გინდაც სიკვდილი, სუყველას მოუხმობს სამშობლოს კვამლი, დედა სახეზე როგორღაც შესძლებს და წყნარად ჩამოისვამს ხელს, ცრემლიან მიწას გამზრდელი მაჯით იცილებს, ეტყვის:

- წადი.

თუმცა, თქმა რაღად უნდა, რაღა თქმა უნდა, ისეც წამსვლელია, მიდის, და სხვა სოფელშიც, სხვა და მაინც ერთიღა დედა, თავისზე რამდენად გაცილებით სუსტ ქვითკირის კედელს ახლა მაინც ზურგით რომ ეყრდნობოდა - წაქცეულიყო, არ - და თუმც იმანაც სიზმრისაგან იცის შვილს რაც მოელის, სამშობლოს კვამლის დანახვაზე სხვა აბა რომელი საყრდენი და გასამართიც კი, უნდა, და კედელს, მიყრდნობილი ზურგისავე ბიძგით სცილდება და იმართება და, იტყვის:

- წადი.

და აბა იმასაც რაღად უნდა თქმა, და თავ-თავიანთი სოფლებიდან ჯერ არც იციან ვისთან ბრძოლისთვის და, რომელ ერთ მტერთან საომრად მიდიან და, ისე-უბრალოდ კი არ მიდიან, რომ დაიმღერიან კიდევაც, ჰა? რასა და, მხედრულს, აბა

სხვას რა, ხოლო სიმღერა - ყოველგან ვიცით და იქ აბა რა უნდა მაგრამ ვინმე პაკისტანელმა მარკო პოლომ რომ დაინახოს აიესენი, მექორწილეები ეგონება, ესა კი, ჩვენი, ადრე როგორი ბიჭი-ცანგალა, თავისი სოფლის ყმაწვილკაცობასა და ხნიერებთან ერთად, სამშობლოსათვის, მიდის, ხმალში ხომ აკი წკნელითაც კი იწაფებოდა ბალღობიდანვე, ახლა ნამდვილი ხმალი შვენის, და გინდაც -----ა --- შვილი იყვეს, ლამაზი არი, ლამაზოვდება, და სამშობლოსათვის დაძრულა რადგანაც, გუნდად შეყრილან, ძველმეომრები თუ, უწვერული ყრმა, და იმასოფლის ეს იმათი ცოტა-რუ, არხად რომ თავად სამშობლო აქვს, სხვა ნაკადულებს უერთდება, - ერთმანეთისთვის, თავთავისდებიან, მღერადულ გზაში: თანდათანობით, სხვა შენაკადებთან, უხარიათ და, ღელედ მიდიან, ღელევდებიან, ძალას იცემენ და ახალ-ახალ ღელეებით, მდინარევდებიან, მაგრამ ეს ჩვეულებრივი და სველა-სველა მდინარეები გზად თუ მდოვრდება და, ზლაზნვითღა, მიდის, ამათი კიდე - უფრო და უფრო ფიცხდება და, - ჰქუხს, და დაბლობში ხომ, აწყვეტილებია, რადგან დაბლობში უფრო ხდება ხოლმე ბრძოლები, ველებზე იცის, და ეს აწყვეტა განა სახეზე გზაში მანამდე ეტყობათ-რო? - არა, - და ერთ მოთხრობაში უკვე აქვს უღირსს იმათი ამბები და აქ რაღა ქნას, კიდევ უარეს მტერს ის ხომ ვეღარ გამოიგონებს, მით უმეტეს რომ, ის მოთხრობა თითქმის არავის წაუკითხავს და ეგება აქ მაინც ცოტაოდენით გამოყენდეს მდინარისპირა ერთი ადგილი, და კიდევ უფრო მითუმეტეს რომ თუკი აქამდე მოჰყოლიხართ და ბარაქალა თქვენს მოთმინებას, მოკლეეთ, იმას ვამბობ ვამბობდიკიდეც, - აბა სახეზე ჯერ განა რამე ეტყობათ-მეთქი? - არა, დამძიმებულან, აბჯარში ჩამსხდარან, მხარზე მშვილდ-ისრები ჰკიდიათ, შუადღეა რო, როგორც წყალობა, მზეა, სიმწვანე, ბალახი გინდა, ნაყოფი გინდა, სუყველაფერი საღად ხასხასებს, მაგრამ რათ გინდა, ამათ აკი ხმალ-ხანჯლიანი ქამარი შემოურტყამთ; გზად ამათსავით მდინარე ვერა მაგრამ უბრალო ღელეც მოჰყვებათ ისეთი რო, წამოწექი და მიუგდე ყური, მაგრამაც ამათ ლაღად მედინი ღელე-ღრანტეებისათვის აბა სად სცხელათ, დაბლობისაკენ ომში მიდიან, წვერწამახული შუბები უპყრიათ ხელთ, მეორეთი კი სადავე ჩაუბღუჯავთ, ამხედრებულან, მაშინ იყო ცხენი. ჭრელ თავსაფარში გამოხვეული უბრალო საგზალი უნაგირზე ისე კონწიალობს, ვითომც არაფერი, ამათ კი, სულიერებმა, კარგა იციან ვისკენაც მიდიან, რა სვავ-აფთრებთანაც ექნებათ საქმე. რა არი მაინც, რადარაგვარი ჯიშის მოდგმაა, მტერი ნიადაგ იმდენი ჰყავთ რომ, გამოულეველი, მარტო ისე კი არაა ამათი საქმე რომ მარტო შრომა და ჭამა-სმა და მღერა-თამაში ბარაქა-მიწაზე, არა, ამათი ნაჯაფი უნდათ, სხვებს, ამათი სისხლი, ამათი ბავშვები შინაყმებად თუ სამეომროდ, ამათი ქალები და ჩვენ კი ამიტომ იმათი დედა და დეიდებიც, და ზედაც გვარში გასათხოვარი მაგრამ გვარები რომ არცა აქვთ ზოგიერთ იმათ?, ისკანდერიღა თუ ნაზიმია, ანაც ბუღა ან ფაზილა, მხოლოდღა, ქვიათ, და ამ ქაღალდზედაც კი ცოტათი წაგვცდა ეს ჩვენც კი, შორიდან დამნახავთ წამცდა ენა და შაიგინებოდა მა რა იქნებოდა კახელი სუგანუწყვეტლივ ხმლის ქნევისას რა იქნებოდა აბა, და მთლად ასო-ასოდ ვერ მოგიყვანთ მაგრამ თანამედროულად მაინც ავხსნი რომ არ იყო დიდად გასაკვირი მისი არცთუ უხვსიტყვაბაგეებიდან მთლად უცენზურო დღევანდელურადაც სიტყვების მოსმენა და თანაც ცენზურა სად იყო მაშინ, ერთიიღ - ტარკინი. ან ჯარკოვსკაძე. ოღონდ ტარკინი - ცოლიანა. ჰეე, საუცენზურო სიტყვები აბა თქვენ იქ უნდა

გენახათ აი, მადამ ტარკინა მითომ „ჰაერზე“დ რომ გადიოდა თავისი თავის მითამურ ტკივილების და მართლაცდა თავის დასაამებლად, ხოლო აესენი, დანარჩენები, რაღაც უკუღმათ განათლებული ტარკინის გარდა მთლად თავისუფლადაც ამბობდნენ გინებას-რასმე გინდა ომში და თუნდაც ბზიკის კბენისას, მოკლედ, ჩვენ კი იმათი, ერთიც და მეტი, და ჩვენებს კი მტერი ჰყავთ მაშინ და, მუდამაც? - გამოულევი, უზომო ლაშქრად იციან შეყრა, და იმდროინდელმა ჩვენებმა კი კარგად იციან, თუ ვისთანაც ექნებათ საქმე, ეს სხვისა მიწის მაცქერალნი, აღარ თავდება, გაუწყვეტელია, მტერი არი რომ, ხრიოკიდან თუ გადამწვარიდან თუ საყინულეთიდან წამოსული, თანაც როგორი, უჟმურები და დაბოღმილები, გაუცინარნი, ჩაობებული ძმარივით სულგულსულვერგაუსინჯავი სამეზობლოდ და, მჭახე, და სხვისი ადგილ-მამულისათვის ჩვენი მხოლოდღა, ერთასი, ერთადერთის, სამშობლოსათვის, ანუ, ისე გულდაგულ მოედინებიან რო გინდაც წართმეულის აღდგენას ლამობდნენ და, ჩვენი ოფლით გამაძღრებმა, ძალით ბოყინიც კი იციან და, დღესაც კი დიდად გაუგებარი მაინცაა, მეტი თუ არაფერი, ასეც გამოთქმა: „ნამდვილი ქართველია, ოღონდ მაჰმადიანი“, და, უმერცხლობაში ბუზებივით იციან შეყრა; არამი ლუკმით გამრავლებულები, იმდენნი არიან, ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა, ხოლო ზოგიერთმხრისა თითოეული ისეთია რო,

სუ მიწას ჩასცქერს პირკუპრი,

სახე აქვთ რკინის ფერიო, -

სულდამდაბლებულებს; და ახოვნებითაც რომ ვერუქნიათ იმ თავიანთურ შემოქმედს თუ, გამკეთებელთაც? -

ტანად მცირეა, დაბალი,

ერთი ისა აქვთ, ღიპიანები არ არიან ზოგდღევანდელი მითომც და ოღონდაც მხოლოდ სიტყვებით მეომრებივით, ვერ დავუკარგავთ, რომ, -

გაწყდომაზე აქვთ წელიო,

მაგრამ მშიერ და მართლაც გასაწყვეტ ავი ქოფაკებივით დაგროვებიათ რისხვადქცეული სიანჩხლე, და პირკუპრულად იმიტომაც ჩასცქერიან ამ შენს, ჩვენს მიწას, როგორც მისატაცს კი არა, ვითომც წართმეულს და ამიტომაც დასაბრუნებელს, ვითომ, რახან იქ ერთხანს იბოგინა; და ისინიც კი თავიანთ მრუდე გზად, ჩვენისკენობაში, ისე და ისე აფთრდებიან რომ, გინდაც თავიანთ მზეზედმეტსა თუ მზენაკლულ ცამდე, მართლები იყვნენ,

ჩხუბში ავნია, რჯულძაღლნი,

იარაღს უძევთ ხელიო,

ედოთ-რა,

თუ შეებმები, ერიდე,

ტყვია იციან ცხელიო,

რაო? ერიდეო?, - მოერიდებიან, კი, კი როგორ არა, სამშობლოსათვის? - მორიდებით და ფეხის წვერებზედ სიარულით რას დაუთმობენ, არა და, მტრები, ბევრი მტერები როგორ მოდიან და მოდიან, სხვადასხვა ბგერებით სულსხვა ენოვნიანები ვიდრე ეს ჩვენი ცოტათიც ძველი ქართულია, და ასე მაინც რამ გაამწარათ სხვისაზე, ჩვენსაზე, და ისეთდაგვარად დაგეშილან რო, და ისე ავად ენაგადმოგდებულები, რომ,

იარაღს ენით აღლოკვენ,

გახდება უფრო მჭრელიო,

და საშთამომავლო მტრად მიაჩნიათ ესენი, ჩვენები, ჩვენ, და თავიანთსაც ნაშიერებსაც ამათზე, ჩვენებზე, ჩვენზე, სუთავიდანვე გეშავენ, -

ბალღი რო დაებადაებათ,

უნდა შაუკრან წელიო,

რათა დრო თუ ჩაუვარდებათ, დაბზარულებს თუ გვიხელთებენ, ჯანმრთელურად რომ შემოგვესიონ, ხოლო თუ ვერა აქვთ ამისი თავი, კეთილმეზობლურად-ვითომ, ენას იტკბობენ, იბადაგებენ, სულ კურუ-კურუკრუკკუსფშტებს გაიძახიან, აქსოვენ იმ თავის ხანჯლისაც მღლოკველიც, ენითა, ხოლო საჩვენოდ კი, მაინც, იმათთვის ეგებაც ხელსაყრელურად დამდგარ სამომავლოდ, დროს არ ჰკარგავენ, და ახალ-მორიგა ბალღი-რამ თუ შეეძინათ,

თოშიან წყალში გაღბანენ,

ჯანი ექნება მრთელიო,

და ჯანი კიდე იმისთვის უნდათ, -

უყვარდეთ სხვისი ქონება,

ჩხუბში - ხმალი და ცხენიო,

რადგან სხვა საქმე იმათ ნაკლებადა აქვთ, მართლა თავ-თავიანთის ბუნებების უკუწყალობითა და, ის თავიანთი ჩვეულებანი და ადათ-რჯული კი იმისთვის უნდათ, აი ესენი, ეს ჩვენები რომ ამოხოცონ და დაარბიონ-მხოლოდღა მაინც, უყვართ ეს სხვისი მზამზარეული და, რა ქნან, უნდათ, მაგრამ ამათსაც, ჩვენებს, თავიანთი ხომ - უყვართ და უყვართ და უფრო მეტიც, - ერთიმეორისებია, და ამისთვის, სულ ასეთებად რომ, კი, ხო, ჰო-რაღა, ერთმანეთისანი რომ დარჩნენ, სწორედ ამისათვის ძალუმი და მაღლით ნაკისრი და ნაბოძი სიტყვა - ქუდზეკაცი ჰქვიათ და თუნდ გაფერილიცმუზარადიც კი ჰხურავთ, მაინც უბრალო გლეხურ ქუდზე კაცნი არიან, და, ისედაც ხო, იმათზე, მტრებზედ, მართლა, კი, ოღონდაც, დიაღაც რომ უფრო შეხედულები არიან ყოველგვარად და, ამიტომაც, ამ დღევანდელი ჩვენობიდანაც ძაან შესახედავები და, აბა მე რა დაგიფიცოთ,

ქრისტიანობა ფიცებს კრძალავს, და ამიტომაც მხოლოდღა პატიოსან სიტყვას გაძლევთ რომ პირადად მე სულაც არა ვარ ამდაგვარი, ანუ იმტიპისა რომ პირი დავაღო და ვიძახო რომ რაც კარგები ვაართ, ქაااა!, რთველები ვააართა-მეთქი რომ დავიმღერდაგავიძახო, მაგრამ სამშობლოსათვის რომ კაცი ომში შევა, როგორ ადვილად მოსალოდნელი სიკვდილისა რომ სულაც არ შეეშინდება კიარა, იმასთან დასახვედრად შეხვედრისათვის სულ მღერითაც კი, მიდის, თოფ-იარაღში მორგებული და ლაღად ჩამჯდარი, აკი გითხარით, რომ ყველანი, და თუმც აბა რომელი ომში შემსვლელია ტანჩია ისა და მაგრამ მაინც გინდაც-------ა ა----იშვილი იყვეს, მაინც ერთგვარად კი არა, სახე-ტანიან-ცხენიანა აი ისიც კი, მოხდენილია და ლამაზია, კი, და იმათ ბევრისერთად დანახვას რა სჯობს, ნუღა შევუკვეცავთ მომდევნო სიტყვას და სუყველანი, - მართალებიცაა, რადგან; და ლექსიც განა ამას არ ამბობს? ლექსი რა, განა ამას ვერ დაინახამდა? მოლექსემ აკი ამ შორეული მზისა და მთვარის და ვარსკვლავებისაც იმდენი რამედარუმე იცის, და, ეს ჩვენიანთი გვერდიგვერდნი განა აღარ ეცოდინება ლექსით, გენაცვათ და აბა როგორღა გამოეპარება, ესა:

რა კარგი სანახავია

თუში, შიშველის ხმალითა,

და თუშს კი არა, ვიღასღა არ ნახავთ აი იმათში, ძალიან ჩვენებში, რომელი მხრიდან თუ კუთხიდან აღარ შემოკრებილან, დინჯი სოლომან ბუტულაშვილი გინდა, რომელიც რომ თურმე კარგა უვლიდა თავის მბზინვარ ცხენსა თუ გადარეული ხირჩლა ბაბურაული გინდა აი სწორედ ისა, გამოზომილი ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი გინდა თუ ეგრევფიცხი ჯანიკო ბურძგლა, დახვეწილი და მარჯვე ჩხეიძეები გინდა თუ წერეთელი და საყვარელიძეები გინდა თუ აბდუშელიშვილი, და სახეზე ღრუბელჩამომდგარი მაგრამ აშუქებულიც ხოგაის მინდი როგორ უებროდ მებრძოლი გინდა, თუ ესებუა მაცი გინდა თუ ხვიტია უტუ თუ საკანდელიძე კოხტა თუ ჩაჩხიანი ლავროსი თუ დევდარიანი ბაგაულ გინდა და გინდ ჯგერენაია მამია თუ იაკინთე ველოდი თუ ვაზითვი მზითა შერუჯულ-შეშავებული ქიტუა გრატიაშვილი გინდა ეს მიტუას ძმაი მიტუაიანა გინდა მეკი იმათ მაგათმტრებ რო ძაანაც რომოუ ძლიერ კარქების ტარკინები ზედაც ლერწამნაცნობა და ბევრათ უარესებისაც ზედმიწევნადმცნობა ტარკინაიანა-ა, მაგრამ ისინი ხმლით ხომ არა, არამედ ენა-სხვარამით იბრძოდნენ ხოლმე, მებრძოლებად კი, მელაძე გინდა თუ ტურაშვილი თუ ლომიძე და თავფარავნელი ჭაბუკი თუ ვეფხებთან მეომარი მაღალდედიანი მოყმე თუ კაკაშვილი თუ ვეშაგური ან მესხი, რომელი გინდა, სულ აქ არიან თორღვა ძაგანის გვარია და ეს მგელაძე თუ ცხვარიაშვილი ოღონდ სამშობლოსათვის რომელი უფრო მწვავედ მებრძოლია და მეომარი არი ეს კიდევ განა საკითხავია?, - გვარებს არა აქვთ მნიშვნელობა და გინდაც კალანდაძე გინდა თუ კალანდია ან კალანდარიშვილი და ჩვენებურებიდან ვიღა არ გინდა, მაგრამ ერთ-ერთი გამორჩეული გაფრინდაული რატომღაც ჯერაც არა სჩანს, ნეტა სადაა, გულადი და სამშობლოსათვის დაუზარელი კი არა, მყარსული იყო მუდამ, აქამდე, ის ბიჭად ბიჭი, და აკი სულაც ზედ ბრძოლის წინ აკი ისიც არ მოიჭრება?-თურმე, დღევანდელივით მაშინაც კი წუნკალ მეგობრულ უმსგავს საძმოდ შმორივითნანატრ შორეულ ჩინურწიწაკად

ახლოდ ტკბილ კეთილმეზობლებს მოტაცებული ნახირისთვის დასდევნებია და, აბა რა იცოდა რამდენად მეტი მთავარი რამ რომ ჰქონია შუბ-ხმალთან ერთად კბილებითაც კი სომარი და, არხეინად რომ მოდენიდებულა დაბრუნებულად გამოტაცებულ ძროხებსა და ხბორებს, სისხლით მოთხვრილი და როგორღაც გაუკაწრავი, აიმ მთაზედა, ბოლიანზედა, კვამლის ბოლო-ფთილასთვის მახვილი მზერით ძლივსღა მოუსწრია და მოუკრავს თვალი, და, მთელი ღამით, გამეტებულად მოაჭენებდა ცხენს ჩვენებისაკენ, ჩვენი, და ზედ ბრძოლისწინ მოუსწრნია და, გათენებულზე, წამოწეულა, წინა ღამით კი,

მარტუამ, გაფრინდაულმა,

გზა ჩაამტვრია ღამითა,

და ახლა ამათ მხარდამხარ იბრძვის, ავზნიანებს - სხეპს, და აბა ახლა რომელი ფიქრის დროა და, მაგრამ გულში ის მაინც ღრმად უდევთ რომ, ადრე, მოღონიერებისასაც, კიდევ კარგი რომ ვერ დაგვცალდა არავისათვის სამშობლოს წართმევა და ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თან იციან რომ, მართლა თავიანთ მაღალ ცამდე მართლები არიან და, რაა აღმართულ მართალთან გინდაც სამი იმდენი თუნდ გაავებული მაგრამ თავიანთ დაბლაცამდის მტყუაანი და, ისეთს დამხვდურულ ბრძოლას სტეხენ, სულ აი სწორად თავზედდამცემლურს, აიი, ისეთსა, რომ ვინ იფიქრებს რომ სხვადროს ისეთი წყნარი ტაძრების შენება და იმათი ისე მოხატვაც შეუძლიათ, ან, სუ ნაზდანარნარის იავნანათი რომ არიან ფეხადგმულები, გამოზრდილები, ომი არი რომ, ცარიალაღა, რისხვა, და სულ ტუჩკვნეტით იბრძვიან, ჩვენები, ისე იქნევებ და იქნევენ მჭრელ, მბზინავ ხმალსა, ნამგალთან ერთად ხმლის მოვლა ხომ თავიანთ სხეულზე მეტად იციან, შენ ესა ნახე, ანდაც ისა, ეს რანი ყოფილან, სახელიც კიარ ვიცით მისი, ეგ არაფერი, გზაგზად შევარქვათ, იმის გვერდით კი ჩვენი ცანგალა ისე ტრიალებს, პირიქითულა სიყვარულისაც დღით მეხის კლაკვნა და ამ დღისით-მზისით მეტადხილულა ღამის ცეცხლია, ერთგულა შუბი გრძელმკლავივით მოუმარჯვნია, ვის? - ეე, დიპლიპიტოს, ასეთებიც ხომ, დოლზე მარჯვედ დამკვრელებს, ალაგ ხომ გვერქვა, და ერთიც დიპლიპიტო ესაც კიარი, მოკლედ, რაღა ახსნები ამ შუა ომში გვინდა, ისეთი ორომტრიალია რომ მგონი სასვენ-ნიშანი,-ც კი აღარ უნდა ვიხმაროთ წესით ისეთ სწრაფობებს ააქვთ ადგილი, - ვაი!, ვა??!!- მაინც შევყოვნდით, ვეღარ ავყევით ამ სიფიცხეს და მოკლეთ გრძელ-ერთგულა შუბი მოუმარჯვნია დიპლიპიტოს და რაგინდნაირ აბჯროსანს არ შეუნგრევს იმ ბალღამიანი გულის ფიცარს და ელპო-საზრიანსაც დიდი წვლილი შემოაქვს რადგან მტრისთვის ზურგიდან ჩუმჩუმელურათ შემოუვლია და დიდრონ ლოდებს ამოფარებია და იმ წყეულებს სუ ბეჭისთავზე თუ კისერში ასობს ცხელ-ცხელ ისარს და იქვე იბრძვიან ამათებურნი, ჩვენებურნი - გადავიდეთ რა, სასვენ-მძიმეზედ, მითუმეტეს რომ, რაგინდ ცხარი, ზოგი დინჯია, - აკი მეთქი-რომ იქვე იბრძვიან ამათებურნი, სხვა ჩვენებიცა, წყალობები და თევდორეები, ღვთისო, ხარება, ბეჟანები და არსენები, და ფლოქვებიდან სულ ნაპერწკლებმფრქვევა ცხენებით შორიდან ჩამოჭრილან მინდია და თორღვა, ავზნიანებს სხეპს ლიხით გადმოფრენილი ყოჩაღი ვაჟი ბაჩუკა, დიდად მარგია, ეს რა ხალხია კაცო-ო, აი, ბრძოლაც კი თავთავის ჭკვაზედ არა სცოდნიათ? - ის გიჟ-ისედაც-გადარეული

ხირჩლა ბაბურაული თუ სუ ყივილ-ყიჟინით აქცევს მთელ იქაურობასაც კი, აეს დინჯები - სოლომან ბუტულაშვილი და ივანე კოტორაანთი, მითომ ნელინელ ირჯებიან მაგრამ მომხვდურთა ორღობეებს სტოვებენ დარბაისელს გზაზედ, და ქართველებია, რა ქნან, იბრძვიან, და ზოგი მომხდური თუ ისე ადვილი მოსაკლავია, გინდაც

ელენიკეს ქათამიო

ღობის ძირში დავკალიო,

გამოერევათ ისეთიც, რომ, ხმალდახმალ, მტრისას, და, იმისმა შემყურემ,

ამაიწვადა ჩოთამა

ისარი მჭვარტლიანიო,

და, იყო და აღარ არის რა, ერთიც მტერი, მაგრამ ხმალი და ისრები ხომ იმათაც აქვთ, თანაც სულ ენით აღლოკვილი, და თუ ასეთსაც კი, გადააწყდება? - ა მაშინ გამოჩნდებოდა, ვისიცა სჭრიდა ხმალი, რადგან, იმავე ღამით,საკვეხნად კი არა, თავისთვის ყუჩად მიმჯდარი, ბნელში:

ხმალს აქებს გაფრინდაული:

- თორმეტი მოვკალ ამითა,

ავავსე დიდი მინდორი

თათრის ხოჯაის ძვალითა,

მგელს დავაცვითე კბილები,

ტურას ლოყები ჭამითა,

და, ბინდმა რომ არ გაჰყაროს მებრძოლნი მტერნი, და მეორე გათენებისას დასვენებულებმა ისევ რომ არ შემოგვიტიონ, აეს ჩვენები სუბოლო ძალსაც მოიკრებენ და ისე დასცხებენ, რისი საღამო და რაის მწუხრი, დღეს სულ კუპრისფრად უბნელებენ, კუდებით სუქვებს ასროლინებენ, სუ ბეჭებს აპანღურებინებენ ქუსლებითა, და რადგანაც თავიანთ ვერან მიდამოში დარჩენია სულ ბოლო ძალა მტერს, იქითკენვე გარბის, აესენი კი, რადგან თითოდან ბარე ოთხი ისევ გამოვა, სათითაოებს, რაღა თქმა უნდა ედევნებიან და,

მოციქულობენ ისრები,

შუბნი აქნევენ ენასა,

და, რამდენი ჩვენი, გამარჯვებული,

მაგდევდათ, მაგაწუხებდათ,

მაგხევდათ შუბის წვერითა,

და ხიდების ძებნის თავი აბა სადა აქვთ ახლა თავისი მწირი მიწისაც მონატრულებს, მდინარეში ჩაცვივდებიან და, ვისაც გვერდიგვერდ ძმა მოუკლეს, შვილი, მამა თუ ძლიერ მოკეთე, მეზობელი, ასეთები კი, ყველანია, ხმალდახმალ გადაჰყვებიან და აბა ჩვენმაც მდინარემ რა დააშავა, კლდის სიღრმეებიდან სპეტაკად ნაჟურს, გზადაგზა რუ და ღელეებშემოერთებულს, აბა რად უნდა იმათი წითლად მოშავო სისხლი, მაგრამ ანკარა ფერი ეცვლება.

და თუ ზოგიერთი ცქვიტ-მოყოჩაღო მომხდურთაგანი მაინც გააღწევს გაღმა ნაპირამდე, ისევაც ვაი იმ ნაპირისას - იქ რომელიმე ღერენა ციბალუკისძე, რომელიც „ცხენს ქვეითაი ჰყვებაო,“ და სულ იცოდა მოკლე გზები და სად იყო ფონი, თავისი დასტით იქ დახვდებათ და,

ისედაც შებინდებულზე, მოკლედ უხდიან დღეს.

მერე კი, მართლაც მწუხრის ბინდია.

ილაჯგაწყვეტილები, პირქვე წვანან და, შეგრილებულზე, გადარჩენილი მიწის სუნი უფრო ღონივრად, ეღწევათ, არ ეკადრებათ ჩვენგან მაგრამ, მართლაცდა გდიან, მიმოფანტულად დაყრილან, ვიღასღა აქვის აბა, საგზლის არაქათი, პირს ვერ გაუხსნით დანა. რომ გაიმარჯვეს, სრულად ვერ გრძნობენ, ისეთი დაღლილები არიან. ცოტათი კი ჩათვლემს რომელიმე ჩვენი, მაგრამ ძილამდე ვეღარ ჩადის, სისხლის ლორწო სუნადა სცემს და ცუდ ბურანშია, რაღაც მორუხო თუ შავ-მოწითალო რახს-შმუშვნებში ჩაფლულა და უცებ ვიღაცის ფრთხილ ტორსა გრძნობს მხარზე, და, დაბალის ხმით, ეკითხებიან - აი ესა და ესა, ანაგურელი ბიჭი, ხომ არ გინახავსო, ვისი თოხისაც წკრიალი, გამოღმა გამოდიოდა, არა, არაო, ნაღვლიანადა მიუგებს რომელიმე ჩვენი, და, დამწუხრებულს,თვალს გააყოლებს და უცნაურ რასმეს ხედავს - ვიღაცეები, ალბათ უფრო მამები, ბრძოლისგან როგორ დაქანცულები, უფროც კი მეტად მოღუნულები დაიარებიან მთვარის შუქზედ, იმ ცოცხალ-მკვდრებში მოჩვენებებსა, ჰგვანან, მერე უფრო მოიხრებიან, ჩაიჩოქებენ, პატარავდებიან, მოკუნტულები, დახოცილებში ძლივას არჩევენ მტერ-მოყვარეს; - მაგრამ შვილს, გინდაც მოკლულს, და თუნდაც შიშით, მაინც გულდაგულ დაეძებენ დამფრთხლები და, მკვდრებისა თუ ცოცხლების ახალ გროვა-გროვისკენ გალასლასდებიან მერე, თან შემოხვედრილ ერთი-მეორეს სულ ჩურჩულითღა ეკითხებიან, ჩემი ფიდოსთვის ხო არ მოგიკრავს თვალი, ჩემი წყალობა ხომ არ გინახავსო. არა, არაო, ისმის. ზოგიც, ძალიან დაჭრილია, ვერცა ფხიზლობს და ვერც გონდაკარგვას არი, ბურანშია და, მაინც, კიდევ მაინც რომ, თავის თუ სხვისა ლექსს, არი? - აღმახდებაო, მომაკდავს:

ტყვიამ გამთელა ძლიარი,

და, იმედად მაინც, -

ცვრიანს გამიშლის ლოგინსა

ჩემი სამშობლო, კლდიანი,

მთავარ დარდად კი,

დედაი შაებრალება,

გავწირე ოხერ-ტიალი,

და მაინც, ამაყადა, წევს:

ცხოდ კი, სიკვდილი ტყვიითა

მაჩნია სამართლიანი,

და ერთიც კარგა ხნიერი გლეხი, ჩალმიანებით მუქად მოთხვრილი, ძილად მივარდნილ ჯეილს ფრთხილად აღვიძებს და, სულაც თრთის და მაგრამ ვერ ემჩნევა და ისე ეკითხება, ძმისავ, ჰა, ძმისავ, ჩემი ძმიშვილი ცანგალა ხომ არ გინახამსო, - ვაიმე ბიჭო, აეს გლეხი ხომ ცანგალასი მამიძმაარი, მამიძმამისია, როგორვე ადრეც უკვე დედმამიშვილებ-მოკლულ-მომკვდარი, და შვილებიც კი, შარშანდელი ომით, - ვერ, და ერთი ცანგალასი იმედიღა აქვს, რა დიდი გვარი იმასა აქვს მაგრამ ისეა შეჩვეული რომ, მაინც კიუნდა დარჩენა, გვარად, და ისეაცკი განა როგორ უყვარს ცანგალა, ის ჰყავდეს კარგა და მარტოღა გვარს რა თავში იხლის, და ახალ დაბალ შეკითვაზე ცანგალას ერთიც ჰალალი ძმაბიჭი, ვინცამ რომ ადრეც ბევრი დაასამარა ჩალმიანები და აჭამა მიწა, მტვრიანი, ახლა კი, მისავათებული, ცანგალა-სახელის გაგონებაზე, ისე მარდად წამოხტება რომ სუმთლად მიწაზედ რჩება დაღლილობა და ოფლი, ერთად მიიწევენ იმ დარდით დამყურე მთვარის შუქში, და დახოცილებს ჩასჩერებიან - ეს ხომ არ არი ცანგალა და აი ეს ხო არაო. და განა მარტონი არიან, არა-ა, ბევრნი-ბეჩავებია, და სუ შემცივნებულ ხმაზედ კითხულობს ვიღაც, ხომ არ იცით, ჩემს თევდორეს სადა სძინამსო, ჩემი ხარება მდინარეში ხოარ სუფთავდებოდაო, და შორიდანვე ჯიუტად აღწევს, ბიჭო გოგია, ხმა გამეცი ბიჭო, ვერა ხედავ რო, როგორ დაგეძებ, შენ კი, აბა სად დაეხეტები, ხმაგამე ბიჭო, გოგიაარ...

გათენებამდის ფათურობენ დახოცილებში, კვარი უჭირავს ზოგს, მთვარის შუქი და კვარის წრიატი სულ ერთმანეთში ირევა, და ერთხელაც არი და, რომელიღაცას რომ გადმოაბრუნებენ, იქვე ჩაემხობა რომელიმე და, გლოვის ბალიშადღა აქვს თავისის გაციებული ბეჭი, და, როგორამდე ავ, ჭრილობაში, მხოლოდღა ამას ჩასჩურჩულებს, შენ, ბიჭოვ, შენ ბიჭო ანაგურელოო... და, რომ გათენდება, შეშფოთებული წამოჯდება რომელიმე გადარჩენილთაგანი და, ისეთს რასმე დაინახავს იმისი უბედური თვალი, ძლივას აითრევს წელს, - სუ უპოვიათ თავ-თავიანთი მკვდარი, ერთად შეუქუჩებიათ, და, მზეც რომ ანათებს? მაგრამ ახლა აბა რაღა რომელი სითბო უშველით, ან ნაპოვნებს და ანდაც მპოვნელებს, და ცანგალა-ბიჭიც თუმცა მზის გულზე დაუსვენებიათ, შემცივნებულია, ქართულა ცხვირი წაჰყინვია, ცარიალაღა, დუმილია.

ჰალალ-ძმაბიჭს ხომ, ისეთს რეჩხს უყოფს დაღალული გული, ისეთი ჭინჭრის გორგალი გაებჯინება ვითომდაც გადარჩენილ ყელში, მიბრუნდება და, ცრემლებს შვებად ყლაპავს, ყელს იმითღა ისველებს. ერთი ცანგალას დალეული მამიძმამისიღა, გაქვავებულა, თორემ ცანგალას სოფლელები ცრემლით ილბობენ

დაგვალვულ სახეს, გამორჩეულად, ჰყავდათ, ცხარე დღეშია დიპლიპიტო, უხმოდ ტირიან ელპოც, ფიდო, სხვები, მაგრამ ტირილი იქ უნდა ნახოთ...

ყველგან მოელიან თავთავიანთებ ცოცხლებსა თუ, მიცვალებულს, სოფლის განაპირას გამოსულან სოფლის ქალები,

19.

ისინი მოლოდინში არიან რომ? განსაკუთრებით აი იქა, მითხოში:

და თვალები კიამოუღამდათ, მაგრამ

ტიტულის კიდურ გახვრიტეს

მითხოელთ ქალებმ ცქერითა,

სუყველას მოსწომს ის ერთი გადარეული ხევსურის ბიჭი და, სხვა რაღა ქნან, ინატრიან:

„როს გამოჩნდება ნეტარა,

ბაბურაული ფრენითა“,

და რომ იგვიანებს, ქალურათა, სწყიინთ, სწყინთ და მა რა ქნან, მაგრამ ქალები რიღასი ქალებია, წიწმატდებიან, თანაც იციან, ცოცხალია, ამას ტანები უგრძნობთ, კარგა იციან რომ იმათი გულის მფრინველს აბა რომელი ძალა და აბა ვიღა ჩააშოშმინებს, მაგრამ ისეთი არიან ამდენის სულწასულურად მოუთმენელის ცდით გაბეზრებულები, მართლაც ცხელ გულზე და მაინც ყასიდად იაძახიან:

ხირჩლავ, ნუმც გამასჩენილხარ

თავის ლურჯაის ცხენითა!,

თანაც იცდიან, და, როცა იქნება და რომ გამოჩნდება, ძლივასღა სცნობენ, ქაა? - ჩაშოშმინებული კი არა, მთლად ჩამქრალია, რადგან იმის ცხენს მხედრიანი კი არა, პატრონ-გარდიგარდმოგადმოკიდებული ცხენები მოჰყვებიან, და ცოცხლებიც, მოკლულებიც, ერთიანად მთლად ყუჩს არიან, და, განა შეძრწუნებულმა ქალებმაც არ იციან ლექსის თქმა და, გინდაც ასეთ ჟამს, -

ლომო, შე ლომის მოკლულო,-ო,

გესმით? იმის მომკვლელსაც კი, ლომად რაცხენ, და გინდაც ვინმე წვირიანი ბუჩქებშიმძვრალი მოისრე ყოფილიყო, მკვლელი, ლომად ადიდებენ, აბა ტურა და მგელიც ხომვერ დაითრევდა ლომივით ვაჟკაცს, ხომ არ შაარცხვენენ და, ამისი ხათრით, ამის მომკვლელსაც, ალომებენ, კი, -

ლომო, შე ლომის მოკლულო,

შენი მდინარის პირსაო,

ვინ შეგიღება წითლადა

მხარ-ბეჭი პერანგისაო,

ჯავრისგან დაგიღრეჯია

კბილები ბროლებისაო,

და, ხმას დაუდაბლებს:

ლამაზად დაგიტირებდი,

შიში არ მქონდეს ქმრისაო,

მაგრამ ტირილი თქვენ იქ უნდა ნახოთ, ცანგალანაკლულ სოფელში, ერთიც გორაკიდან რომ დაინახავენ პატრონის ხელებდაფეხებგადმოკიდებულ, ლურჯას, შორიდანვე იზმუვლებს ხალხი, ცანგალას ქალს კი, ჯერ რა ქალია, შვილი არცკი დაბადებია, ყოფილი ცანგალას დანახვაზე საღი გული შეუღონდება და ქალები იმას მიეხვევიან. წყალს დაასხამენ შეჭორფლილ სახეზე, კაკალქვეშ, ჩრდილში მოასულიერებენ და, ქმრისკე გაოგნებული იცქირება ის, აბა სად ცანგალა და აბა სად იმისი აგრე ყოფნაო, და რო თავ-პირში უნდა წაიშინოს ხელი, ერთიც საზრიანი დედაკაცი ასე ეუბნება: შენი ძლიერი ტირილი არ შეიძლება, ეცადე ნელინელ იტირო, ქმარი რომ მტერმა მოგიკლა განა შენც უნდა მოუკლა შენ ქმაარს, შვილიო. თანაც ხომ ხედავ, ბიჭის მუცელი გააქო.

გაიტრუნება, ისა.

ცანგალა-ვაჟი კი ჭიშკარში სუ ციმციმ შემოაქვთ, ცაცხვის გაუსხიპავ ტოტებზე დაუსვენებიათ და ამ ნედლ საკაცეზე ფოთლები ისე შარიშურობენ, გინდაც ბლომად ნაცეკვი ცანგალას ხშირი სუნთქვა ხვდებოდეთ, მაგრამ სადღაა იმისი სუნთქვა. მთელი სოფელი იმას დაჰყურებს, ბინდწაფენილ და ამაყად შორ სახეზე ისე დასცქერიან, თითქოს უნდათ რომ, აუმოძრაონ, მაგრამ ვის მზერას დაიტყობს ბიჭი, ძალიან, მეტად,თავის თავში და, სულ სხვაგანაა. რაღაცა კარგი უნდათ რომ იღონონ სოფლის კაცებმა და, ვერა ხვდებიან, ქალის თვალი კი მაინც სხვა არი, და აკი ერთი არ დაინახავს? - უიმე, ცალი ქალამანი დაჰკარგვიაო, დახედავენ და, - მართლაც. და უცებ ისე შეიძვრებიან, თითქოს დიდი რამ უნდა გამოასწორონო, არიქათ, ჩქარა მოიტათ ახალთახალი ქალამნებიო, და ჯერ რო მოთხვრილ პაჭიჭებს გამოუცვლიან, ახალ ქალამნებს ძალიან ფრთხილად მოარგებენ ფეხების ნაჯაფ წვერებზე და, ერთი პატარა გოგო კი იმ ძველ ქალამანს სუ გულში იხუტებს.

ესა, მეზობლის პატარა ქალია, რვა წლის გოგო, რომელსაც ცანგალა მთელის თავისი გრძელის ექვსწლობით ჰყვარებია, რადგან ცანგალა ან თავის ან იმის ეზოში ჯერ რომ სულაც რაღაც ორი წლისა იყო პატარა ქალი, იმის ვითომდაც გასამხიარულებლად ხან მარტო თითონ ცეკვავდა და ხანაც ხელში ამგოგოიანა, და რაღა გამხიარულება გამოვიდა ეს, რომ სიზმრადაც ვერ დაესიზმრებოდა და აკი არ შეაყვარა პატარა ქალს თავისი ქოჩორა თავი? და ყველაზე დიდი სიყვარული სჭირს ახლა ამ გოგოს, თავად ბავშვური შეზღვავება, ახლა კი, იმის პატარავე გულში აბა

რომელი ჭოგრიტოსანი ჩაიხედება, ცანგალას ნაცვლად, ცოცხლად ცალიღა ქალამანი შერჩენია და, მაგრამ გულზედ მაგრა იხუტებს,

წყაროს წყლით ჰბანენ ცანგალასა, ოღონდ ჯერ მზეზე შეუთბობენ, არ ეგრილოსო, კოხტად უვარცხნიან სველ, გრუზა ქოჩორს, ეს კაცები კი, თუმც სული ეგრიხებათ მაინც ფეხმოუცვლელად დგანან, სამშობლოსავით გაუერთიანებია სიკვდილს ზოგნიც უმძრახი მეზობლები, ყველაფერსა აქვს თავისი კარგი.

და ერთიც ზორბა ბერიკაცი, სოფლის პირველი ლექსისპაპა, გიორგა ქვიან, კიდევაც მეტად დაპატარავებულ, ერთ გაქვავებულ კაცს - იმას კი ის მერე რა რომ ტორი დიდი აქვს, ტანად ჩიაა, აიმას მხარზე დაადებს თავისისაც ხომ დიდრონულ ხელს და, ჯერ ულექსო სიტყვით ანუგეშებს: აბა, აქ რაა, აქ ერთი მოკლე წუთისოფელია და, ვინც აქ დიდხანს დავრჩებით, ჩაჩანაკებად ჩავალთ იქ, სამუდამოში, იქაო, შენი ცანგალა კი იქაც სუ ცქვიტი, სუ ლაღი და სწორა-მღერალი და მარდად მოცეკვავე, იქნებაო. არაფერს ამბობს მოკლულის ბიძა. გვარი რომ ვეღარ გვრჩება აქაო? - ფიქრობს, ის მერე რა რომ, გინდაც სულაც ასე გრატუაშვილები ვიყვნეეთ, მაინც ხო ჩვენი გვარიაო, აი ამასაც კი ვერ ამბობს, რადგან, თანაც, ცანგალას ცოლით, იმედსაა. დაბალია, სდუმს, ციდა მთა არი.

ცანგალას ცალი ქალამანი კი მდინარის პირას კენტადა ძევს.

იდება ასე, კენტად იდება, რადგანაც წყალი ვერა სწვედბა, დააწვიმს, დაისეტყვება, დაათოვს, შემოადნება მერე თოვლი, მდინარეც ისე ადიდდება რომ, წამოუსვამს ცალ ტალღას და აატივტივებს, გზად წაიყოლებს. მიაქვს და მიაქვს მდინარეს ახალ გზად აის ბეჩავი ცალი ქალამანი, ფიცხელა-ომში დაკარგული, და ახლა მდინარითღა, ნაპოვნი, სოფლები ხვდებათ, ზოგს შუადღისით ჩაუვლიან, ზოგსაც - უმთვარო ღამით, დაღმართში მიდის ცანგალას კენტი ქალამანი, მერე იკლებს მდინარე, მაღლითურა მზეობატონით იხაპება, უწყლობით ლამის სულსა ღაფავს, ეს ქალამანიც ძლივძლიობით მიღოღიალებს, მერე ქვებშუა გაეჭედება, უმძრახად არი, ახლა იქ აწვიმს, ახლა იქ ათოვს, მერე კი, ისევ ადიდდება ეს მესხვადასხვიე მდინარე, ისევ შეუჩნდება, შეუჩნდება ქალამანს და არ მოეშვება და ისევ ციმციმ აატივტივებს, ისევ წაიყოლებს დაბლითკე და იქამდისინ ატარებს, მინამ ძალიან მლაშე წყალში არ შეაცურებს და იქ კი, ჩაძირავს, და ეს მლაშე ბევრ-ბევრი წყალი, არაა, - არა, ზღვა კი არაა, მხოლოდ დედისი ცრემლებია, მხოლოდ, და დედების ცრემლის პირობაზე ეს ზღვაც ვერაა, ბევრი, როგორც ეს ადგილიც გვგონი არ უნდა იყოს გრძელი რადგან თვით ცანგალაზედაც კი მეტად, - სამშობლოზეა, ხოლო სამშობლო ვერ შეიძლება იყოს მეტი, ხოლო იმ ფსკერზე, ქვიშიანზეც, ძალიან უცხოდ გაყუჩებულა ერთ დროს სულ ჭრელა ყვავილებში მიჩვეული და ნათამაშევი ქალამანი და, მარილი კი ძლიერ ნელინელ ლოღნის, და მომფერებლური დარდის კია, მაგრამ ალღობს, დიდი-დიდი, ბლანტე თევზმა თუ ჩაუცუროს.

ცოტათი, გული, ხომ გვეკუმშება; ცანგალას კენტი ქალამანი რომ ცალი და კენტი ქალამანია, აი იმასაც კი, ვდარდობთ და, ახლა თავად ქალამნის ლაღი პატრონი? - მომკვდარია, წევსა. აბა რითიღა შევძლებთ, გული არი თუ რაღაცას ეძახიან არი

რომ მოვიოხოთ და, ერთი ჩვენისთანაც აუყვება, აუყვება სოფელს, წყნარ ღობეებს აივლის, სუცოტას გაივაკებს და, სოფლის განაპირას ერთი ჩამჭკნარი მიწური როა, იმას მიაშურებს, იქაა სოფლის თავიც და ბოლოც, გააჩნია თუ, საიდამ მოდიხარ. იქ კი ქალი დგას შაოსანი, ჯერ ქმრით ქვრივი და, მერე უშვილძიროდაც კი, როგორ მწარედ, დაქვრივებული, და ახლა ეს ერთ-ერთი რომელიმე ჩვენგანი და თან სუყველანი ჩვენთაგანიღა დარჩენია ნუგეშად, ჩვენ კი, ქვეყნებმოვლილები, მისი გადამცვლელნი, თუ გაგვიჭირდა ხომ ისევ იმას და ისე დარცხვენით მივუახლოვდებით, თუგინდაც სხვისა ბალღები ვიყვნეთ, ის კი, ჯერ აგვხედავს და, მოხველ, შვილოო? - იავნანური ხმით რომ გვკითხავს ისა, ხომ დავხრით ჩვენაც - უნებურს კიდევ იმდენი რა უშავს და - სხვა ცოდვებითაც სავსე თავს და, მიწას დავაბჯენთ მზერას, რომ გაგვიჭირდება, მაშინვე თუ მივუგდებთ ყურს, ადრე კი, სოფლიდან წამოსულებს, თითქოს სულ ვეღარ გვესმოდა, მისი, ეს: -

შვილო, დედის ნეტარებავ,

საითა ხარ, რომელ მხარეს,

რომელი ქვეყნის კუთხეში ხარ

ან, ვის უკაკუნებ კარებს,

ახლა კი მისკენ, ჩვენი ადგილ-მიწისაკენ, თავდახრილები, დარცხვივნუ-ლები, რომელი მიწაზე-მაღლივ-მოსიარულეები ჩვენა ვართ, - ის დაგვატარებს, და - მიწისკე ვითხოვთ, დედი, პური მაჭამეო. ახლავე შვილოო, დინჯად მოგვიგებენ, მაგრამ ეს ჩვენი ყურითვინ - დინჯად თორემ ისე სულ გული უფრიალებს, ისე ძალიან უმოქმედებს რომ, აიმავ ღამით სახეზე კიდევ მეტად დაჭკნება და უცნაურად გალამაზდება ამით, - ეს ჩვენგან, შვილებისაგან აქვს ნაოჭებიც და დიდრონ-დიდრონი თალხისფერი ლაქები ხელზე. შვენის.

პურის საჭმელად დაბალ ტაბლასთან დაგვსვამს შვილებს, პურიჭმევა ხომ - ეს უბრალოთ ქვია, თორემ დედისპურებთან ერთად მარილიცაა, მწნილი, გუდის ყველი და პრასი, ბოლოკი, ლობიოცა და ერთიც პატარა ხელადა - ღვინო, ზიარებასავითაა, ალუჩის ქვეშ ვზივართ, გატრუნულები, ტაბლის საჭმელს კი, გადახრა უნდა და, დახრილებმა, დაფიქრებულად უნდა ვილუკმოთ და ცოტათი ვხვდებით რომ, ეს, სამშობლოა, მხოლოდღა ჩვენი, ესადედა კი სულ უხილავი თვალებითა, გვმზერს, ოღონდ ისე უჩუმრად რომ არ დაგვამადლოსავით და შეგვაწუხოს არ; დგას. პირი განზე კი უქცევია, მაგრამ, თვალის კუთხით მაინც გვხედავს და, დამწუხრებული, გულში გვეკითხება:

შვილო, დედის ნეტარებავ,

საით იყავ, რომელ მხარეს,

რომელი ქვეყნის კუთხეში და,

ან -

ვის უკაკუნებდი კარებს,

და, გაგვიშეშდება ერთხელაც ამჩვენთ, პირისკენ წაღებული, მარილში ჩაწობილი დახვეულპრასიანი მუჭი, და ერთბაშად იმისი იმდენი აუარება-რამ გვახსენდება, რომ, როგორც რომ ლოცვა ისე ჩაგვესმის - დედას, ვუყვარვართ, შვილებიო.

და ეს ხომ იმ თავი და თავი ლექსიდანაა, ასე რომ იწყება, -:

ლექსო, ამოგთქომ ოხერო,

თორე ეგება ვკვდებოდე,

და შენ კი, ჩემდა სახსოვრად,

სააქაოსა რჩებოდე,

გიმღერდნენ ჩემებრ სწორები,

მე კი .....

.....

და ასე, ხოლო ადრე, თავიდან, ბოლომდე იმიტომ არ ჩავუყევით, გაჭირვებაში, გასამხნევებლად და, თავგასაკიცხად შემოვინახეთ, - ეს:

დედას ვუყვარვართ შვილები,

დედა არ გვიყვარს შვილებსა,

და მიტომ წუთისოფელი

სულ მუდამ გვაცოდვილებსა,

გვახსენდება და, დედას, სამშობლოს, რაღაც მადლობით კი გავხედავთ, და გულთამხილველია ის, მაგრამ აბა მე და აბა მეო კი არა, თითქოსდა მოგვარიდებს თვალს, ვითომც ჭილობზე დაფენილი ხორბლისა და იმასდასეული ჩიტების დარდი აქვს, აქში-აქშიო, და მაინც ისე ჩაგვესმის რომ, გინდაც პირველად გაგონილი, და აღმოჩენილი, - დედას, ვუყვარვართ, შვილებიო... და, დარცხვენილებს, იმისი პური ყელში გაგვებჯინება, ისე ჯიუტად და ისე ცხადად ჩაგვესმის, დედას, ვუყვარვართო, ბევრიც უღირსიო და, ყელში ლუკმაგაჩხერილებმა, ყრუებმა და დაბრმავებულებმა, ახლა, დაბრუნებულზე, მობრუნებულზე, მაინც, კი, როგორი ეჭვით, კიდეც: - დედა თუ გვიყვარს შვილებსაო?.. აესა, ჩვენა, თუ კენჭნი ვართ, ისა სუ მაღლი-მაღალ და სუბოლოცამდე აწვდილ პიტალო კლდედ ქცეულაც, და რაგინდ ზღვაში-ქვიშად ბვერნი ვიყვნეთ, სულ თითო-თითოდ ვუყვარვართ, მაინც, იმას, გამოვუზრდივართ, და სიარული მიტომ კი არ უსწავლებია რომ დავადოთ სხვისკენ თუ სხვა საითკენმე, თავი, აბა იმას შვილი გინდაც სად უნდა წაუვიდეს რომ, ანკარა ლოცვა არ მოგვაწვდინოს, და ჩვენ კი-გაგვაჩინა,მაგრამ თავადაც ამ-ჩვენითგანვე უნდა ედგას ჯავრით დაღრღნილი და გამოჭმული, სული, ჩვენით ცოცხლობს და ჩვენი პურიჭმევისათვის, ანუ იმიტომ რომ ჩვენი დაკაცებისთვის და მერე კაცობისათვის აქვს ჯაფით დარღვეული და ჯაფითვე დაკემსილი სხეული,

ესაჩვენა კიდე, ზამთრობით მაინც, თვე ისე გავა არ დავხედავთ გინდაც უჩვენოდ სულთმობრძავი იყოს და არც მოვიკითხავთ, აღარცკი გვახსოვს იმისი ძალიან ჩუმი, თალხიანი, დედური ღვაწლი, და იმის გარდა ჩვენ კი რაღას არ მივდევთ, - ცოლშვილი? - ეს კარგი, მაგრამ როგორი ჭრელი მეზობლობა? - ესეც ვთქვათ კარგი, მაგრამ დედინაცვალი? და მხოლოდ იმისით, უფრო ყოფნა? - თან იმიანი ბუზიკა და იმის ტაშზე აცეკვებული ფეხების გასმ-გამოსმა და ამისათვის ზედმეტად ჭამა-ყლაპას და ჩაცმა-დახურვას, სტუმარ-მასპინძლურ, მასპინძლურ-სტუმარ ვითომ ძმაბიჭებს და განზე ფეფელოს, ჭიდაობას თუ კვანტის დადებას და ლახტობანას ვეღარ მაგრამ დაჭერობანას ძნელთამაშებიდან უფრო მივდევთ და თანაც ახლებურად, ხრიკებით გაუმჯობესებულად, ანგარიშიანი დომინო-ლოტო გინდა თუ გამასაჯანღებლად ყანწის დაკაკუნება ფრჩხილზედ, ოღონდ ეგ არი, დედის ამაგი აღარ გვახსოვს და, ხანდახან კი, იმის დამკარგავთ, გაჭირვებისას მაინც ისეთი სევდის კაეშანი მოგვაწვება რომ ნამდვილსავით და ლამისაა იქვე ჩავიკეცოთ და, ხმადაბლა, მხარუკუღმა ვიტყვით, წავალ, დედავ, გავივლი, გამოვივლი და ისევ მოვალო, და, ჩურჩულითვე გვესმის, რაკიღა გინდა, წადი, მიიარ-მოიარე და, ოღონდკი ისევ მოდიო. ისე კი, ძირითადად მთაგორიანია ჩვენი ქვეყანა, ეს, და კიდევ კარგი რომ, ხშირი კორომი (ნეტა რასა ნიშნავს) მაინც გვეფარება, და სულ არავინ რომ არ დაგვინახოს, მობრუნებისას, გადახნულ მიწაში პირქვე უნდა ჩავწვეთ და, ორ დიდ უჩვენოდ ამობრუნებულ ბელტშუა თავჩარგულებმა, სულ დანანებით უნდა ვიმეოროთ, - „მიგვიღებს, მიგვიღებს, დედას, ვუყვარვართ, შვილები“... მერე და რათა, რათაო, გამწარებულებიც დავეკითხებით საკუთარ გონს და, პასუხის მოსაძებნად თავს თუ წამოვწევთ, და მიმოვიხედავთ, ჯერ მაინც უფრო იმას უნდა დავხედოთ და, რასა ვხედავთ, ჩავჩერებივართ დედას, მიწას, მიწაა ზორბა, ნოყიერი, მუქად ხასხასებს, აი ეგარი თუ რაც არი, მარცვალს ჩაუგდებ და, ოც იმდენიან თავთავს ისე ამოგაშველებს როგორც რომ ვითომც არაფერი, და აღმოსაცენებელი მარცვალიც რამდენი გვეგულება ოღონდ ეგაა შენითვე უნდა მოიძიო, ერთსაც გაჩხიკინებულ ნერგს მიაბარებ და, პატარა ხანში ისეთი ხეა, სუბროწეული და ლეღვი სცვივა, სულ შენთვისაა, და რომ ისა გშობს და მეტიც უფრო, გვზრდის, ეგებ არ გვახსოვს, განზე მიუხვალ და სუბოლოსაც მაინც ისაა შენი წყნარად შემკედლებელი, იქამდე კი, ვრცელი გადიაც, და უყვედრებლივ მიგიშვებსა და დაგატარებს რაგინდ მომცრო იყვეს მაინც თავის ვრცელ გულზე, ერთი ეგ არი, ცოტათი უნდა მიეხმარო წვიმა თუ ძაან მოუნდება ისევ შენთვის და, აი ისევ ის წყალი უნდა მიაშველო, ისევ იმისი სიღრმეებიდან ამომდინარე და იმის გულ-მკერდზე გადმოვლილი და აი ეს შვებაც ისევ ჩვენთვის, ისევ ადამიანებისათვის, შვილებისათვის, უნდა, მაგრამ უფრო ერთიმეორის სისხლითაც გვაქვს მორწყული და, ყველაზე კარგად, გიორგა პაპამ იცის ეს, რომ ამაო არა მაგრამ, რამდენად უფრო ძნელია ახალგაზრდისა, ჭარმაგობამდე, მოუსწრველობა, ადრეც ხომ უთქვამს, ხმალ-შუბითაც და სიტყვითაც ხომ ძალიან მებრძოლს,

ცოდოა, მოკვდეს ვაჟკაცი,

საფლავში ჩაიმარხოსა,

მისი კოკორი ულვაში

მიწამან შაინახოსა,

და, გული რომ ცოტა გაიკეთონ, თვით მეფის შვილზედ ნათქვამ ლექსსაც, ამ გლეხის ბიჭზე, გადმოაკეთებენ,

ცანგალავ, ბეჟანას შვილო,

შენი ცხენი ხვიოდაო,

ლაგამსა და უნაგირსა

მარგალიტი სცვიოდაო,

და ამ სიტყვებზე ცოტათი მოუმჯობინდებათ დაჯიჯგნილი გული, და განა სხვაგან, სხვა სოფლებში რა, არ იკეთებენ გულს? იქაც თავისას დასცქერიან და, მოკლულს, ვითომდაც, არა უჭირს-რა, რომ პირიქითაც კი, ვითომდაც მხნედ, არი:

ვაჟკაცსა გულად მამაცსა,

სიკვდილი ძილი ჰგონია;

შინ მოტირალის მოსვლაი,

თავის ქორწილი ჰგონია,

მიასვენებენ, სამშობლოსათვის აჩეხილს, კიდევ სხვა სოფელშიაც, სხვაგანაც:

სამარისაკენ წაღება

თავისი სახლი ჰგონია;

შავსა კუბოში ჩაწვენა

თავის ოთახი ჰგონია,

და ამასვე აგრძელებენ, კიდევ სხვაგან:

ჭია-ღუების მოხვევა

თავის წვრილშვილი ჰგონია,

და ცანგალას კი, ახალქალამნებიანს, მეოთხე ფიცარიც რომ უნდა დაჰხურონ, ვეღარ შეიკავებს იმისით კენტ თავს იმისი საბრალო ყმაწვილი ცოლი, თანაც, იმისით კენტი კი არა, ორსულადაა; უყვარს; სადაა სამართალი, როგორ თუ ესეო, და სხვები თუ მთლიან ცანგალაზედ დარდითღა არიან და, გულმოკლულები, ასე ფიქრობენ:

ცოდოა, მოკდვეს ვაჟკაცი,

საფლავში ჩაიმარხოსა, ო,

ამ ცოლსა კიდევ, ცანგალასი ხან სხივიანი თვალები ახსენდბა და ხანაც მკოცნი ტუჩები და ხანაც კაშკაშ-ღიმილი და ცეკვა-თამაში და სულ მისი შუქურა-სახე ისე უდგას უკეთეს თვალწინ, დაბნეულია, და სამართალს ვერარი, როგორთუ, -

შენი კოკორი ულვაში

მიწამან შაინახოსა?-ო,ოო,

მაგრამ მსწრაფლ დადუმდება, და პირზედაც კი აიფარებს ხელს, რადგან ამ ლექსის გამომთქმელი, თავად, იქა დგას, გიორგა პაპაა ეს, ბერიკაცი, ვისაც რომ, წუთისოფელზე, ისეთი ლექსები უთქვამს? - ძნელი:

წუთისოფელი რა არი,

აგორებული ქვა არი,

ბოდიშს კი ვიხდით ფილხაზუასა აღნაგიშვილთან ასეთი რითმებისთვის, მაგრამ ცოტათი უნდა მაინც გავაგრძელოთ,

რაწამს კი დავიბადებით,

იქვე საფლავი მზა არი...

დინჯად დასცქერის გიორგა-პაპა ბიჭსა ცანგალას და, რაც თავი ახსოვს, ცანგალასაგან ცუდი რამ საქმე, ან სახემჭმუნვი განაფიქრიც კი, არავის ახსოვს, არც აქ-დაბლა და, არც იქ, ფიქრებში, და რაღაცა კიდევ უნდა უთხრას გიორგა პაპამ სოფლის მლხენსა, ზეიმს, შველას, მისწრებასავით ამ ცანგალას, გინდაც ყოფილს და, იმისი ცოლიც, როგორის წრფელი მოწიწებით, ნელა დაიხევს, ახლა მუცელზე ხელისგულებმიდებული, და გიორგა პაპას იმედით შესცქერს, ცანგალაიანი კუბო კი უკვე საბოლოო ფსკერზე დაუსვენებიათ, გორახები ყრუდ ეცემა, მიწა ეყრება, და ჩვენს, დედისას, მიწის, სამშობლოსას თითო პეშვს მივაყრით, ხმა ამოისმის? - კუბოზე მიწის ჩაფხაჭვნა და გორახების ყრუ და დაბალი გრუხუნია,ე?, სად ხმარობენ ფართე ნიჩაბს, მთელი სოფელი უხმო ზარითა და ვიშით ვიოხებთ ჩაფხაჭნილ გულს, და, რა ტყუილია ზოგიერთი გინდაც რომ ვითომც ცოტათი გამართული ლექსი,:

ბედიც და უბედობაცა

გულის ფიცარზე სწერია,

სიცოცხლეს ვერსად იშოვი,

ცამდის რომ აჰყო ხელია,

რადგან ის ზორბა ბერიკაცი, გიორგა პაპა, ბიჭ-ცანგალაზე ახლად ამოზრდილ გორაკს დაადებს დიდ, ფართო, სუმთლად დაკოჟრილ ხელისგულს და, ზოგიერთთათვის დიდად გაუგებარს რასმეს, ამბობს:

საცა სოფელში მიხვიდე,

სუყველგან ორი გზა არი,

და კი ხვდებიან, რომელი გზაც მიიღებს ცანგალას, მხიარულ კეთილს, გუნებიანს, მაბედნიერებელს, უხვს, ცანგალებისთანებს ხომ ხანდახან გულქართლიანსაც ვეძახით, ოღონდ ცოტათი წლოვანს, მაგრამ იმისი ცხოვრებაც, რა იყო და პირზეღიმილი და ცეკვა და, შრომა, როგორის ბევრის დიდ-სიმღერა და შრომა, გულღიმილიანი, შრომა, და, სამშობლოსთვის რადგან იმათში ვეღარ არი, სამშობლოსათვის დამარხულისთვის, გიორგა პაპამ რაღაც რომ უნდა თქვას წინაებზედაც კი, მეტად საღი, მართლაცდა, იტყვის, თანაც ისე რომ, ხალხს მოუბრუნდება, ყველას შეხედავს, მზერა სწორი აქვს, დაჯერებული, და რიგრიგობით შეშჩერებია ყველაზე მეტად იმის აქაურ ერთ დედას და, მერე იმის ცოლს, მერე მამიძმაიმისს, მერე მთელ ხალხს და,

მხოლოდ კენტად-ხუთ სიტყვას იტყვის, ოღონდ იმედად, ოღონდაც, ასეთს: -

ცანგალა საყდარს შევიდა,

ყურძენი შეიტანაო.

20.

ამ დროს კი შენ ვერ შეაჩერებ, ნახატ-სურათი კი არაა, სუმუდამ გადის.

საფლავებზე ხომ, ყვავილებიც როგორ არ მიაქვთ, ხან ვარდებნი და ხანაც მინდვრის ვითომდაც ჩვენის ჭკუით მთლად მოუვლელად და უპატრონოდ ვითომც რომ, ამოსულები, ჩვენს უკითხავად, სუსტებია და გამძლეები და ფერად-ფერადი; მოწყვეტილები, უფრო ჰხმებიან, მერე თუ ქარი დაუბერავთ, აბა ქარსაც რა შეაჩერებს, მიაქვს და მიაქვს, და პატრონმა უფრო ხის დარგვა იცის ყოფილის კი არა, უფრო შეახლოებულის, გარდაცვლილის, თავთით, და მიკარგული კი არა და, გახშირებულია როგორ ისა, გარდაცვალებული, ძალიან შენი, თვალისთვის გინდა თუ მხოლოდ შენ რომ იცი იმ ფიქრებისთვის, თავთან უფრო კი - ტირიფს ურგავენ, ქარი ხეს აბა როგორ წაიღებს, ააშრიალებს მარტო, და ჯავრზე ესაც ცოტათი კარგია. ეს დრო კი, აბა რა ჩემი თქმა უნდა და, მიდის, მიდის, ადამიანებმაც, აკიც ვიცით, გინდ თვით დედა იყვეს და გინდაც უფრო მწარე და თუნდ მთლად უცხო, ჩვენგან მიდიან ეს, თორემ, არიან, ნეტავისად, ან ნეტაროგორ, თვალისათვის კი, ხე კი უფროღა გვრჩება აქ, და იმისი მორწყვა ხომ - გულებისათვის, კარგი, მაგრამ თავისითაც, მთლად უჩვენოდ, მეტად იზრდება, თავისით როგორ და - ეს უადამიანებოდ, თორემ სულ იმისია მიწა, წვიმა, და მზე ოღონდ მარტოდღისით, თუმცა ღამეც ხომ ისიც მზისია, ისევ იმისგან არი... უიჰო ჰაერი, თანაც გაბმულ და შეუწყვეტლად, სრულოცდაოთხი საათი - მთელდღე, ჯერჯერობით ხომ, ყველა ესენი, სხვისა არ იყოს, გვაქვს, და შებერებულ სასაფლაოზე მერე რომ კარგა დრო გავა, გასულაც-აი, ჭირისუფლებიდან აღარავინ სჩანს მიმსვლელ-მომსვლელი, ვიღასღა ახსოვს ორას-სამასი თუ ეგებ მეტისაც წელიწადებით წინანდელები, სულ რაღაც ასიოდ კინკილ-წელიწადში თვითებ ძაანაც ენერგიულებ კეკელა და იმის პირიქით-მართასაც კი მოჰრევიათ დრო, დრო, მორევია, ჩამთრევია და წაუყვანიან მთლად როგორ უცხოდ გაყუჩებულები თანაც თავიანთ ფარულ-გამჟღავნულ

წითურაიანა, თანაც კეკელასიც და მართასიც გულის ხიწვ-ნადებს, ეგებ, იმდენი როარ ენერვიანათ ესენი, ასწელი რაა, მეტსაც გასძლებდნენ, მაგრამ ხანდახან აბა რათ გინდა; ესა მწითურიც, დროის ხანებში, გამოიცვალა რო? გამონაცვალი, გამოფიტულივით, გახდა; ქალებს რომ დასდევდა ეს კი ახსოვდა, მაგრამ თუ რისთვი, ეს ვეღარ; და იმათ დროიდან, აქა, ჩვენთვის, თვალისთვის, ერთი, ხეებიღაა, რადგანაც აბა სოფლის იქნება თუ ქალაქ-რაიონის მითომდაც საგანმანათლებლურ კლუბურ ეზოებში აბა ვინ-რომელ ოხერს მოგვაჭრეინებენ შეშად გინდაც იქაურობის თანამედროვედ გამორჩეულად გზაკვლულნი ვიყვნეთ, ძველ თლილ ლოდებს კი, ვიყენებთ, რაღა, კერძოობისთვის აგვიღია, და ისა ძველი სასაფლაო, უმცირეტაძროც, ეკლესიები ხო ბევრი ანგრიეს მარქსტულბიჭებმა, და სწორედ ისა ეზოიანი სოფლიკლუბადღა გადაკეთებული ნასასაფლაოარი სოციალისტურ ბიჭებითვი ხომ ადგილია რომ, მისწრება, შვება, გრილუანი, ცარიალაღა ჰაერ-კალორია, რამე, და გაზაფხულ-ზაფხულ-შემოდგომობით უფრო ვიყენებთ ეს საქმიანი ჩვე-ქართველები, რაღა, ადრე თუ იქა ლოცვა იყო და გალობა და მაღლისკენ ფიქრი, და სოფლის მცირე ეკლესიასთან საფლავებისკე წყნარული გლოვა, ახლაკი, ხან მპირებლური ლაპარაკი და ხან ზეიმურა კანტატები გამოისმევა კულტური-სახლებ-მიმაგრებულ ვერცხლისფერაულ დიდ ტიტა-ყვაილისებრ ოღონდ უკუღმად მოყვანილობის რადიოდგანა, თავზედ დაგვძახის რეპროდუქტრულად ახალ-ახალ და ქორფად მწვანე მაგრამ აჭრილ-დაჭრილსა ყურის ამბებსა, მაგრამ შესვენებანიც აკი ხომ გვინდა, ხალხნი ვართ ჩვენცა, და შიგადაშიგ იმიდან ჩვენი (ჩვენია მა რა, წინაპარი) მოგონილი ხალხურა-მღერაც კი-გამოისმის ჯაზებებშუა პოპებროკულში მაშ განა მართლა ისე კი არ არი საქმე რო სულაც წაგვართონ ჩამორჩენილი სიმღერები, არა, მგეგმავნი, სხვადასხვანაირებია, და ციფრიანნი, ლოტოს კოჭებივით, თან - მკარნახევები, რამე, ევალებათ ესაც, გვახსომსო აემ მღერების ლექსებიანა სიმღერებისც მამგონებლები ვის წაშლილ საფლავებზედაც კოხტად დამჯდარან ტირიფებსაქვეშ სოფლის ტალიკ-საბჭოთა და სოციალისტურად ტალიკი ბიჭები, არა, იმათ საბჭოეთობის და სოციალისტურობების დარდი კი არა აქვთ, არა, არამედ მხოლოდ შეწყობილები არიან დროს და ოღონდაც სწორედ რომ ძლიერ კარქა, და იმათ თავიდან თუ შიშით თუ გამოუცდელობით მარწუხწეს-კოლექტივი იძულებითად ატყუებდათ, ახლა ისინი, დროშაიცვალა და - ულვაშ-სუახალ-შაკოკრებულზეც ატყუილიებენ კოლექტივსა თუ რა ქვია კიდე, მოკლეთ ასე თუ ისე და მეტ-ნაკლებად სოციალ-ხმაშეწყობილნი დემოკრბიჭები საბჭოეთობას მერეცკი კოხტად ფეხაწყობილნი - ის მერე რა რომ, ვიღაცასდაყრილ მიწებზე სხედან - ბიჭად-ბიჭური მოუნათვლელნი ნაბიჭადარი თუ ცაცხვიქვეშა ჯეილები კოხტად დამჯდარან თავ-თავიანთებ კურტუმ რა იყო საჯდომებზე აი იქა და ისე მარჯვედ კარტაობენ, მოსაწონარი, იმათ კიტაროზ-თამაშები დაუსწავლნიათ სხვადასხვა მუხლურ-კოდექსიანნი რომ, სულო და გულო, - სეკა გინდა თუ დურაჩქა გინდა თუ ჰაჩკოი გინდა თუ ფურთი გინდა და კიდე რა ვიცი, მაშ აბა ისე-უვარჯიშებლად ქალაქში ჩარჩად გადასულები აბა ეგრევ-პირდაპირ როგორღა ითამაშებენ პოკერი-გინდა თუ პრაჰფერანსსა, და სოფლითამაშებ რო მეტი გაქანება ქონდეს აკი ისედაც გამქანავებელურსავე ფულზევედ გულანთებულად თამაშობენ, კოხტად იციან რამე იყოს გულისა კიკოს ამოღება კარტის დასტასქვეშ, ზოგნი იგებენ, მეტნი აგებენ, მა როგორ გინდა მაშ ცხოვრება განა ისედაც აგრე არარი განა, და აბა რომელი დაკვირვება და სულაც

შტატსცკური ლეიტენანტი იმას უნდა რომ მოგებულები თვალით ხარობენ, წაგებულები კი გულებჩამწვარნი მეტად არიან დაიწოს იმათი სხვაცა დამწველი სოფლელი გოგო თუ ქალაქური ამაყუნელა, ფული გინდაც აი ამათზე ბევრათნაკლებათ ქონდეთ ჯიბეზე, ამათ როგორღაც ზემოდან ჰსცქერენ, თუმცა, რაღა მარტოღა ქალაქელები, ეს გუშინდელი სოფლი-გო-ებიც ისე ისვამენ გინდ ჰავტობუსში თუ ელექტრიჩკულ-ტუალეტებში იტალიანურ ფერუმარილებს?, ლოყებზედ შაჰხედ? - ჰაიავატაა, თვალირგვლივ შაჰხედ? - მთლადაც ოტელო, ბლუზკაზედ შაჰხედ? - ისეთი რამე ფარშავანგია, სუთვალებიდან დაბარბაცდები, შუბლზე შაჰხედავ? - გაჭირვებული ბიძია თომას ქოხიღა, არი, შიგნით არააქ არასფერი, უკნიდან შაჰხედ?, ისე უჭერს რო, გაჭირვებასა, არი, და აბა ის მოგაქცევს შენ ყურადღებას, თუ ტალიკებშუა უფროც მარჯვე არა ხარ, ბიჭივ? თან იმანთიანთ ამაყობებში იმასაც კარგა გააჩნია თუ, თუ რომლიმამას ფხა გამოაჩნდა უფრო მეტი, ბენზინ-ღვინოში ვინ უკეთესი ალქიმიკია ის მერე რა რომ არ იციან თავ-თავიანთურ პრაფესიების მოსარგი სიტყვა, ეს კარტაობაც, დამწყებლური, დურაჩქაული გინდა თუ რა, ტყუილა კიარ არარი, კაცო, მომავალისთვინ, ვარჯიშია, მაშ, და ეს ეგ ყველაფერი ხომაც ცხადია, ერთი ეგ არი ნეტა ლენინიანი ფული აბანეტა სად იბეჭდება, თორე სხვაყველაფერი - ცხადზე ცხადია, და ფულის შესწავლაც ეგ აბა რა ჩვენი საქმეა, თავისი მაყუთისა და იმაზე ზედაც ხრიკებისა ისევ მოხალისურა პატრონ-აღმზრდელა-რუსეთმა იცის, პატრონტაჟიან-სტაჟიანმა და იმათი ყოფა აბა რაჩვენი ხმივი საქმეა, მაშინ ვითომ იმათსზე დამოკიდებულებისა და ახლა ვითომც დამოუკიდებლებისა და რა გავაჭირვე მეც ამ თავისუფლებებზედ საქმე, სუერთი არაა?, თამაშებითვინ მაინც, მოკლეთ, ვკარტაობთ, უფრო მარჯვენი აკი მეტკალორიულ კოხტა კიკოს სუ ჭადრაკულა-დიდოსტატურად ამოუდებენ კარტისა დასტას ქვემო-ქვევიდან და თუ ვინძლო დაშჭირდათ, ვითომცაც ბედით სწორედ ისა მოსდით, ეს კარტაობა, კარგი რამეა, თუკი გაიწაფევ, კარტებიც, კარგი, გინდ შავი იყოს გინდა წითელი ოღონდ გააჩნია თუ, როდის რომელი დაგვჭირდება, ხანდახან რვიანი სჯობიან ათიანსა, ცხოვრებასავით არი რაღა, საინტერესოვია, თანაც, ჯერ ერთი იმითაცაა კარგი რამ რომ - ზიხარ შენსავ საკუთარ და არა სხვისა საჯდომზე, დამოუკიდებლათ, დამოკიდებულზედ, ჰზიხარ, მჯდომიარე ხაარ და, შენივ თავსავზვე თავმჯდომარე, და თოხს მოუკვდა სოციალისტური წიგნაკ-პატრონი, თოხს რა, მჯდომლურად მაიქნევ შენა? თოხის მამგონიც... პარტბილეთი და იმისი ჯანი, თუ გაგიმართლებს, ცოტათი ძვირი კია კომპარტიაში წევრობად შესვლა, მაგრამ ეგ არაფერი, ამაიღებ, იმას კი არა, ფულსა, მთავარია რომ, ჯერ გაიწაფო და ეგებაც კარტით იქ შასასვლელი (პარტიაში) ფული იშოვო კიკოვ, შე ძველო, თოხის მამგონიც... თან, კარტაობა ხომ, თანაც ჰინტერეს-მღვივებელია, აბა რა იცი, სხვისის ხელიდამ თუ რა მოგივა, გულის ქალი თუ ყვავის ვალეტი, და პაპა რომ პაპაა, ორფერისაა, ორნი - წითელნი, სოციალისტურნი და ორნიც - შავნი, კაპიტალისტურნები, დაიწოს იმათ ორივესი მამგონ-შამქმნელნი, მთავარია თუ, რა კარტი მოვა, რამტელჯერ გითხრა ხანდახანრო რაღაც მეტად უბრალო შვიდიანი რამდენათა სჯობს ზედმეტ კიკოსა, ტუზმა-რა, ტუზი ემახე და ზედმეტობაში დაწვა-რამ იცის, რამდენ-რამდენ გვაქვს შეცდომები, აი თუნდაც რომ აემ ბიჭებზედ სულ ტალიკ-ტალიკი რომ გავიძახე,ცოტათიც მეტი ხოარ მომივიდა, არა, ტალიკ-ტალიკნი კი, როგორ არ არიან, არიან, კიკი, მაგრამ სიმართლე-სიმართლედ და,

მხოლოთ ცალფათ, თუნდაც ბეჭებში, რადგან ტალიკ-ტალიკი მოხდენილთან ერთად ხო აკი მხარბეჭიანსაც ნიშნავს სადღაც, ხოლო ამათკი ცაცია თუკი არარი ვინმე რომელიმე ამათ მარჯვენა მხარ-ბეჭი უფრო ააქვთ, კიღა, განვითარებული, რადგანც კარტაობისას ეს ცალი მხარე უფრო ირჯება და ქნევაშია, - ჩამორიგება გინდა თუ, უბრალო ქალზედ კოზირად-გამართლებულ ვალეტის დახეთქება, ცხოვრებასავითაა, რაღა, რომელი-რომელს გადაეფარება, როვერ გაიგებ ჩამორიგებამდენ, და ეს ვაჟურ-ვეჟები ცალმხრივებად გამოწრთობილნი თუმც კი-ებია, მაინც კარგირამ რამე არი კარგის რამეა ე სოფლიკლუბი, ქალაქში ასე ბუნებრივათ ვერ ითამაშეფ, გინდ ჩრდილიც ქონდესთ, წიე, ქალაქელები უფრო ზედაც და ქვე გაპრანჭულებია, ბოშო, იმათ მაგიდა უნდათ, რამე, სკამიც რაც უფრო უკეთესი აქვთ საჯდომითვი ის კიდოუკეთესი სკამი-რამ არი,რამე, თან იმათ კლუბნში სერიოზულნი უფრო ცეკვებია ვეფხისის მადლმა ქალწელთმოხვევნურ და ლოყალოყაზედმიხუტებულ ტანგოოოიობანას გამომჟღავნებულსა რომ სულაცრო თავი ვანებოთ, არადა როგორი ლოყაზედ ლოყისგანლოყის გა, სა, ნე, ბე, ბელია, ჰიკ!, ეე, მაპატიეთ, იმას ვამბობდი, ჰორაღა ემ ჩამორჩენილ ქართულ ცეკვებშიც სათაურითაც როგორ გააქვთ, ოხრებს, თავი, მაშ უსათაუროდ ვიღა შაჰხედამს იმ ძველ, დაგლეჯილ, ნაფტალინდაყრილ ძველურ ცეკვებს, აკიც ხომც უნდა გამოცოცხლება და, სახელდებები იციან რო, ნერწყვი მოგივა, თანაც რო, ბიჭოვ, მაინც როგორი ინტერნაციონალისტურებია, ისე სუთავისუფლათ შაიძლება რომ, გუდამაყრულსა ელვურ ცეკვას ქვედაკასპური სიუიტა დაარქვან, ანდაც სულაც ზემოძეგვური სიუიტი, ვითომც რომ არაფერი, და ნეტა იმ უცხოურებსაც რათ ივიწყებენ და ვითომ რა, ცუდათ იჟღერებდა რო გინდაც კოჯრული კრაკავიაკი და რამე?, თანაც სახელი არნოლდ ქალაქში თუ კარგა სრულად ჟღერს განსაკუთრებით ჰავლაბარში, სოფელში ხოლოთ არნოი-ა, ქალაქი სჯობიან, ტალახიც აკი ხომ ნაკლებათ იცის, და ტრამვაებ რო სულაცრო თავი გავანებოთ, აბა ზემო ნიჩბისიდან დაბლა-მცხეთაში ელექტრიჩკული მეტროთი აბა როგორღა ჩახვალ შენა რაგინდაც რომ გულით მაინდომო? -

ქალაქი სჯობიან.

მეტი სულელია იქა.

სოფლად რა, თუ თითოოროლა გიჟი თუღა ჰყავთ, იქა, აქა, ქალაქში, თვით პარტიების მეთაურებიც გიჟმაჟებიდან უფრო მეტნია გინდაც მთელ ზემო-ქვემოურ მაჩხაანში, ქალაქი მეტად საინტერესოა, თანაც იმდენათ გატურისტნულდა, ზედწინ მთავრობის სასახლისა წინ იმდენ კარავს დასცემ, რამდენსაც გინდა, მოწონებული, თანაც გაჭმევენ, გასმევენ, აბა მაშ მარკო პოლო რო ყოველ წვიმაში ილუმპებოდა გინდაც მძინარი ის იყო საქმე? დავწინაურდით, მაშ, თან მარკოს პოლო რო იტალიიდან ჩინეთებში და დასაკარგავში მიდიოდა, რა დაჰკარგოდა იქა, ჩვენკი, მარჯვენი, ქართველებნურნი, საქართველოდან საქართველოში ჩამოვსულვარნთ, ეე, ავიგეთ ბროლის სასახლე კოხტად ნაგები ბრეზენტისაო, ჰეეე, საჭმელიც - გვააქ, სასმელი გინდა თუ ინდისხურმა, ნეტა რომელმა ჭკვიან-სულელმა მოიყვანა რო, ჩვენთვის, მარტო პარნტრიოტობას კი არ უნდა ცალ-ცალკი შრომა, და იმასაც რო გაიძახოდნენ, ახალ-ლიდერი შემოგვემატა ერთიც ძლიერნი, ჯამბაკურ ჰქვია ძველქართულიო, ნეტავი იმის გამზრდელსაო, იმისსა ასეთაურის

აღმზრდელ-დამყენებელსაო, დიდ განათლებულს ამბობდნენ იმაზე, იმდენად დიდს რომ, მიტინგებისას მარჯვენა ფრთას ის მეთაურობდა, და, წერეთლისა არ იყოს „წერეთელმა თქვაო“, წამდაუწუმრად გაისმოდა, „ჯამბაკურმა თქვაო“, „ჯამბაკურმა ისა და ეს თქვაო“, „რა თქვა ბიჭო რაო“, და იმდენად კარგი და ღრმა რამ უთქვამს, რომ ემ უბრალოებ-სიტყვა-სიტყვით თურმე ვერც გადმოიცემებოდა, მაშ, არამედ მხოლოდ მრავლისმეტყველად, - „ჯამბაკურმა თქვაო“, მაგრამ ზოგიერთი პარნტრიოტულად ცნობისმოყვარეები თუ არაპატრიოტულათ ურწმუნოები: „მაინც რა თქვა ბიჭო რაო“, რაო და, პასუხობდნენ ჯამბაკურისა შედგომილნი, - : „რა და, ჯამბაკურმა, თქვაო“,

ხოლო უღირსი რადგან ვერ დადიოდა მიტინგ-ბრიფინგულ-თავშეყრილობებზე, რადგან იმდროინდელ განსაკუთრებით დაუდგენელ საქართველოზე მეტად, თავისა სჭირდა, გინდაც მხოლოდ თავისთვის ყველაზე კარგი ბიჭი, აღარ ჰყავდა, ეს აქ, თორემ ისე და რაც მთავარია, იქ, როგორ არ ჰყავდა, მაგრამ მონატრება, მონატრება, მონატრება ეს, და შექუჩულობებისკენ თუ ადრეც, აქაბიჭიანს, არ მიუწევდა გული, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაღაც აუცილებელზე სახლიდან რომ გამოვიდა, და მერე სასაფლაოსკენ აუყვა, იქკი რომელიღაცა იმთანამედროვედ გამოჩენილის სიმამრის დაკრძალვა თუ წლისთავი იყო, ისეთი ძრიალ-ფიგურები (სუცოტა, ორგვარია) შეინიშნებოდნენ და თანაც მიკროფონურის ხმით, და შთაბეჭდილების კარგად მოხდენას ისე ლამობდნენ, და თუმცა უღირსს იმათი თავი სულ არ ჰქონდა, მაგრამ ყური - მაინც ყურია, უნებურად-აც ისმენ, თვალი კი არაა რომ მოარიდო, მოშორებიდან კი, აღწევდა ხმა და გამოისმოდა ისეთი სიტყვებიც როგორიცაა „დედასამშობლო“, „ლეგიტიმური“, „სრულიად საქართველო“, „კონცეფციური“, „ნოე ჟორდანიას შვილი“, „შეგირცხვა პატრონი“, - ვერ შეიკავა თავი და ასე შეუსაბამოდ გაიფიქრა უღირსმა, „იმპერიალისტური ძალები“, „კონსესუალუროული“, „კრემლი“, „დიდოსტატი“, „აგენტი“, „დომენტი“, „ბლოკი“, „პაჩკა“, „დიდადა ვწუხვართ“, „ეროვნული“, „დარბაისელი“, „თვითმყობადი“, „საცხა“ და უღირსს თავისი კი სჭირდა, მაგრამ უნებურად მაინც შეიქნა მოცემულ-დაკრძალვ-ხელსაყრელ-მიტინგის თუმც უშუალო არა მაგრამ შორიახლო მონაწილე, მერე კი, მეტროს მატარებელში რომ შევიდა, თავის გაჩერებას რამდენიმე სადგურით გასცდა, ამოვიდა იქ, რომელიღაც უცნობ სადგურზე, სადაც არავითარი მოგონება არ აკავშირებდა, იყო თბილისში მისთვის ასეთი კანტი-კუნტა ადგილებიც და, რაღაცა უცნობ ჭიშკართან შეჩერდა, იქვე რაღაცა ბაღიც იყო, შევიდა, ჩამოჯდა, წავიდა თავის ფიქრებში თუ მოგონება ქვია თუ რა, მაგრამ იქვე შორიახლოს ისე გააკნაწუნეს მზესუმზირა, - თვალიც რა, უნებურია, ყურივით, გაიხედა, და შეხედა და ვის ხედავს, - ჯამბულიაა, ფეხზე მდგომარი,

რაა ბუნება? - დაკაცებულიყოსავით,

რაღაცა მაინც მოთბო რეჩხი მაინც უყო გულმა, ის ძალიან ახლობელი ძმაკაცი, ჯამბულიასი როგორ ადრე, ასე ოცი წლის წინათ, გამცნობი, აღარც ის იყო აქ, გარდაცვლოდა, მაგრამ იმასთან გინდაც შტერა-დაკავშირებულს, ჯამბულიას-ემ, იქვედ ზეზეურს, მაინც როგორღაც უნებურად და მაინც რომ გულით გაუღიმა,

იმან ჯერ სახე მოარიდა, მერე, კი, უღირსმაც რომ გამოიხედა და თავისა დარდი, განაგრძო, იქვემდგომელა ახლად ჯამბულია, არ მიახლოებია? უთხრა:

- გეშლები.

- რა...

- რა და, გეშლები, ვიღაცა ხარ შენ, გეშლები მაინც, ნატურში,

- ვისში...

- ვისში და სტარში არ ვიცი მე, დღეს სუყოველივე თანაბარი ვართ, გასთავისუფალ საქართველოში... ოღონდ ჩემი და კიდო ზოგიერთების გარდაია.

ჯამბულია იყო, კი.

- რო მომაჩერდი და მომაკვირდი ამისის წეხან, შენ რა, მეტი საქმე არ გიჭყივის? დაგიღია თვალი...

არადა, მშვენიერი კარქათ ეცვა, ორბორტიანი ზღვებსიქითურა უცხო პერანგი, შავი „ინსპექტორ"-ფეხთსალაგსაცმელი, შავად სტილნური პერანგი შვიდგან შეკრული ღილითა რათა აგრეთვეც დუქანი უცაბედად ღიად რომ დარჩენოდა სტუმართმოყვრულად, გამოჭყეტილი კაიპერანგი სიშავით მაინც არ წარგტაცებდა მაყვალისავით ინტერესებიანი ქალის თვალს, ყვითელზოლებიანი შარვალი ჩემო ბატონო, თანაც ორივე სრულად თავითბოლომდე ტოტი ერთნაირი და ერთსიგრძეზე ქონდა უკიდურესი სანტიმეტრობით, კი, გულზე - ემბლემა სრულიადური საქართველოსი...

- ადამიანი ადამიანს როგავდეს რაა ამაში საკვირალი და სამარცხვინო რასაკვირველია სუყოველივე ერთიადამის შვილები არვართ ჩვენ? ოღონდ შეხედულობით მარტო, - ასე განაგრძო იმან, და ახლა მაინც ნამდვილა კენტურ-ჯამბულია იყო, კი, კიკი, - მაგი კი არა, ხანდისხან რომელიმე სახელები ერთნაირათაც კიიწყება, როგორიცაა მაგალითად შუქრი, შურიკო, შუქია, შურთხი, შავიშვილი, კიდო შუქური, შუბლი, ხოშტარია, წულეისკირი, ნემო,

ეჯავ, ბილბაოოუვ, რამდენად უფრო უცოდველო, ხოლო ეს -

ჯამბულია იყო, კი.

- იმდონს ვეშლები ვინცხაოხერა ჯამბულიასთან იმის კეთილებს დავასხი თავსხლაფი, აღარაა, მოკლეთ, საშველი, მარა რო დავუცაცხანეფ ჩემებურათ ჩერდებიან მერე და სწორსაც არიან თორე მტერს მოხვდა ჩემი ხელი და მარჯვენაკიხო განსაკუთრებით, - აღნიშნა ფსევდოარჯამბულიამ, - წევიდა ის დრო გარაჯშირომე იყვნენ დიდ გულზე, მაგრამ მე სხვა ვარ თავიდან ბოლომდე ყველაფრის ჩათვლით, დამოუკიდებელი, შენ სისულელე თქვი თორე აბა რა მინდოდა მესულელს სვეტში, რა ბიჭი იყო არა, ლადო?

რაღა თქმა უნდა, ჯამბულია იყო, კი.

არ გაუვიდოდა წყალი.

შესაძლოა, ღვინო.

თან, ლადო იმათ გამცნობს, უღირსის როგორ მწარედ გარდაცვლილ, ძმაკაცს, ერქვა,

-კაცო, ვინცხაღინ ოხერია, ზოგი მამსგავსებს იმას, და ჯამბულიას დევირქმევდი მე, ქართველი კაცი? მამულიშვილი თანაც, სუპრიამოი ლიგიტიმურათ...

აქ უღირსს მაინც გაეღიმა:

- ბავშვები რომ არ ირქმევენ სახელს?

- მართლა? ხოიცი... შენც კაი მაკვარანცხი ხარ, ლადოსავით. მარა მამაჩემი რატო დამარქმეოდა იქნებოდა მასეთი სახელს, ყველაფერში კიარაა ქვაზე დახატული ის.

ჯამბულია იყო, ჰო, კი, კიკიხო, დიაღ,

ნამდვილათ, კი.

უღირსმა სიგარეტი გაიმზადა, დიდხანს ამუშავებდა „პამირი“ -ს უჯიათ ღერს, მერე ასანთი ვერ მოიძია,

- ცეცხლი გინდა ხომ? წუთში გაგიჩენ სუყველაფერს... მოიაქბიჭო!

წუთში კი არა, წამშივე გაჩნდა იმათთან ოთხიდან რომელიღაცა ავტომატიანი,

- ცეცხლი მოუკიდე ამას, ჩვენია, პაპიროსზე, კი. - აუხსნა ჯამბულმა.

უღირსს ეგონა თუ, ავტომატიანი ერთს მაინც მიაგინებდა დამკვეთს ასე ტყვილა-შეწუხებისთვის, ავტომატოსნები ხომ ძირითადად ჯიქური ხალხია, მაგრამ,

- კიბატონო, - თქვა აღჭურვილმა და, აასრულა კიდეც მითითება, ოღონდ ცოტათი რომ დაიხარა,

- გაწიე ბიჭო მაგი იქით არ გაგივარდეს, თოფი ეშმაკისააო, როდის ამბობდენ მაგას ჯერკიდე თოფამდე შებლუ...

ახლა კი ნამდვილად გაეხვეოდნენ რაღაცაშარში, მაგრამ შეიარაღებულმა, - კიუმფროსოო, ისევ.

- წადი ახლა შენ სადღაცას უნდა იყო ახლა.

წავიდა. ბიჭოს...

და შორიახლოს შეჩერდა და, სულ სხვა-ღა გახდა,

აბრიალებდა, თვალს.

- ჰეე, მომაწევია ახლა მეც და, რაგინდა ჩემგან, მარა რა უჭირს, ბნელში მოვწევ მერე...

- ბნელში რატომ...

- რატომ და კვატა... არ ვეწევითქვა, თავზარის ერთხელ ასე ვუთხარი.

- ვიის?

- ხოდა შემაქო, სწორი ხარ შენო, კვამლით არუნდა დაიბურანო თავპირტვინიო, ყოჩაღო, მითხრა, ხალხში მითხრა, ა როგორც ახლა მედაშენ ახლა, ისეთი ახლოს ვიყავი იმასთან ერთხელ, ისე კიარაა უბრალოთ რომ მიჭირავს თავი, და ყოჩაღო, პირდაპირ მითხრა,

- და, მაგიტომ არ წევ?

- აბა? თავზარიც არ წევა.

არა, ერთის მხრივ ჯამბულია კი იყო მაგრამ, რაღაცა სხვაშიც უნდა ყოფილიყო საქმე. ავტომატურებსაც გახედა და,

- აბა, ის ჯამბულია სულაც არ ხარ, არა, ესე იგი შენ?

- აჰ, არაკაცო, ხოარ გაგიჟდი...

- და, რა გქვიათ მაინც ამ შემთხვევაში აბა?

- არ მიცნობ ბიჭო? გადასარევი... რა მქვია მე და, ჯამბაკურ მქვია, -

აჰ!

ნუთუ ის იყო, მომიტინგრული მარჯვენა ფლანგის ავანგარდულად წინამძღოლური სარდალი და სულისჩამდგმელი და თითანსუწინა ლიდერის-ა გვერდითმოქმედი და თანამორბედიჰ!.!

- სუძველქართული სახელია ის...

- რომელი...

- ჯამბაკურა, რომელი, აბა ჯამბულია რა ჩემფეხებია. და რა შავქვა მინდოდა მე იმ გარუსებულეფ ანგლისკი სცვეტში, ლაპარიკობენ ბევრს, და ქართულის რაფრათ ამახინჯებენ გასკდები გულზე თუ იცი ეს შენ ვიღაცა ხარ შენ და ოხერი,

კიდევ უღირსი იყო ოხერი?

- როარ მიჯერეფ ჯამბაკურობიას, სულე არ გრცხვენის? გამომცადე და, აგერ არ ვარ მე?, წუთში გაგიჩენ და მოგიტან მთელ სუყველაფერს მოგითხანობის არ იყოს, ბიჭო,

აქ უღირსს ცოტა მართლაცკი აექავა მუშტი, მაგრამ იქვე გადაიფიქრა, შიშითაც კი - „აჰ! არა, არა“, რადგან ძალიან უნდოდა, სურდა, როცა იქნებოდა და აქ აღარ

იქნებოდა, როგორმე ისე გაეძლო იქამდე, რომ ერთი თავისიც ადამიანის გვერდით მოხვედრილიყო. თუნდ, ოღონდ მხოლოდ თვალი მოეკრა, გინდაც ძალიან იქაურული შორიდანაც კი, რადგან იმამდე, მასთან ყოფნამდე ბევრი აკლდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა როგორმე შორიდან რომ დაენახა,

ეს უცნაური რამაა, ძალიან - შვილი თუ მამად გადაგექცევა, ანუ ძალიან მეტად შორიდანაც კი, გზრდის,

- სად ვინცხასულელი ჯამბულია როუჩაქუნებდენ თავში და სად მე, მარჯვინა ფრონტის ხელმძღვანელი და ყოვლათ სტატუსი, ომია ყველაფერი, გაგიგონია? მანახა მაინც ნეტა თვალით, ჯამბაკურასმე, იგიოხერი მენახოს მაინც ნეტა თვალით,

„ისემც... - მსუბუქად გაიფიქრა უღირსმა და, - ნუთუ სარკეში ერთხელაც არ ჩაგიხედავს“, - გაიხუმრასავით, ფიქრში, მაგრამ მაშინვე იქავე შემკრთალს, დაემატა ეს: „ა?!... კარგად ყოფილა ჩვენი საქმე, ამისთანების ხელში თუ ვართ... განთავისუფლებულები“, მაგრამაც, თუმცა, საქართველოს, გინდაც სრულიადს, ჯამბულიასთანები ენახა? აგერ, შორს როარ წავსულიყავით, თანადროულივ ბესარიონულ გუგუშვილი, თავად მომავალ-მინისტრთ-დირექტორ პრემიერი, ერთ-რამედ ღირდა, რადგანაც აქ მართლა უღირსს მსგავსი შუშუ და შტერი კი არა, ისე ბაირაღულად აფრიალებული ხეპრედ სულელი და სხვათა შორის კაიოხერი თანაც, ბედმა როგორღაც სამსახურებრივ შეახვედრა ერთხანს და იმისთანა ფინთად მსხმოიარე კი ნამდვილად არამცთუ არსად ენახა მანამდე, არამედ არც სქელ წიგნებში შეხვედრია და არც მით უმეტეს ბროშურაში და სცენასა და ეკრანზეც არ უნახავს რასაკვირველია და ფერმწერობით ან გრაფიკულად აბა რომელიერთი ფუნჯ-ყალმის ოსტატი გამოსახავდა იმას და უსაძირკვლოდაც კი არ აშენებულა ისეთი ადვილად დასაქცევი თუგინდ სითხითაც მოადამიანო გინდა თუ სახლი გინდა თუ ქოხი თუ სრა-სასახლე იმის ლაპარაკს რომ შედრებოდა, იმან ლაპარაკები იცოდა რომ? - შესანიშნავი, გადასარევი, გამოდასაყეყეჩებელი, მართლაც; სუმთლად პირველი გადმოწინაურებისას, ეკონომიკის ინსტიტუტის თვით პარტკომობიდან და აგრეთვე ძაღლთა მამმრავლებლობიდან კინოხელოვნების ერთ-ერთ უშუალოდ თვით თავკაცად რომ გადმოაწინაურეს, უღირსი იმის ერთ-ერთ შედარებით მასობრივ-გაფართოებულ თათბირულ ბაას-ღონისძიებას უნებურად დაესწრო რადგან კინოსტუდიაში მსახურობდა, ხოლო თვით მომავალმა სრულპრემიერმა კოჭებში, კინოსტუდიას მაღალი პატივი რომ დასდო - ესეც ეტყობდა კოჭებში, და საერთოდაც და ინება იქ მისვლა, „სლვა - სიარულიცა მრავალსახე არიან..... ლ ტ ო ლ ვ ა, მაღლად კისკისად რეცა შეფრენასა - ხ ლ დ ო მ ა, უსაქმოდ ცუდად სიარულსა - ტ ა ნ ტ ა ლ ი“,....., მოკლედ, ხლდომურად მოტანტალდა, ძაღლთით ლტოლვილი ესეგუგუ და თანაც ორსხვა გუგუსთან ერთად და იმათის მხარწინ და მაინც ერთად, და თუმც მთელ საათნახევარს და ზედაც კიდევ რამოდენიმე მთელწუთი კი ისაუბრა და იბაასა და ილაპარაკა თავისი პირით მჭევრმეტყველურებრ შეუსვენებლივ ფუჭმოუბრულათ და ენის გარდა მოიშველიაც თოვლივით თეთრი ცარცი და შავი დაფა და ხაზა და ხაზა წრეხაზები მისი ხელიდან გამომდინარე და შედარებით პირობითი სწორი ხაზები, უღირსმა მაინც ვერა გაიგო-რა, და ამან უფროც ცუდ ხასიათზე დააყენა,

რადგან ეგონა, მთლად გამოვჩურჩუტდი ალბათო, საერთოდაც ხომ ვერ იყო კარგი მსმენელი რადგან წყვეტილ-სმენისას რომელიმე აზრს თუ სიტყვას გამოეკიდებოდა ხოლმე და სანამ აწონ-დაწონიდა, იმასობაში გაეპარებოდა ხოლმე გინდაც მასობრივი და მაინც არახალხური მთქმელის რამდენიმე წინადადება, მაგრამ გუგუსას, მისი ჟღერისას, მაშინ, საოცრება-რამ მოხდა, რადგან საერთოდ არამცთუ ვერც-ერთი გამოსაკიდი აზრი, ვერცერთი სამსიტყვაც კივერ გაიგო მიყოლებით, არამედ გაიგო მხოლოდ რამდენჯერმე ამაყად ნახსენი ამოკვიატებული სიტყვა და ისიც კარგა არაქართული - „შვეცია“, და, დაადარდიანა ამან, ალბათ ყველაფრისაგან საბოლოოდ გამრიყა ჩემმა რამმო, მაგრამ, კრება ერქვა თუ თავთსყრილობა თუ ბრიფინგული კოლოქვიუმი თუ შეკრება თუ უფრო სწორად კი ალბათ დარბაზოული შექუჩება და რომ კი დამთავრდა, ის, ენაწყლიანობით, ბოდიშია? - ენაწყალიანობით, ისიც, უღირსი როგორც ორატორი მაინცდამაინც შურიანი სულაც არ იყო ხოლმე მაგრამაც მაინც ერთგვარი შვებით ამოისუნთქა, რადგან, დაშლამდე, მთელი ის დარბაზისეული ხალხი, სამასამდე სული, ზოგი კარგი, ზოგი არაუშავს და ბევრნი კიდე ცუდი და კიდევ უარესი და ავსული (როგორც აღმოჩნდა სულრაღაც ორკვირის შემდგომ და უფროც ადრე, გუგუასთან რო აპირებდნენ თავგანწირულად დაახლოვებას), ერთიმეორეს მაინც სუყველა ხმადაბლივ ეკითხებოდა, „რა თქვა ბიჭო, რაო“, და აქ მართლაც მშვენივრად მოსარგები იქნებოდა ცნობილსიმღერის აეს მარტივი მაგრამ ამომწურვადი სრულად, პასუხი: „რა და... გუგუშვილმა თქვაო“, და მეტი და სხვა არაფერი, და თუმც ჯიუტები მაინც ისევ იკითხვებინებოდნენ, „ბოლოსდაბოლოს, რა თქვა ბიჭო რაო!“, ასე რომ სულაც ვერ გაუგიათ სუვერაფერი სხვებსაც, უღირსზე რამდენად ბევრად კრებობანაშიგან გამოცდილებს, ხოლო ამაყნი, რათა მზარდულ საწანაზარდულ გუგუპრიმას უნდა წყვილურად შედგომოდნენ ჯერაც ფარული გადაწყვეტილებით, მხოლოდ იმასღა ახერხებდნენ თავიანთური მოხერხებულობით, მომავალი საქციელ-შედგომა რომ გაემართლებინათ და, აკი სულელს და ვერაფრისმთქმელს ხომ არ შეუვრდებოდნენ, და, გინდაც ყველაფერი პირით სახეზე ჰყოფილიყო, მაინც ბეჯითად: „რა და, გუგუშვილმა თქვაო“, ხოლო ამაზედ ისევ და ისევ მიუხვედრელების ალალი „რა თქვა ბიჭო რაო!?“, ისინი კი, ამაყნი, ყველას და ყველაფერს შემგუებლურები, უკვეღ ამაყნი რადგან შედარებითურულად დასაწინაურებლები, - აქამდე ხოვერ აფასებდნენ და, - გაუმართლებდათ, აწ, - და, წინდაწინვე თადარიგდაჭერილნი, კვლავაც და კვალავაც, -: „გუგუშვილმა თქვაო“, და ასე შემდეგ, და ასე შემდგომაც, გუგუასაკეე, იარ!, რომელ მეძაღლე გუგუშვილთანაც ჯამბულიაცხო იმასთან შედარებით ბისმარკიაც იყო და შოპენჰაუერაც, ხალასი იყო ერთგვარად რადგან მაინც და გაგაგებიებდამაინც რაგინდაც სისულელე ეთქვა, თუგინდა აი, ახლასავით აიასე:

- ხო კაიბიჭი იყო ლადო, მომწონდა მე ის, მაგრამ მთავრი გვარი კი არაა ჯამისი, ჯამი ახლაც ვარ მე გინდა ჯამბულია მეძახე მე და ოღონდ ჯამლეტადანაც კიარა არამედ ჯამბაკურიანადაც თუმცკი, ფსევდომიმია უფროთავარი, ვისი და ჩემი,

ამას გაგაგებინებდა, სამომავლო პრემიერი, მართლაცდა როგორ მრავალტანჯული, და, მრავალსატანჯი, საქართველოსი?

- რა ფსევდონიმი გაქვთ მაინც ასეთი, ჯამბაკურ-ბატონო,

- რაი და, გურიელი,

„ვაჰ!“, მაგრამ მხოლოდღა გაიფიქრა ასე, რადგან ხმამაღლა რომ ეთქვა ეს „ვაჰ!“, ჯამბულიაცკი გუგურიელი ისეთისფრული დარბაისლურათ გამოიცქირებოდა რომ უარესს თუ არა „თავში ქვა?!“ -ს მაინც ეტყოდა „ვაჰ!“სზე და მერე ეგებ ვეღარ შეეკავებინა უღირსს თავი და, - ! - და ის მუშტის აქავებაც რომ გაახსენდა, ცოტა არ იყოს შეკრთა, და თანაც სუსხვა გაგებით, კაცო, - ოთხნი ავტომატოსნებოვანნი იქავე იდგნენ, კი, მრგვალურად შეყრილ მომიტინგეთა მარჯვენა ცალფრთის ფრთად მეთაურის ერთგვარფრთოსნისა, კი, ასე შვიდ-თორმეტ ნაბიჯზე განლაგებულიყვნენ და, კი, წარმოსახვითულ მტრებს უბრიალებდნენ შავშავ თვალებს, კი, და, ჯამ-ით მარადსაწყისმაც, გაუგო იყო თუ რა იყო, აკი მაშინვე არ დააყოლა?:

- ტელეხრანიტელებია მაგინი ჩემი... კი. სტატუსით, -

კარგ დღეს კი დააყრიდნენ, ჯამბაკურისთვის იდაყვზეც კი თითი რომ ცუდათ მიეკაკუნებინა გინაც სუბუქად, კი, მაგრამ რატომღაც მაინცრო მხიარულად გაეღიმა? - „ბეწვზე ვარ გადარჩენილი, კი“, და ისევ გაკვირვებით გახედა ალბათ კიარა არამედ დანამდვილებით ხელფასიანებ-იქვეგანლაგებულ-პროდუქტიანებ ახრან-მცველიკურ ვახრანიკ-მცველურ ადამიანებსავით, რგვლებს, გამომეტყველებითრო სულ ოთხსამბისტებად ტალიკ-ტალიკი ბიჭები იყვნენ თუ არა სჩანდნენ მაინც ოღონდ პირისახითაც და გამომეტყველებით კი ნამდვილათ სასურველი იყო სუცოტამაინც ოდნავ უკეთესები ჰყოფილიყვნენ, კი,

- გლახა დროს მოგვაკლდა, საწყალი, - განაგრძო ჯამმა, - ახლა იგი რო ყოფილიყო, არ დავტიებდი უსაქმურათ, ამევიყენებდი გვერდში, - შეუყვა ჯამიმ, - მერომ იმისი ამბავი ვიცი, მე, დიით პატივს მცემდა (“ისემც“... - კვლავაც მსუბუქად გაიფიქრა უღირსმა), და დავაფასეფთი მეც, კივუშოვიდი რაცხა სამსახურს, საზღვარგარეთშიც კიგოვუშობდი კაპიტალისტურს და გინაც სულე ამერიკებში, - იპირებოდა, ჯამ, - კაიახლოსაც მოვუშობდი, გვერდში მეყოლებოდა სულ, ის მერერარომ უმფროს-უნცროსში, სამაგიეროთ რამდენხანია იმას ვიცნობდი, ორჯელაც ვყავდი გალახული ოღონდ ბოვშობაში, უნცროსი იყო რამოდენიმე თვით და პატარას რავა შოუბრუნებდი ხელს, - განაგრძობდა, ჯ, - ამომიდგებოდა ახლა, ჭკვაშინავარდნი, რგვალურათ მხარში,

„ისემც მო.....ლ სუყველაფერი“, ვერ შეიკავა თავი და უცენზურადაც კიგაიფიქრა ასე უღირსმა, ასე მოხდა და რა ვქნათ, ამ შემთხვევაშიც ჯამბულიასცკი კიღირსეულმა, სწორედაც ასე გაიფიქრა, რადგან ძმაკაცი, ლადო, გარდაცვლილი, გამორჩეულად უყვარდა, ეთავისებოდა და იმისაგან მრგვალობა და გოროზისტობა ისედაც თვალსაჩინო ზედმეტად მრგვალის ხელში, ხომ ყოვლად წარმოუდგენელი კი არა, მართლაც თავზარდამცემიც, იყო, და კიდევ კარგი, ჯამბაკურიმ რომ, გამოიცვალა საენოთემა:

- გუჩონკა არ გინდა?

- რა?

- გუჩონკამალაკო, კაცო, არ გაგიგია, კაცო? კაია, ტკბილი.... სქელი რომეა....

- აა. არა...

- რას მერიდები ბიჭომეშენ... მოდიაქ ბიჭო! მომეცი ის... მე კირო მიყვარს... თაფლივითტკპილი... ხო... - და სანამ ოთხთაგან (ხელოვნების სახ.-მუზეუმს იმჟამად ნაკლები მცველი ჰყავდა გინდ ამ ერთცვლასთან შედარებით, კი) ალბათ ყველაზე დაწინაურებულად გამორჩეული მარჯვე სამბისტი მოსამხედროო ზურგჩანთაში სასხლეტნანახი თითებით ფსკერზე, დესერტისაკენ იქექებოდა ძალიანი ღრმათ და იმდენ პროდუქტში გაჭირვებისგან თავამოტრიალებულს და თვალებდახუჭვით მძებნელს, ცალლოყა მზისთვის მიეშვირა უნებურობით თუმცა არაკლდა შავგვრიმანობა უნებურობით ესეც და ისე იქექ-იჩხრიკნებოდა ჩაყვინთულთითებით საკუჭო ავლა-განვლადიდებაში და, დჟამბაკურმა,

- სლუში, თუ გშია, ბიჭო, კაი შოთაპურებიც კიიქნება მანდ და ორნაირი მაინც ხორცი, ნუმერიდები...

- არა... ახლახან ვისადილე....

- ასეადრიან? არაა კაი ბევრიჭამა... უმუშავარზე....

უღირსი, მართლაც, უმუშევარი იყო მაშინ, 1991-ში, რაიცოდა ეს ჯამბულიამ, საკვირველია, მართლაც, პირდაპირ, ზოგიერთულიც ადამიანი,

- მერო მიყურეფ შეუსაქმი, სამი საათზე გვაქ დბრიფინგი, - ორ ფრონტზე იყო, ახლა: - ჩოურჭე ბიჭო დანა ორგან, ვის ვეუბნები!.. ა? ამას არა, არამედ თითანკანსერვს... მასე, წადი ახლა იქ შენადგილზე,

და, თან მრავლისმნახველ ცისკენ აშვერილ პირზე ხშირშხირათ კონსერვდადებული, თან ძაან ტკბილათ შედედებულ რძეს ისრუტავდა, თანაც ხანდახან ისვენებდა და ანტრაქტებისას თანკი უღირსს უხსნიდა ასე:

- ორგან თუკიხო გეიხვრიტება ბანკის ზეიდან, უფრო თამამათ გამოდის გარეთ, შითი, სუტყვილა არ სვამ თუ არჭამ ქვია სქელია ისე... გექნა ბიჭოშენც ორ-სამ ყლუმპი რაიქნებოდა... რატო მიდგახარ ჯამბაკურს ჯინში... აჰ!... ონპოზიცია ხუარხარ შეენ!?

- არა, კაცო...

- არც პოზიცია? მარა მაგიცკაია, თქვენისთანების ხელში... მალადეც. არადა, გუჩონკას თურმე რა ნაჯობნარა, ჭაჭებში მიდის პირდაპირ და მაინც პახმელია მაგან არ იცის და არაფერი,

სიმართლე იყო,

- მიდი სვიჭამე რამდენიც გინდა, თავს აგატკიებს მეორე დღეს თუ ზმუკი თუ რაი,

მართალს იყო, კი,

- აბა მარტოსმაარი კაისაქმე და, შაქრიანის ისიც? აჰ არა-არა,

ხსწორი იყო, კი, რას ერჩი, სწორათ ჩიოდა,

- მერო პირველათ გუჩონკა ვსვი თუ ვჭამემარტო კარავში, მაშინვე ისე გადავწყვიტე, მომენტში, ამისი გარდა პირში არაფერს ჩოვუშოფთქვა,

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,

- არადა, რა სულელები ვართ ხანდისხან, ადამიანები,

ჭეშმარიტს იყო, ჭეშმარიტიჰყო,

- კაცო, რგვალი მაგიდა არსებობდესდა, მერე როგორიც ზაკუსკებიანი ბიჭო და, ონპოზიციაში ჩოუდგე უნდა? ჩაუშესკუვო თავზარიზე როგეიძახი, გუჩონკა ჭამო ის არჯობია იმას?

ეს ეგ ეგებაც მაინც საკითხავი იყო,

- სანამ გოროზი დამაწინაურებდა მე, აბა მე მერქვა მაშინ კაცი, დაჯამბულია? თავისი ხელით მიუთითოვა ჩემკენ ახლობელ ხალხში ენერგიული ვჩანდი ისეთი, ლიგიტიმურათ, მერედამერე, სიტყვებიც კირო დავისტავლე წინადადობით, კოცერატული,

ჭალას ჩიტი მამკვდარიყო, ეჰ,

- და კირო არ წამოვსულიყავი ამასე სუბოლოს სოფლიდან კარავში,

დიდ ქვაბში ვერ ეტეოდა, პატარაში კარქა იყო, ო, ამაზეცაა,

- ვინ მომაშავებდა მაშინ ორ დაჩას, ორი მაქ ის მე ერთი წყნეთში და მიორე ოქროყანაში, და ორიც აქ ყოველს შესასვლელი, - ნაგრძობდა ასე საქართველოს იმზნაჩოკიანი ჯამბულია გ. (გურიელი), - გამეიარე თუგინდა ჩემთან, ნაცნობიც ხარშენ ლადოდანჩები რაცგინდა იყო, გამეიარე,

ჩვეენი მაასპინძლიის საასახლეეე, თან ორი, ერთად,

- კანიაკებით მაქგაჭედილი ყველგან შკაფებშდატრიაჟეფში და შეჭედებულშეჭყლეტილიც მაქ, წიგნის შკაფებში, ქალი აქ მეარ მაკლია და აცარაფერი, შენ ლიურა თუ გაგიგია ანდა გინახავს სულაც, ჯერ იმას წარბიაქ ამოქნილი, გადაირევი, სულე ფრანსგული ხაზი უსვია კარანდაშულათ წარბისყოფილზე, გაგიხარდება ფსხვილია ისე,

იქნებოდა, კი, ალბათ, ალბათ, -

კარავს გოჭი (ძროხაც) შამწვარიყო,

- სულ არ გინახავს ლიურა შენ?

- არა,

- ხოდა, იმას ვჟიმავ მე,

რაც კარგია, კარგია,

ანუ ქართველებიც, ვართ,

როგორცასეთი,

- ოღონთ არავის არ უნდა უთხრა იცოდე შენ ეს, ყურები აქვენ კედლებსაც, კი, და თავზარის ყურამდე რო მიაწიოს, აჰ, კანიაკს რომ ვსვამ?, აჰ!, ისე, ლიურას ბნელში ვჭიმავ სულ, იკოცნიება ნამეტარი, აქს გემოვნება, ხანდისხანც კივა, დამალული მყავს ერთჩემ დაჩაზე, აბა რაცხით სულაც ბერიას არ მიმაგვანონ, შურიანია, ხალხი,

შურიანებია, კი,

- თან ისიცარ მომიდონ კოჭებში შარათ, მეტენერგიას მიტინგების გარდაცხარჯავსო, კაია, ისე, ხოაკაი?

- კი,

- ებიჭო, მაშვინ, მოდი ჩემფთაზე, ონპოზიცია თუ არ ხარ შენ და ნეჟნიმაროჟნი, ურიგოთ ჩაგწერ რომელიმეურ ლიურასთანასთან, ბიჭო,

დიდი შეღავათი იქნებოდა, კი, კიკი, კი, ჰო-დიახ-დიაღ-ხო და ასე შემდეგ, მაშ, და ასე შემდგომ, მააშ,

- ონპოზიცია შენ არ ყოფილხარ და არც არაფერი, წამოი ჩემთან, და ბედს გწვევ, ნაღდათ,

არ გაუვიდოდა ამას წყალი,

კი,

მარტო გუშჩონკა,

კი,

ოღონდ გადანელებული,

- ზოგი ისეთი ბიჭები გვირევიარო, მთლათ საკარტიჩკე, ჯერ მარტო ნემო რათ ღირს ბიჭო, სუთავისი აქ ხშირი წვერი ისე, და ზოგიერთსაც განსაკუთრებულს ნეტაი რატუ გვეძახიან ლოთსაც ალკოგოლინკურს ვერგამიგია, ფხიზელი იყო გუშღამწინებზე,

რა იცი, ეგებ, თავზარისთან იყო დაბარებული, ვინ იცის,

- შენკიარადა, მარტო პოეტი გვექნება ჩვენსში ასე ექვსი სული, სუ ლექსებს ნაწერან, თითონ ადრეც, ერთია მაინც, ისეთი ლექსებს იწერინებოდა თურმე, გადასარევი თურმე, სულო და გულო, მარტო ლენინსტალინზე კიარა მარტო როდოუყარეს

გლახა ხმები და უყარონ ახლა თითონ კაკალი, სასმელ-საჭმელი იმას ადრეც სულე არაკლდა, კომუნისტებშიც, სტალინლეინის,

- რომელი მოგწონს უფრო მაინც?

- ლენინ-სტალინსში?

- არა. იმის ლექსებში...

- ის რავიცი მე... მაგრამაც მჯერა. უჭირავს ისეკარქათ თავი, და, სანდო ხალხმაც თქვა სამაგიეროთ. რაკი.

ელაპარაკე შენ, მოდი, ამას,

სამაგიეროთ, ლაპარაკობდა, - ის,:

- რო ვუკვირდები მე და ვატყოფ, რამდენათაა, რორამდენათ რო კიჯობნის ეს ჩვენი ესდრო იმჩვე წინისას, გინდაც ბნელში... ჩაწერა შენ არ მოგეთხოება არადაჩაზე და არცარაფერი, იცხოვრე შენთვის რომელ დაჩასაც ხელს დაადოფ და არც არაფერი, იწართმეულებს კომუნისტების დროსაქვთ ნაშენი, საქართველოსი სრულიადი ვართჩვენდა, ყველაშენია დაჩებიდან თუ თავზარის ან სხვაამაყების გოროზისული ხალხი არაა შითში უკვე და ცოლისდები და იმათიც ცოლიდისისენი შით უკვე რატო მამეორებიეფ ამდენს, ისეკი, მოსწრებაზეა ბიჭო ცხოვრება, ჯობიან მეტათ, აბა ის იყო ადრე საქმე აბა ხანდისხან შუვა გარაჯში როვიძინებდი? აჰ,

ღობე, არქონდა? -

გარაჯს, ღობისძირს ძილიც და რამდენრამეც ჯობია, კიკი,

- მარა სუისე ადვილათე კარაა საქმე, მიტინგებებზე დაძახული ვარ მე,

იმ მარჯვენულად განაპირა ფრთისა მთავარფრთოსანი, ამბობდა ამას,

- კივართ სწორები და გამჭრიახი, მაგრამ, შესრულებაცკი უნდა ყველაფერს, დროზე უნდანა შეძახილები, დააგვიანეფ?, სხვას იშოვიან, რამდენს მიუდის ჩემადგილიზა, გული, ეეხ, და ვინდომეფ მე რაც შემიძლია, შეძლებით კიდო, ბევრი შემიძლია, დროულათ ვყვირი, თავზარის ძაან გოუმარჯოსთქვა, ოფლიცკი მდივა, იქ ძალიანი დანძაბული ვარ მარა კარქათაც მივეჩვიე და მარამ მაინც ვნერვიულოფ, ადამიანი,

: ჩვევაა მაინც, ნერვიულობა, რაცგინდაროგორ ადამიანის, და გააჩნიაც, რაზე,

- და გამოვდივარ ასე ხანდისხან დასასვენებლათ ქალაქის კიღამ თლათ კიდეში განაპირულათ უბრალორიგით ადამიანისავით მე, - დახედა, კარგსაათს, - წამოი წაგიყვან, აბა მეტროთი მტერმა იარა და თავყრილობა, მაშინა მყავს მე, მეშენ გეტყვი და, ბენზინს ვყიდულოფ, აგერას მიცდის, შეხედე ერთი, ხომაა კარქი?, ლიურასავით, დღე ერთია და, ამ მოჭიდავეეფს და უბედურობა ვარეცხიეფ სუცოტა სამჯელ,

- რომელს, ლიურას?

- არაშეკაცო, ტანს ის არიბანს და არაფერი, ნახევარიჯერ წოლიალიურ შიმშილობაშია თავზარის ხათრით, მეც მივადგები ხალხის ჩუმათე და ამოვუდოფ ბალიშებისქვეშ შიკალადებს და ღორისხორცი, ტყემალი მაინც ნამეტანია, სუქთება ისეც, წამოიბიჭო, გაგაკატავეფ,

- არა, არ მინდა, ამხანაგს ვუცდი,

- აჰ! ონპოზიცია ხუარ არი? მაგათ ვუტირებ ჩაინიკებს თუ ბიჭი ვარ მე!

- არა, კაცო, უბრალო ამხანაგს...

- არა აჰ!, გეიმეორო აღარ მაგსიტყვა, ძველდრო გოროზიმ გადააგდო, თავისიხელით, ბატონ მეგობარ ამას და ამას ვუცთითქვა, მეიტყულევი სულაც სახელი გულით თუ გინდა, წამოი ახლა, ბატონობიჭო, ვიღაცა ხარ შენ, ნუ გეშინია შენჩემ მაშინის, ბიჭო, კრიტია,

აი, ასეთი პოლიტიკური ტაროსი იდგა სულ ახლახანა მაშინანდელ საქართველოში, დაახლოებით.

მაშვინ.

კარავსა და კარავს შუა, კათედრ-გაეშენებინათ,

კი.

მაგრამ წინადროს, ვითომც იმათით ჩამოგდებულებს, წარმოიდგინეთ, მაინცა სჯობდა. დიდად თუ არა, ცოტათი მაინც.

კაცო, გამოჩენილები და გამორჩეულები მაგრამ საიდანღაც ცოტა კი არა კარგა ბევრები ახლა თავს რო იკატუნებენ რომ სამშობლოსათვის სდებდნენ თავებს თუმც ერთის მეტი, თავი რაღა, არქონდათ ისიც, მაგრამ ორგვარი ერთდროულად - რაღაცა არცთუ და პირიქითად სუნნელოვანით კარგადაც სავსედ გამოტენილი და ამასთანავე რიღაცით მაინც ფუყე თუ არა, აშკარნაკლული, და სიტყვა „სამშობლო“ -ს და „საქართველო“სკი განსაკუთრებით (რადგან „სამშობლო“ სესერეკამაც იყო-მდე შეაჩვიათ), მაინც ამაყად და უიმისკანკალოდ ახსენებდნენ, რაც რაც გინდა იყოს, პლიუსია, ვეე, და აბა ისა არი განა საქმე, ახლა სწორედ რომ იმ დროს მისტირიან ვაშკაცურ მოთქმით თანამედროვედ გაბედული რახანმიშვებული (ალბათ დროებით, ისიც) ოპოზიციონერები პირშიმთქმელურნი [1994 (მანამდე ცოტას, დამარცხებით გაჰტრუნვილიყვნენ)-1997 წწ., მწწ ნწწ წწ.], მარქს-ლენინისტურ სტალინის დროს ზედაც სვერდლოვი რომ მისტირიან, მოკლედ, არა - გრძლათ, მწარე სიტყვებით და ცხარის ნერწყვებით და, ალბათ არცაა საჭირო ისევ იმდროის კვლავაც-აღწერა, რადგან, თან ოცნებრიულად როგორც იტყვიან გამომდინარი ავტორები - ზემოწინავე გვერდებიდან თუღ თუკი ეგებ დაგახსომდათო, - თუკიღ არადა მაშინხო ალბათ ძლიერ ისედაც მოგაბეზრეთ იმუმახსოვრო იმეებით და იმათსობებით ალბათ ისედაც მტკივანი თუ ტკიური თავი, ხოლო სოციალისტურობებისა მომტირალებდადამტირებლები თმაგაშლილათ ოღონდ იმ პირობით რომ თუკი აქვთ თავზეც რაღა თქმა უნდა,

თმაი, იგლოვებიან სულ ხელიდან წარსულსზედა და კიდეკარგი ომახიანად ოღონდ, აგერ თუ გინდათ ერთგვარ ბატონამხანაგ სულაც აქაქა-იქი, ერთგვარ პორტფელურ პორტფლის ადრემქონს თვით ავთო-პორტრეტულს (ავტოპორტრეტი? - რუსულია, იჰ... - ავთოპორტრეტი არს ქართულად ესე, თანკი უფროაქანა, კი) დაჰყურებდა, შესახედია, შესახედს, ვჰკითხოთ, იმან ხო, დიდათ, პოლიტიკა გინდა თუ სწორედაც იმით - სასმელ-საჭმელი, ვიტამინები, ტყემალი, გარჩიცა, რამე, კარგაიცოდა ზედმიწევნით, ახლავ კი - პორტრეტად-ვეღარ-თუმც არვარგიანი - მოსხნეს, ანდაც, ავიღოთ (თუმცა იმას აბა რა აიღებს, ძველწრთობისაა ვითარც ფოლადი და როგორც კაკრაზ-სტალ-ი), ანკიც დავუშვათ-მეთქი ჩვენს-კიც-დონემდე პირობითულად თორე ისე იმას ჩვენამდე რა ჩამოუშვებს ანდა როგორი ურყევია სქელკედელივით და ჩვენკი ცერცვი, მათურ-თავკაცი სრულიადი და მთლად ლიდერი გენერალურ-კაპიტანური და თან გაბმული შიგ ერთცეცხლშუაოღონდ კარგაშიგ, თვალებს მოჩიო (არცთუ ახოვანი) დიდოსტატივით ისე ვაჟკაცურად აკვარკვარებს, მაგრამ ვერ დავუკარგავთ და თავისუფალ საქართველოსკე იდეურათაც ერთხელაც კიარ გადახრილა ისქედუხრელი ენგელსის მსახურ გოგოსაგან ამგანსხვავებით რადგან იმ გოგოს უწაკუზულოდ სხვა შემთხვევაში დაახრჩობდა ერთისიც წვერი, და იმსიშორეს რომ არც გადავხტნეთ აგერ გინდჩვენი პარტ.-ელემენტთაგან გან-განსხვავებით ერთხელაც კიარ დაუყვირნია ზოგიერთივით, მისიანებით სწორად-რო, ახლა, „ეს გაუმარჯოს ასე და ისე თავისუფალი საქართველოსიაა!“ო, ო, დაუყოლია ამაზედაც კი არ - „ავოიეეე!“, ვო, ოღონდ სახელი კარგა არ გვახსოვს, მოდი და ეცი ჩვენებისთანას ეგზომ პატივი, ლენინურსტკულა-შემობრუნვები, ისე, რაღაცა ნამდვილადქვია, რომელიღაცა მიშა თუ სულაც გლაშა, და რა უჭირს მერე იმის სახელი თუ კარგაარ გვახსომს, იდეებია უმფრო თავარი; სამაგიეროთ, იმათთაგან სუყოველივეს გვარი კი მაინც სხვადასხვრული აქვსთ ერთნაირგვრული გამოხედვითი მეტყველების გინაც თანახმად, გვახსოვს ეს. - ანუ გვარი. - და აგერ, წინაც არა გვყვანს სწორეც ისა და ესე იგი ისიგიანი (“ის“, „იგი“, - შობელრუსულად? - оН..!.. - აბა, გამაიცანრაგვარია, მახვშ?), აჰ, ისი თვალებს გვაბრიალებდა? - შეგვბრიალებდა, ზეთ, და მთლათ, მოგვთხოვდა რისხვულ დაჟინებით ჩვენნათელ წარსულს, მომავლური აწმყოსათვის, ბრძანებითურად, კარგი რამც იყო ისიწარსული თუარ დაგხვრიტდენ, კი, და რომელიღაც იმათებურმა, - ესაა საქმე? - იმისი გვარიც რომ ვერღა გვახსოვს, - ერთხელაც, კაცო, იმათებგანმა, მოკლეთ, წითელს ფიქრებსში გადაფლულმა ძალიან ტღყპტღყტდაურად ასეთი რამც კი, თავისი ერთგვარი პირით, სთქვა, ანუ დასძინა თავისივ ენით, ენა მძლავრია, და ბრძანაც აკი, მოგონებითურ-ამხანაგურად, მოკლედ, ასე თქო:

- ეეე?, რა დრო იყო ის, თვითონ აი იმ აიმ პოლიტბიუროშიც კი რომ, ოთხი ქართველი ერთად, რომ გვყვანდა? სულ ნამდილები, ერთსულოვნურნი... შეხმატკბილებულები...

ოთხიო? ბიჭოს... ნამეტან-იყო, ზოგპანტასავით... სამნი, იცოდნენ, მაგრამ მეოთხე?.. - ვერ.

- ეგ რომელი და რომელი რაგვარი, კაცო, შეკაცო?. - შეუთამამდნენ, არცოდნისაგან. ასეცაც ხდება.

- როგორ თუ რომელი და რომელრაგვარი, ოთხნი იყვნენ, კი (აბა კვარტეტი რასა ნიშნამს, ბიჭოტარკინი? - გადავუხვიეთ, ე?...), კი, ოთხნი იყვნენ, მთელი ორნი და კიდევ ორნი, სამნი და კიდეერთი, - წარვიდა, ფიქრათ, აიც შედეგი: - ორნახევარი და ერთნახევარი, ოთხია ესეც, ნახევარი და სამნახევარნი, ესიც, ოთხნი და ნული, კი, ოთხნი იყვენ, ასე გამოდის, ოთხდანულით კი - მთელი ორმოცი, ასე გამოდის, მთელოთხოვნური რა დრო იყო ის?

- რომელი იყო მეოთხე, კაცო! ჩვენ სამი ვიცით... ვუყაროთ კენჭი რომელი იყო ის სამშიერთი... არა, ოთხიდან ერთი... რომელი იყო მეოთხე, კაცო, რაის მეოთხე, ადამიანო... გამოიხედე შეამხანაგო გეუბნები შენ! რომლები იყვნენ ისაოთხი!!

- არ იცით, არა? შეგირცხვათ ბილეთი, - მეტი რა უნდა შერცხვენოდა პარტიულ ბილეთს, იმფერი იყო, - დაწყნარდით, კაცო, დალაგებულად ჩამოვთვალოთ, ადამიანო, ბოდიშით, ეე, ამხანაგო, რომელები და რომელი და, - და სწორედ ის არ ჰყოფილა, კაცო ყველაზედ მეტად, ქართველიურათ მოპარპარტიული? რადგანაც, ასე ჩამოსთვალა: - ვინვინები და, რომელები და რომელი და, თვითებ, ორჯონიკიძე, სტალინი, ბერია და ვოროშვილოვი,

ვეჰ!? -

აბა ეს იყო განა საქმე, კაცო? აბა განა ეს იყო დალაგებულათ ჩამოთვლა, ადამიანო, რადგან, თუ თვალსაჩინო თანამდებობით უნდოდა რომ ჩამოეთვალა, მაშინ ისე კი არა, ჩამოეთვალნა უნდა ასე: სტალინი, ბერია, ორჯონიკიძე და ვოროშვილოვი, და თუ გოდ-როჟდენია ასაკობრივად, მაშინაც ჯერ - სტალინი, და მერე ორჯონიკიძე, ვარაშვილოვი და ბერია, და თუკი მაინცდამაინც ალფაბეტურად, მაშინ ბერია, ვორიშვილოვი, ორჯონიკიძე და სტალინი, და ხოლოთაც თუ ტანისიგრძით, მაშინ: ორჯონიკიძე, ბერია, სტალინი და ვარაშვილოვი, და, კიდევ კარგი, აშენდა რუსების ოჯახი რადგან იმათი ო-ები ხანდახან ო-დ კი იწერება მაგრამ ა-დ გამოითქმის, და არა ი-ითი, თორემ, ამ შემთხვევაში, ნამგალი და ურო აქაურობას და, მაშინ ვოროშვილოვის მაგივრად ვირიშვილივივ გამოვიდოდა, - ა?! ვაი სირცხვილო, და მაინც რაგინდ იმათი მიმდევარნი დავუშვათა და, ვიყვნეთ (შორსმოყვრულა მტერს!), მაინც თავი უნდა ვიკავოთ ამგვარი უწესოდ ჩამოთვლისაგან, გინდაცროსულაც ქართველებისაც ზედაც თანაც, როგორებიცა ამ უსისტემურა და გინდაც როგორც აბა რა ქართულია ეს: ორჯონიკიძე, სტალინი, ბერია და ვარასშვილოვი რომელ-კლიმენტიც ჯობდა კიდე სხვებს,

ხოლო ამ უკანასკნელზედ გამახსენდა, რომ,

დამაშინაბაკაგანოვიჩმარადააშავა, ბარეღმ ისიცაცა მიგვემატნა მეხუთქართველათ, მითუმეტეს რომ რადგანაც ხოა ქართულიც ფილმი ასეთი, დიაღ, -

„ლაზარე“,

ანდაც, ქართულ-ხალხური ძალიანური თხოვნი ასეთი, წვიმის მოსვლისა:

„ახ ლაზარე, ლაზარე,

ლაზარ მოადგა კარსა,

აბრიალებს თვალსა“-ო? ვერა, ვერა ვართ, ვერა, გინდაც ძალიან იშვიათად, კომპარტიულათ კომპაქტურები, ფაქტურები კი, უნდა ვიყვნეთ, საჭიროარი, ვერა ვართ-მეთქი თანმიმდევრულები, ხსწორნი, დროშიტარივით, თანაცრო გვარის დაბოლოვებით კუდივით იჩ-ი ება იმას, ლაზარსა, და ქართველებმაცხო აკი კარქათაც აღვიტაცეთ სუმშობლიურათ სულაც „იჩ“-ებით მიმომართვანი, და, რა, რითი იყო სხვაზედ ნაკლები რომ ქართველებსში არ მოვაყოლეთ, ამის ღირსია?, - ქონდა ულაშიც, და იმანამა და იმისთანებმან და სწორედ იმებმა შექმნეს სწორედაც ისეთი დრო, რო დიდ პოეტათ შერაცხესა თვით დემიან გორკი, მერე ცოტათიც კი-ჩაუვარდათ სამარეს გარდაც ისდემიანიაც მაგრამაც შემდგომ გამოჩენილი ლიტერატურის მცოდნეობით ძაანდიდათაც ერუდირკიებულმა ხრუსჩოვმა ნ. ს.-მ, ამოატივტივა პოეზიური ნაღებივით მთლად ზედაპირზე, კვლავაც, ის მერე რა რომ, კვდარი, მკვდრებზეც ზრუნავდნენ, მარტო ლენინი კიარა ყვანდათ სათვალსაჩინოდ მოკვდარუნებული, არადა, ისეთი თბილი და დამხმარული გულებიქონდათ რომ დემიანისთანა ვაგლახდაბედნი-პოეტთაც კიაჭმევდნენ პურს მერე როგორს, ხიზილალურის, ხოლოღა თითონ მაქსიმ ტანკი, ეე, მაქსიმ, ეე, ტანკი კი არა რაღაცა სწორეთ რაღაც სპორტული, ჭანდრაკულიც კი გვარიღა ქონდა ლიტერატურულ გადაკეთებინებამდე, ეე, ჭადრაკული, ჭანდრაკული... ჰო-რა, პეშკოვი, და რომელიღაც იოჰან ვოლფგანგ გოეთესა სწორედ ზედ თავზე გადაახტუნეს, „ბურევესტნიკი“ „ფაუსტი“ -სა როგორად ბევრად ჰსჯობიანო, აბა სხვა რომელ ჰუმანურაულ სახელმწიფოში იზამდნენ ამას, - და თანაც, რადგანაც ესა თვით ბელად-სტალინმა თქვაო, ვოჟდ-კობამა თქვააოო“-ო, „რა თქვა ბიჭო (ამხანაგო) რააო“, „სჯობიან ბევრადაააო“, ო, თუმც იმას გულით არ ეთქვას ეს... გაუკეთა-რა, რაღა, მორიგ გოეთეთითაც, ერთდროს ბედნური, თუ, ავირიეთ - გორკული გული, ეს დემიანი იყო გორკიცდაბედნიც, მაგრამ სხვაც მაქსიმ და თანაც ტანკ-ი ნეტა რაღაშიგ გაგვახსენდა, წაგვეკითხოს რაიმე მაინც, ვისიდა, ტანკის, იმისი ლულაც კიარ გვინახამს, ვაჰ, და ვნახოთრაღა-ჰა, ბარემ, რაკაცი იყო, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას იმაზე აბა რა დაუწერიან... აიჰო, ვნახეთ:

„ტ ა ნ კ ი მ ა ქ ს ი მ (ნამდვ. სახელი და გვარია ევგენი ივანესძე სკურკო) (ვაჰ, შვენიერი გვარიქონია აგრეთვი ს კურკო), ბელარუსი საბჭ. პოეტი; ბელორ. სახ. პოეტი, ბელორ, სსრ აკად. აკადემიკოსი (-ვაჰ! მაგრამ, მთელი ისი აკადემია შემოკლებულათ „აკად.“ -ად უნდა იწერებოდეს მოკლეთ და, ეს ერთი ცალი „აკადემიკოსი“ - სრულათჰ - გინდაც თავით ბოლომდე იწერებოდეს? - ვერ უნდა იყვეს ესასწორი, - ავტ.), ლენინური პრემიის ლაურეატი - „ვაჰხ!“ - სოციალ. შრომის გმირი - „ვაჰხხხ!“, სკკპ წევრი 1936-დან (კარგ დროს შესულა, და ჰამაც ოცდაოთხისა შესულა სწორეთ, მათემატიკის საქმე არარი?), ტ-ის... (რომელი ტ-ის, იმისის, კაცო?; თუმც-ჰო, ტ-ანკი)ტ-ის ძირითადი პოეტური კრებულებია: „ეტაპებზე“ - (ვაი?“), „შტოშის (დროშის?) ფერი“ - („ვუი“), „ცეცხლოვან ჰორიზონტს მიღმა“ - („ვაჰხხუ“), „რათა უწყოდეთ“ (ვხვდებით, კი), „ელვის თვალი“ (1948; 1975; სსრკ სახელმწიფო პრემია), „პური ჩემი არსობისა“ (გაიგეთ? „ჩვენი“ კი არა, „ჩემი“ არსობისა-ო, დიახ, კარგირამეცკი იმისარსობა იქნებოდა, კი), „იქმენინ ნათელი“ (კაინათელი

კიიქნებოდა, მაშ) და სხვ. სსრკ VII-IXმოწვევების (მიუწვევიათ აკიც) უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (მიუწვევნიათ და, რას ერჩი; ზრდილობას ჰყოფილა), ბელარ სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი (სულაც?), დაჯილდოებულია 4 ლენინის (ვაიმ? ლენინი 4-ც იყო? ეგღაღა გვაკლდა) - არა, არამედ „4 ლენინის ორდენით“ -ო,(ეს კიდევ კარგი), ოქტ. რევ. ორდენით (ვიჰშ), 4 სხვა ორდენითა (- აბა კვარტეტი რაა, ტარკინივ?) და მედლებით“,

ჰა, კიდეიტყვით, სტალინიდროში და მის შემდგომაც, პოეტი არა ჰფასდებოდაო? ჰა? ვა, კიდევაც იტყვით, სოციალიზმი ვერ აყვავებდა (რთული სიტყვაა) ასეთ ტანკების-თან-ებსაო?, ვა, მაგრამ ყურს ნუ დამიგდებთ, ამასშურიმალაპარაკებს, მაგრამ, ერთი ეგაა, რაღათ უნდოდა ტანკ-ობა და ჰაუბიცობა, ნეტა, აეს ისედაც კარგი გვარსახელობა რქვიებია - რაღაცა, ეე (ეს სახელები რათ გვავიწყდება), ჰო - რაღაცის სკურკო და იმისი ჯანი და ეგ იყო და გორის ციხე, მოკლეთ - და ხოლო ასეთებს და აი ამისთანებს და ბედნებსაც კი, თავზედ რო ბლომათ დაეყარათ სულ რაგინდარა სუყველაფერი, კიდე იტყვითრო, ისდრო ბევრათ არა სჯობდაო?, და ნატურალურათ დაბადებითს გვარსახელს როგო იმყოფინებდნენ, რაღაც ახლების მიღწევაც გვინდა, ადამიანებს, თანაც ისეთთ, აგერ რამდენჯერ ნახსენევი დემიან უკურკო? - ეფიმ ყოფილა პრიდვოროვი (ნაღდი გვარია). ისე, დებიუტი კი ქონია კაი, - იმისი ლექსი სიმართლეურ გაზეთ „პრავდა“სი თვით პირველსავე ნუმერ პირველში ჩადაბეჭდილა (5.V.1912 წ., - ჩვენი წელთაღრიცხვით რასაკვირველია), და მის ღია სტრიქონებს თვით ვ. ლენინის თუმცა დაბალი იყო ტანათ მაინც მაღალი ყურადღება დაუმსახურებია, დოკუმენტურათ, და იქიდანვე, პირველსავე პუბლიკაციიდან დაძრულა თურმე როგორც პოეტი, დოკუმენტურათ ესეც, ვის რას უკარგავს ისტორია, სამაგიეროდ, ხომკი იფრინეს სხვადასხვურ დროს და სხვადასხვრულად მანდელშტამი და ახმატოვა, შოსტაკოვიჩი, ზოშჩენკო, ცვეტაევა, პროკოფიევი, პლატონოვი, ჩერკასოვი, პასტერნაკი, და თავიც რამდენს მოაკვლევინეს, უერთგულესთც, კი, მაგრამ მიშა он-ს წაკითხული არაქვს ალბათ არც მოსმენილი ყველაესენი, ალალია ის, თორეღა იმას როგორ იტყოდა ის დრო ჯობდაო, ზოგთა - მიმღები, ზოგიერთ სხვათა - გამსტუმრებელი, მაგრამ ერთ მწერალს, მკრეხელობად ნუ ჩამომართმევთ და, ცოტათი მაინც, სულ ძალიანაც კიარ უნდა ვუსაყვედუროთ, მაგრამ არამედ თუნდ გაკვირვებით, მაინც ხომ უნდა დავეკითხოთ, გინდაც შორეთში, ვისა და, იოსიფ ბაბელს: შე კაი კაცო და მწერალო, ნუთუ სხვა ქალი ვერსად იშოვნე ემ თვალუწვდენელ რუსეთში რომ, მაინცდამაინც ენკავედური მთავარი კიკოს (რუსულად - ტუზი), თითან ეჟოვის - ჩეკას გულისა კიკოს ცოლს რომიადექი თანაც ისე ტუჩებებგამობერილი და გამობერილიც ასე შემდეგ თურმე ისე რომ, გაკვირვებული კი არა და, გადაკვირვებულიცკი, გავიმეორებ, კვლავ, - რა, ვეღარ იშოვნე ვინმე ისეთი საუწყინარო ტაფობი ქალი, სადმე?, რა, დაბლარუსებს ქალი აკლდათ მეშენგეტყვი თუ, შე კაი კაცო და ასე შემდეგ, და რა, ვერ გაახერხე რომელიმე სხვა კაბიანი, ეე, ანუ უკაბო, ვერ ნახე, ვერა? გინდზასულიჩი?, აარა - კომუნისტურად თავად (ან სუცოტა დედითაც აზნაურიშვილ) ეჟოვის (“რუკავიცი“ურის) აპარტამენტთში, ზამბაროვნულათ პრუჟუნებიან სარეცელსში რომ უტარკინაავე, ლერწმოვანებში მაინც გამოგეყენებინა და გეხმარნა ვითარც სრულიად ფრანგულ უბანდაჟოდ მიშვებული და ბუნებრივი ლედი ტარკინა, - ჰოიი, რა დიდხანს სუ აღარაც კი გამხსენებიხარ

მუსიკალურ-საფუძვლიანად ბიჭოვტარკინი! კაგანოვიჩზეც ვარესო შენ!, ის ბელადს მაინც უგდებდა ყურს, შე მართლაც ვირის ყურ-ასახვევო, თან ბინტებ და ბანტ-აუხვევლათ, შე მართლა ვირის სახე-დარო, „რიგოლეტო“ზე დასწრებული პრემიერაზედ თუ წინა ორ-სამ მოქმედებას არ უგდებდი ყურს რადგანაც სვეტსკი მუსაიფი გვერდითამჯდომთან შენ საჯდომურათ უფრო დიდათაც გაინტერესებდა და მასლაათი ვინემდე ვერდი, ის ბოლოსკენა კვარტეტი მაინც რით ვერ ისმინე მაგ შენ იმყურებით და ცქერით უტუვ, შენ, სტატიაშვილო ტეტიავ შე მუსიკაში შეფარებულო შეკრიტიკოსო შავით თეთრზე და, შაოსანო, სითეთრისავ, შენ, და რა, - ლაზარა თუკი ბელადს ორვყურით ჰსმენდა, ის მაესტრო რა, გინდაც-რო შენგან დაწუნებული, და მაინც, ვერდი, მუდამი ვერდი, რა, ვეღარ იყო, არა, ბელადი? და მერე, რითი, მერედა, როგორი, და ვერა იყო არა, შენგან სასმენი? მართლა, საიდან სადაო მაგრამ კაგანოვიჩზედ, გამახსენდა, კაცორაღაცამისჯილ-ბედი და იმისი წერა თუ რა ქვიან მაინც რომა აქვთ და თავზედ ხვდებათ გინდაც სუ იმათ? - პოლიტბიუროდ აღვლინებულებს... კაცო, ვეღარაფერი გამიგია, იმ ОН-ისათვის ზესაპატიო და თან როგორად დალაგებულ განცდათა დროსში, ამხანაგო ОН, ერთი გვითხარი ოღონდ თვალებს ნუ დაგვიბრიალეფ გული გვააქ სუსტი, თუ ვთქვათ, დავუშვათ, თუმცა დავუშვათ კი არა აგრე იყო - კაცო ამხანაგმა ხრუშჩოვმა ამხანაგივე ბერია რომ გადმოაყუდა, ძაან საგრძნობლათ თანაც, ვერაფერიღა გამიგია, ადამიანო, თუკიღა იმა ნაქებ დროშში, ჯერ ეს ეგ ერთი რაღაორმხრივაამხანაგობა იყო ესა თანროგორ მაღალ პოლიტდონეზე ორნიაურის და, მეორეც ის რომ თუმც კიქონდა ნიკიტკს ხიტრობა მუჟიკური ისეთი რო ბევრსაცლეგიონ ინტელიგენტებ კიგვეყოფვოდა მაგრამ, ბერიასთან ის მაინც როგო მოვიდოდა, და, იგრერიგად რო დასჯაბნა ჯობნობის მხრიდან, კიდევ ჯანდაბას, კარგი ეს, და მოდით და დავუშვათ და განგებას სულაც თავი გავანებოთ და ავსხნათ ესა იმით, რომ, რომ ეს „არიფის ხელი“ იყო როგორც იტყვიან როგორც ასეთი, და გაუმართლა, მაგრამ ეს სამნი ლომ-ვეშაპნი, და ვირთაგვთ-სპილოდ მარტორქურნები კაგანოვიჩი, მალენკოვი და მოლოტოვი (ჩამოთვლილნია, გამოცდილურ-ალფაბეტურათ) ერთად რომ შაიკრნენ როგორც სატივეზე ტივი და გამოქანდნენ ორთაყვირებრივ სამმყვირებლურათ (აბა ტერცეტი რაა ტარკინი?) და მოსახსნელად ხრუსჩოვისა და დაუცაცხანეს ჯერაც კოხტად, სამავსულოვნურათ, და, იმათ შემყურე და მიმყოლი და შეკედლებული ბოლოსკენური შეპილოვიც (ალფაბეტურათ ისიც), დავიჯერო რომ, შეტევამდე, არა ფრთხილობდნენ?, ჰფრთხილობდნენ, ალბათ, რადგან კლიმენტის, ეე, ბერიას გადმომგდები „არიფის ხელი“ და ხელი და გიჟი ხომაღარ იყო, და, თვით ისინიც რო გადმოაყუდა, თვით ბიუროს ტრიო თან მეწინავე ძველიმგლები და თანაც ისე, ზედაც პრიმკნუვში შეპილოვით სულაცრო ისე რომ სუ ოიმამაა აძახებინა, მერე კი, ასეთი მძლავრი, ასეთად კოხტათ და მაღლივ მჩქეფი ნიკ-კინტაური, მომგებიანურ გამძლავრებისა თითონ ხურუშჩოვ სერგეისა, ძე, ემ ლიონიამ, კაცო, ჩვილგულიანმა თანაც ისეთად რო სუ პირზედ მკოცნელმა ამხანაგმა, ადამიანო, მაინც როგორღა მტლაშა-მტლუშში (უცხოს ისეცკი ეგონებოდა რომ ბაბელი და მისსის ეჟოვა ხვარ არიანო, კი,) და კოცნაობებში სულ პროფკასავით არ მოაძრო, გენაცვალეთ? ამას მე ვეღარ წარმოვიდგენდი, თქვენი არ ვიცი, თუმც, რაღა წარმოდგენა ამას უნდა, აკი ხომ მოხდა, დოკუმენტურათ, და რიღათვი უნდა წარმოდგენა და მხატვრულობები და

სპექტაკლები და დადგმები და ბალეტები ფეხისწვერული და ლილიპუტური გინდაც ცირკი, -

უცნაურია,

წუთისოფელი,

კი.

იმათ გაგებით, თორე, წუთისოფლისა ემ ბიჭებმა რა, ნაკლებ-იციან? რათა და -

დრო,

ძლიერ გაჰყავთ, -

ჰაიივ, რაღადროს დემიან გორკი თუ ტანკიც თუ ისე ის ბედნიც რო ზედაც მათხოვარი სახიზილალო ჰონორარების ცხოვრებისაცა სიწუწკეშიც რითმების გარდაც, თურმეც, - შემჩნეულ-იყო, მოკლეთ რაღადროს პოეტებნი და დემიანი და იმი ლექსია თუ არეფსიანთ და განუწყვეტლივ გაჰკარტაობენ და დაკარტაობენ და კარატაობენ მოკლეთ, დროსა, კარგია იქა, კულტურიკლუბებ ხომაც აკი მწვანეიანში აშენებენ, და იმ ჭადრებში იქნება ეს თუ ტირიფ-ნაძვებია, აიმათ ჩრდილში მიმსხდარ-მომსხდარან ედღეინდელი სოფლი-ბიჭები, და აკი გითხარით, კარტი ისეთი საინტერესოვივია, ხანდახან შვიდ-რვიანნიც კი სჯობიან ტუზსა, და, მოლოდინებში თითებზე ოფლად ნერწყვმომდგარნი, სოც.-ურ-ურული-ბიჭები არიაან, რაღა, ურაა, ვაშიიი, ვიშიი, და ჰთამაშობენ ერთსა კი არა, მრავალსახეობობანებს, სეკა გინდა თუ ფურთი გინდა თუ ჯოკერი გჰსურს და გინდა და ზედაც აჩკოი, და ჰაც, კიკოც მოიდა თავისი ფეხით კარტებქვეშ მუშური ნეკით ჩუმჩუმელურათ გამოწეული და აგურის პაპის კარტიცა აქვს სახელოში შემალული აგურული და აღმშენებლური რო რამე იყოს, ის ღელვის ოფლიც კარგი რამეა კარტგამოწევის ხახუნითვინ, ნაადრევად არ წამოჰყოფს თავსა გინდაცრო გულის ვალეტი იყვეს, დამებითვინაც, და სხედან ესენი, ეს მარჯვეები და ყოჩაღები და ესა მარჯვენი და გინდ ცაციები და როგო სხარტები და რა ცინცხლები გინდაც რომ ვითომ ცოცხალები იყვნენ, გარჯას არიან ეს საზრიანნი იმ ხეთა ჩრდილში, სულ სხვებისათვის რომ დაურგავთ, ადრე, აესენი კი წამოყუნცულან ცანგალასა თუ ვინმე თევდორეს თავთმჯდომარეთ და,

აბა იმათ ძაან იციან დიდი თევდორეს, მღვდლის, ამბავი,

არც ის იცოდნენ წესით უნდა, რომ, სამშობლოსათვის, სხვაგვარად მეტყველ ავად მომხდურთა ჩახოცვაც რომ არაა ცოდვა, და როცა, შემოსეულებისგან, იმათი ავზნიანის ხელით სახლ-კარი - დაქცეული, კერა - გადაბუგული, წვრილი ბალღების მარჩენალი ფურდედო, და თხა, ხარ-კამეჩი, ცხვარი - გარეკილი, და კიდევ კარგი რომ ჯალაბი - სადღაც ტყე-ღრეში გახიზნული, მაგრამ, ვაზი - აჩეხილი, აი ის ვაზი რომ, იმის კარგა მსხმოიარობისთვის, როგორ მოვლილი, შვილივით ნაზარდი, და დაუსეტყვავიც, თუა, გლეხურად ჩუმი სიხარულისაგან, ერთიც ასეთი გამოცანა: მამა - დაგრეხილი, დედა - დაჭყლეტილი, შვილი გადარეული, რა არის ესა და - ვაზი, ყურძენი და ღვინოა, საამათო და, მართლა-

ამათი, იიჰ, - გინდაც ბრუნდეძირიანი, დიდი ამბავი... მაგრამ აჩეხილი! სახლკარმოშლილებს, ყველაფერზე მეტად ვაზი ენანებათ, რომელი სეტყვა - აჩეხილია, და მტევნისა ნაცვლად შხამი, ბალღამი ეწურებათ გულს, ქოხი რა - რამდენად უფრო მხოლოდღა სახელდახელოდ გასამართია, შენ აჩეხილი ვაზის როგორი ძნელი მონაცვლეობა, თქვი, და თუ როგორმე ისევ, ახალშენს კვლავაც გაახარებენ, მაგრამ ისევაც, ისევ! - ამათგან როგორ ძნელწლობით ამოზრდილი და ახალთახალი და ჯერაც მჩატედ მსხმოიარე და გინდაც ბრუნდისძირიანობით როგო ლამაზი ვენახის ასაჩეხად ისევ დაძრულან, წამოშავებულან რომ სულ გაავერანონ იქაურობა, რომ მერამდენედ დაახვედრონ შემობრუნებულ როგორ მომვლელთ წალკოტის ნაცვლად - წლობით პარტახი, ისევ და ისევ წამობნელებულან ჯერხომ ქუდზეკაცების ამოსახოცად და მერე ამათ ცოლ-შვილის წარსატყვევნად, ცხრა-ას მთისიქით გასასყიდად, და, საიდან და გინდაც საიდან გესლიანგულით წამოღოღებულებს, უწყვეტი ბოღმა მოერეკებათ, რომელი ჭირი და ხორველა არი ამათიდარი, და მუდამ აღჭრილ დიდგულზედ არიან, აეთრევიან, აიყრებიან და წამოშლილან, მოდიან გამზადებულები, გაშმაგებულები, ენით აღლოკვილ მჭრელ და მჭრულა იარაღებით, სხვა რააქვთ საქმე, და, თრიალეთგადმოვლილები, ჩვენებს, ჩვენივებს და ჩვენსვ მიწაზე ფეხშიშველად მდგართ უნდათ დაატყდნენ მოულოდნელად, თანაც როგორი გაშმაგებით, და მოკლე, ფარულ გზებს ამიტომაც დაეძებენ, მეწინავეთა რაზმს აგზავნიან ფონისა და ბილიკების შესატყობად, და აღმოსაჩენად, მოდიან, ჩვენზე, და ჩვენსაზე, რა შავმდინარედ, მოედინებიან, და გზად ერთი მღვდელი-რამ შემოეყრებათ, სახელად თევდორე: მოხუცებულა უკვე ლამის, რომელიცა, რომ, ფეხიელა, შორითა სოფლის სანუკვარი სალოცავისაკენ, თრიალეთისკე, მიდის, უნდა ილოცოს კარგა იქა, მერე, მობრუნდეს, ახლა კი, ჯერ მხოლოდ მიდის, მაგრამ გზად მისსავ თრიალეთზე გადმოთრეული მაინცდამაინც ჩალმიანები შეეყრებიან, მადლის ცხრაწყარო-გადმოოხრებულები და წყლისაშემრგებნი, - შხამად!, -

ბევრნი არიან,

მრავალები,

მღვდელი თევდორე კი - მარტოკაა, მაგრამ ეს, - თვალით,

ესენი კი, მზვერავებია, თავიანთებური დაკვალიანების მაძებარებია, გზის მსუნავები, რაღა, მთავარი ხროვა სადღაც უკან, კლდეებში შეფარებული, უცდით, დამალულებია, მაგრამ ადრე თუ გვიან ვიღაცა მაინც მოჰკრავთ თვალს და აალდება მთებზე ზვინი, ბორცვებზე - ბულული, დაჩვეულებია მტერს, მთავარია რომ, დრო გავიდეს, რათა შეემზადონ, რაც შეიძლება, სწრაფად, მაგრამ იმათაც ეჩქარებათ, სული უკაწკაწებთ, ოღონდ სუ სხვა რამეზე - ბოროტებასა და საშოვარზე - სულსწრაფებნია, მოუღერებენ მოკაკვულ ხმალს ბერიკაც თევდორეს, მღვდელს ჯვარის გარდა არაფერი აქვს, რასღა გახდება, მაგრამაც ღმერთი - მისკენაა; დაჰბრძანებენ რომ, ურჯულოვ, მოკლე და ჩუმი გზა გვასწავლეო, და მასაც, მღვდელსაც, რა დარჩენია, როგორ საწადი სალოცავისა ნაცვლად, სულ სხვაგანისკე, მიდის, მიჰყვებიან, წინ წაუგდიათ, ცოდოა, როგორ, და მაგრამ აკი ღმერთით სასოება - თევდორესაკენაა, და ისეთს რამს აზრს ჩააგონებს რომ - შვება,

და საითკენ მიჰყავს ეს ექვსფეხიანები? - ცხენებზედ არიან, - საითკენა და, გამოუსავლეთში, და თევდორე მღვდლის გულში აბა რა ან ვინ ჩაიხედება გარდა ქრისტესი, შესავედრებელის, და თვით სულიწმიდასაც, მფარველს, იმასაც მიჰყავს, ქრისტეს ტყუპისცალს, რადგან ორივენი, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, არიაან, იყვნენ, და ერთიც უბრალო ქართველი მღვდლის უხარია, სულს, - თითო თავისი და მას მიმყოლი ფლოქვებიანი ნაბიჯები ხომ, მთად ახიზნული თითო ბავშვია; ხოლოღა თავიანთური ჭკვითა და ხშირთქმით - რჯულიანებმა, აკი ძალიანაც იციან ბავშვებისა და ქალების ხოცვა თუკი გასაყიდად დანაცრულ თვალში არ მოუვათ, უსარკო რჯულძაღლს კიდევ რა უჭირს, სარკეებიანი რჯულაფთრებია და წამდაუწუმ იმართლებენ, იმხნევებენ თავს, ხოლო თევდორე?, ჯერ გინდაც თუ ბილიკს დასდგომია და ქვე-იხედება, მაინც ზეითკე აქვს გულისყური და, ბალღები აკი ხომ კარგებია, თვით ქრისტესაგან როგორ მონაფერებულები, თვალხილულადაც; ადრე; მუდამ; პატარები და უმწეოები, მინდობილები, ღვთისაარიან, ეს მერეა რომ, რაღაცები ხვდებათ, ახლა კი, როგორ ნაკლებად ცოდვილები, დიდცოდვილთაგან, როგორაც კი ეს შეუძლიან რაც შეიძლება შორს, - მღვდელს აქ ტყუილიც ეპატიება, - ვითომც სოფლებისა და ბავშვებისაკენ მაგრამ იმათგან რაც შეიძლება შორს, ძალიანაც შორს შეჰყავს უღრან ტყეში ჩალმიანები, იცის თევდორემ, კარგად იცის თავისი ყოველი ნაბიჯის ფასი, მნიშვნელოვანი, როგორ, და უხარია და ოღონდ არ იმჩნევს რომ მისგან ყოველი გაწელილი გინდაც წუთი რომ, მისიანების, გადარჩენაა, და მიდის ასე, ფეხიერი, ქვეითი ვითომ, მართალ გზაში; დიდი ამბავი, თუკი კი არა, მართლა რომ მოჰკვლენ, და თუმც ის მერე რა რომ შებერიკაცებულია, სული ტკბილია, მაინც, არადა, თურმე, რა კარგი იყო სულ, ყველაფერი, მზეს ვინ მოსთვლის და, გინდაც რამდენჯერ აწვიმდა, რამდენი ათოვდა, სულ ხომ კარგები რამ ჰყოფილა, ესა, მაგრამაც, ახლა, უფრო სჯობიან, ასეთი ვითომდაც ტყუილა და ცრუდსიარული, მაგრამ - სამშობლოსათვის, ის მერე რა რომ, სიცოცხლის გემო, გინაც მწარი, ტკბილი ყოფილა, მაგრამ ქრისტე, და ღვთისმშობელი და მისით სამშობლო, უფრო, უტკბესი, კაცო,

და მიაბიჯებს, -

მიდის.

ხოლოღა თვალებს თუკი ძლიერ გადმოუბრიალებენ,

და ზურგში ისრით უბიძგებენ, ოღონდ ჯერ უმშვილდოდ, მხოლოდ ხელით, ახედავს იმათ და,

ცოტაც,

ცოტაცო,

და,

ისევ,

მიდის და,

ასდევნებიან და,

მოკლეთ, -

მიდიაან.

ბნელში რომ ბანაკს დასცემენ და პირველ ღამეს რომ გაათევენ თევდორესათვის წრფლად მართალ გზაში, სამ-ოთხი კაცი, არა, კაცი კი არა, ეე, არამედ ჩამოორფეხებულები, თავზე ადგანან, ძაან ფხიზლობენ, გაგვეპაროსო, არ, თევდორე მღვდელს კი, აბა რომელი უკეთესობისაკენ რა გააპარებს რადგან ორფლოქვოსნები კი არა თვით ღვთისმშობელი უდგას თავთით, რადგან იმისკე, გაპარულია, უკვე, იმის წინარე, ზის, და აბა რომელი გამპარავია, უბრალოდ კი ზის, და თუმც მტრების ავხმალსავით არა მაგრამ, წელში გახრილა, ხნოვანიც კია, მაგრამ სუმუდამ ლოცვამ უფრო იცის მიწისკენ ასე შეჩვევა და მოხრა, და მაგრამ ულამაზო სულაც არარი, ეს, რადგან, ადრევეც, მუხლმოყრილი და მლოცველი მუდამ, და ხანდახან თუ აღაპყრობდა თავისი მიწიდან ხელებსა და თვალს მაღლისაკენ სადღაც, როგორ უხილავ და როგორ ყველგან, ყოველივეში, -

ღვთისკე,

ისე კი, სუ დამხობილი ილოცებოდა, თავის მიწაზე, და ახლაც როგორ იმისია, მოხრილა ისევ ვითომ მიწისკენ და, ღვთისაკენაა, აემ მიწითაც, უმფრო, რადგან თავისი სმაშობლო, ღვთისმშობლისმიერი, გინდაც ერთსოფლით თვალწინ უდგას და ახსენდება კიარა, ახსომს, იმის დანახვას აბა რომელი მზე და ბიჭური თვალი აბა რად უნდა სულაც, ისე კი, ეს აქაური მზე გინდა, მთვარე, ქარი გინდა თუ ჩუმი წნორები, დაბალი ღელე თუ, ზეცა, გინდ აქაურიც ახლანდელი უდაბური ტყე თუ წისქვილი სულაც თუ რომელიღაცა ლიტონობამდეც უბრალო ბუჩქი? - სუსამშობლოა, ვისი და, იმისი, თევდორესი, და ბევრი ჩვენისც,

სხედს ასე, მოხრით ტანკენარი რადგანაც, ღვთისკე,

რიჟრაჟისას კი, ისევ ხელ-ისრით წამოაგდებენ მართლმეგზურს, ზეზე, - აბა!, ჩქარაო!, - და იმასაც, - თევდორე მღვდელს, სწორედ ეს უნდა, რადგან,

სამშობლოსათვის სიკვდილისაკენ,

მამულ-დედულზე თავგადადებული, თავისი ნებით ოღონდაც ღვთისგან, -

და მიდის, მიაბიჯებს,

თანაც მტრებიანა,

რომლებ-ისინი აბათუ საით მიედინებიან, გაუში იმათ იცოდნენ ვითომ და მარტო, თუმც, ესეც კი ვერ იციან, ჯერ, და რაღაც იჭვი კი აქვსთ ერთგვარულ გულში, მაგრამ ეს ჩვენებურნი ანუ იმათებურად რჯულძაღლები სულელებიც კი ჰგონიათ რადგან მაგათი ღმერთი ტყუილებს აკი იკრძალვინებაო და, მაგრამ, სამშობლოსათვის, ეშმაკეულის საწარწყმედო ტყუილიც რომ შეიძლება, ოღონდაც მართლა თავგანწირვული, ასე დაწვლილვით ვეღარ იციან ჩვენი, ეს, ღმერთი,

მაგრამაც ერთი მართლაცრო ვაი და ვაიუშველებელი ცხენზემჯდომი-რამ, რომ მოუღერებს შენ გაკაკული ეძახე და, ჭექასავით მეხდამტეხ ქუხილივით ხმალს, კარგარამ უცხო სანახავია, ესა, - აბა სად თევდორე და სად ის ბეხლეწი, თანაცრო, ცხენზე, თანკიდე - აღმართულის ხმლითა, მაგრამ, თევდორე სულაც არ შედრკება, ის მერე რარო, ტანმორჩილია, სიმაღლე სიგრძით ვის გაუზომავს, ესა თევდორე, ტანით მომცრო, მაღალი არის დეევერხანაზედ, რამდენად, თანაც, ესა, - თავდადებული, ჩვენი,

ისევ, მიდიან,

და, იქამდისინ რომ მივა საქმე, არ გვინდა შენი მისაკვალავი მოკლეგზები და ბილიკები და არცარაფერი ოღონდკი უკანვე დაგვაბრუნეო, ისეთს ძალიანს ჰნერვიულობენ, განა ნერვები იმათაც არა აქვსთ, ადამიანებსავითაცაა, ისინიც, თევდორე მღვდელს კი, ადამიანები აკი როგორ არ უყვარან, მაგრამ ოღონდაც თავისი, ქრისტიანეები, და ცხოვრებაში რიგიანები; არეულებიც, რაც გინდა იყოს მისი საყდრების შვილებია, ჯერჯერობით გინდ განზედ მცქირალნი, ეს ახალ მთვარესავით მაგრა დაკაკულ-ხმლიანები კი, არ იცის მღვდელმა ან ვისიღანი შვილებია თუგინდაც დედით-მამიანა ანაცდა ვისაგან გამოგზავნილები იმ წყეულს გარდა, სდუმს მღვდელი, ბაგით ჩუმადაა, ანდა ამ სუსხვაენიანებთან გინდ ჩიქორთულად ისეთი რა უნდა თქვას, საქმე ხომ აკი უკვე გააკეთა, ისეთ უღრანში შეიტყუა მოხერხებულ გზათ-მაძებრები, ადამიანთზე მონადირე ეს ეს ძაღლ-მეძებრები, სულაც რომ გულით მოინდომოს, იქიდან მაინც ვეღარ გამოაღწევინებს ამ საშოვარზე ამხედრებულ ჩალმაზე - მათებურ ქუდზე - კაცებს, ერთი გზაღ ისღა იცის ერთმაც უბრალო სოფლის, მღვდელმა რომ, - მართალია და, სწორეს არი, ამ ცხადლივ ტყიურ უსიერობით იმათთვის ჯოჯოხეთში რომ შეიყვანა ჯერაც მიმომხვრნი, თან - ცოტაც ზემოთა დაბლითურში, რადგანაც მაღლით - თავად იესოს გაანდო ურთიერთზრახვა, ეს, და, როცა იქნება და საბოლოოდ რომ მიუხვდებიან ამ ხნიერ მღვდელსა, ვითომც დამყოლს, თან როგორ უმძრახს, თურმე მჩქროლავი გულის ნადებს, აბა იმათი კბილთაღრჭიალი იქ უნდა ნახო, მაგრამ თევდორეს

არ ეშინიან - მართალია, და...

ქრისტესიარი, და...

და ხოლო მერე კი, ბოოლოს, რაღაც ძალიან ვერაგულ უფსკრულს მიბჯენილნში, ამასღა ამბობს, - :

ეგ არი და გორის ციხეო, -

არ ეშინია, მეთქი,

რადგან სწორედ იმასთან,

ვისთანაც როგორ უნდოდა ყოფნა, და მერე რარიგ ძალიან უნდოდა, -

სუმუდამ,

მარადის,

მართლა, და მართლად, -

და ახლა სწორედ იმასთანაა,

მის სიახლოვეს,

იმასთან

არი, და

ამათ?, - ამათ უღრინონ რამდენ-რამთვენიც უნდათ, თან ზოგი მითომდაც ჭკვიანი კი, ხმასაც კი უტკბობს, კვლავაც თარჯიმნის პირით, - გამოგვრევია, თარჯიმანულად, და ვაი რომ არათუ თითოდ, ასეც-ჩვენური, მაშ განაღ აბა ქართველი მღვდელი თევდორე იმას როგორღა გაიგებდა ჩალმიანებისაგან რომ მიდი, გაგვიძეღ სწორბილიკზეო, ანაცდა თითონ როგორ ეტყოდა იმათ აი ეგ არი და გორიციხეო, ჰოდა, თარჯიმნის იმპირით ხმასაც უტკბობენ, სხვა არაფერი გვინდა შენი ოღონდკი აქედან გაგვიყვანე მარტო იქამდე საიდანაც მოგვიყვანეო, - მაშ თარჯიმანმა სწორი გზებისა აბა რა იცის მარტო არამედ მხოლოდღა ორნივ ენები და ისიც ხოლო საყველპურო, - და, უმატებენ, უფიანდაზებენ ვითომ, სუ ოქრო-ვერცხლით აგავსებთო... - აიი, ჩემეეფ დაგაჯილდოებინებენო - ამას თარჯიმანივე უმატებს ოღონდაც მართლა თავისი შემკრთალი ენით, ბორკილურია, რადგანაც ისიც იმისიც დედაც-მამითაც ნამდვილი ქართველია ვითომ ოღონდაც მომაჰმადიანო, ენა ტკბილიაქ, ვითო, მაგრამ ამეებს დაიჯერებს გინდაც ასეთად მოკატუნებულ ჩალმოსანთა წინ?, მაგის ჩიტია თევდორე მღვდელი? ის მერე რა რომ, ახლა, მღვდელია და ანაფორაშია, ბალღობაში ხომ აკი დასდევდა ჩიტებს, ისიც, და იმათი ენა კარგადაც ახსომს, ის მერე რა რომ ამბალღობაში იმათ დევნისას, თავგადაწეული, მწარედ წაიქცა, სახით, დასდევდა მაინც, და იმათ მაღლაფრენას რო შენატროდა ახლა ჩიტია თითონაც და თან მერე ვისი, სამშობლოსათვის - თავადქრისტესი, ეს სიცოცხლე კი, სუყველასათვის ხომ ტკბილია მაინც რაგინდ ვერანი, ხომ აბა რომელს არ გვინდა, არა?, თევდორესაც, ჰსურს, მაგრამ მეტი საქმე თევდორე-მღვდელს არა აქვს ურჯულოებს რომ წაუმღეროს ბეერიკააცი ვაარ, ნუუ მაამკლაავო, - თევდორეღვდლისა ერთი სიკვდილი აბა იმდენი რომელი ძნელია, - ერთიღ, ტკივილი... დიდი ამბავი; - მთელი ცხოვრება, თვით ქრისტე ტკიოდა; თან, ზედ გარდაცვალების წინ, კარგა ხვდება რომ ტყუილა კიარ მიდიოდა იმ მონატრებულ სალოცავისაკენ, და ჩალმოსნებმა კი თავიდან ვითომც უქციეს მხარი, გზაში, მაგრამ, სწორედაც სალოცავშივე მიიყვანეს, კი, თან უნებურად და თან ძალათი, და, შეუგნებელის ძალაუნებლიეთობით აკი ისინიცა კი სჩადიან ხანდისხანობით, კარგსა, - უფსკრულთან უფრო მადლია, სალოცავი;

მერე კი, აჩეხილს, დანაკუწებულს და გინდაც როგორ ალაგ-ალაგებ მიმოფანტულს - აღარაფერი ვეღარ ტკიოდა - თუკი ტურები მიესევიან, დიდი ამბავი, ესეც, - იესუსთანაა, უკვე, დაბლა კი, ღეჭონ რამდენიც უნდათ, იმ ერთი წამის გინდაც რადიდ ტკივილით ხომ მაინც მუდამ იქნება, მართლა, სუმუდამ, და თანაც სწორა -

თევდორესავით, ის მერე რა რომ ბალღობიდანვე ჩიტების დევნისას მწვავე დაცემით ცხვირმოქცეული, მუდამ იქნება სწორე, მართლა, სუმუდამ, ამ დიდ ტანმომცრო ბერკაც მღვდელივით, და ბალღობისას რომ იყო კიდე აი ისეთიც, როგოცოცხალი,

აბა სიკვდილი და ჩაკვდომა თქვენ აქშამოსული სხვებიანთებისა უნდა ნახოთ - აქეთ ეცა და იქით ეცაში, წანწალ-წანწალში ოღონდ გამოუსვლელეთიდან, საავოდ საგზალი აკი ისედაც ხომ სუბუქად ჰქონდათ წამოღებული, რადგან ჩვენიანების ნაოფლარი თვალსაზრისულა იმედად ჰქონდათ მაგრამ, ჯერრო ცხენები შემოეჭმევათ, მერე კი... ღირს კი, სათქმელადჰ ეჰ -

ერთიმეორე,

სუპირველი კი, აი, ენებიცოდნა თუმც ხომ აკი ენების ცოდნა და კარგი რამეა და შვენიერი და ყველაფერი, მაგრამ თუკიღა ძლიერათ გშიან, გაგიგონიათ ალბათ, თუ კუჭი კუჭობსო, ძაანაც ძნელიაო, და სუპირველად, ჯერ, მართლაც ურჯულო თარჯიმანი შემოეჭმევათ, ტანსაცმლიანა, ეჰ ლამის თითქმის ნამდვილი ქართველი იყო მაგრამ იმისი ვერცხლი თუღა სტკენთ კბილებს, სხვამხრივ, კარგია, ისე კი, რადგან გული თუ ავგულობს რა იყო და კუჭიც თუ კუჭობს და ქადაც რა იყო არამედ თარჯიმანიც კი ორივე ხელით იჭმევაო, და თუკიღა ნეტა-ასეთურ საშოვარზედ აშლილებს მართლაც თუ ისე ძალიან ჰშიანთ რომ მარილის მოყრა და პილპილი ყოფილ თარჯიმანს სულაც არ უნდა და არაფერი, -

აფთრებს, ვინ მისცათ გემოვნება,

ლეშზედ არიან, გინდაც მობრძავზე,

და ერთიმეორეს ვერაკარგა ამთვალიერებენ,

ვიღასღა ახსოვთ საღბილიკები,

სწორაფონები,

და ასე შემდეგ,

ანუ ა. თან შ.,

მოკლედ, ამისა შემდგომ იმათ დიდხანსცა მომლოდინე მთავარ ხროვას კი, გამჟღავნებულებს, თან დიდად მეწინავე რაზმის-იმათით იმედგადაწურულებს, და ამიტომაც უცხოდ ერთობლივ ბჭობა-ყაყანის შემდგომ ნაგვიანევურ ჰაიჰარათი, დაძრულთ, არის ერთიც ასეთი წყნარი სოფელი შუაგულ საქართველოში, ქვიშხეთი, იმასთან განაპირას დაამარცხებენ, ერთიც გინდაც რიგითი მღვდლის წყალობით როგორ მალიმალ შელაშქრებულები, თავზექუდშეყრილები, კაცებია და, ქუდები ჰხურავთ, ქუდზეკაცნია, და საკადრისად დასახვედრად, მტრის, მუდამ გამზადებულები სუეს ჩვენები, ძველები, რამ-სალოცავით გადარჩენილები, ოჯახებიც ხომ ისევა ჰყავთ და ვაზიც აბადიათ, იოჯახებენ, კვლავ, და უხარიანთ - როგოო, როგორ ძალიან ბედნიერებენ ამა მორიგი - ჰოიმეე ბიჭო!? - უბედურების აცილებას, და ეს განა მარტო აქ, დაბლაღა არი სიხარული,

აა[რა, კაცო, მაღლასაც, ცაში, ერთიც ძალიან იმათი და იმათგან მაინც თავისით წასული და თავის თავისაც გარდა მერედა თვით ვისი-ს, დიადი დახმარებითა და მის ნალურსმნალ ფერხთან აღწეული, აბა რომელმა ვიცით თუ რომ აბა როგორი ბედნიერებით ზეიმობს იქა, მათი დამყურე ადრე ამჩვენში უბრალო ღვდელი, „მღვდელი - გამწმედელი, განა მფარველი“, მღვდელი თევდორე, ისევაც ბავშვი, როგორჩვილური ნაღდ-სიხარულით უხარიან ქრისტესი კარგ, ბალღს, და მეტიც უფრო - ის მერე რა რომ ადრეულა სიყმაწვილეში, ყმაწვილობისას ჩიტების დევნით წაქცეული და ცხვირმოქცეული, ხოლო ახლა კი, მისი სწორმღვდლობით რამდენად მეტი, სამაგიეროდ, - ქრისტესბაია,

და აბა ვინა თქვა ბერი თევდორე აღარ ახსოვთო, ღვთის ბერიკაცი, სიხარულია ისევ კვლავი და აღტაცება და რა მაღალი ბედნიერება უღირსისათვის უსათნოეს იმ მაღალ ლექსში სახელად რომ უბრალოდ, „თევდორე“, ჰქვია, უღირსის გულით ორ გამორჩეულ თანამედროვე პოეტისაგან ერთ-ერთის მიერ შექმნილი და მხოლოდ უხმოდ დაწერილი კი არა, არამედ... ნაგალობევი!, ჰო, და, როგორ გვახარებს თუნდაც ამ ვითომც ერთის პატარა სიტყვით - ხარება, მაგრამ „ხარება - სიხარულის თქმა“, ხოლო „ესე არს ყოვლისა ჭმუნვისაგან თავისუფლება“, ძალას გვკრებს, როგორ, და მონატრებულ ბედნიერებას, საჩვენოს, ანუ, გვაწვდისვე, როგორ, ურდოების გზებს ძველთევდორეთი ახლაც, როგორ ხშავს... - შენს გახარებამ!, მღვდელო, თევდორე... ხარობენ რაღა ერთიც ჩვენიანით, ღვთისმშობლის მიწა, შემოენახათ; შემოგვენახა? - კი, თევდორესი და მკვიდრ ძმათა მისთა, მადლით, დღესაც ჩვენ-ჩვენ ენაზედ ვლაპარაკობთ და, ვფიქრობთც, ისე კი, ცხადი არი რომ იცოცხლე სჯობს თუ რომ კარგად, უფრო, ფიქრებიცა და ლაპარაკიც, უფრო-ს ამქვეყნად რა გამოლევს, სახიერია, ღმერთი, რაც ტანჯვები გვაქვს, სახიერებით, ისიც, უფრორე, მაგრამ ემ მტკვარმა ისეთი მაინც რა დააშავა, აბა რათ უნდოდა იმდენი სისხლი და თანაც, ვისთა, მერე როგორი, ამმღვრევი და, ამამღვრეველი იმ ღრძოთ-ურდოთა, ბალღამით ნაკაზმ, თათარიახნით, მტრისას, ჩვენი მდინარე კი უფრო ადრე რამდენად უფრო ხალასად ბევრად უბრყვილო, იყო, მაგრამ ელექებოდა მაინც, ჩვენში აი ის ავად შეჟღენთილი, რაღაც, რაღაც კი არა და მტერს, და მტრისას, მაგრამ ეგება იმ ავ შენაჟღენთს ეგება ადგილასაც აღაბრუნებდა, თან ჩვენთან მდინარე, სხვაგანაც, ჩადის, და ღვთის შეწევნით, რაღაცებით მაინც გვედგა სული, თუნდაც ცალკენტ-ხალხური თევდორეებით, იმ ჩვენს სოფელში კი,

ნეტა რა ხდება,

როგორ ძალიან მივივიწყეთ,

მოგვესაკლისა,

ერთიც, ჩავხედოთ... -

ვაჰ!? -

ამაზედ მეტი, რა უნდა მოხდეს, -:

აბადა, ვინა, კოჭლ-ეფემიას ცოდო-ბრალში აბა რომელი-ერთი გინდაც ძალიან გასათხოვარი ჩადგებოდა, თავისი სოფლისა ვიღა გაჰყვებოდა თუნდ პოეტ-

ყმაწვილსა, ხოლო გონით კი მარჯვე ნათესავები აკი რიღასი მახლობლებია და მოხერხებულები, აკიც, შორითა ახმეტიდამ არ მოუყვანენ უცხოხილ-ქალსა?

მოდით შავხედოთ... -

ვაჰ!?,

ქალი არირო, აი გლეხკაცი რო იმუშავებს ბევრსა, აი რიჟრაჟიდან საღამომდისინ რო დაიქნევს და იქნევს და იქნევს ცელსა თუ თოხს, და აი მერე შინ რომ ძლივასღა მიბრუნდება და აი ცოტათი რომ მოითქვამს სულს, და მერე კი მთელდღით ნაგროვი სიყმილობა რომ წამოუვლის და წამოჯდება და როგო დაცლილ-მოშიებული ხვალინდელ ჯანისთვინ დოიან კარაქში აი ისე მადიანად რო ამოუსვამს გაფიცხებულ პურს, აიმ დოიან კარაქსავით აისე სცხია როგორც პურის ყუასა იმ ახმეტურსა პატარძალსა სახი-ზექვეით იეფი ლახუსტაკი, თანაც, იძახის:

ახმეტური ქალი ვიყავ

ახ ნეტავი მეო,

დიდი ამბავი; მაგრამ მერე? -

და ისიც, ახმეტური:

ოცდახუთი წელიწადი

ოსტატს ვებარეო,

ვეჰ - ვაჰ, თუ ოცდახუთი წელიწადი თუ ოსტატს ებარა, არა? მაშ ზნაჩიტ სუცოტა ოცდახუთისაზეც მეტისა გამოდის და მაშ დანიშვნისას პატარძალმა რაღათა თქო რო ჩვიდმეტისაღა ვაარო, მევო, მაშ აბა ეგ რაღა სამართალია რომ ოცწლისა გინდაც პოეტს რო სუცოტად მინიმუმ ოცდახუთისა ქალი შართონ, მოყვრებს ნეტა თვალები სადა ჰქონდათ, მაგრამ იმოდენ ლახუსტაკებში ასაკს კი არა ხალები ააქვს სახეზე თუ ანდა პირიქით, იმასაც ვერცკი დაუდგენ შენა ვიღაცა ხარ თუ ნათესავი, მაგრამაც კარგი, ჯანდაბას, რაც იყო - იყო, აკი დაინიშნა ამჩვენ-ძველნაცნობ პოვეტზე და გული უნდა მაინც გავიკეთოთ, ის მერე რა რომ, ერთგვარად უასაკოა ანუ ბუნდოვანჰასაკიანია, მაგრამაც სამაგიეროთ ანდაც სულაც ეგება ხასიათი ააქს ისეთი კარქი, რომ იმის ჭიკჭიკ-ჟღურტულში დაარხეინებულსა მიგეძინება, ანაც, სუ ჯარასავით დაჰტრიალდება ალბათ ოჯახში და ააშენებს სახლსა და ააყვავებს კარ-მიდამოს, ხელმარჯვედა სჩაანს, რადგანაც მთელსა ოცდახუთ წელიწადსა ოსტატს ჰბარვია, მაგრამ:

ნემსს ყუნწი საითა ჰქონდა

ის ვერ ვისწავლეო,

ვაჰხ!? აბა შენა ჰყოფილხარ, აი,

საპატარძლოდ მომამზადეს

ეს მიამა მეო,

გიამებოდა, მა რა,

უმარილი ბევრი ვისვი

ფერი ვიჭარბეო,

და განა მარტო სახეზე ნეტა?

წარბი კარგა შევიღებე

თვალი ვისურმეო,

ნაღდათ, ნაღდათ, ამ ერთში იჭვი არ გვეპარება, ლახუსტაკუნობანაში ანუ,

ნეფიონი რო მოვიდა,

ის მიამა მეო,

ვაჰ, გაიღიმევი? მაგრამ იმდენსა ლახუსტაკებში, შაგეტყობოდა?

დაფა-ზურნა რომ დაუკრეს,

იმას ვერ ავყეო,

რას აჰყვებოდი... გვჯერა, კი, გვჯერამს... შენისთანასიც შეგირდისაგან... მაგრამ სადღაცას

ჯოხი რომ დაარაკუნეს,

ჩამოვუარეეო,

კი, კი, აკი ავი მუშა კვირაძალს გახელდებაო,

ქურანი ცხენი მომგვარეს,

ზედ დავაჯექ მეო,

უზანგში რომ ფეხი ჩავდგი,

გადავალაჯეო,

კარგი შასახედავი კიიქნებოდი, მაშ,

საყდრის კარსა რომ მივედი,

ღვდელსა შევძახეო,

აბა ჩქარა, შე სულ-ძაღლო,

კარი გააღეო,

შესძახებდა, კი, მაგრამ ასეთიც რამცა, გაგიგია?.. მაგრამ

ღვდელმა კარი არ გააღო,

ის მეწყინა მეო,

მაგრამ, ეტყობა, მაინც დაუყოლიებიათ პოვეტ-ყმაწვილის მაყრიონსა და ახლობლებსა და კეთილმოსურნე გამრიგებლებს და მოკლეთ მოკეთეებს ალბათ როგორის დიდის ხვეწნა-მუდარით წყნარსაყდრის ხალხი და კარიც გაჰღებიათ ამ ახლად შამკრთალ ნეფესა და ერთგვარად ალალ-პატარძლითვინ და, როგორც ეს წესი და რიგია, ბიჭად-პოვეტი ნეფე და ისა დედაკაციც (!? - ი?...) მღვდლისა წინარე სუ ციმციმ წარუდგენიათ, მაგრამ რათ გინდა:

ღვდელმა წიგნი ვერ იკითხა,

ხელში წავგლიჯეო

ვაჰ, რა ხდებაო, შეწუხებულა დიაკვანი, ოღონდაც მხოლოდ სახე შეჰჭმუხნია, გინდაც ძალიან გაჯავრებულზე საყდარში ხმამაღალ სიტყვას აბა ვინ გაბედავდა, მაგრამ იმისა სახის შეჭმუხვნაზედ? აბადა ესეცკი როგორ თუ გამიბედეო და, შეჭმუხნა აგრე არ უნდაო და,

დიაკვანსა გაუჯავრდი,

მაგრაამ,ავაიმეეე, მააგრამ, როგორ! -

თავში ვაწყვიტეო,

შარიმ უგდე, ქვეშ მოვიგდე,

ზედ დავაწექ მეო,

აჰკ! ვაი სირცხვილო, სირცხვილო, და სხვებსაც რო დაუბრიალა თვალები, ერთივ ნიმუტში აბა რომელი სად და ვინ სად გადამალულა, ჯვრისწერის აგრე დამშვენება როგორიღგინდაც პატარძლისაგან განა ეს როგორ შეიძლება, მაგრამაც თურმე გააჩნია, ეს როგოლისაგან, -

ცოტა ავ გუნებად ვიყავ,

კარგად გავხდი მეო,

და დიაკვნისათვის თავ-პირი რო შეუხვევნიათ და როგორც იქნა და ყოფილა და რომ გამოსულან ეკლესიიდან, ეს ჩვენი ახმეტური თურმე ეგრევე

ცხენს მოვახტი მეო,

გავწიე და წინ წავედი,

არვის უცადეო,

არ იცის, აი, გრამატიკულათ პირის ნიშნები, უცადე კი არა ვუცადე უნდა ეთქო მაგრამ რაღადროს ესენია, კაცოო, ნეტავი საით მიჰჭენაობს ესაქალი, გიჟმაჟია თუ უარესი თუ რა,

მაყრიონი მომძახოდა,

ქაალ, დაიცადეო,

დაუჯერებდა, კი... და აჰაც!: -

მე იმათი რახა-რუხი

არად ჩავაგდეო,

რას ჩააგდებდი, გიცხონდა პატრონ-გამჰზრდელი,

შუა გზაში რომ მოვედი,

ვაშლი გავკბიჩეო,

შხამათ!

დარბაზის კარს რომ მოვედი,

ძირს ჩამოვხტი მეო,

ვაიმე!?

წინ ტაბლა რო მამაგებეს

ჯამი გავტეხეო,

ყოჩაღ,

ჯიხვით ღვინო მამიტანეს,

ის მიამა მეო,

ოხრად და სამსალად,

ხელადით გამამიტანეს

ყელი ვისველეო,

საღვინით გამამიტანეს

გული ვიჯერეო,

კაცო, ჯერ ესა ქალი ისეც როგორია და, თან, გადაკრულში? - ვა?:

დედამთილი მომეგება

პირი ვარიდეო,

არ იზამდი... არ დაიზარებდი,

პირში შაქარი ჩამიდო

თითი მოვკვნიტეო,

აფერუმ!

შიგნი-შიგან რო შევედით

სკამი შევზვერეო,

ზედ ბალიში ავიტანე

რბილათ დავჯექ მეო,

ჰსცოდნია, კი, კი, კიე, თავის-იმისის, ყადრი,

დედამთილსა წავჩურჩულე

- პური მშია მეო, -

არ ინაზება, პირშიმთქმელია,

ერთი მწვადი რომ შემიწვა

ის მეწყინა მეო,

დასჯერდებოდა?

თაროებსა დავუარე

კვერცხი მოვსძებნეო,

რას არ მოსძებნიდა?.

ცეცხლზედა ტაფა შემოვდგი

კვერცხი შევწვი მეო,

მიჩერებიან, კი,

ზედაც თაფლი რო მოვასხი

ის მიამა მეო,

შეგირცხვა პირ-ხახა,

ასი კვერცხის ერბო-კვერცხი

მარტომ შევჭამეო,

აიი, ოხრად და სამსალად!, ჭირი შენა და!!, ხორველა!! გასკდა შენი მუცელი... მაგრამ აქედამ უფრო იწყება:

დედამთილი ვჯოხე, ვჯოხე,

მული გავიგდეო,

აფერუმ! - შენს პატარძლობას, ბარაქალა,

იმათი თმების ნაგლეჯი

ბანზე მოვფინეო,

მალადეც! ვაჰ, სამთვარიომ ხუარ მოუარა,

მამამთილსაც ხელი მივყავ

წვერი ვაგლიჯეო,

ვაჰ, წვერი, კაცო!? ვაჰ, ეს დარბაისლობისა და ღირსებისა ნიშანი ვეჰ!? ხო არა ჰხუმრობს? ანდა ტყუილით ხოარ გვაბამს პატარძალი? - არა:

იმის წვერისა ნაპუწკი

ღობეს მივფინეო,

„ვაიმ, მამაავ! ვაიიმ, მამიიი!“ - შვილია მაინც, გინდ ბიჭად-პოვეტიც, თანაუგრძნობსა, მაგრამ

ნეფეს წიხლი მოვახვედრე,

კარებს ვაწყვიტეო,

ავაი ბიჭო, ოფლებში სცურამს, ნეფე, მიმალულია, მაგრამ განა რომელ-ერთ საკბილოსა გამოსტოვებს ეს ახმეტური, -

ორიოდე მუხის კეტი

მაზლსაც უშხივლეო,

ბრავო!!,

მაზლი კარებს ეფარება,

ღმერთო, გადავრჩეო,

ახმეტუროვოვოკოოვ! დუშკაჯან, ცავატანემ!!!, -

აიი, მეხიც კი დაგათხლიშე, ნეფის დედოფალო, -

ვაჰ, აქ აი მეც ეს რა ქალივით წყევლით ვირჯები, ქააჰ - ყველანიკები, დაგვაქალაჩუნა?

მაგრამ ის ნეფე, ბიჭად-პოეტი, ჩვენი, ვეღარსადა ჰსჩანს, და თქვენ კი გგონიათ რო, აი, სადმეც მიჰფარებულში გატვრინილა და იქა სწერს ლექსსო? აბაა, ა? - არა, არა, არამედ ესა ნაპოვეტარი სულ სხვა რამისა საქმეს შესდგომია: - დადის იმ თავის ახლომახლო სოფელ-სოფელ და, ქვევრი ვისა გაქვთ გასახეხი, აბა ვისაო, უფასოდაო აბა რომელ-ვისაო, ამას სუ ჩურჩულებით იკითხვინება, ოღონდაც იმჩემ ახმეტურს არ უნდა უთხრათ, ქვევრში რო ვაარო, სამაგიეროთ, უჰონორაროთ გაგირეცხ-გაგიხეხამთო, იმათაც, აბა რა ენაღვლებათ და, კარქიო, და ამღვინით ცოტა ზედმეტათ ტიელ ემ საქართველოში გასახეხებ ქვევრთ აბა რა გამოლევს, ჩაძვრება შიგა და, მიჩქმალულა, და შედარებითულს არხეინსაა; ჰეკზამეტრი და გიპერბოლა იმას სუაღარ უნდა და არც არაფერი, ერთი ისღაა, პატარძლისაგან მიჩუმათებული, ჭურში იჯდესა; უსვამს და უსვამს ჯაგარსა და ბლის ქერქსა ქვევრს და, თანაც, იხსენებს - ვა?, ის რა დრო იყოო? აი რომელი და, როცა

სამგორისა მინდორზედა

თეთრიცხენი მიგოგავდა,

ზედ ბიჭი იჯდა ლამაზი,

შევარდენს თუ ქორსა ჰგავდა,

ეეჰ, ეხლა აღარც დაიჯერებთ, მაგრამ თითონ იყო ესა, ისა ბიჭი, უკან კი, ერთიც კოჭლი გოგო მისდევდა, ეფემია, და, მისტიროდა და მოთქვამდა:

სიკოჭლეზე რასა მწუნობ,

განა კურდღელს მადევნებო,

აბა ამ ნაპოვეტარს მაშინ სადღაღა ჰქონდა ჭკუვა, ეკოჭლნა იმას რამდენიც უნდოდა, შენ რა, თავითვი წვალობდა, იმისი დარდი იყო ესა, ყურით ჰაერში ჩანისკარტება... სამაგიეროთ? -

შვილებსაც კარგად დაგიზრდი,

ერთს არ დაგიზიანებო,

ეეჰ, ოღონდ კი ცოლად მოეყვანა ის ეფემია, კოჭლი, რა გოგო იყო? - ორ ხმას ერთად არ ამოიღებდა, ეს მაშინ იყო რომ სულაც თითონ კი არ ამბობდა, ჰარამედ ამას სიყვარული და შეყვარებულობა ალაპარაკებდა, დიიდი ვერაგი განცდი, თორე, ისე კი, ძლიერად მორცხვი გოგონი იყო, და წამდაუწუმრივ დაბლა ჰხრიდა ის მერე რა რომ, მოკლე წამწმებსა, ეს მარტო ერთხელ იყო, რომ რო, სიყვარულივივ, ალაპარაკებდა, -

საფეიქროს ჩავუჯდები,

მაქოს გავუძლიერებო,

მაგას რა სჯობდა, ამ ახმეტურისა განძლიერებული მაქო კი ორნივ მუშტნი და ზედაც თითებპარჭყულად წვეტ-წვეტიანი ფრჩხილებია, ზედაც მანიკურუიანეები, მაშ,

და ხეხავს და ხეხავს ამ ქვევრებს ესა ჭურსმჯდომი ძველადყოფილი რითმების კაცი, მინამდისინ რო ქებულ ლექსებს რო პირდაპირ ჰხატამდა, და ყალმისა ნაცვლად ჯაგრებიან და ბლისქერქიანი სარცხი უჭირამს და, მაგრამ ისე კი, რაც მართალია მართალია, გამწარებულზედ, კარგა მუშაობს, რადგანაც, ვეჰ-რარიგ მწარედ ახსენდება, რა ბედიც დაჰკარგა, -

ჩოხა-მერდინებს მოგიქსოვ,

ფულებს ჩაგიჩხრიალებო,

ფულები კი არა, შაურ-კაპიკიც გახვრეტილი, ვეღარ აბადია, სუ ხონთქარივით ქალმა წაართოთ მთელ იმათსა კომლს სუყველაფერი, ისა კი, ეფემია, ის მერე რა რო, კოჭლი,

ჯამ-ჭურჭელს კარგა დაგირეცხ,

თაროს დაგიკრიალებო,

ვეეჰ, თავისის პატარძლისაგან, ჯამ-ჭურჭლისა კარგა დარეცხვა და თაროების დაკრიალება კი არა, ერთი ისღა უნდა რო ის ჯამ-ჭურჭელი და ზედაც თარო თავშისზედ არ ჩასცხონ, არადა, ადრე? სხვისა მართალი დაპირება? -

ახალოხს კარგს შეგიკერავ,

ღილებს დაგიწკრიალებო,

ახალი და კარგი კი არა, იმ გაყიდული სანეფო გამოსაწყობისის ნაცვლად მეზობლისაგან ნაწყალობევი ჯვალოს ახალოხივით ტიელი რამაც ისიც კი სუ თავზედ გადაუფხრიწნიათ, ადრე კი, ადრე?:

პურსაც მალე გამოგიცხობ,

ჯერს არ დაგიგვიანებო,

პური კი არადა, მოუხარშავი შავქვაც სანატრელურა-ნანინანატრად გაჰხდომია, და მაინც არც პური უნდა და არც არაფერი, ოღონდკი აქმაინც მოასვენონ, ქვევრში, საიდან სადა ჩამოვარდნილი, ადრეპოეტი, ნეტა გამოთქმა „ჭურში ვზივარ“ პოეზიიდამ ხოარ მოდის? აბა მე რავი, ისე კი, იმისიც ახალი ქორფა დედოფალი ხან ვის შაეჭრება სახლ-კარში და ხანაც რომელ ბეჩავ ვარსკვლავზედ დაბადებულსა, და, იჩემი ქმარი, ისჩემა გაგრია - პოეტზედ, კაცო!? - ხო არ გინახამთო, ვითომდაც იმას დაეძებს, მაგრამაც საქმე იმაშია, რომ, აბა ტყუილა ხო არ ასწევდა დაბალ საჯდომსა, - შინ რო სულ ამოუწრუპამს და გამოჭლევია ღვინო, ახალყლუპების დამატება მოსდომნია და, უნებურად სწორა-შარზეა, ქვევრში ხუარ დაგიმალამთო? სანამ მარანში შაიჭრება, იმისა დიდფეხთა ზრიალურსა ხმას აკი ქმარი - აბა რიღასი

ქმარია, ეს ისე, სიტყვის მასალათ - ქმარი კი არა, მთელი სოფელი კარქათა სცნოობს - ეჰ, რაღა კარგა სცნობს, ესეცა, სიტყვის მორიგი სამსალ-მასალა, - და, ელდანაკრავად შიშატანილი ნეფე ერთს კი ამოჰყოფს შემცივნებულ მკლავს და ქვევრზე ქვევრის ხუფს დაიხურამს; ისა ჩვენი კარქა ნაცნობი - ვაჰხ! - ახმეტური პატარძალი კი, ქვევრში გეყოლებათაო ვითომ ტყუილა ამბობს მაგრამ, ჭეშმარიტსაა, მართლა აგრეა, და რო დასწვდება და მოისვრის იმ ქვევრისქუდსა და რო ჩაუყოფს ორშიმოსა, ესა ბედკრული, გაჭირვებისგან გამჭრიახია, ქვევრისა ფსკერზე კარგა მოზრდილი კოკა უდგას და, იქიდან, ჩაყოფილ ორშიმოში ღვინოის უსხამს, თანაც კი პირ-ყელით სუ „ბუყ-ბუყ“ -ს აყოლებს, ეს ვითომც ორშიმო იბუყბუყებინება, შორსა ნაპოვნი პატარძალი კი, ის შეძენილი, ზედაც გადაწეულ პირზედ დაისომს ორშიმოსა და, - „კრ-კრ, კრკრ-ტყლუმპ!“, იმასა კი თუ კიდე ღვინო და იმით ზედკიდე ისეც ტიელი გონის ღრძობა თუ უნდა? - აღარ ვიცი, ძმოო,

ისედაც ხომ,

ფერუმარილებ-ლახუსტაკებით გაავფარშავანგებული,

ჭკვაზედ ისედაც აფრაკად, არიი,

დაა, პატარძლისა ყველაფრის თავზედ, აბა ესღა თუ გაგიგონიათ? -

ორი კვირის პატარძალმა,

შვილი ვშობე მეო,

იი, ეს როგორღა, კაცო?.. არა, დედოფლად რომ იშოვნეს, ცოტა მოსუქნო კი ეგონათ, მაგრამ ისეთად თუ იქმნებოდა? -

ეეჰ,

მერე ქალებში წაველი,

ქალებს ვუამბეო,

ე, რას უამბობდა, ნეტა? ვა?, მაინც ისეთი რა უამბო, ნეტავი კი ერთი იმ ნაამბობის გულთმისანი გამხადა და, ნეტაკი მაგის გაგების მურაზს მაწვია და, ჭურში მთელორნიც გავმხდარვნიყვნეთ, რას უამბობდა?, ჰა... -

რა უამბო და, ესაო, ეს ჩემისაო - ორკვირის შვილზედ - ესაო, ქალებოო, ჰვუნდერკინდიაამ, -

მაშ.

მააშ, ასეთი ღიმილიც იცის ჩვენმა სიცოცხლემ, ჩვენმა ხალხურმა პოეზიამ, ეს ლექსში თორემ, ხუმრობით თორე, თორემ აკი მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებითკი მის აღმოსავლეთ ნახევარსფეროში აკივ ხომ კარგა მოგვეხსენება ჩვენივ ჩვენჩვენურ ახმეტაური პატარძლებისა თავდაჭერილობის ჰასაკი? ვა?, აეს ბოლო კი წინადადება მგონი ცოტათი გრძლათ მოგვივიდა (მითომც პირველად)

მაგრამ სიმართლეა, და ის თუმცა ჩვენური ხალხური პოეზიაც და იმაზეც ჰაზრი ცოტა ეგება ისიც გრძლად მეტი მოგვივიდა, მაგრამაც არა, არა, არ მოგვსვლია, მე მგონი, ზედმეტი, რადგან, თუმცაღა მრავალი ლექსად-ღვთისმადლი შევიხსენეთ, სამაგიეროდ ერთი ხმა-კრინტიც არ დაგვიძრავს ისეთ წყალობად-ნაბოძვარ სიმაღლეებზე, იმ მწვერვალებზე,როგორებიცაა ჩვენ-ჩვენი „შემომეყარა ყივჩაღი“, „ხოგაის მინდია“, „საბრალო დედაბრისასა“, ახმეტურისაგან როგორ ძალიან განსხვავებულად თვითკრიტიკული „მე, რეგვენმა პატარძალმა“, „თაგვებისა და კატის ომი“, „მზე და მთვარე“, „წუხელი რწყილმა მიკბინა“, „მოყმე და ვეფხვი“, „თავფარავნელი ჭაბუკი“, „მამკვდარა ჩვენი ლენინი“... - ახხხკ! ჯვარი აქაურობას, ამას სარჩევში უნებურად წავაწყდი, და რახან „მამკვდარა ჩვენი“ -თ იწყებოდა, გულივ ამიჩუყდა და ჰაიჰარობით ამოვწერე, აჩქარებულის უჭკუობითა, თორემ აბა რომელი მწვერვალი და ზედაც კარგი რამე იქნება ესა... თუმცაღა, კაცო, კაცმა რომ თქვას, რითია ცუდი რო: „მამკვდარა ჩვენი ლენინი“ო, შეგვაწუხებს თუ რა - იმი გულითვი სამარის გათხრა და ბარ-ნიჩაბი დაგვჭირდება თუ რა; თანაც თუ შუა სიტყვას ამოვიღებთ მავზოლეათვინ, ეგება ლამის „მზე შინა და მზე გარეთა“-საც გაუტოლავდეს, ხოლო ამ გაგრძელებულ მომადლებაზე, ლექსებზედა, ჩვენს, ნასიკეთარზე ამ, არ შემიძლია ადრე თქმულიდან კვლავაც არ გამახსენდეს და კიდევაც უნდა გავიმეორო, რომ, ამ ჩვენ ქართველებს, თუ დიდად ნატიფი, დახვეწილი, მონიჭებულად ამაღლებულ-ცისფერსისხლიან დიდერთეულთა სრულიადური, ლამის უკლები პოეზია, გვაქვს, სადაც რომ მართლაც რომ თან ფერადოვან სქელ ხალიჩებზე ხავერდოვანის წუღა-მესტებით დავაბიჯებთ და დავიარებით და თანაც ცაში ვფრენთ, განსჯის აკვანით სუატლასებში გამოწყობილები, მაგრამ აესა?, ეს პოეზია? ხალხური?, ჩვენი? ესა -

ესა, გლეხია, ფეხშიშველი, ჩამოძენძილი, მიწებზედა დგას, გაბურძგვნილ თმაში ბირკები უჩნს, დაკაწრულია, დაკოჟრილი, ქვას ხელითა სთლის, წენგოიანი თითებით ლესავს ნამგალს, თავისსა რკინას, და, რისი ბზინვა, ბრწყინვა, კაშკაში - ყოვლისშემძლეა, ყოველი მისია, რადგან - ხალხია, ხალხი, კაცო, ხალხია, და, რისი კენტი მზეთუნახავი, - ესა? - ბაჯაღლოდ მზენანახია, კანებდამსკდარი, ცხონების მადლით უჯიათი და მალამოსავით-ცვარებ-დაყრილი, და, მუდამ, ყველგან, გინდაც ღიმილში, წამიწამ სიკვდილ-სიცოცხლისაა, გამარჯვებული, თუნდა იმ, თავის პირველი ლექსით - :

ლექსო, ამოგთქომ, ოხერო,

თორე ეგება ვკვდებოდე,

მაგრამ უღირსმა მთელი ჩვენი ამ პოეზიიდან ერთი ადგილი-რამ ვერ გაიგო. სადამდე აღარ ეცადა, იქით მიდგა, აქეთ მოდგა, იქით გასწია, გაეშურა, აქეთ გამოსწია, გამოეშურა, უკირკიტა რომ? მაგრამ, აბაა, გაგიგონია? - მაინც ვერ გაიგო... არადა, როგორ უბრალოდ იწყებოდა:

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,

ჭალას ჩიტი მამკვდარიყო,

მერე კი, ამ შესავლითურ უბრალოებას რაც შემდგომ მოჰყვებოდა, უღირსმა ვერაფრით ახსნა, და ჯამბულიას სოფლიდან წამოსვლა და კარავში დაბანაკება ერთხანს ვითომ კი მიუსადაგა იმ ორ მომდევნო პწკარს, მაგრამ არა, არა, ეს დიდი ვერაფერიშვილი ამოხსნა იყო, მხოლოდღა თავის მოტყუება, და, ჩაიქნია კიდევაც ხელი, მაგრამ განგება? - მოწყალეა:

ერთხელაც, ცნობილ ქალაქ მოსკოვში მატარებლით რომ ჩავიდა, რკინიგზის სადგურთან ტაქსის შოფერმა შესთავაზა, თუ ხუთ მანეთსაც მომცემ, გზაში ერთ კარგ რამეს გაჩვენებ, რა გენაღვლება (გულისხმობდა ახლადჩასულ ქართველს), სულ შვიდი მანეთი დაგიჯდება და სამაგიეროდ კარგ რამეს უვიდიშ-ო; ჩტოა ეგეთიო; ნი გჯერავსო? ნა მესტე ნახამო; კარგიო - უღირსი ცნობისმოყვარე იყო, მაშინაც, დაიძრნენ, დაადგნენ გეზს; მძღოლმა გზად ცნობილ კურსს ცოტათი გადაუხვია, ერთ ბაღთან კი სვლა ძალიან შეანელა, სხვა მანქანებიც, წინა-უკანანი, მხოლოდღა მიბობღავდნენ აქ; გაიხედეო, მძღოლმა, აი იმ სკამეიკაზე, ჩელავეკს თუ ხედავო; კიო, უღირსმა; ვერ იცანიო?; ვერაო; აი, ეგაო, ხარაშო შეხედე, ხრუსჩოვიაო; -

ვა?!?

უღირსმა ახლა უკანა ფანჯრიდანაც დიდის გულდასმით გაიხედა და, მართლაც, - ხრუშჩოვია, ვე?, ოღონდ, რაღა თქმა უნდა, უჟე მოხსნილი, და ძველებურად მრისხანე და მეხთამტყორცნელი ადრემოქმედ ზევსივით კი არა, არა, ნეტ, არამედ - მოკუნტული;

სესერეკასისა და პოლიტბიუროს ერთხანს მთლად უფროსი კი არა, არა, ისევაც ნეტ, არამედ ძალად პენსიონერი, კაცო, წყნარი, ადამიანო; ეს ის, ვინაც რომ, გრგვინდა და, სჭეხდა, ვინაც რომ მარტო მხატვარ-კამპაზიტორთ ნესჩასტნიხსთ კი არ ატეხდა თავს რისხვათ და წყევას, არამედ ვინაც რომ თვით საქვეყნოდ ცნობილ ქვეყანა ამერიკაში ოონ-გაეროს თვალუწვდენელად ფართო ნიმუშ-კრებებზეც ისეთს დიდ გულზე იყო, (ჟოპაზედ რაღა,) როო, ზედ მრავლისმნახველ ტრიბუნაზე მაგრამ ამისთანასის ორატორისა მაინც უნახავ ზედ კაფეთრაზედ ფეხსაცმელს ორთავ ხელით იხდიდა მხოლოდ მცირე ხნით საქვეყნოდ წაკუზული და მერე კი უდანაშაულო ტრიბუნაზევედ აიმ ფეხსაცმელს ისე ძაანაც ახათქუნებდა, ვითომდაც სიტყვით ღრიალობებში ვერ ეტეოდა; ერთი ისღაღა გაიკვირვეს, მრავლისმნახველმაც ოონ-გაეროელებმა, ემ წითელს წინდაზედ რაღამ ჩააცვა ტაკოი ყვითელი ტუფლიო, ისე კი, სხვაფრივ, კარგა იცოდნენ რა ხელმძღვანელიც და ლიდერი და რისაც სულისჩამდგმელი ისი იყო; ახლა კი, ბაღში, წყნარა მოკუნტული, თავის ადგილზე იჯდა, არა, თავის ადგილზე კი არა, არამედ იმის, მთელი სოფლიოს ერთ დროსა როგორულ-დამაშინებელი; ისხდა მომხსნელი ბედის მორჩილი, და ერთ ბეწვა ბაღში ისე მშვენივრად ეტეოდა რო, კარქა, და არაყ კი არ სომდა არამედ ჰაერით სუნთქამდა კი რაღა თქმა უნდა რასაკვირველია; ძველებურსავით ნასმიც, ფხიზელიც, ერთნაირადღა თვრალი კიარ იყო; და ერთსა და იმავე დროს შედიოდა თურმე იმ თავის სახლისწინა დალაგებულ დაგვილბიუროსავით ბაღში, რადგან შორმანძილებზე ეკრძალებოდა ალბათ გასვლა მარკო პოლოსგან განსხვავებით; და თანაც ერთსა და იმავე დროს უნდა

შესულ-გამოსულიყო იმავ ბაღიდან იგივ პაწუა ბაღში, ეს ის, ვინაც რომ ერთდროს თვითონ სრულიად გლობუსის ნახევრად მაინც ვითომც მპყრობელი - ამაზედაა, სადაურსა სად წაიყვან, ბედოო, - კურანტებიან-მარსკვლავებიან კრემლიდან - აბიკნავენნი რიადავოი ბახში? თან ერთი ორ-სამ ცქაფი ბიჭები ოღონდც სიცქნაფისა გამომეტყველურ-სიმარჯვეობით შემნიღბავნი რაღა თქმა უნდა უთვალთვალებდნენ ემანდ რაიმ ხრიკი ოინი არ ჰდააპიროსო, მაგრამაც არა, არა, ნეეტ - მორჩილებასა, იყო, და საზრიანად ფხიანი შოფრებიც ამ ასეთ სახეირო შესაძლებლობას ტყუილა აბა როდი ჰკარგამდნენ - აკეთებდნენ, ფულს, და დიდად გახარებულმა უღირსმაც შვიდი მანეთის ნაცვლად ზედაც სამი რუბლი მთელი თუმნიანის სახით უფეშქეშა აგრეთვე გახარებულსახიან მძღოლს, თუმც ზედმეტი ფული არასოდეს უჭყაოდა არც ბანკში და არც ჯიბეზე, მაგრამ სიხარულისათვის რაღას არ გაიღებ,

მაგრამ თანამდებობრივად აგრერიგ აესე გაფუჭებული ადამიანის (ადამიანი იყო ისიც, მაინც, - რახან ბევრდაგვარია) დანახვა კი არ გახარებია ისე ძალიან - დიდი ამბავი ჩვენსა დროში მოხსნილ-აგრერიგ-ჩამოქვეითებული ადამიანი გინდაც ცეკისა, არა, არამედ, თავისი ხალხური პოეზიისას, ერთ ამოუხსნელ რამესაც, მიხვდა, - :

რომელიც, ისე იწყებოდა რომ, ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ჭალას ჩიტი მამკვდარიყოო მაგრამ ამ შემთხვევაში ასე კი არა, არამედ - :

ნამდვილ იყო, ნამდვილ იყო

ცეკას ტახი მოხსნილიყო,

და კვლავ არამედ მორჩილი ტახის დანახვაზე, რომელიცა რომ ისე წყნარა იჯდა რომ, როგორც რო კუკლა, თავისი ხალხური პოეზიისას, იმ მაწვალებელ რამესაც, კი, მიჰხვდა:

დიდ ქვაბში ვერ ეტეოდა,

პატარაში კარგა იყო, -

მაშ...

21.

I წიგნის დასასრულები

დასასრული პირველი: თურმე

ეხლაა, სულ სხვა რამეზე, ახლა. -

დიადია, ის.

დია, დია, ის, სულიწმიდა

როგორი მადლით უდიადესი, ყველგანაა. კი, ოღონდ მხოლოდ ერთადერთმა იცის თუ, ვის, რას, ან რომელს მიადგეს ოღონდ რაღა თქმა უნდა, მნდობი მამით. მამისაგან გამოვალს, სუყველგანაა.

მუდამ.

ჯიუტადაა, ვიღას თავთით არმდგარი,

ოღონდ ხშირადაც ვერ იღებენ.

ასე განსაჯეთ, ქვეყნის შექმნამდეც, იყო, სიტყვასავით, ოღონდაც გინდაც ვითომ უხმო და უჩინარი ახლასავით და, მაგრამ როგორღა განვსჯით, ჩავწვდებით ანუ, რადგან, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა როგორღაც მაინც თავთდამდგარი უძირო ფსკერი კი არა, ისიც არ ვიცით ჩვენ, ადამიანებმა, ჩვე-ადამიანებმა რაღა, თვალწინ რაც ხდება,

იგი კი, სულიწმიდა,

როგორ თავისდაგვარ ტყუპისცალივითსავითთან ერთად, მამისა ნებით, მისი მაღალი კარნახით, და იმასთანაც კი ერთად, სამყაროს ქმნიდნენ, და თავად განსაჯეთ წამომცდა ისევ როგორი ვრცელი სამუშაო, უკიდეგანო, ედოთ, იტვირთეს

ბრძანებად სიტყვამ, და აღმასრულებლად მუშაკმა სულმა, მამის ტყუპობით როგორ ერთიდა-იმავეებმა, სამყაროსათვის, თანაც ცალ-ცალკემ ოღონდ სრული სავსებით შესამებულებმა,

და თვით მამა-ღმერთის [სიტყვა ურყევი აბა რად (რაღად) გვინდა], - იმისი ნებით,

შეძლეს.

ხოლო ჯერ, სულ თავიდან, თურმე ცა, და ქუეყანაᲘ, ანუ დედამიწა, შექმნეს. პირველი და ეს.

ხოლო ქვეყანა რადგან თავიდან უხილავი იყო, ღმერთმა თქვა ქრისტეთი: იქმენინ ნათელი, და იქმნა ნათელი, სულიწმიდათი, განათდა. და ღმერთს მოეწონა ნათელი. ნახა რომ კარგია, და გამოჰყო ბნელისაგან. მეტად რომ განესხვავებინა, სულიწმიდათი ნათელს - დღე და ბნელს ღამე უწოდა ორივეს ქრისტეთი და მონაცვლეობა დაუდგინა რადგანაც მხოლოდ სულ დღე რომ ყოფილიყო ვაითუ გამხდარიყო მოსაწყენი და შებინდებული მწუხრის შემდგომ ჭვრიტა ძველიღაც ადრინდელი ყოფილი ღამე და ვრცელი ნებით გააგანთიადა და თანდისთანობით უფრო და უფრო მოგვებოძა ჩვენს არყოფნამდეც, დღე,

და დღე ღმერთს მოეწონა.

და უწილადაც და აჩუქა ცისარტყელა.

და მერე კიდევ ქრისტეთი თქვა ღმერთმა: დაე იყოს სამყარო რომელიც ცაა ღვთისაგან ქრისტესთქმულით, და კიდევ ინება ღმერთმა რომ ყოფილიყო

სხვადასხვა განივ და ზე-ქვედა წყალთა შორის ხმელი და ხმელს მიწა უწოდა კვლავაცქრისტეთი და წყალთა შესაკრებლებს კი, ზღუებ; და დაინახა რომ ეს კარგია.

მაგრამაც მიწა ძალიან ხრიოკი იყო და ამიტომ ღმერთს შეებრალა მიწა და ამიტომ ბალახი დააფინა ანუ აღმოაცენა მასზე, მერე უფრო შეეწყალა და ამოუზარდა ნოტიო მიწას ნაყოფიერი ხეები მიწიდან მიწაშიც დაფლულ სულიწმიდათი - ყოველგანაა - და მსხმოიარეებთან ერთად ისე-ხეებიც ამოზარდა და დააკვირდა ამას ღმერთი და ნახა რომ, კარგია.

და მერე ღმერთი ცოტათი ეშხში შევიდა და შექმნა მდინარეები და ჩანჩქერები და ბორცვები და გორაკები და მწვერვალები მათზე ატანილ ქვებიანა და ზვავიც, და ნაკადულები და ტაფობი და რუ, და მეოთხე დღისით ისე მოეწონა ეს ყველაფერი რომ

მერე ღმერთს ღამეც კი შეეცოდა და თავისქრისტეთი თავისშისავე თავის სულიწმიდიანა შექმნა მნათობები მანათობელებად და თანაც იმიტომ რომ დღე ღამისაგან განესხვავებინა და აგრეთვე გამოჩინებად საათებისა და დღეებისა და წელიწადებისა და შექმნა ორი დიდი მნათობი ერთი მწველი და უდიდესი - დღისათვის და ერთიც მომცრო და ლბილი ღამისთვის და მონაცვლეობითი მუდმივობა დაუწესა ცოტათი ვითომ თავისითაც რომ განათებულიყვნენ მერეც და მერეც და მაინც-მრუმე ღამისათვის სასილამაზოდ ვარსკვლავებიც განაფინა და დასხნა ისინი ღამის ცისა ხმელზე რათა ბევრგან და ალაგ ენათნათ უკიდეგანო იქიდანობიდან (დედა)მიწაზე და დღე-ღამეებიც ემართნათ და შეხედა თავის ნათქვამსა და სულშთაბერილს ღმერთმა და დაინახა რომ ისინი - კარგია.

და მერე ღმერთი თავის გონივრულ ეშხში შევიდა და დატვირთა წყალი და წყალს შეაქმნევინა ცოცხალი სულის ქვეწარმავლები და დიდი და მცირე თევზები დიდნ-ვეშაპიანა და სწრაფად მფრინავი ფრინველები და დაინახა რომ ისინიც - კარგია და დალოცა ზღვაში თევზები ვითომც იმათით თავისით განსამრავლებლად ქვირითისა და ზეცაში კიდევ მაფრინველნი ნისკარტებითაც შეთხზულ ბუდეში დადებულ კვერცხებზე დასვა გასაბევრებლად და რადგან დალოცა ასეც მოხდა და

და მერე ეშხში უფრო შესულმა ღმერთმა შექმნა ისეთი მხეცები „რომელნი მავნებელ არიან“ და უწყინარი პირუტყვები და მიწის ქვეწარმავლებიც და დაბალ სულიერთა როგორ განსხვავებულ მრავლად უთვალავ სახეობისათვის შადრევანიანი ვეშაპის სადღაც გვერდით შექმნა კოღო და უფროც ნაკლები რაღაცები და თევზებს ჩააცვა ქერცლი რათა თავიანთ წყლებში უკეთ ეცურათ და შემოსა დათვი და ააბრჭყვიალა ფარშავანგი და ჭიამაიასაც შავი წინწკლები დაასვა და მოქარგა აბლაბუდა და კიდევ რამდენი რამე და ისე ფრიად მოეწონა ეს, რომ ყოველივე ამისა დაბალი პატრონიც მოუნდა და მერე ამ გადაწყვეტილებით ისე ძალიან ეშხში შესულმა ღმერთმა მიუხედავად იმისა რომ იცოდა ამას როგორი ვინც და რაც მოჰყვებოდა და მოხდებოდა და მაინც სოველი მტვრისაგან მიწისა აიღო და მაინც ბეჯითად ინება და მომავალისათვის საგანგებოდ გამოძერწა თვით სახისაებრ თავად თავისისა - ადამი, კაცი-რამე, ეს ყოველივესი დასაბადებლად

შედგომისა მხოლოდ მეექვსე დღეს და შთაბერა მას (ადამს) სული თვით თავად მარადი სიცოცხლისა და გინდაც მერეც ამისჩაშლისა შემდგომ მაინც მარადიული უწყვეტელობისა და შეხედა ნახელავს და უყურა გაკვირვებულს ცით და ქვეყანით და ისე ძაან შეებრალა გამოუცდელი და ისე ძალიან მოეწონა და რომ შეუყვარდა ისე რომ რომ ისეთ უზომო ეშხში შევიდა რომ კეთილგანმწყობლურ განჩინებით აიღო და ინება და მიუხედავად იმისა რომ იცოდა კიდევ ამას რაც კიდევ მოჰყვებოდა და მოხდებოდა და დატრიალდებოდა და მაინც კვლავაც აიღო და შექმნა და აჩუქა ევა, თავიდან ადვილი ქალი, ცოლიადამისი, ხოლო სახელი რიგით პირველ ქალს ადამმა დაარქვა მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ „ევა“ თურმე ორმაგულსაც „სიცოცხლე“ს ნიშნავს ყველაზე ძველი ენით და უცნაური იყო ამიტომ ეს სახელდება, რადგან რაღაც-რაღაცები ისედაც ვრცლად ბევრი უნდა მოჰყოლოდათ რამ, იმათ, და თუმც ღმერთს საკმაოდ მოსწონდა მათი აღმოსავლეთურ კარგბაღ ედემში იმდენად უმწიკვლოდ ყოფნა რომ ერთიმეორის სიშიშვლისაც კი არ ერიდებოდაც და ღმერთმა ვითომდაც გინდაც ყოველი შემთხვევისათვის შემდგომ მაინც ტყავებით შემოსა ისინი თუმც აბა სიცივეს დიდ პირველბაღში აბა რა უნდოდა და აკურთხნა იგინი და მერე როგორ!, - დასდოთ ნებართვა, რომ, „აღორძნდით და განმრავლდით და აღავსენით ქუეყანაჲ და ეუფლენით მას“, აკურთხნა იგინი, ასე, რათა ემთავრნათ ზღვისა თევზებზე და ცის ფრინველებზე თოვაშიც და წუმპეთინაძღებ ქუეწარმავალთა ზედა და ყოველთა თვინიერ პირუტყვთა და მხეცთათაც ზე და მთელს ქვეყანაზედ ზედობა დაუწესა მათ და მისცა იმათ საკვებად ყოველი თივა სათესველი და სრული ნაყოფით ტოტებჩამომძიმებული გემრიელი ხეები და მაგრამ ჩვენგან ყოვლადამოუხსნელად დალოცაც იგინი რათა აკრძალვისადა-მიუხედავად მაინც კეთილად თუ რართულად განმრავლებულიყვნენ რათა, და ამასთანავე რატომღაც თუ სწორედ ამიტომ ერთიც ტვრინვითი ხისაგან - ხის კეთილისა და ბოროტისას ნაყოფმიღება შესაჭმელობად ეგებ მხოლოდღა მკაცრად მაფრთხილი სიტყვითღა აღუკრძალა მათ, ხოლო ქართულად გადმოთარგმნილ ძველ (ახალთახალ!) წიგნადაც ბიბლიაში, უღირსმა გაიკითხა და თურმე სუსხვაენოვან ბევრ ძველ აღთქმისაგან დიდად განსხვავებით „დაბადება“ში ისე სწერია რომ მამა-ღმერთი ჯერ მარტო ადამს მიმართავს მხოლოდ მხოლობითში, ასე, - რომ:

„ყოვლისა ხისა სამოთხისა ჭამითა შჭამო“, და მერე, იქვე, მიმართვითობით მრავლობითში ეგრევ გადადის, -

„ხოლო ხისაგან მისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა სჭამოთ მისგან, რამეთუ, რომელსა დღესა შეჭამოთ მისგან, სიკუდილითა მოსწყდეთ“,

და ქრისტესა და სულიწმიდას სუმთავარ პირმშობიბლიაშიღვთით კი ჩვენგან რარიგ მიუწვდომელი მაღლივობითკი ისეც სწერია რომ ევამდედაც აკურთხა ღმერთმა ადამი და თან ევაიანა, განსამრავლებლად რადგან, და მერეღა არის ისევ ნათქვამი რომ დალოცვისა და ამ უცნაურად მოულოდნელი ნებართვის შემდგომ მხოლოდ მერეღა შეებრალა თურმე ისევაც თავიდან კენტად ადამი და ისე ძალიან შეეცოდა რომ შეეწყალა და რომ კეთილ ეშხში მეტად შესულმა ღმერთმა მერეღა მიაჩუქა თმაგრძელი ევა

რათა ადამსაც ჰყოლოდა შემწე, თავისისავე თითქმის მსგავსი, თორემ უმისოდ, მსგავსისისავედ უნუგეშოდ არ გაბეზრებულიყო კაცი რადგან ბრძნულამდე ძნელი საქმე ჰქონდა, ადამს, და რაღა შორს წავიდეთ და აგერ უღირსსაც ძალიან ბევრსავით რომ ეგონა თუ რომ ადამი სამოთხეში მხოლოდ მხარ-თეძოზე იყო წამოწოლილი და თვით ედემში მხოლოდ მრავალსაზრდოთი ნებივრობდა და არხეინად კოტრიალებდაც, კი, და ხოლო საქმით კი არცკი პოტიკობდა არაფერს, -

არა, ადამი ურთულესისა საქმის დიდად მუშაკი, იყო, რადგანაც მამა-ღმერთმა შთააგონა და დაავალა, და არაუბრძანა სულიერთაგან გამორჩეულ ადამს, სხვა სულიერთა დიდად მბრძანებელს როგორ, მერედა რითი უპირატესს - თვით თავად სიტყვით, რათა მისადმი მორჩილ სულიერთათვის სუყველასათვის სწორედ მისაგან, ადამისაგან შერქმეოდათ როგორ წვალებით შესაფერისულ შენაკოწიწად გამორჩეული და თუმც წვალებით, მარდი სახელი და თუმც ეს ისე გაკვრით წერია ბიბლიაში რომ უღირსმა მხოლოდღა მერე, დიდი წმიდა იოვანე ოქროპირი რომ წაიკითხა და შეიტყო და მერეღა ჩახვდა თუ რაოდენი სიბრძნე და ნიჭიც იყო საჭირო რომ იმოდენა აუარება თევზთა, ქვეწარმავალთა, მხეცთა და საქონელთა და სხვა უტყვთათვის, შინაურთა თუ გარეულთა, წყალში თუ ცასა და ხმელეთზე მაღლით ჩამოწვდილ ადამისმორჩილ სულიერთათვის ხმამაღლა უნდა შეერქვა ადამს სახელი - და თანაც სწორედ სწორად სწორი სიტყვაიმათი, ჟღერადულადვე შეფერული და შესაფერისი, ხოლო ისინი დიდად დამყოლად ვიდოდნენ შორი ტყეებიდან და ჯურღმულებიდანაც ვიდოდნენ ჯერ ჯგროდ და მერე ცალკედ მიახლებოდნენ უნდა ადამს, მბრძანებელს, და წარმდგარიყვნენ უნდა წინარე მისა, ადამისა, სახელმიღებად, მათი მპყრობლისა მერედა რითი, - მამა-ღმერთსა თვით პირმშოსი და თავისიც, სიტყვით, სიტყვითა მათით, და რარიგ როგორ რა შრომაში ყოფილიყო უნდა ადამი რადგანაც მხოლოდ თუნდ მხოლოდ მწერი ქვეყნად თურმეკი 6.000-ა, ხოლო ადამი იმათი შეფერილობისა და ზნე-ჩვევის თუ აღნაგობისდა მიხედვით ყოველს არქმევდა, უწოდებდა, წოდებადდებდა მათ სხვადასხვა - კარგად განვსაჯოთ, ცოტათი მაინც, სიძნელე-ეს, - სხვა და სხვა ისეთ შესაფერის სახელს და თან ისეთურს რომ, ახლაც, ამ ჩვე-დღესაც, ადამის სიტყვითმიმდევართა სხვადასხვა ენის ალაგ-ალაგა განმგებლებიც ისევ ქრისტე და სულიწმიდათი ოღონდ არც იციან ესა და ისე, და ადამსავით შემძლედ ვერა მაგრამ ისეკი შედარებით სწორა ირქმევინებიან რაგინდარაზე ბგერითმჟღერ სიტყვურ სახელებს, და ამ მაღლითმთქმელების ცოტაც მიმდევნო ფსიქოლოგები (სული+გაგება) ცდებს ატარებენ თურმე ისეთს რომ გაგვიმხელენ ჩვენ, მათ ვერმცოდნეთ და მერე გვკითხავენ თურომელია ჟღერადობისდამიხედვით აი იმ ყოვლად უცნობ ორ სიტყვაში ვეფხვი და ჩიტი, ეკალი ან ია, შველი თუ კუ, უმეტესობა სწორად ვპასუხობთ, თურმე, ხოლო ამ დიად ნაღვაწს, კუთვნილად ნაფერ სიტყვა-სიტყვებს, ადამიანებისათვის, სწორედ ადამმა, ქრისტეთი და სულიწმიდათი, ღვთით, მისცა სათავე, როგორ ძნელად და როგორ კეთილად, განაგებდა, სიბრძნით აღვსილი, ხმით, იშრომა როგორ, გინდ ედემისმიერმაც, დაუდვა თავი,

და ეგებ თვით მამა-ღმერთიც მისმიერ თავისითაც რჩეულ ადამისადმი თანადგომით და ცა-ხმელის შექმნით - მიმოვიხედოთ, რავრცელი, და როგორ

ბევრია უთვალავ, ფერით, და, საერთოდაც, უხილავი და უკიდეგანო სამყაროთი და დროით მისით, და, ამისა ტვირთვით, - ვაითუ აღტაცებისგან ვმკრეხელობ რადგან მიუწვდენლური ზესიბუმბერაზობით ეგებ თვით ღმერთიც, თავიმამა სუყოველივესი, ეგება ისიც კი დაღლილივით კი არა, ა? არა, - ჩასაფიქრებელივითაც, იყო, და ანდა ახლად ფეხ-ენაადგმული ადამისა და მისი ის მერე რა რომ თავად მისგანვე ბოძებული - სიბრძნის და ნიჭის ზედმეტად გადაღლა არ უნდოდა და თავადკი, თავად-ს რა შეასვენებდა მაგრამ ადამს, ჭკვისა და ნიჭის პირობაზე დიდად ნაღვაწს, მიწად შემოქმედს, მისიანს მაინც, როგორ, სულჩადგმულს მისით, გაუფრთხილდა და ამისათვის შექმნა მოყოლებული მთლად იქიდანვე კვირადღე, კვირაუქმე, მაგრამ ეს ისევ ძალიან ისევ ჩვენთვის რათა კეთილად თუკი ვიშრომებთ ხატისა მისისაებრ მსგავს-ჩვეულებრივი თვით შემოქმედივით როგორაც ითქვა მთელ ექვსსა, დღესა, შინა, ხოლო შემდგომ კი, ამით როგორი რაგემრიელი იქნება ჩამომდგარი კვირა - დასვენების დღე, და რომ გაივლის კვირიაკე, ახალ შვიდდღეთა შევუდგეთ უნდა,

ხოლო ადამი

უკვე

რახან ნაწყალობევი იყო მთელ შრომათაგან ყველაზე ძნელი საბოძვარით - ადამიანის პირობაზე მეტად მაღალი, უუმთავრესის მიმდევართათვის, მოწადინებულის, სიტყვით, როგორი ძნელად შემოქმედი და სიმართლითაც, მართალი იყო, და, იმ წვალებითურ მარტოობაში რომ გაემხნევებინა მისი მუშაკი, ღმერთს, ღმერთმა აიღო და, მარადშემომქმედმა, და მეტადის ეშხით ჯერ გულის ღრმა ძილით დააძინა ცალი ადამი, და - მოიღო მისი სხეულის გვერდითა წიბოსაგან ნაწილი ერთი და ადამისავე ხორცით და ნეკნით შეუქმნა შეგირდს, ევა, ბედი მისი, თავიდან აკი ადვილი ქალი, და, წარუდგინა, ხოლო შემკრთალმა უცებ, ძილ-ღვიძილშივე მიჩერებულმა იმას ადამმა, გულდასმითური გამოფხიზლებით რომ ჩაიზუსტა და შეითვისა ორთავე თვალის სინათლით ქალი, საცნობი ევა, რომელი ევაც, ბედიიმისი, იმ პირუტყვებში თუმცაღა მხოლოდ პირველხილულობით თითქოსდა ძნელადსაცნობი და მაგრამ მაინც დასაჯერი, რადგანაც მსგავსი მისი, ამადამისა, იყო, და უნდაც ყოფილიყო, მაგრამ არც ისე ახლობელი სუთავიდანვე, როგორც ეს ადამმა, ვინაც რომ თითქმის იქამდეც უბრალო გვგონია მაგრამ მომავალ ადამიანთაგანაც თავი და თავი წინასწარმეტყველ-იყო, მისდამოყვარულ თვით ღმრთისაგან და ყოვლად გაუგებრად კი არა არამედ სწორედ სხვა აბა ვისით თუ არა მამა-ღმერთისაგან და სულიწმიდასიც და ქრისტესიც შემწეობითაც, როგორც კი ორსავე თვალში ევაჩამჯდარმა, როგორად სრული სავსებით იქ აქაც იწინასწარმეტყველა და თან მამა-ღმერთისაც მთლად წინაშეც, და პატრონისგან თითქოს როგორ მთლად მიუღებელ-რამსავით რამ მთლად ამოიცნო ის, ისა რომ, მკაცრი აღკვეთით სწორედ მაინც რომ თითქოსდა ლამის შეუძლებელი, ინება იქვე, რადგან თქვა ასე - ანუ ასახა მომავალი:

„და ესე ძუალი ძუალთა ჩემთაგანი და ხორცი ხორცთა ჩემთაგანი. ამასა ეწოდოს ცოლ“,

უყურებდა, კი, უკვე თავისას, დანახვიდანვე, თავისად ჰყავდა, რადგან

„რამეთუ ქმრისა მისისაგან გამოღებულ იქმნა იგი“,

და ეს-უკვე მომხდარი კი არა და, უწყოდა მომავალიც, -

„ამისთვის დაუტეოს კაცმან მამაჲ თვისი და დედა თვისი“, -

და გინდაც სად იყო აბა მაშინ ჯერ, დედა,

ხოლო თვით ღმერთსაც, კი, ქრისტესითადასულიწმიდათი როგორი ძნელი გზა ედო, - ეს ადამიანებით-ჩვე, ხოლო კაცი და იმის ცოლივით ქალი ევა - იმხანად ჯერჯერობით თუმც იყვნენ ორივენი შიშუელ - ისა ადამ და ცოლად იმისი, ევა, და მაგრამ ჯერხნობით სულაც არ ჰრცხვენოდათ, თან უსირცხვილოებიც, ჯერ სულაც არ იყვნენ, რადგანაც ევა თავიდან აკი ადვილი ქალი იყო,

ხოლო ადამი ისევაც დიდის გულმოდგინეობით განაგრძობდა და ითხზევინებოდა ისედაც ძნელადგამოსათქმელ ერთადერთ სიტყვებს რომ სვენებისას თავი და გული და ენა ტკიოდა,

ასე რომ, ხოლო ადამი მხოლოდ უდარდელად წამოკოტრიალებული რომე გვგონია იყო ყოვლად არხეინობისა და ბევრსანოვაგიანი ყოფის ედემის სახელობის კეთილმოწყობილი დასვენებისა და გრძელიძილის სანიმუშო და მხოლოდ კალორიულად მოსვენებისა და მცენარეულად კულტურებისა კვებადკულტურულ ედემაურად კულტურისა და მოსვენების და დაწექილობით ვრცლადხანგრძლივ ბაღში, არ იყო მთლად ისე,

არამედ იმ ნაყოფამდე, გამრავლებამდე,

თურმე იყო და ხდებოდა ასე,

სიტყვისმიერი ყოვლისადმი და მხოლოდ იმითი და ამით -

რამდენადაც კი ეს შეეძლო და, სიტყვით მუშაკი ხატისაებრ ღვთისა, მსგავსი, მაგრამ

განმრავლდა, მერე; გავმრავლდით მერე,

და თუ ესახლანდელი არამორცხვი ადამიანები ერთმანეთს ხანდახან დასამცირებლად პირობით „ვირო“-თითაც მივმართავთ ხოლმე, მგონი ცოტათი უცნაურია ეს, რადგან რატოა ესავირო სალანძღავი სიტყვა არამედ როგორი მშრომელი პირუტყვია სახედარი, ერთი ისა აქვს რომა ვირობით ხანდახან ცოტათი გაჯიუტდება ხოლმე და ისიც მხოლოდ მარტო ფეხებით, მაგრამ სახედარი და ვირი კი არა არამედ ხანდისხანობით როგორის დიდის დიდ-ოჩან-ობით გავკერპებულვართ და მერე როგორ და თანაც ფეხით-თავადმდე ეს თითონ ჩვენც, ადამიანებიეს, და ამასთანავე, ჩვენზე ამაგდარი სახედარის ვირრად და ვირრულ დაკნინებასთან ერთად, როგორის დიდის სიხარულით აღვიტაცეთ, რომ, ადამიანი უეჭველად მაიმუნისაგანაა წარმოქმნილი; უცნაურია სწორედ, აბა სად

მიმოწყენილი გრძელს შრომითსა გზაზედ სახედარი და სად ღმეჭია მაიმუნი, და რომ დავუკვირდეთ თვითონაც ვიცით რომელი რომელს ბევრად სჯობიან და თანაც რამდენად, მაგრამ ჩამომაიმუნება რამდენად უფრო ვირჩიეთ, მაინც, და გამოვირჩიეთ და შევირჩიეთ როგორი წვითა და აღფრთოვანებით და დაგვით მოპოვებული მეცნიერულად მეცნიერული ვირიშვილობა ოღონდ ერთგვარი ეს, -

საკვირველია.

ხოლო განსაკუთრებით თავგამოსადები ეს, ანუ მაკაკაობა და შიმპანზებისობა და ორანგუტანგობისტობა და ასე შემდეგ,

ათეიზმისტურებმა მაინც, წითელხაზგასმული აგზნებითური აღფრთოვანებით შევისისხლხორცეთ,

სწორედ რომ საკვირველი... -:

გეუბნებიან, კაცო, რომ თავად ღვთისა ხატისაებრ, შეიქმენიო, მაგრამაც! - აარა, არა, არაა - არამედ მაიმუნისტურ-მაიმუნობა!,

ვითომდაც მეტად განვითარებული წინაპირობით, ვიმჯობინევით ასეთადგვარი წინაპირობა, კი,

თუმცა, რა იცი, ეგებ და რადგან რაღაცა სწორედ მაიმუნურულ-მაიმუნობით-ვირიშვილობა (ეს არაყოვლად უკანასნელი ბოლო სიტყვა უსამართლობით დამკვიდრებული მნიშვნელობით) - ნამდვილადაც, გვააქვს,

რაღაცამტრული, ადამიანებს, პირში ვითქვათ და, -

გვაააქს,

ხოლოკი,

ათეისტობით ნაყოფობა? -

დარგია სასწაული.

...

კაიბატონო, ადამიანი გონიერი და ჭკუიანი და მიხვედრილი და ყველაფერი ეს და რამე, მაგრამ ყოველთვის? - ნწ... - იმისთანა და ისეთები და გორილა და იმნაირები და ისეთით ვაართ ვითომ რომ და, - გათავდა და მორჩა, -

ასეა გენაცვალეო,

თუმც ჯერ იყო და, მათივე აზრით გონებრივად რომ დაწინაურდნენ, ადამიანებს, საჩინოებისათვის თეთრზეშავურად გამხელილი და გამოაშკარავ-ბეჭდვითი სათქმი მეცნიერებების წარმოქმნის შემდგომ ბევრსაც ვერ დაგვრჩათ თავიანთ-ჩვენ წარმოშობაზე შუბლური ფიქრი და მეცნ.-საუბარი და ჰიპოთეზა, ვაართაო და, მორჩა, და თუ როგორ გავჩნდით, ეს ძალიანაც ადრე რამდენად უფრო იცოდნენ ვიდრე ეს ეგრეთ წოდებულ აღმომჩენად XIX-XX ზედმეტად ტვირთულ სს-ებამდე,

ხოლო ეს შედარებით ამიმხანინდელები, „ვართაო და მორჩაო და ეგ არი და გორისციხე არა ორთაჭალის ციხეო“ და კიდევაც უფრო უარესის გარდაც, ცოტათიც ადრეც დავცნობისწადილდით ხოიცი და, ჩავფიქრდით კიდეც ჩ. დარვინსავით ღრმადუცნაურად ვერა მაგრამ დიდუცნაურად საკმარისადკი, კი, - წარმოვიშვევით, შვენიერები, ნეტაროგო... და, ჯერ ჩ. დარვინისავით შორეულურულ-ამომწურავად ვერა მაგრამ, გვქონდა პასუხი, „ნეტავი და როგორ?“-ზე, როგორდა: დედ-მამისაგან რასაკვირველია, აბა თავისით ხომ არ, რაც თავისთავად ნაწილობრივი სიმართლე მართალია არი მაგრამ მთლადაც არ არი რადგანაც მაგრამ ადამი და არსაიმისო რაღაცა უცნობი ხე თუ იმისი ღვთითძნელი სახეობა და ამისთანები გადატვირთულად სხვრული ცოდნების გამო ნაკლებ იცოდნენ ერთიც შენი გად-მეტ-ებულად მეცნიერულებებმა და აქედანვე გამომდინარეთ ვეღარ იცოდნენ ფოთოლი და რუ თუ წვიმა და არამცთუ ზღვა და ზღუებ და ამისთანები, ანუ - თუ როგორ გავჩნდით, ვა?? ვა, იყოც და არიც და ვართ და მორჩა... - და მაგრამ მაინც გვიკიტინებდა და გვიკიტინებსც შემკიტინებელი უკმარობისა რაღაცა განცდი, და ხოლო როგორც ეგრეთწოდებული ტექნიკა და მისი ბევრგვარი საშუალებანი და მრავალი ხრიკი განვითარდა და ძლიერ როგორ ამოქმედდა ცალერთმხრივ ორთქლი და გორგოლაჭი და სუნნელოვანი ნავთი ისედაც ქებული, თუმც რა არასწორი გამოთქმაა ვითომც წყევლითი - „ნავთი შენ და ცეცხლიო“... მარტენის, ცეცხლი? თუ - ბენგალური? მაგრამ ვაითუ ჩვეულებრივზეა ნათქვამი, აი ნაგავს რომ წვავენ, ნავთს ყველაფერი კი არ უხდება, არამედ - პირიქით? თანაც, ზოგნი ზარმაცი ქვეყნებისათვის, მისწრებაა ხომ და დიდად რომ მარგი? არა, მუქთი ფულისგან, ზედმეტობისაგან გამოტუტუცდნენ სულ, ისეც არ იყვნენ დიდად დალაგებული მშრომელები, ნავთამდედაც კი, ახლა რაღა ქნან აღარ იციან, თუმც გამოსავალის მეტი რაა - რეფორმებაწყობენ, იომიანობებიან, კიდევ კარგი რომ ამ ამ-საქართველოში ჩვენს, ჯერაც არაა ფულმგვრელი ნავთი, გამაარხეინ-გამოსასულებელი, მხოლოდღა ცეცხლი, და ხოლო რადგან მაინც არ ვისურვებდი ორთავეს ერთად არა, კი, თუმც თავ-თავის ადგილზე ორნივ კარგია განსაკუთრებით მხოლოდ ცისტერნებში და ქუდზე; და იმისგან (ნავთისგან) მიიღება გადამუშავებულად რაღაცას მაგონებს იმისფერი ბენზინი რომ წყალობით ქურდს ქუდი არ ეწვის ყოველ შემთხვევაში ვიზუალურად და დამოუკიდებლადაც არის ტექნიკათპირმშოდ კარბურატორი და შტემპელები და ფეხისმომჭირნე ლიფტ-ესკალატორები და დედამიწის თანამგზავრები და კატლეტის მოსადისტურო მაშინა (არა, არ ვცდებით გამოთქმაში „მაშინა“ რადგან „მაშინა“ ლათინურული ყოფილა და არა ბელარუსული სკურკო მაქსიმსავით, თუ არა გჯერათ, უცხო ენათა ლექსიკონს, აგერ არაა? - ვკითხოთ) და დურალუმინი და ინტერნაციონალიზმი, რამ გამახსენა... და ძალისძალათისტური და დამატებითაც დიდად მომჭირნე სხვ.-რაღაც.-ები, და, სასწაულადღა ისღა გვრჩება თუ აბა მაინც ნეტა აბადა ეს მაინც როგორ წარმოვიქმენით და, ყველაზედ მეტად ხარისხობრიობისა რა ვიცი მაგრამ ერთგვარი სიღრმით ზედმეტად ღრმად დაღჭფიქრებული ჩ. დარვინისისგან საკმაოდ ისე-რა თეთრზე ძალიან შავით ამოგვეწოდა ახსნითი ცოდნა ის მერე რა რო - ათეისტური, და, აკიც გვქონდაც ისტორიულად ატროვებულად მოუსვენარი წინაპირობა და იმისობით გამოცდილურიც რაღაცა დასკვნივითურიც ცოდნაცა დაც, რაღა გვინდოდა და გვრჩებოდა და, თრახ!, -

გავმაიმუნდით, სულ,

ცელქები, ჩვენი

ჰატრიბუტებიანა,

დიახ, კი,

ვაშაა,

„ხოლო გუელი იყო უგონიერეს (“გონიერი - გონებიანი“, „გონი - გონების ნაკუეთი“ - საბა) უფროის ყოველთა მხეცთა (“მხეცი - რომელნი ხორცთა ჭამენ და მავნებელ არიან“) ქუეყანასა ზედა (ანუ მაინც მხოლოდ ხმელზე), რომელნი ქმნნა უფალმან ღმერთმან“... - მიუწვდომელის განსჯით, უგონიერესად ქმნნა, მაგრამ ის მხოლოდ შეგზავნილი იყო, მისებრ სისინა იმისისაგან, - უგონიერესი... მაგრამ გონება, როგორც სუყოველივე თუ არა, რაოდენ ჭარბად ბევრი რამ მაინც, ორგვარია, კეთილიდან და, მეორეთიდანაც, და, ხომ გადავჭერით ამ მეორიდან პირობითური წარმატებითაც ისევე როგორც შავითთეთრზე ჩვენი წარმოქმნის ზოგთა მიხედვით ძნელად ასახსნი ასეადვილი ესამოცანა (არა!?) და, დიდწინაპარა-მაიმუნურად მაძიებლები რახანა ვართ, ჩავებღაუჭეთ ამას კი არა მთლადაც კბილებით ჩავაფრინდით და მთლად ახალ-ახალი წარმატებებისაკენ დინჯურ-ამწონვად მეცნიერულის გონებებით მივჩინდრიკაობთ, კი, და არ გვეთქმის - ვაშა! - ჰ

ისე, აბა რომელი შემომეკამათება, რომ ბერია და თუნდაც ადგილვერნამყოფიც ეჟოვი ტევად სარეცელიანა, მაინცკი იყვნენ ეგრეთწოდებულად უფრო „უგონიერესნი“ აგერ დავუშვათ და ჩვენს ბევრგან არნოლდზე, მაგრამ არნოლდი, რომელსაც თუმც საკმაოდ ვერ ვცნობთ მაგრამ აკი ის მაინც ხომ ვიცით რომ ლამის ძალიან სწყუროდა იგი (არნოლდ) თუნდაც ერთ-ერთ გამომზეურებულ ქალსა, ხოლო ეჟოვები და ცალბერია კი აბა რომელ ქალსა სწყუროდა თუარ ----------ს, არაა ასე? - ასეა, ვაშაა,

ხოლო ეს „ვაშა“? - ყოფილა სიტყვა მეტად უცნაური; ჩვენც კი, ანუ ადამიანებმა-ჩვე, არ ვიცოდით და, ზოგ ვითომც ჩახედულს ისეც გვეგონა რომ, საღამოს 6 საათის ლოცვებში, LXIX ფსალმუნში რომ წერია, „მართლუკუნ იქცენ და სირცხვილეულ იქმნენ, რომელნი ზრახვიდეს ჩემთვის ძვირსა. მიიქცენ მუნთქუესვე სირცხვილეულნი, რომელნი მეტყოდეს მე - ვაშა, ვაშა!“ - აქ ერთ-ერთ ჩვენგანს ისეც ეგონა, რომ, თვით მიქელანჯელოსი არ იყოს, რომელიც ხშირად ჩიოდა რომ არც ძვირის მთქმელნი (“ძვირი - ბოროტივით“) სურდა და არც აღფრთოვანებულად ქებისშემსხმელნი ანუ ვაშა-თი მაამებლები - „მუშაობაში ყველანი ხელს ერთნაირად მიშლიანო“, და ისეც ეგონა ერთ-ერთ ჩვენთაგანს რომ ამ ფსალმუნშიც როგორც იტყვიან ეს აზრია გატარებული - თუმც თვით მიქელანჯელომდეც რამდენადმე ადრე - რაც აგრეთვე როგორც იტყვიან აღნიშვნის ღირსია, მაგრამ თურმე არ ყოფილა, გენაცვათ, მთლად ასე - მაქებრებიც ანუ ვაშასმთქმელებიც არ მინდიანო, - რადგან ერთიც ჩვენთაგანი ერთხელაც რაღაც სულ სხვა სიტყვის განმეორებით დაძებნისას (“ვეშაპი - თევზია დიდი ზღვასა შინა უკეანესა, რომელმან იონა შთანთქა“) „სიტყვის კონა“ში უცაბედად „ვაშა“ს წააწყდა და ჰოიი,

გასაოცრად აი ამოიკითხა აი რა: „ვაშა, ვაშა - მოასწავებს შურისგებისა და საწადლის მიმთხუევასა (შეყრას) რომელ არს მსოფლიოთა /სოფლისაგანთა/ ენითა: ვახ! ვახ!“, - ვა?!?. თუმცა, ბოლომდე მივყვეთ... აი: „ვახ - შურის გების ხმა გლეხურად“... ეგება შური სხვა რამს ნიშნავდა... არა! - „შური -შური არს მწუხარებაჲ სხვისა კეთილსა ზედა“... - ვა?!? - ეს რა გამოდის, რომ ვითომ როდესაც სანაქებო წითლურ/შეფერილობაცაა ასეთი წითლურ აღლუმებზე და წითელი ხომ ფერიცაა უშუალოდაც ხშირი ასეთი, მაგალითად დროშის, და კაპ.-ქვეყნების ჯინზე რომ ვმზეურდებოდით გინდაც ჭყაპში ჩვენ, ამ რახსი (შავ-წითელი) და ვეჟანა (წითელ-შავი - მოკლედ ხიზილალებისფერი და ქვირითივით გასამრავლებლად ინიციატივებიანურად მოაღლუმე ესჩვე ადამიანები, ეს, ბუნების ერთპიროვნულად ჯილდო-არსება და მაინც ნეტავი რატომ ტოტიდანტოტზესწრაფმხტომარეთაგან იმათი მადლით (ღმეჭა?) წარმოშობილებ-შეშობილებ-წარმოქმნილები (!!?) და შავ-წითლითვე გაჭარხლებული და სიცოცხლეშივე დაბრაწულები და საამური ცხოვრებისაგან გათურაშაულ-ვაშლისფერნი ამა სოფლისაგანები (საგნები რაღა), ამავსოფლურად მიზანსწრაფვული რიგითი ადამიანები ანუ ქვერიგითები მიუხედავად ცოტათი შვეულ-დიდთარაზულა წყობისა მწყობრული ფეხით რომ ჩავივლიდით ამავსოფლისავ უგონიერესთა წინარე დაბლითურები ძალიანაცმხნე ტრანსპარანტებით ოღონდაც ისევ შავითწითელზე და მინამდე კი, ნაკოწკოწიწა ბედით გამორჩეულთა (ორგვარებია, სუცოტა) ზედმეტად ამტან (ძაან; ძლიერ ზედმეტად ამტან) ტრიბუნამდე და სულ ცამპარუმპა მარშებით იქაჩავლამდე სულმოუთმენელ მოცდა-ცდაში ჩვენისთანათავ ერთიმეორულ გარემოცვაში პირზე ნათქვამადგვედო როგორ ადვილი სოლიდარულად ამხანაგური სალამ-ქალამი, და ასევე გვედო საპირისპიროდ პირისპირული ღამის არ იყოს ათასერთამდე დადებითი ნუგბარი ისედაც მრავალრიცხობრივი და წარმომადგენლობითი და ფერადოვანი სემიჩკებიდან (მზესუმზირის, გოგრის, წიფლისა) დაწყებული და ზედაც აგრეთვე ფერადოვანი მარუჟნიი შიკალადნი გინდა თუ ვარდისფრად (?!) ხილის თუ თეთრისთეთრად ნაღებოვანი და მშობლიური პადუშკა-კანფეტი რომელი იგი კანფეტიც მოყვანილობითა და ზედნადებ ფასითაც როგორი თავმდაბალი იყო პატარა იგიკო გაბიჟვინებული აშშ-ს ჯინზე და ა.შ.-ნუგბრები ცეცხლშიაც ნაწრთობ ბატიბუტიანა, როდესაც აკი ირგვლივ ძალიან ყველაფერი ოღონდ ყველაზე მთავარის გარდა ზეიმური იყო და ყოვლისშემთხვევაში ეკლესიებთან კაცები (აგრეთვე დიდად პირობითი სიტყვაა) იდგა რათა ჩამორჩენილობით არ შევსულიყავით განსაკუთრებით ზეიმურსა დღეს და როდესაც ტრიბუნისწინა მწვერვალურ მინუტში როცარომ აპოთეოზურათ ძალიანურად ძაან მხნედ გავჰყვიროდით თან ვაჟკაცურად, ასე იგი - „ვაშაა!“, თურმე, კაცო, ვახ! ანუ ვაშა!, - თურმე ასე არ გამოგვდიოდა?, ოღონდ პირიდან - როცა დაგვძენდა აღფრთოვანებით ოღონდაც ისიც პირიდან შთაგონებულობებით წყალგაუვალი დიქტორი გინა შალვარში გინა კაბაში ოღონც ყოვლადუღვინოდ: „გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მსოფლიოს მთელ მრავალეროვან ხალხთა შორის უპირატესი მშვიდობის დამყარების ყველა საქმეში მკლალავებმოუღლელი შეუპოვრობით მებრძოლს და ბურჯს დიად კომუნისტურ მშობლიურ (ესეც კი სხვადასხვაგვრული იყო, კაცო!?) პარტიას! ვაშაა“, ხოლო ჩვენ, ჩვენითაც ისეც ბითურები, წაუქეზებლადაც

აღფრთოვანებულები გინდ მოსაჩვენრად, რომ ვიდასტურებოდით ღრიალურად: „ვაშა!, ვაშაა!!, ვაშა�ა!!!“, ანუ თურმე დაუცხრომელ სინამდვილეში ზნაჩიტ ასე: „ვახ!, ვაახ!!, ვაააჰხ!!!“, და აბა განა ესა ჰყოფილა, საქმე? ან გინდაც ულუდოდაც კი, ბურახიანად: „ეს გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის დიდი სოციალისტური დიადი რევოლუციის დიიდ მეამდენედაამდენე წლისთავს, ვაშაა!“, ხოლო ჩვენ, თურმე უკუღმართული ენისვ წყალობით: „ვახ... ვაშა... ვააახ... აფსუსნიკოლოზ... ვაშაა... ბოზი ვიყო, ვახ...“ - ვეჰხ,

იმას ვამბობდი, ხოლო ერთგვარად უგონიერესისაგან, უკეთესობის ედემიდანვე მაძიებლები, განვმრავლდით; ეს, -

ჩუენ (დასასრული II)

და დიდად ჩავყავითა და მოვიდგით ფეხი სრულიად სოფლად (მსოფლიოში) ამ ადამიანებმა-ჩვე,

და ძაან შორსდახევაც სუარგვინდა; საუკუნითღა, და არცკი, მიმოვიხედოთ, და

ჯერ ისაა რომ, ადამიანები -

ცნობისმოყვარეები გავხდით,

როგორც ყოველთვის,

ანუ ზედმეტად ტოტიდან ტოტზე -

მეცნიერულებები.

ჯერ ათეიზმი რად ღირს, მაინც. -:

იი?, ადამი!? ი?, ადამი არა მადამი არ გინდა და ევა და ემა და მადამ ბოვარი,

გაგიგონია? - რას ამბობ კაცო,

არამედ შიმპანზე,

ხოლო ქვეყანა და ცანი და ქვეყანა და წყალთა ზედა, თუ წყალში? - დიდი ამბავი, არის და მორჩა,

(ესვენეცია რაღაღ ჭირია,)

არამედ ჩვენთვის ზედმეტი გვინდა, კუთვნილზე მეტი,

გინდაც ჯიბეზე,

სხვა რამეც გვინდა ზედმეტობებში,

თანაც რამდენი რამ ეს,

მაკაკობაცკი,

და ალბათ მაშინაც, ადრე, რადგანაც ამითი ისარგებლა ცუდად უგონიერესმა უფროჲს ყოველთა მხეცთა ქუეყანაზე მაგრამ ამჟამად მარადის კლაკნით მიწადმღოღავმა, ვისაც რომ ევამ გაუმეორა თვით თავად მამის - თვითებ სიტყვები! - კრძალვად გაფრთხილება, იმან კი, გველმა, უთხრა ჯერკიდე ტყვილაძუძუებიანს, ასე: აიიმ ხისას, თთუკი იგემებთ, მართლაც რომ, „არა სიკუდილით მოჰკვდეთ“, და თანაც ისეც ჩაასმინა თან სისინით რომ, რომ გინდაც მამამ, ღმერთმა, იმიტომ უთხრათ ეს მასა და ვისი მსგავსიც ის იყო და ვისაც იყო ის ძვალი და ზედხორცი, იმის, რომ არ უნდოდა თითონ ღმერთს რომ თვით ღმერთებისთანა (! - „და იყვნეთ, ვითარცა ღმერთნი“ - დაბადება 3,5... - ღმერთი, მრავლობითში!.. როგორ... - დიადი წიგნი, სულიწმიდასი... ჯერ რადროს ეგვიპტე და შუამდინარეთი და საბერძნეთი და ჩინეთ-რომი და, მიდიი...) განმრჩეველნი რომ გამხდარიყვნენ და შექმნილიყვნენ მეცნიერნი კეთილისა და ბოროტისა, და რომ ანუ სიცრუით, რადგან პირველობისთვის - I - გააფრთხილა ისინი ასე, და, იმახისკენ იქამდის თუ იქით სულ ბაცადაცკი გახედვისაც ერიდებოდა მანამ ლამისდა სრულადმთმენს გინდაც ედემის, სხვადანარჩენი ვრცელსამოთხეთი მორჩილად აღვსილს, აღსავსეს, ევას, ახლა კი, თავისი არაურიგო სხეულის დამყურემ, გვლით, რომელი ტანის მომჩლუნგველურად მოკვდინებაც თუმცა ბუნდოვნად მაგრამ მეტად ძალიან არ ჰსურდა პირველურ ევას რადგანაც ხოლო თვალწინა საღი ცხოველები კი თუმც კი მშვიდად მაგრამ რად გინდა - ეხოცებოდათ, მაინც, - გატვრინილები, თუმც ადგილზე, სხვაგან დიოდნენ, და, მეტად უფრო დაუსრულებლივ გრძელ სამოთხეთა მოწადინეს, როგორ ბოროტად უგონიერესმა, ჩასისინა და, გააპარებინ-შეაჩერებინეს იმან და იმისპატრონმა თვალი იმ ხეზე, ევას, რომელი ხეცკი შუა სამოთხეში იდგა და იყო და იყოცსაცქერ ყურებად მომხიბვლელი და მიმზიდველი

„და იხილა დედაკაცმან, რამეთუ კეთილ არს ხე ჭამად და სათნო თვალთათვის ხილვად და შუენიერ განცდად“, კი, ჩანდა, მოჩანდა ასე, და, შეითავისა ქალმა ღვთითაკრძალული ნაყოფად ხიბლი ხილვად თუმც კეთილ, ხილი, და, გაუწოდა მერე მანამდე დასავით ქმარსაც რა კარგი ყოფილაო და, ადამმაც, სახელებქმნადობით ისე ძალიან დაღლილმა რომ გადაქანცულმა, სიტყვით, და მაგრამ იმთავიდან და იმთავითვე ცნობის-ზედმეტადწადილიანმა და ევასავით არამაგრამ იმაზე მეტის რაც ეკუთვნოდა, მოსურნემ, და თან, სიტყვისმიერი შრომისთვისაც რაღაცა ჯილდოს გამოელოდა, კი, თუნდაც საკუთარი თავისა და ხელისაგან და, გამოართვა ადვილად მძიმე ნაყოფი თუ ანდა სულაც ევას ხელისგულიდან, ჭამა.

და თუმც გემოთი რთულად საამო იყო მაგრილებელი ნაღვერდალივით უცხო თუ რა, მაგრამ ვითომდაც ისე „განეხუნეს თუალნი ორთანივე“სი თითქო მანამდე ვერ იყურებოდნენ და - პირველი დასჯა: კენტად სიმრუდე! - მოთავისობა, სხვით, - და მაგრამ თავიდათავი პირველყოფილი სიმორცხუეთი დაბნეულებმა, იქვე შეკერეს ფურცლები ლეღვისა ხოლო ადამმა უფრო, და თავიდან ასე შეიმოსნენ, ჯერ აგრე იყვნენ, მოხრილებივით, იცდიდნენ იდგნენ ჯერაც მათ ბაღში, და მარტოდყოფნას ოღონდ ერთად უცდიდნენ ისე რომ უკეთხადილს თუ საშინელებას რასმე მოელოდნენ, კი, და, გან-განმაცქერალნი სწრაფად თუღა მოაცოცებდნენ ერთიმეორეზე, თუალს, ხოლო როდესაც დღე რომ დაბუჟდა და აგრილდა და

კაწკაწამდე მონატრებული საღამოს ხანს თვალი რომ ჰკიდეს თურმე მხოლოდ მაინც ცოტამდე ჯერაც თავიანთს ბაღში მავალს, მაგრამ იმათკენ მომავალ, ღმერთს და მაშინვე თითქოს დაემალნენ და თან ბინდის იმედი ჰქონდათ და მამა-ღმერთმაც ვითომ და გინდაც არ იცოდა სად იყვნენ იგინი რადგან იკითხა ასე:

„ადამ, სადა ხარ?“

ხოლო ადამმა ინამუსა და გამოჩინდა ოღონდ დამფრთხალი თუმც ლეღვის ფურცლისა იმედი ჰქონდა და იმას ჩაბღაუჭებული იმისიღა იმედით იმედნეულად იყო და იყო მაინც მოკუნტული და თავი იმართლა იმით რომ დაემალა მას, ღმერთს, იმიტომ რომ შიშველი იყო და რცხუენოდა, ხოლო ღმერთმა, გინდაც არ სცოდნოდა და ისე და იკითხა რომ,: ვინ გითხრა შენ, რომ შიშველი ხარ? როგორ შეიტყე, თუ შიშულ-ხარა? ამ ხისგან იცი? - ჩამოსცქეროდა, მათაც და ხეს, იკითხა კიდევ - „მისგან სჭამეა?“

და მეტად შეცბუნებული მაშინ ადამი გინდაც ანაზდად გამოუტყდა და ისე უთხრა ვითომც ახლაღა შეატყობინა სიმართლე რადგან იმ ხით ნაგემებს აქ პირველად ეგონათ რომ ეგებ ღმერთს არ სცოდნოდა ეს ხოლო ეგონა ასე იმიტომ რომ ვიღაც სხვასავით იყო ახლა როგორღაც ადამი და, განრისხებულმა ისე ძალიან რომ იმათ გარდაც ეგებ თვით თავის თავზეც კი თავად ღმერთმა იქვე, სადაც უფრო საღამოვდებოდა და სამოთხეშივე დასწყევლა ორნივე, კენტი, კენტნი რადგანაც - ერთსულ და ერთხორც, ესენი - თავის ნამცეცად ნამცეცის მეუთვალავამდედაც მცირე ადამი და მაგრამ მაინც ერთობ თავისისა მაინც მსგავსი და თავისი მსგავსისაც კიდევ მსგავსიც, ევა, და ახლა იქნება ჯერ კიდევ ეგებ და ადრეხო იმათ ხილულად შემწემ, დასწყევლათ, მამა-ღმერთმა ხოლო მათამდე პირველი წყევლა ჯერ ბევრადსხვისისთ უგონიერესსა და მაინც უგონოს და მისი ცივ-გულისათვის და სისხლისა იყო განკუთვნილი და წყევა იყო სასტიკი და მეტად საშინელი რადგან გუელი იქამომდე ეგებ არც დაღოღავდა და ალბათ მოყვანილობითაც თუ იყო სხვაგვარი და თუმცა მხეცად იყო სახელდებული უკვე მაგრამ წყევადამტყრობამდე ეგებ არც ყოფილიყო მთლად ასეთი დღევანდელივით, რამ, და არც პირ-უტყვი ასე, და სმენად სუსტი და უღონო რადგანაც კრულვით შემოეგრაგნა და ებრძანა და ეთქვა ასე:

„რამეთუ ჰყავ ესე, წყეულ იყავ შენ ყოველთა პირუტყვთა და ყოველთაგან მხეცთა ქუეყანასა ზედა“,

მიაღწია, ხომ, უგონიერესმა, ხომ, -

„მკერდსა ზედა და მუცელსა ხვიდოდი და მიწასა სჭამდე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა“,

არადა, ხომ ერჩია ხომ, სულ არ ჰქონოდა? - გონი, ხომკი ერჩია.

რადგანაც ღმერთმა ამას-ზე ზედაც ბმული მტერობა იქიდანავე დასდვა იმორთა შესამომავლო ნაყოფთა შორის, აი ისეთი რომ, რომ რათა დედაკაცით შობილი მუდამ თავს უჭეჭყავდეს გველს ხოლო გუელით შობილი და თესლი ქალისგანშობილს ქუსლში გესლავდეს უნდა,

ხოლო დედაკაცი, იმის სხეული თუმც არ შეუცვლია და დასწყევლა ისე ძალიან რომ, იმისით კენტთა თავისთავეების მსგავსთა შობისას რომ უადამოდაც განმრავლებულიყო მისი ტკივილი და მტეხიარობა და უხვადმიესაჯათ ევებს რათა ტანჯვასა და გოდებაში და ვაებითა და მწუხარულად ეჰშვნათ შვილი, და მიუსაჯა ისიც რომ ქმარი მისი „გეუფლებოდეს შენ“, ხოლო იგი კი, ქმარი, შეაჩვენა სამოთხისაგან იმად რამეთუ არ დაუჯერა მას, თვით მამაღმერთს და არამედ დაუჯერა საკუთარისვე ნეკნისწილა ცოლს რომელმაც რომ თავისი მხრიდან დაუჯერა გველს და ხოლო გვლისაპატრონი დოზანად იცოდა და დიადმა მეუდაბნოვემ უთხრა თავისი ქვიშის ნამცეცთ რომ ამ არდაჯერებით თუმცაღ დიდად გამრავლდებოდნენ, მაგრამ ენახათ, მერე, თავთავიანთი მძიმე სეირი, ახლაღა ადამს ჩამოსცქეროდა, გველიისი კი სანახევროდ გაღოღებულიყო უკვე ედემბაღიდან, ნახევარი თბე ცივადსისხლისა სულ სხვა ქვეყანაზედ, უბალახოზე, ჰქონდა, და, მიწანაჭამმა უკვე, თვალი უკნისკე მოაბრუნა და, სმენად ისმენდა, იქამდე ერთხელ აღაღო მხოლოდ თავი როცა რომ, ღმერთმა უთხრა ევას -

„და ქმარი შენი გეუფლებოდეს შენ“,

ერთი აქღაღა წაისისინა -

„ემანდ-სსიპაცია“, -

რადროსშაყირია,

ახლა კი, ადამსდაწყევლას იმახსოვრებდა იყო თუ რა, გახევებულიყო, არახსწორი, ხოლო თავად მაღლად მოსამე როგორის რისხვით განაგრძობდა რომ, აქედანვე მოყოლებული სწორედ მის გამო, ადამისა, დაწყევლილი ქუე-ყანა წყალობათა კი არა არამედ „სჭამდე თივასა ველისასა“ და, არუნდოდა რომ, სიტყვით - პირველთაგანის! - დაბალსულიერთაგან - ყოფნა? - და, ამიტომ „და ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა“ სადამდეც მოკვდებოდა ანუ „ვიდრე მიქცევამდე შენდა მიწად, რომლისაგანაც მიღებულ იქმენ, რამეთუ მიწაი ხარ და მიწადცა მიიქცე“

და დაიმახსოვრა გველმა, ეს, და მიწაში ღრმად შეძვრა რადგანაც მზისგან დაბნელებულიყო უკვე და მხოლოდ მიწისა იქ იქნებოდა თან ადამივით მოკუნტული კიარ და - მთლად დაგორგლივი, მერე კი, ვრცლად ღამენაჭამიც როგორღაც სითბოს რომ იაზრებდა გასწორებაც-რამ მოუნდებოდა და, გამოღოღებული, ამაოდაღა შეუდგებოდა მხოლოდ კლაკნას, ახლა კი, მტვერნაჭამი და შხამითწებოვან მიწითავე ხახააღვსილი, მიწაშივ, იყო, და არც არავინ ეგულებოდა დასაგესლი მიწისზედურა ქვეყანაზედ რადგან ადამიცა და ევაცმისი ჯერაც კიდე ჰადაჰა ისევ ედემში იყვნენ რადგანაც თუმცა ადამმა მაინც ძველჩვეულებრივ განაგრძო უნებურად და მაინც „ცხორება უწოდა ცოლსა თვისსა“, ევას, „ევა“ - „რამეთუ იგი არს დედა ყოველთა მცხოვრებთა“,

ხოლო მან, სახიერმან, ღმერთმან, განშორებისას - არა, არა, - გაშორებისას, მაინც ინება და დასდვა ხელი იმათ, შვილებსავითსებს და რამდენად მეტნიც უფრო და ჯერ რომ ყოვლად აუხსნელი რამ - „აჰა, ადამ იქმნა ვითარცა ერთი ჩუენთაგანი“ -ო,

თქუა, - რომელი ერთი იმათთაგანი..., - წმიდასამების? - არაარაა?! - მოანგელოსო? - არა-ა?, - და ასე კითქვა, ზარდაცემამდე გაუგებრობა, ეს, და კიდევ კარგი რომ, დააყოლა: რადგანაც იქმნა ადამ „მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა“ - დღევანდელივით? - ჰეჰ... და განაგრძობდა თავისას მაღალისას, ღმერთი: „და აწ ნუსაღა მიყოს ხელი თვისი და მოიღოს ხისაგან ცხორებისა“, - დღევანდელივით,ესეც? - და, მოკვდავად, იქმნა,ხელმეორული ქვედდაბადებით, ადამ, და მაგრამ, მაინც, სწორედ იქვე როგორ დამბნევი, გასაკვირვალი, გასაოცარი - და ჭამოს და ცხონდეს - (ცხონდესო) „უკუნისამდე“ - უკუნისამდე!? ხოლო ეს - მასავით ჩვენით, და ჩვენგან, და ჩვენცა ჩუენ? ჩუენც? და ასე კითქვა, და მაინც, ცოტამინამდეც, მათმადამყურემ, მათზე (ჩვენზეც?) დამყურეს შეეწყალნა-იყო იგინი თუ რა, ალბათ, უკვეღა ექმნა ისე რომრო „უქმნა უფალმან ღმერთმან ადამს და ცოლს მისსა სამოსელნი ტყავისანი და შეჰმოსნა მათ“, გაგდებამდეც, და ხელმეასედ გადაკითხულად ჩამოწოდებებისას თუღა აღმოვაჩენთ და მივხვდებით და ისიც მკრთალად რომ მამაღმერთს არ დაუწყევლია ადამი და ევა იმგველსავით არამედ მხოლოდ დიდად „შეჰრისხნა“, ისინი, ისინი-ჩვენ, და მხოლოდ ასე „განავლინა უფალმან ღმერთმან სამოთხისაგან საშვებელისა საქმედ ქუეყანასა რომლისაგან მიღებულ იქმნა“ ადამ და ცოლი-იმისი, ევა, რადგან ადამმა არ დაუჯერა თავად მას, შემოქმედს, ღმერთსა და მამას, თვით შემქმნელს თან სუყველაფრისა, და არამედ დაუჯერა ცოლს რომელმაც ოდნავმინამდე გველს დაუჯერა და, თუმც ხელმეორედ ვეჭვობთ ამას მაგრამაც ეგებ ადამი გადაღლილიც იყო სიტყვით და მიტომაც მოხდა დაჯერებები ეს და ამითკი თუმცაღ გამრავლდებოდნენ მაგრამ თუროგორ? თუროგორებად, ან? - ..., - და თუმცა ღმერთმა „განხადა ადამ“ - „განხდა - ესე არს განძება გარე, გინა მდინარეთა და ხევთა გავლა, გინა ჰამბავთა და სიტყუათ განსმენა, გინა სამოსელთა განძარცვა“ - არა, ეს ბოლო არა, პირიქითღათვ, რადგან შემოსა ისინი იმათიანთზე სქელი ტყავებით და მხოლოდ მერეღა განხადა, განძნა მაინც თავისნი, და ოღონდ მაინც დაამკვიდრა იგინი „საშვებელსა სამოთხისა“ შორიახლოს რათა ადამს მარადჰხსოვნიყო ერთდროს თავისი, ბაღი, და ხოლოთუ ახლანდელსავით, ბევრჩვენგანსავით დღევანდელსავით ხელმეორედ განეძნებოდა, მონატრებოდა ბნელში, მაინც, ხოლო მაშინ კი მონატრებულზე სიცოცხლეშივე მიტანებულიყო რომ არ, იმხისა მცველად ქერობინი და რკალადმბრუნავი ცეცხლოვანი მახვილი დააწესა ვერშესაბედად, ღმერთმა,-

კეთილგანწყობავ!, გინდაც მახვილით, ცეცხლის, რათა ადამს არ ჰგონებოდა რომ კვლავაც შეეძლო იმ მარადიულ ხის - ცხორებისასთან მისვლა და გინდაც მხოლოდ გადაეწყვიტა მხოლოდღაეს, მიახლოებად მისვლა, და თუნდაც ედემსგარეთა ერთნაბიჯითაც კვლავ ჩაედინა ცოდვაპირველი, და ამიტომაც, თვალსაჩინოებისათვის აკრძალვისა, დააწესა ქერობინი და ცეცხლად მახვილი, ღმერთმა,

ხოლო ადამი და ევა იმპირველ ბნელშიდანვე ცხოვრებას შეუდგნენ ადამდაევა?, -

სუსხვას.

დასასრული II ჩვენ (გაგრძელება)

ჯერ ორი ვაჟი შეეძინათ, აბელ და კაინ, ხოლო კაენი ასაკით უფროსი იყო.

ევამ, მიდგომილმან, როცა წვალებით შვა კაინ, მაინც ორსულმა, თქუა: „მოვიგე კაცი ღმრთისა მიერ“.

ადვილად იკითხებოდა, კი, და ალბათ აბელზეც ასე იტყოდა ევა მერე, პირველად ნახეს იმათით ბავშვი, უცნაურობა-რამ, დრო გადიოდა, წამოეზარდნენ, მაგრამ რატომღაც ჯერ უმცროსი ძმისა საქმე, „მწყემსობა ცხოვართა“ იყო აღნიშნული და ბიბლიაში შემთხვევითი არაფერია, ხოლო კაენი - „კაინ-მშრომელ ქუეყანისა“, მიწისა, იყო.

ღვთის შიში თუ რიდი ან სულაც თუნდ სიყვარული ეგებ-ალბათაც ჰქონდათ, ხოლო როდესაც მისჯილი შრომით რაღაცები მოიპოვეს პირველად მიართვეს ძღვენი, ღმერთს, ეს ჯერ კაენმა მიწიდან ამოზრდილი ხოლო აბელმა „პირმშოთაგან ცხოვართა მისთა“, დახედა ღმერთმა ძღვნებს და აბელისა მეტად მოეწონა, ხოლო კაინისა „არა მოიხილა“, რადგანაც, ალბათ, აბელმა საუკეთესოდ თეთრი ბატკანი მადლობის ნიშნად ალბათ შექმნისა და დარჩენისთვისაც გულით გაიღო, ხოლო ეტყობა მაგრამ კაენმა მხოლოდ გარეულ ჭერამსავით რაღაც გამოუყო ღმერთს მონაგარიდან ხოლო ანანასი თავისთვის დაიტოვა.

მერეც მშვენიერი ადვილად და გასაგებად იკითხებოდა რომ კაინს შეშურდა აბელის შესაქებრობისა და განზე და ველად გაიყვანა დედმამიშვილი და მოკლა და რაა ამაში დაუჯერებელი და ძნელად საკითხავი, ხოლო როდესაც ღმერთი ჩამოეკითხა სადაა აბელი შენი ძმაო ამაზე კაენმა აბა მე რავი, მაგისი დარაჯი კი არ ვარო, ხოლო ამაზე უფრო განრისხებულმა ტყუილისათვისაც, ღმერთმა, რადგან დასწყევლა კაენი რადგანაც ჩამოამხო ცოდვილ თავზე ჩვეულებრივი სიტყვებით შემდეგი რომ წყეული ყოფილიყო კაინ მიწისაგან იმ, რომელმა მიწამაცრო „განაღო პირი თვისი შეწყნარებად სისხლისა ძმისა შენისასა ხელისაგან შენისა“ და ხმაც ჰქონდა სხვა, ღმერთს, ხოლო აქ რომ ეგებ მხოლოდ უნებურად ან ზრდილობისათვის შეშინებულმა კაენმა უთხრა რომ ცოდვის გამოსასყიდად ნეტავ ყოველი, ვინცკი იპოვნიდა თუ წააწყდებოდა მას, კაენს, დაე მოეკლა ამ ცოდვისათვის იგი, კაინ, ხოლო ღმერთმა კი გადაწყვიტა და თქვა ანუბრძანა რომ მაძიებელთა თუ შემოხვედრილთაგან ანუ ესე იგი უცაბედადაც მპოვნელებიდანაც არავის მოეკლა კაენი, თუარადა - აქ ცოტათი გაუგებრად კია, მოძველებული ენითაა მაინც, - „არა ეგრეთ ყოველმან მომკვლელმან კაინისამ შვიდნი შურისძიებანი დახსნნეს“,

ანუ ჩვენებურად, შვიდმაგად გადაეხდება კაინის მკვლელს კაენის მოკვლაო.

გაუგებრობაა - ეს როგორ, - რა, კაენის მკვლელს მაშ შვიდჯერ მოკლავდნენ? ადამიანი ხო ერთხელ კვდება? და ისიც ბოლოს,

თუმცა, ზღაპარ-მითებში რააღარ ხდება და მაინც ადვილად იკითხება და, მოკლედ, გაუშვა და მიუშვა უფალმა ღმერთმა კაენი რომელმაც რომ პატარა ხანში - ვითომდაც მოკლე სიტყვაა - „ცნა“ - ცნა თავისი ცოლი - ვა?, სად იშოვნა იმ სიმეჩხერეში!? - მაგრამ სამაგიეროდ კვლავაც ადვილად იკითხებოდა და შეეძინაც

ძევაჟი ენოს და ქალაქიც კი ააშენა ალბათ მოზოგილი ანანასებით და აბელის ცხვრებით ქალაქი, რომელ ქალაქსაც... თუმცა, ვა?, მე გამოვტოვე როარ შემეშინებინეთ და ღმერთმა აკი მოკვეთილობა და მოხეტიალობა მიუსაჯა აკი კაენს და თუკი ისაკიდე ქალაქებაშენებს,კარგი მოკვეთილობა და მოხეტიალობაა, არა, მე და ჩემმა... ვა?!.. ეე, მოკლეთ, ქალაქი აუშენა ალბათ მუშებით თორე ისე მარტო ზღვა და ხმელი შენ ქალაქს სუვერ აგიშენებენ და ყველას რო უყვარს, კაცო, შვილი, ჰოა უცნაური, მე დღესაც ვიცი, აი ამდენი წლების მერე ერთიც ტყუილა პარტრიონტი და იმასაც უყვარს კაცო, თავისი შვილი და მანქანა, რამე, მაგრამ რა ჩვენი საქმეა არტელჩიკების კრიტიკები და თანაც შეთავსებით ძაან მაგარზე ადგილზეა და მიღების საათები, რამე და შურიანები ხოარა ვართ, ბოლოსდაბოლოს, და ენის მიმტანიც რამტელია და ეს სად გადმოვხტით ამ არეულ-დარეულობაში ის არა სჯობიან ადვილი რამეები რო ისევ მოვყვეთ და მოკლეთ, აუშენა იმ თავის ბიჭ ქალაქი და ბიჭ კი არა ბიჭს ქალაქი და კი არ ავიგდოთ უნდა თავი, ის მერე რა რო მითებია, კულტურაა არი, ს, ეგეც, მოკლედ, რომელ ქალაქსაც თურმე ამიტომ მსწრაფლ და აგრეთვე თავისი შვილის სახელი - „ენოსი“ უწოდა - კაენსაც დაჰყვა სახელების გამოგონება და ბევრებიდან რომელიმესი ერთის შერჩევა? ვა?, თუმცა აკი მამათავისას შვილი არ იყო? და - ემ ენოსმაც თავისი მხრიდან - როგორ ადვილად სწერიან - „შვა“ - უფროკი ალბათ უფრო სწორათ ცოლთან ერთად შვეს ახალი ძე და მხოლოდღა „შვა“ ალბათ უფრო იმიტომაა უფრო ადვილად რომ იკითხებოდეს თუმც ისეც ადვილადაკო იკითხება, კი, და ნუკი ავყვებით, ჰაგიოგრაფიული ძეგლია მაინც, და მოკლედ აქუკვე ენოსმაც დაარქვა ძეს პაპამამური ჩვეულებისამებრ - „ღაიდად“, ესა ახალიც სიტყვასახელი, ხოლო მოგვიანებით ღაიდადმაც იყოჩაღა და სახელად „მალელელ“ შვა - რამდენი „შვა“ა, მაგრამ გაუშვი, იხსენიებოდნენ, გაუშვი, ჯანდაბას, ძმები მარტოკებად ამ შვაშვა-ში რადგან სამაგიეროდ ადვილად იკითხება, კი, და გინდაც შვებებში გადაუშვი ეს ახალ-ახლები მაინც ვერ დაირღვეოდა სიადვილე თუმცა ევები ალბათ წუხდნენ, და მალელელმა კი შვა ვთქვათ ახლა ასე-ჩვენებურად და გერონტოლოგიურად დღე კი არადა განსაკუთრებით წლებგრძელი მათუსალა და იმან კიდე თავისი მხრიდან თუმცა მხარი რა შუაშია და შვა ლამექ რომელმა უკანასკნელმა ლამექმაც თავი გამოიჩინა იმითრო ერთგვარი დამწყებლური პიონერული დონჟუანობით ორი ცოლი ეგრევე მოიყვანა ოღონდ არ ვიცით ერთბაშურად თუ ინტერვალებით ოღონდ არაწერია ძნელად ქნა ესა თუ მოახერხა უმტკივნეულოდ, მხოლოდ კიდე ვიღაცით შერქმეული სახელები ვიცით იმათი: ადა და სელა, ნეტა ერთიმეორეში როგორ იყვნენ, - არამედ მხოლოდ ქალებზეა აქ ლაპარაკი, იმათ კი კიდევ შვეს და შვეს მიდგომილებმა როგორ წვალებით და ღმერთი ალბათ ისევაც ჩამოსცქეროდათ იმათი აზრით ოღონდ არ წერია თუ ეს რანაირად და როგორ,

ხოლო ადრევეც გამოცდილი ადამიც თავისის მხრიდან - ვა?, კიდე მხარიდან, - აბა, თუმც მხარი აკი რა შუაშია, მეთქი, იმას ვამბობდით, ხოლო ადრევეც გამოცდილი ადამიც თავის დროზე დროს არ ჰკარგამდა და კიდევ მეტად „იცნა ცოლი თავისი ევა“ - ვა?, მეტად კიდე როგორღა გაეცნო და როგორც ადვილთან ერთად ცოტათი უხერხულაც წერია რო რომ თავიდანვეც ხომ ქონდანათქვამი ნათქვამებიდან როგორიცაა „ამისათვის დაუტევოს კაცმან მამაჲ თვისი და დედა თვისი და შეეყოს

ცოლსა თვისსა“ ხოლო დედაკაცს აკი ეთქო რომ „მწუხარებით ჰშვნე შვილნი. და ქმრისა შენისა მიმართ იყოს მიქცევა შენი. და იგი გეუფლებოდეს შენ“ და იცნეს კიდევ და კიდე ერთმანეთი უმფრო და - რა, გაცნობილები არაყვანდათ ჯერაც ერთიმეორე თუ რა?! - და შეეძინათ მესამე ბიჭიც ოღონდ თოფის გრიალზე წერია არაფერი არამედ უბრალოთ წერიარო და ადვილათაც იკითხება რომ სახელით რომ „სით“ დაერქვა - რა, ერთიც ახალი სახელი გაუჭირდებოდა თუმცა შემოსილ მაგრამ გამობრძმედილს უკვე ადამს თუ რა, და იმანაც, სით-მა, შემამაკაცებულმა კიდევაც შვა „ენოს“, ვა?, ესა „ენოს“ ორჯერ ნეტავი რათ მეორდება თუმც აქაც არ გვაქვს განვმეორვადი სახელი „არნოლდ“, განა? მთლად ენოს-იდან მოდის ეგებ, გაგება უნდა, დაზუსტება, რამე, და აგერ არაა „სიტყვის კონა“? „ენოს - კაცი რჩეული, გინა დავიწყება“ - ვა?, ეს კიდევ როგორ, ვა, რჩეული და, თანაც შვილი და, თან დავიწყება!?, როგორც ახლა ვთქვამთ,: „საიდან სადაო ჩვენოო წმინდა საბაო“, ხოლო ადამს კი 930 (ცხრაას ოცდაათ!) წელს უცოცხლნია, და თუმც ძველი სტილით, - ვა?!? მართალია?.. სწორი არა, ის, მაშინ რაცგინდა კარგი ჟანგბადები ყოფილიყო და ოზონი და რამე და თუ არ გჯერათ როტყუილია, აბა სხვა კონაც გადავშალოთ, ეს კიდემეტი 1956 წლისაა, და თანაც ჩვენი განვითარებულ-ნაყოფიერი წელთაღრიცხვით, და ადამიანსა და იმათ „შვა-შვებში“ არ შეგეშალოსთ, ესა დაბეჭდილ-აკინძულ-და რედაქტირებული თანაც ბევრისგან, რამე, და სათუალესვიღაჩივის არამედ მიკროსკოპიულ შემოწმებულად-გამოცემული წიგნია ესა მიმართულებით გარკვეულად იდეურულურ ხურუშჩოვდროში ამხსნელებლური ერთიც „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, ოღონდაც ენას ნუ დავუკარგამთ, ცოდოებია.

თანაც ადვილად იკითხება, კი:

„Библия - *[гр. biblia, МНМ. от biblion книга] рел: сборник разрозненных легенд, взаимно противоречащих, в разное время написанных и полных исторических ошибок сочинении: выдаваемых церковью за „священные“ книги“ -

ლეგენდები და მითი არა და, -

მაიმუნთქვენისამ,!,

მეპატიოს და,

ოღონდაც რახან ისევ და ისევ თქვენებურულად? -

ათეისტებო, -

დარვინთქვენისამ!, მარქსიმთქვენისამ,

ლენინტროცკტკაციაგოდათქვენისამთ,

ავოეეე, ფრუხტებო,

ასე ადვილად და გამაიმუნებულისაგან სწორედაც ასე იკითხება, ხომ?

კი?

: -

ასეთი იყო ვითარება უღირსისათვის სანამ უღირსი ერთავტორ წმიდა და დიად იოვანე ოქროპირს წაიკითხავდა, ხოლო მის შემდეგ?

თურმე,

არამედ,

თურმე

ალბათ

ჯდა,

კაინ.

კაინ კი ჯდა მაგრამ ადგილზე ძალიან წრიალებდა.

ღმერთს ძღვენი აბა რად უნდოდა, თავად მამა-ღმერთს, მამაღმერთს ჩვენსას, მფლობელს, განმგებელს ყველაფრისა და რამდენად მეტიი - ამ ყველაფრისა, რასაც ვხედავთ და ვერაც ვხედავთ, - ყოველივესი, - თავად შემქმნელს, თვით შემოქმედს აბა რაღად უნდოდა იმათგან ძღვენი მაგრამ სწორედ იმათთვის, პირველი ცოდვის, ცოდვის პირველი შვილებისაგან უნდოდა ეს, კი, რათა სხვა რომ და თუ არაფერი უმადურები არ ყოფილიყვნენ მისა, ღვთის, და მისით ბოძებული ბალახ-ყვავილით მორთული მიწა იქნებოდა ეს თუ წყარო თუ ჰაერი და მზე და მთვარე და გვიმრაცკი დაეფასებინათ და სხვა თუ არაფერი უმადურები და ამიტომ უბადრუკები არ ჰყოფილიყვნენ ისევ თავიანთთვის და ძღვენი გულით გაეღოთ და მართალი აბელ სწორამოიქცა ხოლო კაინკი, - ვერა, - და რადგან ღმერთმა „მოიხილა“ ანუ კეთილად მიიღო ტარიგი აბელისა, აბელის ძღვენი, კრავი უბიწო და გასაღიმებლადამდე, თეთრი, და ახალგაზრდა აბელიც, მოეწონა, ხოლო ამისი, კაენისა, ძღვენი არა მოიხილა, მაინც რა იყო იმძღვნად, ნეტა, და შურით დამწუხრდა, კაინ, ხოლო „შური არს მწუხარებაჲ სხვისა კეთილსა ზედა“, და მიუხედავად იმისა რომ ღმერთმა შეატყო მწუხარება, და უთხრა: „რათა რად შეიჭუვინ პირი შენი, არცა მართლიად შემომწირე“,

რადგან

„ხოლო მართლიად არა განჰყავ, სცოდე დაყუდენ“,

და მაგრამ, მაინც, როგორც უფროს ძეს პირველობა ალბათ მაინც დაუტოვა, და თუმც ორაზროვნად „შენ მთავრობდი“ -ო მასო, - ან აბელს, უმცროსსა ძმას ანდა ცოდვასო ანუ ასეთ ძღვენსო, ეგებ ასეც უთხრა, მაგრამ კაენი არ დასჯერდა ამას, მისთვის მხოლოდღა სიტყვას, კაენმა ახლა თავად სიტყვისა რა იცოდა, შურიღა, სჭირდა, რადგანაც გველი რომელიც მასთან უფრო ახლოიყო ხილ-აკრძალულით ხისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა და უხილავად მიჩერებოდა ახლაც ცოდვის პირველ შვილს, ახლობელს უფრო, ქუსლშიდასაგესლს, პირველშვილ კაინს და რადგან უგონიერესიც იყო ჩამოპირუტყვევებული პირუტყვთა შორის

ოღონდ ავად, და რადგან თანაც თანამდგომსავით რაიმ თანადგომა რამ-ვინმ სურდა-ეწადა რომ რათა სხვებიც მასავით წყეულები შექმნილიყვნენ და იმასავით მკერდსა ზედა და მუცელზე ეღოღათ და არა მხოლოდ წყევით კლაკლადქმნილს თვითონს, მარტო, და ამისათვის ვაგლახავყინულოვან ბრძანებიანი ვედრებით მიჩერებოდა კაენს ხოლო კაინის გონებისგულიც, რყვნადაღძრული, და მორიოშო სულის ქადილით, არც იცოდა და ალბათ ისეც უჯერებდა წყევადგონიერს, გველს, რადგანაც კაენს ალბათ ახსენდებოდა ისიც რომ მონანიე ადამს შვილებიდან ალბათ მეტად უყვარდა ვითომდაც-უფროს-იმასზე, კაინისაგან სხვა, აბელი, „მწყემსი ცხოვართა“ და ადრეული ადამივით სიტყვით პირუტყვთა თუ მბრძანებელი არა, მომვლელი მაინც, და, თანაც, იმ ადამშემცოდს განა შეიძლებოდა არ დასწყვეტოდა გამოკვდავებული გულ-ღვიძლი იმ სამოთხესა და იმა ედემ-ბაღზე რომელ ბაღშიაც ადამი თუმც უშვილძირო მაგრამ უკეთესი იყო რადგან სასიტყვო პირუტყვები მრავლადა ჰყავდა და, კენტი სიტყვით, ასურათხატებდა, ყოველს, და ეს აბელი, ცხვრებისღა მწყემსი, მაინც ხომ, მაინცკი ახსენებდა დიდებულებას ოღონდ სიტყვით, - როგორ თუ ოღონდ - თანაც თვით სიტყვით, და კაენმა ველარ მოითმინა, უფროსმავითომ, დაბლა მყოფობა, ესაც, - მიწაზედ ყოფნა, ეს, და ერთადერთობაც, ანუ ამპარტავნება მოინდომა იყო თუ რა იყო და „თქუა კაინ აბელის მიმართ, ძმისა თვისისა: განვიდეთ ზოგად ველად“, ხოლო კი ველზე, ოღონდ ხრიოკზე, თვალანთებულმა, დაბრმავებულმა, აემ კაენმა ოღონდ ახლაკი მართლა უბედურმა, გვლით, იქ აიღო და „აღდგა კაინ აბელის ზედა, ძმისა თვისისა“,

და მოკლა იგი.

ვითომ, ადვილად იკითხებოდა?

არა.

და თუმცა დიდი იმდენი ახალი-ვერაფერი, მაგრამ უღირსმა უიოვანეოქროპიროდ ისკი ნამდვილად იცოდა რომ, არ არსებობდა ქვეყნად ცოდვა არანაირი ისეთი რომ ამპარტავანებისაგან ნაღებინარი როარ ყოფილიყო, და ისე-ადვილად არ ძევდა ბიბლიის ერთსაც ადგილას ერთიც საქმე, - ეს იშვიათი ადგილია მთელი ძველი აღთქმიდან, ზედაპირული გაგებითაც სხვადასხვაგვრულად რომ იკითხება - „და შენ ჰმთავრობდი მას“...

თვით იოვანე ოქროპირი, სიტყვის დიადი მაძიებელი და მომხვეჭელი და მესაკუთრე, მაღალ სიტყვათა როგორის თრთოლვით შემგროვებელი და მერე მრევლში კეთილად საბოძვარ სიტყვათა როგორ მაღლიად, სასოდ მხარჯავი, მხოლო აქ, ერთგან, ამბობს: „ვგონებ“, და მისთვის ჩვეული თავაზითა და მჭევრმეტყველებით ამოდ გვიხსნის რომ ჰგონებს ისე რომ მამაღმერთმა მოქუფრულ კაინს პირველობა მაინც დაუტოვა რათა შეერბილებინა გვლისამიღებით ყინულადქმნილი გული, მისი, და, მეუღირსი, ვეჭვ, რომ ეგებ ვრცელი კადნიერებაა თვით იოვანე ოქროპირის ქადაგებებიდან რომ მომყავს მაღალი ხსნა,ნი, - ახსნები ეს, მაგრამ ეპატიოს, რადგან მოწიწებითი აღფრთოვანებისაგანაა გაზიარება, ეს, და უღირსი ეგებ იმასაც ვერ ჩამხვდარიყო და გამოჰპარვოდა თვალის ისეუბრალო გადავლებით რომ - როცა ადვილად

იკითხებოდა - რად ერქვა ტარიგს აბელისა ძღვენი ხოლო თავკერძა კაინისა რაღაცარამს - მსხუერპლი, და რატომ იყო მოხსენიებული აბელის საქმე, უმცროსისა, ჯერ, ხოლო მას მერეღაკი - კაინისა, ვითოპირველის, და აქედან რომ წამოვიდა სულიწმიდათი მათეს ხელით როგორ მოგვიანებით შექმნილ სახარებაში „სახარება - სახარებელი. სახარება არს სიბრძნე, სიმართლე და ძლიერება. სამთავე სწორ და ერთ“, და მათეშიაც იქამდეა ჩაღწეული და ამოტვირთული აი-ეს რომ, რომ „მრავალნი იყვნენ პირველნი უკუანა, და უკუანანი წინა“, და ეგებ ისაც გავიხსენოთ რომ მკვახედ და უშნოდ მსხვერპლთშეწირვა დღემდეც ხომ კია წარმართოვნებში, და ვინ, თუარ კეთილად ოქროპირი აუხსნიდა ერთსაც შორ მსმენელს რომ აბელს არავისაგან უსწავლია მამაღვთისადმი მოკრძალება, რადგან თვით, თავად, მართალი იყო, ხოლო კაინ კი, - რბილად? - პირიქით, შურსავსე პირი სხვაგნისკე ჰქონდა, - და აეს სულსუმთლად პირველნაყოფნი ხისაგან კეთილის და ბოროტისა, და სამომავლო ვრცლადნაყოფთა მიერ მივიწყებული მართალი აბელ ქრისტესმიერი აქამოსვლით ისევ კეთილად განკაცდა როგორ, და იოვანე მოციქულსაც, ეპისტოლეში: „არა ვითარცა იგი კაინ, რომელი-იგი უკეთურისაგან იყო და მოკლა ძმა თვისი. და რაისათვის-მე მოკლა იგი? რამეთუ საქმენი მისნი ბოროტ იყვნეს, ხოლო ძმისა მისისანი - მართალ“, ხოლო ხისაგან ბოროტისასაც ღმერთმა რომ როცა მაინც უბოძა პირველობა, იმ შავდაავად შეჭუვნილი პირის იქნებ როგორმე გასაბაცებლად, კაინმა უფრო ჩაღუნა ალბათ თავი, და აიმ თავისი მიწისაკენ ბაგენი ჩაღახვნა და „თქუა კაინ აბელის მიმართ, ძმისა თვისისა: განვიდეთ ზოგად ველად“,

და მოკლა იგი.

და, აქ იოვანე ოქროპირის, იმსულ ჩადგმულის, უდიადესი შეკითხვა-რამ: „როგორ გგონიათ, ღმერთს უნდოდა აბელის მოკვლა? მისი სიკვდილი?“

და, ოქროპირისვე თვისითპასუხად, თვითპასუხადვე როგორი მძლავრი ღაღადისი რომ, - არა, და არა, რომ მამაღმერთი, თავადი მამა იმითიცაა, იმითადაცაა ისე დიადი, ასე სულგრძელი, რომ ადამიანებს კიარ იმორჩილებს და თავის და თავის ნებაზე ათამაშებს განა და დაარონინებს (“ხელით ტარება“) - არა! - თვითარჩევანის ნებას მაინც გვიტოვებს, გვინარჩუნებს, ხოლოკი ნება, „ნება - აღრჩევა ერთისა რისამე მრავალთა მათგან მოგონებათა კეთილ, გინა ბოროტისა“, ის ხე, ხე-ისი!, ჯერჯერობით, დგა, და „ნება სამად განიყოფებიან: ერთი იგი ხორციელებრივი, რომელი იგი ნაყროანებისა, განსუენებისა და გემოთ მოყვარებისა“, - საუკეთესოს - ოღონდ კუჭისთვის, - გადამნახავი, გადამმვლალვი, კაინ!, რათა უფრო ღრმად ჩასძინებოდა ძღომად ნაყროანს... კაინ ისმცდარი!, „ხოლო მეორისა ვერ სრულიად და წმიდად მისაწვდომ“, - რამდენნი ერთი, ადამიანები ეს, ჩვენ, მერყევები, დაბნეულნი-ჩვე, „ხოლო მესამისა სულიერად, რომელსა შორის სისრულე იხილვების, სრულიად საღუთოსისა“ ყოფისა, და ამას თუროგორ? ვერ მივხვდებით და? იმა დიდ სახლში შევიხედოთ, მოხატულში, სად სიტყვა ისმის, სადაც გალობენ - ღვთისას მღერიან!, და, წყნარი სანთლები?, - მამისაკენ და იმისებისკენ, რა ჩუმად წვავა, ხოლო ემ კაენისა სულს კი აი ის ნება, შურით დანაყრება, ბოროტზრახვათით ნაყროანება მძიმედ შეჰყროდა მუცელზე მღოღავით, ხოლო ღმერთმა კი, ვინაც იცოდა ყოველივე, იმ სიგიზგიზის

მისანავლად პირველობა ხომ აკი მაინც დაუტოვა, და ეს ხომ სულ და მუდამ კი-ა, რომ, რომ მამაღმერთი - მამა-მკურნალი, სახიერი, სახიერობით რჩევას არ აკლებს ადამიანებს, და, იქიდანვე მოყოლებული დაგვზრუნავს, როგორ, ჩვენ კი, რამდენნი, აეს ჩვენები, ჩვენიანები, ჩვენებურები, თუნდაც ბალახ-ყვავილით მორთულ-მოჩითულ მიწაზედაც კი, თუკი შევამჩნევთ რასმე ღირებულს ისე გვგონია, გვგონია ასე რომ - კუთვნილია, და არა ღვთისგან, ნაწყალობევი; რომ დამსახურებულ-გვაქვს - მაგრამ რითა, რომელის ნიჭით, თუ შრომით - ეს არღ გვადარდებს, ხოლოს სხვა წყალობები, აუარება ისინ-ისები, როგორი დიდის დიდსულოვანებით ჩამოწვდილები, ამოზრდილები, აურაცხელნი, რაცრომ ძლიერ ზემოდან გვეწყალობა? - კეთილვინებოთ და თვით ბოლომდე წავიკითხოთ იობის წიგნი, - სად ვიყათ ნეტა სწორედ მაშინ ნეტავი ესჩვე, და, - ან ვისით სიცოცხლეს სპობდა ბედკრული კაინ ხითაც თავისით - წილბოროტისა, და იმის ნაცვლად რომ როგორის ვრცელი ვრცელსულოვნებით და სამკურნალოდ ნაბოძები პირველობა შევინარჩუნოთ, იმან, კაინმა, ერთადერთი ძმა, უმცროსი ისიც, და მართალი, ველზე გაიყვანა და, „ხრიოკ“ზეო კი ითქვა ადრე მაგრამ ჯერ არა, უკვე ხრიოკი არა, - სულსწრაფობითი აჩქარება ეს, - არამედ ლერწმიანში გაიყვანა და, დაფარულმა და ამიტომაც უჩინარმა ვითომ ლერწმებით, ეგონა ვერავინ დაინახავდა და, მოკლა, და ვინ ეს მერე - თავისივ დედის და მამის შვილი, ძმა, - გოდებს ოქროპირი, - და თუ ახლაბევრ, განმრავლებულ ადამიანებს გინდაც მოხუცის და თუნდ უცნობის თვალწინა სიკვდილი ასე ძალიან გვზარავს, აი მას, კაინს, - როდესაც სულთმობრძავსა და მართალ აბელს ჭრილობებიდან შეუცოდავი და ქალარნანახი სისხლი სდიოდა - სუარაფერი, გინდაც ოდნავი დაკვირვებით და არამთლად ადვილური წაკითხვისას, ეს, და სადა ვართ ჯერ, და, უარესიც, თუმცაღა ძნელად წარმოსადგენია, კაენისაგან მოგველის, გველის, რადგან როდესაც მაღლით ჩამოეკითხა, და ვინ მერე - ღმერთი! - „სად არს აბელ ძმაჲ შენი“ო - აქ, აღშფოთებულ ოქროპირისაგან, ძმისამკვლელის მეოთხე ცოდვა, მინამდელებზე უდიდესი, - ჯერ წინა სამს შეგვახსენებს და ჩამოგვითვლის - პირველი ის რომ, საკადრისი ვერ მიუძღვნა ღმერთს, და ისე-რა უბრალო მსხვერპლი გაიღო, მეორე ის რომ, არმად შეირგო ღვთით ნაბოძები დასაშუმინებელი პირველობა - „შენ ჰმთავრობდი“ო, აკი ეთქვა, მესამე ის რომ საშინელება - ამპარტავანებით, შურით აღვსილმა ადამიანებს შორის პირველმა მოკლა ადამიანი და თანაც ვინ ეს - ძმა, გინდ ერთადერთად არ ჰყოლოდა, ძმაჲ თავისი, აბელ, და, ახლაც მეოთხე? უსაშინლესად ვრცელი ცოდვა, - ადვილ-ადვილათ იკითხება, კი? - როცა მაღლიდან, აღსარებისათვის, ანუ მოსანანიებლად, ჩამოეკითხნენ: „სადა არს აბელ, ძმაჲ შენი“ჰო, - ღმერთიდიადი! მწყალობელი!, აი, მაშინაც კი, ხომ უტოვებდა ასეთი ცოდვისაც კი გამოსყიდვის გინდ რაღაცბეწვად, მოსაჭიდ, უნარს, - გოდებს ოქროპირი, - და იმის ნაცვლად, წყალობისადმი მოწიწებით რომ აღვსილიყო, მუხლმოყრილი - ეს თავად თუ ვინ, ეს ვინ, კაცო, დაელაპარაკა, და რისთვის და ვისთვის, მერე, - როგორცოდვილი კაინისათვის, შემცოდესათვის, როგორ, ისევ მისათვის, ხომ, გადასარჩენად, კი, მაგრამ რადგან ეგონა კაინს, ბრიყვსიმ - რადგან ბოროტი ყველა ბრიყვია, უნიჭიერესიმათთაგანიც კი - რადგან ეგონა რომ ლერწმებით საიმედოდ და თვალშეუვალად ფარულ რამ-იყო, და მაინც, ყოველი შემთხვევისათვის, შენიღბვისათვის, ცოდვის, აწუძრავ აბელს ამოგლეჯილი ლერწამებიც გადააფარა და, უბადრუკს იმ, იმა უბადრუკს, უბადრუკს იმას, აიმ

კაინს, ლეშს, თვით ღვთის წინარე სისხლმოცხებული ლერწამების იმედი უფრო ჰქონდა და, - ადრედაკითხულ მამამისისგან, ადამისაგან განსხვავებით - თავაწეულმა, ეგებ შეხედაც, „და თქუა: არა ვუწყი“.

წარმოგედგინათ, რაიმ მსგავსი რამ?, და, სად ვსხმარტალებდით, ჯერ, რადგან აქაკი ყოვლად უმგვანი, არნახული და გაუგონარი, არსმენილი და ვერცმოსასმენი, ნაძირალობა დაამატა:

„ნუ მცველი ძმისა ჩემისა ვარ მე?“

...ეგონა ისე, ღმერთი რახან ჩამოეკითხა, ალბათ ვერ იცის არაფერიო და, მოტყუება ვისი, მამაღმერთისა, გადაწყვიტა და თანაც როგორ, სიტყვისმიერი ინადი მოჭრაც დაამატა - „ნუ მცველი ძმისა ჩემისა ვარ მე?“ - ეს არგასაგონი, ვერსანახავი, უცაბედ გველზე შედგომასავით თავზარდამცემი, იმას კი, კაინს, შესაგუებლად გველთანხვდომილს, კლაკვნაც კი რაიმ, და თანაც რითი, შებღალული სიტყვით, კი, უკვე სჭირდა, შხამად შეყრილი აეს სიტყვები, ღვთის-ხილულითაც კი, თანდასწრებით, ასე ვერაგი, გაუგონარი, შხამით სიტყვები, ამოშხამდა და ეს იმიტომ რომ, ხისბოროტისაც კაინ-ნაყოფი? - :

ათეისტობის პიონერი! -

იყო,

ყველაზე დიდი სიბილწისა? - სისხლითმოთხვრილი ყელამდე, მეკვლე, ათეისტდართა შესაფერი წინაპარი და რეგვენთმთავარი, თვითან სატანამ, დაცემულმა, მანაც კი როგორ უწყის ღმერთი-მაღალი - იობის წიგნი, თუნდ, - და რა გამოდის, რომ ათეისტი, ისაც-სუპირველი და აესენიც, გამოიმისიდან ჩვენაქამომდე მოღოღებულნი, კაინის მოდგმა რომ სატანაზეც უარესნია განხრ-ზოგიერთით, გამოდის ასე, მართალი აბელ კი ჯერაც მიწაზე იწვა, მიწა კი სისხლით იჟღინთებოდა, აბელისით,

და როგორ უთხრა, დააჭექა თუ ნაღვლიანად, ღმერთმა, ეს არ წერია - „ადვილად წასაკითხში“, - მაგრამ, სიტყვები იყო?:

„რაჲ ესე ჰყავ? ხმაჲ სისხლისა ძმისა შენისა ღაღადებს ჩუენდამო - (ჩუენდამოო!) - ქუეყნით“, - მიწიდან ანუ,

ლერწმოვანი კი, ნიადაგით სისხლშესრუტვილი, ხრიოკდებოდა, და ორივენი უფრო ჩანდნენ ერთსაც შელახულ ხელისგულზე, მართალიც, მკვლელიც,

და, რომელი გრგვინვა, ყოფილიყოც, თუნდ, თავად სიტყვასთან, სიტყვებთან ამ!

„და აწ წყეულ იყავ შენ ქუეყანისაგან, რომელმან განაღო პირი თვისი შეწყნარებად სისხლისა ძმისა შენისასა ხელისაგან შენისა“,

და, რომელი ბევრნი მივხვდებით, ან გაგვახსენდებოდა კია განსხვავებანი ღმერთისაგან იმ ორ დაწყევლაში თუარ მაღალი შუამავალი თვით იოვანე ოქროპირი, ჩვენი, ჩვენკენა, და ჩვენდაწილა სინათლის მხსნელი რომელიც

„ადვილ-წასაკითხში“ ცოტათი უკუგვხევს და დაყვავებით გვახსენებს რომ, თუ ადამს ეთქვა, რომ, „წყეულ იყავნ ქუეყანა საქმეთა შინა შენთა“, ანუ ადამით დასწყევლა მიწა, რადგან ადამი, სიტყვათქმნადობით გადაქანცული, პირმშოზე ნაკლებცოდვილი იყო, ძმის მომკვლელი კი, ღმერთმა, პირიქით, მიწით დაწყევლა, „ქუეყანისაგან“, იმ, „რომელმან განაღო პირი თვისი შეწყნარებად სისხლისა ძმისა შენისასა ხელისაგან შენისა“,

მაგრამ ნამეტანი არ ვარგა არაფერი, თვით სულმაღალი ღვთისმეტყველის ასეთი ხშირი მოშველიებაც, კი, ეს, ეს უღირსით თორემ, ცალკე და ჩვენ-ჩვენთვის? - გაგიხარია, ხოლო ათეისტებზე, თუნდ მხოლოდ ერთ-ერთი მოციქულის ვითომცდა მომცრო, სულ ოცდახუთმუხლიან წიგნში, ეპისტოლეში - „მინაწერი“, უსტარი, - მარადიულსა და ამიტომ ჩვენდამიც როგორ, მონაწერში, ათეისტებმა, რომლებმაც რომ, გვლით დაღდასმულმა შთამომავლებმა თვით მამაღმერთის, თავად ღმერთის მაღალი შვილი, ძე კაცისაჲ, არა იწამეს, იმათზე აი, ათეისტებზე, ასე სწერია:

...“უღმრთონი რომელნი მადლსა ღმრთისასა ჩუენისასა გარდააქცევენ არაწმიდებად და მხოლოსა მფლობელსა ღმერთსა და უფალსა - „პატრონს“ - ჩუენსა იესუ ქრისტესსა უარ-ჰყოფენ“, და, „ამისათვის ურწმუნონი იგინი წარწყმიდნა“, და ის რწმენაშეცვლილი, ანუ ურწმუნოდ დაცემული, ყოფილი ანგელოზები - „წყვდიადსა ქუეშე დაჰმარხნა“ და ყველა ისინი, იმ, ამ ერთადერთ უზეშთაესს მიუხვედრელნი, და, უარესიც, ამპარტავანებით განდგომილები - „უთავხედესი“ ზოგჯერ თურმე ცოტასიტყვაა, და, „უბრიყვესი“-ც, - „ცეცხლსა საუკუნოისა საშჯელი მიუღებიეს“, და კვლავაც, მათზე, ურწმუნოებზე, და უარესად მეტიც უფრო - დიდრწმენის მტრებზე, იმ ორფურცლიან მონაწერში, რომ - აბურდული მოჩვენებებით... თუმცა აბურდულს კიდევ რა უჭირს, რომ - და,გე,სლილი მოჩვენებებით, გადამცდარები, შეჩვენებულები, „ხორცთა შეიბილწებენ, უფლებათა შეურაცხჰყოფენ, დიდებათა ჰგმობენ“, გმობენ იმას, უბადრუკები (“უბადრუკება - ყოელთა შესაწუხებელთა და ვნებათ განსაცდელი“), რაც ან არ იციან და მთლად ვაიიმათ თუკი იციან და მაინც, ხოლო სხვარამ კი, ე?, რამდენი რამ, და „რაოდენი ვითარცა პირუტყუთა ბუნებით იციან და მათ შინა განიხრწნებიან“ და ამიტომაც მართლა პირ-უტყვებად დაბოქლომვილნად რომ ყოფილიყვნენ და დარჩენილიყვნენ, რამდენად ერჩიათ და უჯობდათ, და, როგორ ნათლივ!: „ვაჲ მათდა რამეთუ გზასა მას კაენისა ვლენან“, - ვერდასავიწყი, დაუვიწყარი თავისდა ჭირად, კაინ! - „და საცთურსა მას აღერინეს“... აქ კი, „საცთურსა აღერინეს“ ქრთამთააღების გაგებით უნდა იყოს, რაში ჰ-ყოფილა თურმე საქმე - თურმე „საცთურსა მას აღერინეს“ -ში, - ქრთამით იცთუნნენ, მიიღეს, გამოწუწვნითი ოღონდ რისგან - თანამდებობა, ზედაც ბინა, შიგაცშოფრიან მანქანა და დასტურ-ბენზინი, ფასდაკლებულად კალორიული ლამის უფასო უშარვლებოდაცგახსნილდუქნები, ჟანგბადიანი ჰაგარაკები და, რამე, და, რაღაშიღა ენაღვლებოდათ, სადღა ახსოვდათ, რომ, „ვინც ამას სოფელსა შეიყუარებს, მან წარიწყმიდოს სული თვისი“,

ხოლო სოფლად კი, ქუეყანაზე... ბევრი რამ ხდება, მომხდარაც, კიდე, მაგრამ ჩვებევრებისათვის, უიოვანეოქროპიროდ ადვილად საკითხს, ქარაფშუტულად

კიარა და, უბრალოდ მივყვეთ - ხოლო სოფლად კი კაენები მთელ ქალაქებსაც კი იგებდნენ, ახლაც, სადაც რომ ღმერთმა დაანარჩუნა კაენი და იმისთანებიც ხოლო თუ რატომ, ოქროპირთანაა ეს, ხოლო რომელია გამარჯვებული ოღონდ მუდმივად? - კაინ თუ აბელ, გიორგი თუ დიოკლეტიანე - ვიცით, ან ვხვდებით, და დამწუხრებულს ალბათ დედას მართალისას მესამე ძეც რომ შეეძინა... ალბათ კი არა, ძალიან ალბათ მგლოვიარე და მწუხარი, ევა... პირველ შვილს, კაინს, გაოცებულები თუ შესცქეროდნენ, - ჯერ არ ენახათ ქვეყნად ბავშვი, - საკვირველება-რამ, და მხოლოდ თვალებგაფართოებულები თუ მიჩერებოდნენ მხოლოდ, უშუქოდ ყოვლად, თუმც სხეულებით სხეულს უზრდიდნენ, რძითა და ტანჯვით ამოყვანილი პურით ასრულებდნენ უტყვად მბრძანებლურ, წესს, წესს მშობლებისა, და იმავ წესით მიწად დაცემულს წამოაყენებდნენ ხოლმე, ხოლო აბელი რომ დაიბადა, წინა კაინით მონაცნობოსავით, როგორ, იმას კი უკვე უღიმოდა ალბათ კაინით უკვე გამოცდილი ორმაგი დედა, ეფერებოდა კიდეც ალბათ ჯერ მთლად ნედლ თავზე, ზეიმს, და მიჩვეულად აწოვებდა კაინისაგან დათმობილ ძუძუს, ხოლო კი მძინარს, რა იცი ეგებ ხანდისხანობით ლოყაზე ლოყასაც მიადებდა და, მთლად გატვრინვილი, რაღაცა დიადს, უმთავრესულს, რაღაც მთლადქალურს მიუგდებდა ყურს, ხოლო კაინი მიწასთან ჯიჯგნად რომ გაუშვეს, ესა, უმცროსი, მთლად თავისსავით ბატკნებში განამწესეს და, ერთსაც ავად ნაცრისფერ ძალიან-დღეს რომ მოუკლა შვილ-ნაფერები უნაფერებო, შვილშავმ, - ევასას, ვინ მოთვლის... ხოლო მესამე ძეც რომ შეეძინა, ეგებ ნანატრი და გლოვის ეგებ კიდევ მეტად შემხსენებელი, დაფიქრებულმა მოკუნტვამდე, მგლოვიარობით რთულმა ევამ, უცებ აიღო და გამოცდილ მესიტყვესაც კი შეეცილა, რადგან, ჩვილზე დამყურემ, გამხნევებისათვის, იმას უწოდა დედამ სით-ი, ანუ სეთ, და ყველაზე მეტად სწორად - შეთ, ეს ახლა გვეცვლება ბგერები თორემ მაშინ სიტყვა - კანონი იყო, და, ჩვილზე ძალიან დამყურე დედამ - ვინ გამოვიდოდა მისგან, რა დადგებოდა მისაგან მაინც ნეტა, კაინ თუ აბელ, - არ იცოდა კი, და მაინც იმედისაკენ, აბელისკენ: „რამეთუ აღმიდგინა მე ღმერთმა თესლი სხუაჲ ნაცვლად აბელისსა, რომელი მოკლა კაინ“, - აბელისაკენ ნუგეშინებით გულგაწეულმა და მავალმა დაარქვა მას „შეთ“ - ანუ ფუძე და დაფუძნება, ხოლო როდესაც თუნდაც სახელით ვალმოსახდელმა შეთმა დაირგა ფუძე, - გასამრავლებლად, ასაყვავებლად, დასაფუძნებლად, და თავის პირმშოს თავად დაარქვა სახელი მაგრამ - სახელად, „ენოს“, და ყოფილ სიტყვათმქმნელს, ხნიერ ადამს უკვირდა ალბათ სახელდებები მათი, კაენის შვილსაც ხომ ენოს ერქვა, აკი, და, მათმა შემყურემ და მხილველმა, ხორციელთაგან სულაც პირველმა წინასწარმეტყველმა, ადამმა - ქვემოსიტყვათაც, მამამ, ქვემომესიტყვეობითაც გადაღლილმა მამამ, მართლად იგრძნო, რომ „ენოს“ - ესაა „კაცი რჩეული“, ქალაქიანი და ფუძეგადგმული, და მაგრამ თანაც - „ანუ დავიწყება“, ქალაქიანიც და ფუძეგადგმული ყოფილიყო თუნდ, და მიხვდა, ადამი ყოველს, რადგან უკვე თავისისაც და შთამომავლობის გარდაცვალების ფეხაკრეფილად გარდაუვალ გეშს, ტანითვე გრძნობდა.

და მართალიც, აღმოჩნდა.

ოღონდ მთლად არა.

რადგან მას, ადამს, „ადამ“ - კაცი ქვეყნიერი, გინა მეწამული“ - ანუ სისხლისფერი, გადავიწყება არ ეწერა, რადგან, ჩვენ რომ ვეძახით ისეთი ძალიანი დიდი ხნის შემდეგ, ჩამოგვევლინა და მოგვევლინა სწორედ იის - თავად მთლად სულსუ პირველითგანვე რომ კი იყო, უუწინარეს ყოველთა საუკუნეთა დამფუძნებელ და აღმაშენებელ ძეკაცისაჲ-ცადაც ქცეულ სიტყვაში რომ თლილსა და ნატანჯ ნეკნებშუა ძგერებული ლახვარისა გამო რომ გარდამოხდა სისხლი და წყალი, და სწორედ ადამის საფლავს დაეპკურა, ისი - თავიდათავი სიტყვის, მწარე ნაჟური - წყალობად როგორ! - რადგანაც ადამს, წლეების შემდგომ, საფლავ-იმსისხლიანს, ტევად მესიტყვეს, ეყოლებოდნენ კაცნიც-რჩეულნიც, და არა მხოლოდ დავიწყებად, და დაწყნარებულსულთმობრძავმა ადამმა აი მაშინაც კი, სიკვდილისპირამაც, წინასწარმეტყველმა, იცოდა უკვე რადგან მიხვდა რომ თუ რას ნიშნავდა „კაცი რჩეული, გინა დავიწყება“, და, რომ ეგონა, ედემიდან გამოძევებისას ღმერთმ-ლმობიერმა მასზე ტყავების შემოსვისას თან რომ აღუთქვა „ჭამოს და ცხონდეს უკუნისამდე“, ო, მერე ეგონა ისე რომ ღმერთს დაავიწყდა დანაპირები რადგანაც იგი, მოხუცი ადამ, თუმც კი ცხრაასოცდაათ-წლისა, მაგრამ ეს სულაც ვერ იყო „უკუნისამდე“, კვდებოდა, ჰო, კი, მაგრამ თვით კიდევ მოსვლამდე იიმის, მაგრამ ახლა, გარდაცვალებამდეც, გარდასახვამდეც, კი, რომ დაინახა დედისძუძუზე მიტანებული რომელიღაცაც შვილთა შვილი, მშვიდადღა მიხვდა, თუნდაც ამით, თუ რასაც ნიშნავდა „ჭამოს და ცხონდეს უკუნისამდე“, სხვა თუ არაფერი,

ხოლო ლამექი კი კაინის შთამომავალი იყო; აი ის ლამექ, კაცო ერთ ცოლზედ მეტი რომ, ჰყვანდა, „დაბადება“ში ყველაზე მეტად თვალმიპყრობილი კაინ-ენოსის ნაშიერებში, რადგან, იმას თავიც რომ სულაც გავანებოთ, რომ, ორცოლიანობისა პიონერიც კიარ და, მთლად ოქტომბრელი, იყო, მაგრამ აქ ეს უნიჭო რადგან უადგილო ხუმრობები განზე გადავდოთ რადგან კაენის მეხუთე ძირმა, სწორედ ლამექმა მოკლა ადამიანი და თანაც ორი და მერე მწარის სინანულით დამწუხრდა, ალბათ, ასე მიმართა და გამოუტყდა „ცოლთა თვისთა: ადა და სელა, ისმინეთ ხმისა ჩემისა, ცოლთა ლამექისათა, ყურად იხუენით სიტყვანი ჩემნი, რამეთუ მამაკაცი მოვკალ წყლულებად ჩემდა და ჭაბუკი საგუემებელად ჩემდა“,

ჭაბუკი, თურმე, ალბათ მამაკაცზე მეტად დიდია, და, მოსაკვლელად, ცოდოა უფრო,

ხოლო „ლამექ“ კი, თურმე ხელმოცარულს, და უნუგეშოდ მოწრიალესაც, ნიშნავს, როგორ ახლა ეს, მეხუთე მოდგმად ყლორტ-განვრცობისა ოღონდ მწარის, ღმრთით დაწყევლილი კაინისა, კაენისადმი ბოლო სიტყვები, ჯერ: „რამეთუ ჰშურებოდი ქუეყანასა და არა შესძინოს ძალი თვისი მიცემად შენდა“, და, „იწროებით და ძრწოლით იყო ქუეყანასა ზედა“,

„იწროებით და ძრწოლით იყო“ - შეზღუდულად და თან მოკანკალე გაძევებულდამოხეტიალედ, მიწითწყევლილიც, ანუ, ხოლო მონანიებად დაძვრისას, მთლადაც სინანულადდავარდნილმა ლამექმა, კიდევ თქვა აი ასე: „რამეთუ შვიდგზის შური საძიებელ არს კაინისაგან, ხოლო ლამექისაგან სამეოცდაათ შვიდგზის“,

სცოდნია, თურმე, ბნელად მეხუთეც, იგივ პირველი უკუღმართობით, წინაპარი, იმისი ცოდვა, ჩვენკი აგერ მთლად გუშინდელი ტაშ-ფანდური აღარ გვახსოვს და, სცოდნიათაც და ახსოვდათ იმათ, შორ წინაპართაც შეცოდვები,

და დატოვა კერა, ამ მთლად პირველმა მონანიედ-მოხეტიალემ, დაადო თავი-ცოდვილი და, მონანური, საითკენღაც წავიდა, უთავუბოლოდ გაეშურა, კენტი,

...ხოლო დარჩენილებიდან ადას პირველი შვილი, იობელი, შექნილა მეჯოგედ და კარავში მცხოვრებთა მოდგმა განავრცო,

და ხოლო ადას მეორე შვილმა, თუმც სახელით ძმის მსგავსმა - იობალმა, უცებ აიღო და გამოიგონა და შეთხზა ქნარი და სტვირი და სხვა საკრავები და დამღეროდაც, ზედ, ხოლო იმისმა ნახევარძმამ, სელას ძე თობალმა ალბათ კი მოინდომა მაგრამ ვერ შესძლო ქნარზედ დაკვრა და სამაგიეროდ გამოიგონა ურო და გრდემლი და ცეცხლთანახლო გახდა მჭედელი,

და ყველამ თავ-თავიანთ ხელობას ჩაუდგა ფესვი,

ნაწევრდებოდა, ხალხი,

განზე იწევდნენ,

ზოგი როგორ და ზოგიც - როგორ

გან-გან იწევდნენ,

ზეით - ჯერ ვერა,

და რადგან ღმერთი არჩევანის უფლებას მაინც გვიტოვებს,

გაიხრწნა, ქვეყანა,

და დიდხანს ითმინა უფალ,მან,მან,მაინც,

და მერე, ქვეყანა ძალიან ძლიერ რომ განიხრწნა,

მერე კი ჩამოდგა დიადი წარღვნა და ყველა ისინი -

წარიხოცნენ,

ეს - კაინის შთამომავლები,

ხოლო შეთ-ფუძისა და დაფუძნებისაგან მეხუთე თაობად იშვა ნოე, „კაცი მართალი“, რომელიც გან-გან კიარა, მაღლა იწევდა და ამიტომაც - „სრულ იყო“, და ის რომელიც დიადწარღვნისას უფლით გადარჩა და მისავ, უფლისავე რჩევით მყარად ანაგებ სიცოცხლისკენა კიდობანში წყვილადყოველი პირუტყვსგარდა, ადამიანებთაგან, შეთ-დამფუძნებლის მოდგმისაგან სულ რვა სული იყვნენ სულ: ნოე, ცოლიიმისი და მათი სამი ვაჟი და იმათიც ცოლები ხოლო იმ ვაჟებს სახელად სემ, ქამ და იაფეტ ერქვათ, და, გადარჩენილები, გამრავლდნენ მერე, ისე განმრავლდნენ, და ისე ვრცლად, რომ ერთიმეორისა სიტყვები ვეღარც ესმოდათ,

მაგრამ,

განიღხრწნენ,

ისევ,

ისე ძალიან,

რომ მამაღმერთმა ერთადერთი ძეᲲთავისი, ქვეყნად უბრალო სახელით, იესუ, იმათ და ჩვენ-ჩვენ ცოდვათა აღმოსაფხვრელად როგორის ტანჯვით დროებითულ აღსასრულისათვის, ჩამოავლინა უფალი ქრისტე, - განუზომელი სიკეთე ღმერთისა, სახიერის - და მაგრამ, მაინც, იმათდა მადლის მიუხედავად კვლავ განვიღხრწნენით, და რა ხე იყო ის ისე ისეთი, მაინც, - მუდამ რომ თანგვდევს,

რა ხე იყო და - ხე კეთილის და ხე ბოროტისა,

და აგერ, გუშინდლითაც კი დასჯა, გვიკვირს,

და მივირთმევთ, ახლაც, აიმ ხისას და, კიდევ კარგი რომ ორგემოვანი ნაყოფი აქვს იმ სიცოცხლისა და ვაი-დაც მარად, ვაება-დაც, ხეს,

...ხოლო ადამმა იცოდა.

უკვე იცოდა ეს ყველაფერი,

და ეს ყველაფერი ჩასახვდენიც კი იყო, მაგრამ,

უდიადესი რამ საიდუმლო, იმ საწყისიდან, იმთავითვე, თვით ღვთისა პირიდან, გარკვევით თქმული:

„აჰა, ადამ იქმნა, ვითარცა ერთი ჩუენგანი“, - ღვთით წარმოთქმული, ეს...,

როდის თქვა, თანაც - ედემიდან ადამდაევას გამოძევებისას სწორედ, ყოვლად სახიერმა მაინც რომ ტყავებით შემოსა იგინი ედემსგარეთა ქვეყანაში რომ არ შესცივნოდათ, და, თუმც დააყოლა „ვითარცა ერთი ჩუენგანი“ს იყოსა ადამ - „მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა“, ო,

და მაინც, მაინც რას ნიშნავდა ეს, რომელი ერთი

ეს „ვითარცა ერთი ჩუენგანი“?

რასა ნიშნავდა ესი, ნეტა?

ეგება იმას, რომ

დასასრული III, - „ვითარცა ერთიჩუენგანი“

დიადია, ის.

დია, დია, ის, სულიწმიდა, როგორის მადლით უდიადესი, ყოველგანაა, კი, ოღონდ მხოლოდ მან ერთადერთმა-ვინმ იცის თუ, ვის, რას ან რომელს მიადგეს ოღონდ რაღა თქმა უნდა, მნდობი მამით.

მამისაგან გამოვალს, სუყოველგანაა.

მუდამ.

ჯიუტადაა, ვიღას თავთით არმდგარი,

სუყველასია,

ოღონდ ხშირადაც ვერ იღებენ.

და მაინც მუდმივ ადამიანებისაკენაა, ჩვენი.

ასე განსაჯეთ, ქვეყნის შექმნამდეც, იყო, სიტყვასავით, ოღონდ გინდაც ვითომც უხმო და უჩინარი, ახლასავით და, მაგრამ როგორღა განვსჯით, ჩავწვდებით ანუ, რადგან, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა როგორღაც მაინც თავთდამდგარი უძირო ფსკერი კი არა ისიც ვერ ვიცით ჩვენ, ადამიანებმა, ადამიანებმა-ჩვე რაღა, თვალწინ რაც ხდება,

და თუკი ვხვდებით რაღაცებს, ესა რამეები - ჩვენდამ-იმისით, სულიწმიდათი, და უცნაური კია, მამაღმერთს ხომ ერთადერთი ძე, ქრისტე ჰყავდა, ხოლო იესუდ ქრისტე და სულიწმიდა - ტყუპებია, კი, უდიადესები, ა? ტყუპები რომ!?, - თუმცა მხოლოდშობილი პირმშო და ძეა ქრისტე მამა-ღმერთისა და ხოლო სული, სულიწმიდა კი - ღვთით გამონასუნთქი, - დიადი სულია... - და ტყუპებია, მაინც, და როგორ მსგავსად მამისაგან განუყოფელები, თან, და რომ იესუდ-ხორციელი უფალი ქრისტე მუდამ „ჩუენ შორის“ - სულიწმიდათია, „რამეთუ სულისა მისისაგან მომცა ჩუენ“, მამაღმერთმა, იგი, „და სამნი არიან, რომელნი წამებენ ცათა შინა: მამაჲ, სიტყუაჲ, და სული წმიდაჲ; ესენი სამნი ერთნი არიან“, და რადგან „ღმერთი სიყვარული არს“, მიგიღებს, მუდამ, დიდად ცოდვილს და რომ გგონია რომ საბოლოოდ დაქცეულ-ხარა, არამცთუ მიგიღებს და წამოგაყენებს, ეგებ ცოდვილ თავზეც კი მოგეფეროს, და რაც გინდა გვიან მაგრამ საბოლოოდ „რომელი ეგოს სიყვარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰგიეს და იგი ღმრთისა თანა“, -

სამების მადლით.

და როგორ თავისისადა გვარ ტყუპისცალივითსავითთან ერთად, მამისა ნებით, და მისი უკუნითი უკუნისამდე მაღალისიტყვის მაღლითკარნახით, და იმათთანაც მარადერთად, როგორ მხარდამხარ, სამყაროს ჰქმნიდნენ, ეს რაროგორი სამუშაო, მხოლოდ მათსავით უკიდეგანო, ედოთ, და მამით როგორ იტვირთეს ბრძანებად სიტყვამ, და აღსრულებად ბეჯითმა სულმა, მამითტყუპობით როგორ სამნივ ერთიდა-იმავეებმა, ირგვლივითურა უკიდეგანო სამყაროსათვის, თანაც ვითომ ცალ-ცალკემ ოღონდ როგორი სრული სავსებით შესამებულებმა,

და თვით მამა-ღმერთის - იმის ნებით, -

„იყავნ“-ო, -

შეძლეს.

„იყავნ“ კი, თანაც სუყველაფრისა, როგორის შრომით აღასრულეს იმ სულიწმიდამ, რომელიც რომ „მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყვანის იცემების და იდიდების“, აი ასეთმა წმიდა სულმა,

და მამაილა ქრისტემ,

სამყარო, - შეძლეს.

ადამიანებიანა.

უცნაური კი ის იყო სწორედ, რომ შედარებით ადვილ-ყოფილა თავად ცისა და თავად ქუეყანის შექმნად აგება და დაფუძნება, შედარებითვე ადვილი იყო მკვიდრ ქვეყანაზე მზის ზაფხულ-ზამთარ მრავალდაგვარად მრავალ და უამრავნაირ და ცვალებადურ ზეითა გზებზე ერთგულად შემოვლა, და თავიანთ უზარმაზარ ქვე-ბუდეებში მორჩილად ისხდნენ ოკეანეები გინდაც ეღელვათ, გაკვალულ ბილიკებს უბრუნდებოდნენ გაზაფხულობით თავაშვებული მდინარეები უფრო მთის და ხეებიც როგორ ერთგულად და დაუყვედრებლივ ისხამდნენ ნაყოფს, კი, და აი ეს წვიმა, ეს თოვლი, ესაც ღრუბლები, სეტყვა და თვით ცისარტყელაც კი რამდენად უფრო მეტად ადვილი იყო, თავ-თავიანთებ წიაღებში დანადირობდნენ ბასრი მხეცები და ხარბი ფრინველები და უხმოდ და მძიმედ პროწიალა გულგრილად ავი თევზები და რა მოასვენებდათ, თუ არ ნაყროანება და ის ერთიმეორის სურვილად მონდომება და მხოლოდ საჭმლისა და გამრავლებისათვის იყო მათი ფრენა თუ წრიალი და ტანტალი და ცურვა და თუკი გაძღებოდნენ, და სხვარამც, მშვიდადღა იყვნენ, ნებივრობდნენ, - და, იმ ორმაგულად მოშიებებამდე, ადვილები-რამ, იყვნენ, იყვნენ ბევრად უჯაფოდ, მოსათვინიერებლები, გარეულები ეს, სულ-ერთთაგანნი, და

მშვიდად დააბოტებდნენ ადამიანებზე რამდენად მოდიდო სპილოები და თავ-თავიანთურ ცხოვრებას ეწეოდნენ ღმერთისმიერი წმიდა სულით შექმნილი როგორი განსხვავებულები ვეშაპი და კოღო, და რამდენად და როგორ დანაწევრებული და მაინც განუყოფელი მთლად კენტად სული თუნდაც საერთო, მარტივად ედგათ, ადვილი იყო ფარშავანგის მბზინავი ბოლოს როგორ ძალიან როგორ ზღაპრულად მორთვა, და ჭიამაიას შავით წითელზე დაწინწკვლასაც ხომ აბა რა უნდოდა, რა ბევრი იმდენი, თითქმის არაფერი - ოღონდ სულიწმიდასათვის, ეს,

ხოლო ძალიან ძნელად მოსავლელი აღმოჩნდა ადამის კვიმატი მოდგმა.

ხოლო რადგან კი „სული - ნერგნიცა სულად ითქმიან, რამეთუ აქუს მოძრაობისა და აღორძინებისა და თესლოვანებისა ძალი“, და ღმერთს კი რახანუყვარდა და უყვარს ყოველი სულიერი როგორ მოხატა მინდვრის შროშანიი? - ჰეჰ, - და ახლაც ხატავს, და, ისშემკულები ხარობენ მზით და წვიმაგამჯდარი მიწითაც ხარობენ და პეპელას ფრთებიც სასწაულად თუვინც აჭრელა, ვიცით,

ყველაზე ძნელად მოსავლელი კი მაინც ადამის კვიმატი მოდგმა აღმოჩნდა.

რომელიც ღმერთს, თავისა ხატისა მსგავსები, განსაკუთრებით უყვარდა, უყვარს.

და რაღა თქმა უნდა რომ, შროშანზე მეტად დაზრუნავს მათ, მაგრამ ისედაც აგებულთ როგორ, ზედმეტს არაფერს დაატყაპნის, ადამიანებს, - სრულთ, არ მოგვხატავს, და ჩვენ-ჩვენით თუ მოვითხაპნებით საღებავებით და ბაიყუშებივით, ძველ-ინდიელებივით თუ მუქკანიანებივით ტყე-ტყედ უფრო და თეთრკანიანებივითაც როგორც ახლა, ვთქვათ, ბურთით თამაშობის გულსახეშემატკივრობისას, და გინდაც პირისახის ჩამობანვა დაგვეზაროს და ამიტომ არც მოვიხატოთ, აგერ არაა ჭყეტელა ტანთსაცმელი!?, და, ქუდზე კაცი რა იყო არამედ კაცზე - საყურე, ცოტას ზედმეტად ვთავისებურობთ, ვყურისებურობთ, ვყურისებურობითობისობითითაც, კი,

ჰუ?,

მივდი-მოვდივართ თვალშისაცემნი ოღონდ უსწორო გზებზე, მოკლეთ, და მაგრამ

მაინც ვინ იყო, რომელი იყო რომელზედაცრო, ითქვა, - „ვითარცა ერთი ჩუენგანი“?

ხოლო იობალს რომ რაღაცრო ძალიან მეტად აწუხებდა, ეგებ ის იყო, „ამისათვის, ვითარცა-იგი ერთსა მას კაცისათვის ცოდვაჲ სოფლად შემოხდა“, - ადამისაგან, ანუ, „და ესრეთ ყოველთა შესცოდეს“, და შთამომავლებსაც ცოდვა ა-ისი, ცოდვა-ისი უნებურად და წარუშლელად ეცხოთ, ძლიერ სამუდამოდ, დაიდაღნენ, რითაც განივრცო სიკვდილი და მოკვლა და, სწორედ ლამექ-უფროცოდვილის ჩამომავლები, იობელ-მეჯოგისა და დაბნეულად შეწუხებულ იობალის ნახევარძმა თობალი კი უკვე გამზადებული რკინის მოსაგონრად, იყო, იმ რკინისათვის, თავისით ან სხვისით მიწა-გასაკეთილებლის დასაბარად ანდა ახლობლის მოსაკლავად ქვა-ხეზე მეტად რომ, გამოდგებოდა, - მაშინ ყველანი სისხლით ძალიან და ახლანდელზე ახლობლები, იყვნენ, და იმათ თვალწინ როგორ თვალნათლივ განვრცობილიყო უკვე გინდაც რჩეულ კაცთა თავისით სიკვდილი ანუ დავიწყება, და ხოლო იობალს, - ვინც რომ კაენის შთამომავალი და მამითკი ლამექ, მეჯოგესა და მჭედელთან ერთად სწორედ სხვებზე მეტადცოდვილის, მკვლელ-ორმაგისა, შვილი იყო, - და მაგრამ რაღაც სულ სხვა რამ-უცნაური, სურდა, სიკვდილზე მეტი, რამ, და რუმე, დარჩენა იყო თუ რა იყო მოუნდა, მოსურვდა ოღონდ უბრალოდ არა - არამედ უფრო, და ძალიან ითვალიერებინებოდა ირგვლივ, უთვალთვალებდა რას და... ყველაფერს!, უყურადებდა ქარს, და ჭექას, წვიმის შრიალს და, სიოსაცკი, და უფროც მეტად აწვებოდა ჯერ უნახავი, მთლად არნახული ჯერ ვერსმენილიც, რაღაც, რადგან რასაც ხედავდა და ისმენდა, ისა - სხვისა და სხვისგან, ამას კი, ბეჩავს, ხოლო თავისა სურდა, და რაღაც მხოლოდ თავისასაც ბუნდოვან-ნაღდად მართლიად, გრძნობდა, - და ძალიან ძლიერ უნდოდა კი, ეწადა, ჰსურდა მაგრამ სად იყო, ანდა რა იყო, ჯერ ვერც იცოდა აწამებდა თუ რა, სულიწმიდას კი, ადამის შემდეგ, მთლად განსაკუთრებულ მოსამწყსოდ ეს ერთიღ ცალად ადამი-ანი, იობალი ჰყავდა, ამოიჩემა, უხელობო ჯერ, და, იმა დიდი სულით თავისისაც რაღაცაუცხოს მეძიებე სულით აწრიალებულმა, დაჯიჯგნილმა, უკვე ბევრი რომ იპრატუნა ზეით და ქვევით,

ავადმყოფობა-რამ შეეყარა, საბოლოოდ და შესახვეწნ ჭირად, ვაებაშეყრილს, ყოვლად უსაზღვრო უცნაურობა ეს - გასაწამებლად ამორჩეული თვით თავად სულის მოუსვენრობა და როგორი მერე - შეეყარა და, სჭირდა, და მამა-ღმერთი კი არჩევანის ნებას რადგან ყველას გვიტოვებს, მისებურებში კი განსხვავებულად თავისებურებს, - უფრო, და სულიწმიდას ნება დაერთო უფრო აშკარად ემოქმედა და წმინდა სულსაც რა უნდოდა სხვა, ისიც ძალიან ითმენდა იქამომდე ერთსაც დიდ საქმეს, და იმ იობალს როგოუჩინრად ჯერ შემოევლო და, მერე კი, მაინც უჩინარმა, კიდევ ერთხელ თვალში შეხედა, გულში ჩახედა და, იობალი, ცოდო იყო და, შეებრალა და სულიწმიდათი, მწყალობელის, გრძნეული სული შთაებერა და იქამდე შეუჩნდა და მინამდე აღარ მოეშვა სანამდისინაც ამ იობალმა იქამდე ვეღარ მოისვენა და ვერ შემშვიდდა და ემ იობალმა წამების გზათა ნაჯახირევზე, უცებ აიღო, და მენახირე ძმისაგან ძალიან განსხვავებით სტვირი და ებანი და ქნარი, და სულიწმიდასაც აქხომ სხვა რა დარჩენოდა სულისმოთქმითი ვრცელშვებისათვის, უკვე, და მძებნ იობალს თავისად მისიც შთააბერინა, სული, ააკენკინაც, ააჩხაკუნებინაც ესა პირველი საკრავები, და, თავად საკრავს, ადამიანს, ოღონდაც ძნელს, აკვრევინა, და აკვრევინა გამუდმებით შემდგომ დღეებშიც, ორმაგი ნებით, ძალზე, რა იყო მაინც, რა ძალი ადგა და ედგა უცხო-რამ საქმის დიდად წამომწყებ იობალს ისეთი, რომ, იმის ნაცვლად რომ მიწად ეშრომა ანდაც ემწყემსა?, არა, არამედ სულიწმიდათი რაღაცა უცხოდ მეცადინეობდა ველთა თუ მთათა თუ ლერწმოვანთა და სულაც კლდეთა ან შემჩატებულ ჭალათა ღია ცის ქვეშე იმადროინდელ ვითომარტივ კონსერვატორიებში სულიწმიდათი ღვთის ნებართვით ესაპირველი მუსიკოსი, და ირგვლივითურების წაიღო ყური, რაღა, მაგრამ ზოგიერთები თანდათან თვალებშეცვლილები უსმენდნენ.

კი.

და კარგა ხნის შემდეგ სულიწმიდაზე მიბარებულს მიუგდო ყური, იმის განაწვალებს, ღმერთმა,

და მოეწონა.

მერე კი, სულ სხვა იობალი სახელითაც კი, ამოიჩემა სულიწმიდამ და, რაც ის იტანჯა, ამოჩემებული, და ივაება, იმან, მხოლოდ თვალებად ლამის გადადნა მთელი თავ-ტანით, კაცო, კაცი, და, ჯერვერშემძლე საწადელისა, მთლადვერმცოდნეც კი თურა უნდოდა, აწრიალებულად დაბნეული, ირგვლივტრიალურ ცქერისაც გარდა, თავჩაქინდრულიც, ისე მოწყენით ჯდა დროდადრო; რა აწუხებდა? - იმას უნდოდა მზის ჩასვენება რომ ისე ძალიან საცქერი იყო, შეეჩერებინა, იმას სურდა რომ, ხეზე ფოთლები ზამთრობითაცრო - შეენარჩუნებინა, იმას სწყუროდა რომ გვალვიანსაც ზაფხულობით უხვად დენილიყო კაშკაშა წყალი და იმას სწადდა და ძალიანაც ნებავდა რომ თავის თვალწინა სილამაზეებს როგორმე ისე ჩაჰბღაუჭებოდა რომ, დანარჩუნებოდა მაგრამ სად იყო, ეს, და, ვაებობდა, ხოლო სულიწმიდას, უხვსა და ისემაღალს, ხოლო ვისთვის კი - ჩამომდაბლებულსაც, - დიდსულოვანებით, მშველელად, ეს, და ის ძნელბედურიც, ჯერაც უნახავს და მიუწვდენელ რასმე-რამს ისეძალიან მოწყურებული, ისე უმწეოდ თვალებდამსკდარი უმწეო მზერის დაგვალვისაგან -

რომ ვერ შეეძლო, ეთავისა ისასხვა რაც რომ მხოლოდ იმისი და მერე სხვებისაც, ყოფილიყო, უნდა, და, სასწაულს-რასმე ისე მწარედ რომ - უტყვი ღმუილით მომლოდინე, თვალებით ისე ღრიალებდა რომ, მთლად დაგვალული, რაღაცა ჯერ დაუბადებელ და აშკარა მაინც როგორ ძალიან, ვნებით, მშველელს, გადამრჩენს გამწარებული დაეძებდა, და თვალებს, საბრალო, საცოდავი ისე ძრიალ ატრუალებდა, რომ სულიწმიდას რომ საბოლოოდ რომ შეებრალა, ისე ძალიან შეეწყალა რომ თავთ დაადგა და ჩამოუვიდა, თავთ-თვალ-ხელთ მდგომი, ასე, და ჯერ მცირედ უბიძგა და შეასწავლა სილაზე რაღაც ძლიერ მერყევი და არამდგრადი რაღაცების ოკრობოკრულად მღელვარი კვალვა, მაგრამ, ეს ეყოფოდა? თავადაც ავადგაუმაძღარს, და მსრუტს, რომელი სილა აღუბეჭდავდა რაც რომ იმას სურდა, და მაინც, რაღაცდაჭირად, დასაწყისურა, დახრით იჯდა და, გულდაზურგმტკივანი, მზის გულზე კანებმთლადდამსკდარი, ეს ჯერ მართლაც მარტივი, ტლუც, მაგრამ უცხოშრომული ნაღვაწის ისე ძალიან მნდომი? - თვით გამწარებულ ნეტარებამდე იმ მზეთ-უნახავი შრომით, მთელი თავისი შედგომითურა ქანცით-გამწყვეტით, ვითომდაც თითქოს მხოლოდ ეჩხიკინებოდა ოღონდაც ჩხიკინი იყო? სამკვდრო-სასიცოცხლო, ებრძოდა ისე ძალიან ვერმდგრადს, სილას, მაგრამ, იმ უნდო სილათი მართლაცრო მშრალზე დარჩენილი, ნაშრომწაშლილი, ამო ნაღვაწით მხრებჩამოყრილი, დაქცეული, ბნელ-ღამოობით და გინდაც მზისით ჯერ უნიათო, ის, და მხოლოდ სილის იმედითღა - გულჩაქნეული, რადგან მის ლტოლვას სილა მუდამ უხიმანებდა, იცოდა, კარგად, უკვე, ეს, და, თვალებდაღვრემილს, უძლური მზერით და თითებისაგან, - სული უწუხდა, და ყველაფერი მისა ირგვლივ, წარმავალები და მაგრამ დარჩენის მთლად უნებურად მსურველები როგორ, ნაღვლითღა იყვნენ, დროებითები, თვალისიანებიც, სილაცა და ეს, გარდამავალები და მასთან ერთად ყოველივეც როგორ კსინავდა, და სულიწმიდამ, უკიდეგანოდ მგალობელმა და ნუგეშადშვება ისე მწყალობელმა - დიდად, უკიდეგანოდ ლამის, სულ-იმთავითვეც, ისევ და ისევ მერამემდენედ მოიხილა და, უფრო ძალიან შეეწყალა და, ღირსი იყო, კი, და გამოაგონინა საღებავები და საღებავით მძიმედ სოველი ჯოხი იყო ეს თუ წაწვეტილი ლერწამი თუ კურდღლის ბოლო თუ ფარშავანგის მარაოდან ცალი ღერი ეს ანდა სულაც სულ სხვა დანიშნულებისა ისარი იყო ნაომარიც თუ რა, გამოქვაბულში იმათიანა შედიოდა და რომელიმე იმათ აწობდა სქლად თხევად ოღონდ ფერადოვანებ ხსნასა და შვებებში თვალით პირველი იობალი, და,

რა ცხოველები... ნამდვილებივით ფეხებით და ნამდვილზეც უფრო, ფეხებითა და მთელი სხეულით, თვალებით, რქებით უკვდავები-ის, თვით დამრჩენები - ამ რაღაცდაჭირად ძალიან ატანილის, სულითწრიალა რომელიღაცა იობალის თვალით და ხელით დამრჩენნი, რადგან, და, არც იცოდა ამა ბედნიერ, ამორჩეულად მთლად-თავ შეწირვის და მერე როგორ-ბოლო მისხლამდე, გრძნეული სისხლის ბოლო წვეთისაც მთლად გაღებამდე არა მაგრამ, გადაქანცვამდე, მთლად მოცელვამდე გულის და სისხლის, აიძულებდა ამას ანუ ეხმარებოდა თუ წარმართავდა თუ რა იყო კიდევ მისი გონების დაშანთვა ასე - სულიწმიდა ეს, მწყალობელი, ღვთით... და ამასა კი ჯეილს უნდოდა უფრო და უფრო როგორმე ჯინზე გამოეხატა თან სამუდამოდ ადრე თუ როგორ ნადირობდა, რა საქმეს სდევდა - ამა საკუთარ ბეჩავ თავზე სულ დაჯიჯგვნითა ნადირობაზე

რამდენად ადვილს, და ცხოველის მოკვლას რა უნდოდა, გინდაც როგორის საჭირო ტვრინვით ჩასაფრებოდა ნესტოებდაბერილ ჯერაც ცოცხალ საჭმელს და ხოცავდა მერე იმათ როგორ ბასრისრიანი ამ სანეტაროდ ტანჯვითა სნების, შემოყრამდე და ეს უცნაურად დაწყევლილი ადრეც და ახლა კი - მონადირე ისეთი რომ? - სად იმ სიცოცხლის შემნარჩუნება-მფრთხლობა იმათი, პირუტყვების და სად - ამისი, ისარ-რგებულთა სამუდამოდ ჩვენკე დატოვნა რა ძნელი იყო და როგორ სწადდა, ამისათვის მთელი თავისი და მეტიც, უფრო, არსის განწირვა, შეწირული ეს - თითონაც აკი მსხვერპლი იყო ჯერ დაუნდობი მაგრამ იმ აფთრის სამარადისოსაც რომ ეძახიან თუნდ აქაურების, ჩვენიანების, დროებითების, ამ მიწიანთაც მზერის წინაშე და ეს თავისით ამორჩეული მხოლოდ წვითა და მხოლოდ დაგვით სულ ერთიბეწოდ სულისმოთქმა? - ა?, კარგი იყო ეგებ, მაინც, თითქოსდა ალბათ, ლამის, და, მოქანცული კიარა და, მთლად მოსხეპილი, საღამოს პირას თავისი ძნელი გამოქვაბულის ხახაში ეგდო და მაინც იქით აპარებდა იმ უცნაური სიმძვინვარით შეყვარებულ და განმაწვალებელ თვალს, რამაც ასე სასტიკად... - აწამა? - რაა, მცირე სიტყვაა, რამაც გასრისა, თან უთანაბროდ - სწრაფადაც, ნელაც, და რა ძალა ადგა ისეთი მაინც, ამ ცოდო-ბრალში, ამ ნებსით ტყვედამქმნელ ვაებაში რომ გაეხვა, წადი რა შვილო, სხვებსავით ირჯე, შენც... აბაა,არრა! - და დილით ისევ, მზისით ოღონდ გამოქვაბულში, უმოწმეებო საბუდარში, - ვინ რად უნდოდა, ტაშისმცემელი, მაღალი მოწმე ისედაც ჰყავდა, და ამ კედლებზე, ქვის, დასახოცი თუ დახოცილები თუ მარტივ-ისრით ოღონდ გამჭოლით სულთმობრძავები, ჯერ, ამისი იმფუნჯ-პირველით, ამოსაწყვეტები ვითომ და, დასარჩენები, მართლა, - ისახებოდნენ, გაცოცხლებულები, მაგრამ შესაჭმელებად - არ იყვნენ, აღარ, არა, იმათიან კლდეს რაშეჭამდა, მხოლოდღა თვალი, ის უძღები რამ, უძღებიეს, არამედ აღსრულებული ნატვრა იყვნენ იმ ოცნებისა რომ შიში იმისა რომ დავიწყება ანუ განქარვა - აღარ ეწერათ, აღარც ნადირთ და ამა ცხოველთით აღარც აემ უცნაურს სხვათა შორის გამორჩეულად, იმათ ჯერ მომკვლელ და დამტოვებელს თან სამუდამოდ და როგორ მერე რა უმოძრაოდ შექანებულ ერთდროულადაც იმათ მომვლელსაც და დამნარჩუნებელს,-ც, მაკვდინებელ და განმაცოცხლებელ, ორმაგად ერთგულს, ორგულობით მაგრამ უორჭოფილაო, მტკიცეხელიანს, პატრონს, სულბოროტისა ერთის შეხედვით გადამკიდეს რადგანაც ტანჯულს, ასე, და თანაც კიდე რასიდიადით როგორი რთულადმწყალობლით შეპყრობილი, ოღონდაც გვემით, რადგანთუ ძალიან მასუნთქებელ გინდაც რომ სიმწრით, აღაზევებდა, რამეთუ ხვნეშა - „დიდი სულთქმა“ა, სუნთქავდა, კაცი, მაგრამ რადგანაც ადამიანი იყო მაინც, ცოდო იყო, კი, და ბედნიერად გამარჯვებული - რამსიშორიდან მაუწყებელი რომ იყო, იყო, რომ ქმნიდა ერთიც „კაცი რჩეული და დავიწყება“ კიარა, და, კაცი რჩეული? - არდავიწყებად, და სულ მეორე უქმურა ხელზე ეკიდა ის რომ არც გვეცოდინებოდა ვერასოდეს მისი სახელი... თუმც ა?, არა, ახლახან რომ ვთქვი უსაქმურა მეორე ხელზე ეკიდა-მეთქი თავისი ბგერებითული სახელი - აღარც ის ხელი ეყოლებოდა უსაქმურად, არ ვიცი მაშინ თიხა თუ იყო უკვე და იმისგან ჯამები, ხოლო პალიტრა ალბათ ნამდვილად ჯერ სულ არ იყო და პეშვით ეპყრა ვინ იცის რისგან შეზავებული საღებავები ეგებ, იმ მეორისაც დამხმარე ხელის ამოტრიალებულ გულზე, მცირედ თხევადნი, მცოცავნი ალბათ, და როგორც ერთიც ძალიან შორი სწორედ იმისი შთამომავალი, მთლად ამოთხვრილი სიქსტეს კაპელასთან, როგორაც ისა ეგებ ესეც თვით

წააგავდა უზარმაზარ თავად პალიტრას ფერადოვნებით ამოთხვრილი, და თუ შეცდომების გასწორებაზე მიგვიდგა საქმე, ისიც ვთქვათ ბარემ რომ თუ ცხოველებსა და ფრინველებსაც მხოლოდ ორ რაიმესადმი აქვთ ლტოლვა-მეთქი, საჭმლისა და დამარწყლულებელიც გამრავლებისაკენ, რაღაა მაშინ ის პატარა, ყოჩაღი ჩიტი გათენებისას პირველი რომ ის ხმიანდება, ჯერ მორიდებით და სიხარულ-ჩუმით, წაისტვენს სამ-ოთხს და, გათენებას ამგზავრებული, ხმიანებს მერე თანდისთანობით, გახარებული როგორ, რა ნახა მაინც სიზმრად ისეთი, ძილში ისეთი რომ ასე ცხადურ გახარებად ებოძა, აჰყვა, რა ეძილისშინათა მუდამღამ ისეთი, მაინც, ხოლო ერთს ჩვენსაც მართლადიდ პოეტში საყდრის ჩიტი თუ როგორ სტვენდა, ახლაღა ვიცით, გარდაცვალების შემდგომადღა, მის, და ამ ამასაც, ხელთ როგორიღაცფუნჯიანს, სიხარული რამ, ტანჯვითი, და ამაღლებულ ბრძოლა-გალობად, სჭირდა, რადგანაც სწორედ იმასში, მასში, მთლადაც საღებავებმოთხვრილში, ხმიანებდა ისი ჩიტი, სულიწმიდასი, და რაღად უნდოდა რაიმ-სახელი, სასახელოდაც ხომ, საღებავები, ზოგი მუქი და ზოგიც ბაცი, ყვითელი, შავი, ლურჯი, თეთრი, რაგინდარაფრაც და ასე, ეცხო, ერქვა კი, რამე? სახელს ისევ ჩვენ თუ დავარქმევდით, და თანაც ზოგადს, - „პირველყოფილი“, მაგრამ ცოტას თუ დავუკვირდებით არაა მთლად უვარგისი და ჩამორჩენილი სიტყვა ეს, და ეგ - არაფერი, მთავარი ის იყო რომ ხომ იყო იგი და მხოლოდ მისი, იმისა-რამ იმ სიპ კედლებზე, არდავიწყებად, ხოლოკი ისე, დიდი უცნაური ხალხნი კი ვართ ეს ქართველები მაგრამ მე იმას კი არ ვამბობ და გავიძახი და გავჰყვირი რომ რაც კარგები ვართ ქართველები ვართ მაგრამ მეორის მხრიდან ჩემო ბატონო ზედმეტად რატო დავიკარქოთ და არ ვთქვათ ჩვენზე ჩვენით ზოგიც კარქი რამ, აბა სუხოარუნდა დავძიძგნოთ და გინდ ენითაც ვკბინოთ და ვხოცოთ და ვჭამოთ გინდ არამამააბრამისბატკანივითები ერთიმეორე, ხოლო განსაკუთრებით - დიდად და კარგად გამორჩეულები, ჩვენში, და, ვაღიაროთ ბარემღა, მოდით, რომ, ჯერ ეს ეგ ერთი და პირველი რომ უკანასკნელი დღევანდელობა ეს, ჩვენი, არცთუ მრავალთა ემ ქართველთა და, შემოძარცულთა, ყოვლად, კიგვჭირს და მაგრამ წყალობად მაინც აი პრიმას რომ ეძახიან ის მოცეკვავე, როგორის მძიმე ამორჩეული კატორღათი ჰაეროვანი ისეთი რომ, სულითსხეულა, უნატიფესი, ჩვენსულთათვისაც როგორ შვებით მისაღები, გადასარჩენად, თვით, და თვალისთვის კი მთლად ისეთი რომ, გაგიხარია, გაჭირვებაში, ამ, ხოლო ისა კი - ქართველი, ჩემო ბატონო, ჩვენი, თქვენ უკეთესი გეგულებათ? - გინდაც კაცებში, გინდაც ვიღაცა მიშაკლ ჯეკსონი თუ რაღაც გვარი, გეგულებათ ხომ? - გეგულებოდეთ, დამიდგა დარდი... თუმც არ ვარ სწორი, მართლა დარდი მდგამს, ამთქვენეული ამისთანობით, მაგრამ მივყვეთ - ხოლო პირველი ბანი თქვენ ხარ ჩემი ბატონი, იტალიურად გაჰმღერდეს თუნდაც კი არა, - ბანია-მეთქი, - და ამიტომ მოიდაგაიდაიმღღერებოდეს? - მთლად ასეც არა, რთულია მღერა და ამიტომ არამედ მეტიც საქმე, დინდება, და, ხოლო ჩამდენი ამისა? კი, ისც - ჩვენი, ნამდვილი ჩვენი, ჩვენიანი გინდ იტალიაში და იმის გარეთ და ასე შემდეგ, თქვენ უკეთესი გყავთ არა, სხვა? გყავდეთ ბატონო, მე თქვენ გეტყვი და წაგართმევთ ვინმე შეგნებული, დაიჭი მაინც მაგრა, ოთხიც ისეთი პიანისტი გვეგულება თუმც ძირითადად სხვადასხვა მხარეს, ორი ქალი და ორიც კაცი, ყოველი ერი ინატრებდა და მერე როგორ და ჰო, კინაღამ დამავიწყდა, აი რა იცის გადახვევებმა - აი ისეთი მხატვრები გვყავს რომ, თანამედროვეს პირობითად რომ ეძახიან მაგრამ ამ

ვითომდაც დაგლახაკებულ საქართველოში, ჩვენში, რომ სხვა ქვეყნების - ხელოვნებებით დაწინაურებულებს ვგულისხმობ, კი, - აიმ ქვეყნების ნებისმიერ დიდმუზეუმებს დაამშვენებდა, დასუცოტა ხუთი ასეთი ნაღდი მხატვარი; არაა ცოტა, მით უმეტეს რომ, ეს მხოლოდ იმათგან, ვინც რომ ამ მართლაცდა უღირსმა მხოლოდ, იცის, ჩამორჩენილობაში უნებურში, ამ, და ხოლო ეგრეთწოდებული ლიტერატურულებიანი ხალხისათვის ხოლო? - გამოგიტყდებით, ამდენი მიტომ გავაგრძელე სწორედაც აქამდე რომ მოვსულიყავ და რაღა თქმა უნდა თქვენთან ერთად - ერთი ისეთი ძალიან კარგი ქართველისაგან მხატვრების ადამ-იობალზე უბრწყინვალესსულ-დიდი მოთხრობა ძალიან მოკლე და როგორი სწორი სათაურით - „იგი“, - ჩვენია, ჩვენგან, და სწორედ ჩვენგნით, და, საერთოდაც, საშუალოს რომ ეძახიან მოცულობით, ასეთი მოთხრობა სხვაენოვანებს სხვა უკეთესი თუ ეგულებათ ანდა თუ უჭყავით ზოგ ზედმეტურად დაფასებულ ჩვენიანისავით და ჰყავთ? - ეგულებოდეთ და უჭყაოდეთ და ჰყავდეთკიდეც იმათ თქვენშენხარჩემიბატონი პატენი მაგრამ მეეჭვება, და მიუხედავად იმისა რომ მართლა ჩვენში კი არ შეჰქმნილა დიდად ძალიან კლასსიკოსურრი ნოველლლა და არც ბაყაყი, რა შუაშია და შუაშია, ხოლო ესა კი, „იგი“, იმდენად დიდი მოთხრობაა, იმ აწრიალებულ პირველყოფილზე, ჩვენც იმასავით პირველყოფილად ანუ მთლად ქვე-ტანჯვად თუმცა არ გვზარავს - ამაღლებაა - მაგრამ კმა-კია, ასამაღლებლად, და როგორ მერე, ძალიან გვკმარა, და თანაც რისთვის, დასარჩომადაც მეტად კიდევ, ეს, ამისათვის, კი,და, პირველნაგვემის გასამჟღავნებლად ერთიც ქართველი როგორი მწერლის, უპატიოსნესის, სპეტაკი ნიჭით რადგან სულის, სალუქი მადლით, როგორ თავშიჩამცხობად გვიბოძა ეს, თაყვანის-ცემად-მოფერებად მოთხრობა „იგი“, ჯემალ ქარჩხაძისა, ეს რა წყალობად; ცისიერ-ნიჭით, სად გაუორდა იმ ბეჩაურად და დაბნეულად აღზევებულს და მერე როგორ გამარჯვებულ, დიად თვალ-ხელას, იგი-ს, ზემდგომს იმდენად ირგვლივა სხვებზე რომ ქარაფიდან გადააგდეს ძალიან სხვებმა, სხვას რას უზამდნენ, აბა, და მაგრამ ეს იმდენად დიადი და ზემოთხრობაა რომ ქართულის წესით კლასსიკოსიკონოველლლებისაგან თლაგანსხვავებით ქართულის წესით შეიძლება ნახევარზე მეტსაც არგვქონდეს თუნდაც სულ ორჯელ წაკითხული, ამაში ალბათ ვბაძავთ იმათ წერა-კითხვა რო არ იყო როცა, იმათთქვენშენხარჩემი ბატონი და თქვენი ხრმალი მაგრამ თქვენ იყო ანდაც ისინი ვისაცრო მეტი ეგულება თუგინდაცჩვენში ნოველლლებით თუ მოთხხრარომმანებბბით ჩემო ბატონო მეტი არაა ჩემი მტერი და მეეჭვება-კი, კია, მაგრამ, ისევ გადმოვხტნით, ხოლო მაგრამ, ვინ იყო მაინც აი ის ქალი და რამ დახატა, კარგად არ მახსოვს - ესპანეთსა თუ საფრანგეთში, ქალი კი როგორ მახსოვს კი არა, მთლად თვალწინაა, მაინც რამ შექმნა, რომელმა წვდომად-გრძნეულებამ, ძაან სალ კლდეზე რომ ჩამოქნილად ამძვრალ-წვალებით აფორთხებული და სიამაყეშერჩენილი მაინც და მერე როგორ, სახე არ უჩნდა, შავად იყო გამოყვანილი და მხოლოდ ნაზად სახება სრულად ტანისა და ლამაზადთმიან აი ისეთი მოყვანილობის თავისა რომ, - ყოველ თვალს, ნეტა, გვყავდეს, და მოამაყე თავით-ბოლომდე და მაგრამ როგორ - თანდაყოლილად, ბუნებითობით, და მაინც როგორ შენიშნა თვალმა და დაიმახსოვრა და თან სასამუდამოდ სხეულით მართლაც მზეთუნახავი, კლდის, თუნდაც კი შავად, ცარიალაღა სიშავე და ხაზი თუმცკია, და გადმოტანდა ციცაბო კლდეზე ნეტავი როგორ ერთიც რომელიმე იმდროინდელი,

ძველთაძველდროინდელ ადამ-იობალ ანდაც ჩვენებურისა იგი-ს, ხელით, აფორთხებული მაღლა იმიტომ, კლდის ნაპრალიდან თაფლს იღებდა, ბუნებრივ ნუგბარს, განუგბარებულ ყვავილთ, ხოლო ბუნება და თან ყვავილად და თან იმისი მძიმედ სიტკბოთი თუ ვისიცაა, ვიცით, ხომ ვიცით, და, როგორ ცნა ერთად ეს ღვთით დასაჯილდოებელი ახლაც თუნდ და თვით თაფლით იგი-ს თვალმა და თვალსაყოლილმა ორნივ ხელმა - უსულიწმიდოდ? არამც და არამც, ყოვლად ვერამც, და, მთლად დახვეწილს, ქალს, საკვირველებავ, ტერფები არა აქვს, და გაოცებად ისღა გვრჩება და მაგრამ მიხვედრადღა და აღმოჩენად რომ სწორედ ტერფები, ჩამოქნილს ასე, დაამახინჯებდა, რა იცოდა და უგრძნო გულმა იობალ-იგის, ეს, და ერთიც ჩვენი უფლით მხატვარი თავის მეთევზესა თუ თავის შველ-ირმებს სწორედ რომ ჩლიქებ-ტერფებ-მოკვეთილთ ოღონდაც მდინარით, ხატავდა ისე რომ ეს ნახატი, პირველყოფილისა, თვალით არ ენახა და არც გაეგო და, სად გადმოვხტით ეს, ჯერ ხომ ისევ იქ ვიყავით, პირველ და მაღალტანჯულთზედ, როგორ უკრავდნენ, როგორ ხატავდნენ, წამებით როგორ და რაძნელ შვებად, და მერე და მერე უფრო მაღლისაკენ შენებაც ისწავლეს და რანაირი მერე - ჩუქურთმებიანიც, და, სიტყვის თამაშად ნუ ჩამომართმევთ და, უბედნიერესები ეს თავისი ნებით მთლად დაქცევამდე უბედურობით ამაღლებულები, და მთლად თავისი ნებით არა, სულიწმიდათიც, უფრო, ერთი ის ჰქონდათ დიდად საქები და უკამათო რომ სულიწმიდასი, დამჯერები და აყოლილები, იყვნენ, ის მერე რა რომ გასაწამებლად - იმ ჯილდოდ, ნახელავის, თუ ჩასაბერის და ასაკენკის თუ საჩხაკუნებლისაც კი მოსაპოვებლად, - წამება ღირდა, და სწორედ ეს მხატვრები და მემუსიკეები და მაშენებელნი როგორ თავ და ხელ და სულგადადებულები, მერე და მერე, გონებაშიც რომ მეტად ჩავარდნენ ოღონდ ისევაც სულიწმიდათი, და ყოვლადწმიდა სამების, მადლით, ამ წყალობათა გამომგზავნის და იმისი ნების ნებით შემომხვევის, სულიწმიდისადმი იქითაც მადლ-ობითა და ესაც მაინც იგივღა აი აქაც კი და ამაშიც სულიწმიდასი, განმანათლებლის, მადლით, და დღევანდელივით კიარა და მართლაცდა როგორ დიად ნახატებს, და ქანდაკებებს და რა მუსიკას და როგორ შენობებს - თვით ეკლესიებს, თვით წმიდასამების როგორ ღონივრად ყუჩ ნეტარ სახლებს, ჰქმნიდნენ, ძლიერ შემკულებს - ვთქვათ ტოლედოურ დიდად ვრცელ, მთელ ქალაქივით კათედრალივით, თუ მწირთ მაგრამ როგორ ამაღლებულებს, კვეტერასავით, რადგან იესუც ღარიბი იყო და კვეტერა უფრო არი მისი სახლი, სახლიქრისტესი, უამრავთაგან ერთიც ბინა, მთლადგამორჩეულ, ამაღლებულად უსათნოესთა წრფლად მაბინავებელ გულებთან ერთად, და ვინ იტყოდა თვით ბავშვის გარდა რომ დიდი ღმერთი ისე დიდია რომ, სუყველაფერი ეტევა მასში და თან ისეთიც კი პატარაა, რომ „ჩემს გულშიც ეტევა“, და, აღზრდილები, დიდად სათუთ ნახელავებს უძღვნიდნენ მთლად დიად ზეშემოქმედთ, წმიდა სამებას, ის მხატვრები და მემუსიკენი და მაშენებლები რა ერთგულებით მერე, და თაყვანისცემით, როგორ, თუ სულმთლადგადადებულები ბოლომდე ვერა, - ქვეცსაადამიანოდ, ჰქონდათაც რაღაცები, - სულაწვდილები მაინც, ყველგან, მოდიადოსავით, ხალხი, და იმდამჯერობით - როგორი შემძლე, და შემძლეობით კი ყოვლად უცნაურ-ზვავებიანები რადგან ვის გაუგია რომე ზვავი - პირიქით, მაღლა, ცისაკენ რომ ასაზავთდებოდეს, უნდა, განსაკუთრებით კი მუსიკაში, ზესასწაული, ეს, თუმც, მხატვრობაშიც, მუსიკოსებისა არ იყოს გააჩნია თუ ვისთან გვაქვს საქმე ანუ თვალი

და ყური და გონება და უფრო გული, და მაინც რა უნდა ყოფილიყო იმათგან ჩვენდამიც შემოწირულ ნახელავებზე და სულშთაბერილ თუ ასაკენკ ხმებზე მეტი უფრო-რამ, ამაზე მეტად შემძვრელი, მართლა, ადამიანებისაგან ოღონდ, ნახატის ისე გახევება რომ, სამარადისოდ და ბგერების სუმაღლისაკენ მუდმივად რხევა თან აწყვეტილად წესრიგიანი აი ისე რომ, სამარადისოდ, ვკვირთ-ალბათ, მაინც რა უნდა ყოფილიყო, და ვასკვნით მერე რომ რა უნდა ყოფილიყო და, ვერაფერი ალბათ, ვეღარაფერი, იმათ წინარე ვინც რომ ჯერ შექმნა მაღლად-უძირო ცანი და მხოლოდ მერე, ქუეყანაჲ, მერე, და, იმათისაკენ, თვით სამებისაკენ შედგომილებზე, თვალით, ყურით და ორთავე ხელით, იმათზე მეტად?, ცისკენ მავალთა?, ამათზე მეტად შეწირულებს და შედგომილებს?, - ა?, არა, ვერა, ა? რა წარმოიდგენს სხვა-რამს, უფრორეს, კაცი, მაგრამ

დასასრული III. „ვითარცა ერთი ჩუენგანი“ (გაგრძელება)

მაგრამ პირველითგან იყო სიტყვა,

და სსუ... ჩუ...

პირველითგან და, გავიტრუნოთ-ჰე,

რადგანაც თავად სახარებაში როგორ გარკვევით წერია რომ, „არამედ იყავნ სიტყუაჲ თქუენი: ჰეჲ, ჰე (ჰო ჰო), და არაჲ არა, ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს“, მაგრამ

ყველაზე ძნელად მოსავლელი აღმოვჩნდით ადამიანების კვიმატი მოდგმა.

სახარებამდე, თუმც არ ვიცოდით რომ დაიშვებოდა მხოლოდ ეს ჰო-ჰოობა ან თან არარაობა, - აქაც თუ ხვდებით, კვიმატობაა ერთ-ერთი სიტყვა, - ჩვეულებაო, რჯულზედაო, ისეოუ და ესიაო, ე?, - მაგრამ ეს სიტყვითი მიზიდულეობა, ა?, გვიზიდავდა ბედშავებს... როგორ თუ ბედ-შავთ, ვა?, ანუ მელნიანებს? - გვტყვევნიდა როგორ, აი ისე რომ ჯერაც კიდევ ვაიდ-რამდენი საუკუნის წინათ, როგორის ძნელის ალბათ ჩხიკინით ისე ძალიან რომ, ტყუილი არი - ვერ წარმოვიდგენთ, თავიანთი ან ჩვენ-ჩვენი თავის ნააზრევი რომ როგორმე სხვებისათვისაც დაგვეტოვებინა, ქვებზე, პაპირუსებსა თუ თიხისა და ხის დაფებზე როგორ ძალიან ცოდვილობდნენ, სანამ გამქრობად ბგერებს სამარადისო ასოებად გადაადნობდნენ წვითა, და გარჯით და დაგვით-როგორით, უძნელესთაგან ნაღდად უპირველესის - თვით თავად სიტყვის ჯერაც გინდაც ისე ტლანქად გახედნისათვის რომ - მაინც თავისთვის და თავისისკენისკენ, ისა, და რაღა „ისა“ ისა კი არა არამედ ერთგვარ-მიუღწეველი - თავისთვის რბოდა, თუ უფრო - ფრენდა, თუ - ყვინთავდაც და როგორ მერე - რომელი თევზი! - ძილისკენაც და, სხვა ყვინთვაცშემძლე... ნეტავი, მაინც რა გვინდოდა, მოგვწადდა თუ-რა, თურა ნეტა... ეს უფრო რამდენად ძნელი და ძნელად გვიჩნდა ვიდრეღა მღერა, ხატვა თუ დაკვრაა; ი?, სასახლეების შენება-ხო... და მოვშვებოდით-რა, რა ძალა გვადგა მაინც ასეთი და რად ავიტკიეთ აუტკივარი თუ ატკიებული ისედაც თავი მაგრამ სულიერებიდან ყველაზე მეტად კვიმატებს რაღაცა წერად-ატანა სჭირდათ და არ

იყო ისე მთლად ადვილად საქმე ერთის შეხედვით რომ შეიძლება აი ასეც კი თუ მოგვეჩვენოს, კი:

„დამწერლობა: მეტყველების ფიქსაცია გრაფიკულ ნიშანთა სისტემების სამეტყველო ინფორმაციის (ნეტა რას ნიშნავს სინამდვილეში აი ეს აქაც და ასეთური ხმარებით აქა ეს-ესა მართლაც უკანასკნელი სიტყვა...) მანძილზე გადასაცემად (ნეტა რომელ მანძილზე, რამდენი კმ?) ან დროთა განმავლობაში შესანახად (რამდენი სთ-ით?); დამწერლობაში“..... „ძირითადად გამოყოფენ“.....

„ჰიქტოგრაფია“.....

„ხატოვანი დამწერლობა აზრის ფიქსაციის“.....

რა იყო მაინც, რა ძალა ადგათ რომ ამადაგვარი სიტყვებით დაფიქსაციებებებისაკენ რომ დურთეს თავი, რით იყო მაინც იმათი ლტოლვა ოღონდ რაღაცნაირად შეხვედრობითი (“ლტოლვა - გარდახუეწა“)... - მაგრამროგორთუ თან ლტოლვა და, შეხვედრობითიც? სისულელეა არა?, რაღაც... მაგრამ ვაი-რომ, ეგებც ასეა, და უფრო სწორად, იმათი ვნება (“ვნება - ითქმის ვნებად ხორციელიცა, ვითარ იგი სნეულებაჲ და წყულულებაჲ. ითქმის ვნებაჲ სულიერიცა რომელი არს გულისთქმა, გულის წყრომა და ეგე ვითარნი“), - ვითომ, უყვარდათ მორიგი ევა? მაგრამ, ფეხი რა იყო ხელის ადგმისას, უფრო სწორად კი იმ სამი თითის აღზევებისა თუ დაქცევისას რომლებმაცა რომ იმსამმა ამა საქმეში მერე და მერე პირველობა ავად თუ კარგად გაისაკუთრეს მაგრამ, მთლად მაშინ? მთლად დასაწყისში? ჯერაც კიდევ ჯერ? ქვაზე კი ჰკვეთდნენ „ყოველივე ნანახს“ თუ „განცდილს“ და უფროკი თავიანთთვის და ჩვენთვისაც სანახავს მაგრამ, ჩვემდე მოღწეულ სუმთლაახლად ხელადგმულებში, იქ სიყვარულზე-დ არაფერი წერია ქალები იქა თუმც ბლომად-აა მაგრამ იქ სიყვარულიან შეყვუარებაზე არაფერიც კი არა სწერიან,... ვითომ, მალავდნენ?

იმთავითვე?

არა გვგონია.

მაშ, რა-ღ უნდოდათ, ქალის და იმის სიყვარულობანაზე მეტი და მეტი, უფრო... რაღად მისდევდენ და ჩაიდინეს რომ:

„ჰიქტოგრაფია, ანუ ხატოვანი დამწერლობა აზრის ფიქსაციის (ვაიმე?) უძველესი საშუალებაა“,

უძველესიო, საშუალებები, ე?... -:

„1. ზემორენახსენები ჰიქტოგრაფია. 2. იდეოგრაფია - ნიშანი აღნიშნავს როგორც უშუალოდ საგანს (კარგია!), ასევე იდეებს (ვაიმე...). 3. ლოგოგრაფიულ-სილაბური (ვაიმე), ანუ სიტყვიერ-მარცვლოვანი (კარგია!). 4. მარცვლოვანი ანუ სილაბური (აბიჭო, აბიჭო...), სადაც გარკვეული ნიშანი აღნიშნავს არა მთელ სიტყვას, არამედ გარკვეულ ბგერათათანმიმდევრობას - მარცვალს (კარგია, კარგია?!) და 5. ანბანური სისტემები (გვეშველა, გვეშველა!), მაგრამ

გვეშველა კია?

და, გვეშველა-ზე, გვეშველაებიდან ნეტა, რომელი, - I: ნაღდად, II - ვითომ? და III - ისემც...

მოკლედ, უძნელესთაგან ნაღდად უპირველესის - მერამდენედ რომ: თვით თავად სიტყვის გახედნისათვის და ხოლო მერე გადმოტანისა კი... მერედა - ვისთვის? გავიტრუნოთ, სჯობს, ხოლო პაპირუსებზე აზრის დატოვნას რომ მიაღწიეს?, - ჰეე, გზა იმათი... - ურთულესი რამ, აღვწეროთ თუნდაც და გინდაც ასე, ჰიქტოგრაფიულადაო ჰეჰ, და მაგრამ ე? ჯერ სად იყვნენ რადგან მთავარი?... ჰეეე, სითკენ, მაგრამ, მთავარი, წარმოიდგინეთ და, უკვე იყო, - რადგანაც ერთსაც იმათგანს, თუნდაცდა ჩვენთვის, ძალიანსაც ძველ ქვეყანაში აწვალებდა ის, რომ სამადლობელს მხოლოდ იქღაღა და წამიერად უძღვნიდა წყალუხვ მდინარეს და იმის ღვთაებას, და, ნაღვლიანს რომ... აი ასე,

რომ...

რა იყო მაინც, სურვილი მისი და სხვებისაც, მისიანების...

ეგებ ის, რომ ღმერთი ჯერ სწორად თუმცა ვერ იცოდნენ, ჩვენსავითაც კი, ვერ, და ძიებებს-მისას და მათით ტანჯვას აბა რომელი წარმოვიდგენთ მაგრამ, მიაღწია მაინც ერთმა და, განადიდა, უნებურადაც თვითონაც შვილმა, ღვთის, ნაწყალობევი თავად ღვთის, ღვთისაგან თვით, რადგან დაწერა ასე:

„მოგესალმები, ჰაპი, დედამიწიდან ამოსულო,

ჩამომდინარევ, რათა დაარწყულო ეგვიპტე,

არსით სპეტაკო“...

იგი, მესიტყვე, და თანაც ადვილი ბაგით (“ბაგე - ესე არს კაცთა პირისა ორნივე ლაშნი“) კი არა, არამედ ხელით, ასე უღაღადებდა თხევადი ღონით აღსავსეობით აღვსილ ნილოსს, დიად მარჩენალს:

„თუ არ განიღვრები, სიცოცხლე წყდება და,

ყველანი ვღატაკდებით“...

ა-ისა უკვე, ამა საქმეში ჯერ თუმც ჩვილი, აი, ასეთებს დაგრაგნილად გვიტოვებდა ჩვენ, ხოლო ჯერ - წერდა, ხოლო უფრო ჯერ - წერას სწავლობდა, ხოლოკი მერე, ნილოსი, მისგან განდიდებული? -

საჩვენოდადაც, ჩამოდიოდა, მოდიოდა, მობრძანდებოდა ძლიერიც, ზანტიც, როგორ ღონივრად ალაპლაპებული, ხოლო თუ რისით, ვისით მაინც იმ ნილოსისა, მარადმოძრავის და სიგრძე-სიგანის მუდამჟამს ცვლადით, ალაპლაპება? როგორ თუ ვისით, ცოცხალ-იყო მზე, თავად ნილოსის - ამლაპლაპებელი, და მარადჩამომკითხავით აი ამათთა, ადამიანების, ჩვენ, და ხოლო ესა, ჩვენი, ჩვენკენა, როგორი ძალიან სამთითა, ჯერ ხომ დიდ ნილოსს კდემით დასცქეროდა, მერე კი,

ანაცდა, მზისკენ, მანათობელისაკენ, უნებურად მთლად და სხვისით ცრემლებდადენილი, ჯერ მხოლოდ ღაღადებდა კია მაგრამ მერე, შებინდებისას თუ განთიადზე რამდენად მეტად გრძელი ვადით ვიდრეღა თქმაა, - იმასაქმისა, დამწერლობისა ბავშვს და დამწყებს გრძნეულად ასე:

„შენ დილაობით ანათებ მიწას,

წყვდიადს განდევნი“,

ბრძანდებოდა, ზე-დ, მაღლა, ცაში, მრავალთა შორის მოეგვიპტუროდ-აც, მანათობელი, და, ნეტაიმაზემერედამერეჩდარვინიდაესჩვემარქსაცთუშავდებოდნენ? კი? უფროდაც მეტად? ვა?, მაგრამ

რაღა დროს ესენია და ისინია და ამისთანაები, ერთოც კვიმატო და ძალიანაც ჩა-მოდგმავ, სსუ, სადაა შენი მხოლოდ ჰეჲ-ჰო და მხოლოდღა - არა, ხოლო ერთსაც მეგვიპტელს, სუცოტა სამნახევარი ათასი წლის ხორცითწინანდელს, - მიუხედავად იმისა რომ დიდად იცოდნენ წინაპრების მიღწევათ-აფასება და პატივისცემა და დანარჩუნება იმათი ღვაწლი მაინც ვერ უკმარია და, დაუწერნია გულწრფელად და მაგრამ აი სწორედ ასე და თანაც ოღონდ ალბათ შესაძლოა ბნელისბნელ ღამით:

„რა იქნება რომ, ნეტა განგებამ მაპოვნინოს ჯერაც უცნობი გამოთქმები, უცხო აზრები; აქამდე სხვებგნით (“სხვებგნით“ო, გესმით?) ვერმიწვდენილი, ჯერ ვერნათქვამი და არსმენილი ახალი სიტყვები, ჩემამდე რომ არავის უხმარია, განსხვავებულნი იმათგან, წინაპრები რომ წარმოთქვამდნენ. მაშინ ჩემს შიგანს იმ ძველ სიტყვათაგან, წინაპრები რომ ხმარობდნენ, განვითავისუფლებდი, რადგანაც ადრე ნათქვამი - ნათქვამია უკვე და ტყუილ-უბრალოდ ნუ მოვიწონებთ თავს წინამორბედთა აზრების განმეორებით.

რომ მათქმევინა რაღაც ისეთი, სხვამ რომ არ იცის, სხვათა ბაგეთაგან ჯერაც არაოდეს დაცდენილი, ჩემს გულისწადილს ავისრულებდი. მე გიამბობდით ჩემს დიდ ტანჯვაზე და უმძიმესი ტვირთისაგან შევიმსუბუქებდი დაოსებულ ზურგს. გავეცლებოდი იმა ძველსა და მომაბეზრებელ სიტყვებს, გულზე ვაებად ახლაც რომ მაწევს“.

ელაპარაკე, ამას... ესაა განა მხოლოდ აი ისა რომ, ეე, ჰო - ჩვენი არ იყოს მხოლოდღა „ჰო“ და მარტოკი „არა“? მაგრამ, რადგან დაწერა სურვილი ეს, ესისურვილი, ესა, ჩვენთვისთვისაც ხო, და არ ვეჭვთ ამას რახან დაწერა, და, არც დავუკვირდეთ? მოდით მივაჩერდეთ, - ისე კი, რა უთქვამს მაინც, თანაც ჩვენამდე რამდენი საუკუნის წინათ, თუნდაც სახელად ხახაპერასენები-ს - რუღაცნაირულ ფიქრთა აღმძვრელი სახელი? - ერქვა, იმსიშორისულს, მივჩერებივართ, მოკლედ, - მაშ ასე: ხარბი-რამ იყო? თუ, წინაპართა თან კოლეგებისაც შინაურთა - უპატივისმცემელი?.. სხვებისაგან (მისებრ-მისეულად კი - „სხვებგნით“ - ნუ დავუკარგავთ სიტყვას, ცოდოა, რა იცი ეგებ როგორ უწვალნია სიტყვაზე-დ-ამ, ისე კი, უცნაურ-კია, - აკიც იცოდა ადვილი სიტყვაც „სხვებისაგან“) მიღწეულისა?.. ეგებცთუ იყო თავკერძა-უ? ჰაეგეც თქვენი ახალი სიტყვა, გადამდებია,

იმსიშორიდან გინდ, ახირება ეს, ისე კი, ეგებ-ს რად უნდა ზედ კიდევ „თუ“, ფი?, არ დაგეკარგოთ სიტყვაახალი მაგრამ, ეგების იქნებ მთლად საჭიროა და მისაღებიც არა მაგრამ როგორღაც, მოკლედ, ეე, მოკლედ, მოლეთ ეგებცთუ იყო თავკერძაი-უ?- მეთქი თუ ლამის სულაც ვითარდებოდა? თავისი ჭკუით... ხოლო აქ სიტყვამ მოიტანა და, ვითარდებოდა-ზე აქაც სამია პასუხი:

I: ისემც. II - ვითომ? და III - ნაღდათ?..

ხოლო იმ ერთსაც სუსხვა ვითომდაც ძველსდარ მეორესაც მეგვიპტელს, ოთხმოციოდე მოკლედ ნათქვამი არდასარღვევი ცნება ჯერ მოუფიქრავს და, მერე კი, - რომელი ერთი მზეთუნახავი! - მზის დასანახად დაუწერია, თან სად ეს მერე, „წიგნი მკვდართა“ -ში, თავისმართლებად,თავის ძნელბნელში, გაშუქებად, რომ, დაუწერია ჯერ კიდევ როდის, მთელი თხუთმეტი საუკუნით ადრე აი იქამდე ჩვენ რომ აღვნიშნავთ საკმაოდ ხშირად ჩვენს ერთსაც ხშირულ გამოთქმას - „ქრისტესშობამდე“ - და მაგრამ, ეგებ, „იესუდშობამდე“ უფრო სწორი იყოს, რადგანაც ქრისტე, თვით იესომდე კი არა და, და ყოველთვის იყოც კი არადა, არამედ „უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“... რა... რა და... ეე... ჰო... არა... მოკლედ, თქვენზეა სიტყვა, - კარგი ყოფილა? თქვენზეა სიტყვა რომელიც კი გენებოთ, შესაფერისი, ოღონდ - რომ „უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“... - ბრძანდებოდა? გახლდათ? მეუფებდა? ყოველსქმნადობდა? იღვწოდაუკვე? უფლობდამუდამ? თვითმპყრობელობდა ოღონდ მამით? სრულიადობით,-მომცველობდა? თუ, ეგებ, - ასედაც თქმული უბრალოდ, ჩვენგან, -

იყო.

თუმც, ჩვენგან კი არა, - ჩვესულელები... - რა გამოვიდა... - არამედ მისგან, ჩვენთვის,-

იყო!

...უცნაურია, სიტყვა „იყო“, თანაც ქრისტეზე, ახლახანაც გვქონდა ნახსენები მაგრამ მეტს უფრო, ჰო-სა და არა-ზე, გამოვეკიდეთ და, რა გამოვიდა... ისევაც - „იყო“... უცნაურია, ვბრუნავთ, ჩვენც ხომ არა ვართ აყოლილები, და წყეულები ამ მიწისაგან,

და, ხოლო როგორია რომ, ის მერე რა რომ ზოგიც ტვინითბეცი იესუმდეც რომ მიითვლის ჩაქჩაქად ამყოლ-დამჯერ მოდარვინისეულოებში იმ ოთხმოციოდე ცნება-მართლება-გამართლებას, გარდაცვალებისას თავისთვე მოგონილი თავისი მაინც ღვთაებების წინაშე და ვალმოხდილივით რომ უნდა წარმდგარიყო კერპთთაყვანისმცემელი ის და მაინც იესუსაკენ რამდენად ადრე როგორღაც მჯერი ეგვიპტელი სწორედ მისათვის - ბუნდოვან მაგრამ განმანათლებელ მაინც სწორედ ქრისტეთი, რადგანაც ერთსაც ჯერაცმსუნთქავ ეგვიპტელს თავისთვის უფრო მშვენიერ დღეს თუ დღეებში ჯერხომ ალბათ კენტდათავისთვის ისე კოწიწით შეუთხზავს რომ, მარადიული საბუდარისათვის რომ, უცნობი ჩიტის ბუდესავით- რაიმ და მერე კი, ჩვენთვის, სამაგალითოდაც, სწორედ ჩვენთვის, კი - გავიჯგიმოთ- ხო, ფი?, გინდაცდა გვედოს ამაში ღვაწლი და ვაი ეს ჩვენი ბრალი, ახლაც არ

გვესმის და ვყრუობთ, - მოუწვდენია მღელვარის ხელით სიტყვებად ასე გამოყვანილი ასეთები, აი: „ადამიანებს არ ვბოროტებდი“, „ცრემლების მიზეზი არ ვყოფილვარ“, „არ მომიპარავს“, „არ მიქურდია“, „არ გამიძარცვავს“, „სასწორზე თითით არ ვცუღლუტობდი“, „ბავშვისთვის დედის ძუძუ არ წამირთმევია“, „სიმართლეს არ ვუყრუებდი“, „არ ვყბედობდი“ - (მხოლოდ ჰო-ო, და მხოლოდღა - არა?), „არ ვმძვინვარებდი“, „აუტანელი არ ვყოფილვარ“, „მოსამართლეებს არ ვუთითებდი“ და სხვა, და სხვა, და მერე, თურმე მეტად სასტიკი ცოდვებისაგანაც, თავდაღწეული - „კაცი არ მომიკლავს“, და, ეტყობა თუ გავლენიანიც ყოფილა, რადგან: „ჩემი ბრძანებით არავინ მოკლულა“, ო, და, ამის გვერდით, ამ ჩვენეულიც სისხლიანიც გადახვევების - რბილი სიტყვაა, - გადაჩეხვების, რაც ასე დაგვყვა - კაინი, გახსოვთ - ამაებს შემდგომ, მერე კი, ამ საშინელებების ამცილებლისაგან, კვლას-ხსენებასთან და გვერდით, როგორი თითქოსდა მარტივი თავის მართლება და ამ დიდრონ-დიდრონ ცოდვათასთან მხარიმხარ ერთის შეხედვით გახსენებადაც კი რომ ვითომ არც ღირდა, ვითომც უბრალო რაიმერამს, წერს აი ასე, პირდაპირ საკვირველი: „ტყუილუბრალოდ არ მიწუწუნია“... - და ეს თუმც თავისთავად ხომ კარგია, არა? უწუწუნება ესი, გინდაც, ხოლო იესუთი კი ტყუილუბრალოდ კი არა, არავითარი ასევთქვათ გასაგები და დამსახურებული წუწუნიც კი... - რომელი სიტყვა... „გვეკრძალება“ კი არა, გვებრძანება ოღონდ დაყვავებით ყოველგვარი წუწუნ-წამოჩივლება რადგან აესა ურწმუნოებას ნიშნავს და პატარ-პატარას ჩვენ-ჩვენითაც ხომ უნდა მივხვდეთ და, ა?!.. - უღირსი ამბობს, ამას? ის არ იყო, რომ, უღირსი რომ, რომელსაცა რომ, ყმაწვილს,თურმე უჭირდა ლუკმაპური (ერთად იწერება) და თან არ სიამოვნობდა ყოფილ მაგრამ ჯეილს გადაჭედილი მეტროთი მგზავრობა და პურზე რიგი და დანაგვიანებული ქუჩები მაგრამ თუმცა კაცმა რომ თქვას რომელი სასიამოვნო ნაგავია და ისიც ძველი და ამაზე, მოდით, შემდგომ, გინდაც მეორე და სხვა წიგნში და ახლა ისე განვაგრძოთ რომ პატიოსანივით ვითომ რომ მაგრამ როგორი გულწრფელობით რომ, გახარებული, რომ რადგანაც პატარ-პატარას ჩვენ-ჩვენითაც ხოუნდა მივხვდეთ რადგან ცუდისა და სიცუდისა და სივაგლახისაკენ კი არ გვიშვებს და მით უმეტეს არ გვიბიძგებს უფალი არამედ ვყავართ დასაცქერნი რაგინდ კვიმატნიც ვიყოთ და დაცქერილებს მერედა როგორ იმისათვის რომ ჩვენეული არჩევანითაც მივიღოთ ის ყოველივე რასაც კი დიდად მოსასამწუხრებლად ვთვლიდით და დაუმსახურებელ მოულოდნელობად ოღონდ თქმად რაღად უნდა რაცა და რაებიც თავადმა, უფალმა, იმან, ყოველთა და სუყოველივესთა უწინარესმა იცოდა, იცის, ეუწყებოდა, მოეხსენება წინ და წინვე და, მაგრამ, - უღირსიცა და მთლად უღირსებიც, ჩვენ, ამოვხტნით, კვლავაც, ხომკი, მერამდენედ, ჰო, ხომკი, არა, არა? - ჰო და არა-დან, ამოვხტენით ხომ?, და რადგან უკვე მაინც ასე ძალიან შევტოპეთ, დავსძინოთ ბარემ მაინც ისაც რომ ამ ემ ჭკუით რომ „ტყუილუბრალოდ არ მიწუწუნია“ ხომ როგორი ბარაქალურად კარგი და თუნდაც გინდ მცირე მაგრამ ჭეშმარიტებაა და ხოლო საერთოდ არწუწუნი კი - ცოტათიც, მრავალთან ერთად, მხსნადი, მაგრამ სადღა ვემორჩილებით უმრავლესები იმ მრავალთა-ს, ამ დაწუწუნებებსაც კი ვერ გავექეცით და ვერც ავირიდეთ და, აეს ვითომდაც შედარებითულად უწყინარი თუ მაინც როგორღაც ასატანი რომ გულისწვრილებას თუ არ ჩავთვლით, თუ მაინც ასატანია ხომ?, არა - იმიმ გვლისაა, მაინც, შენიღბულის, იმძველთაგანვე, უკეთესობის სურვილი - ვითომცდი, ხის

კეთილისას და ბოროტისას-კეენ,უკვე ნანახის და ნაგემის,კენ, ისევი სწრაფვა, გინდაც მარტივი, წუწუნობითი, და, როგორ გგონიათ, კლდეზე ისე თვალსაჩინოდ ამონაკვეთთა თუ თიხისა და ხის დაფებსა და პაპირუსად გრაგნილებში, შეღოღდებოდა არ?

კი, როგორ არა, ჰო, კი, რადგან ასე ასეთი, ასეცერთი გამოგონებით თუმც როგორი წვალება-როგორწამებებ-მოვლილი დამწერლობა ეს, ამადაგვარმა ზოგმაც კი ვითომცრო-გამორჩეულმა იმისათვის გამოიყენა რომ, რომ: „ამდენი და ამდენი ქალაქი ავიღე“, „იქა და იქ ომებით ვიმოგზაურე და ყოჩაღი ვარ“, „ამდენი და ამდენი ტყვე წამოვასხი“, „იმდენს და იმდენს თავი მოვსჭერი“ (არამედ უნდა იყოს „მოვჭერი“, იმდროინდელი გრამატიკული დარღვევები ჰეჰ!), „იქა და იქ დამიდგამს ძლიერი ფეხი და ბარაქალა ვარ“, „რამდენი ქალაქი ავაშენე (ალბათ მონებმა), ცასა სწვდებიან, დიაღხსთ“, „რამტელი ქალაქი დავაქციე“, და პოეზიამდე რამდენად ადრე, გვხვდება უცაბედ და უცნაურ რითმიანი „ჩემმა მბრძანებელმა, დე იყოს იგი ჯანმრთელი, უვნებელი და საღი, ამდენი (ახლა წამოვა თავდაპირველი პოეზიაკოს უცაბედი და თავისებური უნებურ-რითმა) და ამდენი სრა-სასახლე შემუ-სრა, კაცია ნუმერ პირველი დე იყოს უვნებელი“, ვის ადიდებდა, ბოროტად ბრიყვს ანუ ამპარტავანს? - „მტრები სულ ერთიანად ჩემს ეტლში შევაბი და ასე შემოვბრძანდი ჩემს დიად ქალაქში სადაც კომუნალური მომსახურება სანიმუშოა“ ა?! - შევტოპეთ და კი არა და, დავიფლნეთ, როგორ, მაგრამ ამპარტავნება მისი, რაღაც კი არა მართლა ამდაგვარი, ეს, ვისგანრისგან და, გვლით, შეღოღებულის სადარ, და არ თქვათ ახლა რომ ვიღაცა გვაგინებს რადგან ცრუმორწმუნეობა?, ე?, ჰეე, ჰეჰ, ასეე-უბრალოებს კი არა არამედ ერთსაც ერთ-ერთი წამყვანი ფრთისა სარდალსაცკი სჯეროდა რადგან ასეთქმაც დაჰყვა:

- ორი ცხვირი კარგია. - ასე იტყოდა დაცემინებაზე, ოღონდ მხოლოდ ცხვირის და არა დაცემი-ნებაზე-დ ჯამბულატ-უმფროსი, ერთიც ერთგვარად ღირსეული თავკაცი ამჩვენეული განმანთავისუფლენბლობის (ბლობის? რაბლობა, კაცო...), გამორჩეული რჩეულთაც შორის, მუნ, და აგრეთვე სხვანიც შავკატა თუ ცხენის წინა თუ უკანანალის გულთმესაიდუმლენოები სინიორ-მისტერ ტარკინი, აგრეთვე ამ უკანალისკნელის და სხვებისაც მადამმუდამ ტარკინა, აგრეთვე ჩვენი ჰენერგიული წარბებამოპუტული როგორცწესი და მაგრამაც ზოგიცულვაშა ისტკა-ქალები მოჰერმაფროდიტუდიტუულო, სულ რაღაცახლახან (1991-9... წწ ნწწუ) დიდად ტურისტულ ოღონდ შინაურებით ქ. მზიან-ყოფილვარდებიან და მოქმედ-ყოილებიან აწ ქ. თბილისისა კარავთბინადარნი საქმისთვისაც და გასასუქებლად კანში ვერდატევნამდე ოღონდ იობელივით არა რადგან ცხვარ-ძროხა ან სოფლათე დატოეს (დატიეს) ანც ქალაქელობით სუარ ყვანდათ, და ასევ მსჯელობდნენ უღრმესი ნდობით აღჭურვილი ისეთიც პირბაგე კლოუნები ცირკის არენა ფეხსაცმლის ლანჩაგულივით მისდღემჩი როარ ენახათ ხოლო კარგი კლოუნი არენაზეა კარგი და მიმზიდველი და საჭიროც ხოლო გლახა კლოუნი ცხოვრებაში გინდ მინისტერებად ანთუ ცისფერ ეკრანზე, და ხოლო თუ თან - ცირკსგარეშე - ა?, კარგია კი არაა, არა, სუბევრი - ისე-რა, მოღვაწე-ც იყოს გინდ, და გინდაც პატრიოტულს ჰფლობდეს სიტყვები გინდა თუ თვით ვრცელ გამოთქმებს, აგრეთვე ცრურწმენით იყო შეღერილი სატრფოდ-მეტრფეიანი ფილოლ. გრამ.-

განათლებაიანი მანდილოსანი მაყვალა-მაყვალი, ეე, მაყვალი, ეეე, ჰო ჭერამი, არა გრეიპფრუტი, რამე, ჰო-რა, რამე, ეეე, რამე, მაგრამ

აქ ჩვენ მართლაცდარომ - სსუ... „ჰოდაარა“ცკი - არა, ჰოდ არა, არა, - რადგან, იმაუსუსურ წარწერათა გვერდით და შორს თანდისთან, დიადი წიგნი, წიგნი სიცოცხლესა და სიკვდილზე და მეტიც უფრო, უნებურად, უკვდავებაზე,

უკვდავი წიგნი იწერებოდა და,

სსუ...

...

მაგრამ რომელი „სსუ“ - კვიმატები ვართ, და იწერებოდა რაზე მერე - პიტალო ქვაზე ჯერე, იკვეთებოდა ძლიერის ხელით, ხოლო „პიტალო“-ს სუცოტა სამი მნიშვნელობა აქვს, და სამთავე როგორ შეეფერებოდა და თანაც ერთად იმ პირველ ამოკვეთილსა და ამომკვეთს, რომლებისგანაც გადმოიწერა სოველ თიხაზე მერე, ლამაზად როგორ, მერე, - სოლისებურად, დანაჭედებები, მაგრამ თიხაზე დაჰყვა რაღაცა ქვური და საიმედო და დიდად მყარი და მოქნილიც, როგორ, რაისი სოლი და ლურსმნული, - სიტყვობრივ ჟღერდა, და თუ სხვადასხვა ხრიკით თუ ღონით მეფედ მიღწეულ-გაძლიერებულები ვითომ, წამობრივადღა, და კნინობისმხრივ უარესადაც - წამის მენამცეცედადღა, მძვინვარედ ჩაუქ-კაცუნებადღა, გასამქრალები რადგან, იყან, ხოლო მართლაცდა განძლიერებული? - და მხოლოდ თავისით, თავისითაცღა კი, კი, იყო, გმირულ საქმეთა ჩასადენი მშფოთვარედ მძლავრი აზრთ-მოდენილით და აზრებმორჩილებ დიდად მტკიცე ორთავე ხელით - რადგანაც ქვაზე - გვიქმნიდა, ჰკვეთდა ღონივრად ანუ წერდა და ჯერ თიხის სოველი წიგნებისათვის და, გამომწვარმა, როგორ ერთგულად შემოგვინახა, რა და, თვით უკვდავებას შეჭიდება და შეჭიდებული და, რომ ვერ დასძლია, მიაღწია ვერ, მხოლოდხორცითღა მარადისობას, დიდი ამბავი - ხომ შეეჭიდა და ეწამა, და მერე, ქვაზეც რომ „ამოკვეთა ყოველივე განცდილი“?.. მაგრამ თავიდან მივყვეთ, მოსაყოლად ღირს ამა ჩვენეულ ვითომდაცსუსტ ქაღალდზედაც, კი, და როგორ მერე, რადგან ის - მართლაცდა მეფე იყო, „მოზვერივით ქედმაღლად მავალი“, და ბუკის ხმაზე ამხედრებდა ვრცელ და ვრცლადმორჩილ სამწყსოს ხოლო თავად კი ბრძოლა იცოდა ისეთი რომ, - მტერს, მაგრამაც მერე, ადამიანებთან შემწინააღმდეგეები რომ აღარ გააჩნდა და რაღაც მარად მაინც მოუსვენარი და დაუმცხრალი მდუღარის ჟინით სუცოტა ის რომ მისა ქალაქში ყოველ ქალწულს იმის მკლავებში უნდა გაევლო, მახინჯსაც თუნდ, ხოლო ამ დიდმეფისა მოსურნე ქალღმერთების იშტას უარყოფდა, ეს ის, ვინც ისედაც ხოცდა და მერე კი, გამწარებულზე, ხოცადახოცა ლომები, აფთარი და ქვეწარმავალი და ისე-უბრალოდ კი არ ჟლიტა და ჟლიტა, სულ ნაკუწებად ჟლეტდა ხოლმე მაგრამაც დარჩნენ ლომიც, აფთარიცა და, ქვეწარმავალიც, და მხოლოდ დროებით მიკარგულიყვნენ ურუქ-ქალაქის სიახლოვეს, რომელ ქალაქშიც, ადამიანთზე ზემდგომობას მოყირჭებული,თავისდა სადარ თანაბარივით, და თვით დიდქალაქის აზანზარებამდე და არნახული ჭიდილითძენილ ძმობილთან ერთად, ვრცელ ველთა მკვიდრობისაგან ქალით მოქცეულ ოღონდ მოქცეულს მხოლოდ დიდად საგმირო საქმეებისათვის რადგანაც მეფეს გამოეძებნა ღირსეულად

მძლავრი ამქარი გინდაც დროებით და ქალაქად რაღა დაედგომებოდად და იმასთანერთად, ძმობილთან ერთად სწორედ ამან, ტახტრევანებზე მოუსვენარმა, მეფემ, ვინამაც მოისურვა და ერთსაც დროს მყარი ქალაქიდან შორს, მრავლადსავალზე, მოუნდა ასე და წააქცია თვითებ კერპთაგან ხელდასმული დიდად შრიალა კედარები და დაამხო და მოაკვდინა კედროვანი ტყის სასტიკი მცველი ეს თვით როგორის მძლავრის შემაზრზენობით კედართპატრონად ოღონდ სხვებისათვის აღზევებული უძლეველი და მაგრამ თურმე მოსარევიკოც გინდაც ხუმბაბა, ის, მეფეთ მეფე, ვინაც ადრევე აღაშენა ისეთ-გალავანიანი ურუქ-ქალაქი რომელი ქალაქისაც ყოველი აგური განაღა ალიზად დარჩა და გამომწვარი არ არის, დღესაც? - დამწერლობით, ეს, სოლისებურით, თან, ხოლო ზღუდეშემოვლებული ურუქს რომ ბოლოს, უკვდავებას ვერმიღწეული, სიკვდილისპირა, თავისი ხელით აღნაშენ ზღუდედან დასცქეროდა სადღაარ ნათრევი, თავისით თრეული და ნახეტიალები, სად აღარ ნაწანწალი, ის, ის ვისაც იერი ახლა მათხოვარს მიუგავდა განძით ყელამდეს როგორ, მეფეს, და ვინ შეატყობდა რომ სწორედ ახლა იყო იგი სამეფო და სწორედაც მეფე და თვითმპყრობელი და სხვათაც, მპყრობი, შემპყრობი, რადგან დამაშვრალი კი დაბრუნდა მაგრამ რომელმან „ყოველივე შეიცნო, შთაიბეჭდა“ და ვისღა არ გადააწყდა, მორიელ-კაცსაც კი, და, მიუსავლეთდამოუსავლეთი მაინც განვლო-გამოვლო და, თუმც ახლა სახე და მთელიც იერ-სახება მათხოვარს მიუგავდა და მთლად ამაოდ ხელგაშვერილიც, უკვდავებისაკენ, ვლიდა, მაინც დაბრუნდა უუკვდავებაო, და მოკვდავი, და შვიდ ბრძენთაგან საძირკველჩადგმულ თავის ურუქს თუმც გლახაკივით დასცქეროდა რადგან გინდაც რომ ორი მესამედით იმათებური ღმერთი ანუ ისედაც წასაქცევი კერპი იყო მაგრამ რადგანაც სხვარომ არაფერი თავისი ერთიც მესამედით - ადამის მოდგმა, ადამიანი, კაცი, და, შესახედად ახლა თუმც დაგლახაკებული და მაგრამ „იდუმალებანი ვინც სრულად განჭვრიტა“ო თუმც ძალიან ძნელად მაგრამ უსიძნელეოდ როგორღა-აბა იქნებოდა მაინც „მფლობელი სიბრძნისა“ და „ყოვლისშემცნობი“ და მან, სწორედ იმან დიდად საუნჯე და სწორედ ის საუნჯე იხილა და დაფარული გახსნა რომლითაც რომ ჩვეურუქელებსაც მცნება მოგვიტანა ერთიც ისეთი ქალაქის რომ გინდაც მშობლიურის - ურუქის განვლით მცნება მოგვიტანა ჰეჰ, - თვით წარღვნამდელ დღეთა და იმდენად შორი გზა განვლო-გამოვლნა, ღირს გამეორებად და ძალიან გადამაშვრალი კი დაგვიბრუნდა, მაგრამ, მოეძია და ეყოც, მაინც, მთავარი ძალა ის, რომ, უმთავრესი, ძალი იმისა რომ, - „ქვაზე ამოკვეთა ყოველივე განცდილი!“, და, როგორ აღზევდა ხელმეორედ, ეს უცაბედადაც სწორი სიტყვა - „ხელმეორედ“, აღზევდა, უფროდაც მეფედ რადგან თავად ამომწერალი გახდა თან კვეთით ყოფილი დიადი და თუმცა თან უბადრუკი თურმე მეფე რადგან ყველაფერს თურმე კი ვერ პყრობდა არამედ მხოლოდ დროებითსა და ადამიანებთაგან მხოლოდ თანამისდროვეებს და სამაგიეროდ ისა აღმოჩნდა მართლაც დიადი და თუმცა პირველმეფე მაგრამ ეს თავისადროის ადამიანებში ოღონდ მხოლოდ და, ადამიანებშივეც, თანაც ჯერ დაუბადებლებში, ჩვე-მომავლებში, განმტკიცდებოდა, თურმედ, ეს რაროგორი მეფობა სამუდამჟამოდ, ედო, - ამოსაკვეთი, მართლაც, - ხელთქვეშწინარეე, ჰეეე, თურმე როგორ ძალიან ამოსატვიფრი, უკვდავებისათვის, თვით, და, მაინც რაღა აკლდა? -

ის რომ, სწორედ მან, ვისაც რომ ყველაზე მეტად აკლდა ადამიანებში იესუდქრისტე -

და, აი ესაც კი, თვით თავად ესაც,

გამოისყიდა! -

რადგან აღსარებაა, ქმნილება-ეს, გადაპრანჭულად თქვენ ეპოპეა და ეპოსი და ეპოქალურიც ეძახე თუგინდ

და, მაგრამ, ნეტა წმიდა სამებაში ერთიმეორის გადახედვა თუ არსებობს და ხდება, და ვმკრეხელობთ ეგებ ორთავენი-ჩვენ რადგან უღირსი რომ წერს ამას და ხოლო კითხულობთ თქვენ, მაგრამ ოდნავი გაკვირვების რაღაც ნამცეცით ალბათ მაინც დასცქეროდნენ იმას ვინც იყო დასაცქერი თუმც იმას იდუმალებანი თუ სრულად არ განუჭვრეტია მაგრამ უნდოდა, თუმც დაფარული არ გაუხსნია მაგრამაც სურდა, და ჭეშმარიტი საუნჯენი თუმც არ მოუხილავს და დიადი მცნებები პირველს და წვრილად არ მოუტანია მაგრამ შიგანითა და გან-გან ძრწოლით... - „ძრწოდე“ ხომ გახსოვთ... - ლამექისადმი, - და გან-გან ძრწოლით ძლიერად კიეწადა და თუმც იმდროინდელი დღისითიცბნელი ნათლით ვერ ცვალა მაგრამ გაბზარვით? - კი, და სამწყსოსათვის მთავარი შვება და გადარჩენა თუმც არ ჩამოუზიდავს და მოუგვრია ანდა როგორ მოჰგვრიდა და მომავალი უკვდავებისათვის აბა როგორ აღამაღლებდა აბაღა სხვებს თუკი რადგან ჯერ თვითონაც სულაც არ უწყოდა რომ „სასოება ჩემდა მამა, შესავედრებლად ჩემდა ძე“, და ისიც კი ვერ იცოდა რომ, სოლითკვეთობისასაც კი, - „მფარველ ჩემდა სული წმიდა“, რომელმა წმიდამაც სულმა ჯერ მხოლოდ უბრალოდ ცოცხალს მხოლდღა თავისით კი არ ჩაადენინა ქვაზე სოლებით დიადდაღთდასმა - პოეტთ, გვიყვარდა გადახვევები, მუდამ, და მაგრამ, ვითომდამხოლოდ, ჩვენით? - არამედ მამისეული კეთილგანწყობით უხილავებმა მანა და ქრისტემ ამოაკვეთინეს სწორედ ქვაზე ქვურიცა და ორმხრივ პიტალური საგადასარჩენო გინდაც სუსტლერწამად რადგან ჯერ უცოდინრობით, მთავარისა, ეს დაწყებითად დიდსაჯილდაო ქვური პოემა, ეს, და გაუკვდავებული ამბავი იმა პირველი მართალ-ნოესი რომელსაც ურუქად უცნაური რამ სახელი - უთანაფიშთი ერქვა ხოლო ნოე კი უკვდავად იმიტომ გაცხადდა რომ აიიმისი შთამომავლობა აგერას მთლადაც ვცოცხლობთ, დღეს, მიმოვიხედოთ თუ არ გჯერათ, მაგრამ როგორი მაინც პოემა, უბიბლიაოდ თან, რა ბრწყინვალებით ამომჟღავნდა უვალ პიტალოზე, რა ადგილები, სწრაფვა როგორი, რაგვარი ჟინი თიხის ისეთ დაფებზეც რომ, სადაფზე-ს ღირსი მაგრამ სიმართლე სიმართლედ და - ქვა სუყველაფერს, ამტანობით გინდ, სჯობს ამ ღვთით წყალობის, „გილგამეში“ს, ამომმადლებლად, ქვა სუყველაფერს სჯობდა, კი; თიხის დაფებზეც, - დაიხედებოდა, და როგორ მერე, და დახედვად ღირდა კი არა და, აქეთაღგძრავდა, როგორ, და ქვაცა და თიხაც კი არაც და საჩვენდ გვიან ნაბოძვარი ჩვენურ ფარატინა ქაღალდზეც კი - ჭექს თან როგორ და თანაც ქვურად, - რა ადგილები; თავგანწირულივით ერთიც დიდად სათვალსაჩინო როსკიპი მართლაც და რომ მთელსხეულგანწირული და სახელად კი მაინც მხიარული-სა აღმნიშვნელი, სახელად - „შამხათ“, შვიდ დღესა და ღამეს გაბმით რომ შეასმევინებს სხეულს და ბოლობოლო დამცხრალ ველურს რომ შორი ქალაქისაკენ გაუყენებს გზას ხოლო

შამხათნანახ და ქალნაგემებ ნაველურალს კი ადრედ მორჩილი ცხოველები რომ გაურბიან - ადამის ესაც, გვახსოვს, ხოლო გარეულადქმნილს თვით დიდ ქალაქში ვითომ მოსაქცევად მაგრამ დასაღუპად კი რომ შეიყვანს, რადგან - არ იყო საქმე ჯერაც მძლავრბანჯგვლებიანი ენქიდუსი მექისე ქალები და თვით ბუნების, მისაც როგორი შემკედლებლის სულ რაღაც წეღან, და იმავ ბუნების ამაყ პირმშოთა - ხნიერი კედარების ჩეხვა და სხეპა, და ამიტომ დასჯილი, გარდაცვალებისპირს როგორის კრულვით სწყევლის ამისათვის ვითომცდა კიდევ მეტი ძლიერებისაკენ მომქცევ შამხათს, მხიარულსადა კი არა და, ალბათ ზაფრადავლილს, და, თუნდ ნაწყვეტები, აშვებულად მომხიბვლელი და აშვებულივე ქალისადმი თქმული:

„დე, სატრფომ ალერსი შენი უკუაგდოს,

დაე, შეგიყვარდეს ნაყოფი შენი...

მეკეცის ქურასთან ძაღლივით თბებოდე...

შენს ფეხთა წინაშე შარდავდეს კაცი,

მთვრალი და ფხიზელი სახეში გცემდეს“,

მაგრამ, ცოტასიმაღლიდან მაგრამ დანამუსებული, უსუსური - ყოფილი გმირი, ენქიდუ, და ბოლოსიტყვებით მართლა გმირი რადგან როგორ მაღალსულოვანად შეუნდობს ყოველს კვლავაც გაშამხათიანებულს ვისი სიმწიფეც სრულად იხილა ადრე, და კვდებოდაკი, ახლა - რა ადგილია; ეს როგორი და, ამოკვეთილი როგორ, და როგორად იგლოვს ძმობილს ძმობილი, - მერე კი, კენტადდარჩენილი, ანთუ როგორი ოფლცრემლდასისხლდაღვრით მიაღწევს მთლადაც სიტყვებითაც აღსაძვრელი ოღონდ ეს შემდგომ რაგზას დამდგარი უთანაფიშთის-თვით, და თუმც ამაოდ მიეახლა და, წამოშავდა, მერე, უკვდავებამოცარული, მაგრამ თუმც რაღა ამაოდ - ესა ლოდებად ასაკინძი სიტყვებისათვის, თვით, თურმე, და რა წვალებით მოიპოვა თავად ოკეანის თვით სიღრმეში თუნდ მხოლოდღა დროებით შვებად ხელახლა გასაჭაბუკებელი ბალახი, თუნდაც დროებითი მაგრამ სულისმოთქმა-ეს გამწირებულმა და ნაოჭებ-ახლადდასხმულმა ისე რომ დაღარულსახა, ქალღმერთებისაც კი მთლად ახლახანა ოცნებად-მეფემ, და ალბათ ცოტათი მაინც გულს უკეთებდა მეორადაცვე ჭაბუკობა ნაოჭებისა-მაინც გამქრობი თუმც ალბათ ისიც პირველივით წარმავალი თვალდახელშუა მაგრამ სიჭაბუკისა ჭარმაგობისკენ ერთხელ კიდევ რაღაცის სწავლად უფრორე განსავლელი და დიდხანს კი კრძალვით-როგორით მიჰქონდა წამითსანაყრი იმედი ეს - ბალახის ბღუჯა, და მაგრამ როგორ ისარგებლა მისი, გილგამეშის, ადამიანის, მოკვდავის სიარხეინე ეთქმის თუ უნებურობა თუ უკვდავებასთან შედარებით მცირემიღწეულისადმი უდარდელობა თუ უბედითობა თუ რა და ალბათ უფრო მოკვდავობა რადგან სიკვდილის თუმცა აჩრდილად მაგრამ ორეული - ტკბილი ბურანი მოერია და, ჩააძინა, და როგორ გამოიყენა მისი ეს სისუსტე კვლავაც გველმა - ადამდაევა, გახსოვთ, - და როგორ მოჰპარა ჩაძინებულს, ბალახი-ის, თუმცაღა დანანებით და ამოოხვრით გასახსენებელი სიჭაბუკის თავიდან მაინც როგორ სანატრელად აღმოსაცენებელი და მაინც ბალახად ჭკნობადი, ის, გინდ ოკეანეთა სიღრმეებიდან და ისევ ოკეანეების სიღრმეებამდე ჩვეყველასათვის

მაინც ქვედ-წარმავალი თუ, ეგებ არა, ჰოდა მოუპარა - გველმა, რაღაცას მაინც მუდამ უგრძნობდა ამ ქვეწარმავალისადმი გილგამეშს მთელი შინაგანი თუ არა, გული, გულისა ნირი თუ ყნოსვა, და ესაც იდუმალად მფარველ სულიწმიდათი რაღა თქმა უნდა, კი, ხოლო ბოლო დაფა კი, მეთორმეტე, იმასაც არხეინსა თუ ნაცთუნ ენქიდუს დოლი და დოლის ჯოხები რომ დარჩენოდა დურგლის იმ სახლში რომლის ბინადარნიც დიდახლობლები ეგონა და იმათით კი იმ დოლ-ჯოხების ამოსატანად თვით ქვესკნელშიაც უწია ჩასვლამ და მერე პაწახნით ამობრუნებული მეფეს თუ ნამეფარს თუ თავად სამეუფეოს - სიტყვებით სიტყვის გვირგვინდასადგამს რადგან, რადგან ძნელსიტყვებისას, გილგამეშს, ძმობილი იმა ბნელ-ქვესკნელურას დიდადმწუხარი რასაც უამბობს? - „გილგამეშიანი“საც კი, - გვირგვინია ეს, მეთორმეტე დაფა, და უკვდავებას ხომ აკი ვერ მიაღწია გადანატანჯმა მეფემ და მეტისაც უფრო სხვადასხვა განძთაშემძენმა ვიდრეღა ჰქონდა მაგრამ ტყუილად თურმე, ესენი - ხალხთ და ნადირთა და ქალთ და თვითლომებთმპყრობელმა და მეტისაც უფრო - თვით ხუმბაბას დამამხობელმა მაგრამ აკი თურმე ტყუილად მთლადაც, ესენი, - არამედ მხოლოდ ქვით გინდაც ძნელი და პიტალოთი და სწორედ მაინც უბრალო ქვაზე ამოკვეთილით და ვითომ, უბრალოზე? - მიაღწია, კი, ვერც იცოდა ეს და, საწადელს, მაინც, ხანდახან აბა რომელი წინდაწინი ცოდნა და გამოძიებები და დადგენები და საგანგებო დადგენილებები უკვდავებას უნდოდა, უნდა სულიწმიდათი, და ისიც, საიმისო, ჰკვეთდა რადგანაც ამაღლებულ სოლისებურებს, და მაღლით დამცქერლებს შექმნილთზე და როგორის რთულის სიკეთეთი ამოჩემებულთა დიად დამცქერლებს კი, რისი რომელი გაკვირვება და იმისი მენამცეცედევი, - თვით სამებიდან, რადგან, ყოველი,თუნდაც სულსულ მცირედითაც არ, და რადგან ისიც, რომ, ჯერაც კიდევ ადამობისას, იმის ვითომცდა სამუდამოდ გაძევებისას, ითქვა:

„აჰა, ადამ იქმნა,ვითარცა ერთი ჩუენგანი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა“,

ტევადად ითქვა, თანაც როგორ, და თანაც როდის, თვით ედემიდან გაძევებისას, გაძევებულზე, -:

„ვითარცა ერთი ჩუენგანი“,

სიტყვით და სულით შემოქმედზე, ანუ. ან ეგებ.

და, ოღონდ მხოლოდ ისე, წვეთის წვეთი მაგრამ კურცხალი რომ რაღაცით წააგავს ხოლმე ოკეანურ ზღვას, თუნდაც კურცხალი არეული და მდუღარი, იყოს, ის ზღვა კი თბილი და მოწმენდილია, არის, ჩვენშია მუდამ და ჩვენთანაა და ჩვენ კი მასში თუმც ძალიან პოვნა, უნდა, და რაღაც ასე პატარაულად საციცქნაურადღა თუ წააგავდა ორ ჯერად მეფე-გილგამეშ წმიდა სამებას, ხოლო მეორედ - რაღა თქმა უნდა უფრო და მეტი, უფროდ და მეტად, რადგან პირველად მხოლოდღა მსგავსი ხატისა მათისა ოღონდ თავისი თავისაც კი წვეთი რამ იყო რადგან შმაგი და გარდარეული და მეომარი და დიდად მეტრფე ოღონდ უგულოდ ხოლო უგულოდ ვის რა გაუგია, ხოლო მეორედგილგამეში ციმციმა წვთად წააგავდა, კი, წმიდასამების ბაც ნატერფალს, მაგრამ, რამდენად ზებევრი იყო ესაც თვით ადამიანისათვის იმ, ვინცრომ ჰოსა და არაზე რამდენად როგორ გადაჭარბებულად

ვრცელი სიტყვები კვეთა და კვეთა და რა ჰოებად ანუ პოემად ამოკვეთა და დვრიტად დაედო სიტყვებით მომდევნოებს, ადამიანებში, სიტყვებით როგორ თავხელდადებულებს ასევ სულჩადგმულებსაც, ჩამდგმელებს, თან, თვით სიტყვებით ეს, და თავადაც ხომ - გადაჭარბებულად ვრცელი სიტყვა თან შემამკობი უნდა მოვიშველიოთ აქ - და თავადაც კი წააგავდა როგორღაცმაგვარ სიტყვას რადგან თავად სიტყვისა კაცი იყო, გახდა, შეიქნა ასეთად თუმც უქმი წანწალით ჩამომხმარი, მაგრამ, - ყოფილა სადმე, ოდესმე უქმად წანწალი? არა, და თუმც ადამიანებთაგან ვითომც ერთი მესამედითო მხოლოდ, იყოვო, კაცი, არა, ეს არა, პირწავარდნილი, ხელწავარდნილიც ადამიანი აღმოჩნდა ბოლოს რადგან მოკვდავი ოღონდაც ჯილდოდ ძალიან ძნელი ბედისა და თავისისა თავის სოლით მომრევი და მაღლა ამწევი,ჩვენთვის და ჩვენს დასანახად როგორ თვალნათლივ გონებანათლივგასახსნელად დაგვანახა ისა ყოველი თავისი, თან, და ადამიანთაგან - გაუშვი, ვითომ თუნდ მხოლოდ ერთი მესამედისა ყოფილიყო, იმათგან დაწერილ წიგნთაგან ხომ დიადებშუა ხო უპირველესი, და ეგებ ახლაც უდიადესია ეს, - პოემა „გილგამეში“, როგორის მართლა აღსარებით, ტანჯვით და ზექვე შრომით და წვითა და წვური გარჯით რადგანაც ფიქრებ-როგორით, - გავიმეოროთ, საოცრება - და თან უბიბლიაოდ, ყოველივე ეს, კი, და დიადივედ შეგვეძინა ხომ, ვინაცდაგინდა ყოფილიყო მისი შემქმნელი - ქვაზე მხოლოდ ამბის მოყოლად ამომკვეთი გადამაშვრულად ტანჯული მეფე, თუ იმ ეგება უბრალოდ მოყოლადღა-ამოკვეთილის პოემად გადამკეთებელ-შემქმნელი, და განმახორციელებელი კი არა თუმც „გილგამეშ“ში ყველგან ხორცი დუღს და ისე დუღს და გადმოდუუღს მაგრამ პოემა განმასულიერებელიც აღმოჩნდა ჩვენთვის, გასულიერებული, რადგან, შემოგვეძინა ასეთადაც, კი, და ვისაგან და რაშორ საიდან თან ეს, - კერპთთაყვანისმცემელთა ერთიც ქვე-ყანიდან, და თუმც უბიბლიაოდ თვით მაგრამ ბიბლიურს როგორი მისაკენ ლტოლვით დაეძებდა მთელი შიგანით და შიგანიდან კი ყველაზე მეტად - ძგერებულ თანაც დიდადმძგერადით როგორ, გულით, და გულისვეფეხით მიუწვდომელს ადევნებულ და გამოკიდებული გინდაც რომ მეფე და ისიც მაინც ველური თუ მოველურო და წარმართი ეს? - და თუმცა უნათლო სული არა ჰყოფნიდა, რაც სულაც არ იყო იმისი ბრალი და, მაინც იპოვა, იპოვნაც, თუნდ ნატანჯი და მაინც მრთელი როგორი წვეთი, და არსებითი, როგორ - აღსარებაა, ეს, პოეტური თუ საპოეტო, თან, და თან როგორი საროგორო ხოლო ჩვენ რომ „ქრონოლოგია“ს ვეძახით და გავიძახით წამდაუწუმ ვითომცდა აკურატულდაფიქსაციურა და დიდად პუნქტუალურიკა ვითომ და ამასთან დაკავშირებული მთელირიგი ატრიბუტები გამოსაძახებლად გამომძახივე ეს ადამიანები ჩვენ, რაა, არარაა, არაფერია აქ ქრონოლოგია და იმისიც ჰატრიბუტებიც - რადგან მეცნიერებებში თუ დიდი და მაგრამ თითქმისდა მინუსად ნული ძევს ერთი: - აი თუნდაც ავიღოთ და გინდ უკვე დღეს რომ (გინდაც 1999 წ. და მისი სექტემბერი), რომ, დავუშვათ და შეგვეძლოს და ავიღოთ აგრეთვე თავისა დროზე მართლაცდა დიდი ნიუტონი იმდენად დიდი რომ თავისა დროის გადამსწრებიც, და აქეთურისა მხრიდან კი მსუბუქად ავიღოთ რომელიმე ახლანდელი ჩვეულებრივი მეცხრეკლასელი მოსწავლე ოღონდ კარგოსანი მაინც და თან დამსახურებულად და ნამდვილად უპროტექციოთ და რომ დავაყენოთ ერთიმეორის პირისპირ მედუელეებივით და გავაჯიბროთ ფიზიკის ტყვიურდაბომბურ მიღწევათა ლამისცოდნაში, დიად აღმომჩენს - ოღონდმხოლოდ

თავისი ჩარჩოიანი დროისას, - მეცნიერს რადგან, - ეღლაპი ჩაჭრის ჩვენი პატარა გინდ არეული ჩვენი დროისა ამ ემ რაღაცა კარგოსანური ოთხიანითა ცოდნითაც, კი, ხოლო „გილგამეში“ანი-სა ავტორისაწილ ხოლო? პრემიებრებული პოეტიც კივერ, და ჩაჭრის კი არა და, კედარივით კი არა, და მთლად ტარკინასავით უმნიშვნელოვანად წაიქცევა ისედაც ნებისმიერი მოწმედმოსამართლეს წინაშე გინდაც სწყუროდეს სუსხვა რომელიმე დიდთოჯინ-არნოლდი და გაუწვება-იქნება-უნდა ასევე აგრეთვე ოღონდ შეგნებულადაც თუკი აქვს ჭკუვა ან გინდაც იმისი ნასახი და საწასაქცეო საქმე ესე თუნდაც ქებაებებ-თავშიავარდნილ პოეტის ურითმებაოც პირობაზე და ანდაც თუ გინდაც შეუგნებლათ ანუ უგრამატიკოთ უკუღმართათ გულაღმა დაწვეს თუ შეუგნებელია და გამსჭვირვალე და ხოლო პირითქვე? - შეგნებულია თუკიდეც, მოლეთ, ზოგ რამსთან? ასე რომ, თანამედროვეც, - თვით პოეტიც კი, წამქცევადია, როგორ, როგორც, ეე, როგორც აი, ეე, ჰო როგორც ჭერამი..., რა, ჭერამი არ შეიძლება რომ წაიქცეს? როგო არ შეიძლება, ჰო და აკი იმას ვამბობდით ჩვეორნი, რომე წამქცევადია ოღონდაც პოვეტს გააჩნია, ეს, თორე ზოგსაც ბრიყვს რა წააქცევს, - დგას მუდამ, ნააპლოდისმენტარი, ამაყობრივი, მუდამდღე დგანა, და ხალხშიაც კი დაუფარავად - დგანახო-ხო, მით აღტ-აცებულ და არნოლდისებრთ მონატრულ ამჩვენ ქალებსა თუ ნამდვილ მამაკაცებშიაც კი, - მუდამ მდგრადია, მაგრამ

და მაგრამ აღარაა ხუმრობის დრო, რაღადროს ეს ხუმარაობები და, უარესიც, ანგლობებია, რადგან,

ხოლო სულიწმიდას - ადამიანები უფრო ებოძა.

კვიმატთა მოდგმა.

ხოლო ვინ სად და როდის დაიბადა და თუ როგორი - ლამაზი, უშნო, მაღალი, დაბალი, ტანადი თუ დაგვაჯული ან მთლად საშუალო, ეშხიანი თუ პირიქით - აბზინვებულად პრიალურიც კი წითელ-ჟღალად მთლადაც ღაჟღაჟად წაიმოკლოუნო და არა თუ თავდაჭერილად მომქცევარი თუ მოუბარი რადგან ადვილად შეცდომებისა დიდად მშიშარი და მოშიში და ამიტომაც ხაზგასმულად თავდამჭერი რადგან უნებური ტვინის მოსალოდნელ ჰაპრაკობებით ძალიანაც დამფრთხალი და ამიტომ კი ამისათვის ვითოამაყი, ან თუ არამედ ცხოვრებაში საქციელებით ან საკუთარი თავის ჭკუიანობაზე თლათმოსულელო და ხოლო მაგიდასა თუ თუგინდ მუხლზეც ქაღალდდაფენილი და ხელფანქარკალმისტარ დახრილად ამოქმედებული რადგან სულსწრაფი - სულაც სხვაგვარი, ძალიან, რადგან სულიწმიდათი? - ცეცხლი და ნიჭი, ხოლო იმ ხელ-მუხლ მაგიდურის ავარვარებულ მყუდროებაში გადამუშავებისას - სხვადროს ხო ჰოპლადცახცახა და რაგინდ ჰაპრაკად ჰოპოპებამფრენი, თავმოთოკილად ახლა მუშა და ბრძენი, მაინც, თავისათვის ხანდახან გინდაც მარტოკა იცინოდეს და ტიროდეს გინდაც? ეგ? ეგ არაფერი, განცდებშია, არა-უშავ-რა, მთავარია თუ, რას და როგორ ჰკვეთს გინდაც ქაღალდზე და, მხოლოდ „ჰკვეთს“აც რა იყო არამედ კალმისაწვერით გინდ მისრიალებდესავით ქაღალდის თოვლზე თუ ბორძიკობდეს უბირ ბრმასავით და ეცემოდეს წამდაუწუმ, მაინც წვალებით ასამართი, წამოსადგომი თუ გლუვად ამტან ქაღალდზე კი არა სულსხვა რაღაცა ღრჯუ ფიცარზე, ოღრო-ჩოღროზე და

ურჩზე რარიგ და თანაც როგორ ხიწვებიანზე უსვას და უსვას სულის საბრალო ხელი გასაპრიალებლად სხვადასხვა ჯურის კრიალაობამდე სანამ, და რაცგინდა ხელს კიდევ რა უშავს, საკუთარ გულზეც ხომ უნდა იფათუროს მჭახე ხელისგული, და, უბიძგოს თან, საითკენ-თანაც, ნეტა, და მაგრამ, მაინც, მუდამ, სულიწმიდათი, ეს დამჯიჯგნავად ტანჯვებიანი უნაპირფსკერო წიოკება ოღონდაც მაინც მოსათოკი და ნეტარება, ეს, და იმისივე, სულიწმიდასი უნდა იყოს განსაცდელის ჟამს, და არა თავისივე ცვლადიც, გულისა, მცირე სიტყვებით - ძნელია ეს, და, ნუღა გაგვამეორებინებთ თორემ ჩვენ არ მოგვბეზრდება რადგან ჩვენითაც ვიტყვით ისედაც მერამდენედ რომ,

როგორაც წვეთი ოკეანეებისა, გინდაც თბილ-ცხელთა თუ დასადნობად ყინულოვანების,

შეიქნა სიტყვით-ოსტატ ადამისაც ჰოსა და არაზე რამდენად ვრცელი კვიმატთა შორის უკვიმატესი ერთიც მოდგმა, და ერთმანეთისა კი ვერცკი მცნობნი ისე ძალიან, ნათესაობა, და ჯილაგი ეს, „გილგამეში“ -დან მოყოლებული, ქვისა და თიხის დიადი იმ წიგნისა რომელიც რომ ერთ უზარმაზარ წიგნთსაცავიანა, ჩვენამდე ჰეე, რამდენად ადრე, სხვა მასალასავით კი არ დაიწვა, რადგან არამცთუ თიხა, ქაღალდიც კი არ იწვის როგორც თქმულა თუმც ქაღალდისასაც გააჩნია, ცეცხლიც არ უნდა ზოგს, სირცხვილით იწვის, ლაფით გამოყენებული, მერე და მერე, ხოლო ეს თორმეტივ დაფა ის კი არა და, უფრო განმტკიცდა, სხვა რამეთათვის თუ შემმუსრი, ცეცხლით, და, როგორი რთული გადანაწყვეტი, როგორ მაღლიდან: ან რა დარჩეს და თუ რა - არა, აი ეს ჩვენი თუნდა მხოლოდღაც „ჰო“ თუ მხოლოდღა „არა“, ჩვენ კი, ყბედები, თვით „გილგამეში“დან მოყოლებული, მაგრამ, - ყბედები? - არა, რადგან, იმა უმძიმეს შესაწევარით, რომ, როგორც ადრევე, წერა-კითხვამდეც, დამწერლობამდე, და ვისგან მერე, როგორ წყალობად ითქვა ანუ იბრძანა, ეს -

„ვითარცა ერთი ჩუენგანი“ (კიდევ გაგრძელება)

მწერლობა, ძნელია... - და ვთქვით და წავიკითხეთ ჩვენც, რაღა...

ოღონდ ღირებულ ქმნადობაზეა ლაპარაკი აქ, და გინდაც მარტივად გამონათქვამი ეს, მაგრამ აჰ... ზედიზედ ორი სისულელე, აჰ. ეჰ.

განვაგრძოთ, მაინც.

მაგრამააც, ჯერ:

„მიზანი ყოველი მწერლისა ისაა, - თქვა ერთხელ იმათში ერთმაც უდიადესთაგანმა, - რომ თავისი ხელოვნების საშუალებებით შეაჩეროს ის მოძრაობა რომელიც არის ცხოვრება (“ცხორება-ცოცხლობა“), და შეინარჩუნოს იგი (როგორ - ცხოვრება შეინარჩუნოს?.. ანუ სიცოცხლეც?) ისე, რომ საუკუნეთა შემდეგ საკმარისი იყოს შთამომავლის დახედვა და მოძრაობა განახლდეს ისევ, რადგან ეს მოძრაობა - ცხოვრებაა“,

ანუ სიცოცხლე. ხოლო დანარჩუნებული სიცოცხლე? - ჰეე, თუმცა... ცოტათი ვიცით,

ქვაზე კვეთილით,

და ხოლო ეს ვინ ბრძანებდა თავის საქმეზე ამას, თუ არ ფოლკნერი.

ხოლო პირველმა წინასწარმეტყველმა ადამიანებიდან, ადამმა,თავის ცოლს, ევას, უწოდა „ევა - ძრწოლა გველთა, გინა ცხორება“, და თავიდანვე, აიმ ხილამდეც, როგორ იცოდა ადამმაც კი, რომ, „ამისათვის დაუტეოს კაცმან მამაჲ თვისი და დედა თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა“,

ალბათ, ახსოვდა თავად ღმერთის ის თავიდანი სიტყვები, რომ, „აღორძნდით და განმრავლდით, და აღავსეთ ქუეყანაჲ და ეუფლენით მას. და მთავრობდით თევზთა ზღვისათა, და მფრინველთა ცისათა, და ყოველთა პირუტყუთა, და ყოველსა ქუეყანასა და ყოველთა ქუეწარმავალთა ქუეყანასა ზედა“, და ეგებ ადამს, დაბნეულობით, ბეჩავს, მაინც და მუდამ ახსოვდა რომ - „განმრავლდით“.

და რა უცნაურია გაძევებისასაც კი, აეს წყალობა, ბოძებად თქმული: „აჰა, ადამ იქმნა ვითარცა ერთი ჩუენგანი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა“, რა იყო ეს, ეს - გაძევება თუ, აღზევება? ვინ აბა რა ვიცით, აბა, მაგრამ - „ცხონდეს უკუნისამდე“?, ეგებ იყო ის, სწორედ ისიც, რომ - „და მოძრაობა განახლდეს ისევ რადგან ეს მოძრაობა - ცხოვრებაა“.

ხოლო „პირველითგან იყო სიტყვა“.

და ხოლოც მერე ადამიანებმა იცოტავეს მათდამი კუთვნილი „ჰო“ და „არა“ და, აი თუნდაც ფოლკნერს, რამდენიმე ასობითსიტყვიანი წინადადება, აქვს. თანაც როგორი - აბურდული და დაბურდული და ღვარჭნილი და თავრეტბრუდამხვევი და, - გამართული!, - რთულის სისწორით აკინძული გვიანი ცა და იმისი სურნელი, - ეს მაინც როგორ!, -

რაღაცა ხდება.

მწერლობაში.

უცნაურობა.

ნეტა რომელი ერთი „ჩუენგანი“-თ?

მაგრამ წმიდა სამება ხომ, - განუყოფელი, რადგან, - „სამება - ერთი ღმერთი სამგუამოვანი, ერთი არსება და ერთი უფალი“, - და, -

„ვითარცა ერთი ჩუენგანი“ -!?-

მაინც რომელი, მამა-ღმერთი ეს, ის, ვინც ადამ და ცოლიიმისი, სახელად ევა, შექმნა, და გზა უბოძათ, გინდაც მწვავე,

და თუ უფალი იესუ, ქრისტე, ვინც პირველითგან, უუწინარეს ყოველთა საუკუნეთა თვით სიტყვად - იყო,

და სული წმიდა, „უფალი და ცხოველს-მყოფელი“, „რომელი მამისაგან გამოვალს“, და ამაქვეყნის ყოველი სახის სულიერთათვის თვით თავად „სული, სულიწმიდა დამბადებელი ამათ ყოელთა პირველი ნათელი“,

„და მიუწვდომელი“, თავად თვით თვითონ თავისით თუ არ ჩამოხედა, ადამიანებს.

სხვაგან არ ვიცი, როგორაა, მაგრამ ჩვენში კი სულიწმიდამ კი სოფლებში უფრო იცის მომადლება და ზოგზე შეჩვევა და, თუმცა „რონინი - ხელით ტარება“, მაგრამ გამორჩეულებს იქ აადგმევინებს მაძებარსა და გაბედულ ფეხს და თანაც თავად დაარონინებს, ეს სოფლებია, ზოგიერთი და არცთუ ცოტა, მათი დაბადებისა თუ აღზრდის რაწმინდა ხანად ესი ჩარგალი, ყვარელი, სხვიტორი, გორისუბანი, სიმონეთი,ვარიანი, ღორეშა რა იყო სავანე, ჭყვიში, თამარაშენი, პატარძეულიც, ტანძია, ხიდისთავი, მირზაანიც, - ხოლო თუ რატომ მირზაანიც, ამაზე, შემდგომ, ოღონდ ისეკი ნუ გავიგებთ, რომ, დაადგება სულიწმიდა-ის თავისი მადლით მერომელიმე ვინმე ვისმეს დაა, - მიდიიი, არა, ძნელია, ძალიან, მისობა; სულიწმიდისობა, ანუ... კეთილინებო ძალიან სავსებით უნდა, და, შენითაც უნდა, შენითაც იყო... წვითა და დაგვით, და მაინც, როგორ რარიგა თავისათვისაც და მილეთურ შვებად, მოწიწებულად გახარებული, ფართქალა როგორ, სამადლობელი, ეს:

„შენ ჩემში უსტვენ

ვით საყდრის ჩიტი“, -

გრძნობდნენ!

და როგორ მერე,

მაგრამ ჩვენებსა და ჩვენიანებს მოდით და გინდაც თავად ცხორების თავიდათავი გავანებოთ, - ვაითუ შევცდეთ, შეცდომაც იცის სიყვარულმა როგორც ასეთი ისეთად ღრმაა, და უცხოებსაც კი ჯერჯერობით ვანებოთ თავი, - ა?!.. უცხოებს კი არა, უცხოელებს, - და ასეც არა, არა, არამედ - საზღვარგარეთელებს და ჰეჰ, ესაც არაა პატივცემულებო, სწორი, რადგან იმათში არ არსებობენ უცხოები და უცხოელები და თვით გარეგიძაშვილობა არამედ მკვიდრობა მხოლოდ და რომელ საზღვრებზეა საუბარი აქ სიტყვის ნაღდ ხალხზე თუ მიდგა საქმე მაგრამ რაღაცით ხომ უნდა განვისხვავოთ, თუნდაც მცირედით, - რადგანაც, ჩვენნი?, - და აი ჰო, - ეროვნებულად არაქართველებსაც მოდით და მცირე ხნით ვანებოთ ასატკივარი თავი და რახან ვიღადაგვრჩაოს იკითხავთ, ნაღდად, ვინა და ვინმესისავე აღსარების ჯერ მხოლოდ მცირე დასაწყისიკოს მოვუსმინოთ მოდით, რადგან აიმა ჩემანალა... ეე, ანუ მოფერებითად „ჩემი ნალი“ -დანაა „ჩემანალა“ ანუ ჩემი დაჭედილი, რა... ცხენი? არა, სწრაფია, საშიშია, გადმოგდებობანა იცის, და მაშინ, ჯორი? არა ა?, და, ეგებაც... ა?! - არა, არა, მოკლედ, აიმა მხოლოდ მარტოდღა ჩემანალა და ერთ-ერთმვიღაცამ თავისი თავი თუმც უკეთ არ იცის ბევრ აქიმივით

მაგრამ ახსოვსკი და თანაც ხშირად და კარგად და საკუთარი თავის მომაგალითებას ამპარტავნებაში კინუ ჩამოართმევთ რადგანაც თუნდაც გინდ ზედაპირულიჰაიჰარობითმაგრამაციცისრაღაცასწორირუღაცები, - ვაჰ, არ გადაგყევით?, - ვაჰხ!? - მოკლეთ, რაღაცას ვამბობდ-ვჭედავდი მგონი, ჰო, - აღსარებიკოსას, ერთიც ქართველის, - გულთგადმოშლაებს; ასე მაგალითად:

მუხლი ნუმერ I - იმას სმენიაცა და აღმოუკითხნიაც, რომ, ზოგი ვინმე მოყმე ოღონდ ზედაცკალმოსანი თურმე ძალიან ამბობდა რომ დედამიწის სრულიად-ზურგზე ყველაზე დიდი უბედრება-რამ და გამონაგონობით თავთვითონთავისიგანმამწარებულობისა და, რამე?, ეს - ქაღალდი და კალმისტარი თუ გინდბატის ფრთაა და იქავ-მელანი რაღა თქმა უნდა, თუმცა ეს უკანასკნელი სითხედ თუმც კია მაგრამ ძლიერ ნელინელ, წვეთოვანზედაც ბევრად ნაკლებად უნდა დაფიქრებული დიდად წრუპ-წრუპვი, კიე, კი, ჰოხოკი, დიახ, ზოგიც ჩიოდა გულამოფსკვნილი თუმც რკინის იყო რომ რა დააშავა მაინც ისეთი რამ რომ ყოველდღე იმ წუმპესა თუ უარესიც, ჩამნთქავ ჭაობში თანაც თავისით უნდა შეძვრეს თუ ჩაწვეს და დაინთქასა უბედურობანაში-იმ როგორიცაა შემსრუტი პროზა და ამაზე უკვე თუმც მოგხსენდათ სადღაც სამასურ გვერდამდე ადრე მაგრამ იმდენი დიდიიმდენი რა დაშავდება, ბევრი იმტელი არა უშავს-რა, გავიმეორეთ, თუ, ესა, აწიც, და

№ 2, - რომ პირველ რიგში ჯერ ხომ უნდა მკითხველი იყვე, რაგინდ კატურად, თუნდაც გამოჩენილად ცნობილ მწერალ-ვეფხისა, მაგრამაც ვეფხვი ცნობილია ხომ როგორც ერთ-ერთი გინდაც ფისოსიოჯახოვანი როგორც ასეთი და არა ცოცა გახლავთ თვით გინდაც რაიმ-ვეფხვივით დიდად ჭრელზოლიანის კუდი და დამქაში;

№ 4, - რომ თეთრის შურით უნდა ეძიო და მოიძიო საშურველი რამ, ოღონდაც ისე გულმოდგინედ, - გინდაც მტარვალი ანდა

№ 4 (გაგრძელება), - ქრისტიანი, ან; ან კი არა და, უფრო,

№ 11, - რომ თვითონ უნდა იყო შენივ თავისა თავისადმი გამოჩხვრიკნებში ყოვლად დაუნდობელი ყოვლად ისე რომ, გინდაც მზაკვარი,

ნუმერი 6, - რომ არანაირი შენდროინდელი მთავრობა და, საერთოდაც, დიდად არ უნდა გეპიტნავებოდეს გინაც მსხმოიარულად ბრახმთავრობისაგან აღიარებული ცხოვრების არცერთაპაპა აღვიარებული დასტურ-კანონი და, წესი,

№ 3, - რომ რგებული და კუთვნილი მხარე ანუ მამული და დედულეთი ისე გიყვარდეს, სუცუდს უჩხრეკდე,

ნუმერ 125, - აქებდე თანაც,

№ 81, - რომ გინდა-არგინდა ცოტათი სუფთა შენს ცხოვრებაში შენც უნდა იყო, სხვებისა როგორ დამრიგებელი, ჰეჰ; ჰოჰ; ჰიჰ,

№ 8, - რომ მასწავლებელზე უფრო მეტად, გაცილებითცკი, არის მოწაფე და გინდაც შეგირდი, და კეთილინებო როგორმე უნდა და, მკითხველისავეც მოწაფე იყო, ძნელია არა? - აბა მაშროგოგინდა, აბა ადვილი ფლავისჭამა და ტყვილა მგზავრობაა, კი, იოლას გახვალ, კი, მაგრამ, თავში ქვა იც და, იმოწაფევე,

№ 14, - „გინდ იყო სოფლად, გინდა ქალაქში, სახიფათოა ცეცხლთან თამაში“,

№ ოცდასამი: - და სადმე როგორმე გაახერხო უნდა მელანის შესაძენი ფული (1990-ანი წწ-ნწწ სრულიად საქართველო), რომელი მელანის მთლიანი თანხაც ანუ ზედაც თავისიც ფლაკონიანა მთელს სუყველაფერზედ საჭიროების იაფ საგნებზედ სწორედაც ძლიერ იეფია ოღონდ ეს მაინც ფულით და ხელფასური რაც გინდა იყოს თანხით მაგრამ სადაა ან ერთი ან აქედან გამომდინარე მეორეც ე.ი. (ესეცა ესა „ე.ი“ - მელნის ზოგვაა, - ფიჰ, ძაან არ გამოგვივიდა? ზოგვა...) მოლეთ,

№ 2143, - გინდ იყო სოფლად, გინა ქალაქში, სახიფათო არს მელნით თამაში, რადგან

მუხლი № 1 - პრიმი: რომ მთავარია სტილი, და არა, ეე, გინდაცრო ვინაძლო რითმა,

№ 1999, - რომ ნაწარმოებებისათვის არ უნდა არსებობდეს არავითარი შემამსუბუქებელი ქრონოლოგია, ოღონდ დასაშვებია გამონაკლისებიც,

მუხლი II - სეკუნდო, - რომ, დავუშვათა და, მთელი ორად ორი და გინდაც მხოლოდღა სრულიად ერთნახევარიც რომანიც კი გქონდეს, დასაშვებია რომ პირველი-ერთი იყოს გაცილებით თავშეკავებული ნებისყოფიანობით შექმნილ-დაწერილ-შეთხზულ-არმიფუჩეჩებული ხოლო მეორე ანდა იმისა ნახევარი ცხოვრებისეულად კუთვნილი წესის მიუხედავათ (“მიუხედავა-დ!“-უნდა იყოს, მაგრამ ასეა სტილით საჭიროე) უფრო ბრძნულათ კიკი არადა, არამეთ შტრულა-თ როგორც აქ, ჯინზე, ნაწერი, ეე, დაწერილი, ვეე, მოკლედ, - ვარესი იყოს; ანდა პირიქით,

№ 2 - ტერცო: და მაინც, იყოს; ხომ ჩავიყარეთ ყველაფერი ხომ, წყალში, აბა, მარტო მე კიარ ვიბნევი,

№ 2 - კვარტო: ასე რომ, „გინდ იყო სოფლათ გინა ქალაქში, სასურველია ცეცხლთან თამაში“, და

ისევ № 2 ოღონდაც კვინტო, - და არ შედრკე ბიჭო,

№ 2 - სექსტო: და მუდამ გახსოვდეს,თავდაჭერა, მაგრამ სხვა რაა, „ავოეეეს“ -ს, ფასი, მაგრამაც ოღონდ მხოლოდ ხანდისხან რასაკვირველია,

№ 1999-სეკუნდო: არაა აუცილებელი მაინცადამაინცურ გამოიყურებოდე ჭკვიანურად თორემ წააგეფ,

№№ 15-58, - და ხოლო თავდაჭერასა და თავისდაჭერინებას შორის, დიდი მზღვარია,

№ 15, - თავდაჭერასა და, № 58, - თავისდაჭერინებას შორის, მართალია დიდი მზღვარია, მაგრამ, ასე განსაჯეთ, ზოგს ურჩევნია მუხლი № 58.,

№ 7628, - ნეტა რომელი უფრო სჯობიან, თავდაჭერა თუ, - „ავოეუაავუუოეეე“, თუმცა, რა იცი, ეგებ იმათი ერთგვარი ნაჯვარი ანუ იმათგანური საჭირო ჯორი ოღონდაც კარგა მშრომელი,

№ 12 ანუ წელიწადი-თორმეტითვე, - არ ჩეიხედოთ ჰოროსკოპებში თავისა ეყოფათ,

№ 4 მლნ 973 ათას 478, - და ასე შემდეგ,

თქვენ ხედავთ, კაცო, თითქმის № ხუთ მილიონამდე, გვაქვს კანონი და იმასთან საქმე, ა?, საქართველოს სუახლახანა ყოფილ მოსახლეობას ვუტრიალებთ და ვუახლოვდებით, არის ასეთიც ერთი ქვეყანა და დამოუკიდებლად წოდებული სახელმწიფო, მაგრამ საქართველოში არქართველების ჯერიც დაგვიდგათ გარეულისა თუ შინაურის და თვით ქართველებისაგანაც კი, „თვით“ ბიჭო, თორე, „თვით“-ოო ბიჭო, თორე,

№ 1008, - და მაინც, მთავარია რომ, აი ისა რომ, ეე, ჰო, მთავარია ერთგვარი სტილი, თვითურად მკაცრულ ნუმერაციაშიც კი, მაგრამ...

კარგია! კმარა! კარგი-ჰო! კმარა!

... რადგან მხოლოდღა ამ კანონებით, რა დაწერილა... მაგრამ ნელინელ, ზოგ რაიმეს მაინცკი მივყვეთ.

...

ხოლო ერთი რამ მაინც მუდამ უნდა გვახსოვდეს, ეს ის, რომ, როგორც ერთ-ერთმა მაღლისწყალობით უდიადესთაგანმა, ოღონდ მწერლებიდან ასე ბრძანა რომ, რომ შესაძლოა ყველაფერი ეპატიოს ადამიანს ღვთისაგან, ყოველი ცოდვა - ქურდობა, მრუშობა, დაუნდობლობა, ცილისწამება, მოყვასის გმობა თუ შეჭირვება, ძარცვა და ყაჩაღობა და თვით კაცისკვლაც კი, სუყველაფერი, ერთადერთის გარდა - ესაა სიტყვით მრუშობა. ხოლო თვითონ მან, ამის მთქმელმა, ბოლო წუთამდე რაღაცით ბავშვმა, უსაზღვრო ზეციათმეშვეობით ეს, ოღონდ ერთთავად გაბუტულმა და ჯიუტმა როგორ, - ცხოვრებაშიეს, მაგიდასთან კი, - თითქოს სულ სხვა და ისე კი ანუ მთლად ნამდვილ და გან-ცხოვრებაში ვითომ, რაოდენ-რამთა მიმღწევმა როგორ, ვისი სხვა თუ არაფერი ხელიდანაც იშვა გადმოცემული სწორედ მისთვის და მასზე სულიწმიდათი გამჭვირვალებით უნატიფესად უდიადესი „კავკასიელი ტყვე“, „კაზაკები“, და „ომი და მშვიდობა“ - ნატაშათი და თვით პლატონ კარატაევიანი, და ვინ მოუთვლის კიდევ რაოდენი აუარება შვებისმომგვრელად დიადური ბედნიერება-რამ, მაგრამ, მეპატიოსკი მისიც კი განკითხვა რადგან ყველასი განმკითხველი მხოლოდ ისაა, ის - სხვა და ჩვენი, ძალიან ჩვენი, მეტი რომ არ იქნება ისე ჩვენი და განმკითხველად ისაა, სხვაა, მაგრამ ამ ზეცოდვის - სიტყვით მრუშობის - სიტყვით მრუშობის გამმჟღავნებელსა და მთქმელს, როგორ მაღლივურ დაბლითმწერალს, - ის არაფერი თავად შექსპირი რომ არა-დ მიაჩნდა, რადგან მხოლოდ თავისი სწამდა ქვეყნად ერთადერთი ჟანრი ანუ ერთგვარი

წარსამართავი სახეობა ანუ აღმზრდელი თუ ცოტაც შენითაც აღსაზრდელი და თანაც ოღონდ ეს როგორი უბრალოებით რარიგ მკაცრჩარჩოიანები და მაინდამაინც ეგებ არ ეშლებოდა ეს, არამედ მხოლოდ ცოტათიღათუ და დაღაცათუ ესაც კი არა რადგან ბიბლია - სიტყვით და პროზად ჩამოგვეწოდა, სულიწმიდათი, სულიწმიდასი როგორ სალუქად როგორი ბრძნული ზენითნაკვალევი, ეს, მაგრამ ამა ჩვე დიად მწერალს ოღონდ რაღა თქმა უნდა მხოლოდ მოჩვეულებრო ადამიანებიდან სწორედაც სიტყვით თავადვე ერთხელაც ისე მწარედ უმრუშია რომ, რომ, რადგან ძალიან ზედმეტად ხმამაღლა ანუ ნაწერშიაც კი განაცხადა რომ, არ სწამს, და არამცთუ არ ადიადებს არამედ ყოვლად მიუღებლადაც კი მიაჩნია თავად სახარებით ნაწყალობევი თვით ზიარების საიდუმლო და ეკლესიის მადლი... მან, თუმცა ბავშვმა ოღონდ მაგრამაც დიდად ჯიუტმა და შუბლშეკრულმა, წარბებმოქუფრულმაცა და უკარებამ, და გულმოსულმა სუცოტა ორი კუთხით, რაღა თქმა უნდა დიდის შეცდომით მაგრამ ისევ და ისევ იესუსი და ქრისტესადმი როგორი უზომო, თავგანუკითხავი სიყვარულით, ეს, და როგორ ვკადრებ რომ წამოროშა და წამოაყრანტალა ეს, სხვა რომ არაფერი, ხელთნაწერია, მაგრამ ხელთნაწერისთვის დრო მეტი გაქვს და დაფიქრება, თუმც მეორის მხრივ აყრანტალებული ქაღალდიც ბევრი გვინახავს და მერე როგორ, მაგრამ დაუშვა, ასე ვთქვათ, ესე და ძალიან რბილად რომ ვთქვათ უზომოდ შეცდა ამიტომ, ალბათ, რომ მხოლოდ ზოგად სისხლისსმად და ცოცხალხორცჭამიაობად მიიღო როგორ დიადად მაღლებულობა, ზიარება, ეს, - და თან სწორხაზოვანი და პირდაპირად უბრალო ჰიპერბოლებისა და რაღაც ამდაგვარების მოშველიებისაც და საჭიროება ისედაც ჩვეულებრივ სულაც არა სწამდა, - და თუ დიადი განმკითხველი..., - მეპატიოს ეს მომკრეხელურად მეტიჩარული კუდაბზიკობა, მაგრამ ვაითუ ბნელის ძალით, ამ ჩემანალა თავზედ მოხვეულით, და თავხედობა ეს და, მაინც ვიტყვით, თუ, აპატიებს, თვით ზიარების უარყოფას, ყოვლისმპყრობელი, - ეგებ, თუ ალბათ, მაგრამ ალერსად წყნარი, ვისღაარგინდა შემფარებელი ყუჩად მაღლივბრძნულ ეკლესიისა უარყოფა კი, აიიმ სახლის, მამაღმერთის და ძისღმრთის, სახლისა, იმ, და მეტიც უფრო - გამორჩეულად წმიდა პავლეთი - ქრისტეს სახლსაც და, თვით სხეულსაც! სადაც რომ სულიც სულიწმიდასი ფრფვინავს ("ფრფინვა - გუნებით შეხარილი", „გუნება - შინაგანი აგებულებათა მყოფობაᲐ"), გმობა სახლისა იმ, ამ, თავშესაფარისა და მეტად-რამ როგორ - სულშესაფარელის, სულშესამფარველისა, ძაან ძნელად თუ ეპატიება ვინც გინდა იყოს, გინდაც იგივ სიტყვით მრუშობის, მგმობელს, და მთლადაც უპატიებელი იქნებოდა ძე-შეცთომილი ძალიან ესა ალბათ, თუარ კიდევ ეს: ეს ხომ იმისიც, და მისიცა და მისგანაცაა თუნდაც მხოლოდღა ხელით გამონაწოდი როგორ გვირგვინად უბრალო-ვითო პლატონ კარატაევი, სულიწმიდასი სათნო დამქაში.

დე, მეც მეპატიოს ეს ჩემი თავხედობა, ასეთად დიად სივრცეებში ჩარეულობა, მაგრამაც ადრე, ამავე ნაწერში, ამავე ავტორთან, ტოლსტოისთან და თვით ტოლსტოიზე, ამისი ართქმა როგორღაც ძალიან მაკლდა. მეთანაღრებოდა, გულს; მეგულებოდა არასრული.

მაგრამ, ხომ გინდაც ვთქვით უკვე, არა?, აი ეს ცოტათიც ოდნავ ზემოთქმული, მაგრამ, ამასთან ერთად, ვერასოდეს მიუწვდომელი გაელვებაეს! - აქვსეგებნეტარამესაერთოამას - „ვითარცა ერთი ჩუენგანი“ -სთან?

ეჰ... ადვილრამ-ებზე გადავიდეთ, ეჰ.

მაგრამ აქაც კი დიდად სახიფათო მაგალითს უნდა მივმართო ერთს:

ვისღა აღარ გადააწყდა აქამომდე აეს უღირსი, მაგრამ, მე ჩემანალამ ჩემი თავი რომ მოვიყვანო გვიან მაგალითად, სულაც არ აჯობებს ასე? ოღონდ, რაღა თქმა უნდა პირად მაგალითობაში ნუ ჩამომართმევთ, არ დაიწყოთ რომ სამაგალითოდ მოაქვს თავიო, უბრალოდ, ჩემი ნაწერი უკეთ კი არ ვცან უკეთღა ვიცი, და, ნეტა შევძელიი, თუნდაც მხოლოდ მარტოკა ჩემთვის, იმ დიდებულად ნაბრძანებიდან, რომ - საკმარისი უნდა იყოს შთამომავალით წიგნის გადაშლა და „მოძრაობა განახლდეს ისევ, რადგან ეს მოძრაობა - ცხოვრებაა“, ამ აქ მოსაყვან ადგილას კი, რადგან შევტოპეთ, უღირსი აქა თვითონ თავადაა თავისი თავის თვით დიდის შურით მოსილი შთამომავალი, რადგან ბავშვობის დროინდელი, ერთიც ქართული ნაღდად, სოფლის მონატრებაა მძაფრიც და მყუდროც, ეს:

სტუმრად ჩასული იქა

„სანდრო ჯერ მიდიოდა მცირე მოლისკენ, სადაც ვრცელი მუხა იდგა ერთი, დიდად ნაცნობი კონწიალათი, ჟანგმოდებულ ჯაჭვს აუცილებლად შეახებდა ხელს, არც შეჩერდებოდა და, ისე. მერე წნორებარიგებულ, მსუყედ შრიალა ღელეს აუყვებოდა, სუფთა ჰაერით იწიწკნებოდა სანდრო, უცხოდ სუნთქავდა, ქალაქელი, იქ ცა იყო როომ, ხოლო აქაიქ - ძროხა, ცხენი, თხა. მერე პატარას ჩაივლიდა და, წყარო! ცხვირპირჩარგული, სვამდა, აჰ, სვამდა, ვიღაცაც სვამდა სულ სხვა წყაროს ოდესღაც, სადღაც, მონადირე კი ლელიანში... მაგრამ ამეებისთვის აღარ ეცალა, სანდრო იმ სახლის გასწვრივ მიაბიჯებდა, სადაც დიდრონი ქოფაკები სუმუდამ ჰყავდათ და ახლაც, ღობეს მომწყდარნი, გაავებულნი, უყეფდნენ, ჰყეფდნენ, ყელჩაფხაჭნილნი, ღობის გამონგრევას ამაოდ ლამობდნენ და, ლამის იღრჩვებოდნენ ყეფით, მაგრამ ესეც კი, ძველდროინდელი და მოსალოდნელი, მშობლიურივით იყო. მერე დიდ ველთან გაივაკებდა, შეჩერდებოდა, გახედავდა და, დაადებდა თავს. სანდრო მიდიოდა გადახნულ ველზე, ფეხქვეშ ბელტები ეზნიქებოდა, ღრმულები აჩდა ალაგ-ალაგ მიწას, რაღაცაები ცხოვრობდნენ იქა, ბნელ საცხოვრისებს ნაბიჯს არიდებდა, და მძლავრად გადახნულ, ტორტმანას თითქო, ველს რომ გადაივლიდა, ჯერ - თხილი და პანტა, კუნელი, მაჟალო, კვრინჩხი, ჰეჰეჰ, ძახველა დაკუნწლული, ფოთლებზე ალაგ - დაწინწკლული მფრინავი ხოჭო, სახელად მაია, ტოტებზე - ნისკარტით ძნელად შესათხზველი ჩიტის უბრალო ბუდეები, და რკოდაყრილი სქელი ბალახი, სოკო, და ვერც გაიგებდა, ისე ამოჰყოფდა ქართულა ტყეში თავს“, -

ენატრებოდა, ყოველივე, თანაც ძაან... - რა ექნა უღირსს, ქართველი იყო.

და, ქართველს გარდა, თავისი თავის შთამომავალი, და დიდად გასაკვირი არაა ეს, გასაკვირველი კი ის იყო სწორედ, შეუძლებლობასავით რამ, შვილი რომ შესაძლოა

მამადაც გადაექცეს ადამიანს, ვისმე, და შვილი არა ხელითმომვლელი და თვალწინითი. რადგან ყოფილი მამა, ძისამოწაფედ გარდაქმნილი, შესაძლოა რომ თავის ყოველ ნაბიჯს სულახლახანა ფეხადგმულივით უკვირდებოდეს, რათა ისე აღიზარდოს თავად და თვითვე ახალი მამის, შვილის უხილავად და მაინც მუდამ მისა წინაშე რომ იმ უცილობელ ქვეყანაში რომ - რომ სწორედ იმასთან, თავის შვილთან, გარდაცვლილ შვილთან სამუდამურად, სამუდამუროდ, სამუდამისოდ, სამარადისოდ, მოხვდეს, მაგრამ ვერაგი ძალა, არცთუ მეჩხერულად, ადენინებდა, სხვას, ეჰ, და შვილითობოლ საწყლად-კიკო უღირსს კი არა, მთელსაც სოფლებსაც ასხვაფერებდა, და მათგან ხოლო ერთში

იქ „იშვიათადღა ჩასული სანდრო აუცილებლად ავიდოდა ხოლმე ახალი დიდი სახლის აივანზე და, სიგრილეში, იდგა, იდგა, იცქირებოდა. ნათურებ-ჭაღიან სახლებს ჩახჩახი გაუდიოდათ ღამეულ სოფელში, ეზოებშიაც კი ბრდღვიალებდა დიდი ნათურა, მაგრამ სანდროს - ფიქრო ცოდვილო და - ის ღულელები, გაჭირვებული, ბევრად ერჩია, ჭრაქებითა და სანთლებით მოიდუმალოდ აბჟუტებული, ხოლო ორიოდ შეძლებულ ოჯახს თვით ნავთის ლამფაც კი ხელეწიფებოდა, ძირითადად კი სანთლებიანი ღამისპირა მუქი სოფელი წყნარად, ციაგით იღვენთებოდა, ახლა კი ვეღარც გაიგებდი, სად ეძინათ და სად - არა, და გარდასული ბავშვობის საძიებლად ჩამოსულ სანდროს გული და ყელი ეკუმშებოდა, რადგანაც მაშინ, ბავშვობაში, იყო და ახლა კი აღარ - კალო, იყო წისქვილი და ახლა - სამუდამოდ ჩაქცეულიყო და მოყავისფრო დიდ სადღვებლებში აღარ აკოწიწებდნენ კარაქს, და სოხანეზე ვეღარ დაიარებოდნენ, ხოლო პარკეტი, სანდროს აღქმით, აღარ იყო ხეც, და მაინც, სანდროს მკვეთრად და სამუდამოდ ჩარჩენოდა ის ღულელები, როცა ღობე უფრო იყო ღობე, და ბლის ხეც კი თითქოს უფრო იყო ხე, და ძველ შინაურ ხეებთაგან დეიდა ერმონას ეზოშიღა ტვრინავდა ის ერთი ვაშლი, სანდროსი მამის, პეტრე-ექიმის ხათრით რომ არა სჭრიდნენ, და, კიდევ კარგი, ალაგ - თონე შერჩენილიყო, ხელოვნურად განათებული სოფელი თვალს სტკენდა, აივანზე გამოსული სანდრო მგელივით სუ ტყისაკენ იცქირებოდა, სადაც ისევ ფშვინავდა საშიში და ძველი ხუმბაბა,და თუმც სანდროსავით ცოტათი ისიც შემელოტებულიყო, მაინც ძველებურადვე იფარებდა მგლებს, და, ყველაფერზე მეტად კარგი, რომ მექანიზატორებსა და კანტი-კუნტაებს გარდა აქ ისევ ისე იმ შეურყვნელ, ისეთ უნებურ და გულის ქართულს ლაპარაკობდნენ, რომ სამშობლოთი ძლიერ შეგძრავდა, ღულელები - ეს მისი სამშობლოს გამორჩეული ცრემლი იყო, უფრო - კურცხალი, რადგან სწორედ იქ აღსადგენელად დაეძებდა თავის ბავშვობას, ხოლო ბავშვობა, მოგეხსენებათ... ეე... კარგი იყო“.

კარგი იყო, კი, და სევდაც, სევდა, სულით ნაღველი...

მაგრამ ნუ გადავუხვევთ - და ხომ მშვენიერი კარგად ძალიანი იკითხებოდა, არა? ლამის წყალივით... უძალისძალოდ იწერებოდა, ძალდაუტანებლად, ალბათ... მაგრამ არა!, არრა!!,

და, თუმც: „ეს ერთადერთია ქვეყნად არსებულ ხელობათაგან როდესაც ყველაფერი კარგია, რაც შეგემთხვევა, გამოუსწორებელი უბედურების გარდა - უსაშველოდ

გრძელ, აზუზუნებულ რიგში დგომა, დაღლა, შიმშილი, ყოველივე ეს ძალიან კარგია; კიდევ უფრო კარგია გატეხილი ძილი და ღამის მიუგნებელი ხმების ყურისგდება, ბნელ, უკაცრიელ ადგილას თავსდატეხილი შიში, ყინულოვან ხელებს უცებ ნეკნებში რომ გტაცებს; მომაბეზრებელი ლოდინიც მშვენიერებაა და წონასწორობადაკარგული, გაცოფებული, სადღაც გულის კუნჭულში მაინც გრძნობ, რომ მშვენივრად გამოგადგება ყოველივე ეს; და მხოლოდ ის რად ღირს, თუ უცნობები თავისთვის წყნარად საუბრობენ და თუ შენ, კუთხეში მიმდგარს, თავშებრუნებულს, ყველაფერი გესმის და არასწორ, მაგრამ ბუნებრივ გამოთქმებს ხარბად იმახსოვრებ - ეგება რომელიმე გამოგადგეს სადღაც, ხოლო თუ მძიმე, ერთხანს უიმედო ავადმყოფობის შემდეგ გამოჯანმრთელდები, ოო, პირდაპირ ღვთის წყალობაა“,

კი, მაგრამ როგორი ჩათრევა იცის, რადგან „თავიდან ადვილი იყო. თავიდან, იცოცხლე, ძალიან ადვილი იყო - ნახევრადნამდვილი ამბავი, პატარა სითბო, ზომიერი ოცნება ბედნიერებაზე, გრამატიკულად უშეცდომო მოკლე-მოკლე წინადადებები და კეთილი სურვილები გამომშვიდობებისას, მორჩა - ეს იყო და ეს“, კი, ასე იყო, „მაგრამ თანდათან, მერედამერე, მერე... მერე გამოჩნდა ორი გზა, ერთი - განიერი, კეთილმოწყობილი, გაჩირაღდნებული, ოღონდ დაღმართში შეუმჩნევლად მიმავალი“, მეორე კი „ბნელი, დაკლაკნილი, ვიწრო, ადვილად გადასაჩეხი და უზომო ტანჯვისა და ბედნიერების მომტანი“... - აჰ, თავის დროზე უღირსი ვუჰ როგორ დიდად აღფრთოვანებული იყო ამ ეგონა რომ თავისი აღმოჩენით, თუმც გარეგნულად არ სჩვეოდა და არც იმჩნევდა საკუთარ-რასმით აღფრთოვანებას, ეს შინაგანად, მხოლოდ, და მთელი შიგანითვე როგორ გამორცხვდა, ბიბლიაში რომ ამოიკითხა თურმე ეს მხოლოდ საწყისივით რამ და თან არაერთგზის; შერცხვენამდე კი, დაიბნა, ეს მერე შერცხვა, მერე გული დასწყდა, მომჩვარდა, გაცამტვერდა და, გამხნევდა მაინც - თვითონ ხომ იცოდა, უბრალო იყო, და თუმც „არ მომიპარავს, მიპოვნია, ახლა ჩემიაააა“ც არ იყო ეს, და მაინც თავისი უბადრუკი თავის ამ დიად წიგნთან როგორღაცნაირად გინდაც უნებური, თუმც გინდაც კი არა თვით უნებური თანხვდომა, გინდ უთვალავჯერ მეტრილიონ კი არა და მთლად უუთვალავესმენამცეცედით, - (?) - ეამაყაჰეჰხ! მაგრამ იმდენად არა, რომ დავიწყებოდა რომ ყოველთვის შეეძლო იმ ვითომდაცრომ კეთილმოწყობილი გზისაკენ გადახვევა, და, იმ ფართო გზისაკენ გადასვლა რომელსაც ვიცით საითკენაც თუ მივყავართ, სიტყვით მრუშობით, მოლიპულს ისე? - ვახ, და ამიტომაც მაგრამ ყოველთვის მაინც იმ სიპი აღმართისაკენ იყურებოდა, რომლის ბოლოშიც უცნაურსახელიანი მწვერვალი უნდა მდგარიყო - „დიადი ვერასოდეს“...

და რაგინდ ეგრეთწოდებულ რომანტიზმიკოსურად აღეჭურვა თავისი საქმე, და რომ „ისე კი, წერა მაინც კარგი იყო, კარგი იყო წერა აფხაზეთის მთიან სოფელში, სადაც ღამით აუარება მწერი დაბოდიალებდა ნათურის ირგვლივ და ცხვირ-პირზედაც ეხლებოდა, ლუკა (უღირსის ყველაზე მეტად საყვარელი სახელი იესუს შემდეგ და იოვანე და პეტრესთან ერთად)... ლუკა დროდარო სინათლეს აქრობდა, აივანზე გადიოდა და ღობე-ღობედ, ეზოში, უამრავ აბჟუტებულ ციცინათელას გაოცებული დაჰყურებდა, მერე ისევ შებრუნდებოდა, ნათურას ანთებდა და

წერდა, სანამ ოთახი კვლავ არ გაივსებოდა სინათლის ჯიუტი მაძიებლებით და სანამ აუცილებელი არ გახდებოდა ნათურის ჩაქრობა, მწერები გარეთ რომ გაკრეფილიყვნენ და, სწრაფად რომ გამოეტყუებინა, აივანზე ასანთს ანთებდა და ასე, ციცქნა სინათლით ხელაწეული იდგა, ეზოდან კი დუნე გაკვირვებით უმზერდა დაღლილი, ხეს ზურგით მიყრდნობილი ცალთვალა გლეხი; კარგი იყო წერა ბორცვებიან და დაბალხეებიან მხარეშიც, სადაც ყველაფერი დეკორაციას ჰგავდა, კარგი იყო მადლიან ქართლშიც, სადაც ყოველივე სინამდვილე იყო და სვანეთშიც, წარმოუდგენლად, გოროზად აღზევებულ კუთხეში, სადაც საღამოობით, დიადი მიყუჩებისას, დალის და დავუს არსებობა ისე კი არა, მართლა გჯერა... და წერა კარგი იყო იმ ხრიოკ, გველებიან სოფელშიც, სადაც წამდუწუმ გელანდება რომ ქუსლში ორი წვეტიანი, უმიზეზოდ გამწარებული კბილი ჩაგაფრინდა...“, - უმიზეზოდ, გამწარებული?.. მოკლედ, აესა საქმე ასეც მშვენივრად გამოიყურებოდა, არა?,

მაგრამ არ იყო, პატივცემულებო მხოლოდ ასე და მთლადაც რომანტიკულად ასე, არამედ -

...

...

... რომელი ერთი.

მაგიდასთან თვით მხოლოდ დაჯდომაც-კი... თორემ ზოგიერთ მაგიდასთან, იცოცხლე... მაგრამ საწერთან? - როგორი შიში... და ამიტომ და ამიტომაც ფეხის ათრევა, და კიდევ კარგი რომ მომცრო, ბინად წრიალი, მაგრამ სადამდე, სადამდე ეს, და მაგიდის შიშით თუნდაც წუთობით საათობრივად გადადებისათვის მისი, და გასაჭიანურებლად მუდამ მძიმე და მარადუცნაურ რამს შედგომისა, საბაბმრავალი ფანტაზიები, მისი, ასე მაგალითად: „წყალი მოშვებული ხომ არ დამრჩა... არა, არა, დამიკეტია. და კარი ხომ არ...“ და ახლა კართან მისვლა და - „არა, არა... ნეტა რატო ვკეტავ... ქარი ხომ არაა? არა... რაღაცა მრჩება, მგონი, შესამოწმებელი... არაფერი... მგონი ყველაფერი გამორთულია... ჰო. ჰო, - იქით ოთახში ფანჯარა ღია ხომ არაა, რა იცი, ქარია“... - კიდევი მისვლა ფანჯარასთან, - „არა კაცო, არა. დაა, აახლა... ეე, ჰო - მგონი მწყურია“... - და, შარი თუ გინდა - „რას ვიჭყიპები!“ ეს ყველაფერი დავუშვათ, კარგი, მაგრამ ახლა რა... რაღა... რაღაღა... ჰო! - „კაცო მგონი რაღაცა ჩამივარდა თვალში“... და, ნირშეცვლილ თვალებს უქმად ისრესდა, და - მგონი არა, არა..., და, ეე, კაცო, მგონისიცხემაქვს... არა, არა, ფიჰ...ეე... ეეე... ეე... ჰე..., დაარიკო ვარ გლეხის ქაალი ეე, ჰეე... ვაჰ, დარიკო რა იყო... რა შუაშია“... - მაგრამ კი, იყო, შუაში იყო მაგიდისეულის გადასადებად... „დაა, ა, დااااა... კაცოესფეხსაცმელიამფერისროდისიყო! სად დაუწყვიათ..., ანდა ეს, ეე... კარადას რა ქვია... ჰო, კარგი მეყო ახლა, დავჯდები, დავჯდები, კი დავჯდები კიკი, დავიწყებ, ახლავე დავიწყებ როგორ არ დავიწყებ კი როგორ არა მაგრამ კარზე მგონი ზარია... მობრძანდით... მობრძანდით!.. ვაჰ... არა... არავინაა, რა ცუდად იკეტება... და ტელეფონის ხომ არ იყო... რახომ არ იყო... ზარი, რა... დიახ, გისმენთ... ტუუდავაიშენდა... რა, რა მე? რა და...რა და...ეე, რადა...“

რა და, კიპლინგისეულად დიადი

„ეს შიშია, შიში, პატარა მონადირევ!“, და,

გეშინია, ხომ? გეშინის ხომე? ხომ კი გეშინის? შიში თუ გინდა სწორედ ეგაა... რად უნდა ამას დოლებიანიც ჯუნგლები, და ბაობაბები და რამე... ჯუნგლია ისეც... რა ჯუნგლი, კაცო, ყოვლად უფოთლო ერთიც მაგიდა? მაგრამ დიახ, კი... და ნეტა მარტო ჯუნგლი, მთელიც თავისი უბედურობებიანა, იყოს... მეტი შიშია... და შიშწინასწარნაჭამი, ჰეე, სამაგიდასთანე, ჰეე, ეე, და რატომ... ალბათ ხიფათი... თუ განსაცდელი... და ხიფათიც ხომ განსაცდელიაეს აბა რაა... თუ რაღაც მეტი და მაინც იგივე... აბა ერთი სინონიმების ლექსიკონი ვნახოთ, თუმცა სინონიმები არ არსებობენ... კი, არ არსებობენ, არა რაღა თქმა უნდა... მაგრამ მაინც ერთხელაც შევამოწმოთ, და ვნახოთ მაინც... სადაააა, კაცო... ჰო, აი... სადაა აბა, შიში, შიში არა ის... ისედაც ვნახოთ... რეებთანაა, სინონიმურად ვითომ... სადაა კაცო შ!.. ჰო... - შელაპარაკება... შერეკილი... შერკინება... ვა, რაღაც ემთხვევა, ხოიცი..., შერჩენა... შერცხვენა... რაო, შერცხვენა?.. - არა-არა... უნდა გამოვიდეს... დავწერ, დავწერ, დავწერ, შევძლებ... ჰეჰ, ესაც შე-აჰ - შევძლებ... კი, მაგრამ ჯერ გადავშალო... შერცხვენაო, ჰეჰ... ისე, ძნელი ადგილია... შესანდობელი, აჰ, რაამბავი შეა... მართლა ძნელია, რადგან წყალივით უნდა იკითხებოდეს... მაგრამ ვინ რა იცის ადვილად წასაკითხში, ანუ წყალში რა ყრია... აბა კიდე იქით... მაინც შე-ყინება... რა ყრია კი არა, რაგინდაღნაირი თევზები დაცურაობენ ღრმაშიგნით იქა... კიდევ, შე.. კიდე გადავშალოთ... შეშფოთება... შეშეფოთებაო, ვაა - შეშფოთება და კი არა და, ნაღდი თავზარი... შექება... - აჰ.. არა, ეს ნამეტანი გადაშლა მოგვივიდა... მაინც ნეტავი რეები წერია, შეჩუჩხუნება... შეძლებაო, - ვაჰ... არა შეჯდაო... ვითომ?.. შეძლებაო, ვაჰ... არა, მაინც სადამდე უნდა ვშალო აქეთიქით... ისევ შეშფოთება? - მერამდენედ ვაჰხ - შეშფოთება-ღა მაკლდა სწორედ, ისიპატარა... თუმცა, რა უჭირს ათასში ერთხელ... აბა კიდევ... მაინც შეყინება, ვახ, კარგად გადმოვშალოთ, შენ ხედავ კაცო, როგორ დაემთხვა? - შლა... ვა?... შიშველ-ტიტველი... და ჰაც, კიდევ კარგი...“ და მაგრამ: „ფუჰ, - 1. ნ. (ნახეთ) 2. ზარი, - ვეჰ, ზარიღა მინდა, ვეჰ - და, ალბათ, აქვე რომაა, ეს - 2. შიში ნ. საშიშროება, - თფუჰ!, კიდევ, ნახეთო, ხედავ? მაგრამ ამდენი ტყუილა ხოარ ვშალეთ“ - რა მრავლობითი აუტყდებოდა ხანდახან ხოლმე, მოწმეღა აკლდა, - „მაგრამ ბარემ მიდი ბოლომდე“, - ვის მიმართავდა ნეტა, საკუთარ თავს თუ უფროც საკუთარს, მაგიდისპირულს, მაგიდისპირას, თუ ხელისშემშლელს, თუ მომნატრებელს მელნური საქმის, ზემაგიდისას, ვინ რა იცოდა, აღარც თვითან, არეულიყო, „სადაა აბა საშიშროება“, - და, იმხნევებდა თავს: „საშიშროება არა ის... ჰო, უნდა გადმოვშალოთ, - ნახეო... - ვნახავთ! ვნახავთ, ვნაახავთ, მოდი ვნახოთ თხაა, რამ შეჭამა თხაა, მე ვერ... ფერწასული... რა ყველაფერი ემთხვევა, კაცო, თან ნამეტანი, გადახტომა გამოგვივიდა, და მაინც გადმოვშალოთ, მიდი... უმეცარი...ჰა!? ა?... არა კაცო... უეცარი... ვეღარ გადმოვშალე? ვახ., კიდე არა... ჰო, რა ს - სიტყვის გამოგება, ვაჰ... - რაამბავი დამთხვევებია... - სიმკვირცხლე... - მეტი რა გითხრა, ყველაფერია სიმკვირცხლის გარდა, თუმცა რა იცი... საცხოვრებელი ადგილი... - ვაჰ, ეს თვითკი მე? ვი?... სამგზავრო - ვა?... სწორია ხოიცი, სამშვიდობოს გასვლა - ეეჰ, სადაა... სასუქის შეტანა - ჰმ... ალბათ ეპითეტი, საყრდენი - ვაჰ... ეპითეტი ან ჰიპერბოლა, თუმცა ჰიპერბოლა რაღაც მაღლისკენაა,

სასუქი - დაბლა... მიდი-მიდი კაცო, გამოვსულელდი მთლად, გადაშალე... და სსუ...“ და ჰაც, როგორც იქნა, მაგრამ - „ვაი, 1. საშიშარი ნ. ამაღელვებელი - ამაღელვებელიო, ჰოხ... მეტი შენ რა გითხარი, საშიშარი და ამაღელვებელი ერთი არ იყოს... ამაღელვებელი? თუმცა ეს კი, კი, ამაღელვებელიც როგორ არა, მაგრამ რას ვბოდიალობ, და კიდევაც კარგი, აქვე - 2. საშიშარი, - საშიში, მოსარიდი, მოსარიდებელი, სწორია რას ერჩი და - სარიდო, სარიდალი, სახიფათო, საფათერაკო, მართლა ხო იცი, ეს კი, ნაღდად, კი, და სხვებიც რომ ემთხვეოდა? რას და... არა კაცო, რისი შიში და ფერწასულობა, ფერწასული არა ის“... - და მაგრამ, იქვე, და როგორღაც ანაზდად, და უცებ - ხელთ იშვიათად ნახმარი სარკე, სარკეც კი, როგორი ეჭვით ჩასახედი, კი, მაინც კი, სარკე, და, მოიმედობა - „ფერწასულობა არა ის... პირველად ხომ არ უნდა დავიწყო, შიშიო, ჰმ... აბაა, წავედით, მივიდეთ, მელანი თუა, არა, როგორ არაა, არა, არა კალმისტარში თუა, მგონი კი კი, გუშინ არ შევავსე? - კია, კი, ნაღდად იქნება, აბა წავედით, სარკის გატეხვაზე რასისულელეებს იძახიან, ცრუმორწმუნეობა, ფუჰ, მაინც ფრთხილად დავდოთ, რატოუნდა გატყდეს, ასე, წინამძღოლის ადგილი, ცოტა ძნელია, არა, ცოტათი კი არა, რა მეწინამძღოლებოდა, ვაჰხ, ესსარკერაღამმომანდომარომელიკეკლუციმევარ, მაგრამ გვეყოფა ჰო კარგი!, აბაა, წავედით-წავედით, გვეყო ამდენი ბოდიალი და მიდებ-მოდება, წავედით, აბა, ჰა, მაგრამ მგონი კიდევ რაღაცაც ეწერა...საინტერესოა მაინც... საცა ამდენი... ჰო - 3.საშიშარი ნ. საფრთხილო..... - წადი ერთი თქვენი!.. საშიშარებიან-საფრთხილოებო...“,

ოცდაათიოდ წლის წინ კი, გასამხნევებლად, ერთი რამ ძალიან შველოდა, ჯერ როგორ მომწიწებლურად მიძღვნილ თაყვანისცემად და, დაბრუნებული მისადვე, რწმენულა შვებად, თავისი მადლით როგორ ზეღონედ და გასაძლიერებლად, პური... მარტო სურნელიც, იმისი, როგორ ამხნევებდა. აიიმ თავისი გრძელი შრომისა, ერთადერთიღა-რამ სიტყვებით შესამოსის, და ვისგან და რისგან და რა და ვინ ეს და, ეს - ჯერ ის მადლი და ჯერ ძალისმძებნი თვითონა და მერე ქაღალდზე როგორღაც ფრფინვით გადასატანი ეს სხვადასხვაგვრული როგორ ძალა და თანაც მფრთხლურად რადგან დასხლტომა თუ მიკარგვა იმ ერთადერთმა სიტყვა-კენტამ თავისისავე მსგავსებიდან იცოდა ისეე - რომელი თევზი, ძლიერ იცოდა, კი, მერედა როგორ სალოლიავებელი, იყო, ირგვლივითურა ყმებით, იქა სუყველა მიმოსაძებნი ერთიმეორის ყმა და ძმა იყო და შემმობილებული, თანაც; ესაცა უნდა ჰქონოდათ, კი; მერედა ვისით ბოძებული, თითოც მათგანი, საიდან, რისგან და რისამე, როგორდა მერე;.. - ეს სიტყვისა და სულის ნაზავი, გინდაც უბრალოდ გამომყურე, სრულიად ცალიც, სიტყვა „კი“ -სავით და ეს როგორი საჭირო მაინც, - კიკო; - თავის ადგილას? - გრძნეული როგორ, ის იყო ერთი, ერთადერთი, ერთადერთულად ბრძანდებოდა, მაგრამ პოვნა უნდოდა ხოლო პოვნას კი - ოფლი უნდოდა, მელნისმიერი, შავი, კუნაპეტი, ოღონდაც შვებად და მოწიწებად, მზეურდებოდა რადგანაც მერე, ეს - ჩვენი კი-კო, და ახლა სხვებსაც მსუყედ გრძელებს აღარ იკითხაავთ, რაღანაირნი აღარ იყვნენ: გინდ თვითმპყრობელი, გინა მორჩილი, თუგინდ თვალთმაქცი, და გინდაც შტერუკინა მაშასადამესავით და ხოლო ზოგს კი, - მეამბოხე უფრო გვიყვარდა, თან უცხო ნიღბით, - ვუხ! - რადგან თავნებად დიდ-უცნაური, თავისა თავის თავისაზ-

ნებად,თან, ჯერ სულ ვერ იცოდნენ ვინ იყო ისა, რადგანკი ისი სუსხვისა იყო რადგანაც, ჯერსხვა, და მოსათოკი თუ ნაბოძები თან და გახედნილი მაინც როგორღაც თუ შენი გამხედნი, და ვინ რა იცოდა, ესაროგორ - გრძელი წვააალებით საძიები და ანატკივარი და წამებაშემყრი და აქეთ დამჯიჯგნი და რა შორეული სულ ახლახანად და სუ სულ-ჭიდილით მონაყვანი ანაცდა როგორ უეცრადმომვარდნი და როგორ მაინც კიდევ კარგი რომ ხანდისხანობით როგორ უცებ უცები, როგორ, - საქაღალდო-ე, სადღაღა იყო სულისმოთქმები, - სიტყვითშესაქმნი, სიტყვითსაშენი ყველა ადგილი, სულსუყოველი - გადამწყვეტი იყო, და თუ ზოგი რამ - შეუმჩნევლად და ზოგიც - ფარულად? - მთლად უარესი, მთლად საქაღალდო ოღონდაც იმის თუმცა ზემოდან და თან შიგნი-შიგან, თვით საქაღალდე-დ, თუმც არა, ვერა, ჯერ ესაც ხეირიანად ვერ იცოდი, საქაღალდ-ე ხომ პაპკაცაა თუ რაღაც ოხრობა და რას შემოეჩარა, ამამბნევია, ანდა, თუ, ეე, ქაღალდისა, იყო, შეფარვულობა და დამქაშ-დამქაში უწყინარი მითომ სიტყვები რომელთა შორის ნებისმიერი სწორედაც ისე უნდა მორგებოდა თავისკერძ სიტყვებს,თან გვერდით უნდა ამოსდგომოდა მთელი თავისი სისავსით და თანაც ზედ შუაგულში უნდა ხვდომოდა, რადგანაც ღირსი და საპატიებელი ყოფილიყო თვით..., რისა - ნეტავი როგორ გამოითქმება - რის, ქაღალდისა? ქაღალდოვანი? ქაღალდიმიერი? ქაღალდისეული როგორმე? ქაღალდზე, ანუ ქაღალდად ქმნილი? თუ, ნარგუნევი ქაღალდის ღირსი? იმ ქაღალდისა რომელიც რომ ძალიანაც რომ სწორედ შენია და გინდაც დასაპყრობი ოღონდაც შენგან მსახურება უნდა ისეთი, ისე ძალიან, თუ - როგორც შეგიძლია? - არა, ეს რაა, არაფერია, არამედ - როგორცგეგონარომარშეგეძლო!, და საამისოდ, ზოგძველი სიტყვაც, ქაღადლიურ სულს რომ ღაფავდნენ, გადაგერჩინა დავიწყებას ძალიან უნდა და მივიწყების ღრჯუ ჭაობიდან როგორ ძნიად და თან შეუმჩნევლად ამოგეყვანა, თანაც შეფრფინვით, შენ იცოდი და იმან იცოდა, ნამდვილი ფასი, და - ჯერ იმ მთლადაც მთავარის და დიადის სრულად ვერცმოდნე არა მაგრამ, მცირედადმცოდნე, მცირედმორწმუნე, მთავარ გამომზრდელს, დამაპურებელს მართლა, და მართლა, აღმსრულებლურად ფრთხილადა და ძაან თვალებმოხუჭული ყნოსავდა ქრისტესიმიერ ამითაც ნაბოძი ძალის გადმომცემს, უკურთხეველს თუმც, და რაღაცა მაინც, მაინც იყო, რაღაცა ჰქონდა, რაღაც კი არა თავიდათავის ნამცეცი ჰქონდა!, ძევს, და, ორსავე ხელით მოწიწებულად აღებულსა და დაბერილი ნესტოებიდან თავით ფეხამდე როგორად მიმღებს, უძღები გონის და სამი მთავარი მოშიებული თითის დასაპურებლად როგორ საძნელოდ აწევა პურის და აგრეთვეც ფრთხილადც და მოწიწებით და ჩაბღუჯულად რადგან საშენოდ ძრიალ გინდა და ფაქიზად თან რადგან მაღლისაა, ამ,ამა პურის, ჩვენის, როგორი ჩვენის, საჩვენო პურის ჟრუანტელამდე, შესუნთქვა, სუნთქვა, სუნთქვა იმითი და, როგორც იქნაიქნებაიქნებოდა, ბოლოსდაბოლოს, ძალიან ბოლოს, ყოვლადტანჯვურა დასაწყისისათვის, მაგიდასთან იჯდა... -

და, საბოლოო აღიარებად? - „თუმც მეშინია, უკან არ დავიხევ,“ გილგამეშისეული. ერთგვარი მეფის. საქმე ეს იყო, თორემ, აბა უშიშარაობაში რომელი ერთი გამბედაობა ყრია.

და, ცოტაც ხანში, თოკზე შემდგარი, თან ტორტმანა და თანაც რას-ზე, რაზე-ზე, კაცო - რისი უფსკრული!, - ქაღალდისპირა!!, მისადხვედრ მართლაც ცოდვილობის, ორთავ გაგებით, წილად, დიდი ვეება უსინათლოს ის მძიმე ტორი შესაცოდ მხარზე და ვინ იცოდა შენ დაატარებ ნეტა, იმას, თუ ის დაგატარებს, შენ, და, ალბათ კი არა, დაგატარებს ის, ისა, ისი, ალბათ კი არა რაღაღ თქმა უნდა აის, მფლობელი, მეპატრონე, შენდა უფალი, გინდაც თუნდ პურით, - უი მართლა ჰო!, - სულ გამოგვრჩა - პურს რომ ყნოსავდა, და, და ჯერ კი არც იცოდა, რომ, ყნოსვით თუ ვისას ისრუტავდა როგორ შორეულ-ახლობელის, ხორცს, უკიდეგანოდ და უმოწყალოდ-ვრცლა რთული სიკეთით ვრცლადსულიერისას, და, ვისებისთვის, - უღირსებისათვის!, და ჩვენთვის, მკითხველთაც, ზიარებად, თან აჭრილად, რადგან ზედაშე მერე მოდიოდა, მოსდევდა მემრე, მელანთან ერთად, და ისი რახსი შეფერილობა გამოუცდელ ხელს უმტკიცებდა გინდაც ცოტათი, და თუნდ ჯერ ვერ იცოდა მთლიანურად ეს, მაგრამაც ერთხელაც, როცა მხოლოდ შავი პური-რამ რომ აღმოიჩინა შინ, ცოტა იფიქრა, იყნოსა მაინც, მერე, და კიდევ მერე როგორ გახარებულმა, აღზევებულმა როგორ, მთავარ-ობლობა დაკარგულმა, ჩაბარებულმა, მხსნელს, ხმიურაც შვებად, პათეტიურად-ს რომ ეძახიან, წამოიძახა ასე: „და შავი პური, ზანგების ქრისტე!“ და, ამ აღმოჩენით

გადანცვიფრებული, უცებ, გადაოგნებულს, - აქშშ!, - ბეღურა საბრალო, ერთიც ყველაზე პატარა ჩიტი, თან ჯერ ვერმკენკავი და, კიდევ მაინც - აქშშ?, - ვერმცოდნე ძალიან, ჩიტი, მფრინვლური მაგრამ ეს მერე, ახლა კი, მხოლოდ, რაღაცის ბარტყი იყო ისა, თავისა თავის დამ-აქშშველი, და, მიღებული და ჩანახუტი მაინც, ყველაზე დიადი მწყალობელით, როა, ნეტავი რატომ, მაინც, და,

უსინათლოთი, ბოლოს და ბოლოს, მაინც წერდა. ავად თუ კარგად, წერდა მაინც, რაღა თქმა უნდა უფრო ავად, რადგან მაგიდის გარეშე ანუ უსაწერმაგიდოდ წამყვან-წასაყვან უსინათლოსაგან შორევდებოდა ისე ძალიან რომ, გინდაც ურწმუნო, ისე კი, მაგიდასთანმიერს, ერთიღა-რამ თუ მართლა გააჩნდა მაინც ღირებული - პატიოსნურად, წვალობდა, მაინც, - კი; ხოლო გარჯა და მხოლოდ ჯაფა კი ალბათ დაბალი სიტყვებია, ალბათ ამიტომაც ემატება ზე-დ: ზეჯაფა, ზეგარჯა, ტკივილიანიც როგორ, რადგან კუთხოვანწრიულ და-გარღვეულ-ნედლ-სისასტიკით-განმარღვეველები, მოკლედ - პირდაპირ ტკივილები ჩემო ბატონო, კარგო, ისეთი, არ დეიჯერებთ, ძალიანი, მაგრამ, დიდი ხნის შემდეგ, შემდგომ, როგორის თანახვედრობით მაიმედები, მისას, მისაც გულისას, მისიც გონისა და ხელის თუნდაც დიდივერაფერიშვილს, მისასა ხვედრს, შემაკოწიწებლის, როგორა ჰგავდა: „დედაკაცი რაჟამს შობნ, მწუხარე არნ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი. ხოლო რაჟამს შვის ყრმაჲ, არღარა მოეხსენის ჭირი იგი სიხარულითა მით, რამეთუ იშვა კაცი სოფელსა შინა“, ნაწარმოებზეც, ნავაინავაგლახარზეც, ითქმეოდა, ეს.

მაგრამ რაისი სიხარული, თუ გაწვალებდა ადამზე სევდა, თუმც სევდა კი არა, კაეშანი. - :

„ვისგან ვარ, რა ვარ“...

და, როგორი ღრმა საიდუმლო:

ეს რა ძალიან დიიდუცნა, ურად, თავად ბიბლიის თვით სახარებაში დიადი პავლეს, უფლით ხელდასხმულის: ადამის არამცდარობაზე: „და ადამ არა სცთა“, „ხოლო დედაკაცი იგი სცთა და შჯულსა გარდაჰხდა“, და, მასზედაც კი, შესცთენილზე, როგორ წყალობად, რომ ქალი მაინც „ცხონდების შვილთა სხმისაგან, უკუეთუ ეგნენ სარწმუნოებით და სიყუარულით და სიწმინდით ღირსებასა (“ღირსება - მართებულის გება“) ზედა“, ასე უყვარდა, უყვარს იესუს, ქრისტეს ბავშვები, უცოდველები ჯერაც, სულნი, და ეს იმათით ითქვა ალბათ ძალიან პირველად, რომ, „აღორძნდით და განმრავლდით. და აღავსეთ ქუეყანაჲ“, მართლაც აღივსო როგორ ქვეყანა ხოლო ზოგიერთი იმათთაგანი? - პაწა მესიტყვეც, იყო. ეს აქაური თუ ბუმბერაზად? სულიწმიდასთან შედარებით? - ა?...

იმან ბიბლია დაწერა, სულმა. გამოდვიღაცა აღმაფრენილების, აღმამფრენების, როგორი დინჯისა და თან რაკაწკაწა, ხელით.

სხვებსაც მიხედა, განმრავლებულებს, მერე, და მრავალთაგან ამოირჩია და ძლიერ დატანჯა თუ ძალიან პირიქით, აბედნიერა, აქაიქები; დალაგებულნილები შესაძლოა მთლად ვერა, მაგრამ, ოსტატთა დასტა, ჭრელი ხალხიდან შიგადაშიგ და ნება-ნება გამოგვირჩია, შერჩეულები, და მართლა ყოვლად დაუკითხავად, ისარჩეულნი ერთდროულადვე ყმად გაგვიხადა, ყმებადც ვექეცით. რა ძალა გვადგა... თუმც, გვეკითხება ვინ. -

ნიჭი? - დამსახურებად, ეს მართლა დიდიარაფერია, რადგან, - ხ ვ ი ს ა ა, ს ხ ვ ი ს ა გ ა ნ ა ა, ს ხ ვ ი ს ა გ ა ნ ი ა,მთავარია თუ, როგორ შრომას შეუზავებ და დააყოლებ კი არა, რომელი ერთი დაყოლება რადგანაც შრომა? - მთავარია, უმთავრესიად-რამ, ااა, კი, და ხოლო რადგანვე ნაღდი და არა პაწად-ტივტივა ნიჭი უშრომლად მაინც არ მოგასვენებს, მოგეშვება ვერ, აქედან შრომაც ხომ სხვისა გამოდის, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ, სწორედ ს ხ ვ ი ს გ ა ნ-აც გარდა, ჩვენისაგანაც, არჩევანის გზასა და არჩევანს მუდამ გვიტოვებს. ანუ, არჩევნის არჩევანი, ამ ადამიანებს-ჩვე, მუდამ გვეტოვება. და,

გასამხნევებლად,

პურის შეყნოსვაზე რამდენად უფრო, ძლიერი, და მისაგნები რადგანაც კეთილად სამისაგნებო რადგან როგორის დიდის ზეწყალობად ჩამოწვდენილი ჩუენთათვის ლოცვა აი ესა, ეს:

ჯერ, დიდშესავლად - „აღვსება ყოველთა კეთილთა შენ ხარ, ქრისტე, ღმერთო ჩემო, აღსავსე სიხარულითა და მხიარულებითა გული ჩემი და მაცხოვნე მე, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მრავალ-მოწყალე“, - კითხულობ, ამბობ, გიხარია,

და, ჯერ რომ გულში სწავლა-საც ეძახდა - მაგიდამდე და მაგიდისაკენ თუნდ მხოლოდ გზასაც, ნაბიჯნახევრით მისასვლელსა და სამაგიდეს, სამაგიდაოს კი, რაღა თქმა უნდა უფრო, ამა თავისით თავის სწავლა-სათვის, გასამხნევებლად, გულისხელს ძალიან უმხნევებდა ლოცვა „სწავლის დაწყების წინ“, - სულიწმიდასადმი, ვედრებად ეს, და მისგან შეწევნას, უფლისადმი იხვეწებოდა:

„ყოვლადსახიერო უფალო, გარდამოგვივლინენ ჩვენ მადლი სულისა წმიდისა შენისა, მომნიჭებელი გულისხმის-ყოფისა და განმაძლიერებელი ძალთა სულთა ჩვენთასა, რათა ჩვენ, ყურადმღებელნი გარდმოცემულის ჩვენდა სწავლისა, აღვიზარდნეთ შენ შემოქმედისა ჩვენისა სადიდებლად, მშობელთა ჩვენთა სანუგეშოდ, ეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ“,

მაგარმ ეს სიტყვა, - სწავლა, შენივე შრომის შენურ შესატყვისად თუ გეხამუშებოდა, რაღაც ხნის შემდეგ მიხვდებოდი დროდადრო დარცხვენამდე თუ შეგეხამუშებოდა და შენს შრომასაც ასე შევედრიდი უფალს, - სიტყვას სიტყვითვე შეცვლიდი შენ, ნაკლებუღირსი: „რათა ჩვენ, ყურადმღებელნი გარდმოცემულის ჩვენდა შ რ ო მ ი ს ა, აღვიზარდნეთ შენ შემოქმედისა ჩვენისა სადიდებლად, მშობელთა ჩვენთა სანუგეშოდ, ეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ“,

ასე შეევედრებოდი იქნებოდა, მაგრამ,

დასაწყისურა შედგომისათვის,

რაღაცა მაინც გაკლდა.

რა და,

მაგიდაზე, ჯერ, რიჟრაჟისას, თავიდა თავი, სახარება, და მიყოლებით ი მ ი ს ი ერთი მორიგი თავის კითხვა, და სწორედ იმა კითხვისწინ სწავლა-დ წოდება ამ წაკითხვისა, და ამოწერა რაც თვით „ახალი აღთქუმაჲ“ -შიაც კი პირადად შენ განსაკუთრებით გშთამბეჭდაობდა, მერე - მადლობა, მადლობის ლოცვა, სამადლობელი:

„გმადლობ შენ, შემოქმედო, რამეთუ ღირს მყავ ჩვენ მადლსა შენსა ყურადღებისათვის სწავლისა. აკურთხენ ჩვენნი მთავარნი, მშობელნი და მასწავლებელნი, მიმყვანელნი ჩვენდა ცნობად კეთილისა; და მოგვეც ჩვენ ძალი და სიმხნე, რათა ახლად შევუდგეთ სწავლასა ამას“, და,

მხოლოდ ამისა შემდგომ, იგივ შევედრება სულიწმიდასა გარდამოვლინებისათვის, უფალისადმი, და, სწავლა-სი შეცვლა შრომა-თიც მხოლოდღა ამის შემდეგ, და ძალამოცემული, რწმენაჩაღვრილი, მაგიდას უკვე რომ აფორიაქებული მაგრამ იმედად, როგორღაც მყარად წრიალა უჯექ, ვითომც მარტოკინა მაგრამ ვეება, ტვირთით, უსინათლოთი იმ, ერთმანეთს სადდასად აღარ, სად-არ დაატარებდით, ასე რომ, შრომაც ი მ ი ს ი-ვე იყო კი, გახლდათ, ხოლო მოქანცულზე, ხან ორიოდ და ხანაც თორმეტიც საათის შემდგომ, ისეთად დიდად აღნაგზნები რომ, მისავათებული, ასაფრენ ფორთხვით რასაღარ გვემითგამოვლილი, ზენაჯაფ თითებმოკვეთილი, და თუკი ამით რასმეს მაინცაღ მიაღწევდი ამ დაწრეტამდე თუნდაც მთლად მცირედს მაგრამ არცუდას, შენწილი შრომით დამორჩილებულ - რას მერე, მერედა თვით რას! - თვით თავად სიტყვებს ოღონდ ისეთებს იმ რიჟრაჟისულ იმვედრებამდე გაუბედავი ხარბად-ხარბ-ხარბი ხლეჩა-წყურვილით შენც კი რომ გსურდა ი მასთან ერთად, მოგღწეოდა, თურამს შესძლებდი, ძლივის ლუღლუღით, გახარებული, აბზინვებამდე, იმ მცირედითაც ნაამები ძალიან როგორ, როგორის ზე-ქვე ტანჯვატანჯვებით ისე ძალიან ვრცლადდალხენილი,

თავ-მუხლთ კვეთამდე, ცალხელ დროებით წართმეული, და განათბობი დაძრული ყინულით აქეთ სამაგიეროდ თითებდამზრალი ისე რომ, მეტად, და სწორი სიტყვებით რეტებდასხმული, იმადლობინებოდი, მ ი ს-ადმი, შენ:

„გმადლობ შენ, შემოქმედო, რამეთუ ღირს მყავ ჩვენ მადლსა შენსა ყურადღებისათვი შრომისა. აკურთხენ ჩვენნი მთავარნი, მშობელნი და მასწავლებელნი, მიმყვანელნი ჩვენდა ცნობად კეთილისა; და მოგვეც ჩვენ ძალი და სიმხნე, რათა ახლად შევუდგეთ შრომასა ამას, ამინ“,

ცოდვა იყო? ეს? ჰოდაარა-დან, გადახვევა?, კი არა გადაჩეხვა მთლად, სიტყვების როგორ ველურსიფაქიზით აკინძულ ზვავთან განუყრელად ძალიან ერთად; რაღ არ მოჰქონდა; მაგრამ ეს საით, ზევითკენ? ქვევით? ადგილის ტკეპნას ბევრიკი რამ სჯობდა მაგრამ, ისაბევრები ერთიმეორეზე სახიფათო იყო, გეტანა მაინც უნდა, უ-იმედოდ კი ვეღარაფრით გადარჩებოდი და, ეგებაც - არა, არ იყო ცოდვა, ეს, სიტყვებთან არა, სიტყვებში ყოფნა, შენაზაობა რომელთან აღარ, თანაც რადგანვე ხომ სუ მისია, იმისია, სულიწმიდასიღვთით - ნიჭი, სწავლაც და შრომა, ოღონდ შენც ცოტათი ხელი შენცუნდ გაგენძრია, - ა?! რაღას არ იტყვის ადამიანის ენა - ცოტათი კი არა, რაამდენადااააც კი შეგეძლო ეს, და უფროც მეტად, - ვიდრე ძალგიძდა, მაგრამ ზემდეტი ხომ არ ავიღეთ აქ ჩვენ ჩვენჩვენ თავზე, რადგან

სახეზე სახის დახატვა ხომ არ შეიძლება, შესაკრთომია, ულამაზოა, უხერხულია, ხელოვნურია, უბუნებოა რადგან, მაგრამ სწორედაც ბუნებისპირა ბუნებისასულ ველურობისმიერობაა რაღაც რადგან, ეს, და ამიტომაც მოდით, მოთ, ჩამჭიდეთ ეგ უნდო ხელი და სხვაგან წავიდეთ, სულსუ სხვაგან,სასხვაგანეთი მიმოვიაროთ,მაგრამ ეს მხოლოდღა მერე, მეორე წიგნში, ვეღარ დამთავრდაა ეს პირველი, ეს ჩემანალა და,... თქვენ ნუკი იცით სხვანაირად იმნაირული გაგებ-მიღება-აღქმა ზოგიერთიცა საეჭვო რამის, არაფერი გლახა და სასაცილო და ნახევრადმიუღებელი ჩემანალა-თი მე არ დამცდენია, უბრალოდ, იცის გადაღლილობამ... რაღაც ხრიკები; - ჩემალანობა; თან, ესბოლო სიტყვა ადრეც ხომ აგეხსნათ;... - ჰო! - მოკლედ, აემ მართლაუღირსმა ხომ ისედაც ეს მერამემდენედ შეიშველაც და შეიშვნივა წიგნადსული და, ეპატიოს, დე, დაე, ესა თუნდ თუმც მოწიწებითი თავისივ ხელის მომართვა და თავისისა შველა, ეს, ეჰ, ესაცა და საერთოდაც, ეპატიოსვე სხვაც, რომ, ასე აქამდე და მანამდე მთლად უბოდიშოდ არამცთუ დიადს, კნინს არ შეიშვნევს მაგრამ ეს მხოლოდ მეორე წიგნში, იქაიქნება წმიდისასულის ვრცელსიკეთებით გურამიშვილით მოყოლებული ქვესოდომიც და წარღვნით მთლადაცქვე ატლანტიდა, ახლა კი, ისევ, თანდისთანობით მაინც გეტყვით დიდს კი არა, ბევრს, და ამ ღვლარჭნასთან ძალიან ერთად ორი რაღაცის იმედი მაქვს, ერთი - მეხუთე დასასრულია, მეორე - რაღაც ერთიც საღი ბალახი, არის, გეტლიკინებით თუმც მეჩქარება ოღონდ ხანდისხან ისე მრცხვენიან, ვიჰ, და უიმართლა - ხსნად, აწი შეფარვით გეტყვით რაღაცსხვისრუღაცს, ოღონდაც დიდს, იმ დიადების ანუ სხვების ზურგს ამოვეფარები და, ისე, მაგრამ ახლა კი, პირდაპირ მოგახლით, რომა, მიუხედავად იმისა რომე ყოველგვარი ხელოვანის მთავარი დანიშნულება ისაა რომ სულითწიგნი მიიტანოს სხვასთან, და მთლად უკეთესი თუ - მთლადაც ბევრ სხვებთან, როგორმე, კი, და მაგრამ თუმცა ბიბლიას აბა რა აზიდავს შემქმნელის მეტი, არამედ მაინც ნუ გავიტეხთ გულს და იმისი იმგვარ

ოკეანეებიდან, მასთან ჩვენი რომ ძლიერ ხილული ოკიანე და თანაც ოთხნივ თუგინდაც ერთად - ზღვაში წვეთია, ვეცადოთ მაინც და თუგინდ ერთიც რომ მოგვეპკუროსყე სასინჯი სპეტაკი წვეთი, საქმეა ესაც; ესაც კი არა, ცაცმიწისც საქმეა ყველაზე მეტი, რადგანაც ხოლო მუდმივ რუსთაველს, თავადს და თვითონს, გადამრჩენელს, ჩვენს, - რადგან სწორედ ის რომ და არა?, მაშინ ძალიან შესაძლოა ახლა ანუ დღეს ამჩვექართველებს სულ სხვა ენაზედ გველაპარაკნა თუმცა ენა ხომ აკი ყველა დიდად კარგია მაგრამ მაინც მხოლოდღა მშობლიური, ხოლო ბიბლიის ღვთიური ხიბლით როგორ კაშკაშა, და ხსნადმბრწყინველი პოემა ეს, და სწორედ იმით მოგვიტანა თავად ბიბლიის ალაგი მადლი თვითცპოეზიით და მოგვიტანა კი არა და, გვიბოძა მაღლით, გვებოძა, როგორ, და თუკი რუსთაველს ერთი ეგრეთწოდებული აფორიზმიც კი არა აქვს ისეთი სულიწმიდასი წიგნით რომ არ იყოს, და ეს ნასესხობა სისუსტოვანი ნაკლი კი არა მაინცდა როგორ და რაბრძნულად ზეიმია როგორი ეს, და ეს ხომ ისევ ხომკი და ისევხო ჩვენთვის ხომა და მარადად ჩვენთვის, ხომ, პოეზიათი ნებიერებისათვის, სამშობლოს ჭიშკრად გვიწყალობა ეს და, რაა, ეს რაა, როგორი, აბა, რარიგ, დიადი, მაღლითშრომული დამ-სა-ხურებაა, ეს.

ახლა კი, გვეყო ეს რაგინდ მოწიწებითი თუ აღმაფრენული თუ აღმამფრენი თუ უილაჯო გადახვევები, და:

რადგან უღირსი ახლაღ მიხვდა რომ თავს გაუვიდა, ეს მერამდენედ მოიძია და შეიშველა წიგნადსული და თანაც ყოვლად უპოეზიოდ, მერამდენედ ეს, და ახლა მაინც მოიშველიებს ერთსაც იგივედ მაინც შესამოსს, ოღონდ სხვაგვარად მიიწვდ-მოგაწვდით, და თუ არ გნებავთ, დავშორიშორდეთ, და მეტიც უფრო - მთლად გადავკარგოთ ერთმანეთი, მაშინ მოდით და აქ ერთ რამეზე ძალიან შევთანხმდეთ უნდა:

ასე აშკარად მე ნაკლებადღა გადმოვიწერ სამყაროდწიგნს, ეს თავხედობა ისედაც, მეყო, და ჩემწილ ფურცლებზე კრინტს აღარ დავძრავ თუკი ძალიან არ გამიჭირდება, ხოლო აქამდე ჩვენ ორთავენი როგორ ძალიან გავდიოდით იოლას, და ვისით მერედა, გაგაზარმაცეთ, თქვენც, და ახლა უნდა მკაცრად შევთანხმდეთ: შინ თუ არ გაქვთ, იშოვნეთ სადმე ახალი აღთქმა, ოღონდ მხოლოდ თანამედროვედ ენიანი არა, არამედ წმიდა გიორგი მთაწმინდელით ნალოლიავები, ანუ „ახალი აღთქუმაჲ“, სხვა მადლი ძევს იქ, ძირძველ-ქართული, ახალქართულით გამოცემული „ახალი აღთქმა“ კი გვერდით მოუდეთ და რასაც ვერ გაიგებთ და ვერ შესწვდებით იმ ძველთაწიგნში, ნამდვილში, ძველში, მაშინ დროულად მიწყივ (მარადის) დასტურ-ახალში ჩაიხედეთ და კარგა შრომა კი მოგიწევთ და სახით ორ-ორგან განზე კანტური მაგრამ მე თქვენი შეძლებისა ანუ იგივე ნიჭისა და ანუ რაღა თქმა უნდა შრომის ნამდვილად მჯერა რადგან ერთი რამ ძალიანაც მშურს, სწორედაც რომ, თქვენი - ნებისყოფა და, ატანა ჩემი, ანუ ამტანიანობა ჩემით თქვენი მაგრამ აწი თუ აღარ დაგვდებთ თქვენს მცირესაც ამაგს იჰ ჩემდამი კი არა - აღთქუმაჲსათვის, იმ, სულიწმიდათივე როა ნათარგმანევიც შემძლე გიორგი მთაწმიდელის წვდომით და ხელით, თუ არ გადაშლით მცონარობით ან, მთლად უარესი, ურწმუნოებითა თუ მცირედმორწმუნეობით, მაშინ დანამდვილებით და ნამდვილად სჯობს ახლავე დამხუროთ ცარიალადღა უმაქნისი კიდობანივით -

გაგიჭირდებათ არ, ეს, გაგიძალიანდებით თუ რა, და ორთავ-ორივე-ორვეს მთლადაც ბერწწყალში ჩაგვეყრება ჩვენი ეს გარჯა, აქამობამდელი; არადა, შვიდასზე მეტ გვერდად თუ წამიკითხეთ უკვე, და ალბათ მხოლოდღა ასე სამოც-ოთხმოციოდეღა დაგვრჩა, და უდღეური თუ გამოვა ჩვენი ეს შრომა, რაღა გამოვა, და მოღლილი მზერის ბოლო ბიჯებს ნუ დამზარდებით, თან მხოლოდ პირველიღა წიგნია ეს, და სუცოტა ერთი ამდენიც, თუ მეტი არა, ანუ მეორე ძალიან მინდა რომ მოჰყვეს, მაგარ ჯერრადროს მეორეა, კაცო, გამაგიჟებს ეს კაცი ანუ მე, კაცო, ხოლო ამ ნახევარლოდის მხოლოდ ცალურადაც კი დასამთავრებლადაც კი რომელი გადამრჩენელობაც დაგვჭირდება სულისწიგნიდან, იმ ადგილს ზუსტად მიგანიშნებთ, ოღონდ კეთილინებოთ უნდა და, თქვენ-ით წაიკითხოთ, რადგანაც ჩემგან აწი და კიდევ ამიერიდან ასე ხშირად ეს - აღარ იქნება, უხერხულია, მეყო, თან თქვენგნით გადაშლა თვით ბიბლიისა, სწორედ იმას შეგმატებთ, ოპტიმელი მამები ისე ძალიან რომ ოცნებობდნენ - შეხებას იმისა, რასაც რომ ჰქვია საუკუნითი საუკუნითისო, ჯილდოდცხონება - „და მასწავე მე ლოცვაჲ, სასოებაჲ, რწმენაჲ, სიყვარული, მოთმინებაჲ და მიტევებაჲ“ - როგორებია - მაგრამ ყველაფერი ხდება და - მართლმადიდებლობის თუნდაც დევნამოშლილ ამჩვენ დღევანდელ საქართველოში თუკი მაინც არა გაქვთ თვით წმიდასამების ნახელოვანები, შემონაქმედი, ეს, - რა უჭირს მერე კი არა და...! - არაფერი გიჭირთ და, მიდექ-მოდექით და გაიკითხმოიკითხეთ ამხანაგებში ანუ ნამდვილთში და არა პირობითად ყოფილად სოცპარტთაებში, გაიკითხევით ნათესავებშიც, ახლობლებში და ასე შემდეგ ხოლო ყველაფერს აჯობებს ის, თუკი სულაც შეიძენთ, დავიჯერო თუ, სულაც არა გაქვთ შეძენილი და თანაც მრავლობითობით, თუნდაც ორიოდ სხვადასხვა წიგნი, და თქვენ ამას როგორ გაკადრებთ მაგრამ სხვათა და სხვათა მოეძევებით აკიც პარტისტორია თუ ჰოპდიამატი, დასჭირდებოდათ უცილობლად თუნდ დანიშნული ბილეთისა მიდებმოდებთვი ჩაბარებითვი ბჯოო ხოლო „მიდებმოდება - ცუდი საუბარი, თუ საქმე“, აქკი მერწმუნეთ, ესი ყველასიერთად წიგნის მხოლოდ მომრევი კი არა, ყველა და ყოველ მამაზე მეტად ახლობელი და აღმზრდელია „ვეფხისტყაოსანი“ს და „დონ კიხოტი“ს, „ღვთაებრივი კომედია“სი, გურამიშვილის, ვაჟა-ფშაველას, და სალტიკოვის მასულდგმულები, თუმც ამა დიადად ძლევამოსილი უფულობის შეწევნობით უხელფასობისას ქურდობას მაინც ხომ ვერ გირჩევთ ზოგრეკლამისა შეფარულდაგვარად და, აკი ისა არა სჯობიან მიმოიძიოთ ახლობლობაში ხოლო თუ მაინცდამაინც რომელს მიადგეთ ამას და იმას მე ნამდვილად ვერ მიგასწავლით, თქვენ უკეთ იცით თქვენი წრე, და, სხვათაშორის, ყველაზე დიდ მადლად მოგენიჭებათ რომ შეგიძლიათ გადაიწეროთც, თქვენზე არ იყვნენ ბევრად ნაკლებები თქვენი წინაპარ-გადამწერები, და ეგებ თქვენზედაც კი მეტიც კი ჰქონდათ ყოველდღიური ულაყბობო წვრილმანიც საქმე, მაგრამ მამაღვთის ქრისტედ სიტყვას უღრმავდებოდნენ, ღვთით მაღლივწერას სულიწმიდათი, მიელტვოდნენ და, აფარებდნენ თავს, გინდ შემცივნებულთ, სულში თბილოდათ, და

რა გაგიჭირეთ ამ რჩევებით საშური საქმე, ეგებ სულაც, გაქვთ, თან, წაკითხულიც, და, მაინც არ გაწყენთ, გადაკითხვა, და

ისიც თუ იცით, რა წერია იქ სიტყვაზე? სიტყვებითღავე, რაღა თქმა უნდა, - სწერია ასე:

„სარწმუნო არს სიტყუაჲ, რამეთუ მის თანა მოვსწყდეთ (მოვკვდეთ), მის თანაცა ვცხონდეთ (ვიცოცხლებთ)“, - ხედავთ, სიტყვის ძალას? მის ყოვლისმომცველ ძალამოსილებას? - სიკვდილი, ცხონება... და იმასაც თუ ხედავთ, რაუცებ დავარღვიე ჩემი პირობა ანუ სიტყვა-ც ჩემგან აბა რა ვის ესწავლება მაგრამ ისიც ხომ დავაყოლე, ჩემისთანასის (შემირცხვა სიტყვის გრამატიკა) როყიო აღთქმას „ძალიან თუ არ გამიჭირდა“, მეთქი, მაგრამ თქვენ თვითონ ხომ, ამტანი, როგორ, სულაც არ და ნუ მომბაძავთ მე-უღირსს და ნაშოვნ-გამზადებული აღთქუმაჲ - აღთქმა ორთავე ერთად გადავშალოთ უნდა, სად და, სიტყვები თვით სიტყვაზე წმიდა პავლესი, ტიმოთეს მიმართ II ეპისტოლე(მინაწერი)შია, ანუ წიგნში, „წიგნი - წერილთაგან ერთი“, ტიმოთესადმი მეორე წიგნის II თავის პოვნას რა უნდა, მუხლი 11ც იქავეა, იმასში, მასში, მარადმფურჩქვნადში, ხოლო ეს ადგილი, მოკლედ ასე მიინიშნება: 2 ტიმ. II, 11, ახლა კი, რახან იპოვეთ თქვენით განაგრძეთ და ეს თავი მოდით და ბარემ ბოლომდე წაიკითხეთ, არაა ბევრი,.....

....

წაიკითხეთ, ხომ?

ხომ მოიმატეთ?

წონაში არა კაცო, ღვთის მკითხველები - გამხდრებია, იესუსავით ტანთღარიბები, კი, ხოლო თუ გულისსიღრმეში რაღაც იგრძენით, უჩვეულო ჯერ, ეგებ რატომ და სახელებმაც აგვიხსნან რაიმ, ამისათვის კი, სულხანიც-საბა, ორბელიანი, გადავშალოთ და, ხედავთ?, სწერია: „პავლე - საკვირველი, გინა რჩეული, გინა მზრახველი“, „ზრახვა - სიტყვის ლაპარაკი“, ხოლო „ტიმოთე - პატივი ღუთისა“, თანაცხომ „პატივი - კეთილის მიპყრობა სიტყვით და საქმით“, და ეგებ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“შიაც, რატომღაც ეგებ ეწეროს რამე, მაგრამ აჰ, არა, რაცგინდა იყოს, იქ ნაკლებადაა საკუთარ სახელთა ახსნა-განმარტებანი, თან 1986შია გამოცემული, ესეიგიკი დასტამბვისათვის მომზადებული ლეონიდასა ომთმომგების დროს, და აკი ლექსიკონებში უპარტიოთა საკუთარ სახელებს ხომხო ისედაც არ სწყალობდნენ და ტიმოთე-ზეც რაღასაკვირველია არაფერია და, ძალიანაც კარგი, ზოგდროს კარგია „შავსია“ელობა, - ვინ იცის რაღას არ მოუჩმახავდნენ ენ-ხელით როგორც უნდო გაგებით მხოლოდ „ზღაპრული“ ბიბლიისა წევრს, ოღონდ მსგავსი რამ სიტყვაა ერთი - „ტიმოთელა - მრავალწლოვანი ბალახი. იზრდება მდელოებზე და მოჰყავთ კიდეც“ - ხედავთ, ვერ ასცდნენ ტიმოთე-სეულს, ბრძენია ხალხი, გლეხკაცობა, ბალახადმაინც შემოგვინახა წმიდა სახელი - „პატივი ღუთისა“, და, ზოგიც ძველი სიტყვის მსგავსად, ზოგი ბალახიც მუდამ და მარად მწვანეა, რადგანაც ხოლო თუკიღა გახმა? - სულ აღარაა ბალახი და არამედ - თივა, მოთიბულია მაგრამ სიტყვას რა მოსთიბვს და რაღა გაახმობს თუკიღა იშვა, მოთიბულიც კი, ყოველთვის მუდამ მარადმწვანეა თუკიღა იპოვნი - მარადმწვანეა მისი ტოტი გინდაც ხავსნადები; ზურმუხტისფერი მისით ფოთლები აიმატოტისა უტყვ ბგერებადაც, მხმოვანია, და მისი ვარდიცა და ეკალიც, მიხაკი, ენძელა, დარიჩინი და ტრიფოლიატი, კაქტუსი,

ია, ჭერამი, რამე, იმავფერისაა, მარადმწვანეა მისი ყოველი შეფერილობაც, ცისარტყელობაც კი აიიმისი, ხაოიანი მისი გემოც - ხორკლიანი თუ ბუსუსებიანი, - გააჩნია თუ რათანხმოვნები ურევია, - მარადმწვანეა, გრჩება, ფერთამიერად მწვანედ ხასხასებს ისეთი სიტყვაც „ნახერხი“ როა, და მარადმწვანეობით რომელი ნაძვი შეედრება, გინაც ფიჭვი და თვით კედარი, განმხმობადებია, ესა კი, სიტყვა მარადცხორებად დაბადებული უუწინარეს ყოველთა გრძელთა საუკუნეთა სუცოცხალია გინდაც დამარხონ, და ერთადერთიც, ერთივ ზომისა ამასთანავე გაწელილია ხან და ხან - კუმშვადია, ხანაც ხომ ციცქნა არი მთლადკენტ „ა“ -სავით და ხანკი როგორი უ,ზარ, მაზარივ, შემწოველიც და მწოებადიც, „ნაბარები“ კი „ბარში ნამყოფი“ს ნიშნავს თურმე თან ერთი სიტყვით, ვინ იცის ბარში რა ხდებოდა, ვინა სცნა რითი იკვებებოდა ნამთებიცკი, ჯიუტად რასარ იციცქნებოდა, შორს იყო მისგან მოუსიამო თქვლეფის წილი „ნაყროანება - უწესო სიმაძღრე“; სულხან-საბასას „სიცივე“ შვიდად განიყოფება, თითქოს უბრალო „სიცილი“ კი - რვად: ღიმილი, სიცილი, კაშკაში, კასკასი, რახრახი, თქართქარი, ხოლო ღინცილი - „მიწყივ უწესო“ და, მერვეა - ფრუსტუნი, თივასავითღა შეგვახმნენ, ზოგი, ვითომ? არა, ხანდახან დროდარო და დროებით თუ გვეპარებიან, თუ ჩვენ ვეპარებით, ჩვენი ყოველი ბიჯისა თუ ფიქრის აღმომჩენთ, გააშკარავებულთ, იქითაც დიდის გრძელი ნაბულით ჩავლება უნდათ და მერე კი, კარგად თუ შეისწავლი და თვალთ-ყურთ ჩაისვამ მხოლოდ მაშინღა აგიფრინდება მაგრამ შორისაკენ კი არა ოღონდაც ისევ მხოლოდ ჩვენთვის, სიტყვით კაცთა, მომნდობია, კი, შესისხლმხორცებიც, მომნდობია თუ მართლა გულით შენც მიენდობი, შენი ყურის და შენი თვალის და შენივ გულისა და გონების და ხელისაა, ხოლო დროებით თუკიღ მაინც გვეცლებიან ან გვეპარებიან, მეთქი, ან გვისხლტებიან თვალსადახელშუა, იმათი ბრალი არაა ეს, არამედ ჩვენი, ეჰ მე კი არა თვით ვრცელ საბასაც თავის „კონა“ში („კონა - ყვავილი, ანუ მწუანვილი, ანუ წკეპლნი და ეგევითარნი წყობით შეჰკრა, მას უწოდენ მცირეთა“), როგორ თევზაობს გონების ხან ბადეებით და ანკესით ხან, და უცნაური რამ-თიბვაცაა მისი ნაღვაწი - გასაცოცხლებელი, და დასატოვი რისი ეს მერე - თვითთავად სიტყვის, და „სიტყვის კონა“ კი ჰეჰ, როგორაა მართლაც ყვავილნად, ყვავილნარული, ხან ღრუბლითა და ხანკი ეკლით ალაგ-და-ალაგ ლბილ-მჭახედ რთვული, და მისობისას - მუდამ რთვლობაა, მისწვდები თუკი, სხვადასხვაგვარად რარიგ ზვარში იპოვნინება რადგან როგორ გაჰყვირის ხანდახან მაგრამ ხანდისხანობით - რა ტვრინვადია, და დიად როგორ სიმწვანეულად და, გამროზგავი წკნელებითაც შენაკონი თუკი დაგჭირდა ოღონდ ზოგ ჩია კონასავით კიარა, არა - თავად ტყედ, თანაც უსიერით, და მაინც როგორ თითოდ-თითოა, მარადმწვანავი, მარადმემწვანე, ხოლო უბირის დასაკარგავად? - რაისი ჯუნგლი, მის მართლაც წვდომით მაძიელთათვის კი - თუნდ ზღვად დარგული კაქტუსი იყვეს, და რაგინდაც ფსკერზე? - მაინც იჩენს თავს, აკი აგერას და ახლახან არ ვამბობდით და ვისმენდით თუ, ხანდახან მხოლოდ დროდადრო და დროებითღა გვეპარებიან, მეთქი, და თვით ვრცლადდინჯ საბასაც, თავისი დიდად ზეე, კოოონის მიწურულისკე, გახსენებია დავიწყებული - ვის მერე, - საბას! - და მეცხრე ჯურის სიცილიც აქვს: „ხარხარი - ბრიყული სიცილი“, - ვეღარ ვცილდებით ერთსაცა კონას, და სულ-ხანისა ლექსიკონზეც, და მარგალიტურად ახსნებზე საბა-სი, ვისი ესა და „წარტყუენილთა“ მომქცეველის, თეთრზე გაბნეულ შავმარგალიტებად დაწინწკლული, და თვით და თავად სიტყვების ქებათაქებურს

მოყვან-ახსნებზე მისით, საბათი, ამა პირველი ლოდის შემდგომ, იგივე ლოდით მეორე წიგნშიც მოგხსენდებათ ულევი საბაც, კი, რამდენს გპირდებით, რაამბავია, ხოლო მანდ ერთგან, თქვენგნით გადაშლილ ტიმოთესადმიში, შემოხვედრილი სიტყვა „სრსვილი“ და ახლებურადაც თუკი - „სირსვილი“ თუკი ვერ ვიცით ნეტავი რაა, აგერ არაა ჭარმაგი (“ჭარმაგი - თეთრზე შავით დაწინწკლული“, კი) სულხან-საბა და სულსა და ხანს ახსნა აბა რად უნდა ხოლოკი „საბა - მოხუცებული, გინა მოქცევა წარტყუენილთა, გინა გარე მოვლა“, და, ესევითარის, საბა-სი სიტყვით მარადი კონა, საჭიროა და საჭირო არის და, საჭირო გახლავთ და ბრძანდება და საჭირბოროტო - „სასიცოცხლო“ს გაგებითაც კი და მოკლედ დიდად ვრცლადსაჭიროა და... და ვთქვი მეც, რაღა... რუქამ არაკი... მაინც ჩავხედოთ ერთიც, აქამდე არ გვიქნია ეს თუ რა, ჩავჭვრიტოთ „წარტყუენილთა მომაქცეველს“ და „თეთრზე შავით დაწინწკლულს“, საბას, ნუ მოგვბეზრდება, ასევითარიც დიდსაზომობა, მისი, კვლავაც მოვიხმოთ თუ ვეახლოთ, აქამდე არგვიზამს და ვერგვიქნია მისვლით მოსვლობა, მისი, თუ, რა, სული აქამდე მოგვიტანია; სიტყვით; აქაც, საჭირო: „საჭირო - საჭიროსა ორგვარად იტყვიან, რამეთუ: საჭიროდ უწოდენ სახმარსა, ესე იგი არს შესაწევნელად, ვითარ იგი შესხმა (“შესხმა - ქება, შემკობა, გინა სამკაულთ შებმა“ - ბიჭოს, სიტყვის საქმეს და სამუშაკოს ჰგავს, გაგრძელებად კი ამა ახსნის: „გინა ნოტიო რაიმე შეათხიო“ - აბიჭო, ესაც! ისე ვიგრძენ რომ, სადაა პირსახოცი...) სად გავჩერდით... ჰო, - „საჭიროდ უწოდონ სახმარსა, ესე იგი არს შესაწევნელად, ვითარ იგი შესხმა (ეს უკვე ვიცით), ჩაცმა - (სამოსელია, სიტყვა, ჰო, ხო, კი, დიახ, და დიაღაც რომ,) - რამეთუ შეეწევის არა განხრწნისათვის სხეულისა“ - რასწორია ეს, კი, როგორ არა, კი, კი, დიახ, კი!, და: - „სარწმუნო არს სიტყუაი, რამეთუ მის თანა მოვკუდეთ, მის თანაცა ვცხონდეთ“? - და თუმც აქ სულ სხვა სიტყვაზეა ნათქვამი, თვით აი იმაზე, იმ დიადურად უდიადესზე, უუწინარეს სუყოველთა საუკუნეთა რომ, იყო, და ყოველს ქმედებდა, მაგრამ, ეგებაც... თუკი ბრიყვულად არ ვიხარხარებთ, ეგებ.... ვერ ვბედავ თქმას და, განვაგრძოთ, ისევ, კვლავ საჭირო-ზე: „მეორედ ს ა ჭ ი რ ო დ ითქმის წინა უკმო (“უკმო - უკმობრუნებასავით“ - ნაღდია, ესეც, რაღასიტყვაა მაშ „მიდმოდება“), განწვალებულიცა საგებლისაჲ, (“საგებელი - ქვეშ საფენი, გინა მისაგებელი“ - მისაგებელი რაა ნეტავ... არა სწერიან... დასხლტომია... „მისაგებელი“ ნეტარაია... რა და, სიტყვაა, თანაც ესაც არცთუ ხშირ-ხშირად ორმაგად ერთი, და ამაზე მეტი სხვა რა იქნება, რა უნდა იყოს, ერთი ისა რომ თავისთავობის შემწევნელი - მისაგებელი და, - მისაგებელიო, სიტყვა ანუ, კი) რომლისა თვინიერ (უიმისოდ) ყოფაჲ შეუძლებელ არს“, - ხსწორიაა, სწორი! - „ვითარ: საჭირო არს მქონებელი სამშვინველისათა (“სამშვინველი - უტყვი სული“; - სულთთქმა;-სუნთქვა;) აღმოფშვინვაჲ უეჭველად, რათა ცოცხალ იყო“ - ეს რადაროგორ საჭირო ყოფილა მართლა, კაცო, აეს სა-ჭირო, იმათთვისა კი, გაჭირვებულთათვის იმ, - ხომ უცილობლად, - ვისთვისაც თავად სიცოცხლე და სუნთქვაა სიტყვა თუნდ ჰოდაარა-დან ბოდიშობით გადახვეული, მერეც წერია „საჭირო“ -ზე ბევრი და ბევრი, მაგრამ სადღაციდან რომ გადმოვუხვიეთ, როგორ ასეგრძლად მერე, და აღარც გვახსოვს თუ საიდან, ალბათ ვერაა ეს კარგი, სიტყვებით აზრთა მიდმოდება, და ახლაღა შემრცხვა, მიდმოდებისას კი ჰოჰო რა რიხით და განუსჯელად ვიფრქვევინებოდი და რითი მერე - სიტყვებით თავად, საფრთხილოების, მოსარიდებლების, თუმცა რა უჭირს, - ვიმხნევებ კნინ თავს რომ

ისევ იმით რო ისევ და ისევ თვით სიტყვათბრალია, ანუ ეგებ ცოტაც საჭირო, ეს, და წინათქმულისა თუ სათქმელის დროებითიღა მოსრვა, თუმც „მოსრვა - წყვეტა და ხოცა“, და ვაითუ ძლიერ გაგვიგრძელდა აი ეს თუნდ დროებითი და მაინც - „მოსრვა“? - უიჰო!, - „სრსვილი“ უნდა გვეპოვნ-აგვხსნოდ-აგვეხსნა, დანამდვილებით ჩასახედია, ხოიცი, ზოგი რამ, უფრო, და ნამდვილად არაა ზედმეტი წიგნად ასეთიც მწვანედმარადი, კონა, თუნდაც ამ მყარად შემოჩეხილი „სრსვილი“ -სა, გამო, იცოდა საბამ თავისი საქმე, მარადსაჭირო: „სრსვილი - ხორცთ მძოარი“, მაგრამ ნეტა რომელია და ან როგორი-რამ მეხორცეა, რომელი ერთი პარტიათაგანი, ხორცისმძოვლები არ ვართ ცოტა, ბარეღამ ერთიც ჩავიხედოთ... არა, „მძოვარი“ სულ სხვა რამ ყოფილა - „ბალახის მომჭმელი“, ეს „მძოარა“ კი - „მუწუკი იმათ მაცვივნებელი“, კინაღამ შევცდით, ხედავთ? თქვენ ხედავ, კაცო, ეს რაოდენი დაკვირვება გვნანდომა, კაცო, თუნდაც ნაკლებად ცნობილი სიტყვის შემოხვედრისას, დაკვირვება გვხამს, უპარტიოსთცკი, ვაჰ, ჩვენ კი ნეტარა პარტიულებსავით რასარ გადავსწვდით, ვა?! - რა სიფრთხილე გვმართებია, სად ბალახის და სად ხორცთა ძოვა, მერედა, სიტყვა რამდენია, თვით მოჭარტალე ენებზეც კი რამდენად მეტი, თითო მიშვებულ ენაზე ხომ რამდენი მოდის, განსაკუთრებით - უძვლოებზე, დასტებად მოდიან, თავს ვერ იყრიან საერთო ჯამში..., ეს რომელ ჯამში!.... ვიცი, მე ვიცი რა და რომელი ჯამიცაა - უძირო ყოვლად, უფსკეროვანი საშიში ენა!, ვი?!!.... კარგით, ვწყნარდები, რაებს ვიძახი, თან შვებაცა გვაქვს, როგორი საშველი: „საბაციალ - ზედ დადგრომილი“, და მე ვინა ვარ რო სიტყვებს ასე რომ ვიფრქვევინები, დალაგებულად ხომ სჯობს განვაგრძოთ მაგრამ სადაა, დალაგებობანა ქუჩებში კი არ ყრიან, ხოლო სიტყვა რომ ენითაა, კალამისაზე მეტად, თითქმის სუყველამ ნამდვილად ვიცით ვარაუდი, ეს, სწორედ ენა-ზე კი, აი მაგ ზე-ზე, ზედ-დამდგრომველზე, თავნებაზე-დ მაგ, მასზედ შესახებ, უღირსისათვის თვით დიად ეპისტოლეებიდანაც კი გამორჩეული წმიდისა მოციქულის იაკობისა ეპისტოლეში, III თავი იწყება ასე: „ნუ მრავალი ჰმოძღურით, ძმანო ჩემნო!“, რა?, - მხოლოდ მრავალნი-ო? მრავალი კი არა, ნეტარამტელი პარტია გვჰყვანდა, ახლაც არიან მრავალზე-დ მეტი, აბა ვინ მოსთვლის, დაახლოებით თუგინდ, ჩვენიღა მეტი - რამტელი ძმო და, უთვალავი, ეს აღრიცხულად აღნუსხული იყვნენ და იყან და ქეცარიან კუთხურობითაც დიდმნიშვნელურნი მხოლოდღა რაღაც სამასამდე თუ ორჯერ მეტი, თვით? ნეტა ჩვენს მძოარას აბა რაქვია, ნეტა კი არა ნამდვილად ვიცით, ზუსტად არ ვიცი ოღონდ გვარი აქვს ზოგიერთულს კარგად ისეთი რომ ფსევდონიმი გეგონება და თავდადებული მოღვაწენი თუმცკი არიან საქართველოსთვის მაგრამ ალბათ მხოლოდ რუკაზე რადგან ადამიანებიცა და გარემოც ფეხებზედაც კი არა ჰკიდიათ, უარესზე თლათ გინდ კაცნიც არიყონ, ერთი ისა აქვთ საამაყო მაგრამ არცთუ ძალიან აშკარად რომ ტევადმუცლებადაჯიბეება ცრუდპარნტრიონტნი რო არიან ეს ხო ნაღდი ცრუმანდატივით, ერისშვილობისვირიშვილობით შეძენილი სახელი აქუსთ განსაკუთრებით თავიანთსაურ დაჯგუფებებში, კონაა ესეც ოღონდ რისა, რისა და იმისსახეობათა, „სკორე“ თხუთმეტი მოყვანილობის აქვს ჭარმაგ საბას და, აქკი ვაჯობეთ, - ჩვენ მეტნი ვიცით მაგრამ აქ მაინც დასჩუმება გვხამს, იმათ აკიღა სალაპარაკოთ დრო, და დრო ბევრი უდგათა გრძელი და უჭყავით სიტყვები ბევრზებევრი და თანაც ისე-უბრალოდ კი არა, - საერთაშორისოდ გამოწრთობილ-უცხოურები, ფირმა, ხოლო დროისა განკარგვაში აოხრიათ და აშავიათ ჭრელნიც

გალსტიკნი, უცხოდ მმარები. ამასობაში, იმათ ხინკალზე შავი წიწაკა იფრქვევა მეტად, ხაშში - ნიორი, სარდელ-სოსისზე - მათფერი მდოგვი, ქაბაბზე - ტყემალი და ასე, ეს შედარებით ჩამორჩენილნთში, თორე რესტორანთ და მზეთუნახავ-მაღაზიათ პატრონებიანთებს?, და, არ გვაჯობებენ? - თავიანთი ჭკუით. მაგრამ იმათ ცოტათი ასოები უჭირთ-უჭერთ თორემ, ენითღა ლაპარაკი? - ჰაიივ, დეიდასა... სწორგზაზედ რომელერთს აღარ გვაყენებენ გამოაშკარავებული ასოებით ანუ ბგერებად, ზოგი სხარტად და ზოგიც დინჯადცკი, იასოიანება ასეც, სიდინჯეც კიაქვთ თვით ასეთ დროს აკადემიურ-დახვეწილად ოღონდ ქუჩური, ეჰ, მიტინგები მოგვიძველდა, რა ვაჟკაცურად შემართული ვამეხ-ქალები ოღონდ სუყველა უკლებლივ და რაღაც პაროლად წარბებ-მთლიანად ამოპუტული რატომღაც იყო, სადღა არიან, ეჰ, მოგვანატრეს შეღებილნი წვრილნი ტუჩები, თავი, უცხოურული წამწამები, მთლად დასაპუდრი ლოყები და ლოყებთან ერთად, რამე, რა დასტად იყვნენ? ცაზე ჩიტი ვერ გადაიფრენდა უიმათოდ, ქუჩის ქალები როგორ ერთსულ და ერთად იყვნენ, პირდაპირ ჯოგი გეგონებოდა, როგორ ერთად და თან განბნეულნი, ახლა რაღაა, სუსტი სქესნი და მგალობელნი ფარშავანგურად - ნაკლებად ჩანან, ხოლო თავიანთ დასტის მთლად უკაცურად გოლიათები - ერთმანეთს სულაც არ უგდებენ ყურს და, მაგიორში - პოლემიკობენ და, ქაქანია, ისეთი რო, ქალწულ სპილოსაც უმალ გააწვენს თან ეშვებაღმა, თუ როგორ ხდება იმათშიის გამოგიტყდებით და ზუსტად არ ვიცი ვაი სირცხვილო, მაგიორში კი ზოგიერთ არხზე, ტელევიზიის, მაყრიონი ვართ - არზედმეტნი იმისობისასაც კი, თქვენ ამჩნევთ, ხალხნო, მაქსიმალისტურ დემოკრატიას? - ზოგრამში ისე შემოგვეპარა, თუ შევეპარეთ, განსაკუთრებით ნადირთ-საწყისა ფლირტისას და მერე ფლირტსმიყოლებით ასე შემდეგ, დამაგვირგვინებელობისაც, ეგ არი იმათ ლაპარაკი ვერ იციან, და პირუტყვებად იწოდებიან ჩვენს პირმეტყველთ კი არღუმენტებიც მოჰყავთ კაცო ძალიან დიდათ ჭკვიანური და დამაჯერებელი და ოღონდ მხოლოდ ბოლო-ბოლო ბაჯაღლოდ ბრიყვული მაგრამაც მთლადაც არ გვენდობიან ეტყობა რადგან შეგნებულად თუ ანდა პირიქით სულსხვა რამეებ ლაპარიკობენ, და მთლადაც ყოვლად გაუგებარ სულ სხვა ჭრელ სიტყვებს ისეაფრქვევენ, რო? ავაიბიჭო, გიზგიზ-ბგერათა ხანძარია, გვახმობს, გვედება, გვწვავს, ვაით, წყალი, იმათ კი ხანძარით გამორჩენა აქვსთ, მე თქვენ გეტყვი და დაუდგებათ მოცლილი დარდი თუკი სულაც მთლად და მთლიანად გადამწვარა ერთიც ქვეყანა, საქართველო, თან ნებისმიერ-სათაურიანა, დემოკრატიულ-ვისაცსაითგინდა და ასე შემდეგ, ოღონდაც რამე იკრან ჯიბეზე, ჯიბეები - აქვთ და, უმართლებთ, კიკი, მაგრამ, სიმართლე-სიმართლედ და, მოსაფერებლები არიან მაინც, და თანაც ძლიერ, რადგან იმქვეყნად იმათ რაც ელით? - ნახშირი შემწვარ-მოხრაკული და, ისე გაურბენთ ესცხოვრება რომ, აზრზეც ვერ მოვლენ და უკეთური კი ყველაზე მეტად ხომ თავის ერთგულთ სჯის როგორ მწარედ, აჰ როგორ უცდისთ, ჭანგთა კაწკაწით, ხოლო იმას კი კიროგორარა, მოატყუებენ, მე ხალხისათვის ვიღწვოდიო, დაუჯერებენ, კი, კიკი, და ამწამიერა გაძღომისათვის მრუშობენ რითი - თვით თავად სიტყვით და, მაგრამ, ნეტავი რად არ ურჩევნიათ დიდ კაცს მიუგდონ ათეულ წლობით, განსაკუთრებით სამოცდაათით, ამოლესილი სკორეთი ყური, იქნებ დაეჭვდნენ რომ იაკობიც გავიხედოთ და - მართალი არი, კაცო, რაცგინდაიყოს, წმინდანია, და თავის დროშიც რომ ამბობდა იმა თავისას, ნამდვილთ, საზრუნავს, ამას, და ამჩვე ამათ იმსიშორიდან მაინც

როგორღა გამოხედა: „ნუ მრავალნი ჰმოძღურით, ძმანო ჩემნო!“ - და, გაფრთხილებადაც, გვცოდნოდა, რატომც - „უწყოდეთ, რამეთუ უდიდესი სასჯელი მოვიღოთ“, - სწორედაც სიტყვით მრუშობისათვის; ეს; ქრისტესადმი ხომ, უპირველესი ცოდვა; ეს. და, სიტყვით მემრუშეთ, იმათადმიც კი - „ძმანო“ო მაინც... - წმიდანია, კი, მაგრამ როგორ გინდა თუ ყველას როგორმე შეასმინო, რომ, რო, რამეთუ, რომე - „ნუ მრავალნი ჰმოძღურით“... ვუფრთხილდეთ, ენას, ის მერე რა რომ თურმე უძვლო კი არის მაგრამ როგორი წასატეხიც და წამტეხიცაა, და, ჩემით თქვენთვის მოცემული პირობად-სიტყვა ისევ რომ არ დავარღვიო, შემეშველევით, თქვენ წაიკითხეთ ეს ეპისტოლე, წმიდანის, მოციქულისა, იაკობისი, არაა ბევრი, თან რაც თქვენ ცრუგაზეთები გიკითხნიანთ?... თვალი უქმად გაქვთ გაწაფული, ესკიდე, დიადი ეპისტოლე მაღალაზრება და სიტყვებითაა ოღონდ მეტად ღვთიურით მამაღვთისაგან სულიწმიდათი, და რა დიდი ხნის წინ დღესაც ჩვენდამი, სამარადისოდ მონაწერი, ხომ გადაშალეთ, არაა-მეთქი, აკი ხედავთ, ბევრი, მთლადნებისმიერ გაზეთზეც კი ბევრად ნაკლებია, კი... რაღა თქმა უნდა, მოცულობით, თორემ ისე კი... მაპატიეთ, და განაგრძეთ კითხვა,.....

...ხედავთ, ენაზე რა სწერია?, განსაკუთრებით, იაკობ III, 5, და 6-7-8-9-10 და 11ა დასაკვირვებელი და, თუ გენიშნათ თქვენეული ჭარბი წარსულიდან რამდარაიმე, ამას რაღა სჯობს რადგან ეგების და ღვთის შეწევნით ეგებ III, 13-საც კი მივაღწიოთ, რაც იქ სწერია, იმას... და, იქნება საქმე, ამისათვის კი III, 14 როგორმე უნდა უგულებელვყოთ, და თუკი შური გვეღძვრება სულში, თუნდ გარეწრულად პარტრიონტთა ასე თვალნათლივ თვალთდამყენებლურად მოწყობილური ცხოვრების გამო, კი ნუ ვიშფოთებთ და უკეთცხოვრებას ნუ მოვინდომებთ, თუმც რა ვთქვი ახლა აქ მე, უგუნურმა, რა სისულელე ერთიც რაღა, რადგან სწორედაც რომ უკეთ ცხოვრება და სიბრძნეა, რა არის აბა იაკობIII, 17-18, და მოდით თავი ვიმხნევოთ იაკობ IV, 6-10თ, და ეგებ როგორმე IV, 11ც შევასრულოთ, თუმცა ძნელია, ძალიანაც, კი, მაგრამ დაუძლეველი ნაღდად არაა შემოჩენილი გინდაცძალიან ცდუნება და, ამისათვის, ჯერ ჩვენი თავი დავინახოთ გადახრილებმა მღვრიე გუბისაკენ და, შევიმართოთ გასასწორებლად ეგება და, დავუკვირდეთ თავს, თვალებში მივიწყებული დირე და ბეწვიც აღმოვიჩინოთ და, ამისათვის, სარკედ IV, 12-14 კვლავაც წავიკითხოთ.

...

ახლა კი, წმიდა-სი პავლეს ისევ ტიმოთეს მიმართ მეორე ეპისტოლე მოვიძიოთ და, III, 1-9 ერთად წავიკითხოთ, თქვენ გგონიათ, რა - მე არ ვსაჭიროებ? რჩევებს რომ ვიძლევი, მე ვინა ვარ რო, ჩვენმრავალთაგან ერთიც ცოდვილი, და იქა ერთად ვნახავთ თუ, როგორებია ურწმუნოებით უკეთურები ანუ გახრწნილები....., და, იმედად, შვებად, მართლადსავალი თუმც დაგრეხილი მიმოხვეულად სწორი გზისათვის, ქრისტესადმისკენ შედგომილებზე - 2 ტიმ. III, 10-17 წაიკითხეთ,

.....,

შეიდარება, ახლახანა 1-9სთან? და, თუმც „იდევნნენ“, უკეთურიანელებს კი წარმატება აქვთ - ეს ჩვენთვის ვითომც თვალსაჩინო - ოღონდ ნამდვილად? - ოღონდ მხოლოდ ლპობაში, ოღონდ ბოროტით რაღა თქმა უნდა ბოროტებაშივე და,

პირველ რიგში საკუთარივ თავის, კი, მიმართ, ხომ ხედავთ, გესმიით, თუ რას ქადაგებს - „მაღლის ხმით სწავლება“ - ქრისტეთიწმიდანი განსაკუთრებით 2 ტიმ. III, 16-ში, ხომ სარწმუნოა და, ნუ დავახანებთ, განვისწავლნოთ, სასწავლებლად თვით სიმართლისა, და თუმცა სიტყვა აქ წიგნებზეა მხოლოდსაღმრთოსი, და მაინც, „ყოველი წიგნი“ -ს მოვებღაუჭოთ, რაღა თქმა უნდა თავი და თავის, საღმრთოთა, შემდგომ, ახლა მათი დრო, ვეღარაკრძალულთა, ნამდვილად უფრო არის ისევე როგორც ადრევეც იყო, ადრე კი 2 ტიმოთეს მიმართ III, 12,იყო... და, დევნის შიშით რასაც შეუდგნენ, რასაც დაადგნენ დევნილობის კრძალვით და შიშით, და თანაც ამწარმავალი მიწადცხოვრების წამიერულა მოწყობისა და გაჯგიმვისათვის ჩვენებურულაც მეგონჯსიტყვეები ანუ მწერლებკალმითცრუ, და კალამს კიდევ რა უჭირს - ცრუები ჭკუვით, გულით, ტერფით კინკრიხომდე, ჩნდებიან ერთგან, და, თუკი თქვენით გაიხსენებთ და იპოვნით ამას, გადაიკითხეთ ერთიც, ადგილი.....

გენიშნათ, გახრწნილებსა და ანუ, ბილწებზე?

...

და, ვიტყვი მეც რაღა - მაგრამ წიგნი შესაქმნელად ნისკარტით ბუდის შესათხზველადსავით თუმცა ძნელია, და მთელი შენი არსიც, არსობაც მას უნდა შესწირო, - და მაინც იყვნენ თვით დიდადდიდნი თავად მორჭმული მეფეებიც კი ლექსად აღმართულნი, წიგნიერები, განსწავლულები, გოლიათების თუ მრავალ სპათა დამმარცხებლებიც და, იმათთაგან, მეფეც-პოეტნიც როგორ არ იყვნენ, და ერთიც კი სახელი - სწორედ რომ „დავით“: „სასურველი, გინა ნიჭი“, ორ უდიადესს, ერქვა, და, და მეფედაც კი სიჭაბუკეშივ ნაკურთხი პოეტები ჭარმაგობისას თავიანთ ქველ საქმეებს კი არ იხსენებდნენ, არამედ იმ თავიანთურ ცოდვილობისას, შემოხვედრილთ და ჩაჭედებულთ ხორციულ გზებზე, იხსენებდნენ კი რადგან ცოდვები ახსენებდნენ თავს, და, პატიოსნებიც იყვნენ რადგან - ღვთისმოშიშები ანუ, ჰგოდებდნენ როგორ, ჭრელწარსულზე, სინანულობდნენ, როგორ, იმათ იცოდნენ აგრეთვე თუ რა იყო წიგნი - სიტყვები ჰოდაარა-საზე, რამდენად მეტი, იცოდნენ საქმეც რაც მთავარია ხოლო თუ საქმე, რაღა თქმა უნდა ქრისტეანული, მაცოცხლებელად და საცხორებლად რაოდენი რაა? რაოდენ-რა და, იაკობII, 26-შია, სწორედ ამაზე,.....

და მთელი ბიბლიაც გამსჭვალულია უდიადესი საქმეებით რადგანაც საქმე - მთლადცოცხალი რწმენაა ქრისტესი, ხოლო სარწმუნოებით თურას აღწევს ადამიანი, წმიდა პავლესივ ებრაელთა მიმართ თავი XI თავით-ბოლომდე წავიკითხოთ, არაფერი გვიჭირს,

.....

და არ გენიშნათ? ის რომ - „რომელნი სარწმუნოებით ერეოდეს მეფეთა“, (XI, 33) ყველაზე ძნელი ხალხისადმი ამა წერილში, და მოდით, ისევ, „წიგნი“ც ვიპოვნოთ ან თუგინდ კვლავ ვნახოთ „სიტყვის კონა“ში - მთლად ამერია რა უკვე ვთქვი და გირჩიეთ ან შემოგთავაზეთ და რომელი რაარ წავიკითხეთ, მოკლედ, ისევ ჰათ ჩვენ და, - „წიგნი - წერილთაგან ერთი“, კი, ხოლო თვით სქელტანიანი წიგნისაც

მსგავსად, „წერილი“? - აგრეთვე ეწოდების ყოელსა კალამთაგან აღწერილსა, გინაც ბეჭდის ტვიფართა“, ხოლო წერილთა სახეობები? - 23 აქვს, სიტყვიერებით როგორ გამოცდილ თითქმისდა ჩუბინს, მათგან მეუღირსს კი მაინცდამაინც ერთ-ერთი უფრო მიზიდავს ისე? - რადგან „ვითარცა ერთი ჩუენგანი“ -თ, აღელვებისაგან სულ მიხუთავს სულს, კი - და აი, ისიც, „საღმრთო“ და „წმინდა წერილთა“ შემდგომ და კვალად, IIIდ მოდის - „“გ ა რ ე შ ე წ ე რ ი ლ ნ ი“ არიან მსოფლიოს ჰამბავნი, ლექსნი და იგავნი რამენი და მისთანანი“, - „მისთანანი“ზე, მოაგდებულო სიტყვაზე ამ, ნეტა შექსპირი ან სერვანტესი ნეტავი რატომ და ან რად გამახსენდა, შესაკამათებლად? ჯერ დრო არაა ამისი, იქნება შემდგომ, აქ კი კიდევ სწერია რაღაცაც-ამგვარზე: „ხოლო ზ ღ ა პ რ ო ბ ა ნ ი- საწარმართონი (ვაი...), საცრუო მოგონებულნი (ვაი და ვაი) და ტყუილნი შემჭირვებელნი“ - (ვაი, ვუი და ვაი) - არა, ამას ვერ, არ მივიღებთ, ეს „ზღაპრობანა“ მერე ხომ „ზღაპარი“დ, კიდევაც უფრო განვითარდა და დაიხვეწა, მალამოდ, ჩვენთვის, ბავშვობა თუკი მეტნაკლებად შეგვრჩა მაინც ხომ გვახსოვს რარიგ იმედად, და კიდევ კარგი რომე „ლექსი - სიტყვა სრული და რჩეული, გინა შეწყობილი ლექსი არს“ - რუსთაველმა და, თავი და თავი წმიდაბიბლიამ ათქმევინა ორბელიანობის ბერადგამცვლელ სულხანსდასაბას ალბათ ეს რადგან მთელი ბიბლია ხომ, კი - პირველლექსია, ხოლო ერთგან კი, „კოლასელთა მიმართ“-ში IV, 3-6,

.....

რაღა თქმა უნდა ღვთის სიტყვაზეა ვითომდაცუხმო ქადაგება აქ, მაგრამ ცოტათიც, პაწაწას, ეგებ, მთლად პაწაწინად ვგონებ და იქნებ მღვრიე პროზასაც კი შეეფერება, არაა პროზა მთლად მოსაწყენი როგორც ზედმეტად საპოეტურნი იტყვიან ხოლმე, ხომ გააჩნია ვინ როგორ იგავს თუროგორწერდა!, თუნდ ლექსადაცკი, ოღონდ ფარულად და ეგებ სანდოდ სრული და გამორჩეული იყო თვით სიტყვითა და თავად სიტყვად დაცემული, ვინმ, და გინდაც თუა „შეწყობილი“ რაა ამაში ძალიან ცუდი, რადგანაც „წყობა - ლაშქრობის რაზმი“ და აგრეთვე „გინა რიგიანადაც დასდვა“, ჰეე, „რიგიანად რომ დასდვა“? - სათქმელად ადვილია, მაგრამ ფარულ რიტმებში, უხილავ რითმად, ძნელია ყოფნა... და, ერთ სიტყვასაც თუ გავედევნებით, „იგავი - ესე არს სიტყვით მაგალითი, გინდ საჩუენებელი, გინა მისანიშნავი“, ხოლო სანიშნო - ნიშანთან ჰპოო“, „ნიშანი - ნიში, სასწაული“, მაგრამ ყველა წიგნი რომ არაა ერთი, ჰო, ბატონო, კი, და ეგებ ჩვენებმა ადრიდანვეც დანამდვილებით იცოდნენ ეს, ჩუენგანებმაც იცოდნენ რომ, დასტურ-ამისად, გამოსაყოფად, ცალკე სიტყვადაც კი: „წიგნაკი - წიგნ ცუდა“, და ჩვენ წიგნაკი აქამდე ხომ მხოლოდ მოცულობით წიგნი-რამ მცირე გვეგონა და, საბასებურად კი, რამდენი სქელი და ოქროსყდება და უხამსოებებით გადაბიჟვინებული წიგნაკი გვახსოვს რადგან ძალისძალათიც შეგვხვედრია და ესროგორ, შე კაცო იმოდენსისქა დიამატი და პარტისტორია მხოლოდღა წიგნაკნი ყოფილან ერთ-ერთნი? მე ვინა ვარ რო, რომელიერთი უცოდველი მაგრამ რაც მე მინახავს შესაკრთომელადმდე, გაიძვერები? - აჰ, ყელამდე ვარ აჰ, კვადრატულობით მეტრ-კილომეტრნში თუნდ მხოლოდ მოსახლედსულიანობით რაც მე მინახავს ჩვენში კარქაგავრცელებული სხვარამში არ ვიცი და ანკეტით კიდე - მწერლები? - თაღლითები და გაიძვერები, თანამდებობით მყრალუფროსობის რისი ორგულად - როგორ ათასღრანჭულად

შემციცინენი, ხოლო მეფეებს, მოდიდოებს თუმც ისეთ, ახალქართულად „ლიქნა“ - ანუღა „მლიქვნელობა“ კი არ უნდათ არამედ „ლიქნა“ - ქართულით ძველით - „დაყუავება“, რომ არ განმწარდნენ და მთლადაც უსაზომოდ არ გაბოროტდნენ, მევინავარმეთქირო რადგან ამას ვიძახი ისე ვირიგებოდე თითქოს ჭკუვას, მაგრმ ვიცოდეთ რომ სწავლებაეს არახალია, ძალიან ძველია, და თვით სიმონიც, რომელმა ჯერ მხოლოდ თევზთა მეთევზემ და მერეკი ამაღლებისაკენ მიდრეკილ კაცთა მეზადურმა, რომელმაც თავისთვის - იესობისას არავითარი მეფე და მთავარი არ იცოდა სახიერესი მეუფე-ქრისტეს, გარდა, არავინ სწამდა, სხვა, და, თუმც დაუდგრომელი იყო იესუსთანაც კი, ახლოდ ყოფნისას, სხვა მოწაფეთაგან განსხვავებით რაღა კითხვებით არ უკირკიტებდა, და მომავალ მოციქულებსა და გამყიდველს შორის ყველაზე მეტად ის იბაგუნებდა გულზე მუშტებს და საქმე-საქმეზედაც ყურიც წაათალა იესუ-ქრისტეს ვითომდაც თავისით შემპყრობელთაგან ერთ-ერთს, ვისი ყურისაც მომრჩენლობაც ისევ იესუს-ხელიდან გახდა, და სიმონი ესი, სულ თავიდანვე ქრისტეს მიერ კლდედ-წოდებული, პეტრე-დ უფრო შეიქმნა მერე და მერე, თუმცა იესუ სულწასულად დაუდგრომელობისთვის ხანდახან ისევ მომარტივო „ჰეჰ, სიმონ, სიმონ“-ობით მიმართავდა, იესუსშემდგომ ცხოვრებაში კი, მართლა ქრისტესი-კლდედ გამყარდა, როგორ მართლაცდა კლდედ სათნოებისა და თვინიერების მადლით და თან როგორი მტკიცე იყო, ჭეშმარიტებისათვის როგორ ერთგული და სხვარამთათვის კი, დაბალ საწუთოთათვის, როგორი შეუვალი, და დიად წმიდანს, ადრეეეც, ქრისტეს იესობისას, მამაღმერთისთვის ერთადერთი ძესი ორთაგან ერთსაც უსაყვარლესსა და პირველ მოწაფეს, მერე და მერე თვალნათლივისა-უიესუდაც ქრისტეს როგორად მთლად განუყრელად და ერთგულად ხომ? - როგორ დამქონს, კლდედსიმონისა პეტრეს ჯვარცმაც უნდა ვიცოდეთ თუ როგორ იყო, თუ როგორც მოხდა, და, საკვირველებავ, თავიდან თუ - თვით იესუს წინაშეც თუკი კარგა ხშირად ფორიაქობდა, ხოლო სიკვდილით სიკვდილისა დამთრგუნავის, ამაღლებული ქრისტესი დაბლა კი, კი, ეპისტოლეშიც, უიმისოდ ეს თვალით თორემ, როგორი მისი და მისიანი, საოცარია, გვასწავლის თუ, ამ-აქაური მეფეებისა თუ მმართველებისადმი როგორი უნდა ვიყოთ ჩვენ, გინდდაბალმეფეებიანი ადამიანები, ეს მის, პეტრესი, მოციქულისა და წმიდანისა, ეპისტოლეშია, - 1 პეტრე II, 13დან, ნახავთ, სადამდეც,

.....

წაიკითხეთ, ხომ? ხომ წაიკითხეთ... უცნაურია, არა?

კლდედან, პეტრედან, გაგიკვირდათ ხომ? მაგრამ არ უნდა გაგვკვირვებოდა, არა, რადგან თვინიერება და სათნოება? - ქრისტიანობის ერთიც ძლიერ უპირველესი, მადლთაგანია, მაგრამ თქვენსავით მეც მაინც როგორ მიკვირს რომ, - „მონანი დაემორჩილენით ყოვლითა მოშიშებითა - ექვსსახოვანი შიში აქვს საბას, და მხოლოდ ერთ-ერთს გულისხმობს აქ - თვისთა უფალთა, ნუ ხოლო სახიერთა და ტკბილთა, არამედ უსახურთაცა და, მაგრამ, იქვე,

1 პეტრე II, 19 - როგორი წმიდა, ამაღლებული და, ამამაღლებელია ამისა ახსნა, დამორჩილების კი არა და, თვით შეგუების, რასაც უღირსი აქამდე ვერასოდეს

იტანდა და ვერიტანსაცვე, ერთიც მოიგავო სიტყვით მეც ვისარგებლებ - „იტანსაცვე“ -თი, ჩვენი, ქართველთა უდიადესი და უპირველესი, უწმიდესი ხომ მართლა კაცი თუ მთავრებისადმი, თანაც მთელი ორისადმი კეთილგანწყობასა და მორჩილებაში ასე ვთქვათ „ჩაავლეთ“, დაიკუმეთ ეგ პირი და ნუ გაიძახით, ვითომც პირმეტყველებო, რომ ის - მეპატიოს ეს განმეორებაც კი, - რომ ის ორპირია, რადგან ერთსაც და მეორესაც, განსხვავებულებს, დალოცვას ორივეს მიაგებდა, და, პირცუდადმთქმელნო, დადუმდით, რადგან იის მართალია ღვთისა და მისი წიგნის წინაშე, თქვენ კი, ვითოქართველები, აი იმისი ბაიბურშიც კი არა ხართ, რამაც ჩვენი ეს საქართველო დღემდე მაინც რომ მოგვიტანა - მართლმადიდებლური ქრისტიანობაა ეს, და, დღესაც ქართულად რომ ვლაპარაკობთ, სულ აღარ გიკვირთ, არა, მჭევრებო, იმდენი ბერძენრომაელარაბოსმალოსპარსდარუსებდა, და, ყველაზე მეტად უსაშიშრესის - მთლადაც შინაურ მტერთა შემდგომ, და, - პირი მაინც დაიკუმეთ, რადგან, ისედაც, 1პეტრე IV, 3-4 წავიკითხოთ, სადაც, ჩამოთვლილია, თუ რა და რა „კმა არიან ჩუენდა“ - ხომ გენიშნათ, ხომ, - ისერიგაა ჩამოთვლილი ჩვენი მრავალთაგან ზოგიერთიც დიდი ცოდვები, მაგრამ ცოტათი -

ამოვისუნთქოთ, -

ხოლო იგივე წმიდანთან, კლდე-პეტრესთან, II ეპისტოლეში, I, 21 ამოვიკითხოთ, თუ ვისი წვევით იტყოდიან ამაღლებულს და ამამაღლებელს, „წმიდანი ღმრთისა კაცნი“,

.....,

ხომ წაიკითხეთ,

მაგრამ რა სხვაა ბილწადმთქმელთა ანუ სიბილწისმწერთა ანუ ზოგაცმწერალთა სხვადასხვა ჯურის და წოდების მეფეებისა თუ მთავრებისადმი ღლიცინ-ლიქნინნი, მწერლებს მხსნელებად მივჩერებივართ ჩვეუბრალონი მაგრამ, რაც ჩვენ გვინახავს იმათთაგან თუ იმათთაში გაიძვრები, მედროვეები, ჩამწყობები და თვით თავად ნეტარი სიტყვით მემრუშეები, და თვით რამდენად მომცრო ცოდვით - უზრდელებიცყე ქაღალდსა თუ ძვირფას კარგარეთ; წარმოიდგინეთ, ამა საქმეებში მუზაც კი ახლდათ ოღონდ კეთროვანი და, დაკეთრილნი, ფლიდად წარმართნიმომხვეჭელებიდასტურკაცებიროგორლაჩრულადთვალმბრიალნენიცხე ლქვეითებზეთანამდებობაცთუღნაშოვნნიდაამძორებულადსიმყრალეთიცაშმორებ ულნი და მერე და ვის, ეს ვისა წინაშე და რითი მერე ეს - მათი შემქმნელის, სიტყვის წინარე, და რითი მერე ეს - თვით სიტყვის სიტყვით, უხამსურწყობით? - რაბევრი ჰქონდათ, ოღონდ თავზესაყარი კი არა და, თავშისაცემი, მაგრამ ამას მთლად, ზოგჩვენურად „ბედისწერა“ -ს ნუ დავაბრალებთ, რადგანაც მხოლოდ და მხოლოდ და მარტო ღვთისმიერი რომ არაა ყოველივე, იქიდანაც ჩანს რომ ბიბლიაში თვით მამაღმერთი და თავად ქრისტე ადამიანებზე რომ ბრაზდებიან და რისხვდებიან, და, სულიწმიდაც კი, უსათნოესი, რომელსაც ქრისტე ადიდებს ისე? -

იხილეთ მათე XII, 31-32,.....,

ხედავთ, თვით ქრისტე მამაღვთის გარდა სუყოველივესა და თვით თავის თავზეც როგორ სუმაღლა აყენებს თუმც ეს ეგება თავმდაბლობით - ერთნი არიან და ტყუპებია, იგივე როგორ მეორდება მარკოზთან - III, 28-29,

.....,

ლუკასთან, - XII, 10.....,

და, ლუკასთანავე, ქრისტე როგორ ამხნევებს შედგომილებს რომ, დევნასა და გაჭირვებისას თვით სულიწმიდა უკეთურისმიერებისაგან დაკითხულებს თვით სიტყვით სიტყვით როგორ დაეხმარება -

ლუკა XII, 11-12, ...,

ასევე, მათეს სახარებაშიც - X, 19-20,.....,

და მარკოზთანაც - XIII, 11, ...,

რამოდენაა კი არადა წმიდა ეს სული, სუყველგანაა, მამა-ღმერთიდან ამომავალი, ხოლო უმისოდ რაც გვემუქრება სულ სხვა სულებით, იხილეთ მათე XII, 43-45,

ხოლო სმენითკი ვერშემსმენლები და თვალებითაც თუმც მხედველნი და ვერაფრისა დამნახავებზე, დაუნახავებზე წმიდასამების, რა ბევრგანაა - ესაია VI, 9-10,

.....,

მათე XIII, 14,

.....,

მარკოზ IV, 12,

.....,

ლუკა VIII, 10,

.....,

იოვანე XII, 40,

.....,

საქმე მოციქულთა XXVIII, 26,

.....,

რომაელებისადმი ეპისტოლეში XI, 8,

.....,

სულიწმიდათიც ნათქვამია სხვაგან არ ვიცი თუროგორ და ძველქართულად კი ლამაზად ასე - მათე XVI, 1-3,

.....,

ხოლო მათესი XVII, 20, დიდსასწაულზე,

....., -

როგორ რწმენაზე, რწმენა კი ისევ, სულიწმიდათია, კი, გვიყურებს, როგორ, დაგვჩერებია კი არა და, გვიქვეითდებაც, რამდენგანაა კი არა და, მთლად გვჟღენთს სულით თუკი მივიღებთ მაგრამ ჩვენ, ურჩებს, ძნელადსაჯერი კია მაგრამ, თვით წმიდა სულიც კი გვიჯავრდება, ადამიანებს, ერთის გაგებით ხომ არა გვჯერა მაგრამ წმიდა პავლესი ებრაელთა მიმართ III, 7-11 იპოვნეთ...,

.....,

ხოლო ლუკაში, ქრისტეს მიერ, საოცრებაა იესუსგან ერთი შეკითხვა - ლუკა XII, 14,.....,

მაგრამ ეს ალბათ, ქვესოფლისა საქმეებს ეხება მხოლოდ, ხოლო ერთგან კი, ძალიან ძნელად თუ დავიჯერებთ, -

მათე VIII, 10, ..., - თვით ქრისტეც კი, გაკვირვებულია,

ასე რომ,

თუ გვირისხვდებიან, თუკი გვტუქსავენ და, უკვირთ კიდევაც რაიმე ჩვენ-ჩვენი, მთლადაც იმათით არ ყოფილა ჩვენი ფიქრები და ნაბიჯები და ეს - წმიდასამებავ, შეგცოდავ შენთან ამ ახსნითა და სიტყვებით: შეზღუდვით ან უძლურებით კი არ მოსდით ეს, არაა?, არა, არა, არამედ არჩევანს გვიტოვებენ, როგორ ძალიან ადრეც იყო ეს, ადამისასაცკი, კი, ჩვენ კი, არჩევან-მეარადანეები, ამრჩევებადაც ვიყავით, ვრჩებით, ხოლო ჩვენს შორის ვითომდაც სიტყვით მჭევრი ხალხი, ეს ჰოპაჰოფოფ ვაიდ მწერლები ვირჩევთ იმას რომ, ზოგიერთნი სიტყვითვე ვმრუშობთ მაგრამ ზოგიც ხომ ზედაპირულად გინდ მწყობრი და გინდაც თვით შეწყობილი სიტყვები ხომ არაა სიტყვა, ლორწოიმისი - უკეთურითაა, კი, სამშვინველში ჰყავთ ჩაბუდებული და, უწმიდასამებოდ, „ხემან ხენეშმან ნაყოფი ხენეში გამოიღოს“ მაგრამ თან რამდენ დაცემულს შევხვედრივართ ცხვირაწეულებს, მაგრამ ხომ გვყვანან ჩვენ, ქართველებს, ისეთებიც რომ, დიდხნისწინეთში დამაშვრალები როგორ ნატიფად და თავადურ თუ გლეხის კუშტი ხელით, აი დღესაც რომ, ჩვენდა რა შვებად, მაინც რომ ისევ, ხომ ასე, მართლიად, გვმალამოობენ, და როგორ მერე, ჩვენ,

და, უცნაურია? - არა, შემფარებელიც და მიმშვებიცაა თვით სულიწმიდა, მაგრამ ჩვენზედაც ხოა ზოგი რამ და,

დიდმწერლებიდან, ერთსაც დიდსაც მართლა მწერალს, „უხამსი ანეკდოტი“ ალბათ არ უნდა დაეწერა,

და სამ ძმათაგან შუათანა, უკეთურული, ყველაზე მეტად დამაჯერებლად რომ აღგვიწერა, რაღაც ეჭვად ხამუში დანალექი თუნდაც კუნჭულში, ოღონდ გულის, ნამდვილად გვრჩება მაგრამ სხვებს თავი გავანებოთ, ყველამ ჯერ ჩვენ-ჩვენებს მოვუაროთ და ადგილზე დავსოთ მონაცემების მიხედვით და, ისე კი არის საკვირველი, ასეთ მცირე ფართობზე შვიდასამდე რომ - საბუთიანა ოღონდ - მწერალი რომ გვყავს ანუ ასე ძალიან მჭიდროდ როგვყვანა, და ყველას ერთი წოდება მწერალი ქვიათ და ჰქვია თუმც ძალიანაც განსხვავდებიან რაღა თქმა უნდა, ადამიანებია მაინც, ისინიც და მწერალსაც აკი ადამიანებსავით, გააჩნია და, სხვადასხვაგვრებია, შვიდასივ სული, ეე, და თუ ზოგ მათგანს მაინცა აქვს სული, ეე, ჰო - კარგანაწილ ძირითადად მხოლოდ სამშვინველიანი მწერლები კი არა, თვით დიდადმარტივი და ვერმალული ალალი წვინტლიც კი სულხან-საბასას ოთხადაც კი განიყოფება და, ამათაც, რა ქნან, წყნარივითაა ზოგი, უხამსები ხომ - რამდენიც გნებავთ მთლადსათავესა თუ თლათბოლოში ქვემო-ზემურათ და რატომღაც - თანამდებობიანებები კი, კი, უფრო, კი, კი, ასეთები ხომ, პირდაპირ თავს გვდივა, მაგრამ მწერალი, ჩვენი თუ სხვისა, გინდ ეროვნულად ნაციონალურ ტანსაცმელსაც კი ამაყის რიხით დაატარებდეს, ვერაა ჩვენი, თუკი აღნიშნავს რომ ადამიანი როგორც ასეთი არაა კარგი, რადგან ყოველი ნასვრეტიდან ზინთი და ჭუჭყი გამოსდისოვო მიწყივ მუნ-აქეთ და მუნ-ითედიდან, და რომელ მისამალ ჭუჭყსა და სადაურ ზინთზეა ლაპარაკი აქ, ბარე ახლობელ თითებზე დაეხედა და როგორმე ჩაკირულ გულშიც ჩაეხედა ოღონდ თავისებსაში, და თუ იქამდისინაც კი შეტოპავს რომ,

ტანთჩაცმულ დიდად ულამაზეს ქალს, ნუ იტყვითა და თურმე ამისით, თუნდაც კაც-გომბეშოთი გადაპრანჭულისა და ქალთხანდახანმართლაცმომნუსხველის და ვინძლო ერთიანადაცკი დამპყრობელისა, ამა მართლაც და თავზინთდაჭუჭყიანისდამიერით გაშიშვლებისას ლამაზი ქალისა, წინ აბა რაღა დაუდგებოდა სხვადასხვაგვარის ნადირობათა ხვაშიად-ტრფიალს, აბა რომელ ერთს არ დაუნებებდნენ საზინთსაჭუჭყებებიდან მაგრამ - თურმე ნუ იტყვით და მაგრამ გინდაცა უიშვიათესად მაგრამ შესაძლო ყოფილა მაინც რადგან თავისი გადმოკარკლული თვალებითვე მოუხიბლავს ჩვენურ აღვირარებულ მზეკაცას- ამას რომ იმა ასეთნამდვილკაცუნახავს მართლაც რომ დიდად მზეთუნახვური ნეკნი ჰქონია ხორცმიღმეთიდან გამოჩრილი, წარმოგიდგენიათ?! - !! - ვააივაიი, ჰეჰ... შორისდებულთა მიუხედავად, ვერ წარმოგიდგენიათ მაინც ხომ? და ნურც წარმოიდგენთ რადგან ტყუილია გინდაც დავუშვათა და „ნამდვილი ამბავი“ იყოს, სინამდვილეში კი ალბათ ვერ შესძლო ემ მოლაციცემ არცთუ ლამაზი რომელიმე, პირსახეტანით სამოსანი ანუ მაინც და ძლივას დამაკმაყოფილებელი ქალის მეტად საშურად დაუფლება, ვერა სძალგიძდა (თუ „ვერა სძალუძდა“?) ალბათ აიისა და, მოიგონა ეს, ზინთებიანი მუზათით ესა, რათა თავი და სწორ(ადაც) უპოვარი მამაკაცობა სასახელოდ რომ დაეძვრინაკი მაგრამ, მწერალი, რაცგინდ ტურტლებიანი მუზისადამიუხედავად ბეჩავ ქაღალდზეც რომ გადაიტანს ანუ დაგვიწერს ამასაცა და საკუთარსაც თავს, წასულიარი იმა მწერლის (სიტყვაა პირობითი, თუნდაც ზოგივინმ ასეთთაგანი აღიარებულიც კი და თანაც მაგრამ სიკეთისადმი დიდმოთოკილად აღვირ-ებული იყვეს) საქმეც და სიტყვაც ჯახნაბისკე ხოლო ისე კი, კვლავაც „წვინტლი“დან გამომდინარე, მრავალმხრივ-

იყო:
ამაყიძუნწიმქუხარმშიშარიუზრდელიმხვეჭიკრიჟანგიყალბიგაჯგიმულიდაბოლო
ბოლოწვინტლადცინგლიდაბოტოტიდაჟღვინტი და ამეებს კიდევ არა უშავდა თუ
უკვალოდ, კი, წავიდოდა, მაგრამ - ებრაელთა მიმართ XII, 15, ერთად ვიპოვნოთ და
ჯერ ერთადვე წავიკითხოთ: „ეკრძალენით, ნუ ვინმე დაკლებულ იყოს
მადლისაგან ღმრთისა; ნუ ვისმე“... ახლა კი, თქვენით განაგრძეთ და, ისეთ რამს
ნახავთ, ახლა, ამ ათიოდე წლის წინ და აქეთ, რომ დაგვაქცია, ეს მისით მოხდა,
მისიც წვინტლ-წვლილით, კაენისაგან წამოსულის, ისე კი, თაყვანისმცემლებიცა
და დიდდამფასებლებიც, და მიმდევრებიც კი თვით ერთსაქმიან ხალხშიაც კი,
რომელთაც ხშირად შური ახრჩობთ ზედაფასებულისადმი, ასეთებშიც კი შესძინდა
ერთ-ორ, და ერთცალიცდა კი ძალიან, ნამეტნავად, ერთიც ნიმუში გვერია ჩვენში
ისიც მესიტყვე და უფროკი მეპირე რადგანაც კრებებსა და თავყრილობებზე
გამოსვლები და თანაც ერთგვარი სახის მამულიშვილურად, თავდავიწყებითა კი
არა და, თავხსოვნითა და თვალთდიდადდასახსომებლად, ძალიან უყვარდა;
მთელი ცხოვრება საშოვარს-რასმე სჩადიოდა ისეთს რომ, მთლად საარაკოს:
პატრიოტობა, ისევ თავისით გაირიგა და შეიყვარა-არა მაგრამ შეიყარა-კი, არ იყო
ძნელი. ესა. მომგებიანურ პატრიოტობას გაუშვებდა პირხელიდან, ის? ისიც
ფიცხელი გავაზივითა, ოღონდ პირ-უსტარის, უნდ-ყოფილიყო
თვისმოძღვარისავით, ფიცხელი აგრეთვე ტანაუტკივარ გავაზისაც გარდა აგრეთვე
ხან მძიმედ და ხანაც სუმბუქად დაჭრილი ძუკნა ვეფხივით - თემას გააჩნდა -
ოღონდ ღობისძირას მიხატულის ამ ზოლებიან-მძვინვარისა, ასე რომ,
მხოლოდწილ იყო თავისისაწილ გამორჩეულად ანთებული ჩაუქობისდა
მიუხედავად იქვეც ღობისძირ ერთგვარად მეხანძრე დროებით
ცალუკანაფეხაწეულა არცთუ ჯიშიან ძაღლებისა; სტალინის დროში წითელ
დროშისქვე კიიწყო საკუთარიკოებისა გამონაწარმოებებისა გამომზეურ-
გამომთვარეობა მაგრამ ფრთხილობდა, მომგებიან თემებზეღ სწერდა ძალიანაც და
ოღონდ; რა ექნა იმასაც, აკი გვიყვარს გინდაცოხერი ჩვენ-ჩვენი გასაფრთხილებელი
და აუტკივარი თავი, მერე კი როგორ ძალიან - კულტურულად გამოვთქვათ უნდა
და თან შთამბეჭდავად... ჰო - პატრიოტულად ინტენსიობდა, განსაკუთრებით
ემაშინ თუკი ბინა-რამ თავისაზე უუკეთესი ჰქონდა შეთვალული და
მოსანადირებელი მონ რა იყო და მწერ-კავშირიდან, ამისათვის კი სწორედაც რომ
მისწრება იყო თოხარიკულად გამოჭენებული ფსევდო ანუ ფსპატრიოტობა - მაშინ
კი, იცოცხლე იდგმეოდა მოშორებითა სუფლიორთაგან ჩიტაძის ქუჩის და
მუზაიმათითგანც ტარდებოდა ერთგვარად მწერალცხალხიან და ხალხითტევადი
შესაკრებლები რადგან კრებები იმათი მოსაჩვენად საქმიანი და, ხოლო რაცგინდა-
რა ხალხიანობას, ის გაუშვებდა? - აჰ, ისაქუხდარო? თან, სხვათა შორის, სიმართლე
- სიმართლედ და, იცოდა სიტყვის დალაგება თუ ბასრებისა გამოზოგვა
ფინალისათვის, მოკლეთ, იცოდა გრძლათ ლაპარაკი, ოღონდ როგორი, იმ
სიყალბისათვის, ნეტაც არცოდნოდა, და რისთვის მერე ლაპარაკი ეს, სჩვეოდა
აგრეთვ - კრეშჩენდოები ხმიერი, და მხმურად მხმობი, დიმინუენდოებიც
ზედმიწევნით ძლიერ ვერა მაგრამ იცოდა სასიქადულო რაიმრამს თუ მიადგებოდა
და ფორტეები ხომ!!!, ჰ, თუმც ეს სიტყვები ქართულ-ახსნითაც სულაც არ იცოდა
მაგრამ ეს სულაც ხელპირფეხებზე არ ეკიდა? თან თამამობებს გამოურევდა ამას
უჩვევი ხალხისთვის და, მოსწყვიტამდა ტაშს, ცოტათი ნერწყვთ-შხეფთ ვერ

იმაგრებდა განსაკუთრებით ფორტისსიმოებისას მაგრამაც აკი ვარდი, უეკლოდ? ვის გაუგია - და იმა ფიანდაზ ტაშზე, მწერალთა კარგასქელი დასტის დიდთავ-თავკაცებისათვის არცთუ სასურველ თემატიკაზედ, ისი იღვწოდა, ამა მიმართულებისა და განხრის დარგზე კი სოცდაკომ, პარტ და მოამხანაგო სხვებისა თავთმჯდ-ფიგურები ხომ, როგორც წესი, იშმუშნებოდნენ, თუგინდაც არა გარეგნულად და მხოლოდ გულში მაგრამ ენას ვერ ჩააგდებინებდნენ და ხრინწიან მაგრამ ძალუმ ხმასაც არ აკმენდინებდნენ რადგან იქა შეკრებილ ხალხურ თვალში კარგა ვერ გამოიყურებოდნენ-იქნებოდა ჯერ ეს ეგ ერთი და, რაც მთავარია, გამორჩეულად დიდი სამშობლოური მწერალ-ქართველი რადგან ყოველი გამოსვლისას ლენინურითა ციტრუსებით რა იყო კაცო, ეე, და ჩაიც რა იყო და გინდ ლიმნიანი ციტრუსები არამედ ლენინაური ციტატებით იმაგრებდა ზურგს-აც რა იყო და,არამედ უფროც უფროდ უფრორე ქვემოთაურობას ვინემ ეს ზურგია, ჩვენს დიდდროინდელს რომაა ხოლმე დროში, თუნდ სავარძლურათ დასაჯდომათ და მომარგებად, სწორედაც იმას. თუმცა, ავირიე, რა - იმას?... - ჰო, იმაგრებდა: აგრეთვე სადაც რომ ჯერ არს იქა გადაცმულებს თუ გადაუცმელებსაც როარ დაებარებინათ; ვინ რას შეედავებოდა, ლენინითმწყებელს. ამიტომ შედარებით გაბედულსაც რამს ლიმონათივით მიაყოლებდა იმ ჭაჭასავით დასაცეცხლე რასსიანინ-რუს (ისემც) ლენინურსაზე, მერე ისევაც ყოვლად უშუქო მაგრამ კონიუნქტივიტად პატარათვალებ-აღნთებული რო დაამატებდა წინაუკანა შესამძღვარსაც მამით ილიჩურისას (ისემც) და იქიდანვე გამომდინარე მშობლიურ ერ-ანუ აქა - იმისშვილურსაც დაამატებდა-ა, აქეთ ეს ჰქუხდა და იქით მისით ჯავრამოყრილი დარბაზი, დარბაზისეულნი - ჩვე, და, არც აქ არ უნდა ამ კავშირ-წინ „მონ“ და არამედ მწერთ-კავშირული თავკაცები და პარტიულობა (მაშინ ერთიღა იყო პარტია მაგრამ საკმაოდ ბევრებიანი და არდასაკარგმანდატიანნი) იმის ამისებურსა გამოსვლებს გულდაკოდილები უფრთხოდნენ და ჰნერვიულობდნენ - რაში არგოდათ საქართველოზე, ანუ მხოლოდღა ერთ-ერთ მოძმურად ამხანაგურა მოკავშირულა რესპუბლიკაზედ - ასეთი განსაკუთრებული ტაშისცემა, და დავიდარება, ხოლო ხალხი და ხალხთაგანნი აკი ბრძენია ზოგიერთი, გუმანიანი, მაგრამ მოცემულ-მიცემული კავშირის სხდომებზე ხომ თუმცა საერთოდ ნაკლები იყო როგორც ასეთი - ხალხი, და ამ მარტივ წაბმაზე სამშობლოთი - იტაშისცემინებოდნენ, ხოლო კავშირის ფიგურებმა გამოსავალი ჰპოეს იმით, რომ, ამგვარ ტაშთმოსილ მამულიშვილს ახალ მამულებსაც ურიგებდნენ, აძლევდნენ ბინებს სანაქებოთ, და თუ პატარა ხანში, პატარა ხნითღა ჩაკმაყოფილებული ისევ არ მოიშლიდა და კვლავ პარტნტრიონტულს გაჩაღებულად ჰოტროველობდა, კვლავაც ეგების თუნდ დროებით ჩასაშუმინებლად გამოუყოფდნენ ზოგითვი მადლმომფენი ლენინის ზურგითა და ზედაც ქვედად ანუ ზე-ქვეითურა ზურგით მეამბოხეს თუკი ან სულაც თავისთვის ანდაც ნათესაურად მოყვრისათვის დასჭირდებოდა ავტოსამანქანოდ ახალი კარგი კარდანი ვალი ან უფრო მძლავრი რაიმ-ძრავა და ანდა სულაც პაკრიშკა, მინუტში ყურმილს დასწვდებოდნენ და მოგრძო ყურთან იმარჯვებდნენ და მარჯვეობდნენ ჯერ სალამ-ქალამ-მოკითხვებითა ვიღაცეებსთან თვით მწნწწკავშირის სამკერდეცკიზედაცმნიშვნელოვანზნაჩოკიანები და რეკომენდირებდნენ, ვეჟს, ხოლო ისედაც ფულებიანი მოპასუხენი ანუ ამ შემთხვევაში დარეკილები ისესწრაფადრომყოვლადურიგოდესხომნაღდად და, უფასოდაც, სულაცდა

ჩუქდნენ, რა იყო იმათთვის ერთიღა კარდანი ვალი რადგან კავშირთ-არწევრთ ჩვეულებრივა სხვებისაგან სამ-ობით იღებდნენ მაგიორში, მაგრამ ამ არაჩვეულებრივ ყალმითკავშირთა მესვეურულებს ამისი, ახალკარდანვალიანისაც ახალი მოილიჩურო-რეჩისაც წინასწარულა მოლოდინითა და რიდით და შიშით ღამით ცოტათი გლახათ ეძინათ ანუ იშმუშნებოდნენ ან იცვლიდნენ პარტიასთანმდგომ გვერდს, შაშში დამკა-ში რაღარა-არ კომბინაციებით გასვლით სულაც არ აწყობდათ ვეღარდამკობა - ვაჟკაცნი იყვნენ, გინდ თავისებურად თავმოყვარეები, და თანამდებობის - მაგრამ რასთან თანა მდებობის დაკარგვის შიშით? - იშმუშნებოდნენ თვით ძილშიაც კი, ფხიზლობდა ესაც - ძილისპირულად ვ. ლენინებში სამშობლოსათვი სუ თითდანერწყვით იქექებოდა, და არცთუ ისე უშედეგოდ - მამულს რომ თავი გავანებოთ, დედულეთშიაც კი კარგამოზრდილ და სართულებიან სახლს ანუ ჩვენებურა პირობითურა სრასასახლეებიკოს უშენებდნენ იმარეგიონთ ადგილობრივა ლიტერატურნული მწერლებისა ფრიადაც დიდად მოყვარული დასტურპაიკნი თუმც ასოებზე ბევრად მეტად აგური და ცემენტი და ანტიგემრიელი გაჯი და იმისი ჭამა ყოვლად უფრო ბევრად კარქაიცოდნენ, და ადგილობრივ ბლომაძღვენიან ელჩებსაც თავმდაბლობით თუ იღებდა მოსოციალისტუროც-ესა უკოშკებო სასახლეებში აგი ჰუმანისტი და პატრიოტი ლიტერატორი თუმც შორ-ინგლისელ მთლად ლორდებსაც ის სულ ვერა ჰგავდა; სჩვეოდა თავის გაყადრება ოღონდ ღირსეულად და წარმოჩენილად მკითხველთა თუარა მსმენელთა მაინც მიმართ იმ მზრზენისაგან განსხვავებით, თავისი უპოეტესობისადმი პატივისცემის ზარს რომ სცემდა მამულეთისა მისით მთლადაც დაბეჩავებულ უკლებლივ ყოველ თავბოლოკაცთ და ისეკი ღორძროხთფერმების წინამძღოლთა და არტელების ბელადთაგან და სხვადასხვა განხრის კომბინატორულ საქმოსანთაგან აქეთ კვლავაცგაბღენძილი და აქეთძღვენის იქით დამმადლებელი მუდმივამაყი გამომეტყველებით რომ იღებდა ხელის ხან საერთოდ ჭუჭყსა და ხანკი უფრო სილამაზეს - სუტკიცინებს, კი, - და კარგაზორბულად პატრიოტი იყო ისიცა ქალაქად მთელერთ სართულიანი და მამულიმისის - მთელ სანაქებოდ სამსართულიანისა მაგრამ გინების კი არა არამედ საცხოვრისის, ოღონდ ერთი რამ მაინც უცნაურია პატრიოტიზმში - კაცო, საქართველო რომ თუ ასე ძალიანი გიყვარს, ეს ძალიანაც ძლიერ კარგი, მაგრამ მასშიმყოფ ქართველებისაგან, თუმცა ცოცხალთა და არა კლასიკოსებივით გარდაცვლილების გარდაც იმ ჯერჯერობით მსუნთქავთა შორის ერთი-ორი ვინმ, გინდაც უბრალოდ ადამიანი მაინც არ უნდა მთლადგიყვარდესა გინდ არა, მაგრამ მთლადაც ზემოდან და აგდებულად, გინდც თვით პოეტ-იყვე და თანაც კარგი, უნდა დასცქეროდე? - ვერაა რაღაც შესაბამისობა ეს, მთლად გენიოსი ვერა მაგრამ მართლაც უდავოდ მოკარგო პოეტი და მართლა მგოსანჯანად გაჩენილი რომ იყო, ეს ძალიანაც კარგი მაგრამ სიმართლე სიმართლედ და ვაჟამდე აშკარად ბევრი სართული მაინც აკლდა მაგრამ სიტყვებისმიერი ეს, მაგრამ ისე ეჭირა სქლადდიდშუბლა მოდიდო თავი? - რომელი ვაჟა..., ანდა იმისი საცხოვრისის ჭერ-სოხანე თუ კარ-ფანჯარა, ამისა სჯობდა, ვისაც გინდათ დაგენიძლავებით, ამაყი იყო ზომაზე მეტად კი არა და სუცოტა სამნახევარსართულიანზედ უფრო, მაგრამაც ჭრიდა, სწორედ ეს, ხალხზე, განსაკუთრებით რეგიონალურსც მამულისშვილთზედ, იმათ იმისი მოდიდო თავით ძლიერ მოჰქონდათ პატარა თავი ჩვენ კი ისევაც II ტიპისას და იმისაც მამულშეძენილშვილს დავუბრუნდეთ

და მივუბრუნდეთ, და როგორ მოგწონთ სამაგალითოდ თანმოძღვრიანა ესაშეგირდიც ერთი, თუმცა კვლავ სიმართლე სიმართლედ და -სამასწავლებლე, თავისადადა უნებურად სხვებისასაც კი მომხვეჭობისკე მაბიძგარა ასეერთგვარად დიდაქტიკოსი, მწერლობითაც და ვაჟკაცური მრავალგვარობით და თემათარჩევით და გინდაცრომცრუ დანიშნულებით ანუ როგორაც მოფერებით იძახიან და გაიძახიან „აქტუალობა“ით, - მიმდევარს სჯობდა მრავალგზისურად, და დიდად ვრცელსახელიან განთქმულ თავს თუმც ძლიერ ბეჯითად დაჰფოფინებდა მაგრამ IIსაგან განსხვავებით სხეულით არ იყო მოშიში - სიგარეტსმაინც ეწეოდა და კანიაკ-სომდა, იმას კოშკიცა კიუძევდა თანაც სასახლესმიტმასნილი და თან უფრო ვრცელ ეზოდ, ბინადრობდა, და გამობურცულსა და დიდრონ თვალებსაც უფრო შთამბეჭდავად აკვარკვარებდა, ის, ასეთები იყვნენყე, დიაღ, მხოლოდღა ეს ორნი, სხვებიც კი იყვნენ, როგორ არა, დასაწინაურებელად სხვადასხვა განხრის მუღამური საქმითურთ თვალშისაცემები: ზოგსაც, მაგალითად, უბრალოდ ჯერ იმიტომ ბეჭდდნენ პერიოდიკასა თუ წიგნად და მერე კი აქებდნენ კარგაძალიან მაგრამ მხოლოდ იმიტომ ეს, რომ, გამორჩეულად ავყია იყო და ჭორების დაყრა და გაკილვა შეეძლო კარგი თუკიღ არ დაბეჭდდნენ და მაშასადამე ვეღარც შეაქებდნენ ერთგვარგემოვნებიანები, და თქვენ რა, არ დაბეჭდავდით? არ დაბეჭდავდით და ისეთ ჭორებს დაგიყრიდათ ან პირადად და ან სულაც ოჯახის წევრებზე, ასატაცებელს, ხალხის (სიტყვაა პირობითი), და მაგრამ ხოლო თვით ალალი ანუ მხოლოდღა თვით შედარებით ალალი ანუ მხოლოდღა სხეულით თუნდაც მარტივად მრუშობა თავისთავად ხომ არ იყო კარგი კი არა, უმძიმეს ცოდვად ითვლებოდა, არის, მაგრამ, ამათსას? ამათ ცოდვას? ამათ მრუშობას, სიტყვით? ამათსასაც ხომ და დიდადმაინც ისე რომ, - აუ?!, - რამდენად სჯობდა, ამათ ჭაობთან სიანკარეთი მთისაც თუ ბარის წყარო იყო ოღონდ სქლად დუჟნადენი და თვალში ცუდად მეტადსაცემი ვიდრე ეს: - მამულიშვილურ-იმათებური პატრიოტობაა; თანაც, ნატურალური მრუშობისას იმათ ხომ სულაც არ სჭირდებოდათ არც მოსახიბლი მსმენელი და განსაკუთრებით არც თვალდაჭყეტილი მაყურებელი და მოთვალთვალე, თავისთვის იყვნენ მრუშობაში თან მხოლოდ ორად, და თვით ტაშისცემაც კი არ სჭირდებოდათ რაც გინდა თავი ესახელნათ იმა ორულ გარჯაში, ხოლო ამათი სახეობის მრუშობა და თან მერე რითი - თვით სიტყვებით და რისადმი მერე - მამულისადმი, სამშობლოსადმი, ისედაც როგორ გვემულ და ნაჯიჯგნ საქართველოსადმი, ამ, და მსმენელსაცა და მაყურებელსაც - რომელი ერთი მათხოვარი - შარაგზის ოღონდ დარბაზურაც და საქაღალდურა ყაჩაღივით, როგორ ძალისძალ, სამშობლო-ობით ხარბად ითხოვდნენ, და, უმართლებდათთა-ო, მკითხველ-მაცქერალთ სიყვარულშიაო, ამას კი ძალიან ბევრნი გაიძახოდ-დნენ, კი, მაგრამ, ვაიიმათიიმქვეყნად ბრალი, რადგან ამქვეყნიდანვე ბრჭყალიან თათებსა და ყვითლადბასრ კბილებში ჰყავს გამომწყვდეულნი, და თუკი ცოტათი ნებაზე მიუშვებს ამმსხვერპლთ? - კატათაგვობანაა ეს და მეტი არაფერი, რომელი ერთი მიშვება და თავისუფლება და გამოჭერილის არჩევანი, ხოლო მოზრდილა იმათი კი, ვირთხებისა ფლიდად-უხამსი ურიცხვ-ხრიკები ახლანდელების კარგა ნაწილმა უიმათწიგნურადაც გადმოიღო ოღონდაც სანაქებოდ კარგი-რამ ჩოხა კარგვე ახალუხზე სულაც არ ჩაუცვამთ ხოლო ლეკვერთხები არცკი იციან რაა და ესაც რაც მართალია მართალია და საუცხოო უცხოურული ჰალსტუხებითღა თუ წარმოგვიდგნენ და რაც მთავარია

აგრეთვე ჰალსტუხისსიგრძე ენითღა თუ ლაპარაკობენ თან ბობოქრულად თუ შთა-გონებით და გვშთანთქეს პირდაპირ მეტყველურ ცრუ-დაპირებებით და შემოიკრიბეს კიდეც, რას ერჩი, ან რად ერჩოდნენ იმათ თავიდან კიკოდმყოფობას, მოკლეთ მოირგეს ზოგმა ვინები და ზოგმაც თუმც ფულიანი მაგრამ ერთსახედ ალალიცა და მოგებასხარბი, ხალხი, ხოლო ეს ამბავი, ცთუნებულთაგან შეცთუნება, არ-ახალია, მუდამ ძველია, და ამ თუნდ თვით სიტყვით მემრუშეებზე და მათ მიმდევრებზე, ანუ მრავალნ-ზე, ებრაელთა მიმართ XII, 15 წაიკითხეთ,

.....,

და, ხომ გენიშნათ; ამრჩევებიც და გამომრჩევლებიც რო არიან რო? - ფულიანი ან ენაჭარტალად თვალნათლივ მზარდი ერთეულები როგორც თანამდგომები შეინარჩუნეს, თორემ სხვებისა? - მხოლოდღა მიმცემების ანუ გუნდური ხმები-ს?: - თავთ-მχდომარეები გახდნენ, იყვნენც, არიან, და თავისებურად და ერთგვარად სულ წინადაწინ წინაურდებოდნენ კენჭისა-ყრა-ულ ბრუტიან თვალში მათთვის ის მერე რა რომ სწორი ასზომით გინდაც მთლად „უკმო“დ მიმოიარედ-ისიტყვებოდნენ და თანაც ყოვლად ულენინოდ ვ.ი., თანაც რიღასღად, აბა, არგოდათ პროლეტარიატით (ეს სიტყვა სწორა გამაგებინა და, მომკლა მერე) გინდაც მავზოლე-უმისტი, ლენინმ მოგჭამათ წითელი ჭირი, თუმც მავზოლეუმ χერაც არ შვენის კიბეებზე ამოსული მარმარილოთი უადგილო კი არა და - სწორედაც ადგილიანი ზოგ-იმისფერი ყვითელ-მწვანედ აჭრილი ბალახი, და ეგება ისიც გაიფიქრონ ზოგიერთებმა რომ გვშურს არა? - იმათი ასეთი ცრუდ ლაღად ღადავი და ამით ვითომდაც დიდად გამართლებული ზოგიერთულა პარტთლიდერების უმრავლესობის?, უმცირესობის?, ამასოფლური წუთიერულად ქონში სლიკინი?, - არა. განსაკუთრებით ორი მათგანის, რომელ ღვარჭნილთაც ამოდმჟღერი გვარები უღირსს მერე და მერე, რომ აიწყვიტეს, ფსევდონიმები ეგონა და არც იმათი გვარებისა ჰშურს, თავისი უბრალო ურჩევნია, და ეგებ ის შურს, - ჩვენრო კუჭნათლივ ვშიმშილობთ აქეთ და თანაც უყოვლადპროტესტოდ და აიისინი კი ძალიან იქით რბილ კუშეტკებზე დამაძღრები გაგორვაობენ, და, გოგრებია ვითომ მაინცა და რო? - გინა გაგრიაც ვეძახოთ ჩვენა, ემ ენაკარქაგატლეკილებმა გინდაც ბლოჟინა ზედაც ტვინით აკი წააბეს თავ-თავისი და სათავისო სწორედ, ხალხი - სიტყვააკიპირობითირადგანბევრიადამიანი ერთადაა ხოლო ეს ბევრსკიარახანდახანერთსაცვერგაუგებ, და, მაგრამ, -

ჰუ?!

კარგია! მკმარა! -

ბოლოს და ბოლოს, აღარ მეყო ასე ბოროტად, და გაბოროტებით ეგებ, ამგვარი უშნოდ ქირქილი?

და როგორ და რამთლად სუენად გავიკრიფე, ჰოდაარა-სი მხოლოდ, მიმდევარი, სწორედაც სწორედ რომ ჩემნაირი უნდა არა?, როგორ არა, კი, კი,

და, ასეა და, ასეც იყოც: „ჰოსადაარა“ს თუ გადახვედ, და როგორ აშკარად გადავედ-კიდეც, მოსალოდნელი არის ძალიან ასეთიცგესლიანი ბოდვა, და მაგრამ

ახლა, სხვაგვარად... სულ სხვაგვარად წავისაუბროთ, რადგან

რომელ სულსხვათა ცოდვებზეა ლაპარაკი აქ, როდესაც ის ცოდვები თავიანთცოდვით ჩვენც გვიბიძგებენ-მხოლოდ კი არა, ტვინფეხიანა წაგვიმძღვარებენ, გადაგვიყოლიებენ ცოდვათ ჭაობში, და თუ არ გჯერათ - ისევ წმიდა პავლესი ებრაელთა მიმართ, კვლავაც XII,15 გადავიკითხოთ, ნამდვილად არ გვაწყენს,

.....

და გინდაც იმათ გამკიცხავებსაც კი, ისედაც ცოდვილებს დანაშაული გვემატება, მეცნიერკეთილისადაბოროტისახის, რაძნელი ხილი, რადგანაც ცოდვა?, ცოდვა როგორ ძალიან გადამდებია, რიღასი აღარ და რაის კუნაპეტად შავი ჭირი, და სხვა თუ არაფერი, ცოდვილები, ჩვენ როგორ სუსტებს, გვაძულებენ თავს, სიძულვილი კი - უნდა შევიგნოთ ბოლოსდაბოლოს თუ რაც რაცაა, და რისკენადი, და „დილის ლოცვანი“ს მხოლოდ კითხვისას რომ როგორ ძალიან გვეამებოდა და თავი როგორ მოგვწონდა იმით, რომ ესაჩვენა დილდილაობით - სამწუხაროდ, ბევრისგან თუნდ გამორჩეულნი - რომ ვკითხულობდით და ვეთანხმებოდითც და ამიტომ დიდსულოვნებად მოგვქონდა თავი (“თავი არს ყოველთა ცხოველთა ყელს ზეითი“) თუნდაც წუთიერ რადგან კითხვით ვჭირისუფლობდით ჩვენთვის ძნელ ხალხს და მაგრამ მაინც დიდად გვჯეროდა წაკითხული ეს, - ხოლო სხვადროს კი, დღე ხომ თავისებურად გრძელია, და დღით მაგრამღა ულოცვებოდ რატომღა აღარ გვახსოვს, თუგინდაც სულრაღაც ახლა, ამ ნაწერში, ზემოთ ახლახან, ამდენ გესლთან, საჭირისუფლოც, ეს, აღსრულებად ძნელი, ძალიან, - რომ:

„აცხოვნე, უფალო, და შეიწყალენ მოძულენი და მაჭირვებელნი ჩემნი, და მოქმედნი ჩემზედა უსჯულოებისანი, და რომელნი მმძლავრობენ და მყვედრიან მე, ნუ დასჯი ცოდვათა და უსჯულოებათა შინა მათთა ჩემთვის, არამედ მოაქციენ იგინი ბოროტისაგან, რომელი აქვნ ჩემდა მომართ, და შეიწყალენ დიდითა წყალობითა შენითა“ და მეტანია, თაყვანისცემაც უნდა ხლებოდა ამას, მონანიებად მუხლის მოდრეკა და წელში ღრმად მოხრა ამ ლოცვა-ვედრებისაც დროს, და დილის ექვსი საათის, განთიადისპირა, ყოველდღიურ შვიდთაგან პირველ ლოცვაში, XXII ფსალმუნშიცაა ვედრება რომ, მაჭირვებელთა, ანუ მტერთა წინაშე გაგვიწყოს ტაბლა უფალმა, ძალიან ძნელად მისახვედრი რამ, ეს, უფრო სწორად კი, ბევრმაგად მისახვედრი, ალბათ, ხოლო დღით დამძიმებულები, დილის ვედრების გამტეხავნი, კარგა ჩამოღამებულზე რომ წავიკითხავთ ძილად მისვლის ლოცვაში მოკლე აბზაცად: „სახიერო უფალო, შეუნდევ მოძულეთა და მაჭირვებელთა ჩვენთა“ - ჩვენთაო!, გესმით?. - და რა მწარედ გვახსენდება რომ, ვერ შევძელით ეს, და აქაც კი, ნაწერში, ანუ უცაბედად წამოსროლილ სიტყვაში კი არა, ნაფიქრ-ნაჯაფში, მე უბადრუკმა, ლოცვებისაც კი უღირსმა მართლა, კინაღამ ისიც არ გითხარით სულ რაღაც წეღან რომ იმეებისთანა მითომდიდოსტატდაიმასშეგირდოვანმა მწერლებმა არამცთუ ყალამ-კალმისტარი ისიც კი არ უნდა აიღონ ხელით და ხელში-მეთქი, თუმც უჩემოდაც აიღეს ისიც ხოლო რა ისიც, ნუ მათქმევინებთ, თქვენით მიხვდით და მიაგნეთა და განსაჯეთ ცრუპენტელობაც, ნაყოფიც მისიც, და აჰათ ხომ ხედავთ ამჩემცოდვას როგორ

გახვევთ თავს, პირდაპირ სწორედაც რომ საილუსტრაციოდ-აო როგორც ამას მოფერებითული განათლებულობით იტყვიან, მაგრამ მცირე ნუგეშად ისღა მრჩება რომ ზედიად წიგნში ისიც სწერია რომ ჯერ ცალკე უნდა გაიხმო ძმა და ისე უთხრა შეცდომა მისი, და თუ თავისას განაგრძობს ისევ ცალკედ და ცალკეს უნდა უთხრა და, მერე კი, ურჩს, სხვების წინაშეც, მაგრამ ეს მხოლოდღა თავის ფუჭი მართლებაა ეგებ, მით უმეტეს რომ, ჩვენი ამყოფით მოყოლილი გაღიზიანებისა კი არა, მთლად გაამწარრების თანმხლებად ნაყოფი, ხოლო ძნელბედობისას თურაც ხდება, რა როგორაა, ეს ეკლესიასტესთანაა, - IX,12, მაგრამ ამას ჯერ ნუ წაიკითხავთ, არამედ თავის დროზე, პატარა ხანში, ისე კი, შეგიძლიათ ახლაც წაიკითხოთ, თქვენი ნებაა, ეგებაც მოგეწონათ ანთუ გეამათ დიადი წიგნის კვლავ ერთხელაც შლა, ძალიანაც კარგი, არასოდეს გვაწყენს კი არა, გადამრჩენია, ხოლო ხანდახან, ნაკლებუღირსი მართლაც თუროგორ აფასებდა და უყვარდა ვერა მაგრამ რბილდებოდასავით თავის მაჭირვებელთადმი, თუნდაც იმიტომ, განსაკუთრებით მათეს დიად XXV-ში რომაა, მაგრამ ამაზე, მართლაც ცოტათი შემდგომ, ახლა კი მტრებზე, ასეთიც კი, ვედრება, -

„ლოცვა მოძულეთა და მაჭირვებელთა ჩვენთათვის“, - :

„გამწირველთა შენთათვის იღაღადე კეთილსულოვნად, უფალო, მონათა შენთა მტერთათვის ლოცვა უბოძე, მოძულეთა და მაჭირვებელთა ჩვენთა შეუნდევ, ყოველგვარ ბოროტებისა და მზაკვარებისაგან მოაქციე ძმათამოყვარეობისა და კეთილის-ყოფისაკენ და მიეც მათ საცხოვნებელი თხოვაი მათი და ცხოვრება საუკუნო, რათა ერთობით გადიდებდნენ შენ, უფალო, მხოლოო კურთხეულო“,

და, ასე მხოლოდ ზოგადად რომ არ ყოფილიყო მხოლოდღა გულით ძნელადმისაღწევი ვედრება ეს, იქვე:

„ვითარცა პირველმოწამე შენი უფალო, სტეფანე, მკვლელთა თვისთათვის გევედრებოდა, ასე ჩვენც შევრდომილნი გევედრებით, ყოველთა მაჭირვებელთა და მოძულეთა ჩვენთა შეუნდევ, და იხსენ წარწყმედისაგან ყოველნი, კურთხევითა შენითა, ღმერთო ყოვლადმოწყალეო“, -

არ შერბილდებოდი? შერბილდებოდი, არ?

და ამიტომაც, ხოლო, ხანდახან, ნაკლებუღირსი როგორღაც თავის-ად გრძნობდა რაღაცაწესით მასზე გადაბმულ მაჭირვებლებს (“ჭირის მომცემებს“, მტრებს, „ჭირი - ბოროტი და ავი ედვას“), და უღირსზედაც კი უარესებისათვის (“უარესი - უკეთესის წინააღმდგომი“) ნეტა ეგება სანიმუშო ყოფილიყო ეს, უნდა, ხოლო ზოგიერთს-აც პარლამენტარს-აც კი - ეს ორი ზედიზედ „აც-აც“ და ზედაც კი „კი“ - ვაიმეე, ისევ ხოარ გავრეკავთ? - ამიტომ, ამ დევებადდანათელადრჩეულმითოფიგურებს თავი სულაც-აც გავანებოთ და, ნურც იმას დავწერთ რომ ჰერმესი პლუს აფროდიტე უდრის სულიერს-რასმე რაღაცას-აცჰაც, და მათი სამარცხვინო საქმისა ანუსასაქმოდ აჟღერებას თავი მოთ სულაც გავანებოთ და, წარმოიდგინეთ, რამოდენიმე კარგი პოლიტიკოსიც კი, გავიხსენოთ, გინდ წარმოვიდგინოთ, ხოლო იმათგან კი, ორი ქალბატონი, მაჭირვებელთა გვერდით მყოფი, ამას, ემ უღირსს განსაკუთრებით ხიბლავდა; მუდამ დარდი და

შეჭირვება და ნაღველი ემოსათ იმათ და შემართულებიც ჩვეამავ-ე დროს, იყვნენ, და ვისაც თურა ეკუთვნოდა, მოურიდებლად მიახლიდნენ თავიანთ სათქმელს მრისხანე ადრესატსაც ისეთებს რომ გინდაც თანამდებობა ანუ ფულიანობა ჰქონოდათ ისეთი რომ დაქირავებული მკვლელებისათვის ყოველდღიური თანხა შვიდიიმდენი უჭყაოდათ, და იმ შეუსაბამობით ფსევდონიმი რომ გეგონებოდა ისეთ მშვენიერგვარიანებისაგან განსხვავებით, მართლაც ძალიან აწუხებდათ და ტკიოდათ ანუ უყვარდათ თავ-თავიანთიც და ერთობლივიც,საქართველო, და ორივეს მართლაც რომ რჩეულ და ნათელ ქალ-ქალბატონთა როგორ მაღლად უბრალოდ და - კარგი სახელები ერქვათ, და გვარებიც ხომ ისეთი რომ ვაზსა და ხისას გაგახსენებდნენ და მოულოდნელად თუმც მოსალოდნელ თვით სიკვდილსაც კი, შეუმკრთალები დახვედრიან რადგან არ გაბზარულან მერე და მერე; ხოლო როგორ ახლობელ, უახლოეს მთლად გვერდით მოკლულებზე, რადიდ კაცებზე, დარდი, თორემ... და მაინც, როგორი გაუბზარაობა; მერედა, როგორ-ად მოკლულებზე, სხვა და სხვა ხერხით,როგორი მართლა კაცები, იყვნენ, სამივე, ჩვენში მართლაც რომ დიდად ღირსეულები, ის მერე რა რომ ჰქონდათ გზადაგზა რაღაცა შეცდომები და ისიც მხოლოდ დროებითი მინდობით, რწმენით, და თანდათან კი ბოლოს სამთავემ გამოასწორა, ეს, უღირსმა ნაღდად იცოდა ბევრისათვის რატომღაც შეუმჩნეველი აეს ამბავი, ახლაც გვგონია ზოგიერთს რომ ერთი მათგანი ამპარტავანისკენასი ბოლომდე, იყო, - არა, და ისიც მერე რა რომ, თან ეგრეთწოდებულად პოლიტიკოსებიც იყვნენ სამივე, ესა იმიტომ მოუვიდათ რომ თავი და თავი იმათ სამშობლო უყვარდათ, იმათი, ჩვენი, აბა ზოგ... - ვაიმე!? - მეპატიოს და, აბა ზოგ ამჩვე ჯიბეთმოყვარულთ პირცრუ და ენაგასლექილებზე, ენამასწარადგატლეკილებზე ხოარ დაგეშ-მიუშვებდნენ სადოლარებო მკვლელებს - თვალშისაცემად ბრიყვები და ფულისკენურნი აწყობთ, აწყობდათ, ხოლო ეს დღესდღეობით ვითომ უჩინრადმყოფი ზოგიერთი კი ბურჯადკარტველი შემკვეთები - გაუმხელელები ვითომ, ოღონდ მხოლოდ ადამიანთა თვალში, ეს - იმათი მომკვლელებისა, თორემ საადამიანებოდ ანუ სახალხოდ? - ვინ იცის, ისეკი როგორღა არ გვმოძღვრიდნენ და ეგებ დღესაც გვმოძღვრიან აქაიქ მაგრამ დროებითღა იმალვიან როგორც მკვლელები და რაღა თქმა უნდა არა-სამუდამოდ, ეს პაწახანში საცოდავები რადგან სამუდმივეთში? - იცოცხლე იმათ აეხდებათ და სულ ფხრეწებით შემოეფლითებათ ფარდა კი არა, მთლად უარესი, კანი, თუმც არაა ეს ჩვენი საქმე, განმკითხველი ხომ - ს ხ ვ ა ა, აი ხომ ვიცით ეს და მაინც როგორ ვერ ვკაულობთ თავს, და ეს კუთხური გამონათქვამი გვიშველის ვითომ?, - რადგან არაისეთიყოვლად გამკითხველი ჰოჰქალებიდან რომ გარეგნულად დავუშვათა და ვთქვათ ფოტოდ-საქმე-ხელობაში რომ საბოლოოდ რომ როგორღაც გაუმჟღავნებელი კენტი ფირივით - როგორ აგვრია, ხედავთ? ედევნე იმას... - და როგორღაც მულტიპლიკაციურსაც როკაპს-ჰაც რო ჰგუანდა მაინც ბოლომდე ვაიდ-გამჟღავნებული ეს დედაკაცაც და ქალ-ტუტრუცანა მაგრამ ჰამაყი; აი ისეთად რო? - გინდაც ჰლამაზი; გამოიცან, რომელია? - ვერ მოგერთმევა, ნწუ; მრავლობითნია; გინდაც ორი რა - არაა მრავლობითი? - მაგრამ იმისა გამოსაცნობად დამძიმებულა ცხვირპირთვალები ისეთი რომრო, - ავუი?, მტრისას; თუგინდაც ბნელში,

ხოლო იმათი, სულით მემრუშეობის გარდა, სამშვინველითაც კი, კირომ წამლავენ ჰაერს, რად უნდა გვშურდეს ანდა მაინც რა - რაც იმათ ელით? - არა;

და მაინც, რაგინდ ვითმინოთ, შემჭირვებლები - ჩვენთავს დავეძებთ? - სამშობლოსი, და მაინც ერთგვარად უსიამოა ირგვლივითურა მათი თუნდაც ეს აზრობრივად აქოთება, და თანაც როგორადცხადი მერე - ალიაქოთური, თუმცა, რაქნან იმათაც -

მაშშენრესტორნიგასხნარჩენაროგოგინდა ჰეე?

და როგორი გადამდები სენით, დაგვაავადმყოფეს,

მაგრამ,

ღვთით,

უკურნებელი სენი კი არა,

მხოლოდ სახადი გვჭირს და მხოლოდ გვიჭირს, ეს, ეს -

ღვთით,

მაგრამ გრძელი და ულამაზო, და ლამისდა დაუნდობელი, და ძალიან მკაცრი, გინდ შედარებით უმანკო წვრილი ჩარჩობითაც კი, შესაზიზღი, და -

დამსახურებული

რადგან,

ხო ბლომავიცეკვდავიმღერევით ეგრეთწოდებულ მონობაში,

ხოლო ისედაც აცეტებულად გახარებული მონობისას, დიდუცნაურულის, ვთქვათ კაი ბატონო და, ავიღოთ კარქი და თავი რომ დავანებოთ, ამ ყოვლად ანაზდი თავისუფლებით მოტანილი სწორედ რომ სწორად არ ვიცი რითი - რაღაც სლოკინა გახარებით თუ, თუ უნახავი მიშვებულობით, ან ძალიან ზედმეტად განუკითხავი - „იჩქითი - მყისი“, „მყის - უჟამო და უმსწრაფლესი“ - ამ იჩქითური ძაანზედმეტად განუკითხავი თავისუფლებასმოყოლილი დემოკრატიით ანუ ალბათღა იმისი ბნელად რაყიფი ანარქიით, შევიშალენით თლა, და ეს ყველაფერი ყველაფერი და, აემ სახალხოდ ეროვნული ჩარჩობისადმი რა მიდრეკილებაც კი არა და სწორედაც თავბრუდამხვევი ლტოლვა შიგ კაკალტვინში - ფრიადბაზრული აღმოგვაჩნდა მაინც როგორი, სხვადასხვაგვარად ხარისხიანი ჯიბგირობის კი - გადასარევი მთლად ჩემო ბატონო, ლტოლვა, და, სწორედაც რომ უმრავლესობას ხომ ძალიან გაგვიჭირდა და ხოლო ცუდ ყოფაში კი - აღმოვჩნდით უკლებლივ ყველა, რაღა თქმა უნდა სხვების გაჭირვებებით და სხვათა გასაჭირვებლად ხელმოთბობილნიც, და სოფლელებიც კი თბილის-ქალაქში ფულიკეთებით გადაგვერივნენ ტანსაცმლიანა, რადგან დავუშვათა და შინმიბრუნებულთ არამცთუ თხა და ღორი ძაღლიც ვერ იცნობს საკუთარი და ან ავი ღრენით მიეტანება ან თვალაჭრელებული სადღაც ხევ-ხუვში დაშინებულად გადაიკარგება ხოლო ზემოთკი აღნიშნული თხა ჭყეტელებში ურქენს კიდეც, ხანდისხანობით თხა ძაღლზე მამაცი და პროტესტულია განსაკუთრებით ემაშინ თუკია დაბნეული, და, დაუჯერებლად კიმოჩანს ეს, მაგრამ, მაინც როგორი, ვითომცდა სადა, მაგრამ რა სისავსითა და

ბასრულადაა გადმოცემული და დამაჯერებლად როგორ, ჩვენი ეს სულრაღაც პაწაწინისწინად დაუჯერებელივით ეს,

ის, რომ, -

ახლა კი დროა, ეკლესიასტე IX,12-სა,

.....

და გინდ უნებლიეთ, ანუ გულით მაგრამ მათეს დიადი XXVც გვახსოვდესა და ვიცოდეთ უნდა თუმცაღა ჯერ არ წაგვიკითხავს, უფრო ბოლოსაკენ შემოვინახოთ, მეთქი, და იმას თუ მივყვებით, აღარ იქნება ყოვლად ახი ეკლესიასტეს IX,12 ყოველ ჩვენგანზე,

მიუხედავად იმისა რომ, რომ ჩვენზედაა, დღეინდელებზე, სწორედ; თუმცა და თანაც, ეკლესიასტეთი ეს რომ იწერებოდა ვინ სად ვიყავით, და თურმე საკმაოდ ადრეც, რა გვიწეწდა სულს,

მაგრამ, მაინცაღ მოთმინება და, კარგი იქნება ეკლესიასტეს ამ IX თავს ბოლომდეც თუ გულისთვალებით და გულით წავიკითხავთ, ექვსიღა მუხლია დარჩენილი, და გვეცნოს ეგებ ზოგი რამე....

.....

გვეცნო, რამ?.. ნეტამც..., მაგრამ, რადიდად სამწუხაროდ, ბევრისთვის, -

ისემც...

ხოლო სუბოლო წინადადების მეორე ნახევარი კი -

ნაღდია, არა? მაგრამ ბიბლია, ადგილ როგორ სასტიკად მკაცრი, შვებისკენაა, რადგან ანუ ხსნისა და გადარჩენისათვის მაინც, მუდამ, კია, კი, ხოლო ძველებურად კი „სასტიკი - დიდად ძლიერი“, ხოლო შვების ბოძება? - ჩვენსავე მონანიებაზეა, და, შენანება-ზე, ხოლო „შენანება - სინანულთან ნახე“, „სინანული - ესე არს ცოდვის ქმნისათვის მწუხარება და ვაება“, მაგრამ ვაება და მწუხარება კი არა, ცოდვებით მყრალი მონახვეჭისაგან? - სუ გახარებულ ყირამალას გადადიან, ვინა ესა და - ჩვენ; - ჩვენებია, რაცგინდა იყოს;...

ხოლო მთლად გულწრფელ შენანებასთან, ასე შორს კივართ, მაგრამ მაინც როგორ არ გვეცნობისწადილება, და მოდით და ავიღოთ და რაც არი არი „გამოცხადებაჲ წმიდისა მახარებელისა და ღმრთისმეტყველისა იოვანესი“ წავიკითხოთ II.5, დიდძლიერებით, სასტიკი როგორ:

.....

და II,22ც,წავიკითხოთ,

.....

და ამას გვეუბნება ის, ვინც რომ რომაა „პირველი და უკუანაჲსკნელი“, რომელიცაა „ანი და ჰაე“, და მხოლოდ მრავალ და უთვალავმხრივი კი არა, უკიდეგანო თვით, და მხოლოდ ამოდ საცქერი არა, თუმც „თავი და თმანი მისნი სპეტაკ ვითარცა მატყლი სპეტაკი, ვითარცა თოვლი“ რადგან, სისპეტაკეშიც „და თვალნი მისნი, ვითარცა ალი ცეცხლისაჲ“, გიზგიზად მყარი, - „და ფერხნი მისნი მსგავს იყვნეს რვალსა გუნდრუკსა, ვითარცა ცეცხლსა შინა გამოხურვებულნი“, სმენამიმპყრობი, რადგან შედგომილთათვის წინასწარვე: „და ხმაჲ მისი, ვითარცა ხმაჲ წყალთა მრავალთაჲ“, ხოლო ძლიერად ღონიერი ისე, „მარჯუენესა ხელსა მისსა“ რომ „აქუნდეს ვარსკულავნი შვიდნი“, და მრისხანე და განრისხებულიც რადგან ბევრს რასმე ვერ (არ) ვინანიებთ ეს ადამიანები, ჩვე, და ამიტომაც ბაგემრისხანე ისე რომ „პირისა მისისაგან გამოვიდოდა მახვილი ორპირი აღლესული“, მაგრამ, თავი და თავი, დასაბამიდან, მოწყალეა - „ნუ გეშინინ“ო, ამბობს, ეს იმ იმათთვის, ვინც იმისაკენ სავალ ძნელ გზაზე მისადმი როგორი რწმენით, გაუბზარავით, და შეულახველით, ერთგულად იარა, იარა, რაძნელი გზა, ვლო, და ხოლო იმათთვის კი, ცოდვილებისათვის, ოღონდ ვინც წრფელად შეინანა, მერე, თავიდან მოვიდა უფრო, და, აქვითინებულებს, ტირილად დავარდნილებს, იმისით, სამაგიეროდ, როგორი ჯილდო, რა ღვთისწყალობა, ელით - „და მივსცე მას ვარსკულავი იგი განთიადისაჲ“,

მაგრამ, მონანიების ნაცვლად, როგორ ჩეჩქივით გვირევიან ისეთებიც რომ, უბადრუკები, ვისთაც რომ ადრე, ძაან ცუდ ადგილას და ადგილთან ანუ წითელთან სიწითლეში დაუბეზღებიათ მოყვასი თანაც კეთილისმყოფელი რადგან მორწმუნე, ანდაც განუდგნენ ერთიც მრავალთავიანადვე უთავო ანუ ოხრულტვინა მთავრობისა ან უფრო სწორად ხელის-უფლების ვითომც ხათრითა და თანადგომით სინამდვილეში კი შიშითა და გამორჩენის რაღაცებისასიც თან, და, იმის ნაცვლად, მოენანიებინათ, დაინარჩუნეს უმადურობა, ყოვლად ზეუსიამო და ამპარტავნებისმიერი სენიც ეს, თუნდაც მაშინ რომ ის მთავრობა სუაღარ იყო, მონანიება კი არა, რაღა და რაარ მოუგონეს, კეთილისმყოფელი ცუდაკაცად რომ გამოეყვანათ, - ვა! - და ამით გაემართლებინათ თავიანთობა, - ბიჭოს! - ჭიანაჭამად უბადრუკული, მაგრამ დიდადაც ნუ შევრისხავთ, რადგან სულ არ იციან ამ ახლახანა 70 წლისა გამო, - ბეჩა! - რომ, - ვუჰხ! - „უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა და მიმომწვლილველობისა, მთავრობის-მოყვარებისა და ცუდად მეტყველებისასა ნუ მიმცემ მე“, ეს ეფრემ ასურის ლოცვაა, და „ლოცვანი“ში შედის, არაა ძნელად საპოვნი, ხოლო ამავე ლოცვის მესამე აბზაცი, თვით სახარებით სულშთადგმული, თქვენით წაიკითხეთ,

.....

და ამა სახადით, ავირივენით, და ეკლესიასტემაც წინდაწინ როგორ იცოდა ეს, რადგან მისთვისაც არ-ახალ იყო მისივ ეს IX,12, რარიგ ტევადად ამსახავი დღეინდელური ამ შემთხვევაში მართლაცდა სრულიად საქართველოსი, მაგრამ შვებისა და გადარჩენის გზაზე დადგომის ბიჯი ხომ მუდამ, ყოველთვის გვეტოვება და, ვინც აიტანს, და გადაიტანს, ირგვლივითობას-ამ, და მეტიც უფრო, ვისაც ყოველგვარ ყოფაში ჩავარდნილი მაინც შეეთავისება თავისი ჩვენი საქართველო, სიმღერებიან-ცეკვებიანი, პოეზიაიანი, ფრესკებიანდამინანქრიანი,

საეკლესიო, მართლა, ამ დროებითღა მხოლოდ თუნდ ასეთ-დაცემას რაა, დანარცხებას მაინც აიტანს, თუმც დიდად ჩანან მაგრამ მაინც გამონაკლისთა წამობრივად ცრუდმოლხენისას, ვითომც იმათიანთ დროს, წყალობაა ეს - შესაძლებლობა, ასეთსაც კი უზნეობისას, კაცად რომ დარჩე, ანუ ქრისტიანად;

ხოლო ვინც ამ ამღვრეული - წყლით-ს კიდევ რა უჭირს, სხვა რამ სითხეთი ისარგებლა და ურცხვინოებით მოხიკა ფული და არცთუ ძალიან ცოტამ თავისი ჭკუით აღსაშენებელი წინასწარულა ფულით საზღვარგარეთ რომ დურთა თავი ავანსებიანა და ზოგიც კი მკვიდრად ადგილობრივი ბობოლია რადგან აქ მეტი აქვს შესაჭმელი, - შენ იქ კაპიტალისტი გასპეკულანტებს სპიჭკით და სემიჭკით ან ნავთ-მაზუტიტ? - მაგრამ მდიდრები ეძახე და, არ გვშურს, არა, ღმერთი, რჯული, იმათი, თავის თავისა ეყოფათ, კი, ასეთი ფულიც, სახლ-კარიც, რეგვენობაც, ჭერამი, რამე, და ჩარჩობითღა (ბევრგვარადხარისხ-მაგვარია) გაპეყილებისადმი აი ეს სიტყვაც, გაპეყვა-ეს, ნუ გეგონებათ ჩვე-ვითობოთეებისაგან იმათი ძღომის აგდებულობის ავი მცდელობა რადგან შედარებით მართლა უბრალოდ, წამობრივად და ჩვეულებრივულ გამოიყურებიან ეს ჯერჯერობით, -

ამცხოვრებაში;

ასე;

და თანაც ეს ხომ მაჭირვებლების მეტად უბრალო, ძალიან მარტივი დასაწყისურა სახეობაა - მომხვეჭელობა, თუმცა იმათგან როგორ ცქაფად დათრეული ჩვენწილი სარჩო ("ცქაფი - ხელფეხ სწრაფი", გინდაც სქელიმიანი იყვეს, ანუ სხვაგვარადც, საჯდომიანი აქ მფარველიანსაც ნიშნავს? - ვე?! ბეჩა...), კიდევ იმდენი არაფერი, ცუდია ის რომ - უგულობა სჭირთ, მაგრამ, ასე ბევრისმომცველად და ასე ბევრგან, ჩვენში რაც ხდება? - ა?, და არ გეგონოთ თუ, თუნდაც ასეთი გრძელსიტყვაობით, ამცდარ-ვარ საგანს - ნუთუ ესა ვართ, „ვითარცა ერთი ჩუენგანი"? - მახსოვს, ა?, მახსოვს, და თუმცა ხანდახან ის მორიდებული-ვითომც მაგრამ მხოლოდ ჟღერადობითღა ჰოცა და არაც გრძელსიტყვაობით მიკვდება ხოლმე, მაგრამ ხომ ხედავთ, მრავალვსიტყვაობ, მაინც, რადგან არ შეიძლება გაგრძელდეს ასე, და ჰოც და არაც შესაძლოა რომ ძნელი და ბევრი სიტყვით იყოს ფუჭად ნაგები ანდა პირიქით, და გინდ ამგვარი გადატყლარჭულად სიტყვიანობისას მაინც ხომ ვერ, არ დაგვკარგვია ჩვენი ცეკვები, სიმღერები და პოეზია, - ჩვენი ეს სიტყვები, და როგორ სიტყვადნაგებიც ეკლესიები, და მართლმადიდებლური ქრისტიანობის შემწეობით გინდ თუნდაც ათეისტებიანა მაინც ხომ ჯერაც ხომ კვლავ ქართულად ვლაპარაკობთ ასე თუ ისე და მხოლოდ აქამდე კი არა, არამედ მარად გველაპარაკოს თვით ღვთის წინაშე, და, მოდით სიკეთეც დავინახოთ, დავიწყოთ სრულიად მცირედით - ემ პარტიათა დიდთავყურებს აკი მობეზრდათ „საქართველოი გვიყვარს ჩვენე"ო და ახლაღ მხოლოდღ იმასღ გაიძახიან, ჩვენი პარნტრია იმათ პანტრიას იმდენად ჰსჯობიან როგორც საანგარიშოთ კომპიუტერი ბლიკურკასაო, - ილაპარაკონ; ნაკლებად ვუგდებთ გამობრძმედილ ყურს, სამაგიეროდ, რა წყალობები - სამაგიეროდ რამდენი ყუჩი ეკლესია, რარიგ დიადი, ქრისტესი სახლი და სხეული, აშენდაც, აღდგაც, რომლის გასატანჯ სისპეტაკეში საწყობები და ჭიდაობა-ბოქსის ტრენიროვოჩნი ზალები ვჰქმენით ამა როგორ

გრძელი სამოცდაათის განმავლობაში და, სამაგიეროდ, რაუცებ წარხდა - სავაშა-ოე მოწოდებები, მომწოდებლებიც, და თუნდაც ისიც საქმეა რომ, ჩვენს ქუთაისში აღარაა იმ წითელმოყმე ურიცკის სახ.-ის კარგაგრძელი ქუჩა, რამდენად მეტი ეკლესიურიც სანთელი იწვის, ხოლო სანთელმა იცის, ჩვენგან განსხვავებით, თავისიცა და საერთოდ, საქმე, - ღმერთი დიდია - უზენაესი მწყალობელი - და არაა მხოლოდ დაცემა ჩვენში, წამოწევაცაა, აბა რაა რომ - გავიმეორებ, მიხარია - აბა რაა რომ იქ სადაც დღეს რომ წმიდანებისპირს წმიდანებისკენ წყნარა იწვიან ჩვენი სანთლები, მთელ სამოცდაათ წელიწადს კი, სპორტდარბაზებად გადაკეთებულებში კიდევ კარგი რომ უჰალსტუხო და ტრუსებიანი-მაინცა მოკრივეებისა და სავაჟკაცუროდტრიკოიანი მოჭიდავეების მოასპარეზულაღა იყო, - ეს როგორ? - როგორ და კოხტად!... უ?, ეს რა წამომცდა, არა, არა, არამედ როგორ და, ამამაღლებელ ამ შენობაში, ნაგებობაში როგორ დიადში, ამ, ერთიმეორის სუცხვირპირში ირტყმეინებოდნენ და ამაღლების ნაცვლად ჰარიქა როგორმე ბეჭებზე ისე დაეცათ ისიც ჯანმრთელი მოწინააღმდეგე რო კისერირო მოეტეხებიათ ისე ცდილობდნენ რომ ათჯამ ოფლამდე და ათპირ ტყავის გადაძრობამდე ვარჯიშობობონასას ჰხვეწდნენ სამომრევობოვე ტეხნიკას ამას ტოჟე, კი, გაიცემოდა ბროლის თასები, პუტიოვკები, სბორების თანხა, ჩეკები, სუტოჩნები, ვიტამინები, ჭერამი, რამე, და შედარებით მხარ-თეძოზე იწვა მაცთური, უიმისოდაც, გადიოდნენ იოლას, თუ, სწორედ მისით, გადიოდნენ დამღუპველ იოლს, მოკლედ, მაცთური, გინდ აწყვეტილი, არხეინს იყო, ახლა კი შეიძლება ისიც კი ათქმევინოს ვინმეს, რომე უღირსი სპორტის წინააღმდეგია, - არა ბატონო, ოღონდ თავის ადგილას და არა ეკლესიებში, ხოლო ეკლესიების ეს დღევანდელი აღდგენა კი, ბოროტის როგორ გაფაციცება-დაქიჩმაჩებას რარიგ იწვევს, ხოლო აღდგენილი და უვიც ძალათაგან გაწმედილი, და კვლავაც მეტად და ძველებურად გასპეტაკებული ეკლესიების - ჩვენთვის როგორი სათუთის ძალით, - და იგივ ძალით კი ისი სამაგიეროდ - გადალახულია, და როგორ ძალიან, მაგრამ მუდამ კი არ იღრინება სამყაროს მტერი, ცბიერია და, სიცბიერესკენებს, ტუჩღიმილიანთ იმათაც, კი, რაღას არ ადენინებს - და, განსაკუთრებით, მაშოვართა და მშოვნელთა შორის განსაკუთრებით როგორ გულსატკენი და მეტიც უფრო, სულსატკენია ის, რომ სწორედ კახეთში, საქართველოს პირველფარსა და თავდამცავ სატევარში, სხვა კუთხეებზე მეტად დაიმკვიდრა და მოიკიდა ფეხთსადგილი განსაკუთრებით იეღოველობამ და სხვაც მსგავსმა სისაძაგლემ, როგორია რომ, განზე გადასდო და მთლად მიივიწყო სწორედ ის რწმენა, მასულდგმულებელი და გამმარჯვებელი გოლიათებთანაც კი ჯერაც ბალღი გორგასალისა, და აღმაშენებელის, შოთას, თამარის, გურამიშვილის, ილიასი, აკაკის, ვაჟასა და მღვდელ თევდორესი თავიანთთვისაც და საჩვენოდ როგორ, ჩვენი აქამდე მომტანი, გადამრჩენელი, როგორ მოსარჩლე და ჩვენი მხოლოდ ღვიძლი კი არა, მთლადაც სულ სულ-ჩვენი, სარწმუნოება, რწმენა სულისა, ჩვენი, და ამის ნაცვლად აირჩიო მეცხრამეტე ეეჰსაუკუნის ვიღაცა ამერიკელი ჩარლზ რასელისა და რომელიღაცა რუსის პორუჩიკისა თუ პოდპორუჩიკის თუ სულაც შტაბს-კაპიტანი ილინის ცრუდმოძღვრება და ცრუდდამოძღვრება და ეს ხომ ბნელი ძალა მოქმედებს, თორემ, ამერიკელებს, უმამაპაპურო ერს, სადაც მშობელ-შვილები და დაძმები საზოგადოებრივ იეფ ტრანსპორტში გინდ ერთად იყვნენ თავ-თავიანთთვის კენტად იღებენ ბილეთს თუ რა ვიცი სალაროში (სა-ლარო

ჩვენთვის რაღაც ვერ ჟღერს, სადღაა ამაუხელფასობაში ლარი... ვიხმაროთ მაინც, სიტყვაა პირობითი) აგდებენ დოლარს (ვაიმე, აქაც, დო - საწყისი ნოტი - და - ლარი-ო!, რას შემოგვიჩნდა აიეს ლარი, თუმცა შემოგვიჩნდა კი არა, არამედ, ეე... ჰო - პირიქით, - გადაგვიჩნდა), ანთუ აძლევენ ხელფასიან, ეეეჰხ, მძღოლს, სწორად არ ვიცი წვრილმანურად ამერიკებში თუ რა როგორ ხდება მაგრამ თავ-თავისთვის კი არიან ეს როგორც წესი თორე გამონაკლისებს რა გამოლევს, საშობაოდ კი სულ საჩუქრებს ურიგებენ ერთიმეორეს და ეს ძალიანაც კი კარგი, რადგან ფილმშია ასეთი აუცილებლობ-ურთიერთძღვნობა, მაგრამ აღდგომა გაცილებით ნაკლებად ახსოვთ და ემ ამერიკელებ სუკახელები დარდი არა აქვსთ?, ისეთი რო და ისეთი რომა? - სულაც სუ ჭრელპაკეტიან სანოვაგეთ ურიგებენ თედოს და მიხას, ჯოხირეცხიანთ მელანოსა და ოჭაანთ მართას თუ პრუხას, ფერად-ფერადსა და ზიზილ-პიპილოან თუ ზოლიზოლ კაბებ - ფეფელოსა და კეკელოს და პასპორტით გინდაც ორთავეს - ალექსანდრას, ოკეანგაღმურ სათამაშოებ - ბალღებისათვინ, ჰამაც ჟვაჩკებიც, კანფეტი, ჭერამი, - არა!.. ჭერამი ჩვენითაც გვააქ, მოკლეთ ჟუვაჭკა, კანფეტი, რამე, და აქაც თბილის-მზიურ ქალაქათაც გვაღეჭინებენ სხვადასხვა ამგვარს, წიგნებს გვიცემენ თავიანთურს იმ თვალისათვის ცხვირპირში როარი ჩვენი მითომსწორულა გზაზედ დაყენებისათვის სულ ისეთებს როომ? - უპირველესი ხარისხის ქაღალდია (გურამიშვილისათვის ნუმერ მესამე ქაღალდი ვერ გამოგვეძებნა ადგილობრივულ მოამაგეთაგან), სულ-ჭრელაჭრულად გაფორმებული, უყვართ შტატელებს ამერიკულად ამერ-იმერი კოლხ-იბერები და რაქნან, იმათაც, სიყვარულშენვერგააჩერეფ, ისეუყვარსთ რო რომ სუ გულისფიცარზედვეხატებით ხოლო ტევადიცაა სიტყვა „ისემც“ და საჭიროცაა, ზოგჯელ; ეს მადლიერი ჩვენგანები კი, გულზე დახატვა აგრე ჩუმჩუმელურად არ უნდაო და, ყოფილ და ახლა ყოვლად ყოველ რაიონებულად თავმოსაქუჩ თუ თავშესაყარ დედაქალაქში მაინც რამდენგან გამოვაჭენეთ პლაკატები რო: „გადმოვიღოთ ამერიკული ცხოვრების წესი“, ნეტა რაწერია და იგულისხმება რა, თუ კინოებში ნანახი, მაშინ ვერაა მგონი მაინცდამაინც აღსაფრთოვანებელი და კარგი, რეკლამებმა კი, განსაკუთრებით უფულოთათვის ანუ დაახლოებით 99,1+-სათვის, წაიღეს ტვინი - მარლბორო, ქემელი, მერედა რა კლასნი მაშინები, კრაისლერიო, ფორდი, შევროლეტები, რაღაცის ლაიკ სტრაიკიო და მერედა რა საპირეოდ სასმელები და შესაჭმელები ოღონდაც ის მერე რა რომ ხელოვნურებიც და აფსუს ჭერამი, რამე, იმათზანგებმა კი ხანდახან კიკარგი მაგრამ უფრო ხშირადაც გამკივანი და თან უფროც გამყინავი ვოკალურობაც აღარ გვაკმარეს, და ვითომც რაღაც აბდაუბდურს რეჩიტატივობენ მაგრამ გაშიფრეს ნიმუშები და, მაცთურისაგან შეთითხნილი ცთუნებები, უკუღმართობა მისი თანაც უკუღმად აწყობილი, აღმოჩნდა იმათ ვითომც უაზრო ბოდიალში, ესღაღა გვაკლდა, არადა სადღა აღარ გაისმის დაუსრულებლივ, და იმ სიმღერების ხიბლი გვხიბლავს, ჩვენი ხალხური ამ სიმღერების შემქმნელებსა და, არავითარი ნოტარიუსი რომ არ გვინდა ისედაც ჩვენი წინაპრების და იმათი მღერის, პატრონთ?

არადა, ისე, კაცმა გულწრფელად რომ თქვას და ითქვას, ადრევეც აისა ეამერიკელები უფრორე ხომღა რუსების ჯიბრზე მოგვწონდ-გვიყვარდა ფოლკნერისაც კი წაუკითხავებს, თუმცა, მალულად; უაბრაუპლაკატებოდაც; ხილულრუსების ჯიბრსა და ჯინზე და აგრეთვე სოცმეწინავე სოცკაცებისათვის და

იმათი სოცყოჩებისათვის დასაფარ ჯინს ერთიმეორეს უბრალოები თუ ვეტყოდით ხოლმე იმ ამერთსიყვარულს და რუსების ოხტში ვითომ ასე გამოვდიოდით, ისე კი, იშვიათად თუ გამიგია ისეთი მოსწრებული გამოთქმა, რომ „ამერიკელი - ეს გამძღარი რუსია“, მართლაც, რამდენი რამ აღმოაჩნდათ საერთო ახლა, იმათი ფილმებითაც ერთგვარად რომ გავნათლდით: ანი): სხვაგან არსად სვამენ გონების დაკარგვამდე ისე ხშირად, როგორც ეს ორი დიდად სისხლაღრეული ხალხი; ბანი): ბილწსიტყვაობა ვერცერთმა სხვადანარჩენმა ენიანებმა ვერ აიყვანეს ისეთ მაღალ სართულზე, როგორაც ეს იმათ; ცათამბჯენენებშია; გან-დონი): მეძავობასა და გათახსირებაზე; მეძავობა და გათახსირება, ასე ჯოგურად? - ა?, ეგებ სხვაგან ვერსად ვერა, თუმცა რაისისხვაგან ვერა და ჟენიჩკა და კლარა-ც - ამათებშია, მაგრამ სიმართლე სიმართლედ და, ამერიკელებმა დიდი უპირატესობით აჯობეს რუსებს წარმომადგენლობითი უმცირესებულობის ერთსქესოვანი სექსუალისტურობის განხრით ხოლო სოციალისტურობის ჟანრით? - რუსებმა პირწმინდად უტირეს ჯიგრიანი ყოფა; ოღონდ ბუმერანგულად; ენი): ენ და ენ მრავალი ენ-სახელმწიფო რომ წაკიდეს ერთმანეთს და მთლად უარესი, სამოქალაქო ომები რომ დააჩაღეს და თანაც რამდენგან მერე, ეს სულ ყელპეპელაბაფთიანი ЦРУ-სა და და სუკურკაგებეს ოინებია, ჯერ ეს ერთი რომ უყვარსთ ცელქობა ონავრებსა და კუდიგრძელიად ცუღლუტებსა და ცუგრუმელებს და ცუგრუგველებს ოღონდ ამა საქმეში მთავარი ისაა რომ მათთიანთვის მოძველებული ხოლო ამა საქმეში დასახმარებლად ჩამორჩენილი სხვა ქვეყნებისათვის ომშიმისწრებად იარაღი კარგა და ბლომად მიჰყიდ-დაჰყიდონ; აბა ხოვერ დააჟანგებენ; ვანი): და ასე შემდეგ,

მაგრამ იმათაც ოხტში ახლა რომ ამოვდივართ, განსაკუთრებით უფოლკნეროები, და იმათი ჰემინგუეი... უიჰო მართლა! - ზანი): ფილოლოგიურად ენის სპეციალისტ ამერიკელს სავსებით ადვილად შესაძლოა არამცთუ წაეკითხოს, გაგონილი არ ჰყავდეს სტენდალი, ამაში რუსები სჯობიან, კი, კითხვაში ანუ, რადგანაც ესთეტიკალოგი რუსი შესაძლოა ფეხზემდგარულაც დიდის გატაცებით კითხულობდეს მეტროში რამდენადმე ამომწურავ ნაშრომს პარაზიტოლოგიის იმ წარმომადგენულზეც განხრაზე რაცგინდა შენიღბო მაინც უხერხული სიტყვა როქვია და ჰკითხულობს მაინც თანაც თუ თითონ კუჭისმოქმედება გინდაც აქვს გადასარევად კარგი, ამაში ნამდვილად სჯობიან, კითხვაში, რუსები, კიკი, კი, მაგრამ რათგინდა, ჰოო, ეე, ჰო, იმას ვამბობდი, მაგრამ იმათაც ორთსავეებსავე ოხტში ახლა რომ ამოვდივართ, განსაკუთრებით უფოლკნეროები, და იმათი ჰემინგუეიები და სტაინბეკები (რა საგულისხმო აღრევაა მხოლობითისა და მრავლობითი რიცხვის, და აბა მიხვდით, რატომ... რატომ და, თავისთავად სწორმა გამოთქმამ, უფოლკნეროები-მ! - გამოიწვია ეს, და განვაგრძოთ მაინც:) და ვირჯინიებ ვულფები აბა რაღადღა გვინდა თუკი ჰავტომაშინები აქვთ მსუბუქად სუმბუქი ყოფაქცევის კინოებში მსუბუქი ყოფაქცევისას ათობით რომ დასანტვრევი და ასაფეთქებელი ისეთი დამაჯერებლად კარგი რო მე ჩემი კარგი (ვაიმე...), მოკლეთ, სუმბუქურებიც კი ტექნიკის ეს ავტომანქანებურად მიღწევები ისეთი კარგებია რო ოთხი-ხუთი სუ დოს პასოსი თავფეხიანა შეეტევა და მოყუჩდება წინათუუკანა იქა, მაგრამ,

მااااგრამ, ااااااქ, ამერიკელებს აქ და ჩვენში მაინცდამაინც ნუ გამოვეკიდებით განსაკუთრებით ვირის ტაჭკათი, და „მარლბორო“სიანებისა არ იყოს, ჩვენთვისაც რაგინდა დიდად საჭირო იყვეს, მაინც, კიარ უნდა, გინდაც არ მოგვწონდეს - ავირიეთ, ვა?, - მოკლეთ, გინდაც არ მოგვწონდეს მაინც არ უნდა გავამერიკელდეთ ჩვენ - გამოვიდა? - მგონია მაინც ვერა, და არა, არადა მართლაც როგორი ჰყავთ დიდი ხალხიც, პოეტები თუ მწერლები თუ ფიზიკოსები ან სწორადაც მომღერლები ვთქვათ, ჩამოვთვალოთ, თუმცა იმათ რა ჩამოთვლით, ამერიკელებმაც კი არ იციან ეს თუა რისამე ტექნოლოგი, რა სიმფონიური ორკესტრები და ჩვენა კი, მოკლედ, გავაამერიკლეთ მოკლეთ იმათ ტუქსვაში საქმე ჩვე ჰოდაარას რარიგ თვალსაჩინოდ კიარა თვალდასაფსებადხელხანდისხანმრუდებმა და ამიტომ, მოდით, რაც მართლაც რომ და მთავარია, ჩვენ-ჩვენ თავებსაც ჩავუკვირდეთ, სხვა და სუსხვებზე - სხვაგან და სუსხვებისა მერე და სხუმის იყოს და აკი ვამბობ, ჩვენჩვე თავებსაც ჩავუკვირდეთ და ალბათ სწორედ ახლაცაა ძალიან საჭირო, თუმც თქვენგან უკვე მართალია რომ წაკითხული მაგრამ აქ კვლავაც დიდად საჭირო ეფრემ ასურის ლოცვის მესამე აბზაცი ისევ რომ გავიხსენოთ, და წავიკითხოთ:

„ჰე, უფალო და მეუფეო, მომეც მე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე“, -

სწორია, არა?

და, ეგებ, სახარებისეულად, სხვის თვალში ბეწვი კი არა, ჩვენ-ჩვენ თვალებში ჩვენივე თავის აღქმისათვის დასაბრმავებლად გაჩრილი დირე დავინახოთ, ამისთვის კი, თავი და თავი, -

მთელი გულისყურით:

ვინა ვარ?

რა ვარ, როგორი ვარ,

- ვინა და რა, - ვარ?

ვინა და რა და, - :

ეჰ...

იჰ...

და მაგრამ მაინც რაღაც წონიანადსავით ხომ არ ჟღერს ბევრისათვის ეს

ეჰ...

და ეს იჰ...

ეგება, უფრო თანმხვდომია -

ეჰეჰეჰიკო...

ანდა

იჰიჰ...

ანდაც -

ვიშ და ვუიჰკა...

ვაიბიჭო დაამჩემყოფისყე...

.....

არადა, მართლაც არარაობა, ეგება არ ვარ,

და მოდით, ჯერ და თავიდან ადვილ-რამს ჩვენსას, ჩავუკვირდეთ, -

რამდენი უამრავი ადამიანიცაა, სწორედ იმდენებს, დიდად უამრავს,

სხეულებს, ჩვენსას.

თუნდაც, სხეულებს.

.....

და, რა თავხედური გახსენება, ჩვე-უღირსთათვის: „და თქვა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩვენისა და მსგავსებისაებრ. და მთავრობდეს“... თუმცა, ეს სხვა საგანია, მთავარს დავუბრუნდეთ,

„და შექმნა ღმერთმან კაცი სახიდ თვისად და ხატად ღმრთისა შექმნა იგი“, - ამაზე მეტი ზეწყალობა? რადგანხომ „ხატი - მსგავსი სახე“, „სახე - შესახედავი“, რა წყალობაა, ეს, და „სახე“ს სხვა-რამ რომ კიდევ აქვს, უფრო მეტი? - : „ნათესავთან ნახე“,

„მამაკაცად და დედაკაცად ქმნა იგინი“, ადამიანები, „და აკურთხნა იგინი ღმერთმან მეტყუელმან: „აღორძნდით“... - ინაყოფიერეთო! - როგორი იდუმალი ადგილი, ბიბლიაში, - „და განმრავლდით და აღავსენით ქუეყანაჲ და ეუფლენით მას. და“... - სუთავიდანვე! სუთავიდანვე, მთლად პირველითგან თქმული, მიშვებად, „აღორძნდით და განმრ“..... მაგრამ ისევ გადაუხვიეთ, ჩვენს-ჩვე სხეულებს დავუბრუნდეთ,

განმრავლებულებს.

აი, ვთქვათ და დგას... ეე,ვა, სახელები ამერია... ვაჰ, რომელი ერთი ქვია, ჯამბულია თუ ჯამბაკურ, კაცო ამ ამერიკელების გამოკიდებაში ჩემიანები ამერივნენ, თანაც როგორი - კარავთწინეთის მარცხენა ქვეფლანგისა ასაყვირებლად ერთდოღრიალადპირ-ლიდერი ჯამბულია თუ ჯამბაკურ ზოგცხოვრებისათვის ზედგამოჭრილად ორთითგრძელი, კი, მოკლედ მიმდგარა სადღაცის სადღაც თანამდებობიანი ველურ-ქართულად რომ ვთქვათ ჯამბაკურაიაი, დიახ, თუ საერთაშორისოდ პოეტსსეხნია დჟამბულ მიფარებულში და იმდენი კი ესმის და ეყურება, ხალხის დასანახად მზესუმზირას არ უნდა შეექცეს - ვერ იქნება ეს კარგ-

დადებითი მომავალი კიდევაცმეტი დაწინაურებისათვის - და როგორც ხატოვნად იტყვიან (რა უცნაური, შემაკრთობელი გამოთქმა) - აკნატუნებს მზესუმზირას. და, აი ხომ იმდენი დიდი არაფერი, არა? მაგრამ არა კი არა, ძალიანაც ჰო, რადგან იმის ამ დარღვევაში, ვინ იმისა და, ეჰ, გავიტანჯე, რამ დამავიწყა მისი პირველყოფილი სახელი, ისღა მახსოვს რომ ორში ერთია, და მაგრამ თუკი ლუიზა-ტერეზა თითქმისდა ერთად იწერება, ჯამბულია-ჯამბაკურაია რა, რითია იმათზე ნაკლები და ნაკლებდასაწერი?, მაგრამ გრძლათ რომ არ გამოვიდეს, სახელებს სულაც თავი გავანებოთ და აღვნუსხოთ სხვაგზით, და ვუწოდოთ ამიტომ ასე - ნიმუში. მგონი კარგია?! ჰოდა, მოდით და ავიღოთ თუნდაც ისეთი ადამიანური ნიმუში როგორიცაა ეს სახელებარეული და, მოკლედ, მოცემული ნიმუში ვთქვათდა მზესუმზირას შეექცევ-აკნატუნებს, და ეს ხომ, ვიმეორებ, ერთის შეხედვით ხომ აბა ეს რადიდი იმდენი არაფერი, არა?

არა, -

არამედ პირიქით -

ასი ათასამდე მეტი კუნთოვანი ბოჭკო მონაწილეობს ადამიანის მიერ მკლავის უბრალო მოხრაში, ეს მხოლოდ გინდაც მიკროსკოპიულად და მაინც ხილულთა და იმ ბოჭკოებში კი კიდევ რაები შედის ეს ვიღამ იცის და მზესუმზირაც თურა წყალობით ამოდის და იკრიფება და იწვება ამასაც თავი ვანებოთ არადა როგორი თავისგასანებებელია და, ხელის ამ მარტივ მოხრაშიაც კი რაოდენი რამ ჩაბმულა და ჩართულა, ხედავთ? არადა, პირთკბილთაც ამუშავება?, ეს კბილები ხომ - სასწაულია მართლა სწორედ, განსაკუთრებით კი ბუნებრივები, მოკლედ მაგრამ ძალიან კინუ გამოვეკიდებით ყველაფერს თორემ თავისბრუალი აღგვეძრება ანდა მთლად მეტი - აქამომდისინ ვინძლო ყოჩაღად მოაზროვნე თავს რეტი დაგვესხმება და ამიტომაც მოკლედ განვაგრძოთ რომ ლუიზა-ტერეზა რა იყო და ყლაპავს არამედ ნიმუში ჩენჩო-შემოცლილ კბილებითგადამუშავებულ ვაიმე, ისევ კბილები?, თუმცა რაარი კბილებში ცუდი, ან უჩვეულო აიმის გარდა, ანდა ყლაპვაში (აქაც აიმის გარდა), მაგრამ თუ მაინც ცოტათი უფრო დავუკვირდებით, მერე და მერე რა სასწაული ხდება მაინც, რა და იმ მზესუმზირის გადამუშავება, ანუ შეთვისებაც და მონელებაც, და სულაც არაა ეს ბურლესკი - ნიმუშის მიერ მზესუმზირულისაც ნიმუშებთან ურთიერთობაში ყოვლად უბრალოდ ჩადენილი სასწაულები, ბოჭკოები კი, ცოცხალებია, და სასწაული, და ადამიანს თუ კიდევ კარგი რომ დროებითღა თუ წაერთმევა მარჯვენა ხელი, მერე და მერე ასე ორ თვეში შესაძლოა რომ მარცხენა ფეხის კოჭთან რაღაც ზედმეტი გამოცოცხლება იგრძნოს, და ხოლო ეს კი აი თურმე რა - სხეულის ყოველი, ნახევარკუნძულური ნაწილის ბოჭკოები თავ-თავიანთ წილს უთმობენ ჩვემატერიკში ანუ სხეულში დაბეჩავებულ ხელს და სწორედ იქითკენ მიეშურებიან, სადაც - დამბლაა, შველიან ერთი მეორეს, და თუ იმ ამ მარჯვენასი ცალ თითს მთელი ძნელი ორი თვის შემდეგ ოდნავ შეამოძრავებ? - გიხაროდეს! - გაკვალულია, გზა, თანამდგომურად კეთილ ბოჭკოთა ნეტარი რაზმი უკვე მისდგომია ნაადრევ კვდომას და, გასაცოცხლებლად როგორ!, - მერე კი, იმ ჟრჟოლადავლილი თითის უფრო მეტად ამოძრავება, და თვით თავად გაშეშებული თითის თითონ მოხრაც კი - ჩაიდენინება, ჩაიდინდება, ხდება! როგორ შველიან თურმე ერთმანეთს, და არც კი ვიცოდით, ეს, ამას მერეღა

თუკი გვეტყვის კარგი ექიმი, და როგორი გაოცებული შვება, და აღტაცება და რომელი ბრინჯივით დაბნეულობა - გადასანცვიფრება გვეუფლება და გვეპატრონება - რა მქონია, ეს - რა და, სხეული, მთელი სამყარო სრულიადი ოღონდაც წვეთში რომელი წვეთობაც ეგება უფრო ტევადია და მრავლისმეტყველი, მთლადსასწაულთა ზესასწაული, მაგრამ შეუმჩნეველივით იმიტომ რომ, ასე ხშირია, ასე თვალნათლივ აღორძინებული და განმრავლებული და როგორისდიდი გონივრულობით სპეტაკად ხილულ-ნათელი ხოლო თვით ღმერთმა სუპირველად რომ შექმნა და იხილა ნათელი, ხომ გახსოვთ ალბათ, - იხილა ღმერთმა ნათელი და ნახა რომ, კარგია, და მოეწონა, და ეს ფარული ნათელი ადამიანებს, ჩვენ, როგორ წყალობად შემალულად ჩაგვინერგა და, განმრავლებულებს, კვლავაც გვაღორძინებს და აღგვაღორძინებს და, გვაცხოვნებს, როგორ, როგორ, თავად სხეულით, ამ ურთულესი და უმდიდრესი რამ-რამით, და აქ როგორ არ დავარღვიო მერამდენედ ეს ჩემი ერთიც უკბილო პირობა და თვით დიად ოქროპირს, წმიდას, როგორ დავუბრუნდ-მივუბრუნდე კი არა, როგორ არ შევუვრდე რომელიც, ამბობს, რომ, კი, მიწისაგან კი როგორ არა შეიქმნა ადამიანი, მაგრამ მხოლოდ მიწისაგან და მიწით როგორ შეიქმნებოდა და შეიქმნებაც თავად ასეთი სრულყოფილი სხეული რადგანაც მხოლოდ-ღა მიწისაგან და მიწით შეიძლება შეიქმნას და დამზადდეს ტალახი, თიხა და მისი აგური თუ კრამიტი და აქ დიდად შევკადნიერდებით როგორ, და დავამატებთ - და აღმოცენდეს ან ჩაიქცეს ბორცვი თუ ღრანტე, ჯომოლუნგმა თუ უფსკრული, მაგრამ, - განაგრძობს ოქროპირი, მაგრამ სხეული? - მხოლოდღა მიწით როგორ ახდება და აცხადდება რომ გვებოძება ძვლები, ძარღვები, ქონი, ცილები, როგორ აღჰხდება მხოლოდღა მიწით ეს ჩვენეული სამოძრაონი, ზედაც კანი და მზარდი ფრჩხილები, თმა, კბილები, დამაშვრალობით გამლაღებელი ესა ფილტვები და გული, მომაბრუნებელი და, თვით თვალები, ჩვენი სხეულის წყვილად სანთელი, და, მათ დუღაბად - სხვადასხვაგვრული ბოჭკოები, მხოლოდღა მიწით გვეძლევაა? ა? მიწის გინდ მრავალგვარი სახეობიდან, - დაგვეკითხება ოქროპირი, - განა როგორღა შესაძლოა ასეთი განსხვავებული სასწაულების, თან ხშირთა ასე, ყოველწამურად და ერთიანად განუყრელთა ოღონდ მხოლოდღა გარდაცვალებამდე, შერწყმა? ვინ მიპასუხებს, - განაგრძობს წმიდანი, - არამცთუ სხეული, რა არის პური-ჩვენი რომლითაც მუდამდღე არსობისათვის ვიკვებებით, და რომელიც ერთის შეხედვითაც და მართლაცდაც თითქოსდა ერთფეროვნულად ერთგვარია რა ძალით და ნეტა თუ როგორ გადაიქცევა პური-ის, ეს, წყალთან ერთად, თავთავიანთი შეფერილობითაც კი სულ სხვაფერისანი - როგორღა გადაიქცევიან და ბრუნავენ სისხლად, ეს ხორბალისფერობა და მთლად უფეროც-რამ მჭვირვალი სითხე როგორ ძალიან სხვაფერდება წითელსა თუ შავ, ან ცისფერ სისხლად, ნაღველად, თვალების ფერად - რამდენგვარობად, რამდენნაირი, თუ არა ეს ღვთივთით ბოძებულება, ეს სასწაული, ზეშთაგონებით მონიჭება ეს - ჩვენი სხეული, სხეული ჩვენი, ასე მრავლიად აღორძინებული, და განმრავლებული და, - მრავალმხრიობა და უთვალავსახეობა მაინც როგორი, როგორაა რომ მაინც ეს რომ რამდენიცაა ადამიანი, - მასშია, მასზე მხოლოდ თავისი ერთადერთიღა ხატი და სახე, და როგორ აღხდება უდიადესი, უსაკვირველესი განუმეორებლობა ეს - ჩვენყველასაწილ სულ სხვადასხვა ხმა, თვალები, ნაკვთები, სულ თავისა-დ გვაქვს სრულიად ყოველს, ჩვენი ლავიწი, ყელი, ნეკნები, და ნეკნისეულებიც გინდ,

სხვადასხვავები როგორ, როგორ გვყავს სასიცოცხლოდაც, დამსამარებლადაც, და თითქოსთუღადა ისეთი უმნიშვნელო რამ - ეს რაოდენი ქვეყნად სხეულზე მოვლენილი ავი თუ სათნო თითებისა აურაცხელი ანაბეჭდები - ყოვლად ძალიან განსხვავებულად, ერთს, მხოლოდ და მხოლოდ და მარტოკინადმხოლოდღა მართოდენ ერთცალ ადამიანს - მარტო თავისი, კენტად მხოლოდღას და ერთადერთს როგორ მყარად-ეს მისჯილი გვაქვს, უტოლო დამღად თანდაყოლილი, და, გაჩენამდეც, ჩასახვამდეც, და ჩასასახად ჩვენთა, უთვალავობით ზღვისქვიშობამდე და იმქვიშათაგან როგორ მსურველთა და მებრძოლთაგან - აღორძინებისათვის - მხოლოდ ჩვენ ერთი, ერთადერთნიღა მოვივლინებით, და ვიბადებით ამამქვეყნად ესაჩვენ ერთნი, უთვალავებიდან გამოღწეულები, და, ვყალიბდებით ნელა, და ნელა, ზოგი როგორად და ზოგიცრა-დ, რა ხდება ნეტა, როგორ ხდება, ამ ჩვე ბეჩავ თავთ რაამბავია, რაა მაინც ეს სხეული, ცითსასწაული ისეთი რომ, ვერსადნანახი და თანაც - მილიონობით, მილიარდობით ეს, და ახლა! - სული!! თავად სული!!! - უხილავიც რომ? - უუხილავესი!!! - თუმც, სულს არ უხდება მიპყრობად ძახილის ნიშნები, კითხვის ნიშანისა და სამწერტილისაა რამდენად, უფრო, და რომ გვიკვირდა აქამდე და გადარევამდე ჩვენი სხეული და ახლა, სული? - ჩვენი სული, სულიწმიდათი ბოძებული, და ნაწყალობევი, მისივ, და თუნდ უუხილავესი მაგრამ რასამუდამოდ საარსებო რადგან თვით კვირტი სულიწმიდისა, როგორი უხვისაგან, ნაწილადევი, და ხანდახან კი როგორ ძაან უსუსური სულიწმიდასთან თუნდ აი ეს მგრგვინავი სიტყვაც - „უდიადესი“, ამიტომ ვთქვათ და გამოვთქვათ მხოლოდ, უბრალოდ ვითომ - სულიწმიდა, - და მორჩა, თუმც, მორჩაკიარა, დაწყებისა და დამწყებები ვართ სწორედ მისით, უშრეტისა, ყველგან, ყოველგან, ყოველთვის, ეს სუყველანი, იმისიანები, მისი ნამცეცის გინდ მთლადაც ნამცეცობას რაგინდ სუბევრი გვაკლდეს თუნდაც და მაინც; სხეულზე მაგრამ რამდენად ვრცელი და რადიადი, ნიშნადვე გვადგას მაინც ჩვენ, გათამამებულებივით ნებიერა იმისსა მონებს, თან პყრობილთ როგორ, თან მიშვებულებს, თუ თანამზრახველთ ნამცეცობით, თავად იმასთან თანამდგომთა და ანდაც ვითომოქიშპეთ, იგი კი, წმიდა, სულელ თავებზეც კი გვადგას, სულშივე გვიზის, განდგმულია რარიგ ამ ჩვენში ყოვლად და ყოვლად განუზომელი მისი სადამდე აღმატებულება მერედა როგორი, რიღასი აღარ მომცველი და, თვითონ იმას გინდაც ძალიან გინდაცრო თითან სუუმცირესა მაგრამ სწორედ მის თუნდაც რაღაც კნინ-წყალობასთან? ვერა მივა-რა, იმა წყალობით?, ჩვეაღნუსხულებს როგორ უკლებლივ, ნიშანდებულთ და სამარადისოდ მოვლენილებს და დანიშნულთ, მისით, იმისი მადლით, დანიშნულთ ისე, სულიერებით დაღდასმულებს, რა დამღაა, ჰეე, ჰეეივ, ჰეჰ, რომელ მათხოვარს ბოძებია რაიმ მაგვარი და თანაც ყოვლად უთხოვნელად, და მაინც, ჩვენ კი, ნებსით თუ უნებლიეთ ვიმახინჯებთც, კი, ხოლო ჩვენს თავად თავიდანვეს ხომ განსაკუთრებით ვრცელბავშვობისას, ასე სამიოდ წლამდე, ჩვენში, ჯერჯერობით კიდევ მართლებში, და საერთოდაც, თვით თავად სულთან?, რომელი სისხლი და ბოჭკოები და თმა, რაისი კბილები და ნეკნები და თითის ანაბეჭდები და გლანდები და ბრმა ნაწლავები ხომ - თითქმის არარა, და თვით თვალებიც კი, - კი, სასანთლეა მხოლოდ, იმისი, და, თუ „ნერგნიცა სულიერად ითქმიან, რამეთუ აქუს მათ მოძრაობისა და აღორძინებითისა (აღორძინებისაო!) და თესლოვანების ძალი“, ახლა თვით მაინცდამაინც როგორ და რასულჩადგმული

გინდ მარტოკინაც ადამიანი, მაგრამ, წყალობად, იმისიანი, სულიერი, რაღაღ მარტოა, არა, არა, გასაოცებლად საოცარიანის, ადამიანის, ადამიანის სული თქვით თქვენ!..., - ჰ...., ყოვლად მეოხი, და, სულიწმიდათი, სულშთადგმულებს, რაღანაირად და როგორად-აღარ გამოვლინებულებს, როგორ ძალიან ძლიერ განსხვავებულებს სწორედაც სულით ისე აჰმკვეთრად რომ, რომელი კოღო და ვეშაპი თუნდ ეს გარეგნულად ჩვენი გონების თვალისათვის, რადგანაც რომვე სულიწმიდათი, ჩვენის, ჩვენკენასი, გაგვაჩნია თუნდ გინდაც მარტივი ვითომ ეს თვით მაცხოვნებელა სამშვინველი - „უტყვი სული“ - და ამ სამშვინველიდან დაწყებული და მოყოლებული და ამამაღლებელი და ზოგთ კი, ასამაღლებლად გამორჩეულებს, ამაღლებულთ, მეტად შენახებთ სულიწმიდათი ვინემ ჩვენ, რიგით ადამიანებს, მათგან ბედნიერთ, ამაღლებულთაებისაგან იმ, და კრძალვით შევხარით, აღზევებულებს დიადი მადლით იქამდისინ რომ, გადმომდებია, თავიანთი როგორ ტანჯული შვებებით, ჩვენთვისაც, რადგან

სწორედაც საჩინოდ - „საჩინო - გამოჩენილი“ ხელოვანები არიან იგინი, სულიწმიდასი და იმისი როგორი გამრჯე ნასიკეთარით, როგორის ძნელი რადგან საძნელოს კურთხევითა და სულის წავლებით გინდაც რაღაც ცოტათიც..., - რაღა ცოტათიც, გინდაც ცოტათი მაგრამ თვით სულიწმიდასი და იმისი მადლით უფრო და მეტად სულშენავლებნი, მთლადაც სიყრმიდან მოყოლებული სხვასულშთადგმულთაც და იმ სულითვე შთაგონებულებს, ზოგს უკვე გენიოსს ეძახიან და ზოგსაც კიდე - პერსპექტიულებს მაგრამ თუმცა ნეტა რასა ჰნიშნავს ეს გინდა გინდაც საცენზურო მაგრამ უშნოდმყვირალა უცხო სიტყვები თუმც მაგრამ არა, არა, რა საცენზურო შექებები, რის მიღება, რომელი დაშვება - ჩაუქოლნიათ ზოგიერთნი მეცენზურეებს, ეგრეთწოდებულ კაბინეტურ შტატიანებსა თუ ნებაყოფლობით კუდმაქიცინა ქუჩა-ქუჩურად მოხალისეებს, ისე ძალიან, რომ, და ვინ თან - გამორჩეულები, ე?, ხოლო გამორჩეულებს - ჩვენზე ხშირად სულიწმიდასებს, რაღავ ჯანდაბის პერსპექტივუკა სჭირდებათ ნეტა და არ გვგონია თუ, სხვებზე მეტად სცოდავდნენ რაცგინდა სულითვე გულით გაერეკათ უცხო ნახირი და ფარები და სამწყსოები ან სხვებისავეზე მიჩუმათებულ ან საამაყოდ გამომზეურებულ საქციელთზე იყვნენ გულით ნაკლებნი გინდაც ქაღალდზე, და უფრო კი გულით სუსტებივით იყვნენ რადგან - თანამგრძნობები ყოვლად უცნობი ამალისა თუ ჯგროსადმიც და უცხოები უყვარდათ ისე გინდაც ძალიან მშობლიურები და გაუბზარავად წრფელი გულით როგორ ძალიან თან საიდუმლოდ და თან ძალიან გადმოშლილები თუმც გულჩათხრობილება არის იმათი პირველი ტოლა; სანამ ქაღალდზე გაგვიტყდებიან, ზოგიერთები უმძრახები ეს და ზოგიც როგორ დახვეწილად ენაგატლეკილები და ზოგი როგორი და ზოგიც რაროგორი და გინდაც დინჯნი? - ატაცებულნი და აცეტებულები და თან ჩვენიც ამტაცებლები და ამატაცებლები და ამაცეტებელნი აქეთ და რაცგინდა როგორის უსაზომო არეულ-დარეულობით?: რაღაც დიდაწეწილად დალაგებულებიც, - თან, და, გულით და ხელით მტკიცეებიც, სიტყვებით როგორ იცრემლებიან მაინც, და მაგრამ არაფრით, არასდიდებით ახამხამებენ, თვალს, და ცრემლსაც ძნელად შეუტყობს ვინმე, გინდაც აქიმი; - სხვადასხვანაირებია, ფერად და ფერად სულიწმიდათი; დაბინდულები, მოკაშკაშენი, ნიღბიანები, საღად მბზინავებიც და გადაყვლეფილნიც, სულ ოქრომკედით გაწყობილ ძოწისაფერა მოსასხამებში

გამოხვეულნი - მეფეებია, ანდაც თუგინდა ჩამოკონკილები, მეფეებია მაინც - თავთავიანთიქვეყნები აქვსთ, ის მერე რა რომ, თვალით გინდაც უხილავი, თუმცა არა, არა, სწორედაც თვალით ამოსაკითხი და დასანახი და გულისა და გონებისათვის მერე და მერე ასაწვდელი აქვთ ხმელი, ზეცა, ზღვა, ოკეანეც - ზოგს, იმათ ხმელეთზე უდაბნოს მეტი ყველაფერია თუმც თუ უდაბნოც? - მსხმოიარე, თუნდაცდა თავად უნაყოფობით ნაღდია ისე, დამარწმუნებელი, - ყოვლისმშემძლე აქვთ სასიტყვებოდ აწეწილი გონება, რბილი და მტკიცე - მარჯვენა ხელი, „ჰოდაარა“სი როგორ უტეხად დამრღვევები, სულსწრაფობითურ როგორ ძალიან გამჩატებულები - ბაბუაწვერები პირდაპირ და კლდედც შეკირულნი ერთდროულად, კი, - თან; და სულწასულობით ადვილ ცომივით როგორ იოლად მოსაზელები და იოლის სიტყვითვე საცთუნებელნი და მაგრამ ძნელთაპოვნასა და ძიებაში რაალმასურად გაუბზარავები? - მაინც; თან; ისე-რა გარეცხოვრებაში ხანდახან ხშირად პირდაღებულად ბოთეები და ხოლო მაგიდასთან ოღონდ საწერთან კი როგორი მარჯვე ჩუბინები - თან, და თანაც მეტნიც რამდენად უფრო რადგან „ჩუბინი - ესე არს კაცი ისართა, თოფთა, ქვათა უცდენელად ისროდეს“, ესენი კიდე? - აჰ, როგორ მარჯვედ გამოისროვილებიან კი არადა არამყვირალობით გამოიტყორცნებიან სიყვარულს, ტრფობას, სიძულვილსაც კი თუსაჭიროა, ნუგეშს, იმედს, როგორ სიხარულს და სასოწარკვეთასაც სასოწარმკვეთს-რამს თუ გადააწყდა, და მაინც შვებას ყველგან, ყოველთვის, რადგანაც - სჯერა, სჯერა ჩვენი, იმათი მადლით უკეთესობისკენასების, რადგან მხოლოდ ნახევრადფარულად გვსაყვედურობს თუკი ძალიან არ გამწარდა და მაშინ კი ხანაც გვლანძღავს ისე ძაან რომ, ყურების სულმთლად ჩამოსაყრელად და ჩამოყრამდე და ყურის აწევაც შეუძლია ისეთი რომ, მთლად ახლეჩამდე და მოფერებაც სამაგიეროდ ძალიან ისე ისეთი რომ, მართლაცდა ნაღდი, - შენიღბული, და დათრგუნვაც იცის ჩვენი ისეთი? საფუძვლიანი, ღონიერი, სიღრმეებისაკენ უფრო და უფრო, და იქამდე რომ, ბოლოს და ბოლოს გაგვმართავს წელში, ხან თვითონაა მწუხარებისაგან ძლიერ მოხრილი ისე ძალიან სამუდამოსავით რომ, შეგეცოდება მაგრამაც არა, არა, ეს მხოლოდ დროებით რადგანაც ნაღდი დიდად მეჰოდაარავე? - იმედისაა, რწმენის, გამტკიცების, და განმტკიცებისათვის ჩვენებიანთა, ჩვენთა, და ვინ რომელი როგორ იღვწის რას გაუგებ, ალაგ რალაღად შეხუმრებული, სხომის მთლადაც კუბოსთან წააგავს მდგარს, და რაგინდარად გამოვლენილი - ზოგი შენებით, და ზოგიც ნგრევით, ეს სულ ჩვენჩვენთვის ირჯებიან, გააჩნია თუ რას აშენებენ, დასანგრევსა თუ ასაზიდს ძალიან, და გვესვრ-გვტყორცნიან დიდად ზეჩუბინურად თან აღმაფრენით და ცივსისხლიანადაც ჩვენ-ჩვენს შიგ ნედლ ტვინსა თუ შით კაკალ გულშიო უცხო აზრთაც და სიტყვებსაც კი ბოლო დახედვით ჩაწიკწიკებულ ვითომ, სტრიქონებს, მაგრამ მხოლოდღა იმდენი შრომით მხოლოდღა ყოფილ, ღვარჭნილთ; სხვადასხვაგვარებს - სწრაფსაწერტილო მოკლე-მოკლე წინადადებებს თუ ლაბირინთივით დაუსრულებელთ და მიმოხვეულებს, ღვარჭნახვდომილთ, გვთავაზობენყე კი არა და, თავში გვახლიან ტვინშიგასაჩხერ აბდაუბდურულ წინადადებებს და კიდევ კარგი თან რა უცნაური სანელებლებით - მძიმით, ტირეთი, ძახილისა თუ კითხვის ნიშნებიანთ ან თუ ორ, და ხუთწერტილიანთაც გინდაც შუაგულ წინადადებაში, უცნაურია, რას მოუსვენრობს, ვეღარ ყენდება, კი, რა შეკმაზულად შენელებულს წინადადებებს მოურიდებლად ითავაზება უცხოდ-უცხოთთვის, მიწვდომად როგორ სატანჯ

აზრთა ხანდახან ისეც-ლაღად მომწვდელი, როგორღაც ველურ, გარეულ, გასახედნ აზრთა, იმდენად ისე გადამთიულების? - მოსაბღაუჭებელთა, ისე მწარედ, გადარჩენისათვის გინდ, სწორედაც, თან, და თვალთმაქცობით ხან მონავარდე ისეთი რომ, მოუთმენლობით საშური მართლაც და ხანაც ტყესა და ღრეში როგორ ფეხმძიმედ მოწოწიალე თუ აღელვებული ბოლთის ცემით გინდ ზედ ქაღალდსა თუ იატაკზე ვრცელბეჯითობით ბილიკის გამყვანთ ოღონდ ისეთის, გზადაგზა რომ სარიდო ზრდით მთლადაც აწყვეტილი ეკალბარდების ჩეხვაც რომ კია ძნელად საჭირო; როგორ ამაყად აკი აწყვეტილსაც და წამდაუწუმად მოკრძალებულსაც თან, რაღარაგინდაარ ხალხში ყოფნა, სპეტაკებთანაც, ბინძურებთანაც, მართებს, და, მისკენ მიზიდულთ, ჩვენაც გვმართებს რადგან ყოველი მისიანი - შენებია, ისევ და ისევ - შენიანები, და თანაც როგორ - იყვე იმათთან უნდა ზეახლობლური შინაურობით, რაღაც სიამურ-ტყუპობასავით ურთიერთშეხუტებაა, - ეს; და თან თვალთმაქცი და იონბაზია და ხანკი თანაც ბოთესავით სუფთად ალალი, რომელი უფრო და უფრო მეტად და, - რომლობაც უფრო საჭიროა ალაგ და ალაგ, ნერგს გააჩნია, სანაყოფეს, და ეს ორთავეობა ისე ძალიან? რომ შესაძლოა არც უნახავთ და ვერწაუკითხავთ მაგრამ არაა ეს თვალთმაქცობა არამედ სიტყვა, სიტყვა, სიტყვაა და იმისი მრავალწახნაგაც ვრცელი მადლია, მადლი, გინდაც დამბნევი, - ეს ჭეშმარიტი ამოუწურავობა ჭრელი სიტყვებით, ჩვენს თვალთაწინაც, გვერდიგვერდითიც, და ისეთებით რომ მთელ დუნიაზე ვერ უნახავთ ამოუწურავობით ოდნავაც მსგავსი და მინამგვანი, სიტყვასავით, კი, რომ სრულიად ვეღარ მოიძებნება რაიმ ოდნავადაც მისსადარი, და სახოვანი, ვერასდიდებით მოიძიება, - ვერ; ცოცხალ-არის და, მაცხოვნებელიც, ასეთი მაინც ვინა ხარ, რა ხარ, რა სასწაული მაინც, და მაინც, ნეტავი, თანდაყოლილად როგორი კეთილი და ხან რა დამსჯელი და რაც ყველაფერზე მეტად ძნელია გამორჩეულებისათვის, ხანაც - ისე-რად, უნდა იყვე; და ყველას ტყავში უნდა შეძლო შეძრომა ისე, უმტკივნეულოდ და ხანაც კი ბოდიშით მაგრამ მტკივნეულად და არდარიდებით ისეთით რომ, გინდაც დასერო შენი წამკითხველი; ჩვენი მოსურნე დიდად ხარ როგორ და გადამფურცლავად შენივ მნახველი სიყვარულით თუ გატაცებით ტანჯო უნდა და თანაც ძლიერ და აბედნიეროც ძალიანი საფუძვლიანა ღრმად და ანდაც ზიზღიც კი გაგვიღვივო და ანდ მცირედი შეუმჩნევი გაკვრით და შეგვახსენო რაღაცები და ანდაც ვითომდაც ძნელი სიტყვებით თავსდაწოლილი შიშისგან მკრთალიც კი უნდა იყო როგორც... ისე, რა, - შენივე ბრძნული საჭიროებისამებრ; საცა არა სჯობს გაცლა სჯობსო? - ვერ მოგერთვა, ვერ, არაბატონო, რადგან სწორედ იქ უნდა ძეძგო და დურთო ასატკიები თავი სადაც ისეთი ყინვა-ყინვები არი რომკი ჩიტები ცვივა ანდა სიცხეა ისეთი რომ? შუაკოცონს რა გინდოდა თუ დაფერფვლა არ გინდოდა, - ეეჰ; თავად იმისი წამებით გადმომწერისათვის, არჩევანი და არადანია? - მაგრამ ჰამაკის ნაცვლად მთლად გასრესილობას, ქაღალდურს, ირჩევ, და ეგება სულაც ნასაყდრალ ლოდს, განზე დაცემულს კია მაგრამ და ვითომც აღარ მოქმედს, ახლა, მაგრამ, დაბლა მდებარეს ვითომ ახლა მაგრამ, რამდენთა სულის შეძვრის მოწმეს აჰ, ეჰ, და რაგინდ ძნელი იყოს ლოდი, და მისას ხლება, კენჭს და კენჭებს და კენჭაობას მაინც სჯობს, კი, - ღირს; ღირს კი არადა, თავად თუ ღირხარ მის ღირსადა და მასთან მიახლების, თვითონ თუ ღირს-ხარ მის როგორად თბურთა თანდათანურა საიდუმლოთა ამონაჟონის, გინდაც ისეთთა რომ ეს როგორ ძალიან ამრევ-დამრევთა მაგრამ

ზოგზე ნუ გაბრაზდებით, არაა სუმთლად მისი ბრალი, ეს, ეგება სულაც რა შუაშია ვითომ, არამედ დროა რაღაც ასეთი და მეორეც რომ ესაეს უბრალოდ, გადამწერია, და რადგან თავად სულიწმიდა უკიდეგანოდ მრავალმხრივია რადგანაც, რაკი, და წყნარია თუმც, მადლის მომფენიც და მაგრამ თუ საჭიროა - ძალუმია და მრკენი, თანაც ცელქობაც იცის ისეთი, თუნდაც საკმაოდ დაბინდული და თუმცა მცირედ ჩამოგვეწვდება ეს როგორ ხარბად ვსარგებლობთ იმითი - რა ვქნათ, გვჭირდება ამოსუნთქვა ადგილ-ადგილდ და ჰაიჰარად და ჰარიარალით, მაგრამ უფრო მეტ ძნელ დროს და ადგილს სევდასა და წუხილს, კეთილშობილ-რამთ, უფრო ვუთმობთ და - მაგრამ ისევ „მაგრამ“ - მაგრამ ადამიანებმა, ჩვენ, აკი გადამლაშებაც ძალიან ვიცით და, აბატონო, ღვლარჭნილობამდე, მაგრამ კვლავაც ეხება, დაჰფარფატებს თვით წმიდა სული ბლომად ზოგიერთ საზღვარგარეთელ და ჩვენიანთაც დიდად უღირსებს და იმდენს მაინც შეაგონებს რომ ბოდიშივით-რამ მოიხადოს, მოჩვენებითი უგზოუკვლობისათვის, და კიგადაქცეულთ დიდფერადოვნებად მაგრამ რითი ეს - მაგრამ ვაითუ ავადობით, მიეთ-მოეთით, აბდაუბდათი, აბრაკადაბრით, ალთა-ბალთათი, გართულებულებს ვაჰთუ ზედმეტი ვუის-ბეჯითობით ძალიან როგორ თანაც არა აქვთ ჩვენ-აქეთკესი ყველას იმედი, ნდობა, ნდომა, წადილი, სადამდე დევნოს ან აეკიდოს საშუალოებს, არცთუ უცოდველთ საქმიანობით ამ, თავისი, დღეს დღევანდლური ირგვლივითობით, და იმათთვისაც ეგებ და ალბათ ზედმეტის მოცადობითვე გინდაცდა შედარებით უბიწოდ, თვითონავეა სიტყვის დამრღვევი, ხოლო ერთადერთ მყარ იმედად ისღა რჩება რომ, სიტყვას აბადა რა დაარღვევს, პირობა კი არაა, არამედ უფრო თავისუფლებისადამიერი, მაგრამ უბოდიშობა კი არა არამედ ფრიად „მოწიწება - დიდად მკრთალ ყოფა“ უნდა, და რაგინდ აწყვეტილს, სიტყვას, მაგრამვე სათნოს, სალუქს, და ეს მაშინ თუ თუკი გაგვიჯდა, გაგვიჩვენიანდა, გინდაც მქუხარეს მაინცვე წყნარა უნდა მიეგებოსა და უშვირო უიმისობით დამზრალი შუბლი თუ მიმნდობი ლოყა, მომსალბუნებელს რაგინდ ყვიროდეს, მაგრამ თუკი ვეღარ დაიოკებ ახირებულ თავს იმას დატორვაც სცოდნია აქეთურისაც, იქითურისაც ანუ შემქმნელის ისეთი რომ, რომელი დათვი, სწორედ ასეთი, როგორი ასეთი და რად ვიტკიებთ აუტკივარ თავს, რა ადვილია რამდენად უფრო გრამატიკულად გაკოჭილი ძაან უბრალო სიტყვები და მხნე, ანდა იმათით ღლიცინ-ღლიცინიც - ყოვლისშემძლეა - რადგან შეცდომას თუ არსად დაუშვებ,შესანიშნავია, შესანიშნავი, მაგრამ არა, სწორედაც პირიქით - შეუნიშნავი, და თანაცვე არაფერი გრჩება თითქმის, და, ხოლო როდესაც სასომიხდილები, ასეღა ვნატრობთ - ეეჰ, ნეტა უბრალო სიტყვები მამცა, რა ძალა მადგა რო დავიტეხე ასეთი მეხი, და დავწყნარდეთ ახლა უნდა როგორც ჩვენზედა მეტად სხვა ზედმეტად ჭკუვიანები და ზედმეტსიტყვიანები გამოსთქვამენ? - რადიკალურად დავმშვიდდეთ უნდა, თან ყოვლად უბიწოდ, მაგრამაც - არრა?! - თუმცა რამდენ შეტაკებებდაგამოვლილები, თუმც, რომ ითქვას, რაოდენი რამ ძევს თუნდაც მხოლოდ ჰო-სა და მჭრელად არა-შიც, და ახლა ესა როგორია, იშვიათადდასაკუთართაღზევებითუნებური მადლობისნიშნად ჩვეროგორ ძაან ჩვეიმათთა ისეძალიანამაღზევებლებირომ... - ვაჰ! ახლა არ იყო რომ ვქადაგებდით ადამიანურ-ჰამაკურა უბრალო სიტყვას?, მაგრამ, აკი მგლის თავზე ავტოდარიგებას კითხულობდნენო და ის კი..., ჰო - და ისკი მაინც ძნელად შესაღწევ ტყისკენ ანუ აბურდულობისაკენ იხედებოდაო, ასე გახლავთ, კი,

დახლართულობისკე ვიცქირებოდი, და თუმც დაღლილი, იჭყიტებოდი თქვენც, გადანასკვულნი დავბოდიალობდით, რა ძალა გვადგა, ამასეხეტიალის, ჰაფსუს შეზლონგი, და მაგრამ, დავიწყეთ რითაც, კვლავაც იმას და თვით იმათაც მივუბრუნდეთ რადგან ისინი? ხოლო ისინი? აჰ, საკუთარი ოღონდ სულიწმიდათი აღზევებით ჩვენ-როგორძლიერ-ჩვემათიანებისა, აღტაცებულების იმათით ისე, რომ გადარეულად შევრდომილებისათვის, ხოლო „შევრდომა - ორთავე მუხლზე დაჩოქება“, მაგრამ ეს მგონი ცოტა ნამეტანია, ლოცვანისთვის და ლოცვა-ვედრებისათვისაა მხოლოდ, ღვთისადმი უნდა დავიტოვოთ, და ნეტა ცალ მუხლზე დაჩოქვა როგორაა..., - იმას ვამბობდი, რომ ჩვეაღტაცებულების, ასე, იმათი ასე, და ისე ამაღზევებლები, რომ, იქამდე რომ, რომ რაგინდ არეულ, დასალაგებელი სული სიღრმეში და ზედაპირულადაც კი, როგორ საოცარს ვგრძნობთ ფაქიზ ხლებას, მისით შევლებას, და შემოვლებას, - ჩვენც; სულ იმა სულის სულურ ცეცებით არა - დიდის ჩაბღუჯვით ნაპოვნები, ჩვეთაყვანისმცემლებიც ეს, გინდ, ხოლო „თაყვანის ცემა - თავის მოდრეკის ქნა“, თურმე, და თაყვანისცემის გამოსახატავად კივერ შევზედავთ რაიმე ამგვარს, მიმოღვარჭნილს, არამედ შესაძლოა რომ უბრალოდ ვთქვათ: „რა მაგარია“ (ტოლსტოი, ფლობერი), „აწყვეტილია“ (სერვანტესი, სალტიკოვ-შჩედრინი, პო, მელვილი), „ნაღდი მხეცია“ (ფოლკნერი), „აჰ რა მხეცია“, ვაი..., მაგრამ ეს მხოლოდ აღფრთოვანებისადამიერი შეძახილია და არა სწორხაზობრივად აზრობრივი, სხვა არაფერი შეძახილსგარდა და უკუსაგდები რადგანაც „მხეცი - ლომი, ვეფხი, დათვი და მისთანანი, რომელნიც ხორცთა ჭამენ, მავნებელ არიან“, და აბა რომელი მავნებელი გალაკტიონია თუმცკია მხეცი მაგრამ ზოგიერთთ, სულ სხვათ, კალმისტარკალამ-ქაღალდიანა უხამსთა რადგან წუთიერობის ხარბად მოსურნეებს, მსუნაგებს, მუცელღმერთობით, სვავებს, შეთითხნილ აზრებს მიტმასნებულთ, მიფიცხებულებს სიყალბეთ, თაღლითებს, გაძღომისათვის და ეშმათაგან შექებისათვის რიღას არ მკადრებელთ, დაუნდობლებსაც ისე რომ, ეგება აქვსთაც, რაღაც, საერთო, აემ მხეცებთან და თანაც სხვაჯიშებისანთანაც, რაღაც ზიარი საერთო... თუმცა, მხეცები იმათთან ხომ მთლადაც ნორჩი ბეკეკოებია, განსაკუთრებით სოცრეალიზმისტებთან, ხოლო დიდი მხეცები და მტაცებელი ფრინველები რააწყვეტილი მსუნაგობით იმათი მკვიდრი ძმები თუ არა გარეგიძაშვილები მაინც არიან ღვიძლები-თც, - ხოლოღა ღვიძლი „ადამინისა და ცხოველის ყველაზე დიდი, საჭმლის მომნელებელი ჯირკვალი, რომელიც ნაღველს გამოიმუშავებს. 2. გადატ. სისხლით ნათესავი - ალალი, ღ.ძმა, ღ. ბიძაშვილი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი)“, და მიუხედავად ზოგრამისა ორთავენი, მხეცები, და აგერ ახლახანა სალახანა კიღამ არ ვთქვი ანუ სოცრეალიზმისტურებიც ერთგვარად მსგავსები არიან რადგან ორთავენი - „ხორცთა ჭამენ“ (ადამიანებისაც), „მავნებელ არიან“ (ნაღდად), ათეისტ-რეალურა სოციალისტურებს, ამ უკანასკნელებს ლომობამდე და ვეფხობამდე მაინც აკლიათ ბევრი, კარგაბევრი, აღნიშნულ მხეცებამდე და იმათ მხეცობამდე, მაგრამ ხომაა მხეციც სიწუწკეთი განთქმული ტურა, ბნელის თხუნელაც მწერიჭამიათ ოჯახოვანი, და თხუნელა ხომ დაჯერებული ათეისტივით აკი ხან თითქმის და ხანაც სულაც მთლად სრულიადი ბრმა არი, ყოვლად უსინათლო, ხოლო სოცკალმოსნები თუგინდაც ზეით დაღოღავდნენ, მაინც ქვეწარმავლები ანუ ქვეწარსასვლელები, დატენილები ვრცლად მრავალგვარგვამური შხამით, და

იუდაობით - გამყიდველები ქრისტესი! - არა წმიდა იუდასავით, მაცხოვრისაგან დალოცვილის, არამედ ისკარიოტელით, „სიკვდილ შემოსილი“თ, ხოლო ფარისეველები და ავადმწიგნობარნი მეტურაობა-თხუნელობისა გარდაც, არიან დიდად თვალდაჭყეტილები და კიდე მითომაც საღი თვალები ჰქონდათ თანაც როგორ დაცეცებული გამორჩენებისა მოსაძიებლად და საპოვნელად მაგრამ, სწორედ იმათზე ჯერ კიდევ როდის, თვით მოსეთი თქმული, მეორე სჯულისა წიგნში - XXIX, 4; და და გამეორებული რამდენი წმიდანით: ესაიათი - VI, 9; მათეთი - XIII, 14; მარკოზით - IV, 12; ლუკასაგან - VIII, 10; იოანეთი - XII, 40; პავლეთი ჰრომაელებისადმი - XI, 8, და შეადარეთ, სადაა უფრო შთამბეჭდავად ნათქვამი მოწაფეებისადმი ის, რომ, - აქ ჯერ წმიდა ლუკასას მხოლოდ დასაწყისს მოგახსენებთ: „თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ სასუფეველისა ღმრთისაჲ, ხოლო სხუათა - იგავით“, იმათ კი, იგავს ვერჩაწვდომილებს, წმიდა პავლეთი მჟღერი, დარდიანი, მწუხარი სიტყვები: „მისცა მათ ღმერთმან სული მწუხარებისაჲ, თუალნი, რაჲთა არა ხედვიდენ, და ყურნი, რაჲთა არა ესმოდის“, შვიდგანაა ეს, ვერმხედველ თვალებსა და ვერმსმენ ყურებზე, ამდენჯერ სხვარამ არცაა მთელ ბიბლიაში, და შეგიძლიათ შვიდივე ეს ადგილი გადაიკითხოთ თუ სად როგორაა ნათქვამი შთამბეჭდაობა ეს, ასე რომ, ასეთი ადამიანებ-მაჩვნი, დაფარული და მაგრამ დამფარავიც ქვე-მიწის მთხრელები, კი, და შეეფერებოდათ და ეფერებოდათ იმათ აფთარი (იკვებება მძორით), ქამელეონი (შეხამებულად მიჩქმალვა იცის, შენიღბული მონადირეა), ნიანგი (მტერს და მტრისას), და ქვეწარმავლები, ქვე-წარმავალები შუაგულ ცეცხლში მართლა და არა ზეცად როგორც ეს მათეს XXVს მთლად ბოლოშია მაგრამ ჯერ არა, ნუ წაიკითხავთ, მაგრამ იქედნეს, ფარისეველთა და ავმწიგნობართა მრწყეველს, ხოლო იქედნეს ვერაფერი შეესათავზარდამცემდება, საზარლობაა, როგორი მერე, „იქედნე - ესე გველი რამე არს, საშო არა აქუს და პირით დამაკდება და შვილნი მუცელს გამოსჭამენ და ეგრე გამოვლენ“, და ყორნებიცაა და მაიმ... მაგრამ ძალიან აგდებულადაც ნუ შევურაცხჰყოფთ, ერთი რომ, ასაგდებნი კი არა სავიშვიშენი არიან და მეორეც რომ, თავის-ა ეყოფათ, თავ-თავიანთი წამიერულა დაფასებული ვითომ ოღონდ ვაიდ-ცხოვრების და იმისობისას კი გაუთავებელი, ღრმადაც უფსკერო ვუიდ ნაჩმახის მღვივებლები და ვითომცა და დამსახურებით მაგრამ ბოროტისადა მსახურებით ორდენთუმედლებ თუ თივამიყრილნი, საპალნიანნი, ვირისეულები, თუმცა ვირს აბა რას ვერჩით, ან თავისთვისაა ანდაც კეთილად შრომობს, ის მერე რა რომ ათასში ერთხელ თუ გაჯიქდება, დიდი ამბავი, და თან მტაცებელი და ხორცთა მჭამელი და გარეული ხომ არა და სულაც არა არამედ ვირი შინაურია და აქკი დამთხვევაც ხდება ასეთი: და მაგრამ ისინიც ხომ, სოც.რეალ.-ურები შინაურები არ იყვნენ კაცო, სულ კრაოტებზე არ ეძინათ? მაგრამ სად ისინი და სად ესენი, სათაყვანებლები მართლა, მკრეხელობაა მათი ასე გვერდიგვერდ ხსენება ასეთი დიდად დიდური განსხვავებულობისა გამო, შორსაქედან და ერთ-ერთ მიმართულებისანთ დროებულ-ზედაპირზედ რამდენად უმფრო უკეთესი სამლოჯიაიანი მაღალჭერულა ბინები ხოლო პირიქით უფრო ღრმა და უკეთესი ჩასამარხიც აქვთ საუკეთესო მთაწმინდასა თუ ალაგ-ალაგ, კამათელივით სხვადასხვამხარივკუთხურ დიდუბეშებში და ძვირფასები და მისათითებლები ოღონდ ქართულისა და სიქართულის ბაიყუშთათვის ხოლო ასეთები ძალიან ბევრია თვით რაღა თქმა უნდა ქართველებშიაც კი რადგან სწორედ იმათვალებით

და იმ იმისაყურიანები ვაჰ, კიდევ ვირს არ მივადექით? ყროყინის გინდაც დიდხნობით მფარავს და მფარველს და ხანდისხანობით კი ემაყროყინის გამომამზეურებელს ძალიან ისე რომ, ე, ეე, რას შევადაროთ, აი, ვთქვათ, ე, ეე... - შემჩნეულია, მოკლედ, კი, ხოლო მათთან გვერდიგვერდულად დაწყვილებისათვის კი უკაცრაოდ კია პასუხია მაგრამ, არის მსგავსი გამოთქმაც, „დააბიო“ო ურევია, ჯერხნობით ჩანან, ხოლო გამორჩეულებისათვის? - ნეტა სადაა ყოფილ და ნატანჯ გინდა სხეულებრივ, სად ძევს საფლავად თვით სერვანტესი, ანდა სად ძევან მოცარტი, და გინდაც საფლავიანი ბახი, ან ნიკალაჩვენი, სადა და ყველგან „მიწაში“ს გარდა, და აზრობრივად სანუკვარივ შთავრდომის მეტსაც ვერას მივაგებთ, რომელერთ ყვავილს დავუდებთ ფერხთით, გავტვრინდეთ უნდა იმათ წინაშე თუნდ სხვათა ცოდვით, კაენურიც კი დაგვტრიალებს, დაგვბჟღვრიალებს თავს, და თანაც კიდევ შედარებით მთლად ახლახანა მერე როგორი, ყოვლად ღვთისმგმობი, და, ადამი-ანურ ცხოვრებაში მაინც გამორჩეულებისადმი, რისი რომელი ასე შეძახილი: „ვაჰ, რა მხეცია!!“, არამედ მხოლოდ ოდნავიღა ჩურჩულით იმას ვიტყვით, რომ, მხოლოდ რომ ძალიან სულ-მართლა, მთლად მართებულად - „მართებული“ კი: „საქნელი ქნას“, თავადაც ოდენ ხოლო „ოდენ - ესე არს სიტყვისა რამე საზომი, ღირსი საქმეთა“, და რაოდენ სულით, წმიდათი, ასეთ ჩახლართულ თავმოუბმელობასაშიაც თუ თავ-ავადმობმაში, მთლად ურცხვინოთა ჯირითისასაც კი და უტიფართ-დოღში და დომხალობისას ამ, და გამორჩეულები და გამოსარჩევები ჩვენგან მაინც არიან გარკვეულები რადგან და დამჯერებიც და დამაჯერებელნიც ასე თუ ისე და დამამხსოვნებლებიც უნდა იყვნენ, და მუდამ ახსოვდეთ, რომ,

რომ ძალიან მართლა სულიწმიდათი იყო და არა იყო კი არა არამედ ნამდვილად იყო და არის, მუდამ იქნებაც ერთი კიპლინგი, მაგრამ როგორმე უნდა დავწყნარდეთ, აწი, შევძლებთ თუკი... რა დაგვაწყნარებს! - კიპლინგს მივადექით, და აბატონო თუ გინდათ მხეცებითავე ნამდვილი მხეცი, ჩავაჩერდეთ და, - სწორედ ისაა, და რარომელ გვიმშვიდებას გვყოფს, რა დაგვაწყნარებს!!,

რადგან იმან, კიპლინგმა, თვით თავად თვითონ... მოკლედ ვთქვათ, დამშვიდებულად... რა დაგვამშვიდებს!, რადგან თავად სულიწმიდათი აიღო და არც აცია და არც აცხელა კი არა არამედ კარგად იცია და იცივცივა და იცხელცხელა სუ, აბა ისეღა და სხვაგვარად როგორღა დადგებოდა თვით კიპლინგი,

ჯამბულაოს-ჯამბაკურიასი არ იყოს, მისიც არ მახსოვს სწორად სახელი, მგონია უფრო რედიარდ.

თუ რადიარდ, ჰოდაარასი ისე დამრღუევი? - ცხოველებიც კი აასიტყვა,

და რაღაღ დაგვაწყნარებს!

რადგან იმან, კიპლინგმა, თვითონ პირადადაც აყოლილმა სულიწმიდას და მაინც ალბათ რატანჯვით ლეწა „ჯუნგლების წიგნი“, და

როგორ ძალიან დიდად უცნაურია, თვით ოფიც.-სოც.-ებმაც რომ დაუშვეს დასაბეჭდად ესა მშვენივრად ცნობილი რომ დჰოლები ის, წითელი ძაღლები,

იმათში თუვინ იგულისხმებოდნენ - ვინა და, „არის ასეთი პარტია“-სისა ტურულ-აფთრული ხროვა, და მაგრამ მაინც გამზეურდა ეს გინდაც „საბავშვო“ წიგნად „საბჭოები“სა ქვეყანაში; ისეც ხდება ხოლმე რომ, საკვირველება სწორედ, ცალპარტიულა პატივმოყვარეებისაგან იმათთვის ყოვლად მიუღებლობის მაინც დაშვება ისედიდია ნაწარმოები, მიაფუჩეჩებ ვერ, რა სიბრძნეა იქ, მართლაც ტყიური აწყვეტილობით როგორ რაძნელად მისაღები და სალტოლველი ორთავ გაგებით, ბრძნულია ისე; ბუნებასავით, ამ აწეწილი დალაგებულობითა და აწყვეტილობით დიდწესრიგული და, მეტიც უფრო, ირგვლივ მზარდობით? - ტყეს გააჩნია - მთლადაც ჯუნგლური! ეს მაინც როგორ,

როგორ ცხადად და ბუნებრივად და დამაჯერებლად სიტყვავდებიან და ისიტყვებიან ბალუ, ბაგირა, აკელა და კაა და ჰატი, ქარაგმულადაც კი, ავტორია ეს, ყოველ მათგანში, შერ ხანშიაც კი, დიდადლამაზ-კი, მაგრამ ბოროტ და ავ და როგორ მორგებულ ზოლ-ზოლა ტყავში დროებით შემძვრალი, როგორ ზვავთდება დიდრონ კამბეჩთა გასაშეთებლად მძვინვარი ჯელგა, დათუმცსოც-ებმაიგოთვ.-ებმაჯუნგლის წიგნიდან ამოიღეს - ავღელდი ისევ რადგან გავცხარდი, დავწყნარდეთ უნდა, - ჯუნგლის წიგნიდან, უტიფრებმა, კადნიერებით თავგასულებმა თავიანთური მოკლეჭკუითწააკლესა და ა, მო,იღეს ის მოთხრობები სადაც არაა მაუგლი, ეს ველურობით ბედშავი თუ ბედსვიანი სამეფო ბიჭი, მიშვებულ ხეთა დი, ა, დი მწვანედმეტყევის მთლად მკვიდრი წული, არადარამოთხრობებიმიგვიფუჩეჩესდამიჩქმალეს! - მშვიდად, შენაცავტ., მაინც მშვიდად, - ჯერ მარტო ის ერთ-ერთი რად ღირს, სამი გარეწარი, - ნიანგი და ტურა და „ადიუტანტი“ - ლეშზე მავალი ჩხინკი ფრინველი ერთიმეორემესამეში თუ როგორ იდიალოგებიან, ვრცელი მონოლოგები კი - ნიანგისაა, კაცთხორცთნაგემების, ბავშვთაჭამიასი ხოლო შუამეგობრულა შვადიალოგში როგორ ჩააპობს მიწას იმისი გამანადგურებელი კუდი მაგრამ მხოლოდღა ნატურალ მიწას რადგან სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და განზე გამხტარა სიფხიზლისაგან მთლად აკრეფილი ტურა, ან, ის მოთხრობა, გასაკვირველი, ძალიან როგორ რადგან წინაცხოვრებასავითმაგვარრამსშეეხებამაგრამესალბათ - დინჯად, დინჯად, სიდინჯე გვმართებს თუნდ კიპლინგისას მიახლებით, - ჰო, ალბათ, ეს, რაღაც, მეტი, გე,ნე,ბითაა გამოწვეული და არა მკრეხელობით, მოთხრობა არის? - გან, საც, ვიფ, რებელი, და ასეც ჰქვია - „ყველაზე განსაცვიფრებელი მოთხრობა ქვეყანაზე“, დიდოსტატი კი არა და თავად ზეჰეჰოსტატია, და ახლა მისავ პოეზიას აღარ იკითხავთ? არ ვიცი, გლარჯას [თუთუნი (თურქულად), თამბაქო (სპარსულად)] სწევდა, არ სწევდა ჯამლეთ-ჯამბაკურ რა იყო არამდე რადიარდ თუ რედიარდი (ჯამი კი სულაც „მარლბორო“ებს თვალებმოწკურული ექაჩებოდა და აფუტებდა ფლანგობრიული გამართლების ჟამს), აბოლებდა კი მაღლისაკენ და მაღლა და მაღლა რაღაც არცთუ საძნელოდ საამურს ეს ჩვენთვის, თავისათვის კი ძნელს მეტად, დიდუცნაურად შენივთებულ რაღაც მჭახოვან სიფაფუკეს, ამ უმძიმესად ტვირთადძნელ ხაბაკს ისეთს რომ ხელკალმიანი მუშად მუშაკის მიწად ჩაფლვამდე, მაგრამ ვრცლად საზეცოს და ზეცისას მაინც და, თავის ყოველ საზღვართა ყოვლად გარეთული და შიგშუაგულში მაინცტრიალა და მერე როგორ, მხოლოდ თავისი იმ გუდა-ნაბადის ჩვენდაც სატვირთველადაც; მაგრამ თავადვე იყო ჩვენი მშველელი-რამ, ვინმ,

სულზე-დ მისწრება - ალბათ კი არა საპალნეცაა და კურტანი სულიწმიდასა და მკითხველს შორის, უცნაურ დიდტვირთთ-ტარებისა შემამსუბუქებელი, და საოცრებათა ცადაღმავალ ზეთავბარგს როგორ ჩაქჩაქით გვაზიდინებს ოღონდ ზეცისაკენ, თან - ფრენა-ფრენით,ც, -

ცად-ატყორცნილი

პოეზიათი,

თავისი თვითმპყრობელური ანუ შეუზღუდველი უფლებებით აღჭურვილი პოეზიით

რადიარდი, და,

და ახლა - ზღაპრები?

...ნუ გეგონებათ, რომ „ჯუნგლის წიგნი“ც ზღაპარია და გამომიჭირეთ, იქ ცხოველები ისე ნამდვილად ლაპარაკობენ? - რისი ზღაპარი, მაგრამ აი აქ კი მთლად ნამდვილად გამომიჭირეთ, რადგანაც მისი, რადიარდის, არც ზღაპრებია ცალფად ზღაპარი, იქხომ კატა, და სპილო და მანგუსტი, და კობრა-კობრები და მჟღერი ჩიტები და დათვი და ნიანგი მაიმუნებიანა და რაღა აღარ, ცოტაზედმეტად ჭკვიანები რომ „რეალურ“ად,ო, ხმობენ, ისე არიან, ჩვენში, - ადამიანში ჯადოსნური ვოლიერი იყო კიპლინგი, ერთის მხრივ კოხტად და მარილიანად ჩავლებულ და მაგრა ჩაბღუჯულ და გამომწყვდეულთ გინდაც პირკატათა და ოღონდაც რომ სწორედაც რომ დიახ და დიაღაც რომ უბადლოდ გამოერთადერთებულთ ჩვენდა შვებისდა მონიჭებად, და ხოლო მეორესმხრივით მართლაცდა სრულიად თავისუფალ დიდრონ თუ მცირე გარეულ თუ მთლადაც შინაურ ბოროტ თუ თვინიერ და მაგრამ მაინც კარგათავკერძა ნაღდ ცხოველთა უგისოსებოდ ნეტარი ზოოპარკი იყო, იქნება, არის, -

კიპლინგიეს.

მაგრამ, „გაზაფხულის ღელვანი“სთანა დიადი თავი, შუაგულ ჯუნგლში ადგილი ეს? გაზაფხულურად მფეთქებადივე, ამა ველურად შიგანსდამტყდარიც გაზაფხულის ჯუნგლურადავე შეგებებული მაუგლის ჯერ არგანცდილი უცნაურად გასამაოგნებელი აღორძინების, თრობად მომწაროსი და მათრობელად ველურთაფლოვანი, რა უცნაურად შეზავებული ბადაგი ცხარერამგარეული, შეეყრება და, სჭირდა, და, ყოვლად უცნობი და არნანახი, მაინც როგორარსებულ მკერდიანი და თეძოებიანი, ტუჩებიანდაყელიანი ვინმე-რამ ძალზექალისადმი თან როგორი ძნელი და ურწყავი, ჩვიდმეტი წლის, ბიჭი, სააღორძინოდ დაბნეული, როგორ, აღმომავალი ერთიანად გარე-შიგანიანი სხეულისი რამძიმედ ძნელი ხილვებისა, და ჯერაც უჩინარი წარმოსახვებით მაინც ისერიგ დათუთქული, რაღაცისადმი, მთლადერთიანად, და თუმცა აბა ვინა თქვა ორი ისეთი რამის ერთობა როგორიცაა სად მალამო და აბა სად ცეცხლი მაგრამ სწორედ ამგვარი შესახებისადმი, არცკინანახისა, ჯერ, სულ-სწრაფა-რეტა ძრიალი არსის ასეთი ლტოლვა? ძრწოლა, წრიალი? მთლად მიბნედილი, მეტის სიფიცხით გასავათებული, და უცებ ხის კენწეროზე აჭრილი და იქ მოქანავე, ხანაც ძალიან

მთლად არმომრიდისაგან, ქანცმთლადგაცლილი ისე რომ ეგონა რომ კვდებოდა თითქოს და მართლა, და შიშიც ახლდა, შერ ხანისაც კი არდამრიდს, გულადს, ჯერაც ვერნანახი რაიმ-ქალისა-დმი და კენ კი? - „ეს შიშია, შიში, პატარა მონადირევ“-ს ნაცვლად, კი არ კვდებოდა თუმცა ლამის მართლა კვდებოდა ეს იმიტომ რომ, ესა კვდომა? - „ეს ქალია, ქალი, პატარა მონადირევ“ - და, ეე?, რაღა მონადირე, ჯუნგლში ქალს აბა რა უნდოდა და თანაც გახდილს, შიშველს, უბეწვოს, მაგრამ, მაინც ასეთი ძრწოლა, და ლტოლვა? ისეთი სწრაფვა? ბიბლიის გარდა, სხვა წიგნებში, არაა და ვერ... ა?!, - ტყვილა ვამბობდი? - რომაკიბიბლიახომშევთანხმდითრომარააწიგნი ისი სული, სულია, - ხოლო მხოლოდღაწიგნებში ამისთანასი, ამ თავით-ბოლომდე სრულიადსა და გამამწარებლად ამოს, არც რომ იცოდა თუ ვინ იყო და თუ რა გვემდა და სხეულებრივი გუმანითკი გაზაფხულური გრძნეულებით ჩვენიც კი როგორ დიდად დამბნევად დამშანთავი და დამდაღველი კიდევ სხვა ამისთანა ადგილი? და მაგრამ მაინც სხეულებრივა თრთოლისაგან ჯუნგლში სადღაარ ელდით და ფეთით და შიგანის მხმობადი ზარით შეხეტებული ბეჩავი, ზაფრით - კვდებოდა ეგონა და რაღადროს ვითომ ეს იყო მაგრამ - ჭრელაჭრულაურ ყვავილების გვირგვინით თავზე, შეყვარებულთა იალქანით თავზედადგმული, გვირგვინოსანი, გაურკვეველს რამს, მთელის არსებით და ამაოთღა მიმოეძებდა, და, უაბდაუბდებოდა სხვაგვარი გული, რა საზარელი რამ ყოფილა ზოგიც რამ ნდომა, და ყოველივესი გადამფარავი ერთიღ სურვილი, თავისისავე მსგავსის ოღონდ რარიგად განსხვავებულისაც მონდომება რომ? რისი უდაბნოდ მოწყურება, თავზარდამცემი ისე, გვირგვინდამდებელი ხოლო შერ ხანი იმასთან, ამ გაბმულ რეჩხთან სულაც უკბილო წრუწუნ-თაგუნა იყო და მთლადაც თეთრი თანაც, ასეთი რაიმ, ამ ადგილივით ბრმულად დახვეწილი, ხშირტყეგამჯდარი, კვლა მეტადმწვანედ განახლებული ჯუნგლისმიერი, ასეთი სწრაფვა და დამმხობი ლტოლვა უცხო რამთაკენ, ოღონდაც ნეკნივ ქალისმიერი, ჰეე?, და, საერთოდაც, გაზაფხული-ზე ასეთი რამ ნეტავი სხვაგანაც გვეგულება? და თანაც მხოლოდ ქაღალდურით... ჰეეივ, - „მხოლოდ“ო, თვით ქაღალდზე, აქა უღირსი მწყალობელისაგან მოხსნილივით დიდად დაგვებნა და გადაგვერია - თვით ქაღალდი და, - „მხოლოდ“? და, შერცხვენილები, ისევ მაუგლის მივყვეთ, გაამისთანებულს, რაღაცა სუმთლად ბინდბუნდოვანის და მაინც როგორ ცხადის, გაცხადებულის თუნდაც მეტად და დია-უაღრესად მუხანათურად ისეთ საძნელო შეძრწუნებამდე რომ? - თავრეტდასხმულის, ნეკნატეხილის, ჭაბუკი მაუგლის ასეთი ჭირშეყრა და, ზეზეურად, გულყრა? - ვერა, სხვაგან ვერსად, და „ვერსად“ს სიფრთხილით სულაც რომ თავი გავანებოთ, იშვიათადღა შეგვხვედრია, ხომ, ასეთი ლაღი და მაღალი ნაოსტატარი, შეგრძნებებისა და ჭრელ წარმოსახვათა ისე უჩვეულოდ აღმძვრელი, რომ, სისულელით იმასაც კი გავიფიქრებთ, ნეტაი ფლანგ-თავკაც ჯამბულიადაჯამლეტ და ასე შემდეგს რომ შეხვედროდა ესი ადგილი დავუშვათა და როყვარებოდა ნახატებიანი წიგნების წაკითხვა-ფურცვლა-კითხვი, აემ ადგილზე რას დასძენდა, მაგრამ ვთქვი მეც რაღა - წიგნების კითხვა რო ყუარებოდა ანუ „სიყვარულის ქონება“ როქონოდა, ისეთადაღ ხომ წარმატებით ხოვეღარ შეძლებდა ერთ-ერთი წამყვანი კიდაროს მეთავკაცეობას თანაც გუჩონკა-ვიჩინიანა, ხოლო სრულიად (გამაგებია ნეტა ესიტყვა) საქართველოს ქვეთავკაცობას აკი დრო უნდა ბევრი და ბევრი და, სხვათა შორის, ვიჩინასაც უნდა

კარგადრო რადგანაც ჯამ...-ისაგან იჭმეინებოდა ბლომა-ბევრი, და სულ წიგნებისთვის არ ეცალა? - ვეღარ რჩებოდა ძვირფასი დრო, საწიგნოდ ზედმეტს გამონახავდა სად, დრო რა - გენაცვალეთ, ქუჩებში კი არ ყრია მოშიმშილოვან ღამითთქვლეფია მომიტინგეებისავით გენაცვალე, ჭირიმეთ თქვენი!, - გადავხტნით უცებ, ჯამ-რომელიღაცაზე წუთობრივ საათთ, ეს რომ გაგვიგოს ჯამბაკურიმ? - ა?!, თუმცა, ფლანგი მოეშალა მერე და მერე, ხოლო კიდარომოშლილი ჯამი თქვი შენ, გაუვა წყალი, ხოლო კიპლინგი,

გაუბზარავი,

მოშორებითაა, კი,

რა მწერალი ეს,

როგორ დაწერა ნეტა გინდ შეკვეცილიც, ეს, „მაუგლი“მდეც, დაყვანილი, ხოლო

თვით „ჯუნგლის წიგნი“?,

დაწერა როგორ? -

როგორ და,

ალბათ,

იჯდა და წერდა,

და სათქმელად ხომ ადვილია, ხომ?

მაგრამ ნამდვილად მართლა იჯდა და მართლა წერდა,

ოღონდ, შთაგონებული,

სიტყვებისაკენ სულშთაბერილი,

სულიწმიდათი.

...

მაგრამ ემ უღირსს რამდენიც რომ მწერალი უყვარს კი არა - აქ შედარებით სხვა სიტყვაა ეს მიუხედავად როგორი ყოვლისმომცველობისა, „უყვარს“ -ესა, არამედ - უდგანა სული, თუმც, მთლად ავირიეთ, სულის ჩადებაც ხომ სიყვარულისაგან და სიყვარულითაა, კი, და, კიპლინგისაგან როგორღაც როგორი გაღვივება მთავარი სულით, წმიდათია, კი, ეს ამდენი კიიცის რაგინდაც უღირსმა, და, რამდენი სხვით, თუმც, სხვით კი არა თავისი ნებით, დიდი მწერლებით, მონუსხულია, მაგრამ ყოველ მათგანზე იმდენი რომ ილაპარაკოს როგორც რამდენიც კიპლინგზე რა, სადამდე წავა საქმე და ქაღალდი, მეორე წიგნს ალბათ ვეღარასოდეს მივადგებით, და, ამიტომ, შეეცდება რომ, შეძლებისამებრ მოკლედ, ორიოდ სიტყვითა თუ წინადადებით გაგიზიაროთ შემფასებლურიც კი, აღტაცებები, ხოლო მანამდე, რომ დავაზუსტოთ თუ ვის-თანა-ებთან, რანთან გვაქვს საქმე, ჯერ იმათ პატრონს - ამა

მთავარ სულს, სულს უდიადესს, ყოვლად წმიდა სულს, თვით სულიწმიდას, წმიდათაწმიდას,

ავხედოთ, რიდით.

რიდით ავხედოთ,

თუმც, ყველგანაა და - მიმოვიხედოთ.

და მაინც, მიმოხედვისას,

კრძალვით ავხედოთ,

არ უნდა ამას მაინცდამაინც დიდი ძებნა და გარჯა და შრომა და ჭაპანწყეტა, -

სუყველგანაა; და ეგებ გახსოვთ, რომ -

„ნერგნიცა სულიერად ითქმიან, რამეთუ აქუს მათ მოძრაობისა და აღორძინებისა და თესლოვანებისა ძალი“,

და, ადამიანს ხომ? -

ჯერ, სამშვინველი: ეს უტყვი სული, მასუნთქებელი, მაცოცხლებელი, სხეულისადმი ამ ქუეყანად ბოძებული, და,

თვით სულიწმიდასიც, ნაწილაკი... ზეით და თვით იმ იმისაკენ, მაღალ ზრახვათაც, განმაცოცხლებელი.

და, თუმც უუმცირედესთ, ნაწილაკებსაც გააჩნია, -

ადამიანებს; ზოგს ებოძება თუ როგორი და ზოგსაც კი - ეს როგორ, -

მეტად, თუმც სამშვინველის მობოძებაც კი არ ვიცით, - როგორ; ხოლო წმიდისა სულისა ნამოქმედარებისა?, -

ეჰ; ვინ რას გავუგებთ; ერთი კია -

არს;

როგორ ნამდვილად, ძალიანაც არის, და არის,

მაგრამ ჯერ, მის მოსაძიებლად თვით სახარებაშიაც კი ჩახედვამდე, სულიწმიდასი შვიდ ნიჭს გავეცნოთ, ესენია:

1. შიში ღვთისა; - ხოლო შიში, სულხან-საბასთან, მთელ ექვსად, ექვს სახეობად განიყოფება, - ნახეთ;

.....,

2. ღვთის მსახურება; ხოლო „მსახური - უფლის შინა ყმა“, ყმა კი - „მის ადგილას მოსახლე“ და სათნოებით მიღებული და შესავრდომი მონა-რამ;

3. ძლიერება - „ძალ დიდობა“,

4. ზრახვა; - „სიტყვის ლაპარაკი“, და არა უბრალოდ ლაპარაკი, არამედ - სიტყვის, ხოლო „სიტყუა“ს ვრცელი ახსნა სულხან-საბასთან, ჩვენ-ჩვენით როგორმე უნდა წავიკითხოთ რაგინდაც ძნელი წასაკითხი და აღსაქმელი, იყოს;

5. მეცნიერება; - „მეცნიერი“ და „მეცნავი“, „მცნობელი“სა და „მცნაური“-ს ნიშნავს, ეს „მეცნიერი“ - ძნელად დასადგენი სიტყვაა ხანდახან, რადგან ბიბლიაში ზოგან არცთუ პატივითაა მოხსენიებული, მაგრამ იცვლება სიტყვა და მისი მნიშვნელობა, ასეა აქაც, და „მეცნიერი“? - თავად განსაჯეთ; მაგრამ რადგანაც სულიწმიდასი ერთ-ერთი ნიჭია, რაღა თქმა უნდა, სანატრელია,

6. გულისხმიერება; - მნიშვნელობა ალბათ კივიცით, ან უფრო სწორად - ნეტა გვჩვეოდეს; და,

7. სიბრძნე; - ყოველ შემთხვევაში, გვგონია რომ ვიცით რადგან აგრეთვე გვგონია რომ საკმარისად გვაქვს, და ერთიც მოსწრებული გამონათქვამი ღიმილით გვახსენდება, რომ, ღმერთმა ყველაფერზე მეტად უხვი სამართლიანობით ჭკუვა გაანაწილა რადგან ყველას ჰგონია რომ საკმარისად აქვს, მაგრამ არა დაგვიშავდება რა საბასთანაც თუ ვნახავთ: „სიბრძნე - ესე არს მშობელი ჭკუისა და განმსჯელი ცნობათა; სიბრძნე და სივერაგე (რაო? სიბრძნესთან სივერაგე რამ გაახსენა!... თუმცა, ვინ იცის...) ემსგავსებიან (ვაი...); სიბრძნე კეთილ, ხოლო სივერაგე არა“, ხოლო ახლებურად?: „სიბრძნე - ბრძენის თვისება“, სწორია, თანაც მოკლედ და კოხტად, ხოლო ახლებურადვე „ბრძენი - დიდი ჭკუის, დიდი ცოდნისა და გამოცდილების მქონე“ - აქაც სწორია რას ერჩი, მაგრამ ერთი ისაა, რომ, ზოგიერთთაც რაც მეტი ჭკუა, ცოდნა და გამოცდილება მოეძევებათ, -

უარესია.

ხოლო ამათგან, ამ შვიდ ნიჭთაგან? - ცხრა უმთავრესი, ყოვლისმომცველი დიამც-ნაყოფი სული წმიდისა:

1. სიყვარული... და აქ ვიბნევით, სიყვარული-ზე, ჩვენც, რადგან თვით სულხან-საბა, ხანგრძლივი ბერი, „სიტყვის კონა“სი შედგენისას რაოდენისა რამის მფიქრველი (თუმც ლექსიკონებით ვერ დავიდასტურებთ მაგრამ „მსახვრელი“ და „მზრახველი“ და „მფლანგველი“სა არ იყოს, თუკი ამგვარი სიტყვებია ესენი, „მფიქრველი“ -ც სიტყვად რატომღა არ უნდა იყვეს, და ეგება ესაც სუყოველივესი თავი და თავი, სიყვარულია. ფიქრის), და თვით სიტყვათა როგორი ლაზათით ამხსნელ საბას სწორედ ეს სიტყვა, „სიყვარული“, ამდენი რამის, სუყველაფრისა, ქომაგსა და რა ამოდ მპყრობელს, არ აუხსნია? ვერ განუმარტავს?, და მისი, სიყვარულისავესი, ყოვლისმომცველობით, ვეღარ ამწევი, დაბნეულაღა მხოლოდ ალბათ რადგან ისღა მიუწერია ვითომდაც ახსნად რომ, - „სიყვარული“ ნახსენებია II კორინთელთადმი, 5,14-ში, ხოლო მეცნიერულად გადამუშავებულ და გამოცემულ „სიტყვის კონა ქართული რომელ არს ლექსიკონი“ -ში კი „სიყვარული“ს ქვეშ აღუნიშნავთ რომ, - „განუმარტავია“, და ალბათ საბას ეს ერთი იშვიათურიღა ნაკლი თუ იგულისხმება ამ „განუმარტავია“ში, ხოლო მიუბეჭდიათ

აგრეთვე შავითვე თეთრზევე რომელიღაცა მეცნიერულ და რაღაც პაროლად უღირსისათვის ყოვლად გაუგებარი ABCDE, და, ამასთანავე, აგრეთვე: „ნ. ყავ სიყვარული“, რომელი „ყავ“-ისაც მოძებნით დიდი იმდენი ვერაფერიშვილი შეგვემატება: „ყავ სიყვარული - სიყვარული ქენ, გინა ჩვენთან ჭამე“ - დაბნეულია, ნაღდად, საბა, ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი საგან, თუმც ვინ რა იცის საჭმელში ნეტა რას გულისხმობს, ხოლო „საჭმელი - საზრდო“ა და, გვაფიქრებინებს რაღაცებს ეს; მოკლედ, ვერაა სულხან-საბა აქ ტყვიის ტყვიაში ჩამჯენი და სხვას ვისა ან რას და რომელ სიტყვითურ ჩუბინს მივაკითხოთ, საბაზე უკეთესს, თუმცა,... და მაინც...,

ხომაა ერთის შეხედვით ვითომც ნათლად მკაფიო და განსაზღვრულ-ვითომ ყოველი სიტყვა, მაგრამ, ქართულ სინონიმთა ლექსიკონში, საერთოდ დიდად შრომაჩადებულ და კარგა-დიდად-საჭირო წიგნში - თუმც სინონიმები უიშვიათესადღა არსებობენ - მაგრამ ამ შემთხვევაში „სიყვარული“ -ზე აქ მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი რამ მიუსადაგებიათ, და ისიც ასეთი მაპატიეთ და, უხამსობა-რამ ნარევი სისულელე: „სიყვარული ნ. (ნახეთ) არშიყობა“, ხოლო სხვადასხვა სინონიმური (აგერ ახლახან არ გავიძახდით რომ როგორც წესი არ არსებობენ, აგერ გვექნება მაგალითები) მონაცემებით, ასეთიც ვრცელ-ვრცლურად ჩიტირეკიაოებები: „სიყვარულით მოხიბლული ნ. შეყვარებული“, - ეს კიდევ შეიძლება, „სიყვარულით ალმოდებული ნ. შეყვარება“ - გვენმარტება რამე, ვითომ, და, ისევ: „სიყვარულის ალი ნ. არშიყობა“, და, მსგავსი დამბნევითური გაუგებრობაც: „სიყვარულით - სიამტკბილურად (ვითომ?), მეგობრულად (ვაიმე? - მეგობრობა და, სინონიმაურ არშიყობით?..), შეხმატკბილებულად“, - ვეუ?! და მაგრამ ბარეღამ ეს უსინონიმოც ყოვლად სისულელე „ნ. არშიყობა“ც და „ნ. არშიყი“ც, ვნახოთ: „არშიყი - მოარშიყე (ესა სწორია?!), მოტრფიალე (ესა - ისე რა), აშიკი, აშიკ-მაშიკი (ვა?!), მუსუსი (ვე?!!), ქალების მუსუსი (მაშ აბა ვისა და რისა!?), თუმცა, შესაძლოა, ჭამა-ყლაპის და სართულურება ცემენტოვან-გაჯ დიდსახლთმშენებლობების ემ ჩვენური გამოსადეგარ-პატრიოტობით და ხელმა ხელი დაბანაო-თი ანუ შეჩემაობითი გამოსადეგარ-პარნტრიონტობით და ხელმა ხელი დაბანაო-თი ანუ შეჩემაობითი გამოსადეგარ-პარნტრიონტობით და თავდაყირაობით და უკუღმართობით და შ.ა. - ანუ თავდაყირაობით შემდეგ ასე და არა ა.შ., - მუსუსობანა, მაგრამ განვაგრძოთ - ქალების მოყვარული (ვი?!), ქალების მოტრფიალე, ქალებზე გადამკვდარი (ვუ?!), წუწკი (შეგვირცხვა სინონიმი და მესინონიმეობა, სიყვარული და, - წუწკი?), ქალების მიმდევარი (ჰოი, საბრალოვ, საბრალო მირანგულავ), დრანჯი (ურცხვი აშიკი - მას საღოლ; და აქამდე ხომ სულმორცხვი იყო), მექალთანე.... და გადით ერთი თქვენი ჩვენი სინონიმებიანა, ხოლო

სიყვარული-ზე კი: აეხსნათ ასე და ასე დაეწერ-დაებეჭდათ, რა იქნებოდა, რომ: „თავი და თავი“, და მორჩა, რადგან ღმერთი, თავი და თავი, -

სიყვარულია.

და, ცანი და ქუეყანაჲ, მთელი სამყაროც, მისი ნაყოფი, მისი ქმნილება, - სიყვარულია.

თან, თვით ბიბლიაში, ზუსტად არ მახსოვს და უცებაც ვერ ვიპოვნე არადა უმსგავსად ვჩქარობ მაგრამ ბევრ წმიდანთან ნამდვილად ამოკითხული რომ: „ღმერთი -სიყვარული არს“, ხოლო არშიყისაგან მოარშიყული არშიყობა? - არა გვგონია რომ ეს - ღმერთი არს, ღმერთი ისაა, ანუ სიყვარული, მთელი სამყარო რასაც თან როგორ მყარად განუმტკიცებია და დედამიწას კი, ადამიანებიანსაც, - ატრიალებს, და დაეწერათ ასე, რა იქნებოდა, რომ „სიყვარული - სამყარო არს“ და აქ კინაღამ ბაყბაყდეური სისულელეც კი დავუმატე - „სულიერებიანა“, - რადგან მთელი სამყარო, ღვთივშექმნილი, -

სულიერია,

და რა წმიდაა ღმერთი-ს ერთიც ასეთი ახსნა, თვით მამა-ღმერთის განმარტებას სხვა ვინ შესძლებდა ასე დიადად, თუ არა ბავშვი, მისგან როგორი, ჭეშმარიტებით, თქმული სასოება: „ღმერთი ისეთი დიდია რომ ყველაფერი იმაში ეტევა და თანაც ისეთი პატარაა რომ ჩემ გულში ეტევა“,

აი, ასეთ ბავშვსმიგნებული,

და, სულიწმიდათი

ნათქვამი, ეს.

თვით სიყვარულზე.

.....

სულიწმიდასი ცხრა ნაყოფთაგან დანარჩენები კი, ამსიყვარულთან შედარებით, შედარებით ადვილად გასარკვევი და დასადგენია:

2. სიხარული.

3. მშვიდობა.

4. სულგრძელობა.

5. სიტკბოება.

7. სარწმუნოება (ალბათღა ხვდებით, არა, ქართველებისათვის რომელიც?).

8. მყუდროება.

9. მოთმინება.

და, სულიწმიდათი, „შვიდი საქმე სულიერ მოწყალებათა“ - :

1. ცოდვილთა მოქცევა (დღევანდელურა დიდად საგრძნობი ნაწილის შემყურე, უძნელესი და თითქოს შეუძლებელია ეს, მაგრამ ღვთით ტყუილ-უბრალოდ კი არ არსებობს მაღალი სიტყვა „სასწაული“),

2. უმეცართა სწავლება (დიდი მადლია),

3. დაბრკოლებულთა განმართვა... „დაბრკოლებაჲ არს რა კეთილისა საქმისაგან დაახრწიო (დახრწევა - დაშლა) კაცი“, „დაბრკოლება“სთან „მეცნიერული“ში აგრეთვე მიუბეჭდიათ „დაბარბაცება“, სახარებაში „დაბრკოლება“ შეცდომასა და შეცდენას, ხოლო „დაბრკოლებული“ შეცდომილსა და შეცდენილს (მარკოზ 14,29; იოვანე 16,1 და კიდევ ბევრგან), და უძლურსაც ნიშნავს (Ჰრომაელთადმი 14,1; 15,1), და „დაბრკოლება“ იმდენად დიდი ცოდვაა, რომ, მოიძიეთ

მათე XVIII, 6-9,

.....,

ხედავთ?

ასევე მარკოზ IX, 42-43, აუცილებლად წაიკითხეთ,

.....,

ლუკა XVII, 1-2, ადრეც ხომ წაიკითხეთ,

.....,

როგორი მწარედ დასასჯელი ცოდვა ყოფილა, არა, ეს „დაბრკოლება“, ხოლო მცხეთური ბიბლიის სულხან-საბასვე მიერ დართულ „საძიებელნი მოწმობა“ში „დაბრკოლება მოყვასთა არა კეთილ არს ამას სოფელსა და არცა საუკუნეთა“, ასე რომ, „დაბრკოლებულთა განმართვა“ დიდი და ალბათ დიდად ძნიადი საქმეა,

მერე კი, „შვიდი საქმე სულიერ მოწყალებათა“ში, გვგონი რომ, თუმც გასაგებად და მარტივადაა თქმული მოწყალებანი ეს, მაგრამ, მნიშვნელოვანება, დანიშნულება მაღლითმიერი მაინც როგორი:

4. მწუხარეთა ნუგეშინისცემა (საჭიროა, ხომ),

5. უსამართლობის ატანა მოთმინებით (ძნელია, არა?),

6. შემცოდეთა მიტევება (ესეც ძნელია როგორ, მაგრამ ხომ ვიცით უკვე, „მაჭირვებელთა“თვის ლოცვა), და

7. მოყვასის საცხოვნებლად ღვთისადმი ვედრება, - ნუ დავიზარებთ,

და, ახლა კი,

სახარება იქ გადავშალოთ თუ როგორაა აღმატებული წმიდა სული თვით იესუსგან, ერთის შეხედვით, საოცარია:

„ამისათვის გეტყვი თქვენ: ყოველი ცოდვაჲ და გმობაჲ მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაჲ არა მიეტეოს კაცთა“,

და, საოცრება თვით ღვთის შვილისაგან, კიდევ მეტი!:

„და რომელმან თქუას სიტყუაჲ ძისა კაცისათვის, მიეტეოს მას; ხოლო რომელმან სულისა წმიდისათვის, არა მიეტეოს მას არცა ამას სოფელსა, არცა მერმესა მას“,

რა იყო მაინც, როგორნათქვამი, ეს, ვითომდაც მხოლოდ თავმდაბლობით, ტყუპისცალისადმი? თუ ამას იესუ ამბობდა მხოლოდ, და არა იესუ ქრისტე, ანუ აქ მხოლოდ ძე კაცისა.... - ! - მაგრამ ვმკრეხელობ!!, -

ამას ისა სჯობს გადავიკითხოთ მსგავსი ადგილი მარკოზთან, -

3,28,

.....,

ლუკასთან:

12,10..... .

და წმიდა დიდი ნათელცემული სვიმეონ მიმრქმეველი, მირქმევისათვის, რაღა თქმა უნდა, იმისით მიდის: „და მოვიდა სულითა წმიდითა ტაძრად უფლისა“, - ლუკა II, 27,

და რამდენგანაა, სულიწმიდა, სახარებაში, ღმერთო... - ა?!.. - და ვთქვი მეც რაღა, რადგან მთელიც ბიბლია ხომ, ყოველ-ყოველი ბგერიანა, და მეტი კიდევ, აბზაცის დასაწყისამდე ვითომც იმ ცარიალა ქაღალდისეულ იმ ადგილიანა ხომ წმიდა სულით, სულიწმიდათია შექმნილი, იმითით, მისით,

ხოლო უღირსმა პირველად რომ ძლიერ ცხადად რომ იხილა იმისი მადლი, სულიწმიდასი, როგორღაც ძალიან უბრალოდ და თან ნამეტნავად ცხადად ეს ასე იყო:

ავიდა ტრამვაიში, დგას; ხოლო ტრამვაი მიდის; და ესე იგი მგზავრებიც მიდიან გინაც იდგნენ და ისხდნენ; ხოლო ერთ ორადგილიან სკამზე მოხუცებული წყვილი, ზის; კი; ცოლ-ქმარია, ეტყობათ ხოლმე, ჩანს; ჩანან, შეჩვეულებია ერთმანეთს, ულაპარაკოდაც, კი, სადადზე მეტად უბრალოდ აცვიათ, მაგრამ დიდი ყურადღებით დაუკემსავს თავისიც, ქმრისაც ტანსაცმელი ქალს; ქმარზე კიუფრო ყოჩაღად გამოიყურება, მაგრამ გამჭვირვალე ხელჩანთა მაინც ბერიკაცს უჭირავს, როგორღაც თან ფაქიზად და მტკიცედ; ჩანთაში სანოვაგე უდევთ; და გინდაც ცოტათი, გამართლებულებივით გამოიყურებიან; და, ასდის ხოლმე ახალთახლობამდე სუფთად განბანილ გინაც დაკემსილ გაჭირვებებს რაღაცა უცხო, უცნაური, თვით სუფთა ქაღალდივით უცოდველი სუნი, უხარიათ რომ? - აშკარაა, სიხარული მკაფიოდ აძევთ, ალბათ პენსიის აღებამდე... - მაშინ ირიგებობინებოდნენ, კი, პენსიას როგორც ასეთს,... - ა?! - როგორც ასეთს კი არა, როგორც ისეთს, - და კუთვნილი პენსიის აღებამდე მიიტანეს როგორღაც სული, ახლა კი, გახარებულებულებს, შინ სანოვაგე მიაქვთ, დიდიიმდენი ნავაჭრი არაა მაგრამ მაინც; გააჩნია ეს, ვისთვის; სხვისათვის თუ დიდი იმდენი არაფერი, ამათთვის ვერაფერიშვილი კი არა, არამედ? - რამ: კიტრ-პამიდორი თან თითოეული რამოდენიმე, ცალ-ცალი კიარა, ასევე კარტოფილიც, ხახვი, მწვანილი, და ზეთი და პური! - და მაშინ თუმც არც ესა იცის უღირსმა რომ ზეთი და პური

ეკლესიურია, საეკლესიო, ეკლესიისაა, ღვთის, ხოლო ახლა კი - ღვთივ ანუ იმისი მისი სულიწმიდათი მოხუცებულებისადმი ბოძებული და ამას უღირსი განუსჯელად და რაღაცას მაინც ბუნდოვანებაში უცხო ბინდბუნდად, საბღაუჭებელს, გრძნობს, და ეგებ ალბათ არც მოხუცებმა იციან ეს მაგრამ, ბედნიერებია მაინც, მით-თავთდამდგარნი, და როგორღაც წყნარად, ჩუმად, უტყვად, ძალიან სულსუ რაღაც შინაგანივ იღიმებიან, შინამდე ალბათ ბევრი არ რჩებათ და მაინც როგორ აშკარად მიეჩქარებათ ეტყობათ გინდაც სიდინჯესა და ტრამვაურ ბედის მორჩილებაში, და შინისაკენ ასე ლტოლვაში სიმსუნაგე კი არ ურევიათ, არა, უბრალოდ, გინდაც უბრალო და სიცოცხლე მაინცკი უნდათ, სიცოცხლეში ხომ ბევრი რამაა, შემმჩვევია, კი, და სხვა თუ არაფერი სიკვდილი არ უნდათ, ეშინიათ ხანდისხანობით რადგან მკაცრად ამოუცნობი და იდუმალივით რამაა მათთვის და უფრო სწორად კი გარდაცვალებისპირა ტანჯვების ეშინიანთ და ახლა კი სულიწმიდათი დაჯილდოებულებია რადგან ცოტა ხნით ისევ გამოეკერებიან პატარათი ცას, მზეს, და ღრუბლებს გინდაც სულაც არ უყურონ იმათ და არ შეაჩერდნენ, რით არ არიან სიცოცხლის ღირსები, სახედ სიავის ნატამალი არ უჭაჭანებთ, კაცს ხელები აქვს ახლა თუმც დაუძლურებული მაგრამ ნაჯაფი ისე, შეგშურდება, და ქალსაც თითებზე როგორღაც ეტყობა რომ პენსიობამდე სამსახურიდან შინ მისვლისას ისეთი კარგი დიასახლისი იქნებოდა რომ, ახლაც, მის თითებს, ყოვლად უცნობი უღირსისათვისაც კი ლამის მიხაკ-დარიჩინის სუნი ასდით, შეეძლოთ ადრე, მიხაკ-დარიჩინიც, და საგანგაშოც სწრაფვა არაა სახითმშვიდი და მაინც ცოტათი ფორიაქა მგზავრობა ეს, მივლენ შინა და, გაძარცული დახვდებათ ოთახი თუ რა, და მაშინვე გაზს დაანთებენ (მაშინ იყო, კი), ტაფას დადგამენ ზედ, ქალი კარტოფილს რაგინდ უხაროდეს სხვისი თვალისთვის მაინც მშრალი განურიდებლობით დაფცქვნის - გულგრილობამდე ოსტატია, კაცი კი იქვე ჩამომჯდარა, ახლა მთლად უქმად - იმან თავისა აკი უკვე ქნა, ხომ მიიტანა საკუთარი ხელით საჭმელი, და მაინც, როგორ ერთად შრომობენ, იღვწიან, სიცოცხლისათვის, თვით, ტაფაზე ერთად და მომჭირნედ მოავლებენ ზეთს - ერთჯერადი კი არაა, არამედ მთელი 750 სრული გრამი, გამოზომილი სიფრთხილე უნდა, მართებთ, მერე დააყრიან კი არა, ღრმა მათლაფიდან ჩააცურებენ გაბევრებულ კარტოფილთა სიცოცხლისათვის თვინიერ ჯგროს, დააჭრიან მერე და მერე ხახვს, მწვანილს, უღირსმა ამეებისა აბა რა იცის აბა რომელი მაისტერ-კულინარი აბა ისაა მაგრამ როგორღაც გრძნობს, გრძნობს ამას, წარმოუდგენია, და ხოლო სანამ კარტოფილი შეიწვებოდეს, ქალი კოხტურად ამზადებს სალათას, და თუმც უმძრახადვე ზის კაციც ისიც იმზადებს რადგან სალათი - მისთვისაცაა, იმისისთვისიცია, კი, პურსა ჭრიან და ალბათ მთლად უბოროტოდ რადგან იმდროინდელი უღირსისა არ იყოს იმათაც არ იციან რომ პური კი არ უნდა დაჭრა არამედ უნდა - „განტეხო“, და, მიუსხდებიან მაგიდას თქვენ წარმოიდგინეთ, ასე განსაჯეთ, სამნი, - უღირსიანა, სამნივე ალბათ ხელებდაბანილები და თუმც ისიც ვერ იციან რომ ხელის დაბანას არააქვს ისი იმდენად დიდი მნიშვნელობა ჩვე-ადამიანები განსაკუთრებით რომ ვანიჭებთ და ვუთმობთ რადგან ბევრად უფრო მთავარი, - სხვაა: მათე 15, 1-11; მარკოზ 7,1-9....., და აი სწორედ ეს მთავარი სხვა და სხვა კი არა და ჩვენეული, ჩვენი, ჩვენგნით გინდაცდა თუნდაც გაუაზრებელი უცოდინრობითაც კი როგორ ლამაზ და გინდაც ფიორა მაგრამ რა მაღლივის მკრთალურა დამღად აჩნთ ამოძრავებულთ, საკვებით,

სახეებზე, მოხუცებულებს თუნდ ამ მცირედით, იმხანოვანებსაც კი, ზრდის, უკვე ეტყობათ აიესა ჯერაც იმ წითელ (ვაიმე!?) ტრამვაიში მსხდომთ, და უღირსი იმავესივე დიადი აღმზრდელის ასენათლ გაცხადებისა დახმარებით როგორღაც ხვდება აბრწყინებას-ამ რომ ქვეყნად არსებობს და ნაღდადაა რაღაც ისეთი თუნდაც ძლიერ მარტივად უბრალო მთლად ერთი ბეწვა-ბედნიერებები, რომ რაღაც ძალმა-მოყვარემ გაახარა ეს მოხუცებულები ასე ძალიან, გაჭირვებული ცოლ-ქმარი ასე, დააჯილდოვა, ხოლო ისინი, მადლიერები, ბედსმადლობლები, არცაიციანკია რაისაგან და, მთლად შინაგანად იღიმებიან, ბედნიერებია, ასე მცირედითაც, ნაწყალობევებები, ასე, და გამორჩეულები რამდენთან ერთად, უთვალავებთან, ერთად, და ის მერე რა რომ ასე ძალიან უბრალოებია, რა იციან თუ თვით ოქრო-ძვირფასეულებ მოოჭვირულ ტახტრევანიან სოლომონ მეფესა და ბრძენზე უფრო შემკული და მოხატულია მინდვრის შროშანი, ყველას ერთძალი, ზრდით, და აემ თუნდაც ახლანდელივით უბრალო-ზრდით რა იციან თუ მინდვრის შროშანს რაღა თქმა უნდა მინდვრისა შროშანს ვერ მაგრამ ზოგ-ზოგ ჩინოსნებს უახლოვდებიან კი არა, ეგება ბარე უკანაც ძალიანაც იტოვებენ, ეს ადამიანები ორნი აი ახლა ხომ უღირსის თვალწინ წარმოჩენილები, ბებრულად მსხდარნი, გამართულები, წარმომდგარნებივით, ეს, ასეთი მცირე სანოვაგითაც დიდად ნანობათევნი და გინაც წითელ ტრამვაელთაგან როგორ კეთილად გამოსხვავებულები ესაორნი და, ახლა? - აღარ იკითხავთ? წარმოიდგინეთ, თვით, -

იოჰან!, სებასტიან!!, ბახ!!!-ი...

მაგრამ ბახაამდე ჯერ ადრეა, ნელინელ მივყვეთ...

სულიწმიდას, ვის.

ეს ის გვტრიალებს და აფერადებს ქვეყნად სუყოველივეს, ღვთით, ის ხან ქარია და ზოგან წვიმა და ალაგ თოვლი და ჩვენიცა და სხომის და სხვიმის ღრუბელი და, მჭვირვალებაში ხომ, - ისაა და ის, სუყოველგანაა, ის ხან ქარია საკვამურში ძნელი და უგზოდ მოკარგული გულმწყრალ ბატივით ავად და ძვირად სისინა და ხან - ქნარია, ყოველივესი როგორ დამფენი, მიმფრქვევი, მფარველი როგორ, მალამაზებელი, მოსამხმოვანედ ამკენკავიც და, ლბილად მომფრქვეველიც, და რახან მამას მოსურდა რომ ეს დედამიწა, ჩვენი მფარველი და როგორ სადღაარ დამტარებელი და უზარმაზარი-კია მაგრამ მაინც მხოლოდ ბილიკი და მაგრამ ვისი, და ვისკენა, და რაგინდ ბევრი ავიწყვიტოთ და ვითარეშოთ ბოლოს ხომ მაინც ისევ ჩვენი როგორად წყნარი შემკედლებელი და მოუნდა ღმერთს, სამთაგან მამას, გახდა მოსურნე რომ ჩვენ, უღირსებს, მხოლოდ აღრეულ წყალსა და ხმელზე ანუც ლაფში კი არ გვეტოპა არამედ გვევლო და გვეარნა სილამაზეშიც, და რა ყვავილებით მოჩითა ნოტიო ხმელი, ჯერ მხოლოდ მინდვრის? - რამდენნია, რაოდენნაირი, აურაცხელი, რომელიღა არ ფერად ფერადნი და ფერადოვანები როგორ ურიგოდ მოდიან, წავლენ, წავლიან, მოვლენ, წამოვლენ, ისევ, აქეთ-იქით,წა, მარად ვლენ, ვლენან, აბა სულ ვარდს და ტიტას ეს წელიწადი-თორმეტითვე მტერმა უყურა და სულმოსათქმელად, სულიწმიდათი, დაგვიწესა ზამთარიც; სრული; მარტი, ივნისი, აგვისტოცა და ნაირფერად პეწიანი უთვალავთვალად მბრწყინვი აპრილი და „მაუგლი“შიც იმ მარადმწვანე

საჯუნგლეთში თვით გაზაფხულიც, მფეთქებადი, შეუმჩნეველია უცხო თვალისათვის რადგან ვითომდაც ისე მალულად ამომავალი შიგნივ-შიგნით და შიგანშიდადანში თუ იცვლის ფერს და იერსახეს მჭახდება ანუ მაგრამ თან ისე ნაზვერაგულად იშმუშნება რომ ბიჭს, მაუგლის, დაკაცების მოვარდნილ ძვირ გზაზე ბარბაცით შემდგარს აკი ეჩვენება თუ, ალბათ კვდება, გაზაფხული ხომ, უცნაურია, სულიწმიდასი; მერამდენედი პირველად წვევა; როგორ აქეთაც დამბადებადი, და, მაგრამ, რაც მთავარია პირველ და ბოლო მთავარსაზომით როგორ გვებოძა და გვეწყალობა ოქტომბერი და ნოემბერი, გვირგვინოვნულად სთვლისა და ტირისკონის, თვე, ღვინობისა და გიორგობის, თთუე, და ღვთის მოქანდაკე, მაშენებელი ღვთით, თვით მამაღმერთის რარიგ ბაჯაღლოდ უჩინარი კალატოზი ეს, როგორი მძიმე, ძნელი, და თავი და თავი მაინც - ლოცვად უფსკეროდ რარიგ მტვირთველი და მაინც მაღლივ როგორ ფარფატა, ღვთით, ისასული, ღვთის, ხანმოკლე პეპლებს ფრთებს როგორ უხატავს, რა უცნაური სულმოდგინეობით - სამშვინველითაც, რიდით; თანაა აწყვეტილი და დახვეწილი, როგორი მოუსვენარი და დაუდეგარი და გიჟმაჟი და ანცი ეს როგორ და რადინჯი თანაც, მთლადაც ხომ თავად ბეწვისხიდურა წონასწორობა, ეს, თუმც იმის გზასთან ბეწვის ხიდი ამაზონკასიც ჭრელად ტოლაა, სუნთქვაშეკრულად როგორღაცაა მეტად-ის მეტად მოღრიალე, გატვრენილიც და იქვე როგორის რას არ მიწყდომით ხახადაბჩენილი ქარიშხალივით აულაგმავი, როგორი შუმი შემოქმედი, და გამჩენია, მყარად გამჯდომიც და „ამოვარდნა - თავის ადგილას აღარ იყოს“ც, მეფე-დედოფლურ სამოსებში უფლის მემკვიდრედ შემოსილი მაგრამ არანაირი შესამოსი იმას არ უნდა, რად უნდა, ის თავადაა შემმოსველი და ამისათვის შავსაც ვითომ, შავს-ად წოდებულ სამუშაოს მიამიტად რომ ეძახიან იმასაც აბა როდი თაკილობს და მიწისქვეშეთშიც დაძვრება და განა ტყუილად, ფესვებს წყალს აწვდის; აჰყვება მერე ნესტიანსა და მისი შესრუტვით შეგრილებულად გრილგრულა მერქანს, და, იღვწის იქა, ფოთლებშიმალულ ბროწეულებს გამოჩენილად ააჩახჩახებს, ის - მზეცაა და იმისი ერთგული თუ მოხიბლული მისით მზესუმზირაც, მთვარეცაა და ვარსკვლავებიც მისით ანთიან განსაკუთრებით ჩვენიერთი მაგრამ ჩვებევრეულთა უღირსებისათვის - შეუნიშნავი, ეს ის ანათებს და აღამებს, ის ეხმარება, გვეხმარება გზააბნეულებს, ვარსკვლავთაც წყობით? - მრჩეველია და, მაგრამ რაა იმასთან მთლადვარსკვლავეთი, იმათზეც ზემოთ მფრინველია და, ნისკარტიცაა იადონის „დაუცადებელად მოჭიჭინე“ - მარგალიტთმკენკიც და გზააბნეულიც რადგან სრულად სრულიად სრულიადურის სამყაროსი - ამწედ ძალუმი მაღალი ფრთე, და ჩვენდაცწილად უცნაური სიმძიმეების როგორი უხვი დამრიგებელი და იმეების იქით ნაკლულადასიც კი მიღებისას? - გამძლე, გამძლე და კლდედად კლდე, „წყლტუ - სალი კლდე უვალი“, და, სოველი მიწის ერთიც პეშვია; ოკეანეთა მიმომქცეველს, ამასთანავე ერთიც პაწუა წიწილის დარდი და, გამორჩევაც იცის როგორ, ვისთვის როგორი დიბა-ატლასურ ფიანდაზთ უხვად მბოძებელი და მიმშვები ისე ფორთხვა-ფორთხვითა და თუგინდ ჭენებითა და, ორთავეობისას? - რჩეულებს როგორ დაარონინებს რადგან „რონინი - ხელით ტარება“, ხელი კი აქვს ისე მბოძებელი რომ, დამპურებელი იმათი თვით ზეციური მანანათი და ვისთვის კიდე, თუკი ზედმეტად უღირსებისათვის? - ზურგნაქცევი და დახშული როგორ, და თუ ძალისძალ მიეტმასნებიან? - კუპრის სტომაქი, მხოლოდ, და გულქვა,

გულქვა რომ, - ესაცა აქვს, კი, ხოლო მეშუალედე უღირსებისათვის, იყო, კი, არის, ხოარის, დიახ, და, კიდეც იქნება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ღმერთის მხოლოდ ერთგული კი არა მთლადაც თვით ღმერთის უხილავი ხელი და მთელი სხეულიც რადგან სულია, სულიიმისი ხოლო როდესაც იმისიანი მამა ცას და ხმელს ჰქმნიდა ზეიდანქვეით, და მთლად სულიერი სამყაროსათვის მისით დიოდა მთლადაც სუახალ ვრცელნერგთა შორის, მის გასაოცარ, დაუჯერებელ მაგრამ ახლა კი შეჩვევითობით ჩვენგან გულგრილობითაც კი მიღებულ განსაცვიფრებელ ნამუშევართაგან, დავუშვათა და, ორიც, ვიკმაროთ? კაი ბატონო, აგერ, ვეშაპი და კოღო, ინებეთ, და კოღო კიდევ რაღაცეებთან? - გოლიათია ბაყბაყდევური; ან რა სვლა იცის, კუს ნაბიჯი და სვავის ირაო - სულ იმისია, და მეტიც უფრო - თუ მოუნდება კუ იმასთან ძაან დამფრთხალი ქურციკია და თუ ინებებს? - რაისი სვავი და არწივი, სვედფასკუნჯია, ბედისწერული, უდაბნოცაა, თვალდახშულთათვის, და ყოველმტკაველაც ოაზისი და, რაგუგუნა ჩანჩქერად თუ ისე მძიმედ ჩამოტყორცნილ-და-ჩამონარცხებული?, ესა ისევ ის იწრიტება და თვალნათლივ ორთქლდება დავიწროებულ ღელეებსა თუ ტანთმობრძავ გახევებულ გუბეებში და, ოკეანეებსაც? - აღელვებს ისი;

და მერე როგორ;

ოკეანეთა მშვიდ ტაროსშიაც მიმომქცეველი, სუყოველივესადმი იცლის, ის ასტვენინებს მშვიდ ნაპირებზე სტვენია ჩიტებს მერე და მერე რულისმომგვრელებს და ჭექადგრგვინვაც ხომ - იმისია, ხოლო ყველაზე მშვიდად იქაა, თუკი გლეხებად დაგვსხამს ხოლმე რადგანაც თავად სულ მიწა-მიწად უყვარს მუშაკობა, ჩვენ-თავის მიწას გვაბარინებს და გვათოხნინებს, კლდოვანს ძლიერ ვცემთ წერაქვს, და გინდ მარჩენალად არა გვყავდეს, მარჩენალია რაა აბა ყოველთვის მიწა - გვაპურებ-ს გარდა, დავაბიჯებთ, დავეხეტებით იმაზე, და მასზე გვიდგას სახლი და კარი, და რომ გვგონია მთლად ჩვენია?, არა, ჩვენ აბა როდი დაგვჯერდება, მთლადაც თავისით მოინდომებს და, გადაკარგულში? - აკი გითხარით ჩვენთვის უფსკერო ხრამად პირქუშად ჩაიქცევა, მოუნდება და, ისევ ჩვენთვის ოღონდ ახლაკი დასანახად - აკი გვებრძანა, კვლავაც პირქუშად, ევერესტია.

ღვთით.

მაგრამ ერთი-რამ სისუსტე, თვით მამა-ღმერთისა არ იყოს, იმასაცა აქვს, ჰყავს, -

ადამიანი.

ადამიანები, ანუ თან ბევრნი ერთად მაგრამ იმისათვის სუყოველი -

თითო-თითოა.

და, როგორ წამიწამ, ყოველ ნაბიჯზე, მხარში უდგება, ეხმარება იმათ, მაგრამ ძალიანაც ხშირად აბა ვინ რას ვატყობთ. სუთავიდანვე რომ ვერ ვუხვდებით ეს კიდევ შედარებით იმდენი ძალიან არაფერი რადგან გაჩენიდანვე საგრძნობლად მოგვდგამს რაღაცა უცხოდ შეფერილობა მაგრამ ძალიან თუ არ განვუდექით მოდით და ამიტომ შედარებითი თვალსაჩინოებისათვის ცოტა გარედან და უცხო თვალით პატარა-ასეც შევხედ-და-შევჭყიტინოთ როგორც ეს ამას ზედმეტად

უთუოდ ლამის განათლებულები მოწყენილობით შენიღბული რიხით ამბობენ - ობიექტურობისათვის ხოლო მეკი გლეხურის ენით გეტყვით რომ - სწორულა-სამართლიანობისათვის - თუმც ამ დეფისოვანებში პირველი სიტყვა შესაძლოა მგონი ზედმეტია მაგრამ მაინც ავიღოთა და როგორც შევძლებთ ისე გარედან და ანტისუბიექტურად (ყოჩაღმეც, გავნათლდი) შევხედოთ და შემოვიხედოთ კიდევაც გინდაც ამაოდ ამ განხრაში ანუ რადგან ისედაც რაც გინდა მთისაბროლის კრისტალურიო ობიექტურობა? - მაინც სუბიექტურია, ა?!, - განათლებულობისაკენ, არ წამცდა თავი და ხელი? და მაინც, ჯანდაბას იქით ეს ჩემი ხელიანითავი და როგორც გამოვა, ისე შევხედოთ ოღონდ შორიდან; და ახლოდანაც, შორიახლოდან მოკლედ, და ვიმსჯელოთ კიდეც, აწი:

თავი და თავი, ეს ის ბადებს ადამიანებს, და განუზომელ ვრცელსულიანობიდან ყოვლად უბიწო ნაწილაკებს ის გვიწილადებს და დააკლდება ამით რამე თუ რა, და დაბადებას, ჩვენსას, კიდევ რა უჭირს და რა უნდა, ჩვე-ბიჭბუჭობა რა სათქმელია და მოსატანია ეს თავად იმან ჩასახა იესუდ თავად უფალი, ტყუპისცალი თავისი, ქრისტე, ხოლო თვით უღირსთაც კი ჩასახვაში რაოდენი რამ შრომა მართებს - უთვალავობით ნამცეცობის ნაწილაკთაგან მხოლოდღა ერთ ცალს გამოარჩევს, დასაბადებლად, მილიარდიდან - კიკოს, თურმე, და თუმც სული სულია თავი და თავი, სადღაცას რაღაც პატარაც ხორციელურიც არ ყოფილა კაცო სხეულას ხათრით?, რადგან ესდასაბადებლური გამორჩევაც ეს, ალბათ და მგონი და ეგებ და ნამდვილად - მისია;

მერე კი, ახალ სულს სულით რომ მიიახლებს, სულთავიდანვე სულ იმისია მიწათმოქმედი, მჭედელი, ხურო, ჩარჩი, ნალბანდი, ქორვაჭარი, ნოქარი, დახლიდარი და გადამყიდველი, სპეკულანტი, ლიდერი... - ვაიმე, ავჰყევ ერთდაგვარად დროს?, თან სინონიმები მგონი რო სადღაცას არსებობენ ანუ ამჩვენში ერთის ხელობით არიან ნაშობნი, და ქორვაჭართა სახეობებს მოდით და მაინც თავი ვანებოთ თუმც ვანებოთ არა - გავანებოთ და მივყვეთ მაინც ჩამოთვლას, ეე...., და რაღა ამ სინონიმურ ჩარჩებს გადავყვეთ, ხალხისა მეტი რაა კიდევ, ეე, ჰო, - ლიდერი, ბუღჰალტერი, იდეოლოგი ვაიმე, მედუდუკე, ეე, ჰიდეოლოგი მეთქი-ვა?, ვუხ ზურნა და დოზანა და... ეე, პარიკმახერად ალალი კაცი რამდენად მეტად საიდეოლოგო, შინაყმა, მსახური, დამქაში, ლაქია მეფე ხოკაია, ისემც, მწყემსი, ვაზირი, მეხაშე, მრჩეველი, კინომცოდნე ხოლო ნეტაესუკანასკნელი ხელობა რაია ნეტა, ეე, მეწისქვილე, ხელობაა მეფაიტონეც, სტომატოლოგი, მერიქიფე, მექისე, მოტოციკლეტისტი, მეხინკლე და ხავერდოვანი ბარიტონი ანდა პირიქით რა პირიქით როგორ გავიგოთ, ვე, მენავე, მოჭიდავე თან გააჩნია ვისთანდარასთან, ცეცხლფარეში, ცეკატეკასი ყოფილი ჰინსტრუქტორი რაცმეტი უფრო კიდოვარესი და ამიტომ სულაც ცალფეხა კურიერი მაგრამაც მგონი ჩამოვწვრილმანდით და ამიტომ გრანდჰერცოგი, ბარონი, ჰაროლდი ნეტარასა ნიშნამს კაიამაინც, კონფერანსიე, დიდად მიმომფრინავი დიდი ბიზნესმენი და მაინც ადგილზე დაფლული და აგერ იქავ და აქავ ბუზნესმენი, ერთნი თუ სუ ფრრ-ფრრრუუუ, ესენი კიდე - ბზუუ, ბზუუო, ბზუუ, ბლუ, მჭევრმეტყველი, გრაფი, პორტიე, გამგებელი, მიკროდ გამგებელი, გამგები და ყრუ, ფილატელისტი, მეარღნერამდენადჯობია, პარლამენტსტარი, სეკრეტერია-მერია რამე,

კლავიატურაიანი, სახლთმმართველი მაგრამ აკი სახლები ძლიერ უძრავად დგანან მართვის აბა რა ეტყობათ ისიც კარგი რო თავისითაც არ ინგრევიან, ჯერ, მღებავი, წამშლელი, მიმცემი (ბევრგვარია), მომცემი (სადაათორემ კი), გამცემი (ყრია), მიმოკონსესუსე (არვიცით რაა), ბითური, პრეფექტი, აბდალი, გენერლობანა, მეციკლოვკ-მეჭერამე რამე მაგრამ გონია ავცდით გზასა და საგანს მაგრამ რა უჭირს საქართველოში ვაართ, კი, ამიტომ ისევ ეე და სუპერპრეფექტი, ყვაილების მემიწე და საერთოდაც, დამმიწებლები, ინკასასატორიც ჩემო ბატონო თლათპრეფექტული და ჯორკოვსკი, გინდ აჩკებიანი და გინ უსათვალოც ერთი ისაა, მაინც, და თბოგათბობა ყინულოვანი თუმცა ეს უკანასკნელი ამ დედამიწის სრულად სულიერ სულიერულსა ზურგზე გამონაკლისურად სულაც არაა სულიერი არამედ ფშტ ხოლო ყოვლისშემთხვევაში - ამაჟამს მაინც (XXს-ს მიწურული), ასეთი გაფიცული? - ა?, მაგრამ გასდის და რას იზამს აბა, და მეთუნუქე, მესახურავე, უფროსი მრჩეველ-ეკონომისტი შენ ხარ ჩემი ბატონი მთლად ისეთი რომ რწყილს პენსიას სინათლიფულში გამოუდნობს მაგრამ სადღაა პენსია იცხონებული და ამიტომაც ზამთრობითა ყოველდღიურა მთელი სამსაათნახევრიანი ჭაკი სინათლე სინათლიხალხმა აიღოსა და - ტკაც!, - გადაჭრილია, ასემარჯვეა ისა-მრჩევლები და ახლა მთლადთლათაცმინისტრ აღარ იკითხავთ ითავის ზედაცმდივნებდათანა-შემწეებიანა, ვი?, შოფრიან-რამე, ხაზეინი, ნაკოლკებიანი, რამე, მეთულუხჩე, საპოჟნიკი, დიდრონ-დიდრონი ადმირალები ოღონდაც მშრალზე თანაც ადმირალი რაქართულია, სტიოკლა ვსტავლიაიუები, სხვარამც გადმონაშთური კოჰორტა, მეფლანგისტები ექსჯამბულიასეეფ, ეე, უიმე მართლა, მთავარხელობიანები და მრავალრიცხოვნები სხვასუყველებზე ერთად აღებულთზე (მაგრამ რა აიღებს ზოგიერთ-ებათ) უფრო რამდენად გვირგვინოსნულად და თვალსაჩინოდ წარმოდგენილები - უმუშევრებიჩვე, ადრე თუ მუშაობით ვისჯებოდით ადამიანები, გინდ ლაგერებში, ახლა ჩემო ბატონო, უმუშავრობით გვაძრობდნენ ტყავს და ნუკი დამძრახავთ მაგრამ მემგონი, ის მუშაობა ჩვეყოფასჯობდა - ბალანდას მაინც ირიგებობინებოდნენ, ახლა კი, გინდ შტატში უმწიკვლ-ქურდივით მყარა-იჯდე, ხელფასს თუკი არ გირიგებენ, უმუშევრობ-და-შავრობაა ეს აბა სხვა რაა და რაია აპა, უიჰო, მართლა, - დამპირებლები გვირევიან რამდენიც გინდა, და გვპირდი და გვპირდი რამტელიც გინდა მაგრა და მაგრა და მაგრამ სურო გაგვწყვეტენ, მთლადუკანასკნელ თავიანთიც მედოლეიანა, მერე ვიღასღა გაგვატყავებთ მაგრამ ამდენი ჭკუვა სადაქვთ და ამიტომ ჩვეგაფიცულები, გასაფიცები, დაყრილები და მიწადასაყრელები ძაან უდროვოთ მაგრამ ამაშიც ნეტა რაყრია, ისე კი, სახლები თურმე ყეფითაც შენდება მაგრამ სოფელი ისევაც - ვეერა, ხოლო მყეფარები და მყმუილოვანნი კი, - „ობიექტურობა“სთანა ადვილ სიტყვას არ მოუკვდ-გარდაეცვალა პატრონი? - აგერ არაა ძლიერ სუქანი ლექსიკონი?, იმის გადაშლას აბა რა უნდა, კიც წავიკითხოთ, დევიმახსოვროთ თუ გინდა კიდეც თუკი გვაქვს მსუყეთ ზემოთა ის: ბოფურკაცია, ბითუბინიზაცია, - ნეტა რეებ და რასა ჰნიშნამს, ანდა - ვიტრიფიკაცია, ვოლკამერია, ვოდევილი, გრამიციდინი, წყვილად ჭერამი, რამე,

ჯამბაზები კი, ოღონდ არენასა თუ ან ეკრანზე და არა სერიოზნულურ ამცხოვრებაში, წარმოიდგენთ, ნამდვილად უფრო მეტად უყვარს; ვის? -

სულიწმიდას; გადაგავიწყდათ? - ვინემ ეს ზოგიერთი ზემოთებიდანაც კი ჩამოთვლილი ზოგიერთები,

ჰუ?. ჰო?, დავიღალე... ვუიჰომართლაპოლიციაცხო!, დარაჯი, მცველი, ქურდი, ყაჩაღი, ნეტაუბიწო, ვამპირი, ნეტაუმწიკვლო, ჯიბისდასტაქარი გამოიცან რომელია ხოლო შენ რაღა უნდა გეთქვა და გექნა, რამდენად ჩვენზე საბრალოვ, ადამ, ადამიანებთაგან სახელების ანუ სიტყვებისაც პირველ-მომგონო და გამკვალავო, სულ-მთლად დამწყებო, რომელიღაარ ქვათა გამთლელო და დამკოდავო კატორღელო შენ,

ხოლო თავისი ტყუპისცალის, იესუდ ქრისტეს მიმდევრებთან, იმათ თავზე-სა და ხელში? განსაკუთრებით ფერადია.

ცოტა ადრე კი, როგორც ეს აქაც ჰოდაარაზე გაცილებით მეტად ითქვა, სისულელით ხანდახან მუზას და პარნასს და დაფნისოვანიან გვირგვინოსანს ეძახდნენ ანუ და იგივ დინჯითუანცი შერეკილობისაკენოობის წამქეზებელსა და მფლობელს, და ალბათ ეგებ უპირატესად მასზე თქვა მამამ, უფალმა, ღმერთმა: „ვითარცა ერთი ჩუენგანი“ რადგან ადამის მოდგმა, განვრცობილიად როგორი ჭრელი, ფერადოვანებით ეგებ მხოლოდ მას, სულიწმიდას მიესადაგება..., თუმც არა, არა, ფერადოვანებით? - მეტია ს ი ტ ყ ვ ა, ქრისტესმიერი და თავად ქრისტე, ხოლო პირველი ადამ იქმნა იმისი ძნელყმა და თან დამჯერი და მეამბოხეც როგორი, მერე. და მან, შექმნილმა, იმდენი ქნა და იმდენიც ჰქმნა რომ, გამრავლდა, კიდეც, ისე განმრავლდნენ რომ ნეტა რამდენი ენაა ქვეყნად - ხომაა ვითომ ძნელად საპასუხო ეს მაგრამაც, არა - ზუსტურა-სწორა ამქვეყნად ენაც ხომ სწორედაც რომ იმდენია რამდენიცაა ადამიანი და იმისიც საკუთარიც კბილებმიღმითა დინჯი თუ ცხარე თუ ტკბილმოუბარი თუ მდიდარი და ანდა ღატაკი თუ ჭარტალა თუ მართალი ან აჰრაცრუ ენა რადგან თუგინდაც ერთცალენოვანი რუსეთიდან მოვიძიოთ და ვნახოთ თუ სადაც პუშკინი და ვილენინი სხვადასხვრულ-რუსულს მეტყველებდნენ რადგან იმათგან ლაპარაკობდა და წერდა თავისებურის ერთენით ერთ-ერთი და ლაპარიკობდა თურმე ყასიდს და იწერინებოდა სხვურენით მეორე. ბოდიშით, უკანასკნელი. არადა, იმპირველობას, მთლად უკანასკნელის ზურგსუკნურადაც რომ შემდეგიც რო ყოფილიყო ეს შედარებით რამდენად სჯობდა, აგრეთვე აქეთ ბუნინი და ბლოკი და იქითკი იქეთურტროცკ და კამენევ-ურიცკი სხვადასხვა რუსულს ამოიშაქრებოდნენ - რა გამოთქმაა? როგორი და სწორედ იმათსავით უზუსტო, მრუდი, არასწორი - ამიტომ, ამათებზე - ჩუთ, თანაც ალბათ ვიღაც გვაგინებს, და ახიცაა, აბარომელი ტრაცკ-ზინოვიები აგვიტყდა და ტროცკი და მართლაც ავტოთავსლაფის გარდა რისი ღირსი ვართ მეტი, სულიწმიდათი გამორჩეულებთან ვისღა-ებს ვახსენებთ და ცრურწმენამაც კი დაგვრია და დაგვყო ხელი - „ალბათ ვიღაცა გვაგინებს“ -მეთქი, - დაუდევრობამ და აჩქარებამ იცის ეს, აკი რამდენჯერ ვიმეორე „ნელინელ მივყვეთ“ -ი მაგრამ ეს რაღა მიყოლაა - ავირივენით. გაგვიწყდა ძაფი.

და, სულიწმიდა თუ გვიშველის ისევ, თავისი როგორ ჰაეროვანი და თან უხილავი ფარფატად მძიმე რამძიმეეს და როგორ საძნელო ჯაჭვით, ამოვისუნთქოთ ეგებ

იმისი როგორ ფერადად რჩეულების გახსენებისას, ხოლო თუ ვის ირჩევს? უცნაურია: არა აქვს წესი:

არას დაგიდევს სოფლელს თუ ქალაქელს, მაღალს, დაბალს თუ სულაც საშუალოს, ეშხიანსა თუ უშნოდაც ჟღალს, ღატაკს თუ ფულით არა-უშავ რას ერთი ეგაა მდიდრებისაგან ცოტა შორს უყვარს სხივად სხვებთან ყოფნა მაგრამ იმისაგან მათგან გამონაკლისები? - რამდენიც გინდა; ასე განსაჯეთ ძაან ბრძენსაც და ერთგვარად მოსულელოს დაგიდევთ არად, იერთიანებს, მაგიდასთან, იმ უჩვეულო მორჩილებით ამბოხად მიმსხდართ, ხოლო წყალობათაგან უდიადესი, უმთავრესი და ყოვლისმომცველად კი რა აქვთ თუ იცით... მთლად უდიდესად გამორჩეულებს... რა და, -

ბავშვობა.

გინდაც გვიანი სამარის პირამდე, გინდ უკვე თმაჩამოთოვლილებისა თუ სულაც მელოტ-ქაჩლებისადმი და მძიმე წლებით წელში ორად მოკაკულთათვის ბოძება უდიადესი რამ წყალობის, -

კუბოს კარამდე, ბავშვობისა;

სწორედ სიბავშვობით და ბავშვის ნიჭით იმ უდიადეს აღმოჩენათა უწყვეტლივ ჩამვლებთ, როგორც რომ სწორედ ჩვილისათვის რომ სუპირველია იმათთვის მერამდენედაც გინდა მოსული თოვლი, ლაღად სევდიან-თეთრ ფანტელება, და რა უნდა იყოს იმაზე მეტი თვალებადქცეულ ბავშვისათვის რომაა პირველი თოვლი, პირველი წვიმა, პირველი ქარი ფოთლებში თანაც, და რომ სულაც არ იყო და მერე უცებ რა-მაბედნიერა ბალახ-ბულახით თან ყვავილებაც მოჩითული როგორ ხრიოკად მიძინებული ზამთრობით მიწა და, ყველაზე მეტად გამორჩეულებს ამითაცა და რამდენად ბევრით, არ უნელდებათ მარად და მარად ჯერ თავიანთთვის და მერე თუმცა როგორი უღირსებისათვის და მაინც ჩვენთვის, განაცვიფრებთ და განგვაცვიფრებს მათით წვეული, სულიწმიდათი ხელჩაკიდებულთ, თავსმოხვეულებს, ეს პირველური ბედნიერება, უღირსს კი თავის სამშობლო-საქართველოში მთელი სამი ასეთი მარადი ბავშვი ეგულებოდა. ჰყავს.

ხანდახან რარიგ ბევრია ეს რიცხვი - სამი.

მაგრამ იმათამდე, მივიდეთ უნდა, ჯერ.

თუმც, რაღა „ჯერ“ გვინდა, აესენია, ურიგოსნები:

ვაჟა-ფშაველა,

ფიროსმანი,

გალაკტიონი.

და, მაბედნიერებლად სათაყვანებელზე, სულსა წმიდაზე, მით მოქცეული ყოფილი ბილწ-მეზუერე-თი, შემდგომ კი თუ როგორ წმიდად გამოცრილ სულ-აც მათე-თი

ქრისტესი ნათქვამს ისევ მივუგდოთ.... არა, მივუგდოთ კი არა, დავუმონოთ ყური: „ყოველი ცოდვაჲ და გმობაჲ მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდასი გმობაჲ არა მიეტეოს კაცთა“,

რატომ და, წითლად და შავად და თეთრადაც კი ხაზგასმული უმადურება ამპარტავანების ღრჯუ ეკლებიდან თავის უნდობლად საკლავადაც ყველაზე მეტად წამახულია, ეგებ. ალბათ; კი არა, -

კი. და, ხოლო, მის წყალობათა სანაცვლოდ?, გამორჩეულებს?, რა შრომა მართებთ!?, -

ჰეჰ, ძირისძირამდე რაღა თქმა უნდა გამოითქმება ვერ, მაგრამ ეგება ძალიან ცოტათი ცოტას ფლობერითა და ტოლსტოით მივხვდეთ, აესენია ამის დასტური ჩვენგან იმათი მცირე-ცოდნითაც, კი, მიუხედავად იმისა რომ მადლ-ნაყოფები სულიწმიდასი მისი ყველაზე ერთგული მიმდევრებისათვის, უფლისა ჩვენის იესუ ქრისტეს რწმენით აღვსილებისათვის, გინდ წერა-კითხვის უცოდინრებისთვის, მორწმუნეებისათვისაა, ხოლო „მორწმუნე“ს არავითარი დამატება როგორც ასეთი: „ნამდვილი“, „ჭეშმარიტი“, „ნაღდი“, „მართალი“ და ასე შემდეგ არ სჭირდება, „მორწმუნე“ა და, მორჩა... - მაინც ვირღვევი, მოჩვენებითად კი არა და, ქრისტეს „ნამდვილ“ -ად შედგომილთა და მის სალუქად ჯიუტად დამჯერ მრევლზეა სულიწმიდასი უჭნობი მადლი მაგრამკი როგორც ოკეანესას შეფერილობას იმეორებს მისივ პაწია ეული წვეთი - და თუმც გავაჭირვე კი ამ შედარებით შედარებითი სიტყვა და საქმე? - და მაინც იმეორებს, კი, საოკეანო ხომ მორწმუნესი ვრცელი სულია და ბიბლიის გარდა მეტი-ღა სხვა იმას რა უნდა მაგრამ ესენიც, ცხოვრებაში გინდ დიდად აბნეულები სწორედაც რომ სამებასისაგან გამორჩეულობით, ხანდახან არცკი იციან და ისე, სულიწმიდათი აღტანილები ჩვენ ეჰროგორ დიდად შორთა და მაინც შორსა და ეს იმიტომ რომ ისევ ჩვენთვის, ვითარცა ერთდასამნივმათგან-გან, იღვწიან, კი, კი, ეს სიტყვებისა და ფერ-ხაზების და ბგერების ხალხი ეს, მბრძოლები ისე,

რისი სიზიფე და იმისი კენჭი, თვით თავად სიტყვას შეჭიდებულები,

ბეჩავებია, კი.

სულიწმიდათი.

ამგორებლები,

და,

რაძალიან ძალზე ძნელად უბედნიერესები.

გვეპატიოს და, სწორედ ჰო და არა-სი, ასე თუ ისე ძლიერ ნამეტურ ვრცელდარღვევებისათვის.

და ნუ გვგონია თუ, მხოლოდ კალამი და მელანია იმათი გინდაც ვითომდაც ერთფეროვნულად მისჯილი მიწყივი-საქმე, არა, არამედ იყო და არა იყო კი არა არამედ იყოც და არის(ც?) და მუდამაც იქნებაც ერთიც გულადად ატეხილი

ვრცლად მეზღვაური ჰერმან მელვილი, რადგან ყველაზე დიდი და დიადი და მაღალი მეოკეანე სხვა აბა ვინ ან რა უნდა იყოს და იქნებოდა და დღესაც იყვეს თუ არა ის, რომ შუა ძალიან მარილიან, მოკვდავისათვის უფსკერო წყალში ის მერე რა რომ რაგინდ მოჭარბებულად მარილიანში - მაინც დიდადურწყული ლტოლვითა და მარადი გვემით ოკეანესი უუზარმაზარეს დიადსვე ვეშაპს, მთელის არსებით მლაშეწყალირგვლივიანა ისრუტავდა მოუხელთებლადაც, ისე საზარლად თეთრს, თეთრს ისე რომ და, - თეთრად ანთებულს, ზარდამცემობით აგიზგიზებულს, სად მერე ესა, ოკეანეში, დედობილწყალში, დიდუცნაური სისპეტაკით ამძვინვარებულს, მარადიულად მოუნადირებელს, თვით პროზის მთავარ მწვერვალივით ვითომ ხანდისხან თუნდ წინადადებობით მორჩილს და დაპყრობილს-ვითო და მიუწვდომლობით კი ვერდაბიჯებულს კი არა და, თითებსაც ვერშეპოტინებულს, მარადთავკერძას, დრო და დრო რისხვად ამოელვებულს მხოლოდ იმან რომ კარგად უწყოდა იმ წიაღიდან და თავსდატეხილს მძიმედ ისე რომ, რომელი მეხი, და მსხვილ და დიდრონ ძალიან ბასრ ჭვილთ-ჰარპუნებზე რამდენად მეტად კალმის საკბილოს, ის მერე რა რომ გინდაც მის კნინად მსგავსისმიერფეხა, ვითოხეიბარ ერთიც კაპიტან აქაბიანა სიცოცხლით სდევდა, იმ კაპიტანზე მეტად იყო იმა ვეშაპით მისით უბედო, მისით ლხენილი - ატაცებული, რადგან, - დევნად, ა?! - ღირდა, და სულიწმიდასივე განუჭვრეტელად ფერადი მადლით სულაც არ ნიშნავდა მეზღვაურობაიმისი ცალფად მისჯასა და იმას რომ, აქაბივით არა რადგან შერჩენილ მაგრამ ფეხდიდადნატკენი რა მდიდარ ხმელზე, ნოყიერებით მფეთქავ კუნძულზე სახელად „ტაიპი“, იმაიქაურ გარეულებში გარეული არ წამოკოტრიალებულიყო, სადაც რომ პურის ხის ნაყოფს და უგემრიელეს ანანასებსა და ქოქოსებს და მთლადაც ვარეს ბევრად უკეთეს დიდრონ და უცხო მტკბობად ნაყოფებს პატარა ხანში ზღვისგემონაგემ მლაშე ტუჩებით მოწყენილურად შეექცეოდა და ეს რაა კიდევ, სადაც რომ თვითონ ქალ-საოცრება, ველური სიმწვანით როგორ ხასხასად დაღდასმული ველურივ შვილი, მოსვირინგებული მზეთუნახავი... - ა?! მზეთუნახავი კიარა და მზის როგორ რარიგ ძალიან მრავლადმწველურად სხივსხივებისა როგორ საღად შემწოვი და, შემგრძნე, თავფეხიანა მზედიდადნანახი ქალ-ადამიან-ბუნებისა - და როგორის, მთლად ახალგაზრდა ქალბატონი, მერე, ჰყავდა, რაღაც ეგება უყვარდა-სა და ზემოწონების რაღაც შუაში ითანგებოდა, პირველი მეზღვაური, კარგი რამ იყო ტაიპი ის, ოღონდ მცირე ხნით - უცნაურია, ერთის შეხედვით ხომ ყოველგვარი სიკეთის მქონეს, დავიდარაბულ ოკეანესაკენ ეზიდებოდა და მიაპროწიალებდა და უწევდა მაინც მთლად აბორგებულ სივრცეებზე შეყრილი კალამგაჩრილი გული სადაც რომ თეთრადთეთრული გასაოცრება რამ, რარიგ ვერაგი და საძულველი და სათაყვანო თვით მობი დიკი დაცურავდა, კი; რადგან ოკეანისა და თვით ქაღალდის დიდმეზღვაური, თავი და თავი მეთევზე იყო, - მემობიდიკე, და უცნაურია, არა, სად „ტაიპი“ და სად „მობი დიკი“, მაგრამ ერთი და ერთის ხელისაგან გადმოგვეწერა, კი, გვებოძა, დიახ, და თუ დიდ მწერალთაგან ერთიმეორისაგან როგორ მკვეთრად გამოარჩევ და ხელწერასა და დინებაზე იცნობა, იცნობიან, შეიცნობიან -

სტენდალი, ტოლსტოი, მერიმე, მუზილი, ფლობერი, ჰესე, გილგამეში, ფოლკნერი, ჰომეროსი, ჯოისი (ჩვენებს ვერიდები), დოსტოევსკი, და რამდენიმე რამდენადმე რადმენივე სხვა (ვუყაროთ ფიქრს კაკალი),

და შედარებით დაბალსაც რუსებსა და ფრანგებში და გერმანულსა და ინგლისურენოვანებსა და იაპონელებში ხშირია ეს,

მაგრამ, სანაცვლოდ, სწორედ იმათში - აქ კიღამ წამომცდა ინგლისელების გარდა-მეთქი, მაგრამ კიდევ კარგი რომ გამახსენდა კი არა შიგ თავში ჩამაფარა უდიადესმა მაინცდამაინც ინგლისელმა და უუდიადესმა არა მხოლოდ ბრიტანელმა, გლობუსი რაა, იმას ვამბობდი, რომ

სამაგიეროდ დიად და დიდ და შედარებით მომცრო მწერლებში, სულიწმიდათი მათის თავის-ხელიდან როგორ საკმაოდ გვეგულება ეგრეთწოდებული „განსხვავებული ხელწერისა“ (აქ ალბათ სტილი იგულისხმება) ჯამბულიასთანა განსხვავებულობანი (ასე XXII-XXIII მნიშვნელობის თანამდებობა ვითოდამოუსაქართველოში და ამასთან შესაფერისობა დამსა-საქართველოში), და იგივ ირგვლივითურბითურჯამლეტაიასთანას დამსახურებული საღად შეფერილობანი (მისი თანამდებობაუაუ და ზნე), და აქ კი ერთი მცირე რამ პირობა დავდოთ - თავი რომ არ შეგაწყინოთ და მეც არ გავბეზრდე, მოდით და შემოქმედებზე, სიტყვების კაცი იქნება ეს თუ რაიმ იგი ხელდადებულად სხვა, ნუღარ მოვიშველიებთ გამოთქმებს „დიდი“, „დიადი“, „ნაკლებად დიადი“, „უდიადესი“, „ღირსშესანიშნავი“, „შედარებით დაბალი“, „გენიოსი“, ბითურთმაისტერი და ასე შემდეგ და სხვა, არამედ ვის როგორადაც ვგრძნობთ-ვცნობთ თუნდაც სიგრძობრივ მოკლე წინადადებებშიაც ანდ-სულაც ორიოდ კინკილა უბადრუკ სიტყვაზეც (უბადრუკიო! და კინკილა!... თვით სიტყვაზე ეს... თავად სიტყვაზედ... ვაი-სირცხვილო რა წამოგვცდა ეს, თუმცა თქვენ რაშუაში ხართ) შემეტყობა ეს, ისე კი, მათგან ხერხობრიული განსხვავებით, ჩემს ვითომ ფრჩხილებისეულ - მაგრამ აბა რომელერთ გამომწყვდევასთან გვაქვს აქ საქმე, - თუ სულაც ბრჭყალებით მობრძანებულ სიტყვის სიტყვებით მშველელ საბასთან? - ერთიც რამც ვნახოთ: „სიმიათა მწერალი - წარსაგებელის მწერალი, გინა მონასმენის მწერალი“, და თუმცა „წარსაგებელი - დასახარჯავი“, ხოლო „დასახარჯავი“ თუმცა არ აქვს განმარტებული მაგრამ სამაგიეროდ „ხარჯვა - წარგება“ და „წარგება - დახარჯვა“, ხოლო რატომღაც აქვე ჩვენით მოტანილი ამაეების ერთგვარად ნათესაური სიტყვა მოვიშველიოთ: „დახვანჯვა - დახლართვა“, და სიმიათა მწერალს ალბათ ერთგვარად ვხვდებით მაგრამ იმათ, თუკი კიმატყობთ, შეძლებისდაგვარად ერიდებოდა უღირსი, ერთიც ნაღდად ზედმეტად აღვირვიარებულის (ორმაგად აკრძალული სიტყვა... ცხოვრებაში-ს გარდა...) გარდა და აიიმისი ავტომოწაფის გარდა საშოფრო კურსებისაც გარდა და ვენეციანსკი ბროლი ვსტავლიაიუუს გარდა, მოკლედ, საჯამბულაიაოაიუავო მწერლებს ახლა მაინც სუსაბოლოოდ ვანებოთ თავი და, ანტიჯამბულიათუჯამბაკურიასთანასებს, მივყვეთ, და ნახავთ ახლავ, რამსიშორეზე სად გადავხტნებით:

ერთის მხრივ როგორ მძიმედაა შედუღაბებული თომას მანის „ჯადოსნური მთა“ და სხვა რომანები და მოთხრობები და მეორეს მხრივ კი იგივ მწერალს? - ნეტა ქართულად რომელი სათაური უფრო მიესადაგება - „რჩეული“, „გამორჩეული“, „ამორჩეული“ თუ სხვა რამ კიდევ, მოკლედ ხომ მიხვდით თომას მანის რომელი რომანი იგულისხმება აქ, ლაღად საკითხავი, და, წარმოიდგინეთ, როგორი სხვასხუპვა აქვს გაჩაღებული ფელიქს კრულზე, და, მის ნაწერებში, რაღა შორს წავიდეთ და თუნდაც იმავე „ჯადოსნური მთა“ში რა მოსხლეტილადაა აგრეთვე ბედნიერი ვითომ-გამონაკლისი და როგორი ლაღი შესიტყვებაა (დია-ლოგი-ური) პირველი წიგნის დასასრულში (ჩვენც, ქართველები, ავტოამაყი მოფერებით იტალიელებისა თუ ნაძველარი გვინეაელების მსგავსად დასასრულს „ფინალი“ს რომ აუღელვებლად ვუწოდებთ ხოლმე), და გერმანულენოვანებზე თუნდ შევიკავოთ, კიბატონო, თავი, აგერ, მარადი პროზის დიადი მწვერვალი, სალტიკოვ-შჩედრინი და, აბა სად „ერთი ქალაქის ისტორია“ და სად „კეთილი სული“, უცნაურია, მე და ჩემმა მკითხველობიკოებამ, კი, ხოლო ყველაზე მეტად განსაცვიფრებელი და განცვიფრებული თავის ვერგასანებებელი (არადა, „რუსლან და ლუდმილა“ და „კაპიტანის ქალიშვილი“ და „ბორის გოდუნოვი“ ერთის არსისაგან დაშვება როგორი თავისგასანებებელია მაგრამ ეს მხოლოდ პირობითად რომ გავანებ-ვანებოთ თავი თუმცა კი ბოლოს მაინც მივანებ-არა, - ჩავანებოთ) ისევ რუსულენოვანი ერთიც მწერალია, ვინაც-რომელმაც აიღო და ლეწა და ლეწა მხოლოდ „მისთვის ჩვეული ხელწერით“ კი არა არამედ ასევთქვათ თემატიკურადაცვე თუროგორ ძალიან განმოსხვავებულები „საღამოები დიკანკას მახლობელ ხუტორში“ (ის მერე რა რომ ჰოფმანი ადრე იყო, ნუ გადავყვებით განსწავლულ რა იყო განმკითხვულობას), უცნაური ციკლი (კრებული? ანაკინძი?) „მირგოროდი“ - ყოვლად მოულოდნელი „ტარას ბულბა“იანა, „პეტერბურგული მოთხრობები“ - საოცრებანია ერთხელეურნი, ეს, და „რევიზორი“ც - გადასარევია პირდაპირ ეს გარდასახვები ჩემო ბატონო და, „მკვდარი სულები“! მისი აეს ალბათ მთავარი ნაწარმოები, ანუ როგორც თვითონ ყოვლად გაუგებრად „რომანი-პოემა“ უწოდა, არ გაკვირდები უდანაშაულო ადამიანი?, რატომ „პოემა“, ან, ჟანრის დასადგენად რად დააწერა ჩეხოვმა თავისისავე პიესებს, სადა-რომლებშიც თავისი პროზისაგან განსხვავებით უყვარს, კი, მთელი რიგი ადამიანი, რა სევდა აქვს იქ, პიესებში, და რადღა უწოდა ზოგიერთ იმათგანს „კომედია“? ეგებ მართლაც იმიტომ, ერთი კარგი ლიტერატორიდან თითქმის რომ დადგინდა რადგან შეგვხსენდა ვგონებთ ავტორისეულიც: „მსახიობებს ტრაგიზმი დიდად რომ არ გადაეჭარბებინათ“, უცნაურია; მიმართულება; ჟანრი; და ისევ გოგოლს დავუბრუნდეთ - საოცრებაა ხომ, არა? ერთის ხელიდან შექმნილები, ეს, და რუსების ბატისუკვდავფრთიან მზეებსაც, მივადგეთ ისევ და, გავიხსენოთ, როგორ აწყვეტლივ სხვადასხვაობენ - ის ერთი მაინც, კაშკაშებდაც და, იბურებოდა, აბა სად მებადურისა და ოქროს თევზის ამბავი და სად „ევგენი ონეგინი“ და სად იმისივე „ძუნწი რაინდი“ და მგონია რომ, გვირგვინი მისი - „კაპიტანის ქალიშვილი“ ანდა რა საღადველაღი ადგილებით სახითქუშ ლევ-თან თუმც ლომი ესე ცოტათი ზევით ვითომდაც რაღაც გალიაში გინდაც უკიდეგანოში ყოვლად, იქმოყოლილთა შორის რომ ვახსენე,თ, უღირსმა: ნატაშას ცეკვა მეჯლისზედაც და, რომელიც უფრო მთავარია, სოფლელთა წინარე, ნაღდ ხალხში, ან კოლენკა როსტოვის ნადირობა, ჰაჯი-მურატის მშობი დედა, როგორი ვითომ უბრალო და მთებში მავალი, დიადი

ისე... არ ვარღვევ ფიცილს - დედაზე, დიადი, შეიძლება, ა? შეიძლება კი არ და დიადისეულია დედად დედა მთლად რეგვენი თუ არ აღზარდ-გამოზარდა ჰაჯი-მურატი კი კაცი იყო ("მაგარი" -საც ნუ დავუმატებთ, ხომ?), და იმ თავისი ერთის შეხედვით უბრალოებებით სად და სადამდე ასვლა იცის ტოლსტოიმ, ლევმა, და უბრალოება იძახე შენ და თურმე „ანა კარენინა"ში სამი გვერდი აქვს ისეთი რომ, სწორედ იქიდან აღმოცენებულა (ეგებ) მწერალ ჯოისის ეგრეთწოდებული „ცნობიერების ნაკადი" და ტერმინს თითქოს არა-უშავს მაგრამ ცნობიერება ნაკადიანა ეგებ ჰომეროსსაც (კი?) ჰქონდა.

აქაკი უღირსს, არსით შედგომილს ნება მიეცით დიადი (ვაიმე)... მყარი სვეტები მიმოიხილოს:

ზოგზეხომდარომ ითქვა მაგრამ წყნარად, წყნარად შევუდგეთ... ჰოდაარა-სი კარგად თუ სწორად (იგივეაეს) დამრღვევებს „ვითარცა ერთი ჩუენგანი" -თო, რადგან....

სიტყვის ხალხია, ხალხო, ესენი, მირონცხებულნი, მელანცხებულებიც, რა ძალა ედგათ და ადგიათ, ადგათ მაინც ისეთი რომ, მერიმე თავისი იმ უბრალო და ვითომდაც მშვიდი თხრობით ისე დაგფლეთს და სულბრჭყალებით აღგიტაცებს უცნაურს-მაღლა, ხოლო მისი გამორჩეული მოთხრობებიდან „მატეო ფალკონე" არ უყვარდა უღირსს, არაა მაინცადამაინც ქრისტიანული მიუხედავად იმისა რომ ხე თავისი ნაყოფით იცნობა და აგრეთვე „ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოიკუეთოს" - არა, ფორტუნატო ბავშვია მაინც ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, და როგორი შეუფერებელი ნათქვამია „სულნი სალხინებელისანი"ს ავტორისაგან რომ, ღმერთი არ სწამს, ალბათ „მატეო ფალკონე"თი იყო ამ თქმისას, მაშინ, და ის უარესი, მამა შვილს ტყვიამდე ლოცვებს რომ ათქმევინებს რადგან ერთ-ერთში „მივუტევებთ" საღად სწერია, და სიტყვამ კი არ მოიტანა, სიტყვისა გამო სწორედ, უნდა ითქვას რომ, მაგრამ არიან, სხვა ისეთებიც, ვისთაც, ისე ჰგონიათ რომ არ სწამთ ღმერთი მაგრამ მაინცვე სწამთ, და სჯერათ, და მეტიც უფრო - სწორედაც რომ ღვთით არსებობენ რადგან მაინცდამაინც ქაღალდზე მოარული ყალამ-კალამი თუ ბატისფრთა კი არ უნდა ეჭიროთ ხელში, არა, ამის მთქმელები? - მაგრამ სუნთქავენ, სუნთქავენ-ხომ, სულიერები არიან და, ახლა, სტენდალი? თავად ფრანგული ბაირაღ-პროზის ერთიც მთავარი შნო და დიდება, და რა მშვენივრად იცოდა რომ, სიცოცხლისას ვერ დაფასდებოდა, სამაგიეროდ, ზოგიც თავისა დროზე ბუმბერაზისაგან განსხვავებით (გვარ-სახელს მაინც ვერ ვიტყვი, მერიდება, ისე კი, „რ" ურევია სახელსა თუ გვარში, გამოიცნობთ, რომელია?) იკლებს კი არა, როგორ იზრდება, რა ნერგია ეს, აი მართლაცდა სულიერი, და დიდი ამბავი თუკი ენით ან კალმით ხანდახან ისიც.... ეე, ანდა ისიც რა და რომელი დიდი ამბავი თუ არ დაფასდა, ზუსტად არ იცის უღირსმა ეს მაგრამ, მგონია, გადმოცემით, მის ცხედარს სულ ხუთიოდ კაცი მიაცილებდა მაგრამ იმათში ერთ-ერთი თურმე მგონი მერიმე იყო, ეს მეტი წყვილია ვიდრე თვით ფლობერი და მოპასანი მოწაფეობით მაინც, ხოლო სიცოცხლეშივე აღიარებას რაც შეეხება, ასე დამბნევი უღირსმა სულაც არ იცის სხვა ვერაფერი, რადგან, ერთის მხრივ თუკი საეჭვოა, ეს, გვისწრებენ, რადგან, და სტენდალთან ერთად როგორ არ გაგვახსენდეს ის იოჰან და სებასტიან-ი მხოლოდ ფილტვებით

სუნთქვაობისას ანუ სიცოცხლეში და კარგა მერეც უფრო როგორც გამოჩენილ მეორღანოესა და „კარგად ტემპერირებული კლავირი“ს ავტორად რომ სცნობდნენ, ხოლო დრეზდენის ძველ ოსტატთა გალერეას სიამაყე და მშვენება კი, „ვინმე“ ჯორჯონეს „მძინარე ვენერა“ მთელ საუკუნენახევარს დებულა სარდაფებში... ბიზე „კარმენ“ზე დარდს გადაჰყოლია, დაუწუნიათ ჭერამთმცოდნეებს, კი, მაგრამ როსინისა და ერთსაც ჩვენებურს ხალხი რომ ხელით დაატარებდა, ხომ ასე იყო, და მაესტრო ვერდის მეფეები და მეჯინიბენი ერთივდიდგულით რომ გლოვობდნენ, ხომ იყო ასეც, თუმც, ზოგ ჩვენზედაც კი უღირსებზე გულყრაები რომ ემართებოდათ და ემართებათ განსაკუთრებით მღნავანებზე, ესაც... ფაქტია!-? - აღარც აქ გვინდა როყიო ანუ „უცხოური“ და „საერთაშორისო“ სიტყვა, არა, უბრალოდ, ასეც ხდებოდა, და ასეც ხდება, და აქ უღირსი ატყობს რომე რომ, სიტყვათმისჯილთა გარდა სხვა იერსახის ხელოვნებზედაც კი-გადავიდა და, რა სწორია ეს, რადგან გადამხატველებიც, გადამმღერებნი თუ გადამწერები ერთნი ხალხია, აბა ვინ გაჰყო ღვთის ტყუპებისაგან იესუ ქრისტე და სულიწმიდა, მაპატიეთ და ვიღა ოხერმა „მცოდნე“თა შორის განაცალკევა სიტყვა, ჰანგი თუ ფერითიხაზის გრძნეული ტალღა, ამიტომ, მოდით, მოდი კი არა ვაცალოთ მათ და, სამნივე მათს, ვითარცა ერთსა კი არა თავად სამთაგან იმათგანებს, განურჩევლებს კი არა, სულიწმიდასი თავად ვისიმე-თ, მსახურებს მივყვეთ, კი ... ის მერე რა რომ, თავიდან რომ იყო თვით თავად სიტყვა, ყოველ ბგერამდე, ყოველ ხაზამდე და ფერამდე, მერე და მერე ბგერაც, ფერნიც გასიტყვიანდნენ, ეს იმათაა თანაბრად რომ დასტრიალებს თუ უბიძგებს ან უჯიკავებს ანაცდა სულაც ფეხქვეშ გინდაც დროებით მაგრამ გაეგება ხოლმე თვით სულიწმიდა, შემრაცხადი, ეს ისაა, ვინც - და ნეტა როგორ, მაინც რა ძალით! - როგორ და, თავისით იცის ძლიერ კარგად ისიცა რომ, ვინ და რომელი თუ როგორ აცხოვროს, და შედარებით „კეთილმოწყობილი“ს რომ ეძახიან და ებოძოთ თუნდაც გაცილებით დაბლამდგომთაგან ყოვლადზედმეტი თანამდებობა თუ ფულადი თანხა, მიქელანჯელოს კი, ვითოერთ კაცს მაგრამ მოქანდაკეს, მხატვარს, არქიტექტორსა და პოეტს „კეთილმოწყობა“ -ეს სულაც სწორედ რომ სწორედაც ფეხებზე არ ეკიდა?, რადგან სხვა კიდურებით მუშაობდა, ტან-ფეხ-სხეულის სხვა ნაწილებით, აიმ „ხელებით თავს რომ ემორჩილებიან“ და თავიიმისი კი, სწორედ რომ წმიდასამების, როგორი ვითომც აჯანყებული მაგრამ დამყოლიც როგორ, წმიდა სამებით გაშუქებული ტვინი, ნედლი თიხისა და ლბილიც უფრო, შემძლე თუ როგორ, სულიწმიდათი, იყო, ხელებიცა და თავიმათი, უცნაურია, განსაცვიფრებელი, განდასაკვირვებელი, განდასანცვიფრებელი თუ როგორ სხვადასხვრივ დაჰფოფინებდა თვით წმიდა სული მდიდარს თუ ღატაკს, ზოგს შედარებით უზრუნველად თუ დაარონინებდა (ხელით ტარება, კი) მაგიდისა და მოლბერტს გარეთაც, მაგრამ არაა აუცილებელი ამმხრივუზრუნველყოფილების ჩამოთვლა, ისე კი, იყვნენ;, ზოგს კი, აცოცხლებს გაჭირვებით, ლუკმით ლუკმამდე სულ-ვითომ-ძლივსდამტარებლებს მაგრამ, აცოცხლებსაო კი არადა რამდენად მეტი - აგიზგიზებს, მთლად, და იმათი დიდად უცნაურად შემჭვარტლულიც ძაან სპეტაკად იალქნებიანი სულისათვის, თავადაც მათში ჩაბუდებული, იჭირვებს ალბათ, თვითონც, და, რამდენად მეტად აღამაღლებს, კეთილმოწყობილები-ზე, ამგვაროვნებსა ვინადავისში და, განსაკუთრებით გამაგრებულ-ჰყო ესათითონ სერვანტესი, ფიროსმანი, ვან გოგი იყვნენ მისით და, არიანც როგორ, ამქვეყნად

მხოლოდ მაშინდელი ბოგანოები კი არა და, ახლაც ხომ უფრო და მაშინაც კი მათი ყოოვლად უუდიდებულესობანი (ამ სიტყვაზე ხომ არ დამიდევს, ფიცი), უცნაურია, როგორ, მაინც, ზოგს რომ ვითომდაც რომ „უმართლებ“ს რომ ეძახიან და გაჭირვებას თავს რომ დააღწევს კი არა, თავზე საყრელად შეუძლია ჩამოიბერტყოს სუყველაფერი, მაგრამ იმათგან მიქელანჯელო, ლირებითა თუ დუბლონებით თუ დუკატებით თუმც განზე მაგრამ მაინც გატიკინებული, ბოლომდე მაინც პურსა და წყალზე იჯდა თვეობით, როცა მუშაობდა, ხოლო მუშაობით, ყოველთვის მუშაობდა, ოთხმოცდაცხრა წლის, ეს აწყვეტილი ბებერიც, კი... ბალღობიდანვე, სულიწმიდასი. და ისეთებიც ჰყავს წმიდა სულს რომ, ირგვლივითები თუმცა ძლიერ კუთვნილად აღიარებენ მაგრამ, როგორღაც, მაინც უჭირთ, მოცარტი, ბეთჰოვენი, ცოტათი ელ გრეკოც რომელსაც მშვენიერი კარ-მიდამო კი ჰქონდა თანაც ტოლედოში მაგრამ, ეს ჭეშმარიტი კატორღელი, სამაგიეროდ სადილობისას ლუკმას ისე არ იგემებდა დაქირავებული მუსიკოსების თანხლებაც რომ არ ჰქონოდა, და მათი დაკვრითა და სიმღერებით გარშემორტყმული, კვლა-კატორღამდე, შეექცეოდა სადილს, - აბა როგორ გინდა, ახირებულებიც, იყვნენ, სუცოტაც-ფულის ვერ-გადამნახავნი, ჩვენ ვინ გვკითხავს და, მაინც, მაგრამ, ეპატიებათ, როგორღაც, ეს, კიარადა, ჰშვენით, გააჩნია თუ, ვინ ჩაიდენს იგივე საქციელს, ხოლო ყოვლად ამოუცნობი რადგან უფსკერო თვით ლეონარდო თუ ყოველ ცალ გახვრეტილ გროშს იმოდენავე ყურადღებას აქცევდა როგორც წყალქვეშა ნავისა თუ რიღასი აღარ გამოგონებას იმის მხატვრობას სულაც რომ თავი გავანებოთ არადა როგორი თავისგასანებებელია ყოველი დროის უპირველესი მხატვარი ოღონდ პირველყოფილთა შემდგომ, და, ეგებ, გროშებს იმიტომ ითვლიდა რომ, თან დრო გაჰყავდა და თანაც ეს ადვილი იყო და, თავისი მძიმე დატვირთვები როგორმე როგორღაც უნდა გაეწონასწორებინა, და ასევე, ბახი, დრო და დრო ნახევრადუხამს ლექსებს წერდა, ხოლო მოცარტი? - კარგახშირა ბოლომდე სომდა, ხოლო ამა-საქმეში თვით ბეთჰოვენზე? - დაბლა იდგა, კი, ოღონდ ამ დარგში, ხოლო სხვაფრივ - მოგვიანებით მოგახსენებთ, კარტოჟნიკებიც კი ერივნენ, რაღაცა სჭირდათ, შესაყრისი, რაღაც უცილო სულისმოთქმა, თვით გათიშვა და, მოცარტის კარგა ზორბა გაფრენებს კიდევ რა უჭირს, კოკას ყნოსვაც კი, და, ხოლოკი მაგრამ, თვით ლეონარდო, ედგარ პო და მესიე ბოდლერი მთლად გადასაყრელები, არ იყვნენ მაინც, კიარ ვამართლებთ, მაგრამ ვინ ვიცით იმათ აწეწილ ცაცტევად სულში ნეტავი როდის თურა ხდებოდა, მაგრამ, უსულიწმიდოდ, ეს, და მიშვებაცკი, სულმა, იცოდა, ოღონდაც თვითონ.

და, რონინითვე, დააბრძანებდაც და, დააპროწიალებდა კიდეც.

ხოლო ყველაზე მეტად, თითქმის ყოვლად გამართლებულებსა და თუნდ სიცოცხლეშივეაც აღიარებულებს და თან მაინც გაჭირვებულებს როგორ საპყრობილეებით დამთავრებული, ასეთ გაჭირვებულთაგან ალბათ წაიპირველო სერვანტესი იყო, ესპანელი და მსოფლიოელი, რომელდიდად-აღიარებულ-სახელგანთქმულის მოსანახულებლადაც ორი საერთოდ არცთუ დიდად ხელგაშლილი ფრანგი, დიდებულები, საუცხოო საჩუქრებით საგანგებოდ ჩამოსულან ესპანეთში თურმე, უძვირფასესი ძღვნით რომ ხლებოდნენ სათაყვანებელს მაგრამ სერვანტესისა სრა-სასახლე რომ გაუკითხავთ, მიეგოთ რომ,

რისი სასახლე, რაისი სახლი, ანდა სულაც რომელი ბინა და რა სადგომი, ხან რომელ სარდაფში ათენ-აღამებს და ხანაც უარეს-რომელშიო, და ჯერ კიდაბნეულან, სასახლეებიანი დიდებულები, მაგრამ მერე, სულიწმიდას, თვით წმიდა სულს, ჩაუგონებია ის, ისე, რომ, მდიდარიც კი ფრანგები როგორღაც მიმხვდარან მათზე რაღაცა ნამდვილად დიდს რადგან უთქვამთ რომ, მაგან თუ ასეთ ყოფაში დაწერა „დონ კიხოტი“, ეტყობა ძვირფასეულობით ხელის გამართვასაც არ საჭიროებსო და, სერვანტესით არამცთუ ხელნახლებ, მთლად თვალშეუვლებ ოქრო-ვერცხლიან და თვალმარგალიტებიანა პადარკებ-ნობათებიანა დიდად გულდაწყვეტილები გაბრუნებულან მშობლიურ მაგრამ უღიმღამოსავით რადგან უსერვანტესო... - არა, არა!, - სერვანტესიან საფრანგეთში!, - სიტყვა კი...

სიტყვით მუშაკებს, აკი გითხარით და სულაც არ მინდა გავკაჭკაჭდე მაგრამაც მაინც მჯერა როგორ, როგორ ამშვენებს და ემატებათ ზოგიც მხატვარი; ჯერ ბრეიგელის, - უფროსს და გლეხურს-აც რომ ეძახდნენ, იმ სურათს დავხედოთ, სათაურით - „მხატვარი და მცოდნე“, რა ნახატია... წინ დგას ხელოვანი, - მხატვარი, ტანჯული და კუშტი, როგორადძნელად გამარჯვებული შემოქმედი, და თავისას, ალბათ დიად, ჩვენთვის უხილავ ნამუშევარს, უმზერს, და ჩამოქუფრულ წარბებზეც ეტყობა, როგორი მართალი შრომის ნაყოფი, გადაშლია, და გინდაც მოღუშულს და სწორედ ამით როგორი შრომისა და სიმართლის დამღა, სძევს, დაღდასმულია ოღონდ ზესიმართლეთი, სულიწმიდასის, იმისი სხივმფენი ბეჭედი, ნატანჯს, შემართულს, აზის, მის ზურგსუკან კი, კაიდიდთავა მაგრამ როგორღაც მაინც პატარა და თვალშისაცემიც, გადმოხრილაყე, მცოდნე, უცხოობისა თვალებმოწკურვით მომთვალიერე, წვრილტუჩებ თხლურად გაწელილი, და ჯამბულიასთანაისებზე თუმცა მეტია აშკარად ცოდნით, და ესაც ალბათ რადგან შუბლით ნიკაპამდე ალბათობისაა, და, ვა?!, - ძლივს არ ვიცანი?, ფერმწერთა ვაიდ-ტარკინია ეს ყურუმსაღი, ახლა, სა-დეიკარგე ბიჭოვ ტარკინი ამჩვენში მაინც და მოგვანატრე ეგ ფუჭი თავი, ის როგორ იყო „რიგოლეტო“ში კვარტეტიც რომ არ მოგეწონა, - აფერუმ შენე, სად ეგდე მაინც ამდენ კარგახანს, რად მოგვანატრე ცალტვინა თავი, და რაა მაინც ადამიანი, შენისთანებიც კი გვენატრება ეგებ იმიტომ რომ რაც გინდა იყოს ჩვენიანი ხარ შეგირცხვა მაჯა, დამწერლული და გაუქმებული, მოგჩერებივართ ახლა, - მეტყველებ? - შენებურად - კი, და რითი არაა ბრეიგელი თვით თავად სიტყვა, „იკაროსის ჩამოვარდნა (დაცემა)“სი და „ბრმები“ - სას სრული პატრონი, როგორ კუშტად - ეს სხივდაფენილი, ხოლო ტარკინი ეძახე თქვენ და, სხვისი სისხლ-ოფლით კი მშვენივრადაც გამომტყვრალი-ა, მაგრამ რახშირად ყოვლად ლოთი „წვეთსარსვამს“ს რამდენადა სჯობს, მაინც რადაა მიკიბვ-მოკიბვა გესლიანი იმათიცა და, სხვებისაც, საქმე, უიჰო მართლა კაგებეც და ცეერუც და სხვანიცტარკინნი ხანდახან ისე თვალნათლივ რომ აშუქებენ (მეტი რა ვუთხარით...) თავ-თავიანთი პრეზიდენტებისათვის ზოგიერთ ისეთ საქმეს რომ ვითომ შპიონაჟობანა და მოსალოდნელი თავთაქეთდასხმები ისეა თურმე გამძაფრებული კიღამ მართლა ომს აწყებიებენ საკუთარ დედასამშობლოს (მაგრა გინაც უდედო სამშობლო იმათ ჰქონდეთ მეტი არაა ჩვენი მტერი), თვისას, ლეიტენანტებ-პადპალკოვნიკებიანა (გენერლებს შედარებითი თავი შედარებით სამხედრო ქუდში აქვთ მაგრამ სულაც არაა ასე რადგან რომელი ჯარისკაცი და

განსაკუთრებით პალკოვნიკი არ უმიზნებს გენერლობანას), და გენერლებიც თლათ ვარესად ლეიტენანტობენ და ხოლო ეს იმიტომ, თავიანთი ზვანია და ხელფასი და მაგის ზედაცკი ბლაგაპალუჩნი კამანდიროვოჩნებიანა რო გაამართლონ მაგრამ რა შუაშია ეს უკანასკნელები თუარ გარკვეულწილურად ცნობიერულა ნაკადი აქ მძიმედ მეტიჩრულა რა შუაშია-თქო ეს რამდენადაც წინანი იმდენად უკანასკნელები თუნდ სტივენსონთან, ერთიც საბრალო კარგ-კალმოსანი, ოღონდ მხოლოდ სხეულით, დადამბლავებული, იწვა, და წერდა, რა მოგზაური იყო მაინც, და რითი მერე - სიტყვით, ან პრუსტთან ეს ანტიბლაღოჩინები რაშუაშიაებია, რომელსაც ძალიან აღრჩობდა ყელი და გული და მაინც, წერდა, წერდა და წერდა და როგორ მერე, მთლად შეიძლება ითქვას რომ რაც რამ ოქმები დაწერილა საიდუმლური და დაფარული მისი აშკარა ყოველი გვერდი მთლად გუდა-მაყრიონ სეიფისტურებს ნამდვილათ ჰჯობდა, კვი, მაგრამ იმისი ძნელადსაწვდომი ხელწერით გაღიზიანებული გამოგვიხტნება ვინცხ-რომელიმე თავისა დროზე ხელმოცარული და სამაგიეროდ შენიღბულად დეზებიანიც მერმე ვინმე მოყმე-რამ უპაგონებოდ პაგონიანი ტარკინ-დატრაკან-დეტრიკინი და, იმისთანას ბუთქს, რომ, კაგებესაც და ცეერუსაც, იქაც ვერასფერს გოუგებენ, და, ტარკინები არ გვეყოფოდა შენიღბულები? აგერას, ჩვენსას, ყოვლათ ძალიანი შოუ-ნიღბავმა, ეე, აი, ამ ჩვენმა სახელათ გონიაჯამბულიამაც დიაღაც რომ და დიაღ და დიახ და ჰო და ხო და კი და კიკი და კიე და ქეც გამეიჩინა ენათმეცნიერულიც-გრამ.-ლიტრა-ტურაშიც სამზესუმზირო ტუჩ-კბილ-პირ-სახა და ბოლობოლო საკუჭო თავი, რადგან თუმცკი მაყვალისიკი დახმარებით მაგრამ მაინც თქვა თავი-სით, ნამყვირალევმა, ხმაჩახლეჩილმა, ერთხელაც ასე: „ანდაზა პლატონიური სიყვარული ეგნატ კლდიაშვილ, ეგნატესი პლატონი სამანიშვილიდან გამევიდა ბოშო, კი, აკი... (ეს უკანასკნელი მაყვალის პირწავარდნილი სიტყვაა, მაყვალიდანვე უეკლოთ ნასტავლი) - აკი პლატონი სამანიშვილისაც ხოარუნდოდა ბოვშები ქერო გაჩენილიყვნენ“ო, კლდიაშვილსა კი, ოღონდ სახელად უფრო დავით, გინდაც სცოდნოდა დასაბადებლობა მომავალი ჯანჯამბულატებისა, მაინცკი კიიჯდა იკაცი თავისთვის და, წერდა და წერდა, და როგორ, მერე, ისა და ერთიც ლორთქიფანიძე?, თუმც რაღა ერთი-ც, ერთადერთი, სახელად ნიკო, ქართული პროზის ეს ორიც დიდმშვენება... მაგრამ, არ ეყოფოდათ იმდროინდელი ჩასაფრებულები?, და აი ასეთი ვითომდაც სიტყვასმოყოლილვობით თუ მიეახლება ქართული პროზის სიამაყეთ აწითლებული უღირსი, რა ქნას, ეუხერხულება თავისიანების ქება, და ეგებ არ იყოს სწორი მაგრამ მის ნაცნობთაგან საკუთარისაც თავისმაქებართ ეგებ ასეც კი, სჯობს, არადა, სხვებიც რამდენი ჰყავს, საამაყოები, გამორჩეულები, როგორ ძალიან მისიანები, აქეთიქურად ერთიმეორის გულის მდგმურები რადგან აისინი თუ მისთვისაც წერდნენ ამანაც სწორედ აიისინი შიგ გულისგულში ჩაიუბევა, გულის უბეში, ტანსაცმლის კი არა, ნამდვილი გულის, და თუმც ნამეტურ დიდნამეტნავად აღიარებულთაგან ერთიც ბათქაბუთქ ირახარუხაძე არამცთუ სულაც არ უყვარდა, აღიზიანებდა კიდეც და მეორე კი, გამხმარი ბღენძი, ეპატიოს და, ვაი სირცხვილო, სძულდა,

ხოლო ყოველი განხრის შემოქმედებაში, და იქ გამორჩეულებშიაც კი, მაინც არსებობს არცთუ ძალიან იშვიათად რაღაცა დიდად უცნაურობა-რამ, როგორღაც აკადემიურად ობურდული:

პატარ-პატარა-სიმიათა-მწერლები თუ სხვაც ცალკუთხა თუ ცხრაკუნჭულა ვრცლადსიმიათაი ეგრეთწოდებულიც შემოქმედები ერთმანეთს სულაც რომ ვერ იტანდნენ, ეს და ეგ არაფერი,

მაგრამ, ერთის შეხედვით, ძალიან მეტად უცნაურია, სწორედაც რომ საკვირველი,

მიქელანჯელო, ლეონარდოს რომ ვერ იტანდა კი არა, მის არამცთუ დანახვაზე კი არა არამედ სახელისაც კი გაგონებაზე მწვავე ღვარძლი ჯერ ურიდად რომ მოედებოდა და მერე მთელ შიგანში არმური ანუ ქარიშხალი კოხით, უმძვინვარებდა; მაგრამ ეს ალბათ გასაგებია, პირველ მოქანდაკეს, ფერმწერ(ლ)ობაც ხომ სურდა პირველური, და, ლეონარდოსი, შურდა; აბა პერუჯინოს - ნეტავი მისცა იმისთანა რამდენ მწყურვალე ერს - კი არ დაეტაკებოდა, შტერიაო და, - მორჩა;

ტოლსტოი შექსპირს რომ ვერ აფასებდა კი არა, შემოქმედებანაკლულად, მიუღებლადაც კი, თვლიდა, მაგრამ ტოლსტოიმ ორი რამ გვგონი არ იცოდა: ეგრეთწოდებული პირობითობა და ბოროტი კი არა, ცითჩამოწოდებულიც, იუმორი; მაგრამ სამაგიეროდ?.. - ჰეჰ;

ტურგენევი რომ, დოსტოევსკისთან შედარებით, ჰონორარისდამიხედვით ოთხჯერ დიდად-რამ მწერლად რომ იყო ბუხჰალტერულად აღიარებული და, იფერებდა; არადა, ორი ისეთი მოთხრობა აქვს, მონადირის ჩანაწერებში, რომ? - ნადირი, მხეცი, თუმც ერთ-ერთში მოველურად ნაზი;

ახლაც, თუ გნებავთ, ახლახანაც ხომ, ვითომც სხვა ადამიანთანების აღმსრულებლები და შემსრულებლები ვეძახოთ ჩვენ და, როგორ-ნამდვილმა შემოქმედებმა: მარია კალასმა და მარიო დელ მონაკომ რეპეტიციაობანასას კიღამ რომ მთლად დაჭამეს ერთმანეთი, თუმც, აბა რა ჰქონდათ გასაყოფი, თავს მოვიჭრი და, სხვადასხვა როლი და სამღერალი, ჰქონდათ,

მაგრამ, ისიც ხომ უნდა გვახსოვდეს, როგორ ძალიან, ეპატიოთ და ა-ღმერთებდნენ ჰოფმანი - მოცარტს, ვაგნერი - ბეთჰოვენს, რაფაელი - ლეონარდოს, გოგოლი - პუშკინს, ვან გოგი - მილეს, ფოლკნერის სამიოდ სამაგიდო წიგნიდან ერთ-ერთი „მობი დიკი“ იყო, რა უცნაური და ბევრდაგვარი სიყვარულები, გახლდათ, ეს, თვით პოლიტიკოს ისტალინსაც კი, თურმე ძალიან ჩუმჩუმელურად უყვარდა თუ არა ძალიან დიდად აფასებდა მაინც თურმე სალტიკოვ-შჩედრინს მაგრამ ამას ხმამაღლა ვერ განაცხადებდა - : „სოციალიზმის მაშენებელი“ და, თავისი ერის დამანგრევლობით აღმაშენებელზე, გულწრფელ კრინტს აბა როგორ დასძრავდა; მხოლოდ ცარიზმის მოკრიტიკეაო (არადა, ერთ-ერთი ასეთიც, სალტიკოვი, იყო) და ესაც, გაკვრით, თანაც, ჯვარიაქაურობასდა, მაგრამ თავის თანამდებობიანებს, წინასაც და თლათმომდევნოებს, თუნდაც ამით, სჯობდა; ხოლო ყოვლად უცნაურ, თავით-ფეხამდე და ულვაშიანადაც და თვალებდაჭყეტითაც როგორი მჭახე და როგორღაც მაინც ლბილ, მოღრიალე და იდუმალებად გატრუნულ ისეთ შემოქმედს, როგორიცაა სალვადორ დალი, როგორ აფრენილად... - რომელი სიტყვა... უნიჭიერესი? ცოტასიტყვაა - აფრენილურად მომუშავე მილიარდერა ნებსითკატორღელს ოღონდაც ისეთ ყოველივეში მიმომფრინველედ მხოხავ

წეროდ-კუ ვინმ-რამს, ვინც რომ თავის ასეთ წყალობად შერეკილ თავს ძირითადად რომ „ჯერაც ქვეყნად რომ არ მოვლენილა ისეთ გენიოსად“, თვლიდა, მეორე წუთში, ან სულაც იგივე გვერდზე (ნაწერი მუდამ უფრო სანდოა), შეეძლო უყოყმანოდ ეთქვა ან დაეწერა რომ რაფაელის „ყოველი კვადრატული სანტიმეტრი“, გინდაც ცალფერა ფონისმიერი, მთელ მის შემოქმედებას სჯობდა, ერთხელ კი, საკუთარ თავს კვლავაც ერთადერთ გენიოსად რომ რაცხდა და გულწრფელადაც უთხრეს კიდევაც სწორედ ეს, ნათქვამი დიდად შეიცხადა და შეცბუნებულმა თქვა, რომ, აბა რომელი გენიოსი ისაა, გენიოსი ხომ მხატვრებიდან - რაფაელი მთლად გადაავიწყდა! - მხოლოდ ველასკესია, და, შესაძლოა, ვერმერი - უღირსისათვის აღფრთოვანებად, მის მთლად გამორჩეულ სამთაგან, ორი, მხატვარი - და თუმც უღირსმა პირობა დადვა რომ თავისით, თვითონ აღარ იხმარს გამოთქმებს მაღალნიჭიერი, გენიოსი და შემდეგ ასე, და ახლა კი ამაპირობით გული ძალიან ეთანაღრება, მაგრამ მუდამ არსებობს გამოსავალი, ამ შემთხვევაში კი - დიდასოება კურსივი! - მაგრამ ისედაც საცოდავ და ნატანჯ საბეჭდ მანქანას თუ ვერ შეუძლია ეს, ასე მაინც აღვნიშნოთ: უღირსის მთლად გამორჩეულ სამთაგან ორი, მხატვარი, ვ ე ლ ა ს კ ე ს ი და ვ ე რ მ ე რ ი, გამოჰყო სწორედ, და ველასკესზე თუმცა ძალიან ძნელია რაიმეს თქმა, რაღაცა პალიტრიანად განათებული დინოზავრი და ღამის პეპელა და რაცკია სხვა რამ იმათ ვრცელშუაში, ერთადყველაა, ვ ე რ მ ე რ ს კი, დღეისათვის ამ ბოლო-ბოლო ყველაზე საძვირო ანუ ძვირ-ფასიანად აღიარებულ მხატვარს, სულ რაღაც დიდი-დიდი ორმოციოდე ტილო რომ დარჩა ოღონდ დახატული - რა გვემასხრება... - ფარდის ერთ ნაკეცსა თუ ნაოჭში შეუძლია რომ ქვეყანა ჩატიოს - სასწაულმოქმედი! - ხოლო მესამე, მხატვრებში რომ გენიოსად შეუძლია და როგორღაც სწორად ვალდებულიცაა აღიქვას, უღირსი აქაც არღვევს პირობას და, თავისიანს, მშობლიურს ანუ - ფიროსმანს იხმობს კი არა, შვებით ეტმასნება, და, ძალიან ფიქრობს, ნეტავი დალის რომ ენახა ნიკოლოზ ფიროსმანაშვილისეული, ნეტა რას იტყოდა მაგრამ მარჩიელობას თავი ვანებოთ და, ჩვენებურად, ისევ ბევრს-რასმე მივედ-მოვედოთ, ანუ განსხვავებული დარგებისაც ხალხს - მაგრამ რა წამომცდა ეს, რომელი „ხალხი“, თითო-ეულებია, ყველა, ვა?, ისევ - „ყველა“? - მოკლეთ, ვერდი თუ როგორ ეთაყვანებოდა მასსინის ან მიქელანჯელო - დანტეს, მაგრამ ერთ-ხელობისა ორ იმისთანას, ტერმინი „მაესტრო“ც კი სასაცილოდაც არ შესწვდებოდათ და რომლებიც რომ ვან გოგი და გოგენი იყვნენ, ერთი ოთახი თან ჭერიანი აბა როგორღა დაიტევდა და იმათი ეს ხაზგასმული დაძმობილება რითაც და როგორც დამთავრდა, ვიცით, ხოლო როსინი, ეს ბავშვი, ბავშვი, რომელმაც როგორ ზედმიწევნით იცოდა ყოველი სახის თამაშობანი, დედამიწაზე და უფრო ჰაერშიც როგორც მისამდეც და მის შემდეგ კი, გამოგონილი - მაგრამ მხოლოდ მარტივები ვთქვათ: დახუჭობანა გინდა, დაჭერობანა გინდა თუ გაწუწვაობანა, თუ წრედ ფერხული, თუ ასკინკილა მაგრამ ერთხელაც აბა რომელი ცალფეხზე ხტომა და მთლადაც ორთავე ფეხის წვერებზე როგორ ეახლა პირქუშ ბეთჰოვენს, ეს ის როსინი, კირომ იცოდა თავისი ფასი: „მე, მართალია, ბახი არ ვარ, მაგრამ არც ოფენბახი არ ვარ“.

ხოლო დიადი წმიდასამება კი ადამიანებითაც კი კი როგორ არა დაზრუნავდა, გამორჩეულებს. ძმას რომ ძმა ძაან ყვარებოდა, რაა ამაში გასაკვირი მაგრამ თეო ვან

გოგს რომ, ძმით ედგა სული, და ამით როგორი მადლობელი, იმ „სიცოცხლეში ხელმოცარულ“ ძმას - ვინსენტ ვან გოგს! - თავადაც როგორ აცოცხლებდა, გამოულევად აწვდიდა ძმას ფუნჯებსა და ტილოებსა და საღებავებს და პურს, არადა, ამ ერთ მხატვარს, იმისი მართლაც მეასედი ფული რომ გაჩენოდა ახლა იმისი უამრავი ნახატიდან თუნდაც ერთი რომ იყიდება, ფერმწერის იარაღებთან ერთად სანოვაგისა და რამდენად მეტიც, დამოუკიდებლად საარსებო სახსრები თავზესაყრელად ექნებოდა, მაგრამ მათ, გადამწერებს, გადამმღერებლებს, გადამხატველებს წმიდა სამება კეთილისმყოფელებს, ანუ - აქ არ გეგონოთ უღირსი აჭარბებდეს - ანუ თანაავტორებს უგზავნის და თუმცა გამოჭენებულად არ ჩანან ანუ გაპრანჭულად რომ გამოვთქვათ „საილუსტრაციოდ არ ფიგურირებენ“ დიდად გამორჩეულთა ცხოვრებაში, ისე კი, ერთ-სულ არიან, ერთხორც, ისინი, ხოლო თეო ვან გოგს ძმა, ვინსენტ ვან გოგი რომ გარდაეცვალა, თავადაც მესამე დღეს, მიეწია, არაა ცუდი გამონათქვამი ხანდისხანობით ეს. კარგი, ისინი ძმები იყვნენ, ხოლო ერთმაც ანტონიო ბარეციმ, ქალიშვილი და ორივე შვილიშვილი რომ გარდაეცვალა, როგორ გადაიტანა ზრუნვა ცოლით ქვრივსა და შვილებით ობოლ დამწყებ გაღლეტილ და იმხანად დიდად ხელმოცარულ სიძეზე, ვისთანაც, ერთისაც გაგებით, აკავშირებდა მაგრამ რა დიდი რამ, კი, აკავშირებდა, - თანაავტორობა, ღვთით, და სანამ წელში მომაგრდებოდა ის ბედითაც და საქმიანობაშიც როგორი მწარედ უიღბლო და ბედდამწვარი, ვაგლახიანი სიძე თუ ნასიძარი, ეხმარებოდა, ბედ-ხელ-მოცარულს-როგორ, მერე კი, რაღაც ორიოდე წელმა რომ განვლო, მხოლოდ უყვარდა და აფასებდა, დახმარებით კი? - აღარცერთი გროში, რადგან იმისი ახლა დახმარება სასაცილოზეც მთლად უარესი იქნებოდა - ვერდი იყო ის. და, ყველა იმას გაუმარჯოს, ნიკალასათვის ჭიქა ღვინო ვისაც მიუწოდებია.

სამარადისო, მადლობა, მათ.

ღვთით დანიშვნას რომ, ისე ერთგულად ასრულებდნენ.

და ის მერე რა, შეუმჩნეველებად რომ დარჩნენ, მაღალ ქვეყნად ყველაფერი გასწორდება.

ჯერჯერობით კი, როგორ ძალიან მოკრძალებულად არიან, ვინაობაც კი არ ვიცით, მათი, მაგრამ არა უშავს-რა, მოკრძალებული და დროით ჯერხნად დაჩრდილული, ქრისტიანული გმირობაა, ეს,

დიადია ეს თანამშრომლობა, ეს ჭეშმარიტი თანაავტორობა, თავმდაბლობისაც კი, ფასი. -

ანდა, უღირსისათვის სამაგალითო, დიდად დასაკვირვებელი რამ, გასახსენებლად მუდამ საჭირო თომას მანის ის ნათქვამი, რომ, გერმანულენოვან მწერლებში ყველაზე კარგი მთხრობელია შტიფტერი, ყველაზე დიდი მწერალია მუზილი, ხოლო მისი მუდმივი ოცნებაა შეძლოს ჰესესავით წერა, ამას ამბობს მწერალი, რომელსაც არავითარი კ-ოპ-წიაობა არა სჩვეოდა რადგან არ სჭირდებოდა სხვა თუ არაფერი, ამას წერს კაცი, რომელსაც ურთულესი ძნელი-თავისა განაღდებული აქვს და ამიტომაცაა ასე გულწრფელად მშვიდ-თავმდაბალი, და როგორღა უნდა

დაეჯერებინა უღირსს გაბღენძილებისათვის, რომლებსაც მათეული გაგებითა და მითოთავმდაბლობით შესაძლოა წინამორბედთაგან... - რომელი თანამედროვე, მოგცლია ერთი, ავტოუკვდავს მოკვდავებთან რა ესაქმებოდა - ხოლო წინამორბედთაგან, შესაძლოა, ვთქვათ, გოეთესთან გაეყადრებინათ თავი.

ისიც, თუ ჰონორარებით ფრიადკაი ხასიათზე იყო.

გათავებულია, წასული არი იმათი საქმე.

და, მაგრამ, შვებად, რამდენი მწერალი, რომელი ერთი ჩამოეთვალა, და მაინც უღირსს ხანდახან ისეთი მოქედმაღლურად სულელური აზრიც კი გაუელვებდა, რომ ალბათ მხატვრობა ეგებ ვითომდაც შედარებით ადვილია რადგან იმდენი აღიარებულად გამოჩენილი (აქ შეიძლება ეს სიტყვა) შემოქმედი ჰყავთ, და ეგებ იმიტომ, ზედმეტად ჭარბი განაფიქრი ეს, რომ ეგების იქნებ მხატვრობაში ნაკლებად ერკვეოდა მაგრამ არა, არა, მხატვრობა იქნებ მეტადაც ესმოდა (ვა?, მხატვრობის სმენა?), არა, ეყურებოდა (ვა?,-ვა?), მოკლედ, ნახატი მეტად ენახა მაგრამ, ასე ვთქვათ ამა საქმეში და აქ ნეიტრალური, ანუ მიუკერძოებელი იყო ხოლო პროზაში? - ვეხ!, - ვერა, ვერ იყო ასეთი და რამდენი ვინმ გამორჩა, და ეპარებოდა რამდენ ვინმე(ს)ში ეჭვი, და, საერთოდაც, ყოველი განხრის ბუმბერაზებიდან (ამ სიტყვაზე ხომ არ დამიდვია პირობა) კარგა მოდიდო ყოყმან-გუმანი იმისთანასის სიწმინდეში, ლეონარდოზე, ვთქვათ; ახსენდებოდა ბოსხიც, მუსიკოსებიდან - აქ ვეღარ ბედავს ბოლომდე გატყდომას მაგრამ მათ ცალ ინიციალს მაინც ჩამოგითვლით - ბ.,დ.,მ., ხოლო მწერლებიდან, დოსტოევსკიზე, ვისაც რაღაც ზედმეტად დამაჯერებლად ჰყავს-გააჩნია შუათანა ძმა და თუნდაც „უხამსი ანეკდოტი“ არ უნდა დაეწერა, ამა საქმეებთან ფულითაც თამაში დიდი იმდენი არაფერი იყო ხოლო ის ერთი, ვის სიდიადესა, და უმწიკვლოებაში, ეჭვი არასოდეს შეჰპარვია კი არა, გაელვებია არც, ეს სიტყვისკაცი, გახლდათ, ბრძანდებოდა, -

ჰანს, ქრისტიან, ანდერსენი, -

კეთილი მეზღაპრე.

ყოვლად უსისხლო.

ეს დაღვრის მხრივ, თორემ, ისე, რასაკვირველია როგორი სავსედ

ცისფერსისხლიანი.

ხოლო მუსიკოსებიდან... ასეთივ სუფთა?... - იოჰან შტრაუსი, კეთილი მევალსე.

მაგრამ სანამ იმ სამსაც მივადგებოდეთ, მაინც რამდენნი, და, საოცრებავ, როგორიღაარნაირები, იყვნენ, ულამაზესები: როგორც ლეონარდო და ბაირონი, მოდილიანი, და შეუხედავები, გარეგნულად ეს თორემ როგორი შესახედავები ანდერსენი, და პუშკინი, ნატიფი, როგორც ვივალდი და მგრგვინავი როგორც ვაგნერი თუმც ისიც ალაგ როგორი სალუქი, გოლიათები: დავით აღმაშენებელი და ვულფი, და ჯუჯები: ტულუზ-ლოტრეკი, ჯოტო, ქალებში როგორი უბედოები

ბეთჰოვენი და ბარათაშვილი-ჩვენი და ქალებდახვეულები როგორ გოეთე, ჰიუგო, პუშკინი....; ჯანმრთელები რომ? როგორც როსინი, ჰიუგო, და ავადმყოფები - პრუსტი, სტივენსონი, შილერი, პაგანინი რომელიც რამდენჯერ-აღარ თითქოს კვდებოდა და მაინც საეჭვოდ ქალებდახვეულიც იყო - სხვები და სხვა თუ არაფერი, ნაპოლეონის ორი დაიც იმათ შორის და, უღირსისათვის განსაკუთრებით ამაღლებულები, მებრძოლი, მეომარი შემოქმედები: დავით მეფსალმუნე, დავით აღმაშენებელი, სერვანტესი, ბაირონი, ჰემინგუეი, გურამიშვილი ჩვენი, და პეწენიკებიც, რომელთა ჩამოთვლაც ცოტათი გვეუხერხულება და უპეწოები კი რამდენნიც გნებავთ, მაგრამ აბა რომელი პეწიანობა და ცილინდრ-პენსნე სჭირდებოდა მთვარის სონატისა და მესამე და მეხუთე სიმფონიების ავტორს, თუმც საცხოვრებელი თუ საცხოვრისი ეგებ უფრო რომ გაენიავებინა, ავენოვანებისათვის, სჯობდა, მაგრამ, ასე თუ ისე გამორჩეულებსა და უღიმღამოებშიც და - ვარღვევ პირობას, პირველია თუ რა - უდიადესებში, ყველაში ერთად - კვლავაც შევცდები - მილეთის ხალხში..., -

ხოლო იცოდა სამიც ისეთი შემოქმედი, რომლებიც ყველაზე ახლოს ბრძანდებოდნენ და, ამაღლებულნი, იქელებოდნენ კიდეც ერთდროულად, „ვითარცა ერთი ჩუენგან“ -ობით:

ბახი, შექსპირი და მოცარტი.

...ერცხვინებოდა, ახლა, ხნიერს, როცა ახსენდებოდა: ყმაწვილობისას, დიდად მოძალებული ენაქავილიანობის დროს, როცა ხმის ჩახრინწვამდე დაობდნენ რომ თუ რომელი რომელს ნაღდად სჯობია - მოცარტი თუ ბახი, რომელი იყო ნუმერ პირველი, ახლა კი, კარგა სირცხვილით უილაჯოდ ეღიმებოდა რადგან იცოდა რომ ორივენი სულიწმიდასი ნაყოფნი იყვნენ, ოღონოდ ერთ-ერთი სულიწმიდამ თავის თავს არამცთუ დაიმგვანა, იმ არსებაში მთლადაც შესახლდა, კიდეც, ხოლო მეორეს - მაგრამ აქ მხოლოდ ალფაბეტიღა თუ გადაგვარჩენს - ასე კი, პირველს, ბახს, თვით მამა-ღმერთის თუნდაც მკრთალი და მაინც აშკარად გამოკვეთილი, თვისებები, უწყალობა, რომელთა შორის -

იმას შეეძლო, სამყაროთი,

სუნთქვა.

ოღონდ, თან დროებით და,

სამარადისოდ. თუ, მუდამ...

ხოლო თავისთავს დამგვანებული ჯერაც დაუდუღებელი - იმას ნეტავი აბა რა დაადუღებდა - მოცარტი კი, ისე დაიმსგავსა, რომ ამადეუსი ყოველ ჟანრს აკი ხომ გადასწვდა და თანაც როგორ მაგრამაც თუკი მისი რომელიმე მიმართების ნაწარმოებთან დავუშვათა და შეიძლებოდა ვისიმე შედარება - თუმც არა და არა! - მაგრამ, ოპერა აქვის ერთი იგეთი, რომ, ყოვლად აღიარებული აღიარებით, რომ არამცთუ არ დაწერილა, ვერც ვერასოდეს დაიწერება, - აჩემობატონო, ეს ყბადაღებული რომ „ვერ შეიქმნება პერპეტუუმ მობილე“, -

არსებობს, კი, კი! -

„დონ ჟუანია“ ოპერა ეს.

და ხოლო ჩვენ კი, სახადტარკინელებს, ისიც კი გვინდა რომ ისე-რა ცხოვრებაში ესე ავტორი ყოფილიყოყე საქციელებით ისეთივ სანიმუშო, როგორაც დიდადსანიმუშო ანუ ძალიანც მოწესრიგებული ვთქვათდა უმფროსი ეკონომისტი, -

არა, - აფრენდა.

საფუძვლიანა, როგორ.

ხოლო იმდენი მიმდევარი და ყმა თუ ძმაკაცი თუ მბრძანებელი და მონა ქალებშიაც რომ ჰყავდეს, სხვა ვინ იქნება თუ არ შექსპირი, ეს ყოვლად განმგებელი; ასობით ფილმი, ათიათასობით სპექტაკლი, თან ვინ ვიცით სხვა ასე რომ იცოდა... იცის!, ტრაგიკული და კომიკური, მთლად ნამდვილი და მდუღარე ცრემლი და, არა გადაბჟირებისეულიც, თუმც, ყოველგვარი სიცილიც იცოდა, და თან, რა უცნაური რამეებია იმათთან დაკავშირებული: საიდან უნდა სცოდნოდა შექსპირს, რომელიც, გადმოცემით, სულაც არ იყო იტალიაში ნამყოფი, ბევრი იქაური ქალაქის ყოველი არამცთუ ქუჩა, კუთხე-კუნჭულიც კი, ძალიანაც კი, საკვირველია, ეს, ხოლო ჩარლზ დარვინს, მეპატიოსკი შექსპირთან ერთად მაგრამ პეტიტით მისი ხსენება, ძალიან ძლიერ ქედმაღლურად აღუნიშნავს, რომ, - აქ სულაც თავდაყირული პეტიტით მოვიყვანოთ იმისი აზრი - რომ თურმე შექსპირის კითხვისას თურმე ყმაწვილს, მოწყენილობისაგან ძილი ერევა... და ემთქნარება... - რაიქნებოდააბა! - სხვა რამ რა უნდა მორეოდა, - რა ეშექსპირებოდა აბა, მაიმუნებით დიდად გამაძღარს. და ისიც მერე რა რომ, ზოგიერთმა ტარკინოსანმა აღვიარა კიდევაც შექსპირი რადგან ჯერ ერთი რომ მის წინააღმდეგ ხმალ თუ ბატისფრთა-ამოწვდილად გალაშქრება ცოტათი ნიუდობნი იქნებოდა, ხოლო მეორეც ის რომ შექსპირი ცოცხალი აღარ იყო და ტარკინისტებისათვის მკვდარი რა - გინდ აქე და გინაარა, არა? - სიმთავრედ ჰქონდათ რომ ცოცხლივღა შეეჭამათ ადამიანი, ათეისტური კანონია ეს, ხოლო ზოგიერთულმა ისეთი ჰორიგინალური ჰაზრიც გამოჰთქვა, რომ, „ოტელო“ თურმე მიქელ კასიოზეა შექმნილი და ესააზრი შესაძლოა სწორიც იყოს რადგან მიქელ კასიო მთლიანი გვარ-სახელითაა გამოყვანილი ქალაქ ვენეციაში ხოლო ოტელო ოტელოთი, მხოლოდ. მაგრამ რამდენად მოსალოდნელად უკეთესი იქნებოდა რომ განევითარებინათ მსგავსიც დებულებებიც და ჩვენს ჩამხლართავად აღენიშნათ ისეც რომ „რომეო და ჯულიეტა“ ჰამლეტზეარიფოლსტაფიანა ხოლო თავის მხრივ რადგან დაღონებული ჰამლეტი? - ვილჰელმ ტელიზე და დეზდემონასი ინდიელურულ სიყვარულზეა რომელი დეზდემონაც თურმე ტყვიას ტყვიაში აჯენდა, კიდევაც კარგზედ ჭკუაზედ ვართ, ტარკინთა პირიდან ხელში, მაგრამ გვეშველოს ეგებ რამე სადხარ, სახარ შენ, ბოლოსდაბოლოს, ვაჟო არნოლდი? გვეყოფა, გვეკმარა,

და თუ შექსპირით ჩვენითაცუნახავი იტალიისა ცოდნა-გაგება გაგვიკვირდა, სხვარამსაც გავყვეთ, განსაცვიფრებელს ყოვლად:

ხოლო მოცარტის ნაწარმოებები - რომელი სიტყვა, რამდენმხრივი! - იმ ქმნილებებს რომ, სადაც რომ სუყოველივე თითო წკიპიც რომ - მართლაცდა, გეენიიაალურიაა, - თურმე, რომ დამჯდარიყო ნოტების სამი ისეთი გადამწერი, ამა საქმისა დიდად ოსტატები, თურმე სამთავე ერთად ოცდათექვსმეტ წელიწადშიაც ვერ გადაწერდნენ - შექმნაზე ხომ, ლაპარაკი, უხერხულია, - იმას, რაც რომ მოცარტმა თუნდაც მხოლოდ ხელით, სულიწმიდათი მუსიკის მხოლოდ გადმოწერაში იმან თავისი თავიდანაც რომ, გადმოიწერა, ამცხოვრებაში გარეგნულად ჩიტირეკიამ და გინდ ცოტა გალოთებულმა და რასახის გინდა ონავრობებში გარეულმა, ამ.

და რადგან უღირსს სიტყვა ისედაც ძაან გაუგრძელდა, ვეღარა აქვს ადგილი რომ თურამც ღირსეულად ეკუთვნით, აი ისინიც, მთლად ჯეროვანი პატივითა და თაყვანისცემით მოიხსენიოს - მომღერლები და დამკვრელები, მოცეკვავეები, და საკრავების როგორის ტრფობით მაკოწიწებელნი და იმათი, მოძველებითაც უფრო მჟღერთა რასმენით სწორად ამწყობები მერე და მერე, და ერთიღა უკვირს - რამდენი ხმა და რამდენი ფერი და რამდენი ხაზი და მოძრაობა და თავად სიტყვა ხომ - ყოველივეზე, აურაცხელი..., რამდენ ენაზე და რამდენ ყელსა და რაოდენ ხელში!, გლეხიკაცებიც უნახავს უღირსს, სულიწმიდათი როგორი დიდად შემოქმედნი და, მაგრამ ერთი რამ მაინცკი დიდად საკვირველია, - :

დიქტატორებიც რომ ერივნენ, კაცო...

ყველას ჩამოთვლას ნუ შევეცდებით, ერთიღა ვნახოთ.

დიქტატორები ხომ, ძირითადად, ტანად არცთუ მაღალი, ანუ ვერგრძელი რაღაც კასტაა, და ისიც, ის ერთი ჩვენი დიქტატორი გამონაკლისი სულაც არ გახლდათ, ტანად დაბალიც იყო მაგრამ დაბალს კიდევ რა უჭირს, როგორღაც მკვეთრად ჩანჩურა; თუმც სხვებზე როგორ ამაღლებული; და მთლად მბზინვარე ფრაკებ-ფრაკებსა თუ სმოკინგებში გამოწყობილ ეე, თავის, ეე, ყმებსა თუ თანამოაზრეებსა თუ მონათესავეობასა თუ რაც გსურთ დავარქვათ ის, მაგრამ იმათში, ერთხელ, სახალხოდ, რაღაც სულელურ შალვარ-ფინჯაკჩაცმულიც კი გაერია კი არა, თავთით ჩაუდგა, იცოდა იმან თავისი საქმე; თავის ჭკუაზე, ბოლოს და ბოლოს, მთელ უსაზღვრო მრევლი დავარქვათ თუ ამალა, ატრიალებდა; მაგრამ მინამდე, იმათი წვრთნისას, მისიანებად რომ აღეზარდა კი არა, არამედ აღეზარდაც და ჩამოეყალიბებინა რომ, რაღას არ შვრებოდა და კადრულობდა - უხეშიც, უხეში რომ, რისი ჰიტლერი და ხრუშჩოვ-მუსოლინ-ბულგანინ-ი, არამედ - სუმთლად მტრისას, და სხვა დიქტატორებს დიდ და დაბალ საბჭო-საკრებულოებში თუკი აქა-იქ მოეძევებოდათ ქალები - კოლონტაი და მაოს ცოლი, გინდაც ფურცევა, რამე, - ეს კი დიდ და მდებარეობით დაბლა საბჭოებში ქალებს არა და არ აჭაჭანებდა, ერთადერთიღა აიყვანა ერთხელ და ერთგან და ისიც მოშორებით თან რომელიღაც მორიგად დაპყრობილ ქვეყნად, ისიც იმიტომ რომ თავისა დარგ-საქმეში სხვა კაცებს ის ნაზად-მკენკავი ნამდვილად სჯობდა, ამას ნამდვილად ვერ დავუკარგავთ ვერც იმ რაღა თქმა უნდა მაინც დამფრთხალ ქალსა და ვერც დიქტატორს, სამაგიეროდ დიდკაცებთან ერთად, რამდენ გრანდქალბატონს, თანაც სადამდე სახელმოხვეჭილებს უმაღლეს თვალსაჩინოებაში როგორ აცეკვ-ახმიანებდ-ამღერებდა, თავის ჭკუაზე მაინც, გინდ ხალხის თვალში ისა-მორჩილნი

ისე ამაყად თუ დაქცეულად ან მღელვარედ თუ ქედმაღლურად მიმოდიოდნენ, მიმოდიან და ისეთ რამეებს სჩადიან რომ, ხალხის უგრძელეს აპლოდისმენტებსაც კი იმსახურებენ ვითომდაც ძაან თავისუფალნი, მაგრამ აიქაც რომელია დედიმისის ისეთი შვილი დიქტატორის არამცთუ თითის დაქნევას, ცალწარბის აწევას ან თვალების არამცთუ ბრიალს მოწკურვასაც კი რომ არ დაემორჩილოს, მოკლედ, რაა აქ დასამალი და, უთვალსაჩინოეს თავის საბჭო-საკრებულოებში გრანდქალბატონებიც ჰყავდა და რა გავაჭირეთ ამ დედიმისის შვილებით საქმე, აბა ათი თავიც გინდა ჰქონოდათ, დიქტატორისთვის არ დაეჯერებინათ - იმათ კი არა, მცირეოდენი უკმაყოფილებისას საკუთარ საათსაც კი გამწარებული სიბრაზით ტეხდა, ბევრჯერ უქნია, ეს, ერთხელ კი, არც ჰქონდა დაწყებული თავისი სიტყვა და, ერთმა ყმობილმა მეორეს რომ უნებურად რაღაცა ალბათ უწყინრობა გადაუჩურჩულა, ეს რა ვბედეო და, გაფითრდა კაცი, სიკვდილი გაათავა, იმან კი, დიქტატორმა, ისეთმა მახვილ თვალ-სმენიანმა, ვითომც ვერ შენიშნა ეს და არაფერი დაიმჩნია - აქვთ დიქტატორებს ხერხი-ასეთი რამც, და საქმის მკაცრად აღსრულებას, ანუ თავისიც კი თუმცაღა თავისით ამორჩეულ მაგრამ მაინც იმათი, დიდად თეორიანტ-პრაქტიკოსების, რომლებიც თავის მხრივ კიდევ სულ სხვა ნება-ნებების მატარებლები იყვნენ - გაუგებრად კი ვლაპარაკობ ანუ ვწერ მაგრამ ასე იყო - აი იმათი, და იმათსას გადმოცემას და ახსნას შეუდგა და თანაც როგორ, როგორ ერთგულად და დაუსწრებლად მისჩერებოდნენ ერთი-მეორეს და სხვა დანარჩენნიც, ერთდროულადვე ყურმოჭრილები და ყურებდაგრძელებულნი, რარიგ დამჯერად უსრულებდნენ ცალი თითითაც ჩუმის რისხვით დაქნეულ ნიშანს, შემაღლებულზე იდგა იგი თავისი ნების ჰოიი რამდენზე მკაცრად მომხვევი, და, იმისადმი ტაშისცემას ხომ მთლად აღარ ჰქონდა საზღვარ-უსაზღვრო-აღფრთოვანება-არავითარი, და იმასაც კი გაიძახოდნენ ძალიან ბევრ-ზოგიერთი რომ, ბედნიერებად ჰყავდათ სწორედ, უუმაღლესი, დიქტატორი ეს, თანაც რომ ერთიც გრანდსინიორა ცხოვრებაშიაც ჰყავდა ისეთი? - თან სწორედ მასში, დიქტატორში უსაზომოდ შეყვარებული რა ხმის პატრონი, დაგზრინავდა თუ, გაიფიქრებდი რომ ლაპარაკიც იცოდა იმან, და განა მხოლოდ იმას უყვარდა, არა, უყვარდათ, განსაკუთრებით, სამშობლოში, ეწიწებოდნენ, მისი სამშობლო კი მთელი ქვეყანაც ეულად გახლდათ და უფრო ეულად კი, თავისი მხარე, და, რომ გარდაიცვალა, შესაძლოა კალიგულასა და სტალინზე მეტად არა მაგრამ ნაკლებადაც არ გლოვობდნენ, და თანაც გულით, ხოლო ლენინკი ნამდვილად იმაზე ბევრი პოეზიური ნიმუში დაჰრჩა მაგრამ რათგინდა, და სხვა დიქტატორებს თუ იმათი მიმდევნ-მომდევნოები ლანძღავ-თათხავდნენ ერთმაც ასეთმა დიქტატორმა თვით დიქტატორსავე მიმდევრებში - რაც გინდა იყოს, შედარებით რბილად ეძახე, შურიან ხალხში, ძლიერ გაითქვა აღფრთოვანებულ სასიყვარულოდ თანაც, შვიდმარცვლიანი გვარ-სახელი და, საკვირველება იყო პირდაპირ ეს პირქუში და უჟმური და თვალებ-შენიღბულად-მობრიალე და თანაც რა დროს - დიქტატორობისას - პირქუშა-ნაზა, და უჟმურად ნატიფი საქმის დიადად აღსრულებისას, აი ეს კაცი, მაგრამ, ასეთი იყო,

სწორედ ასეთი გახლდათ ეს დიქტატორი, სახელად არტურო, გვარად - ტოსკანინი.

პუჩინის მეგობარი.

და, თვით ვერდიმაც კი, თავისი ერთ-ერთი ოპერისას შენიშნა იგი, მაშინ რიგითი მეორკესტრე, და თვითონ ვერდიმ, ბრძანა: „დაიმახსოვრეთ ეს მევიოლონჩელე“, - რა დაუნახა მაინც ისეთი, მუსიკოსების ტყეში, რა დაინახა და, სწორედ ამ მევიოლონჩელემ, შემდგომ ასეთ ფაქიზ დიქტატორად ქცეულმა, თავიდან დაუბადა მაღალი ოპერა „სიმონ ბოკანეგრა“, ვერდის სიცოცხლეში სხვადსხვა ტიპის (ჯურის) ყურუმსაღებისაგან დაწუნებული, როგორღაც დროებით ჩამქრალი ოპერა, რომლის უიღბლობაზეც ვერდიმ მხოლოდ ესა თქვა: „არაა სხვებზე ცუდი“, და აუგიზგიზა, დასამახსოვრებელმა მუსიკოსმა, ბოკანეგრა, ხოლო ის ერთადერთი ქალი, ორკესტრში რომ დასვა, არფაზე უკრავდა, ხოლო ის გრანდსინიორა მომღერალი, მასში შეყვარებული ქალი, თვით ჯერალდინა ფერარი გახლდათ.

მაგრამ გამორჩეულებზე იმდენი ვილაპარაკე, თან ვილაქლაქეც, რომ, სხვა რამც და ვინმეები, ძალიან მომენატრა. ვინა და, - აქ არ შეშინდეთ! - ისევ გამორჩეულებში, მაგრამ ცოდვილებში.

და, ამიტომაც,

დასასრული IV, სათაურით: „რომელიც ჩვენთვის, კაცთათვის“...

და ერთიც ქალი იყო ერთი, ძალიან ძველად და ახლახან და მეტად უცნაური თვალები ჰქონდა.

თვალი...

გარდა იმისა რომ თვალი სანთელია სხეულისა რაც თავის-თავად მის უზარმაზარობას ნიშნავს, ადამიანზე რაც კი რამ ჩანს თვალი აგებულებით ურთულესი რამაა სულიერებში, ალბათ ყველაზე რთული, და არამცთუ ვერ შევწვდებით და ჩავხვდებით, დანიშნულებასა თუ მნიშვნელობასაც ვერ მივაგებთ ვიძახოთ თუნდაც: „უ,უ,უ,უ,უუუურთულესი“, ლექსიკონებითაც ხომ მით უმეტეს ვერას გავხდებით რაგინდ ვრცლად და დამაჯერებლად აგვეხსნას მისი ყოვლად უფსკერო, შეუძლებელივით და ნატიფი აგებულება, ხოლო ერთი უბრალო სიტყვით კი „სახედველი“ა, და ის კიდევ ერთდროულად მთავარი და თან ძლიერ სხვაა, რისი დანახვა თუ როგორ სწორად თუ ავად შეუძლია, თვალი შესაძლოა ერთის შეხედვით იყოს ლამაზი ან არა, მაგრამ მთავარი, თვალში, მაინც შუქია, ანუ სანთელი, და რამდენიცაა, ადამიანი, ქვეყნად, იმდენნაირივეა, თვალი, და რამდენნიც ვიყავით, ადრე, იმდენივევე, იყო,

მაგრამ ქალების თვალებზე ხომ, რამდენმეტჯერ რამ, თქმულა, და რაღა თქმა უნდა სამართლიანადაც, ეგებ,

და როგორც ბევრსაც რამს, ქალებსაც ბევრგვარი თვალები აქვთ; გარეგნულადაც კი; და ერთსაც და იმავესაც კი, შესაძლოა, სამგვარი;

ასე მაგალითად, ძველ საბერძნეთში

„გათენებისას, როცა ვარდისფერთითებად წოდებული ეოსი ჟრუანტელს მოჰგვრიდა არეს, და მის კვალდაკვალ როცა მძიმედ ამოცურდებოდა

მაღლითმოარული ჰელიოსი, მაშინ ის ქალი, სახელად ტირო, თამამად უსწორებდა მზეს ორთავე თვალს, და, დილდილაობით, მონაცრისფრო თვალები ჰქონდა. თუ მზე მაღლა იდგა, მრავლისმნახველი ჰელიოსი, და ისე თეთრად რომ თვალისმომჭრელად აბზინებდა კლდეთ, ტიროს თავი დაეხარა და, წამწამებით ჩრდილდაფენილი, მწვანეთვალება იყო. ხოლო შებინდების ჟამს, მოსაღამოებულზე, ზღვას მიაპყრობდა სევდიანსა და ნელინელ-თვალებს, მოიისფეროდ მეტყველებდნენ ტიროს თვალები მაშინ, და აღარ იცოდა მეტრფემ იმისმა, სკირონმა, ტიროს ცვალებად თვალებთაგან რომელი ერთი რომელ ერთს სჯობდა... თვალთმაქცი იყო?“

ალბათ, რადგან მეტრფეს თავისას, გმირთაგმირსა და მეცნიერს, უღალატა,

მდინარესთან, თან.

ხოლო ცალი ღალატი რა იყო რამდენადმე შემდგომ დაბადებულ ერთი ისრაელელ ქალის უხამსი საქციელიც კი აღარ ჰქვიან, ისა ქალი რომ სჩადიოდა, იმასთან:

შვიდი ეშმაკი სჭირდა.

დიად მცნებათა ისე დამრღვევი რომ მთლადაც ველურად მონდომებული სიხარულითაც კი ატანილიყო, კი; თავხედი იყო?, გამომწვევი, მრავლად ავსიტყვა, რომელი ერთი გამოჩენილი კახპა და როსკიპი მივიდოდა იმასთან გინდაც შორიახლოს, უმრავლესობა ერიდებოდა, ისე კი, მოსწონდათ კია მაგრამ რად გინდა, შემახსენებელ წამოძახილებს შუაგულ ხალხში, არად დაგიდევდათ, მაინც თავისა გაჰქონდა ხოლმე და ერთთ თუ ფულს რამდენრამება სხეულისათვის ხარბად ართმევდა უფრო იმიტომ რომ მეორეთ, შეჭირვებულებს, იმავ ვერცხლითვე აცთუნებდა, ძუნწიც იყო და გამფლანგველიც, ოღონდ კი მთელ მის შიგანში გამაგრებული შვიდი ეშმაკი მალვულ თუ ცხადლივ, განეხარებინა, ფლიდი იყო და მთვრალებს ხომ ვერცხლის უაქეთიქითოდაც მსუყედ აცთუნ-აცთუნებდა, მერე კი, როგორ ჭყეტელა და მწვანედ აბზინებულ, დაგლეჯილ განგებ-ტანსაცმელაფრიალებული, როგორ ამაყად იჩვენებინებოდა ძველ მონაცრისფრო თუ ახლახანა ლურჯ თუ მთლადაც წითლად დანაჯიჯგნობებს, აძიგძიგებდა ისე სურდა რომ გაეგოთ ყოველ გამვლელსა თუ გამომვლელებს თუ ადგილზევე გახევებულს თუ რა სასურველად გა-დასათელი ქალი ჰყოფილა, თავი მოჰქონდა, ამით, აბა რომელი გაამართლებდა მაგრამ ბნელითმართალი იყო როგორღაც, შვიდი ეშმაკი სჭირდა,

მას.

ის რომ დიდ მეიდანებსა თუ შუკებში მიმოდიოდა, იმის ხის ძაან რაკუნა და ყალბთვლებით მოჭედილ ფეხსაცმელების შორითა ხმაზეც ბავშვებს სახით იკრავდნენ თითქოსდა დასაბრუნებელ მუცელზე დედები, ერჩივნათ სულაც არცკი ემზირნათ თუ, როგორ რამდენჯერ შეჩვენებული, რომ არ დაენახათ. გრძნეულ ისრაელში რიღასი მოწმე აღარ გამხდარიყვნენ, მაგრამ ასეთი? ამისთანა? -

ვერ.

არადა, წყეული, რაღაც თავისი მიმზიდველობით მიმზიდველვ-იყო ოღონდ იმ შეცდენისათვის რომ, - დასაღუპად. ხორცის გრიალი გაუდიოდა, გინდ სძინებოდა, იქაც. როგორი სავსე, რაგვარა სავსედ ტევადი, პირთამდე, მაცთურის ჯამი, და რაც კი შხამად გადმოსდიოდა, შვიდივ იმდენით ივსებოდა, უწმინდურებით ისე სჩქეფდა, გინდაც თავისი გული და სიცოცხლე, ხოლო თვალები... ჯერ არავისზე, არსად, არასოდეს უნახავთ ისეთი თვალები იმას როქონდა: ჭრილით ჭრილამდე, გუგები არცკი გამოეყოფოდა, არამედ სულ, მთლად, მთლიანად სუნაცრისფერი...

ეგებ იმიტომ, რომ „სანთელი გუამისაჲ არს თუალი“ და, ხორცსა და სისხლზე, ნაცრისა-ფერი თვალები ასხდა, ჭნობაშეპარული სიკვდილის უკვე, ფერი... შეჰყინვოდა.

არადა, მთელს სხვა დანარჩენ სხეულში შვიდი ეშმაკი მიმოურბოდა, მიმორბიოდნენ რომ? ერთი მეორეს თუ მეორე მეშვიდეს ეტაკებოდნენ, რქებით ჩხვერავდნენ და ჭახანისას კი იმის სხეულში ძალზედ რამ ავი ნაპერწკლები სცვიოდათ იქა იმას კი? იმ ქალს?, სიამოვნებდა კი არადა, მეტი, აავებული წვეულებისაგან მასპინძლივ-ცხარი განცხრომილებით კივილნარევად აგურგურებდა, შიგანი ეწოდა და მისი ავადგიზგიზა მკერდისა თუ ტუჩებისაკენ თუ სადღა აღარ, ყურშიც?, კუპრისწილ შავად მიანგრევდნენ დაუცხრომლობით აკლებულ გზას შვიდნივ ეშმაკნი და ერთმანეთსაც ასკდებოდნენ მაგრამ ერთმანეთისთვის სადღა სცხელოდათ, მხოლოდ და მხოლოდ იმაქალისათვის, ასეთი მწარედ აულაგმავი პარპაშისათვის, იმ.

ამოსაბუგი, რაც მეტს სცოდავდა, სინდისით უფრო არხეინს იყო, ისე კი, თავრეტდასხმული მიმობრუნავდა; ჩვენშიც.

ბევრი უთმინეს. თუკი გიზგიზობამდე ქავილად გადაქცეული ნდომისაგან შიშგამლღვარებიც დაეწაფებოდნენ, კარგავმჭახერამად ეგულებოდათ იმ დაწაფებისას გაზაფხულობით მაინც და გინა ყინვასაც ეჭახჭახნა, მაინც, არადა ისიმანამამ შემაზრზენი ხმიანობები იცოდა მაშინ მაინც აისეთი რომ, თავისთანთაშიაც კი აკრთობდა დრეკადად მსრბოლავ ბინადრებს ხოლო კიდევაც ერთიც მოადამიანოდ ძაან ეშმაკის, ფლიდად ცბიერა ჭრუტთვალება მღვდელთმთავრის თანამდგომმა ვისაც რომ ისი მიფარებულში წუწკადნაგემები ჰყავდა უკვე ახლა ჩავლილად და კვლავაც უნდოდა მაგრამაც ახლა ხანში შევიდა და დაუკითხავად დაოკდა, როგორ, უძლურებით აღენთო და მოითხოვა რომ ღვთითრჩეულ დიად ისრაელში არ შეიძლებოდა ასეთიც ქალი, ცოდვათ-ბუნაგი, ავსულთა მოდგმა, და აიყოლია დიდქალაქერშალაიმის პატიოსნებად შერაცხილები და, სტაცეს ქალს ხელი ახლა სხვაგვარად და უფროც ბევრმა ერთად, და იერუსალიმს, შუა ქალაქად, სიკვდილისაკენ გზას გაუყენეს.

ხოლო კი ქალი ახლაც კი ეშმაკებით მხიარულებდაც კია აი ისე რომ ნაცრისფერ თვალებს სირცხვილისაგან მოცალეობით ხან ვის ჩაუპაჭუნებდა ხან სწრაფად და ხან კიდევ რომელს დაყოვნებითაც კი,იმსულერთად იყო ახლაც კი, კი, ხოლო იმათნი შუამავალნი შვიდივ ეშმაკნი კი ძალიან იმიტომ ზეიმობდნენ რომ ისეთ შეცდენილს მეტი რომ აღარ შეიძლება, ჩააბარებდნენ პატრონს, ხოლო პატრონი

როგორ ძალიან განიხარებდა, აბა დაჯიჯგვნა და წვა იმისგან უნდა ენახათ შვიდივეს ქალის, იმათი პატრონი ხომ თავის მიმდევრებს ქვეყანაზე რომ ათამამებდა სამაგიეროდ ბოლოს ჯურღმულეთებში როგორ უმაგალითოდ, სჯიდა, და მრავალთაგან ამ დამქაშებსაც ჯილდოდ ალბათ დაასწრებდა კიდეც წამებას აბა რა, და სიკვდილისაკენ ზარ-ზეიმით გველზე რამდენად უსწრაფესად მიჩინდრიკობდა იმქალიანა შვიდნივ ეშმაკი, და პატრონის ნების აღსასრულებლად რაღა რჩებოდათ, სულ ცოტაცა და

და იქამდე რომ მივიდნენ, იქვე, კაცისშვილი ერთიღა, დახვდათ. გამხმარ ლეღვისას; ისე ჩანდა რომ მხოლოდ თავისთვის იჯდა თავდახრილი და მიწაზე თითით რაღაც უხილავს, წერდა.

ზნედაცემულის მობინადრეები ეგრევე შეცბნენ, ფარისევლებსა და მწიგნობარებს კი, ცბიერებსა და შემთითხვნელებს, მისი დანახვა ძალზედ ეამათ, რადგან იმ კაცისშვილის შეპყრობასაც ძალიან ლამობდნენ თუმც სულ სხვა საქმიზა მაგრამ ჯერ ფანდი-რამ ვერა მოედოთ რა მისი სიტყვებისა თუ საქციელისათვის თუმც წამდაუწუმ ხაფანგს უგებდნენ და გამოსცდიდნენ ხელსატაცებლად. და ახლაც, კაციშვილის ჭერის საქმეში ხელმოცარულებმა, განიზრახეს და სწორედ ეს ქალი, რაგაყინულად ნაცრისთვალება, აიმას მიუყვანეს:

ნეტა თუ, რას იტყოდა თუ, ამ ძნელი ერის მარადმეგზურმა თავად მამა-ღმერთისაგან რჩეულმა მოსემ რომ ამცნო თავის ძალიან ჭრელ მრევლს რომ ესევითართზე იმდენი ქვა დაეკრიბათ რომ სრულად ჩაქოლილიყო, და ხოლო კაცისშვილი ნეტა რა-რას უპასუხებდა ერშალაიმელებში დიდად წარჩინებულებსა თუ ისე-რაებს, ამაზე.

ნეტავი ეგებ რაიმ-ჩასაჭიდს,

ხოლო იესუ კვლავაც თავდახრილი იჯდა და მიწაზე კი არა, ქუეყანაზე რაღაც თავისას, იჯდა და წერდა.

რა უნდა ეთქვა, გაუშვითო? მაგრამ აქ ხომ მოსე, კანონით; და, ჩაექოლნათ? ეს ხომ იმისავ ქადაგებების მტე-საქციელი იქნებოდა, ორივ პასუხში რაღაცა კარგა ისხმარტალებდა, ხელჩასაჭიდი.

ხოლო იესუ არარას იტყოდა, ქუეყანაზე, ქუეყანისას, წერდა.

ეკითხებოდნენ, კვლავ: „რასა იტყვი?“

როგორ ამაყად, ნიშნის მოგებით დაჩერებოდნენ, მჯდარს.

და მაგრამ ყველანი როგორღაც უცებ და ერთბაშად მიხვდნენ თავდახრილი რომ ერთობ შემაკრთობ პასუხს რომ იტყოდა. არ იცოდნენ რას, მაგრამ აქამდე იმ შეკითხვისას ხელებითაც კი თუ გაქან-გამოქანავებულნი - რასა იტყვიო, ახლა, გახევდნენ და ეშმაკებმა ხომ მთლადაც სსუ ჰქმნეს, ჯერაც ცოცხალი ქალის გუამში გატრუნულიყვნენ, ისე რომ, თანაც ჩუმად სცეცხლავდათ, - ვიღას იპოვნიდნენ ამისთანასას გახედნილსა და გამოწვრთნილს უკვე, ასე, ხოლო მორიგი

ახალისათვის ისეამდენი თავიდან ჩეხა არ გინდოდა?, ქალი კი, შვიდივ ეშმაკისაგან შენელებული, ნელიადქმნილი, ახლა, ყველას შუაში იდგა ისევ და, მანამდეც მაინც ისე უტიფარს რომ ჩაქოლვის წინაც ზოგიერთებს უზნეობით რომ მთელ გზადაგზა ცივ თვალს ცელქად უყოფდა და, სხეულით ხომ, მთლადაც უარესს, სჩადიოდა, ახლა კი უცხოდ მხრებჩამოყრილს, ასე ცოტახნითაც ბოროტისა და იმისი როგორ გრძელყურად ყურმოჭრილი მონებისაგან თავმინებებულს, ჯერ მხოლოდ თითქოსდა-შემდგარს, შეჩერებულს, უიმათუროკვოდ, ეშმაკების, და უიმისძალოდ, კუნაპეტისა,

სიცოცხლე მოუნდა.

და, ჯერ, იდგა.

ცოტათი უკვე სხვაგვარი.

ხოლო იესუმ, რომელ არს ქ რ ი ს ტ ე, ა ღ ე მ ა რ თ ა ზ ე ანუ ასწია თავი. თვალი მოავლო ახლახანურა როგორ დიდგულად ამხედრებულებს, მასზე, და უთხრა მათ, უსუსურებს: ვ ი ნ უ ც ო დ ვ ე ლ ა რ ს თ ქ უ ე ნ გ ა ნ ი, პ ი რ ვ ე ლ ა დ მ ა ნ დ ა უ ტ ე ვ ე ნ ქ ვ ა ჲ მ ა გ ა ს ზ ე დ ა.

და, ისევ, დახარა თავი, დ ა წ ე რ დ ა ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა.

ნათქვამი იყო? ხმადაბალი, წყნარი, მაგრამ თქმულს გააჩნია, თქმას გააჩნია, მთქმელსაც კიდევ? - ც ი თ, დ ა, მ ხ ი ლ ე ბ უ ლ ნ ი ს ვ ი ნ ი- დ ი ს ი ს ა გ ა ნ, გ ა ნ ვ ი დ ო დ ი ს თ ი თ ო ჲ; ი წ ყ ე ს მ ო ხ უ ც ე- ბ უ ლ თ ა გ ა ნ, მიჰყვნენ იმათ ბილწობათა მაკოწიწებლები, და ვერაგები და ცბიერები, და მთელი ერშალაიმი, ყასიდი ერი, ჩუმჩუმელურად ვიდოდა განზე და გაიკრიფა, მინავლებული ეშმაკებიც უკუ ღოღავდნენ ხოლო თ ა ვ ა დ ი თავდადრეკილი იჯდა ისევ და წერდა ვ ი დ რ ე მ დ ი ს დ ა შ თ ა თ ა ვ ა-დ ი მ ა რ ტ ო ი, და დედაკაცი-იგიღა იდგა წინაშე და,

განცვიფრებული, ლეღვის გამხმარ ხეს შესცქეროდა; მიჩერებოდა ძალიან, იესუს ზურგითს.

ხმელი ტოტები შეიშმუშნენ, ჯერ; რაღაცა წვენი თუ აღუვიდათ, რაღა რაღაცა თვით ცხორების მარადი წყალი, ტოტებს ზრინავდათ და რამდენი წლის უნახავი კვირტებივით რამ რომ ამოეზარდათ ტფილოდათ თუ, ალბათ, და ის ფოთლებიც გამოისხეს ჯერ კიდევ როდის რომ მოიშველიეს ადამდაევამ, ხოლო ახლა კი ქალიც ერთი ისე ძალიან შესცქეროდა ხის წუთიერა გაზაფხულსა და მსწრაფლვე ეგრევ ნოყიერ შემოდგომას, ვრცლადნაყოფიანს, ისე ძალიან შესცქეროდა რომ სწორედ იმ ნაცრისფერად ლიბრიანი თვალებიდან დაუარა იმასაც ძალმა-მაცოცხლებელმა, ცხორების წყარომ, წყალიცხოველი იმ ხესთან ერთად დაბზარულ არსში ეგროვებოდა ნაიმთვალებარებიდან, თვალებიდან, კი, რომელ თვალებშიაც სინაცრისფერესი ნამცეცები აუმოძრავდნენ და ერთმანეთისაკენ მიილტვოდნენ და სივიწროვეში ეძიებდნენ და ნახულობდნენ ერთმანეთს და მჭიდროვდებოდნენ და ერთად იკვროდნენ და,

შეერთდნენ, გუგად, თვალის ბროლად, თვით თვალისჩინად ჩაუდგნენ, თვალში, და სუ სხვა ფერი, ძალიან სულსხვა, შეიფერადეს, თავდადრეკილი კი, იჯდა ისევ, ქუეყანისას თავისი სიტყვებით წერდა და წერდა, და, თუმც იცოდა ყოველივე, და ყოველი, იკითხა მაინც, არ შეუხედავს:

- რა გქვია.

- მარიამი.

უფლის, იესუს, დედისსახელი.

- სადაური ხარ.

- მაგდალენელი.

- კი.

ვისი ხმა იყო! - როგორღა იდგა... -

როგორ უყვარდა!!,

უყვარდა როგორ!!,

გადამრჩენი.

ხოლო იესუ აღემართა და ვერავინ იხილა, თითისწვერებზე გაკრეფილიყვნენ, მსაჯულებთაგან გაპარულიყო, ყველა, მარიამიღა ჰყავდა წინარე... მაგრამ როგორი! - ახალის ფერით, თვალებმაშუქა! თვალსანთლიანი...

- სადა არიან შემასმენელნი შენნი?

თვალებწინ ედგა მარიამს, იესუ,

ის, ვ ი ნ ც ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს, კ ა ც თ ა თ ვ ი ს, დ ა ჩ უ ე ნ ი ს ა ც ხ ო რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს გ ა რ დ ა მ ო ხ დ ა ზ ე ც ი თ, დ ა ხ ო რ ც ნ ი შ ე ი ს ხ ა ს უ ლ ი ს ა გ ა ნ წ მ ი დ ი ს ა დ ა მ ა რ ი ა მ ი ს ა გ ა ნ ქ ა ლ წ უ ლ ი ს ა, დ ა გ ა ნ კ ა ც ნ ა.

თვით ის, თავად ის, ძ ე ღ ვ თ ი ს ა მ ხ ო ლ ო დ შ ო ბ ი ლ ი, მ ა მ ი- ს ა გ ა ნ შ ო ბ ი ლ ი უ წ ი ნ ა რ ე ს ყ ო ვ ე ლ თ ა ს ა უ კ უ ნ ე თ ა,

ის, ვინაც შემდგომ ჯუარს ეცვა ჩვენთვის, დ ა ი ვ ნ ო დ ა დ ა ე ფ ლ ა

იის, ს წ ო რ ე დ ი ს,

მთლად ახალთვალებწინ ედგა მარიამს, იესუ.

და საცრემლე ტბაც ჩადგომოდა დაბადებულს თვალისმიღმეთში, ღრმა ისეთი რომ, მოძიება რაღად უნდოდა, ცრემლთ, თვით მაცხოვარი შესცქეროდა, მას,

- არავინ განგიკითხა შენ?

ტიროდა, ხალხით განუკითხველი, და განკითხული ძე-კაცისაჲსაგან როგორ, ქალი:

- არავინ, უფალო!

ძალიანაც კი ტიროდა, მაგრამ, იმ საცრემლე ტბას, სინანულისას, რა გამოლევდა, ღვთით, ტბა იყო ისე როგორ ახლიად შევსებული და თან უძირო და თანაც კამკამა და თან მდუღარი და თვით თვალისაგან, გუამის სანთლით, თვით თვალისშუით, თვალისჩინისაგან, ნაბოძები, თვითონ მაცხოვრით ნაწყალობევი როგორი მაღლად უფსკერო მონანიებისა, თან, და ქრისტემ აცალა მომნანიეს სადამდისინაც საჭირო იყო,

მერე კი, ხოლო იესუ ჰრქუა მას:

- არც მე განგიკითხავ შენ,

რა ხმა ესმოდა, საიდანიდი, ვისი და ვისის,

მაცხოვრის, თვით,

უყვარდაროგორ!

ქუეყანაზე ყველაზე დიდზე დიდი და უთვალავხმება და აუარებად გამოუთქმელა სიტყვებიანი სიყვარულით, უყვარდა, იგი, და მის ბოლო-თქმას, ცრემლებროგორღვრადდადენილი, მოელოდა, ულმობიერეს განაჩენს ისეთს ცრემლი თუ არ დააღრჩობდა აღარ ეგონა და სიცოცხლეშივ ძველ წინსიკვდილით როგორ დაღდასმულ ახლაღკი სუფთა და უფერუმარილო სახეს თუ მდუღარებით არ დაშანთავდა ცრემლი, საკვირველ-იყო, დიად განაჩენს, მოელოდა მთლად კურცხალ-კურცხლად ქცეული მაგდალენელი ქალიც ერთი, ერთიც მარიამი, ელოდა როგორ, და, კიდევაც ეთქვა:

„წ ა რ ვ ე დ დ ა ა მ ი ე რ ი დ ა ნ ნ უ ღ ა რ ა ს ც ო დ ა ვ“.

წარვედ, წადიო, მკაფიოდ შემოესმა.

ეს, ესე, ესი კი ესმა იმისაგან, რომელიც ჩვენთვის, ადამიანებისათვის, და ჩუენისა გადარჩენისათვის, როგორ შორიდან და ახლოდან გარდამოხდა, და, განკაცნა... -

ხოლო ქვეყანა თუმცა დიდია, მაგდალენელი არსადაც წასულა.

არა, ცოტათი კი-წავიდა,

მაგრამ ძალიან დარჩა.

ძე კაცისაჲ ახლო მომავალში დიადად წმიდა ამაღლების მაღალ ქალაქში, იერუსალემს ქუჩად მიდიოდა.

ფარისეველიც ერთი, შემოხვდა გზად. იმას გუმანი აწვალებდა, მართლა ხომ არ იყო თვით მამა-ღმერთით გამოგზავნილი იმისი ერთადერთი შვილი, ძე ღვთისა, რადგან სასწაულს შეესწრო ერთხელ ისეთს იესუთი რომ, - აქიმებისაგან

ხელჩაქნეული დედაკაცის მყის მორჩენას, ადამიანთაგანი ვერავინ შესძლებდა ამას, და, ჩინებულდღეობა ხომ უმრავლესობას ძალიან უნდოდა ისრაელში და ყველგანაც, ფარისეველებს კი - უფრო; ისიც იცოდა, რომ მეზუერე ერთსაც მატთეოსს არამცთუ ეწვია, უთხრა კიდევაც: „მომდევდი მე“, ფარისეველებს კი მეზუერეებზე რამდენად მეტად რაცხდნენ და, გათამამებულმა, იმას ვინც საეჭვოდ ხშირად დაბეჯითებით მხოლოდ „ძე კაცისაᲘ“თ იწოდებდა თავის ღარიბ თავს ის ფარისეველი მორიდებით გადაუდგა გზად და შეევედრა რომ დიდი პატივი დაედო მისთვის, ოჯახში სწვეოდა.

იესუ დაჰყვა.

იმ ოჯახში კი პურობა იყო, ფარისეველებში შერეულიყვნენ შემთითხნელები, მეზვერეები, ასისთავები, გადამყიდველები, საქონლითა თუ გონებით ვაჭრები ხოლო დიდთუპატარა ყოველი იმათგანი ვაჭარი იყო, მოგება ეწადათ: „რა იცი, ეგებ... მართლა ქრისტეა... ვინიცობაა... და მოვიგოთ. რა იცი“..., და: - გადაიღეთ მოძღუარ, შესვით...

იესუმ მიიღო მათი სასმელი, პური განტეხა.

ერშალაიმში ზედაპირულად რაც ხდებოდა, ერთიმეორისა ყველამ იცოდა, იესუზე ხომ, რაოდენ ცხარე და შემხლელი კამათი ჰქონდათ: „არაა“, „ისაა“, და ჯერ კიდევ მეზუერე მათეოსის სახლთან, მისი „არაა“-სი დაგეშილად მაძიებლები, ჭრელ გულებს ჯერ ერთმანეთში იფხანდნენ, და მერე მის მოწაფეებსაც კი დაეკითხნენ: „რაᲘსათვის მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს მოძღუარი თქუენი?“

ფარისეველის სახლთან შეკრებილიყვნენ ახლა.

ხოლო იესუს ესმოდა ყოველივე; და განაფიქრიც, ხოლო ამ ბრალდებაზე, მატთეოსისთანა ცოდვილებს რატომ გაერია, ადრეც უპასუხა იმათ, მრუდის ძალიან მიმდევრებს, რომ ჯანმრთელებსა და კარგად მყოფთ კი არ სჭირდებათ მკურნალი, არამედ ავადმყოფებს, მაგრამ ვერა გაუგეს-რა, იმათი გონით და გაგებით ცოდვილებსა და განსაკუთრებით მეზუერეებს აბა რა უჭირდათ, ფულების მეტი რა უჭყაოდათ საერთოდაც და, ჯიბაში, ახლა კი, კვლავაც იმდაგვარ საკრებულოში რომ იჯდა და იმათთან ერთად თავის პურს მიიღებდა, მისი, ქრისტესი „არ“ობის გამომძიებლები, მოკლე თითს აშვერდნენ მდიდრულივით სახლს და, სისინებდნენსავით: სულ სცოდავს, სცოდავს, სულ ცოდვილებშია, სსულსულ; ჭრელები, რუხნი, ნაცრისფერები, იყვნენ,

ისე კი, იმ მეზუერე მატთეოსისაგან მათე მახარებელი დადგა,

ვინ თუ არა მან, ქრისტემ, იცოდა მოციქულებად თუ ვინ დაემოწაფა, ის ისკარიოტელიც თუმცაღა თავიდანვე „იყო იგი მპარავ“, როგორია, შე, შესაწირავების შემგროვებელი, მხოლოდ დღეს კი არ ხდება თურმე ასე, აღდგომის შემდეგ კი მას შედგომილი და მერე როგორ წმიდა მოციქულ პავლეთი კვლავაც თორმეტნი გახდნენ მოუღლელები, გადამრჩენელები,ჩვენი, როგორი ჩვენნი, ხოლო როდესაც ერთმაც მწიგნობარმა, იხილა-რა მისი საქმენი და მოუსმინაც, აღენთო უცებ და, ცხელ გულზე ძლიერ შესთხოვა რომ, „მოძღუარ, მიგდევდე შენ,

ვიდრეცა (სადაც კი) ხვიდოდი“ - წახვიდე, მაგრამ იესუ ქრისტემ კარგად იცოდა იმისი რწმენა, თავისი ერთიც იგავისეული: იმისი რწმენა მსგავსი იყო იმ მარცვლისა, როცა, რომ „გამოვიდა მთესვარი თესვად“... - როგორი სიტყვებია... რა სამეული! - თითო მარცვალი სულაც სხვადასხვა ნიადაგზე მოხვდა ხოლო ერთი კი, ამ მთხოვნელივით კლდოვანზე დაეთესა და თუმც თავიდან ძალიანაც კი აღმოცენდა და გაიხარა მაგრამ სწრაფადვეც დაჭკნა რადგან არ ჰქონდა იმის ნიადაგს სიღრმე, არა, ყველანი აბა როდი გამოდგებოდნენ, არ იყვნენ ღირსი მასთან ერთად ისრაელად მავალობისა, ქრისტესი იყვნენ ის თავიდანი თერთმეტნი, რომლებიც რომ - იცოდა ქრისტემ, და - ემგვანებოდნენ, და „ვისა იყოს მსგავს?“

თავად მაცხოვრით, მისი სიტყვებით „მსგავს არსს იგი კაცსა, რომელი აღაშენებნ სახლსა, რომელმან მოთხარა და დააღრმო და დადვა საფუძველი კლდესა ზედა“; - მარცვალი კი არა, სრულიად სახლი - „და დიდროაჲ (ადიდება, წყალდიდობა) რაჲ იყო, ეკუეთა მდინარე იგი სახლსა მას და ვერ შეუძლო შეძრვად მისა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა“,

ხოლო ეს მწიგნობარი, ქრისტესაგან მაშინვე განჭვრეტილი,

„ხოლო რომელმან ისმინა“, და თუმც წამსვე და წუთით აღფრთოვანდა მაგრამ მერე კი, იცოდა ქრისტემ, რომ წარმავალი თავისი უცები რწმენა მობეზრდეს თუ რა მისი ნება „და არა ყოს, მსგავს არს იგი კაცსა, რომელმან აღაშენა სახლი მიწასა ზედა თვინიერ საფუძველისა“, ანდა, ქვიშაზე, „და გარდამოხდა წვიმაჲ, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი და ეკუეთნენ სახლსა მას, და დაეცა. და იყო დაცემაჲ იგი მისი დიდ ფრიად“.

იმ ერთწამით კი მაინც კარგად და ახლა არსაწყენ მწიგნობარს კი, თუმც წამიერად გაშუქებულს მაგრამაც არსით მაინც შემთითხვნელს,თავაზით უთხრა, წყნარად:

„მელთა ხურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი დაიდრიკოს“,

და მწიგნობარიც მსწრაფლ გამოფხიზლდა ოღონდაც თავისებურად გაიაზრა-რა როგორი მოუხერხებელი გზა-ბილიკები ელოდა და რა ძალა ადგა თანაც შინ-სახლად ალბათ კუშეტკაც ედგა კარქი,

ახლა კი, ამ სახლისკენკი, კი, იესუიანის, ერთი ცისფერთვალება ქალი, მცირე ფუთათი ხელში, უცნაურად მიემართებოდა, მაშინვე თვალი ჰკიდეს:

წარსდგამდა ბიჯს და, ფეხისწვერს დააბჯენდა მიწას, ყოვნდებოდა, იტრუნებოდა, ფაციცდებოდა ისე რაღაცას თითქოს ფეხისწვერით მიუგდებდა ყურს, მერე კი, როგორ მაშუქა თვალებიდან როგორღაც წამოსული ბიძგით, წინისაკენ ცოტათი უფრო მიაცურებდა ფეხს, ნაბიჯს იგრძელებდა და მერეღა დადგამდა მთლიანად ტერფს და რასზე მერედა ეს, რიოშ მიწაზე - დაფხვნილი აგური მიეყარა თავისი სახლისაკენ მავალ გზაზე ფარისეველს, ქალი კი არად დაგიდევდათ ამას, შერყვნაზე სვლას, და რა უცნაურად მიისწრაფვოდა - ყოველ ნაბიჯზე, ყოვნით.... ალბათ, ძალიან ღელავდა თუ.

მეტად უბრალოდ, ეცვა. თალხი, ყელით კოჭამდე შემობურვილი ისეთი კაბა რომ ვერაქარი აუფრიალებდა ვერ, მორუხყავისფრო ტყავის ქალამნები, და ნაცრისფერიღ მხოლოდ თავსაბური შემოეგრაგნა და ყელთან ისე მრგვლად და მჭიდროდ შემოენასკვა რომ, იმ ნაცრისფერი სიმრგვალიდან ის ცისფრად ცისფერი თვალები ისე უნათოდა რომ, რომ თითქოს ამ დღიურ სიბნელეში გზას თითქოს იმაშუქით, ცისფრად ნატიფით, მიიკვლევდა როგორ, - დაჯერებული, იესუსკენ დაყოვნებებით მავალი, თითქოს ქრისტესაკენ როგორ მტანჯველად შენელებული სწრაფვით ვიდოდა, და, საფეხურებიც-ამამაღლო რომ გადალახა იმყოვნებიან ბოლოგზად, ზღურბლზე შეჩერდა, შედგა, შემდგარი როგორ ძალიან მიჩერებოდა თვით მამა-ღმერთის ერთადერთ, მხოლოდშობილ შვილს, იგი კი, ძე ღვთისა, უფალი ქრისტეც, შეჰყურებდა როგორ, როგორად ცოდვილს ისე ალერსით შემოსცქეროდა რომ, მიხვდა მარიამი, რა მოფერებით, როგორი ამო დაყვავებით, რანაირ სავსე სისათუთით მიანიშნებდა თავისი ლბილი წიაღისაკენ უფალი: „მოდი“, და, მარიამი, ვისაც შეყოვნებები სადღა ახსოვდა როგორ მიეჭრა და მიეახლა და ხოლო გზაშივ შემოუფცქვნა ფუთვნილს ფუთა და განაშიშვლა ალაბასტრის ნელსაცხებელიანი ჭურჭელი და ტიროდა და იწყოდალტობადცრემლით ფერხთა მისთა და თმითათავისამისისაჲთაწარჰხოცდადაამბორსუყოფდაფერხთამისთადასცხებდა ნელსაცხებელსა,

და ხოლო რომ იხილა ეს მიმპატიჟე ფარისეველმა, თქვა გულში ანუ გაიფიქრა: „ე?, ეს რომ მართლა თუ მეტი არა წინასწარმეტყველი რომ მაინც იყოს, უნდა მიმხვდარიყო რომ როგორ-რაბამი დედაკაცი შეეხო მას, არ უნდა მიეშვა, რამეთუ ცოდვილ არს, ღვთის შვილს ასეთ ცოდვილთან აბა რა ესაქმება“,

ხოლო იესუმ, რომელმაც გულის ზრახვები ყველასი, იცოდა, მიმწვევს შეხედა, ფარისეველს, და უთხრა: „სიმონ, მაქუს რაიმე შენდა სიტყვად“.

რაღაც უფსკერო, უნაპირო, ედგა თვალებში და სიმონი კვლავაც გადმოეჭვდა:

„რა იცი, ეგებ, მართლა... ვინ იცის“... - „და თქუა:

მოძღუარ, იტყოდე!“

ხოლო მოძღუარმა თქვა, რომ, რომ ერთ მევალეს ორი მოვალე ჰყავდა, ერთს მთლად ხუთასი დრაჰკანი ემართა მისი, ხოლო ერთსაც - ორმოცდაათი, მაგრამ რაკი გადახდა არ შეეძლოთ რადგან აღარაფერი ებადათ, ორივეს, აპატია, გაუუქმა ვალი და

„აწ თქუ შენ:“ - რომელს უფრო შეუყვარდებოდა იგი?

სიმონიმ თქუა: ჩემი აზრით, მე მგონი რომ რომელსაც მეტი აპატია იმას უფრო შეუყვარდებოდა ანგარიშის საქმე არ არი?

ხოლო თავადმან:

„სამართლად საჯე“.

და, ქალს მიუბრუნდა, შეჰყურებდა იმას, ქალს, და ასე ეუბნებოდა სიმონის: -

„ხედავა ამას დედაკაცსა?“

და თავადაც თვითონ როგორ შესცქეროდა მას,

„შემოვედ სახლსა შენსა, წყალი ფერხთა ჩემთა არა მეც, ხოლო ამან ცრემლითა დაალტვნა ფერხნი ჩემნი და თმითა თვისითა წარჰხოცნა“;

ჭირხლი და სიტფო, მოენაცვალეოვეობოდა, ხმაში,

„ამბორის-ყოფაჲ არა მომეც მე, ხოლო ესე“ , -

უმზერდა, ქალს,

ვინც,

ახლახან,

შემოსვლისთანავე, და ახლაც, მართლაცდა მთელის მრთელი არსებით, „არა დასცხრების ამბორის-ყოფითა ფერხთა ჩემთაჲთა“,

თავჩაქინდრული იდგა მუხლებზე ახლაც მარიამი, ყოფილი მარიამი, ახალი მარიამ, მაგდალენელი, დასცქეროდაის, ქალს, სიმონისაკენ კი განზე, მისდა გასაგონად, ფარისეველისათვის ეთქმეოდა ასე:

„ზეთი თავსა ჩემსა არა მცხე, ხოლო ამან ნელსაცხებელი სცხო ფერხთა ჩემთა“,

ეალერსებოდა, მზერით, თავად უფალი, ქრისტე, სიმონისად კი:

„მიეტევნენ მაგას ცოდვანი მაგისნი მრავალნი, რამეთუ შეიყუარა ფრიად“,

მოკუნტულიყო, სიმონიკი, -

„ხოლო რომელსა მცირედი მიეტეოს, მცირედცა შეიყუაროს“,

და ახლა მთლად ქალს, მაგდალენიდან ერშალაიმს თურმე რისათვის ჩამოსულს და რით დამწყებსა და გამგრძელებელს და მაგრამ რაით დამთავრებულს, დასცქეროდა, და ხოლო კდემით მთლად განახლებულ ქალს ებოძა ესა, ესე, აესა, ესი:

„მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი!“

ხოლო თანამეინახენი, ძალიან ძნელი ერის შვილები, მაგრამ რომლებსაც თვით მამა-ღმერთი თავის რჩეულ ერს უწოდებდა, და გადამრჩენლებსაც, სხვების, ეგებ იმიტომ რომ მაცხოვარი სწორედ იმათში მოავლინა ხოლო იმან კი იქაურთაგან მთლადაც რჩეულები მოციქულებად დაიმოწაფა, და ალბათ ეგებ იმიტომ გამოარჩია ეს ძნელი ერი ღმერთმა რომ, რომე, რადგან ყველაზე ძნელები იყვნენ მთელ ცისქვეშეთში - თვალები ასხდათ და ვერ იყურებოდნენ, ყურები ესხათ და ვერ ისმენდნენ, ფეხები ებათ და მიაბიჯებდნენ სადაც საჭირო იყო იქამდე ვერ,

ხოლო იმათშიაც კი ღვარჭნილობით გამორჩეულმა ფარისევლებმა, გაუმაძღრებმა, ლუკმის მსუნაგებმა, პურიჭამაცკი შეწყვეტილებმა, გულში წყრომით, კი, და რისხვითაც კი, გაიფიქრეს:

„ვინ არს ესე რომელი ცოდვათა მიუტევებს?“

თუ ვინ იყო და, მაცხოვარი, გადამრჩენელი, რომელიც მთელსვე ძნელვე ისრაელში მოციქულებიანა მიმოდიოდა, რომელმაც ახლა ახალ გულითა და სულ სხვა თვალებადშობილ მარიამს მხრებზე მოარგო ხელისგულები, და წამოაყენა, დააყენა ორთავე ფეხზე და, უთხრა, რომ, „სარწმუნოებამ შენმან გაცხოვნა შენ“, წადი, იარე, „გუალე მშვიდობით!“

ვინა იყო და, თუმც მარიამი სიმონისა და საიმისო სტუმრებიანი და სხვაც თვით იმა-სტუმრით აღსავსე სახლაკიდან გამოვიდა-კი მაგრამ უფალს არ მოსცილებია არასდროს, აღარასოდეს;

თუვინ იყო და, ღვთისა იყო, მხოლოდშობილი ღვთისშვილი თან, ჩვეულებრივი ადამიანივითაც ვინაც რომ წყაროსისა თუ დამდგარ წყალს სვამდა, სხვებს კი, თავის თვინიერ ბატკნებს - თავისი ცოცხალი და მარადი წყლით არწყულებდა, იმათთან და სხვა ათასგვარ-გარეულებთანაც ტრაპეზობდა, ისინი კი, რადგან თავისი თავი ყველამ კუნჭულშიმაინც იცის თუნდ წამიერად მაგრამ მჭახედ, და სწორედ ის თავისი თავი ვითომდაც მაღლა რომ წარმოეჩინათ უკირკიტებდნენ, ეურჩებოდნენ, და უკვირდა იესუს სიკერპე მათი, ვისთვის შეედარებინა ისინი, იქნებ იმ ბალღებისათვის, ერდოზე რომ ეგებაც უქმად ჩამომსხდარიყვნენ მაგრამ უკიჟინებდნენ ერთმანეთს, ურთიერთას: „გისტვინევდით თქუენ, და არა ჰროკევდით, გიგოდებდით თქუენ, და არა სტიროდეთ“ - არ სტიროდითო; რატომ,

ახირებული ხალხი იყო, კი, „რამეთუ მოვიდა იოვანე ნათლისმცემელი, არცა ჭამდა პურსა, არცა სუმიდა ღვინოსა, და იტყვით: „ეშმაკეულ არს““, ხოლო როდესაც „“მოვიდა ძე კაცისაჲ, ჭამს და სუამს, და იტყვით: აჰა კაცი მჭამელი და მსუმელი ღვინისაჲ და მეგობარი მეზუერეთა და ცოდვილთაჲ“, მაგრამ ძე კაცისაჲ მაინც ამა-ძნელთ, და ვითამ-ჯანმრთელებსაც უნატიფესი და ურთულესი და თან მარტივი თავ-სიტყვებით როგორ დაზრუნავდამაინც და ავადმყოფებსა და დავრდომილებს და ბრმა-მუნჯ-ყრუებს და ცოფდუჟშეყრილებს ხომ არჩენდა და არჩენდა როგორ, არადა, არადა, ჩვეულებრივივით-ვინმე ვინმესავით მიმოდიოდა, წამოწოლილი - ინახითაც-ჯდა იმათ შორის მაგრამ არხეინს როდი იყო, არც არასოდეს, მუდამ გვფიქრობდა, და, საქმის მეტი რაღა ჰქონდა ამ ძნიადს ხალხში, მაგრამ, სავალალოდ, ისევ ტყისაკენ იცქირებოდნენ და, მერამდენედ, იმათ შემყურემ, ყველა ისინი, განზედ და მთლად უარესი - დაბლისაკენ მხტომელნი, „მიმოიხილა მათა“ ისე რომ, ერთდროულადვე „რისხვით და მწუხარედ სიბრმისათვის გულთა მათთაჲსა“, მიმოიხილა, და, იფერებოდა ისევ, და ისევ მრისხანებდაც და, თვალებისა და გონების მტკენ უმსგავსობათა მნახველ-შემყურეს რა ეწადა და, როგორად მაღლივს დაატარებდა გულისგონებით სა-კმაოდ მაინცაღსრულებულ აი იმას, რომ, „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშვიდობაჲ, და კაცთა შორის სათნოებაჲ“, ამ უდიადეს ცნებასთან ერთად, ისი მცირედიც-კი-

ვითომ გვეწყალობა რომ სასვენი ნიშანი მძიმე და-ს წინაც სწორად და კარგად ითქმება და იწერება, და სწორედ ადამიანებ-ჩვენთვის გარდამოხდა ზეცად, და ჩვენიკი შემყურე, რახასიათზე დადგებოდა ალბათ, ეგებაც ვხვდებით, და, შეჭირვებულს, არადა, ყოველივესა და ყოვლისმცოდნეს, მაგრამ ფიქრით ხანდისხანობით ისე ძალიან შორსმყოფს რომ-რომ იესუდღა რჩებოდა მიწაზე ისე ძალიან რომ ხანდახან ისიც ვერ გაეგო, სულთმობრძავი თორმეტი წლის გოგონას მოსარჩენად მიმავალს თუ ვინ შეახო სხვაც-მორჩენისათვის მვედრებელი მთრთოლვარე ხელი და ქრისტევდებოდა, წამსვე, და გვარჩენდა და აღგვადგენდა ჩვენ, იმ გზადშემოხვედრილ დედაკაცსაც რაღა თქმა უნდა, თორმეტი წლით სისხლ-განუწყვეტლივ დამდინარეს, ავადმყოფები კი, რამდენნი იყვნენ, ვართ, თვით ჯანმრთელებსაც ნეტა რა ჭირდათ, გვჭირს, რა და ერთხელ ნავიდან რომ გადმოვიდა, „მიეგებვოდა მას საფლავებისაგან კაცი“, ხოლო სამარხებში ყოფნა? - მვედრებლისა როგორ, დავით ღვთით დიდი მეფსალმუნესი, 142-ში: „მსთუად (ადრე; სწრაფად; მალე) შეისმინე ჩემი, უფალო, რამეთუ მოაკლდა სულსა ჩემსა, ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან, და ვემსგავსო მათ, რომელნი შთავლენან მღვიმესა“ - საფლავსა, ხოლო „საფლავებისაგან კაცი, რომლისა თანა იყო არაწმიდაჲ სული, რომელსა საყოფლადვე აქუნდა საფლავები და არცაღა ჯაჭუებითა ვის ხელ-ეწიფა შეკრვად იგი“, რადგან შებორკილიც, იმ არაწმიდა ძალით წყვეტდა ჯაჭვებსაც და ბორკილებსაც და „არავის ეძლო დაყენებად მისა“, და დღედაღამ მთებსა და სამარხებში დაძრწოდა, ღრიალებდა და ლოდებს იხლიდა თავში მაგრამ იესუ რომ იხილა, როგორღაც შეცბა და, მაინც იღრიალა: ჯერ მიეახლა და თაყვანი-სცა, და, თავისისთაში უწმიდურ სულით მაინც შეჰღაღადა: „რაჲ ძეს ჩემი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისა მაღლისაო“ - როგორღა მიხვდა! ჯერაც უწმიდურებიანი..., - „ძეო ღმრთისა მაღლისაო“, ხოლო „რაჲ ძეს ჩემი და შენი“: რა გესაქმება ჩემთან; არა გაქვს საქმე, არა? - ჩემთან;, და - „ნუ მტანჯავ მე“, ხოლო იესუს ასეთი საყვედურები მოუსმენია?, განაძო მისგან „სულ(ებ)ი ეგე არაწმიდებაჲ“, ღორების კოლტში უკრა თავი და კბოდედან ზღვაში გადაუძახა იმა კოლტს საბოლოოდ, მანამდისინ კი, სულ ახლახანად დამდგარს ადამიანად, კაცად, სახელი ჰკითხა და, ესმა: „ლეგეონ არს სახელი ჩემი, რამეთუ მრავალ ვართ“, ლეგიონნი ვართ, კი, მაშინაც, ახლაც, გინდაც მაინცდამაინც საფლავებშუა არ ვბღაოდეთ და გვარჩენდა, ჩვენ, და მთლად არსობრივ ხარობდა ხოლმე სახარებელს თუ გადააწყდებოდა მაგრამ რა მეტხშირად მოიწყენდაც, ხან; უკვირდა კიდევაც სასიკეთო-რამ რაღაცები, ადამიანებთაგან მიხვედრა და ამოცნობა მისი, ქრისტესი, თუნდ იმა ასისთავისა, სარწმუნოების როგორ კეთილად - „კეთილობა - ტბა რამე უკიდო“ -ც - ამომცნობსა და როგორ სამართლად, - „სამართალი არს შჯა, მართლად გამყოფელობა ღირსებისებრ თითოეულისა“ - ძალიან, ძალზე როგორ მართლად, მართლიად ამომცნობი იმ ასისთავისა თავად ქრისტეს რომ იესუდაც მიუბრძანებლად რომ შესთხოვა ნატვრის აღსრულება, ხოლო ზოგიერთდამი განუზომელზე უფრო მაღალი სიყვარული ისე სძრავდა რომ, თავის ლაზარეს, ორსახელიანს, ხომ სხვებთან ერთად „ცრემლოობდა“, ერთადერთხელ კი, ავადწითელ დღეს ჩვენთვის, კაცთათვის, ჩვენი რატანჯვით გადარჩენისათვის ჯვარს რომ ეცვა ავაზაკებშუა და აი იქაც კი, მილურსმულმა რომ აცხოვნა ერთ-ერთი მათგანი, მაგრამ სწორედ იქ, იმავ მახინჯ და უსათუთეს დღეს, ადამიანებისაგან თავიანთჭკუით სიკვდილისათვის განწირული და ვინ ეს, -

ქრისტე, რომელიც ჩვენთვის და ჩვენისა ცხორებისათვის გარდამოხდა ზეცით და იესუდაც მოვიდა ჩვენთან ჩვენთვის, ადამიანებისათვის, და მაინც ისევ ადამიანებით მინიჭებული ტკივილებისაგან ადამიანიც იყო იმდენად, რომ..., დასცდა: „ელოი, ელი, ლამა საბაქთანი“...; ნიშნის მოგებაც კი ჩაუდენია, რაღას და რას არ მიმართავდა, გადავერჩინეთ რომ, მაგრამ, აბაა... მაგრამ ის როგორ იყო?, სამარიტელ დედაკაცს რომ ჭასთან რომ უთხრა: ეს კი სწორად თქვი, მართლაც არ გივის არა-ქმარი, რადგან ახლა რომ გყავს მამაკაცი, რიგით მეხუთე, აბა რაღა ქმარია ის შენიო, და მაინც ცრუსა და ჩაჭრილ თვალთმაქცს, მაცოცხლებელ წყალს, მარადს, მაინც დაჰპირდა, - არა, არ იყო სუყველაფერი მხოლოდ ღვთით, რადგან ნებაზეც ხშირად გვიშვებდა თავად სიცოცხლის გადამრჩენი, და სიკვდილისა სიკვდილითვე დამთრგუნველი, ოღონდ ეს შემდგომ, აუარებელ ცდათა მერე სხვა გზა რომ არა დარჩენოდა რა; მანამდე როგორ გვივლიდა, მთლადაც სიტყვებად ქცეული ეს თვით თავად სიტყვა მამა-ღმერთის, და ძე მხოლოდშობილი, როგორ გვმოძღვრავდა, და სადამდე აღარ გვაცლიდა რა სიმრუდეებს, როგორი მომთმენი, უმსგავსობათა ჩვენის მომთმენი და ამტანი ძალიან როგორ, და, ქომაგიც რომ? - მისგან იგავადაც თქმული რომ ლეღვი ერთიც ედგა ვისმეს თავის სავენახეში, ვერ ნაყოფობდა, და მივიდა ყოვლის გადამწყვეტი და უთხრა ლეღვის პატრონს რომ აგერ უკვე სამი წელია მის ლეღვს რომ სულ ვერ უნაყოფია და, - „მოკუეთე ეგე, რაᲘსათვის ქვეყანაცა დაუპყრიეს უქმად?“ ხოლო ვენახის-მოქმედმან სთხოვა კიდევ ერთი წლით, მომავალ შემოდგომამდე დაეტოვებინა ლეღვი, მანამდე კი, უფრო და კეთილად უპატრონებდა - გარეშემო მოუთოხნიდა, მორწყავდა, სასუქს მიაშველებდა და ეგებ ენაყოფა, ხოლო თუ მაინც არა, „მერმე მოჰკუეთე იგი“, და ამისათვისვე, ჩვენს მოსავლელად, რომ არ მოვკვეთილიყავით, როგორ და რახშირად დაიარებოდა თვალნათლივაც ჩვე-უღირსებში, ჩვენშუა, ჩუენში, ჩვენში, და ღმერთისადმი ჩვენს-ჩვენდა განსაწყობად მიცვალებულებსაც კი აღადგენდა არამცთუ მხოლოდ დავრდომილებსა თუ მოქმედ ცოდვილებს, როგორ არჩენდა, გვარჩენდა, უსინათლოთათვის შუქის ჩამდგმელი, მშიერთა დამპურებელი, ხანდახან სულაც რომ არ ვიცით და იმ მთავარი მწყურვალების ცხორებისაწყალით დამასაზრდოებელი, ჩვენთვის, კაცთათვის გარდამოხდენილი საიდან და სად რა ქვემომდე, მობრძანებული როგორ უბრალოდ, უშუალოდ, ქვეყნად ბაგაში, კი, ჩვენსავით ჯერ ჩვილი და მერე ბავშვი და მერე ყრმა და მერე ჭაბუკი და, მერე ნათლისღებით, დიადი მოწმით განმტკიცებული და როგორი დიდებით შემოსილი? - უბრალო იყო; ღარიბი; როგორ დაგვზრუნავდა!, და გზასაცდენილებს, დაკარგულებს, მოგვიძიებდა როგორ, დაკარგულ ცხვარს რომ ღამე-ღამედაც დაეძებენ ხოლმე და მერედა როგორ, მერედა რისთვის, - ორსავეთურა სიხარულისათვის, მძებნელ-მპოვნელისაც და დაკარგულ-გადარჩენილის, გასახარებლად, სიხარული კი იმითი იყო, რომ, კაცსა თუ ვისმე ედგა ასი ცხოვარი და ერთი მათგანი რომ შეცდენილიყო და მიკარგულიყო, სხვა დანარჩენ ოთხმოცდაცხრამეტს ხომ დაუტევნებდა და შეცთომილის მოსაძებნად წავიდოდა და ძებნიდა, მარად დაეძებდა ხოლმე, და თუ მოიძიებდა, იმისი თავიდანი ყოფნით ტკბობა უფრო უხაროდა ვინემ დანარჩენი ოთხმოცდაათისა და ცხრისა, და მზრუნველ ხელებზე ატატებულს მიარონინებდა დანარჩენებისაკენ, იმათშუაში სვამდა პოვნილს თავად იესუ, ცხოვარ-ბატკანთა კეთილი მწყემსი, ადამიანთა მესათხევლე, შევხვდებით კვლავაც... მაგრამ ჰოიდავაი სირცხვილო,

როგორ თუ კვლავაც-ო, სულ ჩვენთანაა, მუდამ, სულ ჩვენთვის, ალბათ მხოლოდ ეს ფურცლები თუ ვიგულისხმე, ნეტამც არა ფუჭი, და თუ უეჭვოდ ღირებული რამ სულში გვივის, იმისითაა; ერთიც ნამცეცით როგორი შემძლე; და გინდაც თავად იმისი მყარად და უფრო სამყოფელით, აუარება საყდარ-“ტახტ“თა განხურვებულად და გამფენელ სიბრძნეთა“, სერაბიმთა და ქერუბიმებისაგან, განმტკიცებული, სადაც გვეძლევა „უფლებანი, ძალნი და ხელმწიფებანი“, და საყდარნივეა ზეცისური „მთავრობანი, მთავარ ანგელოზი და ანგელოზი“, და ეკკლესია, ეკლესია-შესაკრებელი იმის მიმდევართა არის მისი სახლი და ურღვევი სხეული გინდა სულ ქვა-ქვად ჩამოქცეული და მიწა-მიწად განფენილი, იყოს, მთლად დაქცეული ოღონდ ეს მხოლოდ თვალისათვის, და ეს უღირსიც, თუ რაიმს წერდა, ეს მხოლოდ თვალ-ცთომილისათვის ჩამოქცეული ეკლესიისაც კი ერთიც ლოდის, ნასაყდრალის, მოთბოდ რუხ თითქოსო ხეშეშ ლბილ ზედაპირზე დაედო ცოდვილიცა და მოყვარულიც, რამეებისა მაშენებელი მარჯვენა ხელი, და მთელი თავისი შესაძლებლობებით ითავისებდა იმას, რაც მიესაჯა ცხოვრებაშიც და, სხვაგანაც, ჩვენა კი, ჩვენი ხსნისათვის ჩვენში საიდან გარდამოხდენილი სწორედ ჯვარს ვაცვით თუმცა თავი და თავი მამის ნება იყო ეს და ისევ ჩვენდა გადასარჩენად რადგანაც ჩვენგან უმრავლესობით უარყოფილმა „ივნო და დაეფლა“ და, მაინც, ვითომც და გინდაც დაფლულმა, ისევე ჩვენთვის „ჯოჯოხეთსა შინა შთასვლითა ეშმაკისა ძალისა დამთრგუნველი“, დამმარცხებელი, იყო, და არის, მარადიქნებაც, - აღდგა; როგორ ვუყვარდით, და თანაც „სოფელსა შინა იყო, და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმან იგი ვერ იცნა“, და ვუყვარვართ მაინც, როგორ, დაუდევრები, მესხვადასხვიები ძალიან როგორ, მისი სიკვდილით სანამ ცა არ განიპობოდა და თავზარდაცემამდე მისი, ჯვარცმულის, იესუური წმიდასულმობრძავის დამცინავები-ჩვე როგორ ძალიან ისე, და წყალის ნაცვლადრო ძმრით გაჟღენთილ ბინძურ ღრუბელს, „ნავღლითაც აღზავებულს აწვდიდნენ იმ ბაგეებში რომელ ბაგეთაგან სახარება რომ, სულიწმიდათი, მახარებლების მიერ „გიყვარდეთ ერთმანეთი“, ითქვა, ქრისტესი სიტყვით; დასცინოდნენ რომ? - რტყმევა-ცემისას, - აბა რომელმა გდრუზა შენ?, და ჯერ ხომ ეკლის გვირგვინი ხარხარით შეთხზეს და თავსა მისსა დაადგეს და ლერწამი მისცეს მარჯუენესა ხელსა მისსა და მუხლნი დაიდგინეს მისაწინაშე ვითომდა იმის აღიარებად თავმოკატუნებულებმა და, მასხრად იგდებდნენ თავიანთი ჭკუით, და ბილწი ბაგეებით: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო!, „და ჰნერწყუვიდეს მას - ვის!! - და მოიღეს ლერწამი და სცემდეს თავსა მისსა - ვისსა, ვისსა!!“ და განუწყვეტლივ, გადაფიჩინებულები დასცინოდნენაც და ცბიერული თვალთმაქცობით კი დროდადრო ისე შეგუბებული გველაძუობით რომ, ბინძურსულაკაწკაწებულები, ვითომდაც ხსნისას სთავაზობდნენ: „უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გარდამოხედ მაგიერ ჯვარით!“, ხოლო იესუ, მამის ნების, როგორი ტანჯვით აღმასრულებელი, ევნებოდა, მათთვისვე, როგორ, და - „შეუნდე, მამაო, რადგან არ იციან რას სჩადიან“, ეს - იმთმენისას, და რას უძლებდა, მპატიებელი მაინც, და ვისთვის ეს, ეს!, - ისევაც ჩვენთვის, განწმენდისათვის, ჩვენი, ხოლო ერთხელღა რომ აღმოხდა როგორი ბუნებრივად სადა, წმიდა წყლის ადამიანური: „მწყურის“, მთლადაც უბრალო წყალისა ნაცვლად კვლავ ძმარი და თანაც მაგრამ უსუპით - ქვეყნიერთა განსაწმედელად აიაზმაში, წმიდა წყალში რომ შეურევდნენ ხოლმე მაგრამ ახლაღა ძმარ-ნაღველში სამასხარაოდ შეერივნათ - შეზავებული რამ-

ასეთი „მიუპყრეს პირსა მისსა“, და, მიიღო მაინც, იესუმ, ქრისტემ, იმათი სიბინძურეც, ხოლო ბრბოისი შესაფერნი „მღდელთ-მოძღუარნი იგი“ც, სწორედაც რომ თავ-თავიანთი ერის გზამკვლევები, შემთითხვნელებსა და ფარისევლებთან ერთად მთლად არანაკლებ დასცინოდნენ ხოლო ხანდახან კი თავის გადაქნ და გადმოქნევით ახედავდნენ და „და იტყოდეს: სხუანი აცხოვნნა, თავი თვისი ვერ ძალ-უც ცხოვნებად - ჰაჰა - ქრისტესა, მეუფესა - ჰიჰი - ისრაელისასა!“ - და, სხვებიც, რამდენნი, იმათი კუდები: - თუკი „მეუფეჲ ისრაელისაჲ არს, გარდამოხედინ აწ მაგიერ ჯუარით“ და გიწამებთ შენ, ხოლო იესუ, დუმდა; და ხოლო მერე კი, სწორედ ის ნაღველიანი და უსუპიან-განსაწმენდელი ძმარი რომ მიიღო, - როგორც ეს 68 ფსალმუნშია: „და მცეს მე საჭმელად ჩემდა ნავღელი და წყურილსა ჩემსა მასუეს მე ძმარი“, და სად გინდ დიადი მეფსალმუნე და სად გადამრჩენელი, ქრისტე, რომელიც დავით-მეფსალმუნეზე რამდენად ადრე, უწინარეს ყოველთა საუკუნეთაც და მის შემდგომაც, იესუდ, იყო, ჯვარცმულს კი კიდევ რამდენად მეტად ემწარებოდა ალბათ, ასეთი სასმელი, „და მიიდრიკა თავი და განუტევა სული“, ჯვარცმულისათვის როგორღაც მაინც ისე ნაადრევად რომ, ეგებ იმისათვის, წვივების გატეხვა რომ ვერ მოესწროთ ჯალათებს როგორც ეს ძველ საღვთო წერილში ორგანაა, ბუნდოვნად, რადგან კარგა ხნის შემდეგ უნდა მომხდარიყო ასეთიც დასჯა, მაგრამ, სამაგიეროდ, ერთმაც დარაჯად მეომარმა, თავგამოსაჩენი სიყოჩაღით, გარდაცვალებულს უკვე, ლახვარით უგმირა ფერდსა მისსა, და გარდამოხდა იესუსაგან სისხლი და წყალი, და, სწორედ იმ ადამის საფლავზე დაინთხა, ვინაც მამას, ღმერთს, გაძევებულიც, მაინც უყვარდა და თანაც როგორ, - შთამომავლებიანა.

ეკლესიებში, ჯვარცმულის ფერხთით, თავის ქალა, ადამისაა, იმ ადამისა, რომ „შექმნა უფალმა ღმერთმან კაცი“ მიწის მტვრისაგან, ქვეყანისაგან და ეგებ ალბათ იმიტომ-ხომაც ხომ არ უწევდა ნაყოფიან და კეთილხეება და როგორ ამოდ გადაბურული ედემიდან მშრალი მიწისაკენ, გული, იმ ადამისაც, რომ, თავისი ძნელი შემოქმედებით - ყოველი სულიერისათვის სახელთა შერქმევა - და თვით სამოთხეც კი ეგებ მობეზრდა და გული აიყარა ჯერ და მერე კი, ტანჯვით გაბეზრებულს, აღარ მოუნდა ჯოჯოხეთური ისეთი შრომა-რამ ხვდა რადგანაც და ერგო წილად, და ეგებ იქნებ ამისათვის როგორი გემრიელიც და მზანაყოფებიანი სამოთხე დაუტევა, და ეგებ განზრახი ცოდვით ისულმოკლა, და ესაც ეგებ სულაც შუბლზე ეწერა, მისჯილი ჰქონდა, რადგანაც ამა რომელ ადამსაც ჯერაც შეუცდენელ გველით ევამდეც წინასწარმეტყველურად ათქმევინა ღმერთმა ევაზე, რომ, - გახსოვთ ალბათ: „ამისათვის დაუტეოს კაცმა მამაჲ თვისი და დედა თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა“, და მუდამ გვიკვირს - სად იყო, მაშინ, აბა, აბა რომელი დედა... ადამ და ევა... უღირსისათვის, გასაგებად, ყველაზე ძნელი ადგილი მთელს ბიბლიაში იობის ნაქებ მოთმინებასთან ერთად, მაგრამ, ხსნისათვის,: „სასოება ჩემდა მამა, შესავედრებელად ჩემდა ძე, მფარველ ჩემდა სული წმიდა“,

ზედ გაძევებისას კი, ვიცით ესაც რომ ტყავებით შემოსა რისხვით მაგრამ მაინც ალბათვე მისით, მართლაცდა შე-უღლებულები, და მრისხანედ კი ჩამოსცქეროდა, შემდგომაც, სამოთხის გარეთ გარე-მცხოვრებლებს, ხოლო ადამდაევამ განმრავლება რომ იწყესა და მეტები გახდნენ, ცოდვილი ადამ, რომელიც დიდის

დაეჭვებითა და გამომცდელად შესცქეროდა შვილებს და შვილთა შვილებს და იმათსაც შთამომავლობას ანუ ასე იგი ჩვენ,ც, დღეინდელებსაც წინდაწინვე თანაგრძნობით გადმოგვცქეროდა რადგან იცოდა, წინასწარმეტყველმა, რა ძნელი იყო საერთოდ, შრომა ხოლო ზოგი-რამ შრომა - განსაკუთრებით, ხოლო თვით მამა-ღმერთი, მეპატიოს ეს გაუგონარი თავხედობა მაგრამ ბავშვების დანახვაზე ეგებ მთლად მხოლოდ ერთადერთხელღა გაიბზარა და სიყვარულით, თუმც, და თუ თვით მამა ღმერთის ნება თუ არა, რატომ უყვარდა ისე ძალიან, ასე ძალიან იესუ ქრისტეს, ბავშვები:

მახარებელთაგან, ლუკა 2,23: „ყოველმან წულმან რომელმან განაღოს საშოჲ, წმიდა უფლისა ეწოდოს“,

იოვანე 16,21: „დედაკაცი რაჟამს შობნ, მწუხარე არნ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი. ხოლო რაჟამს შვის ყრმაჲ, არღარა მოეხსენების სიხარულითა მით, რამეთუ იშვა კაცი სოფელსა შინა“.

როგორ უყვარან, მამას და ძესა და წმიდასა სულს, მათი და ჩვენი, ჩვილები, ბავშვები, ქრისტეს კი, თვალნათლივაც, და სიტყვით:

როგორ უმზერდა ჯერ შორითებსაც, ალბათ, და ხოლო როცა ჯგლეთად მოჯარულებმა ბავშვები მიუყვანეს, ხელსრული მათეც იყო იმასთან, და, თავის 18-ში, აღწერა მანამდელიც, და, როგორია, ნამეზვერევარ მატთეოსისგან, მათესაგან მოხარებული:

„და მოუწოდა იესუ ყრმასა და დაადგინა შორის მათსა“, მოწაფეებში, - მათე 18,2, და

18,3 - „და ჰრქუა: ამენ გეტყვი თქუენ: უკეთუ არა მოიქცეთ და იქმნნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა.

18,4 - რამეთუ რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ვითარცა ყრმაჲ ესე, იგი უფროის იყოს სასუფეველსა ცათასა“.

18,5: „და რომელმან შეიწყნაროს ერთი ყრმაი ესევითარი სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარებს“.

18,6 „და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი ჩემდა მომართ მორწმუნეთაჲ, უმჯობეს არს მისა, დამო-თუ-იკიდოს წისქვილი ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა“,

და ის როგორი და რა სუსხი შეერია სულ-მეტადთბილად ჩამჯდარ, ხმაში,

18,7 - „ვაჲ სოფლისა ამის საცთურთა მათგან, რამეთუ უნებლიადცა მომავალ არიან საცთურნი“ - ვაი ქვეყანას ამას საცთურთაგან, რამეთუ საცთური გარდაუვალია, „ხოლო ვაჲ არს კაცისა მის, რომლისაგან მოვიდეს საცთური“,

ხოლო როდესაც მერედამერე მოციქულებად აღზევებულები, ქვესოფლად ქრისტესი ღარიბნი როგორ და ხოლო სულით ეს რაშემლებული და რა მდიდარი

მიმდევრები, ადრე კი ჯერაც ვერმცოდნენი ბავშვის ფასისა და მაგალითისა და ტუქსავდნენ კიდეც დიდებისაგან ქრისტეს წინარე გადარჩენისათვის მირეკილ თავიანთ მოდგმას, ვისაც ბავშვები მართლა გიყვართ და არამხოლოდ თქვენი, და არა სახელმწიფოთა ეგრეთწოდებული თავ-კაცებისა დაყენებული საქციელითა თუ ენით და გამოსამზეურებელი კაიკაცობით ვითომ, გადაიკითხეთ ბავშვებზე თქმული იესუთი და გაიხარებთ, მარკოზ მახარებელის 9,36-37.....,

და მახარებელ ლუკასი 9,47-48.....,

ლუკა 18,15-17.....,

მარკოზ 10,13-და..... ხოლო 10,16 - როგორია!

და კიდევ რამდენი „ახალ აღთქუმაჲ“ში, ჩვილებსა თუ ბავშვებზე, ყრმებზე,

და მაგრამ ჩვენი ხსნისათვის თავი და თავი ჩვენს ბავშვობაზე მაშინაც, ახლაც როგორის დიდი სასოებით ჩვენთვის გარდამოხდენილი მაინც ჯვარს ვაცვით თუმც მამის ნებად შეიქმნა ეს, იესუ ქრისტეს ხშირად უიღბლო ქადაგებებისა თუ საქციელის შემდგომ; თავის მშობლიურ სოფელში კი ისე ძალიან იცნეს რომ მთლადაც საერთოდ ვერ შეიცნეს და გარეგნულა-ცნობის წყალობით ისიც კიდევ კარგი რომ ქვები-მაინც არ დაუკრებიათ, მასზე, ხოლო როცაღა „ივნო და დაეფლა“ და მაინც, ისევაც ჩვენთვის, დამკვლელებისა მისი, ისევაღ ჩვენთვის „ჯოჯოხეთსა შინა შთასვლითა ეშმაკისა ძალისა დამთრგუნველი“, დამმარცხებელი, იყო, და არის; მარადიქნებაც, და როგორ ყოველთვის და ადრევე მტკიცედ იცოდა, რომ -

იოვანეთი გადმოცემული, მოწაფეთადმი - იოვანე 16,32:

„და არა ვარ მე მარტოჲ, არამედ მამაჲ ჩემი ჩემ თანა არს“. და, ისევ იოვანეთი მოხარებული, იქვე, მთელ სამყაროზე გამარჯვებულის,

16,33: „ამას გეტყოდე თქუენ, რაითა ჩემ თანა მშვიდობაჲ გაქუნდეს. სოფელსა ამას ჭირი გაქუს, არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“,

და, ჩვენი არამცთუ დამპურებელი, ცოცხალი წყალითაც კი მასაზრდოებელი, ჩვენთვის მოსული, ჩვენი გადამრჩენი იმისათვის რომ ეგებ კვლავღა ვეცადოთ მისად შევრდომას ანუ გადარჩენას ჩვენთვისვე, ჩვენთვის, ჩვენი, და ეს მერამდენედ ვმწუხვართ-ვნანობთ რომ ჯვარზე ვაცვით და მაინც, გვაზეიმებს მაინც-როგორ ის რომ უფალი „და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა“, და მისითაა ეს, რომ, ჯერაც რომ რომ-ვართ, დაბადებულები აურაცხელობით იშვიათიღა შესაძლებლობიდან, წმიდა სამების ნებით, თვით მამა-ღმერთის და მისი სიტყვისა და მისივ სულის - „რომელიც მამისაგან გამოვალს“ - წყალობით როგორ, ჩასახულები, მთავარ ბოძებად სწორედ სულის, სულითვე როგორ სულიერებით, ვიყავით, და ვართვე, ვიქნებითც კიდევ, მადლიერები თუ უმადურებიც, გინდ რაღაც ფრენისადამაგვარი შევიძლოთ და გინაც მხოლოდ ვბოგინობდეთ, რადგან, წმიდასამებით ჩასახულებს,გვებოძა - ყოფნა, ჩვენს ჭკუაზედაც კი.

და ხოლო ჩვენ კი... (დასასრული V)

და ხოლო ჩვენ კი, ეს რა წყალობად გავჩნდით ქვეყნად ერთ-ერთეულებად, როგორ მაღლიდან, ჩვე-დაბლები, როგორ მაღალსულ-შთაბერილები, მაგრამ როგორი სულსწრაფები და მეტიც უფრო - ხორცსწრაფები, და თვით როგორ მარტივად ჩვეულებრივი და ურთულესი სხეულით კი, სუთავიდანვე ვყალიბდებით კარგა რთულადაც თურმე, საკვირველებად როგორ და დაბლითურადაც კი ასე გამოვთქვათ და, ახლადაღმოჩენილად ხელსაწყოებებიანი მეცნიერ-დამკვირვებელთა მატერიალისტურობითაც კი, ვარსდებით თურმე ისე რომ, წინადაწინვე, განსაცვიფრებლად როგორ! -

გაზეთებიდან:

თურმე,

„ბავშვს დედის მუცელში მშვენივრად ესმის და არჩევს კიდეც ცალკეულ სიტყვებსა და ცნებებს;

სცნობს მშობლების ხმას და სიხარულის „ღუღუნით“ რეაგირებს მასზე.

განასხვავებს ინტონაციას: ნერვული და შეშფოთებული ხმის გაგონებისას გულისცემა უჩქროლდება. წყნარი და დინჯი ალერსი ამშვიდებს.

ჩვილი იმახსოვრებს მოვლენებს, რომლებიც ხდება გარესამყაროში და მასზე მშობლის რეაქციასაც კი.

მისი სმენა ეჩვევა იმ ენას, რომელზეც გარშემომყოფნი საუბრობენ და თუ ბავშვს იშვილებენ სხვა ქვეყნის მოქალაქენი, იგი მომავალში იოლად აითვისებს იმ ენას, რომელზეც დედა ლაპარაკობდა.

დასკვნა მედიკოსებისა ასეთია: მშობლები უნდა ესაუბრონ თავიანთ ბავშვებს დაბადებამდე. შესაძლოა მათთვის ზღაპრების წაკითხვა არ ღირდეს, მაგრამ საგანგაშო სიტუაციაში ჩვილი უკვე შეგიძლიათ დააწყნაროთ ალერსიანი სიტყვებით; მოუყვეთ მას, როგორ გიყვართ, როგორ ელოდებით.

ამის გარდა, შეგიძლიათ თოთოს უმღეროთ. მისი „თანხლებით“ მოუსმინოთ მუსიკას.

ზოგიერთი დიდი მუსიკოსი იხსენებდა ნაწარმოებს, რომელსაც ისინი ნოტების გარეშე, „ზეპირად“ უკრავდნენ. შემდეგ გაირკვა, რომ მათი დედები ფეხმძიმობის დროს ასრულებდნენ იმავე მელოდიებს.

მხოლოდ უნდა გახსოვდეთ, რომ ყველა მუსიკა ერთნაირად როდი მოქმედებს ნაყოფზე. კლასიკა ბავშვს აწყნარებს. სამაგიეროდ, როკის წინააღმდეგ ყველა ჩვილი ჯანყდება და განწირულად იწყებს წრიალს დედის მუცელში.

და, რაც მთავარია, მას უკვე უყვარხართ.

23 დღის ემბრიონის გულს ისევ მილის მსგავსი ფორმა აქვს, მაგრამ უკვე სახეს იცვლის.

ფეხმძიმობის მეორე თვეზე ჩამოყალიბებას იწყებს ჩონჩხი, მეხუთე-მეექვსე კვირას ბავშვს სახის ნაკვთები ეხატება და ყალიბდება სმენის ორგანოები.

მე-16 კვირიდან იწყება თვალების, თავის, ხელების და ფეხების სპონტანური მოძრაობა. ამ პერიოდში ყალიბდება გემოს რეცეპტორები. თუ დედამ ბლომად მიირთვა ვაშლი, პაწია შეიჭმუხნება, კოპებს შეკრავს. თუ ტკბილეულით „გაუმასპინძლდებიან“, გაიღიმებს. ბავშვი ინტერესს ამჟღავნებს ვანილის, მარწყვის, ბანანის სუნის მიმართ.

ერთი სიტყვით, ორსულობის მესამე თვეზე დედის მუცელში იმყოფება არა ემბრიონი, არამედ ნაყოფი, რომლის გულისცემასაც შეიძლება ულტრაბგერის დახმარებით მოვუსმინოთ.

12-14 კვირის ბავშვი უკვე ადამიანია პაწაწინა თითებით, ხელებითა და ფეხებით. მას შეუძლია წუწნოს თითი, ითამაშოს ჭიპლარით და, წარმოიდგინეთ, იკოტრიალოს კიდეც.

26 კვირის ბავშვი რეაგირებს სინათლის შუქზე.

დედის მუცელში ჩვილი ჩვეულებრივ იძინებს და იღვიძებს და სიზმრების ნახვაც კი შეუძლია. დაბადებამდე თვენახევრით ადრე ბავშვი იწყებს ქალისა და მამაკაცის ხმების გარჩევას, იმახსოვრებს ლექსებს და, რაც მთავარია, იავნანას.

ექვსი თვის პატარა ადამიანი თვალებს ახელს.“

და არა მხოლოდ მათი იმთავითვეთიც ნება ამისათვის, არამედ როგორ დაგვზრუნავენაც, სუთავიდანვე, სამნივე, თურმე, ჩვენ.

და, მართლაც, ჩვე-მერმე-გაუხეშებულებისაგანაც როგორ სათუთად დასახედები, ბავშვები, წმინდები ისე რომ, ცრემლით და ღიმითა და ნერწყვიანა, მუდამ მართლები, რა მცირედზეც კი, დაყვავებაზე - გატრუნულები, მოფერებაზე - როგორი გულით შემომცინარენი მთელი თავიანთი პაწია და რადიდისაც, არსით, და, თუ სტირიან რაიმს? - აწუხებთ რაღაც, და არა ჭინჭყლი, რა შორს-გან-აა იმათგან ტყუილი თუ თავის მოკატუნება, ბოღმა თუ კვეხნა და ქადილი, ან როგორ სძინავთ - ისე სრულიად და სავსებითი სიმშვიდით რომ, როგორც ღვთის ნება, და არამცთუ ჩამდენები არამედ არც კი იციან სიყალბე რაა და არც ჩვე-დღეინდელი ძირითადი ამპატრიოტობისა ხომ არა უწყიან, მოგებისა და შეძენისათვის როგორდა ყოვლად უმაქნისები და სუფთებია, და უფროსების დაუდევრობებითა თუ მთლად უარესი - ოხრობებით როგორ იტანენ ამ ჩვენს დღე-ინდელ ბნელს, ჭუჭყს, სიცივეს და ნაკლებობას რიღასი აღარ და მაინც ბნელშიც ნათელნი, ჭუჭყშიც - სპეტაკები, და ჩვენს, დაუცველ ზამთრობითაც რაგინდ ყინვაში - თბილები არიან, როგორ, მართლა, და, ახლა, მთლადაც გარეგნობით? მობუზულები თუნდ, რადგან ამყოფით, ახლანდელები, და მაინც როგორ როგორებია, როგორი ფაქიზად ფრთხილი რონინით სატარებლები და ჩვენიც აქეთ

დამატარებელნი და ამამაღლებლები მაგრამ ამ ვაიდყოფნით რადაჩაგრულად უწიგნოები, ურძეოები, გულშემოყრილი თვალებჩაცვივნული დედ-მამისა და ახლობლების შემყურენი, ლტოლვილები, და პეშვგამოწვდილებიც!, და ჯერაც მაინც სათუთები, როგორ, მაგრამ ცოდვების რა ფართო გზა-ნაკვალევზე ჩვენით, დიდებით, საითკენ აღარ გაზრდილებით, ვაჭრობითა და კვლა-ვაჭრობითი პატრიოტობით, - როგორი ცრუთი, არნახულით, გაუგონარით, სიმართლისაკენა ლაბირინთში, რა ძნელ ხლართებში ჩაყენებულები, ჩვენი ბავშვები, ვაგლახ, ასეა, კი, ვუიდ-კი, რადგან ცოდვების იმფართო გზაზე და დიდად გზახსნილზე სიბინძურისაკენ ასეთ უამურ დეკოლტედჩახსნილები მათი დიდები, მიმომბრუნავნი, თანამდებობა თუ ყალბსიტყვანაშოვნნი თუ ნავთდაცეცხლ ნაშოვნები და ამითა-კი ფულნაშოვნები ვითომდაც ეგზომ ლაღად და ისე უდარდელად ბნელ გულში გინდაც სიცილის ნაცვლად, რომელი ერთი კენტავრი გინდა თუ ბუცეფალურ-მოჭიხვინენი ისე, რომ ასე, რა უდღეურად გალაღებულები და მატერიალისტურიც კი ყოველ კანონ-წესდებათაგან განსგასულნი თუ დამბიჯებელნი, ყოველ შეზღუდვა-უცოდველობის მიუღებლები და აშვებულები რომ, უდარდელობა ისეთი რომ, ცხრომის... - თუმცა „განცხრომა“ საბას მიხედვით „თამაშობა, ხუმრობა და ლხინი“ და დღევანდელურადაც: „უაღრესი კმაყოფილება, ნეტარება, სიტკბოება“ა, და მაინც „ცხრო“ კი, ძველებურად „ცივების სენია“, ხოლოღა „ცხრომა გავსებულის მთვარის მოკლება“, ამგვარი განცხრომა-ცხრომის ნებივრად შეუზღუდველი ხალვათობა, ვითომ, მაგრამ რა და რაისი ხალვათობა, რომელი სიხალვათე რადგან სულ ბოლოს საბოლოოდ და საბოლოო მჭიდროდ შემოგიზგიზებულ ცეცხლზე ასაბღავლებლები რადგან აქ, ამ პაწა და რაღაცწუთიერ ქალაქ-სოფელში იმა ვერაგით, მზაკვარით იმ, ზედაპირულად და სათვალნათლივოდ ვაით და ვუიდ ხელშეწყობის და იმისი მოადამიანებოც დამქაშთა ბილწ თავ-ხელისა შემწყობებით და ისევ იმათით მარადიულად დაღუპვისათვის განწირულებია, რადგან, ბოროტი, თავის ყველაზე ერთგულ მიმდევარებს, თავისიანებს მართლაც და ვითომც, - რამდენად მეტად, სპობს, ვინემ მართალი სულით უარისმყოფელებს, მის; ეს, ჩვე-დიდებში ვითომდაც, ეს, საკუთარ ბედთა ვითომც ლამის ერთპიროვნულად გადამწყვეტების მაგრამ, მაგრამ ბავშვებმა რა დააშავეს ისეთი რომ, ჯერაც სუფთები, მაგრამ ჩვენით-დიდებით ოღონდაც მხოლოდ ასაკითა და სიგრძით, როგორ ეკალ-გზად შეყენებულებით, ჩვენით, რადგან, - გავიზარდენით? გზამკვლევლები ვართ? - კი? როგორ არა, გზა-მკვლელვები მაგრამ გააჩნია ხომ, საითკენ, რისთვის, როგორები... მიმოვიხედოთ და... - აქაურობას, ჯვარი... ბავშვები აქეთ მოვიშველიოთ, და, დავიხმაროთ უნდა, აქეთ ვიზარდოთ.

და არამცთუ ბავშვი, როგორი კოხტად საცქერლებია ნუკრი გინდა თუ ბატკანი გინდა, ფინია, გოჭუნა, ბაჭია, ბოჩოლა, ჭუკი, ჩოჩრის თვალებს თუ დაკვირვებიხართ, მოყვანილობას მის, ხომ გინახავთ კნუტის ცელქობა, ბელის გორაობა, ბოჩოლას კუნტრუში, ბოკვერებისა და ლეკვების თამაში, იმათი ავად ფაქიზი ბღლარძუნი, ბარტყ-შოშიების დაღებული ნისკარტი გინახავთ? მოგისმენიათ წიწილასი ხმა?

მაგრამ, ისინი იზრდებიან.

და:

მხოლოდ ფრინველებთაგანები თუ ლამაზდებიან - ფარშავანგი გინდა თუ ანდერსენის და იმედად ჩვენიყველასიც, გედი; და ბუ... ბუს თვალები აქვს? ჩაგიხედიათ? - მარტო კივილი კი არ იცის, თვალები აქვს ისეთი რომ? დედამიწაზე რაც რომ ფერი, გაღვივებულად როგორ ლამაზად სუიმისია, ცხოველებთაგან კი, გამშვენიერებით? - ე?;: ახლახანა ბოჩოლა და, ძროხა, საკისკასოდ დაცქვეტილი გოჭი და - ღორი, ისა მანამდე როგორი მიმზიდველი და თვინიერთვალება ჩოჩორი და, - ვირრი, ცქაფი მაიმუნიშვილი და, შედარვინო, ჩარლზ, და იმისი... ბოდიში, იმათი მიმდევრებიც თუკიღა ბევრნი? - ხრო; მიმოდიან?! - კი, კოპწიაობენ?! - რას!? როგორი წითლურ-იმიანები როგორც ადრევე, ისევაც ასევ-ისევე დღეს, ერთდროულადვე როგორც ზოოპარკ-საკნებში ასევ-აგრეთვე რაღა თქმა უნდა მთლად მიშვებული თავთკაცებიც, კი, მანქანებიანები, ხოლო „მანქანება - მრავალ სახე ხერხის ქცევა“, „მანქანი - ჭახრაკი“ და რაგინდ-საქმეც მოაჭახრაკონ და შეტოპონ მაღლა ანუ ჭაობში, დაბლა, მაინც, ბოდიშითა და - თავთ-მაიმუნებიანები, და რაგინდ ხისა-სავარძელ-მოჩუქურთმებულიან თუ ბამბა-მატყლ-ტყავა სავარძლების ზეითკენ მცვლელნი, მაინც ხისავე თავ და სავარძელ-ეს-ზედაპირულად გადაკრულებ თორე ხოლო იმ ჩონჩხად ხისფუძიანი სავარძლების საკუდიანოდ იონბაზური წყალობით ხომ - მაინცა ხისა ტოტიდან-ტოტზე მხტომნი მაგრამ ძალიანაც ნუ გამოვეკიდებით, სხვა თუ არაფერი რას დავეწევით, სალიდეროებია, წინამძღოლებია, თლათ; ბელადებიაოუოუია თავიანთ შტატის თავით თავამდე და საკუდომდეც მთლად და ერთმანეთში მშვენიერიკარგა არიან ოღონდ ერთიმეორისა შეძლებისამებრ გადამყუდებლებიც და ნუღარ დავდევთ, ისედაც რბიან, მოდით მივუშვათ თავიანთ ნებაზე და მაგრამ სულ ჩვენ არ გვეკითხება და გვეკითხებიან? - უნდივიდუალურურებია, მაშ, ოღონდ ჩვენ ჩვენსას ნუ გადავალთ მაინც, ნუ შევემატებით დასტურ-ამქარში, ისედაც როგორ ბევრებია, იჯლიგინონ, დაე, ოღონდაც, იქ, სად იქ... გამიწყდა გონია აზრი, სულ თქვენი ბრალია ჩემი მოსხლტომა, აბა რას მივედ-მოვედებით, ვცნობისწადილობთ პირდაპირ ისე რომ, მაიმუნივით... უიჰო! - არ გაგვწყვეტია მტკიცური აზრი ოღონდ რათავში ვიხლით, ვიღა მოგვიგდებს რაგინდ გრძელ ყურს, ავტოინიციატივებიანებია; კი. დიახ. მართლაც. დასტურ. და მახლას. უთუოდ. აფსუს. და სწორედაც რომ, - თავთკაცებია ისინი რომ? - პირდაპირ ზახრუმალა! და მეტიც უფრო, სულაც უჩვენოდ, და მართლაც თავისითჰავტოზახრუმალა! მართლა. რასაკვირველია. ესე იგი, - მაშ. მაგრამ ნუღარღა გავწყვეტთ სიტყვას, რომ ვუკვირდები თქვენი კი არა სულ ჩ(ვენი?)დარვინის ბრალია ეს, განვაგრძოთ, კი - კი, წინ ხომ აკი რაღაც მაინც ვითომც-ამომწურავი თუ არა რაღაც ამხსნელურივით-ეგებ პასუხი მაინც ხომ გვმართებს, და ვინ რა ვიცით კია მაგრამ სწორედაც ამიტომ განვაგრძოთ მაინც, ნელის ნაბიჯით და თუმც ამასთანავე არეულად, მივყვეთ, - როგორ ფუმფულა და მრგვალ ბელს გინდ დათუნია და დათუჩა ეძახე დიდხანს და მაინც გაიზრდებ-და-შემოგვეზრდება როგორიდიდი კაცო დაბოლოსა და, ადიდებული, სუბოლოს მაინც მტაცებელი და მოუხეშავადაც კი მაინც როგორი გაიძვერა-ბაბრი, დაათვი, მტაცებელთაგან აფთრისა გარდა მხოლოდ კატის ოჯახოვანებიღა ინარჩუნებენ რაღაც ცხოველურ რასილამაზეს და მერეც კი თენთილად ნატიფს, მშვენიერებია, და მათ ნახვას რა სჯობს ოღონდ თუკიღა არიან

დანაყრებულები - არ ჩავუყარეთ თუნდაც ასეთი გარეგნობა, წყალში? საჭმლისა გამო, ეს, ისე კი, მხოლოდ აფთარი თუღა სჭრით-მეთქი თავს გარეგნობითაც და ძღომითაც მაგრამ აფთარს დავეძებთ? - ადამიანი და, - ღორად... ღორი.

ღორობა...

ეს შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი გამოთქმა არ გახლავთ ამ შემთხვევაში, უბრალოდ, ყველაფერს თავისი სიტყვითსახელი ჰქვია. რადგან ღორობა სწორედ ისაა როცა ადამიანი - კიდევ კარგი რომ მხოლოდ ზოგიერთი - ყველაფერს განურჩევლად და შეუწყვეტლად გაუნელებელი უზომობით შჭამს, ხოლო შესაჭმელი საჭმელისაც გარდა რამდენ სხვა რამეს მოიცავს, კი, ერთხელ ერთ მეზობელსაც ქალაქად სამი ბურვაკი ჰყავდა და აღნუსხა-რა დაკვირვებული თვალით დღეში საკვების თუ რა რაოდენობა კარგა-ძღომისად ვითომ ჰყოფნიდათ და რადგან ოცდღიან შვებულებაში მიდიოდა, და მარტოხელა იყო, და ღორების ზნე არ იცოდა, ოცი იმდენი და ყოვლისშემთხვევაში მეტიც კიდე, საჭმელი დაუტოვა და, შვებულებად, არხეინს იყო, რადგან წყალიც ჩაუდიოდა გამოკეტილი გასაღორებლების (ბურვაკების) სადგომში, მაგრამ როცა დაბრუნდა და კიდევ მეტად გაზრდილი და დაღორებული სამი ქოსმენის ნაცვლად ორი გაჩხიკინებულიღა ნეკნებამომზეურებული ბინდშიაც კი, დახვდა, რომლებიც, შიმშილით მისავათებულები, ერთმანეთს თუმც კი უღონოდ მაგრამ აშკარად შესაჭმელად უმზერდნ-ათვალიერებდნენ - მთელი ოცი დღის საკვები ალბათ სუბევრი ორ დღეში შემოეთქვლიფებოდათ და მესამე თანამეინახე კი, თანაც მდედრი, შიმშილ-სიმშილ-სიყმილით მგლობამდე გადარეულებს უკვე შეესანსლათ, - კავალრობაცა ამას ჰქვია, არა? კი?, და ახლა ერთმანეთს ჰათვალიერებდნენ ასევე ნამდვილად არასამიჯნუროდ, კი.

ასე გაისუქა ბურვაკები მათი ნირისა და ადათის არმცოდნემ.

ხოლო ჩვენ, ჩვენ-ჩვენ სადარდელს მივყვეთ.

რაც შეიძლება, შევეცდები რომ მოკლედ, ისედაც ალბათ, ჰოდაარასი ასე უზომოდ დარღვევებით, როგორ მოგაბეზრეთ თავი.

ეს თავიდან მოთხრობად განზრახული ნაწარმოები კი თანდათან ისე შემოგვეზარდა, ძალიან მიკვირს. არადა, დამეთანხმებით, მერე არ ვიცი რა იქნება და 1991-დან 2001 წლამდე, საქართველოში ძალიან ჭირდა.

ჰოო? თუ, არა?

მამხნევებს ის, რომ იარაღის აღება მართლმადიდებლური ქრისტიანობის წესით მხოლოდ სამშობლოს დაცვისათვის შეიძლება.

ეგებ, დარღვევა ჰო და არა,-სიც?

ძნელია კია, მაგრამ როგორც შეეძლო უღირსს, წერდა.

და გულახდილი უნდა რომ იყოს, და,

ალბათ ატყობდით რომ, ახირებულად მისდევდა საქმეს,

თავისი კუთვნილი იარაღის გინდაც ბლაგვურად ქნევა-ქნევაში.

მაგრამ ბევრი რამ, სიმართლისაგან აღებულ-ჰქონდა, და არ გეგონოთ ის დაღვარჭნილობაც მხოლოდ თავისით მოსდიოდა. და გრეხვა-ესე, ხელისმიერიც, ესა, საქართველოსი ამ ვაიდ-მონაკვეთის შესაბამისად რომ გვხვდებოდა ალაგ-ალაგ და, თუმც, აბა რა ექნა, საწყალს, ვერ გავამტყუნებთ, და დრო და დრო თქვენი არ ვიცი და მისად კი შვებად სწორედ აიმათ იხსენებდა, ვინაც შველოდა, ამაღლებისაკენ, დედამიწიდან, ქუეყანიდან გინდ დიდი ხნის წინაც წასულები თითქოს, ვითომ, და ხომ ბუნებრივია, რომ თვით ღვთის იმედით,თვით....., იმისითა და იმათით იყო, რადგან ირგვლივა გინდა ცოცხალ და გინდ ვითომც ცოცხალ და ცალი შეხედვით მოყოჩაღო ადამიანებთაგან ვეღარავინ ეგულებოდა ისეთი, გადარჩენისათვის საფუძვლიანად მოჭიდებოდა აქეთკენაც მშველელად, თუმც პატიოსნებსაც კი რა გამოლევს ემ მოშურდულედ ტაშ-ფანდურაც გინდაც აბურდულ მოღრიანცელო საქართველოში მაგრამ პატიოსნება დაბნეულები და წყნარადღა იყვნენ, ხოლო ყბედებმა, ჩარჩებმა და ცრუწინამძღვრებმა მერედა რამდენი ვიშ-პარტიისა ა? რა ღორობაულად იჩაქჩაქეს და იჯაგჯაგეს და იჩინდრიკეს, გაინავარდეს მოკლედ, დაოთხებულებმა, მაგრამ სად ნავარდი და, სად ზემორე ხშირადაც როგორ ნახსენები ერთიც ცხოველი და, მაგრამ რაღაც ხავსური ჩასაჭიდებლად გამართლება ხომ ყველასა აქვს, წარმოიდგინეთ, ამ ცხოველებსაც კი, რადგან ზოგიერთ ჩვენებურისაგან განსხვავებით, შემწვარ-მოხრაკულ-ჩაშუშულების გარდა რკოჭამიაც კი, კაცო, იყვნენაცა და არიანცა და ეგენიც კი თავმდაბლობით რო გვჯობნიან, კაცო? იცქირებოდა აქეთ-იქით ბნევის უღირსი და მაგრამ, მაინც, მაინც კი არა, ნეტა, - სასწაული... და გასამხნევებლად, რომ, ტყუილ-უბრალოდ არც ერთი სიტყვა ხომ არ არსებობს, ხომ, და სასიკეთო სასწაულიც როგორ არ მომხდარა და არა ხდება მაგრამ ადამიანებისაგან, ამ?! - არა, არა, - ღვთივ.

და ღვთისმშობლით.

და წმიდანებით.

არა, არა, მაინც ვერ დავვიწყებივართ. მისაგდებები. არა. გვჯერა ამისი,

ხომ მატყობთ, არა, მთავარ რამეთ, რა მარტივად წერს... - ვინ და უღირსი.

ღვლარჭნილობების, ჩახლართულობების, წაუხდა მადა?

არადა, ალაგ, და ხშირადაც, როგორ ვითომდაც ერთი ხელმოსმით, გადაგვერეოდა როგორ, ხოლმე.

სხვა თუ არაფერი, ეს არნოლდიანი დასაწყისი მაინც რა იყო, ნაცნობები და ჩვენებურები და რაც გინდა იყვნენ მაინც ჩვენიანები არ გვეყოფოდა განა, თან დასაწყისშივე ხომ განსაკუთრებით უნდა წარუდგე განსაკუთრებულ მოჭკვიანედ ეგზომ-ძალიანაც დადარაჯ-მკითხველსა და ჰგმართებს (თუ გჰმართებს?!) აჩჩვენო თუ არა მოაჩჩვენო მაინც მთლად დია-ღირსეულად თუ არა მთლად

არაუღირსადაც მაინც, ეს გინდაც მთლად კიკო თავი, - რა სიტყვებს ვხმარობ... - არამედ ეს კონსილიუმურად ინდივიდუალური - კარგია?! - თავი, მერე იყო და რომ მოაყოლა ამას ყოვლად მოსაწყენ-სამთქნარებო მაყვალ-ჯარჯ-გოგას ვის რად უნდა და სწორედ ისეთი ადგილ-ლაპარაკი, აკი პროზაც კი ლექსსავით უნდა ბრწყინავდესა და არა კაკაჩა... ეე, მთვარიან ღამესავით ხომ მაინც უნდა კი იყოს აკი მაგრამ მერე იყო და ამ ისედაც გაუბედურებული მეტროებით მგზავრობას ხომ - გადაგვაყოლა, კიდევაც მერეც კი, ამპარტავნებაზე ხომ გარეკა ისე ხშირ-შხირათ და, ეე, ე, ჰო, ჭდეებიან-ნაწიბურებიანა სიტყვებით რო აჩმახა და გარეკა საქმე, არ იყო ეს საქმე, შურდა, კი, ალბათ, რომელიმესი, კაცურ-კაცების, ჯამბულიამაც თუ ჯამბაკურიმ თუ რაღაც სახელი აბა რაღა და რა დაუშავა, იგი ხომ უბრალო, კი, იყო, თანამდებობამდეც კი, აკი აჭამა თუ შესთავაზა, - კარგა არ მახსომს, - პეშვი სემიჭკი; იმ მიშოთი და ბილბაოთიც ისე ძალიან და იისეგრძლათ მიტომ დაგვქანცაა რომე ბოლოში ეჩვენებინა რომ სულე არ იყვნენ მთლად ცუდი ბიჭები და სიკეთე-რამაც ჩაიდინეს? ვაი შენს პატრონს, რაღა დროს, ბიჭოო, სიკეთეები და ამისთანებია ისეთაც გაკეთდა ქვეყანა, ჩემი თუ არ გჯერათ ზოგიერთების მარტო ჰალსტუხი ნახეთ, მაგრამ აქ ვეღარ მიმოუხედნებია და, თავის გზაში თანაც როგორ წარსულებს გვიყვებოდა და წყაროებიც კი მოიყვანა აქეთიქიდან და გააჭირა, მოკლეთ, საქმე, ხანდისხან ისეთ სიტყვებსაც კადრულობდა და ჰხმარობდა რომ ორი ჰაზრი რო ერთადა აქვსთ და ეგონა რო ამ ორებიდან რომელი უფრო რომელია ჩვენ გამოგვეცნო უნდა და კი როგორ არა ამის გამოცნობაზე თავს მოვიკლავდით სწორეთ მაგრამ კი როგორ არა ვერ მოგართვით და რას ბოდიალობდა თუ იცით და თუ თან მეტროებში გვჭყლეტდა მაშინ თან თანაც რა ოპერები და ბახიმახი აუტყდა კაცო, ან ალთას უნდა ყოფილიყო და ანაც ბალთას ჩვენი ცნობილი აფორიზმისა არ იყოს, და აქაც, ბოლოსკენ, თავისებურად არ გაგვირეკაა, და ადრეც ორიც ისეთი ამბავიც შემოგვაპარა, თან წარსულითგან, რომ არ მომხდარა, ვითომ იმიტომ, აბათუ ჩვენში რომელი ჩავავლებდით და გამოვიცნობდით, აფირისტია, მოკლეთ, და მერედა, ის ცრუ დაპირებები?, სუ გურამიშვილებ ველოდებოდით და, დათვ-ბოჩოლები და ჩოჩრები არ შეგვატოვა, კაცო? თუ მაინც, ჯერ ჯეილ?, და აქაც-მეთქი, ახლახან, აბა რომელი ზოოპარკებლოგი და ფრინველების და იმათი ჩიტური თვალების აბა რომელი მცოდნე ეგა გვყანს და რამაგის საქმეა ღორი რასა სჭამს და თანაც რამდენს და ანდაც ვისას, და, მაინც ჰგონია, რომ, ცოტათი ასე თუ ცოტათიც ისე ასეც ეგება საჭირო იყო...

სხვა თუ არაფერი, უყვარდა..... ვინ? ჯეელს...,

სულ, სულ არავინ, მთლად არავინ გახსენდებათ? ხომ? არა?! კი !?.

ეგებ, ეგონა რომ გვაწვდიდა და გვაშველებდა აიმ თავისი ვითომც შენიღბული მოწოდებებით, საქმეს; გვაშველებდაო... - რა გაშველება და მიშველება ჩვენაკი გვინდა, ისედაც არა ვჩხუბობთ სულ?.. აი, აქაც იხმარა ორმაგი თანაც ორ-სულ-ი სიტყვა...

არადა, კიდევ რა გული ედგა, დღევანდელობის, ასეთის, შემყურეს. და ერთის წუთითაც რომ დაიჯეროთ რომ ეს უღირსი თქვენზე რამდენად სუსტი არის, იმდენად სუსტი რომ ეგებ დაუჯეროთაც ეს სუყველაფერი,... -

შემატყევით ხომ, გაზედაპირულდა, გაუბრალოვდა, მოუჩოლფოთდა, როგორ ერთგვარად მაინც დუნდება დასასრულისაკენ, იოლი თხრობა. პროზამ იცის ეს...

... მაგრამ ვერ მოგართვით:

* * *

როგორ სჯეროდა, ყველაზე მეტად როგორ სჯერა და ეჯერება იმ ერთი ღარიბის, ბაგად რომ იშვა.

მოსაკლავად სუთავიდანვე რომ ეწადათ,

ჯერაც სულ მთლად ბავშვს,

როგორი დედის,ძუძუსთან,ერთად,

ალტოლვილებდნენ,

ხუროს ოჯახში იზრდებოდა, და, მუდამ უჭირდა; თუ, იჭირვებდა. მაგრამ რომელი დახმარება გაჭირვებისათვის იმას უნდოდა ჩვენისთანაების გინდაც ალერსით მუდამ შემყურეს, დასაბამიდანვე, რომ არც ვიყავით, ჯერ, მერე კი, ენება ასე და, მიმოდიოდა, ჩვენში, გვწყალობდა და მერე როგორ, და ვინ ეს, მერე, ვინც თავად მამის მაღალი ნებითა და მოწყალებით „ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა“, და სულ ჩვენში იყო და თანაც ისე რომ სხვა ბინა იმას არ ებადა, თავადაც ბრძანა, რომ „მელთა ხურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“, ანუღა, ჩვენში, და,

გვშველოდა, როგორ, რამაღალ სიბრძნეებს აღარ გვაწვდიდა მაგრამ, დაცემისაკენ - არც ეს არაა შეურწყმელი სიტყვა, დაცემისაკენ ა? როგორ დაძღნენ დაწინაურებული ვითომც ყოჩაღ-ყოჩაღი თავ-კაცები ოღონდ როგორი თავების, - ვუი, ეე?, თითო ასოზე ოღონდაც მხოლოდ ალფაბეტურზე სამ-სამი პარტია ანუ ხელებითპირსმბან დასტათაგან ბევრები იყვნენ, ჰოოიი, ბიჭო, რას განავარდნენ ოღონდ ერთგვარად, სულის (სად სულიწმიდა...) და სიტყვითაც (ქრისტესობა; ქრისტესმიერობა სად...) მექრთამეობის ამპარტავნები, ხოლო „ქრთამი“ კი - „საცოდავი ძღვენი“, ვისღა ახსოვდა ან სირცხვილი ანდაც ბეჩავად დაყურსული მოკეთის გაჭირვება, გაბღენძილებმა კი, ისეთებ-სახლნი აიშენეს,რო,რო,ლეგიონსაც კი ეყოფოდა, მაგრამ სადღა ახსოვდათ იქმყოფი ბოგანო და გაჭირვებული, და უნებლიეთ მოშიმშილე ნათესავი თუ მეზობელი თუ ყოფილი კეთილისმყოფელიც, კი, - ახსოვდათ მხოლოდ ის ძველთაძველიც ეს, იმათი წვდომა-გაგებით საამაყო,რამ,თვით მახარებელ იოვანესი „გამოცხადებაჲ“ში, 3,17-თ გადმოცემული მათი სიტყვები,გაქსუებულისაგან ასე თქმული სადღაც ბევრგან და 3,17-ში კი თავად მაცხოვრისაგან, შეხსენებული: „რამეთუ იტყვი: მდიდარი ვარ და განვმდიდრდი და არარაჲ მეხმარების (აღარ მჭირდება)“,

უგონოსაგან ასე თქმული? - გაუგონარი უგონოობა, თუმცაღაკია როგორ რა ხშირად ჩაგვესმის ეს ამ ჩვენს - რაც გინდა იყოს და მაგრამ მაინც ამ ჩვენებურა ირგვლივითებით - გაუგონარი უგუნურება,ეს,რადგან,მაცხოვარითვე, შერისხვად მიგებული: „და არა უწყი, რამეთუ შენ ხარ უბადრუკ და საწყალობელ და გლახაკ და ბრმა და შიშველ“. და მაგრამ იქვე, მოყვარულ ნაბიჯად მაინც გადადგმული: „მე რომელნიცა მიყუარდენ, ვამხილებ და ვასწავებ. ეშურებოდე (ეშურე;იჩქარე;აჩქარდი;ისწრაფე) უკუე და შეინანე“.

თავად პირველი წიგნის ყოველი ბგერის უნამცეცოდაც ფერხთა მტვერობამ, იმას თუ მაინც შევიძლებთ რომ, გადაგეშალათ ღვთის წყალობა ეს, სულიწმიდათი „ახალი აღთქუმაჲ“ და შენი შენით-სივრცისა თუ არ შეგრცხვება-მაინც, ძალიან თუ არ განადგურდები თორემ, ყველანი, მოგეხსენებათ, ცოდვილები ვართ, გაჩენითაც კი, მაგრამ ღმერთს როგორ ვუყვარვართ ბავშვად, და რაგინდ ულვაშიც დავიმშვენოთ, სულ ბავშვები ვართ მისა წინარე, და მხოლოდ ის არ დაგვატარებს, დაგვერთო ნება და, ჩვენითაც უნდა ვიაროთ-უნდა, და ლაპარაკიც - სიარულია, და მაგრამ ჩვენზე რამდენად მეტად ცოდვილი ერთ-ერთი უღირსიც, გაპეყილებზე რისხვით აღვსილი და იმათით კი, სულმოკლეობით ისე და იმგვარად გამწარებული რომ ვერ ასვენებდა ბოღმა და ზიზღი და სიძულვილით შესცქეროდა მაგრამ, უეცრივ, ღვთის ეს როგორი დიადი წყალობით მაშინვე თუ არა, როცა იქნებოდა როგორ ძალიან სამართლიანად დაიმორცხვებდა, რადგან,

უბედურები იყვნენ, კი,

მომხვეჭელები,

რაც მათ ელოდათ? რომელ გულითმტერს, ა?, -

ლუკა 16,19დანაა ეს:

„კაცი ვინმე იყო მდიდარი და იმოსებოდა ძოწეულითა და ბისონითა და იხარებდა დღითი-დღე ბრწყინვალედ“,

ანუ:

პირველი თავი სადილ-ვახშმისა გინდა თუ მეორე თავი თუ ზედ დესერტი თუ მთლადაც ზედმეტი აუწერელი უთავოებები გინდა რადგანაც თავებსა ზედაც სოკოს პირაშკები გინდა თუ ნაპალეონით კოფესმალაკომ და ხვანჭკარა გინდა თუ სუკის მწვადი თავკუჭსაყრელად თუ შებოლილი ჭერამი გინდა თუ, რამე, ისე რომ ნაწვრთნილი კუჭი გინდაც მთლიანად გაძღომოდა და ორიც მეტი, ჰქონდა, ამოსაყორად რაღა არ - ჰქოონდა, კი, იმის გვერდით კი,

„გლახაკი ვინმე იყო, სახელით ლაზარე, დავრდომილი წინაშე ბჭეთა მისთა - იმის მოჩუქურთმებულ ჭიშკართან, მისავათებულიყო, - და ქუე ძურებოდა“, -

იმის ჭიშკართან ალბათ იმიტომ ბოგინებდა, ადრე მსახური თუ იყო მდიდრისა, ახლა კი, გაეგდოთ, რადგან

ერთიან დაწყლულებულიყო, თავით-ფეხამდე, მთლად,

„და გული ეტყოდა განძღებად ნამუსრევისაგან გარდამოცვივნებულისა ტაბლისაგან მის მდიდრისა“, - როგორ ეწადა მძლავრად მჭამელ-მძღომელის ნასუფრალიდან რაღაც რაიმე ფინჩხებიც, კი, ეგება ცოტათი მაინც მოეკლა აქეთკენ როგორ მჭმელი შიმშილი მაგრამ, სანაგვეებში გადასაგდებიდან არავინ უწყალობებდა აი ამასაც კი, მას, უნასუფრალოსაც, ლაზარეს, და ე.წ. ადამიანებით ნუგეშის ცემას ვიღა დაეძებდა, „არამედ ძაღლნიცა მოვიდოდეს და ჰლოშნიდეს წყლულსა მას მისსა“,

გადიოდა, დრო,

„და იყო სიკუდილი გლახაკისაჲ მის“, და ვიღამ იცოდა თუ სად დაიფლა, ან სულაც არსად, ყორნებისათვის, აფთარებისათვის, მაგრამ ეს მხოლოდ აქ, მიწაზე, ხოლოკი მაგრამ მიწაზე რამდენად მეტად სინამდვილეში

„მიიყვანა იგი ანგელოზთაგან წიაღთა აბრაჰამისთა“, - არამცთუ ასეთი გლახაკისათვის, უდიადესი წყალობა, შვება იყო ეს, და,

და რაღა თქმა უნდა მაგრამ კვლავაც გადიოდა დრო, გავიდა, დრო,

და „მოკუდა მდიდარიცა იგი“, ხოლო როცაღა იგი, მდიდარი, მოკვდა, სწორად არ ვიცით რით მაგრამ რაიმეთი იქნებოდა ეს, ჩვენ ხომ ყველანი ვკვდებით რითიმე ზედაპირულადაც კი, და ესაც, სიკვდილი იმა რაგინდაც მდიდრისა ტახიკარდიით იყო, ბრადიკარდიით, იშემიით თუ ანგინათი თუ გაციებით მაგრამ აქ ზემოთ კი-გაცივდა და მოკლედ, აქ კი ნამდვილად დამეთანხმებით რომ მდიდრებიც კი კუდებიან როცა იქნება და, როგორც ეს მაინცადამაინც ვერ სასურველი მაგრამ ნაღდი წესია „და დაეფლა“, უძვირფასესად დაფლეს ისეთად რომ, სუმარმარილოს დიდი და მძიმე და თლილი ქვები დაადეს გულზე, პატივი სცეს, კი, თვალსაჩინო ძალიან, ეს აქაურ ზემოზე და ხალხისა თვალცეცებისათვის და ქელეხიონის განსაკუთრებითი მოხიბვლისათვის თორემ, პატივნაცემმა კი, ცხოვრებაშიაც და დასაფლავებით, და ვისთვისაც ჩატარდა შრომანი ეს, მიმოიხედა

„და ჯოჯოხეთსა შინა აღიხილნა თუალნი თვისნი“,

და,

„იყო რაჲ იგი ტანჯვასა შინა, და იხილა“ თვით „აბრაჰამი შორით და“ - საკვირველებავ - „და ლაზარე წიაღთა მისთა“.

კარგად იყო, კი.

აქ კი, ახალმა, განიხარაღა, ლაზარეს დასაქმებას რა უნდოდა, ოღონდაც თითი დაექნია მაგრამ ეს მხოლოდ აქა და ჯერჯერობითულ ჩვენში, იქ კი, ლაზარე აბრაჰამისა რახან ჩანდა, რაგინდ მდიდარი და შემძლებელი რაღაც წუთსუკან ყოფილიყო, ჯოჯოხეთისა გამოუცდელმან და, მაინც, ტანჯვანაპყრობმა მაინც იგრძნო რომ აბრაჰამისაც თანხმობა მაინც საჭირო იქნებოდა და, ამიტომ დამწვარი ჯანი და ძალი როგორღაც მაინც მოიკრიფა ისევე იმ-იმ სიმწარისაგან და, „ხმა-ყო და თქუა:

მამაო აბრაჰამ, შემიწყალე მე და მოავლინე ლაზარე“.

თვით აბრაჰამი, დასცქეროდა. უტყვი „რატომ“ -ით.

„რაჲთა დააწოს მწუერვალი თითისა მისისაჲ წყალსა და განმიგრილოს ენაჲ ჩემი, რამეთუ ვიტანჯები მე“ - მართლა ძალიან იტანჯებოდა - „ალითა ამით ცეცხლისაჲთა“.

მდიდარს დასცქეროდა მამა აბრაჰამ. იტანჯებოდა ძალიან კია მაგრამ მხოლოდ თავისით, თვისით, მისით განვლილი მისივე-წილი მიწისზედეთით, და აბრაჰამმაც, მოწყალემ, ოღონდ განმარტებით, „ჰრქუა მას:

შვილო, მოიხსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხოვრებასა შენსა, და ლაზარე ეგრევე მსგავსად ბოროტი“.

„ვე, მე რა მექნა, - კვირვით გაიფიქრა მდიდარმა, - ეგა თავისით იყო დაწყლულებული და ჩოლახა და პირველი სორტის ინვალიდი და რაჩემი ბრალი იყო ეგა“,ო.

მაგრამ აბრაჰამ, უყურებდა. გაებაასა, კვლავ:

„და აწ ესერა აქ ესე ნუგეშინის-ცემულ არს, ხოლო შენ იტანჯები“.

იტანჯებოდა რომელია, სიტყვა ვერ აღწერს, კი, და მერე როგორ, თქმა არ უნდოდა ამას, მაგრამ ესა ლაზარია ვიღასი მაიორ-ტიკი-ტომარა-ნაჩალნიკი იყო თუ რა, რო, ვერ დაესაქმებინა? - იმასხო მისდღემჩი გროშიც არ უჭყაოდა ჯიბეში, მაგრამ აბრაჰამმა, მისდაგვარებისაც ფუძემდებელმა, დინჯად აუხსნა, რომ, -

რომ ლაზარე ვერ მოემსახურებოდა მას, ვერ განუგრილებდა ენას, რადგან, სხვა თუ არაფერი: ჩვენსა (სამოთხე) და თქვენს (ჯოჯოხეთი) შორის, განმტკიცებულია დიდი უფსკრული, ასე რომ, ვერც ერთი რაგინდ მსურველი, გინდ ნებაც დართვოდა „წიაღსლვად ამიერ (აქედან) თქუენდა, ვერ ხელ-ეწიფოს“, და ვერც ვერავინ თქვენგანი გადმოვა ჩვენკენ.ო.

და, მიხვდა ძალიან ყოფილი ძალიანაც გინდაც მდიდარი რომ აწი ვეღარაფერში მოიმსახურებდა ნეტარ ლაზარეს გინდაც გასამრჯელოდ ტრაინოი მაყუთი შეეძლია და, გაახსენდა რა თავისი ძმები, ახლა ქელეხად ჩიტის რძეებს რომ ჭამდნენ, და იმათიც მოკლე თურმე რაცგინდა და როგორცგინდა ცხორების, იმათიც სწრაფიც აქაჩახარშვით აუჩუყდა ტანჯვით შემრული ახალი მაგრამ ახლაღა რათ გინდა, გული, და, მამა აბრაჰამს ისე შეჰრქუა რომ, ზედაც ღაღადით, და ვედრებით, რომ: გევედრები, მამაო, მამიჩემის მკვიდრად ნაგებ და მოჩუქურთმებულ, რამდენი დამიჯდა, სახლში რომელიც ბიცოლას სახელზე კია გადაფორმებული მაგრამ ჩემია იქ მაინც გაგზავნე შენა მამაო ეგა, რადგან ძმები მყავს ჩემი სისხლი და ჩემი ხორცი და თანაც მთელი ხუთნი არიან და გააფრთხილოს ისინი რომ პატარა ჭკუით მაინც მოიქცნენ რათა იმათაც თავი არ ამოყონ ასე ჩემსავით ასეთ სატანჯველში. ო.

მაგრამ,

„ჰრქუა მას აბრაჰამ: ჰქონან მოსე და წინაწარმეტყუელნი, მათი ისმინონ“.

ჩაქინდრა, მდიდარმა, მოხარშული და კვლა-უთვალავჯერ მოსახარში, ენიანი თავი; მოსე და წინასწარმეტყველები როგორ არ ჰყავდათ, ჰყავდათ, კი, რამდენნი მერე, მაგრამ, როგორღაც, არ... ხომ ცნობილია, რომ ძაან გაბმულმა და გემრიელმა პურის ჭამამ, და მხოლოდ დროსტარებამ და გალაღებამ? - მარტო პურიჭამა და ლაღობა იცოდა, მაგრამ, სცოდნია სხვა რამეც, იწვნია უკვე ვითომც დაფლულმა, ეს, იმ ზემოურა ჰარულალოში კი მოსე სადღაც ძალიან სხვებთან რჩებოდა და როგორც წესი არამდიდრებში, მაგრამ ტანჯვით და ცოდვით აღსავსემ, გადავსებულმა, ამან, მაინც თავისა მოიფიქრა, კი:

„არა, მამაო აბრაჰამ, არამედ უკუეთუ ვინმე მკუდრეთით აღდგეს“ და მივიდეს მათთან, იმის დანახვაზე, მიხვდებიან რომ კიდევაც ხარ და ჩვენც რომ ვგრძელდებით საუბედუროდ და, შეინანებენ, მოინანიებენ იმ თავიანთი დასაღუპი ცხოვრების წესს, კი.

არც ის ახსოვდა, მკვდრეთით აღმდგრები რომ უკვე გვყავდა ადამიანებს, ჩვენ, თუნდაც ამავე სახელიანი სხვა ლაზარე, მარიამისა და მართასი ძმა, საყუარელი ძმაი მათი, და იმას სხვა სახელიც უფრო რომ ერქვა, ეს კი არა და ისიც არ იცოდა ნამდიდრალმა როგორცვე ახლა რამდენმა ჩვენგანმა, რომ ახლებურადაც მისებურებისათვის თვით ბიბლიათი - უკვდავებისათვის, უკვდავი წიგნით, წინასწარმეტყველებისა და მახარებლებით სულიწმიდასი გონით და ენით და თვალ-ხელით და!, - თავად სიტყვით, სრულიად მთელი სამყაროსადმი უპირველესი წყალობითა და განძით - ეს სიტყვითაა აჟღერებული, აცოცხლებული, მარადისობა, და სწორედ იმათით, ღვთის მომსმენელთა გადმომწერლებითაც, და რომლებზედაც, ამა წიგნის წმიდა სამებით შემთხზველებზე, აბრაჰამისაგან, ითქვა: „ჰქონან მოსე და წინაწარმეტყუელნი, მათი ისმინონ“, წიგნი, რომელსშიასშიც ნებისმიერი თავი მთელს ჩვენს ამს ეგრეთწოდებულ მხატვრულ და ე.წ.-საც დოკუმენტალურ ლიტერატურაზე რამდენად დიდი, დიადი, მეტია, თუნდ მხატვრულობითაც? - როგორ ძალიან - კი, ხოლო დოკუმენტთ-სინამდვილესთან შედარებით მთლად ჭეშმარიტი სინამდვილით? - ურწმუნოებსაც კი იმდენად სჯერათ რომ სულაც არ აწყობთ კი არა როგორ უფრთხიან მარად ცხოვრებას ანუ განკითხვას და ამიტომაც გარდა იმისა რომ ვითომ არ სჯერავსთ თანაც ისეთი გამწარებით უარყოფენ რომ? - ეს შიშია, შიში, ხოლო იმათგან გამორჩეულად ცრუდმოხერხებულები რა უცნაური ძრწოლით ინთქმებიან რადგან სასჯელი და როგორი მერე ელით და, - ეს კი სიბრიყვის ერთ-ერთი შედარებით რთული სახეობაა - თავგზააბნეულები, აიღებენ და პირებწავარდნილ ათეისტებად ყალიბდებიან და გვევლინებიან ხოლმე, გვყვანდნენ ისეთიც გამართულები-ვითომ სოციალისტურს რომ უწოდებდნენ იმაშიაც და გვყვანან კიდევაც ასეთები ახლაც ოღონდ ვითომდაც შენიღბულები, მაგრამ - ღვთის თვალს აბა ვინ დაემალება, იმათმა პეპერა-პაპამ, მამამა და მამინაცვალმაც კაენმაც კი ვერ შეიძლო ეს, და, იმის ნაცვლად, რომ, შეინანონ, მოინანიონ, წინასწარული შეძრწუნებისაგან გონება-როგორ-არეულებს ჰგონიათ ისე და იმდენად რომ იჯერებენც რომ თავიანთი მტკიცებებით ვითომ მართლაცდა არ მიიშვებენ თუნდ შორიახლოს თავად სამებას... - კაენის მოდგმა!, და ურევიათ რაღა თქმა უნდა უშიშარივით მთლად

ბრიყვები (თითან კაენიც ასეთი იყო, გართულდა მერე) და ისინიც ხომ, რაგინდ ბრიყვები, რაღა თქმა უნდა მაინც კაენის, წამხედურობით თუ ჯილაგით მთლადაც ხეპრული ვერაგობით, შთამომავლობაა - ბოროტებმა ხომ, სიბრიყვეა ბოლო-ბოლო და მთლად პირველ რიგში საკუთარივე თავის დამსჯელ-მომსპობი და, ამაზე მეტი უგუნურება? - გქონდეს ასეთი ნაბოძვარი, წმიდა სამებით, და, ამაზე მეტი თავდამღუპველი უმადურება? - ყველას გვეხება! - გვქონდეს ასეთი... - დავარქვათ წიგნი, და განზე გქონდეს?, ხოლო „სწორუპოვარი“ს რომ უწოდებენ, ის გაზეთები შალო და შალო? - რა შეცდენილი უსამართლობა - ბიბლიის ხარჯზე!, რადგან რამდენიც გინდა რომ იკითხო და რამდენსაცა-გინდ გადაიკითხოთ, წასაკითხია კიდევ და კვლავ და კვლავაც და კვლავაც დაუსრულებლივ, მიწყივ, რაგინდ ეცადო მაინც ნაკლებად წაკითხულია რაგინდაც ჩაუჯდე, აქ უღირსიც კი გამოდგება სამაგალითოდ, რადგან მცონარობისა ეგებ გამო გამოიგონა რაღა, ვაჟბატონმა, თავის და კუთვნილ ჰოსა და არასთან ერთად, რაღაც ვითომ... - ორმაგი სიტყვა!: - საკითხად-მეტი (ორმაგი სიტყვა, აჰათ); მაგრამ თუ გულით?, გამოიგონა?, მაშინ კიდევ რა უჭირს... რა უჭირსა და, მხოლოდ ჰო-სა და მხოლოდ არასი - მიუღებლობა მაგრამ უღირსი და მისიც ეს ქაღალდური ვითომცნაგრამი (კვლავ ორმაგი სიტყვა!), და იქ რომ ითამაშო ეს ხომ... ხომ... მაგრამ, მივუშვათ, მოდით, ცხადსა და უცხადესზე... - ვიმასლაათოთ? არა, მასლაათი ხომ, სიმშვიდესავითაა რაღაც, ჩვენ პირველ წიგნად დაჯილდოებაზე ხოლოო? - სულ სხვანაირად ვილაპარაკოთ აჰრაწიგნია, როგორ ნაგები, იქ რაღაც ენით აღუწერელი და რაგინდ მარჯვე გონებით მიუხვედრელი მაინც ბოლომდე კი არა, მთლადაც პირველი მიუხვედრელად ბიჯებისას მაინც რა ამბები გვტრიალდება ტლუც გონებაში და ასევ გულში ისეთი რომე რისი კომეტა რადგან სულ ყოველ ახალ წაკითხვაზე შედარებით-ღა დაძლეული და ოდნავც პყრობილი კი არა, - არა: - უფრო და უფრო მაღალი ხდება, მიუწვდენელი, ამოუცნობი, და გუმანით მაინც ამოსაცნობი რასაც ეს ჩვენი გამსივანა გული როგორც ჩაიტევს, ბეჩავები ვართ იმის კითხვისას მაგრამ როგორიც ასამაღლებლები, გვწყალობს თუ როგორ, სანცვიფრებაა, სანცვიფრელია, განსაცვიფრებელია პირდაპირ სრულიადი, და ამის ლამის მთლად სხარტიც და მარტივიც და ურთულესიც მაგალითი კი-მოიძევება რარიგ სიბრძნეთა შუა და გვერდით და თანაც ისეთ-ისეთები რომ, პირდაპირ - მაინც სიბრძნე, და იობის კი, ბიბლიისათვისაც კი ამ ძალ-ზე დიადი წიგნის რა უცნაური, და უსასრულოდ მოულოდნელი, - დამყვედრებლური მიტევება კი არა და მთლადაც - ბოძებული მისთვის, იობისათვის... და ჩვენთვის!, განძი, დასასრული აქვს მაინც როგორი, - ყოველივესი, საწყისი, ზრახვა, და, უცნობი სიბრძნე - თავი და თავი!, რა შეფარვაა, თანაც, იქ გამჟღავნებულ რაგინდაც ცხადში რადგან ვითომ-ობა ის, თვით იოვანე ოქრო-პირით მიღებული, ვითომობაო თორემ აქ სიდიადეზე აღარაა ლაპარაკი, ბიჭოს, მეც ვეღარ გაგაკვირვევით? - მაგრამ ეს აბდაუბდურად, კი, ხოლო სიდიადე თუ გვხვდება, არა, მთელ ბიბლიაში, ხოლო სიდიადეც კი, ბიბლიისათვის, - ზღვაში ტალღაა და არა წვეთი, დიადი არის ისედაც ისე, წვეთობით კიდე - ა?, რამდენი რამ, - შეხედეთ ცამრგვალს, იმის ტატნობს, და ცის კამარას, ცის თაღს შეხედეთ!, სადამდეც თვალი მიგიწვდებათ, ისა კი, ზე-ცა, ადის და ადის, რაღას ავყვებით, ერთი მთვარეზე დავაბიჯევით და, ჰოიი, ბიჭო, ავტეხეთ რაამბავი, იგი კი, სუყველაფერზე გადამბიჯებელიც, სუყოველივესი პატრონი და ყმაც ოღონდ რა ყმა ეს - მთვარეს კოჭამდე ჩამოგირჩენს, ეს - ბიბლიაა, შემქმნელებივით რამდენად

მაღლად მაღლივ მაღალი და ჩვენთა ფერხთა განმმბანველიც, მაინც, იესუსავით თავმდაბალი, ხოლო იობის წიგნზე - ბევრად შემდგომ, და ისიც მხოლოდ მაშინ თუკიღა ნება დამერთვება აქაც, მიწაზე, მასწავლელისაგან, ანდა თუნდაც რომელი მესიტყვე ახსნის რომ დავით მეფსალმუნეს მორწმუნეთათვის განსაკუთრებით ცნობილ ოთხმოცდამეათეში, ამ ფსალმუნის 181 სიტყვიდან 40-ზე მეტი ნაცვალსახელია, თითქმის მეოთხედობს!, და აქედან კი მხოლოდ „შენ“იდან წარმოებული? - II პირი ჰქვია მგონი შენ-ს, - მთელი 17!!, და, არამცთუ ყვირის, ერთი იმათგანიც რომ მოაკლო, ასეთიც მაღალი ქართული სიტყვების წყობა დაგვებზარება და სად ეს მერე! - თარგმანშიაც კი, თუმცა, თარგმანიც, სულიწმიდასია, წმიდა სულისია და გაეგებათ და აეხსნებათ ესაც ვითომ იმ გადაცხოველებულებს ასე რომ იჩინეს თავი ამ ჩვენსაც დროებით - მწყალობელია, ღმერთი - დაქცეულ ქვეყანაში და ძირითადად ვითომ ხომ აშენდნენ სწორედ უწიგნურები, ამღებები და მიმცემები რისა გინდა აღარ, ანგარიშული ხალხი, და რაგინდ გინდაც გამდიდრებულები? - ტანჯული ერის მაინც ხურდამურდა, და, იმათთვისაც კი თვალასახელად, მოდით და როგორი თავის გასანებებელია მაგრამ ბიბლიას, რწმენის წიაღს, როგორ საბადოს - აი ისეთს რომ ვერანაირი გალაქტიკები აღებულებიც ერთად და ერთად ვერ შეედრება და არცთუ განზე გადავდებთ არამედ თვალითაც კი არ გვინახავს, მაშინ ვეცადოთ ადვილს, თავი და თავის მისახვედრად: რატომაა რომ ნაკურთხი წყალი ვერავითარ ლექს თუ შეფერვას რომ არ იკარებს რამდენხანსაც გინდა, ნეტავი რითია, არა, ეს, ან სეფისკვერი ობს რად არ მოიდებს რაგინდ თვეების განმავლობაში, ანდა ნაკურთხი სააღდგომო კვერცხი ნეტავი რატომ და როგორ და რისა ძალით რამდენად დიდხანს სალამათია ვიდრე უკურთხი, ან საკმეველის საოცარი თვისებები და იმათ შორის ბაცილების მიუღებლობა საკმეველის სურნელდამდგარ ოთახში სულ რაღაც აგერ აღმოაჩინეს მეცნიერებმა, კი, და ესენიც თუ როგორღაც ხანგრძლივად დასაზუსტებელია ჩვენგან, ცრუგაზეთებით დაკავებულთათვის, ნუთუ ის მაინც აღარ გვახსოვს ამ ახლახანებ ძალიან ახლახანაც რომ ზარ-ვზეიმობდით ეშმას თარიღებს, და ერთხელ მაინც თუ დავფიქრებულვართ რომ შვიდნოემბრობით როგორც წესი სულ დიბა ატლასში რა იყო კაცო არამედ დიბა-ტალახში ამოთხვრილები გავიძახოდით როგორ ამყაყურაც რა იყო კაცოვ როგორ ამაყურ „ვაშა-ვაშაა“ს და, აღდგომობით კი, როგორი მშვიდი, და რა უღრუბლო, თვინიერი, და მოალერსე, აპრილის რარიგ სათნოდ მზიანი, წყნარა-დღე-იდგა, ხოლო თავისი თავის უბედურს, ამას, იმ ყოფილ მდიდარს დიდად გულნატკენი კი დასცქეროდა მამა აბრაჰამი, მაგრამ იმას რა დაყვირებაღა უნდოდა, საბრალოს, თავისა სჭირდა, და, ლაზარეიანა, ზურგს საბოლოოდ სანამ შეაქცევდა, წყნარადღა უთხრა:

„უკუეთუ მოსესი და წინაწარმეტყუელთა არა ისმინონ, არცაღა, მკუდრეთით თუ ვინმე აღდგეს, ჰრწმენეს მათ“,

და, მაინც, ეს ჩვენით უნდა ჩავხვდეთ ამას, თორემ,

ხოლო მკუდრეთით ჭეშმარიტად აღმდგარი და თანაც როგორ ჭეშმარიტად, როგორ არა გვყავს!

... ეს ამ მდიდარმაც კარგად გაიგო, ოღონდ ძალიან გვიან.

და, ხოლო, ეგებ, სწორედ ჩვენა ვართ ძმანი მისნი.

* * *

კი. ჩვენ ვართ.

მოუვლელები? უპატრონოები? და ამიტომაც, უნაყოფოები?

არა:

„ლეღვი ვისმე ედგა ნერგი სავენახესა თვისსა, მოვიდა და ეძიებდა ნაყოფსა მისგან და არა პოვა“, -

ლუკა 13,6.

რაღად მიდგიაო და, უთხრა თავის მევენახეს, რომ, აგერ უკვე სამი წელიწადი დაეძებდა ნაყოფს ამ ხეზე მაგრამ ვერაფერს პოულობდა, და, ამიტომაც, „მოჰკუეთე ეგე, რაისათვის ქვეყანაჲცა დაუპყრიეს უქმად?“ - ადგილს ტყუილად, უქმად იკავებდა.

ხოლო მევენახეს მაინც უყვარდა თუ ეცოდებოდა ეს ლეღვი თუ ორთავე-რამ-ეს ერთად, მოსაჭრელად ვერ ემეტებოდა, და გახსოვთ ალბათ რომ „ნერგნიცა სულიერად ითქმიან, რამეთუ აქუს მოძრაობისა და აღორძინებისა და თესლოვანებისა ძალი“ მაგრამ ეს ლეღვი თუმც კი აღორძინებულიყო და მოძრაობდა მაგრამ თესლი-რამ, „ნაყოფის მშობელი“, ვერ გააჩნდა თუ არა-დ ჰქონდა ვინ რა იცოდა ხოლო ისე კი, იდგა, ფოთლდებოდა, ხანდახან ძლიერ შრიალებდა მაგრამ კეთილ ნაყოფთა ვერ-მომცემი, ხედ ბერწი ესა, უქმადღა იდგა თუმც მიწიდან თავისსაც და ნაყოფისასაც მხოლოდ თავისთვის იწოვდა, ხარბად ისრუტავდა, და სწორიც იყო ვენახის პატრონი, ასეთი ლეღვი ვის რა შავქვად უნდოდა მაგრამ მევენახემ ძალიან სთხოვა:

„უფალო, უტევე (აცალე; დატოვე) ეგე ამასცა წელსა, ვიდრემდე მოუთოხნო მას გარემო და სკორე დაუდვა“,

სხვა, მსხმოიარე ლეღვებს არ სჭირდებოდათ ასე შემოთოხნა და სკორეს დადება, მაგრამ, ამ შემცდარს, საკუთარი ნაყოფისადმიც კი თავკერძას, განსაკუთრებული მოვლა ელოდა, და თუ ინაყოფებდა ხომ კარგი და მაინც თუ არა, თქვა მევენახემაც რომ გაისადღა, „მერმე მოჰკუეთე იგი“ო.

ინაყოფებდა? ვერ მოისხამდა რაიმ-კუთვნილს? შეიწყალებდნენ? აცოცხლ-ებდნენ? თუ მოიკუეთებ-და-მოიჭრებოდა?

ნეტა ისეთი რა უშლიდა რომ, ვერ ნაყოფობდა. ეგებ, ზედმეტად რასაც ამოძრავებდა და რაც ამოძრავებდა, - ეგებ მეტი შრიალით ზედმეტად ტკბობა, -

„ენაჲ მცირე ასოჲ არს და დიდად მაღლოის - და ბევრს კი მძლავრს-რამსირასმე სჩადის, - აჰა ესერა მცირემან ცეცხლმან რაოდენი ნივთი აღაგზნის!“ -

ეს „იაკობ მოციქულისა წიგნი კათოლიკე“დანაა, და უღირსს ეპატიოს კი, როგორ შეიძლება ბიბლიიდან, ანუ წმიდასამების მადლიდან რაიმეს გამორჩევა, მაგრამ უღირსისათვის ყველაზე ბრძნული და ახლობელი და გასაგებად როგორ, თქმული, ეპისტოლეა ეს,

„და ენაჲ ეგრეთვე ცეცხლ არს, სამკაული სიცრუისაჲ. ენაჲ დადგრომილ არს ასოთა შინა ჩუენთა, რომელი შეაგინებს ყოველსა გუამსა... და აღგზნებულ არს გეჰენიისაგან“!,

მაგრამ ვის გეუბნებით, უღირსი, ამას, თავად როგორი და რა დამრღვევი, ჰო და არა-სი ვერდამცველი, ეს!, მაგრამ მთლად პირველ რიგში, ეგებ თავისთავს უმეორებს, ჯერ; - ამხსნელობითურს, როგორ:

„რამეთუ ყოველივე ბუნებაჲ მხეცთა და მფრინველთაჲ და ქუეწარმავალთაჲ და მცურვალთაჲ დაიმწყსების და დამწყსილ არს ბუნებასა ქუეშე კაცთასა“,

მაგრამ!, -

„ხოლო ენაჲ კაცთაჲ ვერვის ხელ-ეწიფების დამწყსად, დაუპყრობელი ბოროტი, სავსე გესლითა მაკუდინებელითა“,

რამ გამახსენა, თანაც კორექტივით: ნუთუ მეც, ბრუტოს?

მაგრამ ემ ენის ნაირგვარობას, მივყვეთ:

„რამეთუ მით ვაკურთხევთ ღმერთსა და მამასა, და მით ვსწყევთ კაცთა“,

და ვის-ამათ, ეს:

„რომელნი მსგავსად ღმრთისა შექმნულ არიან“.

რას სჩადის, მაინც, ორგვაროვანი კი არა და:

„მიერვე პირით გამოვალს კურთხევაჲ და წყევაჲ“.,

და მაინც, მაინც გვიყვავებს წმიდანი, როგორ!, -

„არა ჯერ-არს, ძმანო ჩემნო საყუარელნო, ესე ესრეთ ყოფად“.

ეეე?...

და, უღირსისათვის ყველაზე მეტად შესაჭოჭმანებელი, მესამე თავის სუთავიდანვე:

„ნუ მრავალნი ჰმოძღურით, ძმანო ჩემნო!“ -

ე?...,

„რამეთუ ფრიად ვსცთებით ყოველნივე“.

მაგრამ ფრიად კი არა, ფრიადოსნულად, მრავალმხრიულად, კი, და ენაცაა აბა რაა რომ

„უკუეთუ ცხენსა აღვირნი აღუსხნით დამორჩილებად ჩუენდა იგი, და ყოველი გუამი მისი მოვაქციით“,

აღვირის ახსნა იყო ნეტა, სიტყვათქმნადობაც? აბა რა იყო... მაგრამ საბასი, სიბერის ჟამს თუმცა ისეთი შეცდენილის მართლმორწმუნე მამულისადმი მაგრამ მამულისავე სიყვარულით როგორი მპოვნელი ისეთი სიტყვების... რომელი ერთი!.. ვთქვათ, „ისულმოკლა“... გასაგებია, კი... „ვიძილისშორისე - სიზმარი ვნახე“, „ვიქ - ქნას ვლამი“, ხოლო ხანდახან, რას მიდი-მოდის?! საბა. ნეტა, ანაზდად? - არა მგონია, რადგან, „ანაზდეული - მყის, იჩქითი, აწი, ნვინი, მალ, მსთუად, არდი - რაამბავია, და უარესიც, კიდო - არდიფრუ, აჰა, მსწრაფლ, მუნთქუესვე ერთი და იგივე არიან, რომელიცა სიტყუას გაეწყოს იგი ჩაურთე“, ვა?..., და ეს უღირსიც, კუკუმ ფეხი გამოჰყო, - მეცო, მაგრამ რა ექნა, ძალიანაც ნუ გავამტყუნებთ, ადამ-ის, ძველი, ხომ ყველას გვახსოვს და რა ექნა იმასაც, ადამს, ბეჩავს, სიტყვათქმნადობა შუბლზე ეწერა და, სიტყვათქმნადობდა, და ისეთი მაინც რა მიესაჯა, რომ, აგერას მისი რამსიშორითა შთამომავლები, ვჯახირობთ, კვლავაც, კიდევაც დაწყებულს მისას, მაგრამ რა უჭირს - იმან თუ ამისათვის თვით თავად სამოთხე თავისი ზრახვით თუ ნებით დატოვა თუ დაატიებიეს, ჩვენ რა, - გვემუქრება ნაკლები სასჯელი? -

არა. და ნუღარც გავიხუმარავებთ, არაა ეს ხუმრობის საგანი, რადგან დღევანდელებშიაც, როგორ,

„აჰა ესერა ნავებიცა იგი დიდ-დიდები (და ჭრელი ხალხით აღსავსე) და ფიცხელთაგან ქართა მიმოტაცებულნი მოიქცევიან მცირისაგან საჭისა, - კვლავ ენაზეა, ეს, - ვიდრეცა-იგი ჰნებავნ მისლვაჲ მმართებელსა მას მათსა“,

მაგრამ, მმართებელობამდეც კი, ვერა გონება მიუწვდებათ,

ყბედები.

* * *

ისე კი, რა გვჭირს ნეტავი მაინც ამისთანა.

ისევ წმიდა იაკობ მოციქულს მივუბრუნდეთ კი არა, შემოვუბრუნდეთ და შევუვრდეთ, ერთად, მაგრამ ჩვენს საწინააღმდეგოს არ ამბობს, კაცო? -

„ნუ მრავალნი ჰმოძღურით, ძმანო ჩემნო!“

რაო? ამაზე მეტი ჩასაჩუმება? -

„უწყოდეთ, რამეთუ უდიდესი სასჯელი მოვიღოთ“,

როგორო? ამაზე მეტი?!

რა დავაშავეთ ამისთანა...

ეგება სხვებში, თუნდაც გონება-ძალზედ-ამღვრეულებში კი არა, უარესებშიც მიმოვიაროთ, ეგებ გვეღირსოს ამით რაღაც შვება, და ჰაც! - მარკოზ 5:

თავადი იესუ ნავიდან როგორც კი გადმოვიდა, გადმოსვლისთანავე „მოეგებვოდა მას კაცი, რომლისა თანა იყო არაწმიდაჲ სული“,

კარგია, - ესე რა... მიდი,

„რომელსა საყოფლადვე აქუნდა საფლავები“ - კარგია! - „და არცაღა ჯაჭუებითა ვის ხელ-ეწიფა შეკრვად იგი“,

აშენდა იმისი ოჯახი! -

ეს ჩვენებიც არ მომაწონა?

„რამეთუ მრავალ-გზის ჯაჭვითა და ბორკილითა შეკრულ იყო იგი და განხეთქის და შემუსრის“ - ვა?... - „და არავის ეძლო დაყენებად მისა“,

არადა, ჩვენც კი-რომ გვყვანან დასაყენებლები... მაგრამ განვაგრძოთ,

თურმე დღე და ღამ სამარხებში და მთებში დაძრწოდა, ღრიალებდა და ქვებს ახეთქებდა თავს. - აუ?...

არა, ჩვენებსაც ვერ წავართმევთ რომ, ჯერჯერობით ამგვარად თითქმის არ იქცევიან, ყოველ შემთხვევაში ასე სახალხოდ ქვებს არ იხლიან რაცგინდანაირ თავში, ეს კი არა და, ზოგი მათგანი, მეტთუნაკლებად დაწინაურებული, ტელევიზიის მეშვეობით (ტელევიზიის სახელმწიფო მაუწყებლობით) რომ გამოდის, იმისსა ცქერნას სხვა აბა რა სჯობნიან: გადაქანცულად მოაქვს თავი, თითქოსადაო მთლად ახლახანღა აიღო მაშვრალი ხელი თუ თავი ანდაც ორივე ერთად ძალიან საპასუხისმგებლო სამუშაოზე თუ პახმელიასაა, უნდა ამასაც ამოცნობა, მაგრამ ალბათ მაინც უფრო პირველი, რადგან, ხაზგასმული მისავათებულობით ამბობს, რომ, მან დიდის გულდასმით - მაგრამ გულსადდასმით? - შეისწავლა რა ის დიდათ საკვანძო სასიკეთოდ ძვრა-საკითხები რომლებიც ტელემაყურებელს აგრერიგ დამსახურებულად აღელვებს, და მივიდა - მივედიო, არადა, ზისა და იჯდა - ე?, თითო შეცდომა... ვიღას არ... - და მჯდარად მისულა იმ უცილობელ დასკვნამდე რომ, ამასთანა დაკავშირებით, - ამოოხვნეში, „რომ საჭიროა კონფიდენციალური მოსაზრებები და მიდგომები“, -

ვა?, ის საფლავებად ქვარტყმული თავისა მორბენალი, უფრო ალალი არა იყო?

მორბენლებიც, გვყავს. და განა ერთი და მხოლოდ ორი? ლეგიონობით.

მაინც და მაინც ფეხებით კი არა (ფეხებით სირბილი აკი შაბლონია), არამედ სასირბილოსა და სასირბილოებში ენამ აბა რა დააშავა, ისეთს იტყვის რო? - ჰაიტ! ჰაატ! აჩუ...

მაგრამ მოდით და შეჰკადრეთ რამე, და ვაი მაშინ თქვენი ბრალი: თავისეულად თავისებური გამძვინვარებისას ის იმდენს გიჩივლებთ თან გინდ წერილობით და

თან ან მხოლოდ ვითოუწყინარ რადგანუჩინარ და მაწყინარის როგორ ენითა რომ?, - ლეგიონობით, როგორ თუ რამე შეჰბედეთ და, რომ არა გჯერავსთ იმისი არა? - ეს რომ ხომ გინდ პირწაუვარდნელის(ს) სიგიჟეა, - როგორ თუ არ უჯერებთ და ამდენს რომ ამდენსიტყვაობით გაფურჩქნულა კარგა და თანაც როგორ-როგორი ყვავის, ის რა - აქეთ (იქით) გიჟია?

აქეთიქითურა სიგიჟეებისა რა მოგახსენოთ მაგრამ, ის მეტყეღრევე, მარკოზ მახარებელისა, ამაშიაც ხომ უმფრო ჰალალი იყო, რადგან მორჩენა და მოსვენებაც და ყოფა ადამიანური როგორ არ უნდოდა, მაგრამ, მის თანა, - ხომ გვეამბა - იყო არაწმიდაჲ სული, და არ ასვენებდა, დაარბენინებდა საფლავებში და, ბეჩავი, ის, კი-კარგად კი გრძნობდა იმდენს მაინც რომ ერთგვარად უხერხული (ნიუდობნი) იყო ხალხში ჩენა და, კიდევ კარგი, კიდო კაი რომ მოჩუქურთმებულ კაფედრაზე კი არ დაცეკვაობდა, არა, არამედ სამარხებსა და მთა-ტყე-ღრედ დაძრწოდა არაზოგიერთივით თუმცა იმათი ადგილებიც სწორედ იქ იყო და არა აქვე-ახლახან ზემორენახსენებ კათედრებზედ, და რა შუაშია მაგრამ ეგებ შუაშია, - სუყველასა გვააქ თითო პლუსი.

დაც, ჩვენებური ლეგიონისაგან განსხვავებით, ძალიან უნდოდა საკუთარი თავის მორჩენა, ვინმეთი შველა, გადარჩენა, მაგრამ არავინ ჩანდა ასეთი, და, გამწარებული, ისევ თავში ქვას იხლიდა და უწმიდური თუმცა მთელ სხეულში გაჯდომოდა და თავში მეტად, შემაჩვენებელს, არა ტკიოდა-რა, ის კი არა და, ბოროტი, ხითხითებდა.

და, ერთ მართლა მშვენიერ... ნეტაი იმ დღეს... ნეტავი ჩვენცღაკი დაგვდგომოდა, - ერთსაც დღეს ანაზდეულად შედგა ეს ახურვებული კაცი და, ზღვისაკენ გახევდა, ზღვით კი მცირე რამ ნავი მოცურავდა და მოცურდა და მგზავრიც, მარადიული მოგზაური და ადგილზეც მარადმყოფი, - უცნაურია, არა? - ასეთი მგზავრი მოიყვანა თითქოსდა ნავმა მაგრამ კაცი ნიჩბებსაც თავად უსვამდა, და, გადმოვიდა თუ არა ხმელზე, ახალსისხლ მუქად დადენილი, ძველსისხლ და ტალახ კი უფრო მუქად და ალაგ ბაცადაც შემხმარი გახევებული კაცი კი მის გადმოსვლისთანავე აღიძრა კვლავაც და მაგრამ საფლავებისაკენ კი არ გაქანდა, არამედ სწორედ იმისაკენ, სუყოველგნიდან და ზღვითაც მომავალისა, და თუმც უცნაური რბოლა კია ეს მაგრამ როგორი თან მოწიწებით და თან გამწარებული გამორბოდა ტყე-ღრედან მისაკენ მოსარჩენი კაცი და შორიდანვეც ამა ველური სირბილითაც კი ეტყობოდა რომ სწორედ სათაყვანებელისაკენ მორბიოდა ეშმაკთ პყრობილი, და მეტად ახლოს მოჭრილმა კი მთლად „თაყუანის-სცა“ და მაინც „ღაღადებდა ხმითა დიდითა“ და ღრიალს ისერიგ ძალიან დაჩვეული, - მარტო ჩვენებურების ლეგიონის ლაპარიკებმა კი არ იცის შეჩვევა, და, „ღაღადებდა ხმითა დიდითა და იტყოდა“ ამას, უბედური:

„რაჲ ძეს ჩემი და შენი“, - რაც დღევანდელურად დაახლოებით ასე ითარგმნება: „რა მე და რა შენ“, ანუ - „რა გესაქმება არა, ჩემთან“... ანდაც, „რა გვიძევს საერთო, არაფერი, არა?“ -ო, მაგრამ თუმცა პირველად სჭვრეტდა ახლა, მიმართა სახელითაც კი, სახელი მისი დააყოლა!: „იესუ, ძეო ღმრთისა მაღლისაო“, მოითქვა სული, და, „გაფუცებ შენ ღმერთსა, ნუ მტანჯავ მე“, მაგრამ ეს უკვე არა წმიდაჲ(თი)

ეევედრებოდა, რადგან აქაურისა ცხოვრებაგანვლილის დამთრგუნველმაც და მძლეველმა ყოვლის იესუმ, ქრისტემ, უბრძანა მას: „სული ეგე არაწმიდაჲ, განვედ კაცისა მაგისგან!“,

და ჯერაც თუმცა იმ კაცში იყო,

იმ მიწად ეგდო იმ კაციანა, რომლისაც ღირსი სულაც რომ არ იყო მაგრამ, დათარეშობდა როგორ, ძალიანი, ოღონდ მხოლოდ აქამომდე, რადგან ის კაცი ისეთი ღრმა თაყვანისცემის შემდეგ მემრე როგორღაც უნებურად ამოტრიალდა და სახით უფლისაკენ, ეგო, ხოლო ეს, თუნდაც იმკაციანი, მთლად პირქვე ეგდო იმ ქუეყანად, რომლის ღირსი სულაც არ იყო მაგრამ დაპარპაშებდა ბევრში და ალაგ ძალიან როგორ, და დიდხანს, მსხვერპლის სულის ამოხდომამდე მაგრამ აქ მხოლოდ აქ-აქამომდე და, სულთმობრძავი, საბოლოოდ წარსაწყმედელი, და თავხედი მაინც როგორი რომ? -

„გაფუცებ შენ ღმერთსა“ -

ღმერთს აფიცებდა!

ნაეშმაკეული კი, გულაღმა იწვა; ცას შესცქეროდა ჯერ, ქუეყანისათვის დაბადებული, და ახლა მხოლოდ ცისას იყო, მერე კი, ირგვლივაც რომ მიიხედ-მოიხ-მიმოიხედებოდა, ნახავდა რომ თუ ის რა დღე იდგა იქ, აქ, სუყველაჩვენის დედამიწაზე, ხოლო დღე, იყო? დღე კი, იდგა?... დღე კი იდგა მშვეენიი, ეერი დაა, - იმ ღაღადიდან, ღიღინზედაც კი გადმოვიდოდა,

უწმიდური კი, სულს კი ღაფავდა მაგრამ ასეთ მოგზაურს მაინც ფრიად ეევედრებოდა, ემუდარებოდა, დაეტიებინა,

ხოლო იესუმ ჰკითხა მას: „რაჲ არს სახელი შენი?“ -

გინდაც არ სცოდნოდა.

ხოლო იმანაც, გინდაც იმასაც არ სცოდნოდა რომ განმკითხავმა იცოდა ყოველი, კაენისაგან განსხვავებით სიმართლე ირჩია მაგრამ, ეს იმიტომ, რომ თვალთმაქცმაც თავი და თავი, თითქოს ასეც მორჩილმა და კაენის კი მაინც როგორმა მეწყვილემ რადგან დიდად საერთო ჰქონდათ ის რომ ეგება გადავრჩეთო და, ეს კი სიმართლის თქმას მხოლოდ ამიტომ დაეშურა და გახარებულმა ამით, თითქოსი თნევით მიუგო და უთხრა, რომ, ლეგიონია,

„ლეგეონ არს სახელი ჩემი, რამეთუ მრავალ ვართ“.

მრავალნი იყვნენ, კი, მაცთურები და შემაცდენელნი, მაღვალაკები, მიწრიელები, მზაკვარები და ქვებუდანები, ცბიერები, გლისპები, თაღლითები, გველაძუები, გაქნილები, და ვისიმე მცირე, მთლად ერთი ცახე შეცდომაზეც კი - ბინძურსულ კაწკაწით იმაში შესასახლებლად ჩასაფრებულები, და ხოლო განსაკუთრებით იმათში ბუდობდნენ, ვინც არ ამბობდა, არ იცოდა ან დავიწყნოდა რომ, „უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა და მიმომწვლილვობისასა, მთავრობისმოყვარებისასა და ცუდად მეტყველებისასა ნუ მიმცემ მე“, და ასე

შემდეგ და იმათგან კი ეს ერთიც ბღუჯა ეშმაკეულთა ამ ერთში ავად ბუნაგობდა, ახლა კი რაღას არ მოიმოქმედებდა თავი როგორმე დაეძვრინა ღვთისა ძისაგან და ისე იმდენად სხმარტალებდა რომ, სახელიც კი სწორად უთხრა თავისი, თავისიანთებიანა, და, მღაფავი სული სიბილწისა გამხნევებულს თითქოსდა ოდნავ აღუღორძინდაო და,

გულაღმარი კი ცოტათი შეცბა, რადგან, სიმართლისა თქმით ვითომც ოდნავ განმტკიცებული, უწმიდურება, დროს არ ჰკარგავდა, ცოტათი უფროც მოებღაუჭა, მას, რათა მერე და მერე, იმედი ჰქონდა რომ რადგან სახიერი, იესუთი შეწყალებული უფრო და უფრო გამწარებით და მთელის ბინძური ნებით რომ ჩაფრენოდა კვლავ, მოსვენებულს, ამას, და ეგონა რომ იმასაც უვნებელად განტევებისათვის დაიხმარებდა, იესუს ღმერთი რომ დააფიცა და მომეტებულის ძალით „ევედრებოდა მას ფრიად, რაჲთა არა განასხნეს იგინი გარეშე სოფელსა“, მათ ხომ, იგინებს, სოფლად ძალიან უნდოდათ ყოფნა, კი, ხოლო იესუმ, რომელსაც არამცთუ არავითარი ფიცი არ სწამდა, ხოლო „არა-იფუცო“ და „არა მოიღო სახელი უფლისა შენისა ამაოსა ზედა“ ერთ-ერთი იყო მის მიერ როგორ მყარად დადგენილ, თუ არ მოინანიებდი მომაკვდინებელ ათ ცოდვათაგან, მიმოიხედა,

„და იყო მუნ კოლტი ღორთაჲ დიდძალი, მთასა გარე მძოვარი“,

დაბალახობდნენ,

და არაწმიდა უფრო და უფრო აჭყეტდა თვალს, და ქრისტესიც კი მაღალი მზერის გაყოლებაზე, უბადრუკმა, იმანაც შენიშნა კოლტი, ნაღდი კოლტი-რამ, იმდაამ ღორთა თავშესაფარი - იმ მთლად ღორებისა და ამ უფროც მთლად ღორთა: ადამ-იანები კი არა, - ადამი სიტყვებს წვალობდა როგორ, ამათ კი მხოლოდ ბრღრღრუტუნი გაუდიოდათ გინდაც ორფეხებს მათში, და ამ ერთჯიშად ორსახოვან ღორებში ხომ კუთვნილი ლხენით დაივანებდა ლეგიონი და ერთურთის ბნელ სულს დიდად ამოავსებდნენ მათით მომლხენიც და გასატანჯებიც, კი, და ჯგრო ელოდა როგორ ლეგეონს, წარმწყმედს, იმას ცოტა როდი ჰყავდა გინდ მოშორებით მაგრამ დიდად თანამზრახველი, კოლტში, ხოლო იესუ დუმდა, და ჩუმდა-ს იყო, ხოლო თავისით გათამამებული კი, ღორძნდებოდა, და ვის წინარე - იესუსი, თვით,

„და ევედრებოდეს მას ყოველნი იგი ეშმაკნი და ეტყოდეს: მიმავლინენ ჩუენ ღორებსა იმას“ - სწორედაც რომ საიმათო სავანე, სამყო, სამკვიდრებელი, საფარი, კერა - იმდროინდელთაც ღორთა შიგანი, - და მიგვავლინე იქო, რადგან, „რაჲთა მათა შევიდეთ“.

ხოლო ღორებში შესულები, ხელს ძალიან დიდად შეუწყობდნენ რომ ეგრეთწოდებულად გამართლებოდათ ანუ ძაან დაესუქებინათ ოღონდ დასაკლავად, სხვად არად ვარგოდნენ,

და, იესუმაც, უბრძანა მათ. და საბოლოოდ „განვიდა სულები იგი არაწმიდაჲ კაცისა მისგან“ და ღორებში შეცვივდნენ, თავისიანები ამრავლეს. და, შეყრისა და თანადგომისას, ზეიმობდნენ, პატარა ხანს, ჯერ,

ხოლო სატანას დასტას გინდ გამარჯვება და სასურველობაში შეღწევა და იქ აღზევება ნდომა-წადილით მიმღებთა, და მერე კი იმათი როგორ უნდოდ მორევა და დაპყრობა და ამით ზარ-ზეიმი ვერც ვერასოდეს ვერაა სრული რადგან თვით სატანასიც კი, მათი თავკაც-პატრონის თუნდ გარეგნული მიღწევები, რაგინდ აშკარა, ვერაა მარჯვე რადგან იცის რომ ყოველივე და ყოველი მსხვერპლი რაგინდ შთანთქმული, ამოშხამდება, და უწიგნურიც არ გეგონოთ, გაქნილია და მშვენივრად იცნობს „გამოცხადებაᲘ“ს მაგრამ ვაი ამ ცნობას, რადგან - წყევას, მის დათრგუნვასა, მოსპობაზეა, და გააჩნია თუ, ხომ, რომ როგორი სარკისას, იცნობს თავს ისე, გინდაც მხეცი, და თვალს აარიდებს, ღვთის ზეიმი კი ზეიმიც აგრეთე არაა იმდენად მეტი, დიდია უფრო, და რამდენადაც გამარჯვება მეტადაა, და უფრო? - უფრო მშვიდია, სათნოდ წყობილი, გზიანი, შორსმჭვრეტელური, და ხმამაღლივ კი? გამოცხადება ამისი? - არა, არა - მთლად უუბარი, გამარჯვებით, რადგან ცხადლივით ისედაც, შედეგით ისედაც, ის - სრულია, სავსებია, სრულიადია, და თავისი არსის ისე მტკიცედ ანუღა მშვიდად დარჩომა - „საზრდოს გამოზრდა“ - აბა რაღაღა საზეიმოა, რად, ეს მის ერთადერთ ძეს სჩვეოდა, მიწაზე როცა ხილულადაც იყო, სიხარული, გზასაცდენილ ცხვრებს კვლავ თუ წიაღში დაიბრუნებდა, მაგრამ დიდად ხაზგასმით არც მას სჩვეოდა და სჩვევია აღტაცებები მიუხედავად იმისა რომ უყვარს ცხოვარნი, და არა ღორები და თხები რაგინდ კაცურ კაცებად - გამოთქმაა ზედმეტი და გაუგებარი - არამედ - „კაცი“, და მორჩა - რაგინდ კაცურ კაცებად - იორმაგებენ, არაკაცობას, სიტყვის თამაშს იშველიებენ მაგრამ რომელი და როგორი სიტყვის! - მოკლედ, მოჰქონდეთ თუნდაც ასეც თავი, და ახლაც ძე კაცისაᲘ და არა ძე-ძეი კაცურ-კაცისაი ახლაცვე მშვიდად შესცქეროდა როგორ განუსაზღვრელი და კაცურ-კაცთაგან განუსჯელი სიხარულით „მიიმართა კოლტმან მან ღორებისამან კბოდესა მას ზღუად“, ნუთუ ვერც ერთი ვერ ხედავდა წარწყმედისაკენ საით როგორ მიკუნტრუშობდნენ მაგრამ საჭმელი და რამერუმე საყარად და ღორულად ჰქონდათ და განა მარტო გამაძღრები და დახუნძლულები ამ წამ-ქვეყნიურ გამორჩენებით და ვინ საით როგორ მიჩინდრიკობდნენ გინდაც სწრაფად და თუნდაც ნელა საით ვიდოდნენ ვინ რა იცოდა, ოღონდ ყველანი მაინც ერთგანკენ - მიჩაქჩაქებდნენ, ლეგიონიანები და, - მორჩა, ნუთუ ვერც ერთი ვერ ერიათ აუარებებს რომ მიმხვდარიყო გადასაჩეხი რომ ელოდათ მთლადაც სასიკვდილე და არა, არა, გაფრთხილებისას რას დაგიდევდნენ და მთლადაც ყიჟინით აწივლებულები, გადაეშვნენ და მიჰქროდნენ ქვევით, დასანთქმელად, ღორები, იმაც თავისი დასტაიანა, ბინებიანა, მანქანებიანა, მზის საწინააღმდეგო სათვალიანა, აგარაკებიანა, ფულებიანა და ღილებიან-მანჟეტებით და ლეგეონით ზღვაში დაინთქნენ, „დაიშთვნეს ზღუასა მას შინა“, ლეგიონური, თავი, ლეგიონიანა,

ხოლო განწყევლილმა კი საბოლოოდ ამოისუნთქა.

წამოიწია;

ქრისტეს პირას ჯდა.

„შემოსილი და გონიერი“.

შემოსილიო, - ადრე შიშველიც თუ მიმორბიოდა.

და ვინ იფიქრებდა, რომ, ეს ის იყო სულ ახლახან რომ

„რომლისა თანა იყო ლეგეონი“ და გაოცებულები შესცქეროდნენ „მწყემსნი იგი“ მაგრამ ეს „მწყემსნი იგი“ მათთვის რაღაც მომაღლოფარდოვნად, ჟღერს თუმც ს ა ხ ა რ ე ბ ა მ როგორც ყოველთვის და ვერავითარი გამონაკლისის გარეშე მუდამ იცოდა და ყოველთვის იცისა თავისი საქმე და მერე როგორი რადგან „მეღორეები“ ალბათ სამწყემსი საქონელიდან რაღაც ცალფად ჟღერს და ცალი ეშმაა და არა კენტი ადამიანები ერთად, მიმბარებლები არიან, და ზარალი კი თუმცა ნახეს მაგრამ სწორედ ამისთვის არ იღვწოდნენ ასეთიც მწყემს-ობით? და, ხოლო „მწყემსნი იგი“, შორეულები, გაოცებულიყვნენ დიდად რადგან ის თანამდებობიანადაც მოწყობილ-კარგადაბინავებული ღორები ასე მთლად ერთად რამ გადარია ან ეს ჯაჭვებითაც კი შეუკრველი, რამ გადმორია,

იგი კი, იჯდა, გონიერი, და ჩუმათს იყო, იმ ხმამაღალისა გამოხედვით ჰო და არა-სი ხმადიდად და საყოველთაოდ კი-არ დამრღვევი, მაგრამ -

კალამი ღ აკლდა, -

ანუ „დასაწერი ლერწამი“. -

მოიძიებოდა,

ხოლო მშვიდსა და მშვიდად მტკიცე და აშუქებულ თვალებში ხომ, რა აშკარად და როგორ ნათლად, მკაფიოდ ისე, ჩადგომოდა, რომ

„უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა და მიმომწვლილველობისა, მთავრობისმოყვარებისასა და ცუდად მეტყველებისასა ნუ მიმცემ მე“,

მისადმი როგორ განწყობილი, კეთილმოსურნე, დასცქეროდა უფალი, -

წინ გზა ელოდათ.

და, მეტიც, ესაც აღბეჭდოდა:

„ხოლო სული სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა მომმადლე მე მონასა შენსა“.

და თუმც ორნივე არ აღიხვნიდნენ ბაგეთ, ქრისტესი ხატი, მისი სახება მთლად იმისაკენ, იყო, -

„კარგი“.

ყველაფრის ნებას, რთავდა, რადგან კაცი-ვინმ ედგა - წამომდგარიყო - თვალწინ გონით თვალნათლივ შემოსილი, თვინიერიც და რაღაც დიდს, შემძლე, და იცოდა უკვე იესუმ, ქრისტემ, თუ რისაც, შეხედა ერთიც, რწმენის შემზერვა მიანიჭა და, კაცში დარწმუნებული, მშვიდად იყო და მშვიდად მყოფი

„აღ-რაჲ-ვიდა იესუ ნავსა“, ნაპირით ეახლა ერთიც ახალი, ახალთახალი ადამ-იანი,და, „ევედრებოდა მას“, დიდად შესთხოვდა ის ვინაც იყო მცირედ ადრე „დიდად ეშმაკეული“, „რაჲთა, მის თანა“, ქრისტესთან, იყოს, ყოფილიყო, და რომ იესუს თავის ძნელ გზად, წაეყოლა, წაყოლილიყო,

მაგრამ იესუმ ნება არ დართო, „არა უტევა“, არამედ უთხრა:

„წარვედ სახიდ შენდა თვისთა შენთა თანა (შენიანებთან, შინ) და უთხარ მათ, რაოდენი გიყო შენ უფალმან და შეგიწყალა“.

და, მიეფარა ნავით.

მაგრამ არ მიფარულა.

კაცმა, რომელსაც თვალებისდა როგორღაც მიხედვით კალამი აკლდა, ეგებ აიღო მართლაც ლერწამი-საწერი და მოიმარჯვა ეგება, - ვითომ? ნეტავი?, იქნებ, ეგებ და და ვინ იცის, რადგან ქრისტესი მზერით და სიტყვითაც ხომ, სიტყვით ეუწყა რომ იქითაც ეუწყნა სხვებისათვის თუ „რაოდენი გიყო შენ უფალმან და შეგიწყალა“, მაგრამ მხოლოდ შინაურებში ასეთი დიდი ამბის თხრობად ეგებ ძალიან ეცოტავა და ნაცნობებსაც არ დასჯერდა და ეგებ კალამი მოიმარჯვა სუყველასათვის-ჩვენ, დრო ცოტა ჰქონდა, ცალკე წერას უნდოდა თავისი, ცალკე - იესუს მიყურადებას, და მოციქული თუმცა არ იყო იესუისი, არადა, სდევდა, და მაგრამ კალამისათვის დასდევდა კიდეც ცოდვილ მიწაზე მავალ იესუს და დღისი იყო თუ ბნელ-ღამეობით, ქრისტესას წერდა და, ეგებ სწორედ თავად იყო თვით წმიდა მარკოზ, ოთხთაგან ერთიც მახარებელი.

უცები აზრი არ გეგონოთ ეს, უღირსს ამაზე ბევრი უფიქრია, და თუ არ განსჯით, აღმომჩენის ეგებ შეცდომისა-ამ, და ამიტომ თავხედობისა და უმეცრებისათვის, თავის მართლებად, ახსნად რაღაცებს გეტყვით:

მოგეხსენებათ, მატთეოსი, მომავალი თავდაპირველი მახარებელი, მეზუერე იყო ქრისტეთი ხმობამდე, იოვანე კი - მესათხევლე მაგრამ რომელმაც თევზების ჭერა ქრისტესი ნებით კაცთა სულების სასიკეთო და როგორ მერე, ჭერაში, ცვალა, ლუკა ექიმი და მხატვარი გახლდათ, ცნობილია ეს, და გვიხატავდა იესუისას ისე რომ როგორ გვაქიმობდა, მისი პირველი და მეთხუთმეტე თავი წაიკითხეთ, რა, მარკოზზე კი, ახალ აღთქმაში ზედაპირულად არაფერია... მაგრამ უნდა იყოს.

მატთეოსი ხომ ჰყვება თავისას, იოვანე როგორ ხშირად იხსენებს თავს „საყვარელი მოწაფე“თი „რომელიც უფალს“ გამორჩეულად უყვარდა, ისე ძალიან რომ მასზე და მისთვის „ცრემლოობდა“ც და ქუეყანაზე დედა-თავისი, ღვთისმშობელი, მას ჩააბარა და თავის მკუდრეთით გამოსვლასაც, ყველაზე დიდ ხილულ სასწაულს ქრისტეთი - „ლაზარე, გამოდი გარე!“, როგორ გვიამბობს, ლუკა თავისსავ სახარებაში როგორც მოგხსენდათ როგორ ნატიფად მხატვრად აქიმია ხოლო მარკოზ, ის? ეს?

ვისაც მეორედ მოსვლა, თავის 13-ში, უღირსი წუხსკი ძალიან შედარებისათვის მაგრამ მარკოზს მეორედ მოსვლა თვით მათესა და თვით ლუკაზე შთამბეჭდავად

ანუ როგორც ამას ხანდახან ასეც ეძახიან რომ, „მხატვრულად“ა აქვს აღწერილი, როგორ იწყებენ მახარებლები, გადავხედოთ: მათეს თუ როგორღაც სადად და უბრალოდ აქვს: „და მოუხდეს მას მოწაფენი მისნი და უჩუენებდეს შენებულსა მას ტაძრისასა“, ლუკას: „და რომელნიმე იტყოდეს ტაძრისათვის, ვითარმედ: ქვითა კეთილითა და პატიოსნითა შენებულ არს“, მშვენივრადა აქვს, კი, მაგრამ მარკოზისა! - „და გამო-რაჲ-ვიდოდა იგი ტაძრით, ჰრქუა მას ერთმან მოწაფემან მისმან: მოძღუარ, იხილე, რაბამი ქვები არს და რაბამი შენებულებაი!“, მეპატიოს და,

უკეთესია,

და ქრისტეს პასუხის თუნდ მხოლოდ დასაწყისი რად ღირს, ვერაფრად, რომელი ფასი შეედრება: „ხედავა ამათ დიდ-დიდთა შენებულთა? არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა, რომელი არა დაირღუეს“,

და, ზეთისხილის მთაზე ტაძრის პირდაპირ მჯდარი იესუ, მეორედ მოსვლას როგორა ჰყვება: სასწაულია, ეს,

და თუმცა ხაზგასმით არა მაგრამ როგორღაც მიჩნეულია რომ ყველაზე დიადი სახარება იოვანესია, მერე ლუკასი, მერე მათესი და, მარკოზისა, და მოცულობის მხრივაც მომცროა სხვებზე, მათეს 28 თავი აქვს თავისში, ლუკას - 24, იოვანეს - 21 ხოლო მარკოზს მხოლოდ 16, მაგრამ მარკოზის მეცამეტე? ახალი აღთქმის მხატვრულად თხრობის გვირგვინია, გადაიკითხეთ კი არა და, გადაისანცვიფრეთ, -

სასწაულია, ეს,

და ეგებ იმიტომაც ჰგონია უღირსს მახარებელი-ეს ის ნაეშმაკეული რადგან ქრისტე უმრავლეს შემთხვევაში უკრძალავდა მისით მორჩენილებს რომ მიმოედოთ მათი ისეთი უცები განკურნების ამბავი, ხოლო იმას კი, თავში ქვების მხლელს და მოღაღადეს: - განმეორება არ მოგვბეზრდება: „წარვედ სახიდ შენდა თვისთა შენთა თანა და უთხარ მათ, რაოდენი გიყო შენ უფალმან და შეგიწყალა“, - მახარებლობისათვის, რარიგ მაღალი სიტყვებისაკენ უბიძგებდა, კი,

და კიდევ ერთი ადგილია მარკოზთან სწორედ ისეთი, უღირსს, სუცოტა, უბრალოდ რომ ვთქვათ, მოსვენებას არ აძლევს:

ვისაც არ გახსოვთ ან არ იცით, მარკოზ 14 გადაშალეთ და მთლადაც წაკითხვა არას გაწყენთ ხოლო მუხლები 51-52 განსაკუთრებით წაიკითხეთ: „და ერთი ვინმე ჭაბუკი“... სჩვევიათ მახარებლებს და სხვა რიგით კალმოსნებსაც საკუთარ თავზე შეფარვითა და მესამე პირს რომ ეძახიან, წერა, ხოლო ის ჭაბუკი, ქრისტეს შეპყრობისას, მისადმი უზომო მადლიერების დასამტკიცებლად, და როგორ უშიშრად, რადგან - ხაზგასმულია იქვე, მანამდე, რომ „მაშინ მოწაფეთა მისთა ყოველთა დაუტევეს იგი - იესუ ქრისტე! - და ივლტოდეს“ - თვით მოწაფეები, მოციქულები ეს, შედრკნენ, ხოლო მადლიერი-ვინმე ჭაბუკი ისე აღსავსე ქრისტესით რომ მარტოღაღა მისდევდა მას და შეემოსა არდაგი შიშულივ“, - დაიმახსოვრეთ, შიშველა ტანზე ეცვა არდაგი ანუ „წელს ქუეით მისაფარი“, ხოლო

მეომრები იესუს ასე ერთგულად მიმდევარს გადაეღობნენ და შეიპყრეს კიდეც, მაგრამ მან ხომ, ერთხელ შეპყრობილმა იესუს მაინც-მიმდევრობა შეიძლო და მეორედაც დასძლია მეომართა ზღუდე რადგან კი-შეიპყრეს და რამაგრადაც როგორ, ეყოლებოდათ ჩაბღუჯული, მაგრამ „მან დაუტევა არდაგი და ივლტოდა მათგან შიშველი“, მთლად, და თანაც ის რომ, საბასთან, მარკოზ - „ზღუდე ორმაგი“, გინდაც არ ვიცოდეთ სახელი-ეს თუ საიდანაა, რომელ ენაზე მაგრამ, სიშიშვლე ამ ჭაბუკისა... ხაზგასმულია, როგორ, მარკოზის 5,15-შიც, - რომ იჯდა იგი დაწყნარებული და „შემოსილი და გონიერი“, - შემოსილიო! და მერამდენედ არ მოგვბეზრდება სახარებაში რომ უბრალოდ - არაფერია, და „შემოსილი“ -ო, ხაზგასმულია, რადგანაც ადრე საფლავებშუა ალბათ შიშვლივ-ღა რბოდა, საფლავისკენ განსაწირად შეპყრობილ ქრისტეს ისეთი დიდის შეძვრისაგან... - გაიხსენა და კვლავაც შიშველი გამოუდგა მაგრამ ახსოვდა როგორ, იმისი: „და უთხარ მათ“, - მწერლობა შუბლზე სხვა-ობად დადაღვოდა, და ვისით მერე, სიტყვა ესაჯა წყალობად როგორ, ქრისტესაგან თვით, მახარებლობისა,და აუარება როგორ ტვირთად სიტყვებმისჯილი ადამიც ხომ, მთლადაც შიშველი მიმოდიოდა თავის რაძნელ ედემში და სასიტყვოებს დაზაფრული აკვირდებოდა - რამდენნი იყვნენ, აურაცხელნი, და მხოლოდ სიტყვითღა თუ იქნებოდა მათი აღნუსხვა, ასე შიშველი ადამისაგან და რაა მწერლობაც თუარ სიშიშვლე, ღვთივ ბოძებული რაც გინდა ჭრელჭრულა ფრად შემოსილი, როგორ სწამს უღირსს რომ სწორედ მარკოზია კაცი იგი, ფერადი სიტყვით როგორ წინასწარ გადარეული თუნდ უსიტყვოდაც ხოლო სიტყვებით - გონიერი, თანაც მხატვრულად, და „ქურივ-გლახაკ“ დედაკაცზე, ბეჩავი ქვრივის ორად-ორ მწულილზე, ორ ძველმან გროშზე, იმ მცირედსა და ღატაკურ ძღვენზე ღვთისადმი მაგრამ, - „უფროის ყოველთასა“, - როგორის დიდებით, რადგან „ნაკლულევანებისაგან თვისისა“, უძღვნა, და უცნაურია, არა, რომ მხატვრულობაც ეგებ სხვა-რაიმ ნაკლულოვანებისა გამო ნაკლულობის რამ-შესავსებია, ვინ იცის, ჰეე საით წავედით, და ქვრივს თავისი მწულილებიანა, დავუბრუნდეთ, იმ მცირე ძღვენზე შევჩერდეთა და დავაკვირდეთ, რადგან მხოლოდ ლუკასთან ერთად აქვს მოთხრობილი ესე-ამბავი მარკოზს, სხვა ორი მახარებელი ამაზე დუმს, ხოლო მარკოზ და ლუკა, ეგრეთწოდებულ-მხატვრულები, იმ ორი ასეთიც მწულილით ეგებ თავისასაც, მცირეს, მხატვრულს, მცირესაც მაგრამ თან უდიადეს რამ-თან ერთად, ქრისტესობისას, და როგორ მეტად შესაძვრელად ამ ამა-ჩვენთა, გვიწყალობებენ, როგორ ძალიან მაღონიერებელს რადგან, ამას-რამს მხოლოდ აისინი ეგებ იმიტომ ჰყვებიან ასე,

გულისხმობენ, რამს,

და, აქ სხვა „ეგებ“, მთავარი „ეგებ“ - ეგებ, თუ მართლა? ეგება მართლა ეს ჭაბუკია თავად მარკოზ ხოლო მარკოზ კი - ნაეშმაკეული?

რა ვიცით, ეგებ...

ხოლო ხომ თუკი სულ სუ ყველაფერი თუ არა და, ბევრი რამ, აკი ხდება,

კი,

და როგორც ახლახან მოგახსენეთ სჩვევიათ მახარებლებს და სხვა კალმოსნებსაც საკუთარ თავზე შენიღბვით და მესამე პირს რომ უწოდებენ, იმითი წერა, და როგორ არ მოგახსენოთ აქ ამ მართლა უღირსმა სხვანიც რომა აქვს, კარგა სათუო, ეგრეთწოდებული აღმოჩენები, თვითონაც კი ეჭვს, მაგრამ, მაინც გაბედავს და მოგახსენებთ:

თვით იმ შექსპირში, რომელიც რომ იერთიანებს ბახის სუნთქვასაც სამყაროთი და მოცარტისაც ჰაეროვან ტრაგიზმს, და უმძაფრესი განცდების დროსაც კი ონავარია, ანციამაინც თვით სიკვდილებისაც, პირას, საოცრებაა ეს, ხოლოკი უღირსს მთელი შექსპირი, ხოლო მ ა ს შ ი კი ორი, ნა-წარმოებს რომ უწოდებენ თუ ეძახიან, ძალიან კი არა და - „ძალიან“ მთელ შექსპირზეა ცოტასიტყვა - არამედ განსაკუთრებით... რომელი სიტყვა... უყვარს რაარი აბა აქა, ეგება ჯერ უფრო სწორა იქნება,...ეე... - ჰო! - ეგულისშინათება, ჰო - წარმოიდგინეთ, აქა ამ ორში „ჰამლეტ“ი არაა, კაცო, „ჰამლეტ“მა იცის, აწყობილი აქვს თავისი უძნელესი და როგორი მაღალი და როგორ მაღლად გამოზომილი აბურდული საქმე, სხვებმა იკითხონ, ეს ვინა სხვებმა და, გვეპატიოს მაგრამ როგორ ადვილად გასაგებია შექსპირის ყოველ პიესაზე ადამ-იანებსავით რომ ვლაპარაკობ-თ, მეტნია უფრო, რადგან ბევრებიანნი და ცოცხლები ხოლო ამ ორ პიესად „ოტელო“ და, განსაკუთრებით „რომეო და ჯულიეტა“ გვყვანან.

სხვა თუ არაფერი, ვინც ამ პიესის ლიტერატურული პირველწყაროები იცის, იცის რომ შექსპირის მისი უუდიადეესობა თუნდაც სახელებში ერთიოდ ბგერისშეცვლით, და ასაკის გადასხვაფერებით, და ამა თვით ბავშვურობამდე მაღალი წყვილის ორიოდ-დღის ბედნიერებამდე დაყვანით, ხდება, და ხოლო ამ მარტივი წყაროების გამოყენებას ტარკინისთანა.... - კინაღამ კიდევ „ვირი“ ვახსენე, პატიოსნურად მუშა-ცხოველი, ვაი, - არამედ ტარკინისთანა თხისთავიანი ენით მოკაჭკაჭ-ბაიყუშები „სიუჟეტის დასესხება“ს ანუ მოპლაგიატო-რადმე აღიქვამენ და გვაწვდიან ვითომ, ასე, ხოლო უღირსს თავხედობადაც კი მიაჩნია იმის შეხსენება თურა-როგორი უკვდავი სამზეოა - ის მერე რა რომ ღამით - კაპულეტების ბაღში რომეოს პირველი შემოპარვა და ეგრეთწოდებული „სცენა აივანთან“, იქა ხომ, ხომე, სიყვარულია რომ? - ყოველი სიტყვა, სიყვარულდება, გასაოცარია, უღირსს მსგავსი რამ პოვეტ-სხვებთან არ ეგულება, ხოლო თუ ცდება? - ის უკეთესი უკეთესებს, ჰქონდეთ, ანდა, მაინც როგორი და სხვა-გვარი სიყვარულია, მოხუცი მონტეგის, შეშლილობამდე უბედური მამის მიმართვა ოციოდ-წლის გარდაცვლილი შვილის როგორი გრილი ცხედარისადმი - „ო,გაუზრდელო,მამაზე ადრე საფლავს ჩასვლა რა ზრდილობაა“, დედა რომეოსი კი, გარდაცვლილია უკვეღა მხოლოდღა გაძევებულ, და გინდაც სადღაც მაინც ცოცხალ შვილზე დარდით, - გაკვრითაა ეს!, - საკვირველებავ! - გენიოსის ფრთე! ან მერკუციოს ქილიკი ჯულიეტას შემჭკნარ გადიასთან სახელად ანჟელიკა, რად ღირს, - ერთ რამედ, არა?, - ანდა, მერკუციოსავე სიტყვა „ფერიათა ბებიაქალ“ გრძნეულ მაბი-ზე, რომელიც თურმე ნუ იტყვითა და „ღამიდან ღამით, მიჯნურებს თავში შეეჭრება“ და რომელსაც რომ „ფუტურო თხილის ეტლს უმზადებს დურგალი ციყვი“, - რა ნაწყვეტია!, და ამ შექსპირშიც, როგორც ყოველში მაინც როგორი ნამდვილებია ბატონებიცა და მსახურებიც, მონტეგები და კაპულეტები,

თვით როგორ ძალიან მარტივები და მაინც უკლებლივ დამაჯერებლები და შთამბეჭდავებია თუნდ სიმარტივით, სამსონი, გრეგორიო, აბრამი, ბალთაზარი, პიეტრო, მემუსიკეები, როგორი ძალა და უფლება გამოსჭვივის პრინც ესკალუსის გამოჩენებში, მაინცკი როგორი კეთილშობილია ყოვლად უდანაშაულო დიდგვაროვანი პარისი, უბაიბურო ყოვლად; თუმცკი შეყვარებული; ბერი ლორენცო, ამა კვლა-კვლადხილულ სიყვარულზე სულდადებული რადგან კიდევაც მეტად - ღრმავდება, ღრმაა, თავისი ცისურა საქმის დარღვევებამდეც კი მოწადინებული, ა, მაგრამ ერთ-ერთი „პერსონაჟი“ო როგორც გამოთქვამენ, უღირსისათვის? - ყველაზე მეტად დამაფიქრებელი, ყოველი მხრიდან სამზერ-საჭვრეტი, საკირკიტო, დასაძებნია - ბენვოლიოა, ეს...

რადგან ბენვოლიო, უღირსის „ვგონებ“-ით, თვით შექსპირია. ნუკი შეკრთებით, და გაგეცინებათ ნურც, შევეცდები აგიხსნათ როგორც და რატომაა, ეს ვერონელი ბენვოლიო ერთიც სტრეტფორდელი; ნელინელ მივყვეთ.

მოგეხსენებათ, შემოქმედებს სჩვევიათ ხოლმე საკუთარი მე-ს ასე თუ ისე წარმოჩენა თავ-თავიანთებ პირმშო-რომელიმე-ში, და მხატვრებთან თუ უხშირეს შემთხვევაში თვალნათლივადაა ეს, შექსპირი, აქა, ცუღლუტობაშიაც კი როგორი ზევითი, ზე-ითი, ზე, აგრეჰგონიაუღირსსრომეთვითსაკუთართავს ბენვოლიოში, მალავს. ინიღბება.

თუმცაკი უნდა აღინიშნოს რომ სუმთლად ბოლომდე არც უღირსს სჯერა ამა დასკვნის თქვენი არ იყოს მაგრამ მეორეს მხრივ კი, - ძალიან სჯერა.

წვრილმანებიდან შევუდგეთ ამ განჩინების ვექილობას; გამოჩნდებიან თუ არა მერკუციო, გადია, მონტეგები, კაპულეტები, თვითებ რომეო და ჯულიეტა, ტიბალტი გინდა თუ რომელიც გინდა, სუთავიდანვე - თვითონ არიან, ბენვოლიო კი, მისი არსი, გაბნეულია, თანდათანობით იხსნება, თუმცა თავიდანვე „კეთილო სულო“თი მიმართავენ, მაგრამ ჯერ არ ჩანს საიდუმლოურ-აღზევებულად და, რაც მთავარია, არც რთულ პიროვნებად, რადგან არაა დახასიათებულად ერთბაში, მაგრამ თუკი მოვუყრით თავს მის თვისებებსა და მიდრეკილებებს და პატიოსნად ავკინძავთ ბენვოლიო-ებს, ეგება შეგვრჩეს ხელთ მისი უსაიდუმლოესობა, მართლაცდა რარიგ განმგებელი, შექსპირი:

ასე რომ, წვრილმანებიდანაც კი, მივყვეთ:

ბენვოლიო მშვენივრად ცეკვავს, ეს განხრა უყვარს, და ეს შესაძლოა ჩვეულებრივ დიდი ვერაფერიშვილი გადამწყვეტი ბედენა იყოს მაგრამ შექსპირი მოცეკვავეა? - როგორც ეს დამწერლურად არცთუ მთლად ზუსტად გამოითქმის, ნწ, ნწ, ნწ, - ანუ ისეთი ცეცხლი და ქარი? - ვუხ... აგრეთვე, ეს ვერონელი როგორც ჩანს კარგი მუსიკოსი, დამკვრელიცა და მომღერალია - ეუბნებიან: „ისევე იბრძვის, როგორც შენ მღერი ნოტებით: იცავს ტაქტს, მანძილს და წონასწორობას“, ალბათ ურთულესებს, რადგან თვით ტიბალტის ბრძოლას უდარებენ მუსიკალურობას და, არაა, ვითომ, მსგავსად შექსპირი? წინასწარმეტყველია, ძიო უილიამსავით - იმ ავბედით დღეს: „გემუდარები, მერკუციო, წამო, წავიდეთ, ცხელი დღეა და კაპულეტებიც გარეთ დაძრწიან“, თუმცა მშიშარა სულაც არაა - მშვენივრად

შეებრძოლება თვით ტიბალტს, ოღონდ იძულებით - შექსპირის ქარგა!, და ხოლო მისი მთლად პირველი წინადადებაა: „შეჩერდით ჩქარა, ჰე, ბრიყვებო, ხმლები ჩააგეთ!“, და ოთხივე მოჩხუბარს ხმლებს გააგდებინებს რაც თავისთავად ხომ ნიშნავს რაიმს; ამასთანავე, თურმე, კარგა ახირებულიცაა, და თანაც თუ როგორ, კვლავაც მერკუციო, შეხუმრებული, ჩვეული მოყვრული ინადით უხსნის ამას: „შენისთანა ორი რომ იყოს ქვეყნად (ანუ ბენვოლიო ერთადერთია, შექსპირსავით), მალე არც ერთი არ დაგვრჩებოდით: ერთმანეთს დახოცავდით. შენა? შენ იმისთვისაც კი წაეჩხუბები კაცს, ერთი ღერით შენზე ნაკლები, ან ერთი ღერით შენზე მეტი წვერი რომ ჰქონდეს“. ასეთი იყო ნეტა შექსპირიც, ზოგ ჩანახატში წვეროსანი? ვნახოთ: „კაკლის გატეხვისთვისაც წაეჩხუბები კაცს და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კაკლისფერი თვალები გაქვს“, - ნეტავი, მართლა? რაღაც გუმანით, კაკლისფერი თვალები უჩნს, ხოლო იმ თავის მსგავსთა მთლად ოდნავღა შეხებისათვის, როგორ ბრაზდება და თან როგორ თავის პიესებში ანუ თვით სიცოცხლე-ში, ეს თანაც დიდჭკვა თან-მხიარულად, ესა დიადურკალმოსანი, სულიწმიდასი რამრბენი ცეტი, და თუ ემ დაუდგრომელ უ.-შექსპირში წამდაუწუმ, სულაა შეხლა-შემოხლა და ჩხუბი, ამ ჯეილ-ბენვოლიოსაც თურმე, ნუღარ იტყვით და, „შენი თავი ჩხუბით ისეა სავსე, როგორც კვერცხი გულ-ცილით“, მაგრამ ნეტა რისთვის და რაზე ნეტავი, ჩხუბობს? რაზე და, თურმე, ჩემობატონო გადასარევისწორედ და „ერთხელ ვიღაცას იმისთვის წაეჩხუბე, რომ ქუჩაში დაახველა და ძაღლი გაგიღვიძა, რომელსაც მზეში ეძინა“. - საკვირველია პირდაპირ მაგრამ, ნებისმიერი სწორა-მსუნთქავისაკენაა, ხედავთ, პატივცემულო? ანდაც: „განა შენ არ ეჩხუბე ერთ თერძს, რომელმაც ახალი ჯუბა აღდგომამდე ჩაიცვა?“ - გაშტერებას ვარ, მძიმე მარხვის ასეთიც მკაცრი დაცვის მომხრე, ბენვოლიო, არადა - თან მოჩხუბარი, კაცო აბა რა შენი საქმეა თავის ჯუბას თუ ვინ როდის ჩაიცვამს, და მთლად უარესიც, გამოსაყეყეჩებელი: „მეორეს კი შარი მოსდე - ახალი ფეხსაცმელები ძველი თასმებით რად შეგიკრავსო!“ - ბიჭოს, რომელი მოხელე-ნაჩალნიკ-ჩიქვანი შენ ხარ რო ამისთანა სისულელეებზე მშრომელ კადრს ჯიქურ ეჩხუბები მაგრამ პეწიანი, პეწიანი ისე, რომ თავისაზე კი არა, სხვისი ფეხსაცმელების დაუდევარ შეუსაბამობაზეა რომ მოსდის გული, ვერაა შექსპირივით? და თუ ერთის შეხედვით მთავარი ისაა რომ სწორედ აგი-ბენვოლიო ააყრევინებს რომეოს შეყვარებულ გულს ვინმე-მიბნედილ როზალინაზე და შეაყვარებს ჯულიეტას, ვისი მშვენებაც, ცამეტწლოვანი, მოელვარე, ვერონასიც კი უპირველესი მშვენება და ადრეც და, შემდგომც და სად მერე ეს, თვით „აკლდამას ხდის გასხივოსნებულ ლხინის დარბაზად“, ჯულიეტას კი, რა ქნას ასე მოზარდმა ყმაწვილმა ქალმა და შეუყვარდება და როგორ მერე, ვაჟი რომეო და არ იყო შესაყვარებელი თუ?, ვისზეც თვით ბასრი მტერი იმათიგვარის, თავ-კაპულეტი, მონტეგებისადმი რისხვით თუმც ძალიან დაბრმავებული, დასაწყისშივეც კი ასე ამბობს: „მაგის ღირსება, ვაჟკაცობა და გაზრდილობა, უნდა გამოვტყდეთ, მთელ ვერონას ესახელება“, - ისედაც თვით იტალიის სამკაული, ვერონა, სადაც შექსპირი იქ არც ყოფილა - მთლად სასწაული - მაგრამღა მაინც ასე გააუკვდავეს - ეს შექსპირმა და ბენვოლიომ შეჰქმნეს რომეო და ჯულიეტა მარადიულ შეყვარებულებად, რაღა თქმა უნდა, დღესაც ჰყვარობენ ერთმანეთს, ერთიმეორე კვლავაც ასუნთქებთ, ვინა თქვა იმათი გარდაცვალება, მარადიული სიყვარულის ქანდაკებია, როგორ მოძრავნი, ამეტყველებულნი, თანაც, ამაზე მეტი რაღა

სასწაული გსურთ, ბენვოლიოთი მოიქცნენ ასე ვინც რომ რომეო დამჯერი ცხვარივით კაპულეტებისას მიდენა როგორცვე შექსპირს სწადდა ესა რაღა თქმა უნდა!, -

და მაინც, მაგრამ, ყველაზე მეტად მთავარი რამ, ბენვოლიოში, შექსპირისეული, მაინც სხვა რამაა, სხვა კი არა, ეს:

ბენვოლიო სიმართლეს ხან თავისით, შეუკითხავადაც ამბობს, როგორც ეს მერკუციოსა და ტიბალტის მოკვდინებებთანავეა, სიმართლეს ამბობს მკაცრად განმსჯელი პრინცის წინაშე: „მე შემიძლია მოგახსენოთ, ბატონო პრინცო, ამ საშინელი, შავბედითი ჩხუბის ამბავი“, ხოლო როდესაც ჭირისუფალი თავისაზე მოთქმით გააწყვეტინებს სიტყვას, იგივედ ანთებული პრინცი, იქვე: „თქვი ბენვოლიო, ეს სისხლისღვრა ვინ წამოიწყო?“ - ენდობიან, კი; მოხუცი მონტეგიც, დასაწყისშივე, სწორედ ბენვოლიოს სთხოვს რომეოს დაღვრემილობაზე პასუხის დადგენას ანუ სიმართლეს, თან ბენვოლიოს პიესაში უკანასკნელი სიტყვებია: „ახლავ მომკალით, თუკი ტყუილი იყოს რამე ჩემს ნაამბობში“, ეს III მოქმედების I სურათის დასასრულშია, ანუ პიესის პირველ ნახევარში, მთელ მეორე ნახევარში კი ბენვოლიოს არამცთუ ერთი კაკალი (მისი თვალებისფერიც) სიტყვა აღარა აქვს, აღარც კი მოიხსენიება, და იგულისხმებაღა ალბათ მხოლოდ, ასე: „შემოდიან მოხუცი მონტეგი და სხვები“,; არადა, იქამდე, პირველ ნახევარს, წამდაუწუმ იყო, ჰოდაარასი როგორი დამრღვევი, როგორც თვით თავად შექსპირი თავისი უმაღლესი მოცალეობის ჟამს, როგორც სერვანტესი, როგორც დანტე და გილგამეშ-მეფე როგორც, და რომელს გვგონია, ასე ბავშვურიც ანუ მთავარი შეყვარებით შეყვარებულებს ვინ იგლოვებდა მშობლებთან ერთად თუარ ამ ამბის მთლად მოთავე ბენვოლიო, ვისაც რომ, ადრე, სიყვარული სხვარამ ეგონა: „ტრფობა ხომ ბრმაა და სიბნელე შეჰფერის კიდეც“, მაგრამ ისიც იცოდა რომ, „ე?, სიყვარული შორიდან ჩანს ასეთი ტკბილი, თორემ ნამდვილად მტარვალია და მწამებელი“ და ვის შესძრავდა, თუ არა მას - ამბის წამომწყებს რომ სწორედ მისით „ან სამწუხარო სხვა ამბავი იქნება განა, რომეოსა და ჯულიეტას ამბავისთანა?!“, მაგრამ შექსპირი კვლავაც ადუმებს, მაინც ადუმებს, უფრო სწორად კი, იჩუმათებს თავს, ბენვოლიოსიც, გაორმაგებული მთხრობელობა მთლად აღარ უნდა ალბათ, აკი გვიბოძა ბენვოლიომ: „აქვე მომკალით, თუკი ტყუილი იყოს რამე ჩემს ნაამბობში“, და მიიჩქმალა, ვითომ, იგი არ გახლავთ ჰორაციო ჰო და არასი მეტად დამცველი, არა, - შექსპირია, ის, ანაცდა მისი ნატამალი მაინც, ყველა ყველა და ყველაფერი ყველაფერი და - შექსპირი მხოლოდ საკუთარ თავს ბოლომდე მაინც ვერ დაიხატავდა იმდენად რთული და ტევადი და უშუალოც და დაფარულიც და ზედაპირული და ღრმა გახლავთ, ჯადოქარია, ოღონდ პირველი და ოღონდაც ადამიანებში, და მხოლოდღა იმ-იმ ჰოდაარა-სი დარღვევით კი არა და, მთლად ასე უსაზღვროდ განვრცობილი ჰოთიც და არათიც ეს რა მალამოდ ბოძებული რადგანაც მათი, ამ ორი თუნდაც მთავარი სიტყვის ისევ და ისევ სულიწმიდათი გადამქელი, და როგორ მერე, აქეთ დამჯიჯგნი, იქით გასრესილი, და ამეებისა ალბათ-გამო სვინიდისებით როგორ ძალიან ალბათ დიდად უბრალო ოჯახიშვილი ასევ უბრალო ქალაქისა მაგრამ მპყრობელი თვით თავად მთელი იტალიისა და უფროც, უფრო რამდენად მეტის თუმც თვალით თუნდა დაუნახავის,

გულისგონებით დანახულის, - მეტია აეს, და თუმც წოდებით ვერაფერიშვილი მაგრამ გრანდლორდდაპრინც კი არადა მთლად მეფეთმეფე და მხოლოდ ბილი-პირველი კი არა - ყველაც სახელის, მორიგითო ადამიანებისა, ნუმერ პირველი ვინ... რა... ვერ მოვუგონეთ, ვეღარ შევუფერეთ ვერაფერი და, - თვითონ და თავად ანცი შექსპირიეს, და რა დიადი ჩამოწვდენით მონათესავე ადამ-იანთა მესათხევლე, და გამნაბავიც, რამდენ, რაოდენ სულთმოთამაშე ბადეიანი, ისე-რა-რიგითი ნაცნობებისათვის ალბათ მხოლოდღა - ცუღლუტიცა და ტრაგიკოსიც და როგორი კარგად თაღლითი და ცელქი და ანცი და ონავარი და მაგრამ გულშემოყრილად ტვირთებდამძიმებული როგორ, როგორ დიდ-დიდ თევზთა ეს მთლად ავარვარებულად მებადური, ეს გაგანია შეყვარებული, ადამიანთა შესაპყრობად რაჭვილთებიანი მესათხევლე, ხანდახან ერთიც მართლათავისი ბენვოლიოსი ზურგს ამოფარებული რომელმაც რომ თქვა: „აქვე მომკალით თუკი ვტყუოდე“ და, შექსპირია ეს, ადამიანთა ზედაპირულად ღრმა მოსამართლე, რადგან იმისი სიმართლე ხომ, მხატვრულობითი, ამ ჩვენს პატარად მცირე მიწაზე ყოველივეზე მეტი სიმართლე, - შემოქმედებითი, მაღლით, სულიწმიდათი ნაწყალობევებიდან შემოქმედებში ყველაზე ფრიად შესამოსი რამ - ამაღლებული თვითმპყრობელობა, ეს ისაა, ვინც, დარღვევებითა და მორჩილებით და გან-გან ლტოლვით რაოდენ გვწყალობს, ეს - შექსპირია, დიდთან დიდი და პატარასთან - პატარა დიდი უილიამ, პატარა ბილი, დიადი მონადირე, და რომელიც რომ ფერხთა ძალიანაც ღირსეული მტვერია თვით იმ მარკოზისა, ეშმაკეულის მოქცევას რომ დაგვასწრო და რომელმაც რომ, როგორ დიადად აღასრულა რომ, - „წარვედ სახიდ შენდა თვისთა შენთა თანა და უთხარ მათ, რაოდენი გიყო შენ უფალმან და შეგიწყალა“,

და თვით ამ წმიდა მარკოზის, თვით ამ უპირველეს შემოქმედებში, მახარებლებში ეგებ ყველაზე მეტად შენიღბულის, ერთსაც დიად ადგილს, სწორედაც ზეითის მხატვრულობით, ქმნილს, თანაც ისევაც განკურნვაზე, შემოგინახავთ. და მოგაწვდით, -

ჩემი ამ ღვლარჭნილი თხრობებისას, ძალიან თუ გამიჭირდება, სწორედაც მაშვინ.

მოვიშველიებ, როგორც წესი.

* * *

ხოლო ლეგეონ, ლეგიონი, კვლავ მრავლადაა. განსაკუთრებით, დამოუკიდებელიად ახლახანაც წოდებულ საქართველოში.

გვიპოვეს, რაღა, საწვრთნელი ბაზა.

ვღელავ-კი, მაგრამ რამდენადაც შეგვიძლია, სათქმელს დალაგებულად მივყვეთ.

არ გვაწყენს შესავალიც. -

აი, ქვეყნად არსებულ სულიერთაგან, ხომ ცნობილია, რომ ადამიანი ერთის მხრივ ყველაზე გონიერია. სად თუნდაც ადამიანისებურიც მაიმუნი, და სად ის.

იმდენად მშვენიერი-კარგი გონიერი? როგორიცაა ადამიანი, -

ჩვენ,

არამცთუ ვერც ერთ ზოოლოგიურ პარკსა თუ ნაკრძალში, გაქანებულ ჯუნგლებშიაც კი ვერ მოიძებნება.

ხოლო ზოგიერთი განსაკუთრებით პირდაპირ ყალმით აღნაგიც რომაა, კაცო? ქალი.

ახლა მის (უპირატესად მამრობითის) გამომგონებლურ ნიჭს აღარ იკითხავთ? იკითხეთ-რა, ვერ მოგიგებთ თუ რა - ადამიანია ეს და არა სხვა რაიმე რამე ვინც რომ შექმნა მდუღარე ორთქლის მანქანები, ჰიდრავლიკური წნეხი, ზოგადი ელექტრიფიკაცია, რადიო და იმისი მაუწყებლობა, ფოტოგრაფია, სინემატოგრაფი და ბილეთების სალარო, კომპიუტერი, და გენერატორები, კაშხალი, დენთი, ეე, რამე, ჰო თვითმფრინავი, პარაშუტი, ქოლგა ეე, არამედ რაკეტებიანი კოსმონავტიკა, ჰო - რეაქტიული თვითმფრინავები ცაში და ზღვაში თევზები რა იყო არამედ ზღვაში კი „ტიტანიკი“სთანა მძლავრი გემები, ატომური ბომბა როგორი ძლიერი და წყალბადისას კიდო უფრო აქებენ, რადარები, გამოთვლითი ცენტრები, ინდუსტრიალიზაცია, ჰიბრიდიზაცია, ინვენტარიზაცია, პარალელეპიპედი, მექანიზაცია და მისი მომყოლი ათასგვარი კბილანებიანი ჩარხ-მექანიზმები, კბილის საბურღავი მანქანა ვი?, კბილების პასტა, ეე, კბილების ფხვნილი, ეე, კატლეტის მანქანა, საკერავი მანქანა და ისეც მანქანა როგორც მსუბუქი ასევ-აგრეთვე სატვირთო და თანაც თავის ადგილზე ყველა კარგია შოფრიანიც, და რამდენი ცია - ექსპატრიაცია, რეპატრიაცია, ექსპედიცია, კონსულტაცია, ჭერამი, რამე, და შექმნა აგრეთვე გადაადგილების ისეთი საშუალებები როგორიცაა განვითარებული გრაფიკიანი ტრანსპორტი და უბილეთოდ მგზავრობა და ტრანსპორტის მონათესავე ღილაკებიანი ლიფტი რომელსაც გინდა იმას მიაჭირე თითი საქართვლოში ოღონდ თუ მუშაობს, ეე, გადაადგილების საშუალებანი-მეთქი, ეე, დაწინაურებანი, ესკალატორი, დაქვეითება, კურტანი, რიქშა, აქშა!, შეშინება, ცვილი, კაუჩუკი, რეზინი, აგრეთვე ადამიანმა ბუნების წიაღიდან მოიპოვა და გადაამუშავა შავ და შავად თვალნათლივ ბაზრობისათვის ნავთობი, ბუნებრივი და არაბუნებრივი გაზი, ქვანახშირი, ჩვენებური ელექტრიფიკაცია-დისკრიმინაცია, დაე-დე - ანტისტაბილიზაცია, ტვინდაცულების ოღონდ მზარდთა დამცველი მილიცია-პოლიცია, ასფალტოვანი ინსპექცია, ქვითარ-უქვითრო შტრაფი, რამე, ყელ-ყურის მხრჩობი თავგამოსაჩენი დისკოთეკა, რისი ბიბლიოთეკა, მაგრამ ფონეტიკა, ატეკა, კუდაბზეკა, შომპოლი, რამე, დგუშიც მაგრამ ადამიანისთანაც სულელი?

ა?!..

ვერსად ნახავთ. მოიძებნება ვერ.

და გამონაკლისურად კია მაგრამ მაინც კიხომ გვყავს ნიუტონები და ფარადეიები და აინ-ცვაინ აინ-შტაინები და ტორიჩელიც თავის საჩვენოც სიცარიელეიან ხანდისხან ატრიბუტიანა მაგრამ, არცთუ გამონაკლისურად სულელებსა და ბრიყვ-

უმაქნისებს და გინდაც ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონებსა და წამყვან გროსმაისტერთაგან განსხვავებით, აღარ იკითხავთ? თუმც ავი ენები თვით ჭანდრაკზედაც კი იტყვიან და თანაც შედარებით მარტივ-ალალი დომინოს არმცოდნენიც კი და ამიტომ შურიანი ადამიანები და ბრაზიანები კიდე ცალკე რომ ჯერ ეს ეგ ის ერთი რომ ჭადრაკი უსაქმურების საქმეა და უსაქმო ადამიანი კი თვალში პაიკს იყრიდაო და მესამეც იმას საყვედურობენ ამა მიმდინარეობაში გამორჩეულებს რომ ადამიანს რაღაცა ნიჭი, გინდაც მოსაფიქრალი და საგამოსათვლივო ჰქონდეს და ხის და თუნდ-გინდ სპილოსაძვლისა ჭადრაკს უნდა გადაჰყვე გინდაც მჯდარფეხებიანა და ანაცვალო მონაცემებიანი თავი?-ო, მაგრამ იმას ვამბობდით, რომ ადამიანისთანა სულელი და აქედან გამომდინარე ამისიც ატრიბუტები - რაღაც გამიხშირდა ამ არაქართუ-მაგრამ სამაგიეროდ ზოგადთანხმოვნებიანი სიტყვის ხმარება, - ვაგლახ, - და აბა ასეთი უარყოფითი ჰატრიბუტები აბა რომელ სხვა ფოცხვერ-ენოტებში მოიძებნება ჰა?

მაგრამ ქილიკი იქით და მაინც აქეთ-იქით იყოს და, მრავალმხრივები რომ ვაართ, ადამიანები ეს, ეს კი წყალდანავთ მაზუტგაუვალგაუტარებლადაც, ნაღდია.

და მაგრამ თვალსაჩინოებისათვის მაინც შეგახსენებთ რომ, თუმც ისედაც ყველას მოგეხსენებათ რომ, თურა დიდია სხვაობა სხვადასხვაგვრულად გამოჩენილ ადამიანთა შორის, ხოლო განსაკუთრებით, - ჩვენთვის ცნობილებში:

ვაჟა-ფშაველა და, ნერონი.... ანდერსენი, და კალიგულა... ვან გოგი და ჰიტლერი ხოლო მხატვრობა ორთავეს სურდა მაგრამ სხვადასხვაშედეგიანობით, აღხდნენ, ერთი ღატაკი იყო და გაუმართლა მერე და როგორ მერე და შემდგომ, ხოლო მეორეს კი უმდიდრესი რამ ქვეყანა ერთყიაპირულად ეპყრა და აქუნდა მაგრამ შავი ქვა რომ ბადებოდა მხოლოდ, ერჩია, უჯობდა, მაგრამ განვაგრძოთ:

გალაკტიონი და, დზერჟინსკი, როსინი, და გებელსი, ვივალდი და ეჟოვი... დე, გვეპატიოს, - მე მათი ასე დაწყვილება ხოლორე თქვენკი ამ ასეთ აშკარა შეუსაბამობათა კითხვა, მაგრამ იმ იმედით რომ ერთიმეორისა გვერდიგვერდ ერთნი კიდევაც უფრო მაღლდებიან რაც უამისოდ ძნელად წარმოსადგენია იყო - ეს მათი მეტად ამაღლება, - და ამიტომაც განვაგრძოთ ეგებ, ხანდახან გინდაც ტრიო-ობით და ლიტერატურული თუ ფერმწერლური მაგალითებიც მოვიშველიოთ, ანუ, ვთქვათ, დონ კიხოტი, და ვინ შევურჩიოთ, რა შევუფარდოთ მთლად თხლეფსკერული დავარდნილობით...ჰო, - დონ კიხოტი და ლენინი ვ, ი, როგორია, ჰა... ტრიოთი-მეთქი: ბახი, მოცარტი, დიოკლეტიანე... პირველი ორნი თავიდანები ორი როგორი ღრმები, და უკანასკნელი კი საზედაპირულოდ სხვებისათვის როგორი ბოროტი მთლად ხელისგულზე ზედაპირულად ხოლო თავისა თავისათვის? - როგორ ღრმად, მავნე... და ჯერ სადა ხართ, განსხვავებებში - სალტიკოვ-შჩედრინი და, კაგანოვიჩი... შექსპირი, სამოთხის ყველა ერთად ხილი, და სულსხვა იაგოდა... ფლორენციელი მიქელანჯელო და ერთიც ჩვენი ღორეშელი ორჯონიკიძე სერგია...სერგია ეძახე.. რადიდი ქონდათანამდებობაც და ულვაში...ესეც, რათ გინდა; მთლად ოხრად დარჩა... ილია მართალი და ერთიც მოჩვენებურო სუ გუგუგუგუდ ყოფილი მინისტერების ყოფილი გუგუ-კაპიტანი... მენშევიკებზე ნაკლები გაძლო... მენშევიკებზე, ჰო - ისევაც აქეთ თუ ილია

მართალი და იქითკი ნაწერის წერულ-მანერიას მიხედვით ფლობერისაგან მკვეთრად განსხვავებით თუნდ სტილის მხრივაც და ლიტპასაჟების სულვერმცოდნე ჟორდანია ის არანოე, ნოე კეთილი კაცი იყო... კარგად კი ვზომავთ - ბოლშევიკები თუ ცუდნ-ცუდები იყვნენ, მაშვინ იმათი მტერი მენშევიკები ზნაჩიტ კარგნი ჰყოფილან, არა? - ისემც...რაკარგი სიტყვა..., ფრიად ტევადი; ვაჰროგორ ცუდად მტევადი შაჰი აბასი და, ბელინი... ველასკესი, და ხურუშჩოვი... მარკიზ დე საადი და იოჰან შტრაუსი...გურამიშვილი...თვითრუსთაველი, მშველელი, გადამრჩენი და, არამედ ვინცხა ვთქვათ თავსუშველაძე... ნაჩალნიკ იაკოვ ვიღაცოვიჩ კრასნიკამისსარ იაკოვვიღაცოვიჩსვერდლოვი და, უბრალოდ, დანტე...

განსხვავდებიან, ხომ?

თავისუფლად, კი.

აკი ვამბობ რომ, სხვადასხვანაირები იყვნენ.

მიდრეკილებებითც...

და თუნდაც აქეთ ნაღდი, ჩვენი ხალხური შემოქმედება და იქით თუგინდ არაცნობილნიც თუ გინდაც ცნობილი ტყლარჭ-მანჭიაები გრეხვკივილითა და ხმით;

აქეთ ჩვენი ხალხური პოეზია და, მათი შემქმნელი გინდაც მხოლოდ დედასპურიანი გლეხკაცობა და, იქით მილიონერები ოღონდ მხოლოდ ფულით ისე კი აყოლილ-მიმყოლ ბრიყვთა თუნდაც ტაშისცემების მათხოვრები, როკ-ალქ-აჯები... ჩვენი ხალხური პოეზია და, იქით ერთიც აგრეთვე ფულტყვილანაშოვნი პარლამენტარის ლაპარიკი... ჩვენი ცეკვები და, ბნელურიქითკენ ქებული როკვით მოსილი რაღაც ლამბადა... და, სადღა აღარ გვიცხოვრიაც, რაღა არ გვინახავს, სიღნაღი და, დედაქალაქური III მასივი, ვენეცია და, თემქას რომელიცგინდა მიკრორაიონი სულო და გულო ოღონდაც მშრალზე... ეგრეთწოდებული რატომღაც მუხიანი (ალბათ ადრე იდგა-ეყენა და ქალაქისათვის მოჭრ-მიჭ-მოაჭრეს)და, ტოლედო, და სხვებისასათი კი არ ვღფრთოვანდები მარტო, დგანა ტოლედო მაგრამ სვანეთიც, რის მსგავსსაც სუვერაღანაირ რომ ვერ მონახავ თუნდაც იმიტომ, რომ არაა ხოლო თავარაასზემოთ ძალა არ არის, მთლად ასფალტებზეც საბალახო აქეთიქური ინსპექციაც და მისი ფარდული, მაგრამ, კვეტარიც;

ანდაც, სახელებითაც კი როგორ ძალიან განვსხვავდებით - დავით, და მათე, და ლესტანბერი, გიორგი და, ჟორიკა, ნიკოლოზ და არველოდი, იოვანე, ლუკა და მოგელი მაგრამ ნეტა რანაირს გელოდით, გელითარნოლდისავით, ბიჭო, როგორს, ან რას, და რისას, მაგრამ სახელებს სულაც თავი ვანებოთ, ადამიანთა, ჩვენი ზნე, ხასიათი, და საქციელები და რაც ყველაფერზე უარესია, შეგუება და შეგუებითი წამხედურობა!

წარმოიდგინეთ, ასე განსაჯეთ რომ ისიც კი ვერაა ყველაზე დიდი საცოდაობა ჰიტლერს ყოველი ათი კაციდან ცხრაზე მეტი რომ მომხრედა და მათაყვანებელ-გამოსათაყვანებლად მაკერპებელი ჰყავდა თავის ჭაობად, არც ის, დამპყრობელურ

ომებში რომ მიიკლაკნებოდნენ ვითომც ყოჩაღები ოღონდ მხოლოდ არაწინიდან, არც ის რომ გვერდით აქავე საშინელება თუ საზიზღრობა ღსრულდებოდეს და, რახან პირდაპირ და უშუალოდ არ გვეხება, - „მერე მე რა“...,

ხოლო,

უსიყვარულოდ ცხოვრება და ამისი ძაან გაწელაა, ყველაზე უარესი, და აქ იოვანესი თვით, მეთხუთმეტე, თორმეტს ჩავხედოთ, ვინ მოვიშველიოთ უკეთესი:

„რამეთუ ესე არს მცნებაჲ ჩემი, რაჲთა იყუარებოდეთ ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარეთ თქვენ“, -

ქრისტესსიტყვები!, და იქვე, 13:

„უფროჲსი ამისსა სიყუარული არავის აქუს, რაითა სული თვისი დადვას მეგობართა თვისთათვის“; ჰეჰ! -

სული დადვას კი არა, მოყვასისათვის ეგზემაიან გროშსაც არ დადებს ზოგიერთული დადების შემძლე და ვინ ეს, გინდაც მთლად ვარდისაწყალში ამოვლებული, გადაპრანჭული, ქათქათებამდე სხეულაშლილი, ისე კი, მაინც, ცინგლი და წვირე, ყოფილი ისე-რა ქართველი, ოღონდ კიდევ კარგი რომ - მხოლოდ დღეინდელი, რაღაც უნდობელ-წყევაშეყრილი და საქართელოს ერთ კუთხეს თუ არ ჩავთვლით ასეთი ძუნწები აბა როდის მოგვეძევებოდა, არამმა ფულმა იცის ალბათ ეს, თავკერძოული კრიჟანგობა, და ერთდროულადვე ერთთავ გაქნილობაცა და იგივეთავ სისულელეც და სიყალბე და გავიმხნევოთ მაინც გული რადგან ეს ალბათ ისევ-თუ რაიმ სახადია, რაღა თქმა უნდა გადასატანი, მოსარჩენი, და, მერამდენედ ვიიმედოთ რომ, აუცილებლად დაგაყივლებს თავს შენი მიწა, გამთენებელი, იმძვლებიანი შენს წინაპრებს რომ ჯერ სხეულში, ჰქონდათ და, რაც მთავარია, სული, მათი, მთლად საჩვენო და მივიწყებული, დაგვანამუსებს - აქამდე ტყვილა მოგვიტანეს? იმდენი შრომით, გაჭირვებით, შემოსევებით ილაჯგაცლილნი, და მაინც როგორის მხნე ქუდზეკაცობით, და, რაც მთავარია იმ ხანმოკლეებ სულის მოთქმისას მთლად სასულის თქმად პოეზიათი, ენით ქართულით!

...და სწორედ რომელ ენაზედაც ოღონდ გაჩიქორთებულით გვმოძღვრავენ ახლა ჯიბედამუცელქლესა-ღმერთები, მაგრამ ამ მართლაც უბედურობამ ის მაინც მოგვცა და დაგვანახა, ვინ- როგორია, გადმომჟღავნდნენ მთლად, ადრე ამ ფუჭადფუჭი კაცობის რაშენიღბულად მატარებლები და მონობისა უარმყოფელნი თითქოს, თურმე როგორი თავისუფლურადაც მლიქვნელები რომ რაისი მონა!, და ჩარჩობისა ადრე და სხვიმის ვითომც დიდად მოძულეები, ეგრეთწოდებული ბიზნესმენობით სხვა რჯულებისაც ფეხქვეშები და განსაკუთრებით კი - არვიცოდი და ვერც წარმოგვედგინა და თურმე ისტორიულადაც კი „კეთილმეზობლურ“ თურქეთში - ისემც! - ვძრწივართ კარდაკარ და ხოლო ამო და ამურმეზობლები იქაკი სანაგვე ყუთებს თურმე ასუფთავებენ აღარ, იმა ყუთების იქიდანური შიგან-ჯიგარი (ქართველთ-გამოთქმაა წინაპარული, და-) ქართველებს ამოგვაქვს ანუ გამოგვაქვს აქეთ,მზიურ საქართველოში, მზის და ვარდების ყოფილ მხარეში,

მზიურდაყოფილ საქართველოში, მეზობლობაა სრულიად კარგი, ხომ, ხელით ხელისა ბანა, გადაფურჩქვნილი და გადახსნილია იზმირულ ვარდივით სულო და გულო საბაჟო გინდა თუ ტამოჟნია თუ მტკიც-საზღვრები და ანგარიშის საქმე არ არი?, აქაცა, მთლად მყაყესისხლ და გულიანი შეხვედრები ისეთი რომ, სწორედ რომ დინგის დინგით მობანვა, და ადრე ამას მხოლოდ ზღაპარ-ია და ზღაპარ-იყო-დ ჩავთვლიდით ვინმეს რომ არაქართული პარნტრიონტობით ეწინასწარმეტყველა ეს, დავუჯერებდით რომელი, ვინ, ოღონდ ახლა კი, მაგრამ, როგორ ჩვენდა ეს სამარცხვინოდ ასეთიცზღაპარ-ახდა ზღაპარახდაა ჩვენიც ეს ყოფა, სახადი ეძახე და, გაგრძელებული როგორ, სადამდე, ეს თავისმოჭრა, ეს, ცხადლივ-სამარცხვინო, თანაც ბოროტი: ბოროტებაა, რაა აბა გავაჭრებული უთავმოყვარეობის დამსახურებით გაჭირვებული მოყვასისადმი ზურგის და კიდევ უარესის, კუდაბზიკურად ჰოპლადაჰაიტ-შექცევა, რისი ზღაპარი, როგორი მწარე სინამდვილეა, არაქართველური, ეს, საკვირველი და შესაზარია, ეს, რადგან თვით იმ პირობით მონობაშიაც კი გაცილებით დიდხანს ვიყავით ქართველებად ვიდრემდის ახლა, ვართ, და, გინდ ზღაპრადაც ვიყოთ, ზღაპრებიც კი გადაგვიჯიშდა რადგან იქა თუ ყველაფერი ასე თუ ისე კარგა მთავრდება აქ კი დომხალი, ტურტლი და მწვირე, და გულსწილხვედრი თან, და რაც იმათ და ამათ გვავსეს და გვჭყიპეს დაპირებებით მაგრამ ბოლო-ბოლო კი ათასწლეულის ურიდ დასასრულს მხოლოდ წასაგლეჯობა სიცრუის ვაშაად-ჰოპოპებით დაუწერელი კანონები დაგვიკანონეს, სიძვის უხილავ მრუშ-ტყავებზე იოლაენით დაწერილნი ისეთები, რომ... რაპარტიები აგვიტყდა მაინც ამისთანა, რა მინისტრებნი ნეტა ამისთანა გვერგუნა, რომ, ზოგიც ნასუქი ოღონდ თავისით მთლად უხელფასო ოჯახებს გადასახადების გადახდას ერთგვარი ფარულის მუქარით და აშკარა ჟინით მოუწოდებენ და რა ვქნათ, ბატონო, და ვერ ხელგვეწიფება და ვერ შეგვიძლია ეგებ ამ ჩვესუყველას ყალბი ფულების დაბეჭდვ-და-მოჭრა?

რა, რა ხდებოდა და რააღარ ხდება საქართველოში, და ნუთუ იმდენად დავეცით, რომ, რასაც აღგიწერთ, რაა, ჩაიდინება ისეთი საზარლობანიც, რისი არამცთუ ქაღალდზე თვალნათლივ აღწერა და გადმოტანა კი არა, ხმამაღლა თქმაც ვერ შეიძლება, რატომ და, როგორღაც დამაბნეველიც კი სიმწრით, სამსალათი...

და მაინც, თუკი იესუ ხანდახან ვითომც განზე დგას როგორც ეს ლუკა 12, 14შია: „კაცო, ვინ დამადგინა მე მსაჯულად და განმყოფად თქუენდა?“ და ერთხანად ჯერაც ნაკლები რწმენით მოსილებს, თავის დიდებულ ამაღლებამდე რადგან, უფალი იესუ ქრისტე თვით თავის მოციქულებს, გამორჩეულ მიმდევრებსაც კი, ხანდახან როგორ მწარედ საყვედურობს: „ო ნათესავი (ლუკა 9,41) ურწმუნოი და გულარძნილი! ვიდრემდე ვიყო თქუენ თანა და თავს ვიდებდა თქუენსა?“ - და ხოლო ჩვენ კი, გზააბნეულებს, დაბლად რიგითებს, ვითომდაც იმთავის განზედგომისა შემდგომ მაინც ისევაც ჩვენითნაბიჯებს გვიტოვებს, სიყვარულითგან ისევ გვარიგებს: „ეკრძალენით და დაიცვენით თავნი თქუენნი ყოვლისაგან ანგაჰრებისა, რამეთუ არა ნამეტნავისაგან ვისამე არნ ცხოვრებაჲ მისი ნაყოფთა მისთაგან“, და დიდ-აგარაკიანი კაცის იგავსაც მოგვითხრობს, რომელსაც, კარგა შემოსილსა და ბლომა გამაძღარსა და გაპიპინებულად გახარებულს იმითი რომ ასეთი დიდი თავისი ჭკუით, შეძლება აქვს, მეტადსახარად მთელი ქონების

ერთად მოქუჩება მოუნდება რათა უფროდაც მეტად რომ გაიხ-დაიტკბოს თვალი და ვითოგული, მაგრამ ღმერთი ეტყვის:

(ლუკა 12, 20) „უგუნურო, ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან; ეგე, რომელ მოიმზადე, ვისა იყოს?“ -

ვისა იყოს და, როგორც ჩვენ, ადამიანები ვიტყვით, - ოხრად.

„ნამეტნავისაგან ვისამე“...

ნამეტნავი და, ნამეტნაობა...

და როგორ სხვადასხვაგვარია, ნამეტნაობა, თან.

უღირსს ხანდახან სირცხვილის ჭია კი არა, მთლადაც ნიანგი სჭამს ასე ნამეტნავად ხშირად რომ მოჰყავს წმიდისა სულის დიადი წიგნიდან დიადად წყობილი ადამისმიერიც, სიტყვები; კი, ამის გაფიქრებაზე სირცხვილი ხანდახან მკვეთრად და დიდად ანარცხებს.

ხანდისხან, არა.

მშვენივრად იცის რადგან, რომ, თქვენ კი არ გმოძღვრავთ სახარებით ისე ხშირად რომ, გინდაც შეგირდობიდან მწვრთნელი, არა, მთლად პირველ რიგში თავს იმხნევებს, რაქნას, წელშია გატეხილი როგორ ძალიან დღევანდელობის მადევნებელი თვალით და ყურით თუმც დროდადრო ეს, უწყვეტად არა, ისე კი, ძალიან ხშირად თუმც ალაგ-ალაგ, გულჩამოყრილი, მხრებსავით, ამდღით... მაგრამ ხომაა ადამიანობისასაც იმედად კი არა, ნამდვილად, ღვთისგან, და ნაღდროგორად ბოძებული რაწყალობა ეს!:

(იოვანე 3, 16) „რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოსცა მას“,

ჩვეუბადრუკთა, უბადრუკი ცოდვების, კი, გამოსასყიდად,

მაგრამ ერთია სახარება და, აქვსა კია უღირსს იმდენი უფლება რომ, წამდაუწუმ მოიშველიოს?..

ჰოდაც, საერთოდ, ამდენი სიტყვის, რამდენად მეტთა ჰო და არასი, ხმარების ნება, აქვს?

და როგორ ხშირად ახსენდება, რო, თუნდაც ისა რომ

როცა ერთხელ რუს მხატვართან, რეპინთან, თაყვანისმცემელი... მცირე შესავალი: უღირსმა ბოლო დროს როგორღაც აღმოიჩინა რომ რუსი მხატვრების ეგრეთწოდებული „შემოქმედება“ მუდამ მოსწონდა და ესმოდა ოღონდ როგორღაც არ ითავისებდა ამას, სხვებსავით, ჯინით; მშვენიერები, პატიოსნები, ურიოშოები იყვნენ, არიან რეპინი, ფედოტოვი, შიშკინი, სხვებიც, თუმც მართალია ფიროსმანისთანა მადლი შეიძლება (შეიძლებაო, ჰხმ...) არ ჰქონდეთ, მაგრამ დაჰყოლიათ სისუფთავე, პატიოსნება, ესეცაააა - შესავალი, ხოლო როცა ერთხელ

კარგადრუსს, მხატვარს,რეპინს თაყვანისმცემელი სწვევია, მის სახელოსნოში მასპინძლიანა შესულს, მიმოუხედავს იმას და, გაკვირვებულა - ვერც ფუნჯები და ვეღარც საღებავები, ტილოები, ვერსად დაუნახავს, და მიჩერებულა, რეპინს, შეჩერებია გაკვირვებული ძლიერ, იმას კი უთქვამს, რაღადღა მინდა ფუნჯები და საღებავები, მხატვრობას თავი გავანებე, ბავშვებს ვაჩუქეო; რატომო, პირდაღებულ სტუმარს. და აქ თვით იმ მხატვარს, აღიარებულს, მერედა როგორ, ქუჩებსა გინდა თუ სასახლეში თუ ზოგიერთ სოფლად სულ თითით საჩვენებელს, თაყვანისმცემლების ხელით ტარებულს, უთქვამს, მიუგია:

- Я видел Веласкеса.

როგორია... პატიოსნება... ესაუღირსი კი, მიმდგარა ყმაწვილი და თვით სწორედ თავად სახარებიდან, ადგილებს თაქავს... ა?, თუმცა „თაქავს“ რა სიტყვაა, არამედ - ემოწიწება... და კირცხვენია, მაგრამ, ეს როგორ შვებად, და მისაგნებად და მისით სულისთქმად კი არა სუმთლად სულის ჩადგმად და ჩამდგმელად, მთვარი რგება და შველა და ხსნა სწორედ ი მ ი თ-ი, ქართველებისა, ჩვენის, და დახსნისათვის მისაგნებად თურმე როგორი ადვილი... თუმცაადვილირასმიქვია! - უმოწიწებულებითობესი, ეს, რადგან ი მ ი ს ი ქვეყანა ვართ, თურმე კი არა, მთლადაც მართლა, და უღირსს ადრე ლეგენდად რომ ეგონა, თურმე სინამდვილე! და როგორი მერე, ბედნიერებით ბოლომდე მთლად ვერ აუწერელი რადგან აღურაცხელი, ი ს, და თურმე თვით ი მ ი ს ი ვყოფილვართ, და ვართც, ყველაზე დიდად დიადი დედის, თავად ღვთისმშობლის წილხვედრნი, ვინც კი რომ, ვინაც,

„ყოველთა ნათესავისა კაცთასა სასოებაო და სიტკბოებაო, სამკაულო“,

როგორ თავისა თავის-უფლად, და ნეტარებით შეგვიძლია გავიმეოროთ მიძღვნებანი ეს, რადგან ი მ ი ს ი ვართ, მთლად მისები და თან იმდენად, რომ, სხვებისაც კი სახელითაც, ვეაჯებით, კი, -

„ყოვლისა ნათესავისა კაცთასა სასოებაო და სიტკბოებაო, სამკაულო, ყოველთა არსთა შექმნილთა უბრწყინვალესო ნათელო, რომელმან“.....,

რა შვებაა, ეს, ეს ლოცვები „პარაკლისი სავედრებელი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა“, მიმართ და გალობანი მისკენ, მისადმი, და ამჩვექართველებს, თურმე როგორარ შეგვძლებია ამჩვე-დ დიადი გაჭირვების ჟამს, „გარემოცული მრავალთა განსაცდელთაგან შენკენ მოვილტვი, დედოფალო“,

თვით ი მ ი ს ა დ მ ი, ეს, მფარველისადმი, მხსნელისადმი, თავად დედოფალთ-დედოფლისადმი და მეფეთ-მეფეთაც შემწისადმია, ეს, და მისადმი გალობანშია,

„და ვითხოვ წყალობასა: ჭირთა და ურვათაგან მიხსენ მე, მხსნელო და მაცხოვარო განწირულთაო“,

და იმისადვე ასე ვედრება, დაუცხრომელი, მუდამ და კვლავ და კვლავაც შეგვიძლია კი არა, მეტი, - აუცილებელია, მით უმეტეს, რომ,

„შემაშფოთებენ მე ვნებათა კვეთებანი და მრავლითა ურვითა აღავსებენ სულსა ჩემსა“,

და, ამ არეულ-დარეულობისას, ამ ვინსაით მიმორბისა და გარბი-გამორბის, ამ უთავბოლო ჯირითისას თუ უდებებისასაც, როგორად წრფელი, მშვიდი და სათნო, -

„მშვიდობა მყუდრო მომმადლე, სძალო“,

ყოვლისშემძლეა, -

„ძისა და ღვთისა შენისა ვედრებითა“,

გვახსოვდეს ოღონდ ყოველთვის უნდა, რომ, -

„და სულსა და გონებასა ჩემსა შენდა მომართ აღვაპყრობ, საგალობელო“,

მთლად შენდა, მხოლო შენდა მიმართ, ერთადერთო, შენ თან ხომ ისე ბევრი რომ აურაცხელი ხარ, დედოფალო, მთლადაც იმდენი რამდენიც ცაზე წმიდანია ცა-ცად მავალი, და ზეცისულით არა, მეტი, სამყაროსსულით იესუ ქრისტეს მშობელო, დედავ, და აქ, ჰოდაარასი დარღვევების ჰადაჰა მიწურულთან, მიწურულიც და აღვსილიც, შენით, შენითღა მოვითქვამ დამძიმებულ სულს, „გვიცევ და დაგვიფარე ჩვენ, დედოფალო, ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთაგან“,

მაგრამ, ისე-უბრალოდ ვერ შეევრდები, ცოტათი უნდა სუფთაც იყო, და, ეს ისევ მისით, და კვლავაც მისად:

„და გვიხსენ ჩვენ ყოველთაგან სულიერთა და ხორციელთა ვნებათა, რათა გიგალობდეთ შენ“,

და შენითღა ვიხსნით ნაცოდვილარ, ცოდვითკოწიწ, ძლივსღააკინძულ, სულს, ამ ჰოდაარასი როგორ განვრცობილად ნაჩხირკედელავებ-არა, ნაწვალ-ნატანჯ სულს, თუმც ალაგ გვიხაროდა, შენ ერთს გაგყვები, დედოფალო, წმიდასამების მატარებელო როგორი ახლობლობით და რიდით, შენდამი მიძღვნილ აღტაცებებს ამოვკრეფ მხოლოდ იმ წიგნებიდან, გულისსუნთქვად რომ მეგულვის, მაძევს, მხოლოდ ერთგანღა გავიხსენებ წმიდა მარკოზის სახარებიდან ერთსაც ბოძებულ როგორ სიკეთეს, სინათლეს თვალთა, თვალისჩინთა, და ერთსაცკიდე როგორ ბრწყინვალეს, ნათელს, და როგორ სათნოდ და ნეტა ხშირად, ჩვე-უგზო-უკვლოთა ჩამომყალიბებელს, ნამეზვერევარის, გაწმიდანებულის, მათესას, ადგილს ერთსაც,

და ისევ მ ა ს, მ ი ს ი თ, და მ ი ს ა დ, მ ი ს ი ა ნ ე ბ ა დ, მივყვეთ, დრო და დრო დიად მშველელად შეევევედროთ, უიმისობა? - ვერ შეგვიძლია, ვეღარა გვძალუძს, და, მაშ ასე, ჩვენსას, ისევ ჩვენსავეს ოღონდ მ ი ს ი თ, სრულიადი მწეთი, გინდ დალაგებულად და აბნეულად გინდაც, მთავარია რომ, მივყვეთ, რაზე გავჩერდით... ჰო:

ნამეტნავი და, ნამეტნაობა... ამ ერთი მუჭურად-კონა ვითომდაც ეგრეთწოდებულად დიიდად გაამართლეებული ქართველებისათვის -

მომხვეჭთათვის, რამდენად ბედკრული დრო, დღეინდელობა, ეს, იმათთვისაა რამდენად მეტად ბოროტით დაღდასმა, იმათთვისაა ყველაზე მეტად საოცნებო, -

„წარსული ამის დღისა მტერისა მიერნი წყლულებანი სულთა ჩვენთანი განაქარვენ“,

მაგრამ ეს ლოცვა-ვედრებაც ე? არ იციან კი არა და, გინდაც იცოდნენ, აზრადაც არ მოუვათ რამეთუ მრავლისამტანი მიწის ზედაც ყოჩაღკვაჭურად განისვენებენ, ნუთუ ვერ უგრძნობთ გონებათა თუ ვერა გული იმას რომ, როგორი დაუნდობლობით, განწირულებია, რადგან განსაკუთრებით ამ ჩვენი დღევანდელი გზით, და, საერთოდაც, მდიდარი რომ სასუფეველში მოხვდეს (“სასუფეველი - ესე არს სამყოფი ანგელოზთა, სადა წმიდანი არიან“), თურმე მეტად ძნელია, რადგან და ხოლო გახსოვთ ალბათ რომ მდიდარი რომ თურმე ისევე ძნელად ამოჰყოფს თავს იქ, რაძნელიცაა აქლემისაგან ნემსის ყუნწში გაძრომა და რომ გახარებულნია ახლა ყოვლადწარმავალი სიმდიდრით, და არ სჯობია, არა სჯობს რომ ლუკა 6,25-ს მიუგდონ ყური:

„ვაჲ თქუენდა, გამაძღარნო აწ, რამეთუ გშიოდის“; - ხვდებით ალბათ, რომ დაუსრულებელს სადაცაში; „ვაჲ თქუენდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ იგლოვდეთ და სტიროდით“, და ამ მოქალაქეებსაც როგორ შეეხამება ლუკასი იქვე, 45: „და ბოროტმა კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გულისა თვისისა გამოიღის ბოროტი, რამეთუ ნამეტნავისაგან გულისა იტყვინ პირი მისი“,

ნამეტნაობა, ეს, თანაც რისგან, ცოდვებისაგან, და ამიტომაც ნამეტნავეებისაგან რამდენად როგორი აუცილებელი, შესავედრებელი:

„ჰოი, დედოფალო, წყალობით შემწე-მეყავ ჩვენ, რამეთუ წარვსწყმდებით ჩვენ სიმრავლისაგან ცოდვათა ჩვენთა“

მაგრამ არ ახსოვთ, დედუფალი და მარადისობას ვიღა დაეძებს ბევრი ჩვენგანი, რადგან, თურმე, იმ განკითხვის დღეს, ყოველისა და ყოვლის განკითხვად რომ, ჩამოდგება-რო, მოვა, როგორ მერე და ისერომ „მათ დღეთა შინა ეძიებდნენ კაცნი სიკუდილსა და ვერა პოონ, და ჰსუროდის მოკუდომად, და ივლტოდის მათგან სიკუდილი“,

ეს დღე, ესადღე ელით და, შური, მათდამი? -

არა; არამედ, მათთვის, ჩვენთვისაც, „მოიხილე ჩვენზედა, ყოვლადქებულო“... და აი აქაც კი, ჩვენი ცეტობით, გადახვევები: ერთი სიტყვაა, გრღრამატიკოსნო, „ყოვლადქებული“ და რატომ ცალ-ცალკე - „დიდად მეტყველი“?.. მაგრამ რაღა დროს გამსჭვირვალე გრამატიკებია,..., ჰო -

„მოიხილე ჩვენზედა, ყოვლადქებულო ღვთისმშობელო, და ხორცთა ჩვენთა წყლულებანი ბოროტნი განჰკურნენ და სულისა ჩვენისა სნეულებანი“,

სნეულებანი, რომელი ერთი... ერთიმეორის ლანძღვა, გინება, გაწევ-გამოწევა და ქუჩისბიჭები არ გეგონოთ ამის მოქმედნი და ჩამდენნი, არა, რჩეულებია ბევრი

მათგანი, ხალხისა ანუ დღევანდელი უშნოდ შემართულებისა თუ უნდოდ დაბნეულების, და აი ამ ჩვენგნით გამორჩეულები ლაქლაქებენ, რას, და პაზიცია შეინარჩუნონ რათა, და მეტიც უფრო, ახალ საფეხურს რომ აეპოტინონ - არა, ჩაეპოტინონ, რახრახებენ, რას, - „ენა არს“..... - წმიდა იაკობი, გახსოვთ? - და სწორედ იმ ენით, ენიანები, ჯიბეიანები, გახვრეტილიანები, უწიგნურები, მიედ და მოედებებიან, რას, გუდამშიერი ეგრეთწოდებული ინტელიგენცია კი, გაოგნებული, დუმს, ხოლო, მიშვებულობით, ასე 1992-95-ში მკვლელობაზედაც კი სუაღარ იყო დაჭერა სადღაარ შემძვრალი პოლიციისა და „დემოკრატიის“აგან და კიდევ კარგი, ახლა შედარებით კი-ა, არა, უღირსს ხალხი რომ დაიჭირონ ის კი არ უნდა, არამედ თუნდაც დაჭერის შიშით ვინმემ ვინმე რომ აღარ მოკლას ხოლო ისე კი, ღვთის მოშიშებით და შევრდომით რომ აღიკვეთოს ყოველგვარი დანაშაული და არა სათუო მართლმოწესრიგეების შიშით, რამდენადა სჯობს...

მაგრამ სნეულებანი,... გონების დაბრმავებული თვალის, მიერნი...

მაგრამ სნეულებანი კი, ეს, ყოველ ნაბიჯზე... ხოლო ნაბიჯი ფართო სიტყვაცაა, განიერიც; და რა ექნა უღირსს ნამდვილად არ სჯეროდა რომ, რომ ეს ცხოვრება, აქაური და მასში სიცოცხლე აბა რაა და, წუთისოფელია; წუთის-სოფელი?

არა.

წუთისოფელი კი არა და, მოვთვლით ვითომ, თუ რამდენიც რომ ნაბიჯი გადაგვიდგამს, თუნდაც მხოლოდ წუთში, ხოლო ყოველი ჩვენი ნაბიჯი, მართლა ყოველი - არჩევანია, ხომ გააჩნია საით მიდიხარ, „ვიდრემდე ხვალ“, წუთისოფელი კია მაგრამ აჰიმოდენი რამ... გზად. გზაზე. გზაში. ჭრელაჭრულა, გზური. მრავალგზისური.

და აქ სახარების თავთა და მუხლთა და მუხლთა შეხსენება სულ აღარაა მართლა საჭირო - ნებისმიერზე გადაშალეთ, და, და მთლად ყოველგან? - ვიდრე (ანუ საით, სად), ვიდრემდის (სადამდის) ვვალთ (ვიარებით), და, „ჰოჲ, ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო“, „ქომაგო ამა სოფლისაო“, „რამეთუ უფალმან სიკეთე შენი სათნო იჩინა“ ისევ შენ თუ დაგვიცავ ამ უმსგავსოებაში და დაგვიფარავ ჩვენ, დედოფალო, ყოველთა ხილულ თუ უხილავ მტერთაგან, შენ თუ გვიშველი და გადაგვარჩენ ამ უ-ნამუს-ოდ გამდიდრებულებსაც კი, თვით „ქვადქცეულისა გულისა მომალბობელო“ და მათიც კი მაცქერ-შემყურეთა, „ღელვა-გვემულთა მშვიდო ნავთსაყუდელო“, და, ჩვენივ წარსულით თუ ცოტათი აწითც, ხომ როგორ მუდამ გვენდობოდი და გვენდობი კვლავ და მხოლოდ როდი ეს, - გიყვარვართ, როგორ, ეს სადამომდე მოგვიტანე სუსტი და როგორ არასუსტი ნატიფი მხრებით და სულით, როგორით, სამაგიეროდ, და რამდენი მტერი გადაგვდიოდა ათადან-ბაბადან, - ვედრებად იდექ, ჩვენთვის დედოფალო, და მოგვიტანე, აქამომდისინაც კი, დღემდეც კი, სხვა თუ არაფერი ამდენ გაწელილ მპყრობელთა შემდგომ აგერ მაინც ქართულად ვლაპარაკობთ ასე თუ ისე, და,

„განსაცდელთა შინა მყოფთა შემწეო“, განგვკურნე, სახიერო,

მით უმეტეს რომ, ერთი რამ, ძალიანაც რომ შეფარული და ხანაც მეტად შესამჩნევი, გვაქვს...

დიდად შესამჩნევი.. და არცთუ იშვიათად...,

- კაცო, ის დასტურპაგონებიანი ვარდიკო იყო თუ ჟუნჟრუკო სადაა ნეტავი ახლა გამაგებინა ეს და, დამჭრა თუგინდა მერე ოღონდ სუმბუქად, - გამოაცხადა ასე ბილბაომ რაღაც სულ ახლახან ერთ მშვენიერ დღეს, ხოლო ბილბაო როგორც ასეთი შესაძლოა გახსოვთც, ხოლო იმას თურმე კიდევაც ახსოვდა ჩვენგან დროულად წასული და მივიწყებული ამიტომ ყველასაგან ტყვია-წამლებიანი ნადიბაიძე ვ. თუ ჟ., ხოლო თქვენ თავის მხრიდან ბილბაო თუ არ გახსოვთ მყის შეგახსენებთ რომ იგი ამხანაგი იყო ენითმოარულ სხარტგონებიანი მიშოსი ხოლოკი ბილბაოს მარტივი სახელებიც კი ერეოდა გონების დანაშაულობიდან, ენაში, და ამას რა უჭირდა კიდევ, შეცდომები-რამ დაგვაწვა ისეთ-ასეთი, რომ, გაჭირვებებით გზააბნეულთათვის, სისასტიკით დაუნდობელ ავადმყოფობასავით მთლად საბოლოოდ გადამდები იქით, მიწითმოსილი კუბოსადმი, მაგრამ ეს მხოლოდ თავგზააბნეულთათვის ხოლო რომელნიც გესავენ შენ, შენის იმედით, რომელიც „შესწირავსა“ და „მიართმევს“ ლოცვას ჩვენსას ძესა მისას და ღმერთსა ჩვენსა „რათა აცხოვნოს სულნი ჩვენნი“, და როგორ ძაან უცნაურია რომ მისიც კი კუთვნილი, ეს „ვიდრე ვვალთ“ მაინც, უფალო, და ვიდრე ვვლოთ შენ შეგვასწავლე, შენთუ შეგვასწავლი ღვთისმშობლით, უფალო, და, გევედრებით, ღვთისმშობელო, თუ რაიმ მაინც შეგვცდეს,

„სულისა ჩვენისა წყლულებანი“ განაქარვენ, შენ, სახიერო, სასოებაო,

და

„შენ იხსნი სულთა ჩვენთა ყოველთა განსაცდელისაგან“,

რადგან

პატრონო, ჩვენთა, როგორის სასოებით შევრდომილთაც და გინდაც უვიცთა, მკუთვნელო ჩვენო ისე ძლიერად რომ, მარად, მუდამჟამს

ჩვენო,

ჩვენო „მეოხო მხურვალეო“,

„წყაროო მოწყალებისაო და შესავედრებელო ყოვლისა სოფლისაო“, „მკურნალო სულთა და ხორცთა ჩვენთაო“, რიღას არ მომრჩენო, მაგრამ,

შეგუება?

სუყოველივეზე, სუყველაფერზე საშიში რამდენად, როგორ...

როგორიღა არ გინდა გაჭირვებებზე მთლად უარესი, დაკრულვილი და უკუღმართი, წყეული, შეჩვენებული აცმა, - შეგუება ეს; მერედა, რასთან... და რისთვის... რასთანდარასთან!

და რაგინდ მოძრავად შეგუებული იყო რაღაც უგვანო და გინდაც თუნდაც მოძრავ ჩამყაყებებში სხეულისაც და სულის, ბოლო-ბოლო ხომ, საარარაობოა, ეს... შეგუება... ეგებ კი არა მთლად და ყოვლად სუყველაფერზე, საშიში, საშინელი, დამაბნელებელი, რადგან როგორი ბნელისმიერი, ბნელი... და თანაც, კაცო, ხანდახან რომ, ეგრეთწოდებული „იუმორი“თაც კი, რომ მიღებული? - გინდაც გაჭირვებების:

- კაცო, შენ თუ გაიგე, მიშო, ქალაქის მმართველ დიდთავკაცებს რა გადაწყვეტილების მიღება განუზრახავთ და, ძალიან კი მონდომებულან მაგრამ ჩაფლავებიათ მაინც...

- რა...

- განაზრახი.

- არა, რა განუზრახავთ... - მოკლედ და სამწერტილიანა იკითხა მიშომ, ბოლო ხანებში (2000-2001 წწ) ვეღარ მრავალსიტყვაობდა, გადაიღალა, ამჩვენ-წლობით, კაცი... აგერას, ჩვენაც კი, ვსამწერტილობთ... ვეღარ ვამთავრებთ სათქმელს.

- რა და, ხოიცი შენრო რაფრა გიჟდებიან მაგინი დღისითე მაინც როგვაქ სინათლე ზამთარშიც მაინც, მიშიკო-ჩემო, და, ქეც..

რატომღაც, იმერულად უქცევდა და იქაურულადვე ლაპარაკობდა სწრაფად, ადრე კი იყო, ენადაბმული,

- და, ქეც შემართულან აღშფოთებით აბა ზამთარი რისი ზამთარია და დათვი კიდე რაისი დათვი, თელიზამთარი გეძინოთ უნდა ქურქ-ტანსაცმლიანაო და მაგიორში რაც გინდათ სითამამე ნახეთ სიზმრათო, მიგვიშვეს ასე, დემოკრატიულებია მაგ, და ბეწვზე ვართ გადარჩენილი ბიჭო, აგი ჩვენ, გადუწყვეტიათ რახან უმრავლესობა თავიკაცებს და თავკომბალებს რო თელათ რო მოგვისპონ ზამთრობით ყოველინაირი სინათლე, კაცო, გინდაც მისუსტებული მზის შუქი რომ ხომ მაინც მზის შუქია, ისიც, და მზე ხომ, მიშო-ჩემო, ამათ ჯინზე ზამთარსშიაც ქე ამოდის გამაღვიძარასავით, ჩადის კიდევაც თავ-თავის დროზე თან შემოკლებულათ აბა ამათსავით ხვარ გამოეკიდება და ჩაებღაუჭება მაღალ ადგილს და ამათგან, მაინც, შუაგულ გზაგზაზე შემცირებების მეტს რას უნდა ველოდოთ თუგინდაც მზისთვის, პატენი, - ვაი, - და გოდუწყვეტიათ მთელ ქალაქზე ბრეზენტის გადაკვრა.

- რატო! - შეკრთა მიშო, იგი მგრძნობიარეც იყო, ის მერე რა რომ მოდუნებამდე ცელქი ამბებისაც იყო მთხრობელი,

- რატოდა, როქონდეთ მზეო პაწაზეცო, მეინდომებენ მერე სხვარამეეფშიც კიდომეტსო, გაგვითამამდებიან,ო,სულე,ო,

რატომ უქცევდა ბილბაო იმერულად, და თან იქაურულივ სხაპასხუპით, სულ ვერ გავიგე, ესპანურად რომ მოექცია, კიდო კი, ეს, მარა ამ ქვიტკირივით

შედუღაბებული და ზედაც ჯაჭვებით გადამბული ამ ჩვენიდუნიას რაფრანათელი გაჭირვებებისას, გამეიცვალა, ვითო, აგიბილბაო?

- ჰოდა, არ გათამამდნენ ნამეტანი, თქვენი და სკანი გოლუაფიროო და, - ვაი?!? მომეგრულოც? ისიცა?!, ბრუტოს... - ბრეზენტში მზე ვერ გამოაღწევსო, მიკნავლებულია ისედაც ზამთარში და აღმოჩნდება დივიდენდურად ოფსაიდშიო, - ჰათ, ლიტქართულიც დღევანდელი, კონსესუსურული, - და კიღამ, ბოშომიშო, უქნიათ ეს, მარა... რა ქვია, კაცო, თერაპევტს სხვანაირად...

- ექიმი..

- არა შეკაცო... ჰო, შინაგანობის საქმეთა უმფროსი ლაშა გონი ევტიხი ქვია პასპორტში და ის წასულა დიდი წინააღმდეგი...

- მართლა? - დაიბნა მიშო, - ნუთუ ევგრაფი...

- მართალია, კი. არ გოუვა ყვირილას წყალი. მევო, უთქვანა, ისედაც რამდენი მაქ თლათგოუხსნელი საქმეებიო და, იმ მაგ თქვენ კეთილებს რა იყო ბრეზენტს სულ საშარვლეებოთ დაჭრის ხალხი, აბა ტყვილათე ხოარ არიან მახლას (ვა?!) და კაკრაზ (ვაჰვა?!!) იქ გამოხეულებიო, სუთელათ ტყვილა დაგვიჯდება ოთოსბირად და მამასისხლათ მაი ბრეზენტი, ის არ ჯობია, მაგიფულით ვინმე დარბაისლურათ მოლაპარაკე და ჟელეზნიარგუმენტებიანი, მოკლეთ რომელიმე ოხერი ოპოზიციონერი გოვუშვათ სანცხა უცხოურ აგარიკზე ეგეფ დარჩეს კიდოვაც იქანა და კიდოარშეჭამოს აქ დაიჯესტი, ფუ?, ბიუჯეტი და მარა ეგეფ არცკი დარჩესო და ამიტომ მაგიფულით მოდითდა ჩემი ცოლ-შვილი გოვუშვათ დავოსში ანდა ნიცშეში ან კიდო საცხა, მე ვარ ატვეჩაი ჩემმეტი ვინ არ არჩენს უპატრონოებს მაგათ და რო იცოდეთ რა კაიხალხია (ვინ?! - ავტ.), ალალი იქნება მაგათზე,ვო და გადავრჩით ზებრეზენტობიას, მალადეც თერაპევტი!, აფერუმ!, ამფერ!, ბარაქალა შენ ეგნატე!!!..., თუ დომენტი...,

აი, ამ შეღამებულზეთანავე წკვარამთანაც კი თვალთახედვისა პირობაზე შეუგუებელი, შეგუებულზე ანგლობდა ხოლმე კიდეც, უღირსი, ალაგ როგორი ბრიგინ-ბრიგინით სიტყვათგამბნევი, სხვა-გარეშეთა შეგუებებს ასე აზიზად რომ ითვალისწინებს, თავსაც დაუკვირდეს, ერთხელ მისავ ქალაქში და არა სხვაგან ქუჩად მიდიოდა და იეფი სიგარეტი მთლად რომ შემოეწვა და მეშენგეტყვით ურნა ამჩვენში საკმარისად დგას, და, მიიხედა, და მოიხედა, და ვერაფერი რომ ვერ შენიშნა მინამსგავსურიც, ერთსაც ხის ძირას მიყრილი ოთხი ნამწვი საწამხედუროდ აღმოაჩინა (თუ, წასამხედუროდ აღმოიჩინა? - ეს გრამატიკა მასწავლა ერთი, რომელიც რომა ორ რამედა ჰღირს თურმეობითებივით და, ბილბაოსა არ იყოს, დამჭრა თუგინდა მერე ორივე თურმეობითით ოღონდ სუმბუქად თან ბნელში მერმე), და ამიტომაც იმ ოთხ ნამწვთან თავისიც, მეხუთე, გულმშვიდად მიამატა. და უცებ, ერთბაშად... -

ა?, სწორედაც რომ შეგუება, და მისეული იყო ეს! ნამწვავებსა და იმათ რაოდენობაზე არ იყო საქმე, არა, მის ამ არხეინ შემგუებლურ წამხედურობაზე, ანუ - სადაც სხვა, იქაც მეც, - თუმცა წვრილმანი, და მაინც როგორი აშკარა, ადევნება,

სხვებს; - შეცბა; იმ ერთი ნამწვით ქვეყანა რაღა თქმა უნდა არ დაიქცეოდა, მაგრამ უურნაობით გამოწვეული დანაგვიანებისკენურა აყოლა იყოყე მისი ეს საქციელი, და შეეგუებაც ხომ, რაგინდა ჩამყაყებულად უმოძრაო, აყოლაა, გინდ უილაჯობით თუნდ ატორღიალებაც, ხომ, თანაც ისეთი რომ, ხანდახან ქვეყნის მართლაც დამქცევი, დამაქცევარი გინდაც წვეთ-წვეთობით, და ასეთისაც შეგუების თუნდაც ნამცეცის საკუთარ თავში აღმოჩენით,

შეცბა, რადგან, ამ გინდაც ციდა ნამცეცობით - წვეთშიც ხომ ჩანს, კი, ოკეანე, - როგორ აშკარად მიდრეკილი შეგუებისადმი, ნამოქმედარი იყო, ეს...,

და თვით უმოქმედობაც ხომ, ჩვენი, შეგუებაა რაღა თქმა უნდა, უშნოდ ლაქლაქიც - შეგუებაა და ქუდის სხარტ-მოშვლეპაც აღიარებულ ერთისაც სულელური შერქმევით - გავლენიანისადმი, შეგუებაა სწორედაც რომ, რადგან მის (გავლენიანის - ანუ ჩვენში და ახლა ძირითადად მრუდის, არასწორის) საქციელებს და სიყალბეს გინდაც შორიდან, ჰგუებ, ხომაა საძრახისი,

და, ზედაც კიდევ, ამაზე, იუმორი? აგერ თუნდაც ნაცნობ-ბილბაოსი, რაღა შორს წავიდეთ: ასე, 2000 წლის 27-28 დეკემბერს, II ათასწლეულის მთლად მიწურულში:

- ბიჭო მიქაელ, რას ჩამოგტირის მაგ ცხვირ-პირი და რასაა რომ მთლად დაჯღანულხარ მოდრეკილო შენ, - არ შეუდარა, პოეტ-ჰიმნოგრაფი, და მგალობელი? მწიგნობარიცა და კალიგრაფი, არ მიუყენა? ბრიყვი... არა, მაინც რამ გამოაცოცხლა: - ის თუ გეიგე, - ან, გააშუაიმერელა რამ, ზალდასტანიშვილი ეს, - მინისტრთა საბჭოს მდევთკაბინეტის მთლად რიგგარეშე სხდომა-რო ჩოუტარებიათ და საიდუმლოთ და ისიც თანაც ამორჩეულათ ბნელში,

-არა?!,

- ჰოდა, მაუწვევნიანსთ (ვაი...) მინისტერთა შედარებით იწრო კაბინეტის სხდომაი იგეთი (აფსუს, იმერულო...), არც დოუსწრიათ (ეგრე, რა...) ზოგვი (ვა?..), და პირგამეხებულები ჰყოფილან იგრე რომაა (ვე..), ზოგმოხსნილივით... და აბა თუ იცი, შეყრილან, როდის?

- როდის...

-ოცდასამსში, დეკემბერსა... და რა დღეა ეს დღე თუ იცი შენ ეს?!.

- არა?..

- მაინც და მაინცათე შენ როგორ სულ არ ხვაშიადოფ არაფერს, მიშო, იცოდე უნდა მაგი თარიღი ქერო (აფსუს, კახურო...) დღის თანდათანობითი წაგრძელების დასაწყისის ტოჩნი თარიღ-დატაა პო კალენდარსკი (чего, чего?..), და გულშემოყრილები ყოფილან ამიტომ ძალიანი და ზილარიან თურმე ეს მინისტერები იმით იმაზე სკამზე რაღა ანუ ბოდიშით სავარძლებზე უნაკოლკოც და ნაკოლკიანებიც იმაზე და მხრებჩამოყრილები, მაგათ ხომ ნამეტურ უნდა როარ გევიხაროთ პაწა სინათლითაც კიე მთელ შემოდგომა-ზამთრობით და განათებით და მარტო გვტოვებენ მარიხ-მარსკვლავის ანაბარა, და ჯილარიან მოწყენილები

ძალიან, თურმე, კი, და კიდო - კაი ბნელში და ამით იმაგრებენ გულს და შიგანს რადგან დასტურ-ვაშკაცებს არ შეშვენითო ცრემლი ხომ უთქვამთო ძველებს ძველებს მაგინი არ გავდნენ..., ამხნევებთ წიპუკად ეს სიბნელე მარაარიან საერთო ჯამში და ჭურში მოწყენილები ძალიან ძალზე ძალიანი, ამ კუდაბზიკურად სათავგამომჩენო მზის თავისა ჭკუაზე სლვას რო მოუხერხეს სუვერაფერი, მთლად ჩამოსტირით ცხვირ-პირები და პირისახ-სიფათები და მოქცევიათ მინისტერული ვითო, ღრანჭი, იქანა ცრემლობს და მდუღარის ქვითინით ნატირალა ისე ძაან რო პაწა ელსადგურს ქეც აამუშავებდა თელასის შჩოტჩიკ-ჩიკ-ხელმძღვანელობა და მარადმწვანე რა იყო კაცო არამედ მარადმწვარი და დასაწვავი მართლა რატომღაც IXდ ცნობილი ვაიდბლოკის სიბნელის მოპოვებისათვის ბრძოლაში ძაან ცხვირპირნათელი თავკაცობა და ტყვილა კი არ არიან მინისტერები და დავიდარაბა, მოუკრეფავთ მერე მაინც თავკაცოური სახელმძღვანელო ილაჯი, ღვონე, და დოუძლევიათ ანატკივარი მდევური თავები და კურცხალმომდგარი თვალები,

კაცო, ეს ბლუ ბილბაო და, ამდენი ლაპარაკი? -

ხოლო ექსყოჩაღი მიშო? - ჰაივ, მოდრეკილო...,

- და, წამოდგომითა და წუთიერი დუმილით პატივ-ნამუსი მიუგიათ იმ წამებითი წამებისათვის, თლათ მანამდე რომ ამათსავით იგრე პირნათლად ასრულებდნენ ბნელისბნელ საქმეს და აწი ახლა კი რაი, - ოცდასამიდან, გარდიცვლებოდნენ ბუნების წესით როგორც რიგია, წამ და წამ მომატებულს მზით დამბლადაცემულს ჩვენებურ ელექტრიფიკაციაში რომლის ბნელობაც?: - თვალგახელილებსაც, ზედ წამწამზე გვიზიხარ, წუხანან ძაან ბნელთაკოლეგა ფინანსთა მისტერ მინისტერი კუნა,პეტაშვილი და ლორდ-ეკონომისტ ეკონომიკის ისდაკარგული ვითოქერა და მაინც მრჩევლად შავლეგო ოჩი-ჩორნიას-ძე, სხვა-რამ თუ არაფერი კბილების-მაინც ჩამბნელებელ პირს ვერ უხსნით და გინდა თუ გინდაც კორტიკი სააღლუმო თვით ყოვლადგროზნი ტავარიშჩ ვარდიკოსი რამ დაარქმევიათ ნეტა ვარდი-კო თუ მიხაკი-კო, და ტულიპოვსკი, კრუუგ-ომ დეერქვიათ ის არ აჯობებდა?, კრუგომ დაგვტოვა ძალიან რაკი, რასიტყვაა მაინც ეს ბოლო თუმცაღა კარგა საიმათო, რომლებთა თანაც და შინა განსაკუთრებით წიოკობდა გინდაც უცაბედად მსხვილტოტება ხეხაზგასმულად და ზედაც ნამეტნავიც ბუჩქ-მთაგორიანი გარემოს დაცვის ეგზომმთავარი მკაცრადმიხედვარომევალებადამოთვალყურე, და შორსმჭვრეტელური სხვათაგადაწყვეტილებისიც სასაფლაოდ და ამიტომაც ნელინელ მაგრამ შეუპოვარი თანდისთანობით ამოსაშრობი ლისის ტბიანი გარემოსის მზეზე ზაგარ სულ ვერმიუღებელი, რადგანაც ბნელის, ნაზისქესური, ხე-მფრინველ-ნადირთა მიდამოისის ავშავად ისე რომ თვალდასაფსებად მფარველი თან ცხოვართათვის მგონი დაფნისის გონია ანტიფლოე, მის ფრაუ მზია უნდ-დამშვენდებოდა და მაგრამ ვაჰრომ ახლა - მთვარისა, და მეტიც უფრო, მთლად - უმთვარისა,ც,

ბჟუტური გვაკლდა ახლა სწორედ, ამ თავში ქვათ-ხლისას, აყრანტალება და ვისი მერე, თანაც ბილბაოსი, სახელებისა და ტერმინებისაც კი ამრევ-დამრევის, თუმც

ზემორემოყვანილ საკუთარ სახელებს ახლა ნაკლებად ურევდა, და ამითაც კი, ერთგვარად ორიგინალურად,

არეულიყო; ავირივენით, მოკლედ, შევეგუეთ ყოველგვარ დომხალს, აბდაუბდას და ხარახურასა და ხარახურულობას, მიკიბ-მოკიბვას ალთაბალთურს, ლაყაფს, ავად როშვას,

და ჯერ მარტო ის როგორია, ვინმე ეგრეთწოდებული წესრიგზე დიდად პასუხისმგებელის თვალებს თუ დაინახავ, თუნდ ტელევიზორში - აბა ქუჩა-ქუჩად იგინი არ დეიარებიან, არც შუკა-შუკად რასაკვირველია და ლერწმოვანში ხომ... - აპაპაპაპა!, მაგრამ, - თვალები აქვთ რომ, ღმერთო შეგვინდე, ქვეწარმავლური, ორივე გაგებით - იმ ცხოველისაც და, ჯოჯოხეთისაკენ ხომ - ქვე, ნაღდად წარმავალის, და იმ ერთსმაინც?.. - მტრისას, უთუო ისაა, ვინ ისა და, ვერ ვახსენებ, უხსენებელია, კი, და, უნასი თუმცა ტყუილ-უბრალოდ არ იღეჭება, იღეჭება ეს, არცთუ იშვიათ ტელეინტერვიუებისასაც კი, კამერების წინ ისე-იმდენად არხეინი რომ ტევად ჯიბაში დოლარებროგორმრავლადნანახ ხელებჩაწყობილია, არცთუტყუილად ალბათ, დასამალი აქვს, კი, არა და, საქმე აბარია? მაგრამ იცავსკი კი არადა, მოპატიოსნო ხელქვეითიც თუ შეერია, - ხდება მსგავსი რამც! - რაიმე ბრალს მოსდებს თურმე ისე ერთგვარად დალაგებულად, იმას სვინდისი შეაწუხებს თუ რა, და მერე იმის ადგილ-სამსახურს თურმე ოთოსბირად და მამასისხლად კი არა, ეს კიდევ რაა, დედის, სამშობლოს სისხლადაც ჰყიდის და მყიდველებიც რომ მრავლადა ჰყავს?, აქეთიქითურად როგორი ბიჭებია, ჰა, რა გვეშველება... რა გადაგვარჩენს, ასე რომ წავხდით, არადა, რამდენი ნატრობს იმის ადგილამდე ამაღლებას, რამ დაგვაჯუჯა ძალიან ასე, მაგრამ,

როგორ იმედად, იმედად როგორ, რომ გვეშველება, რადგან გვყავსა და გვყვარობს თავად ი ს ე თ ი, რომ,

ზესთამბრძოლი თვით, დედოფალი ჩვენი, რომელსაც ზოგნი, ყველასათვის, ასე-ამგვარად ვევედრებით:

„ახალნი და ურიცხვი საკვირველებანი აჩვენე, ღვთისა დედაო, სავანესა ("დასასადგურებელი") ამას, რამეთუ ნაკლულევანებასა ღვინისა (ალბათ ნამდვილი იგულისხმება), ფქვილისა და ზეთისა - საღვთოებია, ეს, - სავსე-ჰყოფ, ეშმაკეულთ ჰკურნებ", ხეიბართა და კოჭლთ „ავლინებ" - უღირსმა ვერ იცის ეს სიტყვა, ზუსტი პასუხი მისაწვდომ ლექსიკონებშიაც ვერ იპოვნა, მაგრამ რაღა თქმა უნდა ალბათ კარგი რამაა „ავლინებ" -ეს, რადგან ღვთისმშობლის წყალობათაგანია, და, რაც მთავარია, ხეიბრებს კიდევ რა გვიჭირს „ბრმათა მიანიჭებ მხედველობას და ყოველთა ვნებათა განდევნი", მხედველობა ეს, ჩვენი, და დაბრმავებულები-ჩვენ, როგორაც გინდაც ტყვიას ტყვიაში ტურფად ვაჯენდეთ, სხვა მხედველობით, სხვა თვალებითაა ჩვენი სიბრმავე, და, დილის ლოცვებიდანვე - „აწცა განმინათლენ თვალნი გონებისა ჩემისანი", და, იმდენად გვინდა რომ გვჯერა კიდეც ზოგიერთ ჩვენგანებს, რომ, მართლაც აღგვეხილება ორთავ თვალი, სხეულისაც და გონებისაც, და ისეთი მართალი თვალებით გამოვიხედავთ რომ ეს განათება

ტარებას-ჩვენსას მთლად მართალის გზით, შეგვძლებს, რატომ და, რაოდენისა რამის, სასოება და სიტკბოებაა, სამკაული,

და მას მივმართავთ, ასე:

„გიხაროდენ, ქრისტეს ღვთისა მიერ ყოველთა ჩვენთა დედაო, მრავალმოწყალეო:“,

„გიხაროდენ, ღვთისა მიერ კაცთა სიყვარულის გამოვლინებაო:“,

„გიხაროდენ, ამაღლებაო ადამის მოდგმისაო:“,

მაგრამ ერთიცა ადამის მოდგმის წარმომადგენელი, დახეთ რას ამბობს... დახეთ თუ, მოუსმინეთ?.. ე?! მოკლედ:

- ჰოდა, სწორედ ამ არტემიდესეულ მეგარემოეს და მეგარემოისეს უსლუკუნია, რომე, რა დეინახავს ამ ჩვენ დაქცეულ გარემოს ჩემო ძვირფასო მინისტერულო სეხნიებოვ, ხალხნოო, ხალხნიმაგინიარიყვნენ მიშო, აწიო თანდათან წუთწუთობითმეტ ამე-სინათლის მომატებამ უნდა დამთხაროს ჩვენი ასეთი გარემოთი ორთავ თვალი?, ო, ორთავ თვალის სინათლევ, რას გაგვირბიხარ ორორთავ თვალის სიინათლევ, წოუმღერია კიდეც, აბა!?, სა გაგვირბიხაარ, ორორთავ თვაალის სიინათლეეეე, ბნელოოოო... - გეიგევი ბიჭო?

- და კიმაგრამ შენ საიდან გაიგე ეს!..

- საიდან მიშიკოვ და, მთლად საიდუმლო საქმეთა თელათ უსაიდუმლოეს მრჩეველს წამოცდენია ნასვამზე სუ კრუგომ-ირგვლივ დეკოლტიანი ქალების საუნა-აბანო გასვინდისგასამრეცხაოში, აბა!?, გულწრფელებია ხანდიხან მაგინი, და არტემიდეც, ჩვენ-თელასურ ბნელს უმღეროდა თუ ამ ორორთავ თვალის სინათლეს, ასეთნაირ სინათლეთ... ხმა კიქონია კაი და, ეგებ, თლათაც არჩანა ნამეტნივ ცუდი სქესი... განსაკუთრებით ბნელში,

...ანდა, ქუჩაში, განსაკუთრებით გადასარჩენები ის-ჩვენ, რომლებიც, სხვას რომ არ აქვს და ამას კიდე - აქვს, ის თუ გინახავთ დაატარებენ როგორც, გამორჩეულ ტანსაცმელს, ან მანქანას და იმის საჭეს რარიგ ფუყედტევადი გამომეტყველებით უსხედან, და როგორ გვიყურებს, დაგვცქერს, დაგვჩერებია მაინც ზესთამბრძოლი ის, ჩვენი, დიდსულოვნებით, როგორ გვკადრულობ მაინც, თავად

„სიტყვისა ღვთისა პალატო ნათელო“,

„წმიდათა წმიდაზე აღმატებულო“,

„მშობელო ღვთაებრივისა კრავისაო“,

„აღმომაცენებელო ცხოვრებისა პურისაო“,

„გიხაროდენ, ოქროვანო ჭურჭელო ღვთაებრივისა მანანასაო“;

„გიხაროდენ, მზრდელო გამომზრდელისა სოფლისაო“,

„გიხაროდენ, რამეთუ შენით ვსასოებთ გამოხსნასა“ და

ვინდა მერე ეს, - ჩვეულირსები, მ ი ს ი რამოდენახნით მიმვიწყებლები, და ახლაც, სხვას რომ შიან და, ამ მართლაც ძლიერ აშკარად წარმვალ-განმისამავალ გემრიელობების არამცთუ უდარდელად, ამაყადაც კი, ნთქმა, და „უფროჲსი ამისსა (იოვანე 15, 13) სიყუარული არავის აქუს, რაჲთა სული თვისი დადვას მეგობართა თვისთათვის“ - კი, როგორ არა, მეტი საქმე არ აქვს ჯერ ეს ერთი და, მეორეც, სულაც სადა აქვს აბა, სული, და, როგორ ფუჭად, ჩვედაცემულთათვის „ამას გამცნებ თქუენ, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას“ ვა?, რა სიყვარული, რისსიყვარული, ძალაა, კაცო!?, და მთლად არამცთუ სინიდისის ქენჯნა, არამედ განუყოფლობითი უდარდელობა, ეს ჯერჯერობით და მხოლოდღა აქა, ქუეყანაზე არა, მიწაზე, მაგრამ თუნდ ზედაპირულადაც, მაინც გვაქვს რაღაც კიდევ ერთი, დამატებითი, რამ,

- ბიძიკო-მიშიკო-ბიჭიკო, გადაირევი რო იცოდე რა ამალა ყავთ ცულ-ხერხიანი ძველიყოფილი ურონამგალივით, ის მერე რა რომ თითონ არა აქვთ გარჭობილი ნაჯახი წელში, ქე გაგვიჩეხეს ეს საქართველო გინდ უნაჯახოდ, დოუსწრებელი ნაჯახ-იანების ალამდარებია, ხოლო რაც იმათ დამშვენდებოდათ ცულის ზნაჩოკი?,

ბავშვები, ვირთხებიან ნაგავში მოთამაშეები, ივლის-აგვისტოში, როგორ ცოტასღა შეგვიძლია ბავშვების სუფთა, ჩაუმყაყებელ ჰაერზე გაყვანა, და ამას რაღა ალაქლაქებს:

- და კირომ იძახდენ ვარდი-კოზე, ადრე ხოიყო ალკიბიადე და საშურა მაკედონელი ფილიპესი ძე, და მერე ხოკი წამევიდა და იყო აბა არ იყო ფრიდრიხ მეორე, ფრიდრიხ პირველი-ბარბაროსას ნაღდი შვილიშვილი და მეომარი უებრო და გადასარევი ისე რო ჯგროჯართცმკვლელი თლათ და ჰოენშტაუფენადაც წოდებული,

„ვა?“, გეიფიქრა მიშომ,

- აგერ თუ გინდა ჩვენიც გინდ თავიდანვე, პაწიე გორგასალი და იქითკიდე ნაპალეონი ოღონდ ნამცხვარი კი არა ნამცხვარს რა უჭირს და გამორჩეული სხვებიც ატაკის ხალხი ერთი-ორი კიდო, მარა, ესვარდიკო რო ჩამევიყვანეთ, რას გაგვიდინდა ჟრიამული? ყველაზე უფრო მჯობნიაო და ცაში უმაგისოთ რეაქტიული ვერ გადიფრენს და ქვემოთკიდე ვერ გავარდება ჰაუბიციო, და შარვლის პისტონჩიკ-ჯიბე რო შარვლის პისტონჩიკ-ჯიბეა, იმაშიც უდენა ისეთი რუკები და ნახაზები დატუშულები ისეთად რო მტერს თავზარს დასცემს დღეღამის როცაგინდა იმ ნიმუტში ოღონდ თუკიღ მეინდომაო, და რო ვადიდეთ აგი ეს ჩვენი ნეოფრიდრიხელი ისე ძაან რო, დირიჟაბლებამდე თლათ,

- კაცო, შენ მაინც როგორ დაისწავლე ამდენი სახელი...

- რომელი, დირიჟაბლი?

- თუნდაც...

- შენ მაცალე და ყველაფერს გეტყვი, ოღონდ ჯერ კარგად დამიგდე სმენის ორგანო... რას ვამბობდი...,

„გიხაროდენ, უდებთა (მცონარეთა) სიყვარულით მამხილებელო“,

„მხილველნი აღურაცხელისა შენისა მოწყალებისა, ღვთისმშობელო დედოფალო, და მრავალთა საკვირველებათა შენთა“.....,

„გიხაროდენ მეუდაბნოეთა განცხრომაო“,

- რას ვამბობდი, ვა?... ჰო, ტრუბაში რო გევიძახოდით მაგსახეობა ვარდიც,კოზე რომე მაგი რაგატკითაც - შურდულს ნარქმევა ასე ძველქართულათ, მიშო, მაგი ჩუბინი ლაგატკითაც კი-ჩამოაგდებს ოღონდ პატარა დამიზნებით და არა უკუ რომელიცგინდა შორეული ციდან სულ რწყვილა-წყვილა რეაქტივნებს და თანაც მოძრავს-ბრრრღღღღყუ და მიწაზე ხო არ გოუვა რაგინდარანაირ ტანკს პარპაში და დედიმისის შვილია და რომელიცგინდა როგორიცგინდა იი ქვემეხმა სადმე ტოჩკაში დეიქუხოსო თლათწასულია იმაქვემეხის ცეცხლჭურვებიანი საქმეო და ასე ვამბობდით კი არა და, გევიძახოდით და ვსჭექავდით ქვემეხისავით თლათ და ხო იყო ყველაფერი ეს კარგი ფრიადიც პლუსით და ძლივს არ დავაფასეთ ამქართველებმა ზემლიაკური ერთმანეთი ის მერე რა რომ იგივვარდიკო ხუცურს მაინცდამაინც ზედმიწევნით ვერ ფლობდაო მაგრამ დოვუყარევით ალბათ ეს ჭორი იმავენავე ქართველობით ჩვენა, ჩვენე, ჩვენ, ჩუენ, ჩვენით,

„ვა?!“..,

- და რა მომხდარა მერე, პირდაპირ გადასარევი, კაცოო-უ, სწორედაც მაგი მეტად მძვინვარე ის მერე რა რომ ნაზვარდიკოი, გამონავალა თურმე გარეთ და კარში რუკებიანი კედლებიანი შტაბსკვარტირიდან თან ზადნიმ ხოდომ მანევრირულათ ე სწორეთ მაშინ კარგა ჩვენებურათ რომე შეღამდებოდა დამბნელებლურათ ძალიანაცაც თურმე და ღამის უჩენიებს კიარ ატარებდა თურმე, არა, არამედ თურმე ნეოალკიბიადესთანა ვაშკაცი ეს გადაჯდებოდა ამხედრებულად თურმე რაცხა თლათ უბრალო რადგან უცოცხო კუდიანივით თვითმფრინავზე თურმე იმ ბნელში თურმე სტრატეგიჩესკი მუნ, და იმ უცოცხოობის მაგიორში თურმე ჩვენი ძვირფასად დემოსკრატიული რესპუბლიკისა თავკაცებების სამალიოტებს თურმე ჯანსაღ მატორში ქვაკენჭ უყრიდაო, თურმე (ამდენი თურმეობითი აღარ გაგვიგია, ხოლო სწორუპოვარ სპეციალისტებს თუ დავუჯერებთ თურმეობითი მარტო ორია კარგი თურმე), აბა?.. ესაა საქმე? ან რას მოგვყავდა და ჩამევიყვანეთ ტყვილუბრალოთე, ამას არჯობდა გადაგვეკეთებია ვარდიკოსახელი სახელათროზათ ან, უკეთესი და თლათშესაფერი - როზაჩკათი და ანდა დაგვეტიებია თავის ადგილას იქ, ფეხის, მარა რაღაი ჩამევიყვანეთ, ვერ შევიშვენეთ თუ მართლა იყო კატასტროფობისათვის ქვაჩამგდებია, ამომრჩეველისავით, სულ ვერ გავიგე მე ის, ან ჩამოყვანა რა იყო იმისი, პარაშუტიანა და არა ცოცხი, ანდ რეიზა გავაგდევით ისერო ტანკს და ოხრობას და მამაძაღლობას ვიღანა ჩივის არამედ სულაც უველისაპედიანაც... ტიალოო, დაარიალაოო-ოო, რომელიღაცა მთიანეთიდან ყოფილა ის მერე რა რომ უანკეტოთ, მარა ზოგისი გენი გენია თუ არა და ის..., რაისი ის... და გამომდინარე აქედან, ტყუილათ ვბუთქეთ იქიდანაც და

აქიდანავეც და ალბათ აგრეთვე ნეტაი თუც უადიუტანტოთ აგრეთვე ტყუილუბრალოსი, ალბათ... კაცო, ერთი ვერ გამიგია! ბიჭო, თუ ყრიდა მკვრივ ქანს შორსმჭვრეტელობით კანონიერიც თუ უკანონოც ხელიხელმძღვანელობის მეტი რა ვუთხრა მაგათ მატორებში, მაშინ, მიშიკო, დევიჭირევით ზოგუპატრონო წარმოჩინებულსავით რატომი არ, ეგება მართლა იყო ასთეთიც მეკენჭქვე თანაც ხო გაგვიგია აბაო, ვარდი, უეკლოთოო, უშავქვებოთო, გაუგიავო ვის, და, ხოა შეცთომა ამ ორიდან გინდაც ერთ-ერთში თურმეობითებივით, არაა ასე? და არ გიკვირს შენ ეს, მიშო?

- მე ეგ არ მიკვირს, - გაიმართა წელში მიხეილ, ბოლომდე მაინც ვერმოდრეკილი, - მე უფრო ის მიკვირს და თანაც ძალიან, ეს ასეამდენი არაკახურიც სახელი დაგამახსოვრებინა რამ, წარსულში როგორ გულმავიწყო შენ...

„გიხაროდენ, შიშველთა სამოსელო“,

„გიხაროდენ, მწუხარეთა სიხარულო“,

„გიხაროდენ, ცხოვრების ღელვათაგან დამაშვრალთა მშვიდო თავშესაფარო“,

- როდის ვიყავი გულმავიწყი...

- როდის და, ვირჯინია და ტერენტი როგერეოდა ერთმანეთსში!

- ტყუილია მაგ... სახელების და გვარწოდებების დამახსოვრებას რა უნდა, ბიჭო, აბდალი კი არ ვარ.

- ალბათ იმდენი იზეპირე...

- რა...

- ახლა რაცკი შენ ჩამოთვალე, ის. ვარდიკოებისასი, ის...

- საქმე არ მქონდა მეტი, კი.

- დაგიჯერე, კი.

- თუ არ გჯერა და, ახლების მკითხე.

- რა...

- გვარ-სახელები, რა.

- კაი. - დაჯდა მიშო; ისე ღელამდაა... გამომცდელივით? არა, გამომცდელები როდი ღელამენ, არამედ ბილბაო სულაც არ ღელავდა, მოკლეთ ორივე პირიქით იყო, ხოლო იმათზე დამჯდარმა (სკამზე და იმით - თურმეობითივით ორპირიანი ზმნა) მიშომ იეფ სიგარეტს მოუკიდა რა და ნავთი და ცეცხლი, - კრუპსკაიას რა ერქვა აბა გამოსაცდელად აბა თუ იცი?

- ჩვენსას?

- არა, ცხენისას! -

(ატ სლოვა „კრუპ“ - გავა; ოღონდ ცხენისაც)

- როგორ არ ვიცი, რას უწოდებდნენ და, ნადეჟდა ერქვა (ატ სლოვა „იმედი“), სიაფანდზე, და, კანსტანტინოვნაც ედმუნდოვიჩივით ზედ,

„ვა?“, გაიკვირვ-გაიფიქრა კვირვის მიშომ, ისე კი სამშაბათი იყო, - და, ორჯონიკიძეს?

- სერგიას ეძახდენ შინაურობაში და სერგოსაკი შედარებით ახლობელ ხალხში ხალხნი მაგინი არ ყოფილიყვნენ და ხოლო მეტრიკითკი, იყო გრრიგოლ.

„ვე?“, - გაიფიქრა კვლავაც ცვიფრვის მიშიკომ, - და კაგანოვიჩს?

- მაგ კაგანოვიჩს ლაზარე ერქვა მაისეევიჩი, კაგანოვიჩებს მასწავლი შენ? - მსწრაფლ უპასუხა მეხსიერებით თურმე როგორტევადმა ბილბაომ, და მაგრამ ახლა მაინც იმისიც ცბუნების ჟამიც დადგა, - მარა შენ რავა სულ-სუ გოთურნებს მეკითხები, მიშო, გადასარევი პირდაპირ...

- კაი. კარგები გინდა!!?

- კიე. მომასმენიე შენიც კარგი... თლათ ფრანგებიდანაც გინდაც როიყვენ. მიდი.

- კაი... ფლობერს რა ერქვა!

- რას უყვირი რო უყვირი ფლობერს შენ, მიხავ, რა დაგიშავა, რა ერქვა წყნარად და პატიოსნათ და, გიუსტავი. მარა რასულ ადვილებს მეკითხები შენ - ცუდებშიაც და შენ-კარქებშიაც კი, მე შენ, მიშო,

ეს იყო, ბოთე? გინდაც ყოფილი? უღირსი არა ვყოფილიყო თუარ მიკვირდეს,

- ალბათ ბოვშობის მეგობარი როხარ, მიშიკო, მზოგავ იმიტომ.

- რაო?

- მიტომ. არ გინდა ჩამჭრა, მინდოფ ხო, მიშო... მიშიკო, მიხა. მიხაკო, მიშკა,

- მიხეილ სერვანტესს რა ერქვა აბა!

- გადაუყვირდი იმასაც, მიხავ? ცოტა ჩუმათე ილაპარაკე... მოიმწვანილე ფრანგები და, იქით გაჰყვირი სამეზობლოში თლათესპანეთში გადასული?.. სსუ.

- კაარგი!! და... ცნობილ სერვანტესს რა ერქვა აბა!!

- იმისი სრული გვარ-სახელი გაინტერესებს, გიხვაშიადებს გულს? და გეცნობისწადილება, მიხავ?

- არ გვაწყენდა, კი. - „არ იცის ალბათ და, დრო გაჰყავს, ოხერს“, მაგრამ:

- რომელ სერვანტესს ერქვა რა და რა, ჩემსას? გადაირიე ბიჭო, ასეთახლობელზე რო მეკითხები? - „ბილბაო“თი თუ იჩემებდა, და მერედა ვის ჩემულობდა, კი, - მიგელ სერვანტეს პლუს დე საავედრა ნარქმევარა დღეიდან შენთვის, ნაღდი გვარ-სახელი და მეტრიკულობა, და რაღაი მაინცდამაინც შენი სეხნიათი შენც დაცქვიტე და მეც დამაცქვეტიე ყური, არც იმის ცოდნა გაწყენს რომე მონათლულია ცხრა ოქტომბერს... ჩაინიშნევი... პატარა ქალაქ, ვენაცვალე პატარა ქალაქებს, ალკალა-დე-ენარესში... თვითონაც ღარიბი იდალგოს ოჯახში... ცალხელით ხეიბარი იყო... მეორეთი მწერალიც იყო. კი.

- შენ შენი თავი ეიგდე მასხრათ! - სთქო ბრაზის მიშომ, და, იქვე ფიქრვდა, - კი მაგრამ, რაფრა დაიმახსოვრე...

- რაფრა კი არა, როგორ. შენც ქეგაქ მიშო ზოგი ხარვეზი.

- როგორ და ეგზომ დეიმახსოვრე!

- მუღამი უნდა მიშო ყოვლისფერს, ცისარტყელასავით იყოს გინდაც... და, დაბადების წელიც ხვარ გინდა?

- არა?!!. შენსავით კიარ დავწვრილმანდები...

- კაიბატონო... იმსხვილე აწი ამიერიდან.... და ის მაინც გითხარი და მოვასწარი ესპანეთის რომელსშიც მიკრორაიონ-ადგილსში დეიბადა, და...

გააწყვეტიეს:

- კაცო, აქამდე რატო ურევდი?

„ახალი აგებული გვეჩუენა“,

„გიხაროდენ, ნათესავისა კაცთასა განმაცვიფრებელო“,

„რიტორთა მრავალ-ხმათა, ვითარცა თევზთა უხმოთა“.....,

„გიხაროდენ, უაღრესო საკვირველებაო ყოვლისა სოფლისაო“,

- რასა ვშვრებოდი?

- რატო ურევდი?-მეთქი...

- რას...

- რასა და, რისთვის და ურევდი-მეთქი რატო!

- რატო კი არა, არამედ - რატომ. და, რეიზა რას ავურ-ვურევდი, მენე?

- სახელებს. ნებისმიერულებს. კი.

- გითხრა? კი?

- კი!

- და ხომ არავის ეტყვი?

- ვის უნდა ვუთხრა...

- რა ვიცი, ქვეყნად იმდენი უღირსია და,

და აქ კი ბილბაომ ცოტათი დაიმორცხვა...

უნამუსოები, საყმაწვილო ჟურნალ „დილა“ს ვეღარ აბეჭდინებდნენ მთელ სამ წელიწადს ისედაც ხომ როგორი გაჭირვებული და ამათი მეოხებით გონებისა და სულით გასაღატაკებელი ბავშვებისათვის, ფულნაშოვნები ეს, თავიანთთვის კი, წინასაარჩევნო კამპანიებში ვითომც კოლეგიალურ ამერიკლების წამხედურობით პლაკატ-აფიშებს აბეჭდინებდნენ გამოსამზეურებლად (ხანდახან მზეც კი საჭირო იყო) იმდენს რომ და, ჰაი რომ მთლადაც ნიუ-იორკს ზედაც ლოს-ანჟელოს-ჩიკაგოიანა აი თვით იმის ქაღალდადაც კი მთელსაც ორკვირას ნამდვილად ეყოფოდა, მთელი ქალაქი იმათი ფიზიონომიების ერთგვაროვნულად ჭრელ-ჭრელ იყო, და აბა რაშიღ ენაღვლებოდათ მოკენედეებს და მენიქსონეთ და საიდეალოდ მებუშეებს ქართული „დილა“, არამედ ავტობუშ რა იყო ავტობავშვ-ანუშვილებისათვის გინდაც და თუნდაც ჯერაც ვერმცოდნია ანგლისკანურის ენის, მთლად საშუაღამურ ამერიკულებწიგნებ წინასწარულად უძენდნენ გამართლებული ფხაიანები თვით გადაკარგულ მოსკოვშიაც (ქალაქია, კი) კი, გრძელნაცნობობით, კი, რომელი წიგნებიც სულ რაღაცა ათიოდ წელიწადში, პორნოგრაფიული ეძახეთ შენ და ხომ გამოადგებოდათ სვეტსკად აღსაზრდელ მათ შთა-მომავლებს თავმოსაწონრად და გასაპრანჭათ, და თუ სურათებიც იყო იმ წიგნებში-შით შიშველ მდედრ-ხვადთა განსაკუთრებით თვალშისაცემი საქმიანობისას კვლავაც დავსძენთ რომ უსირცხვილოდ გაფუჭებული ეძახეთ შენ და კაიკიიყო, ბიბლიოთეკით, არხეინს იყვნენ... კაიკიიყო... - რას ვამბობ, დიდუ?!,

რა იყო კაი, რომ:

„როგორ შეიძლება მშვიდად ეძინოს იმ ადამიანს, ვინც თავის სამშობლოზე უკეთ ცხოვრობს“, -

ერთგან, კარგ ოჯახში, გაგონილი, ეს...

მაგრამ მშვიდად მაინც ვერ იძინებდნენ - ხვრინავდნენ ისე? - მთლადაც ვარდიკოს ტანკი და დარდუბალა, განსაკუთრებით ღორის ჯიგარმა იცის გულზედ დაწოლა, და, აკი

„ძილი - ძილი არს აღორთქლებაჲ სტომაქისაჲ რა აღვალს ტვინად, შევალს ძარღუთა საგრძნობელთასა და დახშავს ორღანოთა: თვალთა, ყურთა და ენათასა, ხოლო სხეული თვინიერ (გარდა; გარეშე) ამათსა უქმ იქმნების (შეიქმნება) და მდებარე“,

და, ემ ქართველებიდან, რაცოტასღა გვახსოვს სახარებისეული ის თავიდათავი მოწოდება, რომ:

„მღვიძარენი იყავით“,

და მაგრამ ძირითადად ხომ, ახლა, ასე გახლავთ, კი: თვალები - დამუწული, ყურები - დახშული, ფეხებითა და გონებით წანწალ-ტანტალი-აბურდული, მხოლოდღა ენა, განავარდებული მაგრამ ნავარდი ეს არ იყოს, არამედ - მრუშობა, სიტყვით; უდიადესი, ქრისტესწინარე განსაკუთრებული ცოდვა,

ვიღუპებით, ხომ? ასეთურ ძილად მიგდებულები, გამაძღარები და, კუჭამომწვარნი, გუდამშიერები ანდ;

მაგრამ ერთი რამც, ერთ-რამ-რამცა ამჩვე ქართველებს, მაინცა გვააქ,

- რა და, ოღონდ მიხეილ არ გამიჯავრდე კარგი? და ფენიქსისებრ გამოგიტყდები, რომ, რომ მშვენიერი კარგად გატყობდი როგორ მოამაყოდაც ჩაგეცინებოდა ხოლმე ჩემ ბატიფეხურა აზროვნებაზე და ამიტომაც, ამ გაჭირვებისას, რაღაცა შვებისადამაგვარს გინდ ასე-ამგვარს ასე-ამგვარად მაინც ამიტომ გაწვდიდი, რას ვიზამთ, ადამიანი ხარ აგრეთვე შენც და ანუ სუსტი და გსიამოვნებდა უპირატესობა, ხომ მკარნახობდი სწორა-სახელებს და მეც რა მენაღვლებოდა-რა... ახლა კი, მიგუელ-ჩემო, მიშო, საავედრავ და შესავედრებელო, რაღაი მაინც მოიწყინე, უნდა აღგანთო, მაგალითს გაძლევ მე, თუნდაც არატიპიური სახელით მაგრამ მაინც ერთგვარ ერთპირულად ქართველურობის წარმომადგენელი, შემომხედე მე!..,

მაგრამ თავჩაღუნული იჯდა მიხეილ, მიშო, დაშამათებული, რა გაიგონა ეს, და რა გაიგოც მიშომა და, აკი ვამბობდი, რომ ჩვენ, ქართველებს, ერთი ისაცა გვააქ, რო, კარგადაც ხშირადაც, ეშხივ მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ე ბ ი ვაართა,

კი, კიე, კიუ...მაშ!,

და სწორედ ამ მოულოდნელობანამ, რადგან, თუმც „ახალი აგებული გვეჩვენა“, არა, - ჩვენია, ძველი, ძველთაძველი და ინებოს ეგებ ყოვლად მოულოდნელობამ და, და ერთიც ისეთი შევჯანჯღარდეთ ჩვენა-ყოველი გინდაც ახლავ და ისე კი ჩვენ-ჩვენს დროზე ხომ - ნაღდად - და ისე მძლავრად რომ ეგება ვინძლო და მართლაც გარდავიქმნათ კი არა და, არა, არა, რაღა გარდაქმნა ჩვენებურებს გვინდა არამედ ეგებ დავიბრუნოთ სწორაქართულა ცხოვრების წესი, და რომ ამადღევანდელურ ცხოვრებას თუმც ცხოვრებაკიარასახადიაესთუნდაცძალიანწაწელილი მაგრამ ეგებ როგორმე გავექცეთ დამდუღრულივით კიარა და, მაღლის მიხვედრით დამდუღრულები ოღონდ მალამოდ და გინდახალივით აღმოჩენილ, ცანგალება და დიპლიპიტოებიან საქართველოში ამოვყოთ თავი სადაც რომ ისევ როოგორ მღერიან, ხვდებით ხომ, ალბათ, ვისიც წყალობით და, აბატონო, ამაზე სულაც არა გვჭირია მიხედ-მოხედვა დიდი და ფრიად, და, მართლაც ცვიფრვამდე ეჭვი თუ გინდათ, ძმუო (ძმებოო ანუ, - რადგან ავტორი ღელავს, ავტ.), ეგება იმით ვიკეთოთ გული რომ ეგება ვითომც სულაც მოხერხებულად მხოლოდ ვთამაშობთყე ემ ჩარჩობანას, აგერ არა გვყავს სამაგალითოდ ეს თვალთმაქცურად მომსახიობო ბილბაო-არქაული? - მოულოდნელი ხომკი ანუ, მაგრამ დიდადთცა სამწუხაროდ, აემ ჩარჩობის თამაშობისა ჩვენ არ გვჯეროდეს...მეტი არაა... არამედ ასე მიშვებული უგუნურ თავისა აესე ავტომოჭრა რაცგინდა ცქვიტად, ხომ, ვერ, ვარგია, და ამის

მხედველთ მაინც აეს დუნეური და სადუნეურო, მოკლედ, მთლად დუნე „მეტი არაა ჩემი მტერი“ კი არა, არრა, არამედ - ისემც! და ეგებ, ვინძლო გადავსხვაფერდეთ, თუმც არა, არა, გადმოვსხვაფერდეთ სიძველისაკენ, თუმცა წარსულისაკენ მაგრამ არაგანზეჩასავლელისათვის იმ, თუნდაც ამ დღემდე რომ გვატარა და მოგვიყვანა და მეტიც, მოგვიტანა, გვზიდა და ესაც კი არა, რომ - მოგვათრია ჩვე-ეს ურჩები ამისთანა, თავკერძები, მაინც ვუყვარვართ, რატომ, რისთვის და, მოწყალეა, როგორი ნატიფი, სათნო, ღარიბი და ყოვლისმფლობელი, გულვრცელი? -არა, მთლადაც გული და გონება და, გულჩვილობით მკაცრიც როგორ, უსათნოესი, უსათნოესები, დედა-შვილი, ეს,

„გიხაროდენ, ამაღლებაო ადამის მოდგმისაო“,

„გიხაროდენ, ჩაგრულთა მოსარჩლეო“,

„გიხაროდენ, ურვეულთა ნუგეშინის მცემელო“,

„გიხაროდენ, სნეულთა მკურნალო“,

როგორ ბრმებსაც კი, ინებებენ და, აღგვიხელენ თვალს, თან, სახისასაც და გულისა და გონებისაც,

„გიხაროდენ, რამეთუ შენით ვსასოებთ გამოხსნასა“,

და, ღვთის წყალობით თუნდაც საპურყველო ქართულს ხომ მაინც ისევ ვლაპარაკობთ და, იმავ ქართულით - ვფიქრობთ კიდეც, თუმც გააჩნია, რას, და მაინც, როგორ შევძელით ბერძნებისა და არაბების, მონღოლების, სპარსელების, თურქებისა, და ეგრეთწოდებული უკანასკნელჟამინდელ ინტერნაციონალისტების ხელში გინდაც ახალი ქართულის შენარჩუნება, და გინდაც კი არა, ჩვენთვის ბოძებული როგორი ხერხემლის, სამთაგან ერთიც უდიადესი სიწმიდის, ენის შენარჩუნება და, - როგორ? ღვთისმშობლით, მისით ბოძებული როგორმაღალი წყალობებიდან - ენა, მამული, სარწმუნოება ეს ერთი მაინც ხომ შეგვინარჩუნდა საყოველთაოდ და, მაგრამ, - სადაა ნამუსი! - ამავე ენით დღეს თვალში გვჩრიან და ეკლად გვატაკებენ ყოველ ნაბიჯზე: „გადმოვიღოთ ამერიკული ცხოვრების წესი!“, რაწესია ეს, რომელი წესი, და განა ნაღდად არა სჯობს ამას, რამდენადა სჯობს რომ, დავიბრუნოთ, - ხოლო ამისათვის კი ჯერ უნდა შეგვხსენდეს ჩვენებური, გინდაცრო ქვემო ოფშკვითური თუ გინაცრო ზემო მაჩხაანის მაჩხაანურად ცხოვრების წესი ოღონდ ამ ახლა-დღევანდელურად მოწამლული და გაყალბებული და რამდენ მერყევთა ხრამებისაკენ მბიძგები და გულით უღრუბლოთა კი მიმასავათებელი კი არა და, გინდაც იმდენად ძველთაძველი რომ, შეურყვნელი, ისე, რომ, თუნდაც უცხო და უხილავი და მაინც, როგორღაც მაინც საგრძნობი, წარღვნამდელიც კი, ოღონდ ნოესი ცხოვრების წესი და არა მისი ირგვლივითებისა, მაგრამ, ეგებ ვთვალთმაქცობთ ბილბაოსეეფ-ასეც თუ ვიქცევით, - ნეტამც, მაგრამ ა?, არა, და მაინც, ეგებ, ეგების მართლა გამოვსწორდეთ, რადგან, წყალობად, და ვისის მერე, კარგამოულოდნეეელეები, ვაართა,

- და, გეგონა ხომ, ალბათ შიმშილმა დარია უკოვზ-უპროდუქტო ხელი და გამოაჩურჩუტაო, არა? არა ჩემო მიშო, რა გაგვაჩნია მარხვის ფასი... იძულებითისაც კი,

და გულს ნუ გავიტეხთ ამ ირგვლივითურა ესამოდენა განზრახვაულიცა და განაფიქრულიც კი სიძვებითა და, რაც ყველაფერზე უარესია, აკი, სიტყვებით მრუშობით, და მუდამ გვახსოვდეს უნდა ძალიან რომ, რომ ჯერ არ ყოფილა ქვეყნად მივიწყებულიც-გინდა სიტყვა რომ ქრისტესი არ იყოს, და ჰოსა და არას ასე განვრცობით დარღვევას კიდევ რა უშავს, გააჩნია თუ, ვისკენ და რისაკენ მიილტვი, ვისთვის და რისთვის იტკიებ გულს, ხოლო ესაა რამდენად მეტად თავში საცემი რას გვიქვია - მთლადაც გამსრესი - სიტყვით მრუშობა, და ის მაინც კიდევ კარგი რომ ასე ვაიდ-გამორჩეულებს თავიანთურებ ჯგრო-დაჯგუფებებისაგან როგორც იქნა და მოსწყინდათ ძლიერ საქართველოზე გამხდარ თუ ძირითადად მსუყე მკერდზე მუშტის ბრაგუნი და საქართველოს, ეს კიდევ კარგი რომ, აღარ ახსენებენ, საქართველოი კი არა და, ამერიკაც კი შენაძლება მოგწყინდეს კაცს დოლარები თუ გამოგელია, და ახლა ყოვლად უსაქართველოოდ გაიძახიან რომ იმათი პარტია ყველა სხვა პარტიას ჯობია რადგან ისინი ამასთანავე შევიდნენ კიდევ მეორე სხვა პარტიასთან ალიაბალია რა იყო არამედ ალიანსში, და თუმც ჩათრევა იცის როგორ, ამგვარმა თავიდათავმა ვაიდ-მრუშობამ, მაგრამ, მოულოდნელები ეგებ იმიტომაც ვაართ რომ, დაგვჭვივის უფალი, იესუ ქრისტე, იმისი ორთავ აურაცხელად მრავალი როგორ და უშრეტი თვალი, ვისი გამოულეველი თუნდაც ერთ-ერთი მოწყალებაც - რაღა გვწადია ასამაღლებლად სხვა, სხვა რა ებოძა ჩვენთვის მეტი, - სამების წიგნით გვეწყალობა რომ, როგორი საღი იმედი იმისა რომ, სასუფეველისაკენ თვით, თავად ანგელოსების სავანესკენ თვით წარგვიძღვებიან ერთ დროს თვით როგორი დაცემულები, მეზვერეები და მეძავები, -

„ჰრქუა მათ იესუ: ამენ გეტყვი თქუენ, რამეთუ მეზუერენი და მეძავები წინა-გიძღოდიან თქუენ (თქვენზე წინ შევლენ; თქვენს წინ მიდიან) სასუფეველსა ღმრთისასა“,

და თუ ძნელად გჯერათ ეს, აგერ ბატონო, სამაგალითოდ, თვით მატთეოსი, მათე, როგორის ყალმით თვით რისა აღმწერი, - ღვთისეულის და, ღვთის; ღვთით; და შემდგომი მარიამ, ერთიც საუფალო დედა-კაცი, მაგდალენელი, ვის დიად ნათქვამსაც, როგორის ვრცელის სასოებით ერთმანეთს ჩვენ რომ სწორედაც მისი სიტყვებით ვულოცავთ, კი, ჰო, უდიადესი დღე-სასწაულით ამაღლებული ხალხიც, ხალხთაგან როგორი ზესვლითი ნაწილაკობა, წმიდისა სულით გამორჩეულად თვალახელილი ქრისტეანობა, ასე ვულოცევდ ერთიმეორეს, რომ, რომ

„ქრისტე აღდგა“, -

მისი სიტყვები, სწორედ რომ მისი სიტყვებია ეს, რადგან,

ეს მას ეჩვენა, ერთ მაგდალენელს, შემთხვევით-არა, არამედისინ - ღვთით, მთლად სუპირველად იმას ებოძა ხილვა გამოღიავებულისა საფლავის, იესუსი, და, ქრისტედ აღმდგარი, სწორედ იმას ეჩვენა სუპირველადვე, განსაკუთრებით იმას

ჰყვარობდა უფალი, ჩვენი, დედათავისივით მფლობელი, ყოვლისა, ქრისტე, და დედაგანმახორციელებელივითაც ღარიბი ისიც, იესუ, და მამაკაცთაგან კი, მთლად გამორჩეული იოვანესი და სიმონ-პეტრეს გარდა ეს ერთსაც მას-აც განსაკუთრებით ეწყალობა, ეს მან შემოსა ხომ შეშლილი, სიყვარულითვე როგორით როგორ იხსნა ძალიან ავად შლეგი ლეგეონიან-უწმიდურებით შეპყრობილი და მბრდღვინვიანი ადამ-იანი, მაინც, მაშინაც, და როგორ ნათლად გადააქცია იგი იმ-ად, რომ:

„და იჯდა იგი, შემოსილი და გონიერი“, -

რომელი იგი და, ეგება, თვით წმიდა მარკოზ, ხოლო მეზუერეებსა და მეძავებს იმად ებოძათ თავიკაცობა, რომ,

ლუკა 7, 40 მოიძებნეთ, სადაც სხვადასხვა სიდიდის ვალთპატიებაზეა რუდუნება, ღვაწლი, და, როგორ მაღალმართლადაც, რომ 500 დრაჰკანიანი შეწყალებული მოვალე უფრო ხომ მადლობელი და მადიდებელი იქნება მევალისა ვიდრე 50-ს დრაჰკანიანი, მაგრამ თვით, თავად უნდა წაიკითხოთ ეს, და მე რომ გიყვებით ამ დიად სიტყვათ, მე რა, მე ვისი ასე მეტიჩარა და ტიკი-ტომარა ვარ, ..., მაგრამ, ეგება, ცოტათიც... ვარ...,

- რას ისურვებდით, ბილბაო? - იკითხა ერთხელაც მიშომ, იგი ანგარიშგამწევი და თანაც პატივისმცემლურადაც კი, გახდა ადრე თურმე რაოსტატურად შენიღბული ბილბაოსი, - რაღა არ ხდება, და თქვენკი, რას ისურვებდით?

- მე რაცკი მინდა? - იკითხა ბილბაომ, და ისე ძალიან ჩაფიქრდა, სახეზეც მოიწყინაც, ხოლო ეს გულიდან, ალბათ,

- კი. შენ...

- არავის ეტყვი? - ცოტათი გამხნევდა, კითხული.

- არა, ვის უნდა ვუთხრა,

და, აქ ბილბაომ გაუმეორა:

- რა ვიცი, ქვეყნად იმდენი უღირსია...

- თქვი. - უთხრა მიშომ, რაღაც უცნაურს უგრძნობდა გული, - რა გინდა მაინც, თანაც ძალიან, თქვი,

ბილბაომ კი, თქვა:

- მეც ძალიანი მწყურია არნოლდი.

...

- ვინაო, ბილ... ვინაა მაინც, ეს არნოლდი...

ყურთან მიუწვრილა ბაგეები ბავშვობისდროინდელივემ ამხანაგმა, და ჩასჩურჩულა:

- არნოლდი, მიშო, უღირსია, პირობითსიტყვით...

- ჰა.. ბილ.. და ეს უღირსი ვიღაა.. ბაო...

დაჩურჩულებდნენ...

- ერთი იმათიც ერთთაგანი...

- ვინ იმათგანი...

- უღირსებიდან...გან...

ჩურჩულ-ჩურჩულით, ისიტყვებოდნენ,

- ვინ უღირსებია, ბილ...ბაო...ვინ...

- უღირსებიდან ვარ, მეც.. ოღონდ მხოლოდ ერთ-ერთი იმათგანი... და ძალიანი მწყურია არნოლდი... მეორეც წიგნიანა...

და ეგებ ჩვენც, ეს...

მეორე წიგნიც? ვე?... და თუ ეს ერთი და პირველი ამისიგრძე, გვყოფნის კი, აღარ?

მოველით მაინც... მაგრამ დაგვცალდება კი?!...

და თუმცა უღირსი და არნოლდი გარეგნულად და ერთი და იმავეურად თითქოს სულაც არ ჟღერს, უღირსი ერთხელ წმიდა ნინოსი ნაკვალევით დამდგარ გზაზე მაშინ მამა დავითად წოდებულ ახლა კი მიტროპოლიტ მეუფე დანიელის მრევლთან ერთად მიდიოდა და, რომელიღაც სოფლად რომ შეჩერდნენ, მესხეთში, ეკლესიაიანში, დილის წირვისას ზიარების დრო რომ დადგა, ჯერ ჩამოჯდა და უყურა სხვების ზურგებს, ზურგზედაც კი როგორ ეტყობოდათ იმ დიად საიდუმლოსთან მიახლებით მოწიწება და წყნარი როგორღაც, სუნთქვაშეკრული აღტაცება, და, საზიარებლებისადმი როგორი მოშურნეობითაც კი, ოღონდ იმათი ამაღლებისადმი დიდად მოკრძალებულიც და რიდიანი, მათმა კრძალვით შემყურემ, უცებ იგრძნო რომ გორგალი კი არა მთლად რაღაც ზღარბი ამოაწვა და გაეჩხირა შემკრთალ ყელში რადგან ერთბაშად ძალიან შეძრწუნდა, ეს იმით, რომ, მისი შვილი ირაკლი ისე გარდაიცვალა და გადავიდა იმ მეტ-ქვეყანაში რომ ზიარების მიღება ვერ მოასწრო და ამ მამამისს ამიტომ ძალიან მჭახედ, იმავ ზღარბითვე ურიდი ჩხვლეტით ბევრგან ეტკინა გონება, ისე ძალიან რომ, ეკლესიაში ვეღარ დაედგომებოდა, იქ ვერ შეიძლებოდა გოდება გინდა თუ მოთქმა - ღვთის, მოწყალესი, უნდობლობითი მივიწყება იქნებოდა ეს, და ამიტომ ეკლესიიდან არეული ნაბიჯით გამოეხეტა, გზაარეულმა მიმოიხედა და სოფლის რაღაც დანჯღრეულივით შენობა, თურმე მაღაზია, შენიშნა და, შემოვლისას, უკანა კედელთან მიყრილ ხის ყუთებშუა ჩაჯდა, ბევრი ყუთი იყო, მიიახლოვა რამდენიმე და ერთი თავზე ჩამოიდო, ორიოდეც, გადაიფარა და, ყუთებშუა კი მაინც ძალიან ცხადლივ ჩანდა თუ როგორ ჩაუდიოდა თვალწინ რაღაცა არი მთავარი მდინარე არი საქართვლოსი, მტკვარი, და როგორი რბილი სიმოძრავით ბზინავდა მზეზე ის, და უღირსისაკენ ათინათობდა, უღირსს კი სილამაზეებისა დარდი არ ჰქონდა

ახლა, და, ასემარტომ რომ დაიგულა თავი, თავის ირაკლიზე ძალიან ატირდა, დარდითაც და შვებითაც; დარდით იმიტომ, უზიარებლად რომ გარდაეცვალა, შვებით კი იმიტომ, რომ, ტიროდა, და ტირილი კი, სულაც არ იყო უღირსისათვის რომ „ვაჟკაცს არ შეშვენის ცრემლი“ - ეს ლაჩარს არ შეშვენის ცრემლი თორემ რუსთაველმა, დარჩეს ჩვენში და იცოდა თავისი საქმე; უღირსი ძალიან ტიროდა და თანაც ბუნდოვნად გრძნობდა რომ იქითურა ირაკლისათვის ეს არ იყო კარგი, და ძალიან მონისლულად მაგრამ როგორღაც წინასწარ გრძნობდა სწორედ იმას, ამავე გზაზე ერთ-ერთ სულიერ თავკაცად დამდგარმა მღვდელმა მამა პავლემ, ახლა ჩვენმა ერთ-ერთმა მთავარეპისკოპოსმა მეუფე ნიკოლოზმა მეტეხის ეკლესიაში თუ როგორ რა უთხრა გარდაცვლილი ბავშვებისა და ახალგაზრდების ახლობლებს, რომლებიც ყოველ შაბათობით სიონში ხოლო დროგამოშვებით სხვადასხვა ეკლესიაში შავებითმოსილ მრევლად იკრიბებოდნენ, რომო, ჯერ უთხრა ასე რომ თურმე როგორ ვყვარებივართ შვილებით, და შვილებიანა, განგებას, რადგან ახლახომ აბა რომელნი ვიქნებოდით იმ-უიმათოდ ეკლესიაში, და, ანუ ასე უფრო ახლოს, ღმერთთან, და, შვილებისადმი მადლობა, სწორად და მართლად მადლიერება და ურიოშო ქედმოხრა იქნება მართებულად ის, რომ შეძლებისდაგვარად არ უნდა შევაწუხოთ მეტწილ, თუმც, რაღა თქმა უნდა როგორდა საღად და მართებულადვე და როგორ უზომოდ კაეშანიან-ვარამიანად ბუნებრივია მათზე გლოვა და მონატრება როგორი იმათი, შვილების, ვერასარიდი რაღა თქმა უნდა და ბუნებრივზე ბუნებრივად როგორი უმწვავესი, სუყველაფერზე ძალიან მეტად, ქვეყნად, - რეებს ხსნის, უღირსია თუ არნოლდია თუ სულაც ვიღაც ბილბაო, ეს, - მაგრამ ზედმეტად ხშირი სასოწარკვეთით მაინც არ უნდა შევაწუხოთ, რადგან, ასეთი შვილები, მოსიყვარულეები ჩვენი როგორ, - თავად თვით ღმერთთან, წმიდა სამებასთან ჩვენი მიმაახლოებელნი, ძალიან წუხან თურმე, რადგან, ისინი, თუნდ ახალგაზრდობით ჩვენზე რამდენად უცოდველები, რამდენად უკეთეს ქვეყნად არიან ვიდრე ეს-ჩვენია და კიდევ იქით-იმათზე, რამდენად მეტის წყალობებით გარემოსილთზე, კიდევ ჩვენ ვწუხვართ, გადაჭარბებით ასე? - ეხამუშებათ, ძალიან, ეს, როგორ ძალიან ერიდებათ, იმათ, ამისა, და თუმცა მაშინ წელიწადიც არ იყო ჯერაც გასული ეს უღირსი რომ შვილით დაობლდა, და ახლა, ამ ყუთებშუა, გრძნობდა როგორღაც, ამას, და მაინც ისე გულით რომ, გემრიელად როგორღაც, ტიროდა, მთავარ სატკივარს თავისას, მინებებული, მაგრამ უეცრად თავიდან ყუთი ახადეს... ცრემლები მჯიღით მოიწმინდა, თვალებში ამოისვა მჯიღი და გაკვირვებულმა და შემცბარმა აიხედა, ვის უნდა მოეგნო აქ, - მამა დავითი, იყო; დასცქეროდა; რაღა თქმა უნდა მაშინვე წამოდგა, მორჩილად დაჰყვა, ზოგ დიდთა-დიდთა ეკლესიებთან შედარებით თვალისთვის თითქოს მოცუცქნულ მაგრამ როგორც ყოველი მართლმადიდებლური, დიად ეკლესიაში, შეჰყვა, რომელიც, ახლასავით არამცთუ მოქმედი, დროის უკუღმართობითა მოუვლელობით ჩამოქცეულის, ნასაყდრალი, ლოდითაც, კი, რაოდენ რამეს იტევს, დაატარებს ასე მიწაზეც, ქუეყანაზე მიერთგული, აქა კი, მოქმედში, სანთლები ენთო, და საკმეველის შორი სურნელით, გჟღენთდა, მოხატულებდაც, მამა დანიელმა კვლავ დაიბრუნა ამ უღირსისა დადევნების გამო სხვა მღვდლისადმი დროებით გადაცემული იმდღევანდელი ღვთისმსახურება, და ღვთისმსახურება ისიც იყო ალბათ, ეკლესიადატოვებული უღირსის მობრუნება; ხოლო წირვა როცა დამთავრდა, იმავე სოფლის სკოლაში

სადაც წუხელ ღამე გაათიეს და ახლა კი სხვა სოფლისაკენ, წმიდა ნინოჩავლილისაკენ რომ უნდა გაეგრძელებინათ გზა, ჯერ მაინც ისევ გაბრუებული-ყოვლად უღირსი თავის რუკზაკში უყრიდა თავს რაღაც ჩუმ ნივთებს - პირსახოცი, კბილების (მაშინ ჰქონდა) ჯაგრისი, სავარცხელი (აგრეთვე თმაც ჰქონდა), ცხვირსახოცი (ცხვირი ახლაც აქვს) და სხვა, სკოლის ოთახში შემოვიდა მამა დავითი, მისი სულიერი მამა-მოძღვარი, მასწავლელი მისი, და მისმა უღირსმაც მაშინვე უამბო თუ რატომ მოიქცა ასე, რომ გული და გონება ეძრა იმითი რომ ირაკლის ზიარება არ მიუღია, ისე... რომელი სიტყვა... წავიდა? - არა... გარდა-იცვალა, ჰო;, უამბო ისიც, როგორ აშკარად იყო მიდრეკილი ირაკლი ეკლესიისადმი, - პირველკლასელები ჯერ კიდევ სტუდენტს რომ ჩააბარეს, როგორ დაჰყავდა კვირაობით ექსკურსიებზე საყდრიდან საყდარში, ეს ზედაპირული-ვითომც მოთვალიერებაც რამდენს ნიშნავდა ალბათ ბავშვებისათვის, ირაკლისათვისაც, მაგრამ უზიარებლობა... ხოლო მამა დავითმა, თავისა იმ თვალებიანმა, თავისხმიანმა, როგორ ნუგეშად, უთხრა, რომ, მისი ირაკლი მიდრეკილი თუ იყო ეკლესიისადმი, იქ, იმმაღალ ქვეყნადაც გაგრძელდებოდა ეს, და რომ იქაც მოხდება, ხდება ზიარება, „და ალბათ როგორი, ჰე“, გაიფიქრა უღირსმა, და მთელი გრძელი დღით შვებაზე, დადგა, მეორე დღემდე, როცა ისეთი უსიამო-რამ შეემთხვა გინდაც მოჩვენებითი მაგრამ ეს უკვე სხვა საგანია, II წიგნის მიერი, და ჰო, მართლა, მეორეც წიგნზე გახურებულად გაქანებული შუაწერისას უცებ თუ აიღო და გადაბრუნდა და მოკვტნა კიარა არამედ იმას ამას ვინ ეკითხება, თუ გარდაიცვალებოდა მოკლედ, ნურავის შებრალებოდა-უნდა იგი - „საცოდავიო“, - რადგან იქ, იმქვეყნად, თავისი უამრავი ცოდვისაგან როგორი ცეცხლით განსაწმედელს როგორც იქნება და, გაივლის ამას ბოლო-ბოლო და ეპატიოს ნეტავი, ეგებ, სუყველაფერი აქაურული, დიდუღირსული, და ხოლო მერე კი ეგებაც იქა დაამთავროს მეორე წიგნი, და მკითხველიცა და თანამდგომიც რამდენად მეტი ეყოლება იქ, მთავარია რომ, თავის ირაკლისთან, მოხვდეს, და, ამის პირველიდანვე გაფიქრება და, იქიდანვე მოყოლებული ცდილობდა ისე მოქცეულიყო რომ ირაკლისთან მოხვედრილიყო, იქ, მასზე რამდენად ნაკლებ-ცოდვილთან, და, ამისათვის დამატებითიც ცოდვებისაგან ხანდახან ძალიან და ხანდახან კი მხოლოდღა-ნაკლებად იკავებდა უგუნურსა და მივიწყებულ თავს, თუმც ძალიანაც ხშირად მთლადაც საერთოდ ვერ აღწევდა ამას, და მაინც, როგორღაც, ცოდვების ჭა-თი შედარებით ნაკლებად უღირსი გახდა და ეს როგორი აშკარა მაგალითი და დასტური იყო იმისა, რომ გარდაცვლილიც შვილი როგორ ბუნებრივად და ძნელსწორად შესაძლოა რომ გადაგექცეს ლბილ და უმკაცრეს აღმზრდელად და, ესე იგი, მამად, - საოცრება, ეს; თან ასე ძალიან საკვირველება როგორი და, თანაც - ასეთი მარტივი, შესაწვდენი, და როგორც მეუფე ნიკოლოზმა შემდგომ უთხრა რომ ეს სწორედ რომ შვილის წყალობით მიახლოვდა ესაუღირსი ეკლესიასთან, - იმ, ქრისტესა და მთლადაც წმიდა სამების არამცთუ სახლთან, სხეულთანაც, კი, და როგორი მადლით გრძნობდა ამას რადგან არამცთუ მოქმედი ეკლესიისაგან, თუნდაც როგორც აი ამ, ერთ-ერთის, მესხეთურისა, უღირსს წყალობად ჰქონდა და შეეძლო ისეც, რომ, თუკი ხელისგულსაც მიადებდა, და ხელისგულის მიუდებლადაც, თუმც შორეულად მაგრამ აშკარად ცხადლივ გრძნობდა იმ სიდიადეთ, თავადი-თ ნაშენ, ეკლესიისა, რომლის გინდაც რომელი ნამცეციც და - რომელი ევერესტი, და იმ ეკლესიების აურაცხელ და განმწმედელ

ქვათაც, მადლი, ემოსა ხანდისხანობით, და, ეს მერამდენედ, მაგრამ სამერამდენოდ ვიცოდეთ-უნდა თანაც მთლად კარგად რომ წმიდა სამების არამცთუ ყოვლისმომცველი, უკიდეგანო, სამყაროსი სრულიად სხეული, იქ მატრიალა აზრთა, სავანეა, ეს, ხოლო ის ლოდი, ნასაყდრალი, იმ ეკლესიის, - დაქცეულისა? - არა, მხოლოდღა ჩამოქცეულის, ხმასაცა და სულს, ურბილებდა ის ეკლესია, ობოლეთური, ობოლეთისა, ობლებისა-ჩვე, იმისა მადლი განსაკუთრებით, დაჰყვა, რადგან ობლობა მხოლოდ მშობლებით როდი ყოფილა, არაა, არა, არაა ასე ყოველთვის ეს, არამედ სუყველაფერზე უმწარესი-რამ ამ რომელიღ-აღარ მწუხარებით აღსავსე ქვეყნად - შვილით ობლობა, შეეყარა და, სჭირდა, და თუ დრო თითქმის ყოველთვის ყოველივესი მკურნალია, შვილით ობლობისა? - ძალიან არა, რადგან, როგორღაც დროთა დინებით-ს რომ იტყვიან, შეეგუები როგორღაც, მაინც, მშობლებისაც კი გარდაცვალებას თუნდაც იმ დამამშვიდებელივით გამონათქვამით რომ „რას იზამ, მშობლები მიდიან, შვილები რჩებიან, წესია“, თუნდაც ამით კი, გინდაც თუ ოდნავ, შეეთავსები, მაგრამ, უშვილოება, და მისით... რომელი სიტყვა... - უიმისობა, მონატრება ეს? - რაღაც ძალიან აღუწერელი დარღვევაა, ხომ, თითქოს, ჰო, კი,- არა? მაგრამ დრო მაინც ხომ მართლა არის, იქნებაც და მართლა გახდება ყოველივესი მკურნალი, რადგან, აი თუ გაძლებ ისე, რომ, ასე უღირსი ასეთი შვილის რომ მხოლოდ ცოტათიცღარომდა, ღირსი, და, წინაპართა ნაცვლად სწორედაც ის დაგხვდება პირველი, იქა, სამარადისოდ, თან, ამიტომ ისე უნდა მოიქცე ამ გრძელ წუთისოფლად მისი შვილობის ანუ მისით-მამობის ღირსი რომ გახდე და ვინ იცის, ეგებ, თუ არ დაგვცალდა აიაიაქ ატლანტიდასი მთლად გაცოცხლება-ვერა მაგრამ შეშმუშვნა-მაინც იმ ქალაქისა, რომლისა გამოც უღირსმა სულ სხვანაირად საჯაფაო ხელით აიღო კალამ-კალმისტარი და მაგრამ რას არ მიედო, რაღას არ მოედო და ატლანტიდას კი ვერა და ვერ და ვეღარ შებედა, მხოლოდ ერთგანღა აქვს ძლივს ნახსენები და ისიც თითქოს მხოლოდ გაკვრით მაგრამ როგორი იდუმალებით - ოკეანეთი!, - გადაფარული ატლანტიდა, საწარღვნო ქალაქი, უვრცელეს წყალთა ფარული ფსკერის დედაქალაქი, ახლაც ოღონდკი მიმალული და გატრუნული, ადუღებული ცხოვრების საორომტრიალო ერთხანს და, ახლა კი როგორ, ყუჩს, რომელიც ალბათ კი არა ალბათ ძალიან მართლა იყო რადგან დაწყებული იმით რომ რამდენი ხალხის თქმულებებსა თუ ლეგენდებშია, და ლეგენდა? - არა, სინამდვილე, ლეგენდები ხომ არ არსებობენ აიმ გაგებით ჩვენ რომ ვხმარობთ არამედ მითი და ლეგენდა მხოლოდღა ცხადლივ ნამდვილ ამბავთა შელამაზებებია ლეგენდები-ეს, თანაც ძალათი გაბუნდოვანებული - ვინც გამგებია, გაიგოს და ვინაც რომ მაინც დამჯერია გაზღაპრებულისა, მხოლოდ იმან რომ დაიჯეროს, ამისათვისაა, და ხოლო ატლანტიდასი, ქალაქისა ამ, არსებობა? - დამთავრებული იმით, რომ თუკი ძალიან მოწმენდილია ოკეანე, და მშვიდი, თანამედროვე რაღაც ზემძლავრი აპარატებით ერთსაცა ფსკერზე თურმე რაღაცაც ვრცლადაც ფარული შენობების ხატებები ჩანს, დიდად გატვრენილი; მაგრამ ატლანტიდასი აღწერა იქ, იმა ქვეყნად ალბათ ვიღას რაღად უნდა, რადგანაც მაინც მოეხსენებათ ალბათ იმ, ამ ქალაქისა ყველაფერი, კი, და ამას ეგება სჯობდეს ისა, შენი ქალაქი, მარტივად და თვალით ძნელადაც აღწერო რომ და, ოღონდ, ისე რომ, ჰო და არა-სი როგორი ვრცელი დარღვევებით და უიჰო, მართლა, ნეტა ვინა თქვა რომ ჰო და არა ცოტასიტყვებია, და შეგვეძლოს-უნდა ამ სიტყვების „გულისა და გონების თვალით გამოყენება“,

ვრცლად გარდაქმნა, და როგორი უსაზღვრო ტევადობისაკენ, სისხლამდე-ოფლის გადაქცევა, ჩაქცევა აიიმ ოკეანურად წყალთაშინაში, რადგან როგორმე უნდა შევიძლოთ ნაოფლარისაც-იმ, ამოღება, ზედაპირისაკენ, წყალთაქვეშეთის, რომ რათა ჯერხანად მყარი გახდეს და, გამყარებულად დამკვიდრდეს და გაგვიჯდეს სულში რო „ჰო“ - სიკეთისა, სიკეთეზე უნდა იყოს, ბოროტება კი - სრულიად „არა“ - სი, ხდეს, ხოლო სიკეთე რავრცელია, როგორი მომფენი, დაფენილიცა და, დაგებულიც, და, მოფარფატე, უსასრულობისათვის უცნაურად როგორ, შემფუთი, და ბოროტებაც კარგავრცელია მაგრამ რაცგინდა გაწელილად, დროებითია, მაინც, და ამ მწარე დღეებში ნეტამც მომავალში აღარ იყოს ჩვენი ქალაქი, ვთქვათ ჩვენივ: „არა!“, და ჩვენივე - „ჰო“, გადარჩენისათვის...; ჩვენი ქალაქი, ამ ბოროტების, ანუ თავკერძად სისულელით, პყრობილი? - არა, დროებითად შეყრილი მხოლოდ, ჭირს-ამ, ბოროტის ხელით აკინძულ ჭირებს, ოღონდ, გინდაც ასე გრძლად და მრავალ, კუშტად ჟამიერთ, დროებითი და, მოკლეჟამიერ, წუთიერია, მაგრამ ვაი რომ, წლებად, წელიწადებად გადაგვექცა ისე რომ ვაითუ ჩვენმა ბავშვებმა სულ სხვანაირი, დაისწავლონ „არა“, მაგრამ, გავმხნევდეთ-უნდა, რადგან, რადგანაც, ვინაიდან, რაკი, რაკიღა, რამეთუ რახან არ შეიძლება საქართველო რომ გადაშენდეს რაგინდ უჩნდეს საამისოდ და ამისაკენ ბოროტი პირი; ქალაქი-ჩვენი, მშობლიური, უთავგზობისაგან, გულცივობისაგან, და თავისკენ მიმთლელთა თავკერძოებით შეყინული და, მაინც თბილისი, და, ქალაქი ხომ, ძველთაგანვე, აკი თუროგორი და რა-დ უნდა იყოს, ასე თვალშიმოსულად ჩაბუბვნილსახელიანი, თან:

„ქალაქი - თანამრავლობასა და თანასახლობასა M F K F M სახელედების, ვინათგან კაცი ერთი ვერ კმა ეყოფის თავსა თვისსა, არამედ რათა შევეწეოდეთ ერთი მეორესა და სარგებელსა მივანაყოფობდეთ“... -

...

-

...“არამედ რათა შევეწეოდეთ ერთი მეორესა“,ო... -

დღევანდელობისათვის, ჩვენდა ჭირად, როგორ რახშირად დაუჯერებლად ჟღერს, ეს;

დღესდღეისობით, ჩვენივ გონების გზასაცდენილი გულისა თვალით, როგორ დაქცეული, და ვისი წყალობით და, ავად მუტრიბთა, ადრე მუტრიბი - „ქალი მეჩანგე“, ხოლო ახლაკი გადაკეთდა სამივე სქესის, ანუ ჰერმაფროდიტებიანა, მუტრიბი: „დამკვრელი, მომღერალი, მოცეკვავე“ და რა უჭირს ამას კი არა და, როგორი მშვენიერი კარგად სასურველია მაგრამ ავის დამკვრელი?, ავობისათვის, ავადმომღერალი?, და ავით ძლიერ აცეკვებული მოცეკვავე ანუ ენისა ყრანტალითა თუ განუკითხავი საქციელებით ენითაცა და სხეულებრივ და - საშინელება! - სულიერითაც სიძვა-მრუშობით როგორ გვემხობა და გვექცევა თავზე ქალაქი, ჩვენი, და ამ ჯიბეგასასქელო, ამ ბლანტედ ცქვიტთა-ვითომდაც გამოისობით, როგორი მყაყე ნელსაცხებლები მთელ ჩვენ ქალაქზე-ამ, მცირედთა გარდა... ხოლო საქმეა ესაც, მცირედნი-მაინც ისევ და მაინც თუდარომ გვყვანან,

მაგრამ ძირითადად, აბა რომელი და რაისი „და სარგებელსა მივანაყოფებდეთ“...,

მოგცლია, ერთი,

მეტი სხვა საქმე არ ჰქონდათ, ჩარჩებს, ანუღა... - და არ იქნება ეს შეურაცხყოფა რადგან ყველაფერს, ყველას, ყოველივეს, თავისი სახელი ჰქვია და დააქვს ანდა არ იწოდება ჯერჯერობით ასე მაგრამ რა კოხტად, კი, კი, დიახ, ჰო-რა, შეეფერება - ანუ ღორებს..., და არ იქნება ეს შეურაცხყოფა, სახელდება ეს, და ამ შედარებითული ეპითეტით კი არა, უფრო ე. და წ. დოკუმენტალობით, ეგრეთ და სწორად წოდებული ამ ვაიდ, ვუითსინამდვილეთი, ეგებ მართლაც არ ცდებოდა ესაც-უღირსი ეპითეტით-ამ, რადგანაც თქვეფა-რამ მოესმოდა ტელევიზორულიც, გამზირულიც, ქუჩაბანდურიც, უდანაჩანგლო, ღრდაღრღრუტუნ ნარევი... სამოსაგებოც. მაგრამ, მთლადაც მეხუთე ნამწვისა არ იყოს, აი აქაც კი, სხვების გაკილვისას, „სარგებელსა მივანაყოფებდეთ“ისა თუმც მოსურნეს და მაგრამ ამასაც, უღირსს, დამრღვევს, თუნდაც იმით რომ რაღაცა წყევლისადამაგვარი ჯერ ერთგვარ თავში მოუვიდა მაგრამ მერეკი ვეღარ მოითმინა და დასცდაც კიდეც მერეც და მხოლოდღა ენით კი არა, თავად ქაღალდზე, თვით შავი მელნით, მკაფიოზე, სამზეუროზეც გადასატან ნაფიქრალზე, ამ - „სარგებელსა მივანაყოფებდეთ“,ო და ამისა გაგონებისა გამო თუმც რა და როგორი დარღვევა ჩაიდინა, თუნდაც მცირედი დიდსულოვნური პატიებისა და, ერთგვარად მაინც რა ბუნებრივი, რაბუნებრივად, როგორ, -“ისე აგიდგათ გვერდები“...და, კი, დამნაშავედ იგრძნო თავი, კი, თანაც ისე რომ ჩაქინდრა კიდეც ისა მაწყევარ-ენიანი უგუნური თავი მაგრამ რად გინდა, ხანდახან აღარცკი ახსოვდა, მაგრამ ახლა კი გახსენებოდა, უნდა,

„ყოვლად წმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ“,

და,გაახსენდაც:

„ყოვლად წმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ“,

მაგრამ ესა-ჩვენ? -

როგორი და რაძნელი და მაინც რომელნიცდიდიწყალობით შესაწყალებლები, ჩვენ, მაინც რა იყო, რა ხდებოდა, ლეგიონების - თვით სიტყვებმაც იცვალეს აზრი და ჟღერა, თუ, ეგებ არა, - ლეგიონებისათვის, და ხოლო იმაძველებურითაც? - ლეგეონიანთანა, ლეგეონშეყრილთა, ჯერ ერთსაც შეშლილში და მერეკი ღორების კოლტში გადანაცვალებულთა, თანაც ზედ კბოდე-სა, პირად, და, იმ ღორების დროებითი გამაძღარობა? - დაძღნენ, კი, იქაც, ისე ძალიან რომ და, - აქაც, ნაპატივებები, და პოხიერად ნამეტანი მაგრამდა, რითი... სხვისი პურისა ლუკმისა დამთრევნი ის ღორები, ეს, და ღორი მაინცკი უსიამოდ, ცუდად, ულამაზოდ, რაც გინდა ასეთი იყოს?, ადამიანისათვის შეუფერებლად ჟღერს, მაგრამ ნაღდია... რადგან ნაღდად კი - თქვლეფოსანნი, სხვისაკუთვნილით, ჩაქჩაქებდნენ და მიჩაქჩაქებენც იმ ფართო გზაზე, რომელსაც, ვიცით, საით მივყავართ თუ დავადექით, რომელი კბოდესპირისაკენ, ახალ შესაჭმელ-შაშაჭმელებზედ გადასულები, და, რაღა თქმა უნდა ისა ფართო გზა? - ვრცელი და მაგრამ მაინც,

მარწუხი, ხუნდი, როგორი მერე... კი, ალალ-რკო თავგანებებულები, სულაც მთლიანად, თან...,

ქალაქი, ქალაქი, გამზირებიანი, კერძო სახლებიანიცა და მიკრორაიონებიანა, ვისთვის სათარეშო და, ზოგისათვის, ბუდე... ზოგისთვის - ბოსელი და გომი, რაღა თქმა უნდა საღორეცა და, რამორჩილთათვის - ფარეხი და სუყველაფერზე უარესად? შეგუებულებისათვის, ყოველივე ამისა, ვრცელი და მაგრამ მაინც გალია... სულში ჩხვერილი დირე... წამახული... მაგრამ ყოველთვის როდი ვიმჩნევთ, ქალაქი, ქალაქი, სორო, და ხვრელი... ბუნაგი... ბეტონი... დარანი... სასახლე... ბარაკი... ბარდაკი... უცხელწყლობა და, ამითიმწვირე... კაფეტერია...ეე... ჰო, ჭერამი, რამე!.. რაღა რამე, გამოფხეკილი განჯინები და კარადები, მთლად ცარიელი ზანდუკები - ეს თუკი უმართლათ და მიაყიდეს როგორ საძნელოდ გასაყიდი გადმოცემით რომ დედის დედისა დედისეული ვერცხლეული რომელიც რომ აქამომდე, ჰქონდათ, და გინდაც რიგითი და ჩვეულებრივი ხარახურისაგანაც გამოცარიელებული შკაფები და სამაგიეროდ გადავსებული რესტორნები ადამიანებითაც და, შინ და გარეთ, აკადემიური ბალაგანები და ცირკები მთლადაც უნივერსიტეტებურა თანაც ოხშივრულ-დრამატული რადგან სამშობლოდ მზიურ საქართველოსი სადღენგრძელოებიც მარიფათული, მაგრამ, -

„ნეტავი მშვიდად როგორღა სძინავს იმას, ვინც სამშობლოზე უკეთ ცხოვრობს“,

და, მხოლოდღა კანტი-კუნტად მაყურებლიანი ხშირად, როგორ, სარდაფებშიაც კი ჩაქვეითებულ-შეყუჟული როგორი კარგრეჟისორებ-მსახიობებიანი თეატრები და იქით კი გაჩახჩახებულ-გადაჭედილი ვრცელ-დარბაზები რაც გაგვაჩნია ჩვენი და მეტადრე კი მაშვინ, ერთის მხრივ საშემსრულებლო ოსტატურ-აღჭურვილობით ხომკიოსტატურადაღჭურვილნი და მაგრამ მაინც და ბოლო-ბოლო მაინც როგორღაც მაინც გარეგნულად თუმც აღგზნებული და მაინც ალბათ ალბათშეუცნობლად კი, ჰო, მაგრამ, - საკუთარ თავზე მთლად შორეული და ახლობლური რამდენოსანთვის ამერიკულურ-მუნ-იქიდგან ჩვენს ყოვლად უსურვ-დაუკითხავად დაწინაურებულ ფულებნაშოვნთა (რუბლით, ფრანკ-მარკათი, დოლარით, კუპონით ჰმხკმჰმ, ლარით) ნებით, ძლიერით, მოწვევა იმათი,

„მეუფეო, შეგვინდევ უსჯულოებანი ჩვენნი“,

ე-მაშინ უნდა განახათ ნეტა დაქიჩმაჩება საამერიკლო ბილეთებიზა, ვერსააპლოდისმენტებო შაშუალებებით თუკი გვიჭყავის ჯიბაში ფული იმდენი რომ ერთ კინკილა ბილეთს კი არა რამდენ ოჯახს ეს კინკილობა მთელ კვარტალს ეყოფოდა, სადაც, მისუსტებულები, წვანან, და ხოლო ჩვენ კი ვიტაშ-ისეთადვიცემინებით რომ სწორედაც ძალზე ძალიან ძალიანი ძლიერად ძლიერ და ისეთი ვაჰგულით, ხელისგულებისაც გულიანად გადაყვლეფამდე, ვიღაცებს, ჰშიათ, რაღა ვიღაცებს, ჩვენიანებს, სწყურიათ პური, განსაკუთრებით კი გვხიბლდაგვიზიდავს და ფასდება-კი თუნდაცვე ფულით იქითურული ბახზე რამდენად ფულიანი შუმი ზანგი რომელიცა რომ ამოძრავებული პირით სიტყვებღეჭია ხოლო კბილებით? - ა?, საგულდაგულოდ ჩაკირულით, ა?, მტერს უკბინა იმან, გინდაც იმაზეც, - და შიშითაა თუ რა, ვაპლოდისმენტობთ იმათ,

მაგარებია, კი, წინიდანაც და უკანიდანაც ხოლო გვერდებით შილიფად ფარღალალა, აკი გვერდებზე აკი ხომ არ-აქვთ გამომეტყველება და გამოსახულება არავითარი გინდ ვარსკვლავურა-ვოკალისტებად წოდებულ-იყვნენ, ტანსაცმელი კი სცვიათ ისეთი რომ, იმეებ როგორ ხაზ და რაღაარგასმულები ქალებითუა და, ქალებისაც გინდაც პირიქითები (საით, რისაკენ იქითები), უპირონიცა და როგორ ზედმეტად პირიანნიც უგრამატიკაულადაც, კი, ძლიერნი ერთ დროს, თეზევსური და აქილევსური, სქესი, ხოლო ახლა კი ძირითადად მოსაშუალოები რადგან, საეჭვოდ, საყურეებიანი მამაკაცები და ცხვირშიც რაღაცაგაჩრილები გინდაც არაინდიელები და კიკინაებიანები და სამაგიეროდ თავგადახოტრილი სულაც არაპატიმარი ქალები, რომლებიც ისეთ მიხვრა-მოხვრებით? - ნამდვილად არაქალწულები და არაქალწულივ მამაკაცები, ამ ჯურის ერთიც დიდად და გადახვევებითაც ერთ-ერთიც დიდად სტადიონებდაუვრცეს დარბაზთა ჩვენთვისა კი კიდოკაი რომ ჯერ მხოლოდ სატელედსაჩინო როგორ შესატყვის სწორედაც რომ ცისფერ ეკრანზე და ბოდიში კი არ მოგვითხოვია მკაცრი და მაგრამ სამართლიანი გინდაც მიჯნურისა და გულის მურაზის ამორჩევაში, - რამ დამავიწყა რა ოხრობა და ზმუკი ერქვა, და თურმე მამაკაცისა და მიგვანებულებისაგან და მიერ, თურმე იმითიც როგორ საცისფერულოდ გამოსაბზეკი და კიდევ მეტად გამჟღავნებული ვინმე ეს გინდაც ძაანძვირფასი საყურეა, და ესა ერთიცა საშუალო სქესოვანურებზეც რამდენად ბევრად უარესი და არამგლური მუხლებით ხომ არაჭიუხებაც გადმოინადირავე ოდნავაც კი არა, და არამედ - ავანსცენაზე და აქ ბოდიში კი ნამდვილად მოგვითხოვია და ასე ვიტყვით მაინც, რომ, მთლად სხვადასხვა სკამთ-დასაჯდომებზედც ჩამომჯდარი ვითომც კაცი, ხოლო ისე კი, თურმეკი, თუმც თურმე კი არა არამედ ნამდვილად, კი, სხვარამ უფრო-საჩინოებიანი თურმე, რადგან ორჯერა ყოფილა გათხოვილი და ასე იგი კი იგი ერთხელ გამოთხოვილი ერთიც ასეთიც საბუთურად თუმც მამაკაცი და შარვალმორგებულიც და ბუნებრივია ალბათ მისი ეს გამოთხოვება რადგან რადგანცა რაღაცა ალბათ ვერ გაიყვეს ერთიმეორეში ამ იქამდისინ როგორ ერთგულად, ალბათ, შეხმადასხვარამეებაცტკბილებულმა რწყვილმა მაგრამ სამაგიეროდ ესა მოსუსტო ძლიერი სქესი აკი მეორედ ჰყოფილაო ცოლად გატანილი თუმცაღა მშობლებისა ნების გარეშე ანუ დალოცვისებრი ნებისადაურთავად და ხოლო სამაგიეროდ კათოლიკურ ეკლესიაში ყოველგვარი რიგის გარეშე რადგანაც ფული ჰქონდა და კათოლიკურად და რიგგარეშე ანუ ურიგოდ ჯვარი დაუწერია თავის ყოფილად-იმავ სქესურზე; ოღონდ ეს თავიდან; და, შედარებით, სულ ოდნავღა ეგება მორცხვიც კი, იყო; მაგრამ წინმსვლური აღმოჩნდა და გაღრმაღავდა და გამოღრმავდა, მერედა და მერე; და განდაგანა მეტრფეებიც ხომ დაშვებულნიც ხომ, მათმორალურად მთლად ალალები ჰყოლია ის მერე რა რომ თუ გინდაც ფულით მინაზიდები; და ახლა ამის, ყმაწვილობამდე ნაკაცარის, შესამოსლებს აღარ იკითხავთ? ჯერ მარტო საქორწინებო-საქორ-წინაო და საუკანაო იმას ცისფრად ცისფერი და საცისფეროდ კაბა-დასაჯდომ დასჯდომიაო? - მილიონტრისტა... ნაღდი ფულით... შენ ელტონა და ჯონსი ეძახე, მიმლტვადია, კი... ელტვის... ჯონებსა... მაიკლებსა... ნაიჯელებსა... მაგრამ, კაცო! მეუღირსს აბა რა მრჯის, ვისთანაც გინდა და უნდა იმასთან იყოს შეწყვილებული ისე რომ როგორაცგინდა ცოდვებით, ათქვეფილი, გაუში-გაიხარონ მაგრამ ეს

გასახარელი იყოს? - ისემც... - მაგრამ მაინც არაა ეს ჩვენი საქმე; რადგან, მაგრამ, ვერც იმას ვიტყვით? - რომ,

უფალო,

შეიწყალენ, და აცხოვნენ

„უარისმყოფელნი მართლმადიდებლთა სარწმუნოებისანი და ჭეშმარიტებისა გზათა შეცდომილნი,

წვალებათაგან დაბნეულნი

ნათლითა ცნობისა შენითა განანათლენ“..... -

მაგრამ ეს ჩვენთგანებზე, ჩვენებზეა ნათქვამი, ალბათ,

და ხოლო ბრიტანელი თუ ამერიკელ-ჰოლანდიელი ელტონებისადამაგვარებისათვის რა გვრჯის, ეს იმ კათოლიკურმა ეკლესიამ შეუნდოს იმათ, ვინაც რომ მაინც როგორ და როგორი მაინც, ჯვარი დასწერა იმათ და ერთსქესიანებსაც, იმ... და იმათში რაღად ჩავეჩაროთ, ზედმეტები ვართ, მთლად ნამდვილად სულაც ყოველმხრივ უცხოებს, ჯერ ერთი რომ როგორ ვასწავლოთ ჭკუა და, მე შენ გეტყვი ხმას მივაწვდით თუ რა, რადგან თავიანთი საქმისა თუ დარგ-საწვალებელთაგან? - შემოსავალი? - ა?! - სინგაპურული თუ ტაიტური აგარაკები, აჭრა მანქანები, - შემოსავალით? ეგრეთწოდებულ ავანგარდისტობიზა? - აუ?!,

- და, თანაც, -

ახლაღა გავიგე ზოგი სიტყვა და ზედაც თავისი მნიშვნელობა, და ეგების გამოგვადგეს:

„პამპლავაქი - მეტიჩარა მარიგებელი“,

და სწორეცაა, ჟღერადობითაც, ეს პამპლავაქი, და აბა მე რა მეპამპლავაქება, და იმის გინაც მეორედაც გამოთხოვებას და საფულე-მეტრფეებშიც ტრიალ-ტრიალს და გვერდების ცვლასა და განამარტო თავიანთურა იმათ სწორედაც რომ თფუი-რამ-ავ-არშიყობას, რომელსაც ერთხელ აი ასეთი რამაც მოჰყვა: „ჟან მარე + ჟან კოქტო = სიყვარული“, თუმცა ერთმანეთს ხანდახან ეჟინიან-და-ეახირებულობდნენ, ჰალბათ სიყვარულით... რომელიც ისედაც ძნელია, და აი, თუროგორი მძაფრი ყურადღება ექცევათ, ოღონდაც თუკი განსაკუთრებით ცნობილებია - იმას არა აქვს მნიშვნელობა სინამდვილეში ავად თუ კარგად, იმათებური ეკლესიითაც შეუღლებულებს, მთლად მათსებურებს? - მთელმა სრულიად საფრანგეთმა თავის ტურისტებ-და-მკვიდრ-არაბებიანა სხვადასხვაგვრულად მაგრამ ცხარულად მწვავედ შეიცხადა იმათი შეყრაცა და პირიქითი გამოყრაც, ხოლო დიდი უმრავლესობა თავიდანურად რაღა თქმა უნდა შეყრისა იყვნენ დიდად მომხრეები, დიააღ, კი, აამოქმედეს, ბჭობისათვის, მოქმედი, ხალხი, თუნდ მარტო ამათ? - ესენებ-ჟანებ მამაკაცები და ვაჟკაცები საღოლ, მალადეც, მაგრამ მამასხარავებს მე-შორეულს ნეტავი რა, ალბათ გულისრევა რომ გაგაცალოთ, ის, არა და,

პამპლავაქობა ჩემისთანაც გადამთიელისა? - მთებს არ ვგულისხმობ, არამედ უფრო რამეს, სარწმუნოებას თუნდა, - ეს ისევ ბრიტანელებმა და ამერიკელ-შვედებმა იკითხონ თორე, ჩვენ რა... ჩვენ ჩვენს თავს მივხედოთ, თორე იმათ? - თავში ქვა უხლიათ (ნაციონალისტივით ხომ არ ვლაპარაკობ?.. - არა,), და ცხვირ-ენაზეც ქვა უხლიათ და იმაში კი რაცგინდა და როგორიც გინდა და რამდენიც უნდათ, ის, თანაც მთლად ამაო პამპლავაქები რად უნდა გამოვიდეთ, რომელი ჩვენი დანიშნულებაა ამ ჩვე-გარეულების, ცოდვით სავსეთა, ასე სიამაყითაც კი ამომზეურებულ? - არა, ამოწკვარამებულ უზნეობაზე, თვით ფიქრიც კი, მაგრამ ამ მორიგი დასასრულის, რიგით მეხუთესი: „და ხოლო ჩვენ კი“... - ამისთანებისაც კი გახსენებას გვაიძულებს, კი, უზნეობების, და ხომ ძნელი წარმოსადგენია ნახსენები ჯვრისწერისაზეც უარესი რომ იყოს რამე, მაგრამ, ვაგლახ და, აქვთ - კაცების ქალად გადაკეთების ძვირადფასოვანი (არ უღირთ თუ რა) და იმათქირურგულდახვეწილხელიანი ოპერაციები მედდებიანადაც (მაგრამ ნეტავი რომელი სქესის) კი და ისედაც ხომ, რა მოსატანია..., ხელიდანაც და ყველაფრიდანაც წასული კაცების ხელოვნური დაფეხმძიმებანი, საყვარელ თანმესქესემეცხედრეს სიყვარულის ნაყოფი რომ უძღვნან..., ბავშვები, ალბათ, მაინც, და მაგრამ, ვაგლახ, ალბათ..., და ამის შემტყობთ, ჩვენ, თუმც დაბნეულებს და მაგრამ არა მხოლოდ „მერედა ჩვენ რა“ კი არა, და, ალბათ როგორი გადამდები ისევე როგორც ყოველნაირი ოხრობები, ესაც ამოგვითხლიშინდეს ვაითუ თან იმათებური „ცხოვრების წესის გადმომღებთ“ა მოწადინეებს, იმ უბნელესის მისავმიერი ძალისგან, კი, მისით დანაშარდ ორთავ მიჯნურზე თანაბრად დამტყდარის, მტრისა და მერე და როგორის, მაგრამ ელტონიან წყვილს რომ დავუბრუნდეთ ამდენი უჰუხ ვაიმათპატრონსულ-სეული გადახვევებისაგან, დროა, მოსასმენადაც კი ავიცილოთ, დროა, უიჰო, აგრეთვე დროა ახლა ისეთი და ცივილიზაციაც, კანალიზაციაც განვითარებული, რამე, ჭერამი, რამე, ჩვენ კი ვიღაც არნოლდი გვწყურიან თანაც ძალიანი, ჟამთააღმწერელი მაინც იყოს, არამედ ერთთავად სულ რაღაც განგანურს მიედება და მოედება და, სდექ! - იმათ, რომ, ვაი ჩვენდა და რომ,უნდა გამოვტყდეთ რომ, აი ასე გრძლად ამ შესაზიზღობაზე-ხომ, ერთისა მხარიდან ერთისა მიერ ემდაგვარიც კი მოღვაწეობით ფულის საშოვნი საშოვნელობა და მეორისა კი, ეე, მეორისა?.. ჰო - მეორისა ანუ მაგ ქვე-მთავარისა პიონერულიც „მზად ვარ მარად“ივით მარადისად და ნიადაგ დამზადებული კუდასაბზეკობა როგორი რეგვენული და, მეტიც უფრო, ქალებისა და არაქალაუებისა წამხედურობებიდან, და აქ მხოლოდღა იმას ამოვშაქრავ, არა, ამოვიმცხარადვმწარავ, რომ, აქა ჩვენშიც რაღაც ძალიან შესაკრთომად და არაკეთილსაიმედოდ გაგვიმეტდნენ და საეჭვოდ ამიხვრამოხვრდნენ და წაიწვრილეს ისეც-დისკანტი, და მთლად ისე-ბოლომდე იმათ რომ შეიხამესსავით, ეს, ჩვენ მაინც ბოლომდე და იგრე-დასაწყევად ვერ გავიმეტებთ, რაც გინდა იყოს, ჩვენებია, და ვისიც ქვეყნისა, გვახსოვს; მაგრამ ეს მოახალო სექსუალური მესამეური თურმეობითობა ლამის არი რო მეწინავეებად-ეგრეთწოდებული „ავანგარდული“ მხატვრობისა არ იყოს - და განათლებულობადაცა კი შეისატყვისონ გამოვლინება მართლაც რომ ვაიდ-ავანგარდისტული, ეს, გამაოხრებელი, გასათახსირებელი, და თუმც როგორიღაარ ბოლო, აწყობთ, ბოლოს მომღებიც, და იეფ ხორცზე რაოდენ მეტად როგორი მაღლით ნაბოძვარის, და თუეს რისა და, თავად სულის, წამხდენი, დამქცევი, წარმწყმედი, ხორცშესხმულიც კი,

მთლად კუნაპეტური წკვარამისაკენი და თავიდან თითქოს მხოლოდ მხოლოდღა მცირედ მიდრეკილი, მიდრეკილობა, ეს, ყოვლად სამარცხვინოს გარდა, ირგვლივითებზეც, სხვებზედაცაა ჭირის თავსდაქცევა, და მაინც უნდა ვივედროთ იმათი მოქცევისა და გამობრუნებისათვის, რადგან,

არამცთუ აქ და ახლა შორიახლოს და ალყადქმნილი ყოვლად უხამსი მიდრეკილებებიდან ესაც, როგორ შეუფერებლად ვითომდაც მხოლოდ მსუბუქ ყოფაქცევისად-მოფარფატე, მაგრამ რასიმძიმედ ჩამოწოლილი, ეს, როგორ ბნელვნებით გვნებს მაინც, რადგან, არამცთუ

წინაპრებისა და ისევ და ისევ: „პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოჰკვეთა კბილიო“,

არამედ ეს შეგუებითი ჩვენი ვუიდ-სამოცდაათი და სხვაც რამდენი ამნაირგვარი წელიწადობის გარდაც, იმით რომ თვით იმკაინის, როგორ ძალიან თითქოსადა შერეულის, არა? არა, დღესდღეობითაც როგორ გამჯდარის, იმისიც ცოდვა

ჯერ კიდევ როდისრადროინდელი

დაგვტრიალებს,

თავს

კიარადა და, -

გვსხეპს,

და როგორ გადმოდის,

ჩვე-შედარებით უდანაშაულოებზე, ეს შედარებით, თორემ,

დამნაშავეებზე როგორ,

და თუკი ამას გავიმეორებთ დილის ლოცვებში,

და ძილად მისვლისასაც,

ისევაც ჩვენთვის,

რომ -

„სახიერო უფალო, შეუნდევ მოძულეთა და მაჭირვებელთა ჩვენთა“, ხოლო „მაჭირვებელი - ჭირის მომცემი“, და,

ასეცაა,

ეს ირგვლივითა უხამსობები როგორ ძალიან გვიმძიმებენ,

ჭირთ,

გვიჭირს,

და ხოლო ჩვენ კი

როგორ ასე ძალიან ისევაც გვიჭირს იმათით განძლიერებული უმსგავსობების აღკვეთა, აღმოფხვრა, და ალბათ არც იციან თუ, იმათებური ვაიდროგორა სისასტიკით დამაქცევარა წინაპრების არ იყოს, - თუ რას სჩადიან,

და მართლაცდა ბოლოს, მართლაც დასასრულ და აქაურას-აღსრულებისას კი, იციან ნეტა? - თურა ელით, ელოდებათ რა, და, რას ამოვიჩემეთ და მაგრამ ბრიტანელი და ავსტრალიელი კი არა და ხოლო ჩვენ კი ეს - ჩვენი ვიკითხოთ, რაღაცდა ამისადამაგვარობისა მონათესავემ - მოძალებულმა ცრუქართველობამ, მამულიშვილებმა მხოლდღა... - ლიტონი არა, ლიტონს კიდევ რა უჭირს, - როგორ შერყვნილი, თახსირის სიტყვით, შებღალულისა და არადა ვისის, მერე, და ამა-აქური ყალბქართველობით, თაღლითურით, ყალთაბანდურით, სადღა-არ როშვით, ოღონდ-როგორმე და ყოველი ასეთიც ხერხებით საშოვნელად ოღონდაც როგორმე ჭრელ-ჭრელ ბანკნოტთა, თქვენ მართებულად ხელის ჭუჭყი ეძახეთ და, ვაი რომ თურმე, - ტვინის ჭუჭყისაც?

და ეს ერთი შეხედვით ჩანს თორემ არ გაგვგრძელებია სიტყვა,

ამათზე,

და თუ არა გჯერათ, ეს,

მიმოვიხედოთ,

და რამდენ ვისმე დავინახავთ რომლებიცა რომ მაინც როგორი ყალბი და ფუტურო, და ტყუილებისა-გუდა ვითოსიმართლეთი, ფუჭით, ყოვლად უკეთილნაყოფოთი, უსჯულოებით დიდქართველობისაც კი მაძიებლობის პირდაენა და ყრონჭ-ყანყრატო წავარდნილად ჯიბგირები, ეს -

და, იმათთვისაც, და ჩვენთვისაც, ვიმეოროთ, კი, -

„უფალო გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან“,

და ხოლო ჩვენ კი,

მაინც ისევ ეს ბაზრები, ბაზრობანი და გაბაზრებებები რაღა თქმა უნდა ქვე და სადაბლო-საქმეებითა და რაღავე თქმა უნდა რომ, - სიტყვითაც, ქრისტესი როგორი ვერდამჯერენი, და პირველ ხელობად - რაგინდაც დიდად ხელშეშველილნი? - ათეისტები, ღვთის არმოშიშნი, და რიღასიაღარ შემგუებლები, და სწორედ იმათთვის, მაინც, ჩვენიანებისათვის მაინც, მაინც და განსაკუთრებით უნდა ვილოცოთ, მაინც, ის მერე რა რომ, დაგვთარეშებენ, გვიკაწრავენ გონებასა და, სულს,

„აცხოვნე, უფალო, და შეიწყალენ მოძულენი და მაჭირვებელნი ჩემნი, და მოქმედნი ჩემზედა უსჯულოებისანი“,

და,

ეგებ გაჭრას, ამან,

ეგებ კი არა, კი, რადგან ღვთისმშობელია თვით და თავად ამ ჩვენშუაც და, ჩვენში, და ყველგან, როგორ - როგორად მაღლა და, ჩვენზე დაგვით,ე-აქაც, ქვეით, მაინცდამაინც ჩვე-უგვანოთა - მაგრამ სუმთლადაც არაა ასე საქმე - ჩვე-უცნაურთაც, მოულოდნელთა გამომრჩევი, და მადლი იმისა? -

ვის კალთათ ქვეშეც - მთელი, სრულიადი, და კიდით კიდემდე - ენგიდუნია,

და თვით უფალისაც, გამონათქვამი, ადამიანებისა და ჩვენს საქმეთა დანახვაზე -

„მეწყალის მე ერი ესე“, - მარკოზია ეს: 8,2,

უფლისა, ვის სალუქსა და, გინდაც ფიორა, მთლად ერთი ბეწვა ჩავლისას? -წყალი რინდდება,

„მეუფეო, შეგვინდვენ უსჯულოებანი ჩვენნი“,

და, ეგებ გაჭრას, ამან

თვით მეზვერეებსა და მეძავებზე - ხოლო მათგან ხომ ვიცით თითო, - როგორი წმიდა მატთეუსი და როგორ წმიდანად გაწმიდანებული მაგდალენელი ქალიც ერთი,

და ხოლო ჩვენ კი... -

ესა V ჩვენი, დასასრული, „და ხოლო ჩვენ კი“..., მგონი მართლაცდა თუ არ გაჭიანურდა, ჭიანურდება, და,

ჩვენს გაჭირვებებს ცოტა სხვაგვარად მოგაწოდებთ, რადგან

გვეყო, მეც და თქვენც ამდენი თუმცა მართალიად მაგრამ მაინც წუწუნი და შეტირება და ბუზღუნი და, რადგან ჩვენა-ანუღა-ქართველები? - რადგანვე რადგანაც მუდამ და ძველქართულადაც მიწყივ მოულოდნელები, ვაართა, თუმც როგორ გულით მეტირება-ც კიარა და, მე-გლოვა-გოდებ-მემოთქმება, მესლუკუნება, მეზმუკუნება, მექვითინება მოკლედ, და მაინც, ამა დასასრულს, მთლად სულ ბოლოსი ორჯერწინასი, მაინც, ერთგვარად შვებად-მონაყოლი რაცგინდა ძნელი იყოს, მაინც ვცდი ამას და ამ ვაიდდა-ვუიდვიშვიშში, მაინც ერთგვარად შემსუბუქებულად დავამთავრებ, ეს იმიტომ რომ, მთლადაც არ გადავიწყვიტოთ იმედის სკვნილი, და როგორც კი ამჩვენ ამა დღეს - იცით როგორისაც, - შემეძლება, იმედითა და იოლადღა ანუ თუმც დამდუღრული, მაგრამ ერთგვარად - ლაღობით არა, - საშვებაოდ-აც კი, შემოგთავაზებთ, და,

მაშ ასე, მორიგი და სუბოლოსწინა,

დასასრული, რიგით მეექვსე, ნომრად - VI. რომელსაც ჰქვია, და მაინც, შვებად -

იმ მთავარ შვებად, ის მერე რა რომ უხილავად, სუყველაფერზე, ყოველივეზე, სუყველა ჩვენგანს რომ დაგვატარებს და გვადგას თავზე დიადი სული, არსით

როგორი წმიდა, და თვალშესახებადაც კი ბოძებული, წიგნად, თვალასახელადაც კი ნაწყალობევი, წიგნად,

მაგრამ რომელი შვება, რადგან,

როგორღაც მაინც, ერთის შეხედვით მთლად ბოლომდე მკვდარი თუ არა, სულთმობრძავი მაინცღა, სიკეთეები, მაგრამ შვებად - ზოგიც თავადაც გაჭირვებულისა, უფროც გაჭირვებულისადმი, შესაძლებლობებით თუნდაც როგორის მცირეს, გამღებნი - ქვრივის ორი მწულილი, გახსოვთ? - გინდაც უცნობი მოყვასისადმი, ხოლო ეს - ამა გავერანებულ გარემოსა და გარემოცვაში და ადგილსა და დროში, აემ პარტახში მაინც ცამდისინ, თვით სახარების კალთებამდე, გამარჯვებულები, ძლევამოსილები არიან მაინც, ამის ჩამდენნი,

და, არიან, კი.

გინდაც ასეთად შეჭირვებულები.

მაგრამ რამ გააჭირვებულათ, - მომრევვებია, ჟამის,

და ვინა თქვა რომ მხოლოდღა ბაზარი და მარტოოდენ ბაზრობები? არა -

მგონი ადრეც ჩამოგეთვალათ მაინც მოქმედნი, თუმც მხოლოდ შიგადაშიგ, სიმფონიური მუსიკის ცენტრი, ვთქვათ... დაუხურავი, არდახშული როგორღაც მაინც, თუმც გაძარცვული, მუზეუმები, და მაგრამ მხოლოდღა დიდად ოხრების სასახლეები კი არ შენდება, არამედ გაცილებით უფრო მეტებისათვის, ვიდრე სულ რაღაც ახლახანღა, არამცთუ აღდგენილი, მთლადაც ახალი ეკლესიები, მგალობლებიანი... აფეთქებული ქართულა-ნიჭი, აქ თუ ბნელეთით ჩასახშობი და მაინც ვერა და ვერძლეული, მთლად დიდ ნუგეშად არა მაგრამ რაღაცა შვებად, - გინდ საზღვარგარეთ თურმე რამდენი გამარჯვებები და ჯილდოები და პრემიები და პრიზები ჩვენს ახალგაზრდებს ეს ჩვენს მაინცდა მანუგეშებლად ანუ შვებად ამიტომ, როგორ მალამოდ, მერე, მაგრამ ამისა ვინ რა ვიცით, მხოლოდ ცოტანებღამ, რადგან გაზეთებში ცუდგლახა ამბებსა და საქმეთ გაცილებით ეტანებიან ჟურნალისტები, იმათი დიდად ვრცელი ნაწილი, სიავისაკენ, სასაქმოები, ტელედიქტორთა მეტად საგრძნობი ავთავდიდობა კი? - ძნელად და ცუდად ასახსნელი, თუმც რამდენადმე შენიღბული გახარებულები, რომ ასევ-სხვაგან, და არა მხოლოდ ჩვენში, ხანძარი მოხდა, ავარია მოხდა, კაცისკვლა მოხდა, წყალდიდობა და მიწისძვრა მოხდა, და ხალხის არჩეულ-რჩეულებისა ერთიმეორისა ჩვენსავით ცხვირ-პირში რტყმეინება მოხდა...,

სახადია ეს, რაა აბა... აბა სულე და თანაც მთლად გამუდმებით ცხვირსა პირ-ყურში მთლად ბოქსიორიც არ ირტყმეინება სძინავთ ხანდახან რაკი, ან საუზმობს, წარმოიდგინეთ, ტუალეტშიცაა მაგრამ ამათსავით გამუდმებით - არა, და ნუ წარმოვიდგენთ ბაქსიორებს ამიტომ იქ, ნუ შევაწუხებთ... და არც დიდსა-წილ გამორჩეულებს უნდათ წარმოდგენა იქა რადგან მაინც თვალნათლივაც ვითომც ბასრი და სიმართლისმთქმელი მაგრამ ლაქარდიანის, მოგებისადმი, ენითა, სუიქ არიან, ნულსანულში-ს კიდევ რა უჭირს, როგორ დაცდენილი ფეხის, ალაგში,

უნიჭოები როგორები ეს, რადგანაც ლიქნა მოგებისათვის, თუნდაც გარეგნულად ვითომ ცხარული,

უნიჭობაა, სამარადისო ცხოვრებისათვის თავისა ხორხ-ყელის თავისით გამომჭრელი, უნიჭობა ეს,

მაგრამ,

სამაგიეროდ, აკი თურმე როგორი მუსიკოსები და მეცნიერები და ექიმებიც კი გვყვანან ზოგიც ვიცით და ზოგიც ვერა, გინდ საზღვარგარეთ თურმე, თურმე ჩვენები... ჩვენნი..., მაგრამ საზღვარგარეთებს თავი ვანებოთ და, - ისევ და ისევ კვლავაც კარღია ჩვენი საჯარო ბიბლიოთეკა და წიგნის მაღაზიების თაროების დათვალიერება გინდაც უფასო - ფასიანი ხომ ეს ტუალეტებია, და ლიფტებიც ზოგსაავადმყოფოში, - ამ თუნდ უფასოშიც მაგრამ, მაინც რა გულით შეხვიდოდი და ჩაუჯდებოდი რთულ-რთულ პწკარებს ბალღები თუკი გეგულებოდა შინ მშიერი... წიგნებისაკი მაღაზიებში, თითქოს გრძელჯაჭვიანი ვეფხვი ჰყავდეთ დაბმული ("თოკით დაბორკილება"), ისიც ბეჩავი მაგრამ ავი და ვიღა შევიდოდა იქ, ეს ვეფხიკო კი სწორედ ის იყო, რომ ფულნაშოვნების ძაან ძლიერად ძირითადობის წიგნი-მიგნისაა-კეენ ვერ მიუწევდათ ამ შემთხვევაში ლობიო, გული რადგან ფულნაშოვნები ძირითადად უწიგნურები იყვნენ ხოლო წიგნიერებს? - მცირეწლოვანი ბავშვებისათვის რძისა და მაწვნის ფულიც არა ჰქონდათ და არც შედიოდნენ იმა-ვეფხიან მაღაზიებში, ტყუილად გული და გონება რომ არ დასწყვეტოდათ, თუმც, საჯარო ბიბლიოთეკის მსგავსად, შესვლა იქაცა უფასო იყო... - დიდი შეღავათი. სამაგიეროდ, ფასიანი კაზინოები, ტოტალიზატორულ-ლოტოები, რესტორნები რომ?, აღმოსავლური ჰაბანოები ქალებით, რამე, ლუდებით, რამე, ვობლა-თი, რამე, ვისკები, რამე, ჭერამი, რამე, და, რა დააშავა მაინც ისეთი ერთმაც ცხოველმაც, ვირი-მ, რადგან თვით ლექსიკონებშიაც კი - „1." - ახსნას კიდევ რა უშავს, მართებულია: „ცხენის მონათესავე ცხოველი, მასზე პატარა და გრძელყურიანი. იყენებენ ტვირთის გადასაზიდად". მაგრამ, „2". - გადატ. (ვულგ.) ბრიყვი, ხეპრე ადამიანი, ვირის აბანო (მვ. საუბ.) - საპყრობილე, ვირზე შეჯდება (საუბ.) - გაჯიუტდება"., თანაც, ლექსიკონებში არ უწერიათ მაგრამ ლუდს სულაც არა სვამს, წვეთსაც, ხოლო ესენი, ლუდნაყლაპები, აშვებულებივით და უპასუხისმგებლოც კი ჯორკოვსკები, და ტარკინები, ჭერმები, რამე, თუკი მტრისას და - უსწორო ფეხებითაც დასჭირდებოდათ ქალაქად გავლა, იარებოდ-გამოდიოდნენ, თუმც იშვითად, ბარაქალად-კი, ეს მომძვინვაროდ ქვეშაფსიები, კი, ხოლო დაბეჩავებული, დაჩიავებული, ეგრეთწოდებული უხმოდბულბული ინტელიგენტები?.. - გინდაც ერთგვარად გამართლებულებს, იშვიათადღა შენარჩუნებული სამსახურისა და, სამსახურის გადაუმწვარი შენობისაც კი, დანარჩუნებულნი, და თვით შემცირებაცკიაცდენილნიც კი, ასე ძალიან როგორ-როგო გამართლებულები მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც რათ გინდა, აბა, ეს - უხელფასობა, და იმისი ჯანი... მაგრამაც კვლავაც ფასიანი ტუალეტები ისეთად კოხტად ატლეკილი რომ ენითაც კი, გეგონებოდათ, რომ პურსაც კოხტად შაშჭამდი იქა, სულო და გულო, იქ მუსიკაცა და თანაც სტილნი ხმიანობდა თან შიგადაშიგაც, იქა, ბგერები, თავისებური,ც,

და მაინც, იმედად, მოულოდნელები ვართ რადგანაც, გული არ უნდა გავიტეხოთ, რადგან, ასე მაგალითად ზოგიც ბილბაოსთანა მონაირე (“ნაირი - რიგსავით“ - ძვ. „ნაირ-ნაირ-ი - სხვადასხვა სახისა, სხვადასხვაგვარი, სხვადასხვანაირი“ - ახლებურადაა ახსნანი აეს), მოკლედ, ბილბაოსთანა სამაგალითოდ მოულოდნელი, თვითონ ბილბაოც მოჩვენებითი გაკვირვებით ხანდახან აი ასეც, იტყოდა:

- კაცო, ეს რა სიზმარი ვნახე წუხელ?..

- რა სიზმარი... - შეკრთა მიშოუ-?, რადგან თავის თავისი ხალხის ძირითადად ამტანობაზე ეს ზრდილობიანად თორე ისე კი, შეგუებაზე, ძალიანაც დაფიქრებული იყო.

და ხსნად მოებღაუჭებოდა ხოლმე, ვთქვათ, ბილბაოსთანებს, თუმც ბილბაოსთანები ქუჩებში კი არ ეყარა, მრავლად კი არიყო, - რა ნახე ბილბაო, მაინც ასეთი...

- რა სიზმარი და, პირდაპირ გადასარევი...

- მიპასუხე, მითხარი,

- რა და, ვარდიკო დამესიზმრა, ოღონდ ძალიან პირიქითი,

- რომელი, ჩვენი?

- ჩვენი კი არა... რამ გააჩვენა, ძლივს გაუსწრია, ტან-პირითა და იქით... კაცო, სიზმარშიაც თუ პირიქითობდა, ეს აღარ ვიცოდი, - და, გაიკვირვა, - მაინც როგორი და პირიქითი ჰყოფილა, კაცოო,

- მაინც როგორი... ძეძვნარი ერქვა?

- არა, შეკაცო, არამედ საქციელით,

- მართლა? და საქციელობდა მაინც რას,

- რას და, მიშიკოვ, თავისი თავის პირობაზე, უსაქციელობდა,

- როგორ თუ უსაქ... საქცსაქ... რას აკეთებდა ბოლოსდაბოლოს!!

- რას აკეთებდა და, იმას აკეთებდა მიშიკო ჩემო, რომ, ძაან პირიქითს სჩადიოდა - თვითმფრინავების მატორებიდან ქვა-ღორღს იღებდა, -

...

... გადასარევი. -

რაღა არ ხდება.

თუ, გვხვდება?

გინდაც სიზმარში.

ცხადში კი, მართლა რაღა არ ხდება და გვხვდება, ოღონდ როგორიი,საჩოთირო და უმსგავსი კი არა, არამედ როგორი მართლაც დამაქცეველი, როგორც ამას გ.პ.ვ. იტყოდა და, სწორადაც; კარგი, ამ თანამედროვედ დინგიანებს, გინდაც ხანდისხან, ანუ ტელეეკრანებზე (რამოდენიმე გვივის არხი ეროვნული და ჰამაც ჰვითომც დამოუკიდებელი;) ანუ სახალხოდ დროებით გინდაც სულაც სათვალსაჩინოდ გინაც ვერმთქვლეფთ (ჩავარდნა, ჩავარდნა!), მაგრამ რათ გინდა - მაინც ემჩნევათ ნასუქ და ამიტომაც სათანადოდ ვერმოღერებულ რადგან მთლად გაპოხილულ ("პოხილი - მსუქანი, ნივთთ მეტობა") ყელ-გულგულ-კისრად ჩამოკიდებული უძვირფასესი ფეშტამალი, დიდად თუმც კიკრიალა მაგრამ რათ გინდა - იმ-ს ფეშტამალზე, რამდენად მეტად აელვებული ოღონდ მიხაკისა და თუმცა უმანკო მაგრამ წაბლისა და დარიჩინისა და ზაფრანისა და ზახრუმისაფრად აელვებული, კი, ზედაც დიდად სწორედ საიმათსაფეშტამალო - აქკი მცირე ბოდიშიკი კი მოგვითხოვია მაგრამ სიმართლე სიმართლედ და თუმც საეჭვო, მაგრამ - მთლად პირწავარდნილ როგორ ნეხვზეც გაცილებითაც უარესი ნამუსრევების, ნალაქარები - მოიწყეს, ბიჭთნმან, ცხოვრება, რაღა..., და იმდენადაც აიწყვეს ძღომა, რომ, რომ ტელეამტანეკრანებზედაც კი საღეჭ რეზინებს იღეჭებიან და, რადგან, სხვა გზა ნაკლებ-გვაქვს, აი ემათზე, დასაქმებულად სასაქმებლებზე, რა დაგვრჩენია და, მეხუთე ნამწვის თუმც მიუღებელი ეგრეთწოდებულით თეორიით, აიიმათზედე, როგორ გაყოვლადუნამუსოებზე, ჩვეშეგუებულებმა როგორღაც მაინც და გინდაც როგორ რამდენჯერ ძვირხილულებმა ("ძვირხილული - ავის მნახავი"), ამ როგორ-რაფრა და რაგვანად-უ?, ამ როგორ გაყოვლადუხამსოებულებულებზე, უხამსებიკოებრ, წავიხუმარაოთ:

იმათ საღეჭთზე, როგორ არ უნდა გაგვახსენდეს უნებურად და გინდაც ღიმილით, გინდაც მწარით, და გინდაცდა ვაიდდამხიარულებით თვით ეგრეთწოდებულ „კომუნისტები"ს დროსაც კი გამონათქვამი, რომ,

„კაცო ჟუვაჩკა გამოუშვიათ ერთი ისეთი, რომ თურმე ძალიანი კი მშვენიერი კი კარქი, მაგრამ აბა ხომ განა ვარდი უეკლოდ და პატარა ნაკლი ისა აქვს რამოდენიმე, რომ, ძალიან ჩქარა შემოგეჭმევა თურმე, სუნიც არ ჰქონია მთლად კარგი, გემოც პატარაობით მიუღებელივითაა და, ეე, ჰო - „კამო" ჰქვიან", -

მთლად გვეხუმრება, კი როგორარა, და ეს ხუმარაობა არ იყოოს, კაცო,

მაგრამ ამათი სა-კამო-ე?, -

ულევად არის.

მაგრამ დამაქცევლებზე ხუმრობაც, იმასაც ნიშნავს, რომ, ამ ყოვლისმომცველი გაჭირვებისას, მაინც მოულოდნელები ვაართა, და, შეგუებულებს, ისიც კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ, „ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი", და ხოლო ჩვენა კი, ასე უნდილად, შილაფლავივით შეგუებულები ჩვენს ასე თვალნათლივ დასამარხ, ქელეხს, და რაც გინდა გული გავიტეხოთ და ვიტეხოთ და უსუსურებით ძალიან მოვდრკეთ,

ნუ, ნუ მოვდრკებით, რადგანაც შვებად,

გადასარჩენად,

ეს სასწაულით შემორჩენილი,

გარე და შიდა აფთართაგან,

მაინც რა შვებად შემოგვრჩენია,

რანაირ შვებად, კი, -

მ ა მ უ ლ ი, ე ნ ა, ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა;

ხოლო თავი და თავი მამული?, ჩვენი?.

ეს - ენაა,

და სარწმუნოება,

მართლმადიდებლურად ქრისტიანული,

ჩ ვ ე ნ ი,

მაგრამ დროებით ასე გუობადდაცემულთა,

ხოლო „გურიობა - მიდევნება არევით ("არევა - ერთმანეთში შერევა", - ესაც, მეხუთეც, ნამწვი) თუ მიდევნება „ოგურთა" ხოლო „ოგური - პირუტყვნი მეგობარნი", მაგრამ მისადევნი „მეგობარნი" ისინი იყვნენ? ესა „პირუტყვნი"? - ხანდახან ეგებ, ისინიც კი, და მაინც, პირუტყვს - „უტყვი ცხოველი" - „მხეცი" რამდენად შეგვესაბამება ზოგიერთ ჩვენთაგანს, რადგანაც „მხეცი - ლომი, დათვი და მისთანანი, რომელნიცა ხორცთა ჭამენ და მავნებელ არიან", მაგრამ აი ისინიც ხომ, ტყისამხეცები, ასე მიშვებულ ქალაქმხეცებივით როდი გვმოძღვრავენ, არ ლაქლაქებენ; ვითომ, გვჯობიან? ტყისამხეცები... -

აბა მე რავი...

მაგრამ ეს სიტყვა, სასწაული, ტყუილუბრალოდ არ არსებობს, არა, კი;

ხოლო „სასწაული - საქმე გამოჩენილი",

ხოლო სიტყვაზე კი, - რომელიც რომ პირველითგან (დასაბამიდან ანუ), უუწინარეს ყოველთა საუკუნეთა, იყო, - სიტყვაზე უფრორე მეტი სასწაული?,

არაა ამა გინდ დაბალ ქვეყნადაც, ხომ არა, ხომ -

კი;

და ენასა და სარწმუნოებას,

მოდით და,

შევეკედლოთ,

იმ მივიწყებულსაც ვითომ, სიტყვებსაც,

მთაწმიდელების,

ს ი ტ ყ უ ე ბ ს,

რომლებიც ვითომც გადაშენდნენ,

გადაშენდნენ-ო? -

არა..., -

„სიტვის კონა“ში? რაოდენი რამ, თვლემს,

ვთქვათ, როგორიცაა, ხსენებულ „ეძილისშინათა“სავით, რაოდენი რამ, გრძნობადი სიტყვა, ვთქვათ: „ტანტალი - ცუდი სიარული“, და მოყოლილი ამას „ტარატურა - ჩქარ მოუბარი ვერ კეთილად“ ეგებ „ისულა - სულზე მიიგდო“, „კოწიწი - ჭურჭლის საწებავი“ და კვლავაც „ისულა“დ მასმოყოლილი თანამედროვე „კოწიაწი - 1. წრიალი, ტრიალი. 2. უწესოდ ჭიდაობა, გაწევ-გამოწევა, ბღლარძუნი“, და „კოწიაწობს“ თქვენით ნახეთ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი“ში, სადაც ვერ ნახავთ რომ „სიღამე - ღამის მოწევნა“ა, და რომ „ბარაბა - განვრცობა“ა, თუმცკი გვიწია უახალენოდაც, როგორ, და ხოლო „ათქვლეფა - ძაღლთაგან წუენთ ამოჭმა“ა, ხოლო „მსუნაგი - ავ მუცელი“, და რამდენნაირი ყოფილა „წვიმა“, „ცხენი“ და ხოლო „ღორი“ კი - ერთი ანუ მხოლოდ ერთგვარი, ანუვე მხოლოდ დაკოდილიც და დაუკოდავი მამალი და დედალი და იმათიც გინდაც სუქანი და მრავლია-ნაშიერული შთამომავლობა, ერთია მაინც, და ერთი მგონი-შეცდომაც კია დიდ-კონაში ის, რომ თურმე „მსუყე - ესე არს ცხიმიანი, რომლის ჭამითა კაცი მალე გაძღეს“ - არა; და თურმე ჩვენებური „სვლა - გლეხურია, სლვა უნდა“, და თურმე „ბეჩი - გაშტერებული“, „ბეჩავი“ ნეტავი, აქედანაა? და ბევრს გვახსოვს, ვითომ, რომ „წყალობა არს მწუხარება სხვისა ბოროტსა ზედა“? - მთლად განსხვავებით იმისა რომ, შეგვეფერება უფრო და რამდენად გვდევს, „ისულმოკლა“ - „შური არს მწუხარებაᲘ სხვისა კეთილთა ზედა“ და სხვების ვითომდაც ჯინზე კი - ათქვლეფა და თქვლეფა და თქვლეფა და თქვლეფა იქამდე სანამ ბევრი „ბოყინი - მყრალის ამოქარვა“ არ გაუჯდება, ტვინს, და რომ ვაითუ „გომორთა - ერი შეურაცხი“ მაგრამ ამისაგან მაინც რა ბედად დაფარულები ვიყავით მაინც, ღვთისმშობლისაგან თორემ გომორელებსავით აღვიგვებოდით, და ხოლო „თვარა - დაქადნების სიტყვაა“ მაგრამ უღირსმა გადაწყვიტა არამც და არამც ჩამოგითვალოს ის ყველა სიტყვა რომლებიცა რომ მას ისე ძალიან აღაფრთოვანებს რომ, „ბრუ - რა თვალთა ქუეყანა ბრუნვად ეჩვენოს“ უგალილეო გალილეიდც, თავს შეიკავებს გრძნეულ სიტყვათა მიდევნებისაგან ეს იმიტომ რომ ჯერ ერთი აბა როგორ გასწვდება ყოველივე ამ-ს, და მეორეც ის რომ განა არა გაქვთ როგორ კეთილად გამაოგნებელი ანუ სიტყვისმიერი ბედნიერებებისაკენ მიდრეკილება თუ რა, და ხომ კი-სჯობიან „სიტყვის კონა“ თქვენით რომ შალოთ და შალოთ, შალოთ, ხოლო - თავს ვეღარ ვიკავებ, - ხოლო „შლა“ - „მოშლა“სა და „დაშლა“სთან ერთად, „გაშლა“დ გადაშლაცაა, კი, და აქ მეცინება კიდეც იმ მარტივადს რჩევაზე რომ - „არ წააგებთ“, და მხოლოდ ერთსღასღა დავუმატებდი და გეტყოდით მხოლოდ, როგორ

ცდილობდა ეს დიდი კაცი, როგორ ძალიან მიდრეკილ-იყო, ხოლო „მიდრეკა - ძრვა (ხოლო „ძვრა“ც ალბათ გლეხურია ანუვე - ჩვენი)... ძრვა დაუცადებელი“, და ამ დიდძრვებით ქართულ ენაში მამრობითი და მდედრობითი - სადხარმაყვალივ! - ბოდიშითა და სქესი ერთმანეთისაგან როგორმე ბევრგან რომ განესხვავებინა (რა გამომივიდა, ვაიმე...), ცდილობდა რამდენს, საბა, და ეს სრულიადაც არ გახლავს სამასხარაო რამ, უბრალოდ ახალი ენის და იმის მიმდევარი ფილოლოგოუს მაყვალის ჩართვამ იცის აი ეს, თორემ ჭაბუკი, სულხანი და ბერიც ერთი, საბა, ჯერ მხოლოდ სიტყვა „მანა“ს ახსნაში, რამდენგანაა მცდელობა, ეს:

„მ ა ნ ა არს საღილე ქალთა, რომელთა ზედა კერვენ“.

და,

„ფილასოფოსთა სიტყვითა მ ა ნ მამად ითქმის, ხოლო მ ა ნ ა დედლად; მ ა ს ი მამაკაცისათვის და მ ა ს ა ჲ დედაკაცისათვის“; მაგრამ ნეტა რომელთა ფილასოფოსთაგან, ეს, მაგრამ თავისითაც რაოდენს ცდილობს ეს „სიტყვის პაპა“ (გიორგი შატბერაშვილის როგორ მშობლიურად დახვეწილი „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“), რომ:

„ამისთვის რამეთუ ესრეთ ჯერ არს თქმად სიტყუათა, რათა ბოლოსა მარცუალთა მიერ ვიცნათ განყოფა მამაკაცთა და დედაკაცთა“. და, გვაწვდის:

„ოდეს ვთქვათ წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ უ ე ლ ი ვახსენეთ: მ ო ს ე, დ ა ვ ი თ, ე ს ა ი ა და გინა სხუა ვინმე მამათაგანი.

ხოლო ოდეს ვთქვათ წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ უ ე ლ ა გვითქუამს: მ ა რ ი ა მ, დ ე ბ ო რ ა, ა ნ ნ ა და ერთი დედათაგანი“ - რომელი ნეტა, ჩვენიც მარიამ, მაგდალენელი? სასწაულმოქმედიც, თურმე, და, ეგებ, მასზეც:

„აგრეთვე მ ო ც ი ქ უ ლ ი და მ ო ც ი ქ უ ლ ა და მ ო წ ა მ ე და მ ო წ ა მ ა (ახალქართულით კი შესაძლოა „და“თა სიხშირით დაიწუნონ „წყალი და ნიკო და წიფელი, ხე“). მ ო ნ ა ზ ო ნ ი და მ ო ნ ა ზ ო ნ ა. -,

ხოლო უკეთუ ვთქვათ: მ ო ვ ი დ ა ვიტყვით მამაკაცისასა და უკეთუ ვთქვათ მ ო ვ ი დ ა ჲ დედაკაცისათვის. აგრეთვე ყოველი საზოგადო სათქმელი განიყოფებიან“ - ეს კი. ახლებურადაც და აქვეც, ჩვენში.

ხოლო ჲ-ს (იოტა-სი) უარყოფით ჩვენვე, უგუნურთა, სამაგიეროდ შემოვიღევით ე.ი. და ა.შ. და ა.წ., ე.წ. .... - ა? ნწ,ნწ, კი?, ხოლო საბათი „ჭაბუკა - ახალგაზრდა ქალი“, „ჭაბუკი - ახალგაზრდა ვაჟი“, „ქალწულა - ქალი უბიწო“, „ქალწული „ვაჟი უბიწო“, შენ გესმის, მაყვალ?, ეს რავუჰროგორ ბიწიერობებს დაგვძახებებიან? და, განვაგრძოთ მაინც: „უფალა - პატრონი ქალი“ და „უფალი - პატრონი ვაჟი“, ვაჟი-ო, მაყვალ, ეს რა გვაკადრეს ე.ი. ანუ იმიიანი-ო, გესმის, გესმის შენ, გრამატიკობების პატრონა-მაყვალი?

თანაც შენთვის ხომ სულაც არა გვცხელა, და ვერ გაგვიგია და ბოდიში კიარ მომითხოვია და მაგრამ სულ ვერ გამიგია რომ ამ ასეთ რთულ დასაგებლობაში თურატო გხმარობთ, კოხტივ-მაყვალი?

ჯანდაბი, ანუ კაცურა შენსას, ნაჯამბულაოვ თუ ნაჯამბაკურალო, - ხედავთ, წამოძახება არ მჩვეოდა და, ამიყოლია, და ბოდიშს კი ვიხდი მაგრამ ამაშიაც კი, რაა ეს ჩემს თავს, მაგრამ, გადმოცემით, კილიკიელი ბრძენები თურმე მხიარულ სამოსში ჰხვევდნენ თურმე თავიანთ დიდხანს ნაფიქრალს, მაგრამ აქ უკვე შეუნიღბავი გულისყურით უნდა განვაგრძოთ რომ

სიტყვით მუშაკით, ვრცელი საბათი

„უფალი - პატრონი ვაჟი. გინა ღმერთი“, და,

სიტყვისაგან თვით მამა-ღვთისა,

მისი მხოლოდშობილი და ერთადერთი, და უთვალავად ნაწყალობევი ჩვენზე-დ, ძე-თი,

ჩვენ ხანდახან რომ გრამატიკობით სულელურად ვკამათობთ ხოლმე რომ „ბიძია“აო უფრო სწორიო თუ, არამედ - „ბიძა“, ამ კამათს, დიად კონაში ჩავიხედოთ ის არა სჯობიან, თან ვასვენოთ ენა: „ბიძა - მამის ძმა, ბიძია - დედის ძმა“,

და სიბერეში ორმაგად შესულს, როგორ შეცდომად ერთი რამ დიდშეშლა რომ არ მოსვლოდა, უთუოდ წმიდანად აკურთხებდა და აღვიარებდა მას, სულხან-საბას, თვით ეკლესია, ჩვენი, და მაგრამ, მაინც,

სულხანო, საბავ, უძვირფასესო, ძვირფასო როგორ

რარიგად გმადლობთ,

მაგრამ საბაზე რამდენად ადრე, მთაწმიდელების, და იოანე-ზოსიმესი, და მიქაელ მოდრეკილის, და, დიად მთარგმნელთა, მთლად დაპყრობილებისა და თავისუფლებს სულიწმიდათი, იმათი როგორ უთუო ქართული, და, მის ირგვლივითობას დავუბრუნდეთ კი არა, კრძალვით შევუდგეთ, ეს უფროარი ჩვენი ენა, ვიდრე (თუ, „ვინემ“ -ც? - არა, არც აქეთაა და არც იქით) ახალი, ეს უფრო გვიზიდავს, მიგვეზიდება აღსამაღლებლად და გვამაღლებს, მასში მეტია რამდენად, ძალა, წმიდა სამების მიერული,

და რომ მამული ენაა და სარწმუნოება,

ანუღა, შვება,

და სიტყვა „შვება“ს მაინცდამაინც ნუ გამოვედევნებით, ასე განსაჯეთ, ახალქართულად, სჯობს,

იმას ვამბობდით რომ მამული რომ ენა არი და სარწმუნოება,

რაც, გადაგვარჩენს,ც,

და, ამაებიდან, ამ მორწმუნებრივად აკინძული სიტყვებისაგან, ჩანს ეს ბევრგან და მერედა როგორ,

თუნდაც ეს ერთი, განუზომელი, შევედრება შევრდომილური:

„ხოლო მე გლახაკ და დავრდომილ ვარი მე; ღმერთო, შემეწიე მე; შემწე და მხსნელი ჩემი ხარი შენ; უფალო, ნუ ჰყოვნი“ - ა?, როგორ ჟღერს ეს, უჟღერს უღირსს ეს „ვარი მე“ და „ხარი შენ“... ხარი, ანდა

სად „გიხაროდეს“ და სად -

ჰეჰ, -

„გიხაროდენ, ცოდვითა დაცემულთა აღმადგინებელო“,

ან, სად „ცათა შინა“ და სად „ცაში“,

„ცაში“ რა - რეისული აეროპლანია?

და „გაგანია“, არცთუ ურიგო კი არა, მშვენიერიც კი სიტყვა ეს, ანუ ჩვე-ახსნით: „მეტისმეტად ცხელი“, ხოლო „მხურვალი“ ძველებურად - „ცხელის ბუნებისა“, და „სიცხე“ში კი „პაპანება არს მოუთმენარი სიცხე მზისა“, - ვერ გვხმობს თუ, რა, ხოლო „პაპანაქება“ კი, „ისეთი ამინდი, როდესაც მზე ძალიან აცხუნებს“, რატომ „ნაქება“, მაგრამ ზოგ არნოლდს, ესა ქართული, გინდაც აქაიქ ა.შ.იანი, რაღაცა არი, უყვარს, და როგორ მერე, თავზე-დაც მეტად, ანუ „უფროსად - უფრო დიდად“, ხოლო „უფროსი“? - „უმცროსთან ნახე“, მგონია ცოტას გვაშაყირებენ, მაგრამ, უმცროსი, ხოლო „ესე უმცროსი განიყოფებიან ექუსად: უმცროსად, ცოტად, პატარად, დარედ, მრწემად და კნინად“ რომლებიც ითქმებიან სულიერებზედაც და საჭმელ-ჭურჭელზეც,

და უფროსი კი მაინც სხვა რამ ჰყოფილა, ხოლო უმცროსთან რადგან „ნახე“, „უმცროსი ითქმის ყოელთა სულიერთა და უსულოთა გვამოვნებასა ზედა, სადა ითქმის უ ფ რ ო ს ი მისთა უმცირესთა უ მ ც რ ო ს ა დ სახელ ვსდებთ“, სწორია, აქაც, დიდმუშა, საბა,

და ესა ენა, ძველმშობლიური, მოსანატრი და მონატრებული მართლაც და თანაც დასაწაფებელი და თან როგორ - გინდ მივიწყებულ არსში გამჯდარი და თანაც ბრიყვლიბრგადაკრული და თან ამოსატივტივებელი და თანაც როგორივ ბედნიერებად დაუჯერებელივით,

მაგრამ როგორღა შეიძლება თუ, არ შენაღვლიანდეს გინდაც მთლადმრავლადახალსიტყვებიანი, ვინმ, როდესაც, თვალწინ, გადაეშლება: როგორი მერედა რამ, უჯერებელივით,

„და მოუხდეს მას (მათე 16) ფარისეველნი და სადუკეველნი, გამოსცდიდეს მას და ეტყოდეს, რაჲთა სასწაული ზეცით უჩუენოს მათ.

ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: შე-რაჲ-მწუხრდის (რა სიტყვაა, ღვთით), სთქუთ (ამბობთ; იტყვით): ყუდრო იყოს, რამეთუ წითს ცაჲ.

და განთიად სთქუთ: ზამთარი იყოს, რამეთუ კსინავს ("კსინვა - ავად აშლილივით ჰაერი") ცაჲ. ორგულნო, პირი სამე ("სამე - სადმეს ნაკუეთი") ცისაჲ იცით ცნობაჲ, ხოლო სასწაულნი ჟამთანი ვერ გიცნობიეს გულისხმის-ყოფად", -

გვეხება, როგორ!.. არადა გვეხება კი არა და, გვწვავსა და გვთუთქავს,

და ერთსაც უღირსს, როგორ უნდა რომ შეერწყას ერთურთს, ერთიმეორეს ანუ, მისი მთლად ძველიცა და ახალიც, ენა, რაღაცა არი თავს ურჩევნია-მეთქი ესორივენი, თანაც ერთად, და თან სარწმუნოებით გადანასკვული, ანუ მამული,

ხოლო მამული „რაღაცა არი" კი არა და,

ღვთისმშობლისაა,

მ ი ს ი რონინით - „ხელით ტარება" - საზიდნი როგორ ძალიან ძნელად, რადგან ასამაღლებლად სატარებლები, ჩვენ,

და, მამულია, რაა აბა, წინასწართქმული: „სული შენი ჩემთვის დასდვაა? ამენ, ამენ ("ჭეშმარიტად") გეტყვი შენ: არღარა ეყივლოს ქათამსა, ვიდრემდის უვარ-მყო მე სამგზის"., და ეს სამგზისი უარყოფაც მამლის ყივილამდე თუ ყივილებშუა როგორ სხვა და სხვა გვარადაა მახარებლებით, და იქამდისინ უნდა ვიკითხოთ იმათი ზემადლით აი თუნდ ესა აი ასეთიც ბრიყვებისათვის ვითომც არაზუსტი ადგილები სადამდეც რომ არ მიხვდებით ამ დიად, ათეისტთათვის ე.წ. უზუსტობას, დაუძლეველი - არაფერია, თვით სახარებაც კი შესაწვდენია მისი აჩრდილის თვით უდიადეს ტერფებამდეც კი, ამისათვის კი როგორი წვდომით, კი, რა დაჟინებით უნდა

„ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით და ჰპოოთ; ირეკდით, და განგეღოს თქუენ.

რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მოიღის; და რომელი ირეკდეს, განეღოს.

ანუ ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა სთხოვდეს ძე თვისი პურსა, ნუ ქვაჲ მისცეს მას?

გინა თუ თევზსა სთხოვდეს, ნუ გუელი მისცეს მას",

და სწორედ იმ გველზე, ჩვენში რომ დაღოღავს, სწორედ იმაზე, ეგებ და ნეტავ,

„გიხაროდენ, მშობელო შემმუსვრელისა მის თავისა ძველისა გველისაო",

გველი, ის ძველი,

თვით სამოთხედან მოყოლებული,

მომოკაენეც,

და ეს როგორი ენა გვქონდა კი არა, მთლად განუყრელად კიდევაც გვაქუს, გონის მთვლემარე უჯრედებში, სადღაც შორ-სისხლში, თუმც ახალითაც როგორ მშვენიერი კარგად შეგვიძლია გამოვთქვათ ის რომ

ბილბაომა, კი, მოულოდნელმა, ერთხელ (2001 წლის საუცხოოდ გავარვარებულ-გადავარვარებული ივლისი)ასეც თქო:

- რას ვინატრებდი? ნეტავი როდის მოვა ზამთარი.

- რა?! - შეიცხადა მკვიდრმა მიშომ და, გათაყვანისსაცემს (ოღონდ მხოლოდ ადამიანებშუა), ასეც კი ჰკადრა: - გადაირიე, ბილბაოვ, შენ!? რარეებს ბჟუტურობ სულელო შენ... მოგენატრა ხომ, პალტოიან და კაშნეიანა ბათინკებით ძილი შენ, ხომ?..

- რამ გადამრია ჩემო მიხეილ, ძიგძიგი კი არ მომენატრა, მოუკვდა პატრონი, მაგრამ ზამთარი საბოლოოჯამ მთლიანობაში მაინც ხომ მოვა და მოვა (ე.ი. ალბათ გულისხმობს უახლოეს 2001-2002 წლებისას ე.წ. სეზონისას), და ამოვისუნთქებთ მთლად, რადგანაც ჩვენი ნავთობმაგნატთა უშურველი, ისემც!, ხათრით გამეირთვება ნაღდად სინათლე და რა სჯობს ამას...

- შეიშალე, შენ. ნამდვილად. კი...

- დამაკვირდევი აბა მსჯელობაზე და თუ ვარ შეშლილი, იმისაც ნახავ - ბიჭო მიხეილ, მიშიკო-ჩემო, და ხომაც გამოგვირთავენ ნაღდათ უდავოდ (ოტ სლოვა „უდავ“) სინათლეს და, ამ ჭეშმარიტად დიდად ნაწყალობევი უსინათლობით ჩვენი ბოვშები ხოვეღარ მეიწამლებიან ყოვლად სადისტური მულტ-პანორამაებით, მოახალგაზრდავეთ ხოაღარ ყურში არ ჩაესმებაბახბათ ზანგური ჯღნავილ-კნავილჯნავილი, თან იძახიან, ბოროტის წყევლას წაღმა-უკუღმად შენიღბულად გვირახუნებენ ქართულ-თავშიო და მაინც ჭრისო და ჭრისო ანგლისკანურაადაც თუგინდა და რაა აბა, მიმოიხედე, ამდენ მართლადა შეშლილს ჩვენი ნახევარსფეროს მთელი ფსიქიატრები ვერ ნახავენ მისდღემჩი ერთად, მაგრამ ალბათღა მხოლოდ ჯერჯერობითია ეს შეშლილობანა მაგრამ განვაგრძოთ, და კიდე ის რო ეს უმუშავარი ჩვე-ჯეილები თუმც რაღადროს ჩვენი ჯეილობაა ხოვეღარ დავძღებით ამზაფხულივით ოცდაოთხ საათს მოწოდებული რაკუნთებიან ყელ-აქეთ ჩვენსაც გამომღადრავ ძალადობების ფილმ-კინოების ყურებებსა და ჰოლივუდაურ პილწურ ვნებებს ხომ ნუღარ იკითხავ, თავს დავდეფ რომე ზოგი მათგანი ნამდვილად არ იქნება, მიშოვ, მთლათ ქალიშვილი, კი, და გვძინავს კი არა, გვღვიძავს მთლადაც თვალდაჭყეტილებს დემი მურიანა და სხვა, ჩემი ხელწამოსაკრავებია განა მაგინი და მარადა განა და აბა ესაა განა საქმე რო სამსახურების და პენსია-ხელფასების გაუქმებით რომ ასე უსაქმოდ მივჩერებივართ ჩვე-ასე იძულებითად წელმოწყვეტილები ზოგიერთ უფროგამოჩენილ არხზე დღეში შვიდ-რვობით ტუტუც სერიალს, იმა ვიშ-სერიალობის შიგადაშიგ კი აგერ ის დაიბრიდაო, იგერ ეს კატასტროფა მოხდნა, ინგრევა მუნ სახლი, საჭმელი არ გვაქვენ და სამაგიეროთ ამის გამომცხადებლებს ეტყობათ გამომეტყველებებზე როაქვენ მაგრამ სამაგიეროთ დიდი გაჭირვება გვაქვენო, ავადმყოფობებიც რომელი გინდა სულოდაგულო ძალიანი გვაქვენ და

სამაგიეროთ სამედიცინო მარტო? - ორასი ინსტიტუტ-შენობა გვაქვენ სადაციქ თითონ-თავისით გააკადემიკოს-გაპრაფესორებულ რექტორ-ყურბანები გვაქვენთან ერთად ამასთანავე აგრეთვე გვყავენ, და ამ ინსტიტუტობანებობებით ხო, ძალიანც გვყავნენ და ვის არ ოუბნევს ისედაც გამოფიტულ ტვინს ამდენი სხვადასხვაგვრული ჰამბავებისა კალეოდისკოპურ-კორიანტელური ხათაბალაურ-ალიაქოთი და ერთი ჰაი და ერთი ჰუი და მოკლეთ ბევრი ვუი და დავიდარაბა, ვის არ ოუბნევს-მეთქი ისედაც გამოფხეკილს უჭმელობით ამჩვენტვინს და სამაგიეროდ უმსგავსობებით გამოტენილ ჩვესაწყალ თვალებს და ყურს და აბნეულ თავგზას გინ მყარა-ქართულს ოღონდ ამდღისას და მითხარი აბა არაა განა აბა ასე ბოლო ხანებში დამუნჯებულოსავით ერთოც ქართველლო, ჩემო მიშუტკი?

შეფიქრიანებულიყო, ერთიც მოდრეკილი,

- და აბა მართლაცრო დამ-და-გველ ასეჩვენნაირ ელექტრიფიკაციას განა ის არ სჯობს, რაცგინდა ყინვით ვიცახცახოთ და ოთხკედელშუა ვუშვათ ორთქლი, სულ ვიყურყუტოთ არ გვირჩევნია ამიმ მთლადაც უმწიკვლო ბაჯაღლო ბნელში?

მოკლედ, ესა ბალბაო, უცხო ყოვნებით მოულოდნელი, ანუ არცთუ ისე ასე ძალიან მოსალოდნელ-ც და მოულოდნელიც იყო, ბჭობებით,

- ახლა, გაზეთებს აღარ იკითხავ? დავასხი თავსლაფი, ამაყსიტყვებიანს გინდაც, - ინფორმაციაო, მაუწყებლური არხებ და კანალებიზაციაო იგი, და პრესსა... კაცო! - გაბრაზდა უცებ ბილბაო, - კაცო, რაჩემი საქმეა თუ, თურმე ვიღაცა მუხრანელმა რომელიღაცა კიდოსხვა მუხრანელი ცალფეხში თურმე სუმბუქად რო დასჭრა, და რომ ახლდეს ამას რამე პატარა დამანამუსებითი პატარა ახსნა-განმარტება თუ რისთვინ და რატომ მოხდა ეს ცივიარაღიან-მუხრანული ამბავი ცივ იარაღებს რა უჭირს კიდე ჰაუბიცები გვიყენია ზოგ ყაჩაღ-ყოჩაღ ჩვენგანს, ანთუ აგვიხსნიან თუ რა შედეგი და შემდეგი მოსდევს დაწყევლილ ანგა/რებას - ეს ბოლო სიტყვა ძველი ქართულით, ვითომ? შენც, ბილბაო-ბრუტოს? თუ, „ჰ“ სილამაზისთვინ ჩოუმატე, ბგერაა ნაღდათ-აეროვანი, - და რო დავეფიქრებინეთ ან დურაქობასა და ან მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებობაზე სხვა იქნებოდა ეს, მაგრამ, პრასტოი-უბრალოთ, მარტო და ხოლოთ, გვაწვდიან მხოლო-დ აი იმას რომ, თურმე ვინცხანა მუხრანელმა ვინცხანავეზე იხმარა დანა, ან დანაკად მცირე მახვილი თუ სატევარი თუ ფრანგული თუ ატვიორტკა, სხვა იქნებოდა ეს, და მაგრამ ამით გათავდა და ამით მორჩა ეს დასა-პრესსი ვითომ, ადგილი, ვიჰ რა კარგია!?

ძალიან სდუმდა, „გადაირიე?“ -ს შემკითხველი, კითხვის დამსმელი, თუმცა ზაფხულში ნაკლებშუქიან ზამთრისაგან ხომ განსხვავებით უფრო ადვილად იკითხება. თითონ პრესაც კი...

- მაგრამ მე მაინც დიდად ვეჭვ, რომ, რომ, აი, ისა, რომ, მთლათგანგებაამოწყობილიესყველაფერი!.. ... უნდათ, როგორმე გადაგვაგვარონ. ბოროტი ძალით... ბოროტით, კი. აბა სხვა რა დამრჩენია დასასკვნელურად აბა. კი. დიახ. კი-კი. - ტყვიას ტყვიაში აჯენდა თითქოს, სიტყვით. - მაგრამ ვერ მოგართვით, რადგან, ერთი ბილბაო ვარ მე და შენ კიდე - ბარსელონა... - ქართველები ვართ, მიხავ. კი, კი. ეს დემოკრატიაც ჩვენებური, მიხულივ ჩემო,

თლათ სპეციალურადაა აირწინაღულათ შემუშავებული. მგონია სადღაც წამიკითხავს ანდა მეშლება, ვიღაც გრიკიო ყოფილა სადღაც გვარად თუ სახელათ გოუბედურებულ ხალხშიც შორს ჩვენგან ერთი, - ეჰეჰ, ძლივასღა არ აურია?, ახლა ბრმა ტყვიებს ისროვილებოდა, მოგვილბა გული, სნაიპერულათ, - და თურმე იმის გამოისობით რომ ის ვრიკიო თუ რაღაც ჭირი ხელისუფლების წინაშე და წინამდებარე ქედუხრელი ჰამაყი რაღაი იყო, თავის დარდს თურმე მთელი ქალაქი სწორედაც რომე კანკრაზ იმკაცში მარა კაცი ის არ ყოფილიყო მოკლეთ სწორეთ იმაში იბათილებდნენ დაჩაგრულები რომ გულს რო იოხებდნენ იმით, მრიკიოთი, მიშიკ, მარა მერეთე ოღონდაც მარტო იმრაცხა წიგნში გამეირკვა რომ თურმე რასწორეთ ეიმას თელათ უფროსი იქოურობის სწორედ მას, თურმე, ხალხის სიამაყეს და, ყურმოჭრილს, თურმე, ოღონდ ძალიან უხილავათ დიდი ყურები ადგილზე ქონდა, და ყვლიპავდა თვალებსაც, და თურმე ავალებდაუ თურმე უფროსი თურმე იმას რომ, თურმე, ამას, ქედმაღლობას, თურმე ისე-რა ხალხის, და ხალხის დიდი უმრავლესობა ხომ ისე-რაა თუკი რაცკარგები ვართ ის არ არიან, და, მაინც, ჩვენც ხომ არ ვართა ნეტაი ასე, ამითივ ასე მოწამლულები, მიშიაკ-ჩემო? ეგეფ ამ პრესსკოს საგანგებოთ უშვებენ ამ ქვედაღმართში და ასე თავქვე, ვითო ძალიან მამაცურათ რო იჯღაბნებიან, შტერი გულები რომოგვეფხანოს? რაღაცა ქვია... და, მე არ ვიყო ერთიც არნოლდი, თუ... -

რაის არნოლდი?.. -

ძველებურობდა.

სად არნოლდი და, სად ბარსელონა... - ვაიჰ! - მეც, ბრუტოს?

მაგრამ ბილბაოს დავუბრუნდეთ - ძველებურობდა? ვითომ? რას გაუგებდი, თანაც ბილბაოს, აკი ძალიან მოულოდნელები,

ვაართა.

კიკი.

და რა გითხრათ აბა, მე-უღირსმა... ბილბაოს შემდეგ. ისეთი მჟღერი სახელი მაინც მერქვასრო როგორიცაა მჟღერი ლონ-დონა, არამედ მხოლოდ რაღაც უღირსი, და დიდი-დიდი მოსალოდნელი ძაან-არნოლდი, მოყმი... მაგრამ, ამდენს როხვდება ბილბაო-ჩემი, თლათ კიდოაქეთ შევიშალევიც, მეც?

შევცქერი, რაღა...

ვის და, მოდით ერთად შევაცქერდეთ... ვისა და, ჩვენსას, შევცქერით, ჩვენს, ერს...

სივდება, გული.

სივდება გენაცვათ, ბეჩავი გული,

და სხვა თუ არაფერი, უვიტამინობას კიდევ რა უჭირს, ის გადაგვრევს რომ, ამდენი მიუხედავად იმისა რომ ძალით მაგრამ მაინც გაქურდბაცაცებული შემოგვეალყა და იმათ კიდევ რა უჭირს და რა უჭირთ რადგან ავაზაკებით და უმუშევარ თუ

მაღლად თუმცახვიშტ თუგინდ ყურით მოთრეულთანამდებობიანებივით არ გავსებულა მთლად ქვეყანა რადგან ბიუჯეტს არ მოუკლდეთ განმყოფებისგან მაგრამ ვინცკი არიან, უკვე, ერთგულები ეძახე და, გადაგვძოვეს მთლად, ხოლო ქურდ-ბაცაცებს და განსაკუთრებით ავაზაკობას და მთლად განსაკუთრებით ყაჩაღ-ყოჩაღებს ვიღან დაიჭერს, დეიჭირავს, ვინ, მთელი ეს ჩვენი სრულიადი თერაპევტობა თლათიმათია, რიგითებიდან დაწყებული, მთლად დასაღუპათ-ამაღლებულებით დამთავრებულებ-იქაჩასავარდნ-ჩავარდნილები ხოლო ახლაღა დროებითურად ამოვარდნილები ანუ ეს მაინც რამხელა გასაქან-ჩინს კიდებენ, ესა ურთიერთ-ჩასაქვესკნელებულები რომ... რომ... აჰ, აჰ, მტრისას, გვაგინებს ვიღაც,

და კიარ ვარ მაინცდამაინც ცრუვიმორწმუნე, მაგრამ, ჩვენ კიდე თუღა შეგინებაღა გვაკლდაღ? -

და მაგრამ, მაინც, მე ჩვენი ახალგაზრდობაო, ისაო, აუჰ, ხომ-ვერა ვიტყვი ამასა, მაინც? ისინი კიდე? -

აჰუჰ, ჰუხუჰხუხჰ...

კიდევ კარგი რომ, გვიარსებობს, „ჰ“...

...

და, მაინც, რწმენით, შევცქერი,თ, ჩვენს ერს.

უილაჯობით თვალის ახვევა და მოჩვენებითი გულდაჯერება და ყალბი სასო არაა ეს, და, გამონაკლისად რომ არ ვიგრძნოთ ცივსისხლიანით თანდათანობით უფრო და უფრო მეხდატეხილი (ეს ბლაგვი მეხი მაინც რაღა უბედურობაა, არც გამიგია არსად) ტვინიანი თუ პირიქით, თავი, გავიხსენოთ და ვიმხნევოთ გული რომ ჯერ კიდევ როდის, რამდენად ჩვენამდე, ამჩვენისთანა გაუბედურებულების დანახვაზე, თვით იმან, იმან, დაგვინახა ჩვენებურები, ჩვენისთანები, ჩვენდაგვარები და

„და ვითარცა იხილა ერი იგი (მათე 9,36), შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყვნეს დამაშურალ და დაცვივნებულ (დაღლილ-დაქანცულნი და გაფანტულები), ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი“,

და, ხოლო მარკოზთანაც, მერვე, 2 -

თვით ი გ ი, ამბობს:

„მეწყალის მე ერი ესე, რამეთუ სამი დღე არს, ვინაჲთგან მელიან მე, და არარაჲ ააქუს, რაჲ ჭამონ“, ხოლო „მელიან“ როგორღაც ყოვლად მოულოდნელად აქ „ჩემთან არიან“ს, ნიშნავს, და ხოლო ჩვენ კი სამი დღე კი არა და, რამდენი გრძელი და ვრცელი და მაგრამ ფუტურო წელიწადი არა ვყოფილვართ ჩვე-მიედ-და-მოედ ზედაპირულად აქაიქები ოღონდ შიგ წუმპეში და სულაც არ ვმყოფიერებდით თავად ი მ ა ს თ ა ნ, მ ა ს თ ა ნ

ვინც, მუდამ ჩვენთან, და ჩვენთვის იყო, დაისევ ჩვენგანებიდან, როგორ სატანჯად მილურსმული,

და, ვივიწყებდით ვითომდაც როგორღაც მთლად ახლახანაც და კიდევ ადრეც და, მაგრამ,

მაგრამ ღვთისმშობლით გამოგზავნილი თვით წმიდა ნინო, კაპადოკიელი შორი ქალწული, წმიდა გიორგის შტოსიც კვირტი, ამოსაფურჩქნად ნაბოძები და მერე ვისგან, ჩვენი რარიგად გადამრჩენი და მთლად ახდენილი უკეთილესად უსათნოესი ს ი ტ ყ ვ ი ს, ზმანება, მაცხოვარებელი ქალწული, ნინო, მარადცოცხალობის მომნიჭებელი როგორი ნაზი და მთლად შიშველიფეხის,გულებით მოსული, ჩვენთან, მაღლითნაყუჩებ ავმხეცებშუა, გზად, და, გვიქადაგა და გაგვაკვირვა სასწაულებით საქმით და სიტყვით მთლადაც იქამდე, სანამ ბოლომდე არ დაგვაჯერა გაკერპებულებიც კი და, ღვთისმშობლისადმი როგორი ძლიერ ვალმოხდილი, მერე ისე-უბრალოდ კი არ გარდაგვეცვალა, არა, დღესაც ხომ, ჩვენთანაა, კი, ოღონდ, სულ, ყველამ, მაგრამ ვიცითრო? და, მაინც, მაგრამ ეგებ კი არა ყოველ წამ და წამ მთლად მოუთმენლად, სულმოუთმენლად მოველოდეთ-უნდ იმ სანუკვარებას, რომ, აი ახლაც, როგორც მაშინ

„ღელვის შინაგან მქონებელ-იყო საღმრთო ნინო, ხედვიდა რა ბარბაროსთა წარმართთა სასტიკად მიმძლავრებასა სატანისაგან, ხოლო იჭვნეულობდა ეშმაკი, მდედრსა რა ხედვიდა სძალსა საღმრთოსა; ხოლო, სცნა რა დაცემა თვისი სრულიად და მოოხრება თვისთა საცთურთა, ისწავა ("ისწავლა, სწავლა ყო", მიხვდა), ვითარმედ სულისაგან წმიდისა არს მოციქულებრ სრბა მისი და მგოდებელი თვისთა ძალთა თანა ივლტოდა გოდებით; ხოლო ჩვენ, მონებისა მისგან ბნელისა ხსნილნი, ვხმობთ ესრეთ: ალილუია ("აქებდით უფალსა", ახლებურად კი, „ალილუია"), მხოლოდ „სიტყვა რომელიც დაერთვის ბოლოში ყოველგვარ ლოცვას" - კარგია-ახსნაა, არა? კიდევაც კარგზედ ჭკუასა ვართ, მე და ემ ამ შენჩემმა ტყრუშულ-ლექსიკონმა, ხოლო „ტყრუშული - მსხვილი წნელის ორმაგი წნული"-ა,

და ერთხელ კიდევ გადავიკითხოთ, რაა? ოღონდ, რაღა თქმა უნდა, წმიდა ნინოზე.

...,

ათეისტები ვიყვნეთ, თუ გვაწყინოს,

.....

გადავიკითხეთ? კი?,

ხოლო „სასწაული", ოღონდაც ახლებრივი ენით: „სასწაული - არაჩვეულებრივი, ბუნების კანონებით აუხსნელი (ისემც ...), ზებუნებრივი (კარგიაჰ!..), თითქოსდა ღვთაებრივი მოვლენა", - თითქოსო, ბიჭო, ვაიმებიჭო... კიდევ კარგი რომ, თითქოს-და, ო - და მოვლენა ხომ, ყოველი - ღვთისაა, არა? რაა აბა, აბა სხვა ვისა და ან რაისი, ჰუჰ - ე-ასე-ამგვარად განსწავლულები, ვაართ, და კიდო კაიჭკვაზედ ვართ, მაგრამ

უდიადესი წიგნიც ხომ ჩვენთვისაა, წმიდა სამებით ბოძებული, მთლადაც პირველი აი ისე რომ, რომ ხოლო-ასე 22 ტრილიონ III მილიარდ IV მილიონ ოთხას მეექვსედ თვით „დონ კიხოტი“ და „ომი და მშვიდობა“ მოდიან და ამაზედაც გმადლობთ, იმათი იმათით გადმოწერისათვის, ის მერე რა რომ რჩეულებისაგან ჩვენი, რადგან ჩვენიანებისაგან მაინც, ხომ, ჰო და არა-სი დარღვევების როგორ ძალიან მოყვარულებისა და კი არა და, თავდავიწყებით შეყვარებულებისაგან, ხოლო სამყარო მახლას - „რას იზამ, რა გაეწყობა“ - დიდია, და რა გაეწყობა, პატარები ვართ, ძალიანი, მაგრამ

მარკოზ 13, ლუკა 1, და 16, და იოვანე 1, და 20, და კიდევ მრავალი ადგილი და ნაწყვეტიც კი ამოწერილიც კიაქვს უღირსს, მაგრამ..., ამ ამონაწერებს რომ მივყვეთ, მართლაც ძალიან შორ-შორს წავალთ (ნეტამც!..), თანაც რას ვბედავ, სახარებისი ყოველი თავი, მთლად ბიბლია როგორც კი არა, ერთია, ერთი, სრულიადი და მთლიანი, V F Sით, და მხოლოდ მარტოკინს უნდა გეწყალობოთ და მოინებოს თქვენთვის გადარჩენა და გადარჩენა ხოლო-კი თქვენითაც, როგორ კი-უნდა იყვეს, ეს სასიკეთო ყველაფერსა და ყოველივეზე მეტად, როგორ, შებმა, და, მაინც, მაგრამ, ჩვე-ერთობლივად უცილობელი გადარჩენისათვის, სულ ორიოდეს მაინც, ნაწყვეტს, ჩვენდა იმედად, სიხარულისათვის, და გადარჩენის... მაგრამ ბილბაო, დაგაცდის, რამეს? კარგით, მივუგდოთ მაინც ყური და, მერე განვაგრძოთ, ხოლო ბილბაო:

- რა უცნაურია, ბიჭო-მიხეილ, მაინც, რომ, რამ გადაგვრია ასე ჩვენ მაინც-ჩვენითაც, მიმოვიხედოთ, რაღას არ ვხედავთ და გვესმისა, ვაი სულო და ვაი გულო, სულოდაგულო ასეთი მაინც დააშავე რა, რა აღარ გვემხობა მხოლოდ თავზე კი არა და ტანსაცმლიანაც გადასარევებს, ეს აწყვეტილი ჩარჩობა და ქორვაჭრობა?, დავუშვათ, კაი, და უსინათლობა?, კაი, და უმუშავრობა?, კაი, და ვითოშრომის ფერხულში ჩაბმულებისათვისაც უხელფასობა?, და დასასვენებლებისათვის-ვითო, უპენსიობა?, დავუშვათა და, კაი მაგრამ როგორი ვაი-ვაი, ღამე-ღამობით წამდაუწუმად მაღვიძარული მოშიებული ძაღლების ყეფა და მარტოყეფას კიდო რა უჭირს, ბიჭო, მთლად გამოკბენილი გვაქ ხანდისხანობით შეკაცო, მიშო, ბოლოსდაბოლოს, ის, ბოლო-დაც კირო ითქმის, მაგრამ განვაგრძოთ ჩამოთვლა მაინც, იმ-ამ-ნატკენებმა და, ეზო-ეზოებ თუ სადარბაზოდ და ოთახებიც კი როგადაგვექცა საასპარეზოდ სავირთხავები? - კი, და ეს ყოველი ჯურის თერაპევტები?, მაგრამ რა ქნან იმათაც, სუმბუქად რბილი სიტყვებით ხომ, ხარბებია და მაყვალის არ იყოს ბოდიში კი მომითხოვია გამოთქმისთვის და, ქოსმენები,

- ქოსმენი რაა,

- ღორი,

- და, მაყვალი და ეკალბარდი?

- ერთია რაღა, ჰოდა, იმას ვამბობდი ამ წუხელისღამ კოღოებითაც მთლად დაკბენილი რო ეს საჯიბო ჯიბიდანებგავარდნილი თერაპევტებიც და ხოლო საკბილოსი კი რენტგენოლოგები, ისინიც კი, მეპატიოს ასეთიც ცოდვა და, კაი,

მაგრამ არ შემიძლია არ დავსძინო რომ მაგრამ რაცმეტი პაგონები და სამხარეო სამხრეები? - თლათ უფრო გლახა, და, თვით პროსტიტუციაზე რაღა უნდა ვთქვა და არაფერსაც არ ვიტყვი და არ გავიძახეფ რახან პატიოსნებია ამ ჩვე-ზემორეთ და ზემორე უკანასკნელთზე რამდენადროგორ და უმწიკვლოებით-ხო ქალ-გულივერებია ჩვენს ლილიპუტურათ-თერაპევტულთა მზიურ ქვეყანაში ვითამ, თუ ეგებ, და არ დაგვავიწყდეს რო გინდაც ფიზიკურათ მაინც კეთილებიას თავი რო გავანებოთ შეიხედებიან-მაინც ზოგრამით მაინც და არა როგორც ეს ავტოუცნაური ესჩვენებური ავტოენური პატრიოტობაპარნტრიონტული? ვაიმე ბიჭოდა, მაინცკაი, და, მე ვითომ შევძლებ და ჩამოვთვლი ყველაამ უბედურობას, ჩვენსას?, მაგრამ კირო ვართ შეგუებულები ამას, ყველაფერს, სირცხვილი ჩვენი მაგრამ ერთ რამეს ვერ შევეგუე ვერაფრით მაინც,

- რას!,

- თრახს!,

- რას?,

- რას-და, მაგრამ-რო ბედი არ გექნება კაცს, ამ-მე ჩემსასაც გეტყვი ჩემო ზოგიც მიქაელ რა იყო არამედ მიშო - კაცო, ხოა, მიხეილ, როგორი კარგი მიკუთვნილებებ-წოდებები - თბილისის ანუ მაინც ქალაქის და ახლა ვითოქალაქის მაინც მთავარი არქიტექტორი, და ქალაქის მთავარი ორთოპედი, და ქალაქის მთავარი უყალმოდ მხატვარი და მთავარი ყელ-ყური და გინა ქალაქის მთავარი თვალ-ყური ანუ უშიშ რა იყო და, საშიშროება, და თვალ-ყელ-ყურს რაქვია ნეტა ბიჭო ლათინურათ და რაღაცა გინდა ერქვას მოკლეთ მთავარი ისინი და მაინც მთავარი ისაა და თერაპლევ,ტებზედაც კი უფრო გლახა რომ ჩვენდა როგორ სამარცხვინოდ შეგუებულები ვართ ყოვლის-ფერ ამას მაგრამ ერთ რამეს ვერ შევეგუე, მაინც,

- რას....

- თრახს!

- რაითრახია, აღარ ამოშაქრავ?

- კი. რათრახია და, ზოგს როაქ ბედი და იმის ქუჩაზე რომელიმე მთავარი თავიც კიროცხოვრობს, ზოგ ჩემისთანას რომ არ ექნებათ ბედის მოლეკულაც, ამჩემ ჩემისა ქუჩაზე, მიშკოვ, ლერმონტოვისი ეძახე შენ და მაგრამ მაინცკი ამ ჩემ ქუჩაზე, არ დამიჯერეფ? - ქალაქის რამდენიმე მთავარი დეგენერატი ცხოვრობს,

- აჰ!

- კი,

- როგორ ეს... მთავარიო და, რამდენიმე?

- კი. როგორ და, მიშო, სხვა ქუჩებივით ქუჩისშვილები ყავთ და ხო იცი შენც კი, მიშაელ, შე ყოვლად უცოლდასიდედრშვილო რო მშობელის აზიზი გული - რახან ბაღნები ჰყავთ უყვარს ისინი და ისე ზედმეტათაც უყვართრასაკვირველია რო,

ხანდახან, მტრისას, რახან, შტერობით, რას ყიდულობენ იმათთვის, მიხავ, თუ იცი ეს შენ, რას?

- არა?

- რას და, მიხაკოვ, რაღაც თურქული ვითოსათამაშოებ მაგრამ-ასაფეთქებლები რომაა, კაცო, ყოველ ნაბიჯზე, იმას განსაკუთრებულათ გამოულევად ეზიდებიან ესჩემის ქუჩის დეგენერატები და საიდან მერე თუ იცი, საიდანე და ახლა ძალიანი რომ გეიძახიან თურქები ჩვენი ნამეტურ-მეგობარი სახელმწიფოაო, და მაინც, მე ისე მგონი, თურქი და ისიც არაჰისტორიული, რამეკაის მოგცემს ის შენ?

- რატომ, ბილბაო, ხომ გაგიგია, მეგობრობაო, გზად და ხიდადო,

- რომელ ხიდადო, მხტნურის? შენ, მეგობრობის მხარდამჭერო, კიუნდა იცოდე მაგრამდამაინც რომ, ისეთ-კაი ხიდით იყვნენ დამეზობლებულები, მეტი რო აღარ შეიძლება, ასე ერთ-ერთ დღეს კი, მაგალითად, ასიათასამდე ქართველს მოგვჭრეს თავი და თუ იცი რატომ, მართლმადიდებლობისათვის რომ ეღალატათ და ახლა კი ჩვენითვ ხოვიჭრით თავს, იეღოველობაა თურაჰ ჩემო და სხვისავ მიშაღ-ეფენდი, მაგრამ ნუ მაწყვეტინებ, აზრი მეკარგება, რაზე შევჩერდი?.. რაზე შევჩერდი, ვაჰ!, ჰო - თრახხ!!ზე, კი, ნამდვილათ, კი, და ყველაფერს შეიძლება შეეგუო უბედური კაცი მაგრამ ამ თრახებს? - ვერ, ასე მაგალითად, როვფიქრობ ჩემთვის ამჩვენ გაჭირვებებზე, და ჩავფიქრებულვარ ეს ამხელა ვითო დროული ვითოამოდენა კაცი და, - ბრახ! - და შევხტნები მაგრამ რას შევხტნები, აბა რა იქნება აბა, ჩვენე, მიშიკო, უმიზეზოდაც კი ვხტნებით ხანდახან და, ახლა, ეს ბრახ!ც!!?, და მოვითქვამ მერე პატარათი ჩამომხტნარს მაინც, გულს, და, ისევ რომ წავალ რაღაცა არი მაინც ჩვენ-ჩვენი ქვეყნის გადარჩენისთვის-ეგებ ფიქრებში, მომელანდება ხსნად ვითომ რაღაც და, რომ დავაპირებ, ჩაჭიდებას, ისევ და ისევ, მაინც? - აბა თუ იცი, რა!,

- რა!,

- რა და, ტავარიშჩ მიშიკო, - თრახ!!

- ვაჰ!!

-აბა?! ჰოდა, მიშიკო, როჩავიქნევ ხელს სამშობლოსიც კი გადარჩენაზეც კი ფიქრზე თავს და ხელს, ხელმოცარული გევიფიქრებ რომ ეგება ამ ოხერ ტელევიზატორს მაინც გადავაყოლო გული და ხელი და თვალი-მეთქი და, ჩავრთავ და გადმოვრთავ და კიდო და კიდო გადავრთ-გადმოვრთავ და მაგრამ რათ გინდა - ერთგან რო კენტი ზანგი ღნავის, დასტათჯღნავიან მეორეში, მესამეზეში თავს უხერხავენ ერთიმეორეს ელექტროხერხით, მეოთხეშინა ხმელი ვამპირი სისხლს ენერგიულა წოვს ვინცხა თლათ-ჩვენისთანას, არ მოგიკვდება გული?, მეხუთეშსავევშ ხვლიკების არშიყს გვიჩვინებენ დოკუმენტურათ და მარტო არშიყს რა უჭირს კიდევ, პატარა ხანში მთლადაც უკან ჩამოგატიებენ იმათ ფლირტობიას, მეექვსეულში კი, მიხეილ-ჩემო მერიდება-კი ამისი თქმა მაგრამ ქალიქალსკოცნისისეთიძალიანურითავდავიწყებით რო, კინოა ვითო, მესშვიდეზე კი, თლათ ვარესი - ბომბი და ოხრობა გამოუგონიათ ისეთი რო, აქ რო დაგვარტყან

თლათპუერტორიკოელს გაძვრება იქით უდანაშაულო თავი და იქვე იმასაც გვიინფორმაციებენ პირშიმთქმელურად რომესულათე აღარ გვჭირია ბომბი რახან ეკოლოგიურათ მაინც ისედაც ამოვწყდებით პატარახანში, გადავრთავ, კაცო, მერვეკუნაზე და, არ ამოვისუნთქავ ძლივს? - რეკლამაა იქ, ჩემო ბატონო, მარა რათ გინდა, - ქერტლზე მარა ესჯობია სხვებს მარა პატარა ხანში მწყინდება ეს და თუ იცი, მიხავ, განსაკუთრებით რატომ,

- რატომ,

- რატომდა, კაცო, ხოსუყველას გვაქ თითო მინუსი და არ მაქ ეგებ ეს საოცნებო ქერტლი და, ისე კი, კაცმა რომ თქვას, კია გასაკვირი...

- რა...

- და და, ის არ გიკვირს შენ რო ასეთი ყოფით მთლად კაგანოვიჩები არ დაგვირბიან თმაში და ოღონდ მაგრამ პატარეები და ოღონდ მაინც ფსხვილქერტლისხელა?

- მაშ...

- ისე კი, დრო მაინც რაა? ჰა!?! - ამას გავბედავდი მე მაისეევიჩ-კაგანოვიჩებზე კაგანოვიჩებისასას, დოუღია პირი?

- ვერ გაბედავდი.

- აბა!? მაგრამ, რაზე გავჩერდი,

- რა ვიცი მე რაზე...

- არა, არამედ - ვისზე...

- ჟდანოვზე-გონია,

- არა...

- აბა?

- მე მეკითხები რაზე გავჩერდი?, არაფერს შენ არ მიაყოლეფ ადამიანს, ნეტავი ვიზე,

- კი, გამახსენდა,

- აბა!!?

- მიქოიანოვიჩზე,

- ვუჰ, გამახსენდა!, მიქოიანზე, კი, ბაგრამიან-მოყოლებული - თრრახხზე!, ჰოდა, ამჩემ ქუჩაზე, რამოდენიმე რა ბრიყვებია ბიჭო-ბიჭო!? და საახალწლოდ აღარ იკითხავ? დაახლოებით ასე შვა-ნოემბრიდან აუდგებიან დიდ-დიდ მზადებას, სხვადროს თუ ასე-დაახლოებით ხუთიოდ წუთში თუ შეგვახტუნავებენ უქერტლოობით დაღვრემილებს და ამ თრახებით ისევ და მაინც ბატუტისებურათ რომელია, და გაცილებითაც უმფრო, კატაპულტისტურად მაგრამ ის გადამრჩენი

მაინცაა და ამჩვე ქუჩას კირო გოუდის უდანაშაულოთ გრიალ-გრიალი და ლერმანტოვის ეძახე შენ და მაგრამ თუმც მიხაილივე ლერმონტოვმა ხოკიდაწერა ბოროდინოზე, და ვაიესჩვენაც ბოროდინოვ, იმას რომ თავი გავანებოთ რამდენ ვითოპენსიანაძლევ მოხუცს რომ ეყოფოდა ლუკმაპურად იმ ასაფეთქებლების შესაძენი თანხა-კუპიური მაგრამ, ყოვლათშტერები ამ ასაფეთქებლებში მაინც და მაინც და კვლავაც და კვლავაც და კიდოც ნამეტანს გულუხვობენ შვილებისათვის მაგრამ იმას მაინც რატომ არ გაიფიქრებენ ერთი, რომ, რა გამოუვათ ასეთი შვილებისაგან, და, მართლა, ხოგამიმართლა რო ფულისშოვნას განსაკუთრებით ამ შეჩემისა ვუიდ-დროში არ უნდა მაინცამაინცი დიდი ჭკუვა არამედ უნამუსობა და უჭკუვობა უნდა ნამეტანი, და ისიც რომ მართლა, სულ დამავიწყდა, ზოგმათგან მთლად უსაყვარლეს შვილებს მუსიკალურულ დასაკრავებათ რომელ-რომელი ინსტრუმენტები აქვთ დეგენერატაულ მშობლებისაგან იცი ეს, მიშო?.

- არა?,

- რომელი, მიხავ და, ტრუბა და დოლი... ტრუბა, მიშიკო, ვაგნერთანაა (ვაიმე? საიდან იცის...) ეს კაი თორე, ცალნოტიანა ვითომ სათამაშო და სინამდვილეში მარტო ცალხმად რო შემაზრზენი ისე, ეე, რა დავარქვა, ეეე, ჰო, საყ-ვირი (ხედავთ? კვლავ, ვირი, უდანაშაულო ყოვლად... თუმცა, ამას მაინც ვერ დავუკარგავთ ყროყინებს, კიკი, მაგრამ, ეგება, ძირითადად უდანაშაულოთ ზოგი ჩვენგანი ტყუილ-აუგით რომ ვიხსნიებთ, ეს არვარგია - არნოლდი), და რა გამოუვათ ამ გინდაც ასე უზომოდ მოფერებული შვილებისაგან, თუიცი...

- არა?

- რა და, მიხეილ, მთლად სეხნია არ გამახსენდა შენი? მიხაილ, იევგრაფოვიჩ, სალტიკოვ-შჩედრინი,

(ვაიმე ბიჭო? - ისევ არნოლდი)

- არა, ის როგორ გამოვა ამბოვშებიდან მარა იმიტომ გამახსენდა რომ და რა უწერია იმას აბა ერთგან, უკონსპექტოდაც მოგიციტირებ, და, კარგად დამიგდე, სარუსულევოთ, ყური: она, - ერთ-ერთი ჩვენებურვეც თან ქართველივით და თანაც რამდენად ადრე, მშობელი იგულისხმება ამ она-ში, она была бы, например очень рада, - მშვენიერი კარგი კაირუსულს ლაპარაკობდა თურმე და ნაცოდინარა ესაც ბილბაოს მარააქცენტით, - если б хоть один из них вышел чем-нибудь вроде Суворова, გაიგე მიშო? вроде Суворова-ო, и надо сказать правду, что маленький Ваня до некоторой степени даже оправдывал материнские мечты, - რამხელა პირი ქონია მიშოს, ოღონდ უთქმელად თუ დააღებდა, ვიჰ!? ხოლო ბილბაო? - და ვნახოთ ერთი, რას ნიშნავს თურმე ეს вроде Суворова, - он не любил никакой игры, кроме оловянных кавалеристов и пехотинцев, терпеть не мог никакой мелодии, кроме барабана, შენ ხედავ მიშო, ეს ჩვენი დეგენერატოვიჩი კიდე რამდენად დაწინაურებულია როგორც ქართველუკი რადგანაც მართალია ცალხმა მაგრამ მაინც საყვირსაც, იტანს, და კიდო რა ყოფილა თუ იცი, вроде Суворов-ს ბავშიც: „наконец, ел и пил всякую дрянь“, გაიგე მიშკავ? ჩვენები კიდო, გინდაც ნაკლები მხედართმთავრები, კაის ჭამენ და კაის სმენ, სიმღერესაც დასძახიანო, ზოგს

არუვარგა სმენა მაგრამ მაინც, - სმენა-ა!, და სმირნა არაა სიმღერაში მთლად გადამწყვეტი, ე-ასე ამბობდა და ახლაც როგორ ამბობს თურმე ამას, სალტიკოვ-შჩედრინი,

გადარეულიყოსავით, მიხეილი, - საიდან იცი მაინც, კაცო, ბიჭო ბილბაოვ, შენ სალტიკოვი და შჩედრინი?

- ორივე ვიცი, ნუ გეშინია შენ... ყოველისფერი ვიცით ჩვენ-ჩვე ამქართველებმა, ბატონო, რაცხანა როცხა რაცხავ ნამდვილათევი საჭიროა, მუნ. - ამაყად აღნიშნა ბილბაომა და, მაგრამ იქვე მოტყდა, - და, კაცო, მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია მე: თვით იდიდი იგიგი სიდიადობით ნამეტან-რუსი ის სსუ, ვორ,ოვიი-ავოეე ახსენა როგორ ასე დრიან-ის მჭამელათ და აგდებულათ ირუსმა ირუსი და ვირუსი ჩვენ და ვარესი კიდო ამჩვენ ქართვე-ლებს რადგან თუნდაც თვით მე ამ მოცემულ ქართველს ვითოქართველი ვარდიკოია როვერ მომინელებია აემ ესჩემი მეტადმჭრელი და მახვილი საქმით, ესაა, მიშიკოვ, ვარდიკოვისიც თუგინდა გინდაც, საერო საქმე? -

:

კი, მოულოდნელები ვართ ქართველები, კი, ასე ათასფრად მოულოდნელები, კი, და ავურიოთ გინდაც? - მაშინაც კი, -

ხოლო ეს კი, შესაძლოა, კარგიაც კი,

და რაგინდ ასე შეჭირვებულებს,

რაგინდ ცოტაღა გვქონდეს ილაჯი და ლუკმაპური,

გადასარჩენად,

სულ ორიოდეს მაინც ნაწყვეტს, ჩვენდა იმედად, სიხარულისათვის, და გადარჩენის ურთიერთ-გასაზიარებლად,

შემოგთავაზებთ ეს უღირსი, თავის უღირს და რამდენ, გვერდთან, მაინც, - მაინც:

როცა ერთხნობა ისეც-ისედაც-არნოლდი ზოგიერთ ბრინჯივით იყო ანუ დაბნეული, რა ექნა ანუ აღარც იცოდა, ანუღა იყო ძლიერ გამონიავებული, იმდენი მაინც იაზრა რომ, თუ, ჩაეგონა, რომ ერთგვარად გამოგონილი კენჭი უყარა ჯერ მახარებლებს, მერე ცალკე თავებს, და, ჩასაკვირვებლად, როგორ წყალობად-წასაკითხად, გადაეშალა მათეს სწორედ XXV, ამდენს რომ ვინახავდით, და სადაც რომ, 31 დან? - :

„31. ხოლო რაჟამს მოვიდეს ძე კაცისაჲ დიდებითა თვისითა, და ყოველნი ანგელოზნი მისნი მის თანა, მაშინ დაჯდეს საყდართა დიდებისა თვისისათა;

32. და შეკრბენ წინაშე მისა ყოველნი ნათესავნი, და განარჩინეს იგინი ურთიერთას, ვითარცა-იგი მწყემსმან რაჲ განარჩინის ცხოვარნი თიკანთაგან,

33. და დაადგინნეს ცხოვარნი მარჯუენით მისა და თიკანნი - მარცხენით.

34. მაშინ ჰრქუას მეუფემან მარჯუენითთ მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქუენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაჲთ,“

რა სიხარული, განუზომელი მთლადაც ჭეშმარიტ უუმაღლესურ ბედნიერებად საბედნიერო ბედნიერებით როგორ ყუჩებად, დამაყუჩებელი, გაყუჩებულები იდგნენ ცხოვარები თვით მის წინაშე და, იდგნენ, უსმენდნენ უფალს, თავად მაცხოვარს, რითი იბოძეს ნეტა ეს ამოდენა, ესამოდენა ნეტარება, თვით „სასუფეველი, - ესე არს სამყოფი ანგელოზთა, სადა წმიდანი არიან“, და, „ნეტარება, - ესე არს ყოველთა კეთილთა შესაკრებელი, რომლისა არც ერთი მოკლებულ იყოს“, და, შეიძინეს, თურმედა რითი ეს, რომ:

„35. რამეთუ მშიოდა, და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და მასუთ მე; უცხო ვიყავ, და შემიწყნარეთ მე;

36. შიშუელ ვიყავ, და შემმოსეთ მე; სნეული ვიყავ, და მომხედეთ მე; საპყრობილეს ვიყავ, და მოხუედით ჩემდა“.

სიჩუმე, იდგა.

ცხოვარებში.

და, ცხოვარნთავე პატიოსნებამ, აადგმევინათ გაკვირვებული, გაოცებული, განცვიფრებული რადიდად, როგორძლიერ, ენა:

„37. მაშინ მიუგონ მას მართალთა მათ და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი და გამოგზარდეთ? ანუ წყურიელი და გასუთ შენ?

38. ოდეს გიხილეთ შენ უცხოდ და შეგიწყნარეთ? ანუ შიშუელი და შეგმოსეთ შენ?

39. ოდეს გიხილეთ შენ უძლური ანუ საპყრობილესა და მოვედით შენდა?“

და, ეგებ ცოტათიც, შესაძლოადა, წარმოსადგენელია, წარმოსახვითი გამოხატვა, იმისი ასახებითი გამოსახვა აი მისი თუ, თუ რა ალერსით დასცქეროდათ თავად უფალი, თავის ცხოვარნ-ებს, და, რას ამბობდა მისი სახება, მისი ხატება, სათნოდყოფილი, სათნოდ-მიმღები, და

„40. და მიუგოს მეუფემან მან და ჰრქუას მათ: ამენ გეტყვი თქუენ: რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავით“.

სიჩუმე იდგა, ძლევამოსილი და გონიერი, მაგრამ ერთგვარნი არა ვართ რადგანაც და თანაც ისე და ასე აშკარად, როგორ, და ამა ზოგიერთ ჩვენთაგანსაც, შემოგვიბრუნდა მაგრამ რამკვეთრად თვით მაცხოვარი და დაგვაცქერდა მერე და როგორ, რისხვით როგორით, როგორად:

„41. მაშინ ჰრქუას მარცხენითთა მათცა: წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა“, საუკუნო-საო, ანუ, ხოლო „საუკუნო - საუკუნოდ ითქმის თითოეულისა მყოფთაგანისა ცხორება;

კვალად ს ა უ კ უ ნ ო დ ითქმის ჟამნი ესე აწინდელისა ცხორებისა და საუკუნოთა მიმართ ყოფადი იგი დაუსრულებელი განსუენება;

ხოლო მხოლო არს ს ა უ კ უ ნ ე Q V T H S B შემოქმედი ყოელთა საუკუნეთა;

ხოლო ს ა უ კ უ ნ ე საუკუნო ცხორებასა და საუკუნოსა ტანჯვასა ცხადყოფს ყოფადისასა; - თუ გვესმის, რამე? ვითომდაც კი?, -

ს ა უ კ უ ნ ე ო ბ ა მარადის მყოფად ითქმის“...

...

რატომ გავჩერდით? რაზე?, - ჰო:

41. მაშინ ჰრქუას მარცხენითთა მათცა: წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთათვის,

42. რამეთუ მშიოდა, და არა მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და არა მასუთ მე;

43. უცხო ვიყავ, და არ შემიწყნარეთ მე; შიშუელ ვიყავ, და არა შემმოსეთ მე; უძლურ ვიყავ და საპყრობილესა, და არა მოხუედით ჩემდა“,

სიჩუმე დადგა კვლა-ვაც, მაგრამ, ვხვდებით ხომ, როგორი, და, როგორც იქნა მხოლოდ ახლაღა გაოგნებულები, მოლხენილები თავიანთური ჭკუით მინამდე, როგორ, აკაშკაშებულნი, ვითომც და დაბნელებულები ახლაკი, როგორ, შეეპასუხნენ, მაინც ეგები-ხსნისათვის, როგორ:

„44. მაშინ მიუგეს მათცა და ჰრქუან: უფალო (თუნდ მხოლოდ ამსიტყვას მაინც, კია მიხვდნენ-კი, მაგრამ ძალიანაც ხომ, გვიან...)... უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი ანუ წყურიელი, ანუ უცხოებასა, ანუ შიშულოებასა, ანუ უძლურებასა, ანუ საპყრობილესა და არა გმსახურეთ შენ?“

მთლად უბადრუკებს, მუცელთკერპებს, ლეგეონებიანა ძღომის სტომაქებს, რისხვით დასცქეროდა, და

„45. მაშინ მიუგოს მან და ჰრქუას მათ: ამენ გეტყვი თქუენ: რავდენი არა უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა (მცირეთაგანი - ალბათ ბედკრულებს-აც, დაჩიავებულებს, ნიშნავს,), მე არა მიყავთ,

46. და წარვიდეს ესენი სატანჯველსა საუკუნესა“,

და, ამის შემდეგაც, წაკითხვისა ამის, არ შეგეცოდებიან-ღა ტარტარით, ტანტალით, ამპარტავნებით შეპყრობილი ეს თხა-ღორები, თუნდაც ეს ასე ესე-ჩვენებურ-თერაპევტებნი? - რადგან, ისევაც მათე, 24,51:

„და ორგან განკუეთოს იგი და ნაწილი მისი დადვას ორგულთა თანა (თვალთმაქცებთან, კი... ვიცით, ისინი? ვიცით ისინი). მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ“. -

და, მხოლოდ შეცოდება კი არა და, ამ დღევანდელთა თხათა და ღორთთან შვიდივეგვარად - თურმე მთლადაც შვიდგვარი ყოფილა ძრწოლა - და შევძრწოდეთ უნდა ჩვენიც უგუნური, შეგუებული თავებისათვებისაც, შეგუებულები თუნდაც ამა თხა-ღორთა ურწმუნოებას ნეტავი რითი, მეხუთე ნამწვით?!, თურმე შვიდგვარი არის მივიწყებული ძველი ქართულით, ძრწოლა, და, ჩვე-უღირსებს, გვეღირსოს, ნეტავი, ეს, და ჩვენც რა შეიძლება მოგველოდეს, და მოგვივიდეს, დაგვატყდეს თავს ცხოვარ-თიკანთა გარჩევისას, ზეცის მანა თუ, ზეცისავე, მეხი, წარმოვიდგინოთ, თუმც გვეძნელება, ეს, მაგრამ, მეხუთე ნამწვად ნუ ვისულმოკლებთ, როგორიც-გინდა მოჩვენებითი კეთილდღეობა გვეცხადისშინათოს, ნუ მივიწონით ბოროტებას, ნუ ვითქვლეფებინებით, ნუ ვნაეშმაკრობთ, და, სიბილწით ძღომას, არ გვიჯობს მარხვა? - გინდ ამ თვალითხილულ ბოროტთაგან ხელოვნურად შეთითხნილი და მოწეული ნამოქმედარი, უზნეობა ეს, თუ ჩვენცვე თუარ გავბოროტდებით, როგორად კარგად შეიძლება რომ, გამოგვადგეს, და გამოგვადგესა კი არა და, მთლად გადაგვარჩენს; ხომაა ასე, ნეტავი ახდეს მართლაც ასე, და აქ, ძველებურებივით უნდა ვთქვათ მხოლოდ ჰეჲ-ჰე ანუ ჰო და ჰო, და რაღა თქმა უნდა, სამაგიეროდ, ბოროტისაზე კი, არაჲ და არა, ხომ უნდა იყოს, ხომაა ასე, ღვთით ამენ, ანუ ჭეშმარიტად, ხოლო ახლებურად? -:

„კომენტარები ზედმეტია“.

და, გადასარჩენად, ხელდადებულებს მოწყალესაგან როგორ, სასაიქიოდ, როგორ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, როგორ ძალიან უნდა ვიხსენოთ, რომ, წამდაუწუმურად, ასე: რომ მუდამ ვეცადოთ რომ ისე ცხოვრებას, რომ, -

„ხოლო მართალნი - ცხორებასა საუკუნოსა“.

და ხოლო კი, რომ არასოდეს არაა ეს, გადარჩენა ეს, გვიან? - მათესვე 20, 1-16 ერთად წავიკითხოთ, ოღონდ ჩვენ-ჩვენთვის, მაგრამ რაცგინდა ცალ-ცალკე, ერთად ვიქნებით მაინც, ამუშავებულები, და არსად უნდა გგონებოდათ მთლადაც აქამდე, რომ, რომ მე, ვითომდაც ნაკლებცოდვილი ვიყავ ანდა ვარ და ჭკუას ამიტომ ვირიგებინებოდი, - არა - ეს ჩემს-ცოდვილს-მეთავსაც ვირიგებდი, იმ ნუგეშითა და იმედით რომ, თქვენც არ გაწყენდათ, და იმდენად ვიცოდი ეს რომ, ეგებ ამისი თქმაც კი მიმავიწყდა და მავიწყდებაც მაგრამ ახლა კი როგორი ლხენით გაგახარებთ რომ, რომ არც არაფერი არასოდეს არაა გვიან ხოლო თვით ის კი - დიადი შრომა, ეს, როგორც ეს მათეს 20, 1-16 რომაა,

წაიკითხავთ, ხომ?

.....

...

აღივსეთ, იმედით? და, იმედად?

რწმენად? -

წმიდა სამების, დიადი, წიგნით... რადაბალია ამასთან, სულთან, ნებისმიერი ვუჰრაქებითი სიტყვები და შორისდებულები, აღზევებული გამოთქმები, უბრალო თქმები ხომ ბევრად უფრო შეეფერება: „უძირო“, „უფსკერო“, „ყოვლისმომცველი“, და, „უაღრესი - საქმით უნამეტნავესი“, და დასაკვირვებელი კი არა და, მთლადაც ჩანმთქმელი ჩვენისითაც და ჩვენითაც ხომ, როგორ, და რაღა შორს წავიდე-რა, აგერ თქვენს უღირსს უოქროპიროდ და განა ადრე თვითონაც არ ეგონა რომ ადამი რომ სამოთხეში ლორთქო ბალახზე მთლად განუწყვეტლივ ნეტარებისაგან მთლად ყირამალურად კოტრიალობდა? და, მხოლოდ ერთ-თავად? -

არა, თურმე როგორ დიდად-დიდ-არა, ეს; თვით წმიდა ვრცელი ოქროპირით ბოძებული რომ, ის, რომ ადამი, თავდაპირველი ოღონდ მხოლოდღა ცოდვითმომავალ შთამომავალთა შუა და შორის და ირგვლივითი როგორ და, მაინც როგორი გარიყული, და მარტო, ანუ რადგან წინასწარმეტყველი და, და ადამიანებში სიტყვით პირველი შემოქმედი, თუნდ აიმ ბალახს, ანუ სულიერთ და რამდენსახათ, როგორი ტვირთვით უბოძებდა შესატყვის სახელს,

და,

ისევ უბრალოდ -

აი, სულ და ყველაფრის, სუყველაფრის მომცველი რომ არ იყოს, ეს ყველაზე ნამდვიალდ კარგი წიგნი (მაგრამ ნამეტანი უბრალოდ ხომ არაა, ასე ეს...), ვერ გავიფიქრებდით ხომ, რომ, უნაკლოა, ხოლო ნაკლი რომ მართლა არა აქუს ამ ძლიერ ძლიერ კარგ - უბრალოდ, უბრალოდ, კი, კი, ასე, - წიგნს, ეგებ ზოგ ჩვენგანს იმანაც კი გაგვკრას რომ ჯანსაღი ჰიუმორიო თუ რას ეძახიან არ ურევიაო და უიუმორობა კიხომ - ეს ცუდია, და, კარგით, თუნდაც ნიშნის მოგებები დავარქვათ გლეხურად ერთ სამარიტელდედაკაციან ადგილს თუნდაც, მეხუთე თუ მეექვსე ქმართან დაკავშირებით რომ ეტყვის, „ჰრქუავს“ა, ქრისტე, და დავუშვათ რომ კვლავაც გლეხური გამონათქვამით ნიშნისგებაა სხვაგანაც - „შენ სთქუ“, მაგრამ უღირსს არასოდეს, არაფერზე არ უცინია გულიანად იმდენი, როგორც ეს იოვანე 9-ში აღწერილ იმა ამბავზე, თუ როგორ დაიბარეს ქრისტეს მიერ თვალთასინათლებოძებული, დაბადებითვე ბრმა, იერუსალემელმა იმდროინდელმა დიდმა სუკოვან კაგებეშნიკებმა რათა უარეყო თვალებახელილს იესუ ქრისტეს ეს ზემადლი და ხოლო შემდეგ კი ეს აპრავერჟენიე იმა-დროინდელ „ერშალაიმსკაია პრავდა“-ში გამოექვეყნებინათ, და ხოლო კი ნაბრმავებმა მეორედაც პასუხს რაც დაამატა? ხარხარს ვერ გკადრებთ, მაგრამ ისეთი სიცილი (რვაგვარია) გელით, მაპატიეთ და, ყველას ხომ ვერ გაკადრებთ-მეთქი მაგრამ რაღა თქმა უნდა „რახრახი“სა და „ღრიანცელი(?)“ს გარდა, ექვსივ დანარჩენ სუყველას, რომლებიდანაც რომ ყველაზედ მეტად კარგად მეტის-მეტს - „კაშკაში არს სიცილი მაღალი და მოხდომილი“, მთლად მოგერგებათ, და ეს პასუხი, საკაშკაშე, იოვანე 9,27შია, და მე აქ არ მოვიტან ადგილს ამას, მე თქვენს ცოდვაში ვერ ჩავდგები, რადგან, რაღა თქმა უნდა ასეთი ჯილდოსათვის თქვენა თვითონვე მთელი იოვანე 9? - უნდა წაიკითხოთ.

.....,

...

და ნურასოდეს ნუ დავკარგავთ უბრალოებას, არა? ამას მთელ-ჩემით გავიძახი მთლად პირველ რიგში ჩემივე ჩემი ჩემთავისათვის, მე, და ჩემს ამა ზემორე ნაწერებში ალაგ გინდ თუნდაც როგორი დაღვლარჭნილი და ვითომც მაღალფარდოვანი და ისეც კი მგონია რომ თითქოს - უცნობისწადილოდ უინტერესო გოგა-ჯარჯ-მაყვალის ერთ-ერთი თავიდანი ადგილი როგორღაც მაინც უფრო საჭიროა, უფრო სწორად კი როგორღაც საჭიროადგილივითიყო თუ გამოიყურებოდა და, მაგრამ, ღვლარჭნისმომგვრელი უბრალოებაც? ჰეჰ... ხანდახან თითქოს ძნელზე ძნელადაც გვიჩნდა,

და არისც.

და, ვისგან ვისწავლოთ ეს ამაღლებული უბრალოება, თუ არა B V Bსაგან, ვინაც ასეთი ძლევამოსილებაც კი, ძლიერ უბრალოდ თქვა:

„მე მიძლევიეს სოფელსა“.

შევხედოთ სიტყვებს, რომლებსაც რომ სხვა რაოდენთა რამთან ერთად, აქვთ ბევრი თვალი, და, ისევე როგორც,

და რომ

„სანთელი გუამისაჲ არს თუალი“,

და იქვე განგვემარტება, ისევ მათეთი, 6,28 რომ:

„უკუეთუ თუალი შენი განმარტებულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს“,

ხოლო ამისათვის კი, იმდენად უნდა გვჯეროდეს მისი, რომ,

ისევ შენ, წმიდაო მათე, -

14, 36:

„და ევედრებოდეს მას, რაჲთა შე-ხოლო-ახონ ფესუსა სამოსლისა მისისასა. და რაოდენთა შეახეს, ცხონდეს“.

და, ვივედროთ და ვევედროთ, თვით მ ა ს, დაბრმავებულები, რომ, დაბრმავებულებს, ისე აგვიხილოს და აღგვეხილოს თვალები რომ, როგორც ეს გაწმიდანებული მარკოზ-ის, 8,22დანაა:

ამ ადგილს მართლაც მთლად საბოლოოდ მოვიტან თქვენთანაც ერთად რაღა თქმა უნდა რამდენჯერ და რამდენგან ჩვენსავით ბ რ მ ა თ ათვის ანუ ჩვენთვის, მაშ ასე, ბოლო წყალობა ერთობლივ ჩვენმხრივული, ამ უ ი მ ი სოდ კნინ-გვერდებზე, დაწყებით ნუგეშს, იმედად გარდასასახველს:

„და მოვიდა ბეთსაიდად, და მოჰგუარეს მას ბრმაჲ და ევედრებოდეს მას, რაჲთა შეახოს მას“.

ი გ ი კი, ვრცლადმოწყალე, არათუ შეეხო, ყოვლისმოწყალეს, შეეწყალა

„და უპყრა ხელი მისი და განიყვანა იგი გარეშე დაბასა“ -

ლეგეონიანისაგან განსხვავებით, ხალხს დაუმალა სასასწაულო-ეს, მაგრამ, იგივე მარკოზმა, იქ თითქოს არმყოფმა, აედევნა-იყო თუ რა, მაინც აღწერა!:

„და დაჰნერწყუა თუალთა მისთა და დასდვა ხელი მისი და ჰკითხა მას, რასა-ძი ჰხედავს?

და აღიხილნა და იტყოდა: ვხედავ კაცთა, ვითარცა ხეთა, მიმომავალთა“,

მხატვრულოც, მარკოზ, მახარებელო წმიდანო შენ..., დიადი წიგნის ერთი განსაკუთრებით კეთილადდამბნევი უცნაურობა კი მაინც ისაა, რომ, რომელ ადგილსაც კითხულობ, ისაა სწორედ ყველაზე დიდი და სასურველი ყველაზე მეტად, სწორედ იის ადგილი, როგორ წყალობა-მადლად გადაშლილი, და ვისი ეს და, ისევ უბრალოდ არ გვიჯობს? - ყოვლისშემძლესი ტყუპისცალების, რამამიანთა წიგნია, ეს, და მერე როგორი ნათარგმანევი ჩვენთვის, „ქართველთა“ კინაღამ არა ვთქვი მაღალფარდოვანად, არამედ გვიჯობს - „ქართველებისათვის“, ხოლო მთაწმიდელების ენა, ჩვე-უღირსებისათვის ვითომც უკვე მოძველებული და „გამოყენება“ -დან გამოყვანილი, ჩამოწერილი ვითომ? - როგორ არ არის, არის, არის, მაინც კვლავ არის და არა „კვლა“, თან, მით უმეტეს, ასეც ძალიან მოულოდნელები, ხომრომხოვაართა,:

- და შენ თუ იცი, მიშკივ ჩემო, აეს ბილბაო მე საიდან მქვია,

- რა ვიცი, ბიჭო, შენ ვერ გაგიგე ვერაფერი ჯახნაბა შენ თავს!

- საიდამ, მიხაილავ და, ჩემი ღვიძლად ქართველი მშობლების ინდუსტრიალიზაციას რო თუ რასაც ეძახიან, ჰო - ინიციატივით, და ინერციას ეძახიან თუ რას ეძახიან და ჰო - ინიციალებიდანაა, ბიჭო, და ახლავე გამოგიაშკარავებ, გამომადევნე აბა ყური, ეს მამაჩემი ნათელი იმის ხსოვნას და სახელად ხომ ბუჭუტა და, მაშასადამე ინიციალურად ბ, და, ხოლო მომდევნო ი? - ილიკოს ძე და ლ კი - ლომინაძე-მე და დედასი კიდე, ნათელი იმის ხსოვნას, ინიციალებიც? ბ - ბაბილინა, ა - ალექსანდრეს ასული და ო - ოთხმეზურის ქალი და გვარი და, შეიკრიბევი ახლა ესენი, ინიციალები ეს, თამამად შეაჯამე, ხო იცი ბიჭო შენ მაგდენი არითმეტიკა მოუკვდა პატრონი და, მივიღებთ მთლად ანტიესპანურ ბ-ი-ლ-ბ-ა-ო,ს! გაიგე ახლა?

... -

ხომ ჩანს აქანეც, რომ, ქართველები, ქართლოსიანნი, ჩვენ, გინდაც ამერი და იმერი და გინდა ძალიანაც ბუღასავით და გინაც სკვინჩა, ვიყვნეთ, მაინცრო ძალიან მოულოდნელები, ვაართა, მაგრამ ახლა ამათთვის ანუ ბავშვობის მეგობრადნაფიცებისათვის, არ გვცალია, ხომ არ გადავყვებით მთლად, მაგრამ, მივუგდოთ კიდეპატართი, ყური,

- და, მიშო, დაიდე გულზე ხელი და ისე მითხარი,

- რა!,

- რა და, შენ ხო არა ხარ მარტო მამიდან?

- რაიოჰ!?

- არა, გადაჭრით ხომ არ მითქვამს, არამედ ხოარ ხარ მეთქი კარგი მამიდან მარტო, შე კაი კაცო, ვთქვათ და მამაშენს მამანტი ერქვა ხოლო იმისი მამად კიდე რომ ი - ისიდორეს ძე და შე-წირული იყო ვითომ და ზედაცკი ვითომ ოქრუაშვილი, ო, ოოოო, - ჰო?

...

-მომჩერებიხარ ასე ძალიან, რას! არამედ მიპასუხემითხარი...,

...,:

- კაცო, ის ხოარ დამცდენია, შენი სეხნიის, მ-იხაილ ი-ევგრაფოვიჩ შ-ჩედრინიდან-ო არი-მეთქი მიშოოო... მიშიკ, დაგიყვლეპია თვალები რას...,

და თვით ენაც კი, ქართველებისა, ჩვენი, მოულოდნელია ასე; ისე კი,

რა დიადია, როგორი მზიდავი, თვით სიტყვასავით, უგნურებისათვისაც კი თითქოსდა ვითომდაც ფეხქვეშ გასაგები მაგრამ უფალმა ქნას რომ და ქნა კიდეც რომ - სიღრმეებამდე, ძლიერ ბრძენთათვისაც კი მიუწვდენელი ბოლომდე ენა - ფსკერასფსკერობით, როგორ ძალიან ასამაღლებელი მართლა, - და ბუნდოვნად ხომ არ ვლაპარაკობ? - არა, რადგან ესაც კი ასეც შეიძლება, რადგან თავი და თავი-სიტყვებით ვლაპარაკობთ-ხომ რასაკვირველია, ჩვენი ამშვებით, მამულისათვის ანუ, და სიტყვებითვე, გინდ თანამედროვედ გასაგებით დავსძენ ვითომცდა სხვათაშორის მაგრამ ამასთანავე გან-გონივრულად, აი იმ როგორ წყალობა-მისაღწევად ნეტამისაღწევს, რომ,

ეგება ძველი ენა სწორედაც იმითია ასე ძლიერი ანუ თუმც ახლა ასე ძნელად მოსაბრუნებელ-დასაბრუნებელი და სასურველი და ანუ მარადის ანუ სამიწყივურად კარგი, რომ, რადგან ძველსა ენას-ამ ე.წ. კონფიდენციალურად ოფიციალური გრამატიკაი არა ჰქონდა?!,

თუმც, გრამატიკა დიდადაც რომ კისაჭიროა, ეს ნაღდია და ყველამ ვიცით, მაგრამ, ზედმეტად ცოდნა? - მაშინ ხომ ვეღარ ვიტყვით რომ, ენა უძვლოაო, კი.

მაგრამ, განვაგრძოთ, მივყვეთ იმას, ერთიც დაბა... და რა გვიჭირს რომ, შემოვიღოთ (თუ, დავიბრუნოთ?) თან, გვქონდა კიდეც აქა-იქ ზოგან, კანტიკუნტად, შიგადაშიგ, ადგილ-ადგილ, ალაგ-ალაგ, - ამისი ცდები, თუნდ სახელწოდებებისა და საკუთარი სახელების და სხვაც ამგვარი, აი თუნდ აბზაცებისა და წინადადებებისაც პირველი სიტყვის დიდი ასოებით ბეჭდვა, და რადაა ნეტავი ასეძნელი და რითია ნეტა ამდენხანს ვერმიღებული და განა-ცუდი ("ცუდი - ამაო, გინა ბედითი") და შეუძლებელივით, რომ, დავწერ-დავბეჭდოთ ასე:

და მივყვეთ ერთიც აბა ბეთსაიდიდან, განრინებულებს:

„და კუალად დაასხნა ხელნი თუალთა მისთა და აღუხილნა; და მან აღიხილნა და კუალად მოეგო (და დაუბრუნდა თვალის ჩინიო! - დაგვბრუნებოდეს, წინაპრებიან-ჩვენც!!) და ხედვიდა ბრწყინვალედ ყოველთა.

და წარავლინა იგი სახიდ თვისა (თავისთან; შინ) და ჰრქუა“ -

და აქ, ყოფილ ლეგეონიანისაგან ისევ როგორ განსხვავებით?:

„და ჰრქუა: წარვიდ სახიდ შენდა; და დაბად რაჲ შეხვიდე, ნურას ვის უთხრობ დაბასა შინა“,

მაგრამ მ ა რკოზმა, გაწმიდანებულმა? -

ი მ ი ს ა ესაც, ბრძანა.

ხოლო მეტისმეტადაც კი ძალიან უბრალოდ კირომ გამოვთქვათ, კი?

ხოლო მახარებლებმა იციან თავიანთი საქმე.

და ხოლო ჩვენ, იმათ კი არ ვედარებით, სუძალიანაც-ვერა, მაგრამ, რადგან, არსებობდეს და არ გვქონდეს გარეგნულად ისეთი მოცულობით თითქოსდა მცირე წიგნი, გადაუშლელად თვალისათვის ისეთი მომცრო წიგნაკი?, როგორიცაა „დაუჯდომელი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა „მსწრაფლშემსმენლისა“ და...

ეს მართლაუღირსიც რომ თითქოსდა ვითომც დიდგულზეა, თვითონაც აკი მხოლოდ ახლაღა წაიკითხა წ ი გ ნ ა კ ი ი ს, ეს, მარადცოცხალი და მარადსიცოცხლის მომნიჭებელი, ქებათაქებითი სამადლობელი ღვთისმშობლისადმი ეს, ასე რომ, მართლაც როგორღა შეძლებდა ეთქვა სულ ახლახან რომ, და გინდაც წრფელადაც ეთქვა რომ ეს რა არ ვიცით, - არსებობდეს თვით უკვდავება, და, განზე გვედოს? ახლა, წყალობით, ეკლესიებში იყიდება ეს ჩვენდა გადარჩენა - „დაუჯდომელი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა „მსწრაფლშემსმენლისა“, ათონის წმიდა მთის, დოქიარის მონასტრიდან თავიდან „უღირსი ბერის“, ნილოსისადმი მოვლენილი თავად ღვთისმშობლის ხმა, და მერე კი, „მსწრაფლშემსმენელისა“დმი კვირაში ორჯერ მაღალმოწამეობრივი, გალობითი ლიტურგიობით, აღფრთოვანებულად მოწიწებითი სამადლობელი თვით ი მ ი სადმი, „რომელმან პირველ ჟამთა გამომხსნელი იგი ნათელი, აღსასრულსა ჟამთასა“რომ „ხორცითა გვიშევ ჩვენ, და ბნელისა იგი მაოტებელი ცისკარი, მზისა მის სიმართლისა დასვლასა მზისასა, ვითარცა ელვა აღმოგვიბრწყინვე, მოგვიხსენენ ჩვენცა, რომელნი ესე მოსრულ ვართ თაყვანისცემად სიწმიდისა შენისა“ და მსწრაფლშემსმენელის ხატის წინარე მუდმივად ნთებულ კანდელთან მუხლმოყრილები, ემუდარებიან ღვთისმშობელს ვინ რას, და ვინ რას, თვალხილულად კი, მისი მადლით უსინათლოებს თვალები აღეხილებათ, საპყარნი ვლენან, დაუძლურებულები იქამდე რომ, სიკვდილისპირანი, კვლავაც სიცოცხლით აღინთებიან; ჩაძირვას ბევრჯერ

გადარჩენილან ხალხმრავალი გემები, ტყვეები განთავისუფლებულან, და რამდენი რამ სხვაც ისეთი სიკეთეც რომ, მხოლოდ ხატმა და მუხლმოდრეკილმა რომ იციან, მხოლოდ, და, ასე-ჩვენსავით შორეულებსაც გვეწყალობა და შეგვიძლია მისადმი ვედრება, მსწრაფლშემსმენელია ი ს და, მიგვიღებს, შეგვივრდობს, და, სასოებით წავუკითხოთ დაუჯდომელი, ღვთისმშობელს, ღვთისმშობელისა, არ წავუკითხავთ? - არ გვდომებია გადარჩენა; წავიკითხავთ და, იმ უდიადეს ეგრეთ-წოდებულ მაღალმხატვრულობასთან ერთად, აქამდე მეტნაკლებად რომ გვინახავს, გვსმენია, თურმე არსებულაც-კიდევაც, - რა, - რა სახეა აქ ღვთისმშობელისა, და ჩვენ რომ გვგონია რომ გვსმენოდა და აქაიქად შეგვხვედროდა უკვე, უდიადესი შედარებები? - მთლად ყრუ-მუნჯებ-ბრმები ვყოფილვართ თურმე, უამწიგნაკოდ, გადაშალეთ და დაიჯერებთ, ამას, ეს - უმაღლესი საუნჯეა, უუძვირფასეს საუნჯეებისაგან ამოკრეფილი,

წავიკითხოთ და, გვიშველის როგორ,

რას-აღარ მსწრაფლად გვიწყალობებს და,

რომ გვეგონება რომ აღარსაიდანაა ჩვენი საშველი,

ი ს -

გადაგვარჩენს,

და, ხოლო შიგადაშიგ, გადარჩენისაგან გაარხეინებულები თუ ჩვენი უმეცრებით მაინც დავისჯებით,

მთლად განუხრელად, მაინც როგორ უნდა გვჯეროდეს მისი, მ ი სით გვჯერა აი-ისაც რომ, -

„გიხაროდენ, უმეცართა დროებით დასჯითა განმაბრძნობელო“...

უღირსმა, იცის, შემთხვევია ეს...

და თანაც ბევრჯერ.

მაგრამ, ღმერთმა დაგვიფაროს და, გინდაც რომ მთლადაც ძალიანაც რომ და მეტისმეტად ზედმიწევნით პირწავარდნილი წმინდა წყლის რა იყო არამედ წუმპესწყლის ათეისტები, ვიყოთ,

და აქ თუ, დაპირებისამებრ, ვეღარ და აღარ გადმოვწერთ ჩვენს სასოებებს, წმიდასამების, უუდიადეს ნუგეშს მაგრამ ხანდახან ძნელად მისაგნებს, ისედაც ხომ-მეყო მე ესამდენი გაუგონარი ვაითუ-თავხედობა ეს, მაგრამ რა მექნა, თავი და თავი საკუთარ თავსაც ვიმხნევებდი, წინაპრებიანადაც ალბათ როგორ ცოდვილს, დღევანდელობით ალბათ დამსახურებულად ბეჩავს მთლად როგორ, თავი-ჩვენი კი, დღეისდღეობით ხომ - ტკივილია გინდაც აუტკივარი, და რაცგინდა ვბრუნავდეთ, თვით დედამიწიანა, ეს ჭრელაჭრულაც ათეისტები, და ჩვენი მცირედმორწმუნეობით ხომ რაოდენი რამ - მთელი ლეგეონი - ასე ძალიან რომ ცდილობს მოგვიღოს ბოლო რამსიშორიდან წამოსულებს, და მიტანებულებს

აქამომდე, აქ, მაგრამ ამ თვალში როგორ თავშისაცემად ეკლადნაჩხვლეტი მთლად ტარკინებიან-ჯორკოვსკებიან-პარტიებების ნაცვლად, მოდით და, რაგინდ გინდაც გადაგვარებულებმა, ძმებო, წარმოვიდგინოთ, ერთიცა ი ს, ნებისმიერი დავაკვირდეთ მ ა ს, და ვისწავლოთ მისგან, და გადმოვიღოთ უნდა მისი,

შეუპოვრობა.

თუმც კი სუსტია ისე ძალიან, რომ, არ შეიძლება გული მეტად არ შეგეკუმშოს ისეთ დღედ იყო ჩავარდნილი კი არა და, ჩასაფლავებული, მთლად, ისეთი დღე-ჰყვა? - სასტიკი, როგორი, აი იმდენად რომ ჩვენი ყოფაც კი შესაშური და თანაც როგორ, კი-იქნებოდა მისთვის, და თუმცა ძალიან ხშირად შეუნიშნავია, მაგრამ თუკი მოვიქექავთ ბრიყვ თავებსა და ჩავიყენებთ უგუნურ თვალში, მ ა ს, აუცილებლად მოვიხიბლებით და თანაც როგორ, მ ი სით, და ვიგრძნობთ სწორედ იმ ძალის ჩამოდგომას, გადასარჩენსა და გადამრჩენს, და რომ რომძალიან გვაკლია ხსნისაკენ სწრაფვა ვიგრძნობთ ამასაც და, სა-მაგალითოდ, დედამიწელებიდან ვისგან უნდა ვისწავლოთ რაიმე თუ არა მისგან, ი ს - ჩვენი არი, ჩვენიანი, ჩვენივე არი, ჩვენთაგანია რადგანაც ისიც - სულიერი, კი, და ხოლო ჩვე-სულიერთაგან განსხვავებით, ძლევამოსილია, ძლევა-მოსილი, ის, - მაგრამ რა ტანჯვით, და უნდა ძალიან ვისწავლოთ-უნდა-მეთქი ერთიც ასეთი თვალით როგორი შეუნიშნავი და გან-დარჩომილად ჩავლილისაგან, განსაკუთრებით კი თუკი გადარჩენისათვის, თუგინდაც უხმო და უხმაურო მაგრამ როგორი ბრძოლისათვის - საკუთარ თავთან, შევიმართებით, აი სწორედაც მაშინ, მაშინაა განსაკუთრებით აღმაზევებელი თავისი - რომელი სიტყვა - არცრომელი, თავისი მაგალითით გადმოსაღები, ამ არსებისაგან, თუ რაა სწრაფვა, მისგან უნდა როგორმე შევისწავლოთ ეს, ჩვენიანისაგან, კი, რადგანაც ხოლო

„ნერგნიცა სულიერად ითქმიან, რამეთუ აქუს მათ მოძრაობისა და აღორძინებითისა და თესლოვანებისა ძალი“,

და აქ აქა-ბოლო, ვითომდაც სუსტით და მაგრამ სწორედ მისით, მისიანური დასასრულით, რომელიც რიგით

VII, და მთლად საბოლოო დასასრული, რომელსაც ჰქვია ზევითკენ, მაღლა,

რადგანაც მაღლა უნდა ყოფნა, მუდამაც უნდოდა, თან ისე ძალიან რომ, რომ გამხდარიყო მაღლისა და სინათლისა ხოლო

„მაღალი - ზე აღმართებით, რომელი უგრძეა, იგი არს მ თ ა ანუ ბ ო რ ც ვ ი, ხ ე ნ ი, ანუ ზ ღ უ დ ე და მისთანანი“ - არა, ესენი არა, და

მაღალი არს ცაჲ და სამყაროჲ“, -

უახლოვდება, მისას ეს და

„მაღლად ითქმის ჰაერთა შინა ფრინველი, გინა დიდნი მეფენი, ანუ ძლიერი ხმიანობაჲ“ - სწორედ ესენია, თუ მეტი არა, რასაც ესწრაფვის და უცებობით და

ხელაღებით ნუ გაგიკვირდებათ რადგანაც მოულოდნელს-მას გაგიმხელთ თუ რაა, ვინაა, -

ერთი უბრალო ბალახია, იგი.

და, თუმც ჩქამიც არ მოისმის იმისაგან არამცთუ ძლიერი ხმიანობა კი არა და

მაინც,

მისი შემცნობელისათვის, ვისაც რომ იგი წარმოუდგენია დანახვამდეც კი, და ხვდება იმასაც თუ როგორ რომ ისე უჩქამოდ სჩადის საბუკ-ნაღარო რომელია, მთლად გუნდებიან თან მთლად საგალობელს და თან როგორ მჭექარედ სადიდებელს ძნელს როგორ, საქმეს, რა უხმაუროდ ქმედობს ისე, იგი,

და,

წარმოუდგენელს მიღწეული, ბნელთაბნელის მძლე, მხმოვანია - თუ დაუკვირდებით, და თუ ძალიან? - მხმობელიცაა,

თავისი უტყვი მაგალითით,

მგრგვინავი როგორ, რადგან

ძლევამოსილია,

და მერე როგორი, -

სა,მაგალითო; კი, ი ს, და

განსაკუთრებით ამ ლაყე-ჩვენთვის, იმაზე ვითო რამდენად მეტთა ტანით გინდა თუ სიტყვა-პასუხი, ცრუდმეტყველთაზე, ხმაურიანთზე რამდენად მეტად ნამეტნავია, რადგან ის ხომ მუნჯია სხვა თუ არაფერი, ვერ იდიდებს თავს ამ ყბედ-ჩვენსავით და არც უნდა ეს, და ჩვენს მიმართ თუკი ყრუა ესეც აბადა რაში ენაღვლება დიდ-გამარჯვებულს ისედაც ისე რომ, მთლად არაფერში ეპიტნავებ-და-ეპრიანება ეს, არ ენაღვლება ჩვენი ხოტბები და თუგინდ მთლადაც შეუმჩნევლობა, რადგან „საქმემან მისმან“ წარმოაჩინა კი არა და, მთლადაც გადაარჩინა ქვესკნელში ყოფნას, იგი, და ბრმაც ეთქმოდა ანუ ბოროტი ძალით ძალად დაბრმავებული სულაც ახლახან და გინდაც არ ყოფილიყო ისეთი ძალიან უსინათლო რადგან აიიმისეთ უხედველში, იყო? - და თუმც კია ძალიან ძნელად წარმოსასახი გასამარჯვებლად თუ რაც გადახდა და გამოიარა, ვეცადოთ ჩვენსას, ჩვენთვის, და ჩვენიანებისათვის, მაინც...

და სულაც მთლადაც ახლადჩასახულიც, ამოსახული, წარმოვიდგონოთ:

ის პატარაა, ერთი ბეწვა, თითქოსდა როგორი უმწეოა და უსუსური, ვერაფრისშემძლე, თითქოს, და ბნელში კი არა მთლად წკვარამშია, უკუნეთში და ჩვენ კი სისქით სულ ერთი გოჯი ვეძახოთ და, მისთვის კი, როგორ რამოდონა, როგორი მძიმე ასფალტი აძევს, ბოროტის რისხვად დასწოლია, - მიწის რიოში, ყალბად შემრყვნელი მაჯლაჯუნა, მაგრამ დია-გასაკვირველად ისეთი უჯიუტესი,

თავ-საღად-ნება, ესა თავ-ნება, ეს, ჯერ გინდაც მხოლოდ მცირე თესლი მაგრამ ანუღა მაინც „ნაყოფის მშობელი“, და თუმც სინათლე მისთვის სულაც არაა და წყალი, ძალიან არჩანს, მაგრამ ერთ ლოდზედაც, კი, ნასაყდრალით, გინდ ვითომ-ითი ხელისგულის ვითომდაც კი არა მართლა დადებით იმაზე, მასზე, მშველელზე როგორ, და მისდამი როგორი მიმნდობი რწმენით, როგორმე ეგებ წარმოვიდგინოთ, რომ, - არადა, მართლაც, არის, არ-არაა, - და რომ ალბათ მისი ახლადშობილი მწვანედ ნაყოფი ძალიან ციცქნა კი, ისეთი მცირე და პატარა რომ თვით ნასაყდრალ ლოდზე, როგორ მთლადაც უთქმელად აუარება მრავლისმომსწრეზე ჩვენი ხელისა-გულის წარმოსახვითი უფაქიზესი დადებით-ღა თუ წარმოვიდგენთ, მხოლოდ, თურა დღეშია, - მისთვის როგორი მცირე-რამ კნინი სიტყვებია რომ, რომ „უბედური“, „გაჭირვებული“, „მარტოხელა“, რომ „ბედკრული“ და როგორი „ბედშავი“ და ერთიც მძიმე სიტყვა ისეთი რომ... - „გაუსაძლისი“,

მაგრამ, თურმე, ძლებს, და თანაც თან როგორ, ხომ შეეძლო რომ მოეკუნტა თავისი ნაყოფი რომ არ დასწოლოდათ ის აუტანელი ყოვლად, სიმძიმე მაგრამ არა, და არა - იმ კუნაპეტში მაინც როგორ და როგორად-გაზრდა ისე ძალიან უნდათ ორთავეს - თესლსა და სუსტღერად ნაყოფს რომ - გაუსაძლისად მართლა, და, ბოროტი სულით მთლადაც ასფალტქვეშ ჩასახულები, არ ეპუებიან თავიანთ მაწრიელს,

და, იზრდება, მაინც, და საიდან იცის - ერთნი არიან, მშობელ-ნაყოფი, საიდან იცის მაინც იმან რომ რაგინდა ასეთ დღეში იყოს მაინცდა თუკი „ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით, და ჰპოვოთ; ირეკდით, და განგეღოს თქუენ“

და, იზრდება მაინც, ეს ესმაინც რანაირად, როგორ, და სიბნელითა და სიმძიმით დამატყვევებლის ჯინაზე, მაინც, მაინც იზრდება ი გ ი, რადგან მზე უნდა იმას ძალიან ძლიერ და მზის სინათლე და ქვეყნად ამოსვლა,

წვიმა უნდა და დანაწვიმარზე დამძიმება და არა ამ ყოვლად უჟმურით, ჯოჯოხეთის მაშხალით ანუ კუნაპეტურითმთლად ურჩხულით, მასახიჩარათი, და გინდაც თუნდაც სუულ-ოდნავ მაღლა, დიდ ქვეყანაზე ისე ძალიან უნდა ყოფნა, რომ მთელი თავისი სრული-ძალით და, საოცრებავ, კიდევ რამდენით უფრო მეტიც, ძალით, სუსტი ღეროთი როგორ ძალიან, მაგრამ მნდომელის ასე-როგორ, რომ, არ ეპუება ამ როგორ ძლიერს ოღონდაც მხოლოდ მაჯლაჯუნურად და თუ ის იყო მოსალოდნელი რომ ამ გამსრესით, მთლად და სრულადაც-ჩასამიწებლად შავის ძალათი თავსმოხვეულად შემობურვილი და შემმუსვრელი რული-რამ უნდა რგებოდა წილად და შეგუება მაგრამ სუთავიდანვე, როგორც კი იგრძნო რა იყო ბნელი, უკვე მაშინვე და მაშინაც კი მაინც როგორი ფხიზლადრწმენა და ცხადად რწმენა იმ სიბნელეში იმისა რომ,

თუკი „ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ“,

და როცა იქნებოდა, თავად დიდი მზე, ის მერე რა რომ ბევრად მაღლაა, მაინც იმასაც, მისქვეშე მყოფს, ეახლება, და გაანათებს,

და ამისათვის კი, ჯერ თვითონ უნდა ავიდეს, ააღწიოს როგორმე მაღლა როგორი ტანჯვით, შეუპოვრობით ისეთით რომ, პირდაპირ რეკავს, რეკს განსაღებად ამ თუროგორ-სქლად შედედებული წყვდიადისა,

და მზისკენ, ცისაკენ, სინათლისაკენ მიიწევს, მაღლა,

რა ჟინია ეს, მოურეველი კი არა და, მთლად მძლეთამძლე, არად დაგიდევთ სუსტ-ღეროობას, წვდომით, და ჟინიით? - მომრევია ის, მიწის პაწია ფალავანი, მოსურვილებით სინათლისა აი ისეთით რომ, ცარიალაღა ჟინი, წადილია; საღად ნამდვილი მცენარე ერთიც, მერედა როგორი სულიერი და ამიტომაც როგორი სწრაფვა; მზისკენ; მოწადინება ვერდამაოკებელი ვერავითარი ბნელი ძალისაგან რადგანაც - სწრაფვა რაგინდ უბრალო სიცოცხლისა ოღონდაც მზისქვეშ საცოცხლებლად და, ამისათვის, ანუ გადარჩენისათვის ისეთი ნდომა? -

საკვირველებავ, საკვირველებად? - გადასარევი, -

ჯერ დაბზარავს იმ თავის საგონჯეთს და, მერე კი, გინდაც როგორი სუსტი სინათლით როგორ ძალიან ძალმოცემული? რომ,

მასზე რამდენად მყრალადაც კი მძიმეს, ბილწებისა და ბნელის ნაერთს, ერთის შეხედვით კი არა და უთვალავჯერი შეხედვითაც კი, მოურეველს, ოღონდაც, ვითომ - მოურეველს? ესა სუსტღერა?,

გასაოცრებავ, მთლად საოცრებავ,

სულ მთლადაც, -

გახლეჩს!

და სინათლეზე ის თუ როგორი ტვრენით გატვრინდება, რაებ და რეებგადატანილი, უნდა-კი-მივხვდეთ,

თუ რა იქნება შვება,

მისი,

და ჩვენთვის...

გახლიჩა ი მ ა ნ ისეთი უუმძიმესი სრულიადი თავბოლო-ბნელი ისეთი ძალიან წარმოუდგენლად მოსარევი, რომ, რადგან

„რამეთუ ყოველი რომელი“ გადარჩენის, ანუ სიმართლისათვის მართლა „ითხოვდეს, მოიღოს, და რომელი“ სიმართლისათვის ანუ მართლა „ეძიებდეს, პოვოს“ და რომელი სიმართლისაკენ გადარჩენისათვის „ირეკდეს, განეღოს“,

და მუდამ გვახსოვდეს, ამამაღლებელი, ერთიც სულიერი ნერგი, ი გ ი, და ვითომ კვლავაც გვინდა შეხსენება, რომ, სად - ასფალტ(ებ)ის, დამთრგუნველი უჯმაჯურობა, და სად აბა ის და სად აბა ე ს, ოღონდ ეს ერთის შეხედვით მხოლოდ, რადგან, თუმც როგორ ვითომც ბევრად სუსტდრეკადღერა, მაგრამ სულიერი, თუ

მართლა გულით მოინდომა და შეუვრდება წმიდა სამებას, ყოველივეს, სუყოველივეს, სძლევს, და გვესწავლოს მისგან, ი მ ა ნ დიადი ისე-ჟინი რომ, მთლად გახელება, ეს უჩუმარი და თანაც როგორ-ძალიან „უმყვირტესი - გარდარეულად გარდამეტებული“ - ოღონდ სიმართლისათვის, სამართლიანი, ანუ სწორი ცხოვრებისათვის დედამიწაზე, აქ, ეს სწრაფვიანი ნებისყოფა გადმოგვდებოდეს ერთის შეხედვით ვითომდაც როგორი უსუსურივითაც ვითომ, ღეროსი, მაგრამ სამაგიეროდ როგორ ძალიან - რა და რა ჰქვია -: მოსურვილება, მოწადინება, სიცოცხლისა და გადარჩენის რარიგი ნდომა, სწრაფვა, და ლტოლვა, და ჩვე-უღირსებისათვის, და თითქმის ბოლომდე შეგუებულებისათვის, მარტო დასაკვირვებელი კი არა მხოლოდ, მისი წაბაძვით, ძალიან აღვსება და მოსურვილებით დიდ-შრომით ამ-ით, იმისა, რომ, -

მზის და სინათლის!

მზე უნდა!, და ძალიან! მაღლა!

და,

დგას კიდეც, მზეში!,

ნეტავი იმას; და როდისღა ვიტყვით ნეტავი რომ, ნეტავი ქართველებსაც, ჩვენ...

ამ წკვარამიდან,

მზისანი გავხდეთ!

კი.

და თუმცა უღირსმა კარგად იცოდა და ამ ბწკარებისას ახლაც იცის კიდევაც ის რომ, პროზას არ უყვარს, არ ეხამება ძახილის ნიშნებით დამთავრება, და პროზის თუნდაც მხოლოდღა თვალით ხილულ დასასრულებს გინდაც მეშვიდე იყოს თუ მრავალწერტილი - .....,....., - არა, მხოლოდ სამწერტილი-თუნდაც სჩვევიათ უფრო, მაგრამ რა ქნას თუ, გინდ ამ იმ ერთგვარი უბრალო-ვითომ ბალახის გამო ისე იხარა რომ თავი ვეღარ შეიკავა,

და, თანაც, ესაა მხოლოდ I წიგნის დასასრული...

1994 წლის ოქტომბერი - 2001 წლის 17 აგვისტო,

ზოგიერთი მე-უღირსისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წინადღე